# ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი
# VI—VII

თბილისი 2000

# იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი
# (1809—1835 წ. წ.)

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და
შენიშვნები დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

63.2(2Г)
ს 323

კრებულში თავმოყრილია იონა ხელაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობა.

იონა ხელაშვილი (1779—1837) მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართული საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ისტორიაში. მას ჰქონდა ფართო მიმოწერა საქართველოში და რუსეთში მცხოვრებ ცნობილ ისტორიულ პირებთან (სოლ. დოდაშვილთან, დავით, იოანე, ილია, ოქროპირ, თეიმურაზ, მიხეილ ბატონიშვილებთან, მარიამ და ანა დედოფლებთან და სხვ.).

ამ წერილებში, გარდა ყოფითი ამბებისა, გადმოცემულია ავტორთა ფილოსოფიური, რელიგიური, ეთიკური, თეოლოგიური შეხედულებები, ამიტომ ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლისათვის.

მთავარი სარედაქციო კოლეგია

†შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, †რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ე. ხოშტარია.

სერიისა და ტომის რედაქტორი მ. ბერძნიშვილი

რეცენზენტები: ფილოსოფიის მეცნ. დოქტორი რ. თვარაძე
ფილოსოფიის ინსტ. მეცნ. თანამშრომელი მ. ნანეიშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2000

ს $\frac{0502000000}{608(06)-200}$

ISBN 99928—77—75—8

# წინასიტყვაობა

ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსის წინამდებარე VI—VII ტომი შეიცავს იონა ხელაშვილის მიწერ-მოწერას XIX საუკუნის პირველი მესამედიდან.

იონა ხელაშვილი ფილოსოფიურად განსწავლული და ქართველთა სულიერი ცხოვრების გამდიდრების მოსურნე ცნობილი მოღვაწეა. იგი დაიბადა, დაახლოებით, 1772 წელს (მისი დაბადების თარიღის შესახებ წყაროები ერთსულოვანი არ არიან, ქიზიყის სოფელ ვაქირში. ბავშვობიდან აღძრული იყო მღვდელთმსახურების სურვილით, გამოეპარა მშობლებს და თბილისში ჩამოვიდა. აქ იგი, ერეკლე II-ის შუამდგომლობით, მეტეხის დეკანოზ იასესთან მოხვდა და პირველდაწყებითი სწავლა სწორედ აქ მიიღო. გიორგი XII-მ იონა დავით რექტორს მიაბარა. 1800 წ. საკმაოდ მომზადებული იონა ბერად აღიკვეცა. 1805 წ. ფარნაოზ ბატონიშვილს გაჰყვა რუსეთს. დავით ბატონიშვილის რეკომენდაციით, იონა მიიღეს სასულიერო სემინარიაში, რომელსაც იგი 1812 წელს დაამთავრებს. იქვე აკურთხეს მონაზვნად. იონა მსახურობს კარის მოძღვრად ჯერ დავით ბატონიშვილთან, შემდეგ — იმერეთის დედოფალ ანასთან, შემდეგ — თეიმურაზ ბატონიშვილთან (1824 წლამდე), დაბოლოს, იმერეთის მეორე დედოფალ — მარიამ კაციას ასულთან (1837 წლამდე).

კარის მოძღვრად ყოფნისას, იონამ შექმნა 44 ლიტერატურული ნაწარმოები. ამავე დროს ის ფართო მიწერ-მოწერას აწარმოებს მისი დროის მრავალ გამოჩენილ პირთან. როგორც ჩანს, იონა მეტად მაღალი აზრისა ყოფილა თავისი წერილების ლიტერატურული და მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ, მით უფრო, რომ იონა მათში ხშირად ავითარებდა თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს. ამიტომ იგი თავის ეპისტოლეების შავებს გადასაწერად აძლევდა და სპეციალურ დავთარშიც შეჰქონდა. ამ საშუალებით ცდილობდა ის, რომ მომავალ ქართველობას არ დაჰკარგოდა იონას ნაკალმარი. ამავე დავთრებში მას შეჰქონდა აგრეთვე სხვათა ბარათებიც, რომლებიც მასთან იყო მოწერილი. ამრიგად, შეიქმნა რამდენიმე კრებული, საკმაოდ სქელტანიანი, რომელთაც იონა ჟურნალებს უწოდებს. ასეთ კრებუ-

ლებს წარმოადგენენ დღეს ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული შემდეგი ხელნაწერები: S—1532, H—2226, H—2222, S—388 და S—137. იონას ყველა წერილი შეტანილია ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსის წინამდებარე VI—VII ტომში. წერილების დიდი უმრავლესობა ქვეყნდება პირველად. აქამდე გამოქვეყნებული იყო მხოლოდ სოლომონ დოდაშვილის წერილები[1] და ნაწყვეტები იონა ხელაშვილის ზოგი ფილოსოფიური წერილიდან[2].

იონა ხელაშვილის წერილებში მრავალი საკითხია განხილული: თეოლოგიის, ფილოსოფიის, პედაგოგიკის და მრავალი სხვა მეცნიერების პრობლემები.

წერილებში ნათლად ჩანს პეტერბურგის ქართული დასახლების სულიერი ცხოვრების სურათი. მიწერ-მოწერაში მოიპოვება მდიდარი მასალა იმ პერიოდის მრავალი ცნობილი ქართველი პიროვნების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს მასალა მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს საქართველოს საზოგადოებრივი აზრის ისტორიის მკვლევარს, უფრო მეტიც, ვფიქრობთ, იონა ხელაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია იმ პერიოდის საქაროველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი გამოკვლევა.

იონა ხელაშვილის მიწერ-მოწერა მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში ჩანს იონა ხელაშვილის შეხედულებები სხვადასხვა საკითხზე. მიწერ-მოწერა მდიდარ მასალას გვაძლევს აგრეთვე სოლომონ დოდაშვილის ცხოვრების შესახებ, დაბოლოს, ამ კრებულებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენამდე მოღწეულ სოლომონ დოდაშვილის წერილებს, რომლებიც აქაა დაცული.

კრებულები, რომლებიც შეიცავს ი. ხელაშვილის მიწერ-მოწერას, ერთ ცალადაა დაცული. იგი ავტოგრაფი არაა. გადაუწერია ისიხი, ხელაშვილის დაკვეთით, პაიჭაძე გიორგი დავითის ძეს და ადამ ღირსიაშვილს 1828 წელს. კრებულებში არაა დაცული ქრონოლოგია, აქ თავმოყრილია, უმთავრესად, 1825—1828 წლების წერილები. უნდა ვიფიქროთ, რომ არსებობდა სხვა კრებულებიც, რომლებშიც, ასახულია ი. ხელაშვილის პეტერბურგში ცხოვრების მთელი პერიოდი.

---

1 „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1944, ნაკვეთი II, თბ., 1945, ს. ხუციშვილის შესავალი წერილით და შენიშვნებით. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბ., 1961, ს. ხუციშვილის პუბლიკაცია.

2 გ. დედაბრიშვილი, „ი. ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ" კრებულში: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, 1969, გვ. 175—178.

თვით ხელაშვილი ამ კრებულებს დიდად აფასებდა. ამის შესახებ იგი სწერს ბატონიშვილ ილიას: „მიწერ-მოწერა სულებთა საზრდელნი არიან უაღრეს კორცთა სანოვაგებისა, რომელნი გამოვლენან მიწით და მუნვე მივლენან შემდგომ განქმელისა, ხოლო სულებსა შინა შთაბეჭდილნი საგნები კეთილდღეობისა სულსა შინა ეგებიან, რომელთა შემდგომ განსვლისა მეორე უძრავსა საუკუნოსა შინა ექმნებიან ფანტაზმებად ე. ი. ხატებთა ხატნი და სახეებთა სახეებნი დედნებთა საგნებთაგან გამოხატულნი თვითეულნი თვისთა ნაკუწთებითა და ყოვლადებთა"[3].

იონა ხელაშვილის თეოლოგიური შეხედულებები ძირითადად გადმოცემულია მის ერთ-ერთ ნაწარმოებში „ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი". საკითხი სამყაროს საწყისის შესახებ ი. ხელაშვილისათვის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილია: სამყარო ღმერთის შექმნილია. ღმერთი უნივთო, მარტივი სულია, იგი არ შეიძლება დახასიათდეს რაოდენობის, თვისების, ადგილის, დროის ნიშნების მიხედვით, რომლითაც ჩვეულებრივად საგნები ხასიათდება.

ღმერთი ყველაფრის მიზეზია, თვითონ კი მიზეზი არა აქვს. ღმერთი ყველგანაა, იგი ყველაფერში იმყოფება. ღმერთი უპირველესი მიზეზი ანუ მიზეზების მიზეზია. დანარჩენი მიზეზები მხოლოდ „მიზეზოვანნი" არიან.

ღმერთი ამოძრავებს ყველაფერს, თვითონ კი უძრავია. სამყაროს მოძრაობის მიზეზი ღმერთია. მას თავისთავად არ შეუძლია მოძრაობა. იგი მატერიალურია, ხოლო მატერია ინერტულია, ინერტულია სამყაროც. ღმერთი უცვლელია, მარადიული. მას არა აქვს წარსული და მომავალი, ვინაიდან ცვალებადობაში არ იმყოფება. ეს აზრებია გატარებული იონა ხელაშვილის კერძო წერილებშიც.

ი. ხელაშვილის მიმოწერაში აისახა მისი შეხედულებანი საზოგადოების ცხოვრებაზე. ისტორიის წარმმართველი ძალა ღმერთია. ისევე, როგორც ადამიანი, საზოგადოებაც ზოგჯერ სცოდავს. არღვევს ღვთის დაწესებულ მცნებებს. ამიტომ ზეციურ სასჯელსაც იღებს: ურწმუნოება არის მიზეზი საზოგადოების უბედურებისა, ქვეყნის როგორც შინაგანი, ისე გარეგანი რღვევისა. მაგ., რატომ გაიმარჯვა რუსეთმა ნაპოლეონთან ომში? იმიტომ, რომ „მუხლმოდრეკით ლოცვამან და ტირილმან განაძლიერა რუსეთი, ხოლო ნაპოლეონი დამარცხდა იმიტომ, რომ დაარღვია საიდუმლონი პირველი, მეორე და

---

[3] საქ. მეცნ. აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდი S—1532. იონა ხელაშვილის წერილი ბატონიშვილ ილიას.

წეშვიდე. შეაგინა ეკლესიანი, 700 საკურთხეველი, ჰყავდა მეორე ცოლი და ა. შ.[4]

ასევეა ახსნილი საქართველოს აოხრება მე-13 საუკუნეში მონღოლთა მიერ. იმის გამო, რომ ჯავახეთში ძლიერ გავრცელდა ათეიზმი — სჯულისა და სარწმუნოების საკითხებზე ლიზღობა, ამიტომ ჯავახთა დაბები და ქალაქები ღვთის სამძიმილის სასჯელით აოხრა მტერმა.

„ერისა დიდისა გინა მცირისა ანუ მონარხიისა, დაპყრობასა სხუათა ერითაგან 3 მიზეზნი აწარმოებენ: ოდეს ერთმა ერმან და მონარხმან დაივიწყონ ღვთის მსახურება. ეკლესიები დაუძლურდნენ... ამიტომ ერნი სხვადასხვა ხარაკტირისანი აღვირსა მცნებისასა დაუტევებენ თვინიერ გზისა".

რა უნდა ისწავლოს ახალგაზრდამ? უპირველესად ყოვლისა, ფილოსოფია, ე. ი. სიბრძნის მოყვარება.

იონა ხელაშვილი განათლებისათვის მებრძოლია. ერის განათლებაა ის გზა, რომლითაც მრავალგზის აკლებული ხალხი ბედნიერებას ეწევა.

არ არიან ისინი სწორნი, როდესაც მსჯელობენ: „მამასა და პაპასა წიგნი არა სცოდნია, მაგრამ კეთილად უცხოვრიაო", — ამბობს ხელაშვილი. ნათესავებისადმი წერილებში იგი სთხოვს მათ სასწავლებელში მიაბარონ შვილები, მაგრამ ამაოდ.

იონა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენის სიწმინდის დაცვას, რაც მას ერის ნაციონალური სახის შენარჩუნების ძირითად პირობად მიაჩნია. ენის დაცვა-გამდიდრების მიზნით, იონა მრავალი წლის განმავლობაში ადგენდა ლექსიკონს, რათა „განუცოცხლოთ ნახევარ მკუდარსა ენასა ჩვენსა შერევნილსა უუსაწყალობელეს ბაბილოვნელთასა". იონა პეტერბურგიდან არიგებდა სოლომონს: „აქ მე მომითხრეს გაზეთის გამოცემა ტფილისით პუბლიჩნი ე. ი. საკრებულო. აჰა, თქვენ ეცადენით რათარმცა ქართულსა შტილსა ზედა იყოს განკარგულ და ნუ სომეხთა ტანსა ზედა და ბგერასას, რათა ახალ მოსწავლენი არა ეგრეთ ბგერდენ, რომელთა აღმოფხეკა არღა ძალიდების თხემითგან და გასწორება ენისა კილოთა და გამოღებათა და დეეცემის ენა ჩვენი უძვრეს პირველისა. ფარნაოზ ქართლოსიანმან დიდ ფრიადისა ღუაწლითა გააკოპიტა. ხოლო პეტრიწმან მქისე გაწყლტუა და ანტონი კათალიკოსი I დაამწკრივა. აჰა, თქუენ ეკრძალენით დარღუჩევასა და განმტკიცებასა სიბრძნისა ადიდებითა. ე. ი.

[4] იონა ხელაშვილი, ოცდათოთხმეტი შეკითხვის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო გულნარა დედაბრიშვილმა, თბ., 1967.

ღრამმატიკითა და რიტორებითა ლექსიკონისა დიდან ძირფესვებითა და ნერჩებითა და ჩინჩლებითა“.

როდესაც ინგლისელები თავიანთ ენაზე საუბრობენ, არასოდეს შეურევენ სხვა ენის სიტყვებს. ასევე იქცევიან სხვა ერნი. მაშ, რატომ ურევენ ქართველები ლაპარაკის დროს სიტყვებს სხვა ენაზე? ამის შესახებ ლაპარაკობს იგი ს. დოდაშვილთან მიწერილ წერილში.

„მოწაფენი შენნი საგანსა ზედა ოდესსა ამეტყველებდეს რუსულად, არა ურიონ ქართულნი და ოდესსა ჩვენსა ენასა ზედა არა შერიონ რუსული, ვითარცა რომელნი აქაურნი ქართველნი იქცევიან. „თქვენ იმეტყველეთ რუსული თვინიერ ქართულთა ლექსთა, აგრეთვე ქართული გარეშე რუსულისა, რომლებითაცა დაიცვების ენები კახოზიერ ღრამატიკოსებითა“.

ი. ხელაშვილის ეთიკური შეხედულებანი განსაზღვრულია რწმენით, ორი ქვეყნის და ორი ცხოვრების — ჟამიერი, წარმავალი და მარადიულ-იმქვეყნიური ცხოვრების შესახებ. ამქვეყნიური ცხოვრება მზადებაა იმქვეყნიურისათვის. ამითაა განპირობებული ქცევის ნორმები. ი. ხელაშვილის ეთიკა მთლიანად დაფუძნებულია რელიგიაზე. ურწმუნობა ამორალური ქცევის წყაროა. „ყოველნი დაბადებულნი ღვთისა კეთილ არიან. გარნა კაცნი უკეთილეს ყოველთასა არიან უფროსღა მეორედ შობილნი და უმეტეს იგინი, რომელნიცა ნებასა თვისის ღვთისა ნებასა დაიმორჩილებენ“.

ღმერთმა თავისუფალი დაბადა ადამიანი და აჩვენა ორი გზა. ერთი — ფართო, რომელიც მიიყვანს წარწყმედამდე, და მეორე — ვიწრო გზა, რომელიც ადამიანს სასუფეველს დაუმკვიდრებს. კაცი თვითონ აირჩევს.

ი. ხელაშვილი ნების თავისუფლების მომხრეა. ორი ქცევიდან ერთ-ერთის არჩევა ადამიანს თავისუფლად შეუძლია. ამიტომ ცოდვის ჩადენისათვის პასუხისმგებლობა მთლიანად ადამიანს ეკისრება.

ი. ხელაშვილის ყველა წერილს აერთიანებს დიდაქტიკური ხასიათი. იგი ცდილობს თავისი მრწამსის გადაცემას ადრესატისადმი — სულ ერთია, ვინ იქნება იგი, ან რა საბაბის გამოა დაწერილი წერილი.

იონა დიდი პატრიოტია. მთელი მისი საქმიანობა მიმართულია საქართველოს საკეთილდღეოდ.

ასეთია იონა ხელაშვილის შეხედულებები, რომლებიც ნათლად გამოჩნდა, ძირითადად, მისი მიწერ-მოწერის მიხედვით.

# ტექსტის გამოცემისათვის

წინამდებარე გამოცემა ორი ნაწილისაგან შედგება: ტექსტები და შენიშვნები.

ტექსტები განლაგებულია ქრონოლოგიურად და დანომრილია მიყოლებით არაბული ციფრებით. წერილების გამოცემისას უცვლელად არის დატოვებული დედნის ორთოგრაფია, ტექსტში ციფრების გადმოცემა ასორიცხვებით დავტოვეთ უცვლელად ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის მიუთითებლად. ყოველ წერილს ახლავს შინაარსობრივი კომენტარები, აღნიშნული არაბული ციფრებით. მათი ახსნა გადმოტანილია წიგნის მეორე ნაწილში — „შენიშვნებში“.

„შენიშვნებში“ შეტანილია ყოველი წერილის არქეოგრაფიული აღწერილობა და შინაარსობრივი კომენტარები.

## № 1

### 1809 წ. 28 ივლისის წერილი გოდერძი ფირალოვისა იონა ხელაშვილისადმი

უფალო დიაკონო დიაკონთაო იოანე, მამად ყოფადო და ჯერეთ არა მამაო!

მათი უგანათლებულესობა საქართველოს მეფის ძე მირიან[1] მცირედ შეუძლოდ ბრძანდება, და ბრძანა, რომ გამოგიცხადო, და მანდ დაეთხოვე ბინისახლ ესე იგი ორ სამ დღეობით და წამოდი, კარეტა გამოგვიგზავნია: ეცადე, რომ მოხვიდე, უფალსა შენსა გამოუცხადე და წამოდი,

დიაღ კეთილგონიერყოფ, დაუტეო ბრძანება ეგე.
აღდეგ. მოვედ შე ბოროტო. გონებასა მით მოეგე.
არ გაბრიყვდე, ჩქარა მოდი, მეფის ძესა აქ იდეგე
არ შერაცხო თავისუფრად კეთილმყოფად ჩვენთა ეგე.

მეგობარო ჩემო. თქვენის პატიოსნების უმდაბლესი მოსამსახურე გოდერძი ფირალოვი[3].

ივლისის კჱ წელსა 1809.

## № 2

### 1812 წ. 29 თებერვლის წერილი დავით ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მამაო იოანე!

ჩემი ძმა გაბრიელ[1] გარდაიცვალა, ანატოლს[2] წიგნი მოვსწერე რეკტორსა სემინარიისასა და ვთხოვე ერთს კვირას შენი გამოტევება ჩემთანა, ნემსკის სემინარიიდამ[3].

მეფის ძე დავით[4]
თებერვლის კთ.

## № 3

### 1812 წლის 13 ნოემბრის წერილი ამბროსი ნოვღოროდის მიტროპოლიტისა იონა ხელაშვილისადმი

მყოფსა სახლსა მათის უგანათლებულესობის საქართველოს მეფის ძის დავითისა იერომონახს იონას ვიდრე აღშენებამდე მას შინა ეკკლესიისა ნება ერთვის ამით შეწირვად საღმრთოჲსა ლიტურღიისა ქართულსა ენასა ზედა პრიდელნის ეკკლესიასა შინა ანდრიის სობოროსასა[1] თანხმობითა და ცნობითა მის სობოროს დადგენილის პროტოიერის სტეფანესითა[2].

ნოემბრის 13, 1812
ამბროსი მიტროპოლიტი ნოვღოროდიისა[3].

## № 4

### 1816 წ. 8 თებერვლის წერილი მეფის გიორგის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი.

პატიოსანო ღირსო მამაო იერომონახო კეთილშობილო ჴელაშვილო იონავ!

ვინაჲდგან აღზრდილი სიყრმითაგან პალატსა შინა სანატრელთა პაპისა[1] და მამისა[2] ჩემისათა ხარ, და მუნ დღითგან აქამომდე ყოვლითა ერთგულებითა და შეძლებითა შენითა მსახურებ სამეფოჲსა სახლისა წევრთა და განსწავლულ ხარ შემწეობითავე მათითა თავისუფალითა ჴელოვნებითა სამეუფოსა ამას ქალაქსა შინა სემინარიასა წმიდისა ალექსანდრე ნეველის მონასტრისასა, შემდგომად სწავლისა მღუდელ-მონოზნება შემოსილი, კვალად მსახურებ სამეფოჲსა სახლისა წევრთა. ხოლო აწ ვინაჲდგან ჯერიჩინე დაწესება სახლსა შინა ჩემსა, ამისთჳს განგიწესებთ თვეში 25 ოცდახუთსა რუბლსა ასიგნაციასა, რომელიც მოგეცემის დაუკლებელად, ხოლო სანოვაგითა კმა იყოფვი ტრაპეზსა ჩვენსა ზედა. გაქუს კელია სათბობითა და საჴათურითა თჳსითა, და შემთხვევისათჳს უძლურებისა აქიმი და წამალი, თუმცა უმეტესისა ღირს ხარ მოცემად საცხოვრებელისა, გარნა უცხოებასა ამას შინა ყოფა და უსარჩოება ჩუენი გვაბრკოლებს, და ოდეს ღმერთსა ზედა სასოებისა დამდებელთა მივიღოთ შესაბამი საცხოვრებელი ჩვენი, არა დატევებულ იქმნები ჩვენ მიერ. არამედ კმაყოფილ ყოვლითურთ. აწ ვითარცა შვენის პატიოსნებასა შენსა,

ეგრეთ წესიერად პატიოსნად და ჭეროვნად მცდელ იყავ სიამოვნისა და სამსახურისა, მიეცა წელსა 1816 თებერვლის 8.

მეფის გიორგის ძე თეიმურაზ[3]. სანკტ პეტერბურგს.

## № 5

### 1816 წლის ივნისის წერილი მეფის ძის დავითისა იონა ხელაშვილისადმი

მამაო იოანე!

წმიდას მარჯვენეს გემთხუევი, ჩემი ძმა ილია ბატონიშვილი[1] გევედრება ბარათი უბოძო აქ ზიარებისა დიდ ხუთშაბათსა, მანდ ვერ გამოვა, და ბერძნის მღუდელი გამოგვიგზავნე.

მეფის ძე დავით[2].

## № 6

### 1816 წლის ივნისის წერილი დავით ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო ღირსებავ მამაო იოანე!

წმიდას მარჯუენეს გიამბორებ. მიტრაპოლიტს[1] წიგნი მივართუ, და ქართლის თათარკად თან მოყოლილად ასულითურთ განვაცხადე. და ვიცი თქუენ გკითხავსთ მიტროპოლიტი, და ჩემი თან მოყოლილობა მოახსენეთ. ეგების ნათელ-ვჰსცეთ მოსანათლავთა ამათ.

თქუენი მწყემსობის მოსურნე მეფის ძე დავით[2].

## № 7

### 1816 წლის 11 ივნისის წერილი წმ. სამების ალექსანდრე ნევსკის ლავრის რიზნიჩი იერომონახ იზრაილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქუენო მაღალღირსებავ უეპატიოსნესო იერომონახობასა შინა მამაო იონა!

მიღებისამებრ ცნობისა ამის დაუყონებლივ გთხოვ გამოჰსცხა-

დღეთ ყოვლად უსამღუდელოესის მიტრაპოლიტისადმი[1], მას აქუს თქუჱნდამი რაჲცაღა საქმე.

თქუჱნის მაღალღირსებისა მორჩილი მოსამსახურე
წმიდის სამებისა ალექსანდრე ნევსკის ლავრის
რიზნიჩი იერომონახი იზრაილ[2].
1816-სა წელსა ივნისის 11-სა დღესა.

## № 8

### 1816 წლის 12 ივლისის წერილი ივანე ტიხომიროვისა იონა ხელაშვილისადმი

უუპატივცემულესო იერომონახო მამაო იონა!

ნებისამებრ მაღალ ყოვლად უსამღუდელოესის მიტრაპოლიტისა[1] გეუწყების თქუჱნ, რათა თქუჱნ გამოსცხადდეთ რიცხუსა ამას მწუხრისასა პოსიდნის კანტორას შინა მისის ყოვლად უსამღუდელოესის ჩაბარებისათჳს წარმოგზავნილის ქაღალდებისა მისის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითისაგან გიორგისასა უწყებითად შეერთებისათჳს თათრისა ასულისა, წარმოსრულისა საქართუჱლოდამ, მართლმადიდებლის სარწმუნოებასა შინა.

თქვენი მორჩილი მოსამსახურე ივან ტიხომიროვ[2].
1816-სა წელსა ივლისის 12-სა რიცხუსა.

## № 9

### 1817 წლის 8 აგვისტოს წერილი საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი

პატიოსანო ღირსო მამაო იერომონახო!

დღეიდამ იწყევით ჩუჱნს ეკკლესიაში ყოველს მოხსენებაზედ და წმიდას მსხუჱრპლის გამოსუჱნებაზედ მოხსენება ესრეთ: პირ-

ტჳლად დიდებული ხელმწიფე და მათნი ფამილიანი ჩუჳლებისამებრ მოიხსენე, ვითარცა აქამომდე იხსენებ წესისამებრ და დაუკლებელად.

შემდგომად ამისსა სამეფოსა სახლისა წევრნი ესრეთ მოგვიხსენე. პირველად: უკეთილმსახურესი და უმაღლესი სრულიად საქართუჳლოსა დედოფალი მარიამ[1] მოიხსენოს უფალმან...
მეორედ: კეთილმორწმუნენი და ქრისტეს მოყუარენი საქართუჳლოს მეფის ძენი, სძალნი, ასულნი და ძის ძენი მათნი მოიხსენოს უფალმან[2]...
მესამედ: კეთილმორწმუნე საქართუჳლოს მეფის ძე თეიმურაზ და მეუღლე მისი მეფის სძალი ელენა[3] მოიხსენოს უფალმან.
განზრახუასა შინა ჩემსა ესრეთ ჯერ მიჩნია, რათა დღევანდელს დღესასწაულზედ იწყოთ ბატონის დედის ჩემის მარიამ დედოფლის მოხსენება, და დღეის იქით დაუკლებელად ყოველს ადგილს სადაც წესია მოხსენებისა, პირველად მარიამ დედოფალი დედა ჩუჳნი მოიხსენოთ მარადის და მერე საქართუჳლოთ მეფეთ ძენი, სძალნი, ასულნი და ძის ძენი.

ვგები მარადის უმდაბლესსა შინა პატივისცემასა თქუჳნდამო

საქართუჳლოს მეფის ძე თეიმურაზ[4].
წელსა 1817
აგვისტოს 8
სანკტპეტერბურღს.

არ დაგავიწყდეს შენს მადლსა და ესრეთ აღასრულე და ჟამისამებრ ვისაც შეხუდებოდეს და აწირვინებდე ხოლმე მაგ საყდარში ამათაც ასევე გამოუცხადებდეთ მოხსენებას...

დღესაც მათის უგანათლებულესობის მეფის ძის დავითისათვის მწირე და ამის შემდგომად ღმერთმან მშვიდობით მიეწევნის წლამდის ასე განაწესე. კვირაში ოთხჯერ წირუა. სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათს და კვირას, კოლიოვა ყოველთვის გექნებათ. ზედაშე და სეფისკვერი, და ორმეოცის წირვისას და ამ სამარხილამ ავილებთ და სრულიად მიითუალავთ საწირავეჩს.

უმდაბლესად საქართუჳლოს მეფის ძე თეიმურაზ.

## № 10

### (1817 წ. აგვისტოს) წერილი იონა ხელაშვილისა სვიმონ ტაბიძისადმი

კეთილმსახურო სულიერო ძეო ჩემო სვიმონ გიორგის ძეო უფალო ტაბიძე!!

მეფე ირაკლის ძის მირიანისაგან მობოძებულნი მიცვალებულთა სახელები — იმპერატორთა და იმპერატრიცათა, და მეფეთა და დედოფალთა, და ძეთა და ასულთა და ასულთა მათთა — პირუტლად დაწერე, პირუტლ მოხსენებად ცხებულთა შესვენებულთა და სქესთან მათთა, ერთბაშად ნეტარ სახსოვართა, მონათა და მჴევალთა მათ ქრისტეს მოყვარეთა, — შთასწერე მოსახსენებელსა წიგნში, რათა ვიხსენებდე, ვიდრემდის ვარ სოფელსა შინა. ვინ უწყის, შემდგომ განსვლისა ჩემისა ქრისტეს მიერ სიყვარულითა მიცვალებულთა შემყვარებელთაცა მოიხსენონ წმინდათა მამათა, რომელნი მოქენეობდენ თავთა თვსთა მოხსენებასა შემდგომთა თვსთაგან, ღმრთის მოშიშთა მიერ, ვიდრემდის მოვიდეს ქრისტე უფალი მომხსენებელთა და მოხსენებულთა მიცემა სასყიდელთა სასუფეველსა შინა ცათასა.

შენი მლოცველი იონა მ. მ. მ.

## № 11

### 1820 წლის 25 მარტის წერილი არქიეპისკოპოსი დოსითეოსისა[1] იოანა ხელაშვილისადმი

ყოვლად უპატიოსნესო მამაო, იონავ!

უფლისა მიერ ლოცვით და სიყვარულით მოგიკითხავ, და თქუენს უვნებლობას მის მიერვე მოვიითხოვ. მამაო თუმცა ხშირის წერილითა არ მაიმედოვნებთ ჩემს ხსოვასა, მაგრამ ამასვე ვსასოებ, რომ დაუვიწყებელ ვიყო, თქუენს წმიდას ლოცვაშია. და ამასთანავე ესეც ვიცი, რომ ჩემს თხოვას ადგილი აქუს თქუენს ღირსებასთანა, თუმცაღა არა რომელითამე მსახურებითა მიერ ვალდებულ ხართ ჩემ მიერ. მაგრამ მაინც ვსასოებ, რომელ ჟამსა კეთილთა საქმეთასა დაწყებისასა არ დამიტევებთ მე უშემწოდ.

ჟამსა უკანასკნელ საქართუელოსა შინა მყოფობისა ჩემისასა, დაწყებულ იქმნა განახლებაჲ, ყოვლად დიდებულისა წმიდისა ალავერდის სობორისა, რომელი გულსმოდგინებითა მუნებურთა ხალხთათა

გარეგან განახლდაცა, და აწ მივიღე ცნობა, რომელ შინაგანიცა მისი სრულიად განახლებულ არს და მე იძულებული გულსმოდგინებისა ჩემისა გამო ვჰსწადენო აქა ქალაქსა შინა მოსკოვისასა დახატვნებასა ზემო ჰჴსენებულისა სობორისთჳს კანკლისასა, რომლისა ოსტატნი მიმხედნი სიმაღლესა და სივრცესა ზედა კანკლის პლანისასა არა უმცირეს, თოთხმეტი ათასისა რუბლისა თანჴა მეძიებნიან. და ადგილს მიტანის ქირა კიდევ სხჳა არის, მე თუმცა მაქჳს განზრახჳა განყიდჳად ყოვლისავე ჩემდა ქონებულისა ნივთისა და სრულყოფად საგნისა ჩემისა, მაგრამ მაინც ვიცი ვერ კმა უყოფ მეშაკთა მის კანკლისათა, და ესე ვითარსა შემთხჳეულებასა შინა მყოფმან მოვსწე მათ, რომელთაცა სახელებსა ამა ქაღალდთან შეადებულის სიით ჰსცნობთ, და ვსთხოვე შემწეობის მოცემა. გთხოვ ვედრებით, რომ მისცეთ ყოველთავე ეს წერილები და განამხნოთ თქჳენებურის რიტორების უხვის სიტყჳაობითა შემწეობის მოცემისადმი და მე ამით საუკუნოდ ვალდებულ მყოფთ. თქჳენ თუთ კარგად უწყით, თუ ვითარი კეთილი არის მსახურება ტაძრისა ღმრთისა და მისდამი სასოებისა ქონება და მე რაღად დაგიმძიმოთ, მრავლის უძლურის სიტყჳებითა. მე თუმცა ყოველთავე სამეფოსა სახლისათა ვჰსთხოვე შემწეობის მოცემა. მაგრამ მაგათის უგანათლებულესობას მეფის ძეს ფარნაოზს[2], და მეფის სძალს ანნას[3] ვერ გაუბედე, ამისათჳს რომ ჩემის უბედურებით, რომელთა მე შემთხჳეულებათაგან მაგათის მწუხარების ჟამს წერილი ვერ ვაახელ ჩემის მწუხარების თანა ზიარება ვერ მოვახსენე.

შემდგომად გთხოვ ვედრებით, რომ ამ კეთილს საქმეში შესრულმან რაც ინებონ უმაღლესთა და უგანათლებულესთა. საჩქაროდ მომწერეთ, რადგანაც დრო აღარ ითმენს და რომელნიც შემწეობას ეგენი ინებებენ, ისეთი დაწყება უნდა მივჰსცე. ღმერთმან აღღეგრძელოს მარიამ დედუფალი და იმისი შვილები[4]. იმათ თითქმის შეძლებისდაც მეტი შემწეობა მომცეს. ვსასოებ, რომ ამისთანას კეთილის საქმის მონაწილეობას, ეგენიც არ უარჰყოფენ. უკანასკნელ მოუთმენლად მოველი ამ წიგნის პასუხსა და ვთხოვ ვედრებით ამ საქმეში მხურვალედ მონაწილეობასა.

თქჳენის ყოვლად პატივსნის
ღირსების საუკუნოდ სიყუარულის დამცუელი და მარად მლოცველი არხიეპისკოპოსი დოსითეოს.

დედუფალი ანნა[5]. დედუფალი მარიამ[6]. ბატონის შვილი მირიან[7]. ბატონიშვილი იოანე[8], ბაგრატ[9], თეიმურაზ[10], ბატონის სძალი მარიამ[11],

ბატონიშვილი რიფსიმა[2], აი ამათ ყოველთავე წერილი მოვართვი. ახლა შენ იცი ჩემო საყუარელო, როგორც გაირჯები. 1620 წელსა. მარტის 25 სა.

### № 12

### 1820 წლის 20 ივლისის წერილი წმინდა დავით გარეჯელის მონასტრის არქიმანდრიტ ილარიონისა იონა ხელაშვილისადმი.

თქუენო ფრიად პატიოსანო ღირსებავ, იერომონახო მამაო და უფალო იონავ! უპატივცემულესო მამაო!

თქუენ მიერი წარმოგზავნილი ჩემდამო ყოვლად პატივოსანი და მრავალთა კეთილობათა აღსავსე და დატკბრული წერილი მივიღე და მე ესრეთ განმიახლა აღრითგან ხილული ფანტაზიაჲ, ვითარცა პირისპირ ხილული ხატი შენი, რომლისათჳსცა გიმრთმელებ მმადლობასა. უპატივცემულესო მამაო, რომელნიცა კეთილმდგომარეობითნი და ვითარებითნი ამბავნი ძმისწულისა ჩემისა სვიმეონისნი[1] მოგეწერნეს, მე ვრაცხენ ესე თქვენისა ჩემდამო უდიდესისა სიყვარულისა ნიშნად და ძმისწულისა ჩემისა მამობრივად მოწყალეებად, რომლისათჳსცა უმეტესა ძადლობასა მოგართუამ უსაყუარლესო ძმაო: გარნა კუალად გთხოვ, თუმცა თქუენისა კეთილობისა არა დააყენებთ არა ვისდა, გარნა რათა უმეტეს გულად იღებდეთ მაგისთვის კეთილისადმი მიმყუანსა შინა შეწევნასა ადგილთა შინა. უმეტეს ყოველთასა, ჩემნი თხოვანი ესე არიან, რადგან იმედოვნებითა მათის უგანათლებულესის მეფის ძის იოანესითა[2] გაბედეს მშობელთა მაგისთა მაგ პატარასი წარმოგზავნა, და მეცა მსასოებელმან და მინდობილმან მაგათის უგანათლებულესობისამან, აღარ დავუშალე, და იმათგან აღრჩეული საქმე უმეტეს სურვილისა მათისა დაუმტკიცე. და საქმითაცა აღუსრულე და მივანდვე თჳნიერ ღუთისა, მოწყალებასა მაგათისა, ამისთჳს გთხოვ, ყოველ დღე და ყოველ ჟამ, შეავედროთ ყრმა ესე, რომელ მოწყალებითი მფარველობა არა განაშოროს სადიდებელად თჳსსა.

როდესაც თქუენი წერილი მივიღე, იმ ჟამად მონასტერში ვიმყოფებოდი და განმიგრძდა, რომელთათჳსმე საჭიროთა საქმეებთა მიზეზთაგან, და უფრო შენობის მოყუანთა და ამისთჳს დაგიგვიანე, თქუენის წერილის პასუხი, თქუენცა, გეთხოათ ჩემთჳს ძმისწულთა თქუენთა სწავლასა შინა შესვლისა შეწევნა; ამჟამად ვაპირობ ქისიყს. პურის სათხოვნელად წასულას. თვით კეთილმნებებელობით მოწყალე-

ბისა მომცემელთადმი, და მაშინ თქვენს ძმებსაცა ვნახავ უეჭჳჱლად ვაიძულებ კეთილის რჩევით, რომ მანდ მოგართონ თვისნი შვილნი და თუ ესე არა, მაშინ თხოვისამებრ თქვენისა, უმეტესად ვაიძულებ, რომელ სიღნაღის უეზდის სემინარიასა შინა მაშინც მისცენ, და ვჰსთხოვცა სიღნაღის არხიერს, იოანეს და სხჳთაცა მოძღუართა და უჩიტელსა სემინარიისასა, რათა გულს მოიგონებისამებრ თქჳჱნისა წარემართოს, ჩემ მიერ ძმისწულთა თქჳჱნთა, კეთილსა შინა დასასრულსა, და თუ მოწერილობასა თქჳჱნსა, და ნუთუ ჩემ მიერ მოქმედებელსა, რაჲცალა შეუდგება ამასცა თვსსა ჟამსა უცნობელსა არა დაუტევებ თქჳჱნისადმი ღირსებისა, გთხოვ როგორც თქჳჱნნი ვითარებანი, და კეთილ დღეობითნი შემთხჳჱვანი, ეგრეთვე პატარა სვიმეონისნი არა მომაკლოთ მოწყალეო ჴელმწიფევ.

სხჳჱბრ ვეგები მშვიდობისა თქჳ-
ჱნისა მოსურნე და თაყჳანისმცე-
მელი, არხიმანდრიტი ილარიონ[3]
წმინდის დავით გარეჯის მონასტე-
რით.

1820 წელსა
ივლისს 20 დღესა.

№ 18

**1820 წლის 22 ივლისის წერილი არქიეპისკოპოს პაფნოტისა იონა ხელაშვილისადმი**

მამაო და ძმაო იონა, საკუთრად გევედრები, რომ ამ კაცს მამულისა და მეზობლობის სიყვარულისათვს შეეწივნეთ. და რაც ალუთქჳამსთ და გაურიგდით ქრისტეს გულისათვს, რომ წავიდეს, და აქ არ შემოგუაკჳდეს, მადლია და სახელი, თქვენი პატივცემული წიგნიც მივიღე, და რაც გებრძანათ ყოველივე ვსცანი, და ბოსტოყანოვიც[1] შეგებრალებინა, და რა საკვირველია რომ შეეწიო, და შევაბრალო, ერთი ასიოდ თუმანი კი უბოძა, და კიდევაც ღმერთი მოწყალეა, და ვთხოვ მაინდამაც შეწევნა აჩჳჱნო. ჩემი ვედრებაც ეს არის ჩემო საყვარელო ძმაო და უფალო.

1820, ივლისს 22.
შენი ძმა არხიეპისკოპოსი პაფნოტი.

მათს უგანთლებულესობას, მეფის ძეს თეიმურაზს[3], და მეფის სძალს ელენას[4] მდაბლად, სამსახურის სურვილს გაუბედავ. და მაგათს მშვიდობას ღმერთსა ვსთხოვ.

## № 14

### 1820 წლის 22 ივლისის წერილი იოსებ ბოსტოღანოვისა იონა ხელაშვილისადმი

მის პატივოსანს ღირსებას იერო მონახს მამას იონას! მოწყალე ჴელმწიფეს მდაბლად თაყუანისცემას მოვახსენებ და თქვენ მშვიდობას ღმერთსა ვთხოვ. მერე ჩემი სასოება და ნუგეში თქვენ ბრძანდებით, და იმედიც მაქუს, რომ არ დამიტევებთ და არც დავიწყებას მიმცემთ. მუხლდადგმით გევედრები, რომ ამაზე შეწევნა მიჩვენოთ. რომლისაც მოწამეც ბრძანდები და მოძღუარიც. და ილია მეფის ძემ რაც აღმითქუა, ის აღმისრულოს. და აგრეთვე ოქროპირმაც არ დამაგდონ თავიანთ სადღეგრძელოთ და სამლოცველოდ, ვითამც არც ნამსახური ვარ, და არც მაგათთვს მიმსახურია. საქართველოს კაცი ვარ მოხუცებული და ვალის პატრონი და საქმე გაჭირვებული, ჴელ აღმიპყრან და ღმერთი გადაუხდისთ, და ათას წილად შემატებსთ ჩემისთანას გაჭირვებულს რომ ჴელ აღუპყრან დიდი მადლია და სახელი. გევედრებით ამაზედ შემეწიოთ, და უპასუხო არა მყოთ, მაგისი მაყურებელი გახლავარ, თორემ აქამდი წავიდოდი. იოსებ ბოსტოღანოვი.

## № 15

### 1821 წ. 21 ივლისის წერილი გენათელი მიტროპოლიტი ეფთჳმისა იონა ხელაშვილისადმი

სულიერო მამაო, მღუდელ მონოზანო უფალო იონა!

გვებრძანა სოფლად წარსლჳა საარხიმანდრიტო ეპარხიაზედ ჴელმწიფის მობრძანებამდი, ოკდომბრის თვემდე. და შენს უხილავად და შეუნდობლად ნუ დაგვაგდებ, და ესეც გვებრძანოს ჩვენის მოწყალის მეფის ძის თეიმურაზისა სამი წიგნი გუაქვს ნათხოვრად, და აქ მოსლვ-

აწდის გვებოძება თუ არა, ის გვეწრძანოს, ამასა და ნეოგოროდს შუა არისო საარხიმანდრიტოვო და ჩვენ არა რაჲ უწყით.

გენათელ მიტროპოლიტი ეფთვმი.
ლოცვა კურთხევით ამბორს ვი-
ყოფ.
ივლისს კა წელსა ჩყკა
მისი ბეჭედი

**№ 16**

**1821 წლის 16 აგვისტოს წერილი მღვდელი სოლომონ ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.**

მისს ყოვლად პატიოსანს ღირსებას უფალს იერომონახს იონას!
მოწყალე ჴელმწიფეს

თქვენის პატივოსანის ღირსების მარად თაყვანის ცემის მოსურნე წმიდას მარჯვენეს გეამბორებ, და ვჰსთხოვ ღმერთს მშვიდობით სუფევასა თქვენსა.

მამაო. იანვრის [illegible] ვიდრე აქამომდე არა ვარ მიმღები. იქმნების პასუხის დაგვიანებისა გამო აღარ მიბოძეთ თქვენი წერილი, მოიხსენე მამაო, რომელიც თქვენ მიერ ბარათი მებოძა იანვარში, ყოველივე ვჰსცან. და იმის პასუხი მარტში წარმოგიგზავნე, და მაშინც პასუხი არა მებოძარა თქვენ მიერ, იქნება მამაო ამის გამო რომ გზები არის წამხდარი მთაზედაო.

უწყი მამაო თქვენის ძმების ვითარებას მოიხსენებთ, მადლითა მღუთისათა მშვიდობით იმყოფებიან ერთობით. რომელნიცა შესაბამის პატივით თაყვანისცემას მოგახსენებენ, თქვენის ძმისწულების სემინარიაში შესვლა, პირველს სეკდემბერს იქმნება, აქამომდე შეუსვლელობის მიზეზი ეს არის მამაო დიდათ პურის ძვირობა იყო, და არის, ამ ახალ მოსავალში უარესი მოხდა თუ არა ადრინდელს ვინლა იჩივლებს, და ამის გამო დარჩენ აქამომდე შეუსვლელნი სასწავლებელში. მამაო ჩვენს ვითარებას იუწყებთ თქვენის მადლით მშვიდობით გახლავართ, თვნიერ დედის ჩემისა, რომელიცა, ივლისს ით ს გარდაიცვალა ამიერ სოფლით.

კუალად მოიხსენებთ მამაო, თქვენნი ძმანი და სძალნი გევედრებიან. რომ ძმისა თქვენისა გიორგის[1] ვითარება უბრძანოთ, როდას

წარმოგზავნით ჰსურსთ მოსლვაჲ მაგისი, რომელ ამბავითა თქვენთა კეთილითა გვახაროსო.

გთხოვ მამაო, რომ არ დამივიწყო და ზედას ზედა მიბოძებდეთ ქარტასა თქვენსა და კეთილის ამბითა თქჳენითა მამხიარულებდეთ, მამაო ესოდენი სიყვარული თქვენი განეფინა გულსა შინა ჩემსა, რომელ მოუთმენელ მყოფს უსმენელობა ამბისა თქჳენისა.

იოსებ ქემხა კოჩიაშვილი[2] მამიკითხე, და ძმაცა თქჳენი გიორგი. იოსებ თავის სახლობის ვითარებას იუწყებს მშვიდობით იმყოფებიან. სხჳებრ თქვენის პატიოსნის ღირსების მშვიდობისა მოსურნე დავშთები უმდაბლესს სიყვარულსა შინა

მღვდელი სოლომონ ჴელაშვილი[3]
ჩყკა წელსა აგვისტოს იესა.

## № 17

### 1822 წლის 8 იანვრის წერილი გენათელ-მიტროპოლიტ ეფთვიმისა იონა ხელაშვილისადმი

მის ღირსებას, მღჳდელ-მონაზონს მამას იონას, ჩემს სულიერს მამას!

გენათელ-მიტროპოლიტი ეფთვიმი[1] მდაბლად თაყვანისცემას, ლოცჳა კურთხევას და ურთიერთს ამბორს მოგახსენებ.

მერმე თქვენი წიგნი მებოძა, და გინდა თქჳენი ხილვა მღირსებოდა ისრე განვიხარე, მარა მწუხარება დამერთო, თქჳენი მცირე ავად ყოფნა რომ ეწერა. და წმიდა ღვთისმშობელს ცრემლით ვევედრები, რომ განჰკურნოს თქვენი სნეულება, მარა ამას მოგახსენებ, რახანც თჳალის ტკივილი აქვს, და სხჳა სნეულება არ არის, მე ვიცი მისი წამალი, შენი მადლი შემეწია. რამდენი კაცი იმისგან მომერჩინოს, ორი ან სამი ახალი კვერცხი. უნდა განსტეხოს, და თეთრი ცილა გადმოასხათ ღრმა ტალერქაზედ[2], და ერბო კვერცხი რომ გაგიდღვებიათ ტაფა მწვარათ, ისე უნდა ის ახალი კვერცხის მარტო ცილა, ადღვებინოთ დიდ ხანსა, არ უნდა მოეწყინოს დღვება და თუ ერთი დაიღალოს, მეორემან დღვებოს. ის ახალი კვერცხის ცილა, მარტო რომ ყვითელი გული არ გაურიოთ. თვარემ წაახდენს, ორი ანუ სამი კვერცხის მარტო ცილა, ამდენი უნდა დღვებოს ერბოს კარაქივით შედგება, და ის ბამბაზედ უნდა დაასხა. და ღამე თჳალზედ უნდა დაიდვათ. ის მეტად გრილი არის, და სიმხურვალეს გამოიტანს, და ტკბილს ძილს მის-

ცემს, ორჯელ და სამჯერ რომ დაიდუას, უუთოოდ მოარჩენს. მოგეხსენება კვერცხის ცილა არა თუ რას აწყენს, თუ არ მოუხდება ბატონო. წელთა ჩყკბ-სა იანვრის ჱ-სა.

ბეჭედი.

## № 18

### 1822 წლის 12 მარტის წერილი იერუსალიმელი ბერი იოსტოსი[1] იონა ხელაშვილისადმი.

თქუჱნო პატიოსანო ღირსებავ, იერომონახო,
უფალო და უფალ იონა! ახლიჩენილო რეკტორო!

წმიდა წმიდათა წმიდას მემსხუჱრპლეს მარჯვენეს ამბორს გიყოფ, და ადრე ვისურვებ პირისპირ ხილვასა თქუჱნსა, უკეთუ ჴორცით შორს ვართ, ხოლო სულითა ახლოსვე ვართ. და ესეცა უწყი თქვენის კეთილის გულისაგან, ჩემს ვითარებას იუწყებთ. გახლავარ ორთა არხიერთა შორის, მოსკოვი რა დასაყუდებელია მერე ჩემთვის. მაგრამ გზა არა კეთილი შეიქმნა, ვგონებ რომ ცხოველს კვირამდინ აქ დავრჩე, უდაბნოდ წიგნი მომივიდა, და ასე მწერენ. შე ცოფო ბერო ქალაქებში რაღ რონინებო, და კაპილონთა[2] განსცხრებიო. შენი ეკკლესია ცრემლის, მალე შეეშველე, თორემ საჭიროდ გაგიხდების. ეს ჴმა დიად ჩემი შეუწუხებელი არს, იერუსალიმსაც რომ შემეტყო, იქიდამაც გამომიყუანდა ეს არა კეთილი ჴმა. თორემ მოსკოვს რა საქმე მიძს, მარამ ცალიერი რომ მივიდე. ჴელს ხომ ვერ დავაფარებ ღირფნი[3] უნდა ძმანი ჭირთა შინა სახმარ არიან, შეეწიე უფონოებასა ჩემსა და აღძარ შენი რიტორი ენა, რამეთუ სულის ქორწინება არს ჟამი ესე აქორწინენ მოწაფენი შენნი ესე იგი სულიერითა ქორწინებითა გვირგვინ ქმნილნი, და უგვირგვინო, რათა მიემთხვივნენ ზეცისა იერუსალიმსა, თვით დოფინის ქუა დააფარონ, რათა დედა ღვთისა შემწე და მეოხ ეყოსთ წინა ძისა თჳსისა, და დაითარნეს ცთომანიცა მათნი, ზეცათა შინა საყდართა გჳრგვინოსან იქმნენ, ამინ.

გთხოვთ რომ თქვენის კეთილის ამბით მახაროთ და ვინც გვირგვინოსან იქმნას, ისიც მომწეროთ ჩემო ბატონო.

თქუჱნი ღირსების მარად მსასოებელი იერუსალიმელი მდაბალი ბერი იოსტოს მოგახსენებ მდაბლად.

წელსა ჩყკბ, მარტის იბ.

## № 10

### 1922 წლის 2 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა დავით რეკტორისადმი

მაღალ კეთილშობილს უფალს ალექსი ძეს დავით რეკტორს[1] რაბბი[2] მოსწავლეთ მოძღუარს აბბა[3] მამას წვრთილთა ძეთა ზედა ქრისტეს ღვთისა მიერ სალმრთო ლოცვით მოკითხვერს ამბორებას მოგართვამ.

მყოფსა მარსსა ღვთაებასა ხატ სახისა მმბადსა, რომლისა მიერ ყოველნი იძერისნი[4] ცხოვრებულ არიან, ჯანსა მას დამწყებსა ნათლიერთა პირთა და ბუნებათა რომლისაგან ყოფადნი ყოფილ არიან და იგი უფსკრული არს სიღრმე უნერჩო[5] ხილულთა ყოველთა და განუჰვრეტელთა და სივრცე ყოვლად ყოველთა შინა და შორის და სიმაღლე ყოველთა თანა უსაზღურო და შემდგომთა თვსთა მეორეთა არა რაჲ მმბადველ, დამცველ, დამსჯელ წჳლილთა და დიდთა სირათა[6] და სქესთა[7] მათთა მაწარმოებელი რომელთამე ესრეთ და სხვათა ეგრეთ. დამცველი არსთა არსებათა რომელთამე ბუნებითად და ვითარცა ზესთა ბუნებისა. აჰა, ვითა არს საკვირველ სახელი მისი ეგრეთუჱ საკვირველ უყოფეს ჴელნი თვსი, ვიდრე სულისა და ჴორცთა გულადმდე და თირკმელთადმდე თქუჱნისა წელსა 1822, თთუჱსა მარიელისასა და ჴელთ უდევს მოძრაობა თქუჱნი საქმედ თვსისა ყოფად ე. ი. სიყუარულისა, რომელ არს თვთ თავით თვსით, რომლითა მეორე სიყუარულ ბადებს. ე. ი. მადლით ღმერთთა ამ უკუჱ შენ ღმერთო, კაცო ღვთისაო არა თუ მონაო, არამედ ძეო ღმერთ მამისაო და ძმაო ღმერთ ძისაო და ტაძარო ღმერთ სულისაო კნინღა დასაკმეველ ჰყავთ სული ჩემი და ჴორცნი სანთელ დღისა მის წმიდისა, რომლისა შინა კაბადონი თქვენნი მომებოძა აღნაქვსი სუფევისა საწერელითა და აღმკული ზენა იეროსალიმისა მესამე ცისა მადლითა და დატკფრული აღმოსავლურისა საამოებისა რტოაკებითა ესე ჩემდა პიტაკად[5] ფშვის არა ელისეს შროშნისა ყვავილითა, ელლენთა ზღაპრებთა, არამედ ძველის აღთქმისა სჯულისა, რომლითა ილია თეზბიტელმან დროსა აქაბისასა მოაგო გულნი სახლისა იაკობისა განდგომილნი და დაამყნო ზეთის ხესავე ზედა, ვითარცა თვთუჱ სწამებთ ავთრათსა შინა ჩემდამო წარმოცემულსა. აჰა, ფურცელი ესე ქარტა ახლისა აღთქმისა სარწმუნოებასა, სასოებასა და სიყუარულსა ნერგს გულისა ჩემისა ფიქალსა ზედა ჭეშმარიტებასა დარწყავს მხიარულებისა მდინარითა და განავრცებს სისტემისა კავშირსა და მოკიდებად ნათელ მეორე-

ბთამდე. ამად მცემს ფრთეთა. თუმცა ფერითა მელნისათა გარნა შინაგან გაოქროებულითა რომლითა.

აჰა. ესერა ვლამი მოფრენასა, რათამცა გიხილო პირისპირ გრძნობაებითაცა და გეზრახო ესრეთ, ვითა სურინ მეფესა ჩემსა. ამად გიწოდ მამად სიბრძნისად და მოძღურად ტალანტებისად და უფროსღა მზედ არა იმისა, რომელსა ღორიზონტსა დამთხვეულნი ნოტიერნი ორთქლ ღრუბელნი ეანტაკრების და დააბნელებს მერიდიანთა და თანა წარგვიხდების დროსა ანტიპადობისასა. არამედ ესრეთ მზეობს თხზულნი თქვენნი. რომელ ყამიერსა სოფელსა სათუთოდ დადებულ მექმნიბის შინაგან მეფე სულისა ქედსა ზედა შორის ათთა ნაკუეთთა მცნებათა თანა. და მუნ სასუფეველ ე. ი. სიძე სიყვარულად და სძლად და ბეჭდულად და რაჲ ვიკამათო ნოემა ულარესობს, და ნოოტი უზესთაესობს და ჯეკმა საქმე თქუენნი მეტობს და უშვენიერეს პერპერისა არს, ვიგონებ რომელ ესე ვითარისა ენდალმა უმეშმარიტესისათჳს დუმილი უმჯობეს არს ვიდრე ლა ხოტბთა ეპიფანერთა ჩემთა. გარნა სთქუა უტყუელმან გამოეძიებლით წინდთაგან ცხოვრებასა. ამად ვგალობ ახლისა თქუენ მიერ ფსალმუნსა ჩემსა ზედა გარნა ვინ მომცეს მე მეოზნეო და მოსესი, რომელმან იხილა რა ველი მაღალი მყის კბილისა თანა მეწამულისასა უწინარეს. ვიდრე შვიდასი ათასისა სულებისა ხმა ჰყო მეტყუელმან უგალობდით უფალსა რომელ დიდებით დიდებულ არს ღმერთი მამა ჩვენთა და შემოგრომნი და ახალსა შინა ზიმო სიონსა შინა მსხდომარენი. რომელთა ახალი ენა მთვრალ საგონებელ იყო.

აბბა მამაო, უფალო რექტორო, ივერია გიორგიელთა სახლისა მაგის ქართლოსისავ და თუთ შემოვედრებულთაცა იონიანთო. რაჲმე ნაცუალი ქნა და განთიადის [illegible] [illegible], რომლისა ხატება სამებისა არს ჰერმელსა შინა არა კაცისასა, რომელნი იხილა ეზეკიელ, არამედ სულსა შინა გქონანთ მესამე ნათელ ქმნითა, და უფროსღა მსგავსება მეორისა ადამისა, რომელმან მპოვეთ რა მწირი დავიწყებული მამულისაგან, და მომანიჭეთ თეორეტიკა ხედვად, არათუ მხოლოდ მამულისა რომელმან ორგზის მშვა და მესამედცა თქუენ მიერ ვიშევ თელავსა ქალაქსა შინა, არამედ სახე. მომეცით აწცა რომლითა სულისა ჩემისა მოცაქულნი განჴდენ უკანესა. და მიმოვლიან წამსა თუალიბთა უმოსწრაფეს სფეროსა და ატმოსფერაკი მატთა მთიებთა და ზედა უძრავთა ვარსკულავებთაცა აჴდებიან და განვლიან უძრავსა ცასა და ესრეთ მიიტაცებენ სულსა ჩემსა უთქმელსა ცასა ზედა და მუნ ვიხილავ ბუნებისა ჩემისა მესია ცხებულსა და მუნითაგან უკუნვე ვიქცევ შეწირვად მსხუერპლთა რომელ არს ჴორცი და სისხლი რომლისა საშუალობითა ძე მღუდელობს ქუეყანასა

ზედა უმამოდ, და ცათა შინა თვნიერ დედისა. ხოლო მამა გარდმოავლინებს სულსა, რათა ძისად ჰყოს წინა დადგინებულნი. ამა ძლით კაცთა მიენიჭების გვირგვინები ქრისტეს თანა მსუფებელთა, ამავე მიზეზითა შეერთდა ორობა, რომელ დაბადებულთა ქუჱთად ბადებს მორწმუნე სულიერსა სოფელსა, და ესე არა არს საკვირველ ღვთისა აერძ, გარნა ჩუჱნდა საკვიფრ ჯუარი და კორცი. ჯუარი სამოთხედ და სისხლი სიცოცხლედვე ე. ი. ღვთისა მკუართათვს, რომელ რომლითა, რომელიცა მოკუდა მითუჱ ვარხვ ექმნა სიცოცხლედ, ამით ღმერთი დიდებულ არს, დიდებითავე მითვე, რომელი აქუნდა პირუჱლ ამისა, და კაცი გინა განუკუჱთელნი განცოცხლდენ მითუჱ ცხოველობითა, რომელი მიეცა სამ განზრახვითა, ამისათვის სამნივე მუხლნი მოდრეკენ თაყუანისცემად არა შემმატებელნი სამ გალობისა. თუმცა განკვირდებიან უსაბანელონი არა თუ სულითა, არამედ გრძნობაებითა წარმწყმედელნი მსგავსებისა, ამად. ამადრე სარჩლიან მადალსა და არა კადრებენ ზესთა ბუნებითი საქმეთა, რომელსა მიუღებენ სიბრძნესა ტვნიერისა ზრახვითა თვსითა. ამად გამოკუჱბულ არიან მეცნიერებისაგან, რომელ სულსა ბოროტ ჭეხელოვანსა შინა არა შევლის სიბრძნე ზენა, არამედ განევლტის ურწმუნოთაგან, რომელთა არა უვისთ წმიდანი, და არცაღა ფილასოფოს ღუთისმეტყუჱლნი, არამედ იყვანებიან მუცლისა წადილითა და ასოებთა დამღერებითა და უჩნთ ფიზიკურნი გამოცხადებანი სასწაულად, ამადრე უწოდა მოციქულმან ბერწ შესაკრებელად, და ძედ მჭევლისად და ღუარძლად იფქლთა გარემოს დაჯერკულად და ქვშად და მარცხენა თიკნად. რომელთა სიწმიდე კორცთა წადილისა აღსრულება არს და სიმართლე. ნაცულად მცირისა ბოროტისა დიდისა ბოროტისა აღრჩევად არს, რომელ ნაცვლად საღთო წერილისა, კაცისა წიგნაკი აქვსთ და მით ეძიებენ ცნობასა ღვთისასა და სათნოებასა მისსა დ შემოკლებით გაცნობო შენიშვნა ჩემი არა რაჲ უწყის ტალმუდმა და ყურანმან, და ბრახმანმა, და კონფუცია თვნიერ ტვნებთა მღერისა და ყურებთა ქავილისაკიდე და სვრსვლთა კაწვრისა და სიზმარიანისა ზღაპრებისა დედაბრულისა; ესენი ამად მოგახსენე უკეთუ მქლოველობა საჭიროდ ჩემდა განსჭვრიტოდ, მიბრძანეთ მამან შვილსა მონურსა რათამცა ნაბჭევი თქუჱნი პური ჩემდა იქმნას ამიერ და იმიერ.

ქელმწიფეო ჩემო თქვენსა მშვიდობასა შევთხოვ სახიერსა, რათა დანაშთი დღენი თქუჱნნი მიიწიოს ფსალმუნისაებრ სავსებით უმეტეს წინაპართა თქვენთა და თანაშობილებთა ორთავე სქესთასა და იხილოთ სახლისა ქართლოსისა შვილის შვილნი, ვიდრე მეოთხე ბადოშადმდე და იქმნეთ საუკუნოებისა წელიწადებით აღვსილ: რომელ

ჰიბერე სამკაულია სულისა და ნიჭი ზეცისაა და გამზადებული ზენა საუნჯისა და სახე უსუვართი და მაგალით ნინველთი და კვალი ყრმა-თი და კრძალულება ჭაბუკთი და მიმბაძველობა ზროთი და საპეიქრო-ჯოშთი[11] და თანამზრახველ ჭარმაღთი და სიმხნისა მაჩჳენებელ მკე-ცთა და მეამბე მოხუცებულთი და პატივი მომკლოვნებულთი და ერთ-ზამად კითხვა და უწყება ორთავე სქესთი ცხოველი წიგნი.

ეგრეთვე გამიკჳალადეთ თქვენი სიმრავლე ჩემდა დიდ ფრიად საამო უმეტეს ცისკრისა, რომელი სდევნის ღამეთა. ხოლო ჩემს ვითა-რებასა მოიხსენებთ ვმადლობ ღმერთსა გახლავარ ჯღაბასა შინა გართული. გარნა არღა დავსცხრები თქვენდამო ლოცვთა და თუ სა-ხისა სახესა თქვენსა მიბოძებთ, დავკრძალავ ზარდახშიანსა მიჭვრიტ-ნასა შინა.

თქჳენის მაღალ კეთილ შობილე-ბის მლოცველი გლახაკი ბერი იონა მღუდელ მონოზონი დავშ-თები უცმწვერვალესსა სიყვარუ-ლსა შინა თქვენდამი გულითადი-ერი.

**№ 20**

**1922 წლის 14 ივნისის წერილი არხიმანდრიტი გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი.**

მაღალ ღირსო მღუდელ მონოზანო. სულიერო მამაო იონა, კაცო ღჳთისაო, მოწყალე ჴელმწიფევ!

წმიდასა და ნათლით შემოსილს მარჯჳენეს ურთიერთარს ამბო-რებას მოგახსენებთ, აგრეთვე თქჳენს მშვდობით ცხოვრებასა, და ადრე ხილვასა თქვენსა ღვთისა მხსნელსა. და მთავარ მოწამეს წმიდას გიორგისა ვსთხოვ. ჩვენს ამბავს მოიხსენებთ. კურთხეული გენათელი მიტროპოლიტი[1] რომ მიიცუალა, მას აქეთ გულს მწუხარება ამიტყდა. და მეტად მწუხარე გახლავარ. ეს ხომ მოხსენებული გაქჳსთ. კურთხე-ულს ქუთათელს ერთის დღის სავალის მეტი არ გამოუვლია ცოცხალს, სურამს მიიცვალა, მე რომ არ დავსწრებოდი, უზიარებელი დარჩებო-და. რომელიც ღმერთმან შემაძლებინა მოუვარე და ვმსახურე, ახლა ეს კიდევ ჩემს ჴელში აღესრულა, და რაც მაინა ღმერთმან მოცლა არ დამიკლია, ღმერთმან დაუმადლოს მამა არხიმანდრიტს მაკარის[2] და ერთობით ამ წმინდა მამათა, კარგად დამარხეს, ახლა მე აქ მხოლოდ

ვაგდივარ შეწუხებული, ამათი მე არაფერი მეყურება, და ჩემი ამათ არაფერი მოეხსენებათ. რაჟამზე აღვესრულები. არ ვიცი. აღსარების მთქმელი არა მყავს, ეს ყმაწვილი კიდე ნახევარზე უფრო კჳდება, ავათ არის ხოლმე, წყალის მომწვდელი არა მყავს, სხვასა რა გევედრო. ბატონის შვილს თეიმურაზს და ბატონის ძალს ელენეს ჩემს მიერ მდაბლად ლოცვა მოახსენეთ, ყოველთა ერთობით თქვენს მოწაფეთა, იაგორ მაკარიჩი[3]. და მისი მეუღლე ლოცვით მომიკითხე, თქვენ უკეთ იცით მანდაური ამბავი, სადაც ადგილი იყოს შემახვეწეთ. ღჳთის გულისათვს რომ მომეხმაროთ, და მანდ მიმიყვანოთ, და თქვენთვის მალოცოთ. ყოვლის ფერი კარგი არის აქა, მაგრამ ასეთი ავა აქჳს. რომ ჩვენის ქვეყნის კაცი აქ ვერ გასძლებს. მისთანა ცივი ჰაერი აქჳს.

მათს მაღალს ყოვლად უსამღუდელოესობას, და დიდს მეუფეს სერაფიმს, ვედრებას არზა მოერთმევა აქადგან ჩვენი, ეცადეთ და შემეწიეთ, რა წყალობა ყოს გვაცოდინეთ. მათი სიწმიდის თაყჳანისმცემელი მათი მოწაფე, არხიმანდრიტი გრიგოლ, ჩყკბ სა წელსა. ივნისს იდ.

გრიგოლი[4].

გენათელმა თავისი ჯვარი შენ გიანდერძა ძელი, და რომელიც ეკლესიის ხატები გამოჰყვა ის ისევ ეკლესიას მიართო და სხვა თუ რამ დარჩა მახარიკასა[5] აქჳს, თუ რიგიანათ მოიკითხავთ კარგი იქნება, მე მისას არაფერს შევეხები. სხვას გთხოვ, ერთი სათვალე საბრძნო კაცისა მიბოძოთ ბატონო. სათვალე გამიტყდა.

## № 21

### 1822 წლის 15 ივნისის წერილი დავით რექტორისა[1] იონა ხელაშვილისადმი.

მისს ღირსებას იერო მონახს მოწყალეს მამას, იონას!

სანატრელსა მონასა ღვთისასა, დავით რექტორი გლახაკი სულითა, უფლისა მიერ გახარებ, მშვიდობა შენდა სახელითა ქრისტესითა, მიხარის შენ მიერ მონაო ღვთისა იესოსაო. რომელნ აღირჩიენ დაუსრულებელნი სუფევანი და გახვენ სოფლისაგან მადლითა და ძალითა ილიასითა მოქცევად სულნი მამათანი. არა განხვედ სოფლისაგან. არცა მუშაკებისა სასყიდლისა ტრფიალებითა, არცა მონებრისა შიშისა ტრფიალებითა, არამედ მამა ძეებრისა ტრფიალებითა ღვთისათა. რომელნი იქმან ამას უკჳჱ ნათელმეორენი ბრწყინვალებანი. ნეტარ ხარ

შენ მამაო, რომელმან საღმრთოთა ცეცხლითა ცეცხლივე დაშრიტე სოფლისა ამის საწუთოსა და ტრფიალებითა ზეციერი მოიგე. და არა რაჲ სოფლისა ქვეყნიურნი განხრწნადნი ნივთნი შეიყვარეს და შენ მხოლო მეთევზურთა კვალთა შეუდეგ, და პირველ სიკჳდილისა მოჰკალ თავი და დამონენ ჴორცნი სულისა, და სარკე და ხატი დაიცევ შეუ-ბღალველად, შენთა მაკურთხეველთა სამართლად გიწოდეს, სახელი იონა. ვინაითგან საქართველოთა ღელვათაგან, არათუ ნინევად მიიწიე. არამედ წმიდისა რუსიისა ერისადმი, რომელთა ზედა შუბლთა სა-ხელი ღვთისა აღბეჭდილ არს სადა მთანი გარემოს მისსა, და უფალი გარემოს ერისა თჳსისა. ესე უკუე ანგელოსებრი შენ მიერი მოქალა-ქობა მესმის და მიხარის სულითა. ვიცი, არ დამივიწყებ სულითავე გლახაკსა და ჴსენებასა ჰყოფ ჩემ უღირსისათჳს ლოცვათა შინა შენ-თა, უბადრუკებასა შინა ჩემ დაძველებულისათჳს.

გლოცავ მონაო უფლისაო, რათა ჴსენებასა ჰყოფდე ჩემ გლა-ხაკისათჳს, და შენისა მშვიდობისა ეპისტოლითა მახარებდე, ოდესმე მე მამად შენდა და შენად მასწავლელად მღვიძარე ვიყავ. და მადლი ყოვლად წმიდისა სულისა, ყოველთა არსთა ზედა გარდაფენილისა იყავნ შენთანა მდიდრად ამინ.

ესეც ვიცი, რომ თქვენი სულიერი ძე არის მისი უგანათლებულე-სობა, მეფის ძე თეიმურაზ[2] და მეუღლე მისი მეფის ასული ელენა[3] თქვენი სულიერი ასული არს, და მიხარის, ვიცი რომ შენ მიერ კეთი-ლნი ქცეულებანი ანაგებად შექმნებიან.

კეთილშობილი ოდესმე შენი
მასწავლებელი, სულით გლახაკი,
ალექსოვი ალექსის ძე, დავით რე-
კტორი.
ივნისს 15.
წელსა 1822
ქკს ფა
ტფილისა.

№ 22

**1822 წლის 19 ივნისის წერილი გიორგი ავალოვისა[1] იონა ხელაშვილისადმი.**

ღირსო მამაო იონავ!

თქუენი წერილი მივიღე ათშვიდმეტს ამ თთვს რიცხვში, რომე-ლმაც მაცნობა მშვიდობა თქუენი, მე მართლა მძიმედ მშვიდობა მოკლებულსა.

ათექვსმეტსა რიცხვსა მოვედით თქუჱნის ძმითურთ მოსკოვს, ძმა ესე თქვენი მადლით არს ყოვლითურთ მშვიდობით, და მიღებულ მეფის ძის მიხაილის მიერ. მე ვარ ჩუდოვის მონასტერში დოსითეოს[2] რიაზანში წასულა პაფნოტიც პრესნას არის, არავინ მინახავს აქ მცნობნი, რადგანაც მართლა ავათ გახლავარ, თუმცა არა წოლით, მაგრამ გარეთ ჯასულის ღონე მოკლებული მაქუს. მომიტევე მამა შვილობას ამ გუარად წარამარა წერილის მოწერა. მერწმუნეთ დიდის შრომით ვსწერ.

თქვენის ღირსების მორჩილი სულიერი
შვილი გიორგი ავალოვი
1822 წ.
ივნისის ით
მოსკოვით

## № 23

**1822 წლის 25 ივლისის წერილი არხიმანდრიტი გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი.**

მათს მაღლ ღირსებას, მღუდელ-მონოზონს მამა იონას უმოწყალეს ჴელმწიფეს და მოძღუარს!

მდაბლად თაყუანისცემას და ურთიერთარს ამბორებას მოვახსენებთ და მათის მშვიდობით სუფევასა და ადრე ხილვასა ღმერთსა ვთხოვ მარადის, მამაო სულიერო თუ ჩვენს ვითარებას მოიხსენებთ, ამ ჟამად ღვთისა და თქვენის მადლით სული გვიდგა.

ღმერთმან აღიღოს ანნა დედუფალი[1] ნუკეში ებრძანა. ცოტა ღვინო და ოტკა ებოძა. ამით ცოტა სული მოვიბრუნეთ, თუ არა ფული აღარა გვქონდა ამისთვის რომელ ამ ივლისის პირველს თვეზედ უნდა მოეცათ, და არ მოუციათ როჭიკი. ამას წინათ წიგნი მოგართვით ფოშტით, ივლისის იჱ, რაც იმაში სწერია ყოველივე ისრე არის ჭეშმარიტი, რაც რამ არის განსუჱნებულისა დანაშთენი.

მამაო სულიერო თქვენის მშვიდობის ამბით გვახარებდეთ და მათს უგანათლებულესობას ჩვენს მოწყალესა და ნუკეშს, მეფის ძეს თეიმურაზს შევაბრალებდეთ, და სხვათაცა ღვთისმოყვარეთა, რათა არა დავშთეთ უნუგეშოდ აქ ბატონო.

მათი სიწმიდის თაყვანისმცემელი
არხიმანდრიტი გრიგოლი[2].
ჩყკბ წელს, ივლისის, კე სა

მათი სულიერი შვილი, კეთილშობილი აბულაძე იოანე[3].

მამაო ამ წიგნის წამომღები ორი ძმა ბერები არიან, თუ მანდ გიახლენენ თქვენ თანა პატივი ეცით დიახ კეთილი სულნი არიან.

მამაო ეგება მახარიკა გიახლოსთ. და წიგნი გთხოვოსთ, რომელიც ამას წინათ ნოგართვით, აღსრებად მოგახსენებთ. ის წიგნი იმას არ უჩვენოთ უარი უბრძანეთ ცოტა აქ რაღაებიც ქვემთკველობა[4] იხმარა, და ბე რას უბრძანებთ ბაეოხო.

## № 24

### (1822 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ გრიგორისადმი[1]

თქუჱნო მაღალ ღირსებავ მამაო წმიდაო არხიმანდრიტო გრიგორი!

ქრისტეს ღვთისა მიერ ამბორებასა მომრთმევლობ თქუჱნდამო. აჰა, ესერა თქუჱნი ავთრათი ქარტა დატუფრული მივიღე ივლისის 4 დაწერილი, თთუჱსა ამას აგვისტოს 10, რომელი მიცხადებს თქუჱნსა სიმრთელით მისვლასა მანდარე სამხოლოესა შინა. განვმხიარულდი სულითა, ვმადლობელი მაღლისა მამისა, რომელი ყოველსავე კეთილად განაგებს ჩუჱნისა ცხოვრებისათვს შერისხვთა და შეწყალებითა, რომლისა საყდარნი არიან გულნი შემუსვრილნი და სულნი მდაბალნი მოთმინებითა.

კვლავად მაუწყებთ. რომელ მაღალ ღირსმან არხიმანდრიტმან უფალმან ათანასემ[2] უუკეთილესად მოწლედ[3] მიმიღოო ესეცა ჩემდამიხაროდენ არს ზემოთა თანა, რომლისათვს დაიატაკებითა თაყვანს ვსცემ იესო მაცხოვარსა, რომელმან ქრისტე ცხებულებითა თვსითა განყო ნიჭები რომელ არს მადლნი. სიტყუამან მხოლომან გონებისაგან ყობილმან, რომელმან აღავსო ცაი და ქუჱყანა ახლისა ღაღადებითა ღვთაებისა მიმართ. და უახლესისა საქმეებითა, რომელთა ამაოება ვერ მიახლების, ამად რაოდენნიცა კეთილნი იხილონ თუალთა შენთა ზეძოხსენებულისა მაღალ ღირსისაგან ყოველნივე სათნოდ ღვთისად შეურაცხე. და იქმენით სამარადისოდ ზედართვთ მადლობელი მისა რომლისაგან მიიღე არსება. და რომლისა მიერ განახლდი. და რომლისა შორის ცხოველობ და შესძინეთ ლოცუათა ზედა ვედრება. და ვედრებათა ზედა შეთხოვნა ღვთისა ცხოველ მაარსისა მიმართ თავისა თვსისა თვს და მონარხისა განძლიერებისათვს სიმართლითა და სიმრთელით. რომელ იგი არს რქა ეკკლესიისა ზეგარდამო ცხებული უფლისა, რომლისა გული ხელსა შინა ღვთისასა არს და მის მიერ არსებობს. მოძრაობს და მოქმედებს. და მოგანიჭებს ყოვლმერთი სავართ ძალთა ყო-

ყველთა უფალი ხელითა ცხებულისა თჳსისათა ორთა გამოჴსნასა თანა შესაშესაცა გამოსსრვასა. და მიგაქცევს აკლდამასა შინა, სადაცა გსურს დაძინება ხრწნილებისა უხრწნელება უკეთუ ენებოს ღმერთსა და ცხებულა თჳსსა შთაუთხრას.

ეჰრეთჳ ძალალ ღირსისა მაგისთჳს განაწრავლენ ვედრნი და მოქენეობა წინაშე ღვთისა. განფინენ სულთქმითი ცრემლნი მეორე საბანელნი, რათამცა სიონით და სინაით მოუვლინოს ახალ-ახალნი ძალნი და შეწევნანი და პირი და სიბრძნე შენ ზედა წყალობად. და შეიწყალოს ძჳცოვანება შენი, და გიღვაწოს ვიდრე მიხრწნეულებადღდე და გექმნას თანა ღმობილ უფროს მამა მაკარისა არხ. სურ. და სცუალოს ნაღუწლი შენი გოლად და კეეშანი შენი არედ, და გრძნობანი შენი შროშნად. და სული შენი უმტკიცეს ანდამატისა, და გუამი შენი უმაგრეს გვრდემლისა და მიგიქციოს ცხოვრება შენი უახლეს ორბისა, რომელსა შინა სთქუათ გაკურთხებ შენ მადლით მამაო სახიერო. რომელმან შემეცნე ესე ვითარსა გაიოზ წმიდასა და უფროსდა ფილიმონის შემსგავსებულსა, რომლისაგან საპივი ესე აღმისუბუქე. და მყავ მოლხინე სულითა, მეცინ უფალო უფლისამიერ. ამას ღღესი მზისა და მთოვარისა. სიმართლითა და სიმრთელითა და წინასწარმეტყუელება ჩემისა ბრძმედიდამ გამოჴურვებისა და მადლი და სუნნელება ჩემისა [წაშლილია] წ. მოციქულთა ჩემდამო და მეურნეობა ღირსთა წმიდათი, და მნეობა მღუდელთ მოძღვართი და საჴე საღთოა, რომლითა მავლინოს მე. და წარმართენ პიდალიო ჩემი დუბესა ამას ცხოვრებისასა დასთქუ წინაშე ღვთისა აბრაამმან არა მიცნა მე. და არცალა ახალ ისრაილად შემისწავლა მე. არამედ შენ მხოლომან მადლით მამამან არა დამიტევე მსგავსად მშობელთა ჩემთა, არამედ მიშბალებ, მცავ და მიძღვი. ესე არს დიდება შენი, და თაყვანის ცემა ჩემი პეპრ შეეიყვარო შენ. და არცალა მონებრ ეწრჭნეულებდე. აჰა, უბეერეულეს მშვენისა ჩემისა განვიმრავლო სიყვარული შენი სულსა შინა ჩემსა და დავნერგო გულსა შინა ჩემსა ხე იგი ახლისა ცხოვრებისა. რომელი ბეჭ საშუალთასა იტკრთა მხოლოდ შობილმან. და არქუ შემოქმედსა ესერა ცხოველობა განმიახლე რაღა მაკლს მე.

მოიხსენენთ ზემო ყოველთა თანა ჩემ მკდოვანისა აჰა, ერთჯმად ჭუხს ფილოსოფია მსახური ღვთისმეტყველებისა და უფროსდა ძუწლი და ახალი აღთქმანი. ე. ი. წარმართნი მიახლოვდენ პირუტყვთა და მსგავს მათდა არიან. ხოლო ქრისტიანენი ზე აღსავლობითა უახლოვლებით ღმერთისა. და მადლით მსგავს ღვთის ვართ. და მესამე უელ წმიდა ანგელოსთა თანა, გარნა მონასტერთა მემხილოვნი ფემე-

ტეს სხუათასა არიან ვითარცა უწყით დიდ ფრიადისა აღთქმაებითა წინაშე ცისა და ქუეყანისა. რომელნი ერევიან სამთა დიდთა მტერთა ე. ი. ჴორცთა თჳსთა, ეშმაკთა და სოფელსა. ამად თანა გუაძს უბეგრეულესი ვედრება თავთა თჳსთა თჳს. და მონარხისათჳს, და ერისათჳს, რომელნი გვზრდიან ჴორციელად. და სულიერადცა. ეკკლესიურისა მშვიდობითა, და სამჴედროთა მჴმილაობითა[4] ამისათჳს უწინარეს დარეკისათანა გვაძს შესვლა საღთო საკრებულოსა შინა პოვნად მას შინა საძოვრისა და უკანასკნელ ყოველთასა გამოსვლა მუნით ზეგონებითა და მდუმარეობა კელიას შინა მსოფლიო განზრახვასა ყოველთა თანა სიმდაბლე და ამბორება და სიყვარულისა ჩუენება, მორჩილება მეურნისა და ძმათი დიდ სულობა მოთმინებითა, რომელ ღმერთი მშვიდობისა არს და წ. სახარება აღმშენებელ მოთმინებასა ზედა ღმერთი მშვიდობისა იყავნ სულისა შენისათანა.

თქუენი მაღალ ღირსების მლოცუელი მკდოვანი იონა მ. მ. მ.
ვგიე უუმწვერვალესსა სიყვარულსა შინა თქუენდამო

შევთხოვ თქუენს მშჳდობას ორ კერძოვე შინაგანისა კაცისასა და გარეგანსა მიბრძანებდეთ ფრიად მახარებთ მაგითარე ოთხთავე მარხვებში და ხსნილებშიაცა უჩუენე თავი შენი მკურნალსა ღვთის მოშიშებით გამოკურვებულსა და შენდობა იყავნ გამო ჩუენოსა ძლიო განგრძობა ესოდენნი წინა უკმონი.

№ 25

### 1822 წლის აგვისტოს წერილი საქართველოს მეფის გიორგის ძეთა იონა ხელაშვილისადმი.

ჩვენ, ქუემორე ამა წერილისა ხელისა მომწერნი საქართუელოს მეფის გიორგის ძენი გაძლევთ მოწმობასა ამას შენ პატიოსანსა ღირსსა მამასა იერომონახსა იონას ესერეთ, რომელ აღსრულებასა ზედა სანატრელად სახსენებელისა ძმისა ჩუენისა საქართუელოს მემკვდრის დავითისა, ხოლო ფრიად დაჰშვერ სამღუდელოთა მმსახურებითა დაფლვადმდე, დაფლვასა შინა და შემდგომად დაფლვისა წელიწადიცა მთელი უწირე პანაშვიდითა და ამა სამაგალითოსა ძლით ღუწისა შენისა დაგიხიშნეთ საპოძვრად ერთგზის ხუთასი რუბლი ასიგნაცია კურთხეულისა მის დაშთენილისა კაპიტლიდგან უნდა მოეცეს, ამასთანავე ვალად გდებთ რათა წელიწადსა შინა სამგზის ეწირვიდე: შობისა, სახე-

ლისწოდებისა და ალსრულებისა დღესა. პანაშვიდითურთ: დაიწერა წე-
რილი ესე წელსა 1822 აგვისტოს. მეფის ძე იოანე, მეფის ძე ბაგრატ·
მეფის ძე თეიმურაზ, მეფის ძე ილია.

## № 26

### 1822 წლის 3 სექტემბრის წერილი ნიკოლოზ მიხეილოვისა იონა ხელაშვილისადმი.

უსაყუარლესო მამაო, ძმაო და მეგობარო, ყოვლად ღირსო
იერომონახო იონა! მოწყალეო ჴელმწიფევ!

თქჳენი წიგნი თაფლისა უტკბილესი. და დამატკბობელი სასმე-
ნელთა ჩემთა მივიღე, ამ თჳს, 2 სა რომლისათჳსცა გმადლობ, და სა-
ყჳარელს საუფლოს მარჯჳენეს გეამბორები, რაც სივრცე ჰაზრთა მო-
გევალებინათ ყოველივე ექსარხმან[1] სიხარულით მიიღო, რომლისაცა
უკლებელსა გარემოებასა, უგანათლებულესისა წიგნითა ჰსცნობთ. ვა-
სილ მათეიჩმა[2] დიდი მადლობა მოგახსენათ მოკითხვასა და დაუვიწყე-
ბლობა გთხოვათ, რომელსა თანაცა გთხოვთ არ დამივიწყოთ.

თქვენთან შეკრული
თქვენი ნიკოლაოზ მიხეილოვი[3]
მამაო წმიდაო, უფალო.
1822 სა წელსა,
სეკდემბრის, 3 სა რიცხუსა

## № 27

### 1823 წლის 8 მარტის წერილი ალექსანდრე[1] და დიმიტრი[2] ბაგრატიონებისა იონა ხელაშვილისადმი

თქჳენო ყოვლად ღირსებავ: მამაო და მოძღჳარო უფალო იონავ!

გითხოვთ უმდაბლესად, ზეგისათვის თუ ღმერთი შეგვეწია, წმი-
დის საიდუმლოს მიღება, დიდად გვსურს, და ამისათვის ვითხოვთ, რომ
ხჳალე აქ გამობრძანდეთ. და აღსარება გვათქმევინოთ, ჩვენ გვინდოდა
მანდ თქვენთან ხლება, მაგრამ, რადგან აქავე არის ეკლესია და აქ
დავიირებით, და ვემზადებით, აქავე ინებოთ აღსარების თქმევინება,

გარდა ჩვენსა სხუანნი თქუჱნი მოწაფენიც ყველანი ვინც აქ გახლავან ესენიცა გთხოვენ მამაო.

სხუჱბრ დავშთებით მსახურებასა
შინა თქუჱნის ღირსებისასა მო-
სურნენი, ბაგრატიონნი.
ალექსანდრე და დიმიტრი
1823 წ
მარტის 8 სა.

## № 28

### 1823 წლის 19 ივლისის წერილი მეფის ძე თეიმურაზისა[1]. იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო სულიერო მამაო იონავ!

საზრდელი ჴორცთა არიან ნივთნი ზრქელნი და მიწიერნი. ხოლო საზრდელი სულისა სიტყუანი კეთილნი და თაფლ ზავებულნი, რომელნიცა აღაორძინებენ და ზრდიან სულსა, მსგავსადმე ქარტაჲ წერილისა შენისა გრძნობამან სულისა ჩემისამან მიიღო. თუმცაღა კეთილნი და თაფლ ზავებულნი მათნ სხუათ შუჱნიერ მოუბნარობათა. ოდესცა შეუდგებოდეს მას კანონი სიმართლისა, გარნა საღმრთოჲ ხუცარნი სიტყუათანი მატნ ყოვლითავე. და ესე უკეთილეს არს და უკოლიერეს ყოვლისა სიტკბოებისა მტრფობი გონება ზესთა მის უმიჯნურესა და ყოვლად სარკეზე, გონებისა აზღდევებს შორის თჳსსა წროფელსა სიფართესა საქმეთასა და დაუშრომელობასა სივრცესა ზედა გონიერებისასა დანერგვითა სათნოებათათა ე. ი. მარადის კეთილისა მესურნეობასა, ლეწვასა, განღვიძებასა და მეძიებლობასა სიბრძნისასა, რომელიცა სოფლისა ამის სიბრძნესა სიცოფედ გამომაჩინებელ არს შედგომილი ამისი დღითი დღე მატ ნაყოფსა შრომათასა და საუნჯესა იუნჯეთ წარუპარუჱსა. რომლისაცა ნაწილსა ღირსგვყოსცა უფალმან ყოველნი მოსავნი მისნი. შენ ხოლო ჩემკერძ მარადის მადრიელ ვარ მამაო შენი, ვინაიდგან შრომითა ღამე და დღე არა დასცხრები სათნოდ ღუთისა და ღუაწლნი შენნი ფრიად საიმედო არიან სარგებლობისა მიცემად ძეთა მამულისა ჩუჱნისათა და იყავ მშვიდობითა სულისათა და ზოგადად მარადის.

1823 წელსა ივლისის 19.
უმდაბლესად და უხაკუთრესად,
მოწაფე შენი მეფის ძე თეიმურაზ.

## № 29

**(1823 წ.) წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი.**

მამაო იონავ!

ამ მომავლის მსგემსის დღეებისათვის, საკუთრად ჩემთვის ერთი ნაწილი ამოიღე და ხჳალ საწირავიც მოგერთმევა და ხჳალე გაუწყებ რომელსაც დღეს ჰსწირავ და მეც შენთან მოვისმენ.

მდაბლად მეფის ძე თეიმურაზ.

## № 30

**1823 წლის 12 სექტემბრის წერილი მღვდელ დავით ხატიევისა დეპუტატისა იონა ხელაშვილისადმი.**

ყოვლად პატიოსანო და ღირსო მამაო უფალო მღუდელ მონოზანო იონავ, მოწყალეო ჴელმწიფევ!

მრჩობლ ნათლის მფენთა შემოსილთა უბრალოებისა ნიჭათა და ალპყრობილთა ზეცათა ღვთისა და მამისადმი, ჴელთა წმიდათა, სურვილისა გულითა ამტრფობი თქჳჱნდამი ამბორსა კადნიერ ვარ...

ყოვლად ღირსო და პატიოსანო მამაო, შენა რაბამნი სურვილისა ჩემისანი თქვენდამი ვინა შომცეს მე სიტყუანი, რომლითა ყოვლად საბედნიერომან ჟამმან ამან მიიღოს განგრძელება, გარნა მცირეთა შინა კმაყოფილება გულისა თქჳჱნისა მომცემს ამისა სიმართლესა.

რასაცა ღირსება თქვენი წინათ ამისსა წერილთა შინა მაუწყებდა, ამისთჳს იმ ჟამითგან ვიდრე აქამდე შემჭამდა ვითარცა ცეცხლი ცჳლსა, სურვილი ეგრეთჳჱ გულსა, მაგრამ უბედურთაგან დროთა ყოველთჳს დავეყენე.

რომელიცა გებრძანებინათ ძმისწულებისათჳს თქვენისა. შეგონება სარწმუნო იყჳჱნით უდიდესითა მეცადინეობითა მაქჳნდა ამას ზედა მოსწრაფება თქვენის ბრძანებისა გავხდიმცა გულსმოდგინედ მსმენელი. მაგრამ არ ინებეს თვთ პატარაებმა, თქვენმა ძმამაც დიდად მოინდომა, მაგრამ არ იქნა.

თქვენი ძმა გიორგი[1] მშვიდობით მოვიდა და მშვიდობით იმყოფებიან ყოველნი სახლეულნი თქვენნი შენის მადლითა. გარდა ამისა მამაო, იძულვართ მამაო მრავალთა მიზეზთაგან თქჳჱნდამო ამისთანას

გაბედვისათვის, მაგრამ რათგანაც გჳედავთ, და ბრძანდებით სიქადული, და დიდება შენის მშობლის მიწისა, და ეკკლესიისათჳს, და უმეტესად ჩუჱნთვის, ამისათვის გაგიბედავთ, გთხოვთ მამაო. შენდა მოსაგონად, და ჩვენი ეკკლესიისა სიღარიბის შესაწევნელად, რომელიც არის ეს შენი სამშობლო ეკკლესია ღარიბი, გვბოძოთ შესამოსელი ანუ რაც თქვენი ნება იყოს და ამ თქვენს ეკკლესიას მოხედოთ, რომლისათვსცა ვიქმნებით მმადლობელი შენი ღირსებისა.

ჩემმან ძემან და მონამან შენმან მღუდელმან გიორგი[2] მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენათ უმდაბლესად.

უქუჱნაესი ძმა და მეგობარი დავით მღუდელი
ხატიევი[3], დეპუტატი.
1823 ს წელსა სეკდემბრის 12 სა.

## № 31

### 1823 წლის 2 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იოანე ანდრონიკოვისადმი

მაღალ ბრწყინვალეო თავადო, უფალო ანდრონიკოვ[1]
მაიორო იოანე!

ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო.

აჰა, ესერა კეთილ შესაბამიერ ვსურვიელობ ორკერძვე კეთილდღეობასა თქვენსა სათნოო, მაღლისა ღმერთ მამისა.

ესერა ნამდვლ ვჰგონებ ჩემს ვითარებას მოიხსენებთ, მადლობ ძალთა სავაოთ ღმერთსა ვჰგიე მშვდობითარე, განრთული ჩხაბასა შინა. მოიხსენეთ თქვენი წიგნი შივიღე აგვსტოს და პასუხი წარმოვგზავნე სეკდემბრის 4. სტრახავოისა ფოშტითა, ყოველნივე თქუჱნი ბრძანებულისა სიტყვისა გებანი მას შინა ჰსწერიან.

იხილეთ გამეორება ესე თქუჱნისა წიგნისა კუალადცა ე. ი. თქვენი ხუასტაგი, რაოდენნიცა ჩემთანა არიან, რიცხვთ ოდეს თქუჱნი წიგნი მომივა მსწრაფლად წარმოვავლენ. კუალად მოიხსენიეთ რაოდენნიცა კამისია ე. ი. საქმიერება გებრძანათ ჩემდა. ზეპირად ერთისა, და ორისა ლექსითა, იგინი გამოუცხადე მაყ ყოველთა, გარნა უქონლობისა მიზეზებად მზა არიან.

ინებეთ და წერილი წარმომიგზავნეთ, რათა მათ გამოუცხადოთ თქუჱნი აზმნობა, ვის რაოდენი თანა აძს გარდახდად.

თქუენი ცხენი გაუყიდებიათ. ბაგრატიონს ალექსანდრეს[2] მე თუთ მომითხრა. მისწერეთ არა დიდ ფასად, ეგრეთუე არღუთაშვილმან ბრწყინუალე თავადმან მოსე[3] პასუხი მომიგო, უკეთუ დარწმუნებისა უფლისა ანდრონიკოვისა მქონდესო გამოვიძიებდიო დაშთომილსა როჰიკსა, გარნა უწიგნოდ არ ძალმიძს გამოკითხუა, იქნება არღარა იყოს დაშთომილი. დასასრულ უმაღლესნი და უგანათლებულესნი ბრწყინუალენი კეთილშობილნი, და უფროსლა სამღუდელონი ერთბამად თქუენსა მშვიდობასა ჰსურვილეობენ, და უმეტეს თეიმურაზ ბატონიშვილსა მეუღლითურთ თუალნი, და ყურნი თქვენდამო აქუსთ, რომელნი ჯერედ სამეფო დაბაშივე[4] ბრძანდებიან.

აჰა, ესერა შეგთხოვ, თქუენსა წიგნსა თანა ჩემისა ძმებისა მომწერთა, რაულადცა იყუნენ, და შვილნი ძენი თუ აქ არ გამოგზავნონ მანდა მიაბარებინეთ მაშინცა, და მამულისა ყიდვისათვის ხუასტაგს მენუკვიან, გალანამც მაგათ ძენი თჳსნი სასწავლებელში მიჰსცენ, მე რაოდენსა თქუენ დამინიშნავთ ეგოდენს გამოუგზავნი, უკანასკნელს სუდარის ფასსა. თქუენსა ხუასტაგსა თანა. ესერა გუედრი ამისრულეთ მაგათი მიბარება, ანუ აქარე წარმოგზავნა.

თქუენდამო სალთო მლოცველი
იონა მ. მ. მ
იერო მონოზონი ვჰგიე თქუენ
მაღალ ბრწყინუალებისა გულითადიერ.

წელსა 1823 სა
ოკდომბერის 2-სა
პეტერბურღით.

ესერა მიუცილებლად ვაზმნობ, რომელ ამათის უმაღლესობის ამბავს მოიხსენებთ მარიამ დედოფლისასა[5], კაცია დადიანის ასულისასა, ვმადლობ ღმერთს მშვიდობით სუფევს, რომელსა დიდ ფრიად ულოცუენ მოყუასნი, და მახლობელნი და გარემონი, და მეცნავნიცა აქაურხი, რომელ ცხებულმან მონარხმან სახლსა შინა თქუენსა მიბრძანება ჰყოო, და წაბრძანებისა ჟამსა ტაგანროკში: მინისტრი გამოგიგზავნა მომკითხუელადა. ესენი დიდ ფრიადნი, კეთილმიდრეკილებანი არიანო. ეგრეთუე ამათი უმაღლესობა მადლობელი ბრძანდება, უფლისა ცხებულისა, და ვალოცებთ სახლისა ეკკლესიასა მონარხისა სიმრთელისათჳს და განძლიერებისათჳს და უავგუსტესისა სქესისა მათისა დაცვისათჳს და ცოცხლებდინ სათნოდ ღვთისა, სულიერო ძმო ჩემო ზეგონობისა ყოფითა.

## № 32

### 1824 წლის 7 იანვრის წერილი მეფის ძე ბაგრატისა იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო წმიდაო იონავ! წმიდას მარჯვენეს გიამბორებ.

ქრისტე ამას გვბრძანებს, სნეულ ვიყავ და არა მოხვედით ჩემდაო, ნება გაქვსთ, ჩემს ასე დავიწყებას თქვენგან არ ველოდი, ერთხელ მაინც რატომ არ მობრძანდით და არა მნახეთ მამაო.

მეფის ძე ბაგრატ.
იანვრის 7 სა
1824 სა წელსა.

## № 33

### 1824 წლის 26 თებერვლის წერილი ი. ხელაშვილის ნათლია ბოლღაურასი[1] იონა ხელაშვილისადმი

თქვენო ყოვლად პატიოსნებავ, და მაღალღირსებავ!
იერომონახ იონავ, ხელაევ. მოწყალეო ჴელმწიფევ.

ყოველთა გულსმოდგინებითა ჩემითა, ვჰსთხოვ დაუსაბამოსა არსებასა და თანამდებ ვარ თხოვად მისდამი, რათამცა მოინებოს მშვიდობა, და სიცოცხლე წელთა სიგრძესა შინა ჟამთასა, ხოლო საღმრთოჲსა წყაროჲსაგან სულისა ყოვლად წმიდისა, მამისაგან და ძისა მიერ მიფენილისა, სულისაგანვე განათლებულსა ჴელსა და პირსა გიამბორებ, კვალად ვარ დარწმუნებული ვინაჲდგან შემთხვევა ჩემი არს სასიამოვნო უწყებად თქვენდამი, ვიმყოფი კეთილსა გზასა ზედა მშვიდობისასა და სიცოცხლითაც. შემდგომად ამას საუბარსაც ვაუწყებ თქვენს პატიოსნებას, რომლისათვისცა არ მიმცეთ დავიწყებასა და მაცნობოთ წერილით თქვენი ამბავი და შემთხვევა, რომლითაც ვიქმნები გულითადითა სიხარულითა აღძრულ და აღტაცებული. შემდგომ ამას გევედრებით, ერთობლივ ნათლია თქვენი ელენე ბოლღაურა, ახუა[2] და გლახა[3] დიდის ვედრებით, რომელმანც ეს წიგნი მოგიტანოს, ეგ ახუას დისწული არის ადამ. თუ რომ ჩვენი სიყვარული გაქვსთ, თქვენს სასულიეროთ გაისარჯნეთ ამაზედ ღვთის გულისათვის.

მოკითხუა და ჴელზედ მთხუწვა მოგახსენათ ახუა, გლახამ და ჳავიგონეთ, რომ საქართუწლოში მობრძანდებაო და სიხარულსა დიდსა მივეცით და თუალი გვიჴირავს.

თქუწნი ნათლია ბოლდაურა
მარად დღე სიცოცხლის მთხოველი ღვთისადმი.
ჩყკდ სა წელსა თებერვლის კვ სა.

№ 34

**(1825—1834 წწ) წერილი დედოფალი მარიამისა იონა ხელაშვილისადმი**

სულიერო მამაო იონა! გთხოვთ, რომ მობრძანდეთ
საქმე მაქვს.
შენი სულიერი შვილი დედოფალი მარიამ. კაცია დადიანის ასული.

№ 35

**1824 წლის 25 თებერვლის წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი**

თქუწნო მაღალ ღირსებავ წმიდაო მამაო იონავ!

დღეს მეფის ძეს იოანეს ჩემთან გამოუგზავნია სახარჯოსათვს და ჴელში არა მაქუს. ამის გამო უმდაბლესად გთხოვთ, თუ გახლდეთ, ორ თუმან ნახევარი ხუალ ანუ ზეგ მოგართმევ უთუოდ.

თქვენი მონა გ. რუაძე
25 თებერვალსა.

№ 36

**(1824 წ.) წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი**

თქუწნო მაღალ ღირსებავ, მოწყალეო ჴელმწიფევ!
წმიდაო მამაო იონავ!

ვისიც იმედი მქონდა ამ დილაზედ ფულის მიღებისა შაბათამდინ ატკაზი მომცა. ამის გამო გთხოვთ ერთი თუმანიც ამ კაცის ჴელით მიბოძოთ. რომელსაც კვირას უთუოდ მადლობით მოგართმევთ იმ დღევანდელითურთ.

თქვენი მონა გ. რუაძე

## № 37

### 1824 წლის 3 მაისის წერილი მეფის ძის მიხაილისაგან მეფის ძისადმი

უგახათლებულესო მეფის ძეო, მოწყალეო ჴელმწიფევ!

ვიცი, თქუენცა ჰსწყალობთ, იოანე დიაკონი გებრალებოდესთ, ყური მიუგდეთ, და თუ საჭიროება ჰქონდეს რამე, ჩემს ანგარიშზედ ოლუსრულეთ ვინემ მე გიახლებოდე, და ყოველი ამაზედ დანახარჯი ჩემი ფული როდისაც მოგერთოსთ იქიდამ მიირთვით.

თქუენის უგანათლებულესისა მორჩილი მოსამსახურე და ძმა მიხაილ.
მაისსა 3 ს
1824 წელსა.

## № 38

### 1824 წლის 17 ივლისის წერილი რუაძისა იონა ხელაშვილისადმი

ყოვლად პატიოსანო წმინდაო მამაო იონავ!

წმიდა მარჯვენას ამბორს გიყოთ და შემდგომად მისა მოგახსენო უკეთუ ერთსა თუმანს არ მომცემთ ამ ჟამად დანაშთომი არასადა მიჩნს ღონისძიებაჲ სასყიდლისა მის ანუ საფასისა შოვნაჲ, ხოლო თვს შორის არა მიჩნს ამ ჟამად საზრდო დღიური დრომდე:

მსახურებელი თქვენი მოწყალებისა და ვალდებული საუკუნოდ

მორჩილი მონა თქვენის ღირსებისა კახით გრიგორი, ჯვაჭვეთის კერძოდ რუაძე.
17 ივლისი 1824.

## № 39

### 1824 წლის 1 აგვისტოს წერილი გიორგი ავალოვისა იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო წმიდაო იონა! მოწყალეო ჴელმწიფევ!

მოგილოცავ წმიდასა მარხვასა ამას, ღვთის მშობლის მიძინებისასა, და გისურვი მრავალთა წელთა მშვიდობით მიგებებასა ესევი-

თართა დღესასწაულთა ქისიყის სოფლის მაღაროდან, მოვიდა აქ, შანდ წამოსასვლელად სოლომონ ივანოვიჩი დოდაევი[1], რომელსაც უსწავლია თბილისის სემინარიაში, და აწ გამოუსტუმრებიათ სწავლის შესასრულებლად, ალექსანდრე ნემსკის მონასტრის სემინარიაშია, და ვინაძდგან არავინ ჰყავს ამას შანდ მცნობი, ამისთვის შეგვედრებ, და გთხოვ დაუგდებლობასა მისსა, რომლისაგანცა მიიღებთ წერილსა ამას,

სხუ[ა]ბრ დავჰშთები მარად თქვე-
ნის მაღალ კურთხევისა უმორჩი-
ლესი მოსამსახურე გიორგი ავა-
ლოვ[2].

1824 სა წელსა
აგვისტოს 1 დღესა.

№ 40

**1824 წლის 22 სექტემბრის წერილი მეფის ძე მირიანისა იონა ხელაშვილისადმი**

პატიოსანო მამაო იონავ!

ვისწრაფი მოლოცუად სახელის დღესა თქუ[ე]ნსა, და ახალს ბიბლიას ვიკადნიერებ მოძღუნას. ნუ დამემდურები.

თქუ[ე]ნის პატიოსნების მარად მოსურნე
საქართუ[ე]ლოს მეფის ძე მირიან[1].
წელსა 1824 სა
სეკდემბრის 22 სა
სანკტ პეტერბურღს.

№ 41

**1826 წლის 28 თებერვლის წერილი პროტოირეი იოანე ბაზიეროვისა იონა ხელაშვილისადმი.**

თქუ[ე]ნო ღირსებავ მამაო იონავ! მოწყალეო ჴელმწიფევ!

ჩემთა სასურველთა ღვთის მსახურთა ბაგეთა, და მრჩობლთავე[1] ჴელთა, სურვლით გეამბორები, და უვნოსა სუფევასა შენსა, შენგან შეყუარებულსა, იესოსა და დედასა მისსა ვსთხოვ.

მოწყალეო ჴელმწიფევ შენი წიგნი მივიღე, იანვრის დაწერილი, თებერვლის კჱსა დღესა, რომელმანცა მსგავსად ხილვსა თქუჱნის მასიამოვნა, მარამ რა ვჰყო, და რა ვსთქუა, ამ შენის ძმების მიზეზითა დიდათ მრცხუჱნიან გატყუებ და გაწუხებ, ამ ცოტას ხანშიც ჩემთან გახლდნენ, დიდად ალმითქვეს მალხაზის შვილს იოანეს მოეტანა შენი წიგნები და ამანათიცა, შენნი ძმები ჩემთან მოვიდნენ, წიგნებიც მე დავხსენ, წარუკითხე, და რაც ჰაზრი იყო ისიც სიტყვით შევათვალიერე. მაგრამ არაფერი მეშველა. ერთი გლეხური ისტორიაა, ალიას დარდი ფლავი არისო, იმათ არც ერთის ჯავრი არა აქუსთ, მხოლოდ ფულები უნდათ. მე მეწამებიან, ვითამც იმათთვს ფული გაგეგზავნოსთ და მე არ ვაძლევდე, ამაზედ დიდათ შეწუხებულნი, და აჩქარებულნი არიან, მაწუხებენ და მთხოვენ. მეც პასუხს ვაძლევ, თუმცალა ფული მაქუს, მაგრამ არ მოგცემ, ვიდრემდის ყმაწვილებს სასწავლებელში არ მიაბარებთ, და სარწმუნო ბრძანდებოდეთ, თუ თავიანთ შვილებს მოიყვანენ, მე გარწმუნებ, რასაცა მთხოვენ არ დაუჴერ და მივსცემ. აქ პირს მომატყუებენ. რა კარზედ გავლენ მიწყრებიან და მემდურიან, ნეტაი შენის მადლით ეს საქმე წარმართებულ იყო და შენი წადილი აღვესრულებინა, თუ არა იმათი წყრომა ჩემზედ იყოს. იოანე მალხაზისშვილი[2] ჯერ არ მინახავს, ისიცა თომა ახდრონიკოვი[3] და მეც ხომ სარწმუნო უნდა იყოთ, რომ ვეცდებით, როგორც გიბრძანებიათ, ან მანდ გამოვისტუმროთ ეს ყმაწვილები და ანუ აქ უჩილიშჩაში შევიყვანოთ, და თუ მანდ მოხდება ამათი გამოსტუმრება ვეცდები, აზნაურიშვილობის ბაშფორთით გამოვისტუმროთ. თქუჱნმა მადლმა იქნება ამას ბრძანებდეთ არას დაჰსდევს დეკანოზიო, ჩემი ღონისძიება ამათზედ დავლალე, და არა მეშველა რა. ეხლაც უკეთურმა გიორგიმ[4] დიდა შემაწუხა. ასე მოიხსენე, ონისიმე ხველიაშვილი[5] რომ არის იმის შვილიშვილი, ობოლზედ ჯუარი დაიწერა ჩემის მალვით, აბა რა უყო რა უჭირდა ოჯახის შვილს და საკადრისს ვერ იშოვიდა, გააბრიყვეს, მალვით შეიყვანეს და ჯუარი დასწერეს, ახლაკი აღარა ჰყუარობს და მაინც გამოქცევას აპირებს, ამისთანა სულისნი არიან, არ მინდა შეგაწუხო, ამისთანას ამბით, მაგრამ ვეღარ დავითმინე, და შემინდევ, რომ არ მომეხსენებინა არც ის ვარგოდა, არცარა დუქანი აქუს, არცარას ვაჭრობს, და ეს საწყალობელი თავისი ძმაც ემდურვის არაფერი დაგვანახვე, ჩვენმა ძმამ რაც გვიბოძაო.

მამაო განგიმეორებ თქმულსა ჩემსა, ჯერ მაიორი იოანე ანდრონიკოვი არ მინახავს, და ოდეს ვიხილავ, მაშინ რაცსადმი იქმნება

ჰაზრი ჩვენი იმას წვრილად მოგახსენებ, შენის ძმების გარდაცვალება რომელობისა მოეწერათ ასე მოიხსენე ნანდვილი და სარწმუნო, ამას წინარე რომ მომიწერია, ავად ვიყავი და ფიქრით შევცთომილვარ. ნამდვილსა ასე გიცხადებ: შენნი ძმები, სოლომონ და გიორგი მშვიდობით ჰგიან და იმყოფებიან. იოსებ და იობი[6], არღარა არიან სოფელსა ამას შინა, არამედ არიან გარდაცვალებულნი. და თუ სახელი შემცდომია, მაშ სისუსტისა მიერ ვერ გამიგია, და დამიწერია.

მამაო მწერთ სახელებსა, გარნა მე ვინლა ვიცი მათ მაგიერ, მარამ სხვას ჰაზრის გამრავლების მიერ ჰსჩანს, და მაგისთვს რაზედ აძლევ შენსა თავსა, უზომოს მწუხარებასა, ოდეს სოფელსა შინა შემოვედით მაშინვე უწყით, რომელ განსლვად ვართ, გარნა მხოლოდ ვალვდებულებთ, ესრეთ იყავნ სახელი უფლისა კურთხეულ ამიერიდგან და უკუნისამდე, ღმერთს მადლობდე, და კურთხეულ არს სახელი მისი და ესე ვიდრე აქამომდე მამაო იონავ ქრისტეს მიერ საყუარელო ძმაო. მე ყოვლითურთ ვარ მმადლობელ, ყოვლად შემძლებელის ღვთისა, რომელ თვსი ერთგული და მლოცველი, არა უგულებელსყო, და განსაცდელს განგარინა. მოგილოცავ და შენთანა მოხარულ ვარ. განსაცდელი შეიმუსრა. და შენ მშვიდობით გაწერე. ეგრეთვე ჩემი შვილები მოგილოცვენ. და თავის მოწყალესა და მაკურთხეველს, მარჯვენეს თაყვანის გცემენ. ჩემს ამბავს ივითარებთ, ორნი ძულნი მყვანან, ერთი ხომ ადრევე განქორწინდა, და აწ უმცროსი რომელიცა მყავს, ამ თვს პირველს გარდავიხადე მადლი, თავადს აგათომშვილს ზურაბს[7] მივეცი. და ვგონებ თქვენი მადლი შემწე მექნება, და უხილავი ჴელი ღვთისა საკვირაცხოველობოთ ჯვარს დავსწერ, სხვანი ყოველნი, ვისაც იცნობთ, მშვიდობით სუფევენ მადლითა თქვენითა. მამაო იონავ, ეტყობა ევროპას გამოუცვლიხარ, და რიტორულის პოლეტიკით მიშორებთ, მე მოგართვი წერილი და მას შინა გთხოვე ორი რამე ნივთი, ესე იგი, კუალად განგიახლებ: ერთი ჴელი განწყობილი შესამოსელი თალხი, და კარგი იყოს რომ ცოცხალმა ვიხმარო და დავიძინო თან მიწად გამყვეს შესამოსელი განწყობილი, და მეორე — რადგან საჭიროებს ჩემ შორის სათვალე სიბრიყვილისათვის თუალსა, და თქვენ მპირდებით, რადგან აქ მოხვალ ყველა აქ დაგხვდებაო, მამაო როდის მანდ მოვალ, და ღმერთი მაღირსებს თქვენსა ნახვასა, და ჩემი ჴელმწიფე, და ჴელმწიფის შვილების ნახვასა, საჭირო აღარ იქნება, შესამოსელი კიდევ ჰო, ეთნება კაცსა, მაგრამ სათვალე ხომ საჭირო არის, მინამ თვალს ნუ დამაკლდება, ეს იცის კაცის დრომა, ასე მოგდის როგორც მამა პაპათგან თქმულა, აცა კარაულო ნუ მოჰკვდებიო, მან-

დაც არ გამოგიცუალა პეტერბურღის ჰავამ, მამა-პაპის ბუნება. მამაო ხუმრობას თავი დავანებოთ მე გარწმუნებ და ღვთის სახელით აღგითქუამ, არ გეცრუები, რომელიც ადრევე და აწცა გთხოვ, ერთი ჭელი თალხი იყოს შემკობილი, გაწყობილი, თავისის ენქერით, და ბედესიკით, მარამ სტიხარი განიერი და დიდი იყოს, ამითვს რომ სქელი ვარ. და ამასთან კარგი სათვალეც მიბოძე, და თავისი ფულზედ დააწერე თვისი ფასებიცა, გენებება მანდ მოგართმევ მათს ფასსა, და გეხებება აქ შენს ძმებს მივართმევ, წამოვალ მით საჭირო არის, და ვერ წამოვალ მით უფრო საჭირო არის, დიდათ გთხოვ მალე დააშურო. და მიბოძოთ.

სხუაბრ გთხოვ, რათა არა ვიყო დავიწყებულ, და შენის მშვიდობის ამბითა ბედნიერ მყოფდე. კუალად გთხოვ დაუვიწყებლობას.

მარად შენის სამსახურის მოსურნე, და მეგობარი, შენი ხუცესი
პროტოირეი იოანე ბაზიეროვი[8].
ჩყკე სა წელსა თებერვალს, კტ სა.

მამაო წმიდაო, მათი უმაღლესობა დიდუფალი ანნა[9], და უგანათლებულესხი საქართველოს მეფის შთამომავლობანი ყოველნი თავიანთ შესაბამ პატივისცემით მოკითხუა მომიხსენე. აგრეთვე უგანათლებულეს მეფის ძეს თეიმურაზს და მეფის სძალს ელენეს უმდაბლესად, ლოცვით ქრისტეს მიერ მოკითხვა მომიხსენეთ.

## № 42

### 1825 წლის 21 მარტის წერილი მეფის ძე ბაგრატისა იონა ხელაშვილისადმი

ეკლესიისა სამკაულო, და დიდებავ, მამაო წმიდაო იონა!

უმდაბლესად გთხოვთ, დღეს ჩუენდა ინებოთ მობრძანება ნადიმად, და აღგვავსოთ მადლითა და ლოცვითა თქუენითა.

თქუენის ღირსებისა და პატიოსნების სურვილით პატივისმცემელი მეფის ძე ბაგრატ.
მარტის 21
შაბათსა ლაზარესასა 1825 წელსა.

## № 43

### 1825 წლის 30 მარტის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ძე გრიგორისადმი[1]

უგანათლებულესო მეფის ძის ძეო გრიგორი! ასტრახანით შეთხოვილი ჩემდამო პეტრებურხში განმარტება ფსალმუნისა[2] აჰა განვიმარტე უცებმან ძალისამებრ ჩემისა, მიზეზი თქვენ ხართ.

მოიხსენეთ ჩემდამო კომისია ე. ი. საქმიერება გებრძანათ დიდ ფრიად ძნიად პირისა რ ძალისა ჩემისა არა მქონან განმარტებანი ფსალმუხებისა. გარნა კეთილსა ნებასა, და ფლობასა და სურვილსა თქჳენსა დავემორჩილე და ჴელვჰყავ განმარტებად ზეცისა მინდობითარე.

მეფე ცხებული მეფსალმუნე სულისაგან წმიდისა მრავალ სახეთ ახსენებს მთათა, ვითარცა ჩჳეულება ძჳელისა აღთქმეებისა — იგავი, მაგალითი სახენი ხატნი ე. ი. სახის სახენი და ხატის ხატნი ელინურ.

მეტაფორა შემსგავსებითად პირმშოსა წარმოჩენად არიგორიულად[3] სხჳა სიტყჳაობითად, მუნ აღყვანებითად ე. ი. სხვითარე სხვისა შეძეცხება მიწთობად საგნისა და პირმშოეთა სარკითა და კანკლებითა და მიჰვრიტანისა სოფლისა მის, რომელ არს ყოველი დაბადებული სარკედ ღვთისა, ცნობისა და ძალთა მისთა და ნებათა და საქმეთა მისთა.

1. აჰა, უპირჳელესი განსჳენებელი და ადგილი ყოვლად წმიდა ქალწული მარიამი არს ღვთისა, რომელსა მეფსალმუნე მთად უწოდს მთა ღვთისა.

აჰა მთათა მყართა თჳსებაა ბარისა პყრობა; კნინღა და უძრავად და მიცემად წყაროთა და ნიავთა მაცოცხლებელთა და სიგრილეთა მაორძილებელთა. ეგრეთჳე შვენიერება მთისა აღემატების უმეტეს დუბეთა ადგილებთაზე. 10 სახედ საჩინოებს მთაი უაღრეს ტრამალთა, მინდორთა, ველთა, ფორეთა, ზეგანთა და ჰევნებთა ზედა და ვითარცა თავი უზესთაესობს გჳამსა ზედა, ეგრეთჳე მთაჲ რაოდენ უუაღრეს არს სამარადისოდ ქალწული ყოველთა დაბადებულებთა ზედა.

2. ეგრეთჳე ყოველნი ეკკლესიანი მთად ღვთისად ითქმიან და უფროსღა იეროსალიმი და ყოველნი მას შინა შობილნი მეორედ სულები სძალი ქრისტე სიძისა არიან.

3. მთანი ღვთისანი არიან ყოველნი წმიდანი და უფროსღა წწჳლნი და უმეტეს მოციქულნი, რომელთა ზედა სული წმიდა არს დასაყდრებულ და მღჳდელთა მოძღჳარნი.

მთახი ბოროტნი არიან ამპარტავანი სულნი ბოროტნი, სატანახი, საძოილნი და ბელოერნი[5], რომელნი აღზავნენ მაღლისა სწორებისა ეხტუზიაზმისა ე. ი. სურვილითა, გარნა შთამოპარეხუბულ იქმნნენ შთამოძზვილულნი დუბედ დაკვეთებულნი ჯოჯოხეთად. ისია.

2. ძთანი ბოროტნი არიან უსახურნი კაცნი მსახურნი თვისისა მამისა ეშმაკისანი. ლუკ.

3. ბორცჳნი უკეთურნი არიან, რომელნი მსახურებენ მრჩობლთა ცოდვათა ე. ი. სულითა ეშმაკსა და გრძნობაებითა კორცთა თვსთა: მთანი არიან უსახურნი, რომელნი სიბრძნაკითა თვსითა და ტვნიერისა კაცისა წიგნაკებითა ერკინებიან ძუელსა და ახალსა აღთქმასა და ბრძუანან სიწმიდესა და სიმართლესა და მარხვასა და პატიოსნებასა და კეთილსა. ზურგით კერძ მიპრუნდებულნი მიახლოვებულნი პირუტყუთა მიმართ ძჳბვიერებითა, და ორძილთა მიმართ მოზარდობითა, რომელთა სიკუდილი მეორე მიიელისთ:

ვითარ ლომი ქრისტესა ზე მოიღების და ეშმაკსა ზედაცა, და ზეცითგან გარდმოვრდომილებს ზედა, გინა ცეცხლი ღმერთისა ზედა და ჯოჯოხეთსა ზედაცა ანუ ყრმა და მახვლი და ეგე ვითარნი რომელთა განარჩევს თხზაა ღვთის მეტყუელურნი;

აჰა, ახლისა აღთქმისა წერილებითა ყოვლად წმიდისა მარიამს სძალი ღმერთ მამისა ეწოდების, დედა ღმერთ ძისა და ასული ღმერთ სულისა და ესე არს უაღრესი სახელი ქალწულისა ვიდრელა ძუელისა აღთქმეებისა ე. ი. მთად სახელის დება ანუ მაყვლად, ღრუბლად და ტაკუკად[6].

აჰა, ყოველნი ქმნილნი და სოფელი ესე სარკედ გვქონან, რომლისა განჭვრეტითა ვიხილავთ ღმერთსა, მქებარედ მისა.

## № 44

### 1825 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ილიასადმი[1]

უგანათლებულესო მეფის ძეო ილია! უუკეთილმიდრეკილესო ჩემდამო სულიერო ძეო. ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვთა კურთხევასა მოვრთმევლობ თქუენდამო სალოოდრე.

აჰა, ესერა შრანდელთა და შრანდის შრანდულთა[2] და ძოღანდელთა[3] და ერთბამად აწდაჲსა ეპანითგან[4] ახალ წლითგან მოძრავთა, და უძრავთა დღეებთა დღესასწაულებთა მომლოცუელობ სრულიად ორხთავე ჯგუფებსა, რომლებითა განვეყოფით ტონიკელთა, რომელნი თა-

ჳებთა დაისერენ ბნელსა შ[ინა] მეძიებელნი დუქიარბისა[5], რომელნი ვერცალა თუ თინათინობენ თჳსისა ფისიანისა წიგნაკისაგან დაკოდილნი, შინაგან სულითა თხუნელანი და გარეგან ბუნი ნატამალისანი. რომელნი ცოცხლივ განგოზილ არიან თჳსისა მამისა სამუილისა, ზელიერისა, და სატანიანისა ტყუილებითა. ჭორებითა, ჩქურებითა[6], ცილითა და ეშმაურისა ფლიდობითა, ტრედობითა პირმოთნეობისა ლიზლობითა. რომელთა გონებისა სანთელი კუამლია და გულისჴმისყოფა ხისლიერი ორთქლი და თუალნი ქონანთ ახალ დაყრილისა თართისა ლეკვთი, რომელნი დღისი მარხულობითა წმიდაკაობენ ფარისევლებისა საბანებელებითა, და ღამესა შინა უსახურობენ მრავლისა ჭაყროვხებითა, რომელნი თჳსისა მთვარისაგან მიიღებენ ყოველსავე შენდობასა სულისა, და ჴორცთასა, და მზისაგან ირცხჳნიან, რომელნი კნიღა და ცხენებსაცა ამარხულებენ, რომელნი ღირსისა აქლემისა თანა და სალუქისა ძაღლისათანა განცხრომასა ეძიებენ აღმა რტოებთა ზედა დანერგულთა ხეებთა ქჳჱშჱ.

ეგრეთჳჱ წინა დაყჳჱნილნი ჯირკუალნი ებრაელნი პალესტინესა შინა ანტესა მოელიან მუნ მოხმად პირჳჱლისა სამოთხისასა. და ყოვლისა მეფეთა და სამეფოთა ოქროსა, და ვერცხლსა მუნ მიხვეჭასა, რომელნი არცა ტროფიალებითა ოქროთა ჴელად თჳსად მიღებულებთა კიდურებთან შემოუქლიბენ, რომლითა სასოებენ განცხრომასა მსგავსად მდიდრისა მათისა ჰაბუკისა, რომელმან ათნი ლექსნი მცნებისა აღასრულა ზეპირ.

ეს სახედჳჱ ბონძნი იეპონიისა და კიტაიისა, და ლამანი თებასა და ბრამანი ინდოეთისა, და ქურუმები შორიელთა მალაკებისა, და ორაკულნი წინამეთქვინი და გრძნეულნი და მოგუნი და თერაფინებისა მექონნი, მჩხიბავნი ციგანნი, და ბოშანი, მესიზრმენი და შემლოცველნი, და შემკითხველნი, მებედენი, მემარმენიენნი, და მეზლაპრეხი, მეფორტუნენი, მეეტლენი, მენიშნენი, მელანდენი, მეეჰჳჱნი, მეაზრენი, მეწადილენი, მეტფენი, მესურვილენი, მემარცვლენი, მენასკჳჱნი, მეგამოცანენი, მეაჩრდილნი, მემტკაველენი, მეგორიენენი, მევრპენი, და მკვდრთა შემკითხველნი და ნაწლევებთაცა მებომონენი, მეძეგლნენი, მეთავბრჳჱნი, მებეჰენი, თვალებთ ფრენისა და მკრებთა კრთომისა, და ასოებთა მღერისა, და მუცელთა ჰყუილისა მეზლაპრენი, ფრინველთა და პირუტყვთა მგერათა მენიშნენი, და მთოვარითა მეოცნენი, მელანდენი, მენასუკჳჱნი, მესანთლენი, შემგრეხნი და გადამგრეხნი წიგნაკებთა გადამღებნი და შემკვრელნი და მექუმელენი, მეფთილენი, მებებრენი, მემთვარიენი, და სხუანი და სხუანი, და მრავალ ბევრეულნი მგზავსნი ზემოხსენებულთანი ზურგით დარგ მიბრუნებულნი თჳსისა მამისა ეშმაკისა-

გან მიზიდულ არიან გზასა ზედა ფართოსა, რომელნი არათუ შვრებიან, არამედ იშრომებიან თჳსისა ანგელებთაგან, რომელნი მშვინვიერად იყვანებიან პირუტყვთა მსგავსებითა და ორშილთა მსგავსად უგრძნო არიან, რომელთა გულნი ქონან ქვისა სიპისა და არიან ღუარძლბზედ. და გესლიან გველად, და ნაყროვან ძაღლად მწუმპებელნი შჳდთა სიკუდილთა შინა მსგავსად ეშვისა. რომელთა სული არა აქვსთ, თუმცა ნაკუწითითა კაცთაგან განუკვეთელ არიან, გარნა თჳსისა ანგელთაგან დანაქვთებულ არიან შურპლებად ჯოჯოხეთისა ცოცხლივ საფლავებისა თჳსისა აღმავსებელნი არაწმინდებისა, რომელთა საგზალი სიკვდილი არს.

ესერა რომელსა მომლოცუწლობ თქუენდამი უგანათლებულესო სიყვარული არს ე. ი. ღმერთი მამისა გონებისა სიტყუა მხოლოდ შობილი პირი მყისთანად მამის ერთ; არსი განუყოფელი, არსება ბუნებითა ღვთისა ძალი სიბრძნე, მხოლოდ პირითა მეორე და არა შემდგომი, რომლისა მიერ შეიქმნა საუკუნენი ე. ი. ღმერთ გონებამან სიტყვისა თანა მექონმან თანა მზრახველად, და სული ცხოველისა თანავე პირ მესამედ, მყისვე მექონმან, რომელ ღმერთ მამამან სიტყუა განართაულებულად გამოაცხადა სოფლისა ამის დუბესა ზედა, და სული წმიდა ცეცხლად ენბასსა ზედა გამობრძმედებათ მეორედ შობილთა მცირე სოფლისა მეორე დაბადებად, ვითარცა პირუწლადცა წყალსა აღფობდა გამოჩეკად სოფლის, აწცა ეგულვების უხრწნელადვე განახლება მცირე სოფლისა თანა ცისა, და ქუეყანისა, რათა შვდეულისა შაბათებსა შინა ქმნილნი ყოველნივე ხატად დაბადებულისათანა ეგოს. არა ორძილოვანსა სამოთხედ, არამედ საზღვრად. და სავანედ, და ბაკად და ეზოდ, და აღსენებად გამოხსნისა თჳსისა პირველისა ადამისა სიკვდილისაგან, მეორისა ადამისათანა კნინლა და თანა მოხათესავობითა უოხჭნო აქვნდეს სუფევა და იყოს მღვდელ შემწირუწლ სამწმიდაობისა გალობისა ალილუჲათა, და სამეუფო მეფი სუფევასა შინა. და წინასწარ მეტყველ ე. ი. დაუსრულებლობისა თჳსისა განათლებულის არსება ბუნებისა ნათელ მესამედ, ნათელ მეორედ იერარხებთა თანა, რომელნი განცეცხლებულ არიან სიყვარულისა საღთო სახმილითა. აჰა, ამის ყოველსა შორისვე ხედვიდხენ ღვთისა წმიდახი, და იტყოდენ სოფლისა ამის დუბისაგან განსვლისა ძისურხენი ვაჰიმე რამეთუ განმიგრძდა შემწირობა ჩემი სასტუმროსა ამას შინა ეტლეპ მთიებისა. მომრგუალებულსა და მზვლევადსა.

აჰა, ევრეთსა ეკკლესიისა ცხებულისა დღესასწაულებსა ათორსა მომლოცუწლობ თქუენდამი, რომლისა მიწთომა ვერ უძლო მეტალო-ლოღამან ელლენთაგან და ასტრონომიამან ბაბილოვნელთამან, და ფი-

ზიკამან მეგვიპტელთამან და კატიღორიამან ათინელთამან, და იესტე-ტიკამან რომელოსთამან, და კონფუციამან კიტაიელთამან, და ბრამან ინდოეთისამან და ლიეროღლიფმან ქურუმებთამან და წინასწარმეტყველებამან ორაკულებთამან და ჩუენის ქუეყანისა იუპიტრისა არ-ჩაზმან, გაიმ და გაცმან, ვერცალა პითაგორისა ხმოვნებამან და ეპიკურისა აზმნობამან, სტოიკელთა კამათობამან, მანიქეველისა მიდმოცბამან, და ნატურალისტებისა ღრიანკალურმან გვრიობამან, და ყოველთა უგუნურთ კიბოურმან სლვამან უკუღმართ. არა საკვირველ არს უბირი ბალანგარობა მათი, რომელსა ტალმუდიანიცა წიგნოსანხი ზურგით დარგსლევითა თვსითა გონებენ მოლოდებასა და უფროსდა კორკოტისა მჭამელი ერთსა ღამესა შინა მეშვიდე პლანეტსა ზედა ეძიებენ ჰიქებისა სათუალითა და დობანისა ჰოგრებითა, გარნა ვერ მისწუთა ტუნიერ სიბრძნაკთა თვსითა, რომელმან საოხანიო სანოვაგენი, და სასმისნი საშარდენი მუნ დაუნიშნა თვსთა მეკვლეთა და სლვა ფარშავანგებითა და ზორაყებითა[7], რომელმან ისწავლა ველური რიტორიკა და შეშინდა ფილოსოფიისაგან და უკუნ იქცა მუცლისა ფიზიკაში, და ასოებთა მიხანიკაებსა შინა და შთაიარა მიმცემი ეგზამენიისა ათინისა მაშინც გინა რომთა ორატორთა, რომელი ტრაბახობს წიგნებთა სახელებითა და გუამებთა ვითარცა ებრაელნი იქადიან აბრაამის შვილაკობასა, და ლევიტელნი არონიელობასა, და იუდიანი სოლომონიანობასა და ისრაილნი იერობუამბასა, და რაჲლამე მოხსენებულ ვყო თქუენდამო უმჯობეს არიან მროწლეთაგანნი[8] ჯარნი მათ ყოველთასა, რომელნი გრძნობენ ბაგასა თვსისა პატრონისასა და რემათაგანნი კარაულნი, რომელთა თვსისა უფლისა ბაკი იციან და მკეცთაგანნი ძაღლნი და თართნი, რომელთა უყვართ თვსი მეგობენი, აშაღ ყოველთა წარყმედილთა კერპნი არიან თვსნი წადილნი. და აჰიხაშატებიო თვსნი გრძნობანი, რომელნი სატანისა აპაურებითა შებმულ არიან საკივიანსა უღელსა ქუეშე, რომელნი გარდამოვლენულისა ალვირებითა მიზიდულ არიან კიდურს ზედა გენიისასა, რომელთა ვნება ვნებითა თავისუფლება არს. და თავისუფლება ვნებითი სურვილია ენტუზიაზმად ე. ი. ტრფობა წადილიერი და წადილი გრძნობიერნი, იგი ყოველნივე უკეთუმცა მიხლოვდებოდნენ ანგელოსთა წმიდათა კაცნიმცა იქმნებოდენ. ხოლო ვინაჲთგან უახლოვდებიან მკეცთა ეშმაკთა მსგავსს პიროტყვთა არიან მშვენიერებისა სისხლებითა, და შემსგავსებულ ორძილებთან არიან აღორძინებითა ჴორცთაგან ჴორცებისა, რომელთა სიმრავლე კუამლებ უჩინო იქმნებიან. დღესა შინა შობილნი ღამესა შინა მიწად იცვალებიან წარმგზავნელნი სულებისა თვსისა სულებთა თანა გარდამოთხეულთა, რომელთა მწყემს მეორე სიკუდილია, და ვაება უკიდისკიდო ტარა-

ტართზსა შინა. ადგილსა მას უქმსა წყეულსა ქუეშე წიაღსა დუბის ამის შუაგსა შინა, რომელ არს ტყუეთა ქალაქი ბოროტთა სულებისა ე. ი. ჯოჯოხეთი უმთიებო და გოდება დაუსრულებელი საწრტიალო საჰვრტინავი და საჰუილო ბნელი უკუნი. საუკუნო საანეულოა სვნიდისისა მხერხველისა, სხკატაპელტო მძაფრ სასირცხვილო. და სატიკად სალრჰენელი. რამეთუ საუკუნოდ განრისხნება ღვთისა საუკუნოდ გულისწყრომა არს მათდა. რამეთუ არა ადვილ არს სახარებისა და ჯუარისა, და უფროსღა ჴორცისა და სისხლისა ქრისტე ღვთისა არა ღირსად შერეცხა უარისმყოფელნი ამათი ვიდრე სიკუდილადმდე უარ იქმნებიან დაუსრულებლად.

ხელმწიფეო ჩემო. აჰა, მომლოცუელობ ძისა შობისა სოფლისა ამის დუბესა ზედა წევრად ეკკლესიისა მჴედრად ქრისტეს ღვთისად ასპარეზსა ზედა პირუწლისა ცხოვრებითა, რომელმან აღმაცენეთ ძუარესა ზედა სეითისა ენუქისა, ნოესა, სემისა, აბრაამისა, ისაკისა, იაკობისა, იუდასა, და უფროსღა იესესა. და უმეტეს დავითისა იოკიმისა, და კლეოპასა. ღმერთმან აბრაამისამან, ისაკისამან. იაკობ ისრაილისამან, და ათორთა მოწაფეთამან და შედგომილთა მათისა ეკკლესიისამან გიეცინ ჩვილსა მაგას სიმრავლე ეკკლესიისა ვენაჴისა რქათი. და ცისა ვარსკვლავებთა ბევრეულებთა უფროს უწქარისა და უმეტეს უმტისა უშტთა ზედა და სიონისა ერად და მაღლისა იეროსალიმისა ანგელოზებად. და იყოს კურთხეულ ზეცისა ცუარითა, და ქუეყანისა პოხიერებითა. და ეწოდოს სახელი ქრისტეს ღვთისა დაუსრულებელი ე. ი. ცხებულ და აღბეჭდილ ქუეყანასა ანგელოსად და ზეცისა კაც სიმართლითა და სიწმიდითა და პატიოსნებითა, რომელ კეთილმსახურნი სოფლისნი პირუწლად ღირს არიან მიღებად საარებითისა სწავლისა თჳსისა ღვთისმეტყველებითა, და სიბრძნისა ძუელისა და ახლისა და ფილოსოფიისა ღვთისმეტყუელებისა მსახურად. და ყოველთა შკოლურთა სასწავლებლებისა და უმეტეს ამოვნებისა. რომელ არს ზნეობა სალთო და ესრეთითა სწავლითა და სიმართლითა და სიწმიდითა და პატიოსნებითა დატჳრთული პირისა გუამი ღირს არს წოდებად უგანათლებელესობისა, რამეთუ უგანათლებულესობისა სქესობა დუბესა ზედა სოფლისასა საიშვეთოა. ვითარცა უმეტეს უწყით და უკეთუ ლექსსა მას ზედა დაერთჳს სწავლითი უგანათლებულესობა იგი უმჯობეს სოფლისა არს. ვინაჲთგან არა ღრამატიკისა ლექსნი უაღრესნი აღიყუანენ კაცსა თავსა სოფლისასა მთიებ საჩინოდ, არამედ თჳთ ნამდჳლნი სწავლითი უგანათლებულესობა თხემსა უგანათლებულესობისასა ლავრისა თეორიისა და პრაქტიკებითა გჳრგჳნოსან ყოფს გუამსა შიშითა ღვთისათა ღუთიურსა.

აჰა, გუჱდრი ჩემ კერძ რათამცა სძისათანა აგემოთ სწავლანი ყოველნი, რომელთასა ბრძანებს სჯული საღთო, და სამოქალაქოცა, რათამცა იყოს ჭურჭელ სულისა წმიდისა, და ჭურ მამულისა, ეგრეთუჱ ასწავეთ მამულისა საღთო წიგნებისა ჴმანი და ძალნი, რამეთუ იგი არს უუსაყვარლესი დედა პატიოსანი წილხდომილი მარადის უხრწნელისა დედისა ღვთისა, და მომუშაკებელი წ. ანდრია პირველწოდებულისა და ტყვის სახედ მოსრულისა ჩუჱნ ტყუჱთა მხსნელისა წ. ქალწულისა ნინა მდედრ მოციქულისა და ზედაძენისა ათორ-თა შუა მდიხარელთი, ეგრეთუჱ წინაპართა თქუჱნისა უმაღლესისა სახლისა სკიპტროსანთი ღუაწლითა დაცული წ. დავით აღმაშენებელისა და წ. ლუარსაბისა, და წ. ქეთევანისა, რომელ შეიყვარეთ ორგზის შობელი მამული იგი სადა ძუალნი სქესთა თქუჱნთა ცხებულთა, და ცხებულათი დაძინებულ არიან· და უფროსღა წმიდათა მეოხნი გლახაკისა ერისა ჩუჱნისანი, რომელთა ისტორიანიღა დაუშთნენ სახლისა თქუჱნისა რათა იგინიცა აღმოიკითხოთ ცრემლებით ასახსენებელნი, თუ ვითარ ბრძეს ცხოველისა ჯვარითა და ლოცვთა და მარხვთა, მჴეცთა, სპარსთა, და თჳთ, თურქთა და მგელთა კავკასიურთა: უტევეთ, დაბერდეს მეფე და სამეფო, ვითარცა კაცი მდაბიო და მიიქცეს საღიდგან გამაღლდა მუნვე, ვითარცა სოფლისა ჩუჱულება არს. გარნა სიბრძნესა არა აქუს დასაბამი. მაშასადამე არცაღა დასასრული, აჰა, თქუჱნ შეუკრიბეთ სიბრძნე, რომელს არს სიმდიდრე. არა სქესი ადიდებს პირისა თავსა, არამედ სიბრძნე განადიდებს ტვნსა, რომელსა სოფელი ნატრის, კურთხეულ არს წინაპარნი თქუჱნნი, რომელთა იგულვეს მცირისა კეთილისა ნაცუალად დიდი ესე კეთილი ერისათჳს, რომლითა კნინღა და სპარსეთი ოდიკისა ჩუჱნისა მსახურ იქმნების. რომელნი ცხოველისა ჯუარსა გიებულყოფდენ ტოზიკურისა ბაგეებითა, აჰა, ჩჩჳლნი მათნი შეხეთქებულ არიან ზარდაცემულისა ჴმებისადმი, რომელთა არღა უწყიან გამოსაჭურისება უბედურთა ტყვეთი, დამიბრუნდება ჩოდალო სახლისაკენ, არამედ არმალანებითა ისწრაფიან ბორარაესა მახვლებისა დამშვდებად.

აჰა, ესერა ვითარსა ოქროვანსა საუკუნესა შინა მყუდროსა წყნარსა და მშჳდსა ძალგიძსთ აღზრდა მამა ყრმისა არა პურითა, არამედ სიტყვიერებითა. და ჭეშმარიტებითა შთასდევით სულსა შინა მაგის ყრმისასა თაფლი, გოლი, მანანა, შროშანნი, პური ცხოვრებისა, ღვინო მხიარულებისა, ზეთი საპოხისა, ნელსაცხებელი სუნნელებისა ე. ი. ზეცითგან გარდამოსრულნი ოცდა ხუთნი წიგნნი ძუჱლისა აღთქმეებისა და ოცდა რუა წიგნნი ახლისა აღთქმეებისა და ჴელოვნებანი საზნაურონი, რათა ოდეს დაჰბერდეთ, დაგატკბისთ და გან-

გაჭაბუკოსთ და მიხრწნეულებასა შინა მზრდელ თქუენდა იქმნას პატივითა და მოწიწებითა და ყოველსა მიმწუხრი და განთიად გებდეს კურთხევასა თქუენსა და ყოველნი ზემო აღმოჩენილნი გუამნი და საქმენი მოიძაგოს, რომელნი წმიდათა ეკვრებიან პირმეტყველთა კაცთა პირუტყვება, უბირნი უვიცნი ბალანგარულნი, რეგნული, ოჩოპინტრულნი.

მოიხსენეთ უგუნურნი სქესისა გიობისათჳს კნინღა და მოიკვლენ თავსა და არა ქრისტესთჳს და მამულისა, რომელნიმე სქესისა პირისა უმეტეს იქადგან ვიდრელა თჳსისა სიბრძნისა მოგებულსა, რომელნი მკვდართა მზესა ფუცვენ, და მშობელთა ამწარებამ, რომელნი ჰურუმე ლექსსა უმეტეს იმსხვერპლებენ და ქილიკობასა მზველაობასა, ლიზლობასა, ტრედობასა , ფლიდობასა, და მისცემენ თავისა თჳსსა ზედა მნეობასა, მეურნეობასა, და ალვირსა იკონომიისასა. და მიმცემელნი სიმდიდრისანი სხჳსა ხელსა შინა თვთ შემთხოვნელ არიან თჳსისა მიალვირისა, და ესე არს უკანასკნელი ჯორცთა ცხოვრებისა უმეცრება, რომელი სულსა წარწყმედს, უგუნურებითა სიგლახაკე, რომელი ვალითა ცხოვრებდეს.

უგანათლებულესო მეფის ძეო თუმცა განვაგრძე განაღამცა არა არს ღამე, არამედ ბრძენი წიდათაგან და ნაგეეთაგანაც ისარგებლებს ჯოდოვნებითა თჳსითა, უტეო მე განქირდულ; ვიქმნე, ხოლო თქუენ თჳნიერ ჩემსა გექნებისთ ზრუნვა მამობრივი მეორედ შობითა სწავლასა შინა ძისა თქუენისა უგანათლებულესისა სწავლითაცა უგანათლებულესობაჲ: აქარე უფალი სოლომონ დოდაევი თჳსისა მამულისა ენასა ასწავებს მეფის ძის თქუენის ძმის ბაგრატის შვილებსა ქართულს ღრამმატიკასა და ეგრეთვე კნინღა და სხუათა ენებსაცა და რუსულსაცა უმეტეს, რომელი მამულისა ენისა თანა საჭირო არს. ეგრეთვე ესე ვითარი ერთგული თჳსისა ჟამსა იძიეთ, რათა ასწაოთ ენისა ჴმა ჩუენისა. და ცოცხლებდით სათნოდ მაღალისა, ვითარცა სულს სულსა ჩემსა.

ამათი უმაღლესობა მარიამ დედოფალი[1], დიდ ფრიად მხიარულებს თქვენთჳს, ესე ვითარსა მაღლისა მოწყალებასა და უმაღლესისა დედოფლისათჳს იხარებს, ამად რომელ ყოველნი მწუხარებანი გახუქავრდებიანო რომელნი მოიწვივნესო და ექმნებისო სიბერისა მპოხებელ, მხილველ შვილის შვილისასა.

თქუენი მლოცველი მქდოვანი
მოძღვარი თქუენი იონა, ვიყავ-
ვარ და ვიქმნები ეგე ძალითა
ღმრთისათა თქუენდამო გული-
თადობასა შინა კაცო ღვთისაო

ისრაიტელო, რომელსა თჳთ ღმერთი გექმნა დაკლებულისა აღმავსებელ და აღმოგიცენა კუმ- რთხი მოთმინებისა.

წელსა 1825
მაისის 26
ცარსკის სელოს

№ 35

**1825 წლის 11 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ზაქარიასადმი.**

თქუჱნო ბრწყინვალებავ! სულიერო ძეო ჩემო ზაქარია![1]
ქრისტე ღვთისა მიერ ლოცჳათა მოგიძღუნი,

აჰა, თქუჱნი ავთრათი მოვიღე და ვსცან აზმნობანი თქუჱნნი აჰა ვმოქენელობ რათა სურკლსა თქვენსა კმა უყო დიდ ფრიად. ვმკაცრობ შესრულებასა. ჴმაჲ მივჰფინე ალიგორიულად; თუმცა მე მახლობელად მქონოდა დანიშნულნი თქუჱნი რიცხჳთ მე გმსახურებდი გულითადობასა ჩემსა. გარნა ესე ვითარსა შემოკლებულსა დროსა არა შემესწრნენ ეგე ოდენნი.

დასასრულ გულდებული იყუჱნით მე ვეცდები, და გამარჯუჱ ღმერთი არს მხნე მორწმუნესა ლოცვთა წინაშე ღვთისა და შრომითა სიბრძხიერითა. ყოველნივე წარემართებიან მოთმინებასა შინა სულგრძელებითა მყოობადისა კეთილდღეობისა ჰვრობითა, ამად რომელ სასოება ბრძყსთა ამჴნევებს და ყოველთავე ძნიადთა სასტიკთა მძაფრთა შემთხუჱლებათა მარცხულთა არა რად შერაცხავს, რამეთუ არა არს სოფელი ესე ძვრფას პირისპირ მერმისა მის საუკუნოჲსა, აჰა სიმდიდრენი კეთილ მსახურისანი არიან სიმართლე სულისა სიწმინდე ჴორცთა, და პატივოსნება გარემოთა მიმართ. და უვალოდ ცხოვრება, და ვინცა მცირეთა ხუასტაგთა იკმაებს, იგი ბედნიერ არს პირისპირ მათსა, რომელნი ვერ კმა იყოფენ ბევრეულთა მოძრავთა და უძრავთა საუნჯეთა მამეულთასა.

თქუჱნ ეკრძალვნით სიბრძნესა მსგავსად გუჱლთასა, და უმანკოებასა მებრ ტრედთასა. და ყოველნივე, რომელნიცა არა არიან თქუჱნნი, იგინიცა მსახურ თქუჱნდა იქმნებიან. ამად, რომელ შაბათი კაცისათჳს დაებადა და კაცი ღვთისმსახურებისათჳს. იძიოს ტალანტები ყოველნივე მარჯუჱ და არა მარცხულ, რათა ეშინოდეს, ცხებუ-

ლისა მისისაგან, რომელ მამად არს დადგენილი, რომელსა ჰნებავს, რათა ქრისტეშემრდომნი ყოველნივე ჰურჰელ პატიოსან იყუნენ.

თქუენი მლოცველი იონა მკდოვანი, მღუდელ მონაზონი დავშთები უუმწუხრვალესა სიყუარულსა შინა, თქვენდამო გულითადიერ.

წელსა 1825-სა ივნისს, 11 სა.

## № 26

### 1825 წლის 12 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

ქრისტეს ღვთისა მიერ საღთო ლოცუათა მომძღვანებლობ.
თქუენდამო უფალო დოდაევ სოლომონ იოანესო!

აჰა, თქუენი აღნაქვსი[1] დატვიფრულნი[2] ავთრათი კაბადონისა[3] კეფი[4] ე. ი. ნახევარფურცელი მელნითა საწერელისათა გარდმოხატულნი იდიანნი ე. ი. ხატნი სულისა შენისა გონებისანი გამოწერით გარდმოსახულნი მივიღე 10 ივლისსა, რომელი იჩვენების ყოვლადსა იდიასა ფანტაზმად წარმოარსებულთა ე. ი. მგონებლობათაგან[5] რომელ არს აზმნობანი მთავრისა მარტივ ცხოველისა სულისა, რომელი თჳთ მცხოველობელობითა აცხოველებს სულსა მეორესა ე. ი. მშჳნვიერსა და მით მესამესა ე. ი. ორძილობითსა და ესრეთითა ძლიერებითა თჳსითა აძლევს ძალსა მშჳნვასა სისხლიერისა და გუამს შეკრებით შეთხზულსა, რომლისა თმათაცა ძირებითა შინა ცხოველ გრძნობანი უპყრიესთ, და ეგრეთუცვრჰალთა და კანთა და გარსთა.

იხილეთ სული მფლობელი ნებასა ზედა, და ნება უჳფალთ სურვასა ზედა და სურვილი მიდრეკილებასა ზედა ე. ი. აღრჩევასა ზე ორთაგან ერთისა, ანუ მეორისა. აჰა, სული შენი მეფე ქალაქსა თჳსსა ზედა ე. ი. ტაძარსა გინა სახლსა თჳსზე, რომელ არს გუამი პირისა ეტრფის მათემათიკოსობასა ზესთან აღძრცვილად დამმორჩილებელი ქუესულისა ორისა ე. ი. პირუტყვისა თანა ზიარებულისა მშჳნვისა, და ნერგთა თანა ზიარებულისა ორძილისა გინა მოზარდობისა, ეგე დიდ ფრიად კეთილ არს, უკეთუ დასაბამსა შიშსა უფლისასა სიბრძნედ მოიგებ, ამად რომელ მათემათიკოსნი ზედმიწევნითნი ჯერეთ ულთო არავინ შემოსრულან სოფელსა შინა.

აჰა, ოდეს ისწავა ნეპტონმან[6] ანგლიისამან მათემათიკა და სცნა, რომელ მიწას ჰქონან მაღნინტობანი, რომელი ზემო ჰაერთაგან წარმოსრულსსა ბურთსა ოქროჲსასა მსწრაფლად მჰიშედ[7] ქუედაზიდავს, და რაოდენსა ადლსა შთამოვლის წყებითგან წამისყოფასა შინა ერთსა მეორესა და წარწვამებასა ერთსა სამგზის მეტს შთამოვლის, და მესამესა ცხრა გზის უმწრფელეს მეტს შთამოვლის.

ეგრეთვე განსჭვრიტა ჰოგრითა შორიელთა მთიებთა, რომელთა ვიეთნიმე უძრავად უწოდენ სიდიდისა გამო, აჰა იგინი ქუენათაზე იზიდვენ მაღნინტურისა ძალითა, ეგრეთუე მზეჲ თჳს ქუეშეთსა, და მთოვარესაცა და მით ქუეყანასა, გარნა ვერ ძალუძსთ ესრეთ მიზიდვა, რათამცა მრავალნი უბევრეულესნი ვარკვლავნი ერთმხოლო იქმნენ, ანუ ვითარ მაღნინტი შორიელსა რკინასა შინა ჰაერსა შინა დაკიდებული მითხზავს, ესრეთ ვითარცა ქარვანი[8] ბეწვებთა. არამედ ოდეს განიხილვა მრავალ მილიონებით დიდნი მთიებნი, რომელნი მცირაკთაზე იზევიან, გარნა ვერ მიწებებენ, რომელნი თჳსა ცენტრსა ზედა იძვრიან ე. ი. შუაგსა ზე და ურთიერთისა ზე და ქვე და გარემოს იძვრიან, მაშინ უმეტეს ადიდა შემოქმედი სოფლისა მეტყველმან ესრეთ ესე ტიპიკონი ზეგარდამო არსო, რომლისა განწესებასა ყოველნივე თჳს თჳსად ერჩიანო, აჰა, მიერითგან სახელი ღვთისა ყოვლად პატიოსანი მჴდომარემან არღა აღმოსთქუა, არამედ ზე აღსდგრბოდის და კელებ მკერდსა ზედა მიჰდომით იტყოდის ადგილისა დიდება უფალო ნეპტონ°.

ეგ სახედუე განიხილა ფიზიკურად სოფელი, რომელი განუწყვეტელად მოკდულ არს მცურვალი მიმგრვალებითა აჰერსა შინა, რომლისა კერძონი და წევრნი და ნაწილნი თჳსსა ადგილებსა შინა აწყვიან, ვითარცა გუამისა ჩუენისა ასონი, რომელნი ყოვლადსა შეადგუხენ და შეისმინების კელნი და ფერჴნი ყოვლადსა ზედა.

კუალად განსჭვრიტა სამ სახედ განფენილებასა სოფლისასა, ეგრეთუე დროსა, რომელ განფენილებადად რაჲ ურთიერთ არა განიყოფიან, არამედ არცაღა ერთი, და იგივე არიან. ეგ სახედუე უფალმან ლოქ[9] წესებად უწოდა განფენილებასა და დროსა.

აჰა, მხარენი გინა მოსარჩლენი ნეპტონისანი და უფროსღა ყოველი კლარკ ეპისკოპოზი ანგლიისა მოწაფე ნეპტონისა, ამტკიცებს შინა გამწყობი[10] ლეიბნიციოსისა და მკარისა მისისა, რომელ მათემათიკურად უმეტეს დაიმტკიცებისო მყოფობა ღვთისა, ვიდრეღა მეტაფიზიკურადრე. ამად, რომელ ყოველნივე აღირიცხვიან მყოფნი ურთიერთ მოკიდულნი, და ყოველნივე განიზომებიან და აღწონასა შინა არიანო და დასრულებასა ქუეშე, ხოლო რომელი ზესთა ზე მოსთა

არს, იგი არს მხოლოდ ერთი პირუტყვლი, და სხუანი ყოველნი უკანასკნელ მეორენი.

ესერა მეტაფიზიკურ ამტკიცებს ლეიბნიციოს[11], რაჲცა არს მყოფისა შინა არღარა ყოფა მისი შეუძლებელ არს, მით, რამეთუ არა რაჲ არს შემთხვევითად არა ყოფისაგან თავით თჳსით მოსრულ, რათამცა მერმე უარყოს თავი თჳსი და კუალად იქმნას არა რაჲვე. და ზედართავს: ყოველთავე თითოეულთა თჳსნი მიზეზნი უპყრიესთ გარეგან უუმთავრესსა მიზეზსა შინა, გარნა კუალად მიუშვებს ხვალისა დღესა და სოფელსა არღა ყოფად უკეთუ ენებოს უუპირველესსა მიზეზსა.

აჰა, სულისა ჭოგრითა განჭსჭვრიტეთ ე. ი. გულისხმისყოფისა თუალითა და განსაჯეთ მათემატიკურნი დატკიცებანი ჭეშმარიტ არს ანუ მეტაფიზიკურნი, ორივე წინაშე თქუენსა დავსხენ, რათა უკეთუ ენებოს ღმერთსა, და მოვიდე კმაჲყოფილმყოთ, რომლითა განუსვენებთ სულსა ჩემსა ოდეს. გიხილო ესე ვითარისა სულისა მექონ, რომელ იცნობთ სიბრძნესა, რომელი ძალი ღვთისა არს. 1 კორ. მუხლ. 21, 24, რომლისაგან სოფელი და ჩუენვართ და ვიძვრისობთ. საქ. 17 მუხლ. 24, 25, 26, 27, 28, რომელ ბუნებითი ცნობითად და სწავლისა სიბრძნითა სოფელი ესე გვიცნობიეს შორის ღვთისა. და ჩუენსა კანკელად გინა მიჭვრიტანად ე. ი. სარკედ, რომელნი რომელითამე ვჭვრეტთ მაღალსა არსება ბუნებასა, ვითარცა არს ცხოველსა: რომაელი 1. მუხ. 19. 20. აჰა, ესერა სალთო წერილნი შესაწევხელად წინაშე დაგინეცვე, რათა თუალნი აღუხილოთ ქუც სიბრძნესა ე. ი. ელლენურ ფილოსოფიასა, რომელ არს რთული ლექსი ე. ი. სიბრძნის მოყუარემან გამოსცნათ სიბრძნენი. და ნუ ლექსნი. რამეთუ ლექსნი არიან მხოლოდ მოგონებულებისა აზმნობისა დამნიშვნელნი და არა ძალნი და მიზეზნი და საიდუმლონი, რამეთუ ვინცა იწყებს ანისა შემეცნებასა, ბანისა გამოცნობა გაუადვილდებისა. და მით გახისა და უშორეს, გარნა რომელმან ანი დუნედ ისწავოს, ანუ თანაწარჴდეს. და მიმართოს ბანსა ცნობად და მუნით რაესა და მიერ ჩინსა და მესა იხილეთ ყოველნივე ალფავიტანი უცნაურ იქმნებიან ორთა კურდღელთა მდევნელთათჳს, ამად შესცდენ ეგიპტის ბრძენაკნი, და ბაბილოვნისა, და ათინისა და რომისა, რომელთა გარეგანმჱსა განსრულთა შეემთხვათ მეტალოლია. და ფორტუნა და მსახურესა დემონებსა და ტარტაროზებსა, უკეთუ არა შეეწყალა ერთი თჳსი იაღოვივ ივმანუილს ჯერეთცა ქუცყანა ჩუენი ივერია მსახურ არამაზისა იყომცა.

იგულვეთ გრძნობანი საზრდელი[12] ხრწნილებისა თანამდებია, ხოლო სულისა საზრდო, რომელ არს სიბრძნე სულისა ფორმასა შინა

მეტაფიზიკურსა დარიჯაგსა შინა შთაიხატებიან, და ესე თუმცა დაიწყების, არღა დასრულდების, არამედ მხოლოდ ესე იქმნების სულსა თვს შინა, და ვითარცა წარტყვენილსა ტყვესა უცხოსა შორიელსა ქუეყანისა თანა ემღევრების ე. ი. წარყვების გონება თვსი სულსა შინა, ეგრეთუე გონებისაგან მოსთვლებული სიბრძნე, რომლით სათნოდ ღვთისა ქმარებული დაუსრულ დამაჩრდილებელისა კორცთაგან განსრულისა გარონინებს 1. სიკუდილისა ხსენებითა ყოველ ჟამს სიკუდილისაგან. 2. ჯოჯოხეთისა ხსენებითა ჯოჯოხეთისაგან. 3. საშინელისა სამჯავროსა ხსენებითა მარცხენეთა მარცხენისაგან და 4. სასუფევლისა ხსენებითა სურვილით სასუფეველსა შინა აღიყვანს ამაოს სოფლისაგან. იაკობ 4. მუხ. 14. იგავ. 27. მუკლ. 2, იობ. 7. მუკლ. 6 დასასრულ პირუელად ეგე სასუფეველი ღვთისა და ყოვლნივე შეგეძინების მატ. 6. მუკლ. 32. 33.

ღრტვინვა, ჰმუნვა, კეეშანი, ურვა, შესლბობა მარცხულნი არა რაჲ შეიმთხვიოთ, რომელსა მხოლოდ ბრძენნი ერკინებიან და მარადის ძლე არიან. აჰა, თქუენ წინარე ბიჯებით გუალეთ საგნითა საგნისადმი, რათა კიბესა ზედა აღვლოთ ტალანტებითა და აღჴდეთ თავსა სიბრძნისასა და მისსა შეერთებითა შეიყვარო უმაღლესი არსება ცხოველი და მისნი შემყვარებელნი მოყვასნი, ვითარცა თავი თვსი. ამად, რომელი ფილოსოფოსისა სიმდიდრეა მსახურება ღვთისი და მამულისა სიბრძნისა განმრავლებითა, რომლითა ბნელნი უსუვარნი, ჴნინვულხი, ყრმანი და ჰაბუკნი იხილვენ სიბრძნისა ნათელსა და ვითარცა ერთისა სახთლისაგან აღენთნენ სანთლები და მათითა სხუანი და უშორეს ესრეთი ნათესავითი ნათესავამდე აღმობრწყინდეს მკარესა მას ზედა სიბრძნე მზე, რომლისათვს სრულება იგი არა თუ ძეგლსა მხოლოდ ხილულსა აღემართუენ, არამედ სულისა ქარტებთა ზედა შთასწერენ სახელსა ბრძნისა განმანათლებელისასა და წიგნებიცა აღივსებიან ქებისა ხოტბიებითა და დივტილაჲთა, რომლისთვს დაშთების სახელი საუკუნო. აჰა, ვის აქებენ აკადემიანი — არაა... პლატონსა, სოკრატსა, არისტოტელესა, არხიმედს, სოლონს. და ციცერონსა, ეგრეთუე თითოეულნი თვსსა ადიდებენ ვითარ რუსნი ლომონოსოვსა და ჩუენისა საუკუნოჲსა მედროესა კარამზინსა და ჩუენცა რბოლნი სიბრძნისაგან იოანე პეტრიწსა და შოთა რუსთაველსა და სიბრძნისათვს მწყურვალესა ანტონი სანატრელსა და ნიკოლოს მიხაილოვსა და უშორეს.

მოიხსენეთ სულიერო ძეო ჩემო აჰა, რაოდენთაცა მენუკვითა მოქენე სიბრძნისა, მე აღვასრულებ სახასარსა თქუენისა სწავლისასა, გალღებმცა შაბათი და ზამთარი, საქმითა და ნაყოფითა გამოსცეთ ათასისა წლისა უმეტეს დაკორდებულსა მამულსა შინა შროშანნი

სიბრძნისა, და უმეტეს მუნ სადა განისვენა წ. დედა მოციქულმან ნინა და სტეფანე ღირსელმან. დაბიურ ღირსელმან, რომელი ივერიისა კორინთეა. გინა იტალია, გარნა ერთი დასაბამითგან სიბრძნითა შოურქვენელ, უკეთუ ენებოს ღმერთსა ვსასოებ თქვენზედა ქვეყანისა მისთვს და სქესისა ჩემისა სამშობლოთათვს, რომელთა მე არა შომკნეს შვილნი თვსნი სიშორისა ძლით პეტრე დიდისა ამას ქალაქსა შინა ესე თქუენცა უწყით. არცა სემინარიასა შინა ტფილისისა მისცეს, ვითარცა ჩემ ძლით მიიღო არხიერმან იონა ეგზარხმან წელსა 1822, იოანე და გრიგორი[14]. აწ მესმა, რომელ სოლომონს ყოლია ძე, მიხაილ[15] სახელწოდვია. იგი აღზარდე შენ უკეთუ ენებოს ღმერთსა. აჰა გწერ სამეფო დაბით პ. ქ. შინა წელსა 1825, ივნისის 12.

თქუენი მლოცუელი მ. მ. იონა.

## № 27

### 1825 წლის 13 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადისადმი

მაღალ ბრწყინვალეო თავადო! ქრისტე ღვთისა მიერ სალთოთა ლოცუათა გძლვნი და შევთხოვ მაღალსა ცხოველ მყოფ არსებასა ორკერძოვე მრჩობლ ცხოვრებასა თქუენთვს სულიერო ძეო ჩემო!

თქუენო მაღალ ბრწყინვალებავ. ესერა დიდ ფრიად ვსურვილობ თქუენსა მშვიდობასა სათნოდ მაარსისა, რომლისაგან ხარ., რომლისა მიერ მოძრაობ და რომლისა შორის ცხოველობ. რომლისაგან პირველნი იძვრისნი არსებობს და ცხონდების დაიკუეცბის თვსთა საზღვრებთა შინა.

ესერა. ვგონებ ნამდვილ უეჭოდ. რომელ ჩემს ვითარებას მოისსენებთ, ვმადლობ ღმერთ მამასა მას გონებასა, უკუნით მარადსა და სიტყვასა მისსა მყისუე უკუნითვე მარადსა, რომლისა მიერ ვარ. და სული ცხოველს მყოფელი, რომელი მყისუე უკუნითივე არს გონებასა შინა, რომელს შორის ვცხოველობ, და ვარ სამ განხორახვათა ხატ კნინლა და ღვთეებისა; და მსგავსცა ქმნად კეთილის ე. ი. ორთა ლექსთა შინაგან შემწყვდეულებთა ძუელთა და ახალთა ახთქმათა შეყვარებად ღვთისა და მოყვსისა, ვითარცა გონებითა, ეგრეთცა საქმეებითაცა, ამა ორთა ყოვლადთა სიტყვათა აღსრულება აჰა ყოველთავე თანა გვაძს.

იხილეთ. უკეთუ მონარხისა საღთო ცხებულისა, რომელი ზეგარდამო დადგინებულ არს, თანა გვაძს ბრძანებულისა მისისა აღსრულება. რაოდენ ჩაარსსისა მისისა მრავალ, ბევრეულ თაყვანისცემითა ძადლობილათა თანამდებ ვართ აღსრულებად სუბუქისა მის უღლისა, აღსრულება მამისა ზეცათასა, რომელმან არა რაჲ არსებად დაგვდვა მხოლოდ სიტყვითა თჳსითა ე. ი. მხოლოდ შობილისა ძისა მიერ თჳსისა და წმიდისა სულითა თჳსითა ცხოველ მყოფელითა გვცავს ეგრეთცა და ესრეთ და კუალად გარდამატა საჩიერება თჳსი და სძლო სჯასა თჳსსა და მოავლინა სიტყუა თჳსი და ურჩებით სურვებული აღვეგჳსრულა ე. ი. ადამ ღმერთობა მოიწყურა მტერისა ბირებითა, გარნა მადლით ღმერთ მამამან სხუა სახით მარჯულ მეორისა ადამისაგან გაგვინამდვილა, და ესრეთ და ეგრეთ იოაკიმ და ანნა მშობელ მეორე პირისა ღვთისად იწოდნენ და კნინღა და ჩუენცა ნათესავ ღვთისა ვართ არა ბუნებით, გინა არსებით, არამედ მადლითარე ემბაზისათა შვილი ღვთისა ვიქმენით, რად დაირღუა მეტალოღიისა მრავალ ღმერთებთა სასტიკი სასჯელი მძაფრნი შიშნი და მსახურებანი, მით რიოშად მოგონებულთი, და ეგრეთ განცოფდნენ ელლენთა სიბრძნენი და წარმართთა სისულელე. და დასცხრნენ ზორვანი[1] კერპეზთანი და პირნი ორაკულთანი შეიკრხეს. და ქურუმებთა კელნი დაიყენნენ ძეებთა და ასულებთა დამკვლელნი წინაშე კერპებისა და ბომონებთა[2] ფუძენი და ფუძნებულნი ქუშათა ზედა ე. ი. დემონებთა, და ტარტაროზებთა ზედა, ეკუცთხეს. და სადუნნი[3] მათნი მათდავე განმაქიქებელ იქმნენ ე. ი. პირნი პითონთანი და გრძნეულთი, მისანთი, მოგვთი და ულულუკთი, რომელთა ენა ახალი ისწავეს საღთო სახარებითა სიმისა მის ღვთისა, რომელნი დედისა ემბაზისაგან ვიშევით და ასული და ძალი სიმისა ვართ უბიწოისა სარწმუნოებითა დაკავშირებული და მოტყინარისა სიყვარულითა დამყნობილი და განუდრეკელისა. სასოებითა დამოკიდული, რომელთა მზესავე ქუცზე სულისა უკუდავება ვპოეთ, და ზარნაკებთა განღვიძება ე. ი. საფლავებთა, რომელთა შევიყვარეთ ღმერთი და მოყვასნი ესრეთ, ვითარცა თავი თჳსი ე. ი. ყოველნივე ერთ ემბაზისა ძმანი, ელენთა და წარმართთაგან შემოხდილნი მეორედ შობილნი, რომლითა მხოლოდ მამა არს ღმერთი მადლითა და ჴუალობითა და დედა არს ემბაზი. მაშასადამე ღვთის მოყვარესა არა მონებრ ნუ იყოფინ, არამედ ძეებრ თანა აძს მოყვასისაცა სიყვარული. აჰა, რომელმან სთქუა სიყვარული ღვთისა, მანვე სთქუა სიყვარულიცა მოყვასისა და კნინღა მტერისაცა, რომელნი სატანიანთა და სამუილიანთა, და ბელიერიანთა[4] მიბირებითა ემბაზისა ზეთისხენი ველურისა ზეთის ხეობასა იქმოდენ. მაშინ უმეტეს გეყვარებისთ

ღმერთ მამა ცხოველ სამშჳნელისა მომცემთ ცხჳრსა შინა. ოდეს ერთ კერძო მგუდმელსა მას ჩჩუნსა მიუპყრათ მეორეცა და სამოსელისა განმძარცველსა კუართიცა ჩუჱნი მივსცეთ. და წარგვიქცევდეს ერთ მილიონ მილით ორიცა მასთანა ე. ი. მებრუეესა[5] და მეკობრესა და ავაზაკსა ზედა დამსხმელთა, რომელთა სურდეთ განძარცუა ჩუჱნი და რაოდენთამე სტადიონთა[6] დაუტევანთა თჳსთანა წარტაცება მათისა ტჳრთებისავე წარღებად ანუ ბრუჟისამებრ თჳსისა მიმოჳენება ჩუჱნი სამხიარულოდ მათდა უბადრუკებით მათ არა რაჲ მოუგებს სჳნიდისსა ვითარცა ბრძანებს მშჳდისა მას სურვრძელისა უცხო მაცხოვრისა. უკეთუ ზედა დამსხმელთა ზემო ყოველნი აღუსრულოთ იგინი მხოლოდ მზიურისა მიგვიხდიან, რომლითა მოუგებთ თავთა თჳსთა საუკუნოდ უხრწნელსა სიმდიდრესა და იგინიცა მხილველნი ჩუჱნისა სიმდაბლისა, სიმშჳდისა, სიწყნარისა და ლოცუა კურთხევისაცა მიმცემი მტერთა მიმართ. მოეგებიან სულითა გონებასა და გონებითა სჳნიდისსა, და სჳნიდისითა გულისა შემუსრვასა და სულისა დამდაბლებასა, და ესრეთ დაკუჱთებულნი პირებთა ზედა თჳსთა დაცვივიან და აღიარებენ: აჰა მყის ნამდვილვე ღმერთი არს თქუჱნ შორის არა თუ მხოლოდ სულებთა შინა, არამედ ყოველთად ყოველსა შინა წევრთა და ასოთა შინა თქუჱნთა და უფროსღა ჴელებთა შინა, რომლითა ძალგჳძლვათ შურის გება. და ფერჴებითა განრინება და ენითა ჴმაურობა. გარნა ყოველნივე ღვთისათჳს დაყდონებულ ჰყავთ, მსგავსად კრავისა მშჳდისა და ტრედისა უმანკოსა, აჰა, ესე არს მჴედრობა ქრისტეს შედგომილთი. და ძლევა პირველად თავისა თჳსისა. და ეშმაკისა და მზიურისა სოფლისა მოყუანა უღელს ქუჱშე სახარებისასა, სჳნიდისითა, ქრისტიანულისა ხარაკტირებისა მჩუჱნებელისაგან.

იგულვეთ სოფელი ესე მხოლო მაშინა გინა მიხანიკაა, რომლისა კერძონი და კერძოკნი თითოეულნი ყოვლად[7] არიან, გარნა ურთიერთისა წევრნი. რომელნი მხოლო ყოვლადია. ესერა გუამსა ჩუენსა მრავალ ბევრეულნი ასონი და ნაწილნი და ნაწილაკნი და წევრნი და წევრაკნი ქონან. გარნა ყოველნივე ყოვლადსა პირსა შეადრეგენ, ეგრეთუჱ მცირე სოფელი ე. ი. კაცი თითოეული განფენილნი დუბესა ბურთისა ზედა ყოვლადნი არიან. გარნა ბუნება მათ ყოველთა ერთბამად შემოკრებს ე. ი. ყოველნივე სიტყვიერ ცხოველებასა ქუჱშე, რომელნი ყოველნივე განსრულადისა საზრდელისა მოქენე არიან, და მათუჱ თანამდებ სიკუდილისა. და მოქენე ურთიერთისა შეწევნისა და, ვითარცა სურს ბრძენსა თავისა თჳსისა მდლევარი გამოზრდა დაცუად ცხოველობისა, ეგრეთუჱ უსწავლელსაცა, და ვითარცა სურის ერთსა ამოვნება და ფუფუნება და შუჱბა, ეგ-

რეთჳ მეორესა და უშორეს ყოველთავე ჩჩჳლთა მტირალთა სძი-სათჳს. და მიხრწნეულთა კვნესითა ნატიფი და საშუალთა ყოველ-თავე, მაშასადამე არსებებით განყოფილნი თითოეულნი ბუნებით ერთი და იგივე არიან, ე. ი. ვართ.

განსჭვრიტეთ სულიერ ძეო ჩემო, ზემო ყოველნივე ღვთისმე-ტყველურნი სიტყვანი და ფილოსოფიურნიცა თქჳნ სასმენელად შევხოტბე ე. ი. კაცი ესე სფრ რომელი მცჳლად სახლისა დაუტევა უმაღლესმან დედოფალ მარ. ასულმან დადიან კაც. აჰა, ესე დიდ ფრიად მტკივნეული მოვიდა ზამთრისა მათ სახლით საზაფხულოსა სახლსა ამას შინა აგარისასა, რომელი შეგასმენს წინაშე უმაღლესისა მამისდაჲსა თქჳნისა მრავალ ბევრეულ ვნებულებასა უთხრობს თა-ვისა თჳსისა სულისა განმწარებასა და ჴორცთა ჴელებთა შეთოკუასა გარდა ღამესა შინა განრომილმა თოკი უმსხოსი ოთხისა თითებისა თანა მოილო მოწამედ, რომელსა არა ვგონებ ესერეთსა წარმოებასა ჩამდვილად ამად, რომელ წინასწარ მოჩივარს შეიპყრობის ყური კჳხლა და მარცხენე, და დაიცჳმბის მეორე შესმენილისთჳს, რომ-ცა პირისპირ ორნივე ესე იგი შემასმენელი და შესმენილი. დაიყენე-ბოდნენ მსაჯულისაგან ღვთისმოშიშისა მონარხისაგან სალთო ფუცვთა აკრძალულსა, მოიხსენებდეს ორთავე სარჩელსა, და მერმე მიმყავრე-ბითა თითო თითოსაგან. და ეგრეთჳ მახლობელთა და შორიელთა მეცნავთა მათთა მოუწოდებდეს ორივე მჴრით. კეთილი მსახურთა კაცთა მოძღვარიანთა და გარეშეცა, კეთილად წამებულთა და თანა დამწრეთა, ანუ მახსოვართა გინა ხვაშიადურთ გამოძიებითა წიგნე-ბითა და წერილებითა. და ზეპირმოთხრობითაცა, რათა არა იქმნას უმართლოება, რომლითა ეგიპტე დაინთქა და იეროსალიმი ტყვეო-ბად წარვიდა და ბაბილოვანი სადგურ მჴეცთა იქმნა და მღამიობთა, და რომი დაკუეთებითა[7] დამდაბლდა, და იჳრიასა შინა ყოვლისა ქჳყნებისაგან შემოლტოლვილნი გააზნაურდენ. მამულისა შვილთა ზედა, ვითარცა თითოეულნი სქესნი[8], და გჳარნი სწამებენ თჳსსა შემოსლვასა დიდთა საჴელმწიფოებთა ქჳყნებთაგან და სამეფოებ-თაგან მუნ განდიდებასა თჳსსა დიდთა მათ უუეწინესსა ქჳყანასა შინა დატევნასა, რომელი უუმცირეკეს სოფლად შეირაცხების გი-ორგია საშუალ პონტოიისა და კასპიისა მდებარე მცირაკი წერტილი, პირისპირ მათ შემოსრულთა აზნაურებთა სახელმწიფოებსა, რომელი თჳსსა მამულებთა შინა დიდ სეფენი ყოფილან და აღურჩევიათ გლა-ხაკსა სოფელსა შინა შემოსლვა. და ჯერდებიან ნაცვლად დიდისა დიდებისა მცირეთა ხჳასტაგთა და დამონებულან ოდესმე აზიქთაგან დადგინებულსა, და ოდესმე თჳთ სომეხთაგანცა და ბერძენთაგან, რომელნი უკეთუ მართალ არიან ტყუილნი მათნი იგინი თჳსსა ბუ-

ხებით ქუეყნებსა შინა ჴელმწიფებისა მთავრებნი ყოფილან, და აწ
აღურჩევიესთ მცირაკისა მფლობელისა აზნაურება. იხილე ოდესმე
არა არს საჭირო უსამართლოება ვისდამე პირისა და პირთა მიმართ.
დალანამცა იწყებენ უმართლოებასა ე. ი. უსამართლოებასა თჳსთა-
თავთა ზედაცა ძენი უმეცრებისანი, რომელნი მხოლოდ სქესებითა
და გუარითა იქადიან. უკეთუმცა უწყდენ დიდ ფრიად სარცხვენელ
არს თავთა თჳსთა, რომელნი სახელებითა იქადიან დიდ ფრიად უბირ-
ნი სიბრძნისაგან და უუგლახაკესნი საქმეთაგან, და უფროსღა ხუას-
ტაკთაგან ესევე შეემთხვათ ებრაელთა და სახლსა ისრაელისა, იაკო-
ბისა, ლევისასა და იუდასსა და ათორთა მამათ მთავრებთასა დროსა
მესია ქრისტე ცხებულისასა, რომელნი იქადოდენ აბრაამისა ძეო-
ბასა, რომელთა მოსთხოვა უცხო მაცხოვარმან სქესისამებრ მათისა
საქმენი პატრიარხისა აბრაამისა. გარნა დაშთნენ შაბათისა უქმობასა
შინა და ზამთრისა უნაყოფოებასა შინაგან, ვიდრე მოდღეინდელად
დღემდე, ეგრეთვე უსწავლელნი აზნაურნი მეტალისა კარაულ არიან
ფილოსოფოსთა სჯისამებრ და მეცელნი მათნი უქმად მჭამელ მა-
მულისა შვილთა ცხელისა ოფლისა, რომელნი მრავალთა სახლებთა
შესჭამენ და დაგლახაკებასა განამრავლებენ მამულსა შინა და ცრემ-
ლნი ქვრივთა და ობოლთანი სძედ საგონებელ იქმნებიან უბირთა
აზნაურთაგან, და გოდება მამულისა ოხრთაი საკრავ სახიობად. და
მოხვეჭანი ველურისა შრომნებთა, და ვარდთა და იათა მოკრებად
ცილისწამებანი ფერჯულებისა სიმღერად, ბრალობანი, და მიზეზისა
პოვნანი, მტერთა ქალაქებისა გამოღებად. გუშაგნი და ტანჯუანი
სხუათი, სამხიარულო თეატრად, წადილისა და სურვილებისა დაჭინისა
და ბრუჟისა თჳსისა აღსრულება არისტოტელისა სიბრძნედ და უშუ-
ერნი გრობანი სოკრატისა სწავლად, ქილიკობანი და მზველაობანი
პლატონისა პერიპატიად და ასოებთა თჳსთა დამღერება და წადილნი
ფილოსოფიურ აღძრცვილ იდიაებად გონიეს უვიცსა უქმსა აზნაურ-
სა, რომელმან არა უწყოდეს მკედრობა მონარხისა დაცვად მამუ-
ლისა და საწერელი და სამსაჯულოსა ადგილებსა შინა სამსახური ეგ-
რეთვე სოფლური მუშაკობანი, რომელი არცა ზემოესა ხარისხით
იყოს მსახურ მამულისა და რაცაღა შავი მუშაკობა უწყოდეს ე. ი.
აგარაკებისა და არცაღა ხვასტაგისა განმრავლება ე. ი. პირუტყვებისა.
ესე ვითარსა აზნაურსა ზედა უმჯობეს არიან რუსეთის ბრძენნი ბრმა-
ნნი, რომელნი ჴელებითა წიგნებსა აღმოიკითხვენ და მუნჯნი, რო-
მელნი ყოვლადთა წიგნებთა გარდასწერენ, და კუტნი და ქუეშმძრო-
მნი და დაღრევკილნი, რომელნი სასკლატე მატყლებსა სწეწენ. სჩე-
ჩენ და თვისთა გამოზრდასა არა დაუმძიმებენ მამულსა, ვითარცა
იტყვის წერილნი ოფლითა პირისა შენისათა სჭამდეო პურსა.

დასასრულ მხოლოდ ლექსნი, და სიტყუანი არა განამართლებენ კაცსა, ბრძენსა, ანუ უბირსა, არამედ საქმენი კეთილნი აგვირგვინებენ, იხილეთ უკეთუ ესე შემასმენელი თქუჱნი სიტყვითა არს მართალ და საქმეებთაგან თჳსთა იყოს დიდ ფრიად მტყუან ესე შეირაცხების დედა ზარდლამრე, რომელი სულსა თჳსსა შეაქსოვს ღობისა ჩხირებთა სხუათა მოსანადირებელად, რომელი თვითუჱ ჯგაებმის თჳსსა ქსელსა შიგან და ესრეთ სიყმილისა ტანჯვითა მოკვდების.

სულიერო ძეო ჩემო აზნაურებითი უფლება და ჴელმწიფება არა არს ბოროტ მოფარდულება, ვითარცა თავი მოციქულთა მეტყველებს სულითა წმიდითა, არამედ მსახურება არს მამულისა და მდაბალთა და უძალოთა, და დავრდომილთა; რათამცა იგინი ჴმილვიდენ ებგურობითა თჳსითა, მოქალაქეთა და მეურნეობდენ კეთილ მნეობითა თჳსითა, რათამცა ღამესაცა შინა უძილოებითა თჳსითა განუსვენონ ძილითა მამულისა მოქალაქეთა და მაგალით და სახენი, და ხატნი, და იგავნი იყვნენ აზნაურნი თჳსისა მონარხისაგან დადგინებულნი მახჳლითა, ანუ საწერელითა დაცუად სალთო სჯულისა და სამოქალაქოჲსა. ამად, რომელ ერნი უთაონნი უბედურ იქმნებიან, უკეთუ არა აქვნდეს მწყემსი და მის მიერ მწყემსნი კეთილნი. იხილეთ უკეთუ მცუჱლთა, მნეთა, და მეურნეთა არა აღზარდონ კრავნი და მუცელქმნულთა არა აღურჩიონ მშვიდობითი საძოვარნი, და ჩრდილნი. და არა უკუნ აქციონ მგელნი, არა მოსცემენ პატრონობით სახელისა მექონსა სძეთა და მატყლთა, ანუ ბოროტ მმუფლებითა, ორვსის გასარისკნი ერთსა წელსა შინა ათორგზის ყოველთა თთუჱბთა განრისოს, შეეჴდების კანი და გარსნი და ტყავიცა და ესრეთიცა ბოროტ მოფარდულობითა, ცხოვარნი წელსა შინა ერთგზის შემკრები კალოსა ზედა სისხლითა, ოფლისა თჳსისა, ათორმეტ გზის აფორიაქებული მტრულად, ანუ მამის ნაცლურად, გინა დედის ნაცლურად, გინა მედროულად, მაშინ უკანასკნელისა სიმწარითა ღაღად ჰყოფს მცხოვარი და სულთქმა იგი შიიწევის ყურთა მიმართ საბაოთისათა, ვითარცა მეტყველებს ძმა უფლისა იაკობ და ელოვა ელიო ადონაი, რომლისა ჴელთა შინა იპყრობის გული სალთო ცხებულისა განაღვიძებს მას დიდ ფრიად ძლიერად და ჴელითა მისითა ჰყოფს მსჯავრსა ფიცხელსა და მიაგებს უპატიო ჭურჭელსა პატიჟსა მწარესა, რათა ეშინოდესთ სხუათა და ესრეთ განარინებს ჴელისაგან ძლიერისა ჴელებითა თჳსითა უძლურთა და განათავისუფლებს მცხოვართა ნახევარ მკუდართა და მიანიჭებს კეთილდღეობასა, ხოლო ხუაშიადურად ბოროტის მოქმედთა, თჳთ ღმერთი მამა მიაგებს მსჯავრსა უსაშუალოდ სნეულებასა ფეხებითგან თხემამდე და ამოფხვრასა მემკვიდრეობისასა და სიმწარესა და ჰრტინვასა და წრტი-

ალსა და ჭუილსა და კეეშანსა და ყოველთა დღესასწაულებთა შე-
უცვლის ·გლოვად და მოუქცეველთა ჯოჯოხეთსა შინა ალუხელს თუალებსა დაუსრულებელ ტანჯუად. აჰა, ნაყოფნი უსამართლობისასი ესენი არიან, და უფროსღა მრავალბევრეულნი უბევრეულეს ქჳიშათა და რქათა ვენაკებისათა და ვარსკვლავებთა ცისათა, რომელნი ოთხმეოცისა წლისა მეცლისთჳს საუკუნოსა ღმერთ მამისა სახიერისა ხილვასა გასცვლიან უბადრუკნი:

ხოლო თქუჱნ გრიდოს მართალთა მოყუარემან და ცოდვილთა მწყალობელმან რომელ თქუჱნ ჯერეთ ყრმა ხართ ოცსა წელსა ქუჱშე, რომელსა გქონან სწავლანი და სიბრძენი ოცდა ათისა წლისა შკოლურნი, რომელი ბუნებასა ბრიყვსა აკეთილებს, და ალავსებს ტალანტებითა და მოჩანან პატიოსნებანი თქუჱნნი უფროს მოხუცებულისსა.

მოიხსენეთ ჩემ მოძღვრისა მკდოვანისა, უკეთუ მივიღეს სჯულითა ებრეელთა შვილნი და წარმართთა და მწუალებლებთიცა ქრისტიანე ყოფად საუკუნო ცხოვრებისათჳს აჰა პირუჱლად კათაკმეველად ვყოფთ ვითარცა უწყით თუ რაოდენნი მარწმუნეს უწმიდესმან სინოდმან მონარხისა ბრძანებითა ეს იგინი კათაკმეველ ვყავ ე. ი. კატეხიზმოსა მოწაფედ, რომელთა ვასწავლე სჯული. და მადლისა სარწმუნოება, და თანავე სათნოება ღვთისა და ზნეობა და პატიოსნება საქმითხი, რომელთა შემდგომად ნათელვეც ვითარცა ბრძანებს ალძოსავლური დედა ჩუჱნი ბერძენთ ქართუჱლთ კათოლიკე და აჰა, არიან წევრნი ეკკლესიისანი ძმაჲ და დაჲ ჩუჱნდა, ეგრეთუჱ ეკკლესიურ შენიშვნითა, აჰა, ესერა პირუჱლად საჭიროთა უუსაჭიროესი არს, რათამცა აზნაურნი და თავადნი და მთავარნი და უგანათლებულესნი პირუჱლად იქმნენ ბრძენ და უფროსღა პატიოსან უტყუელისა საქმეებითა. და მერმე აზნაურაჲ თავად, და მთავრად და მთავრაჲ და უგანათლებულესად, რომელნი თჳსითა სქესებთა დააგვირგვინებენ თითოეულნი უპირუჱლესნი წევრნი მამულისანი.

იცულვეთ უგანათლებულესი სიბრძნითა და პატიოსნებითა უაღმატებულესობდეს, ეგრეთუჱ მაღალბრწყინვალენი და ბრწყინვალენი სიბრძნითა და პატიოსნებითა უნდარე ბრწყინვიდენ და არა მზითა, და სანთლითა, აზნაურნი ეგ საბედუჱ სიბრძნითა და პატიოსნებითა ჯერ არს კეთილობა, გარნა შობა და სიკუდილი ერთი და იგივე არიან ყოველთათჳს, და სიბრძნე და პატიოსნება სამისა წლითგან საძიებელნი არიან, და რომელნი არა იქონებენ მას ემსგავსებიან ბნელსა მამულისა ჩუჱნისა დიმიტრისა, რომელსა შემდგომადცა სიკუდილისა საყვირალ შეუდგა უვუნურებითნი საქმენი თჳსნი, და უპატიობა მიხრწნეულ პაში ცოცხლივე გარემოეხვია, ვითარცა საბელი

ცოდვა, და განეხსნენ ეკალნი სიმწარისა ცოდვანივე და უფროსღა ენასა შინა, რომლითა კეთილის მყოფელს მაღულსა თვისსა ორგზის იშობელსა ავივა ზოზლებით, მსგავსად ნერონისა დამწუნებელმან დედისა, ამანცა დაიწუნა უფსაყვარლესი მამული ჩუენი, რომელი წმიდათა მოწამეთა ძვლებთაგან სავსე არს თვთ უწენნიცა სპარსთაგან ქრისტესთვს მოწყვეტილებთაგან და ესრეთ ეკალ განსხმულითა ენითა აღმოხოცბა მშვიდვიერი სული თვსი და დაიძინა სიკუდილითა ერთითა, და იქმნა სახლი მისი ეროლისა საბალახე, რომლისა სახელი ნახევარ საუკუნომდე ეწოდების მიწასა, რომლისა ძუალნიცა ასფალატ იქმნების. გარნა კრავმან მან უმანკომან, რომელმან უსჯულოებასა და ულმობოებასა სოფლისასა და ჩუენსა გარდარია წყალობა თვსი და აღიხვნა ცოდვანი ჩუენნი ღლესა შინა სამეოცდაათ შვიდგზის შემცოდეთახი. მან სახიერმან დასძლოს სჯასა თვსსა უკანასკნელი, რომელი კნინღა და კაცობრივისა ქუემო ბუნებითა განსჯის ცხოველთა, და მკუდართა. მან მსაჯულმან, რომელი დიდსა განსაცდელსა შინა მიეცემულია სოფელსა წყევასა შინა ღვთისასა გამოგვიჩნდა მაცხოვრად და მაკურთხეველად. მან განუსვენოს ზემოხსენებულსა, რამეთუ საუკუნო წარწყმედისათვს წარმართნ-ცა შესაწყალ არიან.

ლოცვის მლოცუელი მოძღვარი მ. მ. იონა მღდლოვანი.  
ივნისის 13  
1825 წელსა.

**№ 38**

**1825 წლის ივნისის 22-ის წერილი იონა ხელაშვილისა იგმ-სადმი**

სულიერო ძეო ჩემო ი. გ. მ. ქრისტე ღუთისა მიერ, სამრავალ ლოცუა კურთხევას გძღვნი. მრჩობლ ცხოვრებისა შენისა დაცუად. ორთა შავათ არსებათა მეფისა და ქალაქისა, რომელ არიან სული და ჴორცი, რათამცა კეთილად საზრობდე მომფრდელთა სიბრძნისა და პატიოსნებისა.

კეთილ სულიერო ძეო ჩემო თანამექუსნეო, თუმცაღა არამემხოლეო. აჰა შენი ავთრათი კაბადონი მოვიღე მარიალა თთუესა 2 სა ღიდისა პეტრეს ქალაქით ე. ი. სანკტპეტერბურღით დაბასა შინა, ე. ი. ცარსკის სელოსა შინა, რომელი მიცხადებს ჩემდამო შენსა დიდ ფრიად უგუნურთადესა მაღლობასა, ამბორებასა, კეთილმიდრეკილებასა და უმეტეს ხოტბა ქებასა, რომელთათვს გმადლობ ნაცუალგებითად, გარნა ჩემნი მცირაკნი ღუაწლნი რაიმენი უუკნინესნი შენ ზედა არა არიან ჩემნი, არამედ საღვთოისა ძალთა მაარსისა არიან, რომლისაგან

ვარ და რომლის მიერ ვმოძრაობ და რომლისა შორის ვიცუჩბი ზე-
გარდამო, ეგრეთუჩ ანგელოსი მის მაღლისა მცუჩლად მოვლინებულ
მმართებლობს ნებასა იელოვა ადონაისსა, 6.

მე მხოლოდ უნებელი თანამაბს ძნელობა სულითა ჯორცთა ჩე-
მოთა ზედა და მეურნეობა სულისავე გულისკმისყოფითა ხჳასტაგთა
ჩემთა ზედა მმუფლება შეკრებად ზენა საუნჯესა შინა უხრწნელისა
ცხოვრებისა, მაშასადამე ჩემდამი ლოცჳა შენი უმჯობეს არს, ვი-
დრელა ლექსნი და სიტყჳანი მელნითა და ქარტითა წარმოგზავნილნი.
გარნა არა ჰგონს უმადლოება ჩემი შენდამო სულო კეთილო სწა-
ვლაებთა მიმფრდელო. ნუ იყოფინ, მე უმეტეს განმისჳჩნებ წარმა-
ტებითა შერითა ე. ი. ასაკითა და სიბრძნითა.

ესერა ვიწყებ შენსა მხილებასა, წჳრთასა, ტუქჳსასა, კნინლა და-
კჳჩდრებასცა წიგნითაეი წიგნითავე შენითა, რომელი ზემო მადლო-
ბაებისა შემდგომად შენსა ურვეულებასა ე. ი. სულისა შენისა შესლბ-
ობასა. შესუსტებასა, შეჭრებასა, უთმინოებასა, სულმოკლებასა, შე-
რყევასა, შემკრავსა ამბოხებასა, განფიცხებასა, განრისხებასა და კნინლა
დაკჳჩთებასა გონებისა შენისასა აღმღვრევასა გულისკმისყოფისა შენი-
სასა, სიბნელესა განსჯისასა შერევნილებასა ნებისასა და დარღჳჩვასა
მფლობელობისასა ე. ი. თავისუფლებისასა და გარემოქცევასა სურვი-
ლისა შენისასა და მეჴსიერებისა შენის განისლიანებასა და ტრფობასა
კჳამლიერსა და გამოხატჳავებთა შენთა ლანტურად[1] იაპოკენტავრუ-
ლად სიზმრულად გამოცანაურად.

იხილე ხჳაშიადურსა ავთრათსა შენსა ჩემდამო წარმოცემულსა
უმთავრესისა სულისა შენისა სანთელი არა რაჲ აქუნ, არამედ უპ-
ყრიეს ტაროსი ბორბალ ქარისა, რომელი შჳჩნიერებასა შეგნებულე-
ბისასა შემუსრავს და მიმოდაყრილ ჰყოფს ნივთებთა საიშივეთოთა,
ეგრეთუჩ შემუსრავს ძირითურთ ნერგებთა, ნერჩებსა და ძირებსა.
ეგრეთუჩ უპყრიეს ელჳანი, რომელი ყჳავილთა ორძილთასა დააბერ-
წყებს და სიტყჳანი, რომელნიცა ნაყოფებთა მოსავალთასა დარეგჳავს
და ქუხილნი, რომელნი გულებსა შეაძრწუნებს. და დასწუავს შან-
თითა თვსითა ცეცხლოურითა. რომელთაცა დაეცეს. ეს სახედუჩ ბნე-
ლი უკუნი წყვდიადნი, რომელნი ხჳამალდებთა და ნავებთა და მოგ-
ზაურობთა შეაცთუნებს და ალმურნი ორთქლნი, რომელნი მშვენვათა
დაუხშავს ცხოველებსა და ძრვანი, რომელნი დაარღჳჩვს ქალაქებსა
და ღადონი ზღვსანი, რომელნი ზვრთებითა თვსითა ეკჳჩთებიან ზღჳ-
ათა ზედა მცურვალთა და დაანთქმენ მავალთა.

აჰა, აღმოვიკითხე რა ავთრათი შენი, რომელი იჩჳჩნებს სულსა
შენსა ზედა გაუფლებასა ხუთთა გრძნობაებთა, და უფროსღა მცრა-
კისა გულისასა, რომელ არს ნაკჳჩთი გჳამისა, რომელი ფრიადისა სი-

სხლის აღელჳჱბითა აზზრიალებულ არს და ნაღჳჱლი შემოხჳჱვიეს და თელგამი სიცოცხლის ნოტიონი შერკინებიეს და ფირტჳცა აღუ-ფრთაებიეს და ნაწლევნი აღურევიეს და ორთქლნი კჳამლიერნი ტჳნი-სათჳს შეჳრკინებიეს, და საგრძნობელი ხუთნივე შეურევნიეს, და ესე ვითარისა შინნეულისა ამბოხებითა ჴელნი შენნი აღუძრწოლებიეს, რო-მლითა ტრიქონნი თჳსსა მწკრივეზსა ზედა არა არიან დატჳფრულ და ლაეპხი, მოხვარჳსილ მიბრუნდომიბრუნდებულ არიან, და ერთპამად ალ-ფავიტა ანბანნი არა არიან. ნიშატიან არცაღა ღრამმატიკისა წესნი უპ-ყრიეთ და პროსოდიანნი არა რაჲმენი ჰქონან თხზულსა ამას შენსა, არა-მედ მსგავს არიან აღნაქჳსნი ესე ახალ მოსწავლისა ექჳსისა წლისა წინველისას, რამეთუ არა რაჲ იკანკლედი აქვს რჳათა ნაწილისა და უშორეს.

ეგრეთჳჱ ბუნებითი რიტორებისაცა ტმასნება. გალანამცა არარაჲ ჰქონან დაქსულთა ამათ. ეგ სახედჳჱ აზმნობანი ბუნებითი მეტყჳჱლე-ბისანი არცაღათუ კჳალნი იხილვებიან, ანუ ისტორიულნი ბუნებითვე მოთხრობისა შემღურეულია და შერეულ, ვითარცა მტჳჱრითა იფქვლ-ნი საცერთაგანცა ძნიადღა გასარჩევი, რომელსა არსება მეტაფიზიკურსი არარაჲ ჰქონან ამად, რომელ არა არს ყოვლადი, არცაღა კერძონი, და კჳალნი არსთანი. არამედ მღვრებად დაწვლილებულ არიან ცუდთა ფისიკისთა მსგავსად, და დაკოდილ ლექსნი ახალთა ენებისა მოსწა-ვლეთა მსგავსად. ესრეთი ბრუნვანი ქონან, რომელ პირი არსება ზმნე-ბისა ზედად იხილვებიან და კავშირნი შორისდებულად. და ნაცჳალ-სახელნი თანდებულად, და ზედშესრულნი ზმნებად, და ყოველნი ლე-ქსნი მკელობელ და ბრჯგუ. და ბრმა არიან, და უაზმნო, დასასრულ ბგერა ისმიან, ისმიან, მსგავსად ერთისა წლისა ჩჩვილისა, რო-მელი მამასა უწოდდეს დედად და დედასა პურად და ძესა წყალად. ანუ რომელი ისწავებდეს ოთხმეოცისა წელსა შინა მიწევნილი, ახალ მოსრული სომეხი ჯულითგან ქართულსა და ესრეთ უცუდესად მეტ-ყჳჱლებდეს ლექსებისა მტჳრეველი, რომელი კნინღა და თავსა თჳსსა აგიებდეს და აგინებდეს შჳჱნიერ ისტორიად წმიდა გრიგორი სომეხთა განმანათლებელისასა ანუ კავკასიისა ახალნი შთამოსრულნი დუბესა ზედა, რომელნი შერევენ ნაცჳალ სახელებსა და ზმნათა მესამისა პი-რთასა იტყჳან პირველ პირისად ანუ მეორე პირებისად და რიცხჳჱ-ბთა მხოლოსა მრავლობითსა და მრჩობლთა მხოლოდბითად.

იხილე, შეგთხოვ, რათამცა იგულვო კიდონტნი ქჳჱმონი, აჰა სული უმეცრისა, უბირისა, უვიცისა ესრეთ ყუარობს ქალაქსა თჳსსა ე. ი. ჴორცთა თჳსთა, რომელი ჴორცთა თჳსთა სასარგებლოთა მოთმინე-ბათა სწავლათა წვრთათა ტუქსათა, შერისხჳასა ყჳჱდრებასა და კე-

თილმოსაგებლებთა და სწავლათა გვირგვინიანთა მირიდებს და მიუშვებს ქინსა ზედა კორცთა ბრუესა წადილებთა, მცონარებათა, მოწყინებათა, ზარმაცობათა, უგუნურებათა, ბალანგრობათა, ცმაგუათა მოზოპვითა ტარტაროთა, ფლიდობათა, ტრედობათა, ლიზღობათა ლაღობათა, ქილიქობათა მზუწლაობათა მზაკუვრებათა, თავხარათა, ძმაცუათა დრანჯუათა ლირწებათა, სილოდანთა. ლაციცობათა, მეკობრობათა, ავაზაკობათა, გვრიობათა, ორგულებათა, უმადლობათა, გულფიცხელობათა, როსკიპობათა, კაპასობათა, დენთობათა, ე. ი. მძვნვარებათა ზედა და უბევრეულესთა ვნებაებათა ზედა მიუშვებს სული თჳსისა კორცისა მოთნე და ერთბამად გარდარეკს და გარდამატებს ლომთა მძვნვარებასა ზედა მგელთა მტაცებლობათა ზედა. აქლემთა გულისწყრომათა ზედა, ღორთა წუმპებათა ზედა, ძაღლთა ნაყროვანებათა ზედა, თხათა ეშმაკობასა ზედა, გუწლთა მზერათა ზედა, მელთა მცბიერებათა ზედა, არწივთა განმზორვათა ზედა, ქორთა მიტევებათა ზედა, ძერათა დაცემათა ზედა ბრანგუთა ბორგვათა ზედა, და ერთბამად ყოველთა პირუტყუწბთა ზედა უსაძაგლეს ყოფს, ცხენთა ქვვილისა მსგავსებითა და ფარშავანგთა ამპარტავნებათა ზედა, იხილე საღთო წერილნი და მრთელ გულისჴმიერი ფილოსოფია, რომელ ესე ესრეთ არს და ეგრეთ წეწე.

ეგ სახედუწ სული დაჩაგრული და გაუდიერებული თჳსისა კორცისაგან და დაჯობნილი იქმნების ფიზმაკურ მოძულე და გაუწყობელ მოყუასთა და მახლობელთა ზედა და შორიელებთაცა უმეტეს გარე მიაქცევს ცუდ ბოროტ ამოვნებითა კორცი ავზნე. რომელსა ეყუარების მხოლოდ თჳსი წადილნი ბრუენი და ოჩოპინტრობა, და უკეთუ ასწავის ვინმე ღვთისმოყუარემან ვნებაემისა მოკუწთა და მარცხულ მიდრეკილებისა და დააბრკოლოს კაცთა სიძულილისაგან და მეცილღმერთაობისაგან, ენოვნებისა, თუალებ ბოროტებისა, კელებ მიანცარებისა. ფერხებ მიმოკუწთებისა და პენებისა შვილთა ასიკუდინოებთა შინა, ყურებ მიდრეკილებისა, და მორისა და ივისა მძუნაობისაგან, მაშინ იყის გასულფუების სული ეგუწური მიმშვები თჳსისა კორცებისა თვთოეულნი ასონი და წევრნი და ნაწილნი და ერთბამად ყოვლადისა მიმპართებელი უალვიროდ, ზემოხსენებულებთა უმრავლესთან ვნებაებთასა. ზედა ამათ თქვა საღთო წერილმან მწვანვიერ ჰყოფა ღვრეშთა, კაცთა უგლიმთა და უსვინდისოთა. რომელნი თვსთა ვნებაებთა დამონებულ არიან მამონაი. ხოლო მე ვიტყვი ზემო ყოველნივე მე მხოლოდ სახელვილად დაგიმეცვე კორცთა წადილებთა აღმასრულებლებთი ნაყოფნი, რომელსა იქმონენ ტოზიკელნი და სხვაარა ეზიარებენ თჳსთასა. უკეთუ გასკამკოთონ აღმოსავლური მწერო ვინმე სწავლეებისაგან. ეგერა სწავლანი წინარე გიდგს ტრაპეზად ნა-

ტიფნი ნადიმნი სკრნი. იგემე გოლნი დამანანა და მანდრაგორი კეთილშობილებისა. აჰა კაცი პირუჵლად საჭირო არს, რათამცა იყოს სწავლულ და უმეტეს პატიოსან, რომლითა იქმნების უმეტეს ჴორცითარე აზნაურისა თავადისა და ეგე ვითართა უსწავლელთა და უპატიოთა, რამეთუ სწავლანი და პატიოსნებანი აზნაურებენ ემბაზისა შვილად და ჰყოფენ ბრწყინვალედ, რომელ კაცისა უსწავლელისა სახელი მოკუდების თჳსთა ჴორცთა გაციებისა შემდგომად. ხოლო სწავლულისა ეგების ნათესავითი ნათესავადმდე ვითარცა პეტრიწისა, აშოთან ე. ი. შოთა რუსთაველისა და სხუათი, და ჩვენთა საუკუნესა შინა ანტონი კათალიკოზისა და გაიოზისა და ბატონიშვილისა და კნინღა დავით რექტორისაცა ეგების ზემოთთანა.

აჰა განსჭვრიტე სწავლანი კაცისანი ე. ი. ბრძენნი მჴეცებსა სწვრთიან და პირუტყუჵბთა და მფრინველებთა. იხილე უნენი ცხენნი რუსეთის მჴედრობისა და პირუტყუნი იტალიისანი მტაცებელნი, ე. ი. მოთამაშენი. უმეტეს აზიურთა სიტყვერთა და მფრინველნი და ზორაყნი[1] მოლაპარაკენი, და ირემნი მჴვნელნი და ძაღლნი წიგნებისა წარმდებნი და მომტანნი. და ბრ[illegible]ანი წიგნებისა მკითხუელნი და მუნჯნი წიგნებისა მწერალნი და პანტანომიათი მოლაპარაკენი ე. ი. ჴელებითა და თითებითა.

სული განათლებული სწავლაებითა პირველად თჳსისა ქალაქისა გრძნობაებთა დამწყის იძულებით დამმორჩილებელი და დამმონებელი თჳსისა გუამისა, რათა თუალებითა ღამესა შინა სჭურეტდეს მთოვარესა და ვარსკულავებსა ცთომილებთა და შორიელთა. დღისი მზესა და ყოველთა ჴმელთა და ორძილებთა და არსება ბუნებათა მათთა და ცხოველებთა და თჳსებათა მათთა ლითონთა და ნიშატებთა მათთა. და ესრეთ განიცდიდეს დიდსა დიდებასა ღუთისასა, რამეთუ ბრძენი ეშძელითაცა ადიდებს ღმერთსა, ხოლო უსწავლელი მაისის ყუავილებისა ხილვითა უგუნურებს ვერა მგრძნობელი იეცემციაებთა მათთა ე. ი. მღვირებთა სიწვლილეთა ანუ წაქათა თჳსებათა მათთა.

სწავლა სულსა დაამშვიდებს და ჴორცთა დააწყნარებს. და დაალბილებს. და ერევის ვნებაებათა მარცხულთა და მზეციერთა და ველურთა კაცებთათანა განისვენებს, რომელი ღონისძიებითა შეაცურებს თავსა თჳსსა ბარბაროზთაცა. აჰა ამერიკისა მპოვნელნი არიან მოწამედ ჩემისა შენთან მოთხრობისა ე. ი. იგი სიბრძნისა ძალისა, რომელ ბრძენი მშვიდ და მდაბალ და სათნო ექმნების მარჯუნ გარემოთან თჳსთა, და უფროსღა წარიკითხე ეფისტოლე წ. მოციქულისა, რომელი გუასწავებს ურიათა თანა ურიაობასა არა ბუნებითად, არამედ სიმდაბლით წარმმართთა თანა წარმართქმნასა არა მიდევნებითარე, არა-

მედ სიმშჳდითა, უძლურთა თანა უძლურებასა ე. ი. უწიგნოთა კაცთა თანა მყუდროებასა და უგუნურთა თანა დუმილსა ჟამჟამ სუსტთა თანა გონებითა არა სისუსტესა, არამედ მდაბალ მეტყუელებასა ფიცხთა თანა სიმშჳდესა, ბალანგართას თანა დაყდონებასა მუნ წმიდათა თანა არა უხვებასა.

მოლხინეთა თანა კრძალულებასა მწუხარეთა თანა მწუხარებასა, მტირალთა თანა ტირილსა, უქმისა თანა სიმხნისა ჩუენებასა, გლახაკთა თანა შეწევნასა, ჭირვეულისა თანა გულის შეტკივასა, მრისხანეთა თანა აღუშფოთებლობა, მოლალისა თანა აუყოლელობა, მაყუედრებელისათანა ყურებისა დაყოფა, მწყევარისათანა კურთხევა. პატივისა დამაკლებელისათანა ცივად შერაცხუა და დასწრობა ამბორებისა. მტერისათანა სიყუარულისა ჩუენება, მიმხვეჭისა თანა დაფარუა თჳსისა ხუასტაგებისა, მოშურნისათანა სიუხვე სულისა, შემასმენელისა არარაჲსა მიზეზებისა მიცემა დასასრულ ქება ვაშა, ვაშა ე. ი. კეთილ კეთილი ითქმის მისდამი ვინცა ცხრანეტარებითა მოთმინეობს ცხრა გზის ნეტარ იქმნების განაღა მხოლოდ კაცთაგან ბრძენთა, არამედ ღვთისაგან მამისა მოწყალისა სახიერისა მართლმსაჯულისა სასყიდლის მომნიჭებელისაგან, რომელი ცხრათა ძალთაგან დაუცხრომლად წმიდასა არსობით იგალობების, ეგრეთვე ცხრათა ნეტარებისა. მოთმინებითა გჳრგჳნოსანი ათთა მცნებათა აღმასრულებელ ადვილ შეძლებით იქმნების, და ათორთა სიმვოლოთა და ათთა ნაყოფთა სულისათა, რომლისათჳს ცაჲ იქმნების სავანედ, და ქუეყანა სთრგუნვად ფერხთა ქუეშე სახარებითი მშვიდობასა შინა, ამად სთქუა სალთო წერილმან, უკეთუ მმუფლებელთა დიდად მიიღონ ტანჯვითა სხუათათა, არა ემატების და უკეთუ დაქეჯნილთა მცირედ მიიღონ არარაჲ დააკლდებისთ. მოესაგან არამედ დაკლებულნი ყოველნივე ერთბამად შეუსრულდებისთ, მზესა ქუეშე დაკლებულთა, რამეთუ არა არს სოფელი ესე სრულ მხოლოდ იელოვა არს სრულ და შემყუარებელნი მისნი ოდენ.

იხილვ იოანე ქალწულ მახარებელ ღუთისმეტყუელ მკერდსა მიყრდნობილი, ესრეთ განფიცხნა სამარიტელთა დაბასა ზედა, რომელმან ითხოვა ცეცხლისა გარდამოსულვა ცოდვილთა ზედა, გარნა სახიერი შერისხდა და რქუა მას გინა მათ არა უწყითა, რომლისა სულისანი ხართო. რათა არა იყოსო ეგრეთ ამად ასწავა არხერმან სულისა წმიდისა სიბრძნე და იქმნა მდაბალ, მშვიდ მყუდრო თავისმდებ გინებათა, ყუედრებათა და გუემათა, რომლითა მხილველნი თჳსადმი მიითრია და ყოველნივე ღვთისა მიგუარნა. ეგრეთვე ილია თეზბიტელი განფიცხნა და ვერღარა იხილა ღმერთი სასტიკსა ქართა შინა მძაფრ ძურათა შინა ქუეყანისასა, ძლიერსა მოტყინარესა შინა.

რომელმან გრძნო თვისი განრისხნება, და დაიფარა ხალენითა პირი თვისი და დამშვიდდა. და აჰა უფალი დიდებული ეჩვენა ნიავ წვლილსა შინა ე. ი. შვიდობასა შინა, რომელსა მოეგება უნე ცეცხლისა, ეტლითურთ და ალიყუანა ცად, რომელი მოსრულად არს. მაშინ ოდენ ოდეს უბადრუკი განდგნენ წმიდისა ეკკლესიისაგან. იხილე რასა ეტყოდა ბრძანება წმიდა თეზბიტელსა. აჰა შვდი ათასი მამაკაცი მყუანან, რომელნი არა მიმდრეკ არიან მუჴლებთა თვისთა ბაალ კერპისადმი უგრძნობისა, არამედ სიმდაბლითა და სიმშვიდითა და მოთმინებითა ცხოვრებენ ურჯუკებთა საშუალ, რომელნი ივნებენ სხუათაგან. და არა ღაღადებენ. მახილობითა მოუთმენლობისათა: ამად უწყნი სათანადო სარწმუნოებისა და ღირსა საუკუნოჲსა სუფევისა განსჭურეტენ მეტალთა ე. ი. ოქროთა, რომელნი რაოდენ გზის შესცვდნენ ცეცხლსა შინა და გვრდემლებთა ზედა კუჱრებ დაკრულ იქმნენ უმეტეს გამობრძმედებიან და უკეთილეს გამოქანდაკდებიან. ამად უმეტესი სიმტკიცე აქვთ და უბევრეულესნი ფასნი, ვიდრეღა სხუათა ლითონებთა. ეგრეთ შვენიან მოსწავლესა, რომლისა ბრძმედი შკოლაა და გვრდემლნი თვსნი მოთმინებანი. დასასრულ, არა შერაცხო ზემოწერილნი შენდა ქირდუად, ელვად და ყვედრებად.

აჰა, მე კალმითა ვიამოვნე. და შენ ეკალთაგანცა მოჰკრიფე ვარდნი. და ტკბილთაგან გოლნი. უუსაყუარლესო სულიერო ძეო ჩემო, აჰა იქონიე მიჰვრიტანად თქმულნი ჩემ მკდოვანისა, რომელმან მოგიწერენ ყუავილნი მწვერვალნი წაქა ტვინნი და ძარღვნი წერილებთანი და მოგიძღუანე ჭარკედ სიბრძნისა. რათა ესეცა პირველთა თანა გადიწერო და გაქუნდეს ცხოვრებისა შენისა ისტორიისა თანა შთაწერილ და ნაცულად ჩემსა ვინ უწყის ჭახისა სახედ გაქუნდეს დაგეხსენო დროსა მიმკლავნებისასა და გეხსენებოდე ლოცუათა შინა შენთა ვინ უწყის ვსცხონდე და ღუთისა ნეტარეული. და ცოცხლებდინ კეთილ მონაო ღუთისაო სათნოდ მაღლისა შენი მლოცველი იონა, ხუცესმონოზონი ვგიე უუმწვერვალესსა სიყუარულსა შინა შენდამო სულითა გულითადი წელსა 1825 თთუჱსა მარიალა ივნისის 22.

გუცდრი მომცემდე მიზეზსა კეთილსა და მეცა მოგიზღუანებ წერილოა. რათა დაშთეს ყდებთა შინა და მომავალნი ნათესავნი იკითხვიდენ, ვინ უწყის ისარგებლონ ლექსებისა სწავლებითა მაშინცა. რომელთა არლა კმარობენ და ნაცულად მათსა არაბულთა, თურქულთა, სპარსულთა და სომხურთა ჰგონობენ თვისად, რათა დაკამკამდეს ენისა ლექსები, ამად ვკმარობ ლექსიკონისა ლექსებთა.

ადამ ღირსიაშვილისაგან გარდაიწერა ესე ავთრათი წელსა 1825 თთუჱსა, აგვისტოს 1.

## № 29

### (1824—27 წწ.) წერილი ი. ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ უფალო დოდოევ!

ქრისტჱ ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლებ თქუჱნდამო.

აჰა, ესერა კეთილმნებებელობასა ჩემსა სულგრძელებითურთ წა-რმოვწერ თქუჱნდამო სმენად და ხილვადცა. რათამცა დაშთეს[1] ქუჱყანასა ზედა, კეთილთა კაცთა აღმოკითხვად, რათამცა მარცხულნი[2] მიდრიკონ[3] მარჯულ[4]. რაოდენ სწავლითა ეგოდენ მხილებითაცა პირის-პირებრ ეგ სახედვე ქუჱლი საქმითაცა დროისაებრ და ადგილისა და გარემოებისა რაიმცა საგანი ანითგან დაწყებული შესრულდეს მ-ოემდე. მიბიჯებითა მოყვანად წინაშე ღვთისა. კაცად კაცადისა სარწმუნოებითა სჯულითა სწავლისათა დღსომ ქალაქსაცა განათლებითა. რათამცა წევრ მამულისა იყვნენ სიყვარულითა ღვთისა და მამულისათა, რამეთუ ესე არს ნება ღვთისა ცხებულისა მისისა.

აჰა, მე ძალისაებრ ჩემისა და უაღრესცა ვიმსახურებ აქარე დიდსა პეტრეს ქალაქსა შინა მოსრულთა ზედა, ვიღწვი დიდ ფრიად, არა მომხედვი თვალთ ღებითა პირებთა მაღალთა გინა მდაბალთა. ანუ ქართუჱლთა. და სომეხთა და რუსთა განყოფად კაცობრიობისაგან და არსება ბუნებისა. არამედ რომელთაცა უმეტესთ უსაჭიროება ექმნებისთ მათ უმეტეს ვმსახურებ სწავლითა და წარსაგებლებითაცა რათამცა მისცენ მადლობა ყველათა ღმერთ მამასა და მსახურონ მამულსა და იხარებდენ განრასვალმდე და მათცა გარდასცენ კეთილნი სიტყვთა და საქმითა მკლოვანთა ზედა მამულისათა და განმრავლდეს სიყვარულითა ღვთისათა სიყვარულიცა ურთიერთისა. ხოლო მე მიხსენებდენ ნეტარხსენებისა განსუჱნებითა. რათა იგინიცა შემდგომთაგან მოიხსენებდენ ნეტარულად.

დასასრულ, იხილეთ ერთსა ჰაბუკთაგანსა მივეც ხელი საგნისაისისა შეერთებად სასწავლებლებთა შინა მოსრულსა ივერიითგან, რომელსა ვამცენ პირუჱლადვე მორჩილება ღვთისა ლოცვითა და მარხვებითა. მეორედ სლვა ეკკლესიასა შინა. რათა ენასა თჳსსა ზედა ისმინოს და სწავლება ღვთისმსახურთა დღეებთა შინა და კჳრიაკესა. მესამედ ყოველსა დღესა კლასებსა შინა სლვა. მეოთხედ არა ვისადმი ამაო გუჱმებისადმი დაახლოება ფისიერებისა. მეხუთედ დუმილით დამორჩილება მასწავლებლებთა და უფროსთა და სახლეულთა შორის არა ვისადმი უბარად დადგომა უხავსა, ლოცვათა, მარხვათა და

კეთილთა საქმეთა გარე მიაქცევს მართლ მსაჯული შემოქმედი. მეექუსედ არა განრისხება კეთილ მოქმედთა თჳსთა ზედა. და არცაღა დაშალვა. გულსა შინა თჳსსა ძჳრის ჰყოფად სხვათადმი სიტყჳთ და საქმით, ხოლო უკანასკნელ მეშჳდე მცნება ჩემი მისდამი არს. ე. ი. არა ეცრუოს თანამდებსა თჳსსა საგანსა, რაჲსაცა ზედა იჩინა შინაგანისა კაცითა თჳთ თჳსით სულისა თჳსისა აღრჩევთა.

იხილეთ ზემოხსენებული ჭაბუკი უკეთუმცა მიცემულ ყოფილიყო ექვსისა წლისაგან შკოლასა შინა ომჯობეს იყო მისდამი, რომელი იძულებით ზემოხსენებულებსაცა გარდიბეჭვდიდა ჩჳლთა იდეებთა შინა და ბევრეულებსა სხვათაცა სწავლებთა. გარნა ვინაჲთგან ასაკსა შინა ჴორცთა მზლვანობასა[5] შინა არს და წელთა შინა მამობისასა, ამად მხოლოდ სული გულს მოდგინე აქვს, ხოლო ჴორცნი უთანჴმო სულისა თჳსისადმი, ეგრეთვე სული მისი თაკილობს მხილებასაცა შერისხვასა და შეწყალებასა.

იხილეთ, თითოეულთა თუეთა შინა ხუთი თუმანი ასიგნაცია ეძლევის ზემო ხსენებულსა ოფლიერ სალთო კონდაკითა ჩემითა ესე მეოთხე წელი არს. ეგრეთუე საბლარდნელნი[6] თხემითგან ტერფამდე ახალ ახალნი. ეგ სახედვე ცხედრისა სარეცლები ყოველნივე მზა აქუს ჩემგან.

იხილეთ, ტაბლასა ზედა შუადღე და მიმწუხრი აქუს პურის მტეობა დიდებულებათა თანა, შეთხოვნითა ჩემითა დიდ ფრიადითა. რომელი მსახურებისათჳს ჩემისა მიიღეს სერსა ზედა თანა მეინახედ. რომელსა კნინღა დანატრიან რომელნიმე დავრდომილნი აზნაურნი.

იხილეთ, არათუ ზემოხსენებულთა შვიდთა ჩემთა რჩევათა რაჲსამე ყოფს ჭაბუკი იგი. არამედ დიდ ფრიადისა იძულებითაცა და ოდესმე მიფერებითაცა ვერ უძლე მისდამი სამისა თითებისა ატანა შუბლსა ზედა მკერდსა ზედ ამიერ მხარსა ზედა და მიერ მჴარსა ზედარე. ესერა მეოთხე წელი არს მეცადინეობა ჩემი. და ურჩება მისი რომელსა მიუთხრობ ზედას ზედარე „აქა მიხედე ს. და ქმენ ჯუარეთ, რომელი სთნავს სულსა ჩემსა, რათამცა უუმეტეს გმსახურო წარსაგებლებითა ჩემითა“, რომელსა მიგებს იგი „მე არ ძალ მიძსო პირსა ზედა ჯუარისა ცხოელისა მის სახედ. არამედ ესრეთ ვყოფ ვითარცა ვყოვ გულსა ზედა და არა პირსა ზედა“.

ჰოი სვეო და ბედო მარმენიოვ, ფორტუნავ თქუენ თავით თჳსით არცაღა ერთი რაჲმე ხართ კეთილი, გინა ბოროტი. ანუ საშუალ კეთილისა რაჲმე კავშირნი, რომელთა არა რაჲ არსება და ბუნება და თჳსება გაქვთ. არამედ მხოლოდ ლექსნი ჴართ. რომელთა ლექსთა შინა შაშა ტყუილისა ეშმაკნი ურჩებისა, უგუნურებისა, უმეცრებისა, უუგუ-

ლისხმოებისა, განუსჯელობისა, ბოროტებისა, მაცთურებისა და არაწმიდებისა, მედგრობისა, შურისა, ლირწებისა, სილოდნისა, ამპარტავანებისა და ცნობა — ვნებულობისა დამალულ არიან იგინი არიან მტერნი მოსწავლეთი და განსწავლულთი და უსწავლელთიცა ფერად ფერად სახედ ასაკისამებრ პირებთასა და ხარაკტირებისა ფიზოგნომიათა ნიშატებისა.

გარნა უკეთუ ინებებს კაცი მარჯულ მიდრეკასა სათნოდ ღვთისა სლვად კუალსა ქრისტესსა, მაშინ მყის მიერითგან პირით კერძნი შჳდნი ეშმაკნი და ერთბამად ლეგეონნიცა ზურგით კერძ უკან იქცევიან გელნი ბოროტნი ბრძენთაცა წამწყმედელნი:

დასასრულ თქმულა წ. აგჳსტინე[7] მასწავლელისაგან. არა გაცხონებს ღმერთი შენ უშენოდ, ე. ი. ნებავს ღმრთისა გაცხონოს შენ შენითა მნებებელობითა აჰა ესერა მნებავს შინაგანისა კაცითა ჩემითა რომელ არს სული ჩემი. რათა ზემოხსენებული ჭაბუკი სრულ იყოს სათნოებითა ღვთისაია და განისწავლოს სიბრძნისაგან და განათლდეს სალთოდ და საეროდ, რათამცა იქმნას ვენახ ზეცისა და ზეთისხე ქჳეყანისა რათა არა წარწყმიდოს სამისა წლისა და ნახევრისა სულიერ წვრთა ჩემი და ხორციელ ხვასტავნი ჩემნი, რომლებითა შესაძლო იყო სამისა ყრმებისა აღზრდა ექვსისა წლისანი, ვიდრე ოცდაერთ წლამდი სასწავლებლებთა შინა. რომელნი თვნიერ საკუთართა მასწავლებლებისა დაჰერისა საზოგადო კლასებსა შინა ასაკებისა აღზრდისა თანა აღიზრდებოდენ სწავლებითაცა.

აჰა, დაბითგან თქმულა განჴმელი ხე არღა მოიღვედების გრკალად და გაციებულისა ზუმბურითა არა დაიჭდების მიწერილი ქარტა, ხოლო მიხრწნეულებისა შინა დაქორწინებულნი ვერღა შობენ შვილთა, რომელთაცა მხოლოდ სურვილნი შვილთა შობისა აქუნდეს და არღა ძლიერება თესლთა სიმტკიცისა, ეგრეთჳე არ ძალუძს შამოდგომასა აღმოცენებად გაზაფხულისა ყვავილთა, გინა ზამთარსა ზაფხულ ყოფა, მაშასადამე ათთა ასაკებთა თითოეულთა თვსი ბუნება აქვს ე. ი. შინაგან ძრვათა გარეგანნი მოქმედება ვითარცა ჩჩვლობა, უსუსურობა, ნინველობა, ყრმობა, ჭაბუკობა, ჯოშობა, ჭარმაღობა, მჴცობა, მოხუცებულობა და მიხრწნეულება ვითარცა კიბეებიცა არიან სხუა და სხუანი ეგრეთჳე ძალითა და მოქმედებითაცა არიან განყოფილ, რამეთუ არ ძალუძს ოთხმეოცდა ათ წელიწდებისა მიხრწნეულსა ხევსურსა კსმე მოსურნესა ძუელსა ელლინიკასა ზედა დაწყებად ანბანისა, და სწავლად ღომერისა თხზულთა და ათინელთა მაშასადამე სიტყუსაებრ სოლომონ ბრძნისა პირსა გჳამისასა ასაკისამებრ თვსი ჟამი აქუს სიბრძნის შემთხჳევისათჳს.

დასასრულ შაბათი კაცისათვს დაებადა და ყოველნივე სწავლანი. უკეთუ იხებებს კაცი ისწავებს სიბრძნესა და განათლდების, ვიდრე უკანასკნელ მიხრწნეულებადმდე და სიკვდილადმდე.

თქუჱნი მლოცველი იონა მ. მ. მ.

№250

**1825 წლის 10 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.**

ღირსო მამაო მღვდელ-მოძღვარო იონა! და სულიერო სულისა წმიდისათი!

სიტყუანნი თქვენნი, სიტყვისა მის ჩემისა გება მივიღე ჴელითა ეკკლესიის მცუჱლისათა, და იყავნ ესრეთ, გარნა მაქუს მიცემული სიტყუა პროფესორთან, რათა ყოველს შაბათს მიიღოს შრომისათვს, სრულად თხუთმეტი რუბლი. მე ვიწყე სწავლა ამ თთვს [illegible], მაძლევს სამშაბათს, და შაბათს, ორ ორ ჟამსა. ორის კვირისა ვიეასხე, და შემდგომისათვს არ ვუწყი რაჲ ვქმნა, და აქა არა ძალმიძს ვისგანმე ვასხეზად, არამედ თქვენ გთხოვ ჩემთვს იზრუნოთ, ვიდრე შესრულებადმდე, სწავლისა, გინა კაცად შემოსლვადმდე ჩემსა, ყოველი შრომა თქვენი და წარსაგებელი ჩემზედა რანიცა დათესილან და იქმნებიან დათესილ, ყოველნივე კეთილად მოიმკიან, არა ბოროტად წარვიდებიან ჭეშმარიტებით ირწმუნეთ. რომელ სახელის დადება თქვენი ჩემზედა უკუნითი უკუნისამდე იქმნების ხსენებულ ქუჱყანასა ზედა, და უმეტეს ცათა შინა.

წინამდებარე წიგნი ესე აღსრულდების, ჭეშმარიტი სიტყუა, ღვთისა და აღიწერების იგი მას ჟამადმდე, რომელ თქუჱნ გიბრძანებიათ. ესე იგი, ვიდრე შობის მარხუადმდე, და ადამსა ზედაცა ვიმეცადინებ განმხრობად გინა განღვიძებად ესე ვითარისათვს, აღვსწერე ვიდრე ას მეათჩვიდმეტე პარაგრაფადმდე.

ჟამსა წიგნის მიღებისასა იმყოფებოდა იოანე ბატონიშვილი[2] აქა, და ყოველივე მიუთხარ მისად შესაბამნი, გინა რანიცა ეკუთვნოდნენ მას წიგნსა, ანუ ავთრათსა შინა თქვენსა, და მიიღო კეთილად, მაგივრად მანცა თაყუანისცემა გიძღუნათ, და ეგრეთუჱ სხუათაცა უგანათლებულესთა, რომელნი იყუნენ ერთბაშად, ბაგრატ[3] ბატონისშვილის მოსახელის დღესასწაულსა შინა.

სხჳებრ აქა ყოველი კეთილ და ეგე თქჳენცა მშვიდობით, ვითხოვ მოტევებასა დიდ სულობისა თქვენისა მიერ ჩემ ზედა. და კჳალად ვითხოვ, რათა არა განგრძელდეს დრო ვიდრე მოსლვადმდე თქჳენისა.

თქვენი ღირსების პატივისმცემელი
მოწაფე თქჳენი
სოლომონ დოდაევი.
ივლისის 10 სა 1825 სა წელსა.

## №51

### 1825 წლის 19 ივლისის წერილი ნიკოლაი ფალავანდოვისა[1] იონა ხელაშვილისადმი.

ღირსო წმიდაო მამაო, ადრიდგანვე მწყალობელო ჩემო!

უპატივცემულესო თქჳენი ქარტა აღვსილი სწავლითა და მეცნიერებითა, სამარადისოდ ჩემდა, კელ-სამძღვანელად მივიღე, აწ აქ ლინიაზე, სამკურნალოთა წყალთა ზედა მოსულმან, მრავლად გმადლობ გრძნობითა ჭეშმარიტითა, ვინაჲდგან არ ძალმიძს, გამოხატჳა მისი კალმითა და სიტყჳთა.

დიდად ვჰსწუხვარ, საქმისა გამო თქჳენისა, რომელ ახლა ტფილისში არ ვიმყოფები, რათა მოვისწრაფო შეძლებისამებრ ჩემისა. მალიად აღსრულება მისი, მაგრამ ვჰგონებ უმარჯჳეს ჩემსა შეასრულონ თხოვილი თქვენი, თავადთა. თომა და იოანე ანდრონიკოვთა[2], რომელიცა მსწრაფლ წარუგზავნე. წერილნი თქჳენნი, და ეგრეთვე მივჰსწერე, და ვსთხოვე მეცადინეობა და ბეჯითობაჲ საქართჳელოს უზენაესის მართებლობის პირველს სოვეტნიკს, თავადს ზურაბს. (დიმიტრი) ნიკოლაოსის ძე ორბელიანს[3], ზაქარიას მამას, რომელსაც უპეტესი ხმა, და პატივისცემა აქჳს. და ვსასოებ რომელ ისურვებს კიდეც თქჳენის თხოვილის აღსრულებასა, რადგან დავვედრე, შვილის მაგიერადცა, და მეც ვსთხოვე. მისის ჩემდამო მეგობრობისა, და მწყალობლობისა ძლით.

უკანასკნელ გთხოვ არა დავიწყებულ მყოთ, წმიდათა ლოცვათა შინა თქჳენთა და მარად მხადდეთ.

თქჳჱნის სიწმიდის
უმორჩილესი მოსამსახურედ
ნიკოლაის ფალავანდოვს.
ივლისი 19 სა
1825 სა წელსა

## № 32

### (1826 წ) წერილი იონა ხელაშვილისა ღირსიევს.

სულიერ ძეო ჩემო უფალო ღირსიევ[1]
ქრისტე ღვთისა მიერ საღთოთა ლოცვათა გძღვენი:

ესერა პიტაკი თქჳჱნი მოვიღე ე. ი. ავთრათი პასუხი ჩემისა უს-ტარისა თთჳჱსა მაისსა 12 სა. და ვსცან სიტყვისგებითა თქვენითა ნაყოფიერება კაპადონისა ჩემისა, რომელ არს ქარტა. რომელსა კნინლა და შრომენად უწოდ ე. ი. ასფოდელოდ. რომელ არიან ორძილნი აგა-რათი და მტილთი და სამოთხეთი და ვენაჴთი და წალკოტთი და ახოთი და აგარაკებისა და პარტახებისა, და ველებისა, და ტრამალთა მინ-დორთი და ტყეთი, რომელნი აკურთხა ღმერთმან საცხოვრებლებად ჩვჱნდა და ყოველთა იძვრისებთა საზრდელად. რომელთა ფესვნი, ძი-რნი ჩინჩლნი, ღერონი, ბუტკნი, რტონი, კოწოლნი, გამოსცემენ წჳჱ-ლთა, კუკურთა, ფურცელთა და ყუავილებთა და შემდგომად დიდ-როთა ნაყოფებსა, რომელთა ვსთლობთ კაცნი, და ყოველნივე ცხოვე-ლნი მზიურნი, და ვადიდებთ შემოქმედსა გამოზრდილნი ორკერძო-ვე.

გარნა, რომელნიცა ორძილნი არა გამოიღებენ ნაყოფთა, მოკვე-თისა ღირს არიან, და უფროსღა, რომელნი ღჳარძლებად შეიცუალე-ბიან იგინი უმეტეს აღმოფხვრისა თანამდებ არიან სახლისა უფლისა-გან. ეგრეთჳჱ კაცნი უვიცნი, უბირობითა უმეცარნი უქმარ არიან ეკკლესიისა და მამულისა და სახლეულთა, რომელსა უქმი მჭამელი ეწოდების, გინა მუშაკობდეს ერთსა მოქცევასა შინა ჟამებსა 16. უკეთუ მუშაკობდეს დღე ღამესა შინა ათექვსმეტ ჟამებსა ჴელნი ულოცავისა და უმარხულოსი უმეცრებითა ცალიერ იქმნების: ვითარცა თქმულა ნემეცურს ენასა ზედა უმეცრისა მჭედლისათვს, რომელმან ზოდი რკი-ნისა შთასდუა მჭედლისათვს ცეცხლსა შინა შექმნად, რომელმან სა-კჳჱთელისა გარნა წარუწყმდა, იწყო დანაშთი რკინა ბარად, წარუწყ-

მდა იგიცა იწყო ცულად, წალდად, სატევრად და ნაკად. გარნა განელი რკინა იგი დიდ ფრიადი ზოდი, მერმე ნაშთი იგი რკინისა იწყო მახათად და ვერა შემზადა, და იწყო ნემსად და შთასდუა წყალსა შინა საწრთობლად და აღმოიღო. რომელი არცაღა თუ გვანდა ნემსსა, რომლისა მიმართ ჰყჳჱს კითხჳა რაჲ ეწოდების მაგა ქმნილისა შენგანჲ მიუგო უბირმან ნემეცთაგანმან რაჲცა გაცეცხლებულმან წყალსა შინა: სთქჳა იგი იწოდაო თჳთუჱ წრთობისა ჟამსა ე. ი. შხრიალი. შეჰკითხეს გარემოთი ზოდი იგი უმეტეს ხუთისა ლიტრისა რაჲსათჳს წარგიწყმდაო, მიუგო მჭედელმან შემკითხველებსა. აჰა, მე მშობელთა შვიდისა წლისა მიმცესო გასწავლულსა მჭედელსა და მყის მივიღე ჩვეულებად უქმეთა დღეებთა შინა ბურთისა სრევასა ჟამსა უსუვრობისასა და ნინველობისა დროსა ძირისა ტყორცვასა და წელსა ყრმობისასა ლაციცობასა და ჰაბუკობისა დაწყებისა ჟამსა თვალებთა სილბილესა ე. ი. მდედრთა ჰჭრეტასა, ხოლო ყოფასა თანა მასწავლელისათანა მხოლოდ. ვიყოფოდი კორცითა გარნა გონებითა ჩემითა თითოეულთა შვიდეულთა წელიწდებთა შინა. ვიყვი ზემო და ჩემებულთა საგნებთა შინა ამად წარუწყმედა ზოდი იგი რკინისა ცეცხლსა შინა განლევითა, აჰა, სამოცი წელი მაქუს მუშაკობა ეგრეთი, რომელსა მცნობნი ჩემნი არამამუშაკებენ, არამედ ახალნი უცნაურნი ჩემნი. რომელსა რკინანი ოდეს განილევიან ვაბრალებ რკინისა სიცუდესა დავშთები უფასური და ვარ გლახაკი არა რაჲსაღა კელობისა, კელოსნობისა და კელოვნებისა მცოდნე.

იხილეთა! რომელ მოსწავლის ცულისა ნუ იყოფინ უბოროტეს. უსკნიდისოსი არიან. რომელსა ეშინის მართებლობისა და მოქცეული მოიგებს სკნიდისსა, ხოლო ავზნე მოწაფე ირცხვნის მასწავლელთა და სწავლასა, ვითარცა ვოლტერ[2] და ჟანჟაკ რუსოდ[3] და პითაღორ[4] და სპინოზა[5] და სხუანი და სხვანი მტერნი ფილასოფისანი და უფროსღა ღვთისმეტყჳჱლებისა, გინა მოსწავლე ალფავიტისა ჩვენისა ანბანისა, რომელმან ისწაოს ოციოდენ და სხუანი და უტევოს უსწავლელად და აღიღოს ღრამმატიკა და ეკიცხოდის მეტყველი ეგრეთ სრულიად უკძარი არსო, გარდა ოცისა მათ, რომელსა ცნობდეს ადგილ ადგილი.

ხოლო თქჳჱნ ღმერთმან გრიდოს ზემონი თქმულნი რომელი დიდ ფრიადისა სურვილითა მოსრულ იქმნენ სამი ათასისა ვერსტებითა ფრქივ მკვირცხლად. აჰა, მეძიებელსა და მრეველსა და მთხოველსა ღუთისაგან წყალობისასა განუღებს სულსა გონებაებსა სავაოთ ადოხაჲელი. გულისა და თირკმლებთა განმკითხველთა ჯერნა მოსწავლესა უმეტეს მიანიჭებს ტალანტებსა ნიჭებთა ე. ი. მოსცემს სულსა მოს-

წავლისასა ძალთა და ძლიერებთა გაიდაბეჭდად საგნებისა თითოეულისა კლასებისასა მათოდეს კეთილად, რომელთა შიში ღუთისა აქუსთ სულებთა შინა თჳსთან და ჯორცნი დამწყსილ მარგულ ე. ი. საშუალ გზასა საუფლოსა.

თქუჱნ ეკრძალენით მასწავლელებთა სწავლათა სმენასა და განზეპირებასა და მორჩილებასა და საგნებისა გადმოწერასა მწკრივებად, რათა მოსაგონად გაქუნდესთ კაბადონებსა ზედა და ცგზამენისათჳს შენ დაიცევით და უფროსღა სულს შინა ხსომითა და გულსა ზედა გამოწერითა.

თქუჱნი პიტაკი მაუწყებს ცოცხალ სიტყჳს გებასა და კარგიერებასა. გარნა მოველი უკარგესად, მაშინ ოდენ ოდეს ესე სამნი უსტარნი გარდასწეროთ ე. ი. პირუჱლად უფლისა ანდრონიკოვისა თომასი[6] და ზედან მიწერილი ჩემი მოადგი შეუდგინე უფლისა ანდრონიკოვისა იოანესი[7], და მერმეთ მამა ნეოფიტესი[8] თხოვილნი რომელნი მივსწერე აღზრდილსა მისსა, გარნა თქუჱნთან მოწერილი ესე პირუჱლად შთასწერე და ზემონი შეუდგინე კეთილგონიერ მაშინ ოდენ ოდესაც მოიცალოთ, რათა არა წარგიწყმდესთ ჟამები თავისა თჳსათჳს.

იხილეთ ოდეს მომწეროთ შემდგომ ამათ ხუთთა კაბადონისა გარდაწერისა უწყება გარდატკფრისა მაშინ პირისპირ სარკმელისა დასწერეთ, რათა ნათელი მზისა მაჩვენებელი იქმნას ტეიპებისა, ტრიქონებისა გარდასაწერად და უკეთუ ნახევარი ნათელი იქმნების კაბადონსა ზედა და მარჯვნივ ჩრდილელმა და მრუმედ იქმნებიან ტრიქონნი ტეეპებისა, მუჴლებისა, ეგრეთუჱ კაბადონი ქარტა შეიცე თავით კერძ და მარცხენით კერძ და მარცხენით კერძ და მიეც საზღუარნი, რათა ტრიქონნი თანასწორ მოხდეს ამიერ და იმიერი.

იგულვეთ ებრაელნი და არაბნი მარჯვენით მმარცხნივ წარიღებენ ტრიქონებითა მწკრივებსა, ხოლო კიტაიელნი თავითგან ფერხებისადმი, არა სიგანესა ზედა, გარნა ელეელნი, ქართველ, რუსნი და ევროპიელნი მარცხენითგან მარჯვნივ წარვიღებთ ტრიქონებსა. ამათ ჩრდილ მარჯვენით კერძო გაამრუდებს ტრიქონებსა. და ესე კმა იყავნ სარკედ ზემო მიჰვრიტანანი მორჩილთა მაგათ ეგე ვითართათჳს.

## № 33

### (1825 წ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანესო! ქრისტე ღვთისა მიერ საღთო ლოცუა კურთხევას გძღვნი და თქუენისა მშვდობასა ორკერძვე შევთხოვ მაღალსა, რათამცა სუფევდეთ მშვიდობითარე.

კეთილ სახიერო საღთოსა სიბრძნისა მომფუტკრებელო უკეთილესისა შრომანთა სახლთა შინა ახლის ათინისა რომისა შინა, თუმცალა ახალ ოც წელ ზემოესა უახლეს ჭაბუკო, გარნა კნინღა მოხუცო. სულსა შინა ფერად ფერადებთა სწავლისა, და ენებისა აზიურისა, და ევროპიულისა გარდახატვითა კელოვან მღდელო დიდ ფრიადისა სურვილითა სასტიკითა და ტრფიალების მძაფრობითა სიტყვიერთა ჴმებთა ენებისათა და სიბრძნეთა. აჰა, მოკითხუათა გულითადიერთა მოგიარმაღანებ ცარსკის სელოთგან ე. ი. სამეფო სოფელ დაბა ქალაქითგან პეტრე დიდისა ქალაქისა ჭალაკსა შინა მეათორმეტესა ლინიასა შინა. ე. ი. ათორსა მწკრივისა უბანსა შინა და მშვიდობასა თქუენსა ვისურვებ მრჩობლ სახედ, რათა წარემატნეთ წინარესლვითა ვითარცა მერქვნე ანეულისა და ნაოშისა[1], და კორდისა და პარტახტისა[2] და ორნატებითა[3], რომელი მისვლითარე ცრემლით თესს თერძულებად[4] აგარაკებსა. გარნა მოსრულთა მოიმკის მკელეულებსა ძნეულად სიხარულით ბრჯათა[5] დამდგმელი და ესრეთით რუდუნებითა დღისი და ღამე გალეწილებთა იფქლებთა მარცვლებთა ხუარბალთა ახალ თესლებთა დიკათა, ქრთილებთა, ქერთა, ფეტვთა, ღოლთა, ჭვავთა, შვრიოთა, ღომთა, და ყოველთავე აგარაკეულებთა და მტილიერებთა და წალკოტიერთა და ვარჯოვანებთაგან და სამოთხეებთაგან, და ვენაჴთაგან და ესრეთითა ეგზამენებითა ე. ი. კალოსა ზედა და საწნახელსა შინა გამოაბრძმედებს და შეიხვამს საუნჯეთა შინა ბეღელში, ტაძარში, მენაში და ჭურებსა შინა და ესე ვითარისა ღვაწლითარე სამთა დროებთა ჯგუფებითა მამუშავებელთა ყოველთა ხვასტაგებთა აგებებენ სოფლებსა, სანაჴებსა, დაბებსა და ქალაქებთა ქუეყანისა მიწის მუშაკნი ესოდენთა მორეწილთა შეკრებულებათაგან თავთა თჳსთა განმამდიდრებელნი ზემო ყოველთავე სენეულებთა მჴაყოფილ გვყოფენ სანოვაგებისა, და სასმისებისა იაფობითა, რომელნი თჳთ მონარხისა საბლოსტებსაცა ამდიდრებენ, რომლითა იზრდების ჭურვილნი მამულისანი და მსაჯულნი და მეურნენი, და მნენი ეკკლესიისანი და ქუეყნებისა. აჰა, ვაშა, ვაშა, მათსა პირისა ოფლსა.

იხილეთ განმშვრეტმან უკეთუ მიწისმოქმედი, და ხეთა და რკინათა, და მეტალ ლითონებისა მქანდაკებელნი, და სკლატთა მქსოველნი და ნართთა დასეპრატავენი, კელოვანნი, და კელოსანნი, და ხუ-

რონი თვისითა თითოეულნი საგნებითა სიმდიდრე მამულისა არიან და დიდება, რაოდენ თქუცნთანა გაძსთ. და ყოველთავე არა უქმად პურისა ჭამა მამულთა ერისა მომუშაკებელნი, არამედ რაოდენნი ?რონი, და წელნი მიმყოვრებით[9] განაგრძოთ წელნი შკოლასა შინა ეკრძალენით, რათა შეიკრიბოთ სიბრძნენნი მრავალ ბევრეულნი უშქარნი[10], და უცტისა უშტნი[11], რათა წელთა მათ გარდამატთ სარგებლობაჲ მსახურებად მამულისა რაოდენიცა სიყრმითაგან, ვიდრე გამოსვლადმდე უსასყიდლოთ მიგებებიესთ ნაყოფნი. მდაბლისა ერთისა, რათა არა შევერაცხოსთ უქმად ჭამა სხუათა პირებთა ოფლებისა, ვინაჲდგან უქმი მჭამელი არცალა ცხონდების.

აჰა ქმობს სული წმიდა კაცად კაცადი რაჲსაცა ზედა იჩინოს მას ზედიცა ეგენ, და ზედართავს მეფე ბრძენი იეროსალიმისა პირფიროსახი სოლომონ სულსა ბოროტკელოვანსა შინა არა შევიდეს სიბრძნე და კორცთა მიდრეკილთა ცოდვათა შინა მყოფისაგან განევლტის სულისა წმიდისა სიბრძნე ე. ი. სული ურწმუნო ძუცლთა და ახალთა ალექსეევისა გარდაიქმნების სულად ეპიკურისა[12], პითაგორისა[13] მანიქეველისა[14], სტოიკელისა[15], ნატურალისტად[16], სოფისტად[17], ათეისტად[18], ათეიზმოდ[19], იპოსტატიკად[20] ე. ი. გამარცხულდების ეგრეთც კორცნი მავალნი მარცხბულ თუალებითა დაპარახებული[21], ენა გესლითა, ხელები ლაციცობითა, ფერხები ბიჯებითა, დრანჯობითა, დრასტიკობითა, სილოდნითა, ლირწებითა, როსკიპობითა და მუცელ ღმერთაობისა ნაყროვნებითა, ბრუყობითა, ლექობითა დღლეობითა და ზედას ზედა ანკანაკობითა[22], და ღრეობითა და კერპათაგან ნოტიო შავათა დენითა. აჰა ზემო ყოველთაგან ფიზიკურ შენიშვნითა დასლბებიან ყოველნი თაგუნნი ე. ი. ძარღვნი გუამისანი და ტენონნი ტვნისანი ე. ი. ძაღვაკნი ხუთთა მათ გრძნობათანი, ძევრნი და მუსკულნი[23], კოპარნი[24] ყოველნივე და იქმნების ყოველნი ხევრნი და ასონი, და ნაწილაკნი, რომელნი მსახურებენ სულსა ზაპილო, ამათ ვერღა მიწიფების მოსწავლე მარცხული სწავლისა და სიბრძნისა მოედმდე ანუ ისწავებს ენძელურად და ჭრელად, და ცხრილოვნად და კუანძულად და დამშხალულად ზემო პირ კანსა, ტყავსა, ქერქსა, ფერფლებსა სიბრძნისასა ე. ი. ფილოსოფიისასა, რომელი შემარცხვენელ ფილოსოფოსთი იქმნების და უღირს ღვთის მეტყველებისა და კნინღა და იქმნების უსახურ ე. ი. ათეისტი. რომელსა არა წმიდა სულიცა შეურევს გონებასა, და ენასა, და ესე ვითარითა ხატითა წარიწყმედს თვთ თავსა თვსსა ზენა სუფევისაგან და იქმნების მამულისაცა სჯულისა მავნებელ, და ერისა, და ვიდრე დღეისა თვსისა მიქცევადმდე უქმად მჭამელ სხუათა ოფლისა, რომელისა სახელი კვამლად სიმყრალისა დაშთების და საქმენი ფისად

შემხებელთა დამავებად. მი, თქუენ დაგიცვასთ ზემო ყოველთა ხენეშთა[25] გუამებთაგან ღმერთმან სავათ ძალთამან ადონა ელოი იელოვამან, რომელსა უპყრიეს გული მოშიშთა თჳსთა და ამოძრავებს მას შინა სისხლებთა ყოველთა, და განიკითხავს თირკმლებთა, რომელსა შინა აღორძინებისა თესლნი იწნიხებიან და სულითა მაცხოველებელითა აცოცხლებს ქალაქსა მონად სიტყვიერისა, გინა დად ძმისად ჰყოფს, ე. ი. კეთილი სული ძმა არს თჳსისა დისა და კეთილ დამწყრალი გუამი და არს თჳსისა მაცხოველებელისა სულისა, რომელ მარტიქისა.

აჰა, პირჳელად სული თქუენი მსახურ ღვთისა ჰყავთ დასაბამ შიშითა, ლოცვითა, და მარხვითა, და კორცნი ინსტრუმენტ ჰურმლად სულისა შენისად ქმენ, და განსაჯეთ მრავალ ბევრეულ აზმნობითა სულისათა, და შეველეთ მიღმოებითა, სულისა კრეტსაბმელებისა, და კონხიმიტებისა შინაგან, და განსჭვრიტეთ სულისა ნაწილებსა მრავალ ბევრეულებსა, ე. ი. არსებისა ბუნებათა, რომელ არსება მყოფობა და ბუნებანი საქმენი არიან და თჳსებანი მაგ. აჰა, ცეცხლი არ ება. ხოლო წესა ბუნება, ბრწყინვა, ნათელი, მხურვალება. ზემო მისწრაფება, სიკმე, მკურვალება. ელვარება დაუშორეს ესე ყოველნი თჳსებანი არიან მის ცეცხლისა, ევრეთვე აჰაერი არსია, სიწვლილე, სითხე, ლუდოვნება, განზრქელება, განსუბუქება, სიგრილე, სიმშრალე. უშორეს თჳსებანი არიან მისნი. ესსახედვე წყალი არსია, ნოტიობა, სიზრქელე, დანაკუეთება ჰურმლისა სახედ, ვითარიცა იყოს ცგომა. წარმოდინარობა, გათხელება, დუღილისაგან, გინა მზისაგან განზრქელება ყინვისაგან გამჭვირვალობა, ციმციმება. შელება, უშორესი თჳსებანი არიან. ეგ სახედვე მიწა არსებაა, ბუნება გინა თვისებანი მისნი არიან სიმტკიცე, მყარობა, ფოროვნება, ღრუდობა[26]. ღრუობა, სიკმელე. მტვერობა, მლვრობა. ქუე შუაგსა ზედა ნიდელობა ე. ი. ცენტრისადმი ყოველნი ატომინი ე. ი. მრგუალაკნი ანუ მურკლნი, განუჭვრეტელობა, სიბნელე. ფერადობანი მრავალ სახედ. დაწვლილება, განდიდება და უშორეს ესე ყოველნივე არსსა მას ბუნებად აქვს. რომელ არს საქმენი ანუ თჳსებანი, რომელ არსთა ცნობანი კნინსაცა არ ძალგვიცს. უკეთუ ბუნებითა და თჳსებითა არა გვაცნობეს თავნი თჳსნი. მაგალ. უსუვარმან გინა უსუვარამან არა უწყიან თუ რაჲ არს ცეცხლი, გარნა ოდეს შეეხნენ ნაკვერცხალსა მყისვე მეცნავ იქმნებიან პირჳელად გრძნობითა, და ოდეს განსაჯონ შეემცნებიან არსებასა ცეცხლისასა და ესრეთ განყოფენ სატიკად მწველსა მძაფრისა ყინულისაგან. ესრეა ენა გემოესა სცნობს, თუალები ფერებსა და რაოდენობასა, კელები სიმძიმეთა, პინჯები სუნებთა, ყურნი

ჴნებთა და სახიობათა და ბგერათა, ცხოველობისა და უგრძნოთა შეხე-ბანი გრილთა და ტფილთა და ესე კმა იყავნ.

ესერა პირჳელივე საგანი ჩემისა აზმნობისა თქჳენდამო დავნე-ცლო უჳსაყვარლესო თჳალად ხედვსა გულვებადო ჩემო! აჰა განანს-ტვირეთ სულისა შენისა ბუნება, გინა თჳსებანი, რომელ არიან ძალნი სულისანი პირველთა ფლობა ე. ი. თავისუფლება, მეტაფიზიკური, მეორე ნება ლოღიკური, 3. შეგნება, 4. მგონებლობა, 5. გულისჴმისყოფა. 6. სურვილი, ერთისა ანუ მეორისა. უტრფობა (მიდმოება) მიდრეკი-ლება. 8. გამოხატვა. 9. ახსენება. მეყსიერება. 10. წარმოდგენა ქჳეშე განფენილებისა ყოვლისა ნაკვეთებისა, ნაქვთებისა, სხეულებისა, გარნა რაოდეხობითა და რაჲსა მიმართებითა განჭვრეტა, 11. ყურად-ღება ანუ განწვლილვა. 12. განსჯა, 13. შესწორება. 14. განსხუება ერთისა მეორისაგან. 15. აღრჩევა უმჯობესისა გინა უძჳრესისა, 16. გან-გულვა აწმყო დროჲსა მყოობადსა შინა. 17. შინაგან და გარეგან განხილვა. 18. გარემოდგომა გინა შეცვა საგნისა, 19. და 20. მიმყოვრე-ბითი ღრმავება ყოველთა არსთა საიდუმლოობისა უშინაგანე-სობისა შემეცნებად, რამეთუ ყოველნი ნივთნი და არსნი ხუაშიადურ არიან, თუმცა საზღვარნი ადვილ არიან ცნობად, გარნა ძალნი ნივ-თჳბისა ძნიად საცნაურ არიან უკეთუ არა იწყო ზეცით. მაგალ: უკე-თუ იხილოს შვეთიისა ნეფხვიანისა[29] ქვეყანისა შვილებისა მოძღვარ-მან ივერიასა შინა კახურისა მესაბლისა სახლისა ჭიისა თესლნი ზამ-თარსა შინა აღრეულნი შტილებსა[30] თესლებსა შინა ვერ ძალუძს შემეცნება, რომელ თესლისა მისგან გამოვალს ჭუა შავი და შემდგომ განსპეტაკდების, უკანასკნელ განყვითლდების. მერმე იფიქრების მომ-ქსოვი მოგრძედ მრგუალაკებ პარკებისა და მერმე მას შინავე მოკვ-დებიან პირველნი ცხოველნი, და განფენილნი მზისდმი მძორნი იგი გახცხოველდებიან მომბმელნი ფრთეებისა, არა რაჲსა მჭამელნი დაყ-რიან თესლთა უგრძნოთა, და ესრეთ ნათესავნი მათნი გებენ სოფელ-სა შინა, ეგრეთუჱ ქვირითანი კჳჱრცხნი თესლები მდელოთი, და ნერ-გთი, მამად ღედლობა ხეთი, ძილი მწერთი ზამთრივ, და ქჳჱმძრომთი ღზრდა ყორნისა მართჳჱთი კლდეთა შინა და უშორეს იხლ. ბუნე-ბითი ისტორია. ცხოველებისა, და ორძილთი თუ ვითარ უუსაიდუმ-ლოეს არიან.

იგულვეთ სულსა და სულებსა მარტივ მცხოველებლებთა თჳნიერ ჴორცთაცა, აჰა, ქონანთ დარიჯაგეები[31] ეგოდენნი, რაოდენნიცა სო-ფელია ერთბამად ცაჲ და ქჳჱყანა. და სავსებანი ონტოლოღიურნი და კოსმოლოღიურნი მაგალ. იხილე საგანი გინა საგნები, რომელნიმე ე. ი. მივიღე საგანთა თანა და იხილე ეკკლესია საკრებულო წ. ნინასი და გახსჭვრიტეთ თვალებითა მიმყოვრებითა გარეგან პირუჱლ რა-

ოდენობა მის შენებულებისა, და განიხილეთ ნაკვეთოვნება მათემატიკურად სივრცე. სიგანე, სიგრძე, სიმაღლე. და მერმე შინაგანნა განვე იხილეთ და აღრიცხეთ ყრიხმეტიკითა, აჰა, მყის გრძნობანი შეიპმენ შინაგან ტვნისადმი და მუნ სული შენი მიიხვამს. და ესრეთ გარდიტანს იდიასა შინა ე. ი. ხატსა გინა სახისა სახესა მის საკრებულოსა და იდიად დაკრძალავს ე. ი. ხატსა მას ხსომად, რომელსა შემდგომ ეწოდების ზრახვა სულისა ე. ი. მცმობელობს საგნისა მის ხატთა მიხმულსა, და ოდეს გენებოსთ ძალგიძსთ დახატვა ეტრატსა ზედა მის ეკკლესიასა ანუ აღწერად გინა მითხრობად გინდ არღა სჭვრეტდეთ გრძნობითა, ეგრეთჳე იხილოთ რა კავკასია შთაიტევთ მისივე ნაკუწთებითა, და რაოდენობითა. აჰა, ჰქონან სულსა დარიჯაგი ე. ი. ძალი. რომლითა დაიტევს ხუთთავე გრძნობათაგან შეხმულებთა, შიიხვამს მსგავსად მაღნინტისა უკეთუ იპურვა, ეგრეთჳე იხილეთ ტბა მისვე სიმრგვლითა და სიგანითა აღიღებს სახის სახესა და შთაიბეჭდავს მეყსიერებასა შინა, გინა ტრამალთა, მინდორთა, ველთა, ტყეთა, მაღნართა, სოფლებთა, დაბებთა, სანაკებთა, ქალაქებთა, და ყოველთავე განფენილებისა მექონთა თჳსითა ფერებითა გარნა მათ უმეტეს ზედმიწევნილებით ცნობილთა, მაგალ. აჰა, ყრმათა ათი რიცხვი უმეტეს მტკიცედ უპყრიესთ, ვიდრეღა მრავალ ბევრეულ მილიონებისა კერძონი რიცხვით ე. ი. თუ რაოდენნი ფულნი არიან, გინა თჳსი სახლისა, ეზო უმეტეს იცის ნინველმან ვიდრეღა ღეოღრაფია მსოფლიო.

იხილეთ, რაოდენნიცა არსნი დანაკვეთებულ არიან რაოდენობითა, და რაჲსა მიმართობითა იგინი ადჳლ გარდასახატავ არიან გრძნობაებ-თა შეხმულნი. გარნა სიცივესა და სიცხესა და ტკივილებსა გუამისასა გემოებსა ტკბილისა, მჟავესა, მწარესა, მლაშესა, სუნებთა და ჰაერსაცა არა ქონან ხატნი და სახენი, გინა რიცხვებთა და წვნიკთა ხაზებთა წვრილთა და ქართა და ნიავთა და ეგე ვითართა უკუთხოთა, უნაკვთოთა, ურაოდენოთა, ვითარ ძალუძსთ სულსა შთაბეჭდვა მათი თჳსსა დარიჯაგსა შინა, რომელთა დახატვა ფიცარსა ზედა ასპიდისასა არ ძალ იდების დახატვა ფერადებთა სამხატროთა, თუმცა აღწერა ლექსებითა კაბადონსა ზედა იქმნების.

იხილეთ კეთილმექჳეყნეო ჩემო, რომელთა არა უპყრიეს ხატნი და სახენი და არცაღა განიზომიან გოჯითა, ციდითა, მტკაველითა, ჭყრთითა, ტერფებითა და ბიჯებითა, არამედ არიან სხვსაგან მიზეზებულნი, ვითარ მზისა დაახლოებითა ჰაერი განცხელდების. და მიქცევითა იქმნების ხეფხვიან და მარილითა მლაშე და ყურძნითა ტკბილ ეხა და ქარი უწორწონოპარისა მოძრაობაა, და ტკივილნი ხრწნილებისა გამომხატველ კვამლად, და სვლად და ორთქლად და ტენად. და

შლვირებად განაწილებადისა კორცთა სადითგანცა წარმოდგა მუნვე ელემენტებად და მისტიხებად.

მოიხსენეთ, ოდეს წარმოიდგინოთ რა განფენილება სოფლისა, რომლისა სავსებანი თჳსსა ადგილსა აწყვია, ვითარ გუამისა ჩუჱნისა აარხი, რომელნი ურთიერთისა ადგილსა არა დაიდებიან. და არცაღა ენაცვლებიან. მაშასადამე სოფელი დარიჯაასა შინა სძეს ე. ი. საზღვარსა შინა სიმგრგვლისასა. გარნა განფენილება ქუჱყანისა და დროჲ ურთიერთ ემდევრებიან ანუ არა ამად, რომელ არა ძალგვიძს ცნობა სოფლისა წელიწადებისა უკეთუ არა ამად არა განვალოთ საღთო წერილნი და არა ვსცნათ წელსა ამას ასოებითა ამით დანიშნულება. იდეა, ეგრეთუჱ სიტყვისა ღვთისა განკაცება ჩყვე. რამეთუ არა არიან ხივთნი მეტყველ, არამედ კაცნი წმიდანი, სულითა წმიდითა.

ჯერეთღა ყრმობითან ახალ ჭაბუკობისა წელსა შინა შემოსრულხართ სულიერო ძეო ჩემო, ხოლო მე ესერა ორმეოცდა ათნი წელნი მქონან, რომელი საჭიროდ საცნაურსა სიბრძნესა ვეძიებ ცნობითგან თჳთ თავისა ჩემისა. რომელიც ჯერეთცა შორს ვართ ღვთისმეტყველებისა მოესა, გარნა ვსასოებ, რომელ ძალითა ღვთისათა ძალმიძს სარჩელანი ღვთისმეტყველებისა პირისპირ მწვალებლებთა, ებრაელთა, ყურანიანთა, ბრამანიანთა, კანფუციანთა. დალაილამიანთა. ბოხძებიახთა, ქურუმებთა, ერატიკოსებთა, ყოველთავე თჳთ ფილასოფიითა, პირიბისა და ყოფა და უფროსღა ღვთისმეტყველებითა. რამეთუ ყოველნი პარაკლიტონისა სამებიანი, და მერვისა ჴმისა ღვთისმშობლისა სერობა და წ. ათანასე და ანასტასიასა და მაქსიმესი და სიმვოლო მრწამსი მსოფლიო ნიკიელთი და კონსტანტინეპოლელთი და ყოველნი სამებიანნი მუჴლნი პარაკლიტონისა, ზატიკისა. მარხვისა, და თთუჱნისა ერთბამად ღვთისმეტყველებაა, გარნა ამხსნელი განმარტებისი საჭირო არს უშკოლო მწიგნელთათჳს.

აჰა, კიტაიელნი მზის დაბნელებითა, რაოდენიჱ ბევრეულებითა აზმნობენ, სოფლისა შესაქმისა რიცხვთა უმეტეს ჩუჱნთა რიცხვთა, რომლითა ხებავსთ, რათა უძველესნი ერნი იყვნენ ქვეყანასა ზედა, გარნა მზის დაბნელება არა აცხადებს წელთა რიცხვებთა, არამედ ოდეს ახტაკრად მიხვდეს მთოვარე ანუ ბურთი ჩუჱნი, გინა სხუანი უქუჱნაესნი პლანეტ მთიები ნათელსა თჳთ მიიღებენ და ჩუჱნ ჩრდილსა თჳსსა მოგვფენენ. მაშასადამე, ბრძენაკნი მათნი სხთებიან ძუჱლ გუარიბისა თჳსისა მოსარჩლენი.

იხილეთ, გახფენილება გინა განდგინება სოფლისა და დროჲსა ზეგარდამ წესიერება, რომელ ყოველნი პლანეტნი ბურთნი, ურთიერთისა მაღნინტებითა შემრგვალდებიან, მხოლოდ ნათესავები და ორძილნი იწყებიან და ისპობიან განწმენდილებასა ზედა.

ჲანსკრიტეთ და ყოველნივე წარმოიდგინეთ განფენილებასა ქჳეშე. და დროსა ქჳეშე. თავთჳსი. მაგალ. შრანდითგან და ძოლან. და გუშინ დროშა ქჳეშე აღმოიკითხეთ ღრამმატიკა ჴმა ენისა სიტყჳერება კაცთა და მერმე რიტორიკა შვენიერება თხზვისა, ლოღიკა განმამდიდრებელი გონებისა. მეტაფიზიკა მეცნავი კმაჲსა მიზეზისა. ფიზიკა სხეულებთა შემამცნებელი, ითიკა ბუნებითისა სჯულისა და პოლიტიკისა მასწავლელი. მათემატიკა ზომისა, წონისა და წყვისა მაცნობი და რაოდენობისა. არითმეტიკა რიცხვთა, და ალღებრა წესისა რიცხვთა. მიხანიკა მაშინა ეტლებთა, უნებთა, გოგორებისა, ბორბლებისა მაღწყებელი და მძიმეთა ადვილად აწევა. ეგრეთვე ღეომეტრია, მსოფლიო ისტორია და ღეოღრაფია. შემეცნებად ოთხთა მჴარეთა და საჴელმწიფო მოძრაობისა, ბუნებითი ისტორია ცხოველთა და ორძილებთა ცნობისა კატეხიზმო სჯულისა მასწავლელი მოკლესიტყვაობითა და ღვთის მეტყველება უმეტეს ჩჳენისა ცხოვრებისა საგანი და თავი და მოჲ სიბრძნისა. აჰა ყოველთა შინა ჟამები იჴმიეთ სწავლისათჳს და ესე არს შემეცნება დროჲსა.

ეკრძალენით სულები მარტივად მცხოველებელნი არა წარმოიდგინოთ განფენილებასა ქჳეშე, გარნა დროთა ქჳეშე ძალიდების, ანუ არა მიაწეროთ სიქვთი და ნაკვეთი რაჲმე ვითარცა გონებს ყურანი შინაგან გუამსა შინა დგომასა მსგავსად სარჩულისა ე. ი. რაოდენნიცა გუამსა აქვსო ეგრეთვე სულსა მას შინა პირთან პირი. თავთან თავი. კბილებთან კბილნი. ცხვირთან ცხვირი. ჴელებთან ჴელნი. ფერჴებთან ფერჴნი ე. ი. ყოველთან ყოველნივე.

იხილეთ ღმერთი გრძნობათა ქჳეშე არა წარმოიდგინოთ, რომელი ზესთაცა გონებისაა, არამედ სახელი მხოლოსი იპყარ და ყოველნივე მისგან შექმნულად არა შემთხვევითად ნუ იყოფინ, არამედ ოდეს ინება მაშინ აწარმოვა ყოველნივე.

უსაყვარლესო სულიერო ძეო ჩემო გულითადიერ მეგობრად საერთო შეგთხოვ არა განრისხნე, არ იდრტვინო, არ შესლბე, არ ურჩეულ იქმნე, არ მოუძლურდე სწავლასა აგარაკსა შინა მჴისაგან, არამედ ოდეს მოუძლურდე. მაშინ განძლიერდი, ესე არს მამაცობა. და მჴნეობა და დიდ სულობა. და შემართება ძნიადისაცა. რამეთუ შაბათები ჩჳენთჳს დაიბადა და არა შენ შჳდეულისათჳს. წამოსვლის ჟამსა დამიკლე სიყვარულისა ნაწილაკი, რომელსა მე უმეტეს ვკეიშნობ. უკეთუ რაჲმე საჭირონი შეგემთხვნეს, მომწერე ვეცდები ზრუნვასა, ეგრეთვე ადამს წარუმართეთ ტკბილისა რჩევითა. აჰა, ტალანტები, ნიჭები მოგიარმაღანე ძალისამებრ ჩემისა. [იონა].

## № 54

### 1825 წლის ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქჳენო ღირსებავ მ. მ. მ. იონა და მზრუნველო მამობრივ!

დიდ ფრიადდ აღმამკობელი და განმაღვიძებელი სულისა, მარგებელი გონებისა, და განმანათლებელი გულისა ჩემისა, ავთრათი თქჳენნი მივიღე ჴელითა მათის უგანათლებულესობის მეფის ძის ბაგრატის ძის ნიკოლოზისათა, რომელმან მიჩჳენა ჭეშმარიტი ყოვლადი მოძღუარება სიბრძნისათჳს, რომელი იპყრობს შიშსაცა ღუთისასა და მტკიცედ დადგრომასა ჩემსა სარწმუნოებასა ზედა, და სხჳათა მრავალთა მაგალითთა შეიცუამს იგი ცნობისათჳს ჩემისა ყოველთა ამათ ცნობათა აღადგინეს გულსმოდგინება, წარმოადგინეს გონება, და აღძრეს ძალნი გულისჴმისყოფისა ჩემისანი განვრცობად ძჳრფასისა ამის საქმისა წინარე ამისსა, პირჳელსა ავთრათსა შინა თქჳენსა მაცნობეთ პირი ყოვლისა ქჳეყანისა, რომელნიცა იქადიან დაფუძნებულთა სწავლათა სასიბრძნოთა და ყუავილოვნობს ყოველი ქრისტეს მოსახელე ერი, ესრეთ ვსთქუა, რომელი, ქუხს და სჯექს, ამასთან ყოველთა დაბადებულთა სიტყვიერთა და უსიტყოთა ცხოველთა შრომანი შამხილეთ, რომელნი ილწვიან დღითი დღედდა ჟამითი ჟამად მადიდებელნი ღუთისანი იკრეფენ თავთა თჳსთათჳს და საზოგადოობისათჳს ყოველთა საქმეთა აწინდელსა ავთრათსა შინაცა მაცნობეთ ესე ვითარნი და ბევრეულნი ცნობანი სწავლისანი. ისტორიებრ აღწერილნი, ფილოსოფიისა, ღუთისმეტყუელებისა და მატემატიკისა გამოხატუანი, ორთავე ამათ ავთრათთა შინა გარდამოცემულნი ვსცან იგინი ყოველნივე. და ესრეთ დაიდუა საფუძველნი თქჳენ მიერ ჩემ შორის სწავლისანი და მზრუნველობანიცა თქჳენნი არიან დიდ ფრიად კეთილნი ჩემზედა. რომელთაცა ვგრძნობ ჩემ შორის და ესრეთითავე ხატითა ხიადაგ იწარმოებს შთაბეჭუდითა ხატებთა შინა ჩემთა დიდ ძჳრფასნი საქმენი თქჳენნი, რომელი მივმღებელობ ცნობასა სიბრძნისასა საკუთრითა ზრუნველობითა და გზასა ზედა ძღომითა თქჳენითა. და მეცა აღვსთქუამ წინაშე თქჳენსა ქრისტიანებრ, რათა მოძღურებათა თქჳენთა და საქმისა ცნობათა შთავბეჭდავ სულსა შინა ჩემსა და შეუდგები მას ყოველთვის. კუალად მოწყალეო მამაო! მიბრძახებთ სოლომონის ძის მიხაილის აღზრდასა, უკეთუ ღმერთსა ნებავს არათუ მას, არამედ ყოველთა შთამომავლობათა სახლისა თქჳენნისათა სიცოცხლესა შინა ჩემსა მივიღებ მეცადინეობასა შეძლებისა-

მებრ ჩემისა და აღვასრულებ მათზედა წინადადებასა ამას თქჳენისა, სარწმუნოდ ბრძანდებოდეთ.

ამ თთვის 13, იწყო ადამმან ქადაგებისა წერაჲ ჩემთანა, მივეც გეგმი, წარვგზავნე თჳსად სახლად, და აღმითქვა მეცადინეობა და გულსმოდგინება, წარმოგზავნილი ხუასტაგი სრულად მივიღე, თუმცა მე მაქუნდა საჭიროება, გარნა ადამსაც ესე ვითარივე და თჳს-თჳსი ნაწილი მივიღეთ, რომლისათჳს დიდსა მადლობასა ვავლენთ, მეცა აღვწერე ღჳთისმეტყჳელებაჲ ვიდრე ასოცდათურამეტამდე პარაღრაფი 138. ვაქებ და ვადიდებ სამებასა პირებით და გჳამოვნებით დამტკიცებასა, რომელმან მიჩჳენა ცხადად მაგალითებითურთ და ვიმეცან მტკიცედ.

17 ივლისს უნივერსიტეტსა შინა იქმნა შემთხჳევა საზოგადოჲსა გამოცდისა აღსაზრდელთა კეთილშობილთ პანსიონისა, მინისტრი იყჳნენ მუნ და სხუანი მრავალნი ჩინებულნი კაცნი, ცერემონიამან იწარმოვა ესრეთ: ჟამსა მინისტრის მოსჳლისასა იქმნა კმა ზგერისა საყვირთა და მას ზედა გალობა, შემდგომად შესხმა რუსული, ამასთან საგანი სჯულისა ღუთისა, კვლავად სტატისტიკა, რიტორიკა, გინდა რუსული სიტყვიერება, რუსიის ისტორია. კანონნი რომისა და სამოქალაქო, მათემატიკა, ფიზიკა, სამხედრონი სწავლანი. ლათინური ენა, ნემენცური და ფრანციცული შემდგომად ამისა სთქუა შესხმა ძღუდელმა მაღისტრმან მალოვმა[5] შესხმა რუსულის კჳალად აღსაზრდელთა მიიღეს, რომელნიც მუნვე დაშთნენ ჯილდოდ წიგნები, რომელთაც შეასრულეს კურსი, ექვსს მიეცა მეათე კლასის ჩინი და ოთხმა მათგანმან ოქროს მენდალიცა და რუამან მეათორმეტე კლასის ჩინი. უკანასკნელ იქმნა გალობა და საკრავნი მშჳენიერ ხმად. ესრეთ შესრულდა და ერნი მოიქცნენ თჳს თჳსად.

მოწყალეო მამაო და მზრუნველო სხჳებრ დავშთები თქჳენის ღირსებისა მორჩილი მოწაფე ს. დოდაევ.

## № 55

### 1825 წლის 18 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი

უგანათლებულესო მეფის ძეო ოქროპირ![1] ქრისტე ღვთისა მიერ ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო.

თქვენსა მშვიდობასა შევთხოვ მაღალსა ორკერძოვე სათნოებისა მისისა აღსრულებად. ნამდვილ ვიწყი, რომელ ვითარებასა მაღალბრწყინვალისა ვახტანგისას მოიხსენებთ, გახლავს მშვდობით ფუნ-

დუქსა შიბჳ სათემოსა შორითგან მოსრულთასა, მცირე ჟამობით, რომელსა მრავალგზის მოვახსენე გამოსვლა მუნითგან. გარნა მიგებს პასუხსა „მუნ ვასხნი, მმართებსო და არა მიტეებენო გამოსვლად". ესე ნამდვილი არა უწყი ჭეშმარიტი ანუ ეჴრი. მე რაოდენნიცა ძალ-შედუა ვმსახურე ხუასტაგითა და ყოველთა თანა შემეცნება უხიაშჱს. და სახლიცა ძალმიძს შოვნად. სადაცა ენებოს კსთანმე რომელსა თჳნიერ ჩემსაცა შესთხოვენ, გარნა არა ვუწყი მნებებელობა და ნე-ბება და სანებური მის მაღალ ბრწყინვალისა, ამად, რომელ მცირე ჭლობისა გამო სცჳალებს არა თუ ლექსთა, არამედ სიტყუათაცა.

ესერა ძალისამებრ ჩემისა მრავალთა უთხრობ, და ის შენსცა სულგრძელობით ე. ი. რომელასა კელითაცა ნებავს მიჴირა, სადაცა ადგილია გინა თჳთ შემოსასა ფორმისასა აქაურისა პაჟებისაგან მო-გართმევ ფორმასა მეთქმე გაეწყობის კიდეც და თჳთ თქჳჱნ გამო-ცხადდით წინაშე თაონისა გინა წარვედ ცარსკის სელოსა შიგა და ეცნობე [illegible]ოლესთან მოსურნეთა ხილვასათა. გარნა ვერ მოახერ-ხა წარსვლა.

მე თახამდებად ვრაცხ მაღალ ბრწყინვალისა მსახურებასა. ამად, რომელ შახსოხან მრავალნი წყალობანი სახლისა უმაღლესისა თქჳჱ-ნისა, ამად გავბედე ზემოხსენებანი.

ყოველხივე უგანათლებულესნი პატივისმცემელ არიან. თჳთცა მეცადინეობს სოფლისა ცნობასა, მრავალნი მიუთხარ ძალისამებრ ჩემისა.

მოიხსენეთ, მე მრავალნი წიგნები მოვიწერენ, გარნა ყოველ-თავე დაფარვა მიიღეს კვიმირსა[2] ქჳჱშენი უყვარულობისასა, აჰა, იზღვიოს ეშმაკმან და ნუ კაცმან, რომელ განტიხრა ანტაკრად[3] და-ვეწყება ზემოხსენებულმან ვარდმოელვებულმან დაშრეტილმან მთი-უბმან[4]. აჰა, მიდგომილნი ყოველნი მშობელ არიან თერძულნი ნა-ყოფთ მღებელნი, არიან ორძილნი შრომნებითა ფშკან, ეტალნი ელ-ვარებენ, წყალნი სდიან, ჰაერით ცხოველები მშკნვენ, დებე ბურთი ჩუჱნი მომგრვალებულად იძვრისობსა, მზე მნათობს, ცეცხლი ანათ-ლებს ბნელსა ეთერის რყევითა მიჰვრიტანა სახეთ მჩუჱნებლობს, გარნა მეპასუხენი რომელნიმე დაბურვილ არიან ძუჱლსავე თხემითა. რომლითა არსი კავშირი სიყვარულისა ჰკნების და წყალვანი ლხვე-ბიან, და ხმელნი შეყინულნი ზრქელდებიან და მასრაკთ ნაწლევი ამაოდ იცოხნის რომელსა არა აუწყა ალსასრული ღმერთმან, არამედ შეასწავა თივა, და ყვავილთა ამაოება ამაოთი, და არქუა მზა ყოფა სიყვარულითა ღვთისათა და მოყვასისათა.

გჳჱდრი ზემო ხოტბანი მიიღოთ ლიზლობად და არა ლაღობად ჩემგან, რაცა ქმნილი იგივე ყოფადი და რაოდენნიცა ქმნულნი იგი-

ჴივე, ყოფადად კაცი თავისუფალ არს თჳსსა სიმგრგვლესა შინა თეს-ვად და მკად ცხოვრებისად, განრჩევად კალოსა ზედა ორისავე ხვა-სტაგებისა[6], ზემოჲსა და ქუჱმოისა.

მოიხსენეთ, ამათი უმაღლესობა ზედას ზედა გგონებთ აზმნო-ბიერთა უბნობითა თქუჱნითა. თქუჱნი ავთრათი მიიღო შიკრიკისა-გან, რომელსა ფრიად სურს წარმატება თქუჱნი. სამეფო დაბასა შინა სუფევს ცხებული, მიბრძანდა მუნ და განავრცო სიტყუანი აღძრუ-ვილნი სავსენი მადლითა და ჭეშმარიტებ თა ე. ი. წყალვითა და მხი-არულებითა. და აღუთქუა წაბრძანებამდე კვალადვე ხილვა.

აჰა, ესერა გუჱდრი უმაღლესთან გახსენებასა, რომელსა მსა-ხურება მსურს, გარდა ლოცვისმცა, უკეთუ ენებოს ღმერთსა.

ეგრეთუჱ უგანათლებულესი მიხაილ მეფის ძე[7] მიამბორეთ ძლიან მასწავლებელი, და გამომჩრჩელი ჩემდა, ესახედუჱ ილია მეფის ძე[8] ორსახედ ნაცვალ პირ მომლოცუჱლ მექმენით მითუჱ სა-ხითა ირაკლი მეფის ძე ნე მეურნე დიდისა ღვთისა ტაძრისა.

უკეთუ მამოსანთა წმიდადაცა მიამბორეთ და მიიღებთ სალთო შრომათა ვალდებულ მყოფთ მრჩობლად ლოცვთა.

თქუჱნის უგანათლებულესობის
მლოცუჱლი იონა მკდოვანი ვგიე
უუმწვერვალესსა მსახურებასა
თქუჱნდამო.

წელსა 1825 სა
აგვისტოს 18
ს. პ. ბ.

**№ 56**

**1825 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ანდრონიკოვისადმი[1]**

თქუჱნო მაღალბრწყინვალებავ, უფალო მაიორო, იოანე ანდრონიკოვ!

ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცუჱათა მომრთმევლობ თქუჱნდამო.

ესერა თქუჱნი ავთრათი წიგნი მომებოძა. აგვისტოს თთუჱს 20 ს, რომელ ღიდ ფრიად მხიარულ მყოფს. კურთხეულ არს ღმერთი უფა-ლი, რომელმან ყოველთაგან მარცხულთა ე. ი. ორგანვე სიკუდილი-საგან გიხსნა და გფარავს, ეგე სიცოცხლე თქვენი მამისა სიმართლე არს, რომელიც ტყუჱვეზთა მკსნელ ბრძანებულ არს. ვითარცა მომი-თხრობს კაცი ესე[2], მომლოცულ ქრისტეს საფლავისა.

ეგრეთვე აღიარებენ პირნი იმერთანი კეთილობასა მშობელთა თქჳჱნთასა, სიყუარულსა და ლოცჳსა და მარხჳსა ღვთისა მიმართ, და მოყუასისა და გარეშეთასა. ამისთჳს ჰხმობს საღმრთო წერილი, სიმართლე მშობელთი იქმნების შვილთი შჳლადმდე, ამად ძვირ ფასობს კეთილმსახურნი მშობელნი შჳლთათჳს.

მოიხსენებთ, მიცხადებთ სახლისა ფუძისა დამკვიდრებასა ბორცჳსა ზედა დადებასა, და იგჳრდივ სავანისა ყმათა მწკრივსა. და ეგრეთჳჱ ტაბარუკთა[3], ეულთა, მწირთა და მსხემთასა[4] ეგე დიდ ფრიად კეთილ არს, რომელ ერნი მდაბალნი კეთილისა მწყემსისაგან დღე და ღამ ბრუნვისა უკეთილესისა სძისა, და ერბოსი, ქუჱლისა და მატყლისა და ხვასტაკებისა მომრთმეველ იქმნებიან. მაშინ უმეტეს ოდეს თაფლ და გოლ და მანანა და იფქლი, ღვინო და ზეთი და გავაჰრება გაუმრავლდებიან და რომელთა რაჲ ნიჭი აქუნდესთ ეგრეთ დაიდგინენ საქმეთა მათ ზედა. და თანამდებობასა ზედა. მანდარე თუშნი არიან მაგალით ხუასტაკებთა განმრავლებისა და ყაზახისელი და უკანა ქისიყი იფქლისა და წინა ქისიყი ღვნისა. და სომეხნი ვაჭრობისა აჰა, კმა არიან ოთხნი ეგე მიჰურიტანანი, ე. ი. სარკენი საჩუჱნებელნი, ეგრეთუჱ იკონომია მანდაურთა როსიელთანი, რომელ ვგონებ მანდა აფიცართა უმეტესი დახუჱდრა ძალ ედუასთ, ვიდრეღა მანდაურთა მოსახლეთა აზნაურთა.

ეგრეთჳჱ მიბრძანებთ ეკლესიისასა ათცხრამეტის წელიწდებისა უწირავსა აჰა, ამიერთაგან წირჳა იწყოო. ეგე უკეთილესი საქმე არს, ვითარცა ჰსთქჳა ქრისტე უფალმან. პირჳჱლად ეძიებდით სასუფეველსა ღვთისასა, რომელთა აქაურნიცა შეგეძინებისთ.

მოიხსენეთ ყოველნი საქმენი, რაოდენნიცა გნებავდესთ, პირჳჱლად სამისა თთუჱბითა, ანუ სამის შვდეულებითა, გინა სამის დღეებითა და უკეთუ ესწრაფლ იყოს სამის ჟამებითა, განიზრახეთ წინაშე ღვთისა ლოცვთა და მერმე იწყევით. ეგრეთჳჱ იყოლიეთ ბრძენნი განათლებულნი ღვთის მოშიშნი კაცნი ორნი გინა სამნი სიტყვსა და საქმეებისა მრჩევლად. და რომელიცა მათგანისა ბრჭობახი და რჩევანი კეთილნი იყუნენ იგი მიოქმედეთ, რომლისაც უკეთესი იყოს ის მიიღეთ და რომელსაცა დიდ ფრიად უკეთილესნი იყუნენ იგი უმჯობესად მიითუალეთ. რათა პირთა ორისა და სამისათა ყოველნივე კეთილნი ქმნანი და საქმენი უუკეთილესად აღესრულოს.

იხილეთ ყოვლისავე შემძლებელმან, წამსა თჳალთასა, უქუსსა დღეებთა შინა შექმნა სოფელი ღმერთმან, სიბრძნისა საჩჳჱნებელად ჩჳჱნდა, რათა ჩჳჱნცა საქმენი, რაჲცა იყოს პირჳჱლად დავივიწყოთ და საჭირონი. მერმე სახმარნი და შემდგომად სასარგებლონი ვითარ-

ცა ჰყოფენ ცხოველთ მხატუარნი, და ყოველნი ჴელოვანნი და ჴელოსანნი. და ჴელობიანნი, თანასწორ ზომითა და წონითა და აწყუთა, თანასწორ ძალისა თჳსისა პირუელად განმჴსჯელნი და აღმრიცხუელნი საქმეებისა და წარსაგებლებისა, და ოთხთა ჯგუფთა დღეებისა, შჳდეულებისა თთუეებისა და დროჲსა, და ამინდისა ტაროსისა და მშჳდობიანისა წელიწდებისა.

აჰა, სურვილსა წინარე წარუძღუანიეთ სულისა სიბრძნე და ნება, და ნუ სურვილი. რამეთუ განუსჯელი სურვილი შეიქმს სინანულსა. უკანასკნელ ე. ი. ნეტამც ასე მექმნა და არა ეგრეთ. უკეთუ ამ სახედ არ ქმნილ იყო. ეგრეთ უმჯობეს იქმნებოდა, თუ ესრეთ არ ქმნილ იყო უკეთუ იქმნებოდა. მე შევჰსცდი. იმან შემაცთუნა, მე არ დავიჯერე, იგი მირჩევდა. აჰა, ესენი შეუდგებიან უსიბრძნო სურვილსა წადილსა და მსწრაფლად შეჰიდებასა საქმეთასა.

მოიხსენეთ, იყოლიეთ მფარუელნი, ანუ მფარუელი ეგრეთი, რომელსა ძალედუას კეთილისა ქმნა თქუენდა, რომელ კეთილგულისჴმიერთა ყოველთავე მფარუელ უვისთ, მდიდართა და გლახაკთაცა, რათა არა დაეცეს, და უკეთუ დაეკუეთოს დაცემა უვნებელად აღადგინოს. უკეთუ წინაშე ღმრთისა გყუანან მეოხნი ე. ი. მფარუელნი ანგელოსნი. და წმინდანი ყოველნი. ეგრეთუე წინაშე მაღალთა, მმართებლობათა საჴირო არიან, ზემო ყოველთათანა, პირუელად გიყუარდეს შემოქმედი, რომელსაცა ჴელთა შინა არს სიცოცხლე შენი. ეგრეთუე ყოველნი მოყუარენი, ე. ი. ყოველნივე მამულისა შვილნი. ეგრეთუე შეიყუარეთ მტერნი ეშმაკისაგან მიბირებულნი, რომელთა ეშმაკი განეშორება მათ, და მოეგებიან გონებასა. და შეინანებენ სარეცელსა ზედა, და ესწრეთ ნალუელნი იგი, თაფლად და გოლად შეიცვლებიან თქუენდა მიმართ, რომელთაგან თჳთუე დასტკბებისთ. აჰა, ჰყავთ სიცოცხლე თქუენი პირუელად მეუღლისათჳს ტკბილ და მშჳდ და მყუდრო და პატივ, ეგრეთუე მშობელისათჳს, მორჩილ და პატივისმცემელ, რომელ თჳთუე უწყით მშობელთა განმამწარებელნი საშვილიშვილოსა კურთხევასა ვერ მიიღებენ. გინა ლოცვიდენ მშობელნი შვილთა ურჩთა არღა მივა კურთხევა ზეგარდამო, ეგრეთუე ყოველთა მცნობთა თქუენთაგან ეცადენით, და იქმნენით იმედ დავრდომილისა, რათა გლოცვიდენ და იყოს სიცოცხლე თქუენი ძვირფას მეცნავთა, თქუენთათჳს, მაშინ აკურთხევს ჴელთა თქუენთა საქმეთა ღმერთი მართალთა მოყუარე. რაჲცა არ ძალგედუასთ ნუ აღუთქუამთ. ერიდენით ტყუილსა, ვითარცა საწამლავსა, გესლსა მხიბლავსა კაცთასა, რომელ ტყუილებისა, ცილისწამებისა, ჭირისა, სიჩქურისა, და მოცთუნებისა მამანი ეშმაკნი არიან, რომელთა შვილნი ტყუილნი არია. ამად პატივოსანნი ეკლე-

ლიისა შვილნი, და მამულისა ერთგულნი ივლტიან ტყუილისაგან, და მტყუანისა კაცისაგან, რომლისა ფიცსაცა რჯული არა შეიწყნარებს. და ღმერთი მშვიდობისა იყავნ თქუენთანა.

ნამდვილ ვუწყი, რომელ ჩემს ვითარებას მოიხსენებთ, ვმადლობ ღმერთსა, ვახლავარ ამათ უმაღლესობასა, რომელ ამ ჟამად სამეფო დაბას ბრძანდება. აგარაში, და მე საზამთრო სახლში მომაქცია მუნითგან, მსხუერპლებისა შეწირუად. ცხებული უფალისა მუნ მიბრძანდა განათლებად დედუფლისა. ეგრეთვე მეფის ძის ასული, სალომესა, და ელენეს ფრენილობა უბოძა თვისისა როჯიკებითა. უგანათლებულესს დიდსა ელენეს, ე. ი. დავით ბატონის შვილის მეუღლეს რვა ასი თუმანი მონარხმან მიუბოძა საუკუნოდ.

თქუენი მსახურების მოქენე, ლოცვითა და წირვითა ვგიე თქუენდამო მაღალბრწყინვალეო უუმწვერვალესთა სიყვარულსა შინა გულითადიერ.

წელსა 1825
სეკდემბერის 3 დღესა
სანკ პეტერბურღით.

## № 57

### 1825 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სოლომონისადმი.

თქუენო ღირსებავ პატივოსანო მამა! წმიდაო სალოსი იერეი სოლომონ, ქრისტეს ღვთისა მიერ მოწლედ ამბორებლობ თქუენდამო გულითადიერ საღთოდრე!

აჰა, ესერა თქუენი ქარტა, ავთრათი წიგნი მივიღე ბრწყინუალე თავადის პაკეტსა შინა უფლის მაიორის იოანე ანდრონიკოვის[1] წიგნსა თანა შიგან და გარეგან გრაგნილი თქუენი, და ჩემი მონათვლელას უფალა ელენასი[2], აპრილის 20 დაწერილი, აგვისტოს, 20 თთუეში. რომელთა მხიარული ვფსალმუნებ სიყუარულითა სიყუარულსა. კურთხეულ არს სამება მხოლოსა ღვთაებითა, რომელმან დაცულგყოთ შინაგანისა კაცითა, და გარეგანისა ე. ი. სულით და კორცითა.

იხილე, განაწევრება გებრძანათ, თქმულა უკეთუ სახლი სახლსა განევლთას, ვითარ დამტკიცდეს სავანე. ესე ვითარნი საქმენი ტყუ-

ილისა მამებთაგან არიან, არა თუმცა მათ შემოიღეს ესე, გარნა მაღალმან მბადებელმან სიყვარული მტერთა თჳსცა ბრძანა, რომელთა სიტახა, საჴუილ, და ბელიერნი ივლტიან. თქუჱნ შეიყუარეთ პირველად მავხებელნი, და ჰსძლიეთ პირუტყულად გუამსა თქუჱნსა სახარებისა მოთმინებითა, რომლისა ნაცუალად არა დაუტევებსთ ღმერთ მამა სახიერი, რამეთუ თჳთ მამანი, და დედანი დაუტევებენ შვილთა, გარნა ღმერთი არაოდეს, არა სადა, ვითარცა თჳთცა უწყით.

მამაო წმიდაო, ნამდჳლ ვუწყი ჩემს ვითარებას მოიხსენებთ. გმადლობ შემოქმედსა ვგიე სულითა, სამშვინვერითურთ ერთბამად ცხოველი უმაღლესისა იმერთა დედუფლისა[3] სახლისა საყდარსა შინა. მარიამ კაცია დადიანის ასულის სასახლისა შინა მოწაფესა ჩემისასა. ვგიე.

მოიხსენეთ. მაცხოვრის ხატის დასუჩნება ჯერედ განუსაზღვრებელად გებრძანათ, გარნა არა მწერთ ხატს მაგას თანა მოჰყუა კიდობანი მოქანდული. მოპიტალებული ოქროთა ანუ არა.

ეგრეთვე ჩემის ძმებისასა მწერთ, და შვლთა მიუბარებლობასა, ესეცა მეორე მწუხარებაა ჩემდა. მაღალ ბრწყინვალე თავადი იოანე ანდრონიკოვი მწერს აქ წარმოგზავნასა. და თუ ამჟამად მანდ არ იქმნასო, აქ მიუაბარებინებ სიღნაღის სკოლაში.

მოიხსენეთ, ოდეს ეს წიგნი მიიღოთ. უკეთუ უნდეს ღმერთსა, მიიღეთ შრომაა. და დაამორჩილენ ეგენი მაღალ ბრწყინვალესა, რათა აქარე გამოგზავნონ, და უკეთუ ვერ შეიძლოთ. მანდ მიაბარებინეთ. და წელიწადებისა რიცხენი მომწერეთ. ანუ რაოდენნი ძენი ჰყავსთ მე წიგნი მომივიდა სოლომონისა-ძე მისცემიად. იგიცა მომწერეთ რაოდენისა წლისა არს, ეგრეთვე იოანესი და გრიგოლისა[4].

კუალად მოიხსენიეთ, გიორგის ჩემისა ძმისა მიმართ სამდურავი მესმის, ბევრი ვერ მოიტანაო. აჰა, არათუ ბევრი, მცირე საგზალი პურ საჭმელი მივეცი, რომელ მოზდოგამდისაცა ძნიად მოიყუანდა. აქ არავის რა უბოძებიათ, ყოველნი ვალით სავსენი არიან, იხილეთ სიმონ შოშიაშვლსა გამოსასტუმრებელი ძნიად შეიძლეს. თუ არ თხოვნითა, მაგას არავისთვის რა უთხოვნია, აეალიშვილს წარმოვატანე მცირე სამგზავრო, მივეცი მოსდოგამდმზე მოსასუღელი.

მოიხსენეთ, უკეთუ შრომასა მიიღებთ და ვუწყი იტვრთავთ ამა პირობითა უკეთუ ძეთა თჳსთა მიაბარებენ მანდა, ანუ აქ გამომიგზავნია გინდ მანდ მიაბარონ, ოღონდ მიაბარონ, მაგათ გამოუგზავნი ერთს წლის მისაბარებელს ფულსა, და შემდგომ სხუასა, ეგრეთვე მამულის სყიდვსა ფულსა. გარდა ფასი მომწერეთ, მაღალ ბრწყინვალისა დასწრებითა, და შეტყობითა, ანუ ვისგან ყიდულობენ კაცისა მის სახელიც მომწერეთ და გუარი, და სადა არს მამული

აგარაკი, თუ ვენახი ზოგნი მახსომან მენიშნებაცა. მაღალ ბრწყინვალესაც ესევე მივსწერე, მაგას შეამცნეთ საყიდველი და ფასიცა, მამაო წმიდაო. უფალს მაორს იოანეს განახილვნიე გასასყიდი მიწა, და ოდეს ეგე მარწმუნებს მაგას ფულთან გამოვგზავნი ორასი თუმანი მაგისი აქა იცუჩბის ჩემთანა საჴელმწიფოსა სარგებლითა.

მოისმინეთ, მაღალ ბრწყინვალის ზედამხედჳელობითა და მაგისის რჩევითა მაგის ფულთან გამოვგზავნი ცალკე პაკეტში ყრმების მისაბარებულს ფულსა 1. და 2. მიწის საყიდლის ფულსა ცალკ ცალკე დაბეჭდილში.

მამაო წმიდაო, სოლომონ, შემოსამოსელს მენუკვით, ორი რიგი მაქჳს, გარნა ძნელია გამოგზავნა გზისა სიშორითა, შიკრიკისათვის სამძიმო არს. აჰა ღონისა მოძება ესე არს ზემო ხსენებული შეასრულებინეთ მაღალ ბრწყინვალესა, ე. ი. ყრმების მიბარება, და მათ ზედა წარსაგებელნი პირველ რაოდენი წარეგების და მეორე გასასყიდს მიწას რაოდენს ფასს ჰსდებს გამვაჭრებელი და მე გამომგზავნი ვარ.

თქჳენი შესამოსლის ფულს თჳთჳე უწყით პოხიერად გამოგიგზავნი გინდ დააფასეთ, ვეცდები გმსახურო. ახლა შენა ბრძანდებით და უფროსღა მღუდელი ძმათა ჩემთა, და სახლის შვილი.

შეგთხოვთ დაწჳლილებით მომწერო თანჴმად მაღალ ბრწყინვალის იოანე ანდრონიკოვის შემეცნებითა, რათა მენიშნოს, აჰა, ვარჩნაძეს[5] სიმეონს წიგნისა თანა წჳლილ მოწერილნი თქვენი ყოველნივე ვჰსცან, და პასუხი მოგწერე, აჰა ახლა ყრუი და მუნჯი წიგნი მივიღე თქვენი ნუ ყრუელობთით მარტოებასა. მღუდელის სახლში არა ჰამს ერის კაცის ცხოვრება, რამეთუ მესაიდუმლე მღჳდელი ეკლესიისაა. ხოლო ერის კაცი მუშაკია მიწისა, და თჳსისა ჴელობისა და ჴელოსნობისა და ჴელოვნებისა, რა ზიარება აქუს ღამე მლოცველსა ღამეში მძინარეებსა, ერის კაცებსა თანა.

გჳედრი რათა ნუგეში ჰსცე ძმათა ჩემთა. აჰა, ოდეს არა მოგყუნენ, თქჳენ მიჰყევით მუნამდე შინაგან საზღჳრისა, ვიდრემდინ გრძნან და მოიზიდო სიმშვიდისა ბადითა და სიყჳარჳლისა საბლისა დარგებისა ნაყოფებითა რაიმეთა.

პავლემ არავის დაუმძიმა, ვიდრემდი მოიზიდა მყუდროებითა. აჰა, მშვიდთა დაიმკვიდრონ ქჳეყანა ორივე.

გიორგისა გებრძანათ სუსტობა, თვთუ უწყით წამალი სნეულისათჳს არს, ეგე აქა ჰკჳიანობდა, რომელსა ჯერედცა იგონებენ, და მეცა ვმოწმობ. არა არს ცალიერი სოფელთა შორის, რომლისასა ბაზიერაშვილიცა მწერს ვაშა, ვაშასა. მიბრძანეთ, მე ოდეს დავიბარო მაშინ წამოვიდეს, თჳსი ძმები შეიყუაროს, და სახლი თჳსი

მკდოვანი სახლი უტკბილესის, და მშობელთა სასაფლაო, ვიდრელა ნადირად სიარული და ტანტალი და სხვსა ქელთ შეყურება.

თქუჱნი წამოსვლა გებძანათ, დიდ ფრიად მხიარულება არს ჩემდა, ოდეს დაგიბარე არ ინებეთ, თქვენუჱ საჯეთ ბრალი, ახლა თქვენვე მწერთ აღკრძალუასა.

სოლომონ დოდოევი ნაცულად გეამბორებად, ეგრეთუჱ ადამ, სოლომონ ერიაშვილი[6] უნეტარესთან გავისტუმრე, წიგნიც მომივიდა, ხოიშნობა[7] მიუწერე ანტონი კათალიკოსთან, და მოურავთანაცა.

თქუჱნი თანა ძმა მღუდელ მონაზონი იონა ვჰგიე სიყუარულსა შინა თქვენსა უუმწუჱრვალესად ლოცვთ მსახური თქუჱნი.
წელსა 1825
სეკდემბრის 3 დღესა

## № 58

### 1825 წლის 4 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა ნათლია ელენასადმი

სალთო დედასა, პატიოსანას ელენას![1]

ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცუათა მომრთმეველობ,

სალთო პატიოსანო დედაო ელენა, თქუჱნი მოკითხვს წიგნი მომებოძა ესრეთ, მივიღე, ვითარცა თვთ თქუჱნ მენახენით, ვჰმადლობ შემოქმედსა ვინადგან ჰსცოცხლებთ, მსგავსად ორბისა, რომელ სიბერე ნიჭ ღვთისა არს. და კიბე ზეცისა, და ნაყოფ სასუფეველისა და განმზადება სახლისა ამის სოფლისა ხრწნილებისაგან უხრწნელსა სახლსა შინა განსლვა. აჰა მკნე იყუჱნით, და განძლიერდით სულითა, და დღესასწაულებ ალოცებდით მღუდელსა შინა, ეგრეთუჱ ზეთს აკურთხებინებდით, აიაზმის წყალი იქონიეთ შინ მცირეს მიიღებდეთ პირჯვრის დაწერითა. ლოცუა გექმნებათ საიდუმლო. ეგრეთუჱ იქონიეთ კრიალოსანი, ას სამი. უფალო შეგვიწყალენი ბძანეთ. მიიმწუხრით, განთიად, და შუადღე, სამისა თითებით. საჭმელთა და სასმელთა ჯუარს დასწერდეთ პირუჱლად და მერმე მიიღებდეთ, ეგრეთ ვითარცა თვთ ერის კაცნი იწერენ, ეგრეთუჱ სანოვაგეთ დასწერდე ესრეთ განემზადე, ვითარცა სტუმარნი შორს წამსვლელნი განემზადებიან, ყოველ-

ნიჭც აკურთხე სახელითა ღვთისათა, და დალოცენ ყოველთა სასმე-
ნელბთა შინა, ყოველნი სიტყუანი თქვენნი, და დამტკბენით, მსგავსად
თაფლისა, გოლისა და მანანასა, სოფელი ამაოდ შერაცხეთ, და სიმ-
დიდრენი ნაგევად, აჰა რომლისამე სულსა თვსნი კორცნი და სიმდიდ-
რენი. და სოფელი ესე უმეტეს უყუარს, ამად იშიშვის წარსლვისა-
გან და განმზადებისა, თუმცა არა ასცილდების ესე დიდ ფრიადი უგუ-
ნურება, და სისუსტე სულისა, ამად ჯაბანსა ეშინის, სასუფეველისაგან.
და ღვთისათანა მისასულა, რომელ განუნათლებელსა, ქუეყანის მეფი-
სათანაცა მისლუა ეძნიადება, და მღუდელსა უსწავლელსა, ეშინის მი-
სასლუა მღუდელთ მთავარისა თანა. ესენი ყოველნივე უსწავლელობი-
საგან არს. ეგრეთვე შიშნეულობენ ამიერ განსლვისაგან ვიეთნიმე, თქ-
უენ მკნე იყუენით და მზა სოფელი შუაღამეა, პირისპირ სასუფევე-
ლისა სიძისა მის ქრისტეს ღვთისა, რომელი შეივედრებს მართალთა
სულებსა ჴელთა შინა თვსთა. უკეთუ ვიეთნიმე ქრისტე იშიშვოდაო
სიკუდილისაგან, მიუგებ მათ. ქრისტე კაცობრიობის ბუნებისა დამტკი-
ცებას იჩუენებოდა, ვითარცა ლაზარეს ზედაცა ტიროდა, რამეთუ
ა აქუს ცრემლი მარტოვსა ბუნება არსებას ღვთისა, არამედ კაცისა
არს ხაწლაებისა შეიწროებითა ნოტიოთა აღსლუა თუალებითა შინა
აცა, ჩვენ განვიშორთ თავისუფლებითნი ცოდუანი. და მელი ულო-
ნო, მცბიერი ეშმაკი, და სოფლისა ამის სოფლისა, მაშინ სადალაში
შიში და ჯოჯოხეთი.

ცოდუანი განიწუალებიან ორად ე. ი. სასიკუდინენი შვდნი და
მისატევებელნი დღესა შინა სამეოცდა ათშჳდნი, გარნა ყოველთაგანჳც
ლტოლუა საჭირო არს, ამად რომელ სიკუდილი მპარავ ესრეთ მზა
არს, ვითარცა მშვნუა ცხვირისა შინა. გარნა რომელნი აღსარებითა
სინანულისათა, საღთო საგძალისათა გამოსალმებითა ყოველთა მიმართ,
და შენდობისა მოთხოვნისთა. და ლოცვთა აღესრულებიან ზეთის ცხე-
ბით. ვინა წარუღენან ქორწილსა მას, ზეცათა შინა, სადაცა არს სა-
უნჯე შეკრებილი, ცხრა ნეტარებითა, ათის მცნებითა, ათისა ნაყო-
ფებითა, და ათისა ნაყოფებითა სულისათა. ათორმეტ სიმვოლო მრწამ-
სითა და ექუსთა სიტყუითა. ე. ი. ძმიერთა მშიერთა გამოზრდითა.
მწყურვალთა სმევისა, შიშუელთა შემოსისა. უცხოთა შეწყნარებითა.
სნეულთა მოვლითა, და საპყრობილესა შინა ნუგეშისა. ესენი არიან
შეკიდებუანი სამჯავროსა შინა.

აჰა, მეფსალმუნებ არა განსაზღურაა ოთხმეოცი წელი, რომლა-
ჲმე ათასთაგან ასნიცა ძნიად მივლენან, ესე რომელ [illegible] ღუსა-
ცა იცხოვრებენ, ამად ჰსთქუა სულმან წმინდამან, რათა სიყრმითაგან
ვეკრძალნეთ სულის სიმართლესა, და კორცთა სიწმიდესა და სიძა-

რთლესა, რათა მუნ მიწეულნი მხნევედ ვიყუნეთ, და არა მოუძლურე-ბულ ადრევე უბადრუკებითა, კორცთა წადილებისა აღსრულებითა, რომელთა ძარღუნი დაუხმებიან და სისხლნი, და სიცოცხლის ნოტიო-ნი გაუშრებიან. და დაიწყებენ თრთოლასა, მსგავსად შემოდგომისა ფურცელთა არღარა ესმისთ, არღარას ხედვენ, არღარას ჰსცნობენ გე-მოსა. და არცაღა ტფებიან და იგონებენ ამიერს და იმიერს არა რაესა. გარნა მხოლოდ მიისხანებენ წყევლითა. და კუნესითა ამისთვს ჰსთქუა სულმან წმიდამან პორფიროსანისა მეფისა პირითა. რათა არა მოუძ-ლურდეს სულიცა კორცთა თანა თჳსთა.

გარნა თქუენ ოდეს გარეგან მოუძლურდეთ, შინაგან განძლიერ-დით ჴელმწიფაო ჩემო, თქვენს შვილს ძმასა ჩემსა გიორგის[2], მეუ-ღლესა მაგისსა დასა ჩემსა ანნას, და ძესა მაგათსა გიორგის, ლოცუა კურთხევას ვუძღვნი. ღმერთმან მამამან ნებისაებრ თქუენისა გიცხო-ვროს, წიგნების გებრძანა, დიდ ფრიად მოიძნელებს, იოანე ანდრონი-კოვს ოცდაათი წიგნი იგინი ყოველნივე უმსხუერპლე მანდაურს შკო-ლასა. იგი ინათხოვრე მაშინცა სხუა ძალის არა მაქუს.

მლოცველი მონოზონი იონა
წელსა 1825
სეკდემბერს 4.

## № 59

### 1825 წლის 4 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების სოლომონ და გიორგისადმი.

ჩემნო ღვთის წყალობანო ძმანო სოლომონ და გიორგი, და სხა-ლნო ქრისტე ღვთისა მიერ ლოცუათა გიძღუნი ერთბამად, ჩემს ვითა-რებას იკითხავთ. ვმადლობ ღმერთსა. მშვიდობით ვარ. თქუენს მწუ-ხარებას ვარდა. ჩემი სათხოვარი თქუენთან ეს არის, რათა თქუენ სი-ყუარულით იყუნეთ. ესე არს ნება ღვთისა, რომლითა კეთილად იც-ხოვრებთ და ცხონდებიცა. ერთი მეორეს უნდა მოუთმენდეთ. ქრის-ტე მოთმინებისათვს გაბედნიერებსთ. პირუტყულად სულითა. და ეგრე-თუე კორციელის ცხოვრებითა, სიკუდილით არის ბრძანება გაყრა. და არა სიცოცხლითა. კმა არს თქუენდა გაყრა, რომელნიცა სიკუდილმან იმოქმედა, თქვენ გიყვარდესთ ერთმანეთი და ღმერთი თქვენი შემწე იქნება. აჰა, სიკუდილი და სიბერე ახლო არს კაცთა ზედა ამით სი-ყვარულითა ცხოვნდების კაცი.

თუ მამული გინდათ სასყიდლად, ანდრონიკოვის[1] ჴელით მომწერეთ და მამა სოლომონის[2] ჴელითა, დააფასებინეთ და ისე მომწერე მე გამომგზავნელი ვარ.

ეგრეთუჱ ყრმანი ეგე, თუ აქ არ გამომიგზავნით, მანდ მაშინც მიაბარეთ, ბედნიერნი იქმნებიან, თუ ორს არ მიაბარებთ, ერთი მაინც მიაბარეთ. მაგათ წარსაგებელს მე გამოგიგზავნი. მიხედეთ ახლა რუსობა არს, აღარცა უსწავლელი რუსულისა მღუდელი იქმნება, და თუ ვისმე აზნაურობა უნდა, უწიგნო აზნაური სულ არ შეიძლება, იოანე ბაზიეროვი მწერს, ჩემი ასულნი თავადებს მივათხოვე, უკეთუ სწავლა არა ჰქონოდა, ვითარ მიათხოვებდა, რომელ მაგის ძმები მათთან ხშირად ველარც კი მივლენ. თჳსისა ძმისწულებისა ნახუად უსწავლელობითა, თქვენ მე დამიჯერეთ, მიაბარეთ შჳლები ბედნიერნი იქმნებიან, თუ აქ არა გნებავსთ, მანდ მიაბარეთ, აქ ერთი ჩემი მოწაფე თამარ არს, დავით ბატონიშვილმან, მრავალ გზის თჳსისა ძის სოლომონის მიბარება უბრძანა და მაინც არ მიაბარა ჰსწავლაში. ახლა აგერ კაცია და აყუჱდრებს თჳსსა დედასა, მიუბარებლობისათჳს. დედაც ორის ჴელით თვში იცემს, და არიან ორნივე მწუხარენი, გიორგიც იცნობს მათ, მაგათ ბეგარაზე ტარებას თქუჱნ გაიჳირეთ და ეგენი გაამბედნიერეთ. მშობელის მოვალობა არის, რომე შვილნი წერილში აღზარდონ და მით აცნობონ ღმერთი. მე თუ ისევ მეროჳიკე ვყოფილიყავ, ჩემი სახელი აქავე მკუდარი იქმნებოდა. თვთცა მრავალი წიგნები შავჰსთხზე ჩემით საქართუჱლოსათჳს. და დაბადების ოდენა წიგნი დაწერა, თორმეტი წელიწადია ჰსწერს იოანე ბატონიშვილი ჩემს სახელსა ზედა, ე. ი. მალაპარაკებს ყოველსავე ჰსწავლასა. სულიერსა და ხორციელსა. მე ვნახე ჴელმწიფე რაოდენნიმე სამდუმლონი მიბრძანა, რომელ ჩემთანა ჰგიესთ უთქმელად. მე ვხედავ სინოდსა, მე ვიყავ სემინარიასა შინა ჴელმწიფის როჳიკითა, მე ვარ მოძღუარი დედოფლებისა, მეფეთ ძეთა, ასულთა, თავადთა. აზნაურთა და გლეხთა ჴელნი ჩემნი იღუწიან მანდით მისრულთათჳს, მე სამნი ეკკლესიანი სასახლისანი დავჰსდგი, და აწ წირუანი არიან მათ შინა. მე ვუყვარვარ ყოველთა მცნობთა ჩემთა, მე ვამხილებ განდრეკილთა. სხუანი ვერცკი გაბედუჱნ შინა თქმასა, სამღუდელონი ჩუჱნნი აქაურნი. მე აქა ვარ და მანდაცა მიცნობენ. მე დამიბარა ეგზარხმან წიგნით, გარნა ჩემი ნება აქ დგომისაა, რათა სასარგებლო მამულისა წიგნნი სხუანიცა ვქმნნა. ესე სიქადული არა არს, ესე ყოველივე მართალ არს მე დამიჯერეთ, კეთილად იქმნებით.

გიორგის[5] ვაჳრობა შეჰსძლებოდა, ფულს გამოვატანდი, საგზაოს ჩეტი ამისთვს არ გამოვატანე უწიგნო კაცი ხშირად წარაგებს, არც გა-

მდიდრდება. ვითარცა ვაჭარნი, რომელთა ეკკლესიებისა დიდისა, და სახლებისა აშენება შეუძლიანთ, თუ წიგნი გცოდნოდათ სახლი თქუენი მდიდარი იქმნებოდა და აზნაურ. დავით ბატონისშვილის დროსა ვითარღა შეიძლებების მიწის მუშაკის ბედნიერყოფა, ესრეთი ვითარცა არიან წიგნიანნი. რამეთუ მიჰქონან თავი მიწის მუშაკსა მინდვრისა და ტყისაკენ, ხოლო წიგნიანსა ქალაქებსა შინა აზნაურთაკენ, წიგნიანნი იმოსებიან კეთილითა, ხოლო მიწის მუშაკი დაბებკილთა, წიგნიანსა ესმის სახარებისა ბრძანება, მიწის მუშაკსა მცირედ ოდენ სამოციქულოსი, წიგნიანი უმრავლესსა პურსა და ღვინოს შეიკრებს. მიწის მუშაკი მცირესაც გაჰყიდის, წიგნიანი ათორმეტსა ჟამებს მუშაკობს, და ბევრი აქუს, უწიგნო ათთექუსმეტსა. და მცირე აქუს საცხოვრებელნი, წიგნიანთა მართებულობა იცნობს და არხიერნი, უწიგნოსა მცირე მეზობელნი, წიგნნიანი ეკლესიებსა უმეტეს მსახურებენ, ვიდრეღა უწიგნონი, წიგნიანი უკეთილესად აღესრულების, და დაიმარხების, დასასრულ მეღორემ არ უწყის ბრილიანტი. და მეზროხემან მარგალიტი, მექუნემან ანდამატი, და ეკლესიისა სამკაულნი, ხოლო წიგნიანმა ყოველივე უწყის სამღთონი და საერონი.

მღუდელ მონოზონი იონა
წელსა 1825
სეკდემბრის 14,

ესენი უფალმან ორბელიანმან ზაქარიამ, გადმოტვფრნა მწრაფლად, კეთილ ჯელად გარდასაწერნი არიან მწკრივითურთ.

№ 60

**1826 წლის 1 ოკდომბრის წერილი იონა ხელაშვილისა საქართველოს დედოფალ მარიამისადმი**

უმაღლესო დედოფალო საქართუელოჲსავ მარიამ უუმოწყალესო მეფავ!

წინაშე კუარცხლბეკთა თქუენთა, თქუენდამო ლოცუათა მომრთმევლობ. თქუენის უმაღლესობისაგან უუმოწყალესობით ბოძებული წიგნი მოვიღე სეკდემბერს 22 ს დაწერილი ოკდომბერს 25 ს მყისუე აღმოვიკითხე, და უუმოსწრაფეს სრულვყავ უმაღლესობისა თქუენისა ბრძანება, და ვიახელ მაღალ ბრწყინვალესა ძმისწულსა თქუენსა ვახტანგს, და აღმოუკითხე საიდუმლოდ, და ისმინა მიმყოვრებითარე

უტკბილეს გულისა უუმოწყალესი ბრძანება და წურთნა თქუენის
უმაღლესობისა.

ეგრეთუე ჩემ კერძ. ვითარცა გებრძანათ ვიგულმოდგინე, და ზე-
დას ზედა მოხსენება ვჰყავ, და შევაგონე სამღუდელოთა წერილებთა-
გან, გამოუთარგმანე ესრეთ. კაცი ყრმა თანამდებ არს, პირუელად
სიყუარულსა ღვთისასა. რომლისა შიში დასაბამი სიბრძნისა არს, რა-
თა სარწმუნოებამან ქრისტე ღვთისამან აღანთოს სანთელი სულსა ში-
ნა მორწმუნისასა, რომელთა არათუ სოფელსა ამას, და სწავლათა სა-
ღმრთო შეემეცნების. არამედ ზეცისა ერსა სრულიად იცნობს, რომელ-
ნი მეოხ არიან ჩუენდა, და უფროსღა სიყუარულისა ცეცხლებით
მოტკინარეთა. სერაფიმ ხეროვიმთა, და ისწავებს ღვთისა ყოვლად წმი-
დისა ნებასა. და სათნოებასა მის მხოლოსასა, რომელი სათნოებისა
თჳსისა აღმასრულებელსა, პირუელად მოანიჭებს ზეცისა დიდებასა,
რომელთა ქუენა კეთილდღეობა უმეტეს შეეძინების და მოთმინებისა
ძალნი მრავალნი, და ჰსძლევს თჳსსა ჴორცთა და წადილებსა მარცხუ-
ლთა და უმეტეს ეშმაკთა. რომელნი ურულოდ მბრძოლებენ უფ-
როჲ ჟამსა ყრმობისასა, ნაყროვნებითა და ჟინისა ცელქობისა ჯიმ-
რისა და ლაციცობითა და ჟამსა ჭაბუკობისასა არა წმინდებითა და უქ-
მობისა განრთულობითა, და ურჩებითა მოძღურისა და მასწავლებელი-
სა, ტყუილისა დაჩუვითა, და ურწმუნო ფუცებითა და უზრუნუელო-
ბითა სულისა და ჴორცთათჳს. რომელნი პირუელად დაჰშრეტენ ღვთის
სიყუარულსა და შიშსა, ეგრეთუე სირცხვილსა და თაკილსა უშუერე-
ბისა და საძაგელებისასა და დაალალიერებენ მადლისაგან, და სალთო-
თა ტალანტებისაგან, და სულსა ზედა აუთლებენ ჴორცთა. და ესრე-
თითა სახითა განიყუანენ პატივოსნებისა პატივისაგან და მიამსგავსე-
ბენ არათუ კეთილთა პირუტყუთა, არამედ ეშუსა, რომელი მწვირესა
შინა სანგორელისასა[2] იწუმპებს, და შთანთქამს შვილთა თჳსთა, და სა-
მოთხისა მწიფეთა ნაყოფებთა თანაწარხდების, და მიიღებს ნაყროვნე-
ბით, დალპოლვილებთა, რომელი წყალთა კამკამთა აამღურევს, და
მტილთა, ჰთხრის განუსუენებელი და ხრუტუნებს მგელთაგან ადვილად
საპოვნელად; ესე ნაყოფნი არიან ეშმაკთი, და ეშმაკეულთა კაცთა
კაცი უგუნური და უცნობი ჰსძულს ღმერთსა და ცხებულსა მონარხსა
უხმარი ყოველთა საქმეთა შინა, რომელმან ზემო განათლებულისა
საქმენი არა რა უწყოდეს, და ქუემო მდაბიო შავი საქმენი მიწით ნა-
ყოფთ მღებელობისა არა რაჲ იკადრეს. ესე ვითარი გუამი პირუელად
ავნებს თჳთ თავსა თჳსსა და სახლთა და სახლეულთა დაჰტვირთავს
ვახებითა, უქმად მჭამელი პურისა არღა იქმნების წევრი მამულისა,
არამედ უქულმართ, მიბრუნდებითა ასო დამპალობს გუართა შორის

ოჯისთა, და მამულისა შვილთა მიმართ, რომლითა ხე უნაყოფო ავნებს სამოთხესა, წყევანი ეკლესიისანი რაოდენნიცა უპყრიესთ ძუელთა და ახალთა წერილებთა ყოველნივე მიიქცევიან თხემთა ზედა მავნებელთა და ურჩთასა, რომელნი განდგებიან ათისა მცნებისა ჰსჯულისაგან, და ცხრა ნეტარების მადლისაგან, და ათ ორთა სიმვოლო სათნოებათაგან, შვილთაცა თჳსთა აღზრდიან უსახურნი, უბადრუკებისა, შინა, რომელნი განაშორებენ კუერთხსა წურთისასა და შიშსა სიბრძნისასა. რომელ მოწამენი და მოწამანი, წმინდანი სამისა წლისანი რაოდენნიმე უვის ეკლესისა ქრისტეს ღვთისასა წმიდა მშობელთაგან აღზრდილნი ენისა დაწყებისავე თანა.

მიუთხარ, თუმცაღა ძნელ არს უსწრობისა ჟამსა უბიწოისა ძიძისაგან სელსა შინა ჩჩვილისა შთაწერილნი ლექსნი და სიტყუანი უსახურნი და ჟინნი [illegible] მზარდულთა და მსახურთ თუ დაბალთაგანსა შთაბეჭდულნი ურცხვობანი, ორგულობანი, [illegible]ანი. პატივს უცემელობანი. ჴელთა უამბორებათანი, უქამო ძილნი და მცონარებანი, და ცილქობანი. იგრეთვე დროსა მცირე ყრმობისასა ლაზღობისა, ლიზღობისა, კადნიერებისა, უჩვევისა მიღებანი და უშუერთა ლექსებთა უსირცხვილოდ მეტყუელებანი. და გუარისა თჳსისა ქადილნი და ქებანი და [illegible] კაცთა ნეყონის და ხილვების ნაფიცქვენდ შერაცხანი და კუერთხისა ცხენითა სრბოლანი და ცულთა მაგალითებთა სწავლანი. კაცს რომელსამე მამულის შვილს ოდეს თოფის ტყვია მოხვდესო, კუნძად შერაცხეო, გაუქებელნი კაცნი დამბლევდესო, იმას რომ კაცმა წაართოს, მადლი არისო. წყენას ნუ მოითმენო მყისვე დასაჯე. სისხლი აღარ წაგიხდებაო, ჰსწავლა მისი ვის ეკადრება გუარი არა აქუს. ესე ვითარად აღზრდილსა ძისა თანა, უკეთუ ენებოს სიბერესა შინაცა მიიღებენ წიგნითი სწავლასა, და ყოფაქცევასა მარჯულსა და ამოვნებითი ჩჳეულებასა კეთილსა, და მსახურებასა ღვთისასა და მამულისასა. თქუენ ხართ აღზრდილნი მაღალ ბრწყინვალეთა სახლსა, და უმეტეს უმაღლესისა სახლისა შინაგან, თქუენ მიიღეთ, მორჩილება საქმითი, და განიკუთნეთ საქმენი იგი. რომელთა განედლდების სული შინაგანი, და გარეგანნი კორცნი კორცნიცა მორჩილ გექმნების, შეიყუარე ღმერთი და მემსხუერპლე მოძღუარი, ვ თუალნი შენნი იყუნეს მორჩილ უმაღლესისადმი, ვითარცა თუალნი მონათა და მხევალნი, უფალთა და უფალთა მიმართ არიან. თავი შენი შერაცხე ყოვლისა კეთილისა მოწაფედ, რათა გიხილოს უმაღლესმან კნინდა და სასწაულისმოქმედათ. ესე ვითარისა საქმეებითა, რამეთუ ამბოხიერისა მაჰარისაგან ღვინო უკეთილესი დადგების და შედგრმილისა სვინდისისაგან კაცი მეკობრეცა სამღრთოსა სასწაულსა იქმს, ამად რომელ შაბათ

კაცისათჳს დაებადა, არისტოტელმან ორმეოცისა წლისა შემდგომ ისწავა ფილოსოფია და ჩუენთა მთაწმიდელთა წმიდათა მამათა სიბერისა ჟამსა ელინური ისწავეს და მათისა ენისა ღვთისმეტყუელებაჲ, ვინცა შესთხოვს სიბრძნესა, სახიერსა, მყისუე მოსჰცემს მდიდარი იგი მონასა თჳსსა.

მოიხსენეთ, უმაღლესო დედოფალო, ზემო ყოველიუე მოვახსენე მაღალ ბრწყინვალებასა სიმშჳდითა საღმრთო სახიერებისათა, ეგრეთუე ვამხილე, რომელ ჩრდილოეთელნი აზიელთა უმეცრებისა საოლველებლითა და ბურვლებსა თუალებთა ამხილუელობენ, რომელნი პირველად მზე — ჰსწავლისაგან ივლტოდნენ და სანთლისა ნათლისაგან იშიშოდნენ ყურანისაგან უკუღმართ მიბრუნებულნი, და ლამიან წიგნებთა განმრავლებასა, რომლითა ჰგებენ კეთილდღეობასა, უპეჩუნებრ მბაძუელნი ევროპიისა ყოველსა ენებსა ზედა გარდაიბეჭდუენ საღთო სიტყუანი, რომელნი ფრთხებოდნენ პირუელ ძუელნი თხემები. აწ ახალშობილნი თხემები ივლტჳან ბნელისაგან შემოსრულნი მზესა შინა, უკეთუ აქარე უსწავლელი დაშთედ არღარა არს მეორე ათინა, ყოველნი სამღუდელონი და აზნაურნი და ვაჭარნი ჰსწავლისა ნათლითა თჳსითა საგრობენ და თჳთ დაბინთაცა აღმოყელვარდათ მზე. ესე ვითარსა ოქროვანსა მშჳდობიანსა საუკუნესა შინა. თქუენ ვისგან, და სადა, და რითა და ვითარ ისარგებლეთ, რომელსა სამეოცი წელნი წარსრულელი წინარე გიძს ფსალმუნისამებრ.

ყმანი აზიელთა და თურქთაგან გარდასახლებული ვაქუს უწინარესუე ორისა საუკუნოისა, აგარაკებსა ზედა ბრანგუნი და ეშუნი ბუდობენ და ნათამალებსა შინა მღამიობნი, და ვირკენტავრონი კორდებად შეცვალებულსა, ჳის ბაძავ ცალიერი აქა და მუნ, მყუარი მბაძულ ჭარისა, განსქდების ნამდვილ ფილოსოფოსთა მაგალითია.

პირუელადუე საჭირო არს, რათა კაცი სწავლაებითა იყოს განათლებულ, და არა მხოლოდ ტიტულისა სართრონებითა, პირუელად იყოს მართალ წმინდა და პატივოსან და მერმე მექონ აღსავლობითი ხარისხისა, რომლითა ღირსი ეგების აღვლითგან თავსა სოფლისასა ამიერ განსლუალმდე, რათა აღმსულელი კიბეთა ზედა არღა დაპარეხდეს და ქუეებული, რამეთუ ბრძენი აღუალს სწავლით შებიჯებითა ზემო, არათუ თჳსადმი მსახურებად სოფლისა, არამედ თჳთ მსახურებს სოფელსა, რომლისა მაგალითი თჳთ ღმერთკაცი არს.

დასასრულ სარკეთა ესოდენთა მიჰურიტანეებისა განჰურეტითა მომიგო მაღალ ბრწყინვალემან ვახტანგ, მიართჳო წიგნი ჩემისა საიდუმლოდ ნახჳსაო და მეცა მივართმევო წიგნსა, პარაკლისიც გარდუხადე წმინდის ნიკოლაოზისა, ვითარცა გებრძანათ, აღმითქუა მობ-

რძანება და ველი. ეგრეთვე უმაღლესი დედოფალი სურვილობს მისსა-
ქ თვსს სახლში, მე არღარა დავჰსცხრები მოხსენებას ზედას ზედა-
ძალისამებრ ჩემისა.

უუგრძნობელესად ვმადლობ უუხვესა მოწყალებასა თქჳენსა, ბოძებად წიგნისა და ძმისა ჩემისა გასტუმრებისა უმაღლესისა სახლისა თქჳენისაგან წელსა შინა ათსა თქჳენი მომხსენებელი გახლდი, მადლისა კმისა მშვდობიანითა, და დიდისა გამოსვლითა, ხოლო აწ საიდუმლოდ, არღარა დავსცხრები ქრისტეს მიმართ ლოცვითა თქჳენთვის და შვლთა თქჳენთა უგანათლებულეთათვს, გარნა ვითხოვ შენდობასა და მოტევებასა ესოდენის ლექსთა განმრავლებისათვს.

თქჳენის უმაღლესობის მლოცუელი მკდოვანი, მღუდელ მონოზონი, იონა, ვგიე, კუარცხლბეკისა თქჳენისა მსახურად საღთოდ მემსხუერპლეობითარე
წელსა 1825 ოკდომბრის 1 დღესა.

## № 61

### 1825 წლის 2 ოქტომბრის წერილი იმერთა დედოფლის მარიამისა იონა ხელაშვილისადმი

სულიერო მამაო იონა!

თქჳენი წერილი მივიღე, და რაჲცა გებრძანათ გვესმა და კიდეც ჵლვარულებთ, სხჳებრ ღვთის ნება არის, მალე გნახავთ.

მამა შვილობას ზაქარიას[1] მოვლას ეცადეთ, რაც აწყენდეს, ნურას გააბედვინებთ. წირვა ლოცვისა ჩვენგან მოხსენება საჭირო არ არის თქჳენთანა. ვიცი ხშირად იქმნება, ჩვენს ამბავს მოისხენებთ, თქჳენის მადლით ყველანი მშვიდობით ვართ. ნიკოლუშკა[2] ახლაც გემებს[3], ოთხი კბილი აქვს შენს პარაკლის შემდგომად. ალექსანდრეს[4] ამბავი მიბრძანეთ.

ბატონის შვილმა ნინამ[5], რადგანაც მე წიგნი მოგართვი, ამან ცალკე წიგნი აღარ მოგართოთ. და მოკითხვისათვის მადლობა და თაყუანის ცემა მოგახსენათ. ნიკოლუშკა არ დაგავიწყდესთ თქვენს, წმიდას წირვა-ლოცჳაზედ, და პარაკლისს გარდაუხდიდეთ, სხვა კბილებიც მალე ამოუვიდეს, მამა ანთიმას შეავედრეთ, მამაო.

კუალად ვითხოვ მამაო სულიერო, შაბათს ჩემის ჴელმწიფის, მეფის სოლომონისათჳს[7] სწიროთ, და როგორც ჩვეულება გაქუსთ, ყოველს შაბათს იმის უმაღლესობისათჳს სწირავდეთ, მამაო. მარად თქუენი კეთილის მოსურნე, თქუენი სულიერი შვილი იმერთა დედოფალი დადიანის ასული მარიამ.

### № 62

### 1825 წლის 13 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ასული ელენასადმი.

თქუენო უგანათლებულესობავ მეფის ძის ასულო ელენა!

ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთეველობ თქუენდამო, უგანათლებულესობავ ბატონიშვილო ელენა, თუმცაღა ყრმაჲ ბრძანდებით წელიწდებისა ასაკითა, გარნა იხმიეთ სიბრძნე მოხუცებულობისა, და განაჯეთ ეკკლესიურნი მოხსენებანი ქუემონი.

ესერა თჳთუმც უწყით სჯულსა საღმრთოსა უპყრიეს ყოველი ქუეყანა და თჳთ სამღუდელოთა პირნი, ამად მტკიცე არიან სამოქალაქოთაცა ჰსჯულითა, ამათ ძლით ღვთის მოშიშთა მოკუდავთა წმიდა არს და ხსენება გარდაცვალებულთი. არღარა არიან კეთილ მსახურთაგან ლიტონ სახელითარე მდაბალნი თუ მაღალნი, არამედ ესრეთ არს ბრძენთა, და უგუნურთაგან კურთხევით სახსოვარი იგი. გინა იგა, ამად რომელ მარჯულთა კურთხეულ უწოდა შემოქმედმან სოფლისამან.

დასკვნულ ღვთის მოშიშებით მცხოვრები უკანასკნელისა აღშოფშვინვისათჳს შეიკრებს ხუასტაგსა, ეკკლესიისა მემსხუერპლეთათჳს, და უფროსღა მოძღუარისათჳს; რამეთუ არღა სასოებს სრულიად სოფელსა ზედა უნდა მისიცა იყოს, არამედ ერთსა მხოლოსა ზედა სასოებს წინდმინდობითა ნამდვილ უტყუელ მიხდომითარე, ესე იგი წირვითა გამოსახსრუასა ჯოჯოხეთისაგან სულისა თჳსისასა, და საფლავებისაგან კორცთა ტაძრისა თჳსისასა, რამეთუ განრისხებულსა ღმერთსა არა რაჲ დაამშვიდებს თჳნიერ ვედრებიანისა მსხუერპლძღუნისა, რომელსა იყნოსებს რა ნივთიერ, ვითარცა კაცნი. რომელნი დიდფრიად სუნოვანთა შროშნებთა სამოთხიერთაგან დატკბებიან და არღარა ჰხებავსთ გარე მიქცევა, მსგავსად ორთა მათ სხუათა გრძნობათა, რომელნი მეტთგარე მიაქცევენ, მაშასადამე, სულნი სულნელთა არა დაუტევებს, რამეთუ უყუარს მახლობელნი თჳსნი. აჰა, განჰსპურიტეი

უგანათლებულესავ. უკეთუ დანერგა ცხვირი და მას შინა ანთებს სულსა მარტივ ცხოველსა, სნეულთა სენნთა, რაოდენ მრავალ უზევრეულესად, უმეტეს თვთ ითნებს სახიერებისა კაცთმოყუარებითა. თვითგანჳც დაწესებულსა მსხჳცრპლსა უხრწნელსა გამოხსნად მორწმუნეთა, რომელმან საკჳცრთხნი ზუარაკნი და ვერძნი და ტარიგნი და ვაცნი და უსხნი და სრულიად არჳცთაგანნი და მროწლითაგანნი და ჰაერისა გუნდთაგანნი ხრწნილებიანნი, გარდასდუა აჩრდილყოფილნი უსიტყუთა ჯორცნი და სისხლნი, რომელნი სიტყვერთა ვერაოდეს არა სადა გამოსახსრვიდა მშვნვიერნი სულიერთა.

იხილეთ კეთილ განმჰსჯელმან ღმერთმან. ყოვლად დაუსაბამო ბრძენმან წინაწარ ხედვიდმან. თუმცაღა არა განმესაზღვრებულმან მისცა ჰსჯული პირუცლთა შშობელთა ჩჳცნთა, იხილა სიკუდილი ზემოხსენებულთი, რომელნი ვერღარაძთა განცოცხლდებოდნენ, რამეთუ ვერ ძალუძსთ დაბადებულთა შექმნულთი განცხოველება, რამეთუ ყოველთაუცსი ძალი განსაზოვრებულად ჰქონანთ და თავისა თვსისა მოქენენი არიან დაცუად მსახურებითა, მაღლისა წინაშე და კნინლა არავინ არს სრულ ძვნიერ მისსა, რომელი თვთ თავით თვსით სრულ არს მყოფცხოველი.

რომელმან უკუნითი ერთ არსი გონებასა შინა მყოფი სიტყუა პირი სათნო იყო განართაულებად, გარდარეულისა სიყუარულითა მტრისა თვსისა, რომელმან სიკუდილი და ჯუარი განუმზადა განმაცხოველებელსა თვისსა. გარნა განმაღიდებელსა ცოდვსა თვსისასა. გარდარევა მადლი ყოვლად ძლიერმან და ისრაელთა [illegible] მყოფელმან, ყოველსა შინა, მოიძია მტერნი თვსნი სხუათაგან დამტერებელნი, და ესთერითა სიბრძნითა განაცხოველნა ჯოჯოხეთს შინანი და ლარნაკებისა კუიმირებსა ქუცშენი და ეგრეთ ჰსჯულისა მდებელმან ჰსჯულივე აღასრულა მადლი. უკეთუმცა არა ესრეთ ჰსჯული დაუზავებელსა რისხუასა ჰმზადებდა მარადის.

პირუცლსავე სიტყუასა შეუდგენ უგანათლებულესავ ქუცმო ხსენებითა, ე. ი. ვითარცა მშვნიერნი ცხოველთათვს უსაჭიროეს არს და მიუცილებელ არიან რაოდენ უმეტეს მსხუცრპლნი აუცილებელ არიან, ვითარცა ძუცლთა შინა ჰყუცს მაკაბელთა მოწყუდელთათვის და ახალსა შინა ბრძანა მაცხოვარმან ნუ გეშინისთ მათგან, რომელთა მოჰსწყვდონ კორცნი თქუცნნი. არამედ გეშინოდეს მისა, რომელსა კელეწიფების სულისა მოწყუცდა და შთაგდება გეენიასა შინა.

იხილეთ მსხუცრპლის ძლიერებანი, რამეთუ უწყის ყოვლად ყოველსა შინა მყოფმან, თუ რაოდენნი მსხუცრპლნი შეიწირვიან განსრუ-

ლთათჳს მათ ყოველთაჳე აწმყოსა შინა, მყისჳე მიაგებს, კეთილ მსახურნი სამკუდროთა საუნჯედ წინასწარჳე განიმზადებენ, რამეთუ უწყიან არვინ არს წმინდა დღესა შინა ერთისაცა, ამად მხჳერპლებითარე სასოებს შემდგომ დიდსა გზასა ზედა განსულასა.

აჰა მზარდულა[2] თქჳენი, რომლისა სძითა გუამი თქჳენისა უგანათლებულესობისა განრაოდენობითა აღეგო, და თქჳენ ძლით წარმართი ასულ ემბაზისა იქმნა. და კნინღა და უკეთილმსახურეს იყო სულითა, მან ორგზის მეოთხისა სასიდუმლოჲთ მიანდერძა ხუასტაგი თჳსი, და უკანასკნელისა ვიდრითა ცრემლიანებითა თანამდებ მყო. ლოცვთა და წირჳითა და მოვიღე მოვალეობა მარადის. ვიდრემდის ენებოს ღმერთსა, და უკეთუ იგი ხუასტაგი მომექცევის მე, ღირს არს მუშაკი სასყიდლისა, ვითარცა ბრძანა მაცხოვარმან. ორობათამან, რომელნი საკურთხეველსა მსახურებდენ. მისგანჳე განიღონონ ნაწილი და უკეთუ არა მომენიჭების თანაჳე მაძს სამნო რწმუნებული მე მარადის ვიქმნები მსხჳერპლის შემწირჳელი მომლოდინე ზეცით სასყიდლისა.

მოიხსენეთ, თქჳენ უმეტეს ვალდებულ ბრძანდებით ნეტარ სახსოვრისა მარიამ მზარდულასი ვიდრელა ვინანიმე ანდერძი მიცჳალებულისი უმტკიცესია, რომელი შემდგომ არღარას იტყჳს მარცხულსა ვიდრელა ცოცხალისა, რომელი ოდესმე უნებლიეთ და იძულებით ცჳალებდეს. ეგრეთ და ესრეთ, და იმ სახედ ამ გჳარ და მებრ და ებრ დაუდგრომელისა სოფლისაგან და მტერისა უხილავისაგან, ანუ ჴორცთა მყისთა მიდრეკილებისაგან.

იხილეთ, რომელნი ანდერძთა განასრულებენ, იგინი ორგუარჳე სრულ იქმნებიან. სხჳებრ შენდოობა იყავნ, უკეთუმცა არა მოხსენებულ ექმნა წინაშე თქჳენსა, ბრალეულ ვიქმნებოდი ეკკლესიისა კანონებითა და საკუთარისა პირისა ოფლისაგან ცარიელ და სხჳსა პირისა ოფლითა წარწყმედილი. აჰა, თჳთჳე უწყით რომელ ზეჲო მოხსენებანი არა არიან ჩემნი, არამედ ღვთისა სახარებისა არიან დატვირთულ, გარნა გჳერდრე ოდეს აღმოიკითხოთ უკუნ მიქციეთ ქარტა ესე არ ყოველთა ჴელთა აღმოსაკითხავნი, არამედ ვიეთდამი. ე. ი. რომელნი ზე საუნჯეთა შინა ამრავლებენ ხუასტაგთა, ე. ი. სიმართლითა, სიწმიდითა, და პატიოსნებითა და უძროსლა ქალწულებითა და ლოცვითა და მარხვითა და ქჳელის საქმეების ზრდითა.

თქჳჱნის უგანათლებულესობის
მლოცჳჱლი მკდოვანი მოძღჳარი
თქჳჱნი. მ. მ. იონა ვგიე თქჳჱნ-
დამო უუმწჳჱრვალესსა. სალმთო
ნასწორებითა გულითადიერ
წელსა 1825. თთჳჱსა ოკდომბერს 13.

## № 63

## 1825 წლის 15 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილისა იმერეთის ბატონისშვილის მარიამისადმი

თქჳჱნო უგნათლებულესობავ, იმერეთის ბატონისშვილო მარიამ!!

ქრისტეს ღვთისა მიერ, სამღთოთა, ლოცჳათა მომრთმევლობ თქჳჱნდამო.

უგანათლებულესო ბატონისშვილო მარიამ თქვენი წიგნი მებოძა, ოკდომბრის 2 ს დაწერილი. საკუთარისა ჴელთაგან თქჳჱნთა: ნოემბრის ათსამმეტსა, რომლისა აღმოკითხვითა ვიქმენ დიდ ფრიად ღმობილ, რომელი მიცხადებს ურჩასა, და კნინლა შესლბობასა, გარნა თჳთჳჱ უწყით, რომელ უხილავნი მტერნი ათასეულნი, და ბევრეულნი ყოველთავე მართლმადიდებელთა გიბრძუანან ვითარცა მიტყჳჱტყჳბს მეფე პორფიროანი დავით, მამა ღვთისა, გარნა ყოველნიჳჱ მარცხულნი შემთხჳჱლებანი იძლევიან სალთოს ლოცვთა, და მოთმინებითა, რომლითა უხრწნელი გკრგკნი ცათა შინა განიმზადებიან, ამისთჳს სოფელსა შინა არა რაჲ ჰყო ღმერთან მტკიცე, და მისანდობელი, რათა არვინ ესვიდეს სოფელსა, თქჳჱნ ყოველნიუჱ წყინებანი უხილავსა მტერსა მიაწერეთ და მაწყინებელისათჳს ლოცჳა ჰყავით, რომლითა მტერისაგან უსხეულოსა განთავისუფლდება, და ჰყოფს სათნოებასა ღვთისასა. ე. ი. ნებასა და ესრეთ განმამწარებელი შეიცჳალების სალმთო გოლად და მანანად.

მოიხსენეთ, მე დიდად გმადლობ მკდოვანი ესე უნდო, რომელ ღირსა მყავით წერილის ბოძებისა, და რაოდენნიცა საქმიერება გიბოძებიანთ, ერთბამად სრულ ვჰყავ ნებისამებრ თქჳჱნისა რომელთა ქჳჱმორე ვმომჴსენევბლობ.

აჰა, ესერა მებრძანა მოწერად თქჳჱნისა უგანათლებულესობისადმი ამათის უმაღლესობის იმერეთის დედუფლის მარიამისაგან პირის პირ ესე ოდენნი სიტყჳანნი საკუთარნი ესერეთ ინებეთო, მთავარ მართებელს საკუთარისა წიგნითა თქვენითა გამოუცხადეთ აქარე წარ-

მობრძანება და შესთხოეთ სურვილით ხილჳა ჳაგუსტესისა მონარხისა, რათა იხილოთ პირი სალთო ცხებულისა, გარნა ვითარცა ბატონის შვილებსა, აქარე მობრძანებულთა განუმზადებისთ სახლი, შეშა და კარეტა, ეგრეთჳჱ თქჳჱნთჳს იზრუნეს მთავარმართებულმან, და ოდეს მოგიტანნოს ბრძანება, უმაღლესისა კარისაგან, მაშინ სრულ იქმნების სამგზავროცა წარსამართებელნი მომზადება და ესრეთ დიდ ფრიად კეთილ იქმნების, რომელ დაგიხუდებისთ ზემორე საჭიროებანი აქარე.

მეორეცა ესე მიბრძანა, უკეთუ შეწევნა ჩემი საჭიროდ გამოჩნდეს მთავარ მმართებელთან, ჩჳჱნ უბრძანებთო წიგნის მიწერითა მთავარმმართებელსათანა, რათამცა მანდიდამ განისაზღვროს ყოველნივე, ვინაჲდგან ყოველნივე საქმენი დამოკიდებულ არს მთავარ მმართებელსა თავს ზედან, და ვითარცა ეგე წარმოგადგენსთ, ხელმწიფესა წინაშე, ეგრეთცა იქმნების უცვალებელად. ამისთჳს აქა არღარა შეიძლების ვისგანმე დიდი თუ მცირე წარმართება, ესე ბრძანებანი წინა დადებანი, ამათის უმაღლესობისანი არიან, მე მხოლოდ დავჰსწერე.

მესამეცა ესე ბრძანა, როჲიკიცა შესწორებული ახლავსო სხუათა თანა, ეგრეთჳჱ ითხოვეთო ზემო ხსენებული სახლი, შეშა, და კარეტა. რამეთჳჱ სახლსა შინა მეფისასა ერთი მხოლოდ დაშთითო, რათა გიმეოხოს მთავარ მმართებელმან წინაშე მონარხისა და მოაწიოთო აქა. ესენი ცრემლით ბრძანა დედოფალმან; მე ჩემის მხრით მოგეხსენებულობ თქვენდამო, უკეთუ მანდ გიძნელდებოდესთ, საკუთარი ჰელწერილნი მოართჳთ ამათ უმაღლესობასა და მოჰსწერს მთავარ მმართებელსა, სურვილსა თქვენსა, და ესრეთ ფრიად ადვილად შესრულდების და უკეთუ არა დააშორობთ ეგე უმჯობესი იქმნება, თავით თჳსით საქმობან. !

ბატონის შვილს ანასტასიას[2] მოველით ამ კვირია, მთავარ მმართებელისაგან განმზადებულნი სახლი, შეშა და კარეტა განუმზადეს, ეგრეთჳჱ თქჳჱნთჳს იქმნების, უკეთუ იღუაწებთ, ღმერთია განმარჯუებელი.

ამათმან უმაღლესობამ ესრეთ ინება მოწერა თქჳჱნდამო უგანათლებულესო და გიბრძანებს და მოგახსენებსცა და შეგთხოვს, რათა ყოველნი მწუხარებანი არა რად შეჰრაცხოთო, კმა არს წარსულნი ურვეულებანი, რომელთა მოთმინება ლოცვთა ძალიდებისო, რომელნი ღმერთმან და ცხებულმან აჰ აღმსუბუქარ. თქჳჱნის უგანათლებულესობის მარად მლოცველი მკდოვანი, მღუდელ მონოზონი იონა.

წელსა 1825 სა ნოემბრის 15 სა. პეტერბურღით.

№ 64

## 1825 წლის დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქვენო ღირსებავ მამაო, მოძღვარო იონა!
უუმოწყალესო მამაო და მზრუნველო საღმრთოო!

გამოიხატებიან სულსა შინა ჩემსა ესოდენ დიდნი უხვებანი სოფლის შემოქმედისანი და მისი მიუწთომელი განგებულება, რომელიცა დანთხეულ არს ყოველთავის კაცსა ზედა და უმეტესად ჩინებულსა ამას დღესა, რომელსაცა ინება მოვლინება მხოლოდ შობილისა უწინარეს საუკუნეთა ძისა თვისისა სოფელსა ამას შინა, არა მხოლოდ გამოხსნისათვის კაცობრივისა ნათესავისა ცოდვისაგან, არამედ ყოფადცა ჩვენისა ნაწილად საუკუნოისა თვსისა დიდებისა. ვგრძნობ გულსა შინა ჩემსა ესრეთთა უსასიამოვნესთა აღტაცებათა და მყოფსა აღვსილითა არა ძალ-მიძს, რათა განუცხადო ესოდენ დიდნი და ძლიერნი ჴმანი სიხარულისა და განცხრომისანი? უკეთუ არა მას, რომელსა ესმის ფასი დღისა ამის, არა მასაა? რომელი უხვითა მოწყალებითა სიბრძნისა და სიმართლისათა, სიყუარულისათვს მამულისა, სარგებლად სულისა და კეთილდღეობისათვს მემამულეთასა. გარდაჰფენს თვსსა მზრუნველობისა და მფარველობასა და ესრეთ სიამოვნეს მოყუარეთ ღჳთისმეტყუელო და ქართუელთა სიტყვერებისა მამაო! აღმასრულებელი დღესა ამას შინა მიუწთომელისა სიხარულითა მოვართმევ თქუენსა ღირსებასა უუმწუხრვალესსა მოლოცვასა ჩემსა, რათა ამის მიერ განვაცხადო ვალი მადლობისა, და ვსთხოვ აწინდელსა ამას დღესა შინა შობილსა ქრისტეს ღმერთ-კაცსა, რათა იხაროთ დაულევნელითა მოწყალებითა მისითა განმრავლებასა შინა დღეთასა, და აღყუავებასა წელთასა ბედიერებისათვს ჩუენ მექუეყნეთასა უკუნითი უკუნისამდე. მრავალ ჟამიერ.

1825 წელსა დეკემბ. თქუენის ღირსების მოწყალისა მოძღურისა
უუგულითადესი მსმენელი მოწაფე სოლომონ იოანესი დოდაევი.
სანკტ-პეტერბურღსა.

ინებე, რომელი შენ მიერ ჩემდა სულიერ-ჭეშმარიტ-მზისა მხილება,
ორობა მის ბრძნისა სოფლად ჩუენება,
ნეტარი ჩუენთვს ჴსნად სოფლისა-მოქმედება,

არსება უზესთაესი არს თქუჱნდა ყოველი უწყება,
სიტყუა პირუჱლი მამისა-თანა ერთ-ღუთაება.

დოდაევი.

## № 65

### 1826 წლის 16 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

ღუთის წყალობავ ჩემო სულიერო ძეო ჩემდამო სოლომონ იოანესო!

თქუჱნ ხართ სულითა ზეგარდამო მართალ; ამად, რომელ სიბრძნესა ძისა მხოლოსა ეძიებთ. რათამცა სულისა ნათელი ჴორცთა თქვენთა სარკმელსა გარეგანცა გამოჰსჭვირდეს, რათ ბრწყინვიდეთ კაცთა შორის სათნოდ მაღლისა.

ხოლო მორაიწია ეგე სნეულება არა სულსა შინა. არამედ ჴორცთა ზედა თიჴიერსა, რომელი არა არს სასიკვდინე ნუ იყოფინ. ვითარცა არა იყო იობისათჳს შემაძრწუნებელ და სასოებისა წამრკვეთელ, არამედ უმეტეს შკოლაებისა გამომაჭურვებელ და განმანედლებელ სულისა ჴორცითურთ და განძჳსწავლულ მოთმინებისა სასოებითა ღმერთისა მიმართ; რამეთუ სნეულება არა მარადის ცოდვისა ძლით მოიწევის კეთილმსახურთა ზედა აწმყოსა შინა; არამედ მყოობადისათჳს ჰნებავს ღმერთსა, რათა პირუჱლად სული დაიცვას უმანკოდ დიდ სნეულებასაგან, განჭურნებულმან და შეეწიოს, რომელ მრთელნი სარგებლად თჳსდა უყუარს სოფელსა, ხოლო სნეულნი არა ყოველთა უყუარსთ მოსავლელად. არამედ ზეგარდამო ჰრჩეულთა, რომელნი უცნობთა სნეულთა მსახურებასა ეგრეთ იწყებენ, ვითარცა თავისა თჳსისა და უმეტესცა.

უუსაყუარელესო ძეო ჩემო! აჰა სჳნიდისი ჩემი მოგითხრობს, რომელსა ჰსურის, რათა სენი ეგე წარიტრას თქვენგან და მოვიდეს ჴრწნილთა ამათ ჴორცთა ჩემთა, რათამცა სიბრძნისა დღესასწაული ეგე თქვენი შკოლასა შინა მაღალთა დღეთა შინა ყოველთა აღასრულოთ რვანი ჟამნი და ჰურჰელი ეგე ჭაბუკობისა, იქმნეს ჰურ ზეცისა სიბრძნისა. ესე ათ ორნი დღენი არიან. რომელ დაცადებულ იქმნენით წყაროსა მის ჴმისაგან ზეცისა, ამის ძლით გრძნობაებითა მელმის[1], აჰა. თქვენ თავისა ტკივილებითა ვნებულებით, ხოლო მე ერთბამად სულითა და ჴორცითა.

იხილეთ, რომელ მორჩილებამან თქვენმან ჩემდამო, ესოდენ განადიდა სიყუარული თქვენი, რომელ უმეტეს სიმრთელესა თქვენსა ვსუ-

რვიელობ. ვიდრეღა ჩემსა, რომელ დიდ ფრიად ვეძიებ ეკკლესიასა შინა კურნებასა თქუენსა და გარეგან ეკკლესიისა ნივთებსაცა შინა, რომელთა შინა ეგრეთ ძალი არიან დადებულ ზეგარდამო, ვითარცა მრთელთა საჭმელებთა და სასმელებთა:

წელსა 1826. იანვრის 16.
მღუდელ მონოზანი იონა.

სიმრთელესა შინა დიდ ფრიად მჴნეო და ჟამსა სნეულებისასა უფრიადესად მომთმინეო სნეულებისაო.

იხილეთ ებრაულად: სოლომონ სახელი არსებითი, რომელ ნიშნავს მათსა ენასა ზედა მშვიდი, გინა მშვიდობიანი. ამად შეგთხოვ მასმინეთ მშვიდობა თქუენი სახელისამებრ თქუენისა და უკეთუ გუშინ ჩემ შემდგომ [მელნით დასვრილია, არ იკითხება]. სული სნეულებისა, რომელ სახელმოდგამობით სული, ეწოდების სნეულებასა, წმიდასა სახარებასა შინა. ვგონებ ამისთვს, რომელ აცთუნა პირველნი მშობელნი სულმან არა წმიდამან. და მიერ დღითგან სნეულება არს სოფელსა შინა, ანუ ამისთვს, რომელ სულნი არა წმიდანი აწვევენ სნეულთა, რათა გმობა და უმადლოება, რამეთუ წარათქმევინონ, ხოლო თქვენ გარეგან ოდეს მოუძლურდეთ, მაშინ შინაგანითა ე. ი. სულითა განძლიერდით. დასახრულ პირითა ამა ბარაკიელისათა მომითხართ ბედნიერ ვართაა ანუ უბედურ ნუ დამიფარავთ, და უკეთუ ჴელითა თქვენითა მახარებთ ვინ გამოსთქვას მოწყალება ღუთისა.

გარნა სანი მხოლოდ დატვიფრეთ და მანი[2] ე. ი. სოლომონს მშვიდობა მქონან.

ს. მ.

## № 66

### 1826 წლის 18 იანვრის წერილი მღვდელი ონისიმე იაშვილისა[1] იონა ხელაშვილისადმი.

მისს მაღალ ღირსებას და ყოველთა წმიდათა მობაძავს.

დღე მარადის დაუდუმებელს და ღამე მარადის მიურულებელს უფლის ვედრებითა დამარხულს მსგავსად დიდის ვასილისა, და ფრიად მოწყალეს გლახაკთა და დავრდომილთა და მომლოდინესა მერმის მის სუფევისა და მშვიდობისა, რომელი თუალსა არა უხილავს და მორწმუნენი და საქმის აღმასრულებელნი იხილვენ, გნატრიან შენ ესე ვითართა მოქმედებისათვს. ვინატრი ვინანი არიან მახლობელ შენდა

იშვებენ და განსცხრებიან და ესმით ჴმა ღაღადებისა შენისა. მარა-დის განმზადებულ იქმნებიან და არა შეძრწუნდებიან. მამაო იონა, ღირსო და სანატრელო ქართის ასლებთან, მყის ამბორს გიყოფ მოწიწებით, ვითარცა თუალით გხილო.

ეგრეთვე ძისა ჩემისა ასული ნატალია და სძალი თქუენი სურვი-ლით და მოწიწებით და თაყუანისცემით ამბორებასა ვჰყოფთ შენ წინაშე და შევეხებით მარჯვენასა შენსა. უღირსი მოყუასი თქუენი იაშვილი მღვდელი ონისიმე.

ეგრეთვე ძმანი შენნი სოლომონ და გიორგი და სძალნი, ყრმანი და ასულნი უვნებელად გხლავან და თაყუანისცემას მოგახსენებენ ერთბამად.

ჩყკვ წელსა თთუესა იანვარს იჱ. 1826.

## № 67

### 1826 წლის 9 თებერვლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

ღირსო მამაო მ. მ. იონა და ბრძენო ყოვლად ბრძნისაო!
სულისა მიერ განათლებულს და წმინდას მარჯუენასა ზედა ამბორს ვჰყოფ სიტკბოებითა სიყუარულისათა, და სურვილითა სულისათა და ჩემს სრულიადსა გულითად პატივისცემასა განვაცხადებ თქუენ-და მამაო. შემდგომად იუწყებთ ჩემ შეწყალებულისა, ესრეთვე ვჰგიე, ვითარცა უწყით, სასმელი ჩემი შეკრულ არს მსგავსადმე უწინარე-სისა და ტკივნეულქმნაცა მცირედ უმცირედჱ ამასთანა. უკანასკ-ხელ თქუენ ბრძანდებოდეთ სიცოცხლით უკუნისამდე, მშვიდობი-სათჳს და კეთილშემთხუევისა, ანუ დიდებისათჳს სახელყოფისა მე-ჭამულეთასა გინა მექუეყნეთასა. და მე ვსდგე გზასა ზედა თქუენსა.

9 ფებრუალს 1826. თქუენი სულიერი შვილი ს. დოდაევ.

## № 68

### 1826 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

ზენა სიბრძნისა მოწაფეო სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანე-სო, ქრისტე ღუთისა მიერ სადთო ლოცვათა მოვრთმევლობ თქუენ-დამო. აჰა ესერა თქუენისა მშვიდობასა შევთხოვ მაღალსა, რათამცა

სული სიბრძნისა და მშვიდობისა გქონდესთ. და კურცხი სიმჯნისა და მოთმინებისა, რათა ნება თქუენი; ნებასა საღმრთოისასა დასრულებულ იყოს. მარადის სატფურისა ამას სახლსა შინა, რომელ არს მეორე უხრწნელისა კარის ზედა.

იხილეთ, თქვენი ავთრათი მოვილე ჯელითა წარმოცემული ორსა რჩეულებსა თანა ჯელითა ადამ ლირსიევვისათა, რომლისა აღმოკითხვამან ლია ე. ი. დიდ ფრიად ვნებულ მყო თქვენ ძლით მე, რომელ იქმცა სამართლად მშოვარებთ, რათამცა მოწაფეთა თქვენთა ნაყოფი გამოიღოთ. გარნა მწუხარებით ძრწოლნი თავმერთი ზე ლოცვილ არიან დიდ ფრიადისა სიყვარულითა შვილთა თვსათასა. რომლითა მყოობადსა შინა შობა შვილთა თვს უგუნურებითი უბედურებასა ნუ უმე ჯერეთ არა გიცნობიესთ, რომელ ახიასა შინა შვიდისა წლისასა თვისთა წულებთა მოარტყმენ მახვილებსა ფოლადთა შვილებთა ე. ი. ქრმალებსა[5] და საბანჯლებსა[6] სატევარსა და ჯელთ უდებენ კეტფროთხავსა დიდ შემძლენი და აცეფურებენ დიდ ფრიადისა სიყვარულთა დაკოდასა კაცისასა და ჭურმას. რომლითა შეასხმენ ხოტბასა ე. ი. ქებასა და მშობელნი განახიარულდებიან მეტყველნი ეგრეთ: ჩვენი შვილი ესე და ეგე ქრმლითა თვსითა პურს ბევრს შესჭამსო, და იგი კუტრთხითა განმდიდრებისო და ესე ყოფობითა და ლალვითა, ხოლო იგი მშვიდი იქმნებისო. რომლითა გაუბედურდებისო, რომელსა თვსნივე ძმანი მისტაკებენ საცხოვრებლებსაო; და ეგრეთვე მეზობელნი დაქენჯნიანო.

ეგრეთვე ჩეჩნისა ქვეყნისა თათარნი და ჩერქეზნიცა და ლეკნი და ოსნი ქალსა არა მიათხოვებენ ჭაბუკსა, უკეთუ არა უწყის ქურდობა, ავაზაკობა, მეკობრობა, ძარცვა, აფორიაქება, იავარობა და მოტყუება განცხადებული.

ეგრეთვე ი. მუნებურნი დედანი სძენნი ძეთა თვსთა ხოჭიმებითა/ და აკვნებთა და ჰოჰინებთა ზედა შთასძახებენ მამაძაღლის შვილო დედა ძაღლის შვილო მამა სძლიანო. აჰა ბიძა შენი გალაკე, მზარდულა მეხი გჩემე, იგი შენი მკვლელია, იგი შენი მონაა, ესე შენია უცის ბიჭა, ამას კურთითა სცემე, იმას ჯელითა უკეთუ დაგელალოს ჯელები, ფეხებით გუემე. იგი სიტყვათაც ვერ გიბრუნებს იგი შენის პურის სანაცლოა. ესე ეგრეთ იჯმარე ვითარცა ნივთი, იმას თუმცა პური აქვს, გარნა პრასა არს შენი გლეხი ეგ ოდესცა არლა იქმნების სიკუდილისაგან სხვა პრასა აშოვალს და იგინი იმსახურე გლეხი კაცი არ გაასუქო, რაოდენნიცა რაცმე ხვასტაგნი აქუსთ იგი ყოველნივე შენი არს. გლეხმა კაცმან მჭადიც რომ იშოვნოს. იგიც ბევრიან იმათვს, რაოდენნიც რა გინდეს გლეხი კაცისა, პირველად სთხოვე და თუ არ მოგართვას, ჩაუდევ სახლსა შინა და მოაკდევინე ქეტფრები

და ამოარევინე უსხები და ზვარაკები, კოლოტნი, არვენი, მროწლები, რემანი, ქათამნი, ღერღეტნი, იხვნი შენთვის დასაკვლელად და რაოდენიცა გენებოს იჯმიე: გარნა წამოსვლისა დროსა მისისავე ღვიხითა დაათვრე და თავი დააკურევინე და დაალოცვინე, გარნა შენც აშენება უბრძანე და ტყუილად დაპირდი რაოდენნიცა წარგართვი სხუას დროს გარდაგიჯდითქო ბრალი მასვე დასდე შენი მიზეზით დაგარბიე და აგიკელ თქო. გლეხი კაცი ღორსა გავს, მოუჭირებ, იჭყივლებს, გაუშვებ, დადუმდების, რომელსაც კეკლუცად ტანს ეცვას, იმას ბევრი ფული აქუს ანუ სახლ კარგი ედგას უძიე მიზეზი და მოულე იგი საუნჯენი. იმათ რათ უნდა უკეთუ არა შეაძრწუნო ზარის დაცემით, არ შეგეპუება, ანჩხლობა, კაპასობა, მრისხანება, შეჭმუხუნა შუბლისა აჩუენე, რომლითა ვალსაც აიღებენ და იგე გმსახურებენ.

და ზედართუენ ზემო სწავლასათანა უსუვრისა ნინქელისა და ყრმისა და ჭაბუკისა ძეებისა თვისისა სულებსა შინა შთაბექვდით ცოახლეხი და მოახლენი ბარაკიელნი და ბარაკიელანი ნივთებად შერაცხეთო: უკეთუ სურდო, ჴველა და ტკივილნი ექუსთოსთო ხუმრობა ხომ არ არის სახლში არ დააყენოთო, მყისვე განააძეთო. გარნა ქუაბის ნაძირალნი და სადილვახშმის ნაბიჭევი ე. ი. ნაშთნი წარუგზავნეთო სადაცა იწუნენ, რათა მიმტანმან შორს დაუდვას და თვთ უკუნქეულმან იმსრბოლოსო. ჩუენი გუარი ეგრეთი სქესია, რომლისა სისხლი ძვრფასი არს, ხოლო გლეხი კაცისა ექუსი თუმანი ათორნი თუმანი და ოცდაოთხი მეტი არღარ არისო მათი სისხლები შენს იმიერს კაცს რომ ტყვიო ექუსთოსო შენ კუნძად შერაცდეს, სადაც გაგივიდეს იმიერს იტრაბაზე, იკოხტავე, წართქვმე დღეს მრავალი რიცხვნი სანოვაგენი მაქუნდენ, ესოდენნი კაცნი დავათვრე, ვინც არ დალივა კისერში შთავასხმევინე ჩემს მელიქიფესსა მწდეველსა ღვინისასა, დაიქადე ჩემი ყოველსავე ტაიჭებსა და უნეთა გამსწრობია და გამოქცევაშია ძალა ჩუენი ქალები სამხრობამდე პირს იბანენ და ნასადილევსა მუთაქაებსა ზედა მიეყრდნობიან თთუე გავა, რომე ეზოსა შინა არ განვიდნენ მძიმეთ მეტყუელებენ პირებზე. თითები დადებითა თმათა და ფრჩხილებთა იღებენ ინითა და ბასმითა გასათხოვართა ჯერეთ მზე არ უხილავთ.

აჰა, მამასა და პაპასა არა სცოდნიათ წიგნი, მაგრამ თვისისა გუარითა მდიდრათ უცხოვრიათ გუარეულისა საკელოებითა, წიგნები მხოლოდ მღუდელმა უნდა იცოდეს და სომეხთა, რომელნიცა მდივხებად არიან და ვაჭრად და ეგრეთუე ქალებმა სამშობლოებთა მისწერენ ქარტათა და შეიტყობენ სიცოცხლეთა და სიკუდილთა.

ჩუენ დიდნი კაცნი სომხები ხომ არა ვართ წიგნი ვიცოდეთ, და ანგარიშნი. როდესაც გამოგველევა პური და ღვინო გავგზავნით კაცთა და მოვატანინებთ გლეხთათვს წელიწადისა შინა ერთგზის მოვას მოსავალი. ხოლო დიდთა თვს ათორმეტგზის და ყოველთა შვილეულებსა შინა თავი რაჲსათვს აიტკიოს დიდმან კაცმან წიგნითა და ანგარიშითა. იხილეთ ზემო ყოველთა გარდა, უბევრეულესთა უბედურებასა ასწავებენ შვილთა თჳსთა ი. მაღალნი სქესნი, რომელნი ხეტიარებად რაცხდენ თავთა თვსთათვს და შვილთა თვსცა, რომლითა იგივე სულნი ნაყოფებთაგან ცალიერნი აქაცა მოგვიყვა, ვაიმე, ვაიმე, რომელ არცაღა ბაძვი კეთილნი სომეხთა მაშინც გვაქუნდეს, რომელთა წ. ათინისაგან მიიღეს ნათელნი და სანთელი. არიან და მდიდარ სიბრძნითა და როჭიკებითა.

ესერა მეცა თქუენთანა მელმის და მქონან გარეგან მითხრობანი და მოხსენებანი და ბრძოლანი ჩუენ-ს მამულისა ერისა მიმართ აქარე მცხოვრებთა, რათამცა შვილნი თვსნი მაშინც აღზარდონ სიბრძნითა და არა მხოლოდ მუცლისა განსაკვებელებითა, გარნა იგინი ათექუსმეტსა წლამდისი ზრდიან გუარისა თვსისა წინაპარისა როჭიკებითა მოვაჭრებულისა ვაყინებითა, ნარაჯებითა ყირებითა თერმონიაითა და ქალუულებისა სახვრეტლებითა და პუნკიებითა, ე. ი. ჩაითა, ყაფითი, შაქრითა მურაბებითა ნაზუქებითა და კორცებითა ხოლო ადეს ათექუსმეტისა წლისანი იწყებენ ურჩებასა მშობლებთასა გაკურებულნი საიდუმლო თესლოვნებითა მაშინ აძლევენ სასწავლებლებთა შინა დიდ ფრიადისა დიდ წარსაგებლებითა, გარნა ადრინდელნი ზემოხსენებულნი ზნეობანი ბოროტნი შთაბეჭდილნი არღა უტევებენ სიბრძნისა შეწყნარებასა. რომელთა ენანი მსგავს არიან წისქვილებისა სარეკლებსა, რომელნი ნაცულად მშობლებთა სიყუარულისა წილ დიდ ფრიადისა, აჳებენ შვილნი თვსნი უდიდფრიადესსა სიმწარეთა მეტყუელნი ესრეთ რაჲსათვს ენანი არა აღმოგუადგმევინეთო წიგნებსა შინა საშკოლოთა და ეგრეთითა სახითა მშობლებთა თვსთა ქენჯნიან და ჟამსა სნეულებისასა დაუტევებენ, და დროსა მწუხარებისასა ზედარე ურთვენ მწუხარებისა ასკეცად მეტყუელნი ეგრეთ მშობელთა ჩუენთა გუასწავლესო ლტოლუა ამად იგინი ღირს არიან ჩუენგან მოუკლებლობისასაო და არცაღა მკუდართა მშობელთა თვსთათვს აწირვინებენ მღუდელთა, მეტყუელნი ესრეთ ჩუენ არა გუახსონანო მშობელთა ჩუენთაგან თვსთა მიცუალებულთათვს წირვანიო, რომელნი აკლებასა, დაქცევასა, უწყალოებასა და სადილ ვახშამთა ზედაცა იყუნენ უსამართლონი, რომელნი ზემოჯდომითა თვსითა მიხუჭდენ ქუემო მჯდომარეთა საჭმელებსა და ჩუენთა გვიზარდენ ჟამსა უსუვრობისასა და ნინველობისასა ეგე დიდი ძვლიანი შენ ალილე

და იგი ტვინიანი შენმა ძმამან, რომელიცა დაასწრობთ იგი მარჯვე იქმნება. ქუჩმო ვინცა სხედან მაგათ წვენიც რომ დაუშთეთ ისიც ბევრია მათათვის, მაგათმან გუარმან მჭადი უნდა ჭამოსო აზნაურს პური არა ქონდეს მჭადსაცა ჭამს. მაგრამ დიდის კაცისა არ შეიძლება, სირცხვილია. თუ კაცია ხუცესი ჩემს ნებას არ იქმს ესე ვითარისა სახითა გვზრდიდენო ჩუენი მშობელნი, რომელთა ჟამსა თვსსა დაგუაკლეს სიბრძნისა სწავლანი, ამად არა ვართ მადლობელნი იმათ თვსისა წადილისა პირუტყულისა შეყოფისთვს გვშვესო და არა ცნობისათვს მაღლისა და სათნოებისათვს მის მხოლოსა, რომელთა დღესაცა მეშვიდესა არა გუასწავეს მოსმენა წირვისა და პირითა ჩუენითა არ ძალგვიძს საღთო წერილებთა აღმოკითხუა და ლოცუა, რომელთა არა შეგუაჩვიეს ხელვითი დამონებითი საქმეთა უქმობითა თვსითა, გუასწავეს უქმობა, რომელი დედა არს ყოვლისა ბოროტებისა. აჰა, ესერა სომეხთა თვსის გამოზრდა საკუთრისა პირისა ოფლითა თავისა თვსისა უცხოსა ქუეყნებსა შინა მრავალთა ჴელოვნებთა და ჴელოსხობათა თეორეტიკულთა და უფროსღა პრაქტიკულთა. გარნა ქართველთა არა ძალუძთ თვსისა ჴელითა სიმდიდრისა შეძინება უცხოსა ქუეყანასა შინა.

იხილეთ უფალო დოდაევ ესე სნეულება თვთ თუალითა ჩემითა იხილვების, რომელ მშობელნი შემძლებელნი დიდ ფრიადისა სიყუარულითა ჟამსა ყრმობისასა არა აძლევენ სწავლასა შვილთა თვსთა, რომელთა სიყუარული ესე ვითარნი მტერობანი არიან, რომელთა შვილნი თვთ მე შემოჩივიან მშობელთა ჩვენთა უწყურთელად აღგვზარდესო. რომელ განათლებულთა გუამებთა თანა არა ძალგვიძს გაცნობაცაო და არცაღა სამსახური მონარხისა და დიდთა ადგილებთა შინაო.

აჰა იგულეთ თქვენ სიბრძნითა, რათა საგანი ეგე სახლსა მაგას შინა კეთილ ლიქვნითა და ბირებითა და ლიზლობითარე წარმართოთ და იქმენ ურიათა თანა ურია, რათა ურიანი შეიძინო, წარმართა თანა წარმართ, რათა წარმართნი აცხოვნო ესე ბრძანება წ. მ. პ. არიან, რამეთუ განფიცხებასა შინა წ. ილია თეზბიტელჰან ვერა იხილა უფალი ე. ი. ქარსა შინა! მძაფრსა გულისა თვსისა რისხუასა შინა ცეცხლსა შინა სასტიკსა გრძნობისა თვსისა აღტყინებასა, ძრუასა შინა დიდ ფრიადსა სულისა თვსისა რყეულებასა, არამედ ოდეს დამშვიდდა მაშინ სულისა თვსისა მყუდროებისა ნიავ წულილსა შინა იხილა. იხილეთ, უკეთუ დიდსა ილიასა მამა სახიერი არა ეჩუენა რა პირუელი ხატი. რაოდენ კაცნი გარდმოხატულნი ზორვენ სახიერობისაგან, რომელთაგანნი ჯეროვანსაცა განეშორებიან კეთილსაცა ერთისა რისხვისათვს.

თქუენ კანონებითა ქრისტე განწესრთა უსუვართი, რომელნი მწობელთა გვოხიესთ უკანონობა, მაშასადამე სიბრძნისა კერკი ე. ი. ლოხისძიება უმჯობეს არს, ვიდრეღა წესიერნი რიცხნი სთქუა მეფსალმუნემან განრისხდებოდეთ და ნუ სცოდავთო. ვგონებ ეგრეთ იყოს გეწყინებოდესთ საწყენი სალთო, და ნუ ნაცვალ აგებთო, და აღრიცხეთ კეთილნი თქვენნი და სიყუარულნი და კეთილნი მაგათი საზომითა წონითა და გულისმისყოფისა საწყაოთა, რომელნი აღემატებიან იგინი გამოსცან, რამეთუ მჭუენის მოწაფესა სწავლისასა ყოვლისავე მოთმენა, ვიდრე საგნებისა თვისისა რომელ გავაჭრებულმან ესოპე მე საგნისა თვისისა შესრულებადცდე მრავალნი წელნი საწყარენი მოითმინა. და თავი თვსი გონებისაგან გამოიხსნა.

თქუენ მონა ღუთისა და ცხებულისა მისისა ხართ, ვინ შეგაურვებთ თქვენ თვნიერ თავისა თქუენისა განევფლებული თქვენთვის, უკეთუ ქბედავიდე. შესაბამოსა აჰა სახლი ეგე თქუენთვს პალატად აღგირჩიე, რომელ პირმშო ხარ და არა მრწები.

იხილეთ ხორცხობაი გრაზმნიათ ჩემდამო მაგა ბარაკიელისათვს მე განვემეტელი შენწევნად. გარნა თქვენ იქმენით მგელთაცა შორის მსგავს კრავისა ქ. მოციქულთა კუალსა სოფელი ე-ე და იგი სალთო ბრძენთია არსნი.

თქვენი მლოცველი ი. მ. მ. მ. წელსა 1826 თებერვ 15.

## № 69

### 1826 წლის 2 მარტის წერილი მღვდელ იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო პატიოსნებავ და ღირსებავ მამაო მღუდელმონოზანო იონავ უმოწყალესო ხელშწიფევ!

მდაბლად თაყვანისცემას მოგახსენებ შორიდამ შორს და თქუენა მშვიდობას და ბედნიერებას უფალს იესოს ვსთხოვ. გმადლობ და გმადლობ მოწყალებისათვს. ჩემ მაგიერ თქვენ მზრუნველობთ ჩემს შვილს სოლომონს ზედა, რასაც სოლომონ მწერს თქვენგან მოწყალებას. მე როგორ შემიძლიან რომ გარდაგიხადო, თქვენ უწყით, ვინც შეძლებელი არის, ის გარდიხდის. ნინა მოციქულას ვსთხოვთ თქუენ ბედნიერი ბრძანდებოდეთ სოლომონის ნუგეშად და იმედად.

მამაო მოწყალეო! თქვენი ძმები სოლომონ და გიორგი თავისის მეუღლით და შვილებით გახლავენ. სოლომონ თქვენი ძმა წარმო-

სლუას აპირებს ამ გაზაფხულზედ. თქვენი მარად მლოცჳჱლი მშვი-
დობის და ბედნიერების მთხოვნელი უმრწემესი ძმა მღუდელი იოანე
დოდოევ.

წელსა ჩყკვ
მარტის ბ.

## № 70

### 1820 წლის 3 მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანესო!

ქრისტე ღჳთისა მიერ სალთო ლოცვათა მოვრთმელობ თქჳჱნდამო გულითადიერ.

ესერა მარხვასა ამას წინამდგომარესა ორმეოცდღეულებსა მომლოცველობ თქვენდა მომართ, რომელი მესია ცხებულმან იმარხა შემდგომ ხათლისღებისა დღენი და ღამენი. რომელ ქჳჱნა არსება და ბუნება ალოცა დამარხულაცა, ამად გონებდა ზეცით გარდამოელვებული მთიები! დაშრეტილი ლიტონ კაცად ანუ მსგავსსა მოსესსა, და ილიასა, რომელთა ძალი ლოცვისა და მარხვისა ზეცერდამო მიიღეს და იქმნა მოსეს სჯულისა მომღებ და ილია ამაღლებულ ცეცხლისა უნეთი და ეტლითა.

ეგრეთჳჱ დანიილ ტყჳჱობასა შინა იმარხა სამნი შვდეულნი და იქმნა უაღრეს ბაბილოვნელთა აკადემიისა მოსწავლეთა შორის და გამოუცხადა მალალმან ძილის შორისო ნაბუქოდონოსორისა და ვალტასარისა და დარიოსის და უფროსღა გაბრიილ მთავარანგელოსმან აუწყა სამეოცდაათნი შვიდეულნი შესრულებულნი. რომელს არს რიცხვით ოთხას ოთხმეოცდაათი წელი, რომლისა დასასრულ მესია გამოჩნდა და დაიყენა ძჳჱლნი ცხებანი მეფეთი და წინაწარმეტყჳჱლთი და მღუდელთი და გარიდჳა. მღჳდელობა არონისა და ლევიტელთი და სახლი იუდასი დაეცურა მეფობისაგან და უფროსღა იეროზ ქამისა, ეგ სახედვე ანანია, აზარია და მიხაილ შკოლასა შინა ნაბუქოდონოსორისასა იმარხეს დაყენებულთა დღეებთა შინა ჰამათაგან, გარნა უმეტეს ჰაეროვან და მეწამულ დაზუნზრუხ იქმნენ და განსაკკრვეველ მძორის მჭამელებთა შკოლნიკებთაგან და დაშრიტეს ცეცხლისა საქმილი, რომელსა შინა შესთხოვნა მძლავრმან ნაბუქოდონოსორ მეფემან, რომელმან აღმართა თჳსსა მამისა საფლავსა ზედა

ამინაშატი ძეგლი, კერპი ოქროსი სიმაღლით სამეოცი მწყრთა და სიზრქითა ექვსი ბითუმი კვირივი, რომელმან მუყლ დადგმითა ათაყუანა ასოცდაშვიდი მკარენი ერთი სრულად აზია, ინდოეთი, აფრიკა, ვიდრე იტალიადმდე, გარნა სამთა ამათ მეპურველთა არა უგეს მარხვითა განმტკიცებულთა.

ეგრეთვე ივდითმან მარხვითა სძლო ოლომფორნეს და ესთერმან მარხვითა ისრაილისა ერი მოწყუედისაგან იხსნა, და მაკაბელთა მარხვითა სჯული დაიცვეს და მტანჯველი ანტიოხოს ძირი ეშმაკისა დასცეს შეომარითურთ. მეფე ეზეკიამან მარხვითა და ლოცვითა ათხუტმეტნი წელნი მოაქცია, რომელსა წ. ისაია ათთა ხარისხთა ქუემომზე უკუნ აქცია ე. ი. სამხრობისა ჩრდილნი დილისა ჩრდილად ქმნა, რომლითა მეფე კეთილმსახური გულსავე იქმნა.

კუალად მეფე დავით ლოცვითა და მარხვითა კაცისკულისა და მრუშებისა ცოდვათაგან განთავისუფლდა და დასწერა ას ორმეოცდაათი ფსალმუნი. ეგრეთვე წ. მოციქულთა მარხვითა და ლოცვითა მოიღეს სულიწმიდა და ქმნეს ნიშნები და განდევნეს ეშმაკნი მოქცეულებთაგან.

უმეტეს მარხვითა და ლოცვითა ათხუტმეტისა დღეებისათა ღუთისმშობელმან ქალწულმან საღთო ღრუბლებითა შემოკრიბნა საღთონი მოციქულნი და ანგელოზნი კიდისკიდებთაგან იეროსალიმსა შინა ჟამსა დაძინებისასა და თვთ ღმერთკაცი მიმქმელ[2] იქმნა სულისა მისისა ხორციოთურთ რომელსა უპატიოსნეს ანგელოსთასა დაადგინა ზეცათა შინა.

ეგ სახედვე პირველისა საუკუნოჲსა და მეორისა და მესამისა ქრისტიანენი იმარხვიდენ მტკიცედ და ერეოდენ მეფეთა კერპებიანთა, რომელნი მილიონების მეომრებისა ჰურვილებითა დევნიდენ უსაჰურველო ქრისტიანეთა მცირე რიცხუელთა, რომელთა სასწაულებმან მძლავრნი მტანჯველნი მოაუძლურა. რომელნი გონებდენ ქრისტეს ამაღლებითგან, ვიდრე დიდს კონსტანტინედმდე ე. ი. ათნი მეფენი ზედას ზედა მდევნელნი შვილითი შვილადმდე სამსა საუკუნოებსა შინა ყოველნივე მეფენი, ვიდრე მეოთხისა საუკუნოჲსა ოცდა ხუთსა წლამდისი. რომელ აზმნობდენ წმიდა სახარება მეფობასა ყოველთასა დაამკობსო. გარნა სცნა რა დიდ ფრია, სასიკუდინოდ დასნეულებულმან კონსტანტინე ძალი სახარებისა სარწმუნოებისა განიკურნა სასწაულითა, რომელსა ბრძოლასა შინა ცხოველისა ჯუარი /გამოუჩნდა და მით ძლო ყოველთა გონებისა მეფეთა ქუეყანისათა და შეაერთა აღმოსავლეთი დასავლეთსა, რომელსა კრებამან ნიკიისაგან მისცა საღთო ცხებულება და ჯუარისა ტროპარი და კონდაკი და გვირგვინსა ზედა ჯუარი და პორფირი და მშვიდობიანსა და შეგვიწყალებში პირ-

მწირება და დღესა გამოსვლისა ჟამსა მოხსენება სახელდებითა და ტიტულით სქესითურთ, და მიერთაგან ყოველთა ქრისტიანეთა მეფეთა მიეცათ ეკკლესიური ცხებულება.

აჰა თჳთცა უწყით თუ მარხვითა და ლოცვითა მღდელმან საღთო-მან წინა მოსრულმან იეროსალიმით მცხეთისა ქალაქისა მაყვალისა ბუტკოსა შიხა რაოდენნი სასწაულნი ქმნა ვაზისა რქისა ჯუარითა, რომელ მეფე მირიან ცეცხლისა მზორველი და ერი არმაზისა გაცისა და ზადენისა, რომელნი შვილთა უკუვლიდენ და სჭამდენ მკუდართა. იგი ყოველნივე ემბაზისა ბრძმედისა შინა აღმოშობა და მუნითგან წარემართა კავბეჩოვანსა შინა ე. ი. კავბეჩებ გამრავლებულსა ქუეყა-ნასა ჩუენსა, რომელ არს ჰერეთი გინა ხორან ბუჯი, ხოლო ახლისა სახელითა მქის იყო ე. ი. ქიზიკი, რომელამ მისვლითა თჳსითა ჰყო ერად ქრისტე ღმრთისა, ხოლო დასასრულ მუნვე ცენტრსა ზედა შუა-ვსა ზედა დაიძინა საღთო ძილი ე. ი. ქედებ მოვლებულსა მთის ზედა, რომელ არს ბოდე გინა ბუდე წმიდა ნინასი: აჰა ესერა უმე-ტეს ათხეტრეტისა საუკუნოესა არს მუნ განსუენებულ წ. დედა მო-ციქული ე. ი. მღდელი მოციქული ქალწული, აჰა ესე არს მარხვისა და ლოცვისა ნაყოფნი.

იხილეთ საღთო სულიერო ძეო ჩემო მარხუა შემოკლებულად განვმარტო ორნი ოდენ არიან ე. ი. შინაგან მრწამსი სიმვოლოსი და მარხუა და ძუელისა და ახლისა აღთქმაებისა და საუფლო ლოცუ-აებისა და ათთა მცნებაებისა სულსა შინა ხოლო გარეგანცა მათნივე გამოწერა ვითარ ენითა და ბაგეებითა აღსარება ვითარ ქრისტიანეთა შორის, ეგრეთუე წარმართთა ქუეყანასა შინა ჴელითა ჯუარისა გა-მოწერა, მუკლებთა მოდრეკა, აღმოსავლეთით ლოცვა, რამეთუ ქრის-ტესა აღმოსავლეთი ეწოდების უმეტეს მზისა მომკუმსა ზეცისა ნათ-ლისასა და გონებისასა, ეგრეთუე ყოველთა ასოებთა ეწოდების. ეგ სახედვე მარხუათა შინა ქრისტესსა არა დანთხევა პირუტყუთა სისხ-ლებისა და არღა გასუქება გუამისა, რომელი მსგავსად [illegible] კუ-ცისა განიტაცებს სულსა უგზოთა ეშმაკისა ტრამალთა შინა და კეე-ნებითა. ეგრეთუე მოციქულთა მარხუასა შინა ჯერ არს მარხუა, რათა მათისა ახალსა აღთქმასა შევესცნეთ. ეგრეთუე ღმრთისმშობლის მარ-ხვათა ვგონებდეთ ჩუენსა განსულასა სასტუმროსა ამას სოფლისაგან, ეგ სახედუე. ქრისტეს შობისა მარხვითა ღმრთისა კაცთმოყუარებასა, რომელმან ძე თჳსი მოავლინა და გვიხსნა ბომონებისა. მეტალოლი-ისაგან და წარწყმედისაგან, ეგრეთვე ოთხშაბათითა ქრისტეს შეპყ-რობასა და პარასკევთა ჯუარცმასა. იგულვეთ მარხული მსაჯული უმე-ტეს შეუძლებს ხვანჯისა გამოცნობასა, ვიდრელა კორცებითა განლე-ძილი, რომლისა პოხნი თესლთა ამრავლებენ კერვასა შინა და ორთ-

ქლეჱსა ტვინებსა ზედა. ხოლო მოსწავლესა განლეშიანებულსა სულსა და უბლაგებსა და გრძნობათა მოადუნებს, და დღეთაცა უმოკლებს, რომელ ინდონი ჴორცებითა უჴმელობითა ასთა წელთა ცხოვრებენ, ვიდრელა მახმედიანნი, რომელთა მუცელი ბუასილითა სავსე არს ე. ი. სოკოებითა და არიან უწყალონიცა ლემებთაცა ზედა და უფროსღა კაცთა ზედა ჴორცებითა განყვინიზებულნი მჴეცნი და ფრინველნი, რომელნიცა სჭამენ ჴორცებთა, უმეტეს მძჳნვარე არიან, ვიდრელა ჴარნი და ტრედნი და უშორეს.

პირუტყვსავე სიტყუასას სრულ გიყოფ ოდეს შეასრულა მარხვა ქრისტე ქუცნა ბუნ-ზისა, მაშინ განომცდელი მოუჴდა და რქუა ქმნა ქვსაგან, რომელი გონებდა მსგავსად ადამისა ნაყროვნებითა შეცთუნებასა. გარნა მიუგო მაცხოვარმან სიტყვითა ღმრთისათა ცხონდებს კაცი, რომელ არს ძუელი და ახალი სჯული. კუალად რქუა ეშმაკმან. აჰა ქუეყანა ესე კიდისკიდედმდე ჩემი არს, მომეც თაყუანისცემა, რათა ყოველნივე შენ მოგცნე. ამით გონებდა, ვითარ თუთ გარდამოითხია ნათლიერისა დიდებისაგან ამპარტავნებისა დიდებისა სურვილისაგან. ეგრეცა ჴელჰყო ცთუნება ე. ი. რომლითა თვთ შესცთა ამპარტავნებითა და შეაცთუნა ადამ მარხვისა დატეებითა ამიდ ორითავე ღონისძიებითა ივერაგა გულმან. მიუგო მჴსნელმან უფალსა ღმერთსა მხოლოსა თაყუანი ეც. ვითა არცა წერილ არს მოსესაგან და მას მხოლოსა მსახურებდე. რამეთუ ეგრეთ ჯერეთ არს დაბადებულთაგან.

ხედავთაა? რომელ მარხვითა გვეჩვენა ძლევა ეშმაკთა და ჴორცთა და სოფლისა. აჰა, ოდეს გამოირჩია სამეოცდაათნი მოციქულნი, რომელთა განასხეს ეშმაკნი და აღადგინეს მკუდარნი მოიქცნენ დიდ ფრიადისა სიხარულითა და რქუეს იესოს. უფალო სახელითა შენითა ეშმაკნიცა დაგვემორჩილნენ. მიუგო მათ მაცხოვარმან მაგას ზედა ნუ გიხარისთ, არამედ გიხაროდენ, რომელ სახელები თქუენი დაიწერა ცათა შინა. აჰა, ესერა ჩუენცა გვიხაროდეს მარხვითა და ლოცვითა აღწერა ცათა შინა სუფევისა მიღებად. რომელ მარხვასა ორნი ფრთენი ქონან ე. ი. სულსა შინა ნათლითა და ჴორცთა შინა სიწმიდითა, და ესენი კმა იყავნ სულიერო ძეო ჩემო სოლომონ დოდაევ. წელსა 1826 მარტს 3.

იხილეთ თქუენი მოვიდე, რომელსა შინა მიცხადებთ მარჯუენე ყურისა ყუელისა დაცხრომისა შემდგომ ზედართუასა სხუათაცა სენთა ე. ი. თავის ტკივილსა ეგე ვგონებ ღუმელისა სუნისაგან იყოს ანუ კუჭისა მჴურვალე აორთქლებისაგან, ეგრეთვე გულისრევასა ეგე სიგრილისა თელგაშებისაგან იქმნება პერისა უზმობა, სისუსტისა არს, მცირე სიცხე ეგე სისხლის განჴურვება არს, განუსვენებლობა ში-

ხაგახისა აღძვრევა არს უძალოება ეგე ზაპილოება არს, აჰა თვთეე უწყით, რომელ მეათერთმეტესა დღესა ანტონი მარტო მყოფელისსა ოდეს გცხე ზეთი ჴელით უქმნელისა ხატისა ბაზმაკისაგან, მაშინ მყის კნინლა და მკუდარი აღგადგინა მადლმან და განგეხსნა ყური და მუხითგან გედინა სრულიად გუამისა რომიონი თელგამნი და შალალნი ყუელნი, მაშინ ყოველნივე სათბუნებელნი ორწილად გიზრუნე და გრქვი, რათა მარტისა თთვმდე არა განხვიდე გარე, გარნა განუსჯელმან სურვილმან არღა მოგაგონა კრძალულება გარდარეულისა სწავლისა სიყუარულითა. დაიწყე სლვა უნივერსიტეტსა შინა, სულითა განძლიერებულმან, გარნა კორცითა უძლურმავე, ამად მელტის თქუენთვს, გარნა რაჲ ვყო მე უბადრუკმან, რომელმან მასწავე გარდარეული მწუხარება შენთვის. აჰა, თვთვე უწყი, იტყვის ბრძენი სოლომონ ეკკლესიასტესა შინა სიყუარული ცეცხლ არს და მექონ ფრთეთა, და მე ვიტყვი სიყუარული კნინლა და ანტონის ცეცხლ ყოფილ არს ე. ი. ვიდრე განიკურნო სიყუარულითი კეეშანი შენი კორცთა ჩემთა აღნობს, და სულსა მფრინველ ყოფს გარემოსა შენსა დღისი, ხოლო ღამესა შინა სიზმარნი ხატისა შენისა ლანდთა ახედუებენ ოდესმე, ეგრეთ და იმ სახედ და ამ გუარი და შეგხარი მრთელსა მჯდომარედ კლასებსა შინა, და ოდესმე შესრულებულსა გხედავ ბიბლიატიკოსთა მისრულსა ეზოსა შინა წმიდის ნინასა და მუნ მასწავლელად მამულისა ჩუენისა შვილთა, ვითარცა არს სურვილი ჩემი.

ი. მ. მ. 1826 წ. 3 მარტი.

## № 71

### (1826 წ). წერილი გიორგი ჩუგუნოვისა იონა ხელაშვილისადმი

ვინთთგან სიყრმით შენითგან დაგიტევებიეს სოფლისა ამის დიდებაჲ და აღგირჩევიეს უძვირფასესი იგი საუნჯე ზეციერი, რომლისთვსცა მსგავსად შრომისა მოყვარეთა ფუტკართა იკრებ ყოველთა უძვირფასესთა ნივთთაგან, სადაცა რაჲსამე კეთილსა ჰპოებ, რომელთაცა განრყუნა მღილთა. ვერ ჴელეწიფება და მპარავთა წარპარვა არა ძალუცსთ მექონამ ესე ვითარისა კეთილთვსებისამან. განიხილეს რა სახლსა შინა ჩემსა, უჩინებულესისა მის რიტორისა და ფილოსოფოსისა მასილიონისაგან[1], თქმული ქადაგება სიკუდილისათვს ცოდვილისა, ფრიად სათნო იჩინე ვინათგან ხარ ესე ვითარისა თხზულე-

ბის მოყვარე, და მიბრძანე, რათა ვსთარგმნო უძვირფასესი მოძღვრება ესე რუსულითგან ქართულსა ენასა ზე ზედა, რომელიცა იქმნება სამკურნალო სალბუნი, სოფლის სულებითა, და გიძღვნი სახსოვრად ჩემდა. და თუმცალა იყო ესე უაღრეს ძალისა ჩემისა არამედ პატივისცემამან თქუენმან მაიძულა, და შეძლებისაებრ ჩემისა აღვასრულე ბრძანებული თქვენი და მოგართვი ნიშნად უუმწვერვალესისა პატივისცემისა, ჩემისა თქუენდამი, რომლისთჳს ვგიე და ვეგები მარადის, თქუენის მაღალღირსებისა.

მორჩილი მოსამსახურე გიორგი ჩუგუნოვ.

## № 72

### 1826 წლის 9 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო მღვდელმონოზანო იონა, უმოწყალესო კელმწიფევ!

მომლოდე ვიდრე აქამომდე აქარე ხილვისა თქუენისა ვარ ოცნებასა შინა. ვინაითგან დამიტევეთ უხილავ მე მდებარე სარეცელსა ზედა სნეული სენისაგან სენთასა, რომელსა მაკლეს სასმენელი და სახილველი მტკივნეულებისა გამო თავისა, ათი დღე შეუძლებელი საქმობისა, გუშინდელისა ღამეს მკურნალმან დამაკრა შპანსკი მუხა¹, რომელი იდუა ჟამსა ცამეტსა და მეათოთხმეტესა აღიღეს, მივიღე მწუხარება დიდ ფრიადი და მრავალი წყალი და სისხლი მედინა, ნივთიერება ყურიდამ მოდის მსგავსად უწინარესისა, გარნა თაბრუ არ მეშუება და დიდად მიშლის საქმობასა და ხილვასა, წამსა ერთსა ვიხილავ, და მეორესა ვერა. უკანასკნელ ვსთქუა ესრეთ მიბნელდება თუალი, რომელ არ ძალმიძს ერთი მეორისაგან განრჩევა, და ერთის სახლიდამ მეორესა შინა განსლუა არა ძალმიძს თაბრუსხუმევისა გამო. უკეთუ ინებებთ გამობრძანებასა, ვთხოვ ღუთისმეტყუელებისთჳს ქაღალდსა.

მოწყალეო მამაო. მარადის მორჩილი მოწაფე ს. დ.
მარტის 9. 1826 წ.

## № 73

### 1826 წ. 22 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო მ. მ. მ. იონა! უუმოწყალესო ჴელმწიფევ!

გუშინ, ჟამსა მეშვიდესა შემდგომად საშუალისა დღისასა, ესმა ყურსა ჩემსა ჴმითა მჴედართაჲსათა ჴმაჲ ფრიად ჩემდა სამწუხარო, რომლისა გამო გამოჩნდა მსწრაფლ გრძნობათა შინა ჩემთა ნიშანნი მწუხარებისანი. უკეთუ მართალ არს შემთხუევა თქუენდა, მამაო, სხეულებისა რაჲსამე. თუმცა ჟამსა მასვე მსურდა ჭეშმარიტნი ცნო–ბახი, გარნა არათუ მაშინ, არამედ დღესაც ვერ შემძლებელ ვიქმენ რომლისამე წარმოგზავნისა, და ვერა რაიმე საშუალება მოვიძიე, გარდა უმაღლესისადმი თხოვნისა, და ესრეთ მცირედ გამოვხატავ მხოლოდ თხოვასა, რათა ჰყოთ ცნობა ჩემდა მოწაფისა. თქუენო ღირ–სებავ.

თქუენი მორჩილი და მსმენელი ს. დოდაევ.
მარტის 22 სა 1826 წელსა.

## № 74

### 1826 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ!

ქრისტეს ღუთისამიერ სალთო ლოცუათა მოვმრთმევლობ შენ–დამო.

ესერა შენი ავთრათი წერილი მივიღე ივ იანურის თთუესა, ვმა–დლობ მაღალსა ორკერძოვე მშვიდობისა შენისათვს, დიდ ფრიად მიხარის: იხილე ქუემორე აჰა მიცხადებს შენი წერილი სამისა წიგ–ნაკისა მოწერასა, რომელთაგანნი მხოლოდ ერთი მოვიღე წარსულსა სეკდემბერსა და პასუხიცა მოგწერე. სხუანი დანაშთნი არა მომიღიე[1], შენდობა იყავ.

დასასრულ წიგნნი შენნი, რომელიცა მოვიღე, იგი აღვსილი იყო გოლითა, თაფლითა, მანანაჲთა, ხოლო ესე განგოზილი არს ნავღლითა აბზინდითა[1] და მყვირტე ძმარითა. აჰა, თვთეუჱ უწყი პარაკლიტონისა შეხლებთაგან ვისმე ნებავს განკურნება და მკურნალსა განარისხებს.

მე ჩემის ჴრით რაოდენიცა ძალ მედვა ზეგარდამო მინდობილსა გიქმენ კეთილნი აქარე და გიჩვენე გზანი აზმნობითა და რჩევითა ე. ი. აქა დადგომითა, სნეულებითა დაგლახაკება და ვინ უწყის სიკუდილიცა იქმნებოდა, რომელი ორგზის განგაძეს და შემდგომ არღავიწ მოგიღო. აჰას მე მასმენდენ, ხოლო უძალო ქმნილმან გირჩიე უმაღლესისა საყდარსა შინა შევედრება და მიგიღეს ვედრითა ჩემითა, გარნა ოდეს გიცნეს, რომელ სული მდაბიო გაქუს და სწავლა სოფლიური და მიმოხრა ვენაჴური, ვერ იტვირთეს აღზრდა შენი, თუმცა ეგე ესრეთ გარნა მე ძალ მედვა ზედას ზედარე ვედრებითა უმაღლესისა წინაშე თავისა შენისა წარმართვა. გარნა შენ სულმოკლეობა და უმოთმინება შეესხა ფრთეებად. რომლებითა ჯერეთცა ფრინავ, რომელსა გულსურს ზამთარსა შინა მკა და ზაფხულსა შინა ძილი, რომელი არა ჰბაძავს ჯინჭველთა და არცადა ფუტკართა.

მე შეგვედრე უგანათლებულესას სოლომონ. რათამცა ეკკლესიასა შინა საქმარი ყოფილიყავ და პურის მჭამელის ადგილიცა გცა თანა მეინახეთა თანა. ხოლო შენ თჳნიერ ჩემსა საკუჰნოსა გასაღებები მიიღე კელად და საწმენდი ბებეჭდში სადილ ვახშმის ჭურჭლებისა და ზარაფრთუშისა ე. ი. სავარძლებისა, მერხებისა და სადგარებისა ე. ი. სტოლთა, სკამებისა, კანაფისა და ზედართე მემარიოხობა, ე. ი. ქარტა ქაღალდებით ამოვნობა ე. ი. თამაშობა, რომლებითა ეკკლესიასა შინა მოგაკლდა მარჯუმონესა და სანოვაგე ფაგდებულსაცა თანამდეომბისა ესე ყოველნი ბრალნი შენ თჳთ შობე, რომლითა უგუნურება შენი პრაქტიკა საქმეებითა ცხადუყავ ყოველთა და კუალადცა დასძინე სიტყვით და საქმით რკინობა და ლალვა სახლის განმგებელისათანა, რომლთაცა შეიქმენ რიოში ე. ი. ფუჰიედცა დალბოდი ქილიკობასა დამზელაობასა ე. ი. მასხარაობასა სხვათა თნებათათვის, უკეთუ ზემოთქმულნი არა იყუნენ მოწამედ სვინდისისა შენისა ნაცუალი მსახურებისა, რაოდენნი ხუასტაგნი მიიღე ჟამსა წარსულისასა ე. ი. საბოძარნი. იხილე უკეთუ ოცის წლისა ქუეშე ყოფილ იყავ და არა მეზრუნა უმეტეს კნინდა და ძალისა ჩემისა უმეტესი ბრალი მექმნებოდა. გარნა ასაკი გაქუს თავისა შენისა, რომელმან დიდი კეთილობა გიზრუნე არა ჰყავ მორჩილება. ეგრეთვე მეირესა კეთილობასაცა ზედა იცოდე, ვითარცა კმობს სალთო სახარება.

მე ზრუნვა ყოველთა ჩემთა მეცნავთათჳს მაქუს ლოცვითა და საქმებითა და ყოველთავე ქრისტიანეთათჳს მსხუერპლისა შეწირვა და ჩემთა მექუეყნეთათჳს განკაფვა. რათამცა ვსცხონდე, ეგრეთვე შენთჳს დავშვერ და გასწავე და გმართეიდი, ესე სვნიდისმან შენმან

უწყის და გსარჩლიდი და გმფარველობდი ზეგარდმო ძალისაებრ ჩემისა, აჰა მოცემულნი ჩემნი ტანმან გარეგანმან შენმანცა უწყის გრძნობითარე, გარნა შევემცენ, რომელ ეშმაკი შენი გმტერობს უგუნურებისა გაზეპირებით და მეცა ეგევე მაწუხებს, მადლობა ღმერთსა ვსცან ტყუვილებისა შენისა მამა, რომელი აგიხსენებს ეგრეთ და ეგრეთ და ესრეთ და ამგჳარ და იმ სახედ ჩემ ზედა ბრალისა დადებასა ეგე ვითარსა, მითამც მსურდეს ადგილის მიღება შენ უბადრუკო. ეგზარხის წიგნი მომივიდა. სინოდმან გამომიცხადა მიღება თანამდებობისა. გარნა უძლურება ჩემი განუცხადე და ეგრეთ განვეშორე ტვირთსა საქმეებთასა.

იხილე მე მსურს, რათა მტერი შენი დემონი განიშორეო და უკეთუ არა განაძობ ვის ძალუძს განკურნება ბაბილოვანისა და შეგონება ეგიპტისა და მოქცევა სამარიისა, გარნა მე ჩემისა მკრით შენთვის ვიღუაწებ ლოცვითა და საქმითაცა, რათა სიბერესა შინა გალანამცა სცნობნი მშვიდობის მოსურნე ი. მ. მ. მ.

წელსა 1826. თთჳსა მარტსა.

**№ 75**

**1826 წლის 27 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

თქჳენო ღირსებავ მამაო, მღვდელმონოზანო და მოძღუარო იონა!

უუმოწყალესო ჴელმწიფევ!

მაკურთხეველსა ჩემსა წმიდას მარჯჳენას უამბორებ!

აჰა, უმაღლესნი ძალნი გონებისა და სულისანი აღსდგნენ და წარმოსდგნენ მიდრეკილებისადმი ფილოსოფიურთა სწავლათა გახათლებისათჳს გულისჴმის ყოფისა. და სიტყჳათა სამჱევროთა გამოხატჳსათჳს გულისა, რომელიცა სიმდიდრე ენისა არს სიმდიდრე გულისჴმისყოფისა, წარმატებანი სწავლათანი ჰმოწმობენ საზოგადოდ აღმატებასა კაცობრივისა გონებისასა, და წარმატებანი ენისა და სიტყვერებისანი ჰმოწმობენ აღმატებასა ერისასა, გამოცხადდებიან ხარისხნი განათლებისანი, აღივსებიან გრძნობანი, განვრცელდებიან სიძძრგვლეხი გონებისანი შეხედჳთა მოქმედებულთა მშჳენიერებათადმი.

კაცო ბრძენო, მოძღჳარო და მასწავლელო ჩემო სწავლათა სხჳსა და სხჳსა ტალანტითა, ზეცისა და ქჳეყანისაო! თქჳენ დამერ-

წყუნებით, რომელ მე მტკიცედ მიპყრიეს და ნამდვლ აღვასრულებ
ყოველთა სწავლათა თქუენთა კეთილმოქმედებითა და სიმშვიდითა,
და შეუდგები კანონთაცა და რჩევათა. მე განღვიძებულ ვარ თქუენსა
ნეტყუელებითა, ვითარცა სიტყვერ. ეგრეთვე წერილთა მიერცა მი-
ნართუად ესოდენ მაღლისა და კეთილმობილურისა სწავლისადმი,
მსოფხველობითა თქუენითა ვიწურდები, გარდა მოღვრებისა თქუ-
ენისა ბუნებითსა ენასა ზედა ჩემსა. სხუათაცა მოძღვართა დაკვე-
ბითა საგანთათჳს ენასა ევროპიისასა, რომელნი საჭიროებენ მაღალნი
ცნობანი უნივერსიტეტსა შინა, მე განღვიძებულმან მივხედე რა ჩი-
ნებულთა ამათ საქმეთა, რომელნიცა ამაღლდებიან და განდიდდებიან;
თხზულებათა შინა თქუენთა ვიხილე ჭეშმარიტება სიბრძნისა, რომე-
ლი მოსწრაფებით აღამაღლებთ ზენა ქრისტიანებრსა სარწმუნოებასა
და გამოავლენთ დარღვევასა განდგომილთასა; ვიხილე ღვთისმეტყუ-
ელებასა შინა თქუენსა, სული ამაღლებული, გონება განდიდებული
და გული განცხადებელი და ხარაკტერი მარცვლისა მშუენიერ მსი-
ტყუელი ჭეშმარიტებისა, მომეცა ცნობა საშუალებითა თქუენითა და
იწყო სულმან ჩემმან გარეგანთა გრძნობათა მიერ გარდაბეჭდვითა
სოფელი ესე, და მიზეზი ამისი, მდგომარეობა ერთა საზოგადოობისა
პოლიტიკებრი. ზნეობითი მოქცევა ურთიერთას შორის. ხარაკტერი
სხვსა და სხვსა ნათესავისა, მოქმედებანი მათნი გამობრწყინდებიან
უმაღლესსა ხარისხსა შინა სიბრძნისასა, რომელნი აღიშენებენ მეც-
ნიერებასა და განაშუენებენ ენასა დიდითა სიმდიდრითა ლექსათათა
ქუხს და სჭექს მთასა ზედა მაღალსა ჩინებულება მწერალთა და პირ-
სა ზედა ყოვლისა ქუეყანისასა განითესების ჴმა უკუდავებისა მათისა.
ე. ი. ძუელსა ზედა ენასა ბერძენთასა: არისტოტელ, ლონგინ[2], დიონ-
ვისიოს ღალიკარნასკელი[2], ათინელი დემოსფენ[3], რომაელთა: ციცე-
რონ[4], კვინტილიან[5], ახალსა ენასა ზედა ფრანციისა: როლლენ[6], ვოლტერ[7],
ლაღარპ[8], ანგლიისა: ბლერ[9], ნემციისა: ეშენბურგ[10], მოას[11], რუ-
სეთისა: ლომონოსოვი[12], რიჟსკი[13], კარამზინ[14], და სხუანი ჩინებულნი
მწერალნი იკმევიან უკუდავითა სახელითა.

ხოლო საგანი ჩემი მხოლოდ არს ესე. რომელ მიმხედმან სულმან
ჩემმან სიბრძნისა მათისა და ესე ვითართა სხუათაცა ჩინებულთასა
ეხილვიდა მწყურვალისა სურვილითა. წარმოსდგა გამოხატუასა შინა
ჩემსა ძალი მის სულისა, რათა სდგეს მხოლოდ გზასა ამას ზედა.

მამაო სულისა ჩემისაო! მე სათნო შემდეგი სწავლისა თქუენისა.
თუმცა ვარ დადგინილ თქუენ მიერ მათის უგანათლებულესობის
მეფის ძის ბ[15]. ძეს ზედა მასწავლებლად, კეთილმოქმედება ესე ჩემ-
თვის სასეფუერო და სახალისო არს, რომლითაცა ერაცხ თავსა ჩემსა
ბედნიერად ესე ვითარისა მოქმედებისათჳს და აღვასრულე თანამ-

დებობა ესე ჩემი ამ დრომდე, რომელი მდგომარეობს მეორესა წელსა, შრომაჲ ჩემი მაქუნდა უშურველ მეცადინეობასა შინა. ვარნა აწინდელნი შემთხუევებითნი მიზეზნი მოსცემენ დაბრკოლებასა მზგავსადვე მოქმედებად, და უკეთუ ინებებთ თქუენ და მშობელნი მათნი, შრომასა ჩემსა არარად აღრაცხ მათთჳს, და მენითგან ვჰვლი მისაცემად სწავლისა არანაკლებითავე საქმითა ორჯელ, და ოდეს მეცალება სამჯერცა კვირაში. მიზეზნი:

1) სიშორემან გზისამან შემამთხვია ვნება სნეულობითა. 2) სნეულობისა ამის გამო ვიქმენ შეპყრობილი სამი თთუე და უმეტესცა. 3) ამის გამო დავშთი უკან და მოვცდი საგანთა, მსწავლულნი მოუთხრობენ „დღისა დაკლება განავრცობს წელიწადსაო". 4) ყოველსა დღესა თანამდებარ მუნ ყოფად. 5) მრავალნი საგანნი გარდამოიცემიან და წელსა ამას მომატებულ. 6) დროჲ შემოკლდა, და უკანასკნელისა ეგზამენიისა მომზადება თანა მაძს და, დასასრულ ვსთქუა. მე ვარ კაცი და მეშიშჳს, რათა სული ჩემი არა იცვალოს სხჳა და სხჳათა გარემოებათა მიერ, რომელსაცა ეწინააღმდეგების თჳსებანი პირმოთეთა კაცთანი.

ამისათჳს გავბედავ თქუენისა ღირსებისადმი მამაო! ინებეთ ცხოვრებაჲ ჩემი იმპერატორის სასწავლებელსა შინა, რათა ვისმინო გარდამოცემანი სხჳა და სხჳათა პროფესსორთანი ყოველსა შინა დღესა.

და ესრეთ იპყარით სწავლაჲ ჩემი სადიდებელად სახელისა თქუენისა, ვითარცა ცათა შინა მეუფისა, ეგრეცა ქუეყანასა ზედა წინაშე ყოველთა შემდეგთა სიბრძნისათა.

ამასთან წარმოვავლენ დაწერილსა ხუთსა რვეულსა ღვთისმეტყველებისასა.

ვგიე სრულიადსა ჭეშმარიტებითისა პატივის ცემასა შინა ყოვლისთჳს მოწაფე თქუენი სოლომონ დოდაევი.

მარტის 27 დღესა. 1826 წელსა
სანკტპეტერბურღი.

### № 76

### 1826 წლის აღდგომის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი. 1826 წელს აღდგომა მოდიოდა 28 მარტს.

წელსა 1826 თთუესა მარტსა 21 დღესა განთიად მეცხრესა ჟამსა ვიქმენ სნეულ ზამთრისა გაციებისაგან, რომელიცა აქარე პეტრე

დიდისა ქალაქსა უმეტეს ვნებულებენ ერნი შემოდგომისა, ზამთრისა და გაზაფხულისა გაციებისაგან ფერხებით კერძ უმეტეს, ვითარცა თვთუჱ უწყით უფალო დიდაევ ს. ძეო იოანესო.

იხილეთ ოცდახუთნი წელნი აქარე მარადის სიმრთელით დამიცუა მოწყალებამან ღუთისმან, ხოლო წელსა ამას 1826 სულიერ ძეო ჩემო სოლომონ შემრისხა ღმერთმან, უძლეველობისათვს და ფიცხელად დამაკუეთა დამწვართა დიდ ფრიადისა ჴურვებითა; და ეგრეთუჱ ცხროთიცა[1] ჟამჟამ. გარნა წყალულება იგი განვლილი სნეულება მძიმე მადლობითა ღუთისათა მივთუალე ცხედარსა ზედა მდებარემან, რომელ მოუწოდე მოძღუარსა ჩემსა დასაბამსავე სნეულებისასა, დაალუარე ბრალნი ჩემნი და ვიცხე დიდი ზეთი და ანდერძიცა იენუარისა თთუჱსა განუცხადე და სრულიად განვემზადე სარწმუნოებითა, სასოებითა და სიყუარულითა ღუთისა ჴელთა შევვედრებად სულისა ჩემისა.

ოდეს ესე ვითარი მდგომარეობა იხილა უმაღლესობამან დედოფალმან მარიამ კაცია დადიანის ასულმან და ძმისწულმან მისმან ალექსანდრე[2], და მეუღლემან მისმან ნინა ბატონიშვილმან დიდ ფრიადსა გლოვასა მისცნეს თავნი თვსნი, რომელთა ვარქუჱ სიკუდილი არს ქრისტეს მიერი დაძინება კორცთა და სულისა უხრწნელად გარდაცვალება ჴელთა შინა ღუთისათა, და არცაღა ჯერ არს მემხოლოესათვს ცრემლეობა. აჰა, ოდეს აღვსთქვი სოფლის დატევება, მაშინ გამოვესალმე სოფელსა ამას საცრუმროსა, რომელ კუნკული თავისა ჩემისა საფლავად მზურავს და ბარტყულა სუდარად და მამის საბლარდნელნი მგლოვარებად და რაჲღა მოვახსენო უმაღლესობასა თქუჱნსა აქა ყოფა ჩემი და განსვლა ნებასა ღუთისასა უპყრიეს და ვინ წმიდათაგან მან შესცვალოს ყოვლად წმიდა ბრძანება მის საჴიერისა, რომელსა მართალნი უყუარან და წ. ცოდვილთა სწყალობს მოქცევისათვს: აჰა, თქუჱნ სდუმენით სასოებისა დადებითა საჴიერსა ზედა და იგი განაგებს ჩემზედა, რომელიცა ნებავს მათ. ე. ი. მიღებისა სულისა ჩემისასა ზეცისა სავანესა შინა, ანუ აქავე მყოფობასა მზესა ქუჱშე იყავ სახელი მისი კურთხეულ ამიერითგან მიუკუნისამდე. რომელიცა ენებოს იგი იქმნების. აჰა, თვთვე უწყით სულიერი ძეო ჩემო ოდეს ესმათ ფიცხელი იგი დაკუეთება ჩემი, შემოკრბეს უმაღლესნი უგანათლებულესნი, სამღუდელონი, თავადნი, აზნაურნი და აქა მცხოვრებნი ქართუჱლნი და ქართუჱლანი ორნივე სქესნი და მაჩუჱნეს დიდ ფრიადნი კაცთმოყუარებანი თანა მჰოვარებითნი ლმობიერთა და აღმითქუჱს ყოველთავე ლოცვა წინაშე ღუთისა განკურნებად ჩემდა და იქმნა ჴმა ერისა მიწევნილ ყურთა სავაოთისათა და განვიკურნე ათხუტმეტთა დღეებთან შინა ლოცვითა და ზეთითა დიდითა და იაზ-

მისა წყალითა ზედასზედა და დიდ ფრიადისა მოვლითა უმაღლესისა მოწაფისა ჩემისა დადიანის ასულისათა. და იქმნა ესე ყოველნივე ღუთისაგან შერისხუა, და შეწყალება, რომლებითა უმეტეს მოვეგე გონებასა, რომელ სნეულება ყოფილა ბრძმედი საღთო გამრწმენელი სულისა და ჴორცთა და განკურნება სამარადისო სახსოვარი სამაღ-ლობელად ღვთისა. ღუთისა შეწყალისა, რომელმან სწავლითა განმ-სწავლა და სიკუდილსა არა მიმცა უწინარეს სიბერისა. ოდეს მიიქც-ხენ მხილუელნი ჩემნი სახლად თჳსსა, აჰა მათგანთა სულმოკლეთა შორის შევიდა ეშმაკი და პირუელი ნახუაცა შეანანებინა. და შემ-დგომ განამტკიცა, რათამცა არღა ჰქმნან კეთილნი და აღასრულონ წმიდისა სახარებისა ბრძანება, რომელსა მეორედ მოსლვისა ჟამსა შეგუეკითხავს სნეულ ვიყავი და არა მიხილეთო. და რომელთა არა უხილავსთ სნეულნი იგინი წარიგზავნებიან ჯოჯოხეთსა შინა, ამად ეშმაკმან განამტკიცა, რომელნიმე ქართუელნი და ქართუელანი სა-უკუნოდ წარწყმედისათჳს და წინააღუდგნენ განცხადებულად თჳთ მარხველნიცა, და უკუღმა მოღუაწენი მეტყუელნი ევრეთ გარდამ-დები არსო კურვება ცხრო, სურდო, ყუანა, ყუავილი, წითელა, ქუნთრუშა, ჭლექი და რომლითაცა სენითა მოკუდების კაცი ყოველ-ხივე ნებისა ჩუენსა ზედა მოკიდულ არიანო ე. ი. უკეთუ ვნახეთ ვინმე სნეულნი გარდამოგუედების, და უკეთუ არა ვნახოთ, სამა-რადისოდ ვიცხოველებთ, და თუ შინ ვინანიმე დასნეულდენ თჳნიერ ნათესავისა, იგინი უნდა განიდევნენ სხუათა სახლებთა შინა შე-ტყუილითა ე. ი. მითხრობითა ამას არა რაჲ სჭირს თჳნიერ ჴელთა ტკივილისა, და ოდეს დაუწვნენ წრფელთა უმანკო სახლის პატრონსა თჳსსა სნეულსა; მაშინ იმეტყუელებენ თავთა თჳსთჳს ჩუენ ხომ გადავრჩითო, და ვისაცა დაუწვნეთ იმას ხომ გუარი დიდი არა აქუს, რაცა შეემთხუას ვინ მოიკითხავს ოი! დიდ ფრიადი უგუნურებითი გახდგომა წმიდისა სახარებისაგან ვგე ვითართა გუამებთა და სახლე-ულებთა მიერთაღმდე და მოწაფება ეშმაკისა, რომელნი ჰგონებენ უსჯულოებითა თჳსითა სნეულთა მოუვლელობასა ვაშა, ვაშად, უკე-თუმცა უწყოდენ ნება ღუთისა, რომლისა თჳნიერ თავისა თმანიცა არა წარწყმედებიან ე. ი. სარწმუნოებისა და სჯულისა დამცველთი არცაღა აქუს იქმან, რომელ სნეულნი ძმანი ქრისტესნი არიან. ხოლო სნეულთა გარემიმაქცეველნი შვილნი ეშმაკისანი არიან და ძენი გე-ჱნიისა საუკუნოდ მარცხენე წყეულთაგანნი.

იხილეთ სულიერო ძეო ჩემო, უკეთუ ერთი სახლი ჰყოფს სნე-ულთა გარემიქცევასა ნაცულად სნეულთა მოუვლელობისა გარდა-მოუათ რისხუა ღუთისა და სახლეულნი იგი ვერა მიაწევენ ფსალ-მუნისამებრ სიბერეთა შინა. არამედ მოსწყდებიან აღრე საიდუმლო

სიკუდილისაგან და სახლი იგი ქჳრივ და ობოლ იქმნების დაგლახაკე-
ბულ, რომელთა ასეულნი თესლნი გამოსცემენ ნაყოფსა ერთსა:
და განუმრავლდებიან განსავალი უმეტეს შემოსავლისა: და იქმნებიან
აქავე უმაღლო და მკდოვან და საუკუნოდ წარწყმედილ და განი-
კუეთების ორგანვე ნაწილნი მათ სახლეულთი: და უკეთუ საზოგადო
ერთნი ჰყოფენ უწყალოებასა სნეულთა ზედა განძლიერდების მა-
ხვილნი მტერთა და მათ ზედა და ქუეყანა იგი შემცირდების და წა-
რისხმიან ტყვეობად მცირე მცირე მკედრობისაგან და განმრავლდების.
ტყეთა შინა და მინდორთა ზედა მკეცნი და ნატამალად დაიდებიან;
არათუ სოფლები დაბანი და სანახები; არამედ თჳთ ქალაქებიცა. და
ნაშრომთა მათთა ზედა ზეგარდამო მოესევიან მკალნი და ჭუანი ბო-
როტნი და იქმნების კალონი, ბეღელნი, საწნეხელნი დაცალიერებულ
და წყლულება იგი დიდისა ჭირისა მოიწევის უწყალოსა ერსა ზედა:
ქარნი მავნებელნი, წვიმა შემაშთობელნი, სეტყუანი დამრეგუელნი,
მეხნი განმაპობელნი განმრავლდებიან და მსგავსად ეგჳპტისა იქმნე-
ბიან გუემულ: და რომელთა სნეულებათაგან ივლტოდენ, იგინივე
შეემთხუევიან და ზედაცა დაერთვით დამბლა ფილენჯ ნივრისანი
ძუნნი, ყბაყურანი, თუალთა ტკივილნი, კბილთა, მუცლის სატლნი
წრტიალნი, პრტინჭანი, ჭულნი, ხოლო პირით კერძ სიყმილნი და
ეაება და ზურგით კერძ მჭევარნი მომწევნი სიკუდილნი, რომელთა
მომაკუდავნი ზეთისა უკურთხეველნი დაშთებიან და უზიარებელ-
ნი, ვითარცა ვიხილე აქაჲე ქართუელნი და ქართუელანი, არათუ
უზეთო. არამედ უზიარებელად, აღსრულებულნი ე. ი. სნეულთა რი-
დობასა შინა აღზრდილნი. და იენჳარისა თთუესა უანდერძონი, რო-
მელნი გოხებდენ უკეთუ ყოველთა ახალთა წელიწადებთა შინა ან-
დერძსა დასწერდენ და იქონიებდენ, ვითარცა ბერძენნი და რუსნი
ჰყოფენ და ევროპიელნი დაიკოცებოდენ. ესე ვითარნი განუმზადე-
ბელნი დასნეულდენ. რომელთა ვიდრემდე ძალი აქუნდათ არა იკურ-
თხეს ზეთნი. და ოდეს მიეხადათ მაშინ ჰურუმე პირმოთნეთა, მღი-
ქვნელთა არა უტევეს მოძღუარნი მეტყუელთა ესრეთ რაჲსათჳს
იმეტებ სიკუდილად სნეულსა ჩუენსა, რომელსა არა აქუს დრო
სიკუდილისა. და ესე ვითარისა უგუნურებითა გარდაეცუალად მომა-
კუდავნი, რომელნი კივილებითა და ზახილებითა უწოდენნ მოძღუ-
არსა გაცივებულთა მკუდრებთა საზიარებლად.

აჰა, რავდენნიმე უგუნურებით უბადრუკთა ნათესავთა თჳსთა
სნეულნი უღსარებო. უზეთო და უზიარებელი გარდასცუალეს. და
ოდეს იხილნეს მკუდარნი თჳსნი. მაშინ მყის გაცვივდნენ მიღმა სა-
ხლებში და მუნ დაიდუმნენ მკჳდრად. და ოდეს მობრუნდნენ გულ-
შემოყრილთა დიდ ფრიად აყვედრეს სულგრძელთა მკნეთა, რაჲსა-

თჳს თქჳნცა არა შეიბნიდენითო. უკეთუ გულნი და ნაწლევნი დაგ-
წოდათ თქჳნცა მსგავს ჩვენდა იქმნებოდითო. და ესე ვითარისა
ყჳდრებითა იგინიცა შეიბნიდებოდენ სხჳა ჟამებსა შინა უმეტჳს
პირჳტლისა. გარნა უუსაყჳარელესა სიცოცხლეში და სიკჳდილისა
ჟამსა დაუტევებდენ მკჳდართა თჳსთა თუალებ დაუხსმელად, ფერხებ
დაუშჳმავად, ჴელებ დაუკრეფელად მკერდსა ზედა უსანთლოდ,
უფსალმუნოდ. ამათ ყოველთა მზრუნველი შევიქმნებოდი, თუ მე და
სხჳათა გარეშეთა კაცთა მოვიჴმარებდი, რომელ ოდეს რუსთა მე-
ფსალმუნესა და სასანთლებთა განვამზადებდი, მაშინ მიცუალებუ-
ლებისა მახლობელებთა პატრონებთა მოვახსენებდი. თქჳნ უმეტეს
ჟამსა ამას თანა გამით მკჳდარისაცა მოვლა და ცოცხლისაცა სახლე-
ულთა, მომიგებდნენ უკეთუმცა გულისწოდეს შენ არამცა იმეტყჳ-
ლებდი, მაშა ლექსთა ჩუენ თავნიცა ჩუენი არღა გჳცხსენებიან. და-
სასრულ მიერთაგან ოდეს უკურთხე მე ვარ შემთხოვი აქაურის მი-
ტრაპოლიტისა საფლავებისა, გარნა ოდეს მკუდარისა წარვასვენებ-
დით მახლობელებსა მკჳდრისასა მისცემდენ რჩევასა არა წარყოლად
საფლავადმდე, რათა იცოცხლოს. გარნა მე მოვახსენებდი აქა სახლსა
შინა მაშინ გამოესალმეთ და დაულოცეთ საუკუნო გზა და არქვით
მშვიდობით, ვიდრე ჩუენი წარმოსლჳადმდე. მომიგებდენ ერთჴმო-
ბით შენ ჩუენი ამოწყჳტა გსურებიაო. გარნა რომელ მაღალნი და
მდაბალნი თითოეულნი ბაგეებითა ესალმებიან პირთა და ჴელებთა
თჳსთა ზედა მკჳდართა. მომიგებდენ ჩუენ გჳშინიანო მკუდრისა
მხოლოდ თავის დაკჳრით სრულ ვყოფთო გამოსალმებასა: და ოდეს
მივიქცეოდით შინ, მაშინ აღკრძალავდენ მაღალნი მდაბალთა, რო-
მელთა სახელი მიცუალებულისა არღა ახსენოთო, ამად, რომელ შემო-
გჳცყრებაო ამა და ამ გჳამსა. აჰა, ამათ ყოველთავე უგუნურებისა
მიზეზი ავანტყოფის მოუვლელობა არს და განძება სნეულისა და
რიდობა უსჯულოებითი. იხილე სულიერ ძეო ჩემო კეთილმსახურნი
ბერძენნი და რუსნი არათუ თჳსთა მცნობთა, არამედ ეძიებენ უცნა-
ურთა სნეულთა და უვლიან ჴელითა თჳსითა; და უკეთუ განიკურნა.
მისცემენ საცხოვრებელთაცა; და უკეთუ მოკუდების, აკურთხებენ
ზითსა და ათქმევინებენ აღსარებასა, აზიარებინებენ მღჳდელსა.
შესთხოვენ დალოცჳასა თავისა თჳსისა ცოლისა, შვილთა, სახლე-
ულთა და უკეთუ შორს წარსული ჰყავსთ ვინმე, მათ სახელებსაცა
ეტყვიან და დაალოცვინებენ. და თჳთცა დაულოცენ გზასა საუკუ-
ხოსა. მიუსვენებენ ხატსა მაცხოვრისასა, და შეათხოვნინებენ მეოხე-
ბასა წინაშე საუკუნო ცხოვრებასა, ეგრეთჳე ღუთისმშობლის ხატსა
მოუსჳცნებენ და შესთხოვენ წინაშე ღჳთისა მეოხებისა. და ოდეს
მიცუალება სამთა დღეთა შინა დაასჳცნებენ დამადგენელნი მეფსა-

ლმუნისა ჯუარის სახედ ლამპრებთა აღუნთებენ და ანალოღიასა ზედა დაასვენებენ ხატსა მაცხოვრისასა. ხოლო მღუდელი დილასა და საღამოსა გარდუკდის პანაშვიდებსა და მიჰყვებიან საფლავამდე და შენ გამოესალმებიან და პირსა ზედა ბაგეებითადა კელებთაზე დაუდებენ ეკლესიასა შინა შთაწერილსა სახელისასა და მოსახსენებელსა; გარნა ორმეოცთა დღეთა იქმნების პანაშვიდი მუნ, რომელსა სახლსაცა შინა აღესრულა, უკეთუ უცნობთა მკუდართა ესრეთ უყოფენ, რაოდენ თჳსთა აღუსრულებენ; ვითარცა ვჰვიროვთ, რომელნი შინაურთა გარეგელთა მამაკჭდავებელთაგან იკურთხებენ თავთა დალოცვითა.

კურთხეულისა და იმპერატორისათჳს რაღა ვსთქუა, რომელსა აღუსრულეს რუსეთისა ეკკლესიათა წირუანი და პანაშვიდნი: ესენი კანონსა და გამოუთქმელ არიან. რომელსა გამწარებული დედა მარიამ თეოდორეს ასული იმპერატრიცა და იმპერატორი და სახლეულნი ერთბამად მიეგებნენ ცარსკის სელოსა დაიტირეს რუა დღე მუნ მიწუხრი და განთიად პანაშვიდებითა და მსხუერპლებითა, ეგრეთქუე რუა დღე პეტრებურხისა საკრებულო კაზანისა სობორისა შინა მიმწუხრი, და განთიად პანაშვიდებითა დაიტირა იმპერატორმან ნიკოლაოზ პავლეს ძემან და გამწარებულმან დედამან, გარნა ცრემლნი მათნი ვინ აღრიცხოს; ეგრეთქუე პეტრებურხისა ერისა რუა დღე ღ მეს შინა და ოდეს მიიღეს საფლავსა შინა სამეფო სქესი და სრულიად სინოდი და სამღუდელონი და ერნი დაეცნენ პირთა ზედა შუბლებთა იატაკთა ზედა დამდებელნი და დასთხიეს ცრემლნი ეგოდენნი, რომელ იატაკნი სრულიად სასაფლაო ეკკლესიისა წ. მოციქულთა, პეტრესი, და პავლესი განაშრეს.

იხილე, რუსნი სნეულთა ურიდად მომლელნი მინდობითა წ. სახარებისათა, მექონ არიან შემკობილისა ეკკლესიაებისა. და ერნი მექონ საზამთრო სახლებისა და საზაფხულოთასა და აღვსებულ საუნჯებითა. რომელთა ნახევარი სასუფეველისა ცხოვრება აქავე ჰქონანთ, რომელთა შემოსავალნი კურთხეულ არს ზეგარდამო; და ერნი და ტომნი და ენანი უცხოთაცა ქუეყანისანი აქარე შემოსრულნი ევროპიითგან, რომელნი დღითი დღე შემოდიან დაეწერებიან ყმად კელმწიფისად, ვისაცა უნდა ნებსით იგიცა წყალობითა ამათითა ბედნიერ არიან, რომელნი მეორე წლამდინ მდიდრდებიან და არის რუსეთი პურითა და ზეთებითა დიდ ფრიად მდიდარ და საცხოვარებითა არუეთი მროწლეთი, რემათი, კოლტებითა და ღერღეტითა და ქათმითა და იხვითა და გარეულისა ნადირებითა და ფრინველებითა, რომელთა შორის მკეცნი იშვეთად იპოვებიან და ერსა მუშაკთა ლაშესა შინა ზაფხულით სძინავთ ველთა ზედა და ტყეთა შინა თითო-

ეულთა თჳსსა სამუშაკოსა ზედა და აძლევსთ მიწა ნაყოფებთა დიდ ღრიადთა, რომელ ძალუძსთ თითოეულთა სახლეულთა ოცსა ადლთა მიწათა ზედა ესოდენისა მტილეურთა მოყუანა, რომელნი თჳთცა გამოიზრდებიან და ვერცხლთაცა შეიძინებენ, ხოლო ზამთარსა შინა უხჯაფათა ორძილთა და მდელო ნერგთა მოასხმევინებენ ნაყოფებსა ბევრეულებსა. ეკკლესიათა კარნი არა დაიხშვიან დღე და ღამე მქდელნი პარაკლისებისა და პანაშვიდებისა, შვილის შვილნი წინაპართა შობისა, სახელწოდებისა და გარდაცვალებისა დღეებთა შინა; და ახალთა მიცვალებულებთა მარადის უწირვინებენ; იხილეთ სულიერ ძეო ჩემო პირისპირ ზემო კეთილმსახურთა ერთასა რომელიცა ერი ერიდების სნეულებთა უსასონი წ. სახარებისა და წინააღმდეგნი ქრისტეს ბრძანებისა, რომელი იტყვის სნეულ ვიყავ და არა მიხილეთო, ერნი ესე ვითარნი სულიერისა და ჴარციელისა სიგლახაკითა განუსწმენებულ არიან და უყვარულ, რომელთა ეკლესიანი ჰქონანთ შიშველ სამკაულისაგან, ხოლო საზამთრო სახლებითა ხაკლულევან და უსაუნჯო, და ზაფხულისა სახლებითა ცალიერ, შემოსავლებითა მკდოვან და გასავლებითა დაგლახაკებულ, რომელთა სასაფლაოცა აცხადებს უყვარულობასა თჳსთა მიცვალებულებთა, რომელთა მკვდართა საფლავნი უტაგრუცობითა ულუსკუმობითა, უძეგლობითა ვიდრე ოცსა წლამდისი დაიკარგების, რომელთა ზედა არა იხილვებენ ჯვარნი ცხოველისა. დასასრულ ავანტყოფთა ზედა უწყალო ერისა რიდობა მარადის განარისხებს ღმერთსა.

უწყალოო ცოდვილო მრიდებელო სნეულისაო! უკეთუ მოგითხრეს მშობელთა შენთა სნეულისა მირიდება ნუ ერჩი მათ ეშმაკისასადუნთა, ამად რომელ ესე ვითარნი მშობელნი პატივიცემებიან შვილთაგან მეხუთე მცნებითა, რომელნი ასწავებდენ სჯულსა ღვთისასა; ხოლო მშობელნი მასწავლებელნი ეშმაკისა ნებისა, გარე მისაქცეველ არიან. და უკეთუ გასწავეს მზარდულთა და მზარდულათა უმკოლოთა რიდობა სნეულისა, იგინი აქავე წარწყმედილ არიან. და უკეთუ სახლეულთა და ნათესავთა და მოყვასთა შთაგიწერეს სულსა შინა და გრძნობაებთა ტვინსა ზედა ჟამსა უსუვრობისასა და ნინველობისა, ყრმობისა და გაწვრთევინეს ვიდრე ჰაბუკობამდე. და შემდგომად შეიზეპირებ წმიდისა სახარებისა წინააღმდგომსა და ხარ წყეულ მეორედ მოსლვისა ჟამსა ქრისტე ღვთისაგან, მე გკითხავ შენ, ვინათგან არა ხარ შედგომილი ბერძენ რუსთა, რომელნი სნეულთა მოვლასა ურთიერთ ეცილებიან, რათამცა მადლნი ღვთისანი დაიმკვდრონ და იყუნენ სათნოებისა აღმასრულებელ; უკეთუ კათოლიკეხ — ლუტერ — მარტინიანი, კალვინნი ამასვე ჰყოფენ, შე უბადოუკო შენ, ვინ ხარ ეგე ვითარი. უკეთუ მახმედიანიცა ამასვე ჰყო-

ფენ, რომელი თვთვე აღმოვიკითხე ყურანს შინა შეტანილი წმიდისა სახარებისა ბრძანება მახმედისაგან და ავანტყოფვსა უმეტეს თავისა-თვსისა მოუვლიან; არა თუ შინაურთა, არამედ მწირთა და მსხემთა და მოგზაურთა; ეგრეთვე კერპებთა მსახურნი ბუნებითისა სჯული-საგან თვსისა შეიწყალებენ სნეულთა შორიელთაცა. რამეთუ ხატება ღუთისა არს დაშთენილ მათ შორის. იხილე მორიდადო სნეულისაო. რომელ ზემო ერთა და ნათესავებთა თანა არა გაძს კაცობრიობა, და უფროსღა საუკუნოდ წყეულ იქმნები, მაშასადამე შეუდგე პირუ-ტყუთა და ემსგავსენი კართა და ფურთა, რომელნი ოდეს იხილვენ სისხლთა დაკლულთა პირუტყუთა თვსთა მსგავსთასა, დიდ ფრიად აღიძრვიან გრძნობაებისა ლმობიერებითა, დაიწყებენ ღრიალითა და ბღავილითა დიადსა მწუხარებასა; და უკეთუ არცაღა მათი გრძნო-ბანი ჰქონან ჯაბანო მძრწოლარეო სნეულისაგან იქმენ ორძილ, მა-შინ რომელნი სხუათა ხეებთა ზედა დაემყნობიან სინპატიითა თვსი-თა; და თუ არცა მათ მიჰბაძავ, მაშასადამე ეშმაკისა თვსება გქონიეს, რომელთა დიდ ფრიად სძულდათ იობ ვნებული და მივრთგან ყო-ველნივე სხეულნი სძაგან, და აქვსთ ანტიპატია მორიდადო სნეული-საო იხილე ღმერთი გარდამოუვლენს სნეულებასა მათ ოდეს ვის-თვისაც ხებავს, ხოლო შენცა თვსსა დროსა გამოგივლენს მსგავსად მათსა დაგასნეულებს რომელთაცა გასწავეს რიდობა, და წარგიტა-ცებს სიკუდილი, ვითარცა წინაპარნი შენნი, რომელნი ერიდებოდ-ნენ სოფელსა ბანაკებსა დაბებსა და ქალაქებსა შინა მდებარეთა სნეულებათა, გარნა ვერ განერნენ და იგინი დასნეულდენ უნეთა და ეტლთა შინა, და გზასა ზედა და შორიელთა ადგილებთა ზედა იქმ-ხენ უზეთო, უღსარებო და უზიარებელად მოკვდინებულ, რომელ-ნიმე უმეტეს ბოროტნი, რომელნი ორგანვე წარწყმდენ.

სჯული ღმერთ მამისა ბრძანებს, ოდეს იხილო მტრისა შენისა პირუტყვი დაფლული კნარცვსა შინა, აღმოიყუანეო და მიჰგუარე მოძულესა შენს. ხედავა სნეულთა მრიდებელო ზრუნვასა ღუთისასა. უკეთუ მიენდობი მას სახიერსა, იგი განგარინებს ყოვლისა სენისაგან; და უკეთუ სხეულთა თანა წარკხდები ეშმაკისაგან დაჯაბნული, იგი მოგაგებს სასყიდელსა თვთ აქავე და საუკუნოდ მარცხენე თიკნად გამოგაჩინებს და ძედ გეენისა; და აღესრულების სიტყუანი წ. ოქ-როპირისა. „ყოველსა რაოდენთაცა ვინმე მსახურებს ეგოდენ უუმეტეს წარწყმდესო". და უკეთუ აღასრულებ მეორეთ მოსლვისა შეკრ-თხუასა ე ი. 1. მშიერთა გამოზრდასა. 2. მწყურვალთა ხმევასა 3. ში-შულთა შემოსვასა 4. მწირთა შეწყნარებასა 5. საპყრობილესა შინა მისვლასა და სნეულთა არა იხილავ იხილენ ზემო ხუთნივე კეთილნი აქავე მეექუსეცა ბრძანა მანვე და თვსად მსახურებად შერაცხა. ვი-

თარცა სიტყვასა ადგილსა ბრძანებს, უკეთუ დაარღვიო, რქა ერთი გინა იოტა საღმრთოსა წერილისაგან საუკუნოდ წარწყმდებიო. აჰა იოტა ელლინურ მეცხრე ალფავიტაა დიდადრე მცირაკი; ქართულად ესე არს I. ეგრეთვე 1. რქა ასო მარცვალთა განსრქელება ტრიქონში და ზემო აზეულთა და ქვემო დაზეულთა მწყობრთალებში დაწერილება, რათა იცნობებოდენ თითოეულთა ნაკვეთნი 1. რქა ე. ი. ნაკვეთობა, ხედავაა? უკეთუ საღმრთოსა წერილებისა არა მშვენიერად სწერალი დაბეჭდული წარწყმდების შენ რომელი სრულიადსა სიტყვასა სახარებისასა გარდაკდები ე. ი. სნეულ ვიყავ გინა მცირედ უძლურ და არა მიხილეთ აჰა ესოდენთა ყოვლადსა ბრძანებასა არა შერაცხვა სრულად ვითარდა სცხონდე, უბადრუკო მორიდად სნეულისაო, რამეთუ ყოველნი მორწმუნე სნეულნი ძმანი ქრისტესნი არიან: შენ უკეთუ სარწმუნოება ქრისტესი გაქვს ეკრძალე საქმითარე აღსრულებასა და სახელითა ქრისტესითა მსახურე სნეულთა უფროორე დავრდომილთა და მწირთა და უცხოთა და უპატრონოთა, რათა სახელი შენი აღიწეროს ცათა შინა და არა შთაიწერო ჯოჯოხეთსა შინა, მსგავსად ურიათა, რომელნი სნეულთა გარეგან ბანაკისა და სოფლისა და ქალაქისა გაიტანდენ და განაძებდნენ, რომლისათვს იყვედრნენ ქრისტე ღუთისაგან და არიან ამიერვე წარწყმედილ და გაბნეულ და საძულველ და შემცირებულ და უქვეყნო და გვადრუცი საუკუნოდ წარწყმედილთა. იხილეთ სულიერ ძეო ჩემო საღმრთო წერილისა ძალნი, ვინაცა უწყის მათთვს არა ვთქმენ მცირე ესე ავთრათი, არამედ რომელთა არა უწყიან ორმეოცდა ათორმეტნი საღმრთონი წიგნები და ღუთისმეტყველება და ფილასოფია მათთვს მსურს, რათა მათნოება ღვთისა აღასრულონ.

ქრისტე აღსდგა

### № 77

### 1826 წლის 17 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა ონისიმესადმი

თქვენო მაღალ პატიოსნებავ მამაო წმიდაო ონისიმე! წმიდას მარჯვენას გეამბორები შორით თქვენდამო.

მაღალ პატიოსანო მამაო წმიდაო აჰა, აღდგომას ღმერთ კაცისა იესო ქრისტესსა მომლოცველობ გულითადიერ, რომლისაგან ცხოველნი უკვდავ ვართ აწინდელნი და მამყონი საფლავებსაცა შინანი მუ-

ნითგან გამოსვლასა მოელიან. ესე არს ჩჩვილთა, უმანკოთა ვნებათაგან ქებისა მეტყუელება ღუთისა, ხოლო უსუეართა ზეპირად ჰსწავეება დიდება ღუთისა. ეგრეთვე ნინველთა ძუელისა და ახლისა აღთქმაებისა აღმოკითხუა. ეგ სახედვე ყრმათა და ყრმაათა საღთო ჰაბუკთა საშკოლოთა წიგნებთა ძალისა შემეცნება. და ჯოშთა და ჯოშაშთა შვილთა ეკკლესიისა საიდუმლოებთა უკეთილესად პყრობა. ხოლო ჰარმალთა და ჰარმალათა დიდ ფრიადი, კრძალულება სათნოდ სამებისა მკეცეთა განმზადება ლოცვათა და მარხვათა და მოხუცებულთა წუეში ქამიერი და საუკუნო. ხოლო მიხრწნეულთა უკანასკნელი მხიარულებითა რე განსულა სასტუმროსა ამის სოფლისაგან და აღსულა საუნჯესა თვისსა შინა, და ერთბამად ყოველთავე მადლით ძეებთა და ასულებთა მეორედ შობისა სარწმუნოებითა. სასოებითა და სიყუარულითა გარდანერგუა ზეცასა სუფევასა შინა და დაგვირგვინება ცხრა ნეტარებითა საქმეებისა ღუაწლებითა და ათთა მცნებაებთა საქმეებითა და ათთა ნაყოფებთა სულისათა ათორთა სიმვოლო მრწამსისა ლამპრებითა განათლებულთა და საუფლო ლოცვითა წარდგომილთა წინაშე ყოვლადწმიდისა სამებისა ე. ი. მამაო ჩუენისა, რომელ არა პურითა ცხონდების კაცი, არამედ სიტყვითა ღუთისათა. აჰა, ესე ყოველივე აღდგომამან ქრისტე ღუთისამან მეორემან ადამ აწარმოა პირუელსა ადამსა ზედა და შვილთა მისთა მორწმუნეთაზე, რამეთუ კეთილმსახურებითი ტიტული ქრისტესგან მონიჭებული, რომელ არს ქრისტიანობა ყოველთავე ხარისხებთა ზედა უუაღმატებულესობს, ვითარცა უწყით, რომლითა ყოველნივე წმიდანი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა იქადიან: ამად პირუელად მოლოცუა ესე მსოფლიო აღდგომისა ვიწინამძღურე წინაშე, თქვენსა, რომლითა ღმერთ მამამან დაგვაკავშირა მრავალნი და კმანი დათესილები წმიდისა სახარებისა სიყუარულითა, შენაწევრებულნი, რომელ სიყუარული ღუთისა და მოყუასისა ზეცის იერარხება გვყოფს ყოველთავე.

მამაო წმიდაო! შენდობა იყავნ ზემო ხოტბოთათჳს. არამედ ქვემორე ესენი მოიხსენეთ: აჰა, ესერა თქვენი ავთრათი წიგნი მოვიღე იანუარის იჱ, რომელი უაღრეს ძალისა ჩემისა არს მწე მქებარეობა თქუენი. გარნა სიყუარულსა ყოველნივე კეთილი ჰქონან მოყუასისათვს. აჰა, თქვენი წიგნი აწვიმებს მანანასა, მაპკურებლობს საღთო მდინარესა და მნეცველობს გოლსა აღდგომისა სიტკბოებისასა ჩემდამო, რომლითა ვიქმენ არათუ მხოლოდ სიხარულევან, არამედ უფროსღა მხიარულ.

მაღალ პატიოსანო მამაო წმიდაო დიდ ფრიად გმადლობ პირუელ გაცნობისათჳს, მეორედ მოყურობისათვს და მესამედ ძმათა ჩემთა ან-

ბავთა უწყებისათვს. მოიხსენეთ ნეტარსახსოვრის იოანე დეკანოზის[2] წიგნნი რაოდენნიმე მომივიდნენ, რომელი მწერდა თქვენსა მამობასა ძმისადმი ჩემისა გიორგისა. გარნა მე კორციელი ცნობა არა მაქუნდნენ თქუენნი. ამად ლავყდონდი მოწერად თქუენდა, ხოლო აწ ვსცან სუ-ლიერი პირმშო ძმობა თქვენი ერთისა საკურთხეველისა მსახურებითა, რომელ ყოველთა საკურთხეველთა ზედა ერთი და იგივე წმიდა სახა-რებისა არს ჩვენ ბერძენ ქართუელთა უძრავისა ეკკლესიისა შვიდისა მსოფლიო კრებითა დამყოვრებულისა. მამაო წმიდაო გვედრი, რათა მიიღოთ სიღთო შრომა და ძმანი ჩემნი ლოცუა კურთხევით მომიკი-თხოთ. ეგრეთუე მეუღლენი მათნი ჰსძალნი ჩემნი ლოცუა კურთხევით მომიკითხოთ გარნა საკუთრად ძისა თქუენისა ასული ნატალია კურ-თხევითა და ლოცვითა მომიკითხოთ, რომელსა შევსთხოვ, რათა უყუ-არდეს მეუღლე თჳსი, ვითარცა ბრძანებს ეკკლესია. და მაზლი და სახლეულნი ყოველნი და იყოს მკნე და მოღვაწე სახლისათვს ლოცვი-თა და მარხვითა და მოთმინებითა, რომლითა ბედნიერ იქმნების სუ-ლიერად და კორციელად: მდედრნი მკნენი აღაშენებენ სახლსა, ხოლო ცხარნი და მოლალენი აღშენებულთაცა დააკუეთებენ სიტყვსამებრ სოლომონ ბრძნისა:

მამაო წმიდაო! უბრძანე ძმათა ჩემთა არავინ აქ არ წარმოვიდნენ, მე ვსცხოვრებ იმერეთის დედოფლის სახლში. ესე უმაღლესი აპირებს წარმოსლუასა, მე მოძღუარსა თვსსა არა დამიტევებს აქა. მე დოდა-შვილს სტეფანეს წიგნი მოვსწერე, ძალისამებრ ჩემისა გამოუგზავნი ფულსა, ოღონ მაგათი წიგნი მომივიდეს. გარნა პირითა თქვენითა მა-რწმუნონ, რათამცა აგარაკი იყიდონ სახელსა ჩემსა ზედა ანუ სიდ-ნალს დუქანი. რათა შემოსავალი აქუნდესთ, რაოდენთაცა დაადასებენ მე გამომგზავნი ვარ, ვიდრე ოცდახუთ თუმნამდე თეთრის ფულისა, გინა ოცდაათ თუმნამდე არა ძალმიძს. მე მესმა გიორგის[5] ემდურვიან ძმასა ჩემსა, მე მაგისთვს არა მიმიცია რა თვნიერ სამგზავროსი, რო-მელი მოსდოგადმდე ძნიად მიიყუანდა; თუ ერთად მომწერენ, ერთ-მანეთისა სიყუარულითა გამოუგზავნი ზემოხსენებულსა ვეცხლს ასი-გნაციასა, და თუ სიყუარული არა ვსცან მაგათი ურთიერთის არა ძალმიძს გამოგზავნა.

გვედრი თვთოეულთი სახლეულთა, კორციელთა ძმათა ჩემთა ძე-თა და ასულთა სახელები და წელნი მომწეროთ და სძალთი და მდგო-მარეობა. ხოლო თქვენი სამსახური მიბრძანეთ კავშირად სიყუარულისა.

მაღალ პატიოსნებისა თქვენისა მლოცველი მღუდელ მონოზანი იონა.

წელსა 1826 აპრილის 17.

## 1826 წლის 18 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქუჱნო მაღალღირსებავ! ქრისტე აღსდგა!

სიხარული იგულისხმევის ჩუჱულებითად ჟამსა მას, ოდესცა მივიღებთ სასურუჱლსა კეთილსა, ანუ განთავისუფლებასა რომლისამე უბედურებისაგან.

დღესა არა ესე ვითარი ხუჱდრი გამობრწყინდებისაა? არა ღირს ვიქმენით ჩვენ სიმრთელით ხილვასა დღესასწაულისა ამის ძლიერისა და დიდებულისასა? ვინაჲთგან უმაღლესობს დღესასწაული ესე ეკლესიისა ჩუჱნისა, გამოხსნისათჳს ცოდვისა ჩუჱნისა და მომზადებისათჳს საუკუნჲსა ცხოვრებისა ჩუჱნისა, აწინდელსა ამას დღესა აღსდგა გუშინდელი ვნებული, აღსდგა საფლავისაგან ყოვლითა ძალითა და დიდებითა, და ყოველი სული განსუჱნებული მისთანა, ყოველნი ქრისტიანენი ვიხილავთ სიტკბოებასა გრძნობისა ჩუჱნისასა, სიხარულსა სულისა და გულისასა, რომელი დღეს შთაიბეჭდების მას შინა განმაცვიფრებელად ზნეობითისა განათლებისა, დღეს მივიღებთ ზეციერსა სიხარულსა და გამოუთქმელსა კმაყოფილებასა, დღეს მოუთხრობენ ყოველნი სულნი ურთიერთ დიდებასა აღდგომისასა მშუჱნიერითა კმითა სიხარულისათა, დღეს შეემთხუჱვიან აღტაცებულნი გრძნობანი შეერთებულად, შემოკლებულად ვსთქუა დღეს ესე დღესასწაულთ დღესასწაული არს დიდებულ და ამაღლებულ ყოველთა ქრისტიანეთათჳს, იხილეთ გუშინ რა იქმნა, ხოლო დღეს რა გვესმის, რას ვიხლავთ. რას ვგრძნობთ? რას ვსდღესასწაულობთ? მაცხოვარი ჩვენი აღსდგა.

აჰა, კმაცა ჩემი მეტყუჱლებს მოუწთომელსა სიხარულსა ესე ვითარისა სმენისათჳს წინაშე თქუჱნისა მაღალღირსებისადმი მლოცავთა თქუჱნისა განთავისუფლებისათა და ყოველთა ბუნებათა მოყუასთა ჩუჱნთასა. და მან ძალმან აღდგომისამან აღაყუავოს დღენი თქუჱნნი სიხარულსა და კმაყოფილებასა შინა ჩუჱნისა ნუგეშისცემისათჳს უკუნითი უკუნისამდე ამინ.

თქუჱნისა მაღალ ღირსებისა მორჩილი მოწაფე
სოლომონ დოდაევი.
აპრილის 18 სა დღესა,
1826 სა წელსა,
სანკტპეტერბურღით.

## № 79

### 1826 წლის ოქტომბრის შემდგომი წერილი იონა ხელაშვილისა ერიანოვისადმი

ქრისტე ღვთისა მიერ სალმთო ლოცჳათა მომძღუანებლობ შენდამო სულიერო ძეო ჩემო ერიანოვ![1].

ესერა შენი წიგნი მივიღე, ოკდომბრის დ სა. ეგრეთ განვიხარე ვითარცა მენახე. უწყი ჩემსა ვითარებას ისურვებ, ვმადლობ მაღალსა ვსასოებ მისდამო.

იხილე შენი ვითარება ყოველივე ვჰსცან, გარნა თვთჳს უწყჲ აქაურთ მდგომარეობა, და განულენა საცა ადგილია, რომელთა არა რაჲ ძალუძსთ, უკეთუ ნეტარ სახსოვარი მეფის ძე დავით[2] იყოს აქჳს შენს სურვილს მას აღვასრულებინებდი, გარნა რაჲ ვქმნა შენთჳს ფრიად მელმის, ახლა შენჳს განსაჯე, აქ იყავ და ყოველთჳს გაგაცან, მოსკოვში, ეგრეთჳს თვთჳს უწყი სახელები, მე ყოველთავე ვჰსთხოვე და მომიგეს სადაც არს მას ეკუთვნისო ეგე ვითარნი საქმისა შესრულება. იგულჳს აჰა, ორთა გამორჩევათა მიგითხრობ ჩემის მჴრითა ე. ი. უნეტარესსა მას შეჰსთხოვ, უკეთუ შეგისრულოს სურვილი შენი მანდვე, დიდ ფრიად კეთილ იქმნების, და უკეთუ ვერ ძალიდჳს, არხიერს ეგზარხს[2] მიგიწეროს იონასთან[3]. წიგნი მტკიცედ შეთხოვნისა, და იგი პატივისათჳს მაგისა სრულჰყოფს ტროფობასა შენსა, და თუ გამოირჩევ თბილისში და კავკავში სამსახურსა, უმეტეს ადვილად შეგისრულდების, რათა სახლსა შინა შენსა მღუდელობა პაპისა არა მოაკლდეს.

განუსჭჳრიტე უკეთუ ზემო ორნი წინადადებანი მრუმენი იყჳნენ, ესე მესამე იპყარ ვისდამიცა გინდეს წიგნი მოსწერე, რომელმანც აღგითქჳას სურვილის შესრულება, მისდამი მიიქეც. მეოთხე გამოირჩევა ესე არს ისწავე სლავენური წიგნი. ე. ი. რუსული ენა და მანდ სემინარიაში იარე ვინ უწყის პოლკის მღუდელად გაკურთხოს, უნეტარესისა თხოვილითაჳს ეგზარხმან. აჰა, ზემონი ოთხნი განჰსაჯე და უმჯობესი გამოირჩიე მაკარიობადმდე[4], უქმად ნუ დასდგები, იზრუნე თავისა შენისათვის და მეუღლისა და დედისა, რათა წარემართოს საქმენი და არა დაეჩვიო მამულისა სიყუარულისა გაგრილებასა.

აქა ადამისა ვერ შეიძლო ბატონის შვილმან საქმის წარმართება სწავლისათჳს ესრეთი უძალოება აქჳსთ, დავით მეფის ძის შემდგომ, საწყალობელი დიდ ფრიად მწუხარე არს, და მოკლებულ ყოვლისა საჭიროებისაგან, ჰსწყევს შობისა დღესა, მსგავსად იობ ვნებულისა. ეგრეთჳს დოდო[ე]ვი, თუმცა ჰსწავლობს, გარნა წინ და უკან ათხუ-

ომეტნი ვერსნი აქჳს სასჳლელად. აჰა, ორივე უხჳასტაგონი არიან, ე. ი. უქონებო მკდოვანნი, მკდოვანის კაცის შემწენი მცირედნი არიან აქა თჳთჵ უწყი გამოცდილებით რაოდენნიცა შეიძინენ აქა. იხილე ბრალი არა რაჲ დამსდჳა უმეტეს ოცის წელისა წარიკითხე მან ვიეთ-ლამი კეთილთა გჳამთა მოხუცებულთა სიბრძნითა და ნუ თმებითა და მიიღე ჰრჩევა, და ისე შეუდეგ საქმესა, და იპყარ საგანი უმჯობე-სი, მე ჩემის მხრით ოთხნი საგანნი წინაშე შენსა დადებულ ვჰყავ. ამათგანნი გინა რომელიცა გენებოს იგი იპყარ, და მაკარიობისა შემ-დგომ არღა ჯერ არს უმეუღლეობა შენი, საღთოსა ჰსჯულითა, რათა არა მოგეხვიოს ცოდჳა წარწყმედის ბორკილებად.

ირწმუნე ნამდვლ უეჰოდ მექვეყნეო ჩემო და უფროსლა მესოფ-ლესო, უკეთუ ძალ მედჳას შენი კმაყოფილება მე შეგასრულებდი, აჰა მე ლოცვითა შეგეწევი, გარნა შენ ლოცვითა და მარხვთა მიეახ-ლოე ღმერთსა, რომელი უმჯობესსა განაგებს ღირსთათჳს, ნუ შეს-ლბები, საღმრთო სახმილავი დაიცევი ოცდა ოთხთა ჟამებთა შინა. პირჳელად ძიებითა საჳფეველისათა, რომელსა ყოველივე შეეძინე-ბის. მღუდელობა განიყოფების ორად. პირჳელი მემსხჳერპლეობა უსისხლო ძღჳნისა, ხოლო მეორე აღსარება ბაგებითა ღვთისა და ლო-ცჳათა შეწირვა. რომელი ესეცა მსხჳერპლი არს, წინაშე სხვათასა რომელ თვით ჩჳენცა პირჳელად სულსა შემუსრვლსა და გულსა და-მდაბლებულსა წარუდგენთ. იდონაჲ უფალსა და შევსწირავთ მშჳდო-ბიანითი, შეგჳწყალენითი და მოგუმადლესითი ლოცჳათა ვედრთა და ჩვეთხოათა და შემდგომ წარდგომილნი მივართმევთ ძღჳნთა უსის-ხლოთა.

იხილე წიგნიანნი ერის კაცნიცა უმღჳდელებენ თავსა თჳსსა თჳ-ნიერ კურთხეულ არსისა, და ასამაღლებისა წართქმისა, ყოველთაჳვე სალოცჳელებთა წიგნებთა წარუკითხჳენ თავსა თჳსსა, ლოცჳაჲ ყოველსა ადგილსა და ჟამსა საჰიროებისათჳს, მაშასადამე ერის კაც-ნიცა ემბაზიერნი მღჳდელნი არიან და არ ჴელდასხმითნი, ნუ იყოფიან უზიარებლად არავინ ცხონდების.

იხილე გიორგიც გავსარჯე ღონისძიებისათჳს, ეგრეთჳვე სხჳანი, და სხჳანი, გარნა ყოველთავე უმჯობესად მანდაჳე იგულჳსს წა-ღილისა შენისა შესრულება, პირითა ორთა და სამითა დაემტკიცების კეთილნი ყოველთვის ყოველთა მორჩილთათჳს. აჰა, ჰკითხე რაოდენ-თამე და უმჯობესი იპყარ.

აწამ მექჳეყნე შენი მოწლეთ მოკითხჳას გიძღჳენის ნაცუალ-გუამობით, ამოდ ჟამი არ იყო, აქარე, შენს ამბავს ნუ დამაკლებ, რო-მლითა შენთვის ჰმუნვა გამიქარდების.

შენი მლოცუელი ი. მ. მ. მ. 1826.

№ 80

## (1826 წ. მარტ-აპრილის) წერილი იონა ხელაშვილისა ადამ ღირსქვისაძეი

ქრისტე აღსდგა.

სულიერო ძეო ჩემო ღირსიევ ადამ ქრისტე ღჳთისამიერი ლოცჳა კურთხევას გძღვნი თქჳჱნდამო გულითადიერ.

თქჳჱნსა მშვიდობასა შევთხოვ მაღალსა და მიიღოთ წვრთილებითარე მაგით საკლასოჲთა ცნობა მის მხოლო შემოქმედისა და ისწავლით სათნოებაცა მისი, რამეთუ თჳნიერ სათნოებისა არავინ ცხონდების საუკუნოდ, სათნოება, რომელ არს თნება, ე. ი. ნებისა მისისა აღსრულება. ხოლო ნება მისი არს აღსრულება ათორმეტ სიმვოლო მრწამსისა, რომელსა შინა სარწმუნოება ჩჳჱნი დატჳფრულ არიან და იგი ყოველნივე გულსა შინა ჩჳჱნსა სძეს. ეგრეთჳჱ სასოება საუფლოსა ლოცჳასა შინა, რომელ არს მამაო ჩჳჱნო ე. ი. ოდეს ვილოცავთ ვსასოებთცა წყალობისა მოღებასა შინაგან სულსა შინა ტალანტებისა, რომელ არიან ნიჭნი ე. ი. ზეგარდამო მოეცემიან სულსა ჩჳჱნსა ძალნი ათითა მცნებაებითა მოღებად ძალნი სასწავლებლებისა, ეგ სახედჳჱ სიყჳარული ღუთისა სძეს სულისავე გულსა შინა ჩჳჱნსა ათითა მცნებაებითა, რამეთუ სარწმუნოება მოითხოვს სასოებასა, ხოლო სასოება სიყჳარულითა.

იხილეთ სარწმუნოება არს თეორეტიკა ე. ი. სულითა ხედჳა და წამება საწამებელისა, რომელ არს ყოვლად წმიდა სამება, ეგრეთჳჱ მამაო ჩჳჱნო ცჳსა სასოება და მინდობა ღვთისა და მოლოდება ზეგარდამო წყალობისა. ხოლო ათნი მცნებითნი საქმეებითა აღსრულება პრაქტიკა არს ე. ი. საქმეებითა შეყჳარება ღუთისა: მაშასადამე ტყუვილნი უადგილონი არიან ე. ი. მართალთა და წმიდათა შორის არა აქჳს ადგილი ტყუვილთა, ჭორთა, ჩქურობისა, ჭორისა, ეჭვისა და ცილისწამებისა ეშმაკი არს, რომელი აზმნებს მარცხულ კაცად კაცთადთა მიდევნებულთა, რათა ჭურჭელ ტყუილისა ჰყოს მორჩილი თჳსი და ასწავოს ზნეობად წარწყმედა, ამად სძულს ღმერთსა ტყუილნი ჩჳჱნნი და სასამართლოებსაცა სახელმწიფოებსა ქრისტიანეთასა და მართებლობათა. ხოლო სამღუდელონი ქადაგებითა საღმთოთა წერილებთაგან სდევნიან, რათა განწმინდონ ერნი.

მოიხსენეთ სულიერი ძეო ჩემო, თქჳჱნ არა რაჲ იჭვი მოიღოთ შესლბობისა მე მყოობადისათჳს განგაკრძალებ, რათა იყოთ მარადის მართალ პატიოსან და ბრძენ, მსგავსად გჳჱლისა და უმანკო, ვითარცა ტრედი ე. ი. გველი იცავს თავსა თჳსსა მავნებელისაგან და კანიჭდის ტყავსა თჳსსა, რათა არა დაულპეს სხეული; ეგრეთჳჱ თავი ჩჳჱნი

არს სული, რომელი განიჴდების სინანულითა და არღარა მიქცევითა ნათხევარისა მიმართ, უმანკოება არს არა ქონება გვრიობისა, შურისა, მტერობისა სულსა შინა, რომელნი არღა უტევებენ სწავლისა მიღებად, და ახალ ახალთა საზრდელთა. რომელ არიან ეკლესიისა და კლასებისა

დასასრულ თქუჱნსა კუთვნილსთა საქმეებთა ზედა სეფურად იყავით ე. ი. მარჯუჱდ ამასთანა ოდესმე ოცდაოთხისა ჟამებითაგან გამოიღეთ ჟამი ანუ ჟამები და ესეცა ავთრათი თქვენი შთასწერეთ. და სნეულთა მოვლისა მოძღურებაცა ამასვე მოატმასნეთ. იხილეთ უფალი დოდაევი ჩემთან იყო და შემდგომად პაექრობა შემოჴდა ვიდრე კამათობამდე სწავლათა საგნებთა ზედა და მითხრა შენმა მოწერილობამანო სულსა შინა ჩემსა აღანთოო არა თუ მცირაკნი სანთლები, არამედ დიდ ფრიადნი ლამპრები. რომელთა ზედას ზედარე ვკითხულობთ, პირუელად არათუ ყოვლადნი საგნები მესმოდენო, არამედ აქა და იქი ლექსნი. რომელნი და იგინიცა ზემოპირ ხოლო ამ წერილებითა შენითა მაღალთა საკლასო წიგნებთა ძალნიცა მესმიანო და ძალმიძს მიწერად სულითა ჩემითა მაღალთაცა ადგილებსა შინაო, რომელ ესრეთ დამიხელოვნდა სულიო, რომლითა ძალმიძს ერთით საგნითა შემდგომთა საგნებთაცა უშრომელად გამოცნობანიო აჰა, თქუჱნცა ამიერთაგან მიიღებდეთ ავთრათებსა ჩემსა და მომწერდეთ ნაცუალსა არა ჩემისა წიგნებისა განმარტებასა ანუ ვრცელთა ქარტათა, არამედ დიდ ფრიად მცირესა: ვიდრე ათთა ტრიქონთა ანუ მეტ ნაკლთა მეტყუჱლი ესრეთ: მივიღე რა ქარტა თქუჱნი და აღმოვიკითხე მყის აღენთო სულსა შინა ჩემსა სანთელი სიბრძნისა, ამად სული სტკბების, გრძნობანი იშვებენ არღა არს ზამთარი სულსა შინა ჩემსა და ბინდნი გრძნობაებთა ზედა, არამედ ვლამი გოლისა მას წერილისა გემებასა და ამით მანანაჲთა დატკბობასა, რომელი უმჯობეს ოქროჲსა და ანთრაკისა არს და [illegible] ქუჱყანისა ნივთიერთა სიმდიდრისა.

იხილეთ მაღალსა ლექსთ ნურა რაჲმესა იჴმარებთ ჯერეთ, არამედ ვითარცა გრძნობდე. გარნა შეაწყე აზრნი საგანი რაჲცა დასდუა ჩემდამო ზედა მოვიდენ, შემდგომნი ლექსნი და სიტყუანი მკელობელნი[2] არა იჴმარო ე. ი. ერთი მაღლისა ფრასისა და მეორე მდაბიურნი მუნვე ცუდნი და უაზრონიცა. არამედ საგანსა ზედა მოჰკიდე ქუჱმო შემდგომნი ეგრეთ ვითარცა გუამსა ჩუჱნსა ზედა მოკიდულ არიან ყოველნი წევრნი და ასონი და არიან თანასწორ ხელი ჰელისა, ცვერჯი ფერჯისა და ასა მერე ნაკლნი მათა ავთრათებშიცა განიხილენ რჩეულნი მიწერ მიწერანი მოკლენი და ტიტულიცა.

თქვენი პატივისმცემელი მ. მ. მ.
იონა ვგიე ლოცუასა თქვენდამო
გულითადიერ კეთილმიდრეკილებით.

## № 81

### 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანესო!

ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა შემწეობით მომრთმევარ თქვენდამი!

აჰა, განმსჯურიტეთ, სულისა თქუენისა ყოვლისა ძალითა და ყოვლისა გულისხმისყოფითა, და ყოვლისა მიდმოებითა[1] და აზმნობითა და დაღრმავებისა ყურად მღებელობითა თქუენითა, არა გრძნობათა, ოცნებათა და ლანდებათაგან, არამედ ზესთა ფიზიკისა და თვთ ლოღიკისაცა და მეტაფიზიკისაცა, რომელნი მრავალთა ღმერთებთა მსახურთა მეტალოღიისათა დაქსვეს თავთა თვსთა გამოსაზრდელად მოწაფეთა ხვასტაგებთან, არამედ იკმიეთ დასაბამი სიბრძნისა, რომელ არს შიში ღვთისა და იწყეთ ზეცითგან მსჯელობა. ოროა მათ განსწავლულთა[2] კაცთა, ე. ი. ლოქისა[3], რომელი აზმნობს სული კაცისა მეჩუენებისო სხეულევანად, და აღრეულად გუამებსა შინა, თითოეულთასა, რომელი ძილითა თვსითა ამტკიცებდა, აჰა ოდეს მძინავსო სული ჩემი არლა უწყიო, ანუ სულმან ჩემმან არა მიცისო მე. მაშასადამე სხეულევან არსო, წულილი რაჲმე ლბილი სისხლსა შინა მგრძნობი მეცნავი ფიზიკურთა ფუფუნებისა, და პოლეტიკურთა მხიარულებისა, გინა მწუხარებისა და ზედართო ენა ჩემი. ოდესმე მეტყუელებს სული ჩემი მექონ არს სხეულისა. და ოდესმე მეტყველებს სული ჩემი მექონ არსო მარტივ ცხოველობისა, გარნა მე გუამისა ჩემისა გრძნობაებთა უუმეტეს დავერწმუნები, რომელთა თვსნი საქმენი აქსიომად აქვსთო, და მოქმედებენ თვსთა პრაქტიკებთა. აჰა, ესე ვითარი სხეულევანად მეოცნე. ლოქ ბრიტანიისა განშოლტა უფალმან კლარკმან, და სრულიად ანგლიელთა განჰკურთეს სიბრძნისა კალმებისა კუწრთებებითა, არგნებითა ბურთებითა, შოლტებითა, მათრაკებითა, და აზარმაცებითა და კეტებითა და კეთილ ფილოსოფისა შეურდულებისა ქუჩებთა მქისებთაგან[4] და წულტუებთა[5] და ერთბამად პარიჟისა აკადემიის წევრნი პროფესორნი, რეკტორნი, დირექტორნი და დოხტურ ფილოსოფოსნი და უფროსნა ღვთისმეტყველნი დაეცენ უსახურსა მას ლოქსა, შეურაცხყვეს მას დემონისასა და დაუყვეს პირი პეროიანი, რომელმან ვერღარაჲ სიტყუანი უგო, ზემო ხსენებულსა სულისა მექონთა, ამად აუარდა სლოკინი მძლე განგოზილისა კუჰისა, და ესრეთ მწუხარებით განვიდა სული მის ლოქისა და მძორი მისი სათნო დემონთა დასცხრა ცმაგვისაგან, რომლისა ოთხნი ტომნი წიგნება გაუქმდა და ეს-

რეთ ოფლნი თვსნი უქმად შეერაცხა ლოქსა მას, უსაძაგლესსა პითა-
გორისასა.

ეგრეთვე ყბა ძაღლისა ვოლტერი მეტყველებს, რომელ სულნი კაცისანი წინა საუკუნოებთა შინა დამტკიცდენო მოსურნეთაგან და იმოწმებს ეზეკიელ წინასწარმეტყველისა თვნიერ თავებთა და მუხ-ლებთა განმასწავებელი უკულმართ წინა უკმოდ მიბრუნდებულად ოც-ნებული, რომელ პირველად ქარი იყო და იცვალა ნიავად, და ნიავ წუ-ლობისაგან სულებად განისცნესო მთხზველებთა ქუჩუჩნისათა, და მე-ქილიკობითა თვსითა შეჰკითხავს დოხტურთა ანატომია კინძებთა გან-მთრევითა, აჰა, თქვენ უმჯობეს უწყითო, სადა არსო სულები მდგო-მარე ტვნისა ზედა, ანუ გულსა შინა, გინა თმათა ძირებთაგან, ვიდრე ფრთხილებამდე. გარნა თვთ კითხულობდა შვეიცარიისა ტყესა შინა განძებული ფრანციისაგან და თვთვე უგებდა თავსა თვსსა მათვე აზმნობათა, რაოდენთაცა მამა თვსი დემონი მოაგონებდა. მაშინ ოდეს, ოდეს სიჭაბუკისა დაღმართსა ზედა იყო დაპარეხებელ და მწყსიდა ქართა, და შეუპყრობელად სდევნიდა ჩრდილებთა დღისა, ხოლო ღა-მეთა შინა ეზრახებოდა კერპებთა თვისთა ე. ი. შვიდთა ცოდვათა სა-სიკუდინოებთა და მერვეთაცა, რომლითა სრულიად ფრანციელთა და-უშრიტა სარწმუნოება თვსისა წიგნაკებითა, რომელთა ცხებული და ცხებულა თვსი მოკლეს და სახლეულნი უაგვისტესნი მოსწყვიდნენ და იქმნენ ერთბამად უეშმაზოდ უნათლავ. ვიდრე მეცხრე წლამდისი, რომლითაცა მღუდელნი უფლისანი სრულიად დაკლდნეს და აზნაურ-ნი ასწყვდეს, რომელთა დიდ ფრიად განფიცხებულნი ამბოხიერნი აღ-კრნი ქელთ იდვა კორსიკანელმან ბონოპარტე ნაპოლეონმან, და შე-ჰკითხა ერსა მას რვა წლისა უნათლავთა მამებსა, აჰა ხუთნი წიგნი არი-ან ე. ი. ტალმუდი ებრაელთი, ბრამანი — ინდოთა, კონფუცია — კი-ტაიელთი, ყურანი — თურქთი, და მეტალოღია წარმართ ყოფილთი ელლენთი. აჰა, ესენი ყოველნი ჯოჯოხეთისა ფართო გზისანი არიან, ხოლო სახარება სასუფეველისა სალთო იწროსა გზისა არსო, რომელი აღიყვანებს ცათა შინა, რომელი მათგანი გნებავსთ მიღებად, აჰა მე მწყურის თქვენთვის, რათამცა სახარება სადიდებელად ღვთისა მივი-ღოთ, და საუკუნო ცხოვრებად. და ჟამიერ კეთილ დღეობად, მაშინ მყის მიერთამდე ღაღადჰყვეს სინანულისა და სიხარულისა განზავებუ-ლისა ცრემლებითა, ესერა გვსურს სახარება ღვთისა საცხოვრებელად კაცთა ნათესავებსა დაწერილ სულისაგან წმიდისა, მაშინ მყის განახ-ვნეს ბეღლებად ჯარისად შეცვალებულნი ეკკლესიანი, და იხილეს ერ-თსა ეკკლესიასა შინა მძორი ვოლტერისა, და ჟან ჟაკ რუსოსი დაფლე-ლნი, მყისვე უბრძანა ბონოპარტე დათხრად საფლავნი მათ ბილწთა, და განღება მიწებითურთ მათით გარეგან ქალაქისა დაფლვად სანაგვ-

ჩთა ადგილსა შინა, და ესე ვითარისა სახითა განმეორდა ქრისტიანობა ფრანციასა შინა და მოწყვეტილთა მღუდელთა და არხიერებთა ნაცვლად, მოსცა პაპამან რომით მღუდელნი და არხიერნი და ნათელჰსცეა ფრანციასა სრულიად.

ხედავთა ნაყოფთა ვოლტერისასა, თუ რაჲ უყო სახელმწიფოსა ე. ი. განცოფება და სისხლებთა დათხევა ცხებულისა და სამღუდელოთი და აზნაურთი, რომელნი უთაო იქმნენ და ივნეს დიდ ფრიად, რომელთა მეჯინიბენი, მეღორენი, მემტილენი, მეწისქვილენი, ევროპიასა შინა წარსულნი მიიღებოდენ თვთ განათლებულებთაგანცა, მასწავლელად ძოლანდელთა დროებთა შინა, ხოლო აწინდელთა საუკუნეთა შინა თვთ სწავლულნიცა მათნი მკლელობებად ორთავე გოჯებითა მუკლებთა თანა, მიღებულ არიან, ამად აგიებენ ვოლტერსა, ღვარძლებსა მთესვარსა, და დამქავებულსა ცომოვანთა წიგნაკებთა მისთა, რომელთა უკეთუ შეეხოს ჭაბუკი, მყისუჩ ფისიან ჰყოფს. სუსტსა, ჯაბანსა, მოძულესა თვისისა სულისასა და მოყვარესა თვსთა კორცთა ასოებისა წადილებსა და, ვითარცა მეტოლოღიურთა ღმერთებად სახელდებულსა ნივთებსა უწოდებენ ბრძენი ძაღლებთა თვსთა საკიცხუჩლად, ეგრეთუჩ ვოლტერად სახელჰსდებენ მჴეცთა შინაურთა საბასრობელად ვოლტერისა, და მკუთნელთა უბირთა ყრმათა ვოლტერისამ წეთა, გარნა თვთ ვოლტერ, ოდეს შეუდგა სიბერისა ალმართსა, უარყო თვსნი სამსალა წიგნაკები მაკუდინებლები სულებისა, და ჟამსა სინანულისასა მყეფარ ძაღლებად უწოდა თვსსა წიგნაკებსა და შეჰსთხოვა მაღალსა, რათა უსჯულობანი აღუკოცოს და ისმენდა მარადის წირვასა მისატევებელად ცოდვათა და ილოცვიდა, რათამცა წიგნებითარე მისითა არავინ წარწყმედილიყო. ხოლო აწინდელი პაპა მეათორმეტე ალექსანდრე ყოველსა ადგილთა შინა ცეცხლთა შინა ჰყრის წიგნებთა ვოლტერისათა, რომელ ცნეს წიგნებითა მისითა მასონობა ვოლტერისა. გარნა არიან რომელნიმე ლექსნი ვოლტერისანი, რომლითა სათვალენი დაადგა ცხვირებთა ზედა ევროპიისა ერისაგანებთა, და არა საკვირველ არს, ოდესმე ეშმაკნიცა იტყვიან ვარგისთა, შეძრწუნებული ღვთისაგან, რამეთუ ჟამსა ფრიადისა ქუხილისასა, იწყებდა შეწუხებასა ვოლტერ, ქუჩშე სახლისა საფუძველსა შთასრული, რომელი იწყებდა ვედრებასა ღვთისა მიმართ, განრინებად მეხისტეხათაგან ზაფხულისათა.

იხილეთ, გერმანიასა შინა, დიდ ფრიად გლახაკს, უაგარაკოსა, უხოსტაგოსა წარმოუდგენია თავსა შორის თვსსა ესე ვითარნი წიგნაკი შემზადოს რომელი ჯერეთ არლა ზმანებოდესთ სიბრძნისმოყვარეთა, რომლის საბეჭდავებისა განმრავლებითა განიმდიდროს თავი თვსი და არლა გარდასახლდეს ივერიასა შინა ფიცხელისა სიყმილისაგან იძუ-

ლებული ე. ი. შეუთხზავს მელანი კაბადონებსა ზედა, რომელი უწოდებს ყოველთა ნივთებთა განუჭვრეტელთა სულებად. და ერთბამაჲ რაოდენნიცა გრძობადთა ქუეშე ჩვენსა არიან, მეტყუელებს ყოველნივე სულნი არიანო ცხოველნი, რომლისა წიგნაკები ძვირფასად გავაჭრებულა, და გლახაკი იგი განმდიდრებულ არს თჳსისა დემონისაგან, რომელი თითებთა თჳსთა ატკაცუნებს ურჯუკად განმდიდრებული. და ვგონებ რომელ ეკიცხოდეს თჳსთა მოძმეთა ჩვენსა ქუეყანასა შინა სადთო ოფლებთა თჳსთაგან განმდიდრებულთა კალონისტებთა, და ლოტრანისტებთა, რომელსა აწ ღორულებ განძღომითა კუეთებიეს კუჭისა სისუსტე, და ყოველნი სიმდიდრენი მისნი მიქონანთ ახალ ახალთა მკურნალთა სარწყევისა წამლებისა სახსრად აფთიაქართა და მკურნალთა, რეცეპტებთა დაწერისათჳს, აჰა, მისთჳს უმჯობეს იყო, რათამცა ძუალნი მდიდართაგან განგდებულნი დაკლულთი ეფქვა ჟამსა სიყმილისასა, და ეჭამა ფუშრუკად, და ყოფილიყო მრთელ, ვიდრეთა სიმდიდრითარე აღკრძალვოდა საჭმელი კეთილნი.

იხილეთ ახალ ნერგო ფილოსოფურ, უკეთუ ყოველნი ნივთები სამ განფენილნი სულები არიან ცხოველნი. თუმცა გჳჩუენებს მრავალ ბევრეულ სახეებად, ნაკუწთებად, ხატებად, ნაქვთებად სიტყუა მასებრ დემონისაგან სნეულისა, მაშასადამე ცინგლნი მისნი წვინტლნი, ფურთხნი, ბოტოტნი, დუენი, ნერწყვნი, და წელებისა და კუჭისა სკორენი და შარდნი მისნი სულები არიან, ეგრეთუე თმიანი, რომელთა იპარსავს და ფაჩვნიერობანი და ფრჩხილნი, კანნი, ტყავნი, კორცნი სისხლნი, ტვნნი, ძარღუნი, თაგუნნი, და ტენონნი და მუსკულნი, ჯელნი, ფერჯნი, და ყოველნი ასოები სულებად ასხენან სამაგსა მას კოლონისტსა. და ყოველნი შეგწეულნი და ძუალნი მისნი, და შესრულნი პირსა მისსა და განსრულნი განსავლით, სულებად მისდა არიან ოცნებულ, ეგრეთუე საბლარდნელნი ტანისა, მკერვალებთაგან დაჭრილნი და წაღანი და ჯამლნი ფერხისანი სულებნი თუ არიან არამცა ღამეთა შინა დაადგრებოდენ მის ღნიოშისა თანა კალონისტისა. არამედ თავთა თჳსთა მგრძნობელნი განარინებდენ დაბეშკვისაგან, არცაღა პურნი და ღვინონი. დაუნჯებულნი შესაჭმელად და დასალევნად დაადგრებოდენ უსახურისა მის ნემენცისა თანა, ეგრეთუე სანთელნი და შეშანი თავთა თჳსთა არა დასწვავდენ, ცოცხლივ დაყროლებულისათანა გერმანიელისა, ეგ სახედვე სარეცელნი და საბურველნი განისწრაფებდენ მძოვრისა მისგან, უგუნურისა სულელისა, უგულისხმობისა, უბირისაგან, აჰა, ამად ჰსწამებენ სიბრძნისმოყვარენი ფილოსოფოსნი, თჳნიერ ღვთისმეტყველებისაცა გერმანიასა შინა, დემონთა სატანიან-

თა, სამუილიანთა, ბელიერებთა პოვნეს კურელნიო. სავანებად თჳს ა. ე. ი. გულნი გარდატეხილთი, რომელთა პირნი გმობითა და არა წმიდებითა სავსე არიან, რომელნი მოასრულნა ბონოპარტემან ზეგარდამო, რომელნი ჰურ სიკუდილისა იქმნენ, ხოლო ნაშთნი იდევნებიან მმართებლობისა ბოქულებთაგან დადუმებულნი, რომელნი აწინდელსა ჟამებსა შინა იდრეკენ მუხლებთა, რათა არღარა მოუვლინოს კურთი ფიცხელი მსგავსი. ნ. პ. გ.

იხილეთ სული ლექსი სახელმოდგამი ჴმა არს, რომელი დანიშნავს მეტაფორულ ალიგორიულად. 1. ქართა, 2. ნიავთა, 3. და სუნებთა ნივთებისათა და 4. სნეულთა სენთა და 5. გასებთა მაკუდინებელთა, ვითარ ნახშირთა და კირთა და უშორეს. 6. და ყვავილებთასა. და 7. მყრალთა და ამოვანთა. და 8. მშვენიერთასა. და 9. ძმართა ჰმახეთა და 10. არომატთასა და ეგე ვითართა, რომელთა სახელმოგამობითი ჴმა მოუგიესთ. და არა არსებანი და ბუნებანი ცხოველთა სულებისა.

იხილეთ, დასაბამ სიბრძნითა, ადონაი ღვთისა შიშითა სულ ღმერთ მარად მყოფი ცხოველი, ბრძენი მბადებელი ორთა სულებთა არს. ე. ი. ანგელოსთი, და კაცთი, გარნა ანგელოსებთა დამტევვებელნი ნათლიერებისაგან დაშრტენ ამპარტავნებითა და არიან ბნელთა შინა. დემონად, და რომელნიცა შეუდგებიან კაცნი, მათსა რჩევათა და პლანთა, განისხლევან მსგავსად უხმარსა ვაზისა რქებისა კეთილ მსახურთა კაცთაგან და იქმნებიან უსახურ ეკკლესიისა და მავნებელ მამულისა და ამამღვრეველ ფილასოფისა ჯურღმულისა, მაშასადამე ოთხნი სულებნი არის. ე. ი. წმინდათა: 1. ანგელოსთა წმინდათა, 2. კაცთა, ბოროტთა, 3. დემონთა. განბოროტებულთა, 4. კაცთა.

აჰა, განჰსჭურიტეთ, ყოველნი მექონნი გონებისანი სულნი არიან მარტივ მცხოველებელნი. გულისხმისმყოფელნი თავთა თჳსთა თითოეულნი უმერყეოდ ყოვლადნი. რომელთა გონებაებთა მიმოფრენვათა ამყუდროებს მხოლოდ სარწმუნოება და სჯული საღვთო და სამოქალაქოცა, წიწნეულება და განუსჭჱნებს. დასაბამ სიბრძნისა, შიშითა უფლისათა.

ესერა ყოველნივე შენაწევრებულნი სამ სახედ განფენილნი ერთბამად ნივთნი არიან და თჳთ აერიცა, რომელი შეიმწყვდევის თხიერთა და საბერვლებთა და ფირტვებთა შინა, ნივთივე არს თხელი უფერო, რომელნი ერთბამად მსახურებენ კაცთა. იხილენ თორნე და სამზვარეულო და რაჲსათვისაცა ასხენ კაცსა კბილნი და სხეულნი და ვიეთმე რაჲსათჳსცა უყვარს სოფელი ესე, ხოლო კაცი მსახურებს ღმერთსა.

ი. მ. ჳ.

## № 82

### 1826 წლის 22 აპრილის წერილი ადამ ღირსიევისა იონა ხელაშვილისადმი

თქუჱნო მაღალ ღირსებავ. მღუდელ მონოზონი იონა!

უმოწყალესო ჴელმწიფევ. ვსთხოვ ყოვლად შემძლებელსა ღმერთსა, რათა მან განაგრძოს დღენი ცხოვრებისა თქუჱნისანი და არა მოაკლოს თვალთა ჩემთა ჳვრეტაჲ და ყურთა სმენაჲ კეთილდღეობისა და ბედნიერებისა თქვენისა. სულიერო მამაო, მოწყალეო ჴელმწიფევ. მოვიღე ქარტაი თქვენი ჩემდამო წარმოგზავნილნი. და აღმოვიკითხე რა, მყის აღივსო გული ჩემი დიდ ფრიადთა სიხარულითა. და აღანთო სულსა შინა ჩემსა სანთელი სიბრძნისა და უკვ[illegible]ისა. ამად, რომელ სული სტკბების და გრძნობანი იშვებენ. იხილეთ ავჰრათნი თქვენნი არიან ჩემდამო დანაშთნი, ფრიად მცირენი, ხვალ შევასრულებ და შაბათს მოგართმევ. სრულიად შთანაწერს წიგნსა ამას შინა.

თქვენი სულიერი ძე ადამ ღირსიევი.
1826 წლის აპრილის კბ-სა

## № 83

### 1826 წლის 1 მაისის წერილი თავადი ნიკო იაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

პატიოსანო ღირსო მამაო იონა!

პირ მიწა დაყრდნობით წმიდას მარჯუჱნას გეამბორები მერმეთ თქუჱნი კეთილ მოქმედება მესმის და კიდევ ერთი რაჭველი სულაძე აქ პოლკოვნიკთან ჩამოვიდა, იმან მარწმუნა თქვენი კეთილმოქმედება. ვიცი ღმერთი გიყუარსთ, ჩემი ცნობა თქვენ არა გაქუსთ, მაგრამ მაგათმა უმაღლესობამ დედოფალმან მარიამმან იცის ჩემი უქაზისა ანბავი ახლა მე ასე უსამართლოდ გაჭირვებული სალდათათ შავს პურზე ისიც მცირეთ. ამათ წინათ მათ უმაღლესობას დედოფლებს და ბატონიშვილებს წიგნი ვაახელი. მიერთუათ თუ არა არ ვიცი, შენის ქრისტეს გულისათვს შემეწიე, ეგე რაიმე მომეხმარონ. თუ არა სადმე ფულის მაშინც მიპყრან ყური, ყველას ამცენი ჩემი ასე შეწუხება. მაგათ ქრისტეს სიყუარულისათვს შემეწიონ ტყვეს და გაჭირვებულს, შიმშილით ვკვდები, არცა მოვკუდი, არცა დავრჩი, ვარ ასე გაცოდვილებული.

რაჲღენ მღუდელი მოკუდა თუ ცოცხალია არა ვიცი რა. მისი ანბავი ვიცი და არა მოკითხუა, მამაო იონა მიშველე რამე. თქვენი ღირსების მადიდებელი თავადი იაშვილი ნიკო. არხანგელსკის ღუბერნიაში გარნიზონის პოლკში ვარ.

წელსა 1826. მაისის ა.

№ 84

1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა თომა ანდრონიკოვისადმი

თქუენო მაღალ ბრწყინვალებამ მაიორო თომა.

ქრისტე ღუთისა მიერ სალთო ლოცუათა მოვრთმევლობ თქუენდამო გულითადიერ ჰელმწიფეო ჩემო!

მაღალ ბრწყინვალეო უფალო ანდრონიკოვ მაიორო[1], თქუენი ავ-ტორათი წიგნი, ესერა მომეპოძა დაწერილი ჩყკესა თთუესა ოკდომბრის ივ სა წარსულისა წლისა, ამის წლის ჩყკვ, თთუესა მაისსა, რომელსა შინა მიბრძანებთ დიდ — ფრიად სიბრძნითი და სიმჴნითი ზრუნვასა ძმისწულთა ჩემთა წარმოგზავნისასა თქუენის კეთილმიდრეკილებისა რჩევითა, ბრძანებითა და შერისხვითა ძმათა ჩემთა მიმართ და შეწევნილსა წარმოგზავნითა და ღირსებისა ბაშფორთისა წარმოტანებითა, გარნა უგუნურთა და უცნობთა ჩემთა ძმათა თჳსთა შვილებთა ბედნიერებისა ურჩება უწარმოებიათ თავთა თჳსთა ზედა უბადრუკებისა ეშმაკისაგან, მტერობითა და უვიცობითა და მდაბიო უწიგნოებისა ზნეობითა, და რაჲღა მოგახსენო, უკეთუ მაჲათ ქრისტიანესთ [illegible] არიანთა, რომელნი შვილთა თჳსთა შვიდის წლითგან აწყებინებენ სწავებასა წიგნთასა და თჳთ მკდოვანნიცა მათგანნი მდღევარსა საზრდელსა, თჳთ მშობელნი მოაკლებენ თავთა თჳსთა და საბლარდნელთა და წარაგებენ შვილებთა სწავებისა ზედა, რომლითაცა აოსიანი, უმეტეს წარემატებიან სიბრძნითა და სიმდიდრითა, და აქუსთ ეკკლესიანი განშუენებულნი სამკაულებითა და საუნჯებითა და სახლნი აღვსილნი სიმდიდრითა. რაჲღა ვსთქუა, უკეთუმცა სომეხთათჳს მაშინც მიებაძათ ძმათა ჩემთა გუაჯიობითა და შურითა კეთილითა, არამცა უარეყოთ კეთილნი სწავლანი შვილთა თჳსთათჳს, არცაღა ლეკთა და თათართა ბაძუათა შეუდგენ, რომელთა თჳსნი შვილნი სასწავლებლებთა შინა მისცნეს დღამიან, რათამცა ესე ვითარისა მონარხისა ნება აღწაონ ძეთა თჳსთა საბედნიეროდ მზესა ქუეშე.

მაღალ ბრწყინვალეო თავადო უფალო ანდრონიკოვ. დიდ ფრიად გმადლობ და შრომისათვს, რომელსა არა რაჲ მსახურება მქონან თქუენდა მომართ. გარნა გიჴმევიათ მამულის მზრუნველობითი ძეობა პატრიოტული ე. ი. გუაჯიობითი, რათამცა შვილნი მამულისანი იქმენ სახმარმამულისა, და მონარხისა საეკლესიოდ და სამჴედროდ და სამოქალაქოდ სამსაჯულოებთა ადგილებთა შინა, რომლითა ერი უმეტეს ამაღლდების ღუთისა ნებისა ცნობითა მონარხისა და მამულისა, რომელთაგან მიწისა მუშაკნიცა წარმატებულ იქმნებიან და ურთიერთ შეყუარებულ, რომელ სწავლულთა ერთა უწყიან სიყუარული ღუთისა და მოყუასასა და სიმართლე და პატიოსნება და მუშაკობა, რომელნი უქმთა მცონართა და უგუნურთაცა განაღვიძებენ მოგებადზე საუნჯისა. და ქუეყანისა ზედა სიმდიდრისა, და უკეთუ წარწყმიდოს რომელმანმე მცონარებითა ჟამიცა ერთი უმუშაკოთ, მისცემენ სწავლულნი სახესა და მაგალითსა მუშაკობისასა და განაძლიერებენ განმდიდრებისათვს, ვითარცა ევროპიელნი, რომელთა თუალნი ჰქონანთ საჟამეებისა მიმართ, რათამცა ათორმეტნი ჟამნი დღიურნი იმუშაკონ და ღამისაცა შეიწიონ ოთხნი ჟამნი და უმეტესიცა მუშაკობისათვს, და ესრეთითა განრთულობითა ოფლსა შინა არიან დიდ ფრიად მდიდარ ეკკლესიაებითა და ჭორციელისა სახელებითა.

მოიხსენეთ სწავლა და განათლება განაღვიძებს კაცთა გაბედნიერებად ხვასტაგებითა ე. ი. სიმდიდრითა და სწავლითი საქმეებთა შინა განრთულთა ღუთის მსახურებასა შინა თავისა თვსისა სახლისასა და მონარხისასა და მამულისასა. ოდეს იხილვენ მტერნი ეშმაკნი თანა წარხდებიან და მიმართავენ უქმისა და მცონარისა და უმეცრისა კაცებისა მიმართ განუმტკიცებენ სულებთა შინა უქმობასა და სადილვახშმისა განგრძელებასა და შვებასა და მცონარებასა და ძალსა, რათამცა მკდოვან და გლახაკ ჰყონ უსწავლელნი და სიგლახაკისა გამო მტყუვან, ცრუ მფიცებელ წინააღმდგომად ღუთისა. მპარავ, მოქრთამე, ცილისმწამებელ, მოლალე, მოკიცხარ, ამბოხიერ, მტაცებელ, ურცხივ, უსვინდისო, უზრუნველ და უშორეს, პირისპირ ზემოთა. უკეთუ შესცთეს მსწავლული მსწრაფლად მოიქცევის და განმართავს საქმეთა თვსთა სჯულისამებრ, ხოლო უსწავლელი, შეცთომილი, უმეტეს შთავაარდების უბედურებისა ბადესა შინა და იწყებს ბრალობათა სხვათა მიმართ და უიმედობითა იწყებს განტარებასა ცხოვრებისა თვსისასა კნინლა და შეუნანებელად გინდა დილეგსაცა შინა იყოს დაკირთებულ. ამისთვს შვიდი წელნი ვიღვაწე მოწერითა, რათამცა სწავლასა შინა მიეცათ შვილნი თვსნი ძმათა ჩემთა, ანუ აქარე წარმოეგზავნათ, რათამცა პატიოსან ჰურჰელ ყოფილ იყვნენ სათნოდ ღუთისა და მამულისა. შვილნი მაგა-

თნი, გარნა არა მისმინეს. აჰა სწავლისა მის შემდგომ უვალო ვარ ვი-თარცა მოვიწერეცა, ნება მაგათია.

მოიხსენეთ, მაღალღირსს პროთოეირიემ იოანემ[2] კურთხევითა სა-ხსოვარმან წარსულს წელს ოქტომბერს მომწერა არა აძლევენო ძმანი შენნი ძეთა თჳსთა სასწავლებელსა შინაო და არცაღა დრო აქუსთო სწავლისა გარდაბიჯებულთა ათორმეტისა წელიწდებისასა, ამად მეც სამგზის მოვსწერე მაგათ, გინდ მთხოვონ ახლა არღა ძალმიძს ზრუნჳა მაგათი, ველურად აღზრდილთ დამწყსა და დალბილებაცა და შიში ძნელ არს ზეპირ, რაოდენ წიგნი საღთონი და საკლასონი შესაწყნარე-ბელ იქმნებიან. მდაბიური მაგალითია: ყლორტნი გარტოებულნი და გახარებულნი არღა მოიხრებიან და მგლისა თავსა ზედა ღრამმატიკა არა წარიკითხვის.

მაღალ ბრწყინუალეო: აჰა, აქარე ისმის მრავალთაგან სულისა თქჳენისა კეთილთჳსებანი სიმდაბლისა და ქჳელობისა და ზრუნვანი მამულისათჳს: ამად შეგთხოვ, რათამცა ცჳარი მფარველობისა თქჳე-ნისა სწყვიდეს ძმათა ჩემთა დანაშთთა და უკეთუ მიიღებთ შრომასა კჳალადცა, და სულებთა შინა მათთა ჰმასა თქჳენსა გარდაუბეჭდთ მყოობადისათჳს სახსოვრად და მე სხჳა უვისთ. გარდა ამბოხებისა წელსა შობილი მას აღვზრდი, უკეთუ ვიქმენდა ცოცხალ მუნ დრომ-დე. უკეთუ უნდეს ღმერთსა ვლამი ეგრეთ.

ხელმწიფეო ჩემო! მიიღეთ სულგრძელება, ვიდრე წარმოგზავნად-მდე ჰოგრისა ე. ი. დოდაშვილს წარმოვატან რჩევითარე მოფრიდილსა, იოანე ბატონისშვილმან აღმითქუა მოძიება უკეთილესისა ამ ზაფხულს მოველით სხვა მხრითა უურჩეულესსა და მაშინ მოვივაჭრებთ.

შეგთხოვ მადლობელი თქჳენნი, რათამცა მხოლოდ კეთილმიდრე-კილება გაქუნდესთ ჩემდამო, ხოლო მე ამიერთაგან განვემზადები თქჳენისა ცხოვრებისათჳს ლოცუად მეუღლით და შვილთათჳს თქჳე-ნისა.

თქჳენი მლოცველი მარადის მკდოვან მ. მ. მ. ი.

ამათმან უმაღლესობამან მარიამ კაცია დადიანის ასულმან მოწა-ფემან ჩემმან ჴელითა ჩემითა დიდ ფრიადი მადლობა მოგიძღუნათ გა-ხსენებისათჳს მოულოდებელისა. ეგრეთუჱ ნინამ[3] მეფის ძის ასულმან და მეუღლემან მისმან, ალექსანდრე მარწმუნეს მადლობა თქუენდამო თჳსი.

უმაღლესმან ანნა დედოფალმან[4] ფრიად განიხარა მოკითხვისათჳს თქჳენისა და მიბრძანა მე ავათ მყოფი ვარო. არა ძალმიძს მიწერა და შენ მისწერეო დიდდროდ დამადლება მოგონებისათჳს მრავალგზის გლოცათ: აჰა ამათ ერთბამად ვმოწმობ მოწლეობითი კეთილ მადლო-ბასა თქჳენდამო გულითადიერ.

უგანათლებულესამ მენგრელ კოლხიდის მთავრინამ ნინამ[5] უბევ-რეულესი მადლობა გიძღუნათ და ბაგეებთა ზედა ამბორება დიდ ფრი-ადისა სიყუარულითა. უგანათლებულესმან იოანემ[6] სიყუარულით მო-კითხუა გიძღუნათ. ეგრეთვე ბატონიშვილმან ბაგრატ[7]. ესრეთვე უმეტეს თეიმურაზ ბატონიშვილმან[8] მეცხედრითურთ თჳსით მრავა-ლბევრეული მადლობა და ბრძანეს — ნინა ბატონისშვილს ზედას ზედა ამად ვსწერთო. რომელ ჯერედ უცხო არსო მუნებურისა არს და ერი-სა და გარემოთა და გამოუცდელ მცირე წლობითარე. უგანათლებულეს-მან რიფსიმე[10] დედის დამ თქუენმან სამღურავითარე მოკითხუა ხში-რად მოუწერლობისათჳს. წელსა 1826 მაისის 15.

## № 85

## 1826 წ. 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ იოანესადმი

ქრისტეს მიერ ძმაო იოანე! სალთო ლოცუათა მოვრთმევლობ თქ-უენდა მომართ, დაცუაჲ მრჩობლთა ცხოვრებითარე სათნოდ მაღლისა მის სავაოთისა, აჰა, ნამდვილ უწყი თქუენისა სულისა კეთილისა თჳ-სებისაგან და უმეტეს მართლმადიდებლობითი ქრისტიანობისაგან, რო-მელ ისურვებ მშვიდობასა ჩემ მკდოვანისასა, ემადლობ ღმერთსა ვიქმენ დაცულ ჟამსა სნეულებისასა ჩემისა; მოწყალებითა და სახიერებითა ღუთისათა და განვიკურნე ათექუსმეტისა დღეებისა შემდგომ.

თქუენის სიმრთელის ანბავი აქარე მესმის ვმადლობ ღმერთსა, რო-მელ სიმართლე უძვირფასესნი არიან, უფროს სიმდიდრეთა მოძრავთა და უძრავთა, რომელნი ამაოდ შერაცხილ არიან სოფლისა ამის ე. ი. ყოველნივე წერტილად მისრულდებიან თჳთ სიცოცხლისა ჟამსა შინა და უფროსღა ჟამსა აღმოფშვინვისასა უკანასკნელსა.

იოანე კაცო გულხმიერო, რომელსა არა რაჲ დაგიკარგავს შინა-განი ე. ი. სიმრთელე გუამისა შენისა, რომელსა გმსახურებენ უძვირ-ფასესნი ჴელნი და ფერხნი და ძალგიძს არა თუ თავისა თჳსისა მსა-ხურება, არამედ მოყუასისაცა. მოიხსენეთ სულგრძელებითარე შემთხ-უეულნი მეხნი ესე რომელ არს დამბლა მაღალ ღირსისა არხიმანდრიტი-სა მამა ნეოფიტესი[1], რომელმან შენებულება მარცხენით კერძოთ თხე-მითგან. ვიდრე მარცხენისა ჴელისა ნუნებადმდე და მარცხენისა ფე-ხისა ფრჩხილებადმდე განძუსკა და უქმარყო მკარე იგი, რომელსა არღ მსახურებენ ნაწევრობანი იგი ყოველნი და არს განწირულ შორის ცოცხალთა და მკუდართა, რომლისა გარემოს უმაღლესნი და უგანა-თლებულესნი და უგანათლებულესანი, სამღუდელონი და თავადნი და

აზნაურნი და მოწესენი ერნი ერთბამად დღითი დღე ვენუგეშებით მამა ნეოფიტესა, აღმზრდელსა თქუენსა, გარნა ყოველთა ნაცულად თუალნი თქუენდა მომართ, ყურნი და სულისა გონებანი მოქცეულ ქონან და მოგელისთ, არათუ გუამი ამისი, არამედ სული, რომელსა ვპირდებით დილისა ჟამსა ესერა შუადღისა ჟამსა მოვალსო თქუენი აღზრდილი, და შუადღითგან მიმწუხრი და ღამითგან განთიად და მოვახსენებთ მოსწრაფებით მოვალსო და ესე ვითარისა ნუგეშითა ცუცხლდების მოლოდინითა თქუენითა იოანე, კაცო პატიოსანო, იწყება ნეცითგან შინაგანისა. სვინდისითა თქუენითა ნებისა თქვენისა შეერთება სჯულსა თანა ღუთისასა და აღასრულეთ სათნოება ღუთისა და მოვედით და მიიღეთ კურთხევა ჴელითა ამა არხიმანდრიტისა ნეოფიტესითა, რომლითა უხილავად ღმერთი აკურთხევს სულსა და ჴორცთა შენთა, რომლისაგან ყოველნივე არჲცა ჰყო წარგემატების სათნოებისა აღსრულებისა ღუთისათა. აჰა, განუსვენე ცეცხლებრივ სიყუარულსა ამის მოტყინარესა, რომელ საღმრთოდ აქუს თქუენდამო: აჰა, თვთვე უწყით უტყუველისა პირისა მეტყუელება, რომელ სნეულისა მომვლელნი საუკუნოდ მარჯუენისა ნეტარებასა მიიღებენ და არა მიმხედნი დაწყევასა გეენიასა შინა. სძლიეთ სამთა დიდთა მტერთა. რომელნი გვებრძვნან: პირველ ჴორცნი ჩვენნი მარცხულ წადილიანი მეორედ ეშმაკნი ტკბილთა ნეტარებათა მწარედ დამდებელნი: და მესამედ სოფელსა ბოროტზნეობასა ზედა დადგომისა.

იხილეთ კაცი ესე სამკაული ივერიისა ეკკლესიისა, რომლისა მდგომარეობა მოგვიყვანს სანანულად და იწყებ ვედრებასა ღუთისა მიმართ განრინისათჳს განსაცდელისაგან ესე ვითარისა თავისა თჳსისათჳს. აჰა, აღუსრულებ უკანასკნელნი თანამდებობა, რომლისა სული მღვიძარე იყო თქვენისა აღზრდისათჳს და გონება კეთილდღეობისათჳს და გულისჴმის ყოფა უმჯობესისა შეძინებისათვის თქუენისა; ენა ამისი გრწთიდა სადთოდა, ჴელნი ამისი გზრდიდნენ ჩვილობისა, უსივრობისა, ნინველობისა, ყრმობისა, და აწცა ჟამსა ჭაბუკობისასა, ფერჴნი ამისნი ვლიდენ მორეწად სარგებლობისა შენისათჳს: ყურნი ამისნი იყუნენ განრთხმულ შესაძინელისა თქვენისა სმენად. ეგრეთუე მცნობთა და მწყალობლებთა განაღვიძებდა მაღალთა და მდაბალთა ჩუენდამო კეთილმოსწრაფეობად: დაილოცვიდა თქვენისა დღეგრძელობისათჳს, რომელი მოგელის სულითა, არათუ მოუაროთ: არამედ მიიღოთ მადლი ზეგარდმო და არა გამოსჩნდეთ მსგავსად უდაბნოსა ზედა ისრაელთა ერისა, რომელთა თუალნი მუნვე დაჰსცვივდა თვნიერ ისო ნავესთან და ქალბსი. მოიხსენეთ ყოველნივე თქვენთჳს აქვს, მოღუაწებულნი შთასაბარებელად თქვენდა, რაღა ყენება არს, რომელსა ზეცისა შეგძინებისთ მადლი, და კურთხევა და ცხოვრება მრჩობლი, რომელი მოსვ-

ლითა თქჳჱნითა, ერთბამად მიიღებთ: აჰა, თვთ ეშმაკმანცა სწამა იობისთვს წინაშე ერისა, კაცმან საუკუნოსა ცხოვრებისათვს ტყავნი. ჴორცნი და ძჳალნიცა თვსნი დადნობად ჯერ არსო ტანჯვით, თქჳჱნ არათუ გევნებისთ რაჲმე, არამედ ორკერძოვე მდიდარი იქმნებით.

აჰა, თჳალნი მისნი უსულოდ არიან მოლოდებისა გამო თქვენისა. რომლითა გჰურეტდა დღესა შინა მრავალთა ობლობისა თქჳჱნისა; ენა ამის მოკლებულ არს, რომელსა კეთილსიყჳარულითა ძვრიდა თქვენდა მიმართ განძღომად საზრდელებითა სულიერისა და ჴორციელითა ჴელი ამისი მოკლებულ არს, რომლითა მოგიქცევდა საზრდელთა, ფერჴი ამისი ცხედარსა ზედა, რომლისა სვლითა მოგირეწდა საზრდელსა დღე და ღამისასა. აჰა, ესერა ქონიესთ ნიშნი დიდნი, რომელსა მოგელისთ კურთხევად; რათამცა მიაწიოთ სიბერესა შინა და იქმნეთ კურთხეულ ესე ვითარისა აღმზრდელისაგან აჰა, ღჳთის მოშიშნო ბერძენნი და რუსნი და ქართჳჱლნი უცნაურისა სნეულისაგანცა მიმღებლობენ კურთხევასა, რაოდენ თვსისა აღმზრდელისაგან და უფროსღა საღთო გჳამისაგან და მოხუცებულისა და ესე ვითარისა პატიოსან ღირსისაგან და წმიდად ალსარებულისა ივერიისაგან და ერთბამად ახლო მეცნავთაგან.

ეგერა თვთჳჱ უწყით, წარწყმიდა ქამმა და ესავ და რუბენ და ისმაილ კურთხევა გჳამებთა მათგან ღირსთა, რომელთა თესლნი ჯერეთცა ბნელსა შინა არიან და თვთ გეენიასა შინა არიან. ეგრეთჳჱ ახალსა შინა იგი დიდმა და ნიკოლაოზმან ანტიოხიელმან, რომელნი გარდაიხერგნენ გეენიასა შინა; აჰა, კერპებთა მსახურებანი ორსახედ არიან ე. ი. გარეგანნი კერპნი არიან ჴელით ქმნილნი, რომელთა მსახურებენ წარმართნი. ხოლო ქრისტიანებთა კერპი არიან შინაგან სულსა შინა, რომელსაცა აქჳნდეს უგუნურებითი და უმეცრებითი ურჩება იგი მსახურებანი არიან ეშმაკისა. გინა უსვინდისობა და უმადლოება ანგარება და გჳრიობა, უყუარულობა აღმზრდელისა და შვიდნი სასიკჳდინონი ვნებაები.

მშობელთა თანა აძსთ მსახურება შვილთა, რათა კურთხევა დაიმკვიდრონ, გარნა აღზრდილთა ობოლთა უმეტეს თანა აძსთ უკანასკნელისა ვასხისა გარდახდა აღმზრდელისა მიმართ, რომელსა არა ეშობოს და ზრდიდეს სიყჳარულისათვს ღჳთისა და მოყჳსისა; იხილე თქვენდამო მსურს დიდ ფრიად წყალობა და მადლი ღმერთ მამისა ზეცათასა, რათა არა შეხვიდეთ განსაცდელსა: ამისთვს დავშვერ თქვენდამო ესოდენისა ავთრათისა მოწერად, რომელი თვთ მამა არხიმანდრიტმან მიბრძანა ამად, რომელ თვთ არღა ძალუძს მოწერად საშინელისა ამა

სენისაგან, რომელსა სისუსტითა მარჯვენეცა უთრთის უმეტეს სარეკელისა საფქველისა.

თქვენი მლოცველი მ. მ. მ. იონა მკდოვანი.

გვედრი უფალო იოანე[2], რათა უნეტარესისა წინაშე ამბორისყოფით მოხსენებულ მყოთ და მოახსენე მშვიდობით ბრძანება ერთბამად, უმაღლესთი, უგანათლებულესთი. უგანათლებულათი, გარნა ყოველნივე ვსურვიელობთ მაგთათვის უნეტარესობის მრჩობლ კეთილად სუფევისა.

1826 წელსა. მაისის 15 დღესა.

**№ 80**

**(1826 წ) წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

თქუენო მაღალ ღირსებავ, უმოწყალესო ხელმწიფევ, მამაო იონა!

მამაო სულისა ჩემისაო!

ავთრათი თქვენი ზეციური სავსეთ შედრგენილი განსხვავებისათვის სულისა სხვათაგან და ბასრებითი წინაალმდეგ მეტყველთადმი მივიღე, რომელმან აღადგინა და განახვნა ძალნი სულისანი ჩემისანი ზრახვად მისთვის ესე ვითარითავე ხატითა, ესე იგი თანახმად თქვენდა:

1. ზრახვა ლოქისა სულისათვის დიდ ფრიად მცდარ არს, თუ სადამე იტყვის სხეულევანად ანუ რთულად და ამასთანა სხვანიცა მეღროენი მისნი სჯიან დიდ ფრიად უნაყოფოდ, რომელსა ვუწოდთ ჩვენ სულადო, იგი იზრდების, მოხუცდების და ივნებისო, ვითარცა ხორცი: ლოქი ჰსჯის — ყოველნი არსებანი იბადებიან ერთ სახედ თვისთა წინა ნაყოფთაგანს. ცხოველი ცხოველისაგან, პლანეტი პლანეტისაგან და სულნი სოფლის დასაბამითგან იმყოფებიან ორლანოებრთა დასაწყის ნაყოფთა შინაო, სხეულისა თანა არს—ერთისი იბადების მსგავსისა თვისისაგანო და მათთანა სცნობს ავსა თვისსაო, უკეთუ ჭეშმარიტად მან მოუთხრა თვის კერძო სრულიად სული თვისი მისცემია სიბნელესა და დიდ ფრიადსა სულისა სუსტობითა საუკუნოსა სატანჯველსა.

2. განცოფებულისა კაცაკისა მის ვოლტერისა სიტყვა არა შესარაცხ არს წინაშე სულისა მქონისა კაცისა და მაღლისა მკვირთხებელისა გონებისა ზეცად, ვინაიდგან ისტორია მისი სისტემასა შინა ფილოსოფიისასა მაცნობებს, რომელ იგი არა რაისა განმრჩეველ იყო. არცა უწყოდა კაცი, არცა სული, არცა ხორცი, არცა შემქმედი და არცა შექმნილი, ვინაიდგან არა განასხვავებდა მათ ურთიერთისაგან და ამათ

ირწმუნებითა თვისითა შთავარდა უწმინდურობასა შინა ესაძაგელ-შესარაცხად ყოველთათვის სულისა მამტკიცებელთა, მისთანამზრახველთა რუსსო და მარკიზ დარჟანმან უდრეს ავნეს, ვიდრეღა მისცეს სარგებლობა თვისთა განზრახვითისა დეკლამაციითა, იხილეთ. თუ ესე ვითარნი მარცხენა მზარხველნი და მეტყველნი ამავე ნივთიერსა სოფლისა შინა დასჯილად გამოჩნდებიან, ყოველნი ტარტარანი ტარტარად მიიქცევიან და ჩვენთვის კაცაკ ზრახვად დაშთებიან.

3. ხოლო კაცი ჰგრძნობს ყოველთა მხარეთა შინა და ყოველსა შინა დროსა თვის შორის განხვნასა ამაღლებულთა ძალთასა გონიერისა სულისასა, სრული ნათელ ჭეშმარიტებისა სოფელს შინა მკვეთებელ ცად ბრწყინავს ყოველსა მდგომარეობასა შინა და ჰსცნობს გონიერებასა, ამოვნებასა და გრძნობილებასა, რომელნიც გამოცხადდებიან სხვა და სხვა ხარისხსა შინა, სხვა და სხვა სახესა, მარადის დაწესებულთა ჰსჯულითაებრ თვისისა ნათესავისათა, სადაცა მოკიდულად ხარისხსა შინა დადგენილ არიან სოფელნი, ქვეყანა და მთავარი კაცი მას შინა, სულმან დაჰბადა ყოველივე ხილულნიცა და უხილავიცა, სხეულიცა და უსხეულოცა, ქალაქიცა და მეფეცა, რთულიცა და მარტივიცა — ხორცი და სული, უკეთუ უკანასკნელ შეინანა ვოლტერმან თვის შორის. მაშა სარწმუნოებამან მისგან აცხოვნოს იგი.

4. უკეთუ ვიეთსამე კაცსა შინა არა შთანერგულ არს ჭეშმარიტება, კეთილობა და მაღალი გრძნობილება. არამედ წინაამდგომ არს იგი შემჭვალული ბიწისა ანუ ესრეთ ვჰსთქვა — არა მეძიებელ არს ცისა, არამედ ქვეყნისა. იგი მარადის მეცადინეობს ანგაარებათა შეიძინებისა ნივთთასა განმდიდრებად თავისა თვისასა და გაზრდად მის მიერ, ხოლო მარცხენისა მეძიებელი, თუ არა ცრუობითა რაისამე და ტყუილისა მოთხრობითა, სხვა გვარ ვითარ ძალუძს სოფელსა შინა გამოჩინება და ესრეთ პირველთა წარმოჰსთქვეს სული სხეულად, ხოლო მეორეთა სხეულები სულად, ხოლო ესე აზმნობა მათი ერთ კერძოდ არ ღირს პასუხგებად მათდა. ვინაიდგან ვჰგონებ თვითვე უწყოდენ ორსავე არსებობა და ვითარცა თქვენ მამცნებთ, შემჭვალულნი დემონთანი სიმდიდრისათვის ჰყოფენ თავისუფალნი იგი მზახველნი ესეთსა შესწავებასა ერთადმი, ვითომც ახლისა რაისამე გამომცნობელი ანუ მპოვნელნი და აღიმაღლებენ წინაშე უგუნურისა კაცისა თავსა თვისსა.

5. შეუძლებელ არს სოფელსა შინა. რათა ყოველთა საგანთა აქვნდესთ იგივეობა. მიუცილებლად სხვაობენ ურთიერთისაგან, არა თუ ყოველნი, არამედ ორი არს ერთი და იგივე. ვინაიდგან უკეთუ იყვნენ სულნი. ჩვენ ვჰსცნობთ ნივთებად და წინააღმდეგ ჩვენსა ვიეთნიმე იტყვიან სულებად. ამინ ურთიერთა შორის შეირყინებოდნეს საშსახურისათვის და ხმარებისა, ვითარცა სულისა ჩვენისა ორ-

ლახებრი სხეული ითხოვს მათგან ხმარებასა, უკეთუ არა იყოს ორ-ლახებრი სხეული, არცა შესაძლებელი იყო განხილვად შინაგანთა ჩვენთა წარმოდგენათა და გარეგანთა, ყოველი ფორმითი მოქმედება სულისა ჩვენისა მდგომარეობს მატერიალთა ზედა. უკეთუ არა იყვნენ მატერიალნი, არც იქნებოდნენ ფორმანი, მაშასადამე, ორნივე საჭი-როდ არიან.

## № 87

## 1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ანდრონიკოვისადმი

ქრისტე აღსდგა!

მაღალ ბრწყინვალეო უფალო ანდრონიკოვ იოანე[1] მაიორო ქრისტე ღუთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო.

აჰა, თუმცა დაყენებულ ვიქმენ თქვენ მიერ მოწერად წიგნისა უპასუხობისათჳს, მაგრამ რაჲ სიყუარულსა რომელსამე ივერიისა გაყინებულ ჰყოფენ სიშორენი თუალებთანი, გარნა სიყუარულსა ევროპიისასა ატფობენ სკოლანი და აკურვებენ ეგზამენიანი, ამად, რომელ თანამდებობანი ორნი არიან ე. ი. სიყუარული ღუთისა და სიყუარული მოყუსისა ეგრეთ ვითარცა თავი თჳსი.

აჰა, ესერა მე მრავალგზის მოგწერე წიგნები თვთ თქვენისავე საქმისათჳს, გარნა ყოველნივე იგი წიგნები მიცემულ იქმნენ ოთხსავე სტიხებად ე. ი. წყალი წყალსავე, მიწა მიწასავე, ჰაერი ჰაერსა და ცეცხლი ცეცხლსა და რაჲღა ვსთქუა.

ესერა უფალი შალიკოვი[2] შემთხოვდა თქვენისა ხუასტაგისაგან რაოდენთამე რიცხუთა, გარნა მე ვინაჲდგან თქვენი სიტყუა და წერილი არა მქონდა არა რაჲ გამოვამჳე ორასსა მას რიცხუსა, მხოლოდ ათი თუმანი მივეცი ჩემი სახელსა ზედა და მით მოვიშორე, ე. ი. ემართა ჩემი ათი თუმანი და შეუნდე გამორთმევა და მიუთხარ თქუჱნ სახელსა ზედა მიცემა. ხოლო ხუასტაგი თქუჱნი უძრავად არს. ორასივე თუმანი ორს შაურად ე. ი. თთუჱში ორ თუმნად წელის იანუ-რიდგან. ოდესაც მოითხოვთ მზად იქმნების იგი ხუასტაგი აღთქმი-სამებრ მის კაცისა, რომელმან მიიღო ჩემგან და მაქუს წიგნი მის კაცისა. ესე ვითარისა კაცისა ჴელთა შინა, რომელსაცა თჳსიცა არა ჰშურს თქუჱნთჳს, მეორე ესეცა მოიხსენეთ ბატონიშვილს დედა თქუჱნს მარიამ[3] მოეწერა წიგნი ჩემის ძმის წამოსვლისა. მე მაგათ შვიდი წელი ვსწერე მიბარება და არა ქმნეს. ახლა თჳსისა ნებისა-

მებრ მოდის და არცალა წამოსულასა მწერს. ესერა ვუწყი რასა ჰგავს. ღმერთმან განაგოს უმჯობესი მე უბრალო ვიყო, უკეთუ შეემთხუას რაიმე ვნება და დაკლება თქუენ მოწამედ ბრძანდებოდეთ. მე არა დამიბარებიეს. სამი წიგნი მოვსწერე და არავინ წამოვიდეს. მესამე ესე დოდაშვილს სტეფანეს[4] წიგნი მოვსწერე, არა ვუწყი წერილო თქვენგან წიგნები თუ არა.

სოლომონ მრავალს მადლობას გიძღვნის მაშინდელის წარგებისათვს სახლის დაჭერისა. ეგრეთვე ადამ[5] მოელოდა წიგნსა თქვენსა ფორმიანსა გარნა ჯერეთცა არა არს.

თქვენი მლოცველი იონა მღუდელ
მონოზონი მამა მკდოვანი ვჰგიე
უმწუერვალესსა სიყუარულსა
შინა თქვენდამო გულითადიერ.
1826 წელსა მაისის 15 დღეს.

## № 88

### 1826 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო მამაო მოძღვარო იონა, უმოწყალესო ხელმწიფევ!

ფიზიკო მატემატიკებრი ავთორათი თქვენისა მაღალ ღირსებისა მივიღე, რომელსა შინა ვისმინე მაღალნი ტალანტნი გონებისა თქვენისანი ზეგარდამო ნიჭებულნი გამოხატვთა უძლურებისათვს სრულიად შემცველისა ერთისა ყოვლადისა სხეულისა, სხუა და სხუა სახეებრ, კერძოებრ და შევემეცნ გარდამოცემულისა გარემოებრ ყოვლით კერძო მოქმედებისასა, ესე იგი ვითარცა ფიზიკებრისა სჯულისა შედრგენასა შინა კაცისასა. ეგრეთვე მატემატიკებრისა მოქმედებასა განფენილებასა შინა, რომელთა გამო დამერთო დიდ ფრიადნი მწუხარებანი მომეტებულ მწუხარებასა ზედა მათ კუთვნებათათვს გარეგანთა მავნებელთა, მასთა შინაგანისა მდგომარეობისადმი გარდამეტებულად შესრულთა მისსა, რომელნი გამოვალნ მქისენი, ურგებნი, გინა მავნებნი მატერიალნი საშუალებათა გრძნობათა კაცისათა, რომელთა გამო მოჰკლებიათ ძალნი მოძრაობათა ალვსითა ძარღვთა, ძარღვაკთა, მუსკულათა და სხუათა; გარნა მტკიცე მსასოებელი შიდისა წმიდათასა მოხარულ-ვარ ერთკერძ თქვენსა და ჩემსა მხოლოდ კორცისა უძლურებასა და სისუსტესა და არა მას შინა მთავ-

რისასა, უმაღლესი და უდიდებულესი ძალი. ყოველთა ძალთა დიდ ფრიად გვჰსწყალობს. ვინაჲთგან ესე ვითარისა კორცისა მოუძლურებითა უმეტეს მორჩილებს სულისადმი და სულსა უმეტეს და უმეტეს განაცლიერებს და განუმტკიცებს მოქმედებასა და გრძნობასა მისსა. ხოლო ჩუენ მოგუანიჭა გონებამან გონებათამან ნუგეში და მოთხინება ლოცვსა და დიდებისა მის მხოლოჲსა და უშორეს საქმენი თქუენნი, რომელთაცა მე კჰგრძნობ წარსდის უკუნისამდე. გაჰყავით (იგი) ცხოველობითსა ცხოვრებასა შინა.

მაღალ ღირსო მამაო. ჩვენ განვჰსაჯეთ ქვეყანისა ცალიერება მატერიათა შინა. ვითარცა იხილვების შეკითხვასა მიგებასა ზედა თქვენსა და აწ უკჳ მივმართავ ყურადღებასა ჩემსა მცნობელი ქუეყანასა ზედა ცალიერობისა სულთა შინა არსა ანუ არა? კითხვასა ამას ზედა მოკლედ ვიტყვი მამაო!

ცალიერობა არს ადგილი ცალიერი, ხოლო სულთა და ანგელოსთა არა ძალუძსთ ადგილისა ქონებად და არცა მოძრაობისა, არამედ მოქმედებისა, ვინაჲგან, მაშასადამე არცა სულთა ანგელოსთა, ჩვენთა და დემონთა არა ძალუსთ ცალიერობისა ქონებად. მამაო წმიდაო, დასასრულ გთხოვთ, რათა ინებოთ და გამობრძანდეთ ვასილისა პალაკში მეათორმეტესა მწკრივსა შინა საქმისასა რაჲსათჳსმე.

თქუენი მაღალ ღირსების ჭეშმარიტისა პატივისცემითა მორჩილი
მოწაფე სოლომონ დოდოევ.

## № 80

### 1826 წ. 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამაო იოანესადმი (დოდაშვილისადმი)

ქრისტე აღსდგა.

მაღალ პატიოსანო მამაო წმიდაო იოანე!! წმიდას მარჯუენეს გეამბორებ ქრისტე ღუთისამიერ შორით თქუენდამო.

ესერა ქრისტეს აღდგომასა მოვმლოცველობ თქუენდამო საუკუნესა ცხოვრებისა მომნიჭებელსა. მოიხსენეთ: წიგნი თქუენი მოვიღე აღვსილი მადლითა და კეთილ გულისხმიერებითა და უწმიდესისა სინოდისათა, რომელი ატკბობს სასმენელთა სულისა ჩემისათა: ეგე თქუენნი ზრუნვანი სულისა თქუენთჳს რაოდენ ბუნებითნი არიან და უმეტეს საღთონი, რომელ სიტყვსამებრ წ. პავლე მ. არა შვილნი ურჩევენ მშობელთა. არამედ მშობელნი თჳსთა ძჳსთათჳს განი-

ჯფდებიან ლოცვითა და მარხვითა წინაშე ღუთისა, რათამცა სახიერმან მოსცეს დღენი და წელნი ფსალმუნისამებრ და ნიჭნი და ტალანტნი საღთონი.

ეგრეთუჱ უკანასკნელთა ჟამიერთა საცხოვრებელთა წარაგებენ. რათამცა ჟამიერისა მონაგებითა განამდიდრონ დაუსრულებელისა სასწავლებლებითა ზეცისა და ქუჱყანისათა, რომლითა შვილთა სწავლულთა ძალედების, მშობელთა და მაშრუალთა გამოზრდა. ეგრეთუჱ საუკუნო ცხოვრება პანაშვიდებითა და მსხუჱრპლითა და ლოცვითა და გლახაკთა ზედა მოწყალებითა, და რაოდენთაცა შვილნი სწავლულნი კეთილთა იმოქმედებენ ღუთისა მიმართ და თავთა თჳსთათჳს და მოყუასთათჳს და მამულთათჳს. იგი ყოველნი ათეულნი მშობელთა მიეცემიან ზენასა საუნჯესა შინა სახიერისა ღუთისაგან. ჯად მიუწერს წმიდა პავლემ ტიმოთეს მშობელნი შვილთ სხმ-საგან ცხონდებიანო საუკუნოდ აღმზრდელნი, არა მხოლოდ პურითა და წყალითა, არამედ სიტყვითა ღუთისათა, რომელნი გამოვლენან პირისაგან ღუთისა ე. ი. ძუჱლნი და ახალნი აღთქმანი, ამისთჳს საშკოლო სწავლანი მსახურ და გასაღებ საღთოთა წერილებთა არიან და ღუთისმეტყუჱლებისა. ამისთჳს კეთილმსახურნი ბერძენნი და რუსნი სძისა თანა წერილთა სწავლათა აგებენ ჩჩვილთა და ჩჩვილათა, უსუვართა და უსუვარათა, ნინველთა და ნინველათა, ყრმათა, ყრმათა, ჭაბუკთა და ჭაბუკათა რათამცა ჯოშობის წელთა შინა უმეტეს შეყუარონ ღმერთი მამა და ჭარმაგობისა დროსა შინა იქმნენ განძლიერებულ და მკცობასა წელთა განმკნობილ და მოხუცებულებისა ჟამთა გახმზადებულ. და მიხრწნეულებისა დროთა აღვსილ საუკუნოსა საუნჯითა.

მე რაოდენთაცა სულითა ვზრუნავ შვილსა ზედა თქუჱნსა, ესე თანამდებობა არს ჩემი ზეგარდამო სულსა შინა ჩემსა ტალანტნი და ნიჭნი არიან განსაქმარებელად შინაგანისა გარეგან, ხოლო გარეგანისა მოგებულისა წარგებანი ესენი ნივთნი არიან მიწით გამოღებულნი. და ესენიცა ზეგარდამოვე მონიჭებულნი არიან, რათამცა წყალობითა მაღლისათა უხრწნელნი მოიგებოდენ დასასრულ სულითა საღთო სიყუარული და ნივთებითა წარგებანი ესე ორსავ ძალნი ზეგარდამო მოეცემიან კაცად კაცადსა. ღუთისაგან მაშასადამე, მადლობა ღუთისა მიმართ თანა გუაძს, მეცნავთა კეთილთასა, თქუჱნ შეგთხოვ, რათა მკვდოვანი სული ჩემი გეხსენებოდესთ და სამკუჱთლოსა და წინაშე საყურთხეველისა, რათამცა ვჰსცხონდე.

მოიხსენეთ: ძე თქუჱნი სოლომონ[2] სულით არს ტალანტებიან და მდაბალ და მშვიდ და ზნეობითა პატიოსან და ხარაკტირებითა ნიშატიან[3], აღთქმათა შინა და სიტყუათა მტკიცე უტყუვილ ღუთისმსა-

ხერებასა შინა, განკრძალულ სწავლათა შინა, მარჯვე განათლებულთა, სამღუდელოთა, და ერისა მოყუარე, მამულისა სამსახურისა მოსურნე, მყუდრო ცხოვრებისა მოყუარე მსგავსად მეშხოლოეთა. მცირეთა მეტყველ, მრავალთა კეთილთა სიტყუათა მსმენელ, საჭმელითა მცირეთა კმაყოფილ, სამთრუალო სასმენელთა არცაღა მომგონებელ, კნინისა ძილის მექონ წიგნებთა შინა განრთულ ჟამებისა არ წარწყმედელ ყოვლადთა სიტყუებთა და საქმეთა მარჯუედ მსჯელ, მყოობადთა დროთა და საქმეთა და შეხდომათა კეთილ გულისხმიერ მსჯელ, რომელი მცირეთა დროთა შინა ფილასოფიისა და ღუთისმეტყუელებისა კლასებთა ზე ახლა გასაკვირვოდ აქაურთაცა, და არს შეყუარებულ სწავლისა მთავრობათა, და მასწავლებლებთაგან ესე ვითარი მამულისა შვილი პური სიბრძნისა, ვინ მეცნავმან ბრძენმან არ შეიყუაროს, რომელსა გოლი მოსწვეთს ბაგეებთაგან და მანანა თითებთაგან ქარტებსა ზედა, ზემო ყოველთანა სულიერი ძე არს ჩემი, რომელი მკაცრად მეცადინეობს ნებისა ჩემისა აღსრულებასა ე. ი. სიყუარულსა და შიშსა ღუთისასა და მოყუასისასა და სწავლათა საკლასოებთა გემებასა დღე და ღამე.

მამაო წმიდაო თთუესა იანვრისასა დღითაგან იწყო სნეულება, რომელსა არა აქუნდა რული დღე და ღამე და ოდეს ჴელისუქმნელისა ხატისა ზეთი კანდელიდამ ვჰსცხე მარჯუენესა ყურსა ზედა, მყის განეხსნა და სდის ვიდრე აქამომდე სდის წათხი ზრქელი ნოტიო: გარნა კლებაში წარვიდა ჟუჟლი იგი მადლობა ღმერთსა. იხილეთ წმიდისა ანტონი მარტომყოფელისა დღეს ვჰსცხე ზეთი იგი ბაზმაკისა. და კნინღა და სასწაულითარე განთავისუფლდა ჴელით უქმნელისა ხატისაგან და მეოხებითა ანტონი მარტო მყოფელისათა. ილოცეთ ამისთჳს, რათა უძვირფასეს სიმრთელე მოსცეს სახიერმან.

მოიხსენეთ: მამაო წმიდაო სოლომან[4] ჩემის ძმის წარმოსულასა, შეგთხოვ დაუშალოთ, რომელ არა წარმოვიდეს, მომწეროს, რაოდენიცა ჩემგან შეიძლება გამოუგზავნი ფულსა და თუ აქ წარმოვიდა სამიათასი ვერსი წინაშე შეემთხუევა და სამი ათასი შემდგომ ექვსი ათასი მოუვა ორასი თუმანი არ ეყოფა გზისათჳს; ამათი უმაღლესობა წარმოსულას აპირებს მე მოძღუარს თან წარმომიტანს ეგ ვერღა მნახავს, მამა ონისიმესაც[4] მოვსწერე თქვენს შვილს სტეფანესაც მოვჰსწერე, თქვენც გვედრი მომწერეთ და გამოუგზავნი ჩემს სახელსა ზედა აგარაკისა მოსავაჭრებელსა ფულსა. არ წამოვიდეს სოლომონ ანუ გიორგი, ჩემი წიგნი სოლომონთან გამოგზავნეთ ესე სოლომონ მე წარმომიგზავნის სადაცა ვიქმნები და მაგათ ფულს გამოვუგზავნი. ნოვალოპიდამ გამოვალ, თუმცა მაგათ მაწყინეს, რომელ შკოლაში არ მისცეს სასწავლებელსა შინა. ნება თჳსი აქენდეთ მე მოვალო-

ბიდამ გამოვედი, რაოდენ ძალმედება ფულს გამოვუგზავნი, აქ ნუ-რავინ მოვა, თორემ ინანებენ. მე უვალო ვიყო თუ აქ მოგვისწრას დედოფალი არ მიიღებს მე ხომ ადგილი არა მაქუს, თვნიერ დედო-ფლისა არ ძალმედების მიღება.

თქვენი მლოცველი იონა მ. მ. მ.

1826 წ. 15 მაისი

**№ 90**

**(1826 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა ვინმე ხუცეს მონაზონისადმი (წ. მპ. სადმი)[1]**

სალთო პატიოსანო მამაო წმიდაო თაო ჩემო იონა მკდოვანი, ქრისტე ღვთისა მიერ შორის თქუენდამო გეამბორები ხუცეს მონა-ზონი გულითადიერ.

აჰა, თქუენი ავთრათი მომებოძა იკრიკის[2] 30 სა, რომლითა ვიქ-მენ მხიარულ, რომელი მიცხადებს პასექისა ახლისა ყოვლისა შემ-ძლებელობასა და სიბრძნესა მას ღვთისა ძალსა. ამად, რომელ გო-ხება უკუნითი მყის თანა არსისა სიტყვისა მექონ არს. რომლისაგან ძილან, და გუშინ შექმნა საუკუნენი. მანვე გონებამან მყისვე თანა ცხოველ სულითა ცხებულ ჰყო სიტყვა თვსი განართაულებითა და ესე ვითარის მაუწყებელისა ცხოველ მყოფ სიბრძნითა პირი მეორე არა შიშუელ არს და მიღებული არა ლიტონ, ამის ძლით იოაკიმ და ანნა მშობელ დედისა ღვთისა იქმნენ.

ესერა მიერთაგან დიდისა ზრახვსა ანგელოსი[3] ეწოდების ძესა მხოლოდ შობილსა ზე უდედოსა, და ქუე უმამოსა ორგზის პირმ-შოსა, რომელმან წელსა სამსა და ნახევარსა ყოვლად წმიდა ნება ღმერთ მამისა იქადაგა და იგემა სიკვდილი პირუელისა წყევისა ქუერთულითა და ესრეთ მოიხილა ტყუენი ორგან განკუეთილნი ე. ი. მუნ მისრულმან ქუესკნელი სულითა და რთულითა საფლავნი სიზრქითა, და ვითარცა თვსი განუშორებელნი უხრწნელად აღმიყუა-ნა. ეგრეთვე ყოველნი ღირსნი აღმოსლვისანი აღადგინა. და აღი-ყუანა ზენა იეროსალიმსა შინა. რომელნი მრავალთა გამოეცხადნეს ე. ი. ზენა მთავრობათა და ჴელმწიფებათა, და ეგრეთ განცხრებიან ზენა ეკკლესია ნათელ მეორენი და მესამენი შეუქმნელსა ნათელსა შინა. რომლითა სჳკრობენ ღვთაებასა, რომელთა ჰკურ დაუსრულე-ბელ ცხოველობად და არსებისა და ბუნებისა მათისა განმტკიცებად სამწმიდაობისა გალობაა დაუცხრომელად მოუწყენელი.

ამაღ გმადლობ მამაო წმიდაო, რომელ ესე ვითარსა დღღოფალსა დღესასწაულებთასა მომლოცჳლობთ ჩემდამო, თუმცა წარგზავნილ ა შემდგომ, გარნა სიყჳარული წუნისა გამოუცდელ არს. კუალად ყოველნი კეთილნი ჟამსა თჳსსა უკეთილეს არს, რომელსა უჴდების სამ-ნი დიდნი სატანანი. ე. ი. ჴორცნი და ჴორციელნი ეშმაკი, ჯოჯოხეთიერი და სოფელი ფიზიკური ამაო.

მოიხსენეთ ეკკლესიისა ანგელოზ წოდებასა მწერ, უკეთუ ესე ესრეთ არს. ზეგარდამო არა თუ ნათელმესამეობაა. არამედ ნათელ მეორეობაა, რომელნი განცეცხლებულ არიან. დიდ ფრიადისა სასტიკიანისა სიყვარულითა, და მძაფრისა მოუკლებელისა მსახურებითა, რომელთაგანი გაბრიელ წმიდა მთავარი ანგელოსთა ღირს, იქმნა ხარებად დიდისა ღვთისა ქჳეყანასა ზედაცა ძედ წოდებად, დაპირდა პირმშოდ, ვითარცა დამბადებელობითა. ეგრეთჳე განახლებითა ახალცად და ახალ ქჳეყანადვე და ესე ვითარითა მახლობელობითა ღვთაებისა შორის ნებაცა მისი უწყიან ექუს ფრთოსანთა და უმეტეს მან უწყის, რომელსაცა გამოეცხადების საიდუმლო მიუწთომელი, გინა შთამოსლვა მფარჳელად ეკკლესიათა, მონასტერთა, ქალაქებთა, დაბებთა, სოფლებთა, სანახებთა, და თითოეულთა საყდართა, რომელი ვართ თითონი პირნი და ურთიერთ წევრნი, რათამცა პირისა ქრისტეს ერთ სახე გჳამად შეგჳანაწევრონ შჳდ საიდუმლოებისა ორძილობისა დამყნობითა ცხრა ნეტარებისა ბრძმედითა და ათ ნაკჳეთისა მცნებათა კიდონტთა და ათორთა სიპოვლო მრწამსისა, კავშირ საკვრელითა, და ათთა ნაყოფთა სულისა ემპლასტრო სალბუნითა, რამეთუ სულნი იგი უბღვრონი მარტივ ცხოველნი წმიდანი, ღმერთ სულისა ზესთა ყოველთასა არიან გულითად სიყუარულითა, კნინღა და მხოლოდ თჳალებ და პირ არიან ე. ი. მჭვრეტელ და მღაღადებელ, ეგრეთჳე საღთო მჴედრისა ეკკლესიისა ჟამიერისაგან განსრულნი მუნ შეერთებულნი ნათელ მესამენი ღირსებისამებრ სასყიდელისა მათთანავე განჳცხოვნებიან ალილუიასა მგალობელნი.

იხილეთ მამაო წმიდაო ეკკლესია ქრისტე ღვთისა მჴედრად შეჭურვილი ბაბილოვნისა შერევნილისა ეშმაკეულისა ერაკისა და ეგიპტისა ბნელ მაჴირჳებელისა სატანიანისა თესლებისა და სამუილისა, ქამისა შვილაკნი და ბელიერისა ისმაიტელნი, და ესავისა ღჳარძლნი და ლოთისა ჯერკუალნი, და ებრაელთა გარდატეხილნი, და წარმართნი ტოზიკელნი. და ერთბამად ბზენი დასაწჳელნი და ეიერეს ერატიკოსნი ასო დაშპალნი და გასხლულნი ჩჳენგან და სრულიად ქჳშანი უკეთურნი, გჳლნი, ღრიალკალნი და ძაღლნი ნაყროვნებითარე კაპასნი და მშვნვიერად მცთარნი და პირუტყულად მწომპებელნი და ქჳა გულნი. ესე ვითარნი და სხჳანი და სხჳანი

ხარაკტირებისა ე. ი. ნიშაკებისა ზემოხსენებულთა მექონნი ბჭენი ჯოჯოხეთისანი არიან, რომელთა მჴედრობა ღვთისა სუფევისაგან ქუჱნა მებრძოლი ეკკლესია ერევის, რომლისა საიდუმლოდ განმაძლიერებელ წ. ანგელოზნი არიან და ხილულად საღთონი (ხუცესნი) თანა ხუცესნი თავისა მის მოციქულისა წ. პეტრესი, რომელ თჳთ ქრისტე მღვდელი არს არსება ბუნებით. და მეფე და წინასწარმეტყუელ. იხილე ძუჱლი და ახალი არა წიგნნი, არამედ ძალნი. მაშასადამე ყოველნივე არხიერნი და პრესკტერნი ანგელოზ ეკკლესიისა და ერისა არიან.

აჰა, ანგელოზო ელინურ მომთხრობელსა ეწოდების კეთილისასა, რომელნი უწიგნოთ აღასრულებენ მახარებლობასა, ხოლო სულისა წმიდითა მემსხუჱრპლედ ხელდასხმულნი, ანგელოსნი ხილულნი, ვმღვდლობთ ორსახედ ე. ი. ლოცვთა განვწმედთ თავთა თჳსთა პირუჱლად, და მერმე მსხუჱრპლითა, კუალად თავთა თჳსთა და ცხოვართაცა ღირსთა. და გუეწოდების მღუდელ სამეფო, და ვსწინასწარმეტყველებთცა მებრძოლისა ეკკლესიისათჳს ზეცისა განსუჱნებულსა ეკკლესიასა შინა გარდასახლებასა განცხრომად მუნ.

აჰა, საღთოდ ჴელდასხმულნი ანგელოსნი მჴედრობათა მიუთხრობთ წ სახარებითა განძლიერებასა. ცხოუჱლისა ჯუარითა უძღვთ გზასა ზედა იწროსა განყუანად. ამიერით მუნ მისულად საძოვრითა ნაცუალ სახითა ქრისტესითა, რომელი ნამდჳლ ქრისტესია.

იხილეთ წ. მ. პ. განაკრძალებს უძლურთა ჰურჰლებთა, რათა ანგელოზთათჳს ფლობა აქუნდესთ. ე. ი. დაბურუა თავთა და მორცხუჱდ შემკობა, და სერისა დგომა შემდგომ მამრთა, რათა არა დააბრკოლონ მემსხუჱრპლე ანგელოსნი მქადაგებელნი სახარებისა ანუ პირუჱლად მამრთა ისმინონ და იხილონ ეკკლესიის დიდებულნი ძალნი და საიდუმლონი, დაჲ მათგან ისწაონ უსაზღვრო ძლიერებანი, და ესრეთ წინასწარმეტყუჱლთაგან წინასწარმეტყუჱლება უწინასწარმეტყუჱლონ ქმართა თჳსთა ცოლთა.

მოიხსენეთ ყოველნი მემსხუჱრპლენი ანგელოსერისა არიან' ახალ აპოკალიფსი და კნინლა დიაკონიცა. არა მეტყუჱლი ორისა, გარნა არხიერთა ათორთა მოციქულთა მადლი აქუსთ და ჩუჱნ სამეოცეაათი, დიაკონთა შჳდთა დიაკონთი, ნურა რაიმე ურვილებაა ანგელოს წოდება, რომელ წმიდათა ანგელოსთა მიბაძაობა ისურუჱს. და სურვილობენ ყოველნი ღვთისმეტყუჱლნი ანგელოსთა მობაძაობასა, რათამცა იყუნენ ზეცისა კაც, და რომელთა იგინი მფარუჱლობენ ჟამსა მკისასა იფქვლად მიყუანენ სუფევასა შინა ზეცისასა.

აჰა, კათაკმეველნი სამნი ნათესავნი არიან ე. ი. უნათლავნი შვლხი ქრისტიანეთი, ებრაელთი, და წარმართთი, რომელთა ღვთის-

მეტყველებისა სწავება, და სჯულისა, და სათნოებისა, და განბრძნო-
ბა, და შემეცნება საიდუმლოებისა და ახალცხებულებისა, და ძე-
ობა ღვთისა და ძმობა ძისა ღვთისა, და ტაძარქმნა სულისა წმიდისა
და ლოცუა ორსახე, ეგრეთუჱ მარხუა ორგუარი და საიდუმლო ცნო-
ბა ღვთეებისა არა ძალუძსთ უსწავლელთა. ესენი მოვისმინე ბრძენ-
თაგან ესე ესრეთ არსო მხოლოდ ესე ვიცი ბუნებით ქართუჱლნი,
ჴევსურნი და ფშავნი, და ჰიორა და ენისელი კათაგმეველადვე ვიცი
[illegible]ყურვალედ მეძიებელნი კატეხიზმოჲსა მასწავლებელისა. გარნა ვერ
უპოვიესთ ბრმათა თუალ ხილულნი, ამად ვარ მჰოვარ, და ურვეულ.
და შემსლბალ პირუჱლად თჳსისა თავისა უბირობისათჳს.

მოიხსენეთ მკლობელნი და გოჯებით მავალნი ქურუმნი ბალვე-
რპისა იყვნენ, რომელნი იგვრლივ ბაალისა გოჯებით ტოზიკელობდენ
თავებთა დამსერილნი, იგინი თეზბიტელმან დაკლნა, და მეორედ
შობითა თესლნი კაცთანი ქრისტემან აღმართნა, და მისცა ენა ზე-
ცისა და თუ ვინმეა ფერჯებითა სულითა მკვრცლ არიან, ვითარცა
მაღ გრ. რომელი აზმნობს უნჯებისა ფერჯებითა წარმოტრებასა და
წინასწარმეტყველებასა.

შესაკრებელისა მესამისასა წინასწარმეტყუჱლებთ. მესამე ნავსა
სახედ, ვითარცა წ. მ. პ. იგიცა ჯერ იყო მეტყველებად, რომელ რა-
ოდენნიცა მიმეხვეჰების ეშმაკისა ზირებულთაგან, მრავალ ბევრეულ
ურიცხვ მოგებების დაუსრულებელ საუნჯესა შინა ჩემი ჯერ არს
ვივნო სხუათაგან, და ვიდიდო მართლმსაჯულისაგან, გინა მომიძუ-
ლონ, ჩემგან მხილებულთა, გრძნობაებითა და ვცხონდე მათითურთ
სულითა, რომელ ცხრა ნეტარება ყოველთათჳს არს.

მამაო წმიდაო! სხუათა მეცნავთა უცხადებთ თქუჱნსა კეთილად
სუფევასა, უკეთილეს ძოლანდელისა, გარნა ჩემდამო მღუმარებთ,
მე ეშმაკთა განვიჰკითხავ, რომელთა ძუჱლნი, რომელნიმე ქართუჱლ-
ნი ურკიხებიათ ურთიერთ. რომელთა მხოლოდ პრესნი სდომიათ წი-
ლად რომელ ჰრცხნულნი თავსრა განსუენებულმან არხიერმან პაფ-
ხოტიმ დაატკბო ჰუეთელისა გოლითა, რომლითა მრავლდების, ამად
გუჱდრი, რათა ლოცვთ გეხსენებოდე, რომელმან დამაკლე ამბავი
თქუჱხი, და სოლომონისაცა, ნურლა ინებებთ ეგრეთ, სულიერ ძმაო
ჩემო და ცოცხლებით სუფევდეთ.

თქუჱნი კაბადონი ღირს იყო შთაწერად ჩემისა ცხოვრებისა
უდიანსა მოსახსენებელსა შინა, რათამცა კუალი კუამლებ ყვავილებრ
ავლებრ ძღჳრებ სიზმრებ წარმავალისა დაშთენილ იყო მზესა ქუჱშე
შობადთათჳს ცნობად. ვითარმედ ყოფილვართ ქუჱყანასა ზედა,
გარნა ვერ უძლე გამორჩევად შროშანთა მათ ხშირსა კონქებთაგან.

აჰა, ფუძენი ყოველნი კეთილნი იყვნენ, გარნა შენებულება უთანჴმო ნერჩისა[4] ანუ მე ვარ უძლე ცნობად გემოთა. შენდობა იყავნ ესე ვითარი ლიზღობა ჩემი თქუენდა, მე ვინცა ვინ მიყუარან, მათ ვაძულებ თავსა და რომელნი არა მიყუარან, მათ ვმტერობ ე. ი. გარდამოელვებულთა.

მამაო წმიდაო, ამა პირ გექმენ უმაღლესისა წინაშე და უგანათლებულესობისა და რაღა ბრწყინვალისა ლოცუათა თქუენთა მომხსენებელ. რომლისათჳს მადლობა წარმოსთქუას თქუენდამო აჰა, კელითა ჩემითა, აჰა, მაგიერ გუძღრი უმაღლესისა წინაშე გახსენებასა და უგანათლებულესებთან და ყავთ მილოცუაცა, ვითარცა ჯერ იყოს ძეობისათჳს მხიარულება.

თქუენი მლოცუელი იონა მკდოვანი.

## № 91

### 1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების სოლომონის და გიორგისადმი

ქრისტე აღსდგა!

ღუთის წყალობათა ჩემთა სოლომონს და გიორგის ლოცვა კურთხევათა მოგართვამ, წმიდას აღდგომას მოვმლოცველობ თქვენდამო სოლომონ, და სძალთა და ძეთა და ასულთა ერთობით, ჩემს ვითარებას მოიხსენებთ დიდ ფრიად ავათ ვიყავ მარტის ოცდაერთის დღითგან აპრილის ათ დღემდინ, გარნა ღმერთმან კუალად განმაცხოველა, მადლობა სახიერსა, იგი სნეულებ გაციებითა წყალობა ღუთისა იყო და ესეც განკურნება, ვითარცა ენება ეგრეთცა იქმნა. იხილეთ სტეფანე დოდაშვილს წარსრულს თთვეში მოვსწერე, ახლა მამა ონისიმესა თუ მამულს სყიდლობდეთ მომწერეთ, ფულს გამოგიგზავნი, გარნა არ წარმოხვიდე სოლომონ და შენცა გიორგი აქა, თუთ დედოფალი წარმოსულას აპირებს თან წარმომიტანს, მე ვერღა მნახავთა აქა და შიმშილი უკანვე გაგაბრუნებს ცალიერსა, ბატონიშვილებსაც არღა ძალუძსთ კაცის მიღება ვალით აღვსილნი არიან, ნუ უკუე ვერღა იხილა შოშიაშვილმა[1], რომელსა მოვუთხოვე ყოველსა დედოფლებთანა და ბატონისშვილებთან ორი თუმანიც ვერ შეუკრიბე, მაგას სომხები უფრო შეეწივნენ, სომხური მოწმობა ჰქონდა სიღნაღიდგან ეგრეთუვე ბოსტოღანაშვილი[2] მოვიდა აქ კნინღა და მშიერი არის და გაშიშვლდა წამოსულას ლამის ყოველსა დღესა და არა აქვს ასისა ვერსისაც საგძალ და ურმის ფასი.

მე მდიდარი არ გეგონო ძმაო სოლომონ და გიორგი, რაოდენიცა მქონდა მაცხოვრის ხატი შევაბეჭვდინე ექვსასი თუმანი წარეგო სუდრის ფულიდა დამიშთა. თუ მომწერთ და მიწას იყიდით, ანუ სიღნაღში დუქანს შემოსავლიანს, მე დავიკლებ და გამოგიგზავნი თქვენ ოცდაათ თუმნამდინ ვერცხლის ფულსა, მეტი არ ძალმიძს. აქ არ წარმოხვიდე სოლომონ, არც შენ გიორგი. მე არ ძალმიძს მიღება თქუენგანისა, თვთ დედოფალმა მიბრძანა: ჩემს სახლში არავის მივიღებო. თვთ ესეცა წამოსულას აპირებს მუნ სადაცა იეფობა არს ლუბერხიაში, აქ თვსი შემოსავალი არა არს საკმაო, ვალი გაუმრავლდა, თუ ეს ეგრეთ არს, მე რაღა შემოსავალი მექმნება. თქუენ განსაჯეთ, გინა გიორგიმ არ იცის ან თეიმურაზ ბატონიშვილთან რაცა მქონდა, იგიცა ვალით აღივსო. ერთი ორი ფული რაცა მაქუს სხუათა კელებთა შინა არს თვთ შოშიაშვილის საგზლისათვს იოანე ბატონიშვილმან მიიღო ჩემგან ფული და ჯერედ არ მოუცია, ვერ იშოვნა. არ წარმოხვიდე სოლომონ მაინდამ, მომწერეთ წიგნი და გამოგიგზავნით, მამულიც მანიშნეთ და ფასიც და მარიამ დედოფლის სახლში მომწერეთ, რუსულად მოაწერინეთ მარიამ კაცია დადიანის ასულობა და ჩემი სახელიცა პაკეტსა ზედა, გინა სოლომონ დოდაშვილის სახელი მოაწერეთ, ბაგრატ ბატონიშვილის სახლში გამოაგზავნეთ, იგი მიიღებს და მომცემს.

თქუენი მლოცველი იონა მღუდელ მონოზონი.
1826 15 მაისა

**№ 92**

**1826 წლის ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადს**

ქრისტე აღსდგა!

ბრწყინუალეო თავადო ქრისტე ღუთისა მიერ ლოცუათა მოგართუამ სალთოდრე აჰა, ესერა თქუენი ავთრათი წიგნი მოვიღე მაისის ა დაწერილი და ვსცან თქუენი ეგე მდგომარეობა უჩვეულო, დიდ ფრიად იწროებითი; რომლისათვს დიადი მწუხარება მოვიღე და მელმის თქვენი ეგე ვითარი მდგომარეობა. ამისთვს ვიქმენ განღვიძებულ თქუენდამო მსახურებად, გარნა კაფიად ვერა ვსცან თუ სადა და რომელს ქალაქში და ანუ სოფელში დგას თქვენი ჯარი. შეგთხოვ განცხადებულად მომწეროთ თვთ არხანგელიერი ქალაქის გარნიზონში ხართ, თუ მაგის უეზდების გამომიცხადეთ ნამდვილი და მომწერეთ აქარე პეტერბურღს. ამათის უმაღლესობის მარიამ

დედოფლის სახლსა შინა. და ოდეს მოვიღებ თქუჱნ წიგნს, მაშინ განვემზადები მსახურებად თქუჱნდამო.

იხილეთ მეფეთა გული ჴელთა შინა ღუთისა არს, ღმერთი საოთ აზრუნებინებს ცხებულსა თჳსსა შეწყალებად თქვენდა. ნუ შესლბები ურვეულებითა და კეეშანითა. აჰა იქონიეთ მარად ჟამს და პირსა შინა ლოცუა, ღუთისა მიმართ და ჴელთა შინა სამსახური რწმუნებულნი, და ეკრძალე და დაიცევ სული და ჴორცნი სიწმიდითა და დაემორჩილე ნაჩალნიკსა ე. ი. თაონსა მბრძანებელსა და შეიყუარენ ამხანაგნი და გარემონი; და ყოველნივე შეცნავნი სიმდაბლისა სიმშვიდითა, ყოველს მარხვებთა შინა იტყოდი აღსარებასა და ეზიარებოდე წმიდასა საიდუმლოსა, იმერულად არა ჯერს მოჴცევა, რომელნიმე მუნებურნი უმეტეს იმარხვენ. გარნა დაადგრებიან უზიარებელად, რომელთა ბოქოულნი იყუნენ ულმობელნი, და მებატონეხი ყოველ ტვინისა, რომელთა დაქენჯილთა ერისა სულთქმმან და ცრემლმან და სიგლახაკემან და სალმობამან აღსლვა ჰყო წინაშე ღუთისა და მიუვლინა ესე ვითარი ჴელი მაღალი, რომლისა შკოლებითა და სემინარიებითა იცნეს ღუთისმეტყუჱლობა და აწინდელსა მცირესა დროსა შინა დიდ ფრიად განმდიდრებულა იმერეთისა ერნი მუშაკობითა და ვაჭრობითა პირუტყუჱბისა განმრავლებითა და სამართლიანისა მოვლითა. რომელნი ნატრიან თავთა თჳსთა და ინანიან წარსულისა შეცოდებისათჳს პირველ დროსა თქვენსა ერთგზის მოსავალი წელიწადისა ოცდაოთხ გზის მიეკდებოდათ ე. ი. თთჳთოეულთა თთუჱთა შინა დეკემბრისასა, რომელი მეორე მეორეს დეკემბრამდის განსვენებულ არიან. რომელთა პირუჱლ დროსა თქვენსა ვისაცა მოუკუდებოდის ცოცხალი, ეგოდენ მკუდარსა არა ტიროდენ. რაოდენსაცა ჰირის უფალნი მოელოდენ აკლებასა სამღუდელოთაგან, ხოლო აწინდელსა ჟამსა ნებასა ზედა პატრონისასა არს მოკიდულ დამარხუა მკუდრისა, ეგრეთუჱ ეკკლესიაები ყოველნივე ჯუარითა, ხატებითა, შესამოსლებითა განმშუჱნებულან. მღუდელთა ყოველთავე ანაფორანი, და რომელნიცა მღუდელთა ამუშავებდნენ და მიჰკიდიდენ ნაქონებთა, აწ განთავისუფლებულან მემსხუჱრპლენი.

ერთბამად თავადნი, აზნაურნი, და ერნი უშიშრობენ ურთიერთისაგან, რომელთა პირუჱლ სატევრებსა, ჴრმლებსა და თოფებსა ზედა ედუათ ჴელნი ურთიერთისაგან იჭუნეულებითა და ღამესა შინა შეჭურვილნი დაიძინებდენ. და მეცხოვნებთა უქმად აჭმევდენ საცხოვრებლებთა სოფლებისასა. აწ არღა არს, არამედ ყოველნივე ცხოვარად შეცუალებულან და აქუსთ ოქროანი საუკუნო.

თავადნი, აზნაურნი და მღუდელნი შვილთა თვსთა ასწავებენ ღრამმატიკასა, რიტორებასა, ლოღიკასა, მეტაფიზიკასა, ფიზიკასა, ეთიკასა, ღეოღრაფიასა, მსოფლიო ისტორიისასა, სამღუდელო ისტორიასა, არიხმეტიკასა, ალღებრასა, მათემატიკასა, საჯედრო ფორტიფიკაციასა და ენებსა ევროპიისასა.

დასასრულ თქვენ შესთხოვეთ ღმერთსა, რათამცა იცოცხლოთ, რომელი თჳსსა დროსა მიიქცევით მამულადვე მიუცილებელად; გარნა თქვენ ეცადენით რუსულისა სწავლასა და კითხუა წერასა. წიგნებით აღივსო ჩვენი ქუეყანა, რომელთა შორის არიან სიბრძნე ღუთისა და ძალნი, რათა შეუძლოთ აღმოკითხუა: აჰა, თვთუე კახეთმან სამგზის შეცოდებითა ივნო, გარნა ვნებულნი, რომელნიცა მიიქცენ მამულად, ყოველნივე მადლობელ ღუთისა არიან ამისთვს, რომელ განსაცდელმან განპატიჟებულებასა ასწაოთ სიბრძნე და იგინი უუმეტეს უმჯობესად ცხოვრობენ მამულადვე მიქცეულნი კახეთში, ვიდრე მუნ შინ გებულნი.

თქუენ, რომლისა ნიჭი გქონდესთ იგი საგანი მიიღეთ სწავლისა ორმოცდა ათ წლამდის. შკოლაში ძალუძს სწავლა ყოველსა წამსა შინა მარჯვენით და მარცხენით გუემა და კუართისა განძარცუა, შიმშილი, პყრობილება, ყუედრება უნდა მოითმინოს სათნოდ ღვთისა, ბაშინ ნუ გარდამო წყალობა გარდამოუვა, ნუ შეძრწუნდებით, ღმერთი ცხებულსა თვსსა დაგიდგენს მარჯუენით შემწედ განმანთავისუფლებელად.

თქვენის ბრწყინვალების მლოცველი იონა მონოზანი.

შეგთხოვ წყენად არა მიიღოთ ბრწყინუალეო თავადო, რომელნი ზემო მოეწერე ხარაკტირნი აწინდელნი წინაპართი და არა თქუენნი. ხოლო თქვენ ღმერთმან გრიდოსთ ცუდნი უთნოებანი.

წელსა 1826 თთუესა ივნისსა.

### № 93

### 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო უფალო დოდოევ სოლომონ იოანესო!

ქრისტე ღმერთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ. ახილეთ, შენდობა იყავნ, თქვენი ავთრათი მოვიღე ჟამსა ზაპილობისა ჩემისასა ე. ი. კორცთა დიდ ფრიად უძლურებისა ჩემისასა, რომელსა

ოფლნი სისუსტისანი გარეგან გამოწნეხელობდენ ფიზიკურ სიცოცხლისა ნოტიოთ. და მედრიკებოდენ ყოველნივე სადრეკნი უნებლიეთ ჩემსა, ეგრეთვე ზედარე დამერთო კუჭისა სისუსტენი და უფროსღა მის ნაწლევისა, რომელ სანოვაგეთა, ხარშაკს ზედას ზედა მდრესველობითა თვსითა, რომელი ძალა მოკლებულობითა თვსითა ვერღა მოძრაობს ძლიერათ, რათამცა სიტყო მკურვალებითა დაწვლილის ჰიმულნი და ზეთნი პოხნი, ჰერჭნი და წაქანი ძლიერნი თვთ მიღებულისა წყლისაგანცა გამოიღოს და ყოველნი შთაწებილნი კუბესა შინა, ფიცხელ მოძრაობითა თვსითა გამოჰფიტოს გაწურ გამოწნეხითა, და მიართვას გულსა და გულმან სისხლები განაახლოს ახალახლისა განპოხებითა, და ნოტიონი თელგამნი და ტვნნი დასჰდვას შინაგან დანაშთნი იკონომია ქონებად და ცმედებად და განისხვაოს შინაგანნი შენებულება და ილექტრულნი მოძრაობითი სიპოხენი, განუტეოს აღმათმათა კოწლებადმდე დაღმა ფრჩხილებთა ნებებადმდე და სიგანესა ზედაამიერ და მიერ კელებთა ბრჭყალებადმდე, ეგრეთვე ნაღველი, რომელსა მასრაკი ნაწლევ იხვევს ნაცვლად ცეცხლისა ჟამისა, ახალ მიღებისა ნავაგებასასა იგიცა უხმარობს, ამად, რომელსა მკარძველი, იგი მასრაკი არღა მოძრაობს ჩვეულებისამებრ ზეგარდამო ტიბიკონებითა, არამედ მსგავსად მოშლილისა საჟამისა პრუჟინა ჰახრაკისა, არს, ამად ზედას ზედა მაწყებინებს გარე განხვებასა ნოტიოთა, რომელსა გულიცა, მუცლისა დაუნჯებული იკონომიაცა გარეგან განჰქონან ე. ი. ცმელნი პოხნი და ქონნი ჰეჭნი და ნოტიონი თელგამნი სიცოცხლისანი და ესე ვითარისა სახითა ოთხ განფენილებანი ე. ი. სიმაღლისა, სიღრმისა და ამიერ და იმიერ საგანისა ოცთავე ბრჭყალებითგან და თმითა ძირებითგან ყოველნი ნოტიონი გარეგან სუტვითარე გაჰქონან მასრაკსა მოშლითა მოდუნებისა. ეგ სახედვე სისხლნი მშვენიერისა ცხოველობისანი დიდ ფრიად ჴანთხელდნენ სიტყო მოკლებულნი და საუნჯე მათი ღვიძლი ცალიერობს და საბერველი ფირტვ ახალ ახალთა განებთა ვერღა განმარჩევლობს, ე. ი. მაცოცხლებელსა გასთათანა მაშთობელი მაკვდინებელი გასიცა შეჰქონან ჟამსა მშვინვისასა. ეგრეთვე თირკმელნი, რომელნი მწურვალობენ თესლთა კერკთა შინა ვერღა განმარჩევლობს ამისათვს. მისთვს სუსტი ვერვა წყვილი არღა იცავს შორის ძლიერებასა. რომელ არს ძალი ცხოველობისა, არამედ ჟამსა ძილისასა უტეებს გარეგან შეგინებად სამოსელთა და შარდთაცა გაჰქონან ნაღველნი და სისხლისა ძალნი და სასასა გამოჰქონან დაუცოხნელისა ნავაგისა ჰერეონნი ე. ი. ფურთხნი, ბოტოტნი, დუჟნი და პინჩებ წვინტლნი; ცინგლნი, ხოლო ყურებითაგან გამომდინარებენ ტენნი უჩვეულონი და თუალებთა წირპლნი და სრულიად

ცხრათა ნახვრეტებთაგან გუამისა ჩემისათა ჰსდიან გარეგან დამალხობელნი მაღალნი ყუელნი და ესა ვითარისა სახეებითა დხებიან გუამისა ჩემისავ კინძნი, აწ დროსა მას, რომელმან სიმრთელით განვლე განაფხული ყვავილოვნებისა ჭაბუკობისა—ზაფხული ჯომობისა შემდგომ ჰარმაღობისა, ხოლო მივაწიე რა ზამთარსა შინა მოხუცებულობისასა აჰა, მათ ყოველთა მტერთა შეთქმით შეკრება ჰყვეს ჩემ ზედა და რომელნი ლამან ამას მიწერტილებად გუამისა ჩემისა.

იხილეთ, ზემო მიწევნილთა ბუნებისა ჩემისა მტერთა თუმცაღა მომაუძლურეს, გარნა მხოლოდ კორცნი ჰყვეს უძლურ, ხოლო სული გულსმოდგინე არს, რომელი ზეგარდმო უმეტეს ძლიერდების და ემზადების უმეტეს განსვლისათვს, რომელმან უუმეტეს იცნა ფიზიკა და სოფელი და მტერი და ეშმაკი და ცოდვანი სალებიანი და ვიხილე სასწაულიცა ჩემ ზედა ე. ი. რომელი ხერუვიმადმე ჟამსა წირვისასა ვჰქმენ გუამითა ლვედიურ, გარნა მას ჟამსა აღვიხსენე სიტყვანი წმიდა მამა პავლესნი, რომელი მრწამს, ოდეს მოუძლურდებოდი გარეგან მაშინ უუმეტეს განვძლიერდებოდი. აჰა, ნამდვლ განმაძლიერა ღმერთმამამან ძისა თვსისა ნაცვლად გუამად და განსტკიცებულმან შეუძელ მსხვერპლისა შეწირვად, რომელსა სულმან წმიდამან მცა ნუგეში და განმჰკნევდი დიდ ფრიად, რომელ იგი სული წმიდა არს ნუგეშინის მცემელი და ნიჭეთა მომცემელი, ვითარმცა გალობს ეკკლესიანი.

მოიხსენეთ, თქვენ მწერთ კისრისაგან მაღლისა წათხისა დენასა და ჯირკვლებსა თავისასა სადა ყოველნი გრძნობანი დასხმულ არიან ზეგარდამო და შიშნეულებისა ვანობა ვნებულებისა შემთხვევითა. იხილეთ სული ჩემიღა მივს უვნებელი, გარნა სმენამან ამან დიდ ფრიად ვნებულ ჰყო მეფე გუამისა ჩემისა, ამად შევსლბი ურვეულებითა, გარნა ვსასოებ მაღალსა სახიერსა ზედა, რათა ორკერძვე ვანიკურნეთ, მაშინ უმეტეს, ოდეს ნება შენი ნებასა მის მხოლოსა შეუდგინო, გარნა ოდეს მოუძლურდე, მაშინ განძლიერდი შინაგან და არა რაჲ გევნების. აჰა წარიკითხე წიგნი წმიდა იობისა და აღსასრული იესო ქრისტესი, იხილე და ესენ კმა იყავნ თქვენ ეგე ვითარისა გულისხმიერისა. ხოლოდ მწერთ არტეზიანთაგან ცალიერობისა შეუწყნარებლობასა. მათ ოჩპინტრულად განუჰსჯიათ თვნეპთა თვსთაგან. აჰა, თვთ მე განვსაჯე მეფის ძის იოვანეს შეკითხვათა შინა[1], რომელ სოფელსა შინა არს ცალიერობა არა ეგრეთი, რათამცა ესოდენი სხვაცა სოფელი დაეტიოს, არამედ იხილვების ნივთნი, რომელნი შინაგან სამნი მმეფებელნი[2] იძვრიან და გარეგან განრაოდენდებიან[3], თუმცა ერთნი მეორეთა ადგილთა შინა არა დაიდებიან განმქარვებელად სხვათა, გარნა ურთიერთ დატევნილობენ, რომელნი

შეიმჭირვიან ბუნებითადცა და უფროსღა ჴელოვნებითადა და დაწვ-ლილდებიან და განდიდნებიან დაჲ საკუთარისა მოძრაობითა. საზოგა-დოდცა სოფლისა თანა იძვრიან და აქვსთცა მზნექელობა. და მე-ტალთა განადიდებს ცეცხლი და წყალთა შეაიწროებს ნეფხვა და-გუამისა ჩვენისა ძარღვნი ტკაცუნითა დაცალიერდებიან ჰაერისაგან და აღივსებიანცა, და უკეთუ კვრივი ყოფილიყო სოფელი განჭედი-ლცა იყო მჰსგავსად გვრდემლისა უძრავად და არცაღა სპობა და-ხრწნა ყოფილიყო სოფელსა შინა, და ოქროსა ნოტიო და ჰაერი არღა მიელო თვს შორის და ცეცხლი და არცაღა მიწასა ჰქონოდა მტვერნი და ბღვერნი და არცაღა ეგრეთი ცალიერობა აქვს, ვითა-რცა ბელთა და ცხრილთა, არამედ გსელურნი და ზედურნი ცალი-ერობა ჰქონანთ ყოველთა ნივთთა და არიან ურთიერთ შეცხოვილ ოთხნი ელემენტნი უმთავრესნი სამ განფენილებად.

იხილეთ მაღალსა არა რაჲ ცალიერობანი ჰქონანთ, რომელ არს უსაზღვრო და უძრავ. აჰა, განსაჯეთ სულებთა ანგელოსთა და ჩვენთა და დემონთასა ქონან ცალიერობანი ანუ არა, ესენი თქუ-უწყნი, გარნა თქვენ მოინებეთ აქვთ ცალიერობანი ანუ არა, უკეთუ კაფიად მომითხრობთ, მე დიდათ მახარებთ. თქვენთვს იხილეთ-უკეთუ უუმეტესნი მადლნი ზეგარდამონი ქონნანთ და ნიჭნი ნამ-დჳლ მიჰსწუდებით.

წელსა 1826 სა თქვენი მლოცველი მ. მ. მ.[6]

**№ 94**

**1826 წლის 15 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხეილისადმი**

უგანათლებულესო მეფის ძეო მიხაილ! უუმოწყალესო ჴელმწი-ფევ ჩემო ქრისტე ღჳთისა მიერ საღთოთა ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო. მოიხსენეთ ძეო მეფისაო და ჰყავთ შენდობითი წყალო-ბა თქჳენნი ჩემ მკდოვანსა ზედა. და ნამდჳლ ვუწყი თქჳენისა სუ-ლისა კეთილისა თვსებისაგან, რომელ მომიტევებთ ესოდენთა, არათუ ჟამებითა და შვიდეულები და თთჳებითა, და ჯგუფებითა, არა-მედ არიან სამნი საუკუნენი ე. ი. სამგზის შვიდნი წელნი, რომელ-მან ვერა გმსახურე კაბადონისა ქარტებითა და მელნიანის ტჳფრე-ბითა, რომლებითაცა აღმეხსენებინა თავი ჩემი თქჳენის უგანათლე-ბულესობისა წინაშე, რომელმან მყის მოსლვასა ჩემსა აქარე პე-ტერბურღს მიმიღეთ სახლსა შინა თქჳენსა, და მიღუაწჳეთ, არათუ მხოლოდ პურითა და წყალითა და სამკურნალო სასმელებითა, რო-

ძელ არიან ღვინოები განმკურნებელნი წ. მ. ტიმოთესი, არამედ საბლარდხელებითა, რომელ არიან ლეღჳს ფურცლებთა მონაცვლენი: ეგრეთჳე სარეცლებითა და უფროსღა და უუმეტეს ინებებთ საღთო ჯერჩინებითა[1] თჳნიერ საშუალოთა კაცთათა, არამედ თჳთ უსაშუალოდ სწავება სიტყვერებისა, რომელ არს გრამატიკა და სხჳანიცა სიბრძნისა ნაწილნი, და ყოვლადნი, რომელ თჳნიერ წიგნებსა და აღძოკითხჳათა საუბარნი, პაექრობანი, კამათობანი და ლექსნი და უფროსღა საგნიერნი სიტყჳანი თქჳენნი, რომელნი შეიცვენ ყოველთა საშკოლოთა, რაოდენნიცა ესმოდენ ყურთა ჩემთა ძალისამებრ ჩემისა, მიიხვნა სულმან ჩემმან, და ჰქონან მეყსიერებისა ფურცლებთა შინა გარდაბეჭდილად და იდეაებ ხატებად დანაკვეთებულნი, რომელნი შინაგან მდებარედ არიან სულსა შინა ჩემსა და ჰქონან საზრდელად ე. ი. შიხაგან ზრახჳად, რომელთა დედანი კნინღა და ბრძანდებით თქვენ ეგე ჩემდა. ამად არ ძალუძს სულსა ჩემსა დავიწყება ჯინძი და სამნიცა მტერნი ერთბამად შეკრბენ ჩემ ზედა აღსპოლვად იდეაებისა თქვენისა ჩემგან, მაშასადამე ვცხოველობ, ვიძვრისობ და ვმყოფობ შორის თქვენთანა გარე შემოუვლელისა სულისა ჩემისა გონებითა, თუმცა კინძიანისა[7] გჳამითა გარე შეცული ვერა გჭჳრეტ, გარნა სული ჩემი მარადის გჭკრობს, რომელსა ხატის ხატი თქვენი თჳს შორის უტკრთავს აღძრცულ იდეად საღთო მცნებისა კავშირითა დაუნჯებული[2], რომლისა გაძქრალება არა ძალუძსთ ფიზიკურთა სტიხებთა დაწყებათა, და სპობათა და ცუალებათა კუალად ვერცაღა ჰერისა ჩუენისა სამყაროისა მთიებისა დროებთა ძალუძსთ დაძჳელება. და დუბესა ჩვენისა ფერჴებთა იატაკსა უძლავს განშორება ჩემისა სულისა თქვენგან, რამეთუ სახლისა ამის საზოგადოისა ეპიფანია[4] კიდურებადმდე ვერ განიკჳცთების, და უკეთუმცა ძალედუას დაჴევხება ოთხთა კიდეებადმდე: ხჳა, თჳთჳე უწყით არად საჴჳარ არიან ჴიდნი. და კიბენი და ბონდნი სულისათჳს განსლვად მათ ზედა და მისლჳად სასურველისათანა, რომელსა კნინღა და ძალუძს სოფლისა ამას ზედა ქჳცშე და იგჳრდივ სხჳათაცა მოტმასნება მშრალ იდეაებითა თჳსითა, რამეთუ მარტივ ცხოველისა გონებათა ვერსადა შეიცვენ სტიხნი, რომელი გარეგან სოფლის ბურთისა და მთიებთა კიდეებისა და დასასრულისა არცაღა ცალფერობასა იხილავს, ამად, რომელ ყოველგან და ყოველთა შორის და შინა და გარე და ზესთა ყოვლად ყოველთა შორის მყოფსა ცხოველარსება მარადსა იხილავს უკიდისკიდოდ აღმავსებელად. რომელი და-

უსაბამოდ ყოვლსავე შემძლებელობითა და დაუსრულებელისა სიბრძნითა არს უძრავ. რომლისა შორის თითოეულნი მწკრივ ნათესავნი და სახენი მომრკადობენ თჳსსა არსებობასა და ბუნებასა ღერძესა ზედა, რომელთა საზღუარნი თითოეულთი თჳსნი განკუთვნილნი თჳსებანი არიან ნიშატებად მომრგუალებითი იძვრისობისა, რომელ სიტყვიერთა მოცინარობისა ნიშატია. მოამრგუალებს და მშვინვიერთა თჳსნი ჭმანი და მცენარეთა თჳსნი ორძილობანი და ძალნი დამაყეხეშლობითნი შინაგან ბუნებითნი და გარეგან შემთხვევითნი და ლითონთა გესლნი მაღლვე მიმწერტილებელნი. ხოლო სამყაროთა დაღუბეჭა, სადიდგანაც ძვრანი მუნვე მომგრგუალებანი, რომელნი შედგომილ არიან თჳსისა დაწყების დროსა ქვეშე, ეგრეთვე დრონი ნივთებთა შინა, რომელნი არა განიყოფიან არცაღა ფანტაზმებითა გუნებისა მხატრობაებისა, რომელ ლამიან ზემო ბურთ მთიებ პლანეტნი მიმალხიტებად ქვემო ბურთებისა და ქვემონი ზენათა იმალნიტებენ. მაგალ: უკეთუ ზემო მესამისა სართულისაე ერდოთგან გარდამოექვეთოს ზოდი ოქროსი რაოდენ დაუახლოვდების ქვეყანასა, ეგოდენ უმოსწრაფეს ჰყოფს დუბე ესე შთამოზიდუად თჳსადმი, რათა არა წარუწყმდეს ყოვლადსა კერძოკი ალმა წარსლვითა, გინა გარეგან სოფლისა განსლვითა სიგრძესა ანუ სიგანესა. ეგ სახედვე თითოეულთა უმრავლეს უშტის უშტებთა და უშქარის უშქრებთა მილიონებისა მთიებთა არა ძალუძსთ თჳსისა ყოვლადებისაგან კერძოკთი წარწყმედა, ანუ სხუათა მცირეთა მთიებისა მიწებება თჳსადმი დიდთა მთიებთა. და უკეთუ მგზავრნი შეემთხვივნენ სადამე, ურთიერთ მისცილდებიან ჰაერთა შინა მგორვალენი, რომელთა სიბრძნე მაღლისა უძლვის დასაბამითგან, რომელთა უკუთუმცა არა მართევდეს სავაოთ ძალთა უფალი, იგინი შერკინებითა ურთიერთ შემუსრვიდენ და ხამუსრი მათი სრულიად სოფელსა მოსწყვეტდა მსგავსად სილოამისა გოდნისა, რომელი თვთ მაშენებელთა ზედა დაეცა და მოსწყვიტნა ხურონი და გალატოზნი. დასასრულ ყოველნივე ყოფილნი ყოფადად არიან, ვიდრემდის ენებოს ესგუარ. და ოდეს ენებოს სხუა გუარი მაარსსა, მაშინ არსნი გარეგან ხრწნადნი განქარდებიან და უხრწნელად არსთა არსებანი კუალადცა ეგებიან, რომელთა არა არს გამოკვება. და მყოფობისაგან დაცალიერება და არცაღა რაჲსამე დაჰკარგვენ არსლი და უკეთუ დაჰკარგვენ მათ ოდენ, რაჲცა არა არს მათი ე. ი. ხრწნილება.

კელმწიფეო ჩემო! თქუენი ცხოვრება მესმის და მიხარის, რომელი ეგე ვითარისა ზენა სიბრძნითა ჰკარგავ მათ ამაოთა, რანიცა არა თანა გემდევრებიან. გარნა მითუჱ დაკარგვითა იუნჯებთ მათ,

რაოდენნიცა იქმნებიან ნამდვილ თქვენნი ამის ნათელი მესამედ აღწერილნა ცხოველსა წიგნსა შინა იქმნა რჩეულნი, რომელნი ვლენან იწროსა გზასა ზედა.

მოიხსენეთ მესამე განმხიარულება ჩემი თქუენ ძლიერი, რომელნი მესმა მიღება უმაღლესისა დედოფლისა ცხებულისაგან და თქუენ-ან საშუალობითი თარგმანნი ორთავე შორის ეგე დიდ ფრიადნი პოლიტიკურნი სახელოვანნი საქმენი არიან და კნინღა სულიერად შეცვალებადნი, რათამცა ვინ უწყის დაიატაკებულსა სახლსა თქუენსა უმაღლესსა ათას ორასის წლისა მდღევარისა საზრდელებითა მაშინც მოუქციოთ განედლება საშვილიშვილოდა ტიტულნი მომავალთა სახლისა თქუნისათა უგანათლებულესობისა, რათამც კუალნი და ნიშატნი შთამომავლობათა თქვენისა სახლისა თესლებთა ზედა იხილვებოდეს აქარე იმპერიასა შინა, რამეთუ ღმერთი იპყრობს ცხებულსა თვისისა გულსა. ვინ უწყის დადგეს მარჯვენით თქვენსა შემწედ ახალი კუროს; გარნა თქვენ შესთხოვეთ მაღალსა ზედა ტ ქტრეტსა. რათა დღენი მზისა და მთოვარისა მოგეცესთ, ვიდრე მიუკუხისამდე შთამომავლებად, რომელ მოთმინებითა ღუთისმოყუარეთა ყოველნივე განემარჯვების და იქმნების უკანასკნელნი მსრულება განმაქარვებელ წარსულთა ბნელისა არგურისა, კუამლისა, ნისლისა და შაბათებისა დავნებულებისა ზამთრებისა, ოდეს დაარღვიოს სავაოთ ძალთა ადონაჲ უფალმან უფლისა მიერ ანტაკრამ ზღუდე პატიმრობისა. მაშინ აღმობრწყინვებულისა მთიებითა ღამე სულთქმისა განქარდების, რამეთუ მეორე საიდუმლოჲსა მირონსა შინა ძლიერება ღუთისა მკვდრობს, რომლითა წინასწარმეტყველნი და მეფენი ძველთა შინა შეიპურვოდენ დადგრომილნი ნებასა ზედა ღუთისასა სათნოებისა მისისა აღსრულებად.

ეგერა თვთუმ უწყით ძეო მეფისაო მიხაილ, რომელ სიტყვითა სალთო იერემია წინასწარმეტყველისათა ილოცვიდენ წინადაუცვთელის წ. მ თვს ისრაილნი ღვთისა მიმართ, რათამცა აჩრდილსა ქვეშე მისსა დაეცვათ სავაოთისაგან ჩინიჭებული სჯული და მოცემული მცნებანი ცოცხლებით და თვთ ძემან ღუთისამან მტერთათვს გვიბრძანა ლოცუა და დაბიილ ლოცვითა და მარხვითა იპოვნა ყურნი მეფისა და ექმნა მფარუელ გარდასახლებულთა აჰა მე ვსასოებ თქვენთა ლოცუათა და მარხვათა საკრილისა ქუეშე მისაცხოვრებად თქვენდა, ვითარცა ენებოს სავაოთ ძალთა უფალსა, ეგრეთცა. მოიხსენეთ მეფის ძეო შენდობით ქუეშე ვედრნი ჩემნი, რომელითა აღესრულებიან ექუსნი შეკითხუანი იესო ქრისტესნი: აჰა, კაცი ესე ძმა ქრისტესი მევედრა ხოიშნობად თქუენდა, რათამცა პატივსცეთ მღვდელობასა ჩემსა, რომელი ლოცუათა და ლიტურღიათა შინა მოხსენე-

ზითა გმსახურებ: ესე გიახლებათ მშიერი, მწყურვალი, შიშველი; მწირი და სნეული და თვსსისა მკდოვანებისა საპყრობილეთი მოგზაური, სახელით იოანე, შეგთხოვ მუხლებ დადგმით: ამისთვს რათამცა წყალობა ჰყოთ ამას ზედა თქუჱნისა სულისა კეთილთვსებითა. და ასხუროთ მოწყალება, რომლითა წარემართების ტფილისად სულითა თვსითა მლოცველი, ვიდრე მშვინვიერ იყოს მზესა ქვეშე.

მოიხსენეთ ხელმწიფეო ჩემო, უკეთუ მანდ მოსკოვსა შინა მღუდელის შვილი არხიერი ვინმე ყოფილიყო, მისსა მაღალ ყოვლად უსამღუდელოესობას მოხსენებითარე შევვედრებდი: გარნა თვთვე; უწყით არავინ არს ახლისა ლევიტელთა შვილი არხიერად. ამისთვს მოგმართე თქვენ, რომელსა მღუდელ ცხებულებისა სახლისაგან მოგქონანთ ზრუნვანი დავრდომილთა ცხოვართათვს. აჰა, არიან კაცნი, რომელნიმე დაბიო კაცსა უსამოსლოსა არა უტევებენ თვს შორის, რომელნი კნინღა და ნაფცქუჱნად კიტრისად რაცხვენ გარეგან საგველად განმასუქებელნი მუცლისა თვსისა მცოხნელისა მასრაკებისა ცმელებითა შეყინულითა, რომელთა კუჰისა ორთქლებითა გრძნობანი ერულებიან ჟამსაცა მწუხარეთა ღაღადისასა, რომელთა საბლარდნელებისა შინაგანიცა ძვრფასნი სარჩულნი კმაჰყოფს მრავალთა დავრდომილებთა. დასასრულ აექვინ ენა ჩემი სასასა ჩემსა, უკეთუ დაგივიწყოთ თქვენ გლახაკსა და ლოცვასა შინა ჩემსა. დაივიწყენ მარჯვენე ჩემი უკეთუ დაგივიწყო თქვენ ლიტურღიასა შინა ქრისტესსა, რომელ თქვენ ხართ ივერიისა ეკკლესიაებისა წმიდათა ჭეოხთა შთამოსირულნი.

ჩემო ყოველთა თანა შევვედრებ თავსაცა ჩემსა, რათამცა სულმან თქუჱნმან კეთილისა თვსებისაგან ზემო მოხსენებანი, უკეთუ იყვნენ ლექსნი ან სიტყუანი ცუდ და ამაო და უთნონი თქვენ განაწრფელოდ, რომელსა თქვენი მიწერილი წიგნი იოანე მეფის ძესთახა[9] ე. ი. ძმისა თქუჱნისადმი აქონან მოსახსენებელსა შთაწერილნი ჴელითა პაპაძე[10] გისათა, რომელსა შინა საკუთარითა ჴელითა თქუენითა სწერიან კმაყოფილებანი ჩემნი თქუჱნისა შემოსავლებიდმან, რომელი ანტიკად მაქვს ყდიანსა დიდსა წიგნსა შინა იშვიათადი საუკუნოდ სახსოვარი ჩემსაცა შემდგომად.

თქვენის უგანათლებულესობის მლოცველი იონა მკდოვანი მღუდელმთავრის მონოზონი ვგიე თქვენდამო საღთო ლოცვითა.

1826 წელსა

თთუჱსა ივნისსა 15

ს. პ. ბ. მ. კ. ხ.

უკეთუ მომიხსენებთ წინაშე უმაღლესისა დიდის თქუჱნისა დედოფლისა[11], დიდ ფრიადი წყალობა იქმნების ჩემდამო.

ამათი უმაღლესობა იმერეთის დედოფალი[12] ლამის წარმობრძანებასა, უკეთუ დრომანცა და მდგომარეობამ უთანხმეს, ამ ჟამად აგარაში ბრძანდება დედოფალი ესე მარიამ ნინო ბატონისშვილი[13] უძლებომისა გამო; გარნა მგონებლობს თქვენ დიდ ფრიადისა კეთილმიდრეკილებითა და ჰსურს ხილვა დედოფლისა და თქვენი.

ბატონის შვილს მეფის ძეს ილიას, ოქროპირს, ირაკლის[14] სალთო ლოცვათა მოვართმევ ერთბამად და შევსთხოვ მაგათს უგანაღლებულესობას, რათა წყალობა ჰყონ მგზავრსა ზედა, რომელი შესაწყალცა არს. დასასრულ აქაურს ვითარებას მოიხსენებენ სახლის შვილნი მეფეთ ძენი და ასულნი ყოველნივე ერთბამად მშვიდობით ბრძანდებიან. ნინა ბატონიშვილიც სნეულების გასაცდელიდან მოიქცა ჩვენდავე ძალითა ღვთისათა, ეგრეთვე ანნა დედოფალი თუმცა გარეთ არ იარება, გარნა შინ უკეთ ბრძანდება.

## № 95

### 1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი

უფალო დოდაევ სტეფანე!

ქრისტეს მიერ გძღუნი ლოცუათა ესერა თქუჱნი აღნაქუსნი ტვფრნი, ავთრათი კაბადონი მოვიღე ვაშა, ვაშა არს ესერა ავთრათი თქუჱნი წარმოცემული, რომელი სულისა თქუჱნისა კეთილ თვისებასა მიცხადებს და მსგავსად გონებისა გუამითა მოვლასა სამშობლო მამულისასა.

აჰა ყოველნივე დაწვრილებით აღმოვიკითხენ და ვსცან დავედრებულნი, რომელთათვს გმადლობ ფრიად.

კუალადცა მიცხადებს უფლის ანდრონიკოვის[1] წიგნი რვის მაისისა წიგნები მივაბარეო; გარნა შვიდთა წიგნთა დაკლებულთათვს დაუდუმებიეს ამად მივწერე მიზეზი დაკლებისა რაჲ არს; და უკეთუ ხებსით ანუ უნებლიეთ შეგხუდესთ პირდაპირ ხილუა ზემო ხსენებულისა თავადისა უჩვენეთ რიცხვნი დაკლებულნი ე. ი. შვიდნი წიგნი ვინ უჭყის მიეფარა და მოიძიოს ბრწყინუალე თავადმან ანუ მოიგონოს განათხოვრობა. და უკეთუ ნებავს რეისტრი ე. ი. მწკრივნა აქა მაქუს წარმოუგზავნი, რათამცა აეხსნენ წიგნი ყოველნივე ვგო-

ნებ წარსაკითხად წარუღიესთ თხოვებით პიემანადმდე, რომელთა არღა მოუქცევიესთ ჯერეთ.

მოწაფეო შკოლიერისა სწავლისაო, იშრომეთ დიდ ფრიად, უუმეტეს მეალფავიტეთა, რომელნი მივლენან ანითგან მისადმდე. და უკეთუ ნინველთა ანბანი ჩუჱნისას ენისა არა ისწაონ ორმეოცნი დაუშთესთ რომელნიმე ასონი და მარცჳალნი იგინი ვერცაღა ლექსთა და ტაეპთა, ტრიქონთა, მუჴლთა სიტყვათა და პარაღრაფთა აღმოიცხობენ, ეგრეთუჱ მხატუართა მორფ ნაკვეთნი რაჲმენი დააკლონ სახესა არღა იქმნების სრული ეგ სახედუჱ შკოლიერმან უკეთუ ყოველნი სწავლანი შეასრულოს და დაუშთეს ტომებისა თავებისა, მუჴლებისა და პარაღრაფისა ნაწილაკი მცირედ რაჲმე იქმნების სული დაკლებული იდეებისაგან ეგოდენისა, რაოდენნიცა დაუშთნენ შოუსმენელხი, ამად სული იქმნების ბრჯგუ და გრძნობანი დაბლაგვებულ.

აჰა თქვენ უარჰყავთ კორცნი თქუჱნი და ჰყავთ სული მარადის მღვძარე, ვიდრემდის მიაწიოთ სწავლისა მოესა შინა თუმცა ჯერ სწავლა არავის შეუსრულებია სოფელსა შინა. თვნიერ წმიდათა. გარხა თქუჱსცა ძალგიძსთ წნიდა ყოფა, უკეთუ ინებოთ, რათა უმეტეს შეუძლოთ სწავლა, რამეთუ სულსა კეთილ ჴელოვანსა შინა განისვენებს სიბრძნე, რომელსა ვერა სადა მძლავრობს ბოროტი.

თქვენი კეთილმოსურნე იონა ხუცესი მონოზონი.

## № 96

### 1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ გიორგისადმი[1]

პატიოსანო ღირსო მამაო წმიდაო გიორგი ქრისტე ღუთისა მიერ ამბორებას გძღუნი სალთოდ თქვენდამო.

ესერა თქვენსა მშვიდობასა შევსთხოვ სახიერსა მშვიდობით და სიწმიდით და სიმრთელით სუფევასა სათნოდ მაცხოვრისა.

აჰა ნამდჳლ ვუწყი ჩემსა ვითარებასა მოიხსენებთ კეთილისა სულისა თქუჱნისა თვსებისაგან, ვმადლობ სავაოთს ვგებ ჴუგარდამო დაცული.

მოიხსენეთ მე სალთო არმაღანი წარმოგიგზავნეთ და დაღათუ მცირაკი, გარნა სიყუარულითა დიდი სკივრიო სნეულთათვს საიდუ-

შლოთა საცავი სანაწილე, რომლისა პასუხი მოვიღე, დაღათუ ვსცან გარნა ჴელითა ვაჩნაძისათა[2] და არა თქვენ მიერ. ამად ვარ დიდ ფრიად დაბრკოლებული წარმოგზავნისათვს საეკლესიოთა რათამე, გინა საკორციელოთა.

აჰა, გჳჱდრი მამაო საღთოო და ძეო ბიძისაო, რათამცა შეილოთ შრომა საღთოდ სიყჳარულითა ღჳთისა და მოყჳსისათა, და მამის დის წულის სოლომონს[3] ძმასა ჩემსა მიუთხრათ, რათამცა იქჳთრებოდენ ურთიერთ არს ძმანი ეგე და არღა მესმას მაგისგან გიორგის მოსდისო გამოგზავნილნი ფულნი და არა მეო. აჰა არცა მაგას და არცა გიორგის ვანდობ ასიგნაციათა ე. ი. აქაურსა ფულსა, რომელთა არა იციან დახურდავება ასიგნაციათი მე თუ მაგათი სიყჳარული ვავიგონე ორთავე ერთად გამოვუგზავნი და თუ არ მომესმა, არც ერთს არა გამოვუგზავნი. მე მცირედ რაოდენიცა მიწყალობა ღმერთმან, წიგნების დასაბეჭდავად ვინახავ.

სოლომონ[3] ცილსა მწამებს მითამ გიორგის[4] ვუგზავნიდე ფულთა. მე მხოლოდ გზის ფული მივეცი მაგას და არა სხჳა.

მოიხსენეთ, თუ ეგენი ჴელითა სიღნაღელისა ამირან ვაჭრისათა მომწერენ, რომელი აქაცა ვნახე და იგი დაუხურდავებს მანდა ვეცხლის ფულზედა, გამოვუგზავნი, რათამცა იყიდონ მამული და თუ არა არ ძალმიძს ფულის გაფუჭება სოფლელის უწერილო კაცებისაგან.

კჳალადცა მიუთხარ სოლომონს უკეთუ შვილთა თჳსთა სწავლანი სურდა, რაჲსათჳს არა წარუგზავნა დეკანოზ ნიკოლოოს ჴელაშვილს ე. ი. მიხეილოვს[5], მაღალ ყოვლად უუსამღუდელოესის იონა ეგზარხის წიგნი მებოძა მიღებისა პირდაპირ სემინარიასა შინა; მე დიდ ფრიად სირცხვილი დამდჳა მაგან ეგზარხისა. ესერა ექვსი წელი არს და მასთან ესეცა მესმის გიორგის ფული მოსდისო. და არა მეო, რომელსა არა ოდეს არ წარმომიგზავნია ფული.

მე აქა ვხედავ, რომელთამე ქართველთა, რომელნი უმეცრებით ურთიერთ იკბინებიან მახლობელნი ურთიერთისანი მცირედ რაჲსამე წარმატებისათჳს, რომელნი უდროოდ აბერებენ ერთნი მეორესა და აწუხებენ მფარველსა ანგელოსსა და ახარებენ ეშმაკთა და არიან განლეულ ფრიადიადისა შურითა, რომელნი განმდიდრდენ წყალობითა ღჳთისათა და დაგლახაკდნენ მორჩილებითა ეშმაკთათა, რომელნი შარცხულთა ენათა მიმტანთა უმეტეს ემორჩილებოდნენ; ვიდრე ურთიერთისა დაგლახაკებადმდე, ხოლო აწ ინანიან მეტყველ ურთიერთ ვიდრე მდიდარი ვიყვთო, რათამცა ეშმაკისაგან და ენისა მზიდველთა კაცთაგან არა დაგლახაკებულ ვიყვითო.

დასასრულ სიკუდილისაგან და ეშმაკისაგან და ბოროტ ენოვანისა კაცთაგან შეშინება ჯერ არს და სიყუარულისა კეთილითა ცხოვრებაჲ სათნოდ ღვთისა დიდ ფრიად კეთილ არიან.

და თუ ერთი ძმა მეორესა ძმას გულობდეს თვსისა პირისა ოფლისა სიმდიდრისათვს, ესე დიდ ფრიად ბოროტ არს, რომელი სამართალსა და წყალობასა ღმერთისა ართმევდეს ესენი საბრძენი არიან ეშმაკისაგან შურითა ამად, რომელ ღმერთსა ვისიცა ნებავს, განამდიდრებს, ხოლო მოშურნესა დააგლახაკებს, აღრე იქმნების თუ გვიან.

გიორგი დიდ ფრიად აქო სიღნაღელმან ამირან ვაჭარმან მედლიანმან რომელ მოგების ჭკვა აქვსო და აქა ბატონიშვილები მოიგონებენ ხოლმე და დედოფალნი და სამღუდელონი თავადნი და აზნაურნი ჩვენ ქართველნი სოფლელნი ეგე ვითარ მოქალაქურ მომგები გვინახავსო სოფელში შობილი, რომელი ქალაქში აღზრდილსა ჰგავსო, ამას ძალუძსო მაღალთა გუამებთა თანა ყოფაქცევაო.

იხილეთ მამაო წმიდაო აქ ჴელმწიფესა დიდთა თავადთა და აზნაურთა და ევროპიასა შინა და ანგლიასა შინა აქვსთ ვაჭრობა და არა ეგრეთ, რომელ ვაჭრობისა მანდაურნი თავადნი და აზნაურნი ითაკილებდენ უმეცრებითა და ოკთ დარეჯან დედოფალი ზეთის სახდელნი მოაშლევინეს ტფილისში თავადთა და აზნაურთა დიდ ფრიადისა ვედრებითა, რომლითა დაძვირდა ზეთი სახდელებისა მოშლითა და იწყეს ახალციხითგან მოვაჭრება დიდ ფრიადის სიძვირითა.

ახლა იჯარასაც კადრულობენ მანდაურნი თავადნი, რომელი არა ჯერ არს უსწავლელისაგან ყისტისა აღება ე. ი. იჯარისა, რომელნი შინაურთაცა წარაგებენ.

მოიხსენეთ მამაო წმიდაო სოლომონს აჩვენეთ კეთილად: უკეთუ გიორგიმ უწყის ვაჭრობა და ვაჭრული გამოვაჭრება და მოვაჭრება, ნუ დააბრკოლებს, რომელსა თანა აძს უკეთუ მშიერი იყოს ძმა მაგისი გამოზრდა. და უკეთუ მაძღარ არს მიიღოს მხიარულება მაძღარ ძმა უმეტეს იმედიანია, ვიდრელა მშიერი.

უკეთუ სიყუარულითა ერთად მომწერენ ამირან ვაჭრისა ჴელითა გამოუგზავნი აქაურსა ფულსა, რათამცა მაგათ დაუხურდავოს ე. ი. გამოუცვალოს ვერცხლზედა, დოდაშვილი სოლომონ წარმოვალს და მან რაჲცა უთხრას მაგათ, ის აღასრულონ შვილთა სწავებისათვს მანდავე ქვეყანასა თვსსა, თორე უწიგნო აზნაური არცაღა თუ სმენიესთ მმართებლობასა და უფილასოფოსო და უღთისმეტყველო მღუდელობასა მიიღებს ავისთვს, ძმათა ჩემთა თანა აძსთ ახალშობილთა შვილებთა მაშინც სწავლაში წარგზავნა შვიდის წლითგან. უკეთუ მაგათ ძმათა ჩემთა ცოდნოდად წიგნი, მრავალსა სარგებლობათა მიიღებდნენ ჩემგან. უწიგნოთა ვერა სცნეს ეგზარხისაგან

შვილთა თჳსთა პირდაპირ სემინარიასა შინა მიღება შვილთა თჳსთა და ნიკოლოზ დეკანოზისა მიხაილოვისა[5] ჩვენისა ნათესავისა კეთილ-მიდრეკილებაცა დაუკარგეს, რომელმან თჳთ მთხოვა მიღება მაგათი ტფილისს.

მამაო წმიდაო თქვენი მეუღლე და ჩემი და სახლეულნი და ბიძანი მიამბორენე ეგრეთვე ძმანი ჩემნი სახლეულობითურთ და შე-აგონე არავინ წარმოვიდეს აქ. ამირანის ხელით მომწერონ წიგნი ძალისამებრ კმავუყოფ მაგათ.

თქვენი სალთო ძმა ი.
წელსა 1826 ივლისის 15.

**№ 97**

**1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ასულ ვარვარასადმი[1]**

უგანათლებულესობავ მეფის ძის ასულო ვარვარა!

ქრისტე ღჳთისა მიერ სალთო ლოცჳათა მოვრთმევლობ თქჳჱნ-დამო. ესერა თქჳჱნი ავთრათი გმადლობ, რომელ სული თქჳჱნისა კეთილთჳსებისაგან მარად გეხსენები აქარე მოწერილთა წიგნებთა შინა. უგანათლებულესთა მშობელთა თქჳჱნთა, ვითარცა მიბრძანებენ ესენი აჰა თქვენგან გახსენება ჩემი სალთო მოძღჳრისა პატივის-ცემა არს, ამისთჳს მფარველი წმიდა ანგელოსი თქვენი სახელსა თქვენსა აღწერს ცათა შინა.

მოიხსენეთ ეგიპტესა შინა ოდესაც მიიცვალებოდა ცოცხალი, შემოკრბებოდენ თვისტომნი მისნი და მეზობელნი და ყოველნი მე-ცხავნი და აღუწერდნენ მკჳდარსა ცხოვრებასა ისტორიასა. უკეთუ კეთილნი მრავალნი ექმნებოდა, დაფლავდენ პატიოსანთა ერისა სა-მარხოსა შინა; და უკეთუ ბოროტნი ბევრეულნი ექმნებოდა და განმ-წარებულნი მისგან ვინმე დაუშთებოდენ მკჳდარსა, სახლეულნი გინა საქლეულნი, ანუ მცნობნი სამართალი მკჳდარსა მას დაჰფლავ-და მკჳდარსა განმამწარებელისა ერისა შორის სასაფლაოსა შინა და ჩიერთაგან იქმნებოდა ჩკჳდარი შთაწერილი მოძაგებულთა კაცთა სახელებთა თანა და იქმნებოდა მკჳდრისა მის ღუთისა და მამულის-მსახურებად, რამეთუ სამნი ერნი შესაწყალნი არიან ე. ი. მოსწავ-ლენი აღზრდად, სნეულნი და მოხუცებულნი პატისცემით გამოზრ-დად. მოიხსენეთ მაგა სტეფანეს ძმა სოლომონ დოდაშვილი აქა ძმა-თა თქვენთა ზედა დიდ ფრიად შვრების სწავლებითა ორთა ენებთა

ზედა, რომელნი განსაკვრეოდ ასწავებს მოსწრაფედ, რომლითა მშობელთა თქვენთა უხარისთ უგანათლებულესთა.

აწინდელთაგან აჰა ესერა შეგვედრებ დოდაშვილს სტეფანეს, რათამცა იღვაწოთ. ვითარცა უწყით აქაურნი დიდებულნი და დიდებულანი სულისა თვსისათვს აღზრდიან მოსწავლეთა, არა მიმხედნი გუარისა და პირთა, რომელთაცა ბედნიერ არიან მამულისშვილთა შეწევნისათვს და აღზრდისა.

ეგრეთვე გვედრი, რათა თქვენისა უგანათლებულეობის სიმრთელე და მშვიდობა მიბრძანოთ.

თქვენი მოძღუარი ი. იერომონახი ვგიე ლოცვათა თქვენდამო.

წელსა 1826 ივლისის 15.
ს. პეტერბურღით.

მაღალბრწყინვალისა მაზლისა[3] თქვენისა ვითარებას მოიხსენებთ მრწყივ მარად მოსწავლესა თანა ჰდგა და წარემატების სიბრძნითა დასაკითა იოანე, რომელსა წარსრულს დროებში შევაიულე თავი ჩემი, ხოლო აწ სცნა, რომელ არა იყო სიძულილი, არამედ მაჰულის სიყუარული.

უგანათლებულესნი მშობელნი თქვენნი სიმრთელით და მშვიდობით სუფევენ. ეგრეთვე უგანათლებულესნი ძმანი თქვენნი წარემატებიან სიბრძნით. მოსამართლენი და ყოველნი ერთნი მოკიცხარ მკუდრისა სქესთა და გუარეულთა მოკიცხარ ეგრეთ მეტყუელნი: „აჰა თქუენი მკუდარი არა ღირს იქმნა პატიოსანთა ერისა სამარხოთა შინა დაფლვად. არამედ გაღიგდო უბადრუკთა კაცთა ძვალებთა თანა“.

ამისთვს მეგიპტელნი მეცადინობდნენ, რათამცა მძორნი მათნი არა განგდებულ იყო განმამწარებელისა ერისა საძვლეთა ზედა. არამედ დამარხულ იქმნებოდენ პატიოსნებითა, და კეთილთა განმრავლებითა პატიოსნისა ერისა სასაფლაოსა შინა. იხილეთ, უკეთუ წარმართნი პატიოსანთა სასაფლაოთა შინა დამარხვისათვს მეცადინეობდენ კეთილთა განმრავლებასა, აჰა ჩვენ რაოდენ ქრისტიანეთა უუმეტეს თანაგუაძს განმრავლება კეთილთა არა სასაფლაოთათვს, არამედ ცათა შინა სუფევისათვს, ამისთვს შემძლებელსა უმეტეს თანა აძს განმრავლება კეთილთა, რათა სრულად სოფლისა მტერმან სიკუდილმანცა ადიდოს ზეცათა საუნჯისა აღმავსებელი მკვდრი, რომელსა, გინა რომელასა მისდევდენ კეთილ სიყუარულითა მკვნესარენი თვთ მტერნიცა მაქებელნი შემდგომად სიკუდილისა, მოიხსენეთ თქვენ უმეტეს შესძინეთ კეთილთა ზედა კეთილნი, რაოდენნიცა ის-

შიან აქარე. ამისთჳს მეცა შეგვედრებ სოლომონისა ძმასა სტეფანეს, რომელი სემინარიის მოწაფე გახლავსთ მანდარე ტფილისში, რათამცა მიიღოთ მფარველობასა ქვეშე თქვენსა და მე შემირაცხოდ ეგე და უბრძანოთ მოწაფესა ჩემსა ფრიად მიპყრობად სტეფანესა ზედა თვალთა და ყურთა, რომელსა მშობელნი ჰყვანან ეგე შორს: ეგე იზრდების და ასაკებითა ე. ი. რაოდენობითა, კუალადცა მოიხსენეთ აჰა უმაღლესმან დედოფალმან ანნა მიბრძანა მამუკა მოსლვას აპირებსო ეგე ვაშა ვაშა იქმნება უკეთუ უმჯობეს იყოს.

№ 98

## 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკვან პეტრესადმი

უფალო დიაჩოქო, პეტრე!

ქრისტე ღმერთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო საღთოდ!

იხილეთ თქვენი მსწრაფლიადი ქარტა ავთრათი მოვიღე თთვესა ამას და ყოველნივე გამოვცან და უფროსღა სურვილი თქვენი.

აჰა, ესერა შემოკლებით შეემეცენით. ჩემის მკრით პასუხისა ამის დაგვიახებისა მიზეზ მექმნა უძლურება ამათის უმაღლესობისა, რომელი გაციებისა გამო ვერ ბრძანდება სიმრთელითარე, რათამცა მომეხსენებინა და განესაჯა სურვილი თქვენი. ამად რომელ სიმრთელენი ჰქონან თვალამღვრეულ და ეგრეთუც განჰსჯანიცა ვრცელ განჰურეტისა სისუსტითარე დაბრკოლებულ.

ესერა იგულვეთ აჰა ჩემისა მკრით მეჯობინება თუ მანდ სასოებაჲ არღარაჲ ჰქონდესთ, აქარე წარმოხვიდეთ და ეძიოთ, ირეკოთ. და ითხოოთ საქმისა თქვენისა შესრულება. და უკეთუ ნებასა შენსა შეუდგენ ნებასა ზედა ღვთისასა მიმყოვრებულისა ლოცვითა და მარხვითა და მოთმინებითა სიმჴნისათა, ნამდვილ აღგისრულდებისთ სათნოდ ღვთისა.

მე ოდეს მოვიდოდი ივერიითგან, მრავალთა ხილულთა და უხილავთა მოინებეს დაბრკოლება ჩემი და უკუნ ქცევა პირუტყთა მწყემსადვე. გარნა აღვიკრძალენ კორცნი ჩემნი და დაუმონე სულსა ჩემსა და ორნივე სახიერსა ღმერთსა ვჰმსახურე საიდუმლოსა ლოცვებითა და მუხლებ დრეკითა ხოლო ეკლესიასა შინა ვდიოდი სამგზის თითოეულთა დღეებთა შინა. და ოდესმე ხშირადრე მეოთხედცა ვდიოდი და ოდეს მოვუძლურდებოდი, მაშინ განვძლიერდებოდი სიმვოლ მრწამსისა სარწმუნოებითა და საუფლო ლოცვისა სასოებითა და ათთა

შცნებათ სიყვარულითა. ღვთისა მიმართ და ემბაზისა შვილთა მიმართ და ულოცვილი მეორედ შობილსა მტერთაცა. და ვილტვი მარცხენეთა გვამებთაგან და ჴმებთაგან და ხვასტაკთა შეძინებათაგანცა, რომელსა მწყურდა მხოლოდ სწავლა. და მემხოლოება მითვე სწავლითა, რომელ პური და წყალი გულის სათქმელი კორცთა უუსაჴიროესნი მრავალ გზის დავაკელ გუამსა ჩემსა. რომელსა უუმეტეს მშიოდა სწავლა მე მხოლოობისათვის. და ესე ვითართა განკაფათა ღვაწლთა შინა მომხედნა მაღალმან და აღმომიბრწყინვა მზე თვისი ხილვად დიდებისა ღვთისა და აწვიმა გარდარეულნი მოწყალებანი თვისინი ჩემ ზედა და ჰსწვიმსცა და რაჲცა მწყუროდა ვსვი მწყურს და მსურს და ვარ მემსხუერპლე, რომელსა კნინღა და წმიდანი ანგელოზნი სუვიელობენ კელმწიფობასა ჩემსა და არიან თანა მსლველ ჩემთახა და განმაძლიერებენ და ესე კმა არიან ჩემდა, რომელსა ძუელისა აღთქმისა მამათ მთავარნი და წინასწარმეტყველნი და წმიდანი სურვიელობდენ წარდგომად სიტყვერისა მსხვერპლითა წინაშე ღვთისა. განა სახლი სეთისა, ნოესი, აბრაამისა. აჰრნისა, ლევიტელთი, და ვერცაღა მელქისედეკისა მიეწიფა ვითა ჩვენ წარმართყოფილითი სახლისა შვილნი ღირს გვყო, რომელ შეწყალებითა ძველთა ისრაელთა შეგვიწყალა ჩვენ ნაზარეველმან. ეგეთუჱ შეწყალებითა ჩვენითა მათცა შეიწყალებს დღეთა შინა ანტიქრისტესსა.

დასასრულ იძიე ეგე საგანი ზეცითგან ე. ი. მღუდელობა, რომლისა გასაღები ხუცეშინის მცემელისა შორის არს, რამეთუ არა არს ლეჴკი მღუდელობა, არამედ სარწმუნოებითა სულისა თვისისა დადება ღვთისათჳს, და სასოებითა ზენათა, ყოვლისა ქუეყნაჲსა დატევება, და სიყვარულითა ცეცხლებრ მოტყინარეთა ღვთისა მიმართ გუამის თჳსისა დავიწყება, რათამცა მღუდელმან თავით თვისით დარწმუნებულნი ცხოვარნი წარუდგინოს. იელოვა ღვთისა უმანკოდ, უბიწოდ და წმიდად, უნაოჭოდ, უბრძვილოდ და უწმიდესად, რათა მღუდელმან იქონიოს ორნი კლიტენი ოცდახუთთა წიგნებთაგან ძუელისა აღთქმისა და ახლის აღთქმისა ოცდა რუათა წიგნებთაგან. და შვიდთა მსოფლიო საღთო მამათაგან. და ადგილობრივთა მამათაგანცა დააქუნდეს ჴელთა შინა კუერთხი სუფევისა და არგანი შერისხვისა უთვალღებო, და ამოებდეს ცხოვართა დღესა შინა შვიდგზის კურთხევისა სერითა. და უწყოდეს სამნივე თანამღებობა ე. ი. ათორთა და სამეოცდა ათთა და შვიდთა. ამად არავინ მოღვაწე შეეყოფის სოფლისა საქმეთა მათთა, რათა ერისთავსა სათნო ეყოს.

უკეთუ თანა ხუცესობა გსურს თავისა მის მოციქულისა თანა აჰა, საქმითარე ცაიზეპირე ორნი კათოლიკენი მისნი და შეუდგინე აშოვნება ე. ი. ზნეობა უბიწო მორჩილებისა სიმდაბლისა და აღმი-

კითხვენ სამ გზის დაბადება, ძუჱლი და ახალი, და კანონნი სჯულისა და იქმენ ქუჱმდებარედ, რათამცა საღთო სიბრძნე შენზედა შეისმინებოდეს გაზეპირებითა არა მხოლოდ წიგნებისათა, რომელნი ურიათა და მწვალებლებთა და წარმართთა აკუდინებენ, არამედ გამოჰსცანთ ძალნი და ძარღვნი და ძუალნი და უფროსღა ტვინნი წერილებთანი ე. ი. სჯული და მადლი და ჭეშმარიტება. და აღიღეთ ცხრა ნეტარებისა განმზადებულება კორცთა მიმართ თქვენთა. და სოფლისა და ეშმაკთა ზედა. და აღაორძინეთ სულსა შინა ათნი ნაყოფნი ვიდრე ოცდაჲ ცხრა წლისამდე. მაშინ ანგელოსნი ღვთისანი დაიბანაკებენ შენ შორის და იქმნები მაშინ მღუდელ ქრისტე ღმერთისა, სულისაგან წმიდისა. ახალ ჭურ კეთილად შეცვალებულ, შვიდ საიდუმლოებითა შეიქმნებით მნე სულისა თვისისა უკეთილესისა საგრობითა და მეურნე ჩიხებისა მის, რომლითაცა ზედა დაიდგინები, ამად გული და თირკმელნი მიაყრდნე ჩემსა ზედა ღვთისასა ე. ი. ნებითა შენითა ნებანი ღვთისა აღსრულენ. ყოვლისა მშვინვისა შენისა უუმოსწრაფეს. და გაქვნდეს ძილი ხუთი ოდენ ჟამნი, გარნა ძილსა შინათა სული შენი ზრახვიდეს სათნოებასა. ღმერთ მამისა და ღმერთ ძისა მემსხვერპლეობისა და ღმერთ სულისა მოსლვასა შენზედა.

დასასრულ ეახელ უმაღლესა დედუფალსა მაგას და წარმოდი უკეთუ ღმერთსა ნებავს მიემთხევი საგანსა და მიენდე ღმერთსა, და ნუ მე, რომელმან არა ვუწყი ხვალისაცა ჩემი რაჲმე.

უკეთუ ძალგედვას უგანათლებულესი მიხაილ ბატონიშვილი მიამბორე ე. ი. ნაცვალ ფუამობით პირ მექმენ. და საღთო ლოცვითარე მოკითხვა ჩემი მოახსენე.

მღუდელ მონაზონი იონა წელსა 1826.

## № 99

### (1826 წ) წერილი გიორგი ჭილაძისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო მამაო იონავ! დღეს ჩემის პატარა შვილის მიხაილის დაბადების დღე არის, გვედრებთ ეს მცირე მსხვერპლი მიიღოთ, და სავედრებელი პარაკლისი გარდაიხადოთ, რომ ღმერთმან დამბადებელმან მისმან მიანიჭოს მას სიმრთელე და აღზარდოს სათნოდ თვსად, სხვებრ მე გვედრებ თავსა ჩემსა წმიდა ლოცვათა თქვენთა; გიამბორები შენს მარჯვენას და ვეგები შესაბამ სათანადოჲთა პატივის-მცე-

მლობითა. თქვენის მაღალ ღირსების უმდაბლესი მოსამსახურე გიორგი ჭილაძე.

## № 109

### 1826 წლის 9 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადისადმი[1]

ბრწყინვალეო თავადო ქრისტეს მიერ ლოცვასა მომრთმეველობ თქვენდამო, მოიხსენიეთ უმაღლესის მდგომარეობა ე. ი. ხვასტავი ჯერეთ არ მოუტანია ამაშუკელსა ამად დავშთი გამოუგზავნელი როჭიკისა, თქვენ ეცადენით რომელ მანდ ამხანაგისაგან გაემართნეთ ეგე ოდეს რაოდენნიცა უსაჭიროეს იყოს. ოდესაც აქარე მოსუფევდებით ღვთით კეთილად წარემართების საქმე თქუენნი. მერწმუნეთ, რომელ ვერა მივიღე როჭიკი. თორემ მე მოგართმევდი, დიდად ვცადე ვეჩხისა შოვნასა. გარნა ამაო იქმნა, თვთვე უწყით აქაური საქმე. რომელ როჭიკით არს ცხოვრება და არა მამულისა ნაქონებითა. ამასთან მწირი და მახემ ვართ აქარე და არა მეზობლიან რა ვჰყო მე ყოველთვის მელმის უაღრეს ძალისა ჩემისაცა.

ნუ შესლბებით ეგრეთ, ვითარცა მდაბიო სულ მოკლე ვინმე. თვთვე უწყით რომელ მოთმინება აგვრგვნებს გმირსაცა და მპყრობელსა სოფლისასა.

ეცადენით ლოცვითა და მარხვითა ღვთისა ნებისა აღსრულებასა ე. ი. სულითა უმანკოებასა და ჴორცითა სიწმიდესა, რომელთა ნაცვლად ღმერთი მოგაგებს სიმართლით გრძლად ცხოვრებასა, სიმდიდრესა შინა და არა შთავარდეთ ეშმაკსა და ჴორცთა და სოფლისა ენებაეჰთა. ესენი არიან სამნი დიდნი მტერნი ე. ი. ეშმაკნი აზმნობითა თვსითა მტერ ჩუენდა არიან, ჴორცნი ასოებთა წადილთა უუმეტეს მტერ ხილულ არიან და სოფელი ე. ი. კაცნი მარცხენანი მამიზეზებელ არიან განშორებად ღვთისაგან მათ სამთა მტერთაგან იწყლე. ლტოლვა ლოცვითა და მარხვითა, რათა ღმერთმან დღესა მწუხარებისასა გამოიხსნას ბოროტისაგან, ემსახურე ღმერთსა და ჴელმწიფეს, რათა უქმად არ შეგერაცხოსთ ჭამა ქვეყანისა ოფლებისა. ე. ი. კეთილ მსახურთა მუშაკთი მეერქვენეთი, ნურავის ცოლსა სწამებ, ნურავის აჰარვებ და კმაგეყავნ როჭიკი შენი ე. ი. იმყოფინე. ესე არს ბრძანება სახარებისა; თქვენი მლოცველი იონა მ. მ. მ. 1826 აგვისტოს 9 ს.

## № 101

### 1826 წ. 14 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო, მღვდელ მონაზონო, უუმოწყალესო ქელ-მწიფევ იონა!

მყოფი აღრეულებითსა ანუ აღშფოთებითსა მოძრაობასა შინა სუ-ლისა ყოველთა კერძოთასა მიზეზთასა გამო სხუა და სხუათა უსიამო-ენოთა კუეთებათათა ე. ი. პირველად შედგენასა შინა ჩემსა მდგომა-რეობითა სნეულებისათა, მეორედ გარემოთა შემთხვეულებათა მიერ. რომელნიცა მომცემენ საქმეთა შინა ჩემთა დაბრკოლებასა. წარვჰსწერ თქუენდამო უწყებასა ამას მოკლედ, მამაო!

ვინაჲდგან თქუენ მიერ; ანუ გამო მიყვანილ ვიყავი სასოებასა შინა (იმედსა), რომელმანცა ვიპყარ საქმეცა ეგრეთ, მე ვჰგონებ უწ-ყით, რომელ ყოველი საქმე ჩემი არს მას საგანსა შინა. რათა არა იცვა-ლოს არცა ერთითა წერტილითა, გარნა გამოხატუასა ამას შინა შინაგან სულისა ჩემისასა ვქმენ მრავლითა ცთომითა ცვილებათათა, რომელ-ნიცა ვნებად შემერაცხებიან მრავალთა გარემოებათა შინა: 1) განსჯასა შინა სიბრძნისასა მომავალს სამშაბათსა იწყების გარდამოცემა საგა-ნთა და ამასთან რეპეტიციანიცა გინა ეგზამენნი, რომელიცა დამჰვშთი უქონელობასა შინა მრავალთა საგანთასა მოუმზადებელ. 2) განსჯასა ში-ნა მომცემთა სიბრძნისათა, იგინი არა კმაყოფილ არიან ჩემ მიერ, ვი-ნაჲთგან ჯერეთ არა რაჲსა სამსახურსა ჩემსა იხილვენ საქმითა რაჲ-თამე. 3) განსაჯასავე შინა ვახს მომცემთასა. ესე შეადგენს ფრიადსა უპატიოებასა კაცისასა ზნეობით და ბუნებით. მე ვჰყავ დებულ მა-თთვს ნიშნად დრონი და ვჰცუალე მრავალჯერ, ხოლო მათ ვიხილავ თვით იწროსა მდგომარეობასა შინა. და არა ესრეთ იგინი აზმნობიან ჩემ ზედა. რომელთა არღარა დარწმუნება ექმნებათ ჩემდა (იხილეთ რამეთუ მკერვლისა და სხუათა ვასხი შესდგების ვიდრე ათხუტმეტ წითელამდე).

ესე ვითარითა წარმოებათათვს მოვმართავ თქუენისა მაღალ-ღირ-სებისადმი ვედრსა ამას. რათა ჰყოთ სული ჩემი თვსსა მდგომარეო-ბასა შინა, რომელიცა არს განკუთვნილი საკუთრად თქუენდამო, ყო-ველსა ჟამსა თვსისა მოქმედებისისა.

თქუენისა მაღალ-ღირსებისა მორჩილი მოსამსახურე
ჭეშმარიტით პატივის-ცემითა დავშთები
მოწაფე თქუენი სტუდენტი სოლომონ დოდაევ
აგვისტოს 14 1826 წელსა. სანკტპეტერბურღი.

## № 102

### 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ, ქრისტე ღმერთისა მიერ ლოცვათა მომრთმეველობ თქუენდამო საღთოდრე.

იხილეთ, თქუენი ავთრათი მოვიღე საუნჯისაგან გულისა გამოღებული, აგვისტოს 14 სა, წელსა 1826 სა, რომელსა შინა მწერთ ლექსითა ამით, თქვენ მიერ ვიყავ სასოებასა შინა. აჰა, ვიყავ ზმნა ნიშნავს ნამყოსა რაჲსამე და არღა მყოობადსა, არამედ აწმყოსაცა დროსა უსასოებასა, გინა სასოწარკუეთილებასა, ამისთჳს საუნჯისა გულისა თქვენისა სვნიდისი მსაჯული შინაგანი სულისა არს უტყუელი გულისა შენისა. რომელ კატიგორია გინა ლოღიკა გულისა შენისა გამოგიცხადებია, ვითარცა იტყვის სამღუდელო წერილი არა არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდესო, ვითარ ცხად მიყოფს ქარტა კაბადონი თქუენი, მხოლოდ ნამყოსა სასოებასა და არღა აწმყოსა და მყოობადსა. აჰა, ნაყოფი სულისა თქვენისა აზმნობა ეგრეთ ცხად მიყოფს.

აჰა, იგულხმეთ ჩემ კერძ ნუ ტრაბახითარე, არამედ ნანდვლ საქმეებითა სულსა ჩემსა თჳსებად ჰქონან ზეგარდმო ტალანტები. ე. ი. გული ლმობიერი, და ჴელნი მოწყალიანი, ეგრეთ ვითარ მიბრძანებს აღთქმა ახალი თვთ მტერთა თჳსცა.

იგულვეთ იტყვის ბრძენი ეკკლესიისა, ამხილე ბრძენსა და შეგიყვაროსო. აჰა, ესერა თქვენ ბრალნი უუმთავრესნი დიდ [illegible] ოთხნაირე გქონან. 1. აჰა, შეგიმზადე სარეცელი სასწავლოსა შინა. რათამცა ორი დღე მუნ დაგეყოთ სწავლისათჳს და სიმრთელისა, ანუ დღე გამოღებით მაინც. გარნა გააუქმეთ. 2. საღთო სიყვარულისათჳს განიჭე ჟამნი, რათამცა შვიდეულისა დღენი. და ჩემნი კაცნი გეცნათ, გარნა უგულებელს ჰყავთ, რაოდენ გზის შეგკითხე ვერარაჲ მომიგეთ, რომელთა ნაცულად ძუელთა მოსწავლეთა შვდეულისა ნიშნები და ვარსკულაები უწყოდენ. 3. აჰა-ჩუენ ყოველნი ზეცისა მოგზაურნი თავთა ჩვენთა ვამსახურებთ მაღალსა და ნივთებთაცა. მოვიხუამდ შეწირვად მისდამი, რათამცა სურვილი ჩვენი იხილოს სავაოთ ძალთა სადონაჲ იეღოვამ. ე. ი. დედამან უფლისა კონსტანტინესმან, სამასისა წლისა დაფლული ძელი იპოვა შაშპარითა სუნნელიანისა ორძილთა. რომლითაცა აღვამაღლებთ ჯუარსა ცხოველსა, რომელი მოუღებიეს ეკკლესიასა ბერძენ ქართუელ როსთასა, რომელი თქუენ გეცინებისთ, რომლისათჳს ბრძენი სოკრატ შემსმელი სამსალისა იქმნა ბნელთა წარმათთა მსაჯულთაგან, რომლითა ქებულ არს მიუკუნისამე. 4. წიგნი მოგეც ახალი დაბადებული, რომელი თჳნიერ აღმოკითხვსა ეგრეთ

გეზიზღების, ვითა ძველთა თხემებთა, რომელთამე რომელი ჰგონებენ თვთ განჭსწავლულსა ქართველსა არარაჲ უწყისო, ეგრეთ ვითა სხვსა ენისა ნათესავმან, და ესე ვითარისა აზმნობითა თჳსსა ბრძენსაცა საწუნელ ჰყოფენ, ეგრეთუჱ ახალნი რომელნიმე თხემნი თვსისა ენისა უკეთილესსა თხზულებასა გაკილვენ, რომელთა ვითა მანდრაგორისა გემო არა უწყიან. ეგრეთუჱ დაწუნებულნი თვსნი არა უწყიან მათ, უკეთუმცა ეცნათ პეტრიწნი, ევთიმე, გაბრიელ, გიორგი ბულმაისისძე, აშოთან, მოსე ხონელი, ჩახრუხაძე, აბდულ-მესია დიმიტრი, ნიკოლოზ ტფილელი, ვახტანგ მეფე, არჩილ მეფე, თეიმურაზ მეფე, დოსითეოზ ეპისკოპოზი და სხუანი და სხუანი, რომელთა თხზულნი ოდესმე გამომზევდებიან ოქროვანსა საუკუნესა შინა. აჰა — ზემონი უკეთუმცა უწყოდენ უბირთა, არამცა მამულის თხზულნი დაწუნებულ იყო.

იხილეთ თხზულნი ეგე ახალ შობილი გარდა ეკკლესიისა წერილებისა, სხუათა წერილებთა შორის ბზინავს ბიბინებითა და ბუტკოვის ყვავილოვნებითა, რომელსა შინა ძუჱლე და ახალი ენა არს, და მათ ზედა აღშენებულ ძუალნი და ტვნნი და ძარღვნი სიბრძნისანი, რომელი კნინღა და გასაღები არს ფილასოფიისა და ღვთისმეტყუჱლებისა, ეგ უკეთუმცა სხვათა ენასა ზედა ყოფილიყო აღშენებულ მსგავსად წურბელისა ჴელად მიმღებთაგან გამოწოვნილ იყო, გინა სახედ ფუტკრისა მოსლთვილბილ იყო გოლნი და მანანა ეგე და ყუავილნი იეროქოსნი. გარნა ვინაჲთგან არს ქართულისაგან ამად არს კუხე და არა გემიერ. გარნა უკეთუ ინებოს მაღალმან და იქმნას იუჱრია დამფასებელ ნამუშაკებისა, მაგასაცა დაედების კიდონტური ფასი მამულის მოყუარეთაგან.

იხილეთ, მე ვქმენ ქადაგება წლისა, ღვთისმეტყველება სამნაწილედი, ლექსიკონი შავი და შეკითხვსა მიგება ეგე. ვთხზავ კატეხიზმოსა ვრცელსა კითხვა მიგებით, ამის(თ)ვის რომელ პირველად ჩემდამო კეთილის მოქმედთა მწე მქებარეობა უყონ, რათამცა უცნობთაცა შეაწყნარონ ხოიშნობითა კეთილითა, და ჴელისჴელმძღუანებლობითა, გარნა უკეთუ არა იხილონ გემო პირველად, თვთ ვითარ ძალიდებენ მანდრაგორისა ქებასა.

აჰა განჰსჭურიტეთ, მე ეგრეთი უეჭველი მინდობა მაქუს ჩემდამო კეთილთა კაცთა ზედა, რომელ ვგონებ უმანკოებითარე წრფელად, ე. ი. ჴელთა შინა ჩემთა ჭერილი მქისე ნივთიცა შეიყუარონ სიყუარულისათვს ჩემისა. უკეთუ არა სიყუარულითა, პატივისცემისათვს ჩემისა. თუმცა არა რაჲ ვარ, გარნა ვარ, ეგრეთ რაჲცა ვარ მამულისათვს; ვითარცა თხზულნიცა ჩემნი მემოწმებიან, რომელნიცა შემდგომად განსლვსა ჩემისა სამგზის მშობელისა ჩემისა უუსაყუარელესისა მამულისა სუ-

ლისა სულიერთა მსახურ იქმნებიან, ეგრეთჳჱ შობადთა ძეთა და ასულთა იჳჱრიისათა.

აჰა, შევვედრებ სიტყჳათა ჩემთა, რათამცა ჩემ კერძ გვალ მარად ლოცვთა, და მოთმინებითა და წერილი ესე არომატ თქვენდა ჰყოთ, რომელ წჳრთნა ტუქსვისა, ქუნჯნა კჳჱრთხი მოსწავლისათჳს. არათუ მხოლოდ ათინაა, არამედ უფროსღა იეროსალიმი, და სამგზის ნეტარება ამიერ და მიერ, რამეთუ მაგალითად ბრილიანტნი მრავალგზის თლილნნი და ოქრო შევრეულგზის გამობრძმედებული მოფარდულსა შინა უძვრფასობენ.

ესერა ნაცხადებთ ათხუთმეტთა მეწამულთა ვასხთა, იხილეთ, ვინცა მცირაკთა კმაყოფილ არს, იგი არს მდიდარი, ვითარცა იტყვიან ფილასოფოსნი და უფროსღა ღთისმეტყჳჱლნი უპოვრად ცხოვრება არსო უშიშრად ცხოვრება და ცხონება. რომელსა მავნებლებთა მიტაცებისაგან, და დაკარგვსა არა ეშინის, რომელ მიუცილებელნი საჭირონი არიან. ჰაერი, პური, წყალი და ტანთ საფარებელი, ხოლო სხვანი ორნი ე. ი. საკმარნი და სარგებლობა. მეტნი არიან გინა ზრუნვანი. დიდ ფრიადთი და განუსვენებლობა რომელ საკმარი, და სარგებლობიერნი თვრთნი ყოველნივე თჳალებ დახუჭკლსა დაშთებიან თან წარუტანელად.

მოიხსენეთ, თქვენ საგანსა ზედა, რომელი აღმითქვთ და მწერთცა გალანამცა მარადის გაქჳნდესთ ს. პ. პ. მე ყოვლით კერძო ვეცდები ნივთიერ პრაქტიკებითა თქვენდამო წარგებად. აჰა, ათსამეტი მეწამული წარვაგე ადამსა ზედა განკურნებისათჳს დიდ ფრიად საჭიროდ, აჰა ესერა ვსასოებ ამავე თთვეში რვა მეწამულსა მიზღჳასა თქვენდამო უკეთუ ენებოს მაღალსა, ეგრეთვე მომავალსა თვეში, ხოლო თქვენ დაიცევით უძვირფასესი სიცოცხლე თქვენი და ილოცე ჩემთჳსცა, რათა ვმსახურო თქვენითურთ სამგზის მშობელსა ჩემსა. თქვენი მლოცველი ი. მ. მ. მ.

## № 103

## (1826 წ) წერილი იესე ოქრომჭედლოვისა იონა ხელაშვილისადმი

ნუგეშის მცემელო სულიერო მამაო იონავ!

მრავალს მოკითხვას და მარჯვენე ჴელსა ამბორებას მოგიძღუნი და ღმერთსა ვსთხოვ თქჳჱნსა სიცოცხლესა: უკეთუ ჩემს ანბავს მოიხსენებთ გახლავარ უმოწყალიოთ და ვერსად ვერ გამოვსულვარ, ტიტჳჱლად ვარ; სულიერო მამაო აქ ერთი აზნაურიშვილი არის და აქუს სერთუკი და შარვარი ძალიან იაფათ აძლევს, სამ თუმნად. მოწ. მამაო! ღმერთი შეგეწევაო, მოიღეთ წყალობა ღმერთმან ხომ იცის, რომ ასე

შეწუხებაში გახლავარ, რომ არ ვიცი რა ვქმნა მამაო. მაშინც ამტელო ხანია, რომ თქვენი ნუგეში არა მკლებია ამ ბოლო დროს ნუ დამაგდებთ უნუგეშოთ.

თქვენი საუკუნოდ მლოცველი სულიერო ძე იესე.
ოქრომჭედლოვი 1826

## № 104

### 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ოქრომჭედლოვისადმი

უფალო ოქრომჭედლოვ!

ქრისტე ღუთისა მიერ ლოცუჴსა მოვრთმევლობ თქუჱნდა.

აჰა ესერა თქვენი ავთრათი მოვიღე, რომელმან დიდ ფრიად ლმობიერ მყო. და წარმოგიგზავნე სამი თუმანი ასიგნაცია: გარნა ეკრძალე, რათა ხსენებულნი იგი სამჴედრო საბლარდნელი მიივაჴრო, და არღა დაშთე შიშველი, ეგრეთუჱ ეცადე, რათა დაემორჩილო ნაჩალნიკებსა ე. ი. თაონთა უფროსებსა და შეაყუჲარო თავი შენი.

ეგრეთუჱ დაეშურვე სწავლასა, ეგოდენი ჴაკისა ხარ, ესერა თუთვე უწყი, რომელ ცხრა თთუჱ ჩემთან გამყოფე; და შემდგომ ვეცადენით თქვენს განსაზღვრებასა, ვალენტირისა კორპუზსა შინა, რომელი იყავ კნინღა და ტალახი ზნეობითა და უსწავლელობითა, და გყავ იძულებითარე თიჴად.

ხოლო მანდარე კნინღა და ჴურჴელ გყვეს; უკეთუ ლოცვითა და კეთილისა საქმეებითა ეცდები, პატიოსან ჴურ იქმნები დამჴყრობელ არა დოსი და შრატისა, არამედ საღთო ზეთისა, რომელ არს სწავლა ღუთისა ცნობისა, და ნელსაცხებელისა, რომელ არს შიში ღუთისა.

წელსა 1826
თთუჱსა

## № 105

### 1826 წლის 1 სექტემბრის წერილი გაბრიელ მაყაევისა იონა ხელაშვილისადმი

საყვარელო ქრისტეს მიერ ძმაო ხუცეს მონოზანო იონავ!

საღთოთა ჴელთა გიანბორებ და მსგავსად თომა მოციქულისა სიღულითა თვალითა შორით გიხილამ უსაყვარლესო ძმაო. ვიცი, გიყუ-

არს შენი მშობელი მამული და ეკკლესიანიცა. ერთი პურის საკურთხი მიბოძე ათორმეტთა სირიელთა მამათაგანის ზენონ იყალთოელის საფლავისათვს და საუკუნოდ შენდა დაჰსდევ და ამგვარის კადნიერებისათვს არა შემრისხოთ და წერილითა თქვენითა მაიამოვნებდეთ, მოწაფისა თქვენისა დოდაევის ჴელით მიბოძეთ და ანუ როგორც მოიხერხოთ მალე.

შენი თაყვანისმცემელი გაბრიელ მაყაევი.
1826 წელსა, სეკტემბრის 1 დღესა.

### № 106

### (1826 წლის) წერილი იონა ხელაშვილისა დიაკვან პეტრესადმი

უფალს დიაჩოქს პეტრეს[1] ჲალთო ლოცჳათა მოგართჳამ ქრისტე ღუთისა მიერ გულითადიერ.

მოიხსენეთ თქჳჱნნი პატაკი წიგნი მოვიღე. რომელსა უპყრიეს სიყჳარული ზედა პირჳჱლ და მეორე ერთისა მის ძირისა ადამისა, და მესამე უმეტეს მადლითა წყაროჲსა მის ემბაზისა, რომელ არს დედა ჩჳჱნ ბერძენ ქართჳჱლთა ამად სთქჳა უფალმან სახარებასა შინა თვსსა, კეთილმან ხემ ნაყოფცა კეთილივე გამოიღოსო ე. ი. საუნჯისაგან გულისა თვსისა. თქჳჱნი ეგე სიყუარული ამას ვაშა. ვაშა, რომელსა გქონიეს სარწმუნოება ცეცხლმოტყინარედ ღჳთისა მიმართ ემბაზისა ჩჳჱნისა ძმათა ყოველთავე თანა გჳაძს სიყჳარული ურთიერთ.

იხილეთ თქჳჱნნი ავთრატი ქარტა უტკბილეს გოლისა არს, რომელი ატკბობს სულსა ჩემსა, რომელმან პირისა შენისა ქმნულება ცნინლა და გრძნობაებითაცა განხილჳა, ხოლო უხილავი სული ჩემი გონებითარე გარემოსა შენსა იქცევის.

იგჳლეთ თქჳჱნი პიტაკი სურვილისა თქვენისა მიცხადებს, გარნა მაგა ტრფობასა გულისჴმისყოფა და ნება უმჯობესისა აღრჩევად წინარე წარუძღჳანეთ მიმყოვრებულისა[2] განსჯითა ე. ი. უკეთუ გნებავსთ აქა მოსულა პირველად წიგნი მოსწერეთ, ვისთანაც გთნავსთ და აღიღეთ ნებართჳა, და ესრეთ მიენდევით პასუხსა და ეგრეთ იპყარით საქმე თქჳჱნი, სადაცა მე ვმღვდლობ ესე უმაღლესი მოსკოვში ლამის წარმობრძანებასა, მე ამისთვს ვერ თავსა მოცემა სრულისა საგნისა ამის ძლით შევსლბი პირველ და მეორეთაც მაგა სოლომონისა[3] გამო, რომელსა ძალისაებრ ჩემისა შეუქმენ მრავალნი კეთილობანი, რომელთა ნაცჳლად სვნიდისისა ჩემისა გარემოქცევით მწერს უმადლობასა და ბრალსა და მიზეზსა უკურთხობისა თვსისა, რომლისათვს ბატონის სძალს სალომეს[4] მივაწერინე საცა ადგილია.

გარნა აქ არ მოგუარდა მაგისი საქმე, ესერა, ანნა დედოფალი თხოულობს ჯაფარიძე დიაკვნისა მღუდელობასა. გარნა არა არაა პასუხი ესმის. ესერა მე მსურს თქუჱნთჳს კეთილი, რომელ მესამე თქუჱნი მოსულა მოსკოვში, გარნა თქუჱნ ეძიეთ მიმყოვრებით და პოვებთ სასურველსა თქვენსა. ითხოვეთ და მიიღებთ. დარეკეთ ზედაზედა და განგეღებისთ მოწყალებისა კარი ზეცით, უკეთუ სურვილისა თქუჱნისა განაურვებთ განმკითხუჱლი გულისა და თირკმელთა წარგი მართებსთ სათნოდ თჳსსა.

## № 107

### 1826 წლი 21 სექტემბრის წერილი სოლომნ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალღირსო მამაო მ. მ. მ. იონა, უმოწყალესო ჴელმწიფევ!

ი — ქმენ ბრძენ ნათელ ბრწყინვალე სწავლათა,
ო — ვბაბ წყაროო მომფენელო კეთილთა,
ნ — აყოფ გამომლებ მეცნიერ წყურვილ-მომდინარედ,
ა — არსთა არსებამან გულთ სათნოებ სავსედ,
ს — ახენი კეთილთა მომდინარებულ,
უ — რიცხველ ჩემდა არიან ხილულ,
ძ — ალსა ბუნება და ზნეობა გულსა,
ღ — მრთისადმი აღძრავს ვედრებად თჳს თქუჱნისა.
ვ — ერ შემძლებელ ვართ, არა ვჰყო ცხადად,
ნ — უგეშ საგრძნობელ ჩემდა მოქმედად,
ი — დია ჩემი მდგომარეობს მისად,
ს — იტყვით წარმოვადგინო თჳსება თჳსად.
ო — დესმე იქმნას კეთილი მემამულეთა საცნობლად,
ლ — ოცუად ზედა ჰყოს და იჳთ ჰქმნან მსგავსად,
ო — ცად ტრიქონად მოკლედ აქ წარვსწერ,
მ — აინცა ჰსცნობენ მხოლოდ სახიერ,
ო — დესმე აღრიცხუჱნ სათნოს სახეთა,
ნ — ადებსა თანა ვასრულებ ყოველთა დღეთა.
ა — მათდა ვავლენ მოლოცუასაცა,
წ — ინაშე თქუჱნსა და ზემო წმიდას თხოვადცა.

სოლომონ დოდაევ.

სეკდემბრის 21 სა, 1826 წელსა ქალაქსა პეტრეს დიდისასა.

## № 108

### 1826 წლის 3 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო მამაო მღვდელ მოძღვარო იონა უმოწყალესო ჯელ-მწიფევ! შემდგომ დიდ ფრიად ძლიერისა გრძნობათა შინა აღტყინებუ-ლისა მწუხარებისა მაქუს პატივი უწყებად თქვენდა ამისთვს მოკლედ:

დღესა ხუთშაბათსა ამ კვირისასა, სასმენელად ლექციისა დავჰყავ უნივერსიტეტსა შინა, მუნ მიხილა მკურნალმან, მკითხა რაჲსა ჰსტ-კივნეულობო? მიუგე ოდესმე მტკივნეულება თავისა. მან მიითხოვა ქა-ღალდი და დასწერა რეცეპტი. ხოლო მუნითგან წარმოსული მტკივნე-ულებითა თვსითა მოვედი სადგომად თვსად, წარვგზავნე ბარაკიელი[1] რეცეპტითა მოტანად სამკურნალოჲსა, მოტანილი ვიხილე, რომელ იყ-ვნენ შპანსკი მუშკი[2], აბები და ზეთი, ღამესა მას ვიდრე განთიადმდე მაქვნდა კისერსა ზედა მუშკი. რომელმან მაცრემლა დიდად. და აღძრა შედრგენილება სხეულისა ჩემისა. აღყარა ტყავი კისრისა, იწვის მსგავ-სად ცეცხლისა, მიდის ყვითელი წყალი მოუწყვეტელ მსგავსად მდინა-რისა და მე ვმწუხარეობ უმეტეს მაჯსა დღესა, დიდ ფრიადსა სულტო-ბასა შინა კუჭისასა, კისერი გამოუთქმელად აღრეულარს და ესოდენ ვალს მატერია აღრეული, რომელ მეოთხედ სამოსი სავსე ვჰსცუალე ვჰსცუალე და არა განიკურნების მსწრაფლიად, რომლისა გამო კიდეც ვიშიში ვნებულებასა, ვინაჲთგან საშიშრად მკურვალე არს, აღმორ-გებულ ანუ აშლილ, რაჲსა ყოფად ძალმიძს მოკლებული საქმისა და არა რაჲობისა ცალიერ ყოვლითურთ.

და ესრეთ გთხოვ, ჰყოთ მაღალ ღირსო მამაო ყურადღება ჩემ ზე-და, რათა განვიკურნო და არა წარიწყმიდოს ღვაწლი და შრომა თქვენი ჩემზედა.

დღეს წირვაზედ უკეთუ გახლდეთ უბრძანეთ ერისათვს შანშეს ძეს[3], რათა მწერალნი წარმოგზავნოს ჩემთან, მე წერად არა ძალმიძს, ამ შემთხვევასა შინა, ეგების საქმე ესე სრულ ვჰყოთ, და მივმართოთ სხუათა, და გრძლად არა დაშთეს.

მამაო იონა! ამას მცირაკისა ავთრათსა შინა აღმახსენდა შეკით-ხუაჲ თქვენი ცალიერობისათვს. კარტეზიანნი იტყვიან ლოღიკებრ ეს-რეთ, უკეთუ არს ბუნებისა შინა ცალიერობა მაშა სათანადო არიან, რათა არსებანი იყვნენ თვნიერ შინაგანთა ვითარებათა. გარნა ესრეთთა არსებათა არა ძალუძს ყოფად ბუნებასა შინა. მაშასადამე შედგების, რომელ არა არიან ცალიერობანიცა, ხოლო ლასსენდი[5] ესრეთ შეიცავს: უკეთუ არს ბუნებასა შინა მოძრაობა ჯერ არს, რათა იყოს ცალიერობა. გარნა მოძრაობასა შინა არავინ არა იიჭუჭბის, ამის გამო შესდგების,

რომელ არს ცალიერობაცა, აწ უკუე განსაჯე ტალანტითა თქვენითა წინაალმდეგ დაგებრდნი. ესე მე ვჰგონებ შემდგომსა ჭეშმარიტად, უკანასკნელი მშვიდობით, და მას შინა მტკიცედ ვსასოებ, რომელ ყოველთვს თქვენს ლოცვასა შინა დაუვიწყებელ ვარ.

მორჩილი მსმენელი მარადის მოწაფე თქუენი სულიერი
სოლომან დოდაევ.
ოკდომბრის 3 სა 1826 წელსა.

## № 109

### 1826 წ. 15 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა ოსეფასადმი.

თქუენო კეთილშობილებავ ოსეფავ[1] ქრისტეს მიერ მოკითხვას გძლევნი.

აჰა, ესერა რაჲ მითხოვნიეს თქუენთვის თუმცა მრავალჯერ მსურდა, გარნა არა შეგაწუხე. აწ საჭიროდ გთხოვ, რათა მიიღოთ შრომა ქრისტეს სიყუარულისა თვს და ექმნათ ჴელის ჴელ მძლუანებელ იოანეს და უმაღლეს დედოფალს მოუხსენო და ჰყოს წყალობა ამაზედა ეგრეთვე ბატონიშვილებთან ვინ უწყის შეეწივნენ სნეული არს ეგების მიაღწიოს თბილისში, ურმის დაკავებასაცა ეცადენით, მადლია თქვენთვის თვთვე უწყით:

ეცადენ კეთილის კაცისა მგზავრისა შოვნასა, ჩვენთა მოქალაქეთა. გინა ვინც წამსვლელი იყოს ტფილისში, და უკეთუ არა ტფილისში, მოსდოკში მე ესე შევიძელ და თვსსა პატრონსა და ვსთხოვ ჩემსა მას მოწაფეს უფალს ორბელიანოვს ზაქარიას[3] და გამოვაშვებინე: გარნა სამგზავრო ვერა რაჲ უღვაწე ამად, რომელ შინათგან მოელოდა ფულს და დაიგვიანა, მაგას ველარ მოვაცდევინეთ სნეულების მიზეზით ზედას ზედა.

თქვენ იცით როგორც მერჯულე კაცს შეეწევით კეთილი საქმეა მიცუალებულთა ცხოვრებად და ცოცხალთა სადღეგრძელოთ.

თქვენი მლოცველი იონა ბერი
თთუესა X 15
წელსა 1826 ს. ჰ. ბ.

## № 110

### 1826 წლის 15 დეკემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მაღალბრწყინვალე მამუკასადმი

მაღალ ბრწყინვალეო მამუკა ქრისტე ღვთისა მიერ

სალოთოთა ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო გულითადიერ

იხილეთ წელსა 1826, თთუესა ნოემბრის 25, თქვენი ავთრათი მოერთუა ამათს უმაღლესობას ანნა დედოფალს, რომელი მეცა მასმინა კაფიად, რომლითა შევემცენ მას შინა მოკალმებულთა თქვენთა. აჰა, ამიერიითგან უუმეტეს ვმხიარულებ, გულდებული, მე ესე რისხვისა ჰურვილთა ოდებად წართგებასა გარეგან სამძღვრებისა განძებასა, რომელთა ტოზიკურნი[1] ბავრაყნი[2] აქარე საკრებულოისა ეკკლესიასა შინა ცოდვა სამჯედრო დღესასწაულობითა და ვითარცა ძველნი ისრაელნი გოლიათისა საჭურველებისა დადებასა ტაძარს შინა დიდისა ღვთისასა იხარებდენ: ეგრეთვე ახალნი ისრაილნი მოლხენილნი ვგალობთ და უფროსღა ივერია, რომელ კვერთხი წინაპართა ჩვენთა მგუემელთი შეიმუსრა და უღელი დიდ ფრიად სამძიმიანი განვაგდეთ და ხარკნი მათნი ჩვენზედა დაბეჭდილნი ნინველთა და ნინველათა მოკუფხვლანი არღარა არიან, რომელნი ორგანვე ცხოველებისა ნაწილებთაგან განკვეთდენ მიზრუნდებითა სამხრეთისა ქვაბისადმი, რომელთა სვიდნი, გამოკოდითა გამოსაჭურისებდენ ემბაზის ძეთა და ასულებთა და ჰყოფდენ მონებად და მკევლებად ხარჯებთა თვსთა, სპარსნი ძველად მსახურნი მზისა და აწ მონანი სამხრეთისა ჩოდალო ქუაბისა, რომელსა ქალწულებითარე წმიდასა არა ძალუძს შთასვლა წიგნისამებრ მათისა სადა სამეოცდაათთა კენჭებთა თითოეულნი მისრულნი მტყორცველობენ ისმაილისა ეშმაკისა მიმართ და ჩვენცა მეორედ შობილთა თავბრუსა ლოცვითა გვბასრობენ წყევისა საქოლაებითა ქუეზორცვებისა განრაოდენობითა და რაოდენნიცა მამას მათსა მიმართ ზეციდგან გარდმოვრდომილსა ჰსურს მათუე ზაკვენ წყევითა დამასრულებელნი თვსისა მგზავრობისა. თავბრუზსა და ქვებთა სროლასა, რომელნი მჰსგავსად მყუართა მბანველობენ ტყავთა გარეგანთა შვიდ სასიკვდინოებთა წუნარებათა შესრულებისა შემდგომ, ხოლო იდაყვებიდგან იბანებიან და მჰსგავსად ფარისეველთა ებრაელთასა. და ეგრეთვე საიდუმლოდ შვილთ მშობელთა ასოთა მამრნი ალაღლაღებენ არა ცოდვათა განწმედად, არამედ გახკოცად შარდთა, ტენთა და განსალუქებად წინადაკვეთილთა მძორითა, ებრაელთაგან მიმღებნი წინადაცვეთისა, ეგრეთვე ზურგ კერძით ურჩხულთა ნაწლევსა განისულუქებენ თითთა შეყოფითა სკორეთა გამოხედნი. ეგ სახედუე მდედრნი მათნი მსახურებენ იდაყვებთა, საშოებთა და ურჩხულებთა თვსთა, და ესე ვითარისა საქმეებისა

დღესა შინა ხუთ გზის არიან წმიდა ნახევარ გუამებითა თვსითა. ე. ი. ქუეშე სარტყლებისა ვიდრე ფერჯებთა ჩონჩხებამდე და ჰსჯულისა მებრ ჯამი აბაზისა ოცდაერთგზის აღმრიცხელნი შარდთა დათხევისა სხვა და სხვა სახეებითა და აქცევენ ბურთისა შარდთა, ხოლო რვა სახედ განჰყვებენ სკორეპა, წესდებისამებრ აბასშაჰა და კვალად თავთაგანვე იწყებენ სხვა და სხვა მთვარისა განახლებისა და დაძველებისა, გარნა ჟამსა განჰყვებისა ოთხთა აზმნობათა მეტყველებენ საოხანესა შინა, რომელნი გამრავლეს მუნით იბანებიან ხრუჩ. უკეთუ ვერ ჰპოვონ წყალი მტვერითა განიგოზებიან და იხილეთ ჟამსა ბრძოლისასა წიგნი მათი ალოცებს იძულებითა ტახტსა ზედა, და უკეთუ წარიქცეს მჴედრობა მათი ჩრდილით პირით კერძ თავებთა ხრიან სამხრეთისაკენ და უკეთუ ვერ უსწრონ. ეგ სახედ მყისსა შინა ილოცვენ. ე. ი. დასუჭვენ თუალთა და განახმენ მეტყველნი ეგრეთ.

აჰა, ესერა ხუთგზის ვბანე ონებითა და ვილოცეცა თავხრითა ვითარცა აწვავებს სრულიად ბრმა წინამძღომელი მათი ბარბაროზსთა თვსსა დაბრმავებულთა. და ზედართავს. უკეთუ ფიცხელად დაჰსთხევთ სისხლებთა მეორედ შობილებთასა. თვთ იგი ომიანობა არსო ლოცვა და გზა სამოთხისა, რომელნი რაოდენთაცა რიცხვებთა ძალად დაბრძოლე-ლებთა მოჰსწყვიტეთ. ეგოდენ სამოთხესა შინა სადილნი და ვახშამნი უმრავლესნი მოგეცემიანო და ხარჰებთა წადილნი განგიმრავლდებისთ ნეყოფისა, რომელნი ძირებ ალმა შვებთა ჩრდილებთა ქვეშე ფოშავან-გებთა ზედა დამსხდარი მფრინვალე იქმნებითო და მუცლებისა თქვენისა დაცოხნილნი ოფლებად გამოვლენო, ეგრეთვე შარდნიცა ოთხთა მდინარებთა შემსმელთი და მღებარნი თმათა და წუჩრთა შავად. იგინი მარადის ჰაბუკნი იქმნებიანო სამოთხესა შინა. გარნა ჟამსა ბრძოლისასა გაზები სხვილბარკლებთა დაუკუჩთეთო მეორედ შობილთა მეომართა, რათამცა მწრაფლ შეუძლოთ დამარცხება და ოდეს დაიპყრად ძალნი მებრძოლეთი და მიიღოთ ტყვედ პირველად დაკოდილებთა პირნი მიბრუნდებულ ჰყავთ სამხრეთიდ კერძ ქაბისადმი და შემდგომ მრთელნიო და ესე ვითარისა სისხლების დაქცევითა გონებად და მკვლებად ისხენოთო ტყვეხი გაყრთი ე. ი. ურჯუკთი, რომელ მკვლელნი უფრეტეს ცხონდებითო, ეგრეთვე მოკლულნიცა დიდ ფრიად მდიდარ იქმნებითო სამოთხესა შინა; ე. ი. სამყაროსა შინა მეშვიდესა პლანეტსა ზედა აღვსლად უუმეტეს მეომართა და რომელნიცა წარმსვლელთა საომრად საჭიროებათა და საკმართა წარატანს თვსთა მონაგებთაგან იგინიცა მახლობელ მეომართა ცხონებულებათა თანა სადილვახშმათ დასხლებიანო ექვსთა ცხოველებთა კორცებთა ჰამად, ხედავთაა მაღალ ბრწყინვალეო თავადო, რომელ არათუ კორციელი ჰსჯული აღჰურავს ბარბაროზთა მათ სამხრეთისა მკარესა ზედა პირებ მიბრუნდებულთა. არა-

მედ სულიერად საგონებელი წიგნი მომართავს მათ ტოზიკელთა, რომლისა მაშინა მეხანიკად გამართულ არიან სახედ ქარის წისქვილისა, რომელნი ბუნებით იყვანებიან პირველთა მშობელთა ურჩებთა და მეორედ თვისისა მამისა ეშმაკისაგან, ხოლო მესამედ უუმეტეს თვისისა სრულიად ბრმისა წინასწარმეტყველად სახელდებულისაგან, რომელმან ქვეყანასა ზედა სახელისა თვისისა დატეებისათვს, როჭიკ თვისისა უფალსახლის პატრონასა დაუტევა და იწყო ვაჭრობა: ხოლო იგიცა განაგდო და აღიღო აღლესილი მახვილი და ოცდახუთს წელიწდებსა შინა შეტმასნილსა წიგნსა გამოკრებულისა ძველისა და ახლისა აღთქმისა წიგნებთაგან წინა უკმო ლექსებთა. ეგრეთვე ქრისტიანეთა მწყალებლებთა წიგნაკებთაგან და მოგვთა და მისანთა და გრძნეულთა წიგნაკებთაგან შემზადა თვისისა გონებისა იპოკენტავრულად ხაოსი წყვდიადი და სრულიად აფრიკა მაშინ უთაო ქმნილნი უმეფო ერი კელებისა აღაყვანა, რომელმან უარის მყოფელნი მიასამარა და უბრძანა ზემო სამყაროთაგან შთამოსვლა თვისისა წიგნისა მეტყუელისა, რომელსა შინა უსულოდ, უგონებოდ და უსიტყუოდ იოცნებს და ყოველთა კეთილთა გარემოქცევათა ბოროტად აღმოაჩენს და ბოროტთა უწოდს კეთილად საუნჯისაგან გულისა ან თვისისა გამოღებულითა ხენეშ ლექსებითა ფისერითა მთესველობს ღუარძლთა, რომელმან დააბერწა აღმოსავლეთისა და სამხრეთისა ერნი, რომელი მაგიერ ემბაზისა მეტყველებს ხუთგზის დღესა შინა ბანვასა.

ესრეთ განჰკვრიდეთ მაღალ ბრწყინვალეო თავადო შედგომილთა ზემოხსენებულისა კაცისა წიგნისა ერსა აქვს წარწყმედილი მსგავსება ღვთისა და უკეთუ ხატიცა სრულიად წარწყმედილნი აქვნდესთ მსგავსად ფარაოსსა ეტლებისამცა ჰქონდათ თორნი შთაცვებულნი და მას ზედა თხემებიდგან ვიდრე ტერფებამდე იგვრდივ გამოკიდებულნი მახვილები აქვნდიბოდათ ე. ი. მრავალნი ხმალნი და სატევარნი, შუბნი, წათები ორპირნი და თითოეულთა მათ ზედა დამცა უცხო სამსალანი დაგმერად მეორედ შობილებთა წინა კერძ, ზურგით კერძ ამერცუმრდა და მიერ მკარ. ეგრეთვე ოდესმე წინააღმდეგ არიან ზეგარდმო ხატებითა თვისისა წიგნისა ჰსჯულისა ე. ი. აჯალისა, რომელ არს სჭუმ. ამად მირიდებენ თავთა თვსთა სიკვდილისა, თუმცა სრულიად ბრმა მათი უბრძანებს აჯლითა მტრისა მიმართ შემართებასა და არა რიდებასა ცეცხლისა, წყალისა, მახვილისა და პატნეზისა.

იხილეთ უფალო თავადო სპარსნი თურქთაგან სახელიდებიან ერატიკოსად და შიად, რომელთაგანნი ოდესცა წარვლენან ტოზიკობად ქამად, ხილვად სორონს და მლოცვად მექაში აბრაამისა სახელად სახელდებულისა, ჰყისვე სამძღვართა ზედა თურქთასა იწყებენ თაღიაობასა. ე. ი. გარეგან თურქად შეიცვლებიან დატეებითა შიაობისათა და მივ-

ლენ განგოზილნი ზემოხსენებულთა ადგილებთა და მოიქცევიან გაფარისევლებულნი თავებთა ზედა კუბასტებისა მოხვეთა და ტანთა ზედა ნარუქიანებისა საბლარდნელებითა შთამცმელნი, რომელნი თაღიაობას დაუტეებენ სახლებთა შინა მოსრულნი დაიწყებენ ფარისევლობასა უუმეტეს სეიდებთა, რომლითა ათაყვანებენ ბრმანი უგუნურთა, შესაშმელად სახლებთა მათთა.

დასასრულ, სპარსთა სამ სახედ განპობისა შემდგომ, რვანი პატრონნი ქართლისანი გააწარმართეს. ხოლო ორნი კახთანი გაატოზიკელეს გარნა ცხოველისა ჯუარეთა ერკინენ ორნი სალთონი ცხებულნი მეფენი ე. ი. წმიდა არჩილ ხოსროიანი და წმიდა ლუარსაბ ბაგრატოვანი, ეგსახედვე ორნი დედოფალნი წმიდა შუშანიკ და სალთო ქეთევან და სალთო მღუდელი ქრისტესი ვასილი და მრავალ ბევრეულნი მოწესენი ერნი ივერიისანი, რომელნი ფიცხელისა ტანჯვითა გაჰსწყვიდეს კორცითა, რომელთა სულებამ აღიმღუთისველეს და ტბილისსა. გარეთ უბანსა, კალო მოწამეთი ეწოდების. აქა ესე უქმნიეს სპარსთა წიპართა ჩვენთა ზედა, რომელნი მარადის ლამიან დაშრეტად ქრისტიანობისა, გარნა ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან სასუფეველისა ძებთა და ასულებთა.

ნეტარ არს, რომელმან შეიპყრას ჩჩვილნი მათნი და შეახეთქნეს კლდესა, მსგავსად მეფსალმუნისა მეტყველებისა და აღვირ ასხას ძალსა და ძლიერებასა მათსა და მიაგოს მისაგებელნი მათნი, რომელნი მათ მომაგეს ჩვენ, რომელთა გარეთი კახეთი წარიქციეს დედაწულოიერთ ფერიეთსა შინა და დაჰსდევს ნატამლად სომხითი მცირე, თრიალეთი, ჰუკთი, ჰიაური, ბოჰორმა და მიდამონი.

კურთხეულ არს ცხებულისა ჩვენისა მეათცამეტისა გ. მ. გული, რომელი ძალალმან და შეგგვედრა მპყრობელსა მონარხსა პ. ცხებულსა, რომლისა ანდერძი კურთხეულმან ა. აღასრულა და იქმნა ჩვენ დაიტაკებულთათვს მონარხობითი მამა მოწყალე და რისხუასა შინა მომხსენებელ წყალობისა ჩვენ უმეცართა ზედა, რომლისა წყალობამან განაცხოველნა მღვდელნი და აღაყუავა აზნაურნი და აღაორძინა ერნი და განამდიდრნა ვაჭარნი და ჰყო ფუძე ივერიასა შინა ათინისა და უფროსლა სიონისა და მშვიდობა იერუსალიმისა, ხოლო ახალიცა ესე საღთო ცხებული კვიროს ჰრწყავს დასხმულთა წინაპართა თვსთასა გამოღებად ნაყოფთა ასეულთა, სამოცეულთა და ოცდაათეულთა. მოეცინ აღონაჲ უფალო ახალცხებულსა ამას ცხებულსა შენსა ნიკოლოს იმპერატორსა, დღენი მზისა და მთოვარისა და კურთხი განგებისა და სუფევისა სათნოდ ჩვენ ზედა და ვითარცა წ. მოსე დაარღვივნა უმართლონი, შვიდნი ნათესავნი და ისო ნავემან დაჰსცა იერიქო და გულითადმან პორფიროსანმან დავით მიუღო იეროსალიმი მტერთა იგივე

ძალნი შემოსე მშვიდსა ამას ცხებულსა შენსა, რომელმან ასპარეზსა ზედა სიმჴნითა შენითა ღმერთო დიდ ფრიადნი რყეულებანი დაყუდებულ ჰყო. აჰა მაშინ განვცხოველდით ჩვენ ყოველნი.

ღმერთო სავაოთ ძალთაო. განაძლიერენ სალთო მხედრობა მონისა შენისა ცხებულისა ჩვენისა მონარხ მამისა, რათამცა მთანნი ამპარტავანნი სპარსნი და გზანი საჴურველისა ამისასა დავაკდინ და ზღუდეებისა მოქლონი მტერთა განეხვნენ და ვითა კვროს ცხებულსა განუღე ბაბილოვნისა მჴენი: ეგრეთცა ეძიე სისხლნი ივერიისა დათხეულნი მირიან მეფითგან, ვიდრე აქამომდე და გამოიყვანე ერი იგი ფერიეთითგან მეორედ შობილთა შვილნი და ვითარცა ვღაღადებთ, ეგრეთვე ზედდავრთავთ მეტყველნი ჩვენთანა არს ღმერთი, ჩვენთანა არს ღმერთი. ჩვენთანა არს ღმერთი. ჰსცანთ წარმართთა და იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი და კვალად თუ განძლიერდეთ. კუალადცა იძლიენით, რამეთუ ჩვენთანა არს ღმერთი.

მოიხსენეთ: მაღალ მრწყინვალეო. კელმწიფე ჩვენი დიდ ფრიად მადლობელი ბრძანდება ივერიისა მაგის ერისა და უმეტეს მხედრობისა მდევრეულისა, რომელთა აჩვენეთ მამაცობა, იგივე ვითარცა ირაკლი. 2. აზათხანსა ზედაი. თქვენ ხართ მათნივე ძენი უკეთუ მცირე მეფისა ქვეშე იყავნით. ოდესმე ძლიერ, რაოდენ თანა გაძს უძლიერეს ყოფა, ესე ვითარისა მონარხისა საჴურველებითა, რათა აჩვენოთ ღმერთსა და ცხებულსა მისსა შვიდ კეცი ძალნი, რათამცა ჰურნი რისხვისანი წარიქციოთ, ე. ი. ჰურჰელნი ეწვაკთანა და უკუმოიწლოთ წარტაცებულნი ოავარნი. გარნა დაცემულნი გეწყალვოდესთ, და ეცით მშიერთა პურნი და წყალნი სათნოდ მადლისა.

იონა მ. მონაზონი, მლოცველი თქვენი მაღალ ბრწყინვალებისა
დავშთები უწჳერუალესსა გულითადოსა თქუჱნდამო.
წელსა 1826 დეკემბრის 15 დღესა.

## № 111

### 1826 წლის 29 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

სულიერო ძეო ჩემო ს! ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა და მოკითხვათა მიმრთმევლობ თქვენდამო გულითადიერ. ვითარცა სურის სულსა ჩემსა ვითარცა თეორეტიკაებითა, ეგრეთვე პრაქტიკებითა და აქსიომად, და არა განკმელ თეორებად ნუ იყოფინ:

იხილეთ ყოველნი წურთანი დაწვრთილებანი და სწავლანი აღმოსავლურ სძლისა შვიდ მადლითა სულისა წმიდისათანი არიან პირველად ზენა სულიერ სოფლისათჳს, რომელ ბუნებითადცა ადვილ საცანურ არს ვინცა ეძიებს უუძვირფასესთა საუნჯეთა განკაფვითა მეფე სულისათა მლვძარებითა ქალაქ გუამისათა რუდუნებითა ჟამითი ჟამებითა და დროებითა ჯგუფებითა ურულოდ ღამესა შინა და განუსვენებლად დღეთა შინა ცხოვრებისათა. აჰა, ესერა დიდ ფრიად მწყურვალედ მეძიებელისა ზე სვინდისისა საქმეებითა ეპოებს უძვრფასესნი საუნჯენი. და კელად მიმღებსა ზენა საუნჯეთასა, ქუეყნიერნი საუნჯენიცა უუადვილესად შევძინებიან, დიდისა ამის სახლისაგან შობილნი, რომელნი პირისპირ ზენადსა ამაო წერტილებად არიან შერაცხილ, ამად არავინ გვრგვნოსან იქმნებიან უკეთუ არა ჰსჯულიერად ილვაწონ ვითარცა ჰსთქვა, მ. პ.

ეგრეთუე ზემოთა საუნჯისა ძიებისა თანჴმად მეტყუელებს ცხებული, რათამცა ზნეობანი თანჴმობდენ სწავლულთა და მოსწავლეთა უკეთილესად რათამცა მყუდროებითარე გვაქვნდეს ცხოვრება ურთიერთისა სიყვარულიანისა სარგებლად და ვიყვნეთ ბრმათა ნათელნი, ყრუთა ყურნი, ენა ულებთა რიტორ უჴელოვნოთა მაღალით, მკლობელთა ფერხ ცხოვრებისა ამის გზასა ზედა, ყრმათა სანთელი, მოხუცებულთა კუერთ, სნეულთა მკურნალ, მკდოვანთა განმადიდრებელ. მცონართა განმაღვიძებელ მწირთა, მწირთა მსხემსთა დამავანებელ, მკვდართა გლახაკთა დამლეველ, ამბოხებათა ლალვათა მზაკვრობათა ფლიდობათა, ტრედობათა. ცმაგვათა ტარტაროზთა, ძმაცვათა, სილოდანთა, ლირწებათა, ლაცირცობათა, ქილიკობათა, მზუსლობათა, ამპარტავნებათა, დიდების მოყვარებათა, ნაყროვანებათა, არაწმინდებათა, მედგრობათა, მცონარებათა, შურთა, ანგარებათა და შვიდთა მათ მაკვდინებელთა ცხებაებთა და ყოველთავე ბიწთა, მწიკვლთა, ბრძვლთა, და ეგე ვითართა დამადუმებელ სიბრძნის ძლიერებითა. აჰა, ესე არს ფილოსოფიისა საჴურველნი და ფილასოფოსობა თჳემსა ზედა სოფლისასა და წევრობა მამულისა, ვითარცა ბრძანებს ცხებულისა როარტაგი' წელსა 1826 გამოცემული.

ეგ სახედვე განმანათლებელნი უ. ი. განათლებისა მინისტრნი და წევრნი მათნი და სულიერნი მასწავლელნიცა კორციელნიცა მასწავლებელნი აკადემიათა, უნივერსიტეტებისა, ღემნაზიათი, შკოლათი, პანციონთი და ერთბამად ყოველნივე სწნეხენ ძველისა, და ახლისა აღთქმეებისა წიგნებთაგან თაფლთა, გოლთა და მანანათა და აწვიმებენ მოსწავლეთა სულებსა. განათლებად, და კორცებთა, და ყოველთა გრძნობაებთა და საოებთა მათდა დამწყესად, რომელნი ყოველთავე ათინისა, ბაბილოვნისა, ფინიკიელთა, ეგიპტისა, რომთა, ინდოეთისა, და

კიტაელთა კონფუციისა წიგნებთაგანცა გამოსტუტუცლობენ წაქათა გამორჩეულთა დააწყთებენ ყურებთა შინაგან მოსწავლეთასა და ესე ვითარისა სწავლაებითა ევროპიისა სულიერთა და მონარხებთა და მმართებელობათა და განათლებისა მინისტრთა და მასწავლებლებთა ზე აღსავალობით აყავთ მეშკოლენი თხემსა ზედა სოფლისასა ამისთვის ევროპა ლამპარ ამერიკიისა არს სანთელ, აზიისა არს სანთელ მთიებ, ინდოეთისა არს ცისკარ, აფრიკისა არს მთვარე, კიტაისა არს ვარსკულავ, იეპონიისა არს ფუქია ტებასი არს და ერთბამად მზე არს ყოველთა კიდის კიდემდე. ბარბაროზთა, და ელენთა, წარმართთა და ბომონებთა და ბინძებთა, ბარაბანებთა და ამათი და სრულიად ქურმუქთი, რომელნი ნატრიან სიბრძნეთა ევროპიისათა, რომელნი კნინლა და ბარბაროზობისაგან ლბილდებიან გაველურებულნი სიტყვიერნი მხეცებთა ხარაკტირებისა მექონნი და მგელთა ანტიპატიებისა ლამიან პირველად ზორაყობასა და ყაპაზუნობასა[2] რათამცა იცვალნენ კაცადვე, გუაჯიობ მობაძაობითარე ევროპიისათა.

იხილეთ საკურთხეველი ქრისტე ღვთისა. რაოდენნიმე დამყავრდა კიტაიასა მიწა და ინდოეთსა და ეგიპტესა, და სპარსეთს, ხოლო ამერიკა აღივსო სამსხუერპლო ტაძრებითა. და აჰა, ესენი არიან სიბრძნისა ნაყოფნი, რომელ ევროპიისა ბრძენნი მჰგავსნი ცხოვართა სიმშვიდითა ვლენან მგელთა მათ ბარბაროზთა შორის. და სულელობას კურნებენ ზეცისა სამკურნალითა და მათ ცვალებენ ცხოვრად. და თვითოეულნი ბრძენნი ათასეულთა სულებთა აღატყინებენ სიბრძნისა სანთლებითა, ხოლო ათასეულნი ბევრეულებთა. და ბევრეულნი უშტოს უშტებსა და უშქარის უშქარებთა მილიონებთა.

იგულეთ მე ძოღან მეფის ძის[3] სახლსა შინა ყოფასა ჩემსა მესმა ლოღიკისა გაზეპირება, მეტაფიზიკისა გარე შეცვა ფიზიკისა განზომა, მათემატიკისა აღრიცხვა და სხვათაცა საკლასოთა წიგნებთა, მესმა სულისა დარიჯაგსა შინა პირისა სულსა შინათგან სამეხსიაროდ, რომლითა განმხიარულდი პირისა მისთვს მეტყველისა, გარნა მიმყოვრებითსა განვსაჯე სულსა მას შემხმელსა სიბრძნისა ლექსებთასა განმზიპირებელსა აქვნდნენ თვსებანი სულისა თვსისანი, არა მოწამედ სიბრძნისა და ეგრეთვე საქმენი, არცაღა მოწამედ ბუნებითა ლოღიკოსისა, რომელნი პირებთა სხვათა არა შერაცხყონ ნივთებად. არღაცა მდაბალთა, დავრდომილებთასა, არამედ უმანკოებისა და წრფელობისა ლიტონობითა თვსითა აძლევს პატივსა და უჩვენებენ ძალისამებრ თვსისა შეწევნასა მეტყველნი ესრეთ: შემწესა სხვათასა შეეწევის მაღალი და მოელის შემთხვეულებასაცა სოფლისაგან უნებლიეთსა, რათა ოდენ ვიქმნე დაკვეთებელ, შემეწევიან მეცა გარეგანი და ესრეთით ბუნებითი ლოღიკოსებითა თვსითა აღასრულებს სამღთოსაცა სჯულისა.

იხილეთ, მანდ ყოფასა ჩემსა მესმა სწავლითი ლოღიკისა და ყოველთავე სწავლათა შეურაცხყოფა, ე. ი. ვითარცა სულისა ძალებისა დაუმწყსელობა, ეგრეთვე გარეგანთა გრძნობაებთაცა, რომელ ფერხებითა მისრბოლვა და ხელობითა დარქენა განტყორცვა ჟღუნისა და მით სიცოცხლისა დაწერტა დინებითა მით მეწამულისაცა, რომელი დააყენა პალალმან მეექვსე ბრძანებითა.

იხილეთ, ყოველთავე სახლეულთა ყავს უფალი და უფალა და უფროსლა დიდთა სქესთა და ვისაცა ნებავს უთმინობა. ჯერ არს შესმენი ვიდრეღა თუთ მსაჯოლ ყოფა სქესთა, ვიდრეღა თვსითა ბრჭალებისა ჯმარება, მსგავსად მხეცთა და კაცისა. რომელთა საჭურველნი არიან. რაჲ აქვსთ და არცაღა განმსჯელნი. გარნა იგინიცა მირიდებენ ურთიერთ შერკენასა, რათა არ აღისპნენ ურთიერთისაგან, რომელთაგანნი არა აკვდინებენ ურთიერთ.

იხილეთ, უკეთუ შიშმან ღვთისამან ანუ სწავლათა გინა მონარხმან და მართებლაჲან არა აზაონ კაცნი მზიურნი მსგავს ამერიკისა', იქმნებოდენმცა ხველნი, მიეტევებიან მიწასა ზედა შთამოვარდნილისა ვაშლისათვის და კეტებითა მოაკვდინებენ ურთიერთ და ბრჭალებითა მოაშთობენ და მოკვდინებულთა განმამწარებლებთა თვსთა. შთანთქმენ თვნიერ შეგბობისა და შეწვსა დიდ ფრიად გაკაპასებულნი, ხოლო განრომელხი უდარიელებენ შურითა და მოუთმენელობითა და დესხმან მციროთა მაწყინებელთა თვსთა თავს და მოაშთობენ ჩალებისა თივისა. აჰა, ესე არს კაცი უშიშო ღვთისა და მონარხისა და უსირცხვილო გარემოთა მიმართ და უსკნიდისო სარეცელისა ზედა.

ესერა საქებ არს დ. პ.[9] თვსისა ბუნებითი ლოღიკითა, რომელმან აუწყის სახლის უფლისა და უფალასი ხარაკტირნი და პოლეტიკა ცხოვრებს მყუდროდ დიდ სულობითა და არს შეყვარებულ, მას არა მოაკლდებიან თვურნი როჭიკნი და დღიურნი პატივნი შესაბამნი რომელნი თვთ სახლეულთა მონათა და მკევალთაცა უყვარსთ ამად სახლისა უფალსა არა ძალუძს განშორება მისი.

იხილეთ ეგრეთვე საქებ არს თვსისა ბუნებითი ფილასოფისაგან გ. რ.[10] რომელი მრავალთა მტერთა მახეებთაგან გაამოვიდა თვსითა დღე ღამისა მეცადინეობითა, რომლისა დამჯობისა კალამნიცა უწყნი თუ ვითარ ალმიწო, რომელმან წინაწარ განგაკრძალე არა ხილვად დაკუჩთებისა მისისა. გარნა იზღვოს ეშმაკმან და არა კაცმან, რომელსა უყვარვარ მე, არა თუ ჩემგან შეყვარებულთა პირებთა შეიყვარებს იგი, არამედ თვთ ქარტათაცა ჯელთა შინა ჩემთა ნაჭერთა შეიყვარებს იგი. რამეთუ ყოველნივე დაბადებულნი კეთილ არიან ბუნება არსებითა და მადლითაცა უპეტეს. მე მხოლოდ ეშმაკნი მძულან და მტერნი სახარებისანი, გარნა რომელნი ჩემ კერძ არიან იგინი კეთილ ჩემდა

რიან და უკეთუ განფიცხნნენ ჩემზედა და განმიკითხონ და ბრალეულ მყონ ეგრეთ, და ესრეთ და ფერად ფერად ეშმაკისა მიზირებითა კორცთა გულის წყრომითა და ბოროტ მოძრაჲსა სოფლისა მიზეზოვნებითა. გარნა არა დამჯიან საქმითარე, არამედ ოდეს დასცხრებიან გულისწყრომისაგან, მაშინ ეშმაკნი და ბოროტ ზნიანნი სოფელი უკუნ იქცევიან და აღეხსენებისთ პირველნი სიყვარულნი ჩემნი და პატივნი და სამსახურნი და შეინანებენ სარეცლებთა თჳსთა ზედა და ესე ვითარისა სახეებითა მოყვარენივე იქმნებიან ჩემდამო.

აჰა, მე შემემთხვა სარჩლისათჳს ეკკლესიისა და სარწმუნოებისა და მამულისა დიდ ფრიადნი კამათობანი და განკაფანი წინაშე პირისპირ უგანათლებულეს ქეთევან[11] და გრიგორ[12] და შორის ბრწყინვალა სოფიას[13] ბრწყინვალე ესტ. მოურ[14]. და სხუათა და სხუათა პირებთა მიმართ, რომელთაგანნი ლმოდენ შთანთქმათა ჩემთა თავით თჳსით და რომელნიმე მიზიდვდენ სამჯავროთა წინაშე, გარნა მაღალი სახიერო დამიდგა მარჯვენით ჩემსა და პირველნი მოყვარენი ჩემმან შემოკრიბნა ერთ სულად შეწევნად ჩემდამო და ეგრეთ განმარინა მრავალთა განსაცდელებთაგან და ჰყო საკვრველი ადონა უფალმან, რომელ თჳთ მაჰირვებელნი ჩემნი შესცვალა მშვიდ ცხოვარად ჩემდამო. ამად, რომელ ვინანიცა განვამწარენ მაღალნი და მდაბალნი მათვე დღეებთა შინა. არა დავიყვანე მზე დაუგებელად ეგრეთვე განმამწარებლებთა ჩემთა ვიყავ ვედრნი, რათამცა მზე მათი არა შთასრულ იყო დაუზავებელად და ესე ვითარისა სამღთო სახარებისა ბრძანებისა დაცვითა დაბანაკებულ ჰყო ღმერთმან და ანგელოზნი თჳსნი გარემოს ჩემსა ათასეულნი და ბევრეულნი, რომელთა შემზღუდეს მე და წარიქციეს მარცხენანი სულნი მამანი ტყუილთი, რომელნი მაჰირვებლებთა ჩემთაგანებთა განცა უკუნ იქცნენ, და ესე ვითარისა საღთოსა ბრძანებისა დაცვითა მეცა განვერი და ხორციელნი მდევარნიცა ჩემნი განთავისუფლდენ ამოდ დევნულებისაგან ჩემისა.

იხილეთ, ამათ განვავრცე საგანნი მრავალნი ცხრათა საგნებთა შინა ზემო, რათამცა განგამწარო ყრმულისა იძვრისობისა თქუენთჳს ამად, რომელ მსურს მე, რათა ახალ ჭაბუკობისა თქუცნჳსა მაგის წლისასა იქმნეთ მოხუცებულ არა მხოლოდ ლოღიკათა, რომელი აფრინებს მჩატესა გარეგან პოლუსებისაცა, არამედ მიეყრდნენ აღძრცვლსა ღთისმეტყუელებასა და აღვლენ კიბენი ოცდა ათნი ესე იგი კლემექსი და იხილავ მეოცდა ათისა კიბითაგან ყოველთავე ხილულთა და უხილავთა და რაოდენთაცა. სწყურვილობ და რაოდენნიცა არცაღათუ გსმენიესთ ხილულნი და უხილავნიცა მენ, გეცნობებიან ეგრეთ, ვითარცა არიან. და ყოველთავე სათნოებათა ღვთისათა აღსრულებად ძალ

გედებით და განცეცხლებულთა სიყვარულსა ღვთისასა მიმართ აღაგზნებთ და კაცთა მომართცა და მტერთა ზედაცა.

იხილეთ, თქუენ აღმითქვთ ასოცდა ხუთმეტის თუმნის ჩემისა შეცნობა, რომლითამცა ლოღიკა თქვენი დაბეჭდილ იყო, გარნა კაცისა შის ჟამი ნახვისა არა იგულვეთ, რომელი მახლობელ თქუენსა სდგას. გრ. რუ.თქვენ მომითხარით, უგანათლებულესმან სამთა შვილთა თვსთა რუა მინანთულისა წიგნი ვერ უძლოთ ყიდვად, ესე მეორე წელი არის ამად დაკლებული არიანო სწავლასა უწიგნობითა, განა მე მრავალ წიგნნი მოგივაჭრენ, რომელთა ყდებთა ზედა სახელსა ჩემისა წარწერა აღმითქვით და მეცა მოგითხარ სიყვარულისა კავშირად შთაწერა და საცხოვხებელ სახსოვრად ჩემდა ვინებე, რათამცა მხილველთა წამკითხველთა ნეტარება სულისა ჩემისათვს შეეთხოვნათ სჳნიდისიანთა და ვეცან მათ, რომელ ვყოფილ ვარ ქვეყანასა ზედა, გარნა შესაძლო თქუენგან ჩემდამი ვერარაჲ მჴურვალე კავშირნი გამოვცან, აჰა თვთვე უწყით ვარ მოძღუარი სულიერი შენი, და კნინლა სწავლასაცა და მოსარჩლე, და ვითარცა მფრინველნი თვსთა კუცრცხთა, და მართვეთა, აფუფუნებენ უმეტეს მათთა მსურს საგრილნი ჩემნი თქუენზედა ძლივსაცა ჩემისა თქუენთითურთ. უაღრეს არა ქებისათვს მზიურისა, რომელი მსგავს აჩრდილისა არს, არამედ ცხოვნებისათვს ჩემისა თქუენითურთ.

იგულვეთ, მჴურვალე ოფლითნი ხუასტაგნი შეკრებულნი ეგრეთი უუძვირფასესნი არიან, რომლებითა უხრწნეული სუფევა მოივაჭრებს, რომელთათვს სახიერი დაუსრულებელსა სახლსა საცხოვრებელსა მოვანიჭებს ექვს სახედ წარგებითა: 1. მშიერთა ზედა, 2. მწყურვალთა, 3. შიშველთა, 4. მწირთა, 5. სნეულთა, 6. პყრობილთა ზედა. ესენი არიან საშინელისა სამსჯავროჲსა ეგზამენი. მე თავსა ჩემსა დავაკელ პირველად და ძმათა ჩემთა და მოყვასთა და გარემოთა და გლახაკთა ქრისტეს ძმათაცა და მივაქციენ ოცდა ერთისა წელიწადებისა ნაღვაწნი, მოვექციენ თქუენზედა და მოგეც თქვენ სახე, რათა თქვენცა ამას ყოფდეთ სხვათა მკლოვანთა ზედა და მიუთხართ მათცა, რათა მათცა ჰყონ ნათესავითი ნათესავამდე, ვიდრემდის მოვიდეს ქრისტე. და უკეთუ სულელ გგონიე მე, მე სულელ ქრისტეს მიერ. ხოლო თქუენ იქმნებით ბრძენ ქრისტეს მიმართ.

იხილეთ, ორასი თუმანი ვათხოვე უგანათლებულეს თ.[1]

მექვეყნესა ჩემისათვს, არამედ ტაბლასა ზედა პურის მტეობისათვს საზოგადო სერსა ზედა. ესე მეორე წელის არს და არს თანა მეინახე, გარნა ორასი რიცხვ ჯერეთცა ვერღა მოვიღე. აჰა ზემონი კელონტნი ჩემნი არა არს ყვედრება: ნუ იყოფინ, არამედ მსურს თქვენთვს რათამცა იქმნეთ ჰურჰელ პატიოსან და დაიტიოთ არომატნი, აჰა,

მ̃ე რაოდენ ვწერ თქვენდამო, ეგოდენ ვტკბები, ხოლო თქვენ რაოდენ აღმოიკითხონ, ეგოდენ იქმენით მანანა. თქვენი მლოცველი იონა მ. ჭ. მ. მ. მ. წელსა 1826. ოკდომბერს 29 სა.

## № 112

### 1826 წლის 31 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ გრიგორიოსისადმი.

სულიერ ძეო ჩემო არხიმანდრიტო გრიგორიოს[1],

აჰა, თქუჱნ თჳთ უწყით, რომელ სულიერ ძე ჩემი სამგზის ნეტარსა-ჴსოვარი მაღალ ყოვლად უსამღუდელოესი მიტრაპოლიტი გენათელ ეფთჳმეოს[2] გახჳიხდა სიკუდილისა საშუალობითა უკვდავსა ცხოვრე-ბასა შინა ზეგარდმო განწესებულისა ტიპიკონითა, ე. ი. გარდაიცუა-ლა სიკუდილისაგან ცხოვრებად, რომელ თქუჱნ ორთავე გექმენ სა-შუალო მთარგმნელ წინაშე კურთხეულისა ა[2], მონარ[ხ]ისა, რომელი კაცი ზეცისა იყო და ანგელოზი ქუჱყანისა, რომლისათჳს გოდებენ ტოჳალნი იმპერიისა ამისნი და ჩუჱნნი. და კვნესიან გულნი ევრო-პიისანი, რომელმან საღმრთო ცხებულებისა ბაგენი და გული ხელთა შინა ღვთისათა პყრობილნი ყოვლად უმოწყალესად იკმია თქუჱნდამო პირითა ჩემითა და შეთხოვა ზემოხსენებულსა. მ. მ. ეფთჳმეოს კურ-თხევა თავ-მოდრეკით. და უბრძანა, ვითარცა გქონან თავისა შენი-სათჳს ლოცვანი სამღთონი. ვითარცა შჱმენიეს ეგრეთუჱ ჩემთჳსცა ილოცეო, ვითარცა არხიერმან ღვთისამან და რაოდენნიცა საიდუმ-ლონი მარწმუნო იგინი ჩემთანა გიეს შინაგან სულისა შინა. რამეთუ საიდუმლო მეფისა ჯერ არს დაცვად. ვითარცა იტყვის კოჳია, ხოლო საიდუმლონი ღვთისა ჯერ არს განცხადებად. რათამცა იქადაგებოდ-ნენ ეკკლესიათა შინა, და სახლებთა და ერდოსა ზედა, და გზებთა ხმელთა და ზღუათა ზე ხომალდებთა შინა;

აჰა, ყურად იღეთ სულიერ ძეო ჩემო ა. გრიგორიოს ზემო ხსენებულმან კურთხეულმან ა. სამგზის ნეტარ სახსოვარმან წარმგ-ზავნა ნევსკის ლავრისა წ. ალექსანდრეს აკადემიასა შინა თჳსისა წარსაგებლებისა როჳიკითა წელსა 18[0]9 და შევასრულე კურსი ფილასოფიისა და ღვთისმეტყუჱლებისა. წელსა 1812 ხოლო თვესა ოკდომბერისასა. ა: განთიად შემმოსეს მონაზონად, და მასვე დღესა შინა მაკურთხეს ჯერ დიაკონად და მასვე თვესა მეათე დღესა ხუცეს: მონოზნად უწმინდესისა სინოდისა ბრძანებითა, და უფროსღა მოამა-გისა ჩემისა ნეტარ სახსოვრისა ამბროსი მიტროპოლიტისა ნოვგო-

როდისა, სანკტ-პეტერბურხისა, ისლანდიისა, და ფილანდიისა და ზედართვით წ. ალექსანდრეს სამებისა ლავრის არხიმანდრიტისა, რომელმან უბრძანა არხიერ დოსითეოსსა კელთ დასხმა ჩემი. აჰა, ესე ზეგარდმო წყალობა ღვთისა არს ჩემ ზედა.

იხილეთ უფალო ა. გრიგორ ოდეს მიხილა მეფის ძემან მემკვიდრე დავით მყის განიხარა ერთსა შვიდეულსა შინა სამ-გზის კურთხევისა ჩემისათვის, რომელმან გამოსთხოვა თავი ჩემი, უპირველეს წევრსა სინოდისასა მოჳირნახულესა ჩემსა სამ-გზის კურთხევით სახსოვარსა ამბროსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესსა მიტროპოლიტს. რომელმან მიმიწოდა თჳსსა საარხიეროსა სახლსა შინა უფროსად, და შემეკითხა აქა მემკვიდრედ ყოფილსა დავით პირმშოსა ძეათსამეტის მეფე გიორგის ძესა სურს თჳსთანა მიწოდება შენი, რომელსა სურს ეკკლესიისა აღშენება ქუტკრისა თჳსსა ენოსა შინა. გარნა მე გირჩევ რათამცა დაადგრე ჩემთანა, ვიდრე ჟამომდე, რათა განვიგულო შენთვის უკეთილესი და თუ ინებებ და წარსვალ მეფის ძისთანა ეგე ნებასა შენსა ზედა არს მოკიდებულ. რომელსა მიუგე: მეუფეო წმიდაო. მე მზრდიდა 2 ირაკლი და ძე მისი მეფე გიორგი ნეტარსახსოვარნი. ამისთჳს თანა მაძს რათამცა სამღდელოებითა ვჰსახურო ძე და ასულთა მეფეთა ჩვენთასა. რომელმან იკნო მოხსენება, თუმცა არა დიდ ფრიად, გარნა განმიტევა უკეთილესისა წიგნითა შემდგომ ორმეოცისა წირვებისა შესრულებისა წ. ალექსანდრე ნევკკის მონასტერსა შინა.

იხილეთ მამაო, წ. სულიერ ძეო ჩემო. ვიახელ რა მემკვიდრე მეფის ძეს დავითს, მიმიღო დიდ ფრიად განმხიარულებულად. და მიჩუენა სამღთო საუნჯენი წინაპართაგანნი, ე. ი. უუაგვისტესისა სამეფო ეკკლესიისა, რომელ არს ღვთის მშობლის ხატი მძიმედ მოოჭვილი. რომელი ძუელად სჳცნებულა გრემის ქალაქისა ეკკლესიასა, ეგრეთუე ძელი ცხოველი, რომელი კეთილმსახურთა კახთა მეფეთა ქედსა ზედა გარდმოკიდებით ქონიათ საცოდ თჳსად, და ძლევად მტერთა, ეგსახელვე წმიდათა ნაწილნი, და ხატნი, რომელთა თაყვან სცემისა შემდგომ მრქუა მემკვიდრემან, აჰა, უწყოდე, აღვაძენებ ეკკლესიასა სამრეკლოიანსა და მას შინა საღმთო კანკლებად დავასვენებ ამა წმიდათა ხატთა და ძელსა და ნაწილებთა, ილოცვიდე-ლე მას შინა, რათა ოდეს განვიდე, ძუალნი ჩემნი დაეფლას, ახლად აღშენებულსა შინა ეკკლესიასა: ეგრეთუე ჩუენისა ქუეყანისა უმაღლესთა. და უგანათლებულესთა ძუალნი დაიდვენენ მას შინა, ხოლო ქართუელნი და ქართუელანი, რომელნიცა აღესრულნენ გარემოს ეკკლესიისა დაიმარხნენ, რომელნი უსაფლაობითა, ცოცხლივე მწუხარებენ.

მოიხსენეთ მამაო წმიდაო, შემოსვლამან ნაპალეონისამან ზემო განზრახულნი უსალთოესნი აზმნობანი შესცვალა, რომლისგან სრულიად ევროპა ირღუევოდა, ვიდრე შეპყრობადმდე მისსა, რომელი წარგზავნეს წმიდის ელენას ჰალაკსა შინა, და ზედართვით სამგზის ნეტარებით სახსოვარი ჩემგან მემკვდრე მეფის ძე დავით განვიდა მწუხარებისაგან ზენა სიხარულსა შინა. წელსა 1819 თუესა მაისსა, 13. რომლისა მტუერი საღვთო ეკკლესიისა დიდებითა უწმიდესისა სინოდითა და სამღუდელოთი, და ეგრეთვე იმპერატორებითი მხედრობითა დავფალით. წ. ალექსანდრეს ლავრისა მონასტერსა. წ. ოქროპირისა ეკკლესიას შინა ქუეშე მაცხოვრისა ხატისა მარჯუენით ამბიონისა, რომელსა ჯერეთცა ღლოობენ სამეფო სახლისა წევრნი და ჩუენ სამღუდელონიცა დიდ ფრიად ვიგოდებთ, ვითარცა იოსებ და სახლი მისი და სრულიად ისრაილნი გოდებდენ იაკობ პატრიარხსა. ეგ სახედვე აქარე ცხოვრებნი თავადნი და აზნაურნი და ქართველნი და ქართუულნი მიხტირიან ნეტარ სახსოვარსა, რომელი აქარე ცოცხლთათვს იყო მამა და მწყალობელი. ნუგეში და მეოხი წინაშე იმპერატორისა, რომლისა ხოიშნობასა ყოველთავე აღუსრულებ ქართუელთა და ქართუულთა და შემოსრულთა ბერძენთა, და სპარსელებთა და სომეხთა და თათართა და ლეკთა და კავკასიელთა კურთხეული ა[4], რომელი მემკვდრისა მეფის ძის დავითის შეთხოვილსა აღასრულებდა, ვითარცა თვთცა გესმისთ უფალი და არხიმანდრიტი, რომელი თვთცა სურვილობ: ნეტამცა მომესწრაო და ეზრუნაო ჩემთვს წინაშე იმპერატორისა.

იხილეთ მამაო წმიდაო, მე მიმიწვია არხიერისა დოსითეოსისა პირითა დედოფალმან ანნა, რომლისა სახლსა შინა განვაბრწყინვე ეკკლესია, რომელი ჯერეთცა მახლობელი ბრძანდება, ვითარცა სწამებს მიუკუნისამდე მაქუს ვალიო შენი სალთოთ.

იხილეთ, აქარე რაოდენისამე წელისა განმრავლდენ სამღუდელონი იმერეთისანი მაშინ შესთხოვა თავი ჩემი ძემან მეფისამან თეიმურაზ და წარმავლინა დედოფალმან ანნა მეტყუელმან ესრეთ: „აჰა, სურსო მეფის ძეს საყდარი სახლსა შინა თვსსა, რომლისა სურვილისა შესრულება არ ძალ-უძსთ ჩუენთა სამღუდელოთა თვნიერ შენსა, რომელმან უწყი ბრძანებისა გამოტანა იმპერატორებისაგან და სინოდისა, და პეტრებურხის მიტრაპოლიტის ამბროსისაგან, რომელი მჴოამაგე არს შენი“, რომელმან ესე ვითარისა წინადადებითა მიაჴადლა თავი ჩემი მეფის ძეს.

მიმიღო რა თეიმურაზ მეფის ძემ, მყის წარმგზავნა გამოთხოვად ეკკლესიისა, და მოვიღეცა კურთხეული ტრაპეზი ოდიკითურთ, და თვთ მცეს ნება კურთხევისა, ე. ი. სახლისა, უაღრესი სახლი შეცვლად

ეკკლესიად, და მივლუდელე ათნი წელნი, და ოთხნი დღენი, ვიდრე ბალთიისა ზღვის გარდმოვარდნამდე, რომელმან მდინარეცა დიდი ნევა უკან აქცია, წელსა 1824 თუესა ნოემბერსა 7. განთიად მეათერთმეტესა ჟამსა. და დაგვიფარა ცოდვათა ჩვენთა ძლით შუადღიდგან, ვიდრე მეოთხე ჟამადმდე, რომელ ამაღალდა წყალი ქუემო საფუძველებითგან სახლებისა, ვიდრე შუა სახლებადმდე, რომელ არათუ პირმეტყველნი არამედ პირუტყვნიცა ეგრეთ განცვფრდნენ, რომელნი გარეგან ბუნებისა თვსისა მიმტაცებელნი წყალთა ზედა მიმართებულ იქმნენ სახლებთა კიბეებსა ზედა, რომელნი წინარე ფერკებითა იჩოქებდენ ქუემოსა კიბეებსა ზედა და ისწრაფენ ზემო სახლებთა შინა და ჴმანი ცხენთა და ფურთანი და ცხოვართანი არღა იყვნეს ჴმანი მათნი, არამედ ჴმანი რაჲმენი უუსაწყალობელესნი ნიშანთ ნიშნები კაცთა მიმართ საველრებელნი. გარნა ოდეს მოიხსენა დიდ ფრიადსა რისხვასა შინა წყალობა მამამან სახიერმან, მაშინ ქარნი დამთქმელნი ჩვენნი, რომელნი ბერვიდენ სამჴრით კერძ, შერისხა მაღალმან და მყის მოაქცია ჩრდილოთ კერძო ჟამსა მესამესა შუადღიდგან და არა მყის შეძრწუნდნენ წყალნი, და გამოჩნდნენ ჴმელნი. და ესე ვითარისა შეწყალებითა ჩვენითა შეიწყნარა პირუტყვნიცა ღმერთმან სახიერმან და განგვაცხოველნა კვალვე ნახევარ მომშთვარნი.

იხილეთ, ოდეს ყოველმან წყალმან მიმართა ზღუადვე საზღუართა შინა თვსთა. აჰა, და მყის კურთხეულმან ა. ი.[4] ცხებულმან უფლისამან მწრაფლ მიმოვლო ქალაქი ესე, და განიხილა ყოველნი ფოლოცხი, უბანნი და შუკანი, შინაგან სულისა გოდებითა და განკურვებულმან და მრავალთა ადგილთა შინა თვსისა საკუთარისა კელებითა აღადგინა დაგორვებულნი ერდოებთაგან და საცხოვრებლებთაგან დაცალიერებულებთა განუღო თვსნი საუნჯენი, რომელთა განუჩინა სამნი დიდნი ადგილნი და სახლნი და საცხობნი და სამზარეულონი, და სამოსნი ვიდრე მეორესა წლამდისი და გამოზარდნა განმზადებულითა ტაბლებითა და აღუშენა სახლნი და დამკარგველთა წყალისაგან, მიაგო ორნი წილნი, რომელმან მიუწერა იმპერიასა აჰა, გული ჩემი მოსწყდა ზეგარდმო რისხვამან, გარნა შემოწყალავე. აჰა, ილმეთ ჩემთანა ძენო მამულისანო და ძალისამებრ თქუენისა თითოეულმან სიყვარულისათჳს ღვთისა და მოყვრისა წარმოულინეთ ქუელის საქმენი, შეწევნანი ძმათა თქვენთა ერსა პეტერბურღისასა, რომელთაცა ივნეს დიდ ფრიად, რათა სიყვარულმან თქუენმან და წარმოგზავნილმან ხვასტაგებმან დაცემულნი სახლეულნი აღადგინონ. რომელთათჳს ღვთითა წილთა მიიღებთ ცათა შინა. ხოლო ჩვენ იმპერატორებითი, ჩემ მამობილსა გულიცა განიკურნების დალგუ-

ლებთა აღდგინებისათვს და მშვიდობით ეგენით უუსაყვარლესნო ძენო მამულისანო ქუჱშე მრდომნო საყდრისა ჩუჱნისანო.

იხილეთ სულიერ ძეო ჩემო გრიგორიოს, ოდეს დასცხრა რღუნა პეტერბურხისა მყის მეფის ძემან თეიმურაზ და მეუღლემან მისმან ელენა მოწაფეთა ჩემთა დაუტევეს სახლი თვსი და მას შინა ეკკლესიაცა ვასილის ჰალაკისა გაღმა ნევისა, და დაიკავეს სახლი შინაგან პეტერბურხისა შეშინებულთა რღვნისაგან.

ოდეს იხილა უმაღლესმან იმერთა დედუფალმან მარიამ კაციადადიანის ასულმან მოწაფემან ჩემმან, ჰყო მიწერა წიგნისა მეფის ძეს, თეიმურაზთან და შესთხოვა თავი ჩემი, მეტყუჱლმან ეგრეთ, „აჰა, ვინათგან სახლი და საყდარი იმიერ ნევისა დაგიშთად. ეცით ნება მოძღუარსა ჩუჱნსა სახლსა შინა ჩვენსა დადგრომა“, რომლისა პატივისცემისათვს გამომიტევეიეს, თუმცა შესლბბითარე ურვეულ იქმნეხ. და მომიღო ამან ღვთის მოყვარემან დიდ ფრიად მოწლედ, მყის წარმგზავნა სახლისა საყდრის ნების მოღებისათვს უქაზითა იმპერატორისათა ა. კურთხეულისა და ვაკურთხეთ წელსა თვესა მარტსა 19. და აჰა, ესერა ორი წელი არს, რომელსა შინა ვმღუდელობ სახელმწიფოსა მგალობლებითა. ათორმეტითა და ეგრეთვე ქართულისა გალობითა, ერთისა ოდენ კაცისათა ოდესმე. ვითარცა იხებებს უმაღლესი გალობათა რუსულთა და გინა ქართულსა ეგრეთცა აღსრულდებიან ბრძანებანი უმაღლესობანი.

მამაო წმიდაო აჰა თვთ თვალნი თქვენნი ჰვრეტენ სამთავე ყოველთა ამათ ეკკლესიაებთა, რომელნი ვიღვაწენ ესერა ორთა ზემო ხსენებულთა ეკკლესიაებთა შინა ძმანი ჩემნი სამღვდელონი და თვთ თქვენცა შესწირავთ მსხუჱრპლებთა და სარგებლობთ სულიერად და ხორციელადცა.

იხილეთ, ერთსა ჩუჱნთა სღვდელოსა მ. მ. დ. მიუთხარ სალთო წერილნი ე. ი. სხვანი დამაშვრალ არიან და თქვენ შრომასა მათსა შემოხვედით ადგილთა ამით (იონ. 4 მხლ. 38), ესე მიუთხარ პირუჱლ სიყვარულისათვს და მეორედ, ამისათვს, რომელ არა განცივდა ეკკლესია იგი შემდგომად ჩემსა. რომელი ჩემთვს მეოხ არს ღუაწლ დადებისა ძლითა. გარნა ზემო ხსენებულმან კაცმან სულიერმან მიიღო მანკიერად ჭეშმარიტნი სიტყვანი ჩემნი, რომელმან ნაცვალნი სიტყვანი უშვერნი მიმიგო. ე. ი. მეზობელმან, რომელმანცა შენ კერძ განქარონო უკეთუ შენცა არა განუქარეო უსაჯდომოდ შეგრაცხსო.

მამაო წმიდაო არხიმანდრიტ გრიგორიოს. დაღათუ ცოდვილ ვარ თავსა შორის ჩემსა ვარ, გარნა მისდამი არა რაი ბრალი მაქვს თუნიერ ამათთა ე. ი. აკადემიასა შინა ვიყავ, შესრულდა კურსი და

მაკურთხეს, აღვაშენე სამნი ეკკლესიანი დავარ მოძღუარი ვითარცა თქვენი, ეგრეთუმ უმაღლესთი უგანათლებულესთი და უგანათლებულესათი თავადთი, აზნაურთი და აქ მცხოვრებთა სამღვდელოთი და ქართველთი და ქართულათი.

1. ეგრეთვე წლის ქადაგება შევთხზე სამნაწილედი. 2. ღვთის მეტყველება ვქმენ. 3. მეფის ძეს იოვანეს ოცდა ათოთხმეტნი მაღალნი შეკითხვანი განვმარტე. 4. ლექსიკონი უფლისა საბასი შევწიე და განვადიდე ენა ჩვენი ძველი და ახალთა ათთა წელიწადებთა შინა დღე და ღამე, თუმცა ჯერეთ შავი არს კვალადცა ვშვრები. 5. კატეხიზმოსა ვრცელსა კითხვა მიგებით. და ვიმსახურებ ღვთისა და ჴელმწიფისა ეკკლესიათა და სამეფოსა სქესთა უსრულებ ექვსთა საიდუმლოებთა თჳსიერ ჯვარის წერისა, მიხარის მოხარულებთა თანნა და ვსტირ მტირალთა თანა: არა რამეთა ვქადი, ვინათგან მტუერ და ნაცარ ვარ კორცითა და წარმავალ, ვითარცა სტუმარი სხვა ქვეყანისა, რომელ დაითხევის ყამიერი ცხოვრება ჩემი მსგავსად წყალისა, რომელი არღა შეიკრიბების. ამისათვის ვგონებ: 1. სიკვდილსა, 2. შესაძრწუნებელსა საშჯავროსა, 3. ჯოჯოხეთსა და 4. სასუფეველსა დავძრწი საშთაგან რათამცა განვერ სამთაგან და დავიმკვიდრო სუფევა, ამისთჳს ვაკურთხევ თჳთ შემაწუხებლებთათაცა ჩემთა. იყავნ ყოველთა თანაპირი და სიბრძნე ღვთისა. რათამცა ყოველნივე სათნოებასა მეუფისასა აღვასრულებდეთ და ვიყვნეთ ერთ სახენი სახლსა შინა ღვთისასა დამკვიდრებული, რათა სუფევისა კარის ბჭე ესე სოფელი განვიდოდ მშვიდობისა მგზავრობით. რამეთუ საგზალი ცოდვილისა სიკვდილი არს, მეორე ხოლო მართლისა მცხოვრებ მეორე. მამაო წმიდაო, გ.

დაიწერა წელსა 1826 სა თვესა ოკდომბერსა 31 სფ.

## № 118

### 1826 წლის 10 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხაილისადმი.

უგანათლებულესო მეფის ძეო მიხაილ! უუმოწყალესო ხელმწიფეო ჩემო, ქრისტე ღმერთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო.

მოიხსენეთ ძეო მეფისაო, აჰა, თჳთცა უწყით ათოთხმეტნი წელნი არიან მიერ კურთხევიდგან ჩემ მკდოვანისა მღუდელ ხუცეს მონოზნებითა სახლსა ზედა ორთა ე. ი. საქართველოს მეფეთა ძეთა და ასულთა და იმერეთისა და კოლხიდა. მენგრელიისა. აქარე პე-

ტრებურღს და ყოველთავე ზედა ვარ ვითარცა მღუდელობით დადგინებული უწმინდესისა სინოდისაგან. ეგრეთვე სულიერ მოძღვრებაცა ჩემი მოინებეს უმაღლესთა და უგანათლებულესთა და უგანათლებულესათა და არხიერმან და არხიმანდრიტთა და პროტოიერთა და დიაკონთა და თავადთა და სამღვდელოთა და აზნაურთა და მწიგნობართა და ბარაკელთა და ბარაკელათა და თავისუფალთა და თავისუფალათა მონათა და მონა ქალთა ღმერთისათა ღვთისათა და კნინღა ერთბამად ჩემდა მიმართ აქვსთ აღსარება. რომელმან სამნი წელნი ახალ კურთხევისანი არავინ მივიღე სულიერ ძედ და ასულებად. ამად, რომელ იტყვის თავი მოციქულთა ნუ ყოველნი მოძღვრით, რამეთუ სულიერ მამობა არა არს ადვილ, რომელ მოძღვარმან უკეთუ არა უწყოდეს ძველნი აღთქმანი და ახალნი, კნინღა და ზეპირად, რათამცა ათორმეტთა სიმბოლო მრწამსითა განამტკიცოს მოწაფენი თვსნი და საუფლო ლოცვითა განუმრავლოს სასოება და ათთა მცნებაებითა განუძლიეროს სიყვარული ღვთისა და მოყვასისა და ათთა სულისა ნაყოფებითა განამდიდროს და ცხრა ნეტარებისა ღუაწლებითა გვირგვინოსან ჰყოს და მარხვაებითა და მეხლდრეკთა შეჰკურვილ ჰქმნას და ექვსთა მეორედ მოსვლისა სიტყვაებითა ზე საუნჯესა შინა განამდიდროს. იხილეთ, ზემო მოხსენებულთა საღვთო ბრძანებათა ყოველთავე მიუთხრობ, ვითარცა მაღალთა სქესთა და მეხარისხეთა, ეგრეთვე მდაბალთა დაბირთა ლექსებითა. აჰა, ესერა ოცდა ათთა წელთა ქვეშეთა მიზეზთა ვჰსცემ, რათა თვთ აღიარონ ცოდვანი, უსჯულებანი და გმობითნი ნებსითნი და უნებლიეთნი, რომელნი გამოვლენ პირისაგან და რომელთაგან საქმითაცა აღასრულებენ და მივჰსცემ კანონთა შვიდთა სასიკვდინოებთა განშჩილა უბადრუკებისაგან გამოსვლისასა და პირებთა სკნიდისიებისა და სინანულისამებრ მკურნალობ და უფროღა მოკვეთითარე ე. ი. ცოდვათა დადეებისათა და ვის ვითარ ძალუძს ლოცვა და მარხვა. მუხლებთა დრეკა და ქველის საქმენი და თვალებ ლბილთა უმწესი თუალებთა და კელებთა მრუმეთა და კელებ მარცხულთა ვაქცევ მარჯულად და სულებ ხენეშთა ვაწევ კეთილ ამოვნებითი ზნეობასა საქმეებითურთ სათნოდ მაღლისა შეცვალებად მარცხული სიბრძნე ე. ი. ვერაგობა ჟამიერ ცხოველობისა, მარჯულ სიბრძნედ და გვირიობისა წილ გულკეთილად გამოღებად საღოთ საუნჯებისა, პირველ ძიებათა სასუფევლისათა, რომლითა ხორციელნიცა შეეძინებისთ და ეგრეთუც ოცდაათისა წელიწდებისა ხნიერთა გამოვიკითხავ შვიდთა უჰსჯულოებათა ე. ი. შვიდთა სასიკვდინოთა და რომელნიცა რომელსა და რომელთა აღიარებენ მათ მიუთხრობ კანონთა წმიდა მოციქულთასა და წმიდათა მამათასა ვასილისა და იოანე მარხულისა,

სვიმონ თესალონიკელისა და უშორეს და ვრქუამ ყოველთავე აჰა უმჯობეს არს წინაშე ჩემ ცოდვილისა განქიქება თავთა თქვენთა, რომლითა არღა სირცხვილეულ იქმნებით მართლმსაჯულისა ქრისტე ღმერთისაგან და მიუთხრობ: აჰა, კაცად კაცადმან განიხილეთ გული და თირკმელი თქვენნი და განიწმიდენით და ეგრე მიიღეთ საიდუმლო საუკუნოდ განმაცხოველებელი და არა ეგრეთ, ვითა მიიღო იუდა და განვიდა ცხოვრებისაგან სიკვდილსა შინა, რომელ შესაძრწუნებელი საიდუმლო ურწმუნოს დააკვეთებს დამუსვრით, ხოლო ცოდვილსა უნანელსა განახმობს საუკუნოდ და ლალსა ბილწსა, უშიშსა, ღვთისასა მოუსპობს ორგანვე განკვეთით ცხოვრებასა, რამეთუ მაღალთა, უფალთა და უფალთა უმეტესთა კანონებთა მიმცემლობ. გარნა მონათა და მკევალთა უმცირესთა, რომელთა არა ძალუძსთ გამოხსნა ტყვეთი და გამოზრდა ობოლთა და ქვრივთი, მწირთი და სნეულთი და გლახაკთი; გარნა განვაკრძალებ, რათამცა მარხვითა მეტანიაებითა ღამეთა შინა საიდუმლოდ დააღნონ ჴორცნი თჳსნი, რომელთა უკეთუ უფალთაგან აიძულებით რაჲმე ბილწება შეემთხვევოდეს, ეგ სახედვე უფალთა აღვკრძალავ, რათა მონათა და მხევლებთა თჳსთა ზედა ზრუნვიდეს საუკუნოსა ცხოვრებისათჳს და ჟამიერისა და შერაცხონ ეძბაზითარე მაშინცა ძმად და დებად, რომელთა უფალი ცათა შინა არს და ჰსჭვრეტს ყოველთავე ზედა და იგი აცხოვნებს და ქენჯნილთა უუმეტეს.

ეგ სახედუჱ მრავალთა მდიდართა მოწაფეთა და მოწაფათა ჩემთა შემთხოვეს მშვინიერებისა დაკლულებთა ამა მარხვებთა დღეებთა შინა, გარნა მე ყოველთავე მიუთხარ, აჰა ადამ ვიდრემდის იყო მარხული, უკვდავიცა იყო და წ. მოსემან მარხულობითა მიიღო ორნი საღთო ფიცარნი და თეზბიტელი აღამაღლა მარხუამან ჴორცითა ზეცად და წ. სამნი ყრმანი დამშრეტელ ცეცხლთა იქმნენ და დანიილ ლომებთა პირებთა შემკვრელ და მოციქულნი მიმღებ სულისა წმიდისა იქმნენ მარხვებითა, მოწაფეთა შეიმოსეს ძლევა და ღირსთა სძლეს ეშმაკთა და სოფელთა და ჴორცთა და ყოველნი წმიდანი მარხვითა იქმნენ განძლიერებულ გუჱლთა და ღრიანკალთა და წარმართთა მეფეთა და მთავართა ზედა. მაშასადამე მარხვა დიდ ფრიად საჭირო არს სულისათჳს სარწმუნოებითა და გულისათჳს აღვირ სხმად და დამორჩილებად სულისადმი, რამეთუ მარხვანი მახლობელ ღვთისა არიან, ხოლო მუცელღმერთანი მახლობელ მხეცთა და ნადირთა არიან და ეშმაკთა საფლავებთათჳს განასუქებელნი ჴორცთა თჳსთა. აჰა, აწად არ ძალმიძს ნებართჳა მარხჳებთა შინა დაკლულებთა ჭამანი, გარნა მაშინ ოდენ, ოდეს სნეულება შეუხდეს გუამსა ფიცხელი და მიეცეს სნეულსა ნაცვლად წამალთა, გარნა ოდეს იქმნას კურნება

ეგოდენივე ხსნილისა ორშაბათნი იმარხოს განკურნებულმან და თუ მდიდარ არს, გაანთავისუფლოს მონა და მხევალი სადიდებელად ღვთისა. გინა ჰყიდდეს ვინმე მონასა და მხევალსა, იგინი დაიხსნას და განუტევოს თავისუფლად ერთისა წლისა საზრდელითა.

დასასრულ ყოველთავე მიუთხრობ სულიერ ძეთა და ასულთა, რათამცა ყოველსა ჟამსა იქმნენ მზად, განწმენილნი მელოდნენ სიკვდილსა პირჳელ, მეორედ საშინელსა სამსჯავროსა და მესამედ საუკუნოსა ცხოვრებასა და ივლტოდნენ სამთა ბოროტთაგან მარად ხსენებითა ე. ი. მარცხენა სიკვდილისაგან მარცხენა თიკანთა ნაწლეებთაგან და საუკუნო ტყვეობისაგან ჯოჯოხეთსა შინა, რომელ ეშმაკთათჳს განმზადებულ არს და არა კაცთათჳს.

მოიხსენეთ მეფის ძეო! აჰა, ზემო სამთა წელთა კურთხევისა შემდგომ კნინღა და იძულებით მყუჩს მოძღუარ უმაღლესისა სახლისა თქვენისა ძეთა და ასულთა და იმერთა უმაღლესმან და მეგრელთა მთავრინამან. შამით დამან თქვენმან და აქარე ბრძანებულთა. აჰა, ესე რა მიერთაგან მაქვს მართლთა განმტკიცება და ქება და ვაშა, ვაშა. ხოლო მარცხულთა შერისხვა და შეწყნარება და ზედა ზედურთ მოთხრობა სიტყუათა ღვთისათა, რომელთა ძალისამებრ ჩემისა თავსაცა ჩემსა ვაძლევ მაგალითად და ვწრთი სიყვარულსა შინა ღვთისასა და მოყვასისა. რათამცა ესვიდენ ღვთისძეებრ და არა გონებრ დავეტყვი: თუალნი, ხელნი და ფერხნი ეგე რომელნი გქონანთ ამსახურეთ ღმერთსა, ვიდრემდინ დაჰსცხრებოდენ სიკვდილისაგან და შეივედრის სულნი თქვენნი ღმერთმან ხელთა შინა თჳსთა და სიკვდილისაგან გარდაიცვალნეთ ცხოვრებად საუკუნოდ.

იხილე ძეო მეფისაო! აჰა, მე ვბრძავ ეშმაკთა და რომელთამე მათთა ჰურჰელთა, რომელნი ურჩევენ კაცთა ვიეთთამე ურჩებასა ღვთისასა, მოძღვრისა და მშობელთასა და მამულისასა. ესერა ვიხილენ დ. გ.[2] რომელი პირისპირ ეურჩებოდა დედასა თჳსსა სულიერ მოწაფესა ჩემსა, თჳთ ჟამსა ტაბლობისასა, რომელსა მიუთხარ მორჩილება დედისა თჳსისა, რომელი უმეტეს ხუთისა წელიწდებისა იქმნა პატიმარ ქალაქსა შინა, მიზეზითა თჳსისა ურჩისა შვილისათა, რომელი უმეტეს შვიდისა წელიწდებისა იქმნა დაიტაოებულ ექვსორიობასა შინა. უუმწარესისა ცხოვრებითა მცირაკითა და წყალითა, რომელი დედამან თჳსმან ნ.[3] ხოიშნობითა თჳსითა ვინძილამ მოიყვანა აქარე, რომელსა შინა შეუჰკნობდნენ ჴორცნი ძვლებთა ზედა შვიდწელ განპატიეებითა. გარნა განთავისუფლებისათანა იწყო დავიწყება მწარე პატიჟისა და შინაგანისა მსაჯულისა სჳნიდისისა და იხილვების უძვირეს პირველ ურჩებისა, უგუნურებისა, უნანელობისა და უმართლობებისა, რომელი ლამდა ძმისა თჳსისა სახლისა დამჴობასა, მუნ

და აქაცა უთქუამს ჭენეშნი გვრივნი გული შორითგან დაცემასა, რომელისა მეხუთისა მცნებისაგან მიუთხარ პატივისცემა მშობელთი და მოყვასთი და ოდეს არარად შერაცხა მცნება მეხუთე კუალადცა შევასძინე მოთხრობა. აჰა, რომელი მეხუთესა მცნებასა დაარღვევს, იგი ღმერთსა და ცხებულსა მისსაცა აღუდგების წინა და განიკვეთების ურჩი შვილობისაგანცა და ზედდავრთე ეგე ვითარნი უღვირობანი, ლაზღობანი, კადნიერობანი, ჰიხმაკურობანი, ხისტობა არს აზიურნი, რომელ უუმეტესად განცხნა სულიერად მქისე და კორციელ ეკლებგასხმულ და ჟანგოვნილ დემონებთაგან, რომელმან ძოქუა პირუტყვება და სხვანიცა იობანი მრავალ ბევრეულნი. გარნა მე სიმშვიდითა წმიდა სახარებისათა შევთხოვე შენდობა, რათა ღირს ვიქმენ შეწირვად მსხუერპლისა, რომელი ახლტა ტაბლისაგან და არა ინება სალთო სახარებისა მშვიდობა, არამედ მიმოვალს სახლითი სახლად და იქადის მკლავებისა თვსისა ძლიერებასა და ზედდართავს სქესითა განლაღებასა, არა მიმხედი სამოქალაქო ჰსჯულისა და არცაღა განმჭვრეტი საღთოთა სჯულისა, რომელი იტყვს ცხებულსა ჩემსა ნუ შეეხებითო, რომელსა შინაგან მუცლით თვსით გამოჰქოხან ჰირნი და სალმობანი და მიმღებლობს გასებთა მამაკვდინებელთა და აქვს სული შერევნილ მსგავსად ბაბილოვნელთა და გონება ბნელ სახედ ეგიპტისა და იდეანი შერევნილ მსგავსად სამარიელთა, რომელნი ლამოდენ წმიდისა ილიასა მოკვდინებასა.

მოიხსენეთ ძეო მეფისა! იაროზ ათვრამეტისა წლისა განრღუეულ ოდეს განკურნა, მყისუე შეუდგა მამასა თვსსა დემონსა, ვარნა ოდეს იდვა სილაომისა ტბისა პირსა სასოებასა ღვთისაგან განკურნებასა. აჰა, განჰკურნა მაცხოვარმან, მყისუე იარას სასოება თვსსა სიმრთელესა ზედა, რომელი უუმეტეს დასნეულდა და წარწყმდა საუკუნოდცა. ამად, უმეტეს გამოვთარგმანე სახარება, რომელსა იტყვის ესა ხენეშსა არა ძალუძსო კეთილისა ნაყოფისა გამოღება, რამეთუ კაკი რომელიმე ხნეობითი ბოროტი ჩჩვილობასა შინა ჩხავილითა უსუვრობისა წელთა უკუღმა ცელქობითა, ნინვალობისა დროთა ხელებთა, ფერხებთა მიმკვეთებითა, ყრმობისა წელსა ლაციცობითა და ჭაბუკობისა ხელთა დრანჯობითა, დრასტიკობითა, ლირწებითა, სიღოდნითა და თუალებ ლბილობითა არღა განიმართავს თვნიერ შიშისა ღვთისა და ლოცვისა და მარხვისა და მონარხისა ჰსჯულითა.

აჰა, ღმერთმან რიდოს ზემოხსენებულსა კაცსა მას საუკუნო განსაცდელხი და ჟამიერნიცა განპატიჟებავე, რამეთუ მიცრემლია მისისა უბადრუკებისათვს წარსულთა შვიდთა წელთა შინა და უკეთუ კუალად გარდაჰსტყდეს, უმეტესცა ვიცრემლებ, მგონებელი ესრეთ, უკეთუ შეურაცხყოფისათვს მემსხუერპლისა თვსისა დასაჯა ღმერთ-

ჩან, რამეთუ მავნებელნი და მდევნელნი კაცნი უმეტეს მაწყალ-ჟიან, რათა არა იხარებდენ ეშმაკნი, ვიდრეღა მართალნი რომელნი ჰსდევნიან დემონთა და ერევიან, რომელთათვს შეწყალება არა არს საჭიარ, არამედ სიყვარული არს საჭირო ჩემი მათდა მიმართ, რათა მბაძველი მივადევდე კუალსა მათსა. უტეო. მე ფავისაგო გარე-მოთაგან და არა მიზეზითა ჩემითა ივნოს ემბაზისა ძმათა ჩემთაგანმან, რომელთაგან აღვჰსთქვით პირველ წინაშე ემბაზისა სიმართლითა, სი-წმიდითა და უმანკოებითა ცხოვრება. და მტერთა წინაშე ცხოვარყოფა რამეთუ ოდეს ბრძანებულნი ვჰყო, მაშინ ვრქუამ თავსა თვსსა: მო-თმინება ყოვლისა შეურაცხებისა, რამეთუ აღება ჯუარსა, ტანჯუა არს თვთ თავისა თვისისა, ამა სოფელს შინა, ხოლო სხვათაგან ტანჯუა არს სიხარული, რომელ თვთ წ. მოციქულთა უხაროდათ ტანჯუა და გინება თავთა თვსთათვს ბოროტსა ზედა მდგომარისა სოფლისაგან. რამეთუ ოდეს ბრძანებულნი ვჰყო; მაშინ ვრქუამ თავსა თვსსა: მო-ჭანო, უხმარ ბრძანებულ ჰყავ თანამდები.

თქვენი მლოცველი მ. მონოზანი იონა
წელსა 1826 ნოემბრის 10 დღესა.

## № 114

### 1826 წლის 14 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო მ. მ. მ. იონა მოწყალეო მამაო

აჰა, აღმომკითხველო უუპატივცემელესისა ავთრათისა თქუენისა და მხილველი აზმნობათა გამოხატულთა მას შინა მივიღებ არა ნამდვლ გამოცხადებად, გარნა განმაფრთხილებლად და განმამკაცრებელად. და მივმართავ მოკლედ ყურადღებასა ჩემსა გამოცდილებასა ზედა თქუენსა, თუმცაღა წარმოსდგებიან მრავალნი ძალნი სულსა შინა ჩემსა ძმათათვს.

იხილეთ მამაო სამარადისოო, აქ განსაზღვრებასა შინა ჩემსა წარმოებულისათვს რაისამე შემთხვეულისა ნიადაგ ლიტონად აღმოჩენილ არს, და ესრეთ ნამყოისა ავთრათისათვს, რომელსა შინა იხილვების ზმნა — ვიყავ, ლექსი ესე ამას ჟამსავე მესმოდა, გარნა იგი დაიღების არა საზოგადოსა მნიშვნელობასა შინა ვითარცა თქვენ აზმნობთ, არამედ კერძოობითსა მხოლოდ საქმესა შინა, ე. ი. დროისა მნიშვნელი, აგვისტოს პირველისა რიცხვისა; იგი ნიშნავს ერთისა ნამყოსა და არა მრავალსა, რომელმან განვლო, იგი ჰნიშნავს ერთისა

თქვენსა ლექსსა, რომელი აღმითქვთ მის დროჲსათჳს და არა ვრცელსა აზმნობასა, წერილი იგი იყო კერძოობითი და არა საზოგადო. აჰა მნიშვნელობა მისი ნამდვლ: ბ, ოთხნი მრავა ბრალნი თქვენ მიერ დადებულნი ჩემდა არიან უსაფუძვლო და უმიზეზო 1. იმპერატორის უნივერსიტეტი საკუთრად წოდებული, არს ფრიად მაღალი სასიბრძნო ადგილი, რომელთაცა აქა აღრიცხუად შეუძლებელ არს, სადაცა სიძნელე სწავლათა, მიიღებს მცირეთა მოსწავლეთა და ამის სიმცირისა გამო ეგზამენი სტუდენტი არს ყოველთჳს მმარებლობასა შინა უნივერსიტეტისასა, რომელიცა არს ყასილის ქალაქსა შინა, მეექვსესა მწკრივსა და სცხოვრებენ მუნვე პროფესორნიცა და მეეფოსენი მისნი, ხოლო ორნი ეს განსვენებისა თთუენი წარსულნი დატევებულ იყვნენ უმუშაკოდ და არცა ერთი ვინმე თანა მოსწავლეთა ჩემთაგანნი იმყოფებოდნენ უნივერსიტეტსა შინა და მათდამი გამოცემოებაცა ჩემი იცვალნენ, ვინაჲთგან ვედრი ვჰყავ. რათა ეგზემენი მივცე და ამისთჳს ვამზადებ სწავლათა, რომელი შემთხვეულ იქმნების აქავე გარდა ამათსა მუნ დგომისათჳს წარსაგებელი ჩემი არს, რომელიცა არა მხოლოდ მისთჳს, არამედ უმეტესთა მრავალთა დიდ ფრიად საჭიროთათჳს, მცირაკიცა არ არის შემოსავალი ჩემი ერთისა მხოლოდ სიტყვთა არარაჲ იმოქმედებას ანუ გამოხატვთა მოქმედებანი საქმენი და გარემოებანი მიზეზითურთ მიიღებიან განსჯასა შინა. 2. შეიდეულისა დღეთა და ჟამთა ყოვლის დღისათჳს ვიხილავ, და უკეთუ გნებავსთ გარდაბეჭვდა, ვჰყო ამათი სულსა შინა ჩემსა, მაშინ უნივერსიტეტსა შინა ათი წელი ყოფად ჯერ არს, შესაძლებელ არსა რათა კაცმან თჳსისა ცხოვრებისათჳს ყოვლისა წლისა შეიკრიბოს ერთსა წელსა რაიცა საჭიროდ შეემთხვევის. ვგონებ შეუძლებელ არს. მაშასადამე ყოვლის ამისთვის მცირესა ამას დროსა შეუძლებელ არს გარდაბეჭდვად. თვთ უწყით, მდევნელმან ორისამან, ვერცა ერთი შეიპყრა, ესენი თჳსისა დროჲსათჳს დაიდებიან. ესე გუარნი დიდ ფრიად საჭირონი არიან სემინარიისათჳს, ვინაჲთგან მისი მთავარი საგანი არს, ხოლო უნივერსიტეტს თჳსი საგანი აქვს დალათუმცა ყოველსა აღმსარებელსა სარწმუნოებისასა ესაჭიროების გარნა მას თჳსი ჟამი აქვს. აქ ვარ გონებით წარმომადგენელ, პირითა მღაღადებელ და საქმითა მსახურებელ მის მაღლისა. ესე კმა იყავნ, ამისთჳს 3. ახლისა გასაღებისათჳს ორი დღე არის. შიბოძეთ და ბრძანებთ ზიზღებასა, რომელი დამტკიცებასა არარაჲსა ვიხილავ ესე ვითარისა უსაფუძვლო, უმიზეზო, უკიდუროჲსა მეტყველებისათჳს. განჰსჯა ჩემი მომცემს გაბედვასა მართლად წარმოთქმად, რამეთუ ტყუილ არიან. უკეთუ მე მაქუს მეცადინეობა, რათა

ჩე მამულესათვს ვჰშრომობ და საქმესა შინა ჩემსა ვაცხადებ თხზულებასა თქუჱნსა, რათა შეემეცნენ ყრმანი ენისა ჩვენისანი. მაშა ჰსჩანს არა სიმართლე ენისა ჩემისა სიძულილი. 4. თქუჱნნი ნაყოფნი იგი უმაღლესნი და უჩინებულესნი ჩემ შორის ფრიად უუტკბილესად გოლისა და ვერსადამე ფასისა დებად შეუძლებ მე და გამომიხატავს მე. რათა თხზულებათა გამო თქვენთა ფასი ივერიასაცა, ვინაჲთგან სხუათა ენათა ზედა არა არიან იგინი, და ჩვენ საკუთრად მთხზველი აღმოგიჩნდებით ნათლად ივერიისა. ინებოს უმაღლესმან, რათა იქმნან სხუათა მსგავს თქვენსა, რამეთუ ივერიას უმეტეს სრულება მიეცემის, რომელ ნაცია სიბრძნისა გამო სურვილ არს. მე ვჰგონებ ყოველსა ცხოველსა ძალუძს ცხოვრება სოფელსა შინა და მეცა შემეძლო საქართველოს შინა ცხოვრება, გარნა სიყვარულმან მამულისამან განმაღვიძა, რათა სარგებლად ამისსა ოდესმე ნებითა განგჳმულისათა ვიქმნა სწავლისა გამო და უხვება მოწყალებისა თქუჱნისა, ქმნილნი ჩემზედა მტკიცედ გარდაბეჭვდითა დამტკიცებულ არს გონებასა ზედა ჩემსა აღმოუფხვრელად, რომელი ვიკრებ სიბრძნესა მამულისათვს. შემდეგი თქუენის მოძღვრებისა, თუმცა ჯერეთ ყოველნი მოქმედებანი ჩემნი იმყოფების თეორიულსა ჭეშმარიტებასა შინა დაფუძნებულ გარნა უკეთუ ბრძენი ბრძენთა ინებებს, პრაკტიკებრსა შინა აღმოჩნდების, ხელმძღვანელობითა თქვენითა და სახელისა თქვენისათვს თვსად დროსა გონება ჩემი წარმოიდგენს გამოხატუასა ღვთისასა სულისა და ამოვნებასა, ხოლო ნება სიმართლესა, სიმშვიდესა, სიწრფოებასა წმიდასა ჭეშმარიტებასა და სათნოებასა. აი თვსება სულისა ჩემისა, რომელნი მიმიღია თქუჱნ მიერ, და ამათ გამო იდიასა შინა ჩემსა თქუჱნ კართ ბრწყინვალე სანთლად წინაშე ღვთისა, უმეტესად ვიტყვი არა თავისა თვისისათვს მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვს ვჰშუშაკობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა კრონპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილთა სარწმუნოთა. მომიტევეთ უკანონო მოწერისათვს, ვინაჲთგან ვჰსწერ არა სხუასა, არამედ მამასა ჩემსა სამარადისოსა, ყოველთვის მსასოებელი და მონა სოლომონ დოდაევ.

გამსჯასა შინა ჩემსა აწინდელსა საუკუნესა მეძიებელი კაცთა მამულისა ჩვენისათა, წარმოვადგენ მე მხოლოდ თქვენთვს უაღმატებულესსა ხარისხსა შინა ჩინებულებისა ღირსებასა და სრულებასა შემძლებელობისასა ,სიბრძნეთა შინა. ნამდვლ ვიტყვი, ვარ მწუხარე სიხარულისა თქუჱნისა. ნოებრის 14 წელსა 1826 სა.

## № 115

### (1725—1726 წწ.) წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი.

კეთილ პატიოსნისა სწავლისა მოწაფეო სტ. დოდაევ!
ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა მოვრთმევლობ თქუჱნდამო.

აჰა, ესერა ძმასა! თქუჱნსა წინარე ვძღუანვანველობ თქუჱნისა სულისა პირისა შეცნობად. რომელ ძმამან თქუჱნმან სულიერ ძემან ჩემმან სოლომონ განღვიძებულმყო ხოიშნობითა თჳსითა მოწერად თქვენდამო, იგულხმებთ განსჯითარე მიმყოვრებულითა და აღარ-ჩევნებთ ნებასა თქუჱნსა.

თუმცა არა მიხილავს პირისა თქვენისა ხატი, გარნა ვუწყი, რომელსამ სალთო გახზრახვითარე გქონანთ ხატი ღვთისა ცხოველისა განცხოველებულად. ეგრეთუე პირველისა ადამისა ბუნება, ხოლო მეორისა ადამისა მადლისა არსება ესე მაღალნი ზესთა ცნობანი კმაოიან სალთოდ. უკეთუ ფლობასა თქუჱნსა და იკმებ ჩემდამო კანკელად ქარტიასა ამის. ეგრეთუ თქუჱნცსა ძალგიძსთ ცნობა ჩემი. რამეთუ თჳსისა ნათესავ სახისა მოკიდულ ვართ განუკვეთელნი ურთიერთ, ვითარცა ძირსა ზე ბორბანი, რომლისა ღეროვნი და რტონნი და კოკოლნი მასზედავე ჰგიან და ვსთქუა ცხადადრე სულნი ურთიერთ ვეზიარებით მარტივ ცხოველ მგონებლობ სიტყვიერებითა და უფროსღა უკუდავებითა, ხოლო კორცნი მგრძნობელობითა და მოკუდავებითა და ყოველთავე გრძნობაებთა ქუეშე ხილულთა თჳსნი მწკრივნი ჰქონან. თითოეული ზიარებადთა რომელითა და განყოფილებათა ვითარებითა თჳსნი გრკალნი ჰქონან მომრგუალებულად მსგავსად ალფავიტა ანბანისა საშუალო ანისა და ჰოესა. მაშასადამე ჩუენ კაცთა, არა თუ ურთიერთისა თანა გუაძს, არამედ სახლისა ამის დიდისა. რომლისა იატაკი მიწა არს და ჰერი სამყარო ცაა და მას შიხა მოსხმულნი პლანეტნი ბურთებმთიებნი თავკერძ და იგურდივ გუერდი მხარეებით ყოველნი იძურისნი კმელთა და წყალთი და ნივთნი სხეულნი, სამნი მეფებელნი, რამეთუ ყოველნი არსნი თავისა თჳსისა მყოფობისა საყვირ არიან და არცაღა ერთნი რამენი არიან უბუხეშო. რომელ ბუნებანი არსთა მასაჩინო არიან, ვითარცა იცხოვნების სულის არსება გონებისაგან სიტყვიერისა, რომლისა მიდმოება აღკუებს ზესკნელს და შთაივიდების ქვესკნელს და გარეგან სოფლისა პოლუსებ კიდურებისაცა განვალს და გარემოვლის ცასა და ქუეყანასა და შეიცავს სული უფრო განათლებულისა იდეასა შინა თჳსსა ორობათა ე. ი. ზეცისასა მარტივებად. და ქუეყანისასა

რთულებად, გინა ხილულთა და უხილავთა ერთბამად კნინღა და დაიტევს, რაოდენ იწროდ ერთბამად, ეგრეთუჱ განყოფითად თვთოეულთა და თჳთ დაიპოკენტავრებსაცა და ლანდებთა გამოიხატავს. უკეთუ ეგრეთ ძალნიჭებულ არს სულნი, რომელთა გონება, საქმე, პრაქტიკა არს აღძვრილი, ჰსჯა, რომელთა მგოსნებლობასა ვერა რომელიმე სხეულნი ეანტაქრებიან. მაშასადამე ფილოსოფოსობა რაოდენ ბუნებითად თამაშობითად აქუს. ვითარცა ყრმათა ღრამმატიკოსობა; ეგოდენ უმეტეს განსწავლითარე თანა აქუს ბრძნობისა მყუარებლობა ე. ი. სიბრძნის შეყუარება, რომელ არიან სამი საგანნი, რომლისაგან ვიქმნენით, რომლისამიერ ვარსებობთ, და რომლისამიერის ეგრეთ ძოულნი, ეგრეთუჱ, მეორე საგანი არს თავისი თჳსისა სიყუარული კეთილთა შინაგანისა განსაზღურებითა ორთავე ცხოვრებათა შინა უკეთილესად გებად წინამავალისა სჳნიდისითა ღუთისაძი დაკავშირებად, სიმვოლო მრწამსითა და საღმრთო ლოცვისა სახოებითა, და ათთა ნაკუჱთთა მცნებაებთა სიყუარულითა, რომელნი საღმრთო წრედ მონიჭებულ არიან კაცთათჳს გამოცნობად ზეგარდმო მადლისა და სჯულისა. გინა კეთილთა გამომრავლებად და ბოროტთაგან ლტოლუად, ხოლო დასასრულ მესამე საგანი არს და არიან მოყუარნი მსგავსად თავის თვისითა საყუარელნი, ანუ რომელ ერთთაცა თჳსითა ფილოსოფოსებითა არ ძალუძსთა თავთა თჳსთა გამორიცხუად ერთისა მამისა ადამისა შვილობისაგან, რომელთა ბუნება მსგავსივე არს, და უკეთუ მსახუროს ფილოსოფია და ბუნებითი ღუთისმეტყუჱლება აღძრცვილისა ღუთისმეტყუჱლებისა, მაშინ მყის მტერთაცა შეიყუარებს სათნოებისა აღსრულებისათჳს ირთისა მის ხოლო მამისა მბადებელი არა რაჲსაგან არსთა ე. ი. თჳსისა ნებისაგან, რომლისა სიტყუასა უმჳრავს ორობანი. რომელ არიან ხილულნი ნივთნი და უხილავნი სულები ჩუჱნნი და ზენანი და ღმრთნი.

დასასრულ ზემოდანეცვისა ლექსნი არა არიან ღრამმატიკულნი არსთა ბუნებაებთა მეცნავი და თვისებისა და უფროსღა ზედშესრულნი სახელები და სხმით გარდასრულითნი და სახელწოდებობითი და თანამოსახელენი, არამედ ლექსნი და სიტყუა, ხოლო ფორმანი არიან და განმყოფი. რაჲსა მიმართობითად. არცაღა რიტორება არც არსებაებთა შინაგანისა ძალისა მცნობელ, ეგრეთუჱ არითმეტიკულნი არიან აღრიცხუანი და მატემატიკურნი ზომანი, წონანი, და ყოფანი და რაოდენობანი არიან მეცნავ არსთა არსებათა საიდუმლოებისა. ეგრეთუჱ ღეომეტრიაჲ ვერა მისწუდების მარტივთა ბუნებაებსა. ეგ სახედუჱ ღეოღრაფია ეპიფანური წვლილ გამომძებნელ არს, არსთა თვისებისა ეგსახედუჱ მსოფლიო ისტორია ვერა განიხილავს შინაგანთა არსთა დასაბამებსა და აღსასრულებსა ესე ყოველნი ფილოსოფ-

ისადმი მომყჳანნი შუკანი და ფოლორცნი გზანი არიან, რომელნი მიიყჳანებენ უსუვართა და ნინველთა და უსუვრეთა ჭაბუკობისა ჰასაკებადმდე ფილასოფიისა კარის ბრჭესა შინა, ხოლო მუნ დაყნდოვნდებიან, რათა ყოველნივე განისაჯნენ ფილოსოფიისა კედონტებითა და მქლოველობითა, რამეთუ ყოველთა თჳსივე ეგზამენი აქჳს ფილასოფიასა, რომელი შეთხჳამს თჳსსა ლოგიკასა. სილოგიზმოთა ბრძმედებთა შინა და მეტაფიზიკისა ონტოლოღიისა გრკალებთა შონაგან, თჳთოეულთა თჳსსა წესებთა შინა და შემოჰკრებს კოსმოლოღიისა სახლსა შინა ერთ მხოლო სახლეულად ყოველთავე და ფსიხოლოღიისა სიტყჳათა შინა პირველთა ზეთაჲრე გამოჰსცნობს, ხოლო მეორეთა ქჳეყანად დაადგილებს, გარნა ბუნებითი თეოლოღივინა თეოლოღია ყოველნი ზენათა და ქჳეყნათა განსაზღურავს, და ეგრეთითა ბიჯებითა ყოველთავე დაწესებასა დასაბამსა და სასრულსა ოხჰანთა განცხადებულყოფისა თჳნიერ ერთი სამი მხოლოსა ცხოველ ბრძენ არსების მარად უკუნისა, რომელ არს თჳთ თავით თჳსიუოხჰნო ყოვლად ყოველსა შინა და შორის და უფროსთა ზესთა, რომელის მყოფობა მხოლოდ საჴელისდებისა ლექსითა ოდენ აქჳს თჳთოეულთა იდეაებთა თჳნიერ დასაბამისა და საზღჳარისა, გარდა დასასრულისა, რამეთუ არა ძალუძს თჳთ მყოფსა თჳსი დასასრული, რომლისა მყოფობასა ზედა საყოფელობა ხილულთი და უხილავთი შრანდითგან მოკიდულ არს და ძოღანდელი გუშინძლა ვეყჳენით და დღესაცა ვარსებობდ და ხვალისა დღეს შესაძლო ყოფა მას მხოლოდა ნებასა ზედა მოკიდულ არს, რომელი სცჳალებს ფორმაებთა და სცვჳს არსთა არსებაებთა. ე. ი. ფორმაებთაგან ფორმანი შობადობენ ე. ი. სახეებთაგან სახენი და ნათესავებთაგან ნათესავნი და განუკვეთელებთაგან განკუთვეთელნივე, რომელ ისპობის გარეგანი და გებადობენ არს მაარსებანი უძრავად მარტივ ცხოველნი მხოლოდ კნინი სხეულნი შენაწევრებულნი შემოკრებითარე სტიხიოებთაგან მუნვე მივლენან ვითარცა ტფილნი ატომნი მღვირნი ცეცხლადვე და ფორებთა შიხანი ჰაერადვე და ღელგამნი ნოტიონნი წყალადვე და ბლვრნი ატომნი მტვერნი მიწადვე ამად სოფელსა შინა მხოლოდ რიცხჳნი მრავლდებიან და არა ბურთნი. ესე პლანეტა ქჳეყანა ესე სფერა, რომელი ოცდაოთხოთა ჟამებთა თჳსსა ღერძსა ზედა მომრგჳალებულად გოგორებს დაჰქონან ზემო მთიებსა მიმალნინტება ქჳეყნათი და ქჳეყნათა თჳსადმი ზენათი, გარნა წონწონობითნი მსგავსად სასწორისა. გინა თჳალებთა ჩჳენთა, რომელი ჟამსა ხედვისასა არა აბრკოლებენ ურთიერთ და უკეთუ ერთმან პლანეტმან მეორე დააბნელოს, რომელნი დაუცხრომელად სცურვენ ჰაერსა შინა, ესე შემთხჳევა არს გზასა ზედა და არა მიმალნიტიბა ნუ იყოფინ აყენებს ზეგარდამო

ტიბიკონი და უცვალებლად ბადებად ძლიერებითა სიბრძნეთა განსა-
ზღვრებად და ხუთთა მბრუნავლობა და სახიერებათა დამტკჱლობან.

იხილე სულებათა თჳსნი ხოლო კანკლები ჰქონან. საშუალ თჳსსა და სოფლისა, ხოლო მეორე კანკელი სულისა არს საშუალ თჳსსა და ღჵთისა, რომლებითაც კაცნობთ შემოქმედსა ესე ვითარისა დიდისა სახლისა, რომლისა დიდებასა ოვკვითხრობს ცაი და სამყარო და ქჳეყანა, რომლისა წინაშე გარდასულებისა ნივთებიცა ცხოველ არიან, რომლისა ბრძანებასა უმეტესწარმართასა ერჩიან და უფროსლა ათეისტთა და ნატურალისტებისა ე. ი. ცაი და მუნებურნი და ქჳჱყანა ესე არაოდეს გადაგორდებიან სიგრძესა ზედა ე. ი. გარეგან საზღუ-რისა. არცაღა სიგანესა ზედა გარე ღერძებთა კიდურებისა განვლენან, არამედ თჳსსა გრკალებსა შინაგან იძვრისობენ, რომელ ნივთნი და დრონი ურთიერთ მოსდევენ და არცაღა ერთი მათგანი არს პირველ ვითარცა რიცხვითაცა შორის მეორე არა იქმნების უპიროჳჱლოთა, ამად მატემატიკოსი არა იქმნების ულმთო. ხოლო მკმარებელი ფი-ლასოფიისა მარკხულ იქმნების უძვირეს ბარბაროსთა და ულმთოთა, რომელ არ ძალუძს მატემატიკოსისა ოთხისა რიცხვისა სამორიცხჳად თქმობაჲ ახუ მხოლოსი ზიარება ქვეყნითა რიცხჳჱბთა ზედან მო-კიდულ ყოფა. არამედ პირველსა ზედა მიათვლის ე. ი. მოჰკიდებს შემდგომთა. ეგ სახედჳჱ ღმერთსა მხოლოსა შეუდგენს მეორეთა და ესე ვითარისა მიბიჯებითა ღმერთსა განასხჳავებს და არა აღრევს დაუსაბამოსა დასაბამიერებთა თანა და არა აღრევს იდიაებთა შინა რაოდენ განადიდვოს ღმერთი, ეგოდენ სოფელი ესე ე. ი. წარუმა-ტეს არა მომრგუალებულად, არამედ სიგრძესა ზედა სიგანე და სივრ-ცეთა ესახლჳროება, რომელი შეუძლებელ არს, რათამცა ორნი არ-სებანი თანასწორ იყუნენ ე. ი. სოფელი სამას სამოც და ხუთ ვრა-დუსიანი და სული ღმერთი თავით თჳსით მყოფი უდროო და უნივ-თო, რომლისა სიტყჳსა კჳანძადრე ჰსძენს სოფელი ხილული და უხილავი.

იხილეთ თქჳჱნ შეემჳუალენით ახლისა აღთქმისა ღუთისმეტ-ყჳჱლებასა, რომელსა უკეთილესი გასაღები მას უპყრიეს ფილასო-ფია მკვეალ ე. ი. მსახურ ღუთისმეტყჳჱლებისა არს არა სახლსა შინა თჳსსა, არამედ კარებისა ბრჭევებისა ეზოსა ზედა, დასასრულ დასა-ბამი სიბრძნისა არს ძეებრ შიში ღჵთისა და სათნოებისა მისისა აღს-რულება, სიმართლე სულისა, სიწმიდე კორცთა და პატიოსნება გა-რეშოთა მიმართ, რომელ პატიოსანთა კაცთა სიტყჳა უმტკიცეს არიან, ვიდრეღა უბადრუკთა ჴელით წერილნი.

მოიხსენეთ ზემო წერილთა მიზეზი უმთავრესი ძმა თქჳჱნი სო-ლომონ არს, რომელმან მიზეზებულ მყო, რომლისა გამო ვიქმივენ

ლოღიკურნი ჭეშმარიტება, მეტაფიზიკურნი და უფროსღა ეთიკურნი და უმეტეს ღუთისმეტყუელურნი უჭეშმარიტესნი ესე იგი მე წარმოვგზავნე ახდრონიკოვისა ტვირთებსა შინა ოცდა ოთხსი ძვირფასნი წიგნნი, რათამცა მიექცია წმიდის ნინოსა შკოლასა შინა სახსოვრად მუნებურთაგან და უფროსღა ჰსწავლა, მეორედ ხატი მაცხოვრისა შემკობილი ნათლისმცემელის ეკკლესიასა შინა, სადა მეორე შობა მომიღებიეს და მესამე წიგნითაცა შევთხოვე ჯუგაანის ეკკლესიასა ცნობად ძელი ცხოველისა აქუს, უკეთუ არა აქუს წარმოვგზავნი და თუ აქუს, არღა წარმოვგზავნი. ესე რა შევთხოვ მიიღეთ შრომა და სამნი ესე დავედრებულნი გამოიძიეთ და მაუწყეთ თვთოეულნი ქარტასა ზედა და ტაფრეთა სამგზის და ოთხგზისცა გამოიძიეთ და ნამდვილნი აქსიომა ცხადად მომწერეთ უმეტეს ორისა წლისა ხუანჯნი ეგე თეორემა ე. ი. შეუცნობელი ჩემგან. უკეთუ ამას პრაქტიკა საქმითა მაცნობებთ მეცა ამიერითგან განვემზადები სარგებლად თქუენდა საცუალ გებითა. აჰა, პლანი, გეგმი, ესენი იძიეთ წმიდა ნინოს ბიბლიოტეკი წიგნებთა საცავში. ხატისა დასუფენება, რომელსა მხარესა ზედა კაქირის ეკკლესიასა შინა და ძელის ყოფა ანუ ჯუგაანის ეკკლესიასა შინა და შემიქმენით, ამათ სამთა საგანთა ცნობით კმაყოფილება.

შეგთხოვ დიდ ფრიად, რათამცა წიგნი ესე არავის აღმოაკითხოთ. ყრმათა მწოვნელთა, ღრამმატიკისათა, ანუ მოსწავლეთა გონება უსრულთა და უკეთუ გენებოსთ მეგობართა თქუენთა, რომელნი ბაძვიდენ ფუტკართა და უწყოდენ ბუნება ფიზიკურ ჯინჭველთასა და ღუთისმეტყუელურ უმანკოება ტრედისა და სიბრძნე გველისა.

და თუ შემკითხავ საგნებსა, რომელთა მე ძალისა ჩემისაებრ განმარტებულთა წარმოგივლენ მაკეტითა სოლომონისათა, რომელ მიწერ მოწერა სულებთა საზრდელნი არიან უაღრეს კორცთა სანოვაგებისა, რომელნი გამოვლენან მიწით და მუნვე მივლენან შემდგომ გახკსელისა, ხოლო სულებსა შინა შთაბეჭდილნი საგნები კეთილდღეობისა სულსა შინა ეგებიან, რომელთა შემდგომ განსვლისა მეორე უძრავსა საუკუნოსა შინა ექმნების ფანტაზმებად ე. ი. ხატებთა ხატნი, და სახეებთა სახეებნი ღელნებთა საგნებთაგან გარდახატულნი თვთოეულნი თვსისა ნაკუეთებითა და ყოვლადებითა და კერძობითა ესე იგი შკოლურნი კეთილ განათლებანი და უფროსღა ეკკლესიურნი, რომლითა აღვალს მოძრავისა საუკუნოსაგან უძრავსა შინა. და ეგრეთ მართალნი თვსსა სიმართლესა აღიხსენებენ სუფევასა შინა და ცოდვილნი თვსსა გარდასულასა ჰსჯულისაგან.

№ 116

## 1827 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა იერომონახ გაბრიელისადმი[1]

სულიერ მამაო წმიდაო გაბრიილ, ქრისტე ღვთისა მიერ მრჩობილთა

ჴელთა ამბორებლობ თქუჱნდამო იონას მეშხოლოისადმი!

მოიხსენეთ, სალთოო მონაო იერომონახო მამაო წმიდაო, აჰა, თქუჱნი ავთრათი კეფი მცირაკი, წარმოცემულნი თქუჱნ მიერ მივიღე ჴელითა უფლისა დოდაევისა სოლომონ იოანესისა, რომელსა ზედა დაქსულნი ტკრფნი აღმოვიკითხე რა მყის გულისხმა ვყავ. პირველი სიყვარული მის მამისა ასურულისა ზენონ ღირსისა და მეორე ეკკლესიისა მის განშვენებისა ზარნაკიანისა და მესამე სიყუარული ჩემდამოცა, ვითარცა ჰბრძანებენ ჰსჯული და ბუნება ღვთისაგან მონიჭებულნი:

ესერა შევემცენ თქუჱნსა გულითადობასა ეპისტოლეთამებრ სალთოო მოციქულისა პავლესა, რომელი კეთილ მსახურეთაგან მოიმუჩირებდა[2] ე. ი. შეჰკრებდა საჰიროებათა. საჭმართა და შესამკობელსა იერუსალიმისა აღდგომისა დიდისა მის ეკკლესიისათჳს, ვითარცა რომთა და კორინთელთა და ყოველთავე ქრისტიანეთა, რათა ეკკლესიათათჳს გუაქვნდეს ზრუნვა, განკაფუა და ღუაწლნი მსახურებითა და შეწირვითა ათეულებთაგან და თჳთ უკანასკნელნიცა ქონებულნი მწვლილნი კერძანი და უფროსღა მღდევრისა სადილისა დაკლება და კუართისა და საბლარდნელებისაგან გამოკვება და ეგრეთვე სარეცელებთაგან და საბურველებთაგან გამორიცხვა და შეწირვა ეკკლესიათა, რათამცა უუმორჩილესნი სწეკალნი, მანიაკნი, დიადიმნი და თუალნი ძვირფასნი, ოქრონი, ვერცლნი და ყოველნი ლითონ მეტალნი მოსაოჰველად მიერთმეოდენ საკვარცხლბეკოთა დიდისა ღვთისასა, რომელ არიან საყდარნი მაღლისა მეუფისა, რათამცა ყოველნი ნივთნი უუკეთილესნი ვამსახუროთ მას მხოლოსა უმოქენოსა თავთა ჩუჱნთა სიკვდილისაგან ცხოვრებად გარდაცვალებისათჳს და ჟამიერდცა განსაცდელებთაგან გამოხსნისათჳს, რომელნი გარე მიდგომილ არიან ეშმაკნი უმრავლეს ბუზთა და სოფელი ბოროტსა ზედა დადგრომილი თჳსთა ზნეობათაგან და ვუამისა კორცნი; ასონი, წევრნი და ნაწილაკნი, რომელ იგინიცა მხდომ არიან სულებთა, ამათ ყოველთა წმიდათა და იობ მოიძულეს კორცნი თჳსნი, მარხვსა აღვირებითა და მოთმინებისა სურვილითა.

დასასრულ, თქვენი ეგე ზნეობა გულითადიერი და მეურნეობა მძაფრნი ზემოხსენებულისა მის ლუსკუმიანისა[3] ეკკლესიისა დიდ

ფრიად ვაშა, ვაშა არს და უკეთუ ჰსცვალებ მონასტრად მოძიებითა ორისა და სამისა და უმეტესისა პირებისა, შეითანხმებთ სოფლისა და ცოდვათა დამტევებელთა და დაადრგებით ღვთისა მის კაცისა სიმ-ხოლოესა შინა საკუთარისა პირისა ოფლებითა და არა როჰიკებითა მმართებლობათაგან, არამედ თვსისა საკუთარისა სარეწავებთაგან, მა-შინ უმეტეს განამხიარულებ ცათა შინა წმიდათა ანგელოსთა და სა-უკუნოთგან მართალთა და წმიდა იგი ღვთისა კაციზენონცა გექმნებისთ მაშინ სულიერისა თანა ჟამიერნიცა შეგეძინებისთ. ე. ი. პურთა სა-ცეპისკვერესა თანა შინაგანი კახეთისა ერნი შეგძინებენ. ეგრეთჳე ზედა მისა თანა ღვინოთაცა, ეგ სახელდჳე მატყლთა საბლარდნელად დუშნი გიმსხჳერპლებენ და ყჳელთა, ხოლო ერბოთა გარეთი კახეთი და უმეტეს ქიზიყი. ეგრეთჳე საჰიროებათა თავად აზნაურნი და ყო-ველნი ცხონებისა მეძიებელნი და ესე ვითარისა სახითა პირჳელად აცხოვნებენ თავსა თვსსა და მეორედ ახალ ნერგთა მაძიებელთა და შემდგომითი შემდგომთათვს იქმნებით მიზეზ ცხოვრებისა, უკეთუ ამას ჰყოფთ კნინლა და მეცა მახარებთ. რომელსა შეგეწევისთ ცაჲ და ქჳეყანაცა.

იხილეთ აჰა, სამნი საუკუნონი რკინვონანნი პირჳელ წინაპართანი ესერა აწინდელსა საუკუნოსა შინა იცჳალა ოქროვან საუკუნოდ. ხე-დავთა! რომელ წყალნი კავკასიისანი იცვალნენ ემბაზად და წმიდანი გვამნი დაფარულნი და ეკკლესიანი და მონასტერნი და სამკაულნი და ხატნი და ჯვარნი ლამიან გამოცხადებასა, რომელ კჳერთნი, შოლტნი, კჳერთხნი, და საჯივნი სჳტიკნი და მახვილნი აჯალიანნი სპარსთი დღითი დღე აკლდებიან, მტჳერდებიან და ბღვირდებიან, რამეთუ აზღვია ღმერთმან მირიან მეფითაგან გათხეულნი სისხლნი ივერიისა, ვიდრე აქამომდე: რამეთუ დიდსა კონსტანტინესა სპარსთა წყობისა ჟამსა ნიში ჯუარისა გამოუჩნდა, რომელი თჳთ მონარხსა ამას ნიკოლოზ იმპერატორსა ხილულად უპყრიეს, რომელმა სალთო გმი-რობითა თვისითა აქარე ასპარესსა ზედა გამოიხსნა რუსეთი და ჩვენ სამღვდელონი დაცულ ვიქმნენით სახელითა ღვთისა იაკობისათა ცხე-ბული ესე საღვთო დიდ ფრიად განკურებული ივერიისა დაცვისათჳს მიაგებს მისაგებელთა უმართლოთა მათ რისხვისა ჰურვილთა, რომელნი მათ მომაგეს ჩვენ და დაჰსდჳეს ნატამლად უსახურთა სპარსთა ქჳეყანა ჩჳენი. ამის მამა მონარხისა სიმრთელისათვს და განძლი-ერებისათვს მიერთადმდე თანა გუაქს ლოცვა. სიყვარული და მორ-ჩილება მამა ცხებულისა განმრავლებად ეკკლესიათა მონასტერთა და მშვიდობისა და სიბრძნისა.

მამაო წმიდაო! საკურთხი პურისა ამჟამად ვერავის წარმოვატა-ნე, ამად რომელ არავინ თავს იდჳა გარნა უფალს დოდაევს წარ-

მოვატან მომავალ თჳჱში, რომელსა ვამზადებთ წარმოგზავნად. ამი-სთვს შეგთხოვ სულგრძელობასა; და მომლოცველობ ახალსაცა წელსა მოკლესა ლექსითა და მრავლისა სიყვარულითა და შეგთხოვ კუალადცა წიგნისა წარმოგზავნასა, რათა მახაროთ მშვიდობითარე თქჳჱხითა და ძმათა ჩემთი კორციელთიცა მომწერეთ, რაჲცა მდგო-მარეობა აქვნდესთ მზესა ქჳჱშე ამიერი და მიერი, ფრიად შეგთხოვ დუდაევსა წიგნსა თანა.

თქვენი მსახურების მოქენე იონა მკდოვანი მ. მ. მ.
წელსა 1827, იანვრის დღესა.

მალალ ყოვლად უსამღვდელოესს არხიერს[4] უამბორებ. შეგთხოვ უკეთუ ვისმე ვახსომდე მეცნავთა თქჳჱნთა მომიანბორეთ კიდეცა, გუჱდრი, უკეთუ კეთილად მწერალნი ერთი ანუ ორნი მცნობნი გყვა-ნდესთ, გარდაუკჳჱთეთ ფასნი რვეულებზე და მომწერეთ. ოთხნი წი-გნი შევთხზენ. ე. ი. წლის ქადაგება და ღვთისმეტყველება. კატეხი-ზმო ვრცელი და იოანე ბატონიშვილის შეკითხვისა მიგებანი. ოცდაათ ოთხნი ღრამმატიკულნი, ლოღიკურნი, მეტაფიზიკურნი, მათემატიკურ-ნი და ფსალმუნები რაოდენნიმე და ეზეკიელისაგან ხილულნი ოთხნი პირნი ყრმისთუალსა და ღვთისმეტყველებაცა რაოდენნიმე, ესე ოთხნივე ყდებთა შინა შეკრულ არიან. ოთხ ყდაში ცალ ცალკე, უკეთუ მომ-წერთ წარმოვგზავნი, გადამიწერინეთ. მე აქ პაიჭაძეს[3] გადავაწერინე, ამათ აქ დავიტევებ და ორლინალთა ე. ი. დედნებთა ოთხთავ მანდ წარ-მოვგზავნი, რომელნი ყოვლისა სიბრძნისა თჳთ მასწავლელ არიან ოთ-ხნივე ესე წიგნები, რათამცა შემდგომად გარდაწერისა მანდ დაჰშთნენ პროფესორთათვის საკუთარითა კელითა ჩემითა. და წერილნი ადვილ გასაგონნი, ხოლო გარდაწერილნი მონასტრებთა შინა წარგზავნად მსუ-ურს, დავით გარეჯისა და წინამორბედისასა, რათამცა მუნ დაიდვნენ ოროლნი. ე. ი. ოთხთაგან ორი ერთსა შინა და ორი მეორესა შინა ბიბლიატიკოსა სალაროსა შინა წმიდათა მამათათვს.

გვედრი, მალიად მომწეროთ პირნი თანახმანი გარდამწერნი და ფა-სიცა თითო რჳჱლისა ზედა ვერცხლისა რაოდენსა აღიღებენ. კურთ-ხევანისა ტანსა ზედა ოცდაოთხისა ტრიქონიანებისა სახაზავისათა. გარ-ნა მე მსურს რაოდენისაცა ესე წიგნები ტანისანი არიან ამათ ტანთა ზედა გარდაიწერნენ, ეგრეთჳჱ ქარტა ქაღალდისა დასტისა ფასნი მო-მწერეთ პირველისა უკეთილესისა, რათა სახელსა ზედა თქვენსა წარ-მოვგზავნო. ვინძი კაფიად მომწეროდ და მიელოთ კამისია ეს სიყვა-რულისათვს ღვთისა და მამულისა და ეკლესიათა. შეგთხოვ, შემინდოთ ესოდენნი წინაუკმონი მოწერანი და დავედრებულნი აღმისრულოთ და მოუსწროს სოლომონს წიგნმან თქჳჱნმან დიდ მარხვამდისინ, ამას

ჭარმოვატან წიგნებსა თანა პურის საკურთხსა და სანაწილესაცა თქჳჱ-ნთჳს, ეგრეთჳჱ ჩემის ძმების ვითარება მიბრძანეთ. და ჰსცოცხლებ-დით საღთოდ, საღთო მამაო წმიდაო. (გაბრიილ).

№ 117

## 1827 წლის წერილი იონა ხელაშვილისა მენგრელთა მთავრის ძე გიორგისადმი

უგანათლებულესო კოლხიდა მენგრელთ მთავრისა ძეო გიორგი!¹ ქრისტე ღვთისა მიერ ზეგარდამო ლოცჳათა მომრთმევლობ თქჳჱნ-დამო.

აჰა, ესერა ახალსა ამას წელსა 1827 მომლოცჳჱლობ თქჳჱნდა მიმართ მრავალ წელიერ სათნოდ ღვთისა შობისა ქრისტე ცხებულისა დღესასწაულთა მიგებებასა საღთო ცოცხლებით ფსალმუნისამებრ მზე-სა ქჳჱშე, რათამცა ვითარცა წინაპარნი თქვენნი ვენახ ეკკლესიისა იყ-ვნენ მსხმ კიდეთა სახლისასა და შვნეს რქანი სახლისა შინა მფლობე-ლობისასა ძეებ და ასულებ ემბაზისა და ერსა ზედა პირმშოებად; ეგ-რეთცა იქმნეთ თქვენ მექონ ეკკლესიისა და მას შინა ვენახად. ხოლო სახ-ლსა შინა გამომღებ რქებთა და მათ შორის ფუფუნეულ ვიდრე ბადი-შადმე ე. ი. შვილის შვილებთა შვილებთა ხილვადმდე საღთო ეკკლე-სიისა ზეთისა ხეებად და ხილებად, რათამცა ძირსა მაგას ზედა ეგნენ, შთამოსირულნი რქანნი ცხოვარნი სიტყჳიერნი და ზეთის ხისა მაგის რტონნი, რტოაკნი ნაყოფნი, საქმენი კეთილნი, დიდებად ღვთისა და სა-ყუარლად მამულისა, რამეთუ ყოველნი არსნი ხილულნი და განუჴვრე-ტელნი ერთბამად პირჳჱლისა კეთილისაგან მეორე კეთილობად დაბა-დულ არიან თანაშობითვე სიყვარულითა. რომელ არსნი ყოველნი არ-სებისა თვსისა მოძრაობისაგან ე. ი. ბუნებითად თავთა თვსთა ჰყუარო-ბენ, რამეთუ არსთა საქმეთა ეწოდების ბუნება. ხოლო თვსებაცა მათ თითოეულთა ურთიერთისაგან განმასხუაებელ ნიშატებ ნიშან ნიშებად აქუსთ ყოველთავე თვსი ხარაკტირნი, გინა ფიზიოგნომიანი ვითარცა განუკვეთელთა თვსნი. ეგრეთცა სახეთა და ვითართა სახეთა ეგრეთჳჱ ნათესავსა.

მოიხსენეთ ძეო მთავრისაო! არა რაჲ არს დაბადებულ თვს თვნი-ერ არსთა კეთილთა და გარდა სიყჳარულისა, რომელი საუკუნითგანისა ძალითა ყოველთავე დამოკიდულ გვყოფს ურთიერთ დაკავშირებითარე, ამის ძლით სოფელი ესე მხოლოდ სახლი არს პლანეტებთაგანი. მთიებ ბურთ სფერად და მას ზედა მოსხმიდ განფენილ სიტყვიერნი ტაზნი, რომელნი გამომღებლობენ რქათა ვაზებად ცვალებად, შემდგომ ჩჩვი-

ღობისა, უსუერობისა, ნინველობისა, და ჰაბუკობისა ყვავილოვნებათა ჴორცთა მღვიანობისა, და შრეტისა და სისხლთა ღელვათა ამბოხებისა. დაყუდებისა და ქართა გულისა და მყუდროებისა და ხუთთა გრძნობაებისა ჩქუერობითა ჯაშობისა დროთა შინა წრფელ ყოფისა და ჰარმალობისა დროთა შინა სპეტაკობისა; ხოლო მხეცთა დროთა შინა მდორობისა და დროთა მოხუცებულობისასა დამწიფებისა, გინა ეგრეთ გახაფხულისა ყვავილნი იცვალებიან ეტერ ნაყრად ზაფხულსა შინა. ხოლო შემოდგომასა ნაყოფ მომწიფებულად, რამეთუ ვაზნი კეთილნი და ხენი ზეთისანი ჟამსა ბუტკობისა და კუკურობისა და ნასკობისასა მწარენი არიან და მჟავეცა დიდ ფრიად, რომელნი უკეთუ იხილოს ჩრდილოეთისა კიდისა კაცმან პალესტინესა შინა გემონი მათნი არა იქმნებიან სასოებელ დატკბობისა. გარნა ოდეს იხილოს შემდგომასა შინა განჰკურდების დატკბობასა მათსა. ეგე სახედვე ყრმობა და სიჭაბუკე იქმნების ფერად ფერადეულ ცვალებად; ამისთჳს ილოცვიდა პორფიროსანი მეფსალმუნე სიჭაბუკისა და უმეცრებასა ცოდვათა მოტევებასა ვითა სახედ მისა ილოცავს ყოვლისა სოფლისა ეკკლესიანი და ჩვენცა და ყოველნივე.

იხილეთ: კაცი ფიზიკურ ორძილობითად ეზიარების მდელო ნერგებთა და მშვინიერბთა ყოველთა ცხოველებ იძვრისთა. ხოლო სიტყვიერ მარტივ სულისა ცხოველობითა და უკვდავებითა ანგელოსთა და უუმეტეს მჰსგავს ღვთისა არს ზენა სიყვარულისა კეთილმოქმედებითა, გარნა რომელთაცა საუკუნო ჯაჭვი სიყვარულისაგან გამოერიცხნეს თავნი თჳსნი ზენათა ერისაგანთა იცვალნენ ნათლიერობისაგან დაშრეტილ მეგზურად. ე. ი. დაშრეტილნი სიყვარულისაგან ღვთისა იქმნენ დემონად. ეგე სახედვე შედგომილნი მათნი ებრაელნი და წარმართნი, რომელნი მსგავსებენ ბუნებაებითა თჳსითა საცხოვართა პირუტყვთა, რომელნი კეთილად დაბადებულისა არსებათა თჳსთა ძალოებთა თჳსთა წადილებთამებრ იყუანებიან, რომელთა გონებისა მათისა თეორეტიკა ბნელ წყვდიად უკუნად აქვსთ, რომელთა ფილასოფია მტერ სულებთა შერაცხილად აქვსთ და პრაკტიკანი გრძნობათა საქმენი და ჴელოვნებანი და ჴელოსნობანი და ჴელობანი საკუთარისა პირისა ოფლისა ცხოვრებანი გრძნეულად მათდა საგონებელ არიან, რომელნი წიგნებთა ყდებთა, მრავალბევრეულ ფასებთა დაჰსდებენ, გარნა შინაგან ყდებისა დაბეჭდილებთაგან ივლტიან ეგრეთ, ვითა გუშლი ცეცხლისაგან და ჰსძულობენ სიბრძნეთა ზეციურთა მჰსგავსად ტარტაროზთა და ეგრეთვე საშკოლოთაცა სახედმგელისა, რომელსა მაძღარსაცა ჰსძაგს ცხოვარნი და ციცათა თაგვნი, რომელთა ებრაელთა რაბინი, ბრძანი აბრმაებენ და ინდოთა ბრამანნი კიტაიელთა და იაპონელთა თჳსნი ბონძნი, თებასა დალაილამა და ლამანი მისნი და მინდვრებისა ერებთა

თვისნი მეზღაპრენი და ყოველთავე თჳსნი თითოეულთა თვისნი ქურუმჩი, სეიდნი, მოლლანი, დავრიშნი და მუსთაიდნი გრძნეულნი, მოგვნი, მისანნი, ულულუკნი, პითონნი, მემარმენიონნი, მებედენი, მესუცხნი, მესიზრმენი, მეპეპენი და მემარცვლელენი შეჰკითხველნი და გამომკითხველნი მეფორტუნენი, მეაჯლნი და ეგე ვითარნი ზურგით კერძ მიბრუნდებულნი თჳსთა პირუყებთა წადილისამებრ. დასასრულ მამა მათი არს ეშმაკი, რომლისა ტყუილთა იზეპირებენ. აჰა, მადგან ქრისტიანენი და უფროსღა მართლმადიდებელნი ვერეთ სხაობთ, ვითარცა ნათელი დღე, მზე და ცხოველნი. ღამისაგან ბნელისაგან და მკუდართაგან, ვითარცა თჳთცა უწყით კელმწიფეო ჩემო.

მოიხსენეთ ზემო საგანივე ჩვენისა ცხოვრებისა, ე. ი. შობა ძისა ღვთისა, ნათლისღება, დაფლვა, აღდგომა, ამაღლება და მოსვლა სულისა წმიდისა, რომელ არს ნუგეშისმცემელი ყოვლად, ყოველსა შინა და ტალანტებთა მომნიჭებელი, რომელი ღვთის მოშიშთა სულებთა გულისხმისყოფათა გუამართლმსაჯულებს სიყვარულისა განმრავლებად ღვთისა მიმართ და მოყუასთა და კეთილთა დაუსრულებლებთა გამოაღებინებს გულებთა საუნჯისაგან და გონებასა განუავრცელებს გარემოვლად ხილულისა და უხილავისა სოფლისა და ყოველთავე იხილვებს გარეშემოწერილად და ესე ვითარითა სახითა შეუყენებს გარეშემოწერილსა ღმერთ მამასა, ღმერთ ძესა, სული წმიდა და აცნობებს დამბადებელსა და შეაყვარებს ჰსჯულსა მის მხოლოსა ათთა მცნებათა, ათორთა სიმვოლოთა, ცხრა ნეტარებათა, ათთა ნაყოფთა სულთასა და უფლო ლოცვასა მამაო ჩვენოსა, რომელსა შინა აღუთქვამთ ღმერთ მადლით მამასა ჩვენსა, ე. ი. ეგრეთ მომიტევენო შეცოდებანი ჩუენნი, ვითარცა ჩუენ მიუტეებთ შემცოდეთა ჩუენთა. ე. ი. სულისა ჩემისა ვერაგობად აღმძვრელთა და გულისა ჩემისა ცეცხლად აღმტყინებელთა. ამად ლოცვათა დაწყება გინა ეკკლესიასა შინა არავის ძალუძს შესვლა ღვთისა მოშიშთა და საუკუნოდსა ცხოვრებისა შეთხოვნა და ქამიერისა ახალ წლისა და ახალ ცხოვრებისა კეთილდღეობით, უკეთუ შინაგანი ზეგარდმო მსაჯულად მოჩენილი სჳნიდისი არა ვჰყოთ წმიდა სათნოდ მაღლისა მის მართლმსაჯულისა განმკითხველისა გულისა და თირკმლებთა, ვითარცა უწყით ძეო ემბაზისა და მსასოებელო ჯუარისაო. რომელსა ზედავ ნებაებისა ახსენებანი მტერთაცა შეგვაყუარებს მოთმინებითა, სულგრძელებითა და დიდსულობითა.

მოიხსენეთ: ჩემი ვედრი შეთხოვნა და მქენეობა ესენი არიან წინაშე უგანათლებულესობისა, რაოდენნიცა ღმერთსა უნიჭებიეს შენთვს ე. ი. ძალნი და ძლიერებანი და შესაძლო საქმენი ნებითა თქვენითა ნებისა ღვთისა ულსრულება, იგინი სულისაგან თქვენისა მოჰფინოთ, ე. ი. თქვენთა ლოცვათა შინა შემვედრეთ ღმერთსა, რომელი ყოველ-

თა ლოცვათა ისმენს: მეორედ გეხსენებოდესთ თავი ჩემი თქვენდამო მლოცველად ხოლო მესამედ წიგნნი თქვენნი ტრედად ჩემდა ჰყოთ და ესე ვითარისა სახითა აღმოიყუანოთ ჯოჯოხეთით სული ჩემი უბადრუკი და კორცნიცა ჩემნი მტერ ქმნილნი სულისა ჩემისა. ამისათჳს ვგოდებდი თქვენთჳს ნამყოსა შინა, რომელთაცა ვიხარე ხილვითა თქვენითა. გარნა კუალადცა ვჰსალმობიერობ აწინდელსა ამა შემთხვეუებასა შინა, რათამცა განმიკუალადოთ განმხიარულება წიგნითა თქვენითა თავისა ჩემისათჳს რომლითა მაცხოვნებთ სულისა თქვენისა კეთილ თვისებითა, რომელმან ნამყოთა ყოფილნი ვნებანი თავს იხსენ. ამად, რომელ არცა ერთი ვინმე ჰყავ ბრალეულ. ამად ყოველნივე მაკურთხეველ თქვენდა არიან.

მოიხსენეთ: უგანათლებულესო რომელნი თვითცა უწყით, აჰა, უადვილეს არს ლომთა შეპყრობა, სოფლისა დაპყრობა და შარითა აღვსილა ჰაერსა შინა. ვითარცა ჰყო მაკედონელმან თესლებთა ქვეყანისათა ერთსა უღელსა ქვეშე დამონება და სიმონ აღვსილა ჰაერთა შინა და ლომთა დამორჩილება (წ. გერასიმე), გარნა ძემან ფილიპესმან აღვირსხმა თავისა თჳსისა ვერ ძალიდუა და სიმონ სხვანი განაკვირნა და თვით საკიცხუჩელ იქმნა ხოლო გერასიმემ სიწმიდისა ძლიერებითა ლომნი მოამდორნა.

აჰა, გმირობა, მხნეობა და სიბრძნე არს თჳსისა გუამისაგან აღსრულება ძველისა და ახლისა აღთქმისა, რომლისა მიკდა არცა ხილულთა მტერთა და უხილავთა არავის ძალუძს, თჳნიერ ამათს ყოველნივე ამაონი არიან, რომელ სიწმიდესთა, სიმართლესა და პატიოსნებასა ეგე ვითარნი მოყვარენი არისანი და მოყვსისანი აღასრულებენ, ესერა კელმწიფეო ჩემო! აჰა, მე არცა სიყვარულისა ღირს ვარ, არცაღა სიძულვილისა. ამაო ესე მსგავსი დედა ზრდილისა და უფროსღა მატლი ესე სიზმრებ წარმავალი, თივა ესე მიწად მიქცევადი: გარნა ნაწილაკი ვითარცა ზეცისა ვარ. ეგრეთუჩ ქვეყანისა ოთხთა სტიხოებთაგანი, რომელი უფროსღა მორწმუნეთაგან ვარ საგლოველ, რომელსა მბრძავს კორცნი, ეშმაკნი, ბევრეულნი და ათასეულნი და სოფელი ბოროტსა ზედა მდგომარე, ხედავთაა! თუ რაოდენთა მტერთაგან გარეშეცულ ვარ, რომელნი, რაჲცა მნებავს სათნოდ მაღლისა არა მიტეებენ ქმნად მისა და რაჲცა ნებავთ მათ იჯულებითარე მიმზიდვენ თჳსადმი. ამად უფროსღა მელმის ნაცვლად სიხარულისა.

## № 118

### 1727 წლის 19 იანვრის წერილი საქართველოს დედოფალ მარიამისა[1] იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო, იერო მონახო იონა!

მარჯვენას ამბორსა გიყოფ და შენს მშვიდობას ვისურვებ, ჩვენს ამბავს იუწყებთ, ვართ დაცული მადლითა ღვთისათა, და ლოცვთა თქუენითა; იცი, რომ უცხოთ შემწყნარებელი და ნუგეშის მცემელი ვარ ყოველთა. ახლა ეს დიაკონი პეტრე[2], რადგან არის უცხო და უადგილო, კარგი გამოსადეგი კაცი არის. და ჩვენებურს განწესებაზედ ცოდნაცა აქუს და კიდეც შეუძლიან ეკლესიის სამსახური. შენ იცი როგორ თვალსა და ყურს მიუპყრობ. და გააძლებინებ, მე რომ შეძლება მქონოდა არც იყო გასამეტებელი კაცი და კიდეც საჭირო იყო ჩემთვს, მაგრამ მეტად ბევრი ხალხი მყავს, ასი სული მეტი შესანახავი მყავანან, თქვენც იცით, რაც ხარჯი მოუნდება. ამის მიზეზითა ვეღარ შევიძელ შენახვა. მამაშვლობას როგორც შენგან ვიცოდე, ისე დედოფალთანაც შეწევნობას ნუ დააკლებ. და ამისი საქმის ცდილობასა. სამადლობელი საქმე არის; რომლისათვსცა ვიქმნები მეცა მადლობელი ამის შეწევნისათვს; დავშთები ღირსებისა თქვენისა პატივის მცემელი;

ზემო ხსენებულსა ქარტასა ამას წარმოუწერს უმაღლესობა მისი საქართველოს დედოფალი მარიამ.

წელსა ჩყკზ ს იანვრის ით. ს.
ღირსსა მამასა იონას მოსკოვით
ს. პეტერბურღს.

## № 119

### 1827 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო იონა უმოწყალესო ჴელმწიფევ!

უხვსა მაკურთხეველსა, სულისა მიერ წმიდისა განათლებულსა მარჯუენასა თქუენსა თაყუანსა ვჰსცემ მამაო, ჩუენ წარსულთა ჟამებთა შინა გუაქუნდა აზმნობა არსებისათვს სულისა. შემდგომ მისსა ვიაზმნე რაოდენიმე წამი, რომელსა წარმომიდგა ცნობა მისთვს შემდგომითა ხატითა და ძალისაებრ ჩემისა მოკლედ ვსჯი ესრეთ: ფილოსოფოსობა ჩუენი ყოვლისა საგნისათვს მდგომარეობს თეორი-

ასა შინა, პრაქტიკასა და ესტეტიკასა: პირველი არს ცნობა, მეორე ქცევა და მესამე ჴელოვნება. კუალად იგიუჱ პირველი ე. ი. თეორია, არს ჰსწავლა გონებისა, მეორე გულისა და მესამე გრძნობისა, ჩუჱნ უწყით, რომელ თეორიასა აქუს ნაწილნი: ლოღიკა, ფსიხოლოგია და მეტაფიზიკა. პრაქტიკასა აქუს: ზნეობითი სწავლა (ითიკა), კანონითი სწავლა და სარწმუნოებითი სწავლა, ხოლო ესტეტიკასა შინა იპყრობიან: გემოვნება, მჳერმეთქობა და პოეზია. და ამის გამო ვიკითხავ — სადა არს სულისათჳს სწავლა? იგი არს პსიხოლოღიასა შინა, ხოლო პსიხოლოღია სადა არს? თეორიასა შინა. თეორია რაისათჳს არს სწავლა? კაცისა თავისათჳს, საიდამაცა იწყებიან ყოველნი ზრახუანი, რომელიცა არს დასაბამი, ანუ ხატოვან დასაბამი ძალთა სულისათა და სხეულისა ძარღვთა, გარნა ყოველნივე ნაწილნი იგი შეკრულ არიან ურთიერთ შორის, ესე იგი გონება, სული და გრძნობა არიან ღარმონიებრ მოქმედნი ანუ თანხმანი. მაგალ იზრახავს სული, იტყვის გული. რომელსაიცა აქუნდა სულსა გრძნობისა მიერ მიღებული და ესრეთ სულისა მოქმედებანი იწყებიან ტჳნსა შინა, გარნა თჳთ სული არს ყოველგან და იქმნების ყოველთათჳს. აჰა მოკლე თეორია შემეცნებისათვის სულისა, უკეთუ ვიწყო ამისათჳს სჯა. შესდგების სრული ფილოსოფია და მე დრო არა მცემს ნებასა, გარნა თჳსსა დროსა განიმარტებიან კურსსა შინა ფილოსოფიისა ჩემისასა.

სოლომონ დოდაევ მაღაროელი. 1827

დღეს აღსრულდა მოლოდება სიტყვისა მის, რომელსა მოველოდით თქმულსა წინასწარ მეტყუჱლთასა, გამოცხადდა დუბესა ზედა ქუჱყანისასა თავადი სოფლისა, მამა მყოობადისა დიდებისა, მოვიდა ნათელი ნათლისა განათლებად სოფლისა. აჰა, თუ ვითარ თანამდებ ვართ დღესასწაულობითა კაცობრივნი ნათესავნი მადლობად, დიდებად და ღაღადებად მოფენისათჳს მშჳდობისა ჩუჱნ შორის და ჩუჱნთანა საუკუნოდ. გამოუთქმელსა და მიუწთომელსა მას მშვიდობასა ყოვლად ბრძნისა, სათნოებასა ვიხილავ თქუჱნ შორის მამათ ნიჭებულად, რომელსაცა მომდინარებულ ყოფთ ჩემდა მე მგრძნობელ ურიცხვთა კეთილთა თქუჱნთა, ვრაცხ მარადის და ვედრებად დღესასწაულისა აწინდელისა დღისასა საუკუნოისა ცხოვრებისათჳს თქუჱნისა და წინაშე თქუჱნსა მადლობად რაოდენიცა ძალა მიც ყოველსა შინა დროსა მყოფობისა ჩემისა მოლოცვასა თანა ქრისტეს შობისა ვკადრებ თხოვასა, რათა ურიცხვსა მოწყალებასა თქუჱნსა აღსრულება სიტყვისა და პირველი ნაყოფი ჩემი და შებოჭილ ყოთ წარსაგებელითა თქუჱნითა ვალად ჩემდა სახელისა თქუჱნისათჳს, ვინაითგან ამის გამო შემდგომნიცა ნაწილნი დაიბეჭდებიან და იქმნებიან

დიდ ფრიად სარგებელ მამულისა ესე ვითარნი დიდ კეთილ მოქმედებანი ნივთიერისა სოფლისანი გამოცხადდებიან სულიერსა სოფლისა შინა და არა რაი სხუაჲ. იხილეთ, რამეთუ საქმენი ჩვენი არიან 1. დიდება სარწმუნოებისა განშვენებითა ეკკლესიისათა 2. სწავლა მისი გამოცემითა წიგნთათა და 3. აღშენება სხოლაისა, უკეთუ ინებოს ნებამან ნებათამან, ჩუჱნ კერძ ვაცადოთ ყოველი ძალი ჩუჱნი აღსრულებად ზემოხსენებულთა კეთილთა. გარნა მხოლოდ მე არა ძალმიძს მოქმედება მათი უკეთუ თქუჱნმან მაღალ ღირსებამან არა ინებოს. დასასრულ დარწმუნებული ვარ, რომელ თქუჱნ მათ არა შეურაცხყოფთ მამულისათჳს და საუკუნოჲსა ცხოვრებისათჳს.

## № 120

### 1827 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო იონა!

მე გუშინ ვჳსცან უნივერსიტეტისაგან, ამ წელს იქმნება შემდგომად ეგზამინისა შესრულებისა გამოშვებაჲ ჩემი სრულის ატესტატითა. დეკანმა მითხრა დროზედ წარმოადგინე ლოღიკაო, ამისათვის გთხოვ იმეცადინოთ მოსწრაფებით მოძიება წარსაგებელისა, რათა რუსულს ენაზედ ახლა დავაბეჭდინოთ და ქართულზედ შემდგომ მისსა. ადამის მიღებისათჳს ვიკითხე და ყოველნი მისაღებელნი წარუდგენიათ მინისტრთან, რომელთა რიცხვში ისიც ჰსწერია და ერთი კვირის შემდგომ იცნობება ღიმნაზიაში. თქუჱნის მაღალ ღირსების მოწაფე სოლომონ დოდაევ. 1827 წ.

## № 121

### 1827 წლის 19 თებერვლის წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ პატიოსანო ღირსო სულიერო მამაო იონა!

ამა პირველის მარხვის წარსულს მსგეფსსა შინა თუმცა დავაჩვეერ, მაგრამ უფალი არს მოსურნეთა მისთა მოღუაწეთათჳს განმამხნობელი და ვიცი ამისათჳს არა რიდებ შრომასა. ზეგისა მეორესა დღესა: რომელ არს ამა წმიდისა მარხვსა მეორისა მზგეფსისა სამშაბათი — ოცდა ორი რიცხვი თებერვალისა თჳსა; ხვალ ერთი ნაწილი

ალმოიღე. და მაზეგ სამშაბათსა მალ მოვალ და წირვა მომასმეინე. ჩემი შენიშნული დღე არის და ამისათვის დავაჩვერ, საწირავიც ამავე წიგნით მომირთმევია და მამაშვილობას ამ სამშაფათს მიწირე სიწმიდის განახლებით ნურავის ნუ უბრძანებ მამაშვილობას და პასუხი კი მიბრძანე და სამშაფათს მე დროზედ გადმოვალ აღარცა შეტყობინება მინდა. იმ დღეს. მდაბლად წმინდასა მარჯუენას ამბორებთ შეფის ძე თეიმურაზი.

1827 თებერვლის ათს ცხრამეტსა, სლობას.

## № 122

### 1827 წლის 8 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქუენო მაღალ ღირსებავ მამაო მოძღუარო მ. მ. იონა.

უუმოწყალესო კელმწიფევ!

ბევრის ბევრი უხვება თქუენი ჩემზედა მოღებული დიდ ფრიად საგრძნობელ არს ყოველსა ჟამსა შინა, არა მხოლოდ ჩემ შორის აწ, არამედ ყოველთათვს იქმნების მარადის, და თჳსსა დროსა გამოჩნდების ყოველნი მოქმედებანი, წარმოებულნი თქუენისა მაღალ ღირსებისანი. სიბრძნისათვს ჩუენთა შემდეგ ბრძნისადმი.

წყაროო სიბრძნისაო! ადრე იქმნება თუ გვიან ნათესავი ჩვენი სცნობს შრომასა ჩუენსა და ყოველთვის ძალგვიძს მათდამი შეერთება წერილთა ჩუენთა. ხოლო რა ბევრის ბევროშს სიბრძნე ნათესავთა სლავიანისათა. ამისთვს შევაერთოთ პირუელსა ნაწილითა სიბრძნისა სიყუარული სახელი თქუენი და ჩემი ცნობად. რომელ ნათესავნი ჩუენნი მახვლობენ გონებითა სწავლასა შინა, ვინაითგან იგინი მთავრობენ, ჩუენზედა და მით გზა გუექმნების ყოველგან მემამულეთა, და ესრეთ გთხოვ სახელისა თქუენისათვს, ინებეთ მამაო ცაბეჭუდად წიგნისა მის, რომელიც აღიწერა ბრძანებითა თქუენითა, და წარსაგებელი იგი შევკრიბოთ შემდგომად დაბეჭდისა სარგებლობისათვსვე მამულისა, მომიტევეთ არა სრულებისათვს მის ავთრათისა, ვინაითგან არა მაძლევს ნებასა იგი, რომელიცა უწყით თქვენ ე. ი. მათემატიკა. გთხოვთ უმორჩილესად მაკურთხოთ ჩუეულებსაებრ თქუენისა მაღალ ღირსებისა, რომელიცა მარად ვარ კურთხეულ თქვენ მიერ.

თქვენისა მაღალ ღირსებისა მორჩილი მოსამსახურე ს. დოდაევი.

მარტის 8-სა 1827 წ.

ს. პ. ბ.

## № 123

## 1827 წლის 16 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქუჱნო მაღალ ღირსებავ მ. მ. მ. იონა, უმოწყალესო ჴელმწიფევ!

იხილეთ მოკლედ შემთხუჱვა ესე, რომელიც აწარმოვა მცირისა გამო მოქმედებისა სარგებლობისათჳს მათისა და რომელი მათ მიერ მიღებულ იქნა უსარგებლოდ და დიდ ფრიად გულძვირებულად. მე ვიწყებ უწინდელისა და აწინდელისა დროთა გარემოებასა, საქართველოდამ მოველ მზრუნველობასა შინა თქვენს, მიღებისათჳს სიბრძნისა და თქვენ ჰპოვეთ ადგილი, სადაცა მიღებულ ვიქმენ, რომელსა მომეცა მუნვე სადგომიცა, და მივიღე განვითარება შემწეობითა თქვენითა.

თქუჱნო მაღალ ღირსებავ! წინადადება თქუჱნი პირველი მოხჱლასა შინა ჩემსა სწავლისათჳს ბაგრატ ბატონიშვილის ძეთასა[1] მივიღე და აქამომდე არა დავზოგე ძალისაებრ ჩემისა შრომა და მეცადინეობა. შემდგომ გამოსვლისა წინასწარისა სადგომისაგან ცხოვრებასა შინა მათ თანა ჩემსა, შემემთხვა დიდნი ვნებანი მოუსვენებლობანი და ამათ გამო სნეულებანიცა, რომელ ვითმინე აქამომდე, ვითარცა სიტყვითა, საქმითა და მრავლის მოტყუებითა მათგან, თქვენ უწყით, უკეთუ ამათ არარაჲ იციან, რომელ სწავლასა შინა დიდის კაცისა და მცირისა ერთი და იგივე არიან ე. ი. ერთად შესარაცხ არიან მასწავლებლებისათანა. და ესრეთ უფროსსა შვილსა მათსა ვასწავე რუსული გრამმატიკა, ქართული გრამმატიკა, არითმეტიკა, ჰსჯული ღვთისა ანუ კატეხიზმო. სამღვდელო ისტორია და ეგრეთვე რაოდენნიმე მსოფლიო ისტორია და გეოგრაფია, საშუალოსა და უმცროსსა საეკკლესიო და სამოქალაქო კითხვა რუსული და ქართული, ეგრეთვე ასოებისა დასხმა. პირველს მოსვლაში აღმითქუა ყოლისავე კმაყოფილება და მეცთანხმა ვქმენ მისი, ვითარცა მეფის ძეს ვერწმუნე, ვგონებდი მიაქცევდა ყურადღებასა შვილთათჳს მისთა მასწავლებლთა ზედა, შემდგომად ერთის საგნის შესრულებისა, აღმითქუა საჟამე და რაოდენს წიგნსა შეასრულებინებო ესოდენსა საჟამესა მოგცემო და შენს ხვასტაგს მოგაგებო. შესაბამსა სადმელსა და სახურავსაო, აღმითქვა ფიცით, არცა ერთს დღეს არ გაგგზავნი ქვეითო თანამდებობასა შინა და ესე ვითარნი ურიცხვნი აღთქმანი აღუსრულებელ იქმნა და სრულიად მოთმინებით ვმყოფობდ წარსულთა დროთა შინა რაოდენჯერმე წარმოუთქუამს შვილებს მიკოცაო, არა მხოლოდ მასწავლებელს, არამედ არა რომელსამე

არა ეთქმის ეგე ლექსი, რომელიცა წინააღმდეგ არს ყოვლისა ჰსჯულისა და სარწმუნოებისა უმიზეზოდ. უკანასკნელ დღესა ამას ერთმან შვილთა მათგანმან წარმოიდგინა ნიშანი ტირილისა და ამისთვს თვისი მართველი მოგზავნა: ჩემი შვილები მოსაკლავად არ მომიბარებიათ. ხვალვე გადიო! უგუნურება არ არის? რომელ ხვასტაგის აღრიცხუა არ მიუციათ ესოდენთა ჟამებთა შრომისათვს და წარმოიტყვიან კი ლექსსა ამასა. უმორჩილესად გთხოვ, ვინაიდგან თქვენ ბრძანდებით მიზეზი ჩემის მათსა სახლსა შინა ცხოვრებისა, რათა იხილოთ შვილნი მათნი და გამოიძიოთ, თუ რაიმე აკლიათ შვილთა მათთა ჩემგან, პასუხი მიიღოთ. თუ არა, რაისათვს ჰსდევენ ესრეთსა ლექსსა მძიმესა და გამოთქმულსა სავნებელად სიმრთელისა ჩემისა. იგი არს სენატორი და ნებავსა რათა ლექსსა ამას ზედა სტატიები უსამართლობისა წარუდგინო სენატსა, რომლისაცა მთქმელი მიეცემის კანონითა სამსჯულოსა ქვეშე. და კუალადვე გთხოვთ ჰკითხოდ მათ და პასუხი მიგოთ.

თქვენი სულიერი შვილი და მარადის სათნო
სოლომონ დოდაევი.
მარტის 16 დღესა 1827 წელსა

### № 124

### 1827 წლის 3 აპრილის მილოცვა სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

ქრისტე აღსდგა!

მომლოცველობ დღესა ამას სიხარულისასა, და ვჰსთხოვ თქუენს კეთილდღეობასა, ვითარცა დუბესა მას ზედა, ეგრეთვე ცათა შინაცა, ხოლო მე გახლავარ გაციებისა გამო დიდსა შეუძლებლობასა შინა, და ამისთვის გთხოვ მომიტეოთ, თუ რაიმე არა შესაბამ ანუ შეცთომა იხილვების ჩემ შორის. და ამისთვისვე მივიქცევ სახლად, გინა სადგურად.

თქვენი შვილი სოლომონ დოდაევი.
1827 სა აპრილის 3-სა.

## № 125

### 1827 წლის 3 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

ქრისტე აღსდგა. თქჳენო მაღალ ღირსებავ მ. მ. იონა

მომლოცველი აღდგომისა და მგრძნობელი უწმინდესისა მის დღესასწაულისა მიუწთომელისა და გამოუთქმელისა, ვღაღადებ და აღვამაღლებ დიდებასა და სულგრძელებასა ღვთისასა. ვინაიდგან დღეინდელსა მას დღესა ყოვლად შემძლებელმან მეუფემან იხსნა კაცი ვაებათაგან და ცოდვათა და მოანიჭა სოფელსა მადლი და მშვიდობა. ოჰ, თუ ვითარ საგრძნობელ არს აღურაცხელნი ძალნი და მოქმედებანი სულისა და გულისათჳს ყოველნი ქმნილნი ადიდებენ მას, ყოველი სოფელი ღაღადებს სიხარულითა და დღესასწაულობითა. ხოლო მე რაჲ ვჰსთქუა ამისთჳს, უკეთუ ჴელ ვჰყო აღრიცხუად სიყვარულისა და მოწყალებისა მისისა ჩვენ ზედა. არა ესოდენ ძალმიძს აღწერად, რაოდენიცა იცის და უწყის მან ვისდამიცა გამოხატუად მნებავს გრძნობისა ჩემისა მილოცვად და მადლობად. გარნა აღვავლენ მადლობასა ქრისტესსა აღდგომასა, რამეთუ მიგებებულ გყოთ წმიდასა დღესასწაულსა სიმრთელითა და კეთილდღეობითა ვმადლობ და კუალადცა ვჰმადლობ, რამეთუ მოგანიჭათ ნიჭი კეთილმოქმედებისა, უპატიოსნესი და უსამღუდელოესი განზრახუა და საგანი საქმეთა, რომელი ვრაცხ ვალად ჩემდა მარადის წარმოთქმად საქმეთა შინა. ვინაჲდგან ვიხილავ თქვენ შორის უუტკბილესსა პირსა სიბრძნისასა, ბრწყინვალესა კაცთ მოყვარებასა კეთილობათა, უხვსა ჴელსა მოწყალებისასა. და ყოველთა თჳსებათა სათნოებისათა. სამართლად ჰსთქუა არისტოტელმან, გუამი კაცისა შეიქმნების უბრწყინვალეს და უკეთილშობილეს მაშინ, ოდეს მიიღოს ცნობა და სიბრძნე. მცილველსა ესრეთთა ხარაკტერთასა მომეცა სიყვარული აღუსპობელი, არცა მახვლითა, არცა მოტყინებითა რაჲთამე და უმეტესად მისთვის, რომელ მიღებულ გაქვსთ საკუთარი მფარველობა და დიდნი კეთილმოქმედებანი, რომელნიცა დაშთებიან გულსა და განზრახუათა შინა ჩემთა და თჳსსა დროსა გამოჩნდებიან თითოეულად ისტორიასა შინა ჩემ მიერ აღწერილსა.

სიბრძნის მოყუარე მამაო, ყოველთა კეთილთა მგრძნობელი მოვმლოცველობ აწინდელსა მას დღე[illegible]ლსა დღესასწაულთასა, და ვჰს-

თხოვ რა სიმრთელესა შინა და კეთილდღეობასა განაგრძოს დღენი თქუენნი, ვიდრე მიხრწნილადმდე სარგებელად მამულისა და მემამულეთასა.

თქუენის მაღალ ღირსების მორჩილი სულიერი
შვილი სოლომონ დოდაევ.
აპრილის 3-ს წელსა 1827 სა. ს. პ. ბ.

**№ 126**

**1827 წლის 12 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

ეპისტოლე მიწერილი უფლისა დოდაევისა მიმართ სოლომონ იოანეს ძისად.

წელსა 1827 თუესა აპრილისა 12 დღესა სამშაბათსა ს. პ. იონა ხუცეს მონაზონისა მოძღვრისაგან, — სულიერო ძეო ჩემო აჰა თვთ უსაშუალოდ უწყი შინაგანისა კაცისა სვინიდისასა შენისაგან, რომელი მოგჳონან უმანკო მოწმად შორის შენსა და ჩემსა მიერიდგან ოდეს მორასუჱდ მწყურვალე ზენა სიბრძნისა ქალაქსა ამას შინა წმიდასა პეტრესა წელსა 1824. თთუესა სეკდემბერსა 6. ესერა მიერიდგან ვიწამე მეურნელობა შენზედა დიდ ფრიადისა წარსაგებლითარე კონდაკისა ჩემისაგან შეძინებულებისა ხვასტაგებითა და კმა უყავ უნივერსიტეტისა დირექტორთა რეკტორთა პროფესორთა და ერთბამად მასწავლებელთა შენთა, რომელთა მიზეზ თვითეჱ მექმენ ესე იგი რაოდენიცა უუმეტეს წარუმატე სწავლისა სიბრძნითა უუმეტეს თანა მასწავლელთა შორის ტალანტებითა და ნიჭებითა ეგოდენ უხაროდა სულსა ჩემთა წარსაგებლებისა განმრავლება და საშკოლო წიგნებისა და საბლარდნელებისა.

იხილე დასაბამად ყოვლისა კეთილისა სულიერ ძედ ჩემდა და ვიჳმიე მნება სულისა და გუამისა შენისათვის და განგამკაცრე სიყუარულსა ზინა ღუთისა და მოყუასთა მიმართ და მამულისა, რათამცა შენისა უუმეტეს მაარსი მაღალი გიყუარდეს და მსგავსად თავისა შენისა ეკლესიისა შვილნი გიყუარდეს და ყოველნივე მამულისა მოყუარენი, და უფროსლა მონარხი მამა და მისგან დადგინებულნი ეკლესიაებისა მწყემსთა ჰთავარნი და მწყემსნი სულიერნი და მოძღუარშენი ღვთისა წინაშე მომყუანი და ერთბამად მოქალაქეთა მეუფროსენი, რათამცა მორჩილებითა მათთითა შენცა შეყუარებულ იქმნე ღვთისაგან და ერთბამად ყოველთაგან, რამეთუ ესე არს ჳმა ღვთისა, და ჳმა ერისა. ამინად ორკეცრძოვე ბედნიერებისა შენისა.

განჰვერიტე მტერი მამულისა შინა დაცულსა ღვთისაგან და ცხებულისა მისისაგან არავინ არს თვინიერ სულებთა მათ ნათლისაგან დაშრეტილებისა, რომელნი აცთუნებენ სუსტთა სულებთა გონებათა უკეთუ მათ ვუმაღლიერთა დემონთა აღადგინონ ვიეთნიმე მტერად. შენდა მაშინ უმეტეს ლმობიერ იქმენ მტერსა ზედა, რომელი წყმედდეს საუკუნესა და ეძიებდეს ამათთა. აჰა შეიყუარე მტერი იგი ვნებული, რომლითა განვალს მისგან უხილავი მტერი იგი და მტერი ქმნილი მოყუასი შენი უუსაყუარელეს შენდამი იქმნების და მაქებელ შენდა დასდგების შესაკრებელთა შორის, რომელ ესე არს ნება ღმერთ მამისა და ცხებულისა მისისა და მთავრობითაცა და მამულისაცა კეთილ წევრობა და საგალით და საქმესა შორის და ქალაქეთა შინა ერთმთავალთასა:

მოიხსენე საღთო სიბრძნისა მოყუარეო, რომელმან მამულის განათლებისათვის სამთა წელიწდებთა შინა აღმენიცა დღებად შენდა სრულე არავალგზის დაძლეებელმან თვით საჭიროთა საზოგადლისა და ძილითა და კნინღა დაუმსხვერპლე სიმრთელე შენი სიბრძნესა, რომლითა უმეტეს განგამზადნო ხვედრისაებრ ძენისა ჩვენისა ღვთით წყალობამან და სამართალმან და გპებვა მეძინებელსა სიბრძნე ღვთისა, და მრეველსა კარი წყალობისა განგიღო და მთხოველსა მოგანიჭა სურვილისამებრ შენისა, რომელ შეუძლე ლოღოსისა შეთხზვა უსაშუალოდ თავით თჳსით ორთა ენებთა ზედა, რომელი მსახურ ღვთისმეტყუწლებისა იქმნება უკეთუ ენებოს ღმერთსა:

აჰა განიგულე საფლავი არს მიზეზი დაუწერებისა მის ქებისა მოსაბარისა გარნა იგიცა პირთა კეთილ მოქმედთა კაცთასა და სწავლულთასა და თხზულებათა მთხზუელთასა ვერა სადა დაადუმებს ამისათვის უუმეტეს მხიარულ ვარ შენძლით, რათა ნაყოფი მრავალი გამოიღო მამულისათვის რათამცა სიბრძნითა შენითა არიან ჰგიან კუწავლო ყოვლაყვარელესისა მამულისა ჩვენისა შვილნი და განმრავლდნენ რუდუნებულნი ღვაწლნი შენნი პირებთა შინა მოსწავლეთასა და ქარტებსა ზედა წიგნები, რათამცა ორთა ამათ დიდ შუენიერებათა აღგიყუანონ შენ სიბრძნისა თქვენსა ზედა არა დაფხისა ლაურითა, არამედ სასანთლოსა გვირგვიანითა სათანადო ღვთისა:

იხილე სულიერი ძეო ჩემო მე რაოდენ გაბევრეულებ დივთილსა ამას შენდამო თუმცა არა შესაბამ სიბრძნისა და ტალანტებისა და ნიჭებისა შენდა განაღამცა ვტკბები, რომელი გჭვირობ სწავლისა წვრთილებისა შინა გამობრძმედილსა, რომელსა ჰმოწმობენ განათლებისა მინისტრი და წევრნი და თითოეულნი მასწავლელნი და მოსწავლეონი და კნინღა მკვრვალობენცა ტალანტებთა და ნიჭებთა შენთათვს.

აჰა ესერა შეუდგნ ჟამათა მრავალთასა, ჟამსაცა ჩემსა და გრქუამ კურთხეულ არიან მშობელნი შენნი და კურთხეულ არს აღზრდა შენი და კურთხეულ არს სიმართლით და სიმრთელით გამოსვლა შენი დიდისა ამის იმპერიისა სასწავლებელისა უუპირველესისაგან.

აჰა წარვედ მამულად შენდა და აღაგზენ სანთლები და ლამპრები და უფროისღა ცეცხლნი გულები სიბრძნისანი სწავლებათა შინა აზნაურთა და მოქალაქეთასა და მოერქუნე გულები, დაკორდებულნი სწავლითა და დასთესე სიბრძნისა იდეალსი და ძირნი სულები საკლასო წიგნებითა და აღაორძინე კეთილზნეობითა რათამცა მოაქუნდესთ სიბრძნისა მჰელეულნი ასეულნი და სამოცეულნი და ოცდაათეულნი და გაკურთხევდენ იგინი შვილითი შვილამდე და შემდგომითა შობადნიცა მათნი, რომელსა შეართვენდე გექნების ღმერთი და ცხებულიცა მისი, რომელისა გული უპყრიეს ხელთა შინა თჳსსა. დასასრულ უწყი სულისა შენისა თვისებანი და უფროისღა წმიდა სჯულისა შენი, რომელ არა დაივიწყებ არამედ სულისა ჩემისა სიყვარულსა წმიდა იდეასა შინა შენსა შთაბეჭდულსა აღუტეხელად დაიცვე და ესე ჯერეთ მინდობისა შემსაცა მოიხსენებ, ჟამისა მის სნეულებისასა თავისასა, რომელსა ყოველი ნაწევარი თავისა თანა გელმოდა, რომელი ეკლესიასა შინა ვგოდებდი, რათამცა მოეპკრა მაღალსა კვალადვე სიცოცხლე შენი და მცხე ჴელითა უქმნელისა ხატისა ზეთი და ყო წყალობა თვისი იელოვა შენზედა და იქმენ განკურნებული.

ესერა უწყი დიდ შვენიერება კაცისა ბრძნისა შემდგომ სიკუდილისა არა რაჲ დაეშთების სოფელსა თვნიერ სწავლათა გარდაცემისა და უფროისღა წიგნნი ეგევითარნი, რომელი მსახურებდეს მამულსა. აჰა მომავალთა დროებთა შინა ყოველნივე დავიწყებულ ვიქმნებით და საფლავნიცა ჩვენნი უჩინო იქმნებიან თვთ ნახევარ საუკუნოჲსა შემდგომ. გარნა რომელნი თჳსთა კეთილთა საქმეებთაგან სარწმუნოებისაგან შეწევნილისა და სიყვარულისაგან ღვთისა მიმართისა დიდ სახოებისაგან აღიწერებიან ცათა შინა მუნ საუნჯესა შინა შიეგებიან: კაცად კაცადისა, რომელნი ხილვითა ღვთისათა, ნათელ მესამე იქმნებიან და ყოველთავე მუნგამო სცნობენ ხილულთაცა, და უხილავთაცა. ესე უუმჯობეს ამის სოფლისა არს. გარნა რომელთაცა სოფელსა შინა თხზულნი თჳსნი დაეშთებიან იგინიცა საუკუნო ნეტარებად შეერაცხებიან მოქმედთა კეთილთა წიგნებისასა.

იხილე რომელ თვთუჱ უწყი წლის ქადაგება ვქმენი და ღვთისმეტყუჱლება ეგრეთუჱ ვრცელი კატეხიზმო და ოცდაათ ოთხნი შეკითხვისა განმარტება მეფის ძის, იოანესი, და ლექსიკონი ვრცელი, რომელი ჯერეთცა ქვმისა ქუჱშე არიან უმსახუროდ.

ეკკლესიაებისა ძმათა, და ერისა აჰა არა მივიან შემწენი და ცენზურნი განმჩხრეკნი რათამცა არა მემრავლებინა მოუკლებელ ლოცუად ჩემ მკდოვანისა სულისა ცხონებად: —

მოიხსენე უკეთუ ინებოს! მაღალმან და მოგანიჭოს ძალი წიგნებთა ჩემთა განცოცხლებისა, სადაცა ჯერ იყოს მუნ მიიხუწნ და განმიცხოველენ ათხუთმეტისა წელიწდებისა რუდუნებულნი ესე არს პირუწლი სათხოვარი ჩემი შენდამი: მამულით მექუწყნეს ჩემო ქრისტესა მიერ ძმაო ჩემო მონოზნობით სულიერ ძეო ჩემო და მურნეობისა ლუაწლებითა შვლო ჩემო.—

მეორე შეთხოვნა ჩემი შენდამო ესე არს, რათამცა აღმიზარდო ძმისწული ჩემი მიხაილ ძე სოლომონისა და გიორგისა დიმიტრი სწავლისა სიბრძნითა წარსაგებელთა ჩემთაგან.

მესამე შეთხოვნა ჩემი ესე არს, რათამცა ისტორიასა შინა შენსა მეცა მომიხსენო და თხზულებებთა შინა სადაცა ჯერ იყოს.

იხილე ზემო სამთა სათხოვართა არა საქებელად მზიურისა ჩემდა გუწდრო, არამედ ლოცვით მოსახსენებელად ჩემდა, რათამცა ვცხონდე მგზავრი ესე სტუმარი ამის სოფლისა და წარმავალი საშინელსა სამჯავროსა შინა. —

მოიხსენე სულიერო ძეო ჩემი აქარე სულიერნი შვლნი უმაღლესნი და უგანათლებულესნი და თავადნი და აზნაურნი და სულიერნი სამღვდელონი და მოწესენი მამრობითი სქესნი და მდედრობითნი ხუასტაგებითა ჩემდამი მზრუნველნი მრავალნი მისხენან, რომელთაგანცა არღაცათუ განმიცხადებიეს ზემო სათხოვარებთაგანნი რომელნიმე ამად, რომელ რკინოვანსა საუკუნოსა შინა აღზრდილ არიან თვნიერ ფილასოფოისსა და ღვთისმეტყუწლებისა ვითარე მთა აგარიანთა გასუსუწნებლობისა ძლით, ეგრეთუწ სურვილი სიბრძნისა განმრავლებისაცა მცირაკიც იშვით იპოების. ამისათვის ყოველთაცა მიმართ დავიდუმე შეთხოვნა ზემოთაგანნი. —

აჰა მოგახსენებ შენ ამად, რომელ შენ ორის სიბრძნე არს ვითარცა ბუნებით ეგრეთუწ მრავალ ბევრეულ სწავლითნი და უფროსღა ზეგარდამო მაღლითნი ამისთჳს დავშურ შენზედა აწმყოდგან აწმყოდმან, რათამცა სამნი იგი თხოვილნი მყოობადსა შინა აღმისრულო და მაცხონო ყამიერადვე და უკუ სასტუმროსა ამის სახლისაგან განსვლა ჩემი მესმას სულიერსა მოძღუარს შენსა მიუმცენ შეწირუად მსხუწრპლებითა და პანაშვიდებისა გარნა ზემო შეთხოვილნი აღასრულე სულსა ჩემსა რომელმან განცეცხლებულისა სიყვარულითა გმსახურე შენ დიდი ფრიადისა გულითადობითა საღოთოათა.

მოიხსენე სულიერ ძეო ჩემო მექუჱყნეო ზედა დართვით აჰა კატეხიზმო ესე შევამზადე შენთვს სამნაწილედი იმრთმევლე ძლუჱნი ესე ახალ არმაღანი საღთო კავშირად სიყუარულისა ჩემისა შენდა, რომელსა შინა იხილავ სიმაღლესა იეღოვა ელოჲსანი და სიღმესა საქმისასა მის მხოლოჲსასა და სიბრძნესა და ძლიერებასა ძისსა დაცულობასა დამართუასა სიტყუითა ოდენ და ყოველთა პირებთა თითოეულთასა თავთა შორის თვსთა სიტყვითა ოდენ მოწრგუალებითა საღზურებთა შინა თვსსა. არსებისამებრ თითოეულნი თვსთასა რომელთა ბუნებანი თვისებანი და მოქმედებანი მათდამი შეისმინებიან.—

ეგრეთუჱ იხილავ ყოველთავე თვსსა სიმგრგულეთა შინა და ყოველთავეთა გამოსცნობ თესლებთა და ტომებთა და რწმენათა მათთა ესე იგი მესაგნეთა და საგნებთა მათთა, რომელ წიგნი ესე სულიერ ღეოღრაფია, და ისტორია და ფილასოფ არს და უფროსღა ღთისმეტყუჱლება.

იხილე დაღთუ მცირაკ შენდა არს კატეხიზმო რვეუწლი ესე გარნა სიყუარული შენი ჩემდამი მქისესისაცა ფულტელ და ვაკეთ ჰყოფს და სარკედ გონებისა აჰა ესე არს ორისე, მშვლადი არათუ მხოლოდ მშვიდობისა შორის ჩემსა და შენსა, არამედ უფროსღა სიყუარულისა.

მოიხსენე უკეთუ დაგივიწყო შენ დაივიწყენ მარჯუნ ჩემი მაღალმან და უკეთუ არა მოგიხსენო შენ ლოცუათა შინა ჩემთა აექვნენა ენაჲ ჩემი სასასა და რაჲღამე ვსთქუჱ, რომელ შეწუხებულ არს სული ჩემი. —

კურთხეულ არს წარსულა შენი, კურთხეულ არს მისულა შენი ივერიასა შინა, სადა ორგზის იშევ მშობელთაგან კორცითა და ემბაზისაგან. სულითა კურთხეულ არს სიმართლე და სიმრთელე შენი და ყოველნი განზრახუა შენი და საგანი და საქმენი ჴელითა შენთანი. —

დასასრულ უუფრიადესად ტფილისა ცრემლებითა შეგთხოვ და გუჱდრი მღაღადებელი, რათა განზრახუა კეთილი ჩემი და შენი აღთქმისამებრ შენისა აღასრულო სიღნაღისა ქალაქსა შინა ესე იგი პანციონი დანერგო რაოდენისამე კლასებისა სასწავლოდ მუნეზურისა ერისა ყრმათა, და ინგილოთა და უტოთი და ვართაშენისა და ალაბათისა, რომელნი წყურიელობენ ქრისტიანობასა და სწავლასა შვლთა თვისსითასა და თვთ ღიენიცა მოქენეობენ შვილთა თვსთასა აღზრდასა სამოქალაქო სწავლებითა:

მოიხსენე მე აღვსთქვი შენდამო და დავადგერ სიტყუასა ჩემსა ზედა აჰა რაჲცა ძალმიძს ყოველსავე უმსახუჱრპლებ აღთქმასა შენსა დასდე ფუძე და ეგება ძლიერებითა ღთისსთა, რომლითა ამიერუჱ

მაღლით ღმერთი იქმნები და ნათელ ზემოხსენებულისა თემებისა, რომლითა სახელი შენი აღიწერების წიგნსა შინა ცხოველისასა, ცათა შინა ზედა აღმართუან ძეგლნი მქადაგებელნი შენისა სიბრძნისა და ლუაწლებისა და ბიბლიოტეკონსა შინა იმპერიისასა ყოველგან სახელი შენი შთაიწერებიან აღბეჭდებად სიბრძნისა მოყუარეთა.

იხილე ოდეს აქარა მოხუცი თვინიერ სურვილისა არარაჲ გაქე-ნდა ერთისა დღისაცა საცხორებელი გარნა მაღალმან იხილა სურვილი შენი და ყოველნივე მოგაგო ესე იგი სულსა შინა სიბრძნე და ვაშ-კარანსა შინა სიმდიდრე, რომელ ჴელთა შენთა წარაგეს უუმეტეს ასსამეოცდა ათ ხუთმეტი თუმანი ვერცხლნი ბრძმედში გამოცდილ-ნი. იხილე ღმერთმან ჰყო საქმენი ესე სურვილისამებრ შენისა. ერრე-თუც ისურე აღთქმისა ჩემისა და შენისა აღსრულება, რომელსა ძა-ლი ღთისა გაგაძლიერებს, იხილე სულიერო ძეო ჩემო უკეთუ ეშ-მაკმან და ჴორცმან და სოფელმან განღრიკოს ნებსით გინა უნებლი-ეთ გარემოება შენი და არა აღასრულო აღთქმა ჩემი და შენი, რო-მელ არს სათნო ღვთისა, მაშინ სული ჩემი და ლოცუა ჩემი არღარა იქმნების შენთანა და ვერცაღა მიაწევ სრულებასა შინა დამთქსუარი ასისა სათოელისა მომჳკი ათასსა რაოშსა, არამედ ნუ ყოს ნუ ყოს სუ-ლმან შენმან აღთქმისა მის დარღუევა, რომელი აღთქვი წინაშე ღვ-თისა, მართლმსაჯულისა და წინაშე ჩემ მკდოვანისა სულისაგან წმი-დისა დადგინებულისა. აჰა ზემო კურთხეული გიწოდე და იყავ სამ-გზის კურთხეულ ამინ:.

ღმერთო აბრაამისაო, ისააკისაო და იაკობ ისრაილისას მონასა შენსა სოლომონს მიეც დღენი მზისა და მთოვარისა და უფროსღა ზეცათა ცისა სადიდებელად შენდა აწ და უკუნისამდე.

შენი მარად მლოცული იონა მკდოვანი ხუცეს მონაზონი ვარ და ვიყო და ვიქმნები გაცითადიერ უუმწუარუალესისა სიყუარულსა შენ-დამო ლოცვითა დასტურ.

## № 127

## 1827 წლის 8 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა დიმიტრი იოანეს ძისადმი

თქვენო კეთილშობილებავ დიმიტრი იოანიჩ. ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდა სალთოდრე.

აჰა ესერა უწყი სულისა თქვენისა კეთილისა თვსებისაგან, რო-მელ აღმისრულებთ ორთა ოდენ სათხოვართა შემოკლებულისა სიტ-

ყვეთა მოხსენებითა მათ ჩემმთა, რომელი დიდ ფრიად განვწირე გუა-
მებთა მათგან, რომელთაცა ხვასტაგნი ჩემნი მიიღეს, რომელთა დიდ ფრიად შევთხოვ რათამცა მომიქციონ ეგოდენი, გალანამცა, რათა წარვეგზავნო სოლომონ დოდაევი, რომელსა იძულებულ ჰყოფენ განმანათლებელისა წევრნი და ფოსტოსლა მინისტრი მწიგნობრად წარვიდა და გამოცხადდი ტფილისის აზნაურთ შკოლაშიო. რომელსა არა აძლევენ პრაგონსა საგზაურსა მეტყველნი ეგრეთ სახელმწიფოს ბლისტით არა აღზრდილხარ, ამად არცაღა საგზალი მოეცემისთო.

ახლავე, რომელი ღმერთმან ანითგან ჰქონდეს მიაწევინა ზემოხსენებულსა სოლომონს, გარნა აწ ესერა მოგონებითა ამად გაწდრი და შევთხოვ დიდ ფრიადისა მოტყინარისა სულისა სურვილითა და ღიაღისა მდუღარისა გულითა, რათამცა მე შემეწივენით და ჩემია სოლომონს, და აღმიჩინოთ ასი თუმანი ასიღნაცია პირველ, რომელსა საწინდრად ორასის თუმნისა ვექსილს მივცემ ამას ზედა მადლობელი ვიქმნებით და მომავალს თვეში მიუქცევ თვისსა ვასხითურთ, ეგრეთვე ზედართვით, შევთხოვთ რათამცა წარსულის წლის აღთქმული თქვენნი აღმისრულოთ და ოცდახუთი თუმანი ასიღნაცია, რომელიცა თვითვა უწყით, იგი მიბოძოთ, რათამცა წარუმართო მგზავრსა მას ზემო ხსენებულსა.

მოიხსენეთ მე სხვათათვის ფრიადი მწუხარება ვიცი ხოლო აწ თავისა თვისისათვის ვიქმენ დიდ ფრიად მწუხარე, აჰა, ესერა სამოცდა ათსა თუმანსა ათას ორასის წიგნების ლოლიკის დაბეჭდვის და შეკვრისათვის ითხოვენ. მაისის ათსა ერთბამად მზად იქმნების. ეგრეთვე თვისის ტვირთებითურთ გასტუმრებასა მაიძულებს სოლომონ, ყოველს დღეს აქარე მომსვლელობს ჩემთან და კვნესის მწუხარე ოხვრითა, აჰა, იხილეთ მეურვება ჩემი და შესლბობა სოლომონისა, და სცულისა თქვენისა კეთილისა თვისებისაგან ინებ,თ შეწევნა ზემოხსენებულებითა დიდ ფრიად წარმართებით, ახალ მამულობისა საქმეთა ამის საქმეთა, რომელი მადლობელ თქვენთა იქმნების სამარადისოდ, ეგრეთვე უუმეტეს მე ვგიე და დაებნები და ყოველთა შინა თქვენისა კეთილდღეობისათვის და საუკუნოსა ნეტარებისათვის

თქვენის კეთილშობილების მლოცველი მკდოვანი მღვდელ-მონოზანი იონა ვგიე თქვენდამო სამღთო ლოცვითა უემწვერვალესსა სახოებასა შინა ზენად წელსა 1827 სა მაისსა 8 დ. ი.

**№ 128**

**(1827 წ.) წერილი მეფის ძის ფარნაოზის ასული ნინასი[1] იონა ხელაშვილისადმი**

სულიერო მამაო, უფალო იონა.

ვიცი გეამებათ, დღეს ცხებული უფლისა მობრძანდა ჩვენთანა აქ. და რარიგათ მოწყალებით მოგვეპყრო, ჴელზედ მაკოცა, და ჴელი დამიჭირა და მშვიდობის ამბავი მკითხა, მამეხვია და ისე შემიყუანა თავისთან დამსუა და რარიგად, თავადი იკითხა, ან პატარა ნიკოლუშკა[2] თავისი ნათლულისა, და ბატონის დედუფლის პატივისცემა, რაღა მოვახსენო საჭირო აღარ არის, და გვიბრძანა მეორედაც უთუოდ მოვალო, და თუ ნებას მომცემთო, მანამ აქ ვიქმნებითო, და ან მე წავიდოდე სადმეო, დიახ მსურსო მოსლუა თქვენთანაო და თქუენი ნახვაო. მამაო, როდესაც განახავთ, მაშინ უფრორე თვითეულად გიამბობთ, და გთხოვთ თქუენს წმიდას ლოცუაში არ დაგვივიწყოთ აგრეთვე ნიკოლუშკა, რომელმაც წმიდას მარჯუენეს ამბორი მოგახსენათ, ძალიან იამება ხოლმე თქვენს კელიაში შესლვა.

ვიცი ზაქარიასაც[3] ძალიან იამება, უამბეთ, მეც ძალიან მოხარული ვარ მაგის განთავისუფლებისთვს, და მოკითხუას უძღუნი.

თქვენი სამსახურის მოსურნე თქვენი სულიერი შვილი
მეფის ძის ფარნაოზის ასული, ნინა.
სპირიდონს და ივანეს[4] მოკითხვა უბრძანეთ.

**№ 129**

**1827 წლის მაისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

მაღალ ღირსო მამაო მ. მ. მ. უმოწყალესო ჴელმწიფევ!

ნიავთა ცვლილებამან მომცა გრძნობა სნეულებათა ყოვლისა კერძოჲსა და უმეტესად თავისა, გუშინდელსა დღესა შინა, ხოლო აწინდელსა დღესა შინა ამას მივიღე რწყევისა მკურნალება, რომლისაცა მოქმედება გარდამოვიდა რვაჯერ, და ფრიად დასუსტებულ ჰყო სხეული ჩემი და მწუხარებული. გარნა გული ჩემი შფოთავს და არა უწყი, ვითარ დასრულდება მდგომარეობაჲ ესე. მე ვჰგონებდი, თქუენი მაღალ ღირსება ინებებდა აქარე მობრძანებასა, და ესრე უმორჩილესად ვითხოვ საქმენი ჩემნი სრულჰყოთ, რათა კურთხევითა

წარვემართო უვნებლად, ვინაჲდგან ვჰგრძნობ ფრიადსა ვნებულებასა და დროჲცა დანიშნულ არს განსვლისა ოცამდი ამა თთჳს რიცხვისა.

სხუებრ მარადის თქუენი შვილი დავშთები უჰეშმარიტესსა პატივისცემასა შინა სოლომონ დოდაევი.

მაისის
1827 სა.

## № 130

### 1827 წლის 13 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ასულ ნინასადმი.

უგანათლებულესო მეფის ასულო ნინა.

მეგრელიისა მთავრინა, სულიერო ასულო ჩემო ქრისტეს მიერ საღთოთა ლოცუათა მოვმირთმელობ თქუენდამო.

მოიხსენეთ ოდეს აქარე დიდებულადრე მობრძანდით სახელითა მაგით მეფის ასულობითათა ესე ვითარისა მეფისათა, რომელმან სრულიად იტჳრია შევედრა კურთხევით ნეტარისახსოვარმან მეათსამმეტე მეფემან გიორგიმ, კურთხევით ნეტარებით სახსოვარსა მონარხს იმპერატორ ალექსანდრე პავლეს ძეს მაშინ სამთავრომანცა თქვენმან თქუენითურთ მიიღო ფრთე მფარველობისა დიდისა მის ჴელმწიფისა, რომლითაცა იცუების სახლი თქვენი, რომლისა მეოხი თქვენ აქარე ბრძანდებით, წ. დიდისა პეტრეს ქალაქსა შინა.

აწ თჳთუე უწყით, თუ ძლიან ვითარ დიდებულად ცხოვრებდით სახელისაებრ თქვენისა და სქესთა და ტიტულისა, ესე იგი არა მხოლოდ ხვასტაგითა და როჰიკებითა და ეტლებითა და უნებითა, რომელნი აჴლაცა უნაკლულოდ ქონანთ დიდისა კარისაგან არამედ საღთოჲ ახიერი და იღუმენი პროთოიერი და დიაკონი კარის ეკკლესიისა შინა გმსახურებდნენ წირვითა, ლოცვითა, და პარაკლისებითა სხუკუნოსა ცხოვრებისათჳს. და ჟამიერისა, ეგრეთუე მიცუალებულებისა თქვენისა მეფის სახლისა. უფალ ალმსტესისა და სამთავრო სახლისა იგი იყო ვაშა, ვაშა, რომლისა დიდნი გუამნი თქვენ ეგე ვითარნი თანამდებ არიან, რათამცა საკუთარი ეკკლესია ილოცოს ღმერთისა მიმართ დაცუად თავთა თჳსთა და სახლეულთა და ერისა მშვიდობისათჳს და საზოგადოჲსა მამა მონარხისა და საზრდელთა იაფობისათჳს და მტერთა უკუნქცევისათვის. რამეთუ სახლსა შინა ეკკლესიისასა მექონთა უუმეტესი საუკუნო ცხოვრება ექმნებისთ და განსლვისა ჟამსა ღმერთი სცემს ნუგეშსა. მთავარ ანგელოსთა, მიხაილისა და გაბრიელისა მოვლენითა ვითარცა უკანასკნელისა აღ-

მოქცევისა წამსა განამხიარულეს ჩვენთა მათ ანგელოსთა მეფის სიმღერით. (საღორე) რომლისა სული წარიყვანეს ღმერთთა მათ ანგელოსთა ცათა შინა თვინიერ შეძრწუნებისა, ბნელისა ჰაერის მთავართაგან და ესე არს წარტაცება კაცისა სამუდამოდ გადასახლება სიკვდილისაგან ცხოვრებად.

ჰოიხსენეთ, ვითარცა საყდრითა და სამღვდელოთაგან იყავით დიდებულ, ეგრეთვე თავადთა და აზნაურთაგან იყავით დიდებულ. და მოახლეთა და მოახლათაგან და ესე არს დიდებულება თქვენ ეგევ ვითარიათვს თვით მნებებელობით მოსრულისა დიდსა ამას კარსა, რომელ პირნი მრავალნი ადიდებენ გუამსა დიდსა და არა მხოლოდ მეგობრულნი შემოსავალნი, რომელნი გუბდებოდნენ, ვიდრე გარდაცვალებამდე, რომელნი არდა მსახურებდენ სახლისა ძეთა და ასულთა. ძმათა, დათა, ბიძათა, მკდოვანთა და უფროსღა დავრდომილთა რომელნი ნამყოსა შინა, ესმოდა ყურთა ჩვენთა და ჰსჰურეტდენცა თუალნი.

აჰა, განჰსჯვრიტეთ და აღმიხსენეთცა, თუ მე რაოდენ გმსახურე თქვენ უუმეტეს ძალისა ჩემისა, რომელი თვთ ბრწყინვალე თავადმან ლეონ ჩიჩოამ უწყის, და სამღუდელოთაგანმან მამა გიორგიმ თან მოყოლილთა, და იქმენით თავისუფალ, კავშირისაგან დამაკნინებელისა. ესე არს პირველი მსახურება ნამყოში. მეორე მსახურება ჩემი არს თქვენდამო, რომელ ერთი ლამობდა შესმენასა თქვენსა სულიერსა ადგილსა შინა, რომელი რჩევითა ჩემითა თან წარჰკდა განზრახვასა თვსსა, მაშინ ოდენ ოდეს აქ არა ბრძანდებოდით. მესამე — სამსახური ესე არს — რომელ ხუმარ ქილიკურ სიტყვასაცა თქვენ ზედა ვერვინ იკადნიერებს ჩემთანა. სრულიად მამრობითი სქესი და მდედრობითნი მეოთხე მსახურება ჩემი არს თქვენდამო შვილისა[1] თქვენისათვს ვიღვაწდი, წინაშე უმაღლესისა, და უგანათლებულესისა თ? დროსა პატიმრობისასა, მეოთხე მსახურება ჩემი იყო წიგნებითა ჟამსა ექსორიობისასა, და უფროსღა ლოცვითა წინაშე ღვთისა, რათამცა მოაქციე აქარე და შეგეწიათ ცრემლითი ლოცვა ნამყოსა შინა. უმაღლესისა მამისა თქვენისა კურთხევით სახსოვრსა, რომელმან ეგე ვითარსა სახლსა შინა მიგათხოვათ, რომლითაცა იყავით დიდებულ, ვიდრე ეკკლესიისა ქონებადმდე. რომელსა ორმეოცისა დღეებისა ლოცვისათვის სლავენურს ენასა ზედა, გქონანთ წარსაგებელნი ვიეთთამე რჩევითა, რომელნ მხოლოდ ქართულისა კიდე არა უწყით. მეექვსე მსახურება ესე არს, რომელნ მშობლიურისა პატივისცემისათვს ესე ვითარი კიცხევანი მივიღე უშვერნი ბასრობანი, რომელნი არათუ საკურთხეველისა მსახურისადმი ჰყოფს ღვთის მოშიშ მართლმადიდებელთაგანი განდიცხებულნი. არამედ ცხოვართა მწყემსსაცა

არა მიაპყრობენ, აჰა, თქვენ ჟამსა მას გალანამცა ილმევით ჩემთვის. გარნა ჩემშედა აღასრულა, თხლე იგი გულისწყრომისა უპატიოდ თქვენდა. და უფროსღა ჩემდა, ამად ჩემთვის მრავალნი ღვთისმოყვარანი ჯერეთცა მწუხარენი არიან ჩემთვს, რომელსა უცვალი ღმერთი დამიდგა, მარჯვენით, და განმარინა მე ჟამსა მის განსაცდელისაგან. ნუ შეერაცხებიან მას ცოდვად.

მოიხსენეთ, უკანასკნელ მეშვიდეცა მსახურება ესე ჩემი, რომელიცა მიმიღეთ სულიერ მოძღვრად, არა ღირსებისაებრ ჩემისა, არამედ ჯერჩინებისაებრ თქვენისა.

აჰა, გმადლობ დიდ ფრიად, რომელსა მედროვანებისა ჩემისათვის და ცოცხალთა და მიცვალებულებისა წირვისა და ლოცვისათვის მომიბოძეთ. ოცდა ათი თუმანი ასიღნაცია, რომელი ესერა ორი წელი არს, ნამდვილი ილვალა რომშად ესე უმჯობეს იყო არ აღთქმა, ვიდრე აღთქმისა უკუნ რღვევასა ესე შეაურევებს სულსა ჩემსა უუმეტესა თქვენთვის, რომელსა ღმერთისაგან და თავისა თჳსისა ტიტულისაგან ყოველნივე გქონანთ ეგე იდენნი, რომელ ათის თავნი შემოსავლისა თქვენისა სალთო წერილისაებრ შედგების შვიდასი თუმანი ასიღნაცია.

იხილეთ ზემო ყოველნი თქვენისა სულისა ზრუნვისათვის წინაშე თქვენს მოხსენებულ ვყავ. რომელსა არავინ გივან ზენა სუფევისათვის მოღვაწე თვნიერ გიორგი მღუდელისა, რომელსა მდღევარი საკრდელი თქვენი ჰქონან. უკეთუ ინებებთ და გამოსცდით თქვენსა კორციელ მზრუნველთა, და წინა დადებად მისცემთ, მბრძანებელი ესრეთ. აჰა, მე მნებავს, რათამცა მოვლისაგან შემოსავლებისა ჩემისა ცხრა ცხრა თუმანი კორცსა ჩემსა ზედა წარიგოს, ხოლო მეათე თუმანი სულისა ჩემისათვის წარიგზავნოს, მარტვირისა ეკლესიასა შინა აღშენებად უკუდავსა სამარხოთ ძუალთა. მთავრისა სახლეულებისა, აჰა, რომელთაცა მოგახსენონ ვაშა, ვაშა, იგინი შეისწავეთ სულისა თქუენისა მზრუნველად.

მოიხსენეთ, მე სამეფო სქესთი დიდ ფრიად მმადლობელი ვარ ლოცვითა და წირვითა მისხური. ესე ცოცხალთი და მიცვალებულთიცა და თქვენიცა, რომლითა შეუძლე მაცხოვრისა ხატისა შემკობა და გასტუმრებან ამისა ჩემისა გიორგისა და წიგნებისა სლავენურისა და რუსულისა უმეტეს ასი თუმნისა ხატისა ამის ზედა წარგება, უუმეტეს ექუსასისა თუმნისა და ხატისა მის წარგზავნილისა შემკობა. უუმეტეს ოთხმოცდა ათისა თუმნისა. და ტრაპეზისა სანაწილისა ვერცხლისა მოოქროვილისა და წარვაგე ორსა გუამებსა ზედა უუმეტეს ცხრაასისა თუმანი, ასიგნაცია ამად, რათამცა ორგზის

მშობელსა კორცითა და ემბაზითა ემსახურო მგზავრმან ამან ხოჭიჭთაგან საფლავადმდე. არა ტრაბახა სიქადულად ჩემდა, არამედ საშინელსა სამსჯავროსა შინა განსამართლებელად ჩემდა. და კვალადცა ვსასოებ, რათა ქელთა ჩემთა წარუმართოს ღმერთმან მაღალჩან ვიდრე ფშვინიერლა ვიყო, რომელი არა ვესავ სოფელსა და არცალა საფლავსა, რომელი დავიწყებისა მიზეზი არს. აჰა, ვესავ ღმერთისა ცხოველსა, რომელსა ჰნებავს ცხოველთა წიგნსა შინა შთაწერა ჭეშმარიტებისა მეტყველისსა და საქმექპითა მსახურისა.

დასასრულ ორისა წლისა ნაცვლად უკეთუ მომიბოძებ მცირე რიცხვსა მაგას ხვასტაგსა, ჩემდამი იქმნების კეთილ, და თქუენდამო მცირ იოტი, რომელი მფარველობდით სახლისა ეკკლესიასა თქუენსა, და იყუნენ ზეხსენებულნი სამღუდელონი კმაყოფილ, რომელთაგანი [illegible]ილო მელა დავშთი სახლისა თქუენისა სულიერ მეურნედ, რომელ სახლიცა ესე უმაღლესისა თქვენივე სახლია, რომლისაგან დიდ ფრიად კმა ყოფილივარ. ღმერთმან მოანიჭოს დღენი მზისა და მთოვარისა და ზეცათა სახლი შეუძვრელი, ეგრეთვე თქუენ ინებოს შემოქმედმან.

თქვენი მლოცველი მოძღვარი იონა მკდოვანი.
იერომონახი წელსა 1827 მაისს 13.

**№ 131**

**1827 წლის 21 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა დავითისადმი**

ყოვლად პატიოსანო მამაო წმიდაო დავით და ერთბამად საღთო კრებულნთო დასნო ქრისტეს ღვთისა მიერ საღთო ამბორებას მომრთმევლობ თქუენდამო.

აჰა, ესრერა თქუენსა მშვიდობასა შევთხოვ მაღალსა, რომელ მშვიდობა სამღდელო და ეკლესიათი მამულისა სასუფალთა კორციელადვე ამისთვის სადიაკნო ეკკტენიანი ვედრებასა აღავლენენ სამ სახედ ე. ი. მშვიდობისათვის პირველ. მეორედ შეწყალებისათვის და მესამედ მომადლებისა — მოტევებისათვის. რომელნი წმიდათა მამათა მსოფლიოთა საღთო სახარებითგან შეაწყეს სამ სახითი ვედრება. ვითარცა ფსალმუნიცა განიყოფის სამ სახედ ე. ი. ორმეოცდა ათი ვედრებად — მეორე ორმეოცდაათნი წყალობისა მიღებად. და მესამე ორმეოცდა ათნი ქებად ღვთისა. დიდებად და მადლობად: მოიხსეხეთ საღთონო აჰა, ხელითა უფლისა სოლომონ დოდოევ იოანეს ძი-

ჩათა წარმოვგზავნე მცირაკი ოლარი და სამკლავენი დალათუ ქნინი არიან. გარნა მიიღეთ ეკკლესიასა შინა სღთონი არმაღანნი ესე, მ' გავსად მწვლილისა მოსახსენებლად მშობელთა ჩემთა გიორგისა და მარიამისა და ძმათა ჩემთა იობისა და იოსებისა და წინაპართა, რომელთაცა ძვალნი მანდარე მწუხრითაგან განთიადისა მომლოდნელნი მაშინ ოდეს ანტე ქრისტესგან დევნულთა ჩვილთათვის შემოკლდენ დღენი ამის სოფლისანი, რომელი თვსისა ზნეობითა ბოროტსა ზედა დასდგა დასჯდომელსა უსჯულოთასა ე. ი. კაცნი მარცხენანი და წარმართნი და ებრეელნი და ეშმაკნი, რომელნი შეთქმულ არიან დამხობად წმიდა ეკლესიათა გარნა ბრჰენი ჯოჯოხეთისანი ე. ი. შვილნი გეენისანი ვერ ერევიან ბჭესა სასუფეველისასა ე. ი. ძეთა ხათლისათა, რომელნი ემბაზისა ჯუარითა ვლენან გზასა იწროსა ზედა სიყმილითა წყურვილითა შიშლოებითა ყუჩდრებითა მკდოვანებითა, მარხვითა, ლოცვითა და მტერთა სიყვარულითა და უწმიდესისა სვინიდისითა თანებაღ სახარებისა მადლისა. დასასრულ შეგვედრებ თავსა ჩემსა ლოცვათა შინა თქუჩნთა. რათა წყალობა ყოთ ჩემთანა და მომიხსენოთ წმიდას ლოცვასთა შინა თქუჩნთა. რათამცა ხოჰიჰთაგან საფლავამდე მგზავრი ესე განვიღე ხელთა შინად ღვთისასა. და გზაცა იგი უცნაური ჩემგან წმიდა მთავარ ანგელოსთა მიხაილ და გაბრიილ ალმატარონ ჰაერისა ბოროტთა სულებთაგან შეუხებელად და სული ჩემი მიიყვანონ ნათელ მეხმეებთა შორის, რომელ არიან ყოველნი წმინდანი, რომელნი ღმერთმან ზღუდედ ჰყო ეკკლესიისა აღშენება ვითარცა მეფსალმუნეცა იტყვის, რომელთა მოციქულობისა და წინასწარმეტყველებისა და მოწამეობისა და მეუდაბნოებისა ღვაწლნი და ოფლნი ზღუდე ეკლესიისა ჩუჩნისა არიან.

კვალადცა გუჩდრი ყოველთავე, რათა უკეთუ გესმასთ განსვლა ჩემი ამიერ სასტუმრო სახლითგან ყოფდეთ ხსენებასა ჩემსა არა მსახურებისა ჩემისა ნაცვლად, არამედ სიყვარულისა და ვედრებისა ჩემისა მაგიერ და შენდობა იყავნ.

ეგრეთვე გვედრი სამღდელოთა და საეროთა, რათა მშობელთა ჩემთა შვილნი გეწყალებოდესთ, რათა თქუჩნცა შეწყალებულ გამოსჩნდეთ წინაშე უსაშინლესისა სამსჯავროსა შინა და ცოცხლებით იყუჩნით სათნოდ მადლისა.

თქუჩნი მლოცველი იონა ხუცეს მონოზანი ვგიე უმწვერვალესისა
სიყვარულსა შინა თქუჩნდამო გულითადიერი სალთოდ.

წელსა 1827 სა

მაისის 2 სა

წ. პეტრეს ქალაქით.

## № 132

### 1827 წლის მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ნიკოლაი იოსიფოვიჩისადმი.

თქუენო ბრწყინვალებავ ნიკოლაი იოსიფოვიჩ!

ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმეველობ სალთოდ თქუენდამო. აჰა, ესერა შორანდითგან ოთხთავე ჯგუფებთა საუფლო დღესასწაულებთა მომლოცველობ თქუენდამო და უფროსლა პასექსა ამას, არა შემყვანსა პალესტინესა შინა. არამედ აღმყვანსა ზეცათა შინა.

ესერა ნანდვილ უწყი სულისა თქუენისა კეთილისა თვისებისაგან, რომელ ჩემს ვითარებას მოიხსენებთ. ვმადლობ მაღალსა, გახლავარ ღვთისაგან დაცული ჯერეთ მზესავე ქუეშე მგზავრი ესე გზასა ზედა მსოფლიო ხოჭიჭითგან, ვიდრე საფლავადმდე ერთ კერძ, ხოლო მეორე კერძო მეფე სულითა მწვრთელი მუნ წარსვლად, სადა ჯერეთ არა მიხილავს. აჰა, ვიდრემდი განვლიდე გზასა მას შეცულსა სულთა მათგან უკეთურთა, ვარ მულოვარე: მოიხსენეთ მოკლესიტყვობით დიდ ფრიადი შეთხოვნა ჩემი თქუენისა ბრწყინვალებისადმი. აჰა, ესერა შევავედრებ მე თქუენსა ჩემსა სულიერსა ძესა ჩემსა სოლომონს ძესა იოანესსა დოდოევს, რომელმან თვისისა სულისა განათლებისათვს სამნი წელნი ექვს წელად სცვალა. ე. ი. ლამენიცა დღეჲად, რომელმან უფროს ოქროჲსა და სპეკალისა ქუებთა და ანთრაკთა ეძია სიბრძნე, რომელი ღვთისა ძალ არს. და ჰპოაცა ძალისამებრ ამისსა და მრეკელსა განუღო წყალობისა მაღალმან და მთხოველსა მიანიჭა ტალანტი ესოდენნი, რაოდენიცა ძალუძს დატევნად.

მოიხსენეთ ზემო ხსენებულმან სოლომონ იოანესმან უმსხუერპლა თავი თჳსი სწავლასა არა მხოლოდ თავისა თავისისათვის, არამედ უმეტეს უსაყვარელისა მამულისა მაგისთვს, რათამცა მსახურობს ორგზის მამულსა თვისსა ჴორცითა და ემბაზითა. აჰა, ესე არს საგანი ამისი, რომელმან განსჭვრიტა დიდისა ამის იმპერიისა ყრმათა წვრთილებასა. აჰა, ესოდენ აღეტყინა თილ გუაჯიოშისა შურითა, რომელ კნინლა და ემსხუერპლა შკოლისა სიბრძნესა, რომელმან დაკარგა ათნი წელნი სიცოცხლენი, რომელი განილია გარეგან ჴორცითა ვუშ ქალაქითა. რომლითაცა მეფე სული აღიყუანა თხემსა ზედა სიბრძნისასა, ვითარცა ეწამების განათლებისა მინისტრი და წევრნი მისნი ყოველნივე ქარტასა ზედა.

ეგრეთვე სიბრძნისა წიგნებისა გამჩხრეკნი განათლებისა კომიტეტიცა დამამტკიცებელ იქმნა ჴელთა ამის შრომილთა ზედა, რო-

ზელნი წარუვლინეს თჳსსა რიცხვით უნივერსიტეტებსა სასწავლებლებთა შინა, რომელსა ხედავს ზედარე რქმენ ვაშა, ვაშასა მეტყუელხი. ესრეთუ უკეთუ ახალ ჭაბუკმან ეგოდენ შეძლე თეორეტიკისა შინაგანისა გარეგან გამოღება პრაქტიკებითა მცირე წლოვანმან, რაოდენ მომავალთა წელთა შინა ესასოებელ ვართ ჩვენგან განვრცელებად სიბრძნისა გულებთა შინა ახალ მოსწავლეთასო. მოისმინე უკეთუ აქარე ვაშა, ვაშათი განამხნეს ახალ ჭაბუკი ესე. ამად თქუენცა გულდრი, რათა თჳნიერ მამულთასა საკუთარისა პირითა თქუჱნითა შეეწივნეთ თჳთ და თქუჱნზედა დამოკიდებულთა ერისამიცა უხოიშმოდ სულისა თქუჱნისა კეთილის თჳსებითა, რომლითა სათნოებას ღვთისასა აღასრულებთ და მამულისა სიყვარულსა, ვითარცა მარადის ჰყოთ და მეცა ამიერვე მაცხოვნებთ.

კვალადცა მოიხსენეთ აჰა, თვით სოლომონ ესე მიზეზ მოწერისა მეჴმნა, რომელი დიდ ფრიად სასოებს თქუჱნზედა, რათამცა აქუნდეს თქუჱნი შეწევნა და რომელიცა ამას თქუჱნდამო დაუცძს საქმენი კეთილ წარმატებისად მამულის ენისა განდიდებისა მას შინაცა მოქეხეობს შეწევნასა მიუცილებელსა თქუჱნ გამო რომელთაცა თჳთ მოგიხსენებსთ.

დასასრულ შევვედრებ სულიერ ძესა ჩემსა სოლომონს მიღებად მფარველობასა ქუეშე თქუჱნსა და შევთხოვ, რათა მშვიდობითა თქუჱნითა მახაროთ და შეწევნითა სოლომონისათა მამხიარულოდ.

თქუჱნის ბრწყინვალების მლოცველი მკურვანი
ხუცეს მონაზონი მ. მ. ვგიე უმწვერვალესსა პატივისცემასა
შინა თქუჱნდამო.

წელსა 1827 სა წ. პეტრეს ქალაქით მაისის ბრწყინვალეო თავადო ნიკოლაოს, მიბრძანეთ საპასუხო, რომლითა მახარებთ და გულდრე ვახტანგ დავითიანი ბრწყინვალე თავადისა ვითარება მიბრძანოთ.

## № 133

## 1827 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ მონოზანი გაბრიელისადმი

ყოვლად პატიოსანო მამაო ჩვენო სალთო მღუდელ მონოზანო გაბრიილ, ქრისტეს ღუთისა მიერ ჩვენთა ჴელთა გიამბორები ზევარდამო სასოებითა.

მამაო ჩვენო, შრაპნლითგან ძოლანდელთა ჯგუფებთა დღესა! წალებთა მომლოცველობ თქვენდამო და უფროსღა დღესასწაულებთა

დღესასწაულსა ამას პასექსა, არა შემყვანსა პალესტინედ, არამედ აღმყვანსა ზეცათ შინა.

სამღთო მამაო! აჰა, ვითარცა გებრძანათ საკურთხი ჰყის ლავანი კეთილ ნაკუთიერი დამტევნი პურისა, ხვარბლისა, ღვინისა და ზეთისა. ერთ ნერჩზედ აღშენებული სამისა სასანთლეებითურთ წარმოვგზავნე, უკეთუ ენებოს ღმერთსა კეთილის მყოფელსა ჩვენსა, ჰელითა უფლისა დოდოევისათა მოგერთმევისთ, მე გთხოვ იმსხუმარპლოდ, მსგავსად მწვლილისა და ლოცვათა შინა თქუმნთა მომიხსენებდეთ, ხოჰიჰთაგან საფლავადმდე მგზავრსა ამას, და თქვენითა ეპისტოლითა შამხიარულოთ.

მოიხსენეთ. ოდეს ინებოს ღმერთმან და მოაწიოს დოდოევმან სულიერ ძემან ჩემმან სოლომონ შესწირეთ პარაკლისი წმიდის ნინასი ღმერთსა ე. ი. მეოხება, რომელ კაცმან ამან ახალ ჰაბუკმან აქარე განადიდა სახელი ქართველთი უაღრესისა ეგზამენიაებისა მიცემითა და ფილოსოფიისა შეთხზვითა, რომლისა სიბრძნესა მკვრვალობს განათლების მინისტრი. და წევრნი მისნი და კომიტეტი ცენზურთი, რომლისა ფილასოფია მისცეს საბეჰდაებსა შინა და დაბეჰდეს ათას ორასი და უუმეტეს ექვსასისა წარუგზავნეს იმპერიისა ამის სასწავლებლებთა შინა პრაფესორთა სწავებად ყრმათა და მანდარე განაწესეს უპირატეს მოძღვრად აზნაურთ შკოლაში.

მოიხსენეთ მამაო ჩვენო, მცირაკი კატეხიზმო შევუთხზე უფალსა დოდოევს სიყვარულისა კავშირად, რომელი ლამის მანდარე გარდაწერასსა დაშთომად მანდაურთა მოსურნეთა წიაღთა შინა. უკეთუ მოინებოს გარდაწერა ვინცა მიიღოს ჰელად გარდიწეროს, ესე ჩემდა დიდ ფრიად საამო არს, რათამცა განმრავლდეს ტალანტნი ჩემ მკდოვანისა ცხონებად. გარნა გვედრი, რათამცა სხოლიონიცა ჩემგან ძირს მოწერილნიცა გარდაიწერნენ, ვითარცა იხილვების და არა აღირჩივნენ დედანი და სხოლიონი ურთიერთ, არამედ წვნიკისა ნოტრითა განსხვავდენ.

ეგრეთუმ ქადაგება წმიდისა ნინას დღისა, სხოლიონიცა თვისისა წესითა ძირს დაბლა წვლილისა ნოტრითა მოეწეროს გამოცდილთაგან და არა უბირისაგან, რათა არა წარწყმდენ აზმნობანი ე. ი. აზრნი.

მამაო წმიდაო ავთრათი ქარტა წარმოვგზავნე, მუხრანის თავადის გრიგოლის ჰელითა, რომლისა უწყება არა რაჲ მაქვს.

თქვენი მლოცველი ხუცეს მონოზანი
იონა ქედოვანი.
წელსა 1827
მაისი 26

№ 134

## 1827 წლის 20 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ ნიკოლაოსისადმი.

თქუენო მაღალ ღირსებავ უფალო არხიმანდრიტო ნიკოლაოს, სულიერო ჴელმწიფეო ჩემო საღთოთა ჴელითა თქუენთა ამბორებლობ საღთო სურვიელად.

მაღალ ღირსო მამაო, წმიდაო არხიმანდრიტო[1], აჰა, ესერა ერთბამად მომლოცველობ ძუელანდელთა ოთხთავე ჯუფებისა და პასექსა ამას უზესთაესსა პალესტინისა აღმყოფანსა ზეცათა შინა ამათთანა ჴოვლადცა მომლოცველობ მონასტერისა მაგის მესაჭეობასა, რომლითა რაოდენ აცხოვნებ თქუენ ერთი ეგე მრავალ ბევრეულთა საღთო მჴედართა წმიდა მემხოლოეთა, ეგოდენ დიდ გერქმით სასუფეველსა შინა. მისთჳს მიერთაგან განვმხიარულდი ოდეს თქუენი ეგე მნეობა მაღალ ღირსებისა მესმა აქარე წმიდა პეტრესა დიდისა ქალაქსა, რომელ მეურნეობითა თქუენითა სულებსა განუმრავლებთ სამკალთა, რომელ არიან ლოცვა, მარხვა, ცრემლნი, სიმდაბლე, მორჩილება, და ჯუარის ღვაწლნი ხოჭიჭთაგან საფლავადმდე გზასა ზედა მავალთა ერთისა დატევებითა მეორეთა აღფრენად სამეუფო სულებთა: მაღალ ღირსო მამაო, წმიდაო! მე თქუენ მიერ განღვიძებულმან მრავალნი ავთრათნი მოგართჳ და ჯუარიცა, მარტო რქასა ზედა გამოკუეთილი ჯუარცმულითურთ წინაკერ. და ზურგით კერძ ღვთის მშობელი, იგვერდივ მოვერცხლილი. და ოქროთი მოპიტალებული. ჴელითა სულიერ ძისა ჩემისა ბრწყინვალე თავადის ივანე ანდრონიკოვის მალხაზის ძისათა[2]. რომლისა უწყება ვერდა ვსცან. მე მრავალნი მსახურება ჰსურს თქუენდა. გარნა არა ღირს ვიქმენ პასუხისა თჳნიერ ორისა ქარტა კაბადონისა.

დასასრულ თქუენთა კეთილთა მოწერილთა წიგნებთაგან კადნურ ქმნილ კვლავადცა გავბედავ მოწერად თქუენდა და შეგთხოვცა. რათა მექუეყნე ჩუენი სულიერ ძე ჩემი სოლომონ იოანესი შეივედროთ ლოცვათა შინა თქუენთა ეგრეთ ვითარცა სულისა თქუენისა ცხოვნებისათჳს ვუწყი და უხორცნოთცა თქუენთა კეთილისმყოფელთა შორის და შეეწივნეთ საგანთა მათ შინა რაოდენთაცა ესე მოქენობს თქუენსა სასოებელი, ვითარცა მოგახსენოსთ ყოველნი სათნო არიან ღვთისა და საჭირო მამულისა ეკლესიათა: და ერისა განბრძნობად ჩვენისა და განმრავლებად საშკოლო წიგნებითა.

მოახსენე აქარე ამან სოლომონ სამნი წელნი ექვს წელიწდებად ჟ. ი. ღამენიცა დღეებად, რომელმან უნივერსიტეტისა დირექტორი

რექტორი და ყოვლისა სწავლისა პროფესორნი გარდა ეკლესიებისა დაშრომილ ჰყო თავისა თჳსისა განზრძნობისათჳს. რომელი კეთილ გვაჯიობისა[3] შურითა აღეტყინა დიდ ფრიადისა წვრთილებისა შრომითა. მეძიებელი სიბრძნისა მის რომელ არს ღვთისა ძალი. და ეპოა და შრეკელსა კარი განუღო მაღალმან სიბრძნისა და მთხოველსა მოანიჭა ტალანტები და ტევნისაებრ მისისა.

რომელმან კნინლა და განაკვირვნა მინისტრნი განათლებისა და წევრნი მისნი და მოძღვარნი სწავლისანი, რომელმან შეუძლო თეორეტიკანი პრაქტიკებითა განმრავლებად. რომელ განათლებისა კომიტეტმან დაამტკიცა, რომელნი უმეტეს ორასისა რიცხვთა წარუგზავხეს ყოველთა უნივერსიტეტისა მოძღუართა, რომლისა ვაშა ვაშასა ერთბამად ჳმობენ.

მაღალ ღირსო არხიმანდრიტო. კვლავადცა შეგთხოვ, რათამცა შეივედროთ მფარველობასა ქუეშე თქუენისა, კაცი ესე ახალ ნერგი, რომელსა მოჰქონან ახალ დაწყებისა ჭაბუკობისა ბუტკ შიშინებანი, პტულ ხარუქნი იმპერიისა შკოლიერნი ყვავილ ნაყოფნი დივთილად[5] მამულისა. რომელმან აქარე გუასახელა, რომლისა წიგნები ბიბლიატიკოსა შინა დასდვეს საუკუნო სახსოვრად და ყოველთა სასწავლებლებთა შინა წარუგზავნეს განზრძნობად მოსწავლეთა.

მაღალ ღირსო მამაო! ამად გუმდრი სულიერ ნაწლევსა ამას, უფალს დოდიევს, რომელ თჳთ თქვენ უწყით სწავლისა ღირსი ფასი, რომელი კნინლა და უფროს არს, შეგთხოვ, რათამცა ექმნათ კეთილ მიზეზ გზა და წარმართება და არა ევნოს შურისაგან დემონისა უვიცთაგან დამაბრკოლებელთა და თუალებ ბოროტთა უსწავლელთაგან, რომელნი ჰყვარობენ ბნელთა წყვდიადთა, რათა არა ეშხილოსთ უბირობა თჳსი, უკმარობა, მცონარობა, უსარგებლობა მამულისა და უქმად ჭამა პურისა მამულისა, რომელნი მხოლოდ ზემჯდომად მზა არიან.

თქუენი მაღალ ღირსების მლოცველი მ. მ.
წელსა 1827 მაისს 26 იონა მედროვენი.

უფალო არხიმანდრიტო, შეგთხოვ რათა სამსახურსა მიზრძანებდეთ და მით მახარი მე სოლომონითურთ, რომელი სამსა წელსა ვიშრომე განზრძნობად.

მაღალ ღმერთსა არხიმანდრიტო! უკეთუ საჭირო იყოს, მანდ არხიმანდრიტი გრიგოლიოს სულიერ ძე ჩემი გიახლებათ, ეცით ნუგეში მოხუცსა ამას.

## № 135

### 1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა გჳჵრდის განხილვის ეკკლესიის მამათ

ყოვლად პატიოსანო წმიდანო მამანო გჳჵრდის გახილვის ეკკლესიისანო წმიდათა ჴელთა ამბორებას მომრთმევლობა თქუენდამო სალთოდრე.

მოიხსენეთ, სალთონო მამანო, აჰა, ესერა სამღვდელო შესამოსელნი ერთი ჴელნი წარმოვგზავნე მაგა ეკლესიისათვის უკეთილესისა ფარჩისა თვისის და მარნებითა.. მიიღეთ სალთო ესე არმაღანი მშობელთ ჩემთა მოსახსენებლად გიორგისა და მარიამისა, ძმათა ჩემთა იობისა და იოსებისა, რათა თქუენცა შემდგომთაგან იქმნენეთ მოხსენებულნი და ვსასოებ თქუენდამო, რათა ვედრი ჩემი აღმისრულოთ.

ეგრეთვე ძმანი ჩემნი ცოცხალნი მოიხსენეთ და თვით მეცა ცოდვილი მომიხსენეთ და აღმისრულეთ შეთხოვნა ესე ჩემონი, რომლითაცა მე მაცხონებთ შაიითურთ.

კუალად მოიხსენეთ შესაწირავნი პურპელნი გეთხოვნათ, ივინი ვერ მოვასწარ მსწრაფლად წარმოგზავნეს უფალი დოდოევი. გარნა ესენი შემოვწირე ეკლესიასა და შენდობა იყავნ.

შეგთხოვ რათა მიიღოთ არმაღანნი ესე ეკლესიისა საუფლო დღეებისათვის და ნუ ლიტონისა დღეთათვის იხმარებთ ვითარცა ფარჩისა სამოსთა. რომელ თვითვე უწყით ხუთ სახედ არიან განყოფილ დღესასწაულნი. გარნა ესე იხმარეთ მხოლოდ საუფლოთა დღესასწაულებთა შინა. სხუაბრ ნებასა ზედა მღვდელნისა უპირატესსა ზედა დამოკიდულ არს ხმარება.

მამანო წმიდანო, შეგთხოვთ, მიღებისა წიგნი ავთრათი ქარტა მიბოძოთ უფლისა დოდოევის სოლომონის ჴელითა.

თქუენი მლოცველი იონა კუცეს მონაზონი
დავშთები თქუენდამო ლოცვითა სალთოითა.
წელსა 1627 სა
მაისის 27 სა
წ. პეტრეს ქალაქით.

## № 186

## 1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ ონისიმესადმი

ყოვლად პატიოსანო მამაო წმიდაო ონისიმე! ქრისტეს ღვთისა მიერ აშბორებას შომრთმევლობ თქუენდამო.

მამაო წმიდაო თქუენსა კეთილ ცხოვრებასა შევთხოვ სავსოთ ძალთა ღმერთსა; აჰა, უწყი ჩემს ვითარებას, მოიხსენებ, ვმადლობ შემოქმედსა, ვცოცხლებ ხოჰიჰითგან მგზავრი ესე, ვიდრე საფლავადმდე.

ესერა ვწუხვარ ძმათა ჩემთა და სახლეულთა მათვს, რომელთა ამბავი ვერარაი ვსცან. აჰა, ესერა გუწდრი, რათა მიიღოთ შრომა. და უბრძანო თქუენს სიძეს გიორგის ძმასა ჩემსა, და სოლომონს, რათა ახლა მაინც მიიღონ ჩემი რჩევა და სოლომონ დოდოშვილს მისცენ თვისნი შვილნი აღზრდად სწავლითა. მე ამისთვის მირწმუნებია აღზრდა მაგათის შვილებისა. მე ამას ზედა დიდად დავშვერი, რათამცა მსახურის ღმერთსა და მამულსა. და აღმიზარდოს ძმისწულნი. მოიხსენეთ, ესე სოლომონ მსწრაფლიად გამოისტუმრეს. ამისთვის ვერა მოვასწარ რა გამოგზავნად ძმათა ჩემთათვის. და სძალთა და შვილთა მათთან უკეთუ სოლომონის ხელითა მიიღებენ რჩევასა და დაემორჩილებიან და ძეთა თვისთა მისცემენ განსწავლად, მაშინ უმეტესი მოვალე ვიქმნები მაგათი მსახურებისა და თუ ახლა არ დაიჯერებენ მე უვალო ვიქმნები. ვითარცა ბრძანებს უფალი დიდებისა, რომელმან ყოს ნება ჩემი, იგი არს მამა ჩემი, დედა, ძმა და და. ეგენი არა ყოფენ ნებასა ჩემსა და თუ ყოფენ რომელნიც ახალშობილნი შვილები ყვანანთ მაგათ, ეგენი მაშინც მიაბარონ სოლომონს, რომლითა მე მადლობელი ვიქმნები მაგათი და შვილთა მაგათთვის ვიზრუნებ დიდ ფრიად.

მოიხსენეთ მამაო წმიდაო ესე ვითარსა განათლებულსა დროსა შინა მღვდლისშვილი უსწავლელი ვერღა ეკურთხება. და აზნაურისა შვილიცა უსწავლელი არა რა იქმნება. დასასრულ თვინიერ სწავლისა არღა შოიგების მღუდელობა და აზნაურობა, გარნა სწავლული შემძლებელ არს მოპოებად მღუდელობისა გინა აზნაურებისა, გინა სიმდიდრისა და უფროსღა საუკუნოსა ცხოვრებისა.

დასასრულ გვედრი, რათა მიირთვათ მცირაკი კაბა და სარტყელი. ხელითა სოლომონ დოდოევისათა. რომელნი ამან გამაბედვინა. მშვიდობისა თანა ძმათა ჩემთა ვითარება. და სძალთა და ძეთა და ასულთა მათთა და მიბრძანო ყოველნივე ჰეშმარიტნო ცოცხალთი

და მიცვალებულთი. ნუ დამიფარავთ, კჳალადცა გჳედრი, რათა ზედას ზედარე მითხრობითა თქჳენითა სიყვარული განუმრავლო ძმათა ჩემთა ურთიერთისა. რამეთუ უკეთუ განევლთას სახლი სახლსა ე. ი. ძმაი ძმასა, ვითარღა დამტკიცდების ძმობა.

ეგრეთვე მიბრძანეთ რაოდენისა წლისანი ყვანან შვილნი თვისნი ძმათა ჩემთა.

ეერთბაშად ყოველნივე მომიამბორე ძმანი და სძალნი და შვილნი მათნი.

თქჳენი მლოცველი იონა ხუცეს მონაზონი
ვგიე თქჳენდამო ლოცვით.
წელსა 1827 სა
მაისსის 27 სა.

## № 137

### 1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თომასადმი

მაღალ ბრწყინჳალეო თომა. ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქჳენდამო სადთოდ მლოცველი.

აჰა, ესერა დღესასწაულსა ამას პასექსა ზეცად აღმყვანს მომლოცველობ. ღმერთმან მრავალ ჟამიერ გალოცოს სიმართლითა და სიმრთელითა და მშვიდობითა.

ესერა შეგთხოვ შენდობასა, რომელსა ვერა გმსახურე, ვიდრე ამა ჟამადმდე. აჰა, დროსა ამას გაახელ ჰოგრი ესე შორსა მხედველი. რომელი ანგლიჩნისაგან მოვიფრიდე. კნინლა დაპირობითა და ქებითა, რომელსა უფალი დოდოევ სოლომონ სულიერი ძე ჩემი მოგართმევს, შეგთხოვ მცირე ესე ძრმალანი იმსხჳერპლოთ, ვითარცა მწვლილი და შეძდგომცა მიბრძანოთ მსახურება თქვენსა მაღალ ბრწყინვალებისა და არა დამივიწყოთ მკჳოვანი ესე სულისა თქვენისა კეთილ თვისებისაგან.

მოიხსენეთ მაღალ ბრწყინვალე შეთხოვნა ჩემი თქვენგან ადვილ შესაძლო არს, აჰა, ესე არს ვედრი ჩემი, რათამცა სოლომონ დოდოევ მიიღოთ მფარველობასა თქვენსა ქჳეშე და რაჲცა უკმდეს თქვენ მიერ შეეწივნეთ. აჰა, ამან გვასახელა ივერიისა მაგისა ერნი, რომელნი ყოველს ეგზამენში გამოჩნდა უაღრესად, კნინლა და გასაკვირვოდ, და შესთხზა ფილასოფია, რომელი განათლების მინისტრმან და წევრთა მისთა დიდ ფრიად აქეს, და განათლების მინისტრმან და კომიტეტმან მიიღეს საბეჭდავში და უმეტეს ექვსასისა წიგნებისა წარუვლინეს მაღალთა სასწავლებლებთა შინა უნივერსიტე-

ტებისა და რაოდენნიმე სახელმწიფო ბიბლიოტეკებსა შინა დასდვეს საუკუნო სახსოვრად ქართველთა სახელისა და მანდაცა არწმუნეს უფროსი მოძღვრობა აზნაურთ შკოლაში, უკეთუ ინებებთ, და შვილთა თქვენთა აღაზრდევინებთ, ესე ეცდება მსახურებასა თქვენსა.

კვალადცა გვედრი, რათა ძმათა ჩემთა უბრძანოთ და ურჩიოთ, რათამცა შვილნი თვსნი სოლომონსა ამას მოაბარონ სასწავლოდ, რომელსა ზედა სამნი წელნი დავშვერი, დიდ ფრიადისა შეწევნითა, უაღრეს ძალისა ჩემისა.

შეგთხოვთ არ მიმცეთ დავიწყებასა თქვენი მლოცველი ესე.

თქვენის მაღალ ბრწყინვალების მლოცველი ხუცეს მონაზონი

იონა მ. მ. იონა

წელსა 1827 მაისს 27 პეტრე დიდის ქალაქით.

## № 188

### 1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი

ყოვლად პატივოსანო მამაო წმიდაო სოლომონ!

ქრისტე ღვთისა მიერ ამბორებას მომრთმევლობ თქჳენდამა.

მოიხსენეთ მამაო წმიდაო. აჰა, ესოდენმან ჟამოებმან და ეგოდენმან წელიწდებმან განვლეს, რომელ თქვენი წიგნი ტკბილთაგან სავსე არღა მომიღიეს. აჰა, თუმცა სულსა შენსა ვჰსჭურეტ, გარნა ნამდვლ კაფიად არა უწყი დატეება ჩემი თქვესგან. აჰა, იზღვოს ეშმაკმან, რომელმან სიკუდილი სოფლად შემოღო, რომელი სოფლითაც ლამის განძებასა კაცისასა სიყჳარულისაგან და სიმართლისაგან და ზეცისა სუფევისა ძიებისაგან, რომელ ეშმაკნი ვიეთთამე ვისაცა დასჯაბნიან ქჳეყანისა დიდებასა უმეტეს აძიებ იქებენ.

მამაო წმიდაო, პირჳელადვე თქჳენ გასმიცანით, და თქვენივე დამივიწყეთ გარნა მე არა ოდეს დაგივიწყებ, რამეთუ ესე არს ნება ღვთისა და სახარებისა, რომლისა აღსრულება ნებსით თანა მაძს, ხათლისღებისა ჯჳარითა და მემხოლოებისათცაა, რათამცა ყოველნი განსაცდელნი ვნებულება ტანჯჳა, ყჳედრება, შეურაცხება და ქეჯჳნა, გიობა, ბასრობა, ზედდასხმა, შიმშილნი, წყურვილნი, შიშლოება და ქრისტეს ვნებანი ვიტვირთო იწროსა გზასა ზედა, სლვითა ძალითი ძალად მიახლებად შემოქმედისა, მიმართ, მისლჳად, რამეთუ უადვილეს არს ქეანობა ემბაზითა და მირონთა, ვერღა სლჳა იწროსა გზასა ზედა მცირედი ოდენ ვლენან.

მამაო წმიდაო! შეგთხოვთ არა დამიტეო, რომელსა გესავ მიერთაგან ოდეს თავი თქვენი მეცნობეთ. აჰა, ბუნებით თესლტომობა ერთი და იგივე არს. მას ჩვენსა, ეგრეთვე ემბაზითა ერთი და იგივე მადლით ძენი ვართ ღმერთ მამისა. ეგ სახედ მღუდელობითაცა ქრისტეს მიერ ვართ ძმანი ურთიერთისა, გარნა უკეთუ სიყუარული არა იქმნების, არარაჲვე კავშირი იქმნების ღვთისა მიმართ და ურთიერთისა შორის. ესე ნუ ჰყოს ნებამან ჩემმან, რომელსა ზედა მოკიდულ არს, ცხოვრებად ჟამიერი და საუკუნო, რამეთუ თვინიერ სიყვარულისა მოყვასისა არავინ იქმნების მადლით ღმერთ მამისა. ესერა მე ვგიე სიყვარულისა ზედა ღვთისასა და თვით მტერთა მიმართცა, რათა საუკუნო დავიმკვიდრო. ხოლო თქუენ ძმა ჩემი ხართ და შეყვარებულ ჩემგან ამად სვნიდისი ჩემი შინაგანი მსაჯული მამხიარულებს მარადის თქვენდამი ევრეთუ თქვენცა გჭურეტ ჩემდამო, აჰა, რაჲდა ყენება არს თვნიერ ნივთისა საყუარული და უკეთუ ნივთებითა იქმნების სიყუარული. მაშასადამე ნივთისა თანა სიყვარულიცა და ზვლების და იბებკვების დამჩვარდების და იხრწნების და ამაო წერტილად და უჩინოდ იცვალების, რამეთუ არა რაჲ არს სასუფეველსა შინა საჭმელ და სასმელ და საბლარდნელ. არცალა სიყვარული სიმართლესა, სიწმიდისა და უმანკოებისა არს ნივთიერ, რამეთუ ძენი შენი სანთელისანი და წარმართნი და ურიანი ნივთითა იყვარებიან ურთიერთ, ამისთვს შემდგომნი ნივთებთა დაკლებისა ჰსჯულობენ ურთიერთ.

მამაო წმიდაო აჰა, სიყვარული მომირთმევია თქვენთვის და ამასთან კაბა სარტყელი, რომელი სოლომონ დოდაევმან გამაბედვინა და შეგთხოვ თქვენისა ჩემდამო სიყვარულისათვს მიიღოთ არა რაჲ ესე წარმოგზავნილი რაჲმედ და თქვენისა მწჳდობისთანა სახლეულთა თქვენთა და შვილთა თქვენთა მშვიდობა მიბრძანეთ და ძმათა ჩემთა დოდაშვილისა ჴელითა წარმოგზავნად ავთრათისა.

თქუენი მლოცველი იონა ხუცეს მონოზანი
ვჰგიე თქუენდამო გულითადიერ.
წელს 1827 მაისის 27.

**№ 139**

**1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი**

საყვარელო მამა ქრისტე ღმერთისა მიერ საღთო ლოცვათა მიმრთმევლობ
თქუენდამო უფალო დოდოევ სტეფანე!

აჰა, ესერა და ძოღან და შრანდითგან და ოთხთავე დროებთა და შაბადის საღთო ლოცვათა შინა ჩემთა მმადლობელ ვარ თქჳენი, რომელმან ტფილისით მიისწრაფე ერთსა შინა მქისიყისსა, რომელ არს ქიზიყი და მოვლე მუნებურნი სოფელნი დაბანი და სანახები შეხოვასაებრ ჩემისა, რომლისა ჯილდო ნაცვალი ღირსი სასყიდელი მის დროჲსა ჟამსა ვერა რაჲ გმსახურე სიშორისა ძლით. საკუთარისა პირისა თქჳენისა ოფლისა მაგიერ შესაბამი. რომელ ზეგარდამო ბრძანება არს პირისა თვსისა ოფლებისა ღვაწლებითა ცხოვრება სოფელსა შინა. რომლისა შინაგანი სვინიდისი უწმინდესი მსაჯული. სახარებისა. და მესამედ შინაგანი სვინიდისი უწმინდესი მსაჯული. აჰა, თქჳენისა პატიოსან პრაკტიკა საქმით კეთილ ჩვენებისათვის ჩემდა მიმართ. ესერა მეცა მაიძულებს სვნიდისი ჩემი თქჳენდამო წარმოგზავნად არშალახისა ამის საჟამისა ძვირფასისა, რომელსა ზონარი საქედური ჴელოვანთაგან რკინისა ქონან მობადული წუ[illegible]იკ წვლილად გამოჩჳენებით შემზადებული. აჰა, საჟამე ესე გახილვეჱსთ დიდთა დიდთა მთიებთა ოცდა ოთხ ჟამთა და თქჳენისა ამის ბურთისა მოქცევასა ერთსა ოცდა ოთხთა ჟამებთა შინა. რომელ კნინღა და გოგორანა საჟამისა ამის პლანეტებისა შემსგავსებულად იძვრისობენ. აჰა, თვთცა უწყი ღმერთმან არა რაი არსად დაბადა. ხოლო კაცი არსთაგან შეამზადეჱს ესე ვითარსა საკმართა, რომელნი სხჳათა ცხოველებთა არა ძალუძსთ, ვითარცა კაცსა. მაშასადამე კაცი სამეფისა განზრახვითა დაბადებული ნამდვილ ხატი ღვთისა არს სიბრძნითა. და მსგავსი მისი არს კეთილმოქმედებითა.

აჰა, საჟამე შემზადა წმიდა წინასწარმეტყუჱლმან წ. ისაია ჩუჱნებად ათხუტმეტისა წლისა სიცოცხლისა ეზეკია მეფისა ისრაილისა, რომელი ისაიას ლოცვითა საკუთრივ მიახლოებული გაწერა სენსა მაკუდინებელსა და შესთხოვა მეფემან, რათა საქმითარე უჩუჱნოს სიცოცხლე თვსი ისაიამან. მაშინ ისაი ზღუდესა ზედა აღმართა საჟამე მზისა და აჰა, მყის მზე მისრული დასავლეთსა ზედა მიიქცია აღმოსავლეთით კერძო ათცხრეულად და ესე ვითარისა სახითაც აცნობა სიცოცხლე ათხუტმეტ წელ მეფესა ისაია და აჰა, მიერითგან იწყო სახელმან საჟამე, მზისაა და ლითონისა და ქვიშისაცა ე. ი. სილისა.

იხილეთ ნივთი სამ განფენილება, რომელ არს სოფელი და ჟამი. ე. ი. დრო ურთიერთ ემდევრებიან. ამად არა არს ნივთი, რომელსა არა აქჳნდეს ჟამი და დრო და არცაღა არს ჟამი დრო, რომელი არა იყოს მზომელ მსგავსად ადლ ხალხისა, რომელ ჟამ დროთა უწყით

დასაბამი ყოვლისა შემქმნელისა დაბადებულთი, დაწყებულთი და სპობილთი. დასასრულ ყოველნი მექონნი თესლისა ცხოველნი, ორძილნი და მდელო ნერგნი იწყებიან ჟამსა თითოეულნი თვსა თესვასა საამოსა და წიაღსა შინა მიწისსა, რომელნი აღორძინდებიან და ჟამსა დანიშნულსა იშობებიან და აღმოსცენდებიან და გამოჩნდებიან. არა ეგრეთ ვითარცა დედაბერნი მეტყუჱლებენ, რომელ უკეთუ ყრმა მუცელსა შინა სრულის შვიდისა თვსა იშვასო ცხოვრებსო. და უკეთუ მეტნაკლი იშვასო, მოკვდებისო. აჰა, მათ არა ნანდვილი უწყიან, არამედ ცხრა თვესა შესრულდების ყრმა მუცელსა შინა და გამავალს მეათესა თვესა მეხუთესა დღესა. აჰა, უკეთუ მოაკლდეს ათიცა ჟამი მოკუდების ჩვილი. და თუ ემატოს მეათესა თვისა მეექუსე დღე და უფროსღა მეშვიდე მოკუდების მშობელი — მაშასადამე ჟამნი მარადის ჭეშმარიტ არიან ოთხთავე ჯგუფებთა შინა.

ჰა, თქუჱნ უკეთუ გნებავსთ ზეცისა და ქუჳყანისა სიმართლე და სიმდიდრე და სიმრთელე და უჴვრიტე ჟამსა თითოეულსა მათ არცადა ერთი ეკალი, გინა ისარი წამისა წარსწყმიდო და უკეთუ წარწყმდეს უქმობითა, მცონარებითა, ძილითა და უმეცრებითა. აჰა, არღა არს ისო ნავე. და ისაია, რომელთა დააყენეს მზე, ვიდრე შესრულებადმდე მათ დღისა საქმისა. ამად არღა ძალუძსთ ჟამებისა მიქცევად. ვითარცა მოხუცსა სიჭაბუკისა. მაშასადამე დამკარგუჱლნი ჟამებისა ე. ი. მის დროს საჭირო სარგებლისა და საქმარისა საქმეებისა მომავალთა ჟამებსა ივასხებს და ესე ვითარისა სესხითა ყოველსა ჟამსა ვალსა შინა იმნების დამკარგუჱლი ჟამებისა. ხოლო თქუჱნ ათორმეტი ჟამები იმუშაკეთ. ოთხნი ჟამნი ილოცეთ, ექვსი ჟამი დაიძინეთ, ერთი ჟამი იამოვნეთ, ყოველსა ექვსეულთა დღეებთა შინა. ხოლო მეშვიდესა ათექვსმეტი ჟამი ილოცეთ და ძუჱლი და ახალი აღთქმა იკითხეთ უკეთუ გნებავსთ მიმყოვრებითარე კეთილთა მკაო სოფელსა შინა და ეკკლესიასა შინაგან თქუჱნი მლოცველი იონა მ. მ. მ.

წელსა 1827 სა მაისის კზ სა.

## № 140

### 1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღუდელ იოანესადმ დოდაშვილისადმი.

ყოვლად პატიოსანო მამაო წმიდაო იოანე ქრისტეს ღვთისა მიერ აჰბორებას მომრთმევლობ თქუჱნდამო.

აჰა, ესერა მომლოცველობ ჴორცისა ძისა შენისა მშვიდობით წარმოგზავნასა სულიერისა ძისა ჩემისა სოლომონისასა.

მამაო წმინდა! ნეტარ ხართ თქუჱნ ეგერა მშობელნი საღთონი, რომელთა აღმოაცენეთ ესე ვითარნი ორძილ, რომელმან უწინარეს ზაფხულისა სრულ ჭაბუკობისა და ჯოშობისასა გამოსცა ნაყოფნი ესე ვითარნი, რომლისა სურნელება უამოვნეს ვარდისა და იისა არს შკოლებისათჳს სემინარიებისა და ყოველთა საწიგნო სასწავლებლებისა, რომელი სულებ მოსწავლეთასა ნელსაცხებლებ არომატ სიბძნეთა მცხებელობს.

აჰა, თხზულნი ამის ახალ ნერგისა სულებთა წარმკითხუჱლებთასა გონებაებასა განუმდიდრებთ გულისჴმისყოფათა, განუნათლებს სჯათა, განუმზეებს სურვილითა კეთილთასა, განუბევრეულებს ნებასა და უმწყსის თავისუფლებასა ქუჱშე დამორჩილებად სულთა განკითხვისად.

ეგრეთვე გულსა დაუწყნარებს და თირკმელთა მოამდორებს და თუალთა მარცხულთა მოაქცევს მარჯულ და ყურთა დაუმორჩილებს სმენად კეთილთა სწავლისა და ჴელთა განამხნევებს და ფერხთა ავლინებს სიბრძნისა გზასა ზედა. და ვითარცა მზეი დათრთვილულთა. მდელო ნერგთა და ყვავილთათვის გაზაფხულსა შინა საჭირო არს, ეგრეთვე მისა თქუჱნისა სოლომონისა თხზულნი საჭიროდ არს მოსწავლეთათვის მაღლისა სიბრძნისა და ვითარცა მთოვარისა ცვარნი ნაყოფთათჳს ქუჱყანისა საჭიროდ არიან გაზაფხულსა შინა, ეგ სახედვე თხზულნი სოლომონისა ბრძენთათვის თანა ქონებად საჭირო არიან.

მოიხსენეთ მამაო წმიდაო მოუთხრობენ ივერიისა ისტორიკოსნი თამარ მეფისაგან წარგზავნასა ათორმეტსა ათინასა შინა აღზრდად სიბრძნისა ძუძუითა, რომელთაგანნი არიან აშოთან რუსთაველი ვეფხის ტყაოსნისა შემზადებელი, და მეორე მოსე ხონელი, მესამე აბდულ მესია შავთელი, მეოთხე დილაკრგეს სარგის თმოგველი, ამათთა ორეულთა თჳსისაგან ტალანტებისა შეუთხზეს ქუჱყანასა ჩუჱნსა წიგნნი კარგნი, რომელნი სასწავლებლებთა შინა არა იკმარვიან მარილად. სწავლისა გინა სათუთიოდ, არამედ მათ წინაპართა საეროთა მწერალთა მათ ყოველთასა გარდამატა სოლომონმან თხზულებითა თჳსითა, რომელი შკოლებისა სიბრძნისა მარილთა და განმანათლებელ რომელსა ელლინურ ეწოდების ლოღიკა. ხოლო ქართულ ორისა ლექსით ე. ი. სიტყვა უცთომი.

ესერა სოლომანმან თავსა თჳსსა სიბრძნე ანართაულა და იქუჱრია ასახელა დიდსა ამას იმპერიასა შინა. და თვით და ბაგე უჩინო ჩინებულ ჰყო სიბრძნითა თვისითა, რომელი ათას ორასსა წიგნთა

შინა აღმოიკითხების ბრძენთა ბაგეებთაგან, რომელ წიგნი ესე ლოღიკა ხელისხელ საგოგმანებელად მიიღეს იმპერიისა ამის მოძღვართა და მოსწავლეთა მიივაჭრეს განმბრძნობად თავთა თვისთა

მოიხსენეთ მამაო, თვით განათლებისა მინისტრი და წევრნი მისნი და კომიტეტი ცენზურნი და ნაჩალნიკი უნივერსიტეტებისა მიუთხრობენ ზედას ზედა სოლომონს, უკეთუ პირველ ჭაბუკობისა ეგოდენ მისწვდომ სიბრძნესა, რაოდენ უემეტესსა მოველითო შენგან ხაყოფთა განმრავლებასა და წიგნებისა გამოცემასაო.

მამაო წმიდაო, თუმცა არა არს საჭირო მოხსენებად თქუენდა. გარნა მაიძულებს სიბრძნე სოლომონისა, ილოცე სოლომონისათვის, რათამცა შეგვიწყალოს ღმერთმან და მოანიჭოს წელნი ფსალმუნისა ოითმეოცნი. რათამცა მასწავლელობისა მოძღურებითა გამოიღოს მრავალნი ხაყოფნი. და იქმნას ქართულისა ენისა მზარდულ და საკულილო წიგნებისა მამა.

მამაო წმიდაო, საეკლესიო ერთი კელი შესამოსი წარმოგიგზავნე თვსისა დაფარნებითა[2]. ეგრეთუე მისა თქუენისა მოსვლისა სამხიარულო ჭრელი კაბა უჭრელესისა სარტყლითურთ წარმომიგზავნე. შეგთხოვთ თქუენს წმიდას ლოცუაში გეხსენებოდე, თქუენი მარად მსასოებელ მკდოვანი ესე მწუხარე სოლომონის წარმოსლვისათვ. ერთ კერძ. ხოლო მეორე მხრივ სამთელისა მოპოებისათვს წარმოსლვა უმჯობეს იყო, ვიდრეღა დაყოვნება, რომელმან განცხადებულნი ეგზამენიები ე. ი. ქლოველობა დაიჭირა. დიდ ფრიად საქები მმართებლობათა აქაურთაგან.

შეგთხოვ, რათა მშობელნი ჩემნი მოიხსენოთ გიორგი და მარიამ, და ძმანი ჩემნი იობი და იოსებ.

ეგრეთუე ცოცხალნი სოლომონ, გიორგი და სახლეულნი.

თქუენი მლოცუელი იონა ხუცეს მონაზონი ვგიე თქუენდამო საღთო ხუცეს მონაზონი ლოცუათა კეთილ მიდრეკილ.

თთვესა მაისსა, 27
წელსა 1827.

## № 141

### 1827 წლის 2 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

მაღალ ღირსო მამაო იონა, მოწყალეო ხელმწიფევ!

შაბათს გამომგზავრებულ მანდიდგან ვიქმენ დიდად შეწუხებული განშორებისათვს, მომეცა სიცხე და თავისტკივილი, მერწმუნეთ,

შე ვსცრემლეოდი ორ დღესა განუწყვეტელ, ვინაითგან ყოველსა წამსა შინა მზა იყავით კმაყოფილ ჩემდა და მათ საქმეთა. არა თუ მხოლოდ ვგრძნობ გარეგან, არამედ სული ჩემი განმსჯელ შინაგან [illegible] ფრიად განცვიფრდების, აწ უკუეთ ვითარი განშორება არს ესე ვარნა სული ჩემი არს თქვენთანა და სიყვარულსა ჰპრახავს და წე დეომთა დღეთაცა ვგოდებ.

უკეთუ არა დაატკბოთ წერილითა თქვენითა სული ჩემი. ათას მეათესა ჟამსა მოველ ნოვღოროდში, რაიღა მრავალნი განვაგრძო, ერთი ბრმა ცხენების პატრონი შემხუდა ნოვღოროდით, აცთუნა თუალმან და ერთი კერძო ჯევსა მისცა და გარდმიბრუნდა საჯდომი. მე მსწრაფლ უსწარ გარდაჯდომასა, გარნა კაცი იგი მცირედ მოემწყუდა, აღსდგა იგი ფრიად მწუხარე, შეჰმუნვილი, და ვგონებ უმეტეს შიშისაგან, რათა არა ვცემო იგი, ვინაჲთგან შემდგომ რაოდენისამე მინუტისა იქმნა მრთელ და არა რაჲსა მტკივნეულ. შემდგომად მოვუწოდე კაცთა რაოდენთამე შორით, ჩავაწყობინეთ და წარვემართე გზად, თუმცა მუნ არა რაჲ გატყდა, გარნა შემგომად ერთისა დღისა მოუნდა წინა გორგოლებსა გაკეთება და წინა დაკიდებულისა რკინასა, შემთხუევანი ესე მადლობა ღმერთსა ლოცვთა და კურთხევითა თქვენითა კეთილად იცუალა და აქამომდე მოველ სიცოცხლით მე და უვნებელად ქონებულთა. დასასრულ განეგვირდები თჳსებასა ერისასა, ვითარნიცა გზასა ზედა ვიხილე, თჳთ ვერ მოვშორდებოდი ქონებათა, ვითხოვდი წყლის მოტანასა არა ოდეს არ აღასრულებდნენ, უკეთუ არ მივსცემდი ორ შაურს, ყოველსა ადგილსა გორგოლების დასხმისათჳს მთხოვდნენ ფულსა, უკეთუ თბილს წყალს მხოლოდ მოვატანინებდი, მისთჳსცა ორ აბაზსა მთხოვდნენ და გამომართმევდნენ, და ესე ვითართათჳს უკეთუ რრონი არიან და ქრისტიანნი, რათა იქმნან ამას, ვიკითხვიდი მათცადა მომიგებდნენ მართლმადიდებლობასა, გარნა საქმენი ესე ვითარნი მოგზაურსა ზედა არა არიან მორწმუნეთა, ყოფილნი ესე არა რაჲ არს გარნა მწუხარება მაქუს დიდი განშორებისა თქვენისა, დღეს გახლავარ მოსკოვსა ივნისის 2 სა. ბაგრატ ბატონიშვილის სახლში მსუროდა დადგომა და სახლი ვერ ვჰპოვე, განმაშორა ცხენების მეურნემან ადგილსა მას, მივახლოვდი დედოფლის[1] სახლსა, პირველად ვიკითხე შესაძლებელი არსა აქ სადგუობაჲ? მომიგეს ძალგისთო. მიმიღეს კეთილად, მათმან უმაღლესობამან, რაოდენსამე ჟამსა იმეტყველა ჩემთანა, ეგრეთვე ბატონიშვილმან ოქროპირმან და თამარმან[2], ილია[3] კი თჳსის ცხოვრებით ბრძანდება ზაფხულის სახლსა შინა და დედოფალიც დღესვე წაბრძანდა, დიმიტრი მღუდელმან[4] თაყუანისცემა მოგახსენათ.

აქაურთა ყოველთავე მოკითხუა მოგახსენეს და თაყუანისცემა. ჩამა ტარასის რუსულის ვრცელის კატეხიზმოთაგან ნათარგმნი იბეჭდება აქ, რომლისათვს დოსითეოზს არხიეპისკოპოსს ჴელი მოუწერია და პავსკისათვს დაურწმუნებია და მას ნება ურთავს, სხუა ახალი არა რაჲ არს, ვითარმედ ფილადელფი შეპყრობილი ჰყოლიათ. ერთი თთუჱ აქა და აქითგან ქვევითი ნიჟნი ნოვღოროდს წარუყვანიათ, რომელიცა დიდ ფრიად შესაწუხარ არს. ღმერთმან ინებოს იხსნას თავი თვსი ამ განსაცდელისაგან. ჩემთან მანდ მოუწერია ავთრათი და თქვენ მიიღეთ, ბაგრატ ბატონისშვილის სახლში იქმნება. ადამ ღირსიევს და სხუათა სიყუარულით ვიკითხავ, უკანასკნელ ხუალ თუ ზეგ განვალ გზასა ზედა და თქვენ მშვიდობით მამაო სამარადისოო სულისა ჩემისა მამაოვ!

მოწყალეო ჴელმწიფე თქვენი მაღალ ღირსებას მორჩილი
შვილი ყოვლისგზით ს. დოდაევ.
1827
ივნისის 2
მოსკოვი.

### № 142

### 1827 წლის 2 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკონ სვიმონისადმი

უფალო დიაკონო სვიმონ ანუ სვიმეონ ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ სადთოდ თქუჱნდამო.

აჰა, ესერა თქუჱნი ავთრათი მოვიღე აპრილის ოცისა, რომელი მისცადებს იანვარსა შინა კურთხევასა, რომელს გშვენოდა, რათამცა მასუჱსა შინა მოგეწერა უკეთუ მახარებდი მე, თქუჱნსა სულიერსა ბედნიერებასა. არამედ მწერ თთუჱსა მესამეში. არათუ მხოლოდ კურთხევისათვს, არამედ ლოცვებისათვს, ანაფორისათვის და ასაძაღლებელისათვს. რომელნი თუმცა შესაძლონი არიან წარმოგზავნად, გარნა ფოჩტა მძიმეთა ნივთებთა არარაჲსა მიიღებენ. და უკეთუ გნებავთ ფასნი მომწერეთ საანაფორისა და ლოცვებისა გამოგიგზავნი.

დოდაშვილს შესთხოვთ ასამაღლებლებისა დაწერასა სლავენურითგან ქართულსა ენასა ზედა. იგი შეწევნითა ღვთისათა წარგზავნეს ტფილისის აზნაურთა უჩიტელად ე. ი. მასწავლებლად ლოღიკისა, მათემატიკისა და რიტორებისა რუსულისა და ქართულისა და მას შეუნდეთ და ილოცეთცა მისთვის მექუჱყნე ჩუჱნი არს იგი და საჴირო მამულისა.

იხილე პაპა რომისა იტალიითგან პატრებთა თვსთა გზავნის ტფილის, ქუთაისის და ახალციხესა, რომელნი უწინარეს წელიწდისა ენასა ჩუენსა სწავლობენ და ერსა თვისსა სამწყსოსა უქადაგებენ ყოველსა კვირიაკესა და საუფლო დღეთა შინა. ესერა ოთხი წელი არს, რომელსა გვსმის რუსული, ეცადე თავით თვისით წირვასა სლავენურსა ეხასა ზედა, რომელსა შეგეწევის ღმერთი სურვილისამებრ და საქმისა თქუენისა, რამეთუ ღვთის მოყუარეთა ყოველივე განემარჯვების.

მოიხსენეთ დიაკონობასა მაგას შვიდთა დიაკვანთა მადლსა სულისა წმიდისასა მომლოცველობ თქუენდამო მსახურებად მღუდელთა ლიტურღიისა შესრულებად და მიმწუხრი და განთიად ექტენიაებისა კურექსებითურთ სათნოდ ღმერთ მამისა და ღმერთ ძისა და ღმერთ სულისა წმიდისა ერთარსისა ღვთაებისა.

ესერა მე ფრიად მხიარულ ვიქმენ თქუენისა დიაკონობისათვს. ღმერთმან სავავოთ ძალთაგან მოგანიჭოს ძალი ძლიერი, რათამცა იყო მეტყუელ ერთისა სიტყვსა და ნუ მეორისა, ვითარცა ბრძანებას წ. მ. პავლე ტიმოთეს მიმართ. ე. ი. რაოდენნიცა გრქუა მწირველმან. იგინი აღასრულო და სხვა შენი არარაი შესძინო სჯულსა და ტიპიკონსა და წესსა ჯავთაგისასა, რომელ მორჩილი მეურნისა და მწისა მიიღებ მღუდელობასაცა მე ჯერჩინებითა სულისა წმიდისათა.

იხილეთ, არა არს ადვილ და სადაგ[1] ერთისა მუკლისა მოდრეკა სულისა წმიდისა მოსვლად, რომელი წმიდასა პურჰელსა ზედა გარდამოვალს და სარწმუნოებისამებრ დიდისა და საქმისამებრ უპატიოსნესისა აღგზებით აღარუყინებ ძუელისა აღთქმისა ოცდა ხუთთა წიგნებთა ძალთა და სჯულისა ცნობად და ახლისა აღთქმისა ოცდა შვიდთა წიგნებთა მადლისა გამოცნობად და ყოველთავე წმიდათა მამათა წერილებისა და სჯულის კანონთა და მოძრავისა და უძრავისა. და უძრავისა ტიპიკონებისა შემეცნებად და ცნობად ესრეთ ვითარცა უპყრიესთ სათნოება ღვთისა და შვიდთა საიდუმლოებითა და ათისა მცნებაებითა, რომელთა საუფლო ლოცვებითა და სიმვოლო მრწამსითა მოზიდვა ებრაელთი და წარმართთი და გარდატეხილთა მწვალებელთი და სარჩვლა ქართველ ბერძენთ ეკლესიისა მეფეთა და მთავართა და მამრთა და მდიდრთა, რათამცა ანტექრისტენი და ღუარძლნი და ხენეშნი კაცნი მომდოვრდენ მხილველნი სიმდაბლითა და სიმშვიდითა ქრისტეს მიერითა.

აჰა თქუენ ეკრძალენით სულით და კორცით ჰურ ჰურჰელ ჰყოფასა სულისა წმიდისა დადგრომად შენ ზედა, რომელი უმანკოთა, წრფელთა, და მართალთა განაბრძნობს და იკითხეთ ძუელი და ახალი აღთქმა და თარგმანი მათნი, რომელთაგან სულისა წმიდისა ნებასა

ძალს და ძლიერებასა გამოსცნობ, რომელი სულსა შენსა განგიახლებს, დაგიმორჩილებს და იქმნები ანგელოს სალთო მესამე.

დასასრულ ენასა შენსა არღარა ამეტყუელ ტყუილნი, ჭორნი, ცილი და ჩქურობა[2]. რომელნი სულისა წმიდისა გმობანი არიან. ეგრეთვე თვალნი და ჴელნი და ფერჴნი ავლინე საუფლოსა ნებისამებრ სულისა წმიდისა. და იპყარ ლოცვანი ოცდაოთხთა ჟამებთა შინა და მარხვა შინაგან სულსა შინ სჯულსა, და მადლსა ზედა და კლდევებად. ხოლო გარეგან გუამსა შინა მარხვანი ოთხნი და მეხუთე ოთხშაბათნი და მეექვსე პარასკევნი. ეგრეთვე განეშორე სამთვრალოთა და მუცლისა ღმერთაკად ქმნასა, ვითარცა ბრძანებს წერილნი. ეგ სახედვე გარეშე წამებაცა კეთილნი იპყარ, რათა არა ეჩუენო სოფელსა უწვერად ლაღ და ლიწლ. და კადნიერ. და მსგავს მდაბიოთა და უგუნურთა უკუთა და უდგრუშთა და ურიცხვთა, რამეთუ არღა ხარ ამხანაგ წარამარა კაცთა, არამედ ძმა და საყუარელ სამღდელო დასთა ხარ.

ექმენ ეკლესიასა შინა სახე მლოცველთა ყოველსა სამსავე ლოცვასა ზედა, არა დასცხრე პირსა ზედა ჯვარისა დაწერისასა ე. ი. მშვიდობიანისა შეგვიწყალენისა. და მგუმადლელისა მუხლებითა. ზე და უფროსღა ასამაღლებელებთა ზედა ეგსახედვე გარეგან ეკლესიისა იქმენ მაგალით ერისა კაცთა ყოველნივე სალთონი. იმეტყუელე და მცირედ საჭირონი კორციელ ცხოვრებისა, რამეთუ სული უმეტეს გუამისა არს. და გუამი უმეტეს ამაო ნივთებთა არს, ვითარცა ბრძახა ჩემან იესო. იყავნ პირითა მჭუნვარე და სახითა მგლოვარე მეზავრი ეგე ხოჭიჭისაგან საფლავადმდე, რომელ სიცილი უმეცრებისა ნიშანია, ხოლო მგლოვარება სიბრძნისა ნიშანთ ნიშნებია. რომელი ცხრათა ნეტარებათაგან მეორე ნეტარებაა. უმეტეს თავისა შენის შეიყუარე სული წმიდა და მსგავსად თავისა შენისა მოყუასნი შენნი, რომელ არიან ემბაზისა და ჩუენისა შვილნი ძმანი ქრისტესი.

შეხვიდოდე რა ეკლესიას შინა, მყის გულის სმა ჰყავ, რომელ ცათა შინა ხარ, ხოლო წმიდა წმიდათა შინა რა შესლვა ჰყო პირველად შინაგანისა მსაჯულითა სინიდისისა შენისათა განიკითხე თავი შენი და ესრეთ შედი და შერაცხე თავი შენი ღვთისადმი. საშინელისა წინაშე წარდგომილად, რომელი განიკითხავს გულსა და თირკმელთა, რამეთუ არავის ბრალეულსა ძალუძს წინაშე ქუეყნიერისა მეფისა წარდგომაცა.

ოდეს შესწირვიდე მსხუერპლსა სულითა იწყე ზარისა დაცემაო და გუამითა იწყე ძრწოლა, რამეთუ ძღვნისა მიმრთმევლ ხარ არა სასტიკისა მეფისად, არამედ მძაფრიადისა ღვთისა, რომლისაგან შეძრწუნებულნი ხერუვმნი ექვსთავე ფრთეთა იფარვენ ვერ ღირსნი

მიხედვისა, რამეთუ დამკუდელნი ძლიერისა მეფისა ძისა და მიმღებნი მის მეფისა წინაშე არათუ მიიღებს ძღვნად, არამედ ესოდენ განფიცხნების, რომელი კნინღა და საყუარელისა ძისა და მკვლელსა კბილებითა თჳსითა დაასხიპავს. და მოაკვდინებს კბილებთა დაღრჭენითა და ჰკვლელსა ფიალსა შინა როდინითა დანაყავს. აჰა, ამას ჰყოფს ცოფიერი. ხოლო შენ ღმერთ ძისა კორცსა და სისხლსა მართმევ ღმერთ მამასა არა ძრწოდე თჳთ მაშინცა ოდესაც სასწაულისა ქმნა ძალგედვას და განემზადე წინასწარ სამისა დღისა აღსარებითა და ლოცვითა და მარხვითა და სინანულითა საბანელითა თავი შენი და ესრეთ წარდეგ წინაშე შესაწირავისა და ეზიარე ცხოველს მყოფელსა საიდუმლოსა ღირსებით, რათამცა ღმერთ მამამან ღმერთ ძისა თჳსისა ქუენა ბუნებისა მეოხებითა და ღმერთ სულისა ნუგეშისცემითა მღუდელობისაცა ღირსება მოგანიჭოს და იქმნა მწყემს მეორედ შობილთა ცხოვართი და თავისა შენისა თანა რწმუნებულნიცა წარუდგინო. კვლავად მოსვლისა ჟამსა და იქმნა აღტაცებულ საღთოსა ღრუბლითა ცათა შინა. და მუნ ხილვად სამებისა მგალობლად წმიდა არსისა დაუსრულებელსა სუფევასა შინა. ეშურვე, რათა მიიღოთ მღუდელობაცა და კორცი შენი ეგოდენთა წელიწდებთა შინა დატევებული არა განიცადოს ეშმაკისაგან. ღმერთმან ნუ ჰყოს. ეგრეთვე თქუენ ეგერა ჟამსა მღვიანობისა ჭაბუკობისასა. რომელ სამნი დიდნი მტერნი ყოველთავე ბრძავს ე. ი. ხორცნი, ეშმაკნი და სოფელი.

ადამ მხიარულ არს თქუენთვის დიდ ფრიად. და ყოველნივე მეცხაერნი თქუენნი. უნეტარესი მამათ მთავარი ჩუენი ანტონი კათალიკოს პატრიარხი სულისა ჩემისა განმაბრძნობელი, რომლისა ხატის ხატი სულსა ჩემსა იდეა შინაგან ზრახუად მაქვს. ამად შემითხოვე ლოცვა კურთხევა, რათამცა უხვებისაგან თჳსისა მანიჭოს მკდოვანსა ამას იონას.

მაღალ ბრწყინვალეო ევთატის მოურავს[1] სამსა წელსა განმასვენებელსა ჩემსა ლოცვას მომრთმევლობ მშვიდობისა მაგისისა მოსურნე ხუცეს მონოზონი იონა მკდოვანი.

მექუეყნეო ჩემო მამაო სვიმონ[2]. შეგთხოვ, რათამცა უუმეტეს იალისა შენისა მსახურო მაგათ, რომელთაცა ბედნიერ მყუეს და ხოლო მე თქუენი ამბავი მომწერე.

თქუენი მლოცველი ხუცეს მონაზონი იონა.

წელსა 1827 სა ივნისის 2 სა.

## № 143

### 1827 წლის 9 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო იონა, უმოწყალესო ხელმწიფევ!

წმიდასა და ნათლით შემოსილს მაკურთხეველსა ჩემსა მარჯვენასა ზედა ვემბორები, მოსრული ძუელსა სამეუფოსა ქალაქსა შინა, ვიდრე აქამომდე სიმრთელესა შინა გახლავარ ესრეთ, რომელ სიცოცხლე იპყრობების ანუ იცუწბის. აქაურნი ბრძენნი ვიხილე და შემთხუეულებათა გამომცდელნი, მიმიღეს დიდ ფრიად კეთილად, მთხოვეს მეგობრობა კეთილი და შეერთება მათდამი წერილისა და სხუათა გარემოებითთა შემთხუევათა თბილისით, რათა აცნობონ საზოგადოებასა ჟურნალსა შინა დაბეჭდითა, ჩემ მიერ აღუთქვი ესე ვითარისა მოქმედება. ვიხილე უნივერსიტეტი, თეატრი, ბიბლიოტიკა, და სხუანი ჩინებულებანი ყოვლით კერძო. გამოვიარე მოსკოვი ვრცელი ესე და ჩინებული ქალაქი თუმცაღა აღმომიჩნდა საამო სახილველად. გარნა ყოველივე კეთილგუარობა ს. პეტერბურღისა უწარჩინებულესს არს ქალაქისა მის, ანუ ვიდრეღა აქა, გარნა მე ვსწუხვარ განშორებასა თქუენსა, არა რაჲ ჩემთჳს საამო ესრეთ, ვითარცა თქვენი და ვითარებისა თქვენისა ხილვა, მამაო, მე დამიხანდება აქა კიდევ შაბათამდინ ანუ კვირამდინ, ნივთები ძრიალად ამძიმებდა ბრიჩკას. ამისთვის სრულიად ერთს ყუთში შევკრიბე და განვისტუმრე, რომელიცა მოვიდა თორმეტი პუდი, თითო პუდი თბილისამდინ წარიღეს ცხრა რუბლად, ვითარ რჩათაცა ესრეთ განისტუმრეს. ნაკლებ ვერ მოვიძიე, მეორე მიზეზი ესე არს, რომელ ბრიჩკის უკან ყუთში სრულიად წაბღალულიყო ყდები და უყდონი წიგნები, დიდად შევსწუხდი მის წარხდენისათჳს (სიმძიმისათჳს და წარდგენისათჳს წარვგზავნე წყნარის მოგზაურისა თანა. ნივთები პირობითა ტფილისად), ნიავი აქა არს მძიმე, წვიმიანი და უსიამოვნოდ ღრუბლიანი, რომლისა გამო მტკივა თავი დიდად შესაწუხებლად, გარდა სმენისა, ხედუაცა დამაკლდა, დაკლებასა ამას ვგრძნობ გამოცდილებისა მიერ, და არ ვუწყი ვითარ შეიცუალების საქართველოსა შინა, თუალებისა ძარღუნი მტკივა და სრულიად თავისა ჩემისა სისტემა მოშლილია. და დიდ ფრიად სუსტი, დასასრული რაჲ მრავალი ჰაზრი ვითარებისა და გარემოებისა ჩემისა მოგახსენო, რამეთუ არა სახლსა შინა ჩემსა ვცხოვრობ საკუთრად, რათა აღვსწერო კანონიერად და შესაბამად ყოველნივე გრძნობა და ზრახუა ვითარნიცა იწარმოებიან ჩემ შორის. ჰბრძანდებოდეთ სიცოცხლით

და სიმრთელით, რათა ლოცვამან თქუენისა მაღალ ღირსებისამან წარმკურნოს განზრახულისა საგნის აღსრულებისათვს, სარგებლობისათვს, და აღზრდისათვს მემამულეთა.

მშვიდობით!

უმოწყალესო მამაო! თქუენის მაღალღირსების მორჩილი

მოსამსახური ს. დოდაევ.

ივნისის 9 სა

1827

მოსკოვი

ადამ ღირსიევს და სხუათა, გიორგი პაიჭაძეს, პეტრეს, მოკითხვას მოვახსენებ.

## № 144

### 1627 წლის 15 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო უუმოწყალეოსო ხელმწიფევ მამაო მ. იონა!

ბალტიის ნისლისაგან გამოლტოლვილი შეპყრობილ ვიქმენ, ვიდრე აქამომდე გარემოებათა მიერ სხუადა სხუათა მოსკოვსა შინა. ესე ვითარისა შემთხუევისა მიზეზნი არიან შემდეგი:

1) შეუძლებელ იყო, რათა არ წარმეგზავნა წყნარისა მგზავრითა ქონებულნი ნივთნი, რომლისა სიმძიმისა გამო, ბრიჩკას წინა ხეები შემუსრვილ იყო და მასაცა უნდა განახლება.

2) გაკეთებისათვს მოუნდა წარსაგებელი ათი თუმანი. მრავალსა ღვილსა გატეხილსა.

3) წარსაგებელი შემემთხვია არა მცირედი, წარგზავნისათვს. გაკეთებისათვს და საბუთების მოვაჭრებისათვს, და ამისთვს მგზავრსა შეუცადე, ალექსანდრე წარმავალს ლინიამდინ და მუნ დაშთების იგი.

4) მგზავრმან ჩემთანა წარმოსავლელმან მოიგვიანა, ბრიჩკის გაკეთებამან. და ამათ შორის მე განვიხილე ჩინებულებანი და განათლებულებანი მოსკოვსა შინა წარმოებულნი. ესე ვითარისა მიზეზთა გამო აქამომდე უძვრფასესისა დროჲსა წარმგებელ, რომელსაცა მრავალნი მძიმენი ტვირთნი კეთილთა საქმეთანი ხიმელიან. აქამომდე მაქუნდა ჩინებულსა პიეტიან და მწერალთა საზოგადოება, რომელნიცა იქებოდნენ პეტერბურღსა შინა თვსით საქმეებითა და ყოველსა

ქვეყანასა ზედა პალომნიკებანი მათნი, მათ მთხოვეს თბილისიდამ წერილისა შეერთება. ერთი მათგანი მიდის ევროპასა შინა უმეტესს განათლებისათჳს. მე ვთხოვე მუნითგან მოწერა ავთრათისა და ღირსი ხსოვნისა ცნობა. მან აღმითქუა. დასასრულ დღეს მე განვალ გზასა ზედა, და თქვენ გთხოვ უმორჩილესად, რათა ხარებელ მყოთ მე მშვიდობითა უძჳრფასესსა ავთრათსა შინა გამოხატჳთა, მერწმუნეთ მამაო, მე არა რაჲ მომცემს სასიამოვნოსა კმაყოფილებასა, ვითარცა სმენა თქვენისა სიმრთელისა და სიცოცხლისა. უკანასკნელ ყოველთა კაცთაგან ვიქმენ კეთილად მიღებულ, მომცეს კმაყოფილება ზნეობითითა მიღებათა და უმეტესად პოლიტიკებრისა ქცევითა, გარნა არა რაჲსა შემწეობითა.

პარმენ მღუდელმან კეთილისა გულითა მოხარულითა მისტუმრა აქამომდე. რომელსაცა ვმადლობ დიდად, და თქვენდამო მთხოვა თჳსისა პატივისცემისა განცხადება. თბილისის სამხედრო ღუბერნატორის მეუღლემან სიპიაღინისამან მიმიღო ფრიად კარგად წარსაგზავნი და ავთრათი წარმატანა მასთან. და ესრეთ მშვიდობით მამაო! გთხოვ ბრწყინვალესა თავადთან ფარსადან თეიმურაზიჩთან ჩემმიერ პატივისცემა განაცხადოთ, და ყოველთა სხუათა კეთილისმყოფელთა თანა. მაღალ ღირსებისა თქუენისა უმორჩილესი მოსამსახური სულიერი შვილი თქვენი ს. დოდაევ. ივნისის 15. 1827 წელი მოსკოვი.

**№ 145**

**(1827 წ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

უფალო დოდაევ სოლომონ იოანიჩ! უსაყუარლესო სულიერ ძეო ჩემო ქრისტე ღმერთისა მიერ ლოცუათა ყოველთა მომრთმევლობ თქუენდამო!

აჰა, ესერა ავთრათი ქარტა თქვენი მოვიღე მოსკოვით წარმოცემული ჩემდამო ივნისის 2 დაწერილი. რომლისა აღმომკითხველმან დიდ ფრიადი ეგე ურვეულება თქვენი შინაგანი კაცისა და გარეგანისა გულისა უდიადეს შესლბობილად გარდიბეჭდა სულმან ჩემმან და მესამეცა ძჳრშემთხუეულება ეტლისა გარდაქცევისაცა მწუხარება ზემოთათანა დამერთო საჯვად და კნინღა და მოუთმენელ ვიქმენ სასტიკისა კეშანითა და მძაფრისა სულისა ჩემისა აღბორგებითა. რომელი მიექცა ცრემლთა ღუარებთა შინა და თქმად დიდ ფრიადისა ნაწლევ შეიწრებითა, რომელსა განმაკრთომელისა შიგნეულებისა მწუხარებითა თავისა თმანიცა მაძრწოლენ ფერმისდილსა, ვიდრემდის

აღმოვიკითხევდი უკანასკნელსა ტეიპთა ტრიქონსა, რომელსა შინა მწერთ განსაცდელნი და საფრკენი განქარდენო და ეტლისა წინა გოგორანი გარდავაკეთებინეო და რკინაცა საკდელი და განრმილი მოვიძიე მოსკოვსა შინა და დავივანეო უმაღლესისა სახლსა შინა და შემდგომად ორისა დღისა განვემგზავრებიო. აჰა, ამათ ანბავთა თქვენთაა კეთილთა მომიქციეს გონება ჩემი მრავალ ბევრეულისა უშტის უშტებთა და უშქარის უშქრებთა შინა მიმოდაბნეული. კურთხეულ არს სჳჱ თქვენი ე. ი. სასოება ბერძენ ქართველთ სარწმუნოებისა, სასოება, რომელი გქონანთ სამ ერთ მხოლოსა ზედა, რომელმან მოგიყუანა აქარე და წარგიძღუა მანდარე კვლავადცა და მარადის მიუტევე ზრუნვა შენი მას მხოლოსა და იგი სახიერი დაგიცავს და შეგიოეცხს ცრემლთა მაგათ უკეთილეს წელიწდებად, და სიყუარულსა მაგას ჩემდამო მხიარულ გალობად. რომელი იქმნებით მაგალი სოფლისა და სახე მოსწავლეთა და ნეტარეულ მამულისაგან და საყუარელ ეკკლესიისა და შვილ სულიერთა საღთოთა დასთა და სვინიდისისა მომნიჭებელ მტერთიცა, რომელნი აქსიომებთა კეთილთა ვერსადა დაფარვენ კვიმრსა ქუჱშე, არამედ იქადაგებენ ნებსით ერდოთა ზედა და უნეზბლიეთცა უბნებთა შუკათა შესაკრებლებთა საშუალ და უფროსღა სარეცლებსა ცხედრებსა ზედა და საუნჯეთა შინა, რომელ არს სული მზრახველი შინაგან გარდაბეჭდილებისა.

აჰა, ესერა რამე კეთილ ანუ რამე შუენიერებისა, ვითარ დამკვიდრებად ძმათა ერთად სიტყვისამებრ მეფსალმუნე პორფიროსანისა. აჰა, მე ხე იგი საღთო სიყვარული თქვენი, რომელი დავნერგე მეფე სულსა შინა ჩემსა ესერა დიდროთ აღორჩინებული, რომლისა ფურცელნი არა დაჰსცვივა, არამედ მარადის ირწყვის ძუჱლისა და ახლისა აღთქმაებთაგან, რომლისა ნაყოფნი არა აღირიცხვიან რომელსა ჯაჭვი ესე თანა მაქს დაღათუ დასაბამითა. გარნა დაუსრულებადრე ე. ი. შეყუარებითა ღვთისათა შეყუარებასაცა მოყუასისა რომელ ეგე ხართ თანა ბუნებით კაცი და მეორე შობით ძმა ნამულით მექუჱყნე და აღსარებით შვილ. მაშასადამე აღარა რაჲ მაკლს მე თქუჱნდამო და თქუჱნ ჩემდა მომართ ნაცვალგებითნი. დაღათუ არს ნაკლულევანება ე. ი. კორცთა შინა არიან სულნი ჩვენნი, რომლითა ნაკლულევან ჰყო მაღალმან პირისპირ ანგელოსთა კაცი. ვითარ წარმოაჩენს მეფსალმუნე, რამეთუ ანგელოსნი მარტივ უკუდავ არიან და კაცი უდარესითა მოკუდავ, რომლითაღა ურთიერთაგან განდგინებით განვიყენებით დუბესა ამას ზედა გრძნობიერ ჰვრეტითა ურთიერთისა მიმართ დაუცხრომელისა მხიარულებითა განძღომილნი და თვითოეულნი ღმერთებ ვიქმენით მადლით აღძრცვილისა სიბრძნითა ყოველისავე მეცნიერ.

სულო მართალ ქრისტიანეო, კეთილისა თვსებისა მექონო, აჰა, წ. მ. პავლე მეტყველებს ენასაცა თუ კაცთასა და ანგელოსთასა თუ ვიტყოდე. ხოლო სიყუარული არა მექუნდესო ვიქმენ მე, ვითარცა რვალი რომელი ახჳრიან, გინა წინწილი, რომელი ჴმობენ და მაქუნდესა თუ წინასწარმეტყველება და უწყოდე ყოველი მეცნიერება და საიდუმლო და მაქუნდესღა თუ ყოველივე, ვიდრემდა მთათაცა ცუალებადმდე და სიყუარული თუ არა მაქუნდეს არარავე ხარ და შეღათუ ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივცნე ჴორცნი ჩემნი და საწყლად და სიყუარული არა მაქუნდეს არარავე სარგებელ არს ჩემდამო. მაშასადამე სიყუარული შეგუანაწევრებს, ვითარცა ღვთისადმი ეგრეთცა მიყუასთა მიმართ დაგუაკავშირებს, რომელ თჳნიერ სიყუარულისა და თანხმობისა და პატივისცემისა ეკლესიანი განაწევრდებიან. ვითარცა ჰყვეს მწვალებლებთა და სახელმწიფონი დაირღვევიან, ვითარ შეემთხუა ამაღლებულსა რომსა და მფილოსოფოზებულსა ბერძენთა და მედიდურსა დიდსა არმენიასა და სამ საბატონოდ და ხუთ სამთავროდ განაწევრებულსა წინაპართა ჩუენთა.

დასასრულ თქვენ იქონიეთ მარადის ნედლმყოფელი სიყუარული ღვთის და მოყუასისა და მამულისა და ჩემდამო, რომელი ადგილისა განყენებისა ძლით თქვენთვის ვცრემლოდ და ვარავინაცა ღმერთმან ძალთამან ცრემლნი ჩემნი ჰყოს სიმართლედ, სიწმინდედ და სიმდიდრედ თქვენდამო სულიერ ძეო ჩემო, რათამცა მალიად შეუძლოთ ვედრისა ჩემისა აღსრულებად აღთქმისაებრ თქვენისა და ცოცხლებდინ სახელითა სავაოთისათა ნებისა მისისა აღმასრულებელად.

მოიხსენეთ თქვენთან მოწერილი კრულისა მის შესაწყალისა წიგნი მომივიდა, რომელი არღა წარმოგიგზავნე. არამედ ილოცეთ მისთვს და მეცა ვლოცულობ და განაგოს მაღალმან კეთილად კრულებისაგან განხსნა მისი.

შეგთხოვ თუ რაჲმე გესაჭიროებოდეს მომწერე ხუასტაგი გინა წიგნნი და საბლარდნელი ანუ ინსტრუმენტნი და რაოდენნი რაჲცა გნებავდეს მომითხარით მწკრივებითა და სახელებითა ქართველითა და რუსულითა ჰე ძალითა ღვთისათა, მე ყოველსავე გიმსხუერპლებ ძალისაებრ ჩემისა. გარნა პირველად ანბავითა თქვენითა კეთილითა განამხიარულეთ სული ჩემი და განაპოხეთ ძვალნი ჩემნი. ვიდრედცა შეგთხოვ ძმათა ჩემთა ვითარება მომწერეთ და ძეთა და ასულთა მათთა რიცხუნი და წელნი ფრიად მახარებთ. აჰა, წიგნსა შინა თქვენსა წარმოგიგზავნე დაუბეჭდავი ავთრათები, ინებეთ დაბეჭდა მათი და უბოძეთ თვსთა პირებსა, აჰა ამას მეორესა წიგნსა გიწერ აზნაურთ შკოლაში.

მოიხსენეთ მწუხარება ნებსითნი არარაჲ მიიღოთ და უნებლიეთიცა მოვითმინეთ, არამედ უკან აქციეთ ფილოსოფიითა და უფროსღა ღვთისმეტყველებითა. უკეთუ ასე ეგრე გეჩვენოსთ უჩვეულოდ მამულისათვს ყოველნივე თავს იდუას. აჰა, მეგობარ ღვთის მოშიშებით, განათლებულნი და მათთან განიზრახენ ყოველნივე კეთილნი ხავანნი.

## № 146

## 1827 წლის 16 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

უფალო დოდოევ სოლომონ ივანიჩ!
ქრისტე ღვთისა მიერ ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო.

იხილეთ, თქვენი მეორე ავთრათი მოვიღე მოსკოვით წარმოცემული, რომელი მიცხადებთ მშვიდობის მირასლუასა სამეფო საყდარსა წმიდასა ქალაქსა შინა და მუნ მოხილჳასა სასწავლებლებთა და საიშვიეთოთა და განათლებულთა კაცთაგან საქმიერებისა შეთხოვნასა საჟურნალოთა კეთილმეგობრულადრე. ეგე, ვაშა ვაშა თქჳენდა, ხოლო ჩემდა ამოვნება არს.

ეგრეთჳე გამომიცხადებთ ათორმეტთა ფუტისა ტვირთების წარგზავნასა ცხრა ცხრა მინანთულად, ეგე ღირი არა არს ძვირი. მე აქავე მსურდა ეგრეთ ქმნა, რათამცა ალმსუბუქების წარსრულ იყავით. ეგრეთჳე მწერთ სამგზავრო საგზლისა და ხუასტაგისა და ღირსა შემცირებასა. მე წინასწარ განვაკრძალე მანდარე შოშოება სახელსა ზედა ჩემსა, გარნა ვგონებ ბრწყინჳალე თავადი[1] და თქვენ ერთად წარხვიდეთ ეგე ხუასტაგი მაშინ უკმასაყოფელეს იქმნება. დასასრულ მწერთ თავის ტკივილსა და თანავე თჳალებთა სისუსტესა. ეგე ვითარნი ანბავნი დიდ ფრიადნი მწუხარებანი არიან ჩემდა. გარნა უკეთუ მიიღებთ კრძალულებასა, თქვენზედა დამოკიდულ არს განკურნება. უსურავანდოსა საჭმელებისა მიღებათა და სასმელისა მცირაკისა მიღება ეგსახედვე ყურისა განხმისათვს მგლის ასოს ნაწილაკისა შეტანა ყურსა შინა, ვიდრემდის ტენონი სოლინარანი მშრალი ძარღვი განაღოს.

მითჳე სახითა თჳალებთათვს დიდ ფრიად კრძალულება, რათამცა კუჭითგან სურავანდიანისა და მლაშე საჭმელებისა და სამთვრალო სასმელებისა ე. ი. იყისა და თაფლუჭისა და ძლიერისა ღვინისა და მჟავისა და მწარისა და ძმარისა ორთქლები არ შეიკრიბოს თავსა შინა, რომელნი დალიბრენ თჳალებთა და ნაქვრცნებთა გარდაფარე-

ბენ და ბინდთა და ნოტიოთ ზრქელთა, ხაშმურთა. აჰა, ზემო ყოველთა მქისეთა საჭმელებთა და სასმელებთა მირიდე და იქმენ მრთელ თავით და უფროსღა თუალებით და მზემანც არ დაკრას, ერიდე შუადღე გრძალიანი მაფარი თუალებისა დასაცველად სანთლისა, ნათლისა უკუნმქცეველად და არა ჰსწეროდ მიმყოვრებით განუსვენებელად, არამედ ჟამჟამ განისვენეთ საჟამის დანიშვნითარე. ეგრეთვე კითხუა ჰყავით წიგნებისა ჟამებისა შენიშვნითა, რამეთუ ათერმეტი დღისა ჟამები ბრძანებულ არიან მუშაკობად ე. ი. ერთმოქცევსა და სხუანი ჟამები ლოცუად და მეტყველებად და პურისა ჭამად და ამოვნებად და ძილად. იხილეთ იტყვიან ბრძენნი მკურნალნი, მაგალითად სიმრთელისა, რომელმანცა სანთელი ცვილისა ანუ ცმელისა ათორმეტისა ღამისა ჟამებისა განსანათლებელად შთამოსხას და მიმწუხრი სასანთლესა ზედა დაჰსდგას და დახშას კარნი და აღანთოს სანთელი იგი მიიწევისა განთიადმდე ზე პირისპირ ბრძნისა უგუნურმან, რომელმან ათორმეტისა ჟამებისა კმა საყოფელი სანთელი აღანთოს მიმწუხრე და განახუნას კარნი და სარკმელნი იბრგივ ანთლისა. მაშინ წვეთებულისა ნიავისა და ნიავ წყდილისაგან და სიოსაგან და რყევისაგან ჰაერისა დადნის სანთელი იგი უწინარეს ათორმეტისა ჟამებისა სამ ჟამ ანუ ექუს ჟამ. გინა ცხრა ჟამ და ვერღა მიაწევს სანთელი იგი განთიადმე. თანასწორი პირისპირ ბრძნისა სანთლისა: მოიხსენით, მიიღეთ კრძალულება, ფრთხილობა, პყრობა სულისა, გონებისა და ჴორცთა წადილებისა და გაქუნდეს ლოცუა და მარხუა საღთოთა წერილებთაებრ, რომლითა მიაწევთ ოთხმეოცთა წელთა შინა, რომელსა გუამისა ვინძნი არა ზაპილო გქონანთ, არამედ მარჯუმ და მსუბუქ სლუასა, ჯდომასა, დგომასა და ღვიძილსა. არცა ბრჯგუ სხეულ გქონან და ჯრჯვლიან მრავალ ნოტიერ და ცმელ გონიერ და ფუყე, არამედ კურივ. ეგსახოვე სანოვაგეთა მხმარებლობით არა მრავალთა, რომელნი დაყროლდებიან კუჭსა შინა და აქროლებენ ქარებთა ნაყროვანისად, არამედ მცირედ მკვეველობით მასრაკისა ნაწლევისაგან დაცოხნად, ვინაიდგან კუჭი მხოლოდ გაქუსთ სულტი. უკეთუ მყისეთა არარას მიიღებთ და ზიჩატლებთ და სულთთა მკუხეთა, არამედ ფრიად მგბართა და მწუართა სანავაგებთა, მაშინ კუჭიცა ძლიერი გექმნებისთ: დასასრულ სულსა თქვენსა კეთილი წიგნები შეურჩიეთ და თქვენი მარადის მლოცველი იონა მ. მ. მ.

წელსა 1827 ივნისის 16 დღესა.

## № 147

### (1827 წ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

უფალო დოდაევ ს. იოანიჩ სულიერო ძეო ჩემო!

ქრისტე ღვთისა მიერ სალთო ლოცჳათა მომრთმევლობ თქჳჱნდამო გულითადიერ. საღმრთოდ მნე ესე.

აჰა, ესერა მესამე ავთრათი თქჳჱნი პიტაკ გალავანისა საუდრისანისა დიდისა ქალაქით წარმოცემული მოვიხვენ, რომელი მითხრობს სიმრთელესა თქჳჱნსა უუძვირფასესსა თქჳჱნდა და ჩემდა ბალთიის უფსკრულისა ნისლბურისა და ნოტიო მძიმე ორთქლისა განყენებისა ძლით სამხრეთ აღმოსავლეთით კერძ, რომლისა მჴარისა ჰაერი ჴმელ და ორტაბასია[1] და ტაროსნი და ამინდნი ოთხთავე ჯგუფებისა განზავებულ მაცოცხლებელისა გასებითარე, რომლისა ბურთისა თხემსა ზედა მზეცა მახლობელ იქცევის ეკჳატორსა ზე დღისა ნახევარ სფერა ბურთსა ზედა. და დააშრობს ღამესა შინა მთოვარისაგან მიმალნიტებულებსა სოელსა ჰაერსა, რომელი შუაღამისა შემდგომად შთამოუტეებს ქჳჱმო წენტროებთა ე. ი. შუაგებთა ზე თითოეულთა ცჳართა და ტენთა მორწყჳად, მდელო ნერგთა და ასფოდელოთა ზეგარდამო განწესებისაებრ ტიპიკონისა და ესე ვითარისა სახეებითა მზეჲ მსახურ არს დღისა, და მთოვარე ღამესა შინა. მეფე კაცისა და სამეფოჲსა, რომელ არს კოსმო სოფელი ესე სამნი მმჳფლებელნი ე. ი. მმეფელნი ცხოველნი ბუნებაებსა შინა თჳისსა ორძილნიცა, ეგრეთჳჱ და მეტალ ლიტონიცა ეგსახედჳჱ, რომელთა არსთა არსებაებთა აღარიჯაგებს ზეგარდამო ტიპიკონნი თითოეულთა თჳსითა ნაკჳჱთებითა, ნაქჳთებითა, ქიმებითა, ნაწიბურებითა და ნაპირებითა სამ განფენილებად, რომელთა ხალანი არიან დრონი და წელნი და პეიმანნი ესე იგი გამხილვა ოთხთა სტიხებ ელემენტებთაგან და მუნვე მიქცევად. ვითარცა ოკიანეთაგან ზღჳანი და მათგან წყარონი და წყაროებთაგან მდინარენი და მდინარენი მუნვე მიმმართჳჱლნი. დასასრულ უკეთუმცა გალიაებთა კრულთა ზორაყებთა და ფრინველებთა და ყაპუზუნათა[3] და მჴეცთა მესრისა ზღუდეებთა შინა შემწყჳდეულთა და ნადირთა ჰქონდათ თავთა თჳსთა ზედა ფლობა, მუნცა ძიქცეულ იყჳნენ, სადაცა იშუნენ ბურთსა ზედა ჰაერსა ქჳჱშე და ინოვაგეს და იამოვნეს, რათამცა განეგრძოთ სიცოცხლენი თჳსნი, გარნა არა უუტებს მათ მმჳფლებელნი, ეგრეთჳჱ დარგი ქოთნებითა ფსკერებთა შინა დარგულთა ნერგებთა მდელოთა ასფოდელოთა, შროშანთა და ფერად-ფერადთა ყჳავილოვანთა და სუნოვანთა და ფურცელოვანთა და იკანკლედიერებთა[4] ღეროთა, რტოაკთა ფურტთა, კუკუ-

რთა, ნეკერთა და ბუტკლენობათა და ბიბინებათა აწარმოებენ. რომელთა შინაგანი გრძნობანი ჰქონანთ და უფროსღა ლეღვთა და ვაზთა და ლიმონთა, რომელნი ჰყუარობენ ოცდაათთა გრადუსთა სიტფოსა და სიცხესა მზისასა, რომელნი უნჯაფანთა[5] ღუმელებთაგან კნინ ოდენ ტფებიან გამოცდილისა მემტილისა. მესაგო თხისა და მეაგარისაგან იგინიცა წარვესრულ იყუნენ თითოეულნი თჳსსა არესა შინა, გარნა არა ძალუძსთ, რომელნი დერგებითა და ქოთნებითა, კასრებით და პურებითა იყუანებიან დღისი გარე და ღამესა შინა (გარეგან) შინაგან უნჯაფოსა შინა. იხილეთ ზემო თითოეულთა ცხოველებთა ჰაერისა და ჭმელისა და ზღვსათა, უკეთუმცა აქუნდესთ. მიდმოება[6] მელანხოლიკა კაეშანი, ღაღადისითა აქუნდებოდათ უნებურებთა გალიებთა შინა. კრულთა და მესერ ზღუდეებთა შინა. პყრობილთა და უფროსღა ლომთა, სპილოთა, ვეფხუთა, ფოცხვერთა, ხვითქთა და ეგე ვითართა, რომელთა შუანი ე. ი. კბილნი რკინისა გალიაებრთა და ჯაჭვებთა ღრღნიან გამწარებულნი პყრობილებითა, პატიმრობითა, შებორკილებულნი. ეგრეთუჱ ორძილნი დაბმულნი დერგებთა, ქოთნებთა, კასრებთა და ქოცოებთა შინა, რომელთა ძალი დამაყენებელნი ზედასზედა კუჱთებიან გარდარეულისა ნეფხვაებისაგან და გარდამატებულისა უნჯაფისა ხორშაკისაგან ღუმელისა ე. ი. შეშისა, ცეცხლისაგან, უწყულვეთ ვითა კაცი მარტივ ცხოველობითა მსგავს ანგელოსთაა, ეგრეთვე რთული გრძნობიერ ცოცხლებითა მსგავს მშვინვერთა არს. ამად, სადაცა იშობების მუნცა მიიღებს ჰაერსა ფირტუსა შინა. ბუნებურ გასიებსა მყავესა, გინა ჰამახესა ანუ ნახშირიერსა ცივსა, გინა ცხელსა ანუ ორტაბაზსა[7] ე. ი. ვითარიცა ბურთი ქუჱშე ფერჳთა აქუნდეს. დუბედ ანუ მთად, ბორცვად, ჴევნებად, სერტყვებად, ბაღნარად, ტრამალად, ველად, მინდურად, ზეგანად, ზვარად, ვაკედ, გვერდობად, აღმართად, დაღმართად, ღელედ, სერად, ქედად, მდინარის პირად, ზღვისნაპირად, ქერთვისად, ჰალაკად, ტბად, სრუტად, გონიოდ, ჩანჩქერად, დანჩქერად, ჰავლებად, შთაჰავლებად, მიმოკანკლედად, და არედ, ხოლო ზემო თხვმით კერძ, რომელნიცა სარტყელნი იყუნენ, ტფილი, ცივ, გრილი, ცხელი და ორტაბასი. ეგრეთუჱ საჭმელნი, სასმელნი, საბლარდნელნი, ზეჯდომა, ქუჱმოკეცა, ენისა ჴმა. და ზნეობა, ფიზიკა. პოლიტიკა. ითიკა, ეკონომია, ბუნებითი, სჯული. სულიერი სჯული, სამოქალაქო სჯული და უბევრეულესნი ამოჳნებანი თავისუფალსა კაცსა მიზიდვენ თითოეულთა თჳსსა სფერასა ზედა მიმაღნიტებითარე, და უკეთუმცა არა იყოს ზეგარდამომოცემული ბუნება კაცთა შინა. არამცა გვედრი სივრცისათვის. არ შესლბეთ ურვეულობითა და თუ რაიმენი ლექსნი ძველნი სმენად მოიმძიმებდეს, ლექსიკონსა შინა იძიეთ. ამისთჳს გიმსხუჱრპლე ლექსი-

კონი, რამეთუ მსურს, რათა ძველნიცა ლექსნი და სახელდებანი მათნიცა უწყოდეთ. რომელნი ეკკლესიისა წერილებსა არა სადავე უპყრიესთ დასადგავე. არამედ აქუსთ ძალნი და მნიშვნელობა დიდ ფრიადნი, ვითარცა სლავიანურსა რუსთა ენასა ზედა მთხზუცლნი და მქადაგებელნი და მანიფესტისათვს და უქაზებისთვს, ღვთისმეტყველებისათჳს ფილასოფისა და რიტორებისა და ღრამმატიკისა დედად და საფუვრად და თჳედ და განმაცხოველებელად მოიხმენ და შემცველად მცირეთა შინა დიდთა.

დასასრულ შევამოკლებ, აჰა, კაცი ბარაკელი მოვიდა მოსწრაფებად ჩუენ, სადაცა ეკკლესიურ საჭიროდ აღმოვჩნდი. შემინდე სულო კეთილო, კეთილ თჳსებისა მექონო, რომელი სრბოლასა ეტლისასა უნეთაგან ეტლსა შინაცა გეხსენები მგზავრსა მაგას ჩრდილოეთით ივერიასა შინა და ცოცხლებდინ ყოვლისა მპყრობელისა ნიბასა შინა. სათნო და მის მხოლო მაღლისა, და შეგთხოვ ზედასზედა მამხიარულოთ კეთილამოვნებითა თქვენითა. დასასრულ ლოღიკამან სერგია ნიკიტიჩი[8] კეთილად განამხიარულა სულისა თჳსისა განმდრებად და ოსეფ იაკოლიჩი[9] სათვალებითა თჳსითა ეძიებს სიბერესა შინა (თჳსსა) სულისა თჳსისა განმდიდრებასა და სამეფონი სქესნი ჰკვრობენ უმაღლესისა სახლსა შინა. მდ. ასულისასა მოსრულნი როსნი კითხულობენ დიდ ფრიადისა გულსმოდგინებით და კმაყოფილებით. ეგრეთვე სხუა და სხუა სახლებში უჩვენებენ ესერა ქართველმან დათხზა ახალ ჰაბუკბან, გარნა თქვენ ნუ განლაღდებით. შაბათი კაცისათვს დაებადა და უფროსღა გონება სულისა არს მსგავსი ღვთისა ე. ი. ღვთისაგან არს მოცემული მარტივ უსხეულოსად.

იხილეთ და იგულვედ, ვითარცა უწყით ხარაკტირნი ჩემნი არავინ სალთონი ბრძენი საუკუნოსა სასყიდელისათჳს შეგონოხნდების ზეცად მ[illegible]ტელი ყოველსა წამისყოფასა შინა მომლოდინე განსვლისა, რათამცა ქვე დაბრუნდეს და შეეყოს ტიტულსა უალრესსა თვთვე მეძიებელი კაცისა კაცებითა და ხუასტაგებითა, რომელსა ოდესაც სოფელი აიძულებდის საჭიროებისათვს სხუათა ზედა დადგენად მაღალ ტიტულებითა მაშინ უუმეტეს ივლტის სიტყვისამებრ იესო ქრისტესსა, ვითარცა ბრძანებს რომელსა უნდეს თქვენ შორის დიდ ყოფა იყავნ მრწემ და მსახურ უკანასკნელობითა. აჰა, მე ასე აღმირჩევიეს.

არაბნი უნაყოფო სილასა ზედა არა დადგრომილ იყუნენ, და ეთიოპიისა ეკუატორსა ქუეშე მზისასა არა დანახშირებულ იყო. და თხრობისა მცხოვრებისათჳს პნერსა, იფქლისასა არა ეგოდრა ე. ი. არა განსიებოდა მუცელი და სავანეთი არა იტანჯებოდეს კლდესა შინა. ქერისა ქუმლითა და კავკასიელითა თავნი თჳსნი არა დაეტყუებინათ გალიაებთა შინა უნაყოფო მთებთა, ბორცვებთა, სალთა, ტინთა, კლ-

დეებთა, ღელეებთა, ჯეეებთა, ხერებთა, ქედებთა, ჯეეებთა, ბაღნართა. სერტყვებთა, კვრცხებთა, სოროებთა დარჯანთა და ეგე ვითართა დაარჩენილებთა ცალაპებთა ადგილებთა შინა შეიწროებით, რომელნი ზაფხულით ღუარებთაგან ზარდაცემულ არიან. ხოლო ზამთრივ ზვავებთაგან, რომელნი ივლტვიან ნაყოფერისა ბარისა, ე. ი. ღებე ვაკე ადგილებისაგან ეგრეთვე ცხროსა დაჯურებისაგან.

დასასრულ წეროնი, ღერღეტნი ე. ი. ბატნი არეობენ და ზამთრობენ და თევზნი რომელნიმე და კაცნიცა მინდურებისა შობითგან ჩვეულნი წარტრისა აჰა, პირისპირ ზემოთა ერნი, რომელნიცა სადაცა იშობილან წინაპარითურთ ხუცდრისამებრ ბურთისა ამის ზედა, მუნცა დამაღნიტებულ არიან, ვითარცა იხილვებიან პრაქტიკა საქმეებითა საჯელმწიფონი სამეფონი, სამთავრონი, სათავადონი, და ეგე ვითარნი, რომელთა თვსნი ხუთ სახედ გრძნობილნი მუნებურნი ხოჯიჰთაგან გარდაბეჭდულად და მუნ დაბმულ არიან თჳსისა ბუნებითი მაღნინტისაგან ზეგარდამო მუნებურთა სტიხებთაგან შობილნი მუნვე გებენ დასავლად, ხოლო თქვენ შობილნი იუცრიისა იტალიასა შინა და უფროსღა თუალსა შინა გიორგისა, რომელ არს ცრეთი ხორნაბუჯი. რომელ არს მქის იყო ე. ი. ქიზიყი ეგე არს ცერ კახი, ვითარცა კორინთე თვალი საბერძნეთისა სიტყვისაებრ ფილოსოფისისა სოკრატისა, ეგეცა თვალი საქართუცლოსა არს ვითარ მამაცობისა აბჯარ გმირობით მქის იყო.

ეგრეთუც უუმეტეს წ. ნინას განსვენებითა ქებულ არს, ვითარ რომთგან რომსა შინა დროსა პონპეისა ეგრეთუც უუმეტეს ბერძენთაგან ქრისტიანობითა, რომელნი არა მიათხოვებენ ასულთა თჳსთა მონათა ძეებთა, და არცაღა მიათხოვებენ ასულებთა თჳსთა მონათა ძეებთა, და არცაღა მიითხოვებენ მონათა ასულებთა, რომელთა ხარაკტირნი და ფიზიოგნომიანი სიყუარული ღვთისა და მონარხისა და ურთიერთ გარნა საწუხ არს, რომელ უწიგნობითა ბინმანდურ არიან. ძეო მამულისაო, იხილეთ რაცსცა გწერ, შესთხოვე მაღალსა, რათა მოგანიჭოს პირი დ სიბრძნე განმრავლებად ბინდებთა განმანათებელისა წიგნებისა.

მოიხსენეთ ოთხნი თქვენნი პუნკტნი მოსკოვსა შინა ათხუტმეტისა დღეებისა დაშთომისა მიზეზნი, რომელთაცა მწერთ. ეგეცა საქმენი თქვენდა კეთილ შესაძინელნი ყოფილან და მასპინძლობა მამა პარმენის, რომელ არს სულიერი შვილი ჩემი, და მქონან რაოდენნიმე ღვაწლნი მას ზედა კატეხიზმოსა სწავებითა და ჩემისა მოამაგისა ამბროსი მიტროპოლიტისა წინაშე წარდგენითა, და კურთხევითა მივსწერ მადლობასა, და უკეთუ ადრევე მესწრო მუნ მიწერა უწინარეს მისვლისა თქვენისა, მუნ ყოველნივე ჩინებულნი ხუასტაგებითა აღმტვი–

რთამდენ, ამად ურვეული ვიქმენ თქვენისა პიტაკისა შემდგომად. ამას მელოთხე გზივ გწერ ავთრათსა სამნი ავთრათნი სხუა და სხუა შიკრიკებისა ჴელითა წარმოგიგზავნე. წარვედ მშვიდობით მადლითა სასიერისათა და ანგელოსისა მისისა წინაძღომითა, რათამცა მისვიდეთ მამულად თქვენდა სიმშვიდითა და სიმდაბლითა ქრისტესითა და პირითა და სიბრძნითა წ. სახარებისათა და ძეებრ შიშითა და სიყუარულითა ღვთისათა და ყოვლისა ბიწისა, მწიკვლისა და ბოროტისადა სული გვრიობისა და ჴორცთ ვნებულებისა თავადთა ქრისტიანულისა, რათამცა ცოდვილთა გჳამებისაა და ვნებულთა და უშვერთა მოტარტარე ლალთა, ბილწთა, ლილზთა, კადნიერთა, წარმდებთა, ავზნეთა, და ხვანჯთა და სწავლისა უყვარულთა, ამპარტავანთა და ურჩთა თქვენ წინაშე დადგომად რცხვენოდესთ. თქვენთა აჴსითმა სიმართლეთა, სიწმიდეთა, პატიოსნებათა და ჰფარვიდენ თჳსსა ბიწიერებასა თქვენთა კეთილთაგან შევდემილთა, რათამცა მისცეთ სახე პატიოსნის და უმანკო სირცხვილისა თქვენი მლოცველი იონა მ. მ. მ.

## № 148

### 1827 წლის 0 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო იონა! უუმოწყალესო ჴელმწიფევ!

შემდგომად მიღებისა იმპერატორის ხარკოვის უნივერსიტეტის წევრთაგან (ვითარცა მოგახსენე ხარკოვიდამ მოწერილსა წიგნსა შინა), მეორესა დღესა შემდგომად შუადღისა, ჟამსა მეოთხესა იწყო დღესასწაულობა, სლობოდო უკრაინსკის ღიმნაზიასა შინა, ხარკოვის ქალაქსა. მუნ მომითანჴმეს უნივერსიტეტისათა, სადაცა პირველი მჴვრეტელი იყო ყოვლად ,სამღუდელო, მეორე რექტორი უნივერსიტეტისა ივან იაკოლიჩი კრონბერლი[1], ხოლო მე მამულისათჳს არა მიმსახურია და არცა ღირს ვარ ესოდენსა მათსა პატივისცემასა, რაოდენიცა რექტორმან ჩემზედ აჩუენა საშუალ საზოგადოობისა და სხუათაცა მუნ ჴმისა მქონებელთა: პირველად შესვლისა ჩემისა ზალასა შინა (საკრებულოსა), კარებთან მომეგება ინსპექტორი ღიმნაზიისა. მე ქვემო ყოველთასა მნებავდა ჯდომა, გარნა რექტორმან გარდამიყუანა და თჳსთან დამაჯდინა. საზოგადოობა იყო დიდ ფრიად მრავალი ორისავე სქესისა. თავადი ალექსანდრე რიფსიმასიც[2] მუნ მყოფობდა. დღესასწაულება ესე შესრულდა შემდგომითა ხატითა: პირველად იწყეს საამოს ჴმასა ზედა კონცერტი. ამის შემდგომ ერთმან მასწა-

ვლებელთაგანმან სთქუა შესხმა ლათინურსა ენასა ზედა სიყუარულისათვს მამულისა. სჯული ღვთისა, როსსიული რიტორიკა, ლათინური ენა, ბერძნული, ნემეცური და ფრანციცული, მათემატიკა, ისტორია, ღეოღრაფია, ფიზიკა, ჰკითხეს. დასასრულ მუზიკა გუასმინეს და ამასთან მიჰსცეს მოსწავლეთა რომელთამე ჯილდოდ მედალი და რომელთამე წიგნნი ატტესტატითა. უკანასკნელ მასწავლებელმან არტილლერიისა წარმოსთქუა და საჭიროება მჴედრობისა საქელმწიფოსა შინა. ამასთან იყო სასიამოვნო ჴმა გალობათა. ესრეთ შესრულდა საგანნი ამის დღესასწაულობისანი — ლოღიკა განჰყვეს სხუა და სხუა ჰსწავლად შინაგანად, გარეგანად და ბუნებითად, გამოცდილებითად ანუ ჴელოვნებითად და სხუად მრავლად. ლოღიკა არაოდეს განიყოფების. იგი არს ჰსწავლა გულისჴმისყოფისა. ხოლო გულისჴმისყოფა განიყოფების თჳსსა მოქმედებასა ზედა არა გარეგან, არამედ შინაგან ფორმაული არს. სხუანი მხილველნი კმაყოფილ იყუნენ და მეცა.

შესრულებისა შემდგომ რექტორი ადგა, თავი დაუკრა ყოვლად სამღვდელოსა, მე ჴელი გამომართუა და მკითხა: ვითარ (მოგეწონაო) გესიამოვნაო? მივუგე: „მადლობა ღმერთსა საკმაო კარგად“. ინსპექტორმან ღიმნაზიისაგან გთხოვა მუნვე მიღება თერმონიისა და სხუათა ყასმელებთა მიღება, გიახელით რა იგინი, რექტორმან წარმიყუანა კალასკითა სახლად თჳსად. მასთან ვიმეტყუელე ყოველივე საჭიროება მამულისა ჩვენისა, ჰსწავლისათჳს, სხუათა მრავალთა მოთხრობათა შორის, სხუათა შორის სიტყუათა მითხრა: ეცადე მამულისა შენისათჳს სარგებლად და სახელისა შენისა პატივად, რაჲსაცა ითხოვ, ყოველსავე აღგისრულებთო. მასწავლებელს უნივერსიტეტიდამ გამოგიგზავნითო, ფრიად მსთხოვა, მე საკუთრად მომწერდეო შენს წერილსა და ყოველთვის შეწევნასა შენსა ვიმეცადინებო აღსრულებად და დირექტორსაც მივჰსწეროო შენთჳს პირველს მისულაში, ოდეს წარიკითხა ფილოსოფია, მკითხეს სახელისა თქუენისათჳს განათლებული არსო ანუ სადა არსოო? მივუგე მათ: ნევსკის მონასტერის აკადემიაში სრულ ჰყო ჰსწავლა და ჰსცხოვრებს მათს უმაღლესობას დედოფალს მარიამისა თანა. მრავალნი თხზულებანი არიან მისნი, რომელნი სახელდებით მიუთხარ, რომელმანცა ფრიად მრავალნი მოქმედებანი აღმოაჩინა ჰსწავლისა ჩემისათჳს და განმაღვიძა სიყუარულსა ზედა მამულისასა. ნუ განმირისხდებით მას ზედა, რომელ არ სრულიად ქებასა გწერ ეგზემენიისასა, კარგი იყო, გარნა მე უკეთუ არა ვგრძნობდე შეცთომასა მათსა, არაოდეს არ ვიტყოდი. მამაო სულისა ჩემისაო! და მარადის მზრუნველო! ყოველივე დიდ ფრიად კეთილი, ყოველივე დიდ ფრიად წარმართება არს, გარნა სული ჩემი მწუხა-

რებს განშორებასა თქვენსა, და ჰგრძნობს არა სრულიად სიმრთელესა, ხარკოვიდამ გამოთხოებული გამოვედით ხუთშაბათს საღამოზედ.

მრავალს ადგილს გაგვიტყდა ბრიჩკა. თუმცა ჯერედ არ მაძლევდინ ნებასა გამოსვლისასა, მითხოვდნენ რაოდენსამე დღესა მუნ ყოფნასა, გარნა მიზეზნი წარუდგინე. დიდად მსურდა, რათა მგზავრობა ჩემი სრულვჰყო.

თქუენი მაღალ ღირსების სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი. ხარკოვიდამ გამოვლე ქალაქნი, ჩუგუევი და იზიუმი, ბახმუტი, ეკატერინოსლავი, როსტოვი და ნახჩევანი, სადაცა ახალნი, მდიდარნი სომეხნი კრიმიდამ გარდმოსახლებულან და ჰსცხოვრობენ უკეთილესად. კურთხეული ალექსანდრე პირველს[4] უსადგურია მუნ სამჯერ. სიმრთელე ჩემი ლოცვითა თქვენითა უკეთილესდების, გარნა ჯერეთ, ეგრეთვე არს, ვითა პეტერბურღსა შინა იყო, მიზეზი ხარკოვსა შინა დაუდგომლობისა არს: მრავალნი საქმენი, ქიზიყს წარსულა და უმეტესად მოსკოვიდამ მეუღლემან ღუბერნატორისამან[5] ტფილისს წარმატანა ავთრათი და წარსაგზავნი. ხოლო მე მოვიგვიანე. ეგრეთვე მოსკოვიდგან ჰსწავლულთაგან მოვიდოდა ტფილისს, ვიათრისამე აზრისა შეერთება და მათ უნდა პასუხი და სხვანი. გთხოვ სულისა ჩემისა მამაო ბრძენო. მახსენოთ ყოველთა პირთა თანა ადგილისა და დროჲსამებრ.

დოდაევი
წელსა 1827,
ივლისის 9 დღესა.

## № 149

### 1827 წლის 9 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი

უფალო დოდაევ სტეფანევ[1]! ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა ღირსვნი სულიერ ჰსწავლისა მოწაფეო სტეფანევ, შენსა მშვიდობასა შევთხოვ მაღალსა, ორკეცრძოვე მოწყალად პირისა და სიბრძნისა სათნოდ ღვთისა. ესერა შევთხოვ მიღებად შრომის დღეთა შინა კორცაელ უქმობისასა და შეჰსთხოვეთ ძმასა შენსა სოლომონს, რათა იცა მიიღო ავთრათნი ტფილი ჩემნი რაოდენნიცა არიან, დასრულებულსა ქარტებსა ზედა გარდაიწერე სახსოვრად ჩემდა და შენდა და ღდეს კეთილველად გარდაწერთ დაიცეთ საუნჯესა შინა, ვიდრემდის შეყოვლადეს უდიდეს ჯავთაგისა ე. ი. წირვის კონდაკისა და შეაკვრევინეთ მეყდესა, ვინ უწყის იქმნას სარგებელ წარმკითხველთა, რომელთა

შინა დაკარგულნი და დავიწყებულნი, მიფარულნი და გაუქმარებულნი ლექსნი არიან საჭირონი. სახმარნი და სარგებლიანნი, რათამცა ენისა ჩვენისა ქმანი განდიდნეს და დაწყვდიადებულნი რჯინოვანთა საუკუნებთა შინა ავაზაკთა სპარსთაგან, ბალანგარა თურქთაგან, მეკობრეთ ლეკთაგან და განძვინებულთა ოსიანთა შემოსვლათაგან და გარემოთა უბიბლიატიკო თემებთაგან.

გარნა აღასრულე თანამდებნი შენნი ჰსწავლისა, რათამცა არა წარწყმიდო ჟამები ჩემთა ავთრათებთა გარდაწერითა, არამედ გარდაჰსდევ რაოდენნიმე წენტილნი და ჟამნი გარდახატვისთვს, რათამცა ჰყო მოქმედებანი ბრძანებისაებრ წ. სახარებისა. ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატევებად.

იხილე და ეკრძალე განჰსჯითა სოლომონის ძმისა შენისათა და არა სადა თავით თვსით, რამეთუ ეგე არს საქებ მამულისა მოყუარეთაგან და უფროსღა ბრძენთაგან, რომელთაცა უხილავსთ გემო ფილოსოფიისა და უფროსღა მადლი ღვთისმეტყველებისა უსუამთა. დასასრულ ხშირადრე მომწერდე წიგნსა თანა სოლომონისსა, და მაცნობე წარმატება შენი და ნიჰნი რაოდენნი გქონან და რომელნი იხილე თავებთა ამათ შინა. სადთოთა (მათე თავ. 25 მუხ. 15, 16, რომაელთა თავი 12 მუხ. 6, 7, 8, კორ. 12. მუხ. 1, 8, 9, 10) და შესთხოვე სოლომონს, რათა გარდა სემინარიისა, თვთცა გასწავლოს ძალისაებრ შენისა და დატევნისა. აჰა, ფილოსოფია მაგისი მქუხარებს აქარე და მანდაცა იწყებს ქმობასა. მიიღე შრომა და მოაგონე სოლომონს, რათამცა ნამდვილი გამოჰსცნას. ე. ი. აქ არე მეფის ძე მეუღლითურთ, მითხრობენ, ჩვენი ასული ვარვარ[2] შენთვის ჰსჯულის კანონს აწერინებსო, რომელ ეგრეთ მწერსო ძალიან წარმოეგზავნიო მამა იონასათვის ჰსჯულის კანონს.

შენი წერილი მხოლოდ ერთ გზის მომიღეს. მხოლოდ წიგნებთა მწკრივები და ძმათა ჩემთა ანბავსა მოწერა.

იხილეთ! კატეხიზმო შეუთხზე სიყუარულისა კავშირად სოლომონს, იგი აღმოიკითხე ზედას ზედარე დიდ სარწმუნოებისა ქონებად სულსა შინა შენსა და დიდ ხსოვებისა და დიდ ფრიად სიყუარულისა ღუთისა მიმართ, რომლითაცა იცნობთ, არა თუ მხოლოდ ფილოსოფიურ ღმერთსა, არამედ უფროსღა ღვთისმეტყველურად გამოჰსცნობ ყოველთავე და ყოველსა და სრულიად და უკეთუ ჰსთნდეს ვიეთმე გარდაწერინეთ კეთილად მწერალთა, რათამცა მჳლეულნი მკონ მარადის სულიერი მას შინა და განმრავლდენ და არა ეგრეთ რომელნიმე დამხშველნი წიგნებისა, რომელნიცა არცა თვით აღმოიკითხვენ და მსურველთაცა არ აღმოაკითხვინებენ.

შენი მლოცველი მ. მ. იონა წელსა 1827 თთუესა ივლისის 9 დღესა

## № 150

## 1827 წლის 10 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერ ძეო ჩემო უფალო დოდაევ ს. იოანესო!

ქრისტე ღუთისამიერ საღმრთოთა ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო კეთილ სუფევად. აჰა, ესერა თქვენი ავთრათი პატაკი მამხიარულებელი ჩემი მივიღე ივნისის 20 დატკფრული ტულის ქალაქსა შინა. სააბჯროს მის ადგილისაგან წარმოცემული თთუესა მას ივლისისასა 4 ჰკვერასა ჰალაკსა სახლსა წინა აგარისსა ჟამისა სადილის სერისა ტაბლასაზე. რომლისათჳს შემეკითხა უმაღლესმან დ. ა. მარიამ ვითარება თქუენისა მგზავრობისა და შემდგომ მითხრობით მოხსენებისა ვანახარა სიმრთელე თქვენი და მიბრძანა უკეთუმცა ალექსანდე დადიანოვის[1] მორასვლა მოვიცადო კალიასკას უბოძებდიო. მე ჩაღლობა მივართვი თქვენდამო კეთილ მოწლეობისათჳს, გარნა ეტლი იგი, რომლითაცა მოვიდა მაღალბრწყინვალე კნინღა ერთბამად შემოუსვროდა მივლის და ეგრეთვე დანაშთნი სოლნი ფერსონი, მორგუნღ, მუხნარნი, საკიდელნი რკინანი ნერჩისა იველნი რომელსა ზედა მდებარე არს გუამი სახლაკი კასრი გინა საჯდომი ეგრეთვე ბანი, ჰერი მკარი თხემით კერძ. ეგსახედვე ნატა ტარსიკონი, მოგუნი, ტყავნი, ჰანჳიკნი, ხრახდილნი, ბულიღნი, რათურთით, კერძოკთა კერძოთა, ნაწილაკებთა და ნაწილებთა და სვლებითა ყოვლადიცა ნაკვეთებად შესცლოდა გაუკეთებლობისა ძლით. რომელი ეგრეთ ძუძლ არს. რომლისა გარდაკეთება გარდაახლებასა ზედა უმეტესი ხვასტაგი წარეგების, რაოდენიცა ღირსი აქუს. ამად ეგე ეტლი უუმჯობეს არს თქვენთჳს, თუმცა ორგზის შემთხვევის კერძოკთა ვნებანი, გარნა არა ყოვლადსა გუამსა მაგა შენისა სახლაკ სამგზავრო ესტეტიკურ ჴელოვნებითი ვასრაკსა ღრუდოიანსა საჯდომსა. ღრუსა სპარაზენსა, სადგომსა, რომლისა გარდაკეთებასა მომითხრობთ კუჰითა ე. ი. მელნითა ელლინურ ქარტასა ზედა ე. ი. კაბადონსაზე.

კუალადცა მითხრობთ პაექრობათა ესტეტიკურთა, თეორეტიკულთა და უფროსღა პრაქტიკულთა შენებულებათა, ზღუდეთა, გოდოლთა, გალავანთა, კოშკთა, სახლებთა, სრათა, ხაღანათა, ჩოდოლოთა, მენათა, ძგიდეთა, სართულთა უბნებისა, შუკებისა, ურავაარაკებისა, ფოლოცებისა მებოძირებისა, ბოსელთა, სამროწლეთა, საარაკეთა, სარემეთა, საკოლტეთა, ქვაფენილთა, გზათა ფიცრიერთა, კიდიერთა და დანაყილთა გზათა ფოლოც, (და დანაყილთა) ბარათი ე. ი. თქუა აგურ და სილანარევთა ვაკე წყლტუ გზესა მთათა დავა-

კეპულთა და ჴევნებთა გაბითუმებულთა მიერ და მიერ სეიერთა ჩრდილოვან ბორბნებიანსა ბუტკებიანსა ვარჯოვან კვეცილთა ბიბინეულთა მოლთა შროშნიელთა.

ეგერა, თჳთვე უწყით იესტეტიკურ სამ სახედ გულისხმიერი განსჯა ე. ი. ნივთებთა ბუნებანი მეორედ ჴელოვნებანი, ჴელოსნობა და ეედობა, თუ რომლისა ბუნებისა ნივთნი რომლითა ჴელოვნებითა დაიმწყსებიან სამნი მმუფლებელნი, ცხოველნი, ორძილნი და მეტალნი, და მიწანი, ღრიღლოვანი ღვარჭნილნი, კაპანნი, პარეხნი, ხირხატნი, კორუნი, პარტახტნი, ნაოშნი, ანეულნი, აბეჩხარნი (და აგარაკნი ელლინურ) ალმართნი დალმართნი, მრუმენი ოღროჩოღრონი, და წყაროებთა გამოსადინელნი ღრუდოები და სოლინარნი და ჭელებთა შთაჭავლებანი შვენიერ, და რუებთა თხრილებთა ღარებთა და ისარნებთა შინა იკანკლედობანი მათნი, რაოდენ გონიოდ, მდორედ და ნჩქერად რაოდენ ბუნებითა, ეგოდენ ჴელოვნებითაცა, ვითარცა იხილვენ ზღუა ტიბერიისა და კონსტანტინეპოლისა, ზღუანი ორნი ჴელოვნებით შეყოფილნი. ეგრეთვე დ. პეტრესაგან მდინარენი განმამდიდრებელად ტბეებითაგან თემებში წარყუანილნი. რომელთა კბოდე ნაპირებსა ზედა ცხენნი ქედებითა აცურებენ ვარცლებსა, ნავებსა, ბოძებსა, ტივებსა და ეგე ვითართა დატჳრთულებსა განსაფრდელად მიერ მუნ, რომლისა ჴელოვნებასა პეტრეღოფისაცა დაამტკიცებს. მესამე პოლეტიკური იესტეტიკაა ფერად ფერადნი შეჭიერებანი დაწესებისამებრ უმაღლესისა. მსაჯულთა წესიერება, რიგნი სამოსნი განმასხუავებელნი ნიშანთ ნიშნები, ეგრეთვე ჯართა მწკრივნი აბჯარნი თურგანნი, ქუჩმეხნი ე. ი. ზარბაზანნი ცეცხლ სასროლნი ღენთთა და პრპენთა ნაქვთიერება, მურკლობა ე. ი. მგრგუალობა, ირიბობა, სამკუთხობა, ოთხკუთხობა, რვაკუთხობა, სივრცე, სიგანე, სიმაღლე, და სიღრმენი მოჴელოვნებულთა სხეულებთა ნივთთა. მაშასადამე, იესტეტიკა შეისმინების ბუნებასა ზედა 1. და 2. ჴელოვნებაებთაზე და პოლეტიკურ წესდებაებსა ზედა. დასასრულ ვაჭრობა ე. ი. განფრდა და მოფრდა სიმდიდრეა სასუფეველსა შინა ვითა ბრძანებს სამჯავროსა შინა გულისა და თირკმელთა განმკითხველი სასუფევლისა მოვაჭრებასა ექვს სახედ განფრიდითა და მოფრდითა (მატთ. 25 მუხლ. 30) იხილეთ, უკეთუ საუკუნო ცხოვრებისა მოგება ვაჭრობით არს. ჟამიერიცა ვაჭრობითვე არს. აჰა, უკეთუმცა კავკასიელთა უწყოდენ ვაჭრობა, არამცა ჴვრელებთა და პარეხებთა შინაგან იმალვოდენ, მსგავსად კუთა და უფროსღა ავაზაკთა, რომელთა ხარაკტირნი მგლისა გაიბუნებითეს და პოცხვერისა, რომელსა ძულს კაცი და უყუარს სისხლი კაცისა, რომელი უკვეთების და გამოსწოვს. ვინცა თჳსისა სიბრძნისა ლოღიკითა შეემეცნების და გამოსცნობს

კნინლა და კორციელნი ვაჭრობანიცა მსახურებენ სჯულსა საღმრთოსა ე. ი. ხშირადრე ლამიან, რომელნიმე თემნი სხუათა თემებთა შერკინებასა, გარნა განმზრახნი კეთილად განსჯიან, უკეთუ განგრძელდესო სისხლებთა დანთხევა ვაჭრობანი დაეცემიანო, და მკ[illegible] გლახაკობა, საჭიროთაცა უპოვარება განმრავლდებიანო და შიგვე დასუფტება და დაცემა და ურთიერთ კადრებენ დესპანთა და მშვიდობით მოიკითხუენ, მაშასადამე, ვაჭრობა კავშირი კეთილისა ერისა ერთი ერთისადმი და გაცვლითი ვახხნი, ვითარცა სოფლელნი განაძღობენ ქალაქებსა პურითა და ღვინითა, სასხნილოთი და სამარხოთი, ეგრეთვე ქალაქები შემოსენ საბლარდნელებითა, ეგსახედვე მეტალლიტონნი ვერცხლნი, ოქრონი, ჴმელთა ზედა მორონინებენ საგზაო საგზლობითა. ღამე მუშაკობანი არა დასცხრებიან, რომელთა ბაძე გუაჯიობითა ავაზაკნი, შეკობრენი, ქურდნი მპარავნი, მტაცებელნი, [illegible]დიერნი, მკრეხელნი, მძარცველნი, ხოჩონი, აბუჩაკნი, ზარმაცნი, მცონარნი, კაეშნიანნი, მოშურნენი, მოძულენი, მთვრალნი, ლირწნი, სილოდნიანნი, მემორიონენნი, მემარმენიონნი, მოგვნი, მისანნი, გრძნეულნი, ქილიკნი, მზუცლავნი, ფლიდნი, ტრელნი, ლიზღნი, მოტალენი, მოძილენი, და ეგე ვითარნი ოდეს მოიქცნენ და ისწაონ კეთილ ვაჭრობა მამულისა წევრ იქმნებიან თჳსისა საკუთარისა პირისა ოფლებითა ამიერვე ცხონებულნი, ამად მადლობს ევროპა ! ამთავე მკარეებთა და ნაწილებთა ზედა. და აქვსთ სიბრძნითა ვაჭრობა, და ვაჭრობითა სიმდიდრე, და სიმდიდრითა ბიბლიატიკანი და ტეფოღრაფ, რომელნი ზაფხულთა შინა ვაშლთა, ლეღვთა, ვაზთა, ბაბილოთა და დასხმულთა ხეებთა ქვეშე განისვენებენ და დაიძინებენ უშიშრად, ვითარცა დროსა სოლომონისასა, ისრაელნი ათორმეტნი ტომები იყუნეს განსუცნებულ თითოეულნი თჳსთა ნერგებთა ქვეშე მოლთა ზედა შრომნებიანთა. იცულეთ მწერთ უგანათლებულესთა ი. ო. თ. კეთილ მოწლეობით აღსაგზლებისა უკეთუ წიგნებთა მიწერა მეწრო უმეტესსა გულითადობასა განიხილვებდენ, გარნა არა ვუწყი არს. დ. და არხ. ათ. ვითარ ვგისტუმრესთ, აჰა წარტრისა ყამისა, მეფის ძე გაუცილებიხართ. მე თითოეულთა ძნობითი და სახაობითი მადლობისა მიწერასა ვლამი თქვენ ძლით, გარნა დავიყენე ძ ფლისით წიგნისა უსტარისა წარმოცემადმდე მე თითოეულთა ესე მეოთხე გზით ვმსხუერპლი მადლობასა ნაცვალ გვამობით სულო კეთილო და კეთილისა თჳსებისაო.

აჰა, ესერა მაღალსა უუმაღლესი თჳსება ე. ი. სიყუარული აქუს ჩვენდამო, რომელმან გარდარია ცოდვათა სოფლისათა და მოსცა ჯუარსა ზედა ძე თჳისი გარდამეტებულისა სიყუარულითა ღმერთმამან, რომელი ორობათა უკვირსთ, გარნა საღმრთო სიყუარულსა

არა რაჲ რცხვენის, რომელი მართლმსაჯულებისა თვისებასაც სიყუარულსავე ზედა დამოჰკიდებს, ამად მოკვდავისა კორცისა მიღებაცა არა რიდა, მხოლოდ შიშილსა თჳთ ჯუარითა სიკუდილიცა არა სირცხვილად შერაცხა პიროვანისა სიტყვისა თჳსისა, არამედ სიყუარულითა საყუარელი ძე თჳსი კაცთა სიყუარულისათჳს და დაკვლა, რათამცა კაცისა არსება და ბუნება აცხონოს თჳსთანა თჳნიერ ოხჭანისა.

ხედავთა განმჰპურებტი მეფე სულისა გონებითა, რომელ ხატად დაბადებულსა კაცსა თჳნიერ სიყუარულისა უმაღლესი თჳსება არარა აქუს ურთიერთისა მიმართ დაკავშირებად სათნოდ მყოფისა ღვთისა, ამად დიდ ფრიად შინაგანისა კაცითა გმადლო სიყუარულო მე ესე სიყუარული შენი ვამრავლებ ვედრებასა, შეთხოვასა, ლოცვასა ყურისადმი, რათამცა მოგანიჭოს პირი და სიბრძნე და ძალნი ფერად ფერადნი სიმართლითა და სიმრთელითა ფსალმუნისაებრ, რათამცა მრავალთა წელთა შინა ბევრეულნი საუნჯენი განამრავლო, რომლებითა ქამიერნიცა შეგეძინებიან და აღასრულოთ ვედრნიცა ჩემნი, რომელნი დაწერილ არიან თქვენისა ახალ ჰაბუკობასა კატეხიზმოს შეყუარილება შესავლად იდეაებად ჩემდა და თქვენდა. აჰა, მე რომელ შინაგანისა კაცითა შეპირვებულ ვიყავ და გარეგან განკაფულ და ამჴმარ გასტუმრებისა თქვენისა მომზადებისათჳს, აჰა, ესერა აწჳეემან უკანასკნელმან მოსკოვით მოწერილმან წიგნმან განმაცხოველა, ხოლო ტულით მოწერილმან ერთბამად განმაცოცხლა, რომელსა მომითხრობენ მხიარულებამან განგანედლაო ე. ი. თქვენმან წიგნემან და მშვიდობით სძლევდეთ ხელო კეთილო სიყუარულითა ვეირვეინოსანო ი. მ. მ.

იხილეთ, ვითარცა თქვენნი პიტაკნი, გინა უსტარნი, ავთრათნი, ჩემდა სალბუნნი ემპლასტრო და უფროსღა ნექტარნი არიან და დიადი სიყუარულია, ეგრეთვე ჩემნი ქარტანიცა გალანამიცა გალანამცა თქვენ ეგერა ახლის ბრძნისა იქმნების. ამად ძველთა ლექსებთა წინაპართა ჩვენთასა გწერ, რათამცა ლექსიკონნი განეცოცხლოთ ნახევარ მკუდარსა ენასა ჩვენსა შერევნილსა უუსაჭყალობელეს ბაბილოვნელთასა. რომელთა გოდოლი ვერღა აღაშენეს, ადამ ცრემლოვან მეტყველი ესრეთ-ვინღა გამომიყუანოს მე. უკანასკნელ სახოვანისა მოგმობისა წიგნითა ობლად დაშთომილი ესე, რომელსა მეც ვერღარ ვაძლევ შეწევნასა ძღლანდელებსა, საკივისა გამო ვასხებისა“.

მოიხსენეთ გულვებით და მომწერეთ უფლისა ანდრონიკოვის იოანეს[2] და მემცხედრისა მისისა ვითარებანი ჩემთა მათ მოწადეთანი ვითარებითურთ, თუ ვითარ სცხოვრებენ, ეგრეთვე ძმათა ჩემთა და სახლეულთაი და ძეთა და ასულთა მათთა რიცხუნი და წელნი და ნაკლულევანება და ქონებანი მათნი დაწვლილებით ინებეთ მოწე-

რა მუნ სახლად მათდა მისვლითა და აყვედრეთ ურჩებანი მათნი ჩემდა მომართნი და ღმერთი მშვიდობისა იყავნ თქვენ ყოველთა თანა. ესერა მეოთხედ გწერ თქვენი მლოცველი იონა მ. მ. დღე და ღამე. წელსა 1827. ივლის 10.

## № 151

### 1827 წლის ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერ ძეო ჩემო სოლომონ იოანიჩ! ქრისტე ღვთისა მიერ სალთოთა ლოცვათა მოვრთმევლობ თქვენდამო.

აჰა, სიმართლესა, სიმრთელესა და უმანკოებასა თქვენდა მომართ შევსთხოვ მაღალსა, რათამცა მოგანიჭოს კაცთმოყუარემან და მოგცეს პირი და სიბრძნე უოხჭნო.

ესერა მეხუთე ავთრატი თქვენი მოვიღე ხარკოვითცა და ვსცან ყოველნივე დატკფრულნი უსტარითა თქვენითა მანანა ზეციური და გოლი ბაგეთა თქუენთა, რომელნი მოსწვეთან პირთაგან თქვენთა ამოვნებად სულისა ჩემისა გონებისა, გულხმებისა, სურვილისა და ნებისა ჩემისა სანებურნი თქვენნი ჩემდამო და ჩემნიცა ფლობა. ე. ი. თავისუფლება, ნება და გულითადობა თქვენდამო — იხილეთ თქვენი მიღება სიბრძნისა ნაჩალნიკებთაგან ე. ი. თაონ მათაგან არათუ სიხარული ჩემდამი არამედ უუმეტეს აღსავლობითი სულისა ჩემისა მხიარულებაა, ხოლო თქვენზედა ზეგარდამო მადლია, რომელსა თეორეტიკა თქვენი, პრაქტიკა წარგიძღუად, გინა მხრობელ მქადაგებელად, ვითარცა საღთო ეკკლესიასტე დაგვიმტკიცებს, რომელ სიტყუანი ბრძენთათანი მსგავს ერქუნისა სავვეთილ არიანო, რომელი განფენილებასა მიწისასა დაამორნატებს აღმოცენებად იფქლთა და ყოველთა მარცუალთა გამოღებად ნაყოფებსა და ზე დართავს გუსმარი გამჭვალით განეწონებიანო, ეგრეთუე სიტყუანი ბრძენთანი ყურისა გრძნობაებთა შინაგან, რომელთაცა გარდაიტანენ სულები იდეაებრ ზრახუად, მარად ძი უკუნისამდე და ესე ვვითარისა სახითა ლოღიკაზან თქვენმან რეკტორი და ინსპექტორი აღტაცებულებისა მხიარულებითა პირისა შენისა ამბორებად აღატრფო სიბრძნისა ალითა და ნიშანთ ნიშატებისა სიყუარული უჩვენებიათ თქვენთვს პირსაზედა კოცნითა, ეგრეთვე ერთბამად პრაფესორთა, რომელმან დიდსა მას იმპერიისა ენასა თვსსა ზედა შეუთხზეთ სიბრძნე მაღალი ვითარცა სწამებს ფჩელაცა ე. ი. ფუტკროვანი ქარტა ესე ვითარისა ზეგარდა-

მო მადლითა და ნიჭებითი უჩინო ივერიაცა აღიდე ჭეშმარიტო ძეო მამულისაო, რომელი ქუეყანასა ზედა მიუკუნისამდე ცოცხალ იქმ-ნები.

მოიხსენეთ, რაოდენნიცა მაღალთაგან მდაბალთა ზედა იხილოთ სიტყუანი, საქმენი მიღება და ბუნება და პოეტიკა კეთილნი თქვენცა კუალსა დიდისა ამის იმპერიისასა შეუდეგით ალერსსა, ბოდიშსა, რგებასა, მიღებასა და გაცილებასა ზეგარდამო სიყუარულითა და ასწავე ახალნერგთა, რათა მაღალთა პირზე მკოცნელთა თვთ აკოცონ ზარჯუნესა მკარსა ზედა. ანუ მოწყალებიანებიანსა ჴელსა ზედა. და უსწრან თავი მოდრეკით ქუდაკდილთა ამბორება და სიმდაბლითა ჭვემო ჯდომა და მრავალ ბევრეულებთა სმენა და თვთ მცირედ მეტ-ყუელება მხოლოდ თანამდებობისა თჳსისა, ვიდრე ხარისხებადმდე ტკქისაებრ მეტყველება და გზასა ზედა მარჯულ აქცევა გზისა ფო-ლოცთა უბნებთა და შუკებთა საშუალ და ჟამსა პურობისასა სახლის პატრონის და პატრონასი და მეუფროსეთა ამბორება და ჭურეტა პირებთა ზედა. რომელნი სულებისა სარკმელ არიან პირნი ე. ი. ბა-გენი, ხოლო ერთბამად პირი კანკელია, რომელი უმანკო სირცხვი-ლისაგან გაწითნების და შიშის მწუხარებისაგან განყვითნების და რაულადცა სჳნდისნი და გონებანი და გულისხმებანი აქვნდესთ კა-ცად კაცადთა, ეგრეთცა ფერად ფერადთა ხარაკტირნი ფისოგნო-მიანნი ე. ი. ნიშანთ ნიშატებნი გამოეხატებიან, ვითარ მტირალსა ცრემლნი და მოცინარს კასკასნი. ეგრეთვე ჯერ არს მოხარულთა თანა კანონიერნი სიხარული და მტირალთა თანა წესიერი ტირილი, ვი-თარცა სჯულიცა ბრძანებს და შეწევნა ურთიერთ სიტყვთ საქმეე-ბითურთ და უფროსღა სიყუარული ურთიერთისა მიმართ, რომლი-თაცა სჯული აღესრულების და ყოველნივე კეთილნი განმრავლდე-ბიან ერთ მხოლო ქვეშევრდომთა შორის. რომელნი ურთიერთ წევრ ვართ. ვითარ ბუნებითად უმეტეს მეორე შობითა და მესამედცა ვართ ცხებულ მონარხობითად. ეგრეთვე ასწავეთ ეკკლესიასა შინა სლვა და სმენა საღთო სახარებისა და სამოციქულოისა და ქადაგებისა, და შეჰკითხეთ რომლისა მახარებელისა და მოციქულისა წარიკითხა მართლმადიდებელმან ეკკლესიამან და სახელმწიფო პარაკლისისა სა-ხარება და სამოციქულო, რომელნი წარიკითხეს. აჰა, რომელთაცა ნამდვლნი მოგიგონ იგინი ძენი ღვთისანი არიან და მონა მონარხისა, ხოლო რომელთაცა ვერ გიგონ ჭეშმარიტი იგინი შეისწავეთ, თუ ბოროტ ჴელოვან იყუნენ დღეთაცა შინა კვირიაკებისა და საუფლო დღესასწაულებთა და სახელმწიფოთა ტაბლიცებთა.

იხილეთ თქვენ ლოცუამან და თვთ სნეულებისა ჟამებისა მო-ხარულობამან და სანთლისა ნათებამან ხატებთა წინაშე მოგანიჭეს

კურსისა შესრულება და შორჩილებამან მოძღურისა სულიერისა და შასწავლელთამან და კეთილმან შიშმან ნაჩალნიკებთამან მოგანიჭეს ეგე ვითარნი, რომელნი იმპერიისა ბრძენთაცა უკვრსთ. მაშასადამე თავი თქვენი ზედას ზედარე სახედ მიეცით მოსწავლეთა, ვითარცა წ. მ. პავლე თავსა თჳსსა ყოველთა ეპისტოლებთა შინა სახედ და მაგალითად გვიჩვენებს მოძღურებათა შინა თჳსსა. იხილეთ პირისპირ შრანდისა ტაროსისა და ტკფებისა უფიცხოლისა ხორშაკისა. აჰა, ესერა აწინდელისა ესე ტაროსია ფრიად ქარნოტიონი მძამე, ჰაერი და ჩრდილოეთითგან მბერავი (ადრეული) ქარი. (უმანკო) აეროელი ქარი ცივი, უმანკო. ცაჲ ხშირად ღრუბლიერი, ჟამ ჟამ უსწორო ხორშაკისა ხვატითა ქუხილნიცა არიან და წვიმან ევრნი და ამაღლება წყლისა საშიშრად. თიბულნი გვანად ჴმების მინდვრებსა ზედა სამხრეთისა და დასავლეთისა ქარ ნიავნი იშვეთობენ, რომელნი მარგე არიან სიტფო სიგრილითა, არამედ მრავლდებიან ჩრდილო აღმოსავლისა, რომელნი ცივ და მავნებელ არიან, რომელთა მთვარეცა ღამე ანოტიაებს, გარნა კურთხეულ არს კაცთმოყუარე მაღალ კეთილი, რომელმან ყოველნივე სტიხნი და პლანეტნი მსახურად ჩვენდა დაამკჳდრა დაწყებასა ივნისისსა მოსავალსა აქებენ დიდად მადლობა სახიერისა, ყოველნივე კეთილად მომხსენებელ ბრძანდებიან თქვენნი და მეცა მილოცენ ფჩელისა[1] შემდგომ უმეტეს თქვენისა ლოღიკისა ვაშა, ვაშასა თქვენ ძლით.

თქვენი მლოცველი იონა მ. მ. წელსა 1827.

იხილეთ ვსწერ სიყუარულთარე სიყუქრულსა, რათამცა ზედა ზედა მახაროთ თქვენი უუძვირფასესი სიმრთელე და მიღება. საგანსა შინა. მომწეროთ თქვენი და ჩემის ძმებისა და შვილთა მათთა რიცხვნი, წელნი და ვითარება და ბრწყინვალეს თავადის იოანეს[2] ამბავიცა მომწერეთ და ცოცხლებ სუფევდეთ.

### № 152

### (1827 წ. ივლისის) წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სვმეონისადმი

ყოვლად პატიოსანო ღირსო მამაო, წმიდაო საღთოსა ამბორებასა მომრთმევლობ, თქუენდამო ქრისტე ღუთისა მიერ მღუდელ ღუთისა მაღლისა მესსხურპლეო სვმეონ!

მამაო წმიდაო ესერა თქვენი პიტაკი ავთრათი ქარტა კაბადონი ივნისის 22 სა დაწერილი მოვიღე ივლისის 3 სა, რომელი აღმოვიკითხე რა მესამე ტეეპი, სადაც ვპოვე მუნ ტრაქონსა შინა ივნისის

ნ სა, რომელი მაკურთხო უნეტარესმან. აჰა, მყის ავხლტი აღმართებითარე აღტაცებისა არა თუ სიხარულითა, არამედ ვიდ ფრიადსა აღსავლობისა მხიარულებითა და დავარდი მუკლებ მოდრეკით ქვეყანასა ზედა შუბლითა დამდებელი. პირველი ნადიდობა, ქება, დიდება შეუსწორე ღმერთსა მამასა და მეორე მხოლოდ შობილსა სიტყუაძესა მისსა, და მესამე სულსა წმიდასა მამისაგან გამომავალსა, რომელთა არსება ერთ მხოლო ღმრთაებაა, ევრეთვე მარად დაუსაბამო მყოფობა და ძლიერება ერთ მხოლოა, რომელსა განვიმხიარულდა და სული სრწმუნოებითა, და განმამტკიცა სასოებითა. და აღუტყინა სიყუარულითა მაარსისა მიმართ. და ესე ვითარისა მხიარულებითა სულმან ჩემმან შესძრა ქალაქი თჳსი და შეამჭიდროვა ნაწევარნი და აღაბრძოლა გული და განეხუნეს თუალთა ჩემთა კიდობნთა და (სულისა მხიარულებისა) გუშვათა საქანელნი და იწყორეს ცრემლთა მახარობელთა მეფე სულისა მხიარულებისა ნიშანთ ნიშატებმან, და ესე ვითარისა საღთო სახითა შეუსწორე ლოცვა, ვედრება მადლობელმან სამ ერთა არსებისაგან. მოიხსენეთ მამათ წმიდათ სჳმონ!. რომელი დღესა შინა თჳსსა წმიდისა მღუდელ მოწამისა დოროთესსა მღუდელად ჴელთდასხმულ ხართ. აჰა, შეუთხოვეთ სულსა ყოვლად წმიდასა ნუგეშინის მცემელსა, რომელმან სამეოცდა ათთა შორის აღერიცხა, რათამცა მოგანიჭოს პირი და სიბრძნე და ძალი სამეოცდა ათთა მათ მოციქულთი და უფროსღა თანა ხუცობა თავისა მის მოციქულისა რათამცა დამწყსო კრავნი ახალ ნერგნი ეგზარხისა, და ცხოვარნი ასაკ სრულნი და ერნი წინადაცა კეთილნიცა ტომიკელნი მსახურნი მშვინვიერისა კაცისა წინასწარნიცა მოვიხსენო წ. სახარებისა უფლის ქვეშე ტაბილისა ამებით. სუბუქისა ტვირთისა და შესმისა მათ სამოსელი ახლისა აღთქმისა მადლისა და ძველისა აღთქმისა მადლისა და ძველისა ჰსჯული, რომელ არს ათნი ნაკვეთნი საღთო მცნება, სიმდაბლითა და სიმშვიდითა ქრისტესითა და გარდაცემულთა მწუხარებათაცა ეჩვენო მთიებ საჩინოდ სახარებისა მადლითა და ხატებითა. რათამცა თქუენთა კეთილთა საქმეთაგან შეიქმნენ მონ და კეთილ წინაშე უფალსა მოვან მეფობასა მოსარავად შეგიდევნენ ღვთისა შიშითა და სიბრძნისა განმტკიცებელსა და თქვენთა კეთილთა ყოფაქცევათაგან, ყოველთა ღაღადითა რცხვენოდისთ და ეშინოდესთცა. მამაო წმიდაო აჰა, დაუსაბამოდ იყოდა წინასწარეე სულისა დამადებისა ღმერთმან სულისა შენისაგან. ძიება. რეგა და შეთხოვნა მღუდელობისა და იპოა და განგიღო კარი წყალობისა და მოგანიჭა მთხოველსა. ესერა მირითგან იქონიეთ შეგობრად თქვენდა წმიდანი მომქალნი ანგელოსნი და ყოველნი წმიდანი სათაურონი და მათთანავე წარჩინებულ ეპისკოპოსი, რათა აშიერ ზნეო-

ბისავან ოდეს განხვიდე მუნ მეოხთა მათ თჳსთანა წარგადგინონ წი-
ნაშე ღვთისა მიერითგან სამთა მათ საცვფროთ მგონებელი ა, სიკვ-
დილისა სინანულით აღსრულებისა ბ. და სასუფეველსა შინა აღსვ-
ლასა მუნ ბაგეებითა შეწირვად იერარხებთა თანა სამწიდაობისა ვა-
ლობისა თჳნიერ ოხჳნისა, რათამცა იხილო იგი, რომელი თუალთა
თქუენთა არილა უხილავსა და ისმინოთ, რომელნი ჯერეთ არ გსმენი-
ესთ და გულისხმა ჰყოთ იგი, რომელსა არა მიღმომგონებდით კრეტ
საბმელისა. ძლით კორცისა და სოფლისა მარილიან მწარე ზღვიან
ბოროტსა ზედა მდგომარისა მოიხსენეთ მღუდელობა განვმარტე კა-
ტიხიზმოსა შინა, რომელსა იხილავთ უკეთუ ენებოს ღმერთსა სურ-
ვილისაებრ თქვენისა. აჰა, მღუდელი გამღრთობელია მადლით. პირ-
ველად თავისა თჳსისა. და ეგრეთვე რწმუნებულისა ერისა შვიდ
სიდუმლობითარე და ღირსთა მიმცემი საძოვარისა ეკკლესიასა შინა.
ძველის და ახლისა აღთქმაებისა და ქადაგებისა და წმიდათა მამათა
წერილებისა სეფისკვერისა კურთხეულისა პურისა ზეთისა, ღვინოსა
არტენისა ე. ი. პასექიერისა ქუჩზა პურისა, აიაზმისა, განცხადებისა
წყლისა, წმიდათა ხატთა ძლისა, ჯუარისა, და ნაწილებთა ნობანისაუა
კურთხეულისა ზეთისა ცხებითა განთიად შუადღე, მიმწუხრი, შუაღამ
ერისა შეკრებულისა ტაძარსა შინა ღვთისასა. რათამცა წმიდა მღუ-
დელობითა, თვისითა მღუდელმან წმიდა ჰყოს ერი მოგებული პა-
ტიოსნისა სისხლითა, და ცოდვათა დამტევებელნი მონანიელნი აზია-
როს საიდუმლოსა. ხოლო ურჩნი განაგოს ზიარებისაგან და მონანულ-
ნი განმხადოს კარისა ბჭესა შინა დგომითა, რათა არა წარწყმდეს
მღუდელი განმამსუბუქებელი კანონებისა მდიდართა დიდად ცოდ-
ვილთა და დამძიმებელი კანონებისა გლახაკთა ცოდვილთა და არა
მწრუნველი სამწყსოსი, მღუდელი მსგავსად ქრისტე ღუთისა არა
დამდები სულისა თჳსისა რწმუნებულთათჳს, არამედ მხოლოდ მრის-
ხველი მატყლთა სძეთა, ერბოთა, ყველთა, ათეულებისა მოკუფხე-
ლით მიმხუცველი საუკუნოდ წარწყმდებისა, ხოლო თქუენ მამაო
წმიდაო განძლიერდით მადლითა იესო ქრისტესითა და სიმართლითა
სიწმიდითა და უმანკოებისა მწყემსობითა, იმღუდელეთ წინაშე ღვთი-
სა მსხუერპლისა შეწირვითა ყოველთა მართლმადიდებელთათჳს
მეოხად, რათა ცაჲ გარკალებული წვიმიერი იქმნას და ჰაერი საშ-
შვიენელი ჩვენი კეთილშეზავებული და ქვეყანა ნაყოფ გამომღებელ
და უკუნ იქცენ სენნი, ჭირნი, ცხრო კურვება, ძვნი, მკალნი მკეცნი,
და მტერნი და მახვილნი და მგრანი და რყეულებანი და ყოველნივე
ვნებანი და იყოს სიყუარული ღვთისა და მშვიდობა და კაცთა შორის
სათნოება ურთიერთ სიყუარულითა, რათამცა ყოველთავე სამკალ-
თაგან ამა სოფელსა შინა მუნ ცათა შინა საუნჯედ შევიკრიბოთ, ხოლო

შობადთაცა ისწაონ სიყუარულითი შიში ღვთისა. და გარდასახლება ცათა შინა. იხილეთ მამაო წმიდაო, აწ ვითარცა თქვენ მხიარულ მყავით, მეცა გახარებ, თუმცა არა ეგოდენსა, რაოდენცა მღჳდელობა, გარნა უდარესსა, ესერა უფალს დოდოევს ლოცვა კურთხევით მომკითხველობით იგი მაისის 3-სა წარვგზავნე დიდ ფრიადისა რედუშენბითა ჩემითა ტფილისსა შინა აზნაური შკოლის შინა უფროს მასწავლებლად. რომელი დიდ ფრიადისა უკეთილესისა ეგზამენითა იქმნა განსხუავებულ, რომელმან ფილასოფია, ლოღიკა შეთხზა ორთა ენათა ზედა და განათლებისა მინისტრმან კომიტეტმან დაუბეჭდეს ათას ორასი წიგნი. ექუსასი აქ გამოართვეს და დანაშთნი თან წარიღო, რომელმან ჩვენ და ივერია ასახელა, ამად განუწესეს სამოცი თუმანი ვერცხლი და მეათე კლასის ღირსება (აქა) აჰა, მექვეყნე ჩვენი არს, რომლისა ძლით სიხარული ჯერ არს ჩვენდა, რომლისათჳს შეგთხოვ, რათამცა პარაკლისი იჯადოთ და ლიტურღიასა შინა გეხსენებოდესთ ახალ ბრძენი იგი. ესერა ადამ ღირსიევი მეოთხეს კლასში წარემატების ბჟყვრიალებითა, რომელმან დიდ ფრიად განიხარა სალთო მღუდელობა თქვენი და შეგთხოვს ლოცჳა კურთხევასა. დასასრულ მამაო წმიდაო დიდ ფრიადისა შეთხოვენითარე მოვიღე ლოცჳაები ნეტარხსენებულისა მადლიანისა გჳამისა ნაქონი უგანათლებულესთა თამარ[2], ლუარსაბ[3], და დიმიტრისაგან[4] და წარმოგიგზავნ ზუმიურითა დაბეჭდილი. ჴელითა ისაია ნაცჳალოვისათა[5] მიიღეთ არმაღნათ და კურთხევით საჴსოვარი, მეფის ძალი სალომეცა[6] მოიხსენეთ, რომელამ ჟამსა განსვლისასა იხილა წმიდანი ანგელოსნი მიხაილ და გაბრიილ, განიხარა და მყის განუტევა სული შემვედრებელმან ჴელთა შინა ღმერთისა. იხილეთ ახალ ნერგო ჩემო სჳმონ ვგონებ ეგრეთ სჯობდეს გონებითარე აღსვლა წინაშე ღვთისა და გრძნობითა აღმოკითხჳა ლოცჳაებისა მაგის შუაღლითგან მეხუთეს ჟამსა მწუხრისა ლოცვსა შემდგომად მწუხრი ქრისტეს განკორციელებისა ხარებობისა შინა საუკუნეთა თჳსისა მწუხრ სტიქარონითა კერძოობითი, აწ განმიტევეთი საიდუმლოდ, და ზედარე მობმა აღაღე ძილის პირისა და ყოველთავე აქებდითურთ თჳნიერ კონდაკიკოსა, მისა შემდგომ კურთხეულ ხარ მეუფეო, და შემდგომ მერვესა ჟამსა მცირაკისა მშრალი სანოვაგისა ჭმევა, უკეთუ არა გერევისთ ნოტიო შავად დამცემი და უკეთუ გრბმოდესთ უვახშმოდ დადჳრომა ჯერ არს მერმე მეცხრესა ჟამსა წარიკითხეთ სერობა და პური (სერობისა) ცხოვრებისა შჳდეულისა დაწოლისა ლოცვისა უწინარეს ექვსი ჟამებისა ლოცჳაები და ზედართეთ დაწოლისა ლოცჳა და მიყრდნობით მიიძინეთ მეათესა ჟამსა, ვიდრე შუაღამემდე, ხოლო აღემართოს ლოცვითა წმიდათა

ე. ი. ყოველთა წმიდათა სასწაულ მოქმედთა ლოცვათა წარდეგ წინაშე ღვთისა და კურთხეულ არს და გარნა მამაო ჩვენოს ბოლოს სადღევად დაყდონდი, მყის მოერთეთ აღდგომილი ძილისაგან და ზედაჲე შუაღამისა ლოცვანი დაფარანიანითურთ, ვიდრე იესე ტკბილადმდე, გარნა ანგელოსისა მფარველისა მიმართი ლოცვა და იოანე დამასკელისა უწინარის დაწოლისა ლოცვასა წარიკითხეთ ზემო დანაშთენი ღამე ექვს ჟამებისა ლოცვაები შემდგომად დაფარანიანისა წარიკითხეთ და ზედა იესო ტკბილი აღმოიკითხეთ, და კვალად განისვენეთ მესამე ჟამითგან, ვიდრე მეხუთედმდე, ხოლო მეხუთესა ცისკარი იწყეთ, და შემდგომად ცისკრისა კონდაკი ღვთისმშობელისა, ვიდრე პარაკლისადმდე. კვლავადცა განისვენეთ მეექვსე ჟამითგან მერვედმდე, ხოლო მერვე ჟამითგან იწყეთ პარაკლისი გმადლობასებითურთ, და კვალადცა განისვენეთ ერთი წერტილი და წართქვით ათორმეტნი ლოცვანი ჟამებისა, ხოლო მეცხრისა ჟამისა დასაბამ ზიარებისა ლოცვაები იწყეთ და ესე ვითარისა სახითა სიმრგვლე ლოცვაებისა შეასრულეთ დაუშთომელად თვნიერ შვიდეულისა შეუხდომელისა ლოცვებისა ე. ი. დაწოლისა. ეგ სახედვე კონდაკისა ლოცვაები შვიდნი მწუხრისა და ათ ორნი ცისკრისა შეასრულეთ და თავისა მოდრეკისა ლოცვა განიზეპირეთ მშვიდობიან ასამაღლებლებითურთ ტონითა მით ღრამმატიკისა პროსოდიაებითა კილოებითა და გამოღებითა ლექსთა სიტყვათა და ქორქთა და დვრინთა და რინთა საამოდ მსმენელთა ლმობიერისა ჴმებისა დაბალ დაწყებითა საშუალ მაღლებითა და დასასრულ დაკნინებითა, რომლითა ყურნი მსმენელთანი, არათუ შეირყევიან, არამედ ამოვნებისა ჴმებითა განიღვიძებენ სმენად.

ეგრეთვე სახარებასა შინა, სადაცა ლექსნი და სიტყვანი იესო მაცხოვარისანი შეგუხვდესთ ბრძანებითად, გაამახვილეთ, სადაცა მოციქულთი დაგემთხვასთ მიგებითნი დააწყნარეთ, დაკნინებით ჴმა, სადაცა ჴერისა ვედრება შეგხვდესთ გაალმობიერეთ და სადაცა ეშმაკისა, რომელთა ღორებთა შინა შესთხოვეს შესლვა, გაამქისეთ და სადაცა ვერაგთა ებრაელთი მზაკვრებითი ლექსნი შეგუხვდესთ, განაფიცხეთ ჴმა მომაღლოდ, დასასრულ, უკეთუ ცნებავსთ სრულყოფა ცერემონიათა და ტიპიკონებითა და მიმოკანკლედებითა საღთოდ მანდაურსა სობოროსა შინა ე. ი. საკრებულოსა ეკლესიასა შინა შემჰვალეთ თვალნი თქვენნი მათოდენ, რომელნიც უკეთილესად ჰკვეთდენ და ზე თვალთა აღიხილვიდენ და ჴელებთა განიპყრობდენ და

თითებთა შეჰკრებდენ, და ჯუარსა უუკეთილესად სახვიდენ წინა და-გებულთა ზედა ერსა ზე და მიბრუნდებოდნენ. ჩრდილოეთი ვერა სა-მეუფოსა კარისაღმი დაწერად ჯუარისა ერსა ზედა და მოიქცეოდენ მარჯვენით კერძ, და ორისა კელებითა გამოასვენებდენ ბარძიმსა, დიდ ფრიადის წინწილებითა მსახურებდენ მსხუერპლსა.

იგულისხმოდგინეთ, რათა სლავენურსა ენასა ზედა ისწავოთ წირვა მათისა კონდაკითა და სახარებითა საღაგ დღეებში შესთხოვეთ მღუდელსა უამხანაგოსა, რათა მან ხშირად გაწიროვინოსთ და თვით საწყსოში იაროთ, დიაჩოქი ან პონომორი, გინა დიაცნი მკდოვანნი. რომელნიცა იყოს დაიკავეთ მასწავლელად, ესე თუ ისწავებ რუსულ-სა უმეტნიერეს იქმნებით, რათამცა ორისავე ენისა მღუდელობითა მსახუროთ მართებლობასა სულიერსა და საჭიროთა.

დასასრულ შევვედრებ თავსა ჩემსა მამაო წმიდაო ლოცვათა შინა თქვენთა და ლიტურღიათა აჰა, თუმცაღა განვაგრე ტყვრნი ესე თქვენდამო გარნა სიყუარულმან მოიძულა, რომელი განმადიდა თქვენდამო მართ ვითარცა დიდ არს სიყუარული ღმერთი, ეგრეთვე მის მიერ სიყუარულიცა დიდ არს ურთიერთისადმი, რომელ არს კავშირი შორის ღუთისა და კაცთა. თქვენი მლოცველი იონა მკდოვანი ვგიც თქუენდამო სიყუარულისა შინა გულითად.

იგულვეთ თქვენთა მეცნავთა უგანათლებულესთა დიდ ფრიად იამოვნეს თქვენი მღუდელობა და ლოცვად თქვენსა ჩემდამო მომ-ლოკაობენ განმხიარულებად ჩემდა მეტყუელნი. ეგრეთ ეგე მეორე სიხარული მოუმადლა სახიერმანო კეთილად გასტუმრება სოლომონ იოანეს ძისა და მეორე მღუდელობა სოლომონისავე სვიმონად წო-დებულისა[1]. ეგრეთვე ადამ, თამარ, სოლომონ, ელემია მხიარულ არიან.

მოიხსენეთ, მწყემსობასა თქვენსა მაუწყებდეთ და იყუენით ფრთხილ და არა რაჲ სთქვათ საწყენი ღვთისა და ცხებულისა მისას, რათა არა ფრინველმან ფრთოსანმან წარიღოს რაჲმე თქუენგან იგა-ვისამებრ სოლომონ ბრძნისი არამედ ილოცეთ მონარხ ცხებულის-თვის და ქვეშემრდომთა მისთათვს და მიიღეთ მისგან განსხუავებასა. ძმათა ჩემთა ანბავი მომწერეთ მაკარიელთაგან გამომცნობმან ამბი-სასან

## № 153

### 1827 წლის 25 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი,

უფალო დოდოევ სოლომონ იოანიჩ! ქრისტე ღმერთის მიერ საღთო ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო გულითადიერ.

იხილეთ! მეხუთისა ავთრათისა თქვენიდგან ხარკოვით წარმოცემულისა ვიდრე მეექვსე ავთრათისა მოლებამდე იაგორევცკიდგან წარმოწერილისა მიღებადმდე ვიყავ მჳმუნვარე ურვეულ[1] შესლობილ[2] მჳოვარე[3], ხოლო მივიღე რა მე სავანის თქვენისა მეფისაგან პიტაკი თქვენი უსტარად ჩემდა აღმივიკითხე, ვიქმენ არათუ მიხარულ, არამედ დია დიდ ფრიად მხიარულ. ეგრეთ, ვითარცა უსაშუალოდ განგჳვრიტემცა, რომელ პატივი თქუენი მაღალსა და აღმატებულსა მქლოველობასა[4] შინა. ე. ი. უპირველესთა მქლოველთა სორის წინარე მწრთველთა თანაჯდომისა, რომელი უნივერსიტეტისა მოსწავლეთა აბრძმედებენ, აწრთობენ, ადარიჯაგებენ და ჯილდოთი ანიჭებენ ღირსებათა. ეგე ვითარსა არათუ კერძოთა მქლოველობასა შინა, არამედ პუბლიჩნი ე. ი. ზოგადთა ეგზამენ ე. ი. ზურთა ზრთობა ბრძმედ. მქლოველობათა საჯილველ მჳვრეტელობათა შინა პატივსა აღგიყუანა თქვენ სავაოთ ადონაჲ ძალთაჲ მბადებელმან და განიჴად ტალანტნი ბუნებითნი და ჰსწავლითნი და უფროსღა მაღლითნი: ამა ადგილებთაჲ, თავებთა და მუკლებთა შინა აღმოჩენილნი სულისაგან წმიდისა (მათთე თავი 25 მუხლი 56 რომაელთა თავი 12 მუხლ. 6.7.8 კორ. თავ. 12. მუხ. 8. 9. 10. 11), რომელსა ძალგიძს კარგის, კეთილისა და უკეთილესისა უსაშუალოდ ცნობა უაღრესისა ეგზამენებისა, ვაშა, ვაშა თქვენდამო, ხოლო ჩემდა გიხაროდენი.

იგულვეთ! აზნობა ჩემი განმჰსჯელმან: აჰა მე ეგრეთ მგონიეს, რომელ ყოველთა თესლებთა ჩემთა და კაცთა თვთ ალფავიტაცა თვსნი ღრამმატიკა აქუნდეს ენასა ზედა და თვთ ოსთაცა, რომლითაცა მეტყუელებენ და თვს ლოღიკა, რომელნი ცხრა თთუე ზამთრის უნჯსა შეიკრებენ, განმჰსჯელნი ცხოვრებისათვს. ეგრეთვე უწყიან მეტაფიზიკა, რომელნი განარჩევენ მოძრავთა არსთა და უძრავთა. ეგსახედვე უწყიან ფიზიკა, რომელნი აცხობენ, ხარშავენ და შაახავებენ სანოვაგეთა და გამოხდიან ლუდთა დაჲ ბურახთა. ეგრეთვე იციან არიხმეტიკა, რომელნი აღრიცხვენ ნაქონებთა და მათემატიკითა ზომენ აღმაშენებელნი სახლთანი და მყრუალნი საბლარდნელთა. ღეოღრაფია, რომელნი აგარაკებთა თვსთა განსაზღურებენ მიჯნებითა, სამნებითან[5] და ღობითა, ხოლო ისტორია ზეპირ იციან, რომელთა

თჳსნი სქესნი, გჳარნი და შთამოსიერება. კნინღა ნებროდადმდე უწყიან. ეგრეთვე თჳსი რწმენისა კატეხიზმო აჰა, ესერა ზემო ბუნებითნი მათნი ჰსწავლანი, უკეთუ პირისპირ ათინისა, რომისა, ფრანციისა, ანგლიისა, განისაჯოს კნინღა და ბნელ უკუნ წყვდიადათ შერაცხებიან. გარნა ზემოხსენებულთათჳს შუადღე არიან.

იხილეთ, ვარსკულავნი ვარსკულავთა მატებენ ბრწყინვალებითა. ეგრეთვე კაცნი კაცთა შორის, ნივთნი ნივთებთა პირისპირ და ჴელოვნებანი ჴელოვანთა შორის. ამად, რომელ სოფელ არა არს ერთი პირი, ორნი ნივთნი, ერთი ცეცხლი, გინა თოვლი. ერთფერ ანუ ასახედავი ლურჯიერი, ანუ ვაკე, ვითარ სამგორი, გინა გრძელი, ვითარცა კავკასია და არცაღა ორნი პირნი ერთი და იგივე გონებითა და ჰსჯითა და ასაკითა და ფიზიოგნომია ხარაკტირებითა. რამეთუ მარჩბივნი, ტყუბნი და წყვილნიცა სხუაობენ და ერთისა გუამისა სახელებიცა. თუმცა არიან რაოდენობითა ერთ, გარნა ძალითა განყოფილ. ეგსახედჳთ უნივერსიტეტი პეტრებუხისა და კრაკოვისა არიან სახელმოდგამობითა ერთ, ხოლო მასწავლელებისა და წიგნებისა და სიბრძნისა ღონისძიებითა სხუა და სხუა და თუალთა წინაშე მართებლობისა საგამომჩვენო უუკეთილეს რომელთაცა ეგზამენიათა განმჰვრეტელობენ დიდ დიდნი.

განჰსჭვრიტეთ სულისა კეთილისა თჳსებისა მექონო! ჯერედ ახალ ჭაბუკო და უმოხუცებულესო სიბრძნითა. ეგერა ყოვლადსა გუამსა სულისა შენისა უაღრესნი საშუალნი და უდარესნი წევრნიცა ასხენ. ვითარცა უაღრესნი არიან ენა, თუალნი, ყურნი და საშუალნი ყნოსა და შეხება, ხოლო უდარესნი ჴელნი, ფერჴნი, რომელნი უკეთუ დასნეულდენ და იქმნენ უქმ, იცოცხლებს კაცი. გარნა ყოველნივე წევრნი კეთილ არიან და რომელნიმე უუკეთილეს და რომელნიმე დიდ ფრიად კეთილ, ხოლო სხუანი კარგ, ვითარ ფერხებთა ნეკნი და უშვერიცა შვენიერ ე. ი. ლილიანი და შუაგი ცენტრჰიპი და სკორისა და შარდისა განსავლებთა საშუალნი მიდამონი, რამეთუ ანატომია, ე. ი. კინძნი გუამისანი ყოველნივე შუენიერ არიან ურთიერთ შემწეობითა, რომელნი ღმერთამან აღაგო პირისა მსახურად ე. ი. სულისადმი (კორ. თავი 12. მუხ. 20. 21. 22. 23. 24. 25. 26) ეგრეთვე შკოლანი შკოლებთა მიმართა არიან უაღრესნი, საშუალნი და მდარენი. გარნა ყოველნივე კეთილ და წევრ ურთიერთისა მიმართ. ეგ სახედვე თხზულნი და წიგნი (არ საღთოთა ვიტყვი) არამედ სხუათა, რომელნი არიან კარგ, კეთილ, უკეთილეს და უუკეთილეს და დიდ ფრიად კეთილ. და არცაღა ერთი რაჲმე არს დასაწუნებელ, თჳნიერ გმობისა და ცოდვისა.

იხილეთ! ვის გეზრახები. თუმცალა გუამით შორს მყოფ. გარნა გონებ-სა ჩემისათა შორის თქვენსა გესაუბრები სიყუარულითა სიყუარულსა. ამათ შეგითხოვთ: უკეთუ მქისე[7] ლექსნი, სიტყუანი, აზმნობანი, ღირსოვანი გემთხვიოს, რომელნიმე უნებლიეთნი, რომელსა თქვენთვს მანანა, გოლი და ჰსძე და საცხოვრებელნი მსურან, რაჲამცა მსგავს იყო ღუთისა მადლითა და სათნოებითა და კეთილმოქმედებითა.

აჰა, მოუთხრობენ მეისტორიენი დიდი ალექსანდრე კეეშნიერ იქმნაო ფრიად, რომლისა მიმართ მისულა ჰყო მეომართაგანმან და ჰრქუა: გახარებს დიდო მეფეო! რომელსა მიუგო სრულიად სოფლისა მონარხმან: ღომერისა აღდგომისი ვერ მახარევო, რომლისა წიგნი დარიოსისა უძვირფასესსა მოჰვილსა სკვრთოსა შინა შთასდუა და აქუნდა წიალსა შინა განუშორებელად მარადის მკითხველსა, თვს დროსა ომისასა. აჰა ვინაძდგან ჯერედ ჰაბუკ ხართ. ამად ისტორიისა მაგალითი გაიარმაღანე. ხოლო ჩვენ შემყვარებელისა ჩვენისა სახარებასა მქონებლობ სახლსა შინა და სულსა შინაგან და შევამკობთ ეკკლესიათა.

იხილეთ! თქვენი ლოღიკა და ავთრათნი მქონან ჰვირობად თქვენდამო, რომელთაგან გეზრახები, რომელთაცა გაცება არ ძალმიძს ანტიკი, რომელ არიან ჩემდა იშვითნი.

ესერა ორგზის ფოშტა შიკრიკით წარმოგიგზავნე ავთრათნი და ხეროდიანისა ხელით ერთი, ხოლო ხუთთა თქვენთა ავთრათებთა სიტყვისგება პასუხნი თარხნისშვილის[9] ხელით წარმოგიგზავნე და იგორის ლინის წიგნის ნაცუალიცა ეს ავთრათი, რაოდენნი პიტაკნი გინა უსტარნი თქვენნი ავთრათნი მოვიღე და რაოდენთაცა გწერ ყოველნივე შთაიწერნენ ჟურნალსა ე. ი. საკუთარსა მატიანესა შინა ჩემსა, რომელ არს სახსოვარი სახსოვარსა შინა შევიხვენ. ამად შეგითხოვ, რათა ზედას ზედა მოიწერდეთ თქვენსა ვითარებასა და საქმეთა რაოდენობასა.

კვლავად გვედრი, რათა ძმათა ჩემთა ანბავნი მომწერო და შვილთა მათთა რიცხვნი და წერილნი და მკდოვანება თუ ქონება და ოსეფ იაკოვლიჩის[10] ხელით, რომელ არს დუქანი და ღმერთი მშვიდობისა იყავნ სულისა შენისა თანა.

თქვენი მარად მლოცველი მ. მ. იონა მკდოვანი ეჰვიე უუმწვერვალესსა სიყუარულსა შინა თქვენდამო გულითადიერ
წელსა 1827 სა ივლისის 25 დღესა.

**№ 164**

## 1827 წლის 20 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

ქრისტე ღმერთისა მიერ საღთოთა ლოცვათა მოვმერთლობ თქვენდამო უფლისაგან მონიჭებულისა მადლითა, უფალო დოდაევ სოლომონ იოანიჩ.

აჰა ამიერითგან ოდეს გიცან შევთხოვ მაღალსა სიმართლესა, სიმრთელესა, გრძლად ცხოვრებად და ღღევარსა საზრდელსა თქვენთვს, რომელ ოთხთა შინა ლექსებთა შინა შეიცვიან ბედნიერება კაცისა.

იხილეთ ნიჭები ესე ქვემო საღთონი რაოდენნიცა მიუწერა წ. მ. პავლე გულ მაღალსა, რომელი ორატორობითა და საწამართო აბჯრებითა და მახვილებითა მაღლოდა თხემსა ზედა სოფლისასა, რომელთა თვსნი ტოზიკონა დაუტოვეს და შეუდგნენ თარგმანთა წ. მ. პავლესსა ვითარცა წარიწერა ეგრეთ მეტყველმან, ხოლო გუაქვს ჩვენ ნიჭები მადლისა მისებრ მოცემულისა ჩვენდა თითო სახედ, გინა თუ წინასწარმეტყველება საზომისაებრ სარწმუნოებისა გინა, რომელი მსახურებდეს მსახურებითა მით. გინა რომელი ნუგეშისცემდეს ნუგეშინის ცემით, რომელი მისცემდეს უხვებით, რომელი ზედა ადგებოდეს მოსწრაფებით (სწყალობდეს) რომელი სწყალობდეს მხიარულებით სიყუარულითა შეუორგულებელითა.

კუალადცა იგულვეთ წარცემული თუალისა მიმართ, რომელ დროს კორინთე არისტოტელისაგან თუალად საპერძნეთისად წოდებულით თვსსა კატიგორიასა შინა და დიალექტიკასა ვითარცა ჱერეთისა ე. ი. მქისიყისათვს უწოდებია ვახუშტი ბაგრატიონსა[1] მეისტორიესა ჩვენსა მაგ გმირობისათვს მქისიყი უწოდებია ხშირადრე ზედსხმით მტერთა მართებელისა თემისათვს[2], რომელ არს ქიზიყი, რომლისათვს კნინლა და ივერიისა იტალიაცა უწოდებიათ რუსთა. ბრძენთა, ხოლო მე ვიტყვი სულიერ თუალად ქიზიყისა თემსა მუნ ცენტრი შუაგსა ზედა განსვენებისათვს წ. მოციქულთა სწორისა წ. ნინას ძლით და თანა შეწევნითურთ. წ. სტეფანესა და დავით გარეჯელისა, რომლისა მონასტერი მუნით იზრდების მიერითგან.

იხილეთ თუალსა ფილოსოფიისასა კორინთეს მიუწერა წ. მ. სულიერისა თუალთა ახილვა პირმან რჩეულმან პირველთა მათ ფილოზოფიისათა იგივ ნიჭნი, რაოდენნიცა რომთა წარუვლინა და უმრავლესნიცა ზედართო ე. ი. ხოლო თითოეულსა მიცემულობს გამოცხადება იგი სულისა უმჯობესისათვს რომელსამე სულისა მისგან

ჭიცემულ არს სიტყუა სიბრძნისა, ხოლო სხუასა მეცნიერებისა მისა-ვე სულთა და სხუასა სარწმუნოება მისვე სულისაგან, რომელსამე მადლი კურნებათა მისგანვე სულისა რომელსამე შეწევნან ძალთანი, რომელსამე წინასწარმეტყულება, რომელსამე განკითხუა სულთა და სხვასა თესლად თესლადი ენათა და სხვასა თარგმანება ენათა (I კორ. 12 მხლ 7 ან 9. 10 რომაელ 12 მუკ. 6. 7. 8).

ესერა განსჭვრიტეთ ტალანტნი ხუთი და ორი და ერთი სულისა წმიდისა ნიჭნივე არიან, რომელთა განმრავლება ნებასა ზედა კაცად კაცი დისასა დამოკიდულ არიან (მტ. 25 მხ. 15. 16).

აჰა, ესერა ზემო ყოველნივე ნიჭნი არიან რიცხვი 24 ზეგარდა-მონი, რომელთაგან ებრაელნი და წარმართნი დაცალიერებულ არიან. ამად მშვინვიერი საკითხავნი და შკოლანი ქონანთ და არიან განცხრი-ლულ ღუარძლებად ხენეშებად[4] და ფისებად, რომელნი მსგავს არიან უსიტყვთა და ორძილთად და მეტალთა და არეთა, რვალთა, რკინათა, რომელნი არა თუ იყვანებენ ბუნებასა, არამედ იყვანებიან ბუნები-საგან.

დასასრულ აჰა, კაცმან მან ანდრია ჭაბუკმან მარგველაშვილმან[5] იმერეთის ასმყოფელმან დიდ ფრიად შემთხოვა თქვენ წინაშე ხოი-შნობა, რომლისათვს ვმეოხობ, რათამცა უხელისხელოდ ზემო ოცდაოთ-ხთა მათ ნიჭებთაგანისა რომლითა (ჴელი) მე რაოდენთა უუსაჭიროეს, ამისთვს სათნო იყოს. წინარე უძლოდეს სიმართლე თვსი და პატიოს-ნება და სხვათა მართალთა განუმეორებლობა და დაუქნჯნაობა, და ესე ვითარი რაჲცა ვნებანი, და სიმართლენი აქვნდენ მარჯულნი და მარცხულნი ყოველნივე გამოიძიეთ ამა კაცისა შინაგანნი და გარეგა-ნნი წამებანი სახლეულთა და მეზობლებთაგან და სიტყვანი, რომელ არიან სულისა ხარაკტირნი და საქმენი, რომელ არიან ზნეობანი, და შემდგომ ზემო ყოველთა გამო გამკვლევისა უწინასწარმეტყველეთ სიმართლითა და შეყუარებითა ღმერთისა და მოყვსისათა მიემთხვევის[7] საგანსა; ხოლო დაყდონებითა[8] და მხოლოდ თავისისა თვსისა ჟამიერ სიყუარულითა მიიღებს რიოშთა[9]. ამად ასწავეთ გზა საუფლო, რომელ არს გზა და საშუალო ე. ი. თავისა თვსისათვის ჰსურდეს კეთილი: ეგრეთვე ვისდამიცა აქუნდეს ცილობა, კამათობა და სარჩელი; ოდეს ისმინოს, მაშინ შეეწიეთ გზისა პირისა, ადგილისა და დროჲსაა ჩუენებითა: გარნა დაიცევით მხოლოდ მართლისა მხარე, რათა არა ეზიარნეთ მარცხენასა ბრალისა ნებსით; გინა უნებლიეთ; ამად სამთა დღეთა, სამთა შვიდეულთა და სამთა თთუეთა შენიშნეთ პი-რისა საგანნი საქმეებითურთ. ნამდვილნი არიან ანუ ებრნი ჭეშმარი-ტებისა, გინა მსგავსნი უჭეშმარიტესისა და არა ჭეშმარიტ და უჭეშ-მარიტეს გინა სხმით გარდასვლით საჭეშმარიტო იძულებით სანა-

მდვილო. მიდრეკილებით და ნაჭეშმარიტებულ, რომლისამე გან-
დრეკილებისა მიზეზებითა.

იხილეთ ახალ ბრძენო საყუარელო, რომელსა გეზრახები არ შტი-
ლითა დაბიუერეთა და მოქალაქურეთა; არამედ უფროსღა ზეგარდამო
აღძრცვილისა[10] ნიჭებითა, რომლისა მსახურ არიან ზენა ფილასოფოს-
ნი და ფილოსოფიანი რომლისათვს იუსტინიანე ფილასოფოსი ეკკლე-
სიისათვს მეოხ არს და საკვირველ, რომელთა შორის წ. კრისვენტი
ფილასოფოსი[11], ვიდრე აქამომდე და მიუკუნისად სახსენებელადცა
საძაგო არს კაცთა და დაჰსჯილ თვსისა მამისთანა, იოანე 8 მუხლ. 44
იხილეთ პირველი დღე იუნისის თთუჱსა.

დასასრულ ქარტა კაბადონი კეფი ოხჭანობს[9]: ხოლო სიყუარუ-
ლი უკიდის კიდობს და ცოცხლებდით საღთოდ.

თქვენთვს მარად მლოცველი იონა ხუცეს მონოზონი ვჰგიე
უუმწვერვალესსა სიყუარულსა ზედა თქვენდამო უგულითადესადა.

წელსა 1827
თთუჱს იულისის 29 დღესა.

## № 155

### 1827 წ. ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა პარმენისადმი

ყოვლად პატიოსანო პრესვიტერო მამაო წმიდაო პარმენ[1].

ქრისტე ღვთისა მიერ გულითადიერს ამბორებას მომრთმევლობ
თქუენდამო ზეგონებითარე მსურველი თქუჱნდა კეთილდღეობისა.
მოიხსენეთ მამაო წმიდაო, აჰა ესერა უფალი დოდაევ ს. იოანესი
მწერს თვსსა პიტაკსა შინა თქვენგან შეწყნარებასა თვსსა სახლითა,
სანოვაგებითა სამარხოთა და სახსნილოთა. სასმისებითა და ერთ-
ბამად ფერად ფერადებისა საზრდელებითა განთიად თერმონიებითა
და ქირითა და საუზმებითა, შუადღე სადილებით და ფალულებითა[3]
და სამხრად სასმელებითა და მიწუხრი ვახშმებითა ვანსა შინა შორის
თქუჱნსა ტაბლასა ზედა საღგორსაზე. ხოლოსა ღამესა შინა ცხედარ
სარეცელისა ზედა განსვენებითა რულითა და ძილითა მოკედავთა
პორცთა განახლებად.

აჰა, ესერა უსტარმან ზემოხსენებულისამან დიდ ფრიად მაიძულა
თქუჱნდამო მოძღუანებად მკდოვან მადლობისა მსხუჱრპლ შემო-
წირვად. კეთილსიტყვიერ სუნად სუნნელად სულისა თქვენისა გო-
ნებასა შინა, გარნა მოქენე გენუკვი შეთხოვნითა, რათამცა ითნოდ,
აჰა, ნაძღვილი გულითადიერ ვუწყი სულისა თქვენისა კეთილ თვსე-

ბისაგან, რომელ სალთო მოწაფე ქრისტე ცხებულისა ეგ და თანა ხუცესი წ. თავისა მის მოციქულისა თანა მწვლილსაცა სულისა ჩემისა სურვილისაგან დიდ დრაქმად იმრთმევლებთ მამაო წმიდაო. არა ხუასტაგთა მოძრავ-უძრავთაგანუბსა მას სოფლისასა, რომელი ბოროტსა ზედა სდგას, არამედ სულისა ჩემისა სიყუარულსა შევსწირნეობ თქვენდამო, რომელი არა არს დაბადებული. ე. ი. სიყუარული სალთო, რომელი თვთ გამოგვიცხადა მესამე პირმან, რამეთუ ღმერთ მამამან ესრეთ შეიყუარა სოფელი ე. ი. კაცი, რომელსა მხოლოდ შობილი ძეცა თვსი მოხდაო. ე. ი. შეჰკრა განკორციელება და თანავე ჯუარი სიკვდილი სირცხვილიანი დაფლვა. აჰა, მას ზედა ორმა ზენანი და ქუცნანი განკვირვებულ იქმნენ ზარგანკდით[4] შეძრწუნებულნი. და თვთ სტიხიონთა ნათელნი თვსნი ბნელ ექმნათ. და ტაძარმან სალთომან კრეტსაბმელი[5] თვსი დააპო არღა დამფარველმან ძველისა მის შესაწირავებისა. არამედ სირცხვილეულ ჰყო პირუტყუთა სისხლნი და ტუნოვანნი საკვეროთხები, და უფროსღა განპასრა კაიაფა[6] მეყსტე[7] და პეხარკე მკარ ბეჰისა და ტყავთი წელიწდეული მომკუფხლელი[8] და ერთბამად აჰრონიელნი, ლევიტელნი ხუცესნი, რომელნი ათეულებთა თვს გარეგან ფარისევლობდნენ ე. ი. მწიდაკლობდენ გამომჩვენებით და შთასწერეს ფასის საცავებსთა შინა სახელები გაავაზაკებულთა ისრაილთა ძეთა და ასულთა სახელები, ლირწთი, სიღოდნიასთა, მეძავთი, მრუშეთი, კაცის მკულელთი, მპარავთი, შემთურლეთი, დრანჯთი, დრასტიკთი, ფლიდთი, ტრელთი, ლიზლთი, ქილიკთი, მზუცლავთი, მტაცებელთი, მეკობრეთი ანგართი, ვერაგთი, მარცხენე მეშურნეთი, უდიერთი, მოკიცხართი, როსკიპნი, კაპასთი, ანჩხლთი, მძვნვარეთა, ძმაცულთი, ნაყროვანთი, ამპარტავანთი, მზუაობართი, ყიფთი, ტრაბახთი, კოხტათი, მწუპებელთი, მაგინებელთი, საგიობელთი, მოლალეთი, მოჩხუბართი, მტაცებელთი, მიმხუცჰთი, ურჩულოთი, ურჯუკთი, უბადრუკეთი, უსახურთი, უსვინდისოთი, უგონებოთი, უვიცთი, უბირთი, უზავთი, რეგვენთი, უდგრეშთი, უგლიმთი, უშვერთი, წარმდებთი, ლალთი, კადნიერთი, ურჩთი, უჯვარულთი, უწყალობელთი, ულმობელთი, უგრძნოთი, ხოჩთი, ამუჩაკთი, მზაკუართა აღმასრულებელთი, რომელთა ბრალთა ბოროტთა და დიდ საძაგელებთა და უფროსღა ულთოებასა ათთავე მცნებათა დათრგუნვათა ოდესაც შეასმენდენ მშობელნი. ბიძანი, მამიდანი, დედიდანი, და ბაბუანი. და ბებიანი, სიმამრნი, სიდედრნი, და მეუღლენი და გარემონი და უფროსღა სახლეულნი განწვარებულნი შვილებთა თვისთაგან მსაჯულთა მათ ლევიტელთა ე. ი. ხუცესთა და არა ღირსსა არხიერობისასა კაიაფასს და ინნას იგინი უგებდენ სიტყუათა თვსთა.

აჰა, ესერა, რომელთაცა თავნი თჳსნი კორბანსა[9] შინა ე. ი. შესაწირავს ფასის საცავებთა შთასწერეს თავნი თვისნი შემოტანად ვერცხლთა და ოქროთა, ესოდენთა და ეგოდენთა დიდ დრაქმებთა, ტალანტებთა, მნათა ქანქართა, მარგარიტებთა, და სპეკალთა ქუჩბთა იგი ყოველნივე უცოდველ არიანო. და უკეთუ თქვენცა ეგოდენივე შემოიტანოთ ტარრისა პავასავებთა[10] ვაშკერანებთა[11], ქარხანჩოებთა[12] და გუადრუცებთა[13] შინა. თქვენცა უცოდველიმცა ყოფილიყავით, ვითა ძენი და ასულნი თქვენნი, და ესე ვითარისა ვეცხლის მოყუარებითა მშობლებთა მტყუან ყოფდენ ტკნოვანი მემსხუჩრპლენი და მეათეულნი ყოვლისა მოძრავთი და უძრავთი, და თვთ პიტნისა და ცერაცოსი და მტილიერთა მწუნვილებისა და ესე ვითარისა მეცელ ღმერთობისა აარონიელთა და ლევიტელთა სჯული სინა მთისა დაათრგუნვინეს ერსა ღვთისასა და მისცეს წესნი თჳსნი ხუცესთა ე. ი. მხოლოდ ბანვა იდაყვითგან ჟამსა პურობისასა მისთჳს ყვედრებულ ჰყო მწყემსნი იგი უთნონი გლეჯით მრისველნი ერისა და ათორმეტთა ტომთბსა, იესო მაცხოვარმან და რქუა ერსა მას მწირსა ყოვლისა კეთილისაგან არა დაგიტევებიესთ სჯული ღვთისა და გაპყრიესთ წესი ხუცესთა ე. ი. ბოროტ ზნეობა ქუჩ ავაზაკთა. დასასრულ მამაო წმიდაო ოდეს ჯუარისა მებრძოლი სიკვდილი, ეშმაკი და ცოდვა იესო ჩემმან შეურაცხჰყო და იქადაგა სამ დღე ჯოჯოხეთსა შინა და აღსდგა ამაღლდა, და დასჯდა მარჯვენით ღმერთ მამისა ე. ი. დიდებასა შინა აჰა მიერითგან ღღესასწაულობს იესო მაცხოვარი ძლეულთა ზედა, რომელ არს ეშმაკი. ცოდუა და სიკუდილი დასდუა სიყუარული შინაგან ჩვენსა, რომლითა მოწამეთა ჯუარცმულისა შეყუარებითა შეიყუარეს ურთიერთი და ერთბამად განძლიერდენ ეშმაკთა და კერპებთა (სახურთა, მეფეთა და მთავართა და საეშმაკო საჭურველებთა მათთა ზედა, რომელ სიყუარულითა განმტკიცებულნი ვერღა შეშინდნეხ კორცთა თჳსთა სიყმილისაგან დაჭერისა და მოწყვედისაგან, რომელთა ყოველნივე ვნებანი ქრისტესი შეურაცხეს სიყუარულად და ყოველთავე წმიდათა ასონი თჳსნი და გუამნი ასოდ ქრისტესად ჰყვეს ვნებითა, გინებითა და დიდებითა.

აჰა, სულიერ ძმაო ჩემო და უფროსღა მადლითარე ღმერთო სულისა წმიდისა ტაძარო, ესერა მე არა რაჲ მქონან თქვენდამო უალრესნი მოარმაღანებად, თჳნიერ სიყუარულისა კიდე, რომელი სამოცამდე აღიტაცებს სიყვარულისა ცეცხლითა აღტკინებულსა, ამად გვედრი, რომელ დანერგოთ სულსა შენსა ხე დიდად თანა წარსადინელსა წყალთასა, რომელ არიან სჯული და მადლი, რათამცა ფურცელნი არა დასცვივდენ, რომელ არიან ძველისა და ახლისა ლექსნი სიტყუანი თავნი და მუკლნი და მუნ ბრძანებანი ვითა შეიყუარებს

ღმერთსა ევრეთვე მოყუსისა, ვითარცა წ. მ. პავლეს უმეტეს უყუარს მოყუასნი ქრისტეს მიერ ძმანი, ვიდრეღა თავი თჳსი.

აჰა, ესერა მრავალბევრეულებთა მანდითგან მოსრულთა ობოლთა ერთა ჩვენთაგან მესმოდა თქვენგან შეწყნარება მსგავსად სამპსონისა და იოანე მოწყალისა და სოლომონ ცოცხალ ლექსებითა და სიტყვითა გულსავსე მყო. აჰა, ეგე არს ვაშა, ვაშა, საუკუნო საუნჯესა შინა ამისთჳსცა დასდგები მარჯვენით ქრისტე ღუთისა ექვსითა მით სიტყვითა განმართლებული. რომელი საკუთარისა პირისა თქვენისა ოფლ კონდაკისაგან მოგებულებთა წარაგებთ მწირთა და ობოლთა და ქვრივთა ზედა, რომელმან არხიეპისკოპოსისა პაფნოტი[14] კურთხევით სახსოვრისაგან დაობლება მოგზაურთა ერსა ჩვენსა და ობოლთა დავრდომილთა და მკდოვანთა უმისობა არა აუწყეთ, არამედ რომელთამე სიტყვითა კმა იყო ვითა და სხუათა შეწევნითა და ვიეთმე გზისა სწავებითა და რომელთამე შუამდგომლობითა, უმაღლესისა წინაშე და უგანათლებულესთა შორის, რომელი ვითარებისაებრ კაცად კაცადის პირისა და ადგილისა და დროჲსა ყოველთავე სათნოყოფით ზეციური და ეგე არს კიბე და ხიდი სულიერი ზეცად აღმყუანი თქვენი საჭიროჲსა მგზავრობითგან, ვიდრე საფლავადმდე. სხვებრ შეგვედრებ თავსა ჩემსა ლოცვათა შინა თქვენთა და ცოცხლებდით ფსალმუნისაებრ სიმართლითა, სიმრთელითა და კეთილდღეობითა საღმრთოს ქრისტეს მიერ მამაო და მესხუერპლეობით მამაო წმიდაო. ზემოთა თანა ესეცა მოიხსენეთ: აჰა, თქუენმან ქარტამან არა მოაწია ჩემადმდე, მხოლოდ სიტყვითარე მესმა უფლისა მამაცაშვილის გაბრიელისაგან[15], რომელი დროსა ამას საგარშია სიმრთელით და წარემატების სამკედრო წვრთილებითარე საღთო ლოცვითა თქვენითა, და ვსცდილობ მისთვს, რათა მცირაკი როჭიკი განუწესონ ობოლთა მათ, რომელნი ჰგოდებენ დედასა თჳსსა, რომელმან განსვლასა ჟამსა იხილა მფარველი ანგელოსი და მისთანა სხუანიცა, ვგონებ მიხაილ და გაბრიილ და ანასდად მიმწოდებელმან კმა ჰყო. აჰა, კეთილნი სტუმარნი მოვიდნენო და მიიწვია და განუტევა სული და ესე ვითარისა სახითა სამღუდელოთ დედა აღფრინდა ჩვენგან და განისვენა. თქვენი მლოცველი იონა მ. მ. წელსა 1827 ივლის.

გვედრი მიღებად საღთო სიყუარულისათჳს და შრომად და ამბორებად ყოველთავე მამრთა და მდედრთა სქესთა საღთოდ მეცნავთა ჩემთა და მათდაცა, უკეთუ ასაბია დემონისაგან მიბირებითა ვერავ მსიტყველობდენ სამღუდელოთა ზედა, რათამცა მტერთაცა შეყუარებითა ჩვენითა განვიდეს უხილავი მათგან სირცხვილეული მოთმინებისაგან ჩვენისა და უმამოდ დაშთომილთა მტერყოფილთა ჩვენთა შეგვიყუარონ ჩვენ.

მამა დიმიტრის[16] ვმადლობ, რომლისა მოკითხვასა მწერს სოლომონ დოდაევი პირველსავე ავთრათისა შინა თჳსსა და მსურს, რათამცა ძე თვისი აღზარდოს მანდაურსა სემინარიასა შინა.

აჰა, ვიხილენ რაოდენნიმე ჩვენითგან მოსრულნი ვერ განსწავლულნი, რომელთაცა შეეკითხე სჯული და სარწმუნოება. და ეკლესიისა კანკელთა გამოცნობა და უფროსღა სულთა თჳსთა ცნობა და რაულობა და თჳსებნი, რომელთა მე არა რაჲ მომიგეს, არამედ დაიწყეს მშობელთა თვისთა უშვერნი გიობანი დაყვედრებანი მათ არა მიგვცესა შვიდისა წლისა და არცა წარაგეს სწავლად ჩვენდა.

შეგთხოვ უმაღლესისა წინაშე ჩიმეოხოდ და უგანათლებულესთა შორის მიხოიშნოთ ლოცვითა და მადლობითა ჩემითა, ვითარცა მწერს სულიერი ძე ჩემი სოლომონ. წარსვლისა ჟამსა ასაგზლოებასა მარჯვენეთა ჴელებთაგან საიდუმლოდ შეწევნასა და ესე ვითარისა სახითა წარტრაპა ივერიის იტალიასა შინა, რომელ არს ჱერეთი თუალი საქართველოჲსა, ვითარცა კორინთე ბერძენთა და სარწმუნოებისა ჰური მუნ განსვენებული და წ. სტეფანე ღირსელთა.

## № 156

## 1827 წლის ივნისის (?) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ! ქრისტეს ღვთისა მიერ საღთო ლოცვათა მომრთმევლობ თქუჱნდამო გულითადიერ ზე შემთხოვნელი.

აჰა, ესერა გამომგზავრებისა თქუჱნისა ისტორიასა წარმოვწერ თქუჱნდამო სახსოვრად თავისა ჩემისა მიუკუნისადმდე სულისა შენისა თანა, რომელი წელსა 1827 მაისის 28 დღესა წ. ნიკიტასა და შაბათსა კვირიაკისა წინა დღესასწაულსა, რომელი სჯულსა შინა მოსესსა დიდ ფრიადისა უქმობითა იყო პატივცემულ. რომელსა შინა კაცისა განკურნებისათვის და უფროსღა განცოცხლებისათვის მოიძაგეს ჩემი იესო მაცხოვარი აბრაამისა ძეთა და ასულთა და უფროსღა ჯერკუალთა ლევიტელთა სამღდელოთა ათეულებისათა მესაკლავეთა მათ ტვინიერთა უსიტყვევთასა.

იხილეთ გალმა ვასილის ჰალაკით დილის მიათე ჟამითგან დალტვირთულისა ეტლითა თქუჱნი და მეორესა ეტლითა მეფის ძის ბაგრატისათა განვლეთ ქალაქი ესე წმიდა დიდისა პეტრესი, ვიდრე პირუჱლ ჰაზადმდე და მივიწიენით სახმილავადმდე[1] საყენსა ზედა, სადა განმხილველთა გარეგან ამის ქალაქისა და შემომავალთა პირთა სქესთა და

თანამდებობასა გამოიძიებენ ვითარცა თქუენიცა იუწყეს და თჳნიერ დაყოვნებისა შთაწერეს სახელი თქუენი თანამდებობითურთ. და ესრეთ განგაცილეთ გარეგან ქალაქისა ამის, ვიდრე მარჯუენისა ხევთა მწკრივამდე. სადაცა აღმოსთქჳ მამათ მთავარსა აბრაამს მუხასა ქუეშე სამნი ანგელოსნი ესტუმრესო, ამად მუნ ხესა ქუეშე მოვიღე პური და ღვინო. და მარილი. და შესატანნი სახსნილონი. და წარვთქვი საუზმისა ლოცვა ყოვლად წმიდაო სამებაო და შემდგომნი და შევსძინე საუფლო ლოცვაცა ე. ი. მამაო ჩუენო. და ესრეთ ვიჯმიეთ მადლობითა ღვთისათა გამომშვიდებისა საზრდელნი და სასმელნი და საწებნი და გიკურთხეთ მგზავრობა და შევსვთ სადღეგრძელონი თქუენნი. და თქუენცა შესვით სამადლობელნი ჩუენნი და შემდგომ ზემო ყოველთასა მიიღო კურთხევა. და ლოცვა ჩემ მკდოვანისა, რომელმან გიამბორე შუბლსა ზედასა. და საყდარი ღვთისა სდგას ეგ სახედვე პირსა ზედა, რომლითაცა აღმსარებლობ ყოვლად წმიდასა სამებასა. და შემდგომ სიყვარულისა გაბევრეულებისასა ახედით ეტლსა ზედა, წარიტრეთ ამიერ არითგან ივერიისა ძუელად სასაყდრისა ქალაქსა შინა ტფილისსა.

ესერა წარსვლით თქუენითგან ვსასოებ იელოვაელოასაგან, რომლისა ჴელსა შინა არს ყოველთა პირებთა და ცხვირისა პინჩებთა მშვინვანი, იგი სახიერი არს, წარმომატენებელი წმიდისა ანგელოსისა თჳსისა წინამძღვრად თქუენდა. რამეთუ თჳნიერ მფარველისა ანგელოზისა არცაღა ერთსა ქრისტიანესა ძალუძს კეთილისა ქმნა. და საქმეთა თვისთა წარმართება. ვითარცა დაიმტკიცების ძუელისა და ახლისა წიგნებითა. რომელ ანგელოსი წარუძღვა იაკობ მამათ მთავარსა ეგიპტედ შთასვლად. და ანგელოსმავე ოთხასსა წელსა მუნ დაიცვა ერი ღვთისა. და ანგელოსივე წარმოუძღვა წ. მოსეს და ისრაილთა და შეიყუანა პალესტინესა შინა წოებად სძისა და თაფლისა ანგელოსმანვე დაიცვა დანიილ და იუდიანნი ბაბილოვნსა შინა ტყუობასა შინა სამეოცდაათნი წელნი. ანგელოსმანვე კვიროს სპარსთა მეფესა გამოატეებინა ერი შენანებული იეროსალიმსა შინა, ანგელოსმან ტობია წარიყუანნა ეკვატონონსა შინა, რომელ არს თავრიზი და მუნ განამდიდრა, წარმოვეიყვანა ნინევსა შინა და ანგელოსმან თავი მ. პეტრე საპყრობილითგან გამოიყვანა, მესამე იროდისაგან შებრკოლებული შეჯაჭვილი კუნდებთა შინა ჴელებთა და ფერჴებთასა უშინაგნეს ოთხთა რკინებისა ჯაჭვებთა შინაგანით, ეგრეთვე მკურვალე ლოცვამან შილა მოციქულისა და პავლესმან შუაღამესა შინა შესძრა საპყრობილისა საფუძველნი და ყოველთა პყრობილთა ბორკილნი, ჯაჭვნი, და კუნდნი და მოქლონნი განეხვნენ და დასცვივდენ ურჯულოთა სამხილებელად, რომლითაცა მესაპყრობილეთ ურწმუნონი

მასვე ღამესა შინა სახლებითურთ მოიქცნენ. რამეთუ თვით მიხაილ მთავარ ანგელოზი მოუვლინა ღმერთმან ისო ნავეს აღტყინებულისა კურთითა შეწევნად და დააყენა მზეცა ისო ნავენ ჟამსა მას ოდეს აქჩევნდა ფიცხელი ბრძოლა შვიდთა მათ ნათესავებთაგან, რომელთა მოკუეთეს პალესტინესა შინა შუმყუანი ერისა მის დიდისა.

დასასრულ ოდეს გამზადჲს ჯუარი, ლახუარი, კურთი, მუსმარნი[2], ნალტფლი, ძმარნი, ლელწამი და ქლამინდი[3], და გოლგოთა ჯუარცმად ჩემისა იესოსათჳს. მაშინ გესამანისა მტილსა შინა იწყო ესე ვითარი სასტიკი მძაფრნი ლოცვანი ქრისტე ცხებულმან. რომლისა ლოცვისა ოფლნი იცვალნეს სისხლად, მაშინ მყის გარდამოვიდა ზეცით ანგელოზი და განაძლიერა ბუნება კაცობრივი და აღადგინა იესო ჩემი. რომელმან უმეტეს კაცობრივი არსება და ბუნება უჩუენა წ. თუისთა მოწაფეთა, რათა იგინიცა შესთხოვდენ ღმერთ მამასა დიდ ფრიადისა ვედრებითა ანგელოზისა მოვლინებასა შეწევნად. რათა მოშიშთა ღვთისასა და სათნოებისა მისისა აღმასრულებელთა შორის ანგელოსთა დაიბანაკონ. ვინაჲთგან მომკალნიცა ამის სოფლისა კაცთა სულებისა ანგელოსნივე არიან. ესე იგი წარმყუან ქუეყნიერ გუამიბთაგან. რომელნი ღირსთა მშიშრად განატარებენ აპაერისა მთავრობათაგან ბნელისა სულებთაგან შეუხებელად.

მოიხსენით და ყავთცა მორჩილება ჩემ მოძღვრისა თქუჩენისა. ვინარცა გქონათცა სადთო მორჩილება, აჰა, გიყუარდესთ თანამდებობა თქუჩენი, რომელ არს მორჩილება ღვთისა, ვითარცა სარწმუნოებითა ეგრეთვე საქმეებისა სათნოებითა ეგრეთჳჩ მონარხისა. და მისგან დადგინებულთა მეუფროსეთი და მოძღვრისა, რომელსაცა აღირჩევთ ღვთის მოშიშსა ბრძენსა და მშობელთა და მოხუცებულთა პატივი იპყარით და ყოველთაგან, რომელნიცა მშობლად შეგეფერებიან მშობელთა პატივი მიეცით. და რომელნიცა შვილად, ძმათა და დათა მათი პატივი მიეცით და რომელნიცა მათი პატივი და სწავლანი იცით. ხოლო გლახაკნი შერაცხედ ძმად ქრისტესსა, რომელი მეორედ მოსლვასა ძმად თჳსად უწოდს. და შემწყნარებელსა მათთა შერაცხს თჳსადმი.

კვლავად თანამდებნი მამულისა საქმენი მარადის პირუთვნელად აღასრულეთ, ვიდრემდა საკუთარნი საჭირონი საქმენი. და საქმარნი და სარგებლობანი, რამეთუ პირი მხოლო არა არს ქალაქი, სოფელი და დაბა, არამედ რომელსა უწოდის დიდ ყოფა. და პირველობა, იგი აღირჩევს უკანასკნელობასა ე. ი. მსახურებას ყოველთასა, რათა ზეგარდამო ყოველთაგანვე იყოს დიდებულ ქებითა, ამა სოფელსა შინა, ხოლო ცათა შინა უმეტეს დიდ ერქვას. რომელ პირველად მეძიებელსა სასუფეველისასა ჟამიერნიცა სიმრთელე და სიმდიდრე შეეძინების

და ცოცხლებით იყავნ. მოიხსენეთ, ოდეს ღმერთმან ყოს მისვლა თქჳჱნი მანდარე მანუწყეთ მშვიდობა თქჳჱნი. აჰა, უკეთუ იონა წინასწარმეტყჳჱლნი აყირი[1] გოგრისათვის დიდ ფრიად მწუხარებდა, რათამცა არა დაჰნობდა ნინევსა შინა, რომელსა ზედა არა აქვნდა შრომა რაჲმე ნუუმე მე არა ვზრუნვიდე თქჳჱნთვის, რომელი ხატი ღვთისა ხარი, რათა მსგავსიცა მის მაღლისა იყოთ კეთილთა სიბრძ- ნისა საქმეებითა.

მოიხსენეთ შეთხოვნა ჩემი და მიიღეთ შრომა და ყოველნი ნიცა- ნიერნი ჩემნი მომიამბორეთ საღთონი და საერონი. ორნივე სქესნა რომელთაცა ვახსონდე უუმეტეს იგინი. და გახსონდეთ მ. ჯ.[5] რომე- ლმანცა მოძულეთა კეთილისათა დაუყო პირნი, რომელი მსარჩვლეჲ პატიოსნებისა არს და მომხსენებელ კეთილმოქმედებისა, რომელსა ღმერთმან მზესავე ქჳჱშე მიაგო მომყმარსა სიმაძღრე და შიშველსა საბლარდნელი და უსახლოსა სახლი. და უფროსღა სიმრთელე უძ- ვირფასესი და ხარისხი ზემო წევრობისა ამისთვის იგი უყვარს სუ- ლსა ჩემსა.

შეგთხოვ ავთრათი ესე და რაოდენნიცა გახლავთ ჩემნი ყოვე- ლნივე ჟურნალსა შინა თქჳჱნისა შთაწეროთ ე. ი. მოსახსენებელსა კჳდიანსა წიგნსა შინა, რათა დაშთეს სახლსა შინა თქჳჱნსა ბიბლი- ატიკოსა შორის შობადთა წარსაკითხად, რათამცა მათთაცა მიიღონ, კეთილ მობაძაობა და შობადთა შემდგომთა თვისცათა დაუტეონ წი- გნნი მოსახსენებელნი კურთხევით სახსოვარნი. და მშვიდობით სუ- ფევდეთ: სულიერო ძეო ჩემო სოლომონ, რომელსა შემოგრკჳნავ დიდ ფრიად მოსურნე თქჳჱნისა წარმატებისა.

თქჳჱნი მარად მლოცველი ხუცეს მონოზანი იონა.

**№ 157**

**1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა თავად ალექსანდრესადმი**

მაღალ ბრწყინჳალეო თავადო ალექსანდრევ, ქრისტე ღვთისა მიერ ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო საღთო გულითადობი- თადრე ზეგარდამო.

იხილეთ იტყვის წერილი იელოვა მაღლისა უუჭეშმარიტესად ეკ- კლესიათა შინა ყოველთა ქრისტიანეთასა ძჳჱლისა აღთქმისა ფსა- ლმუნი. 146 მუჴლთა 10 ლექსებითა ამით, არათუ ძლიერება ცხენისა

უნდა, არცა სხვილ ბარკალნი მამაკაცისანი სთნდეს და სხუასა ადგილ-სა მეტყველებს ზეცისა წერილი ყოველთაჳთ დასაბამი სიბრძნისა შო-ში უფლის, რამეთუ აღმასრულებელი ათთა მცნებათა აღასრულებს ყოველსავე თანამდებობასა ზეცისა და ქვეყანისასა რომელ შეყუარე-ბითა ღვთისათა შეიყუარების მამულისა მოყუასიცა, რამეთუ ერთი მხო-ლო მამა გვივის ცათა შინა და უგანჳთ, რომელსა ეწოდების კაცთმო-ყუარე, ხოლო ქვეყანასა ზედა ხილული მამა არსა მისგანჳთ დადი-რგინებული ცხებული მისი, რომლისა გული უპყრიეს ჴელთა შინა კეთილ ჰურჰლებად გარდამკეთებლობს ცხველისა ჯუარისა სკია თვსსა და ვითარცა სღთო მეუფე [გაურკვეველი] თივიერსა ერთსა ტრიანითა, რომლისა სფერა ბურთისა ერნი, მრავალ ბევრეულებნანი და ხარაკტირ ნიშატებიანნი. მხოლო სკიპტრისა ერთ სახლეულ ვართ ზეგარდამო დამორჩილებულნი ქუჳშე კურთხისა, რომელ არს სკიპ-ტრა სალთო ჯუარიანი, ამისთჳს უუპირველესი თანამდებობა ჩუჳნი ესე არს, რათამცა ვიყუარებდეთ ურთიერთ, რათამცა უყუარდეთ ღმერთსა და ცხებულსა მისსა, რამეთუ ღმერთი და ცხებული მისი მოყუასთა და მამულისა საზოგადო ერისა მოყუარეთა ჰყუარობენ ზესთად, რამეთუ ჩვენ ღვთისაგან ვშობილვართ და ყოველი სოფე-ლი ბოროტსა ზედა ჰსდგას.

უტეოდ დაჰსდგნენ წარმართნი და ებრაელნი თვსსა ურწმუნა-ებასა შინა და დიდდიდნი მათნი და მსაჯულნი დასჯდენ უსჯულოე-ბასა შინა თვსსა დაჰსჯად ერისა და თესლებისა თვსისა ბარბაროზ ტირანობა მტანჯველობასა შინა, ვითარცა მშვენიერი ყურანი მათი მეტყუჳლებს აჯალისაგან[2] მართუასა ე. ი. მარჩენიო სუჳ ბედისაგან, რომელნი აზმნობენ, რომელმან მოაკვდინოს კაციო. მკვლელისა ბედი იქმნების სიცოცხლე და მოკუდინებულისა ბედი იქმნებისო სიკუდი-ლი. და ჩვენ ქრისტიანესა და ჩვენ ქრისტიანეთა სიკუდილსა შერაც-ხვენ ნადირთა ხროთა აწყვეტად და საიდუმლოდცა გონებენ თუ-სსა სამოთხესა შინა მონებად მიყუანებად თვსთაგან მოკუდინებუ-ლებთა; ეგრეთუჳ ურიანი, თჳსისა ტალმუდებისაგან განჰსწავლულ-ნი, მოელიან ანტესა, რათამცა ყოველი სოფელი დასაჯოს თვნიერ მათსა და იგინი შეკრიბოს პალესტინესა შინა და ყოვლისა სოფლის მეფენი და მთავარნი მუნ შებორკილოს ანტემან და სრულიად ქვე-ყანისა ოქრონი ვერცხლნი. სპეკალნი, ქვანი და ერთბამად ლითონ მეტალნი პალესტინესა შინა მიიხვეჭონ და მიერთამდე ყოველნივე თესლები დატყვევდენ ჴელსა შინა ანტესსა, აჰა, ესე არს გოდება მათი თავხრით სინალოლებთა შინა მათთა თავებ დაბურვით.

ეგრეთვე იაპონიისა დიდ დიდი შთამოასხმევინებს კერპსა ხუ-როთა სჯანდაკუმლებთა ვერცხლთა და ოქროთასა, რათამცა ი ლაშქ

კერპთან აღუსრულოს წადილნი თჳსნი გინა სიზმარნი, გარნა ვერ მიმთხვეული სურვილისა თჳსისა. განაღებინებს საესავსა თჳსსა დღესა წვიმიანობისასა დაათრევნებს ბოქოულებსა და მანდატურებსა თჳსსა ღმრთებთა საშუალ ჯნარცვებთა შინა, ვიდრემდის შეისვარას და იქმნას შემუსრვილ ქვებთა ზედა.

ეგ სახედვე კიტაიელთა დიდ დიდი თითოეულთა მთოვარისა განახლებისასა ახალთა კერპებთა დაჯარიგებულ ჰყოფს ყალიბებთა შინა და აღუნთებს, რომელთამე ცმელსა ზროხათასა ე. ი. ქონთა მუცლებისასა, ხოლო რომელთამე ქონთა ღორთასა და სხვათა ქონთა მცხოვართასა და თხათასა და უღრჩოლებს ქატოთა, რათამცა მიემთხვიოს წადილსა თჳსსა.

ეგრეთვე დალილამა, რომელსა ოციათასი ლამანი მსახურებენ იგი იძულებულ ჰყოფს თემსა სრულიად და დიდ დიდთა მათთა, რათამცა მთასა მისსა ეზორონ, რომელსა ზედა ცხოვრებს.

ეგ სახედვე ინდოთა ბრამმანი აწუწვენ ინდოელთა, რათამცა მიცვალებულითანა თანა დაიწყებდენ მეუღლენიცა და ასსა წელსა შინა კერპებთა თჳსთა ბომონებთა შინა გამოჰსცვლიან დაძველებულთა ღმერთებთა და ახლებთა შთამოასხეს მრავალთავებიანთა ბევრეულ ჴელებიანთა და უშთის უშქარის ფერხებიანთა ე. ი. ბევრის ბევრთა და ჟამსა წარლებისასა ბომონებთ შინა ქალაქებისა, დაბებისა, სოფლებისა და სანაჴებისა ერნი ძეთა და ასულებთა თჳსთა გზებსა ზედა დადებენ, რათამცა კერპებთა ურმებისა ეტლებისა, გოგორათა, ფერასოებთა დათრგუნონ და უნეთა ე. ი. ცხენთა მზიდველთა შვილნი მათნი, რათამცა ცხონდეს მშობები შობიებითურთ.

ეგრეთუწ ამერიკისა, კუნძულებისა, ჯერთკსებისა და ყრუჰლავესა ერნი იდეს ერთიერთ ერკინებიან ზედასხმით მძლეულნი, ძლეულთა მკუდართა შთანთქამენ მძვინვალედ გაბრაზებულნი და უზორვენ[5] მაღნარები სერტყებთა მუხებთა და მდელო ნერგებთა და დღისა მზესა და ღამესა შინა მთოვარისა და ვარსკვლავთა. ეგ სახედვე კავკასიისა ოსნი თხემებისა თხემებთა განჭმელთა დაკიდებულებთა აქარ იქი და მუნ ზეებთა ზედა უზორვენ შემთხოვნი წვიმისა, ხოლო ქისტნი ესვენ ბნელსა ალაღონი ეშმაკთა. იმიერნი, თუშნი, მაღლისა თჳსებაებსა მიბნელებულად სუანნი, ესვენ თამარ მეფაძსა თმასა, ღები და ჰიორა ყუწლიერისა ხუთშაბათ დაკლულსა გოჭის კორცის ჭამითა გაბედნიერებასა. აგრეთვე კევსურნი ქადაგისა თავზრუთ მოთხრობასა ორაკორობენ, მსგავსად ორაკულთა და სხუანი ფორტუნათა, მარმენიითა სუწთა, ბედთა, სიზმართა, მისანთა გრძნეულთა, მოგვთა, პითონთა, ულუულუკთა, მკითხავთა, მუცლით მგოსანთა და დედაბრებთა ზღაპრებთა და ცხვირისა დაცხვივებათა, თუალთა, წარბთა, მკ-

ართა ფრენათა და ასოებთა კრთომათა და მუცლისა ნაწლევებთა ჰყუილთაცა ესვენ ვიეთნიმე, ხოლო რასკოლნიკნი უმღუდელონი სამღუთო კაცისა ხილვითა უკუნ იქცევიან თვსთა ეშმაკთა, დემონებთა, სატანათა, ბელიერთა, სამუილთა ტარტაროზებისა მიმართა მიბრუნდებულნი, ჭედავთაა; რომელ თითოეულნი პირნი და ყრნი და თესლები თვსსა გზებთა ზედა ვლენან. ამისთვს ბრძანებს წერილი ზენა ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგასო თვნიერ წმიდათა კაცთა; გარნა კაცთმოყუარისა მზე ყოველთავე ზედა აღმოვალს და სწვამს მართალთა ზედა და ცოდვილთა ზე, რათამცა დასასრულ განიკითხოს მართალნი და ცოდვილნი. მაშინ, ოდეს კუამლებრ განქარდეს ცხოვრება კორციელნი და აღუწოდებ მართალთა ანგელოზებთა თანა ცხოვრებად, ხოლო ცოდვილთა შთაიყუანს ნათელ დაშრეტილებთა ეშმაკებთა თანა, რომელთა მსახურებენ უნათლავნი გინა მონათლულნი, რომელნი ესვენ გუარსა ხარისხსა ძალსა თვსსა და სიმდიდრესა უთნო და ღვთისა და ცხებულსა მისისა, რომელნი კაცთა ცრემლნი სძეთ შერაცხვენ და გოდებასა მუსიკა სახიობად, რომელნი გარეგან იჩემებენ ქრისტიანობასა და პატიოსნებასა, ხოლო შინაგან არიან ხენეშისა სულისა მექონ ფისიერისა გონებისანი ღუარძლიერნი პირთაფლიერნი სიტყუა ლბილნი, გარნა შინაგან სულითა ვერაგნი, მძლავრნი ამპარტავანნი, მრუშნი, მპაძ[illegible]ნი, [illegible]წნი, გესლიერნი, ცრუნი სიტყუათა შინა უსაქმონი კეთილთა შინა გარემოთა მიმართ, რომელნი აგონებენ ბოროტთა ქმნითა ფარულად კეთილთა მიმთხვევასა. რომელ მამა ეშმაკი არს თეორეტიკებ მრჩეველად გონებასა შინა დამწყობად პლანებისა ქვშასა ზედა შენებად საქმეთა.

იხილეთ, ჩემო ყოველნივე მარცხულნი გრილოს გრიდო გრიდოს[5] ღმერთისაგან კაცთმოყუარემან. რომელმან ბრძანა ამა სოფელსა შინა მკა შეკრებად ზენა საუნჯეს შინა სიმართლითა, სიწმიდითა, და პატიოსნებითა. რომელ არა არს შობა კაცისა საქებ სოფელსა შინა, არამედ აღსრულება დააგვირგვინებს კეთილსაქმისა, რომელსა სულსა მიიღებს კელი ღუთისა, და სოფელსა დაუშთების კეთილი ხსენება, მაშინ აღესრულების კმა ღუთისა და კმა ერისა და ეგრეთ მეტყველი წარხვედ სულო ქრისტიანეო სიყუარულითა ღუთისათა და მოყუასათა ე. ი. მამულის ერისათა კეთილითა. საქმეებითა დაგვირგვინებული და არა ესრეთ მეტყველებს კმა ღუთისა და ერისა წარხვედ სულო მთავარი სიმდიდრითა შენითურთ მოძრავთა და უძრავთა და ნიშნებითა. იხილეთ ეგვიპტესა შინა მიცვალებულს ზედა შეკრბებოდნენ მსაჯულნი გამომძიებელნი კეთილთა და ბოროტთა მიცვალებულისა, რომელნი სახლეულნი მკვდრისასა და მეზობლებთა და მცნავთა შეკრიბდეს, რომლისა კეთილნი უკეთუ იქმნებოდენ მრავალბევრეულ

პირამიდებთა ქვეშე დაფლულდენ შემუსრვილსა საუკუნოდ უხრწნელი და უკეთუ ბოროტნი და სიძულვილნი და ურგებობანი ბევრნი ექმ-ნებოდენ შეუმყრელსა გარდაავდებდენ ჭაობებთა შინა და ესე ვი-თარისა სახითა ყოველნივე კაცნი კეთილზნეობით განწუართეს მკუ-ლართა მსახურებასა და იყვნენ მეტრფიელნი თვისთა ოფლებითა ც-ხოვრებ უვალოდ და ჴელოვან დიდ ფრიად და ამაღლებულ ფიზიკითა და მესანიკითა. რომელნი ყურანმან აღსპნა გონებათაგან მათსა, რო-მელსა სძულს ჭეშმარიტება და ჰსწავლიანი და ჴელოვანებანი და უყ-უარს უმართლო მახვილნი.

დასასრულ: მე ვუწყი სულისა თქვენისა კეთილთვსებისაგან, რო-მელ აღიხსენებთ ჩემსა საღთოსა მსახურებასა, რომელნი ვჰყავ კურ-თხევით სახსოვარსა მცხედარსა ზედა დედისა თქვენისა პირველ სა-ღთო წერილების წაკითხვითა, მეორედ 2 სარჩელითა, რათამცა წარ-სვენებულ იყო დღისი და არა ღამე. 3. საფლავისა შოვნითა უკეთილე-სისა, 4. არხიერისა და კრებულისა განმზადებითა, 5. მცირისა წარგე-ბითა. 6. უმეტეს ოთხასისა თუმნისა თქვენდა შეძენითა. კნინღა და მიზეზითა ჩემითა, რომელი ჟამსა გამოსვლისასა დიდ ფრიად ისარ-გებლეთ დასაბამ ბედნიერებისა.

იხილეთ! რაი შემემთხუა მიზენითარე თქვენითა. ე. ი. ექვსორიობა უმაღლესისაგან. რომლითაცა მოვაკლდი თითოეულსა წელსა შინა გა-რდა მზად გამოზრდისა, ასოცთა თუმანთა გარდა მზად და როჰიკთა-ცა ათთა წელთა შინა მეფის ძის სახლსა შინა და მცირაკისა როჰიკთა მცხოვრები. გარნა მოტყინარესი სიყუარულითა თქვენითა ზემო ექ-ვსორიობანი და მტერობანი და მოკლება გაბმულისა წირვებითა შე-მოსავალნი ამოწყვეტილნი თავს ვიდე და განვკფდი სარჩელისა ზედა თქვენსა წინაშე მამულისა თქვენისა, რომელ მის დროების სარჩელა თქვენთვს იყო ზღუდე, ხოლო ჩემდა ჰირნი და დევნულება ეგრე-თვე ნებისაებრ თქვენისა გმოძღვრიდი სულიერად წელსა 1816, ვი-დრე 1825 წლადმდე, ხოლო წელსა მას შინა მოწია ზეგერდამოდ სნეულება ჩემზედა ათექვსმეტთა დღეებთა შინა. ვიქმენ მდებარე სა-ქციელსა ზედა, რომელი სახარებისაგან სასყიდელისა მიღებისათვს მიხილეს უმაღლესთა და უგანათლებულესთა ორთავე სქესთა და თვთ იმიერისა მეფის ძემანცა, რომლისასა არა ვგონებდი ხილუასა. ეგ სახედვე დედამან მისმან უმაღლესმან მიხილა კაცის კაცითა და სა-ნოვაგის წარმოვლენითა. აჰა, ყოველთავე მიაგოს უხრწნელსა დი-დებისა შინა ნაშრომნი თვსნი.

აჰა განჰჭვრიტეთ! არავინ ჰსჯულის კანონთა მეცნავი გამოიცვ-ლის მამასა სულიერსა, გარნა თქვენი ერთი და ჰქმენით კეთილი ე. ი. ითხოვეთ დატევება ჩემი და მეცა ნება გრთე. თვნიერ დაბრკოლებისა

ესე იყავნ ნება თქვენი პირისაებრ ადგილისა და დროჲსა. მე არა რაჲ წყინება მთხვევიეს, რომელსა აღმისუბუქდა ტვირთნი სკვებთა თქვე-ნთა მოვლისა.

განსაჯეთ მამყოვრებით, ოდეს განვიკურნე არა ჰყავით მოლო-ცჳა, ვითარცა სხჳათა პირველ. მეორედ მე მრავალგზის პირებითა მოხუცებულისათა და ჰარმალისათა მოკითხჳა ვჰყავ თქვენდამო, გარ-ნა თქვენ დაიდუმეთ. მესამე ორნი უკეთილესნი ლოღიკანი გიმსხჳ-ცრპლე, რომელსა აქებს განათლებისა კომიტეტი და ფჩელა გაზეთი. გარნა თქვენი არარაჲ შერაცხეთ მამულისა შვილისაგან შეთხზული, რომელმან ქება მიაწერა იუჩრიასა. უსაყუარელესსა მამულსა ჩვენსა, რომლისა პური პირთა შინა ჩვენთა არს. აჰა, მე არარას ვითხოვ თვნიერ სიყუარულითი გრძნობასა. ვგონებ უუმჯობეს იყოს ბაძჳა ფრანცი-ცთა, ნემეცთა, აგლიჩანთა, რომელნი თჳსისა ქვეყნებისაგან აქარე მოსრულთა ჰყურობენ და არიან ურთიერთ სიყუარჳლითა მსუქან ჯიბითა, მდიდარ სახლებითა და მხიარულ ურთიერთისა აღდგინე-ბითა.

თქვენი მლოცველი უმორჩილოდ იერომონახი მკდოვანი
ვგი უუმწვერვალესსა გულითადობასა შინა.
წელსა 1827.
თთვესა აგკსტოს 1 დღესა.

## № 158

### 1827 წლის 15 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მამა პარმენისადმი

ყოვლადპატიოსანო მამაო წმიდაო პარმენ წმიდათა კელთა ქრისტე ღვთისა მიერ სადთოდ გეამბორები.

აჰა, ესერა თქვენსა ორკერძვე ზენა მშვიდობასა შევთხოვ მაღალ-სა, რათამცა ამიერ მომკალმან, ართუ სამოცეულნი, უფროსღა შეგე-ძინოსთ ასეულნი უაჩრდილოსა მას სუფევასა შინა.

ესერა ნამდვილ ვუწყი, რომელ ვითარებასა ჩემსა მოიხსენებთ: თვნიერ ლოცვისაცა, ვჰგიე ზეგარდამო კაცთ მოხვარისაგან დაცული და ყოველთა მმართლმადიდებელთა ეკკლესიაებისა ეტენიაებითა! თქ-ვენითურთ ვსასოებ ორკერძვე ცხოველობასა სათნოდ ორობათა შე-მოქმედისა, რომელმან შეამოკლნა ხელნი კაცთანი, რომელთანიმე ეგრეთ და სხჳათანი ესრეთ. რათამცა რჩეულთა ადრე მიიღონ სასყი-დელნი და არღა განაგრძონ მსგავსად მათუსალასა, რათამცა ზეპირ იქ-

მნას მწიგნობარე მხარისა სეითისა და მაჩხილებელ კერძოკთა კაენისა-თა, რამეთუ არს შქადაგებელ წ. სახარება; ვიდრე ეგ სადა მზე და მთოვარე ჰრჩეულთა დევნულებადმდე, ანტესაგან და ეშმაკთა და სოფლისაგან, რომელთა მშვილდი მშვიდობისა არღა ეჩვენების ზე-გარდამო, არამედ ცეცხლი მზისა, მთოვარისა, ვარსკულავთა და ბუ-რთისა, ამის სოფლისა ურთიერთ შერკინებითა, მსგავსად კუჩრცხისა და კაუისა, რომელთაგან გამოვლენ ნაპერწკალნი დაწუად მთიებთა და სოფლისა ზეგარდამო განჩინებითა საქმეთაებრ სოფლისა ბოროტთა. სა მაშინ აღესრულების წ. წერილისა ბრძანება ე. ი. რომელმან დი-დათ მიიღო ამის სოფლისა ამაო არა ემატების და რომელმან მცირედ მიიღო მხოლოდ უსაჭიროესი მცირე საზრდელი და საბლარდნელი სათნოდ მაღლისა არა რაჲ დააკლდების, რამეთუ წარუალს ხატი ამა სოფლისა და ტანჯულნი ცხრა ნეტარებისა ღუაწლებითა ყოველ-ისავე უხრწნელთა მოგებულთა მიიღებენ.

იხილეთ, ამაოდ შერაცხილ არს შვება ჴორცთა და შეხვეჭილნი დიდ ფრიად ტვირთად წარუგებელად დაუნჯებულნი, რომელ ებრა-ულ ამაოებასა ეწოდების სკორე, მაშასადამე ამაოდ შემკრებნი სხუათა დაუნჯებენ სკორედ ოფლთა თჳსთა. ვინ უწყის ინთილაცა[2] ეკუწ-თოთ არა ზომიერ მჭამელთა და აგიებდენ უნჯისა[3] დამაშთუნებელ-საცა. მსოფლიო იგავთა ე. ი. ვირმან არა უწყისა ხურმასა ხილობა და ზედართვით ცოცხალმან უწყისო მკვდრისა თავის დამარხუა.

დასასრულ, თქვენ ეგერა ავთრათი უსტარი მოვართვი პიტაკად მადლობით ჩემითა აღვსილნი ჴელითა თარხანოვის ესტატესითა, რო-მლისა მიღება არა ვუწყი. რომელმან უბოძეს სოლომონ დოდაევს ტა-ბლა სადგრითა ნატიფიან სანოვაგებითა და სასმისითა, რომელნი წარ-აგებთა სალით კონდაკითა თქვენისა ოფლისა საკუთარისა პირისათა შეძინებულებთა მამულისა ეკკლესიისა შვილთა ზედა. აჰა, ესე არს ვაშა, ვაშა, ზენა, რომელ ხრწნადითა იგებთ უხრწნელთა აბრამიანუ-ლისა სტუმარი მოყვარებითა და სამპსონურისა უცხოთ შეწყნარები-თა და იოანე გლახაკისა კუალისათა და ზოტიკ ხუცისათა და ფილი-მონისათა.

იხილეთ მამაო წმიდაო ხუცეს მღუდელი ესე დეკანოზი თ[illegible] პატიოსანი ჰურ უფრიადესად მოშიში ღვთისა ჰაღთო განკრძალული მემსხუწრპლე მამა გიორგი ბიბილური[4] ღუაწლ დადებული ჴელიბა-ბისა უცხო თესლთა მოქცევისათვს წრფელი მდაბალი მშვიდი, მო-ხარულ ზეცისა მოხარულთანა და მტირალ მონახულთა თანა მყუ-დრო მჰსგავს მემხოლოეთა მოთაკილე ნაოჰბრძვილთა და მსახურ მდა-ბალთა და მაღალთა სათნოდ კაცთმოყუარისა მლოცუწლ და მმარ-ხველ, მსგავსად პირველისა საუკუნოჲსა, მეორისა, მესამისა, ვიდრე

ბეშუიდედმე და ყოველთა საუკუნოებთა შინა ჰრჩეულთა მსგავსი და-
ყრმა ბოროტთა ღუარძლებთა შორის და უმრწმესი მედიდურთა მე-
ძავისა უმანკო შეურყვნელი შინაგანის კაცითა და გარეგანის ტა-
ძრითა, არა რაჲსამე მგონებულ ქუეყანა გევისა თჳნიერ ქრისტე ღვთი-
სა თანა მისვლის კიდე.

აჰა, გუშნდრი ჩემ კერძ კაცსა ამას ისრაიტელსა, ოდეს მოვიდეს,
მიგება ჰყავთა საღთო სულისა კეთილ თჳსებისაებრ თქვენისა და და-
უვანეთ ღვთისა მიერ მობრუნებსა ამას ხმელეთს ქრისტესსა თავსა მის
წ. პეტრე მოციქულისასა ქრისტეს მიერ ძმასა ჩვენსა უხუცესსა ღლი-
თაცა და კელდასხმითაცა და აღსავლობითა.

იხილეთ მდელო ნერგთაცა თჳსი აგარაკი აქუსთ შეყვარებულ
და ფრინველთა თჳს განცხრომილი ტაროსნობ და საცხოვართა
თჳსნი მკარენი და თჳთ უგრძნოთა მარილთაცა და ბოლთასა თჳსნი
წიაღნი უყუარსთ. რამეთუ თჳთოეულნი სამნი მმეფებელნი ცხოველ-
ნი და უგრძნონი თჳსთა ადგილებთა შთაწყობილ არიან, მსგავსად
ბროწეულისა მარცუალთა, რომელნი, უკეთუ მიმოიცუალნენ თჳსისა
არისაგან, ივნებენ და თჳთ შემემეკე ორძილი მორწყვლის ძალდამა-
ყენებელისაგან. განჰსჯვრიტედ მაშა წმიდაო, უკეთუ ზემოხსენებუ-
ლნი თჳსსა ფუძესა ზედა მიმაღნიტებულ არიან, რაოდენ სიტყვიერნი
ოდესმე გონებითა და ოდესმე გრძნობაებითა თჳსსა მშობელსა მამულსა
ზედა მიდრკებიან თჳთ რტოებითა და ძირებითა და სიზრმეებითაცა. აჰა,
კაცსა ამას ღმერთისასა უზიდავს თჳსისა კმისა ეკლესია 1. და 2. ლო-
ღიკა. 3. მეტაფიზიკა. 4. ითიკა. 5. ფიზიკა. 6. პოლიტიკა ე. ი. მოქა-
ლაქურ ყოფაქცევა და 7. აკლდამა, საფლავი წინაპართათანა ლაძი-
ნებად.

თქვენი მლოცველი იონა მ. მ. წელსა 1827 აგვისტოსა 15 დღესა.

**№ 150**

**1827 წლის აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანიჩ, ქრისტე ღვთისა მიერ
საღთო ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო.

უფალო დოდაევ სოლომონ იოანიჩ. ესერა თქვენი პიტაკი უსტა-
რად ჩემდა აღმოვიკითხე ერთგზის, რომლისა პასუხი მოგწერე
ქარტა კეფინსა ზედა, ხოლო მეორე და მესამედ რა შევემეცენ. არა-
თუ ისტორიულ ეპიფანა სიფრიფანულად ზემოპირ განფენილებისა
ფურცლისასა, არამედ გულისხმიერ ე. ი. გონება აზმითა, გულისხმი-

-ერ, განხმითარე განსჯითა მიმყოვრებულ სულთა განკითხვითა ვპოვე სურვილი არა ენტიზმაური, რომელნი მსგავსად დენთისა თვნიერ პრაპენისა აღფეთქებლისა, რომელი ცენტრო საგანსა ზედა ვერ მისწვდების, გინა სოფიზმო, რომელი ებრი და მებრი და არა ჰეშმარიტ ანუ დილემა, რომელი განიძაბების და არ არის დალანდნი და აჩრდილნი და მსეუჰვრიტა ყვავილნი, რომელნი დრკებიან უფეძოდ და კაცნი კოხტანი, რომელნი დიდ რაიმედ იჩვენებიან და მტრაბახებელნი, რომელნი იქადიან წინა უკმო ლექსებითა და ვერაგნი გვრივნი მტრედნი ფლიდნი ცრუნი ფერად ფერადად და ლიზღში მრავალსახენი და ქილიკნი მონადირენი უქმთა[1] და მზვერავნი სიცილთა მშობელნი და თართნი მოლაქუცენი და ზორაყნი[1] და ყაპუზუნანი[2] გალიასა შინა მბამველნი სახლისა უფლისა და უფალთაი და ენძელანი და ხავსნი და ეგე ვითარნი, რომელნი თუმცა იხილვებიან, გარნა არიან უნაყოფონი, ვითარცა საშუალ კაცთა და ცხოველებთა ციდამტკაველა, ყაპუზუნა და საშუალ მეტალთა და ორძილთა ხავსი და სოკო.

აჰა, ესერა ავთრათნი თქვენნი რაოდენ ლიტონ და ვაკენი არიან ეგოდენ სვინიდისნი თქვენნი უპყრიეს, რომელსა შინა მწერთ იოანიკოლიჩი უფალი კრონბერლი[2] აღთქმული იქნა საგნებისა ჩემი წარმართებისა სიტყვით, საქმითურთ და მასწავლებლებისა წარძოგზავნითა, უკეთუ ენებოს ღმერთსა იქმნების ნამდვლ.

იხილეთ ნება ღვთისა მაშინ აღესრულების ჩვენთვს, ოდეს ნებასა ღვთისათანა ნებაცა ჩვენი თანახმობდეს ე. ი. შეყვარებითა ღვთისთა შეყვარებაცა მოყვასისა თვნიერ თვალღებისა ე. ი. ყოველთა მდაბალთა და მაღალთა ზედა განხმა თვალებთა და არა დაწერვად მდაბალთა ზედა. განღებად და შეწევნად მდიდრისა და დახშვად თვალთა ჩჳღოვანთა, ობოლთა უძალოთა, მწირთა [გაურკ] და უპოვართა ზე, არამედ ეგრეთ ვითარცა ჰყოფს მაღალ ღმერთსა მზე, წჳმა, ყოველთავე ზედა არს უხვებით და პირისა და პინჩებთა სამშვინელნი ჰაერნი ოთხსარტყელიერნი ტფილი, ცივი, ცხელი და ნეფხვიანი.

იხილეთ, კვლავადცა პირველად აჩვენეთ ღმერთსა და მამულისა სამსახურნი გარეგან საქმეებითა, ხოლო შინაგან იმარჯვეთ საგანნი იგი, რომელნიცა უპყრიეს წინასიტყვაობასა კატეხიზმოსა ჩემგან შეთხზულსა თქვენთვს, რათა შინაგან სულსა შინა დღე და ღამე ზრაჭვიდეთ და გარეგან შეკრიბეთ ხვასტაგნი და პირნი შემძლებელნი თანხმანი საქმისა მის წარმართებად.

დასასრულ ძმასა თქვენს მიეცით სწავლა. და გარდაუბეჭდეთ სერვილნი შემწედ თქვენდა. განჰსწავლნეთ რაოდენნიმე მოკლე ჟამებში თითოეულნი თითო საგნისა მასწავლელად ეგე თვითარნი დავრდო-

მილნი, რომელნიცა იყვნენ გონებისაებრ თქვენისა ხარაქტერისა. ესე-რა მაშენებელნი სახლისა პირველად შეამზადებენ ჩერტაგსა, შემ-დგომ მატერიალთა, ე. ი. ნივთიერებათა და ეგრეთი იწყებენ სახლის შენებასა და არა ეგ სახედ, ვითარცა ჰყო უნეტარესმან. ა. კ. მანდარე პირისპირ ანჩის ხატისა. რომელმან დასდვა ფუძე და ვერ შეუძლო აღსრულება, გინა ღირსისა გალავანი ზემო მქისიყისა მახლობელ ტი-ბაანისა.

მე ოდესაც მომწერთ ძალითა ღვთისათა, მზა ვარ ხვასტაგთა წა-რმოვზავნად სულისა ჩემისა გონებისაებრ და სიტყვისა. გარნა თქ-ვენ ეკრძალენით, რათა ლელწამი შემუსრვილი არა განტეხოთ და პატრუქი[4] მდვინვარე არა დაშრიტოთ ე. ი. რომელნიმე ლელწამისა-ებრნი კაცნი. რომელნი აღითქმიდენ შეწევნასა. გარნა ირყეოდ-ენ მსგავსად ლელწმისა არა განაძოთ. არამედ აშიად მიიზიდეთ ზე-და ზედა იძულებითარე და ზეთ დაშრეტილისა პატრუქისაებრნი კა-ცნი, რომელნი ჟამჟამად ბრწყინვიდენ სიტყვითა შემწეობისათა და საქმეებითა შრეტებოდენ აქა თქვენ იხმიეთ ვერაგობა არა მარცხულნი· არამედ მეცნიერებითა და მიიყვანეთ სურვილისა უღელსა ქვეშე თქ-ვენსა აღთქმეებითა აწმყოითა და მყოობადითა, რამეთუ ძლიერ არს სიმრწითი პრაქტიკა. ვიდრელა მაშინა ქარისა. რომელმან მშვიდი მდაბალი მეძიებელი მრეველი და მთხოვეს მიემთხვევის საგანსა სა-თნოდ ღვთისსა და ცხებულისა მისისა.

სალთო წერილნი გაქვნდეს წინამძღვრად შენდა, ვითარცა ისწა-ვეს წერილნი კაცის ღვთისა მოსესი, რომელთა შევიდა პალესტინესა შინა და ეგე კატეხიზმო და ქადაგება იქონიეთ განუშორებელად ნა-ცულად ჩემდა, შემდგომ გარდაწერირისა, გარნა ვინცა ვინ შენიშ-ნით, რომელთაცა ხუთი და ორი ტალანტნი არა აქუნდეს და უკანას-კნელსაცა აბერწებდეს კოფითა. შურითა, ცოფურ სიბრძნაკობითა და უცებ კაცაკაობითა, ქირდვითა, ქვრიობითა, ვერაგობითა, მზაკვ-რობითა, ტარტარითა, ცმაგვითა, ზიჩო აბუჩაკობითა, გონებისა ზა-პილობითა, სულისა სნეულებითა, ავზნეობისა, ამოვნებითა, ცუნდრუ-კეობითა, ხველვითა, ქილიკობითა, მზაკვრობითა, ხენეშობითა, ღვარ-ძლობითა, ფისიერობითა, და გულისა სვრისლობითა. მღერიანისა ფხა-ნითა, და ვითარცა იანე და იახბრე. რომელი უხდებოდენ წმიდა მოსეს და წმიდა პ. დიმიტრი ეფესელთა არტემისა მქანდაკებელი და ალექსანდრე დარიჯაგულად მოქმედეი ამინაშატებისა აჰა. ესე ვითა-რთა კაცაკთა, ლაღთა, კადნიერთა. წარმდებთა ურცხვთა, ბილწთა და არა მეცნავეთა ძველისა და ახლისა წერილებთა ძარღუთა. ტვინთა. და ძალთა და უბირთა წ. გრიგორი ნაზიანზელისა ღვთისმეტყველე-ბისა და ანტონი 1. კათალიკოსისა ნუ მიჰსცე წარსაკითხველად გან-

ქიქებად, ვითარ ჩვეულება არს ვიეთთამე აზიურ, რომელნი კეთილთა წიგნებთა დაჰსდებენ წუნთა ამად, რომელ მიიღოს ქება უგუნურთაგან და ინატრდენ ათევით თვსით ეგრეთ მეტყველთა, უკმარ არსო იგი წიგნი და უპროსოდიო და უკავშირო, რომელი გონებისაებრ ჩემისა არა არს დაწერილ და არცარა მესიისო ყდიდამ ყდამდინ ვერ წარვიკითხეო ჰოჰორაქისა ძილისაგან აქა და იქი ამოვიღეჰე და არა რაჲ ვპოვე და თითო ორი ორი ტრიქონი ამან და იმან წარიკითხეს და იმათცა ვერა გაიგეს. აჰა, ესე ვითართა კაცთა ნუ მიჰსცემთ ჴელად, რომელთა არა აქუნდესთ ბიბლიოტიკა, არამედ მათ ანაოხოვრეთ, რომელნი იკრიფდეს წიგნებთა და რომელთაცა ჰსურდეს გარდაწერა, და ჰსწავლა მათდამი განჰფინეთ ტალანტი ეგე და განამრავლეთ ბუტკართ ყუავილად, რათამცა იგემონ. მანანა ჰსძეთ საღთოდრე. ი. მ. მ. მ.

[1827 წ. აგვისტო].

## № 160

### 1827 წლის 16 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მამა დიმიტრისადმი

მამაო წმიდაო დიმიტრი![1] ქრისტე ღვთისა მიერ საღთოთა ჴელთა გეამბორები მე მლოცველსა მაგას იერუსალიმისასა.

საღთო მამაო წმიდაო და ქრისტე ღვთისა მიერ ძმაო თანა მემსხუერპლეო ახლისა აღთქმისა ლევიტელო, რომელ არს მაპყრობელისა ღმერთისა თანა თქვენსა მრჩობლისა სიმართლითა სიმრთელეთა გრძლად ცხოვრებისა და სულიერ გამოზრდისა შევთხოვ მაარსა, რამეთუ ამა ოთხთა ლექსებთაგან გამოიხატებიან ცხოვრება საუკუნო და ჟამიერი სათნოდ მაღლისა კაცად კაცადისა სიმართლე სიმრთელე თვსისა პირისა ოფლისა საზრდო და გრძლად ცხოვრება ფსალმუნისაებრ არს ბედნიერება ე. ი. მრავალთა სამკალისა მკა ცრემლებითა შეკრებად ზენა საუნჯესა შინა ზვინად ბრჯად[2] აღვსებად ცხრა ნეტარებითა ბეღელისა მის საუკუნოჲსა სავანისა და ათითა მცნებაებითა დატენად სამარადისოსა მის საწნახელისა და ათისა სულისა ნაყოფებითა უოხჰნოსა მის ტაძარისა მის ალმოვსებად ექვსთა მათ კეთილებთაგან, რომლებითაცა ვითარმედ მოსვლისა ჟამსა სოფელი მარჯული ცხონდების. ესერა ჟამიერსა კალოსა და ბეღელსა და საწნეხელსა და ტაძარსა შინა უნჯნი განხრწნადნი შეიკრიბებიან მთესვართა, მომკალთაგან ანეულებთა, ნაოშებთა, კორდებთა, პარტახთა, თერძულებთა, ორნატებ-

თაგან და ვენაჴთა აზერხართა საძილოთა, სამოთხეთა, ვარჯოვანთა ძოთა, წალკოტთა, მტილთა აგარაკთა ველთა მინდორთა, ღუბეთა, ეწერთა, მთათა ბორცვთა. ზართა და სრულიად ჴმელთა და ზღჳათაგან მისთლობიან, ერთბამად ამათ ხრწნადნი, რომელნი სკორედ იცუალებიან ეგრეთვე ლიტონმეტალნი ე. ი. ოქრონი და ვერცხლნი მრავალთა ჴელებთა შინა გავლისა, შემდგომ განლეულნი დაგესლდებიან, რომელთა მოწამედ თჳთ ანგაარნი და ძუნწნიცა არიან, რომელთაცა უჭამელობითა ლბილნი, უნჯნი და უდარებისთ ნოტიონი დაუმჟავლებისთ და რომელნიმე დაუბღებით, ხოლო ჴმელნი დაუგესლდებით და დანაშთთა დაჰკარგვენ, რომელთა ცხოვრება თჳსი მსგავსად სიზმარის შეერაცხებისთ და მონაგებნი თჳსნი საიდუმლო ქარისაგან განებილწდებისთ ე. ი. დემონთა სულები წარიტაცებენ მემთვრალეთა და მეძავთა ჴელებითა და აღესრულებისა მათ ზედა სიტყუა მდაბიო ქარისაგან მოტანილსა ქარივე წარიღებსო ე. ი. ეშმაკურად დაუნჯებულსა ეშმაკნი წარიტაცებენ თჳსს საუნჯესა შინა, ამის სოფლისა მესაუნჯეთა შთაიყუანენ თჳსთა ქალაქსა შინა, რომელ არს ჯოჯოხეთი, რომელი ღმერთმან კაცმან აღაოხრა მართალთა მტანჯველი, დაუტევა ცოდვილთათვის მკარე ერთილა, რომელთა შინა სოფლისა ამის მდიდარნი აღიხილვენ თვალთა თჳსთა, ვითარცა მეტყველებს იობ და იგავი სახარებისა.

დჳსასრულ, რომელნი თჳსთა მღღევარისა მცირაკისა საზრდელისაგან გამაჴმობენ გამოზრდად მკდოვანთა და ორთა სამოსელთაგან მეორითა შესამოსად გლახაკთა და სმევად თჳსისა სტაკანისაგან მწყურვალთა უსახლოთა მიცემად სახლისა და მიხედჳად სხეულთა არა აზიურად, რომელნი განაგებენ სენიანსა მეტყველნი ეგრეთ ქრისტე ივლტოდაო, მაშასადამე უკეთუ იგინი მართლმთარგმნელ არიან წ. სახარებისა ნუ მემთარგმნელნი იყუნენ მართალ, ხოლო წ. სახარება იყოს უცნაურ უმეტეს ადგილი იგი, სადაცა უბრძანა ზედდამსხმელთა ჯუარსა ზედა მცემელთა უკეთუ ნეცოებთ. აჰა, ესერა მე, ვერ შეიწყალარა ხუთი ათასი მამაკაცნი და ყრმანი და დედანი ყოვლითურთ სნეულნი: აჰა, პირველად განჰკურნნი იგინი მაცხოვარმან და უკურთხა ხუთნი პურნი და ორნი თევზნი და გამოზარდნა უდაბნოსა შინა ზედა მაგდალოსასა. ეგრეთვე ოთხნი ათასნი სნეულნი განამრთელა მიზიდულნი ცხედრებითა კაპერნაუმს და უკურთხა შვიდნი პურნი და მცირაკი ნაკვეთი თევზისა. აჰა, დაიყავე პირნი წ. სახარებასა შინა უგუნურ უვიცისა, რომელნი სნეულთა მართალთა განაძებენ და ყვარობენ ცოდვილთა მკურნალთა, რომელნი წამლებთა ზედა სასოებენ მხოლოდ მარხვებისა შემკვნელნი. რომელნი უსახურთა. სნეულთა მოუთხრობენ არ წმიდება განკურნებსო პირი არაოდეს იტ-

ყვის სნეულებთა მიმართ ილოცე, იმარხე, და იკურთხე ზეთი დიდი, რათამცა განიკურნო და ეზიარე წ. საიდუმლოსა, რათა განძლიერდეს სული შენი სარწმუნოებითა, ხოლო გუამი შენი სასოებითა და სიყუარულითა ღვთისათა. იქმნე შეყვარებული და შეყუარებულმან ღვთისაკან მიიღო ქვეყნისაგან გამოღებულნი, რომელნი აკურთხა დღესა მეშვიდესა ღმერთმან და მორწყო ძისა თჳსისა სისხლითა. იხილეთ არა თუ მოუთხრობენ, რომელნიმე მკურნალნი სნეულთა მოძღუართა აღიარეთ ბრალნი თქვენნი და დააწერინეთ ცხოველის მყოფელი ჯუარი წამებსა ზედა, და იკმიეთ ეგრეთ. არამედ ჰგონებენ მსწრაფლად განიკურნებისო და დაგვიკარგებისო ვერცხლნი დიდ ძალნი, ანუ წამალნი ჩვენნი გაუქმდებისო. მამაო წმიდაო! აჰა მიზეზ თქვენა ხართ ჩემისა ამის მოწერილისა, ვითარცა მიცხადებს სულიერი ძე ჩემი უფალი დოდოევი სოლომონ იოანესი თქვენგან მიღებასა. რომლისათვსცა დიდ ფრიად გმადლობ.

ესერა ზედართვთ შეგთხოვ ზემო მადლობელი, რათამცა პროთოიერეის მამა გიორგის მოძღუარსა ჩემსა თქვენის მკრით კმაუყოთ და ექმნათ ჴელსმძღუნველ უმაღლესისა წინაშე მ. დ.[2] და უგანათლებულესთა შორის და უგანათლებულასა მიმართ. თ. მ. ა. აჰა კაცი ესე ისრაიტელ ღვთისა არს, ვითარცა თქვენცა უწყით. შენდობა იყავნ კადრი ლიზღური არა ქეჩნ არამედ ზენა რჩევა ესე ჩემი თქვენდამო გვედრი შეიწყიეთ უმაღლესი გინა უგანათლებულესნი ანუ არხიერნი და თვთ ათანაზეცა და ძე შენი მანდარე გააყუანინე იონა ეგზარხოსის მოწმობითა[4] ღრამატითა და მანდარე აღაზრდევინე სწავლითარე სასწავლებელსა შინა, რათამცა ჰსცხონდე შვილთა აღზრდითა, ვითარცა იტყვის წ. წერილი, მშობელთან აღზრდის ჰსწავლითა და არა მხოლოდ პირითა, რომლითა ვერა ჰსცხონდების კაცი არამედ სიტყვითა ღვთისათა, რომელ არს ძველი და ახალი. წელსა 1827 აგვისტოს 16 დღესა.

თქვენი მლოცველი მ. მ. მკდოვანი ვგიე თქვენდამო გულითადობითა.

## № 161

**(1827 წ. აგვისტოს შემდეგ დაწერილი) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

სულიერო ძეო ჩემო უფალო სოლომონ დოდოევ იოანიჩ!

ქრისტე ღვთისა მიერ საღთოთა ლოცუათა მომრთმევლობ თქვენდამო გულითადობითა ჩემითა ზეგარდამო

აჰა, ესერა მიერ ჟამითგან მაისის 28 სა დღესა ე. ი. მრჩობლ ზოდიაკის თთუჱთგან და ივნის რაკისა კირჩხიბისა და იულისს ლომისა და ესა ქალწულისა აგვისტოს, რომელ წარტრისა თქვენიდგან, ვიდრე აქამომდე განრთულ ვარ ყოვლადსა შინა წინაშე ღვთაებისა, ცხოველ ბრძენ ყოვლად ძლიერისა სავაოთისა ე. ი. ყოველთა ძალთ მბადებელისა, რომელი ყოვლისავე შემძლებელობითა ყოველთა ორობათა ძალთა, ძალებთა იპყრობს ე. ი. სულებთა და ნივთებთასა და მყოფობითა თვსითა მომნიჭებლობს ყოფასა მარტივ ცხოველებთა და ნივთებთა, რომლისა ჯაჭვი ორობათა არს ამად არა ძალუძსთ ორობათაგანთა ვითამე მყოფობისაგან გამორიცხვით არღა ყოფა ანუ შეცვალება სხუა ძალად ე. ი. ნივთსა ცხოველყოფა და მარტივ ცხოველსა ნივთყოფა, რამეთუ უძლიერესმან თვსსა ძლიერებასა ქვეშე და ყოველთა ორობათა ძლიერებანი ამისთვს თითოეულნი ზენანი და ქვენანი და ჟამნი მმეფებელნი თვსთ კუთვნილთა ღერძებთა ზედა გრგუალდებიან. ე. ი. თითოეულნი პირნი და ნივთნი საკუთარისა ძალისა მექონ არიან, რომელი მათდა ღერძ და გოგორა არს ყოფად და ძვრად თვსსა. სფერა ბურთსა შინაგან თვსისა ძალისა ღერძითა. ხოლო ყოველნი მაღლისა ძლიერებისა ძალსა შინა განსაზღვრულ არიან ზეგარდამო სიბრძნითა გარნა სიბრძნე და ძლიერება და კეთილობა, სიმართლე, სიწმიდე და მრავალ ბევრეულ საღთო თვსებანი არიან და სახარება მართლმსაჯულებისა არა არიან ღმერთები. მრავალ ვითარცა აჩქურობენ ჰიჰების სათუალიანნი რაბინნი გონება ნისლიერებითა თვსითა. არცა და ეგრეთ არს, ვითარცა მაჰმედ აჩემობს თვსსა დაუსაბამად წოდებულსა ქარტა მელანსა, შინა მაღალსა არა აქვს თვსება რაიმე, არამედ მხოლოდ არსება არს. ხოლო მეყრპენი ლანდობენ ყოველნი ყრაზი და ხილულნი ნაწილაკნი მაღლისა არიანო, ხოლო ქურუმნი ბრამმანი, ბონძნი დალაილამი და ლამანნი უწვლილესად გამომეძიებელნი ბნელ წყვდიადთა შინა მიბრუნდებულნი მეაზრეობენ ამიცანობითა თვსითა. მაღალნი არსებანი ორნი არიან, რომელთაგანნი ერთი ბადებს კეთილად სოფელსა ამას, და მეორე ბოროტად. და ოდეს კეთილმოქმედებისა სვინიდისითა დატკბებიან მიაწერენ კეთილად მბადებელსა, ხოლო ოდეს ბოროტცა იქმნენ და სინიდისი მათი დასწერტს მათ მიაჩემებენ ბოროტად მბადებელსა არსებასა ესე ვითარისა მიმგვართობითა მიმწვლილვასა შინა. ევჰებსა ზედა თვსთა და პარეხებულ არიან არა მქონებელნი ახლისა აღთქმისა საცხოვრებელად საუკუნობით და ჟამიერად.

იხილეთ: ზემო თითოეულნი უსჯულო ბოროტ ზნეობითა თვსისა ფიზიკურ წადილებითა იყუანებიან, ვითარცა სახსოვარნი თვსისა შეცვლებისაგან ჟამსა შიმშილისა, წყურვილისა, ძილისა და ღვიძილითა,

რომელმან ჰვონებენ შეცოდებულთა სულებთა შესულსა თვსთა ცუღლაოაეპრ, მძვინვარე მჴეცებსა, პირუტყვებთა და ფრინველებთა და თევზებთა შინა. შიკრიკებთა, უნეს ცხენებთა შინა სატანჯველად ვიდრე განწმედადმე და მერმე განვლელან კეთილად მბადებელისა სავანესა შინა, რამეთუ ძალი და სვინიდისი უნათლავთი მეტყველებენ ზემო აღმოჩენებასა, რომელთა საგძალი სიკუდილი არს საღთო წერილისაგან გამოცხადებული, რამეთუ სოფელსა შინა იფქულნი იგინი არიან, რომელთა აქუსთა ახალი აღთქმა და აღასრულებენ სათნოებასა მაღლისასა, ხოლო ღვარძლნი იგინი არიან, რომელნი არა ჰყოფენ ნებასა ღვთისასა და არა აქუსთ სახარება და შობა მეორე. ხოლო მე პირველსავე სიტყუასა განუამეორებ. აჰა, ვედრება მაქუს წინაშე ღვთისა თქვენთვს, რათამცა მოგანიჭოს სახიერმან კაცთმოყუარებითა თვსითა სიმართლე, სიმრთელე, სიბრძნე, ძლიერება და საგნისა მაგის და მის სათნოდ თვსად აღსრულება, რათა იხილოს სოფელმან და მადლობდეს შემოქმედსა მომნიჭებელსა ძალისა და სიბრძნისა.

იხილეთ, ძალი და ძლიერება საღთო ლოცვისა სათნოდ ღვთისა. აჰა, ილოცავდა აბრაამ და შეიწირა მაღალმან და მიანიჭა სიმართლე, სიმრთელე, გრძლად ცხოვრება და მდღევარი სიმდიდრე და აღთქმისა სიცილი ე. იგი ისააკი ილოცვიდა ისააკ და იყო მართალ და მრთელ და მდიდარ, რომლისა ცოლმან ბერწმან რებეკამ უშვნა ტყუბნი ილოცვიდა (ილოცდა) იაკობ და მიიღო კურთხევა და განერა ესევ ძმისა თვსისა მძვილისაგან, რომელმან მოთმინებითა და სიმდაბლითა თვსითა მტერ ქმნილი ესაია [გაურყვ] დოვრა და საყუარელ მისდა ჰყო თვსდამი. მძვინვარე მონადირე ისაკ დაისხა ათორმეტნი ძენი და ასული დინა, ხოლო განუყიდეს რა ჭრელისა საბლარდნელისა შურითა იოსებ შვილითა თვისითა, იდუმალ ილოცვიდა იოსებისათვს, ვიდრე ოც წელ და შთავიდა ეგიპტესა შინა და იხილა იოსებ მეორე მეფედ და განიხარა ესე ოდენ დიდ ფრიად იაკობ პატრიარხმან, რომელმან დაბრმავებულნი თვალები აღეხილა, რისა ლოცუაცა იოსებ მამამთავრისა შეეწია, რომელმან ჴელებისა თითნი დასდუა მამისა თვსისა თუალთა ზედა და დაასა მყის იხილა მიხრწნეულ ამან იაკობ, იოსებ და იცოცხლა იაკობ ოცდაათშვიდმეტნი წელნი წიაღსა შინა იოსებისსა, ხოლო აღესრულებოდა იაკობ, აკურთხა ძენი იოსებისა ეფრემ და მანასე და ათორმეტნი ძენი თვსნი და ამცნო იოსებს ძუალნი მისნი დადებაჲ პატრიარხებთა თანა აბრაამ და ისაკ და სარასა და რებეკასა თანა იერუსალიმსა შინა, ესე აღსრულდა ლოცვითა თვსითა ეგრეთვე ილოცვიდა იოსებ გამომზრდელი და ანდერძი თვსი აღუსრულა მოსე წ. კაცმან ღვთის მხილველმან მეოთხე საუკუნისა დასასრულ წარმოი-

ყუანა ერი ღვთისა და ძუალნიცა იოსებისა წარმოიხუანა თანა იერუსალიმად, რომელსა ვგონებ ჰსჯულის კიდობანსა მახლობელ მოაქუნოათ. გამომზრდელისა ძუალნი ორმეოც წელ უდაბნოსა ზედა, რომელი შემდგომ კაცისა ღვთისა, იესო ნავემ შეიღო პალესტინესა შინა.

ილოცვიდა მოსე და ათნი საკვირველებანი ქმნა წინაშე ფარაონ განფიცხებულისა, რომელსა ზედა ღმერთმან ღმერთთამან ღმერთად დაადგინა გარნა დიდ ფრიადისა სიმშვიდითა არა განფიცხნა ფარაონს ზედა მშვიდი მოსე, რომელმან ლოცვითა განაპო მეწამული, რომლისასა ჰგონებენ ნატურალისტები, ათეისტები ჴელოვნებით ჰყოო. მოსე განპება ზღვისა, ილოცუა მოსე და მოიხუნა ათნი მცნებანი და მოჰსცა ღმერთ მამამან სული წმიდა და აღწერა შესაქმის წიგნი, გამოსვლისა, ლევიტელთა, რიცხუთა და განმეორება სჯულისა მეხუთე წიგნნი. ილოცა მოსე ქმოჲს გამომდნობელისა ერის ცოდუასა მიტევებისათვს და მიუტევა. გარნა მეტალისა დააწვლილა, მსგავსად ატომებ, ბღვირებისა, აღრია წყალსა და შეასუა შეცთომილსა ერსა და შეიცუალა მუცლებისა სკორედ ღმერთად ჳძს სახისა შეეწყურა ერსა დაჰსცა და უწვიმა მანანა და მოჰსქდა ჰერეთ მეწყერ მარჯილი ათორმეტთა ბანაკებთა კარავებთა შინა და ჰსჭამეს, რომელთა პირებთა შინა იყო საზრდელი გარდარეული.

გარნა ღრტჳნვიდის მოსესა ზედა და ლამოდენ მიქცევად ეგიპტედ მომხსენებელნი მწარ მჭამელთა ე. ი. ხახუთა. ნიორთა, პრასთა. ბოლოკი და ეშუთა ღორთა, ჴორცისა, რომელთა ფარაო ატვირთავდა გოდრებთა თიჴისი მიწებითა წარღებად სამთა დღისა ველსა მეხთდანილად ეკლებ ბზისა და კუროს თავებთა ფერხებ შიშვლითა და არა წუღებითა ტანჯუად მათდა, რომელი მხოლოდ განმწარებისათვს მათისა აშენებინებდა კედელ ზღუდეთა მინდვრებისა ტრამებისა, ველისა ტყეებისა, მაღალთა ზღუდეებთა, რომელი მაშინებად არა ახმარინებდა, არამედ ხელებთა. ფერხებთა, მხრებთა და ზურგებთა, რამეთუცა ფიცხელითა მუშაკობითა აწყუეტილ იყუნეს დედა წულითურთ, რომელნი წ. მ. ლოცვითა თჳსითა გამოიყუანა. გარნა იგინი უმადლოებითა თვისითა აგიებდენ მოსეს, რომელთა ძუალნი დასცვივდა უდაბნოსა ზედა შობილნიღა შევიდნენ ქვეყანასა შინა თვსსა პატრიარხ აბრაამისასა, სადა გამოსრულმან ქალდეველთაგან, პირველად სასაფლაო მოივაჭრა სჳქემს. ე. ი. იერუსალიმს ებრისაგან. კუალად უსჯულოებამან განვიწვლა ბაბილოვნად, ხოლო მოქცეულთა სინანულთა და ლოცვითა ანანია, აზარია და სამალია, რომელნი ცეცხლთა შინა შეჰსთხოვნა ნაბუქოდონოსორმა, რომელი ლოცვითა თვისითა დაშრიტეს და იცვალა მაისის ნიავად სახმირ იგი რუალისა, რომლისაგან განსრულმან ალმან ორმეოცდაათ წყრთა გარემოს მდგომარენი

ტოპსწუა და მოიქცა ნაბუქოდონოსორ რაოდენ ჟამი ილოცა დანიილ და შვიდ დღე მომყმარებისაგან ლომებისადმი შთაგდებული ლოცუა ღმერთმან ილოცა და მოაგო ერი და ამაღლდა ცეცხლითა სახედ უნიკსა და ეტლისა შემზადებულითა ილოცა იოაკიმ და ანამან და ბერწთა შვას სიტყვასა ღმერთისა დედა ილოცა თუთ ქალწულმან შემთხოველმან ღვთისამან. აჰა, [გაურკვეველია] ქალი, რომლისა თანა არსი ძე განხორციელდესო. მაშინ მყის მოიწია ხმა ზეცის. აჰა, თვით შენ იქანა ქალწულებით დედა სიტყუა ძის იქმნაცა, ხოლო ახალთა ილოცეს მოციქულთა, რომელთა აჩრდილი, ვისაც შეადგებოდა კურნებდა ფარშამანგებისა ოფლნიცა კურნებდა, რომელ ლოცვამან ეკლესიაებისამან წ. პეტრე შეკრულ ხუნდებითა, ბორკილებითა, ჯაჭვებითა, დილეგსა შინა იროდი მესამისაგან გამოიყუანა ოთხ კაცთა [გაურკვ.] შეცული ილოცვიდა წ. პავლე დაშილა მოციქულნი შუაღამ აღდგომილნი, რომელთა ლოცვათა შეიძრა საპყრობილე და მოქლონები კარებთი და ხუნდათი ბორკილთი და ჯაჭვებთი დაპცვივდენ მესაპყრო. ბოლემცა ნათელ იყო მასვე ღამესა შინა ილოცვიდა წმიდა პავლე და სამგზის თავის დაქცევისაგან გაწერა და ლოცვითა მისითა სხუანიცა. ეგრეთვე სამგზის კუერთხებისა ცემითა და სამგზის ვნებითა დამტვრეული განცოცხლდა.

იხილეთ იტყვიან, რომელნიმე ფილოსოფოსკანი კაცაკნი, რომელთა სასწაულნი და ლოცვანი აღრევენო სისტემასა სოფლისასა და დაყენება მზისა ისონავესგან და ბაბილოვნისა ცეცხლისგან ცვალება და მკუდართა აღდგომა სოფლისა ბუნებითისა სჯულისა დარღვევა არსო და ხუთისა კუზა პურითა ხუთი ათასისა განძღომა და ათორმეტთა გოდრებთაცა აღვსება ნამუსრევებითა უჯეროა არსო არსებათათვის სოფლისა და ასისა წლისა შემდგომ სარჩასაგან შობა ისაკისა არა ჯეროს არსო და შობითგან ბრმისა თვალებთა ახილუა უთანხმო არსო სოფლისა თვისებისა და უბევრეულესთაცა იტყვიან ყბმა ცოფერნი ღუარძლნი თვისებით მაღრჩოებელნი.

აჰა, მიუგებენ კეთილ მსახურნი ფილოსოფოსნი ზემო მართებთა, რომელ სასწაულნი ზესთა და ლოცვით.

## № 162

### (1827 წ. 16. VIII-ს შემდეგ დაწერილი) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქუჱნო კეთილშობილებავ სოლომონ იოანიჩ ქრისტე ღვთისა-
მიერ
ლოცვთა მოთრთმევლობ თქუჱნდამო.

ეგერა თქუჱნისა ავთრათისა სიტყვსგება პასუხი წარმოგიგზავნე, გარნა თქუჱნ მიერ ვერლა მოვილე შემდგომ მამულად თქუჱნისა წარსულისა. ამად ვარ ურვეულ შესლბობითარე.

იხილეთ არა რომელთამე ნათესავებთა, თესლებთა, ტომებთა, სხუა და სხუა ენებთა და ჴმათა მექონთა, არცაღა ერთსა განუკუჱთელსა ძალუძს თავით თვსით მეტყუჱლება, თვნიერ მშობელთა ენისა, გინა თუ ათნი და უმრავლესნიცა ჩჩვლნი ერთ დღეს შობილნი ერთისა თთუჱსანი წარგზავნოს კუნძულსა შინა კაცთაგან მიუალსა და მუნ აღაზრდევინოს მუნჯთა მშობელთა და მუნ აღზრდილნი დაბერდნენ მათ ყოველთა არა რაჲ მეტყუჱლება ექმნებათ ამად, რომელ ყოველნივე მსგავს მუნჯისათ იქმნებიან. ესე გამოცდით არის დამტკიცებულ. ესერა ადამ ისწავა ძალლისაგან მყისსა შინა სრულ კაცად დაბადებულმან ოცდაათისა წლისა ასაკითა და მან შვილთა თვსთა ასწავა, ხოლო შემდგომ იგივე ენა შეურია მაღალმან და ბაგენი და ჴმა ერთყოფილნი განყვნა ურთიერთისაგან, ვითარცა მრავალ ჴმებად, ეგრეთუჱ ბაგეებად, გარნა ჴმა პირველი ე. ი. ადამისა ლექსნი, რომელნი თვთოეულ სიტყუანი იყუნენ იგი ყოველნივე თითოეულთა ჴმებთა შინა სხუა და სხუა გამოღებითა და სახელწოდებითა და ბრუნვითა შეუცვალა მაღალმან და განახუა, ესრეთ ურთიერთისაგან, ვითარცა იხილებისა მაგ. ებრაულ, აბია არსებითი სახელია მეფისა ხოლო ქართულ მესამე პირისა საკელისა ძმაა. გინა ზმნა ე. ი. აბია უსიტყვი ბაგასაა ზედა ქართულ ხლება ახლოსა ნიშნავს და არს ზმნა, ხოლო რუსულ პურია, ეგრეთუჱ დიდთა ენათგან მცირეცა ენა გამოიყუანეს გარემოქცევით. ანუ თავისა და ბოლოს მარცვლებითა და ასოებთა ცვალებით ლექსებთა შინა. მაგ. ქართულ ღმერთი. მეგრულ ღორუთიან და უშორეს. მიხედვითა ამით გულისხმისყოფისათა, თვთ ნატურალისტნი ჰგონებენ, რომელ პირველი კაცი თვნიერ მასწავლებელისა ენასა ვეროდეს ისწავებდაო. და უკეთუ თვთ იმეტყუჱლებდაო უუპირუელესი კაცი, რაჲსათვს მუნჯისაგან აღზრდილნი არ მეტყუჱლებენო თვთ თავით თვსით. მაშასადამე მაღლისა მიზეზისაგან მიზეზოვანთა მიიღეს სწავლა სიტყვერებითი, რომელნი გარდუბეჭდავს გონებასა შინა. ეგრეთვე

-ლუნიერ დირექტორისა ძალღების სწავლა მაღალი და ზნეობა გან-წვალილნი. აჰა, უანბანო, უწიგნო მინდვრისა ერნი და კავკასიისანი ყოველნივე მეტყველებენ ღრამმატიკასა და მეტაფიზიკასა და უფროს-ლა ლოღიკასა ე. ი. არსთა და სხეულთა და რიტორებასა და ისტორია-სა, არითმეტიკასა, მათემატიკასა, მიხანიკასა, ღეოღრაფიასა, ასტრო-ნომიასა, არსთა ბუნებაებსა, და თვსებათა და უშორეს. გარნა არცალა ერთისა სწავლისა, ეგზანენ მლოქველობისა მოცემა ძალუძსთ აკადე-მიასა შინა. ეგრეთვე ღვთისმეტყუელებენ, გარნა არცალა თუ ღვთი-სა თვსება უწყიან. იხილეთ, ფილოსოფიურ უუმთავრესად ორად გა-ნიყოფიან ლექსნი ყოველთა ენათა ზედა და უუმეტეს ჩვენსა ენისა, რომელსაცა უპყრიეს თვთ ღრამმატიკულადვე ფილოსოფიური ღრა-მმატიკა ე. ი. თითონი ლექსნი შეიცვენ ყოვლადთა იდაებთა ე. ი. მამალი, დედალი, ზოგადი, და უმეშვერბითი ესერა ღრამმატიკა ჩვენი არავის მოსწავლესა განტანჯავს ვითარცა სხვათი, რომელნიცა უმეშვეობითსა უცხოველო ნივთებთა, რომელთამე უწოდებენ მამალ-თა და რომელთამე დედალთა, და რომელთამე ზოგადთა, ესე გარე-მზომ ვითარცა ბუნებისა არს, ეგრეთვე ფილოსოფიისა, ეგსახედვე ყვანიბულსა კელებით ცხოველსა უწოდებენ უცხოველო მოტანილად, ეგრეთვე გვამსა შინაცა თვსსა საკუთარსა წევრთა და ასოთა, რო-მელთამე მამრისა და მდედრისა ნათესავსა უწოდებენ. აჰა, ნუ თუ ცხკრი იყოს მამალი და თავი და კელნი იყვნენ დედლები და უშორეს. აჰა არცალა მკედრობაა და ლოცუა არს მდედრ, აჰა, ქართული ლო-ცუა სახელზმნა არს, და მკედრობა შემკრებელობითი სახელია, ეგ-რეთვე თომა და ნიკიტა მამრნი არიან და არა ანისაგან გამდედრე-ბულ, გინა ბრუნვისაგან გადედლებულ, მაშასადამე ღრამმატიკა ქარ-თული ამად სიბრძნისა კარად წოდებულ არს. ანტ. I კათალზ. ნეტა-რისაგან. ეგრეთვე მემცხედრე ხუცესისა არა არს ხუცესი და მღუ-დელთ გინა მსაჯულისა მეუღლე მსაჯული, რომელ ყოველთავე არსთა თითოეულთა თვსი ბუნება აქვს და პირი და სპერა, რომელ დედალ-თა და მამალთა და უმეშვეობითთა ნივთებთა ამათ სამთა ღრამმატი-კულთა ნათესავთა თვსნი ბუნებანი ქონანთ ზეგარდამო და არა შერე-ვნილნ, ვითარცა სხვათა ვეთთიმე ღრამმატიკა აცთუნებს მოწაფეთა, რომელთაგან მანცა ოდეს მიაწიოს ფილოსოფიასა შინა მუნ ღრამმა-ტიკა თვსი ექმნების დამაბრკოლებელ, რომელ რაჲსაცა ღრამმატიკა წარსთქუამს, მათ ფილოსოფია უკუ სთქუამს და რაოდენსაცა ფილოსო-ფია (უკუსთ) წარსთქუამს, მათ ღრამმატიკა უკუსთქუამს. ამად ბრჯგუვდების გონება დაბლაგვებული წართქმა უკუთქმათაგან მოს-წავლეთი, ხოლო ღრამმატიკა ქართული ასწავებს ნახევარ ფილოსო-

ფიასაცა, და ადვილ თხზვასა და სტიხთა თვნიერ მამალთა გადედლებისა და დედლებთა გამამლებისა, და ნივთებთა სულებთა მიცემასა.

დასასრულ ქართულისა ლექსებითა უუმეტეს ზედმიწევნილ იქმნების მასწავლელისა საგანებისა, ვიდრეღა სხვსა ენისა ლექსებითა, რომელი დანიშნავსთ ნივთებთა.

[1827]

## № 163

### 1827 წლის 2 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა ონისიმესადმი

მამაო წმიდაო ონისიმე, ქრისტე ღმერთისა მიერ ამბორებას მოხსენებლობ თქვენ.

აჰა, ესერა წიგნი თქვენი უტკბილეს გოლისა შოვიღე მადლობითურთ, აღვსილი საღთო შრომნიებითა, რომელ ფშვის სურნელებათა.

გმადლობ მქებარედ მადიდებელი თქვენი, ვაშა, ვაშად და რაძცა გებრძანა ვცან მსახურება ეკკლესიისა — შეგთხოვს მამაო წმიდაო სიძე თქვენი გიორგი[1] თუალ ყურის მიპყრობასა თვისისა მეუღლისა და ძესა ზედა დიმიტრი ეგრეთვე გვერდის თავისა თვსისა მოხსენებასა ლოცვათა და წირვათა შინა მეუღლით და მოკითხუით. ხოლო მე გვედრი, რათა თქვენსა წმიდასა ლოცვათა შინა და მსხუერპლისა შეწირვისასა ეგრეთვე მეცა თანამდებ გახლავარ თქვენის ცხოვრებისა განგრძობისათვის ლოცვად თქვენთვის, რათამც ოთხმეოცისა წელიწადებისა ღვაწლებითა მომკალმან ცხრა ნეტარებისა და ათისა ნაყოფებისა და ათთა მცნებაებთა და ათორმეტ სიმვოლოთა მრწამსითა აქარე მომკალისა, მუნ საუკუნოდ საუნჯესა შინა შეგვკრობს მოსაგებელნი სასყოდელნი განმდიდრებად პირისპირ ხილვითა სამებისათა. და იქმნეთ მგალობელ ახალსა სუფევასა შინა სამ წმიდა და გალობითა მსგავსად ანგელოსთან. ვითარცა იხილა ისაია. რათა ვინ უწყის თქვენთა აღვფრინდე ოდეს სახლი ესე ჩრდილოვანი დაირღუას და განვიდეს ძული ქალაქსა ოთხთა სტიხებთაგან შენაწევრებულის და მომკალთა წ. ანგელოსი მიხაილ და გაბრიელ მიიყვანონ ჴელთა შინა ღვთისასა და მუნ ვიხილოთ პირისპირ ურთიერთი, ვითარცა გარემო საკურთხეველისა მწირველი სჭვირობენ ურთიერთის მსხუერპლთა შეწირველნი ერთ სარწმუნოებით, ერთ გონებითა, ერთ სახედ განმკაცრებულნი.

დასასრულ, გებრძანათ ჰსწავლანი და ქადაგება ეკკლესიისა. აჰა მე არვისი მაქუს თვნიერ ჩემი წლისა ქადაგება. ესე ჯერეთ უცენზურო არს ე. ი. განუხილველი ღვთისმეტყველისაგან და წ. და უკეთუ წარმოგგზავნო ფასი და უკეთუ გარდაჰსწეროს ვინმე მცოდნე წარმოგიგზავნი, რათამცა გარდაწერილნი აღმოუკითხოთ ერსა ჟამსა

განიცადესა. გარნა არს უმეტეს დიდი მარხვინისა და რაჲ ვჰყო, თქვენივე მისაჯეთ. მამა გაბრიილს მოვჰსწერე წერილი, წმიდა ნინოს ეზოში ვერ მიშოვნია მწერალი ჰსწავლულ და სულგრძელი და მყუარე მამულისა, ეკკლესიისა, რათამცა უმეტეს მანდარე განმრავლებულ იყო ღუაწლი ჩემნი პირველად.

წელსა 1827
სეკდემბრის 2 დღესა
თქვენი მლოცველი იონა..

## № 164

### 1827 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა თავად სვმონ სოლომონის ძისადმი.

ბრწყინვალეო თავადო სვმონ სოლომონიჩ.

ქრისტე ღვთისა მიერ საღთო ლოცვათა მომრთმეველობ თქვენდამო ზეგარდამო მოტყინარედ[2] გულითადიერ აჰა ვაშა ვაშა მხედართავარსა თქვენსა, რომელი გიძლვისთ მსგავსად ძველთა გმირთა რეგულორისა და უფროსღა პონპეჲსა შორის სპარსთა პირისპირ დაგმოსთ პერად პერაღთა ძლევათა ასპარეზსა ზედა ბრძოლისასა დაცვად ეკკლესიათა მამულისა და ღირსებისა, რომლისა მოწამედ, არს აქარე საღთო პარაკლისები და ბავრაყნო[3] და ცეცხლსასროლელნი ქმანი.

იხილევნ! სავაოთ ძალთა ძლიერმან ღმერთმან აჰა ესერა განაურვა ახლისა ამის კვიროს ჩრდილოთა და აღმოსავლეთისა ზედა საღთო ცხებულისა, რომელმან ბრძანა გამოხსნა ჩვენის ივერიისა, უღლისა და კვერთხისაგან და დიდ ფრიადისა საკვისაგან სპარსთა, რომელთა სასტიკისა ბარბაროზობითა თვისითა, კნინღა შრანდით[4] და შედრიკეს სამძღუარნი ქართლოსისა სახლისა, ვითარცა აქუნდათ ძოღანდელნი ჩვეულებანი იდუმალ ზედდასხმად[5] ქალაქებთა დაბებთა, სანაკებთა და სოფლებთა, რომელთად შენებითგან ე. ი. ვახტანგ პირველიდგან, ვიდრე მეორე ირაკლი მეფედმდე ტფილის ოცდაორგზის დაურღვევიათ, რომელთა ორასისა წელიწდებისა უუმეტეს ჰქონებიესთ დაპყრობილ, რომელთა სახელები მათვე ენითა ეწოდების ტფილისისა გარემოთა ე. ი. კოჟორი, შაჰნავადა, ნათლუღი, სოხლალუხი, და ნარიყალა და შინა კახეთისა ქალაქსა თელავი, ალავერდი, ბახტრიონი, სიღნაღი, ყარაღაჩი და უფროსღა თითოეულთა სოფლისა შუის ვარ, რომელთა უნეთა ფერჴთაგან იყო დათრგუნვილი, სახლი ქართლოსისა წ. მოწამისა მოსახელე გიორგია წინაპარნი ჩუენნი.

კვლავადცა იხილეთ! მათათვე რუანი მეფენი ქართლისა და ორნი კახთაგანი აიძუბით ათაყუანეს ჩოდალოსა ე. წ. ქაბასა და მადინასა, ხოლო მთავარნი და მოქალაქენი უმრავლეს უშთის უშტთა და უშქრის უშქართა ბევრეულების ბევრთა, რომელნი ჩჩვილთა ტფილისისათა ლეწდიან კალოსა ზედა გარეთ უბნისა, რომელსა სახელიცა იგივე ჰსძიეს ე. ი. კალოუბანი.

ეგერა წინაპართა მაგათმან ჰსტანჯეს წამებისათვს ღმერთ კაცისა მეფე არჩილ და ლუარსაბ, დედოფალი შუშანიკ და ქეთევან და გობრონ მთავარი და მის თანა ვნებული ქრისტე ცხებულისათვს, ეგ სახედვე წ. ნეოფიტე, აბბო, აბიბოს, რაჟდენ და მრავალ მოწამენი.

რანი, რომელნი წ. დავით გარეჯისანი, რომელნი შრანდსა წელსა შინა ლამოდენ დაშრეტად მამულისა ჩვენისა სანთლისა დაშრეტასა, რომლისა მდვივარედ, მირულებული მეათსამეტე გიორგი მეფემან აღანთებინა მონარხსა, რომელსა წყალობისა დაასხა ა[1] კურთხეულმან. ხოლო აწ ესერა რქამან მართლმადიდებელთამან ნ[2] მიჰსტაცა მგელსა კბილ გესლიანსა ლომებრ მძვინვარე მოსისხარსა, რომელი პირსა ქრისტიანეთასა ჰრაცხს, კნინღა და ნივთებად, ხოლო სისხლებთა დაქცევასა ჰგონებს ნადირთა ხროთა აწყვეტასა, რომელი თვსის ქარტა ძელანითა მთოვართაგან, შთამოსხმულითა ორკერძოვე ჩქურობს სარგებლობასა ე. ი. მოაკვდინებს რა მიიღებს სამოთხესა მეშვიდე პლანეტბურთსა ზედა, გინა მოიკლას მითცა მიიღებსვე, მუნ ცხოვრებასა ბასმიანი თმა წვერებმითაინიანთ. ჰაბუკათა, რომელნი ექუსთა ცხოველებთა მძკრთა მჰამელ იქმნებ-ან და ოთხთა მდინარეთა მსმელ ძირალმა სამოთხესა შინა, მორთულნი ფარშევანგებითა, რომელთა მუნ სკორე საოხანიო არა აქუსთ ამად ოფლად, გამოეხვეთებისთ ნაჰამნი თვსნი.

რაძღა ვანვაგრძო მაგა მეზობელთა ჰსჯულვილება, რომელი თუთ კონფუციასცა აკვირვების და ბონძებთა მათთა, ქურუმებთა, კიტაიისა, იეპონიისა, ეგრეთ უტებისა დალაილამასა და ლამათა მისთა. ეგ სახედვე ინდოთა, ბრამანთა, და ნატურალისტებთა, ეპიკურელთა, პითაგორელთა, მანიქეველთა და რაბინთა და ამერიკისა მიკარგულთა კუნჭულებთა, ორაკულთა და მეფორტუნეთა, რამეთუ ესვენ ეგენი აჯალთა თვსისა ბრმისაგან დაბრმობილი უფროსღა ტყუილის მამისაგან შეცთომილნი, რომელთაცა თვსნი აჯალნი, ჟამსა მოტყინარე შერკინებისა გაკრუვდებისთ, მაჩვენებელთა პირებთა ნაცულად ზურგებისა თვსისა, რომელთა წინა მეთქვთა თვსთა ვლენან სულები

---

[1] ალექსანდრე I, იმპერატორი რუსეთისა.

[2] ნიკოლოზ I, იმპერატორი რუსეთისა.

დემონთა, რომელნი ათქმევენ წინარე პურთა მათ რისხვისათჳს, რომელთა აქუსთ ისმაილისა, ესავისა, ქამისა, რომელნი აკოცილ არიან ზენა კურთხევისაგან, რომელნიცა მხოლოდ ჯორცთასა ზრახვენ. ამად მახლობელ პირუტყუთა მჴეცთასა არიან, და ორძილ ღუარძლ და მეტად გესლიან, რომელნი ტყუილთა მამისა დემონისაგან შობენ სიტყუათა და საქმეთა. რომელნიცა მტვერითა და ნოტიოთა იბანებიან ხუთაზის დღესა შინა წმიდაკაობითა თჳსითა, შედგომილნი ებრაელთა ფარისევლებისა, რომელნი სარჯებთა თჳსთა უწოდვენ ცოლად, რომელნიცა წიდევანთა მოიძულებენ, მთოვარე, მთვარეზე, მოსაზართლენი თვისთა ხარჯებითა, რომელნი მდედრთა სქესთან უწოდვენ. მხოლოდ კაცისა კუვებად უსვინდისობათა თვისთა დამჩაგვრელნი მდედრნი.

ისილეთ, კვირას ძველად ოდეს კარი ბაბილოვენისა განუღო მაღალმან, მთანი და ბორცვნი დავაკდენ ქვეშე ფერჴთა მისთა და ბჭენი და მოქლონი შეიმუსრნენ წინაშე კვიროს ცხებულისა. აჰა აწ ესერა შევთხოვ ყოველთავე ძალთა მპყრობელსა ადონაჲ უფალსა, რათამცა სალოება სპარსთა დაცემით შეიმუსრონ ე. ი. მჴედრობანი მათნი, ყურნი უმართლენი და ზღუდეები მათნი ალისისა და დამდაბლდენ ამპარტავნება მათი ქვეშე ფერხთა საღთო ცხებულისა ჩვენისა და კლიტენი მათნი შელეწილ იქმნენ და მას ყურთა ჩემთა გამოხსნა ტყვეობისაგან ფერიეთსა შინა გარდასახლებულთა, რომელ არიან გარეთი კახეთისა სოფლები, რომელთა მოხუცებულნი ქრისტიანითვე არიან დასრულ კურთხეულ არს მჴედრობა, ესე ქრისტეს მოყუარეთი, კურთხეულ არს საჰურველი ცხოველისა ჯუაროვანი და კურთხეულ არს საღთო მშვიდობით ადრე მოქცევა თქვენი სათნოდ ღვთისა და ცხებულისა მასისად, მამულად თვსადო გარნა შეწყალებითა ღვთისაგან შეიწყალე მტერი, შემდგომ დამონებისა ვინ უწყის მოიძცეს ქრისტიანედ ვნებულთ მტერი ანუ თესლნი მისნიო. ესერა მომლოცველობ მონარჩისა წყალობასა მარადის მლოცველი თქვენი იონა ხუცეს მონოზონი.

წელსა 1827 სენტებრისა 3 დღესა.

## № 165

### 1827 წლის 4 სექტემბრის წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ იონავ. უმოწყალესო ჴელმწიფევ!

მარჯუენე თქუენის მაღალ ღირსებისა მიჩვენებს ჭეშმარიტსა გზასა, რომლისაცა ჯერ მიჩნს, რათა საკმაო უნდა მივსწუდე საგანსა

ჩემისა არსებისასა. მე მგრძნობელი კეთილ მიდრეკილებისა თქუენი-სა და განღვიძებული მაღლისა სწავლითა და დარიგებითა ზეგე თქუენი წარმომიწერს სჯულსა ბუნებითსა. რაიცა შეეხება მოქმედე-ბასა კაცისასა სულისათჳს და კორცისა თჳთოეულისა თჳსის შესაჴვე-დრის ჟამების დაწვლილებითა კეთილ მომნიჭებელი გული თქუენი განსიმარტებს წინათ მოსამზადებელსა საშუალებასა ნეტარებისადმი. რაოდენთა არს კეთილობა თქუენის მამობრივის მოწყალებისა. ესო-დენ არს სულისა ჩემისა აღმატებად წარმატება. ხოლო ჩემდა ვითარ სახსოვარ არ იქმნების ჩემს საწუთროში რომელ საკმაოდ ვგრძნობ მას, რომლისაცა არა ღირს ვარ და არცა მქონიეს ბედნიერი შემ-თხუევა ესრეთისა კეთილობისა, მოწყალება თქუენი ესოდენ დიდ არს, რომლისა მეტ მოთხოვილება არ შეიძლება მოყვარეთ მამული-სათ და სიბრძნისა მეძიებელთათ.

თქუენი სულიერი ძე და მონა სტეფანე დოდოევი.

მივიღე თქუენ მიერ ბოძებული ძკრფასი საყამე და უძვირფა-სესი შემეცნებანი. რომელი დიდ ფრიად სახმარ არიან სამუშაკოდ სულისათჳს და კორცისა ჩემისა. სულიერი შვილი თქუენი სოლომონ მოვიდა ივლისის კდ სა დღესა სამშაბათსა, მექუსეს ჟამსა შუადღიდგან ქალაქს ტფილისს, ერთი კვირა აქ დაჰყო, შემდგომ მქისიყს გიახელით, რომელმან მოვლო კეთილად და მცნებანიცა თქუენნი აღასრულა, შემდგომ მქისიყიდამ მობრუნებისა. თქუენი სულიერი შვილი სო-ლომონ ავათ გახდა, რომელს სწამლობდენ ორნი დოხტურნი და ახლა თქუენის ლოცვით კარგად გახლავსთ, გარნა სისუსტის მიზეზით წიგნი ვერ მოგართვათ და ვგონებ მალე იმისმა წიგნმა მოასწროს, თქუენმა ძმამ სოლომონმა დაუჯერა და ჩამოვიყუანთ ამ თვეში გრი-გოლს და იოანეს ჩვენთან სასწავლებლად და მეცა ჩემს კერძად ვი-ქმნები იმათის განსწავლისათჳს ფრიადი მოწადინე.

თქუენი სულიერი ძე და მონა სტეფანე დოდოევი.
სეკდემბრის 4 სა 1827 სა.

**№ 168**

**1827 წლის 5 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

თქუენო მაღალ ღირსებავ მ. მ. მ. იონა უმოწყალესო კელმწიფევ!

წმიდასა მარჯვენასა ზედა ამბორს მოგახსენებ და ვისურვებ სი-მრთელესა და პირისპირ ხილვასა თქუენსა, კუალად მოგახსენებ შემ-

დგომსა განზრახვასა, „ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არ დატევებად“, აქამომდე მეცადინეობამან ჩემმან და ლოცვამან თქჳენმან დამფარა და მსურს, რათა არა რაჲ უკანონო შემემთხუას შემდგომადცა და არცა მოქმედება ჩემი სიბრძნისადმი დასცხების აქაურსა აეროვნებასა შინა, მოიცნელებს დაცხრობა ბუნებისა. და ამის გამო გთხოვ უმორჩილესად ნება მრთოთ ქორწინებად, უკეთუ ინებოს მაღალმან, და თქჳენმან მზრუნველობამან, განვრცელებად ესე ვითარისა გამოხატვისა ნება არა მაქვს საქმეთაგან კლასისათა, მხოლოდ ნებასა ზედა თქჳენსა დამოკიდებულ არს, კვლავადცა უკეთ შეიძლებოდეს ჴვედრი ჩემი სრულ ჰყავით. ანუ შვილისა მისისა სიზმარი ჩართეთ, ვინაჲთგან ერწმუნებიან ადვილად.

შემდგომად სიღნაღელთ სწავლის გახსნა განვუცხადე, მათ აღმითქჳეს და სიხარულით მიიღეს სახელსა ზედა თქჳენსა და ზაფხულში მე წარვალ და მიუცილებელად შევასრულებ, გარნა მე უკეთუ არა მარჯჳენემან თქჳენმან არაჲ ძალმიძს, გთხოვ უმდაბლესად აზრი თქჳენი შაერთოთ ჩემთანა, უკანასკნელ უკეთუ ინებებთ ტფილისსა შინა და მომცემთ შემწეობასა, აღვაშენებ დუქნებს და ზედა სახლებს, რათა შემოსავალი განმდიდრდეს სარგებლად მამულისა. რაჲცა წარეგება, მალე შეკრბება და გთხოვ ინებოთ განზრახვათა ამათთვის მალე მიბრძანეთ აზრი თქჳენი.

მდაბლად ყოველთავე ჴელს კოცნას, თაყვანისცემას და პატივისცემასა განუცხადებ. მშვიდობით. მიგვიანდება კლასში.

მორჩილი შვილი თქჳენი სოლომონ დოდოევი.

თქჳენ მიერ წარმოგზავნილი გლარძი მებოძა და დიდად გმადლობ. უკეთილესნი გახლდენ. სეკდემბრის 5 სა 1827 ს.

## № 107

### 1827 წლის 10 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქვენო მაღალ ღირსებავ უმოწყალესო ჴელმწიფევ მ. მ. იონავ!

მაკურთხევლისა ჩემსა მარადის მარჯვენესა ზედა ამბორებას მოგახსენებ და სიმრთელით განსვენებას ვისურვებ ყოვლითა ძალითა სულისა ჩემისათა. აჰა, მამაო სამარადისო ვითარებ, გარემოება ჩემისა. შემდგომად სამის დღისა, დროსა მოსვლის ჩემისასა მჴედართმთავარმან მმართველმან სამოქალაქოჲსა წარმოებისამან სადილად მიმითანჴმა თჳსთან და დამსჳა და [illegible] თჳსნი განათლებისათჳს

შემამულეთა. მე ჩემს კერძ ყოველნივე მივუთხარ სარგებლად და მოჰსწერა განათლებისა მინისტრს[1]. გარდა ამისსა, რაოდენჯერმე გახლდით სადილად და დიდად ფრიად კარგა მიმიღო. რასაცა განჰკვირდებიან ყოველნივე აქაურნი თავადნი და ნიშნოვანნი კაცნი და არიან გაოცებასა შინა. კვლავად სობორსა შინა ეკზარხმან შემდგომად შეწირვისა მიჰსცა სებისკვერი და მან მე, სხვათა შორის მკედართა ლექსით ამით, „მიიღეო, რათა უმეტესად განათლდეს და ასწავლო ჰსწავლანიო", და ესე ვითარნი სხვანი ლექსნი, რასაცა დავეთხოვე კახეთსა და მომცა ნება შემდგომად ერთისა კვირისა ტფილისად განსვლამდე და შემოსვლადმდე ქალაქსა მას შინა და ეგრეთ გახლდი მქისიყს, მამულსა შინა ჩვენსა სამი დღე, ყველასაგან მოვვლე და მოვფინე ვითაება თქვენისა კეთილობისა, წარმოტანებულნი მივე თვს თვსსა ადგილსა, რომელთათვს არიან და იქმნებიან დაცვასა და ვედრებასა შინა ნეტარებისთვს სუფევისა თქვენისა ნათელსა შინა სოფლისასა. გახლდი სახლსა შინა ძმისა თქვენისა სოლომონისსა, ყოველნივე ვიხილე სიმრთელით, იგი წარმოვიყვანე ჩემთან და მიუთხარ სოფლისათვს, რომელ მას შინა კაცი უსწავლელი რაჲ არს და ჰსწავლული და ვითარსა განსხვაებასა შინა არიან. იგი ჩემს ლექსებს დაემორჩილა, განღვიძებული მომითხრა ყოველსავე თქმულსა შენსა აღვასრულებო, აჰა, ცნობა ცხადა სახლეულთა ძმისა თქვენისათა, უფროსის ძმისა იობისა არა რაჲ არს დაშთომილი შვილი და ცოლი, რომელიცა იქმნა სხვისაღმი ცოლად. მეორესა ძმისა გარდაცვალებულისა იოსებისა გახლავსთ ერთი ნინველი წლისა ცამეტისა, რომელსა სახელად გრიგოლ და ორი ქალი. უფროსი არსა თორმეტის წლისა და სახელი მაია, მეორე წლისა ხუთ და სახელი მისი მარიამ, დედა მათი ქვრივი გახლავსთ სახლსავე მას შინა, რომელსაცა ეწოდება მართა. მესამისა ძმისა სოლომონის არიან შემდგომნი: ცოლის სახელია მაია, შვილი მამრისა სქესისანი არიან სამნი, უფროსი არს წლისა ცამეტისა რომელსა სახელად ეწოდების იოანე. მეორე წლისა ოთხის, და სახელად მიხაილ, ხოლო მესამე წლისა და ნახევრისა, სახელად ნოდარ. მდედრისა სქესისა შვილნი არიან ორნი. პირველასა ეწოდების კონიჲ და არს წლისა ათორმეტისა, მეორესა სოფიო, არს წლისა ექუსისა. გიორგი ვერ ვიხილე, მოვახსენეს, რომ წამოსული თქვენთანა. უწინარეს მოსვლისა ჩემისა. ცოლსა მისსა ეწოდების ნატალია და შვილსა დიმიტრი, რომელიცა არს წლისა და ნახევრისა. იოსების შვილსა გრიგოლს და თვსსა შვილს იოანეს მოგაბარებო სასწავლებლად — სოლომონ მომითხრა და შეგვევედრათ, რათა მწუხარებათაგან განანთავისუფლოთო, პირველად ესოდენთა სულთათვს მე ერთი გახლავარო პატრონი ცხოვრებისათვს მათისა

და მთლად სხუათაცა მითხრეს მის შეწუხება შრომათა შინა, ამის გამოხსნისათვს საჭირო გახლავს, რათა მოიკავოს კაცი ვინმე და წინ- ველი იგი მოიყუანოს ჩემთან. ამისათვს მეც აღუთქვი წარსაგებელისა მიცემა და მათთვს აღსრულება, რაოდენიცა შეიძლება ჩემ კერძო, მამად გახლავს გასაღებსა შინა, რომელთაცა ვერ ძალუძვია დამტკი- ცებაჲ აზნაურობისა კელისმოწერისათვს ნიკოლაოზ არხიმანდრიტს ჰკლავს უთხოვნია ოცი თუმანი თეთრი ფული, ე. ი. რომელიც მე ვერ ვიხილე ჯერედ, თელავს შინა მყოფობისა გამო, მისისაჲ, მესამედ ძრიად გთხოვენ მამულისა მოვაჭრებისათვს, რომელიცა ამას წინად მანდ მყოფობასვე შინა ჩემსა მოგხსენდათ, დიდად სურს სოლომონს მამულისა მის ქონება. იგი ფასობს ოც თუმან თეთრ ფულად, სივრცე სიგანისა და სიგრძისა მისისა არს ორმეოცი ადლი ვენახი. ესე არს გვერდსა ზედა, თვსისა ვენაჯისასა. მეოთხედ მთხოვა სახლეულმან, რათა მოგახსენო: დროსა გარდაცვალებისა ძმათა ჩვენთა, დამიტო- ვეს ანდერძი შემდგომითა ლექსითა „რადგან არა აღსრულდა სიცოც- ხლესავე შინა ჩვენი სურვილი ხილვისა თქვენისა, მაშინც ინებოს და საფლავი ჩვენი აკურთხოსო". ლექსნი ესე გამოხატულნი სიტყვითა მიუთხრობიათ გარდაცვალებულთა დროსა სულის განსვლისასა. მე- ხუთედ, ქალთა ჩვენთა თხოულობენ ჩინებულნი აზნაურნი მამულისა ჩვენისანი და შეუძლებლობასა შინა გახლავართ გასტუმრებაც მა- თისა; მცნობი ყოვლისა სამთა შინა დღეთა საქართველოს იტალიასა შინა ანუ მქისეიყსა მოვიქეც ქალაქად ტფილისად. ერთსა დღესა გა- მოვცხადდი ღუბერნატორთან და მივიღე თანამდებობა. გარნა უბე- დურება შემემთხუა სნეულებისა, რომლისა გამო მკურნართან შეჰს- წორებულ ვიქმნე, ხუთმეტი დღე არა რაჲ სანოვაგისა მიმღებელი, სიმწარემან ესრეთმან მიმიყუანა დიდსა სისუსტესა შინა, მკურნალნი ეცადნენ და ორის გზით მიჰსცეს გზაჲ განსვლისა ბალღამთა და შემ- წეობითა ლოცვისა თქვენისათა მოვბრუნდი განმრთელებად არსებისა ჩემისა და თანამდებობამან უმეტესად შემაწუხა: ვინაიდგან ორშაბა- თიდგან, ვიდრე შაბათადმდე თვითოეულსა დღესა რუა ჟამი მაქუს კლასი ესრეთ, რომელ მოწაფეთათვს ვერ მომისწვრია, რათა შევად- გინო ჰსწავლანი რუსულთა შინა სნეულებასა შინა მრავალი ანუ ბევრი წარსაგებელი მომივიდა, გარდა ამისსა ცხოვრებისათვს ხუას- ტაგი არა საკმაო არს სიძვირისა გამო ყოველთა საზრდოთა ხუთი რუბლი ასსიგნაცია და ოდესმე უმეტესიცა. — მხოლოდ ნუგეში თქვე- ნისა მაღალ ღირსებისა ამტკიცებს სულსა ჩემსა და ყოვლად კურ- თხევა თქვენი, რომელიცა მოკლებულ არს ჩემთვს საზრდოდ ორა- სავე ცხოვრებისა.

დასასრულ უუსასურვილესო მამაო და მოყუარეო მამულისაო! ჴუთს სეკდემბერს ნათელნი გონებისანი და წყარონი სიბრძნისანი ე. ი. ავთრათი უუძვირფასესი ჴელითა თარხანოვისათა[6], რომელთაცა განვიკურნე სნეულებათა მწუხარებათაგან და შევჰსწირე მადლობა ნათელსა ნათელისა. მე მარადის ვიპყრობ მოძღურებათა თქვენთა ჰსწავლისა გარდაცმათა შინა ჭეშმარიტი ქება. პატივი სრულება და თჳთ ციდებაცა მიეწერების მიზეზსა ანუ მოქმედსა მიზეზებულისა და მოქმედებულისასა, ხოლო თქვენ ხართ დასაბამი ჩემისა კაცობრიობისა და შემყუანელი საზოგადოებასა შინა, რომელიცა ვაძლევ სიბრძნეთა მემამულეთა ჩვენთა სასოებითა, მით, რომელ იგინი თვისსა დროსა აღავლენან ხარისხსა ზედა განათლებისა, სადაცა მე მაქჳს სახესა შინა სიყჳარული მამულისა და მაგალითად არათუ ოდენ მხოლოდ მოწაფეთა თანა წარმომიდგება თჳსება თქვენის მაღალღირსებისა, არამედ ყოველსა შეკრულებასა შინა განძლიერდება მოქმედებანი, გარდა ამისსა არათუოდენ ლექსებითა, არამედ სიტყუაობითა ქარტასა ზედა, მაშასადამე ვისნი ჰსწავებანი შექმნებიან მე განმაღვიძებელად. უკეთუ არა მისი, რომლისაგანაც მიმიღეს ჰსწავლანი განსანათებელად გულისხმისყოფისათვის მიეწერებიან ესეოდენნი მოქმედებანი უკეთუ არა თქვენ. ამის გამო მაქჳს სასოება და მექმნების მარადის, რომელ არა დამიტევებთ, რათა განახაროთ სულები ტალანტებითა, ნიჭებულითა მაღლით გამო. გარნა ოჰ. ცაო! ოდეს ვიქმნები ბედნიერ ხილვათა თქვენითა და სადა? უკეთუ მექმნების შემთხვევა ესე, რაოდენ მადლობასა მივჰსცემ მომნიჭებელსა ცხოვრებისასა. გამოუთქმელისა და მიუწთომელისა ამის ბედნიერებისათჳს.

თქვენი მაღალ ღირსებისა მარად მორჩილი
შვილი და მსმენელი სოლომონ დოდოევ.
1827 წელსა, სეკდემბრის 10 დღესა.

## № 169

### (1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ იოანიჩ!

ქრისტე ღვთისა მიერ საღთოთა ლოცუათა მოგიძღვანეელობ თქჳენდამო გულითადიერ ზეგარდამო.

ესერა თქვენი ავთრათი მოვიღე სასწორის თჳს სეკდემბრის 10 დღესა ამავე თვესა შინა 24 დღესა, რომელი ერთ კერძო მალმობიერებს ტკივნეულებასა ძმათა ჩვენთა იწროებასა შინა მდგომარეობასა

და შვილთა მათთა უსწავლელობას უგუნურებისა გამო და მკდოვანებისა მსგავსად წერილისა თქვენისა. ხოლო მეორე მხრივ თქვენვე მწერთ კურნებასა მათსა უკეთილესად განმსჯელი ესე და არს სასოებისა ჩემისა განედლებელი. აჰა, ამიერთაგან ვიწყებ შეკრებასა, უკეთუ ენებოს ზენა არსებასა. იხილეთ თქვენითდგან ვრონინებ მესადგურისა თქვენისა უგანათლებულესისა, რამცა მომიქციოს ვასხი ჩემი, როსაგან აქამომდე თვინიერ ლექსებისა ვერარაი მივიღე. ეგრეთვე სხუათაგანაც არა რაჲ, ამად უძალო ვარ დროსა ამას, ეგრეთვე ადამ შიშველდების და იოსებ დაიბებკა[1]. ძმაცა ჩემი მოსრულ არს მოსკოვსა. აჰა, ესენი ტკრთნი არიან ჩემნი და რაჲ ვჰყო თვურისა შემოსავლითა.

დასასრულ, მე ყოველთავ მცირაკთა უნაწილებ ამათ უუსაჭიროესთა და ვეცდები წარმოგზავნასა, როდესაცა მეროჭიკე მოგივაო. სოლომონს და შკლი ძმისწულით მოგიყუანთ მანდარე და იზრუნოთ მამობრივ ეგრეთ. ვითა გიწყდეს ზეცით, მუნ მისვლითა და პირისპირ შეგონებითა და მიგილიესთ პირობა.

იხილეთ, მწერთ მიმოფენასა ანბავსა კეთილთა ხატებად ჩემდა. არა მე ვუწყი სულისა თქვენისა კეთილ თვსება, რომელ გსურს ცხოვნება ჩემი. ამას ზედა ვარ მორწმუნე, და უკეთუ ზედა დაჰსძინებთ და შესულასა თქვენსა ეკკლესიად, შესულასა ინებებთ სამკვეთლოსა შინა დადებათ საცხოვრებელისა ნაწილისა ჩემთვს, ესეცა ჩემთა თანა უმჯობეს არს, ვითარცა უწყით, რომელსა მოწაფენიცა თქვენი ისწავენ სულიერ მოხსენებასა თქვენსა. მბაძველნი ორძილებისავე დროსა, რომელ დასაბამად ჰქმნა ღმერთმან ცაჲ, ეგრეთვე დასაბამად პირველად ზენათაგან იწყების კეთილი ე. ი. თნება პირველისა, რომელ არიან საქმენი უუკეთილესნი, რომელ არს სიყვარულითა ღვთისათა მოყუარესთაცა. სიყვარული, ესე ვითარითა საქმეებით, რომლითაცა იქმნებიან სრულ აწმყოთაგან, მყოობად დაუსრულებელად, რომელ ფრიად მოყუარე მამულისა დღისი მსახურებას მას, ხოლო ღამეთა შინა მუშაკობს მათ თვსივე, რათამცა განთიად ფერად ფერადნი სიყუარულითა ნამუშაკარნი მიაგებს ახალ განღვიძებულთა უუსაჭიროებსნი და საჭირონი უსარგებლესნი და სარგებლიანნი, უსაკმარესნი და საკმარნიცა. აჰა, თქვენდამო არა ვმეტყველებ, რომლითაცა ეკვირვები მეცნავთა აქა და მანდ. არამედ მათ ვეტყვი, რომელნიცა დიდთა თანამდებთა მიილებენ და აღასრულებენ მცირეთა საქმეთა.

იხილეთ თქვენი წერილი მესაუბრება 15 დღისა უძლურებასა, კნინლა ძნიადსა, რომელიცა ზემო მწუხარებასა ჩემსა დიდ ფრიად აღემატა ესე უწყის უტყუელმან მსაჯულმან ჩემმან სვინიდისმან და

თქუჱნცა ნამყო მოწამეობითა, რომელი თვთ სულმან ჩემმან თვთ ძილისა შორისებსა შინა გიხილა ფერად ფერადისა სახეებითა ეგრეთ და ესრეთ მრავალ ბევრეული, რომელი გეზრახებოდი, რომელმან მიმრიდეთ პირი, მსგავსად უმანკო მორცხვედისა. გარნა კიდევ ჩემდამო მოიქეცით და ესე იყო ზეგარდმო მოწყალება სახიერისა ღვთისა და ესე ვითა სახითა სული მღვიძარე მარადის მიცხადებდთ სნეულებასა თქუჱნსა გარნა მძინარე ეგე გრძნობანი ჩემნი, განღვიძებულნი უკუსთქმიდენ ტკივილებთა თქვენთა, ვითარცა არცაღა მხილველნი კვლავად დაიგვიანა რა ანბავმან თქვენმან ვრონინებდი მე სადგურისა მიმართ. რომელი მეფუცობადა არა მისრულასა ქარტის თქუჱნისასა და ესე ვითარსა მდგომარეობასა შინა. მრჩობლად შევჰსძინე პარაკლისნი სადღეგრძელონი, რაითა არს სასოება, ამიერითგან შემდგომცა უუკეთილესად. ესერა ღმერთმან მაარსმან შეჰსძინეს წელნი რაოდენნიცა წერილში ფსალმუნსა შინა, რათა დანაშთომთა დღეთა ჩემთა შინა არა რაჲვე ვნება თქვენი ვსძინო ეგე ვითარისა გუამის, რომელი არა თუ უძვირფასეს ღომერისა² ხართ ჩემთვს, და ათინელთა დიდთა, არამედ უფროსღა ვიეთთამე, რომელთაცა ძალუძსთ კეთილისა და არა ჰყოფენ სიბრძნით თვსთთა გინა სიმდიდრითა. იხილეთ, რაოდენნიც განსხუაებანი ჰქონანთ სიბრძნითა და საქმეებითა და მამულისა სიყვარულითა და შეძინებითა კაცთა ევროპიისათა თვსთა მემამულეთათვს, ვიდრეღა კაცთა აზიურთა მთავრისათა და მმეფებელებთასა, რათაცა თვსთა მეპატრონეთაგან დაბნელებულ არიან უბიბლიატიკოებითა უშკოლოებითა, რომელნი თვსისა სხეულებისა ბრუჟებსა უწოდებენ სიბრძნედ, რომელ არათუ იყუანებიან ანტუზიაზმებითს და უფროსღა გუამისა თვსით სხეულებისა ბრუჟებითა, ვლიან ბალანგარა ოჩოპინტროდ, პამპავაქნი და ენებითა თვსითა მგუჱმელნი პერისი, რომელნი პირველად იწყობენ სიტყუათა და საქმეთა არა მჭვრეტელნი მოესა. არამედ შემდგომ მოქმედებისა განჰსჯიან უგუნურებით. უკუღამ მუშაკნი: ამად სიმწარესა ზედა დასრულდებიან ულოღიკო ბგერა მათი. და უითიკო საქმენი მათნი. და უფროსღა ულვთისმეტყველო სულნი მათნი დაწყვდიადებულ არიან უკუნსა შინა. იჱულვეთ ეკკლესიისა ნიჲი ე. ი. [გურკ] ღირს მოცემა ნიშნავს კეთილმოწლეობასა თქვენდამო. ღმერთი მაღალი, რომელსა უპყრიეს გული ცხებულისა თვსისა და დადგინებულ ცხებულისაგან თქვენ შესთხოვთ მაღალსა. 1. სიმართლე 2. სიმრთელე 3. მდლევარი საზრდო და 4. გრძლად ცხოვრება და ყოველივე მოგენიჭება ზეგარდამო.

რა ჟამს მიმყოვრებით გარდაცემასა მწერთ ტალანტებთასა თითოეულთა დღეებთა შინა. ეგე კაცთაგან შეუძლებელ არს, გარნა ღვთისა მიერ ადვილ შესაძლო არს შეჰსთხოვეთ მაღალსა პირი და

სიბრძნე და ძალი იგი მდიდარი მოგანიჭებს ყოველთა. განჰსჭვრიტედ ჰე და განძლიერდით ნიჭისამებრ. გამოწნიხეთ ჰსწავლისა იყი, ტვნი, მანანა, თაფლი, გოლი, ღვინო და ზეთი, წყარო და სიბრძნე და იგი აგამეთ, არა ეგრეთ, რათამცა მოკლესიტყუაობითა ბნელ იყო, არცალა ესრეთ, რათამც გრძელ სიტყუაობით ძნიად მისაწთომ იყოს, უფროსა მათთვს, რომელნიცა ჰსწოვენ ღრამმატიკასა ბგერითარე, არცალა ძალისებრ თქვენისა, არამედ შენ წუნპებისაებრ მოსწავლითასა, ხოლო თქვენ გონება და გრძნობა მათი გამოიწვლილეთ და ეგრეთ მიეცით და ზედღართეთ ზნეობა, უკეთილესი, რათა არა გაუბედურდნენ უგუნურებითა, არამედ იყვნენ ბედნიერ განათლებითა, ეგრეთვე შიში მშობელთი აწავე და მოძღუართი და მეუფროსეთი ეგ სახედვე სირცხვილნი და თაკილნი და უფროსლა სვინიდის, რომელ არს მსაჯული და არა ეგრეთ ვითარცა მანდარე განჰსწავლულსა აქარე ვიკითხე, რაოდენთამე აზნაურთა სვინიდისნი წამავალი კეთილმოქმედებისა გამამხიარულებელი და სვნიდის შედგომილი ბრალეულისა მწერტილი შინგახვენ საიდუმლოდრე შემასმენელი ნამყოთა ჰსჯულისა, თანამდებობისა გარდასვლისა აწმყოთა შინა, ხოლო მყოობადსა მომლოდე პატიჟისა განსაცდელისა და სასჯელისა ღმერთისაგან უსაშუალოდ, გინა საშუალეთ ჰსჯულითა და მონარხითა მის მიერ დადგინებულითა დასასრულ მომიგეს ზემო ხსენებულთა ესერა სვინიდის არცაღათუ გუესმიესო, კვლავად შევკითხე რაჲ არს სიყვარული მამულისა ანუ ვითარი არს სიყუარული მამულისა. თანაძს თვთეულთა პირებთა ურთიერთისათვს სიყვარულით ღვაწა ნებსით და უნებლიეთცა, რომლითა დაიცვებიან ჰსჯული სალთო სამოქალაქო და იქმნების ოქროვანი საუკუნო, და ექმნების პირებთა ღირსება და ჯილდო ყოველ და ნებსით მონაგები და დაცულ იქმნების ხოლო ქვრივთა და ობოლთა არა რანი წარწყმებ... (მელანი ამომქრალია, არ იკითხება). გარნა მეზობელნიცა პატივისცემით ეგებიან ჩუენდა მიმართ (რამოდენიმე სტრიქონი არ იკითხება).

## № 169

### 1827 წლის 17 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო მ. მ. იონა უმოწყალესო კელმწიფევ!

განმანათლებელი სულისა ჩემისა, შემამკრებელი გულისა და ალმნთებელი გამოხატვსა ავთრათი თქუენი მივიღე და მათ თანა განშახარებელი გრძნობისა და მასიამოვნებელი სულისა და სასურველი ნებისა. რაოდენ საგრძნობელ არს ჩემთვს, რაოდენ სახსოვარ და რაო-

დენ სამადლობელ, გარნა კეთილობანი და სათნოებანი თქჳენნი გამოუთქმელ არიან და ყოველსა საუკუნესა შინა სახსოვარ და შეუძლებელ მადლობად ესოდენთა საქმეთა, რომელთა მიერცა ნიჭებულ მყავით მე, არა მხოლოდ ჩემ მიერ, არამედ ივერიისა ნათესავთა მიერცა განუმარტებელ და მიუწთომელ. ვინაჲთგან პირველსავე მოსვლასა შინა ჩემსა იქუხა ქალაქმან თბილისისამან, სადაცა მიუთხრობენ ერთსა მეორესა სიბრძნისათჳს მხილველნი რჩეულთა შინა წარწერილთა და გარდაცემულთა კანონთა სისტემატიკებრისა წყობილებითა. რომელნიცა მოქმედებენ სულიერთა ძალთა ზედა. უმეტეს ყოველთა სხუათა წარმოებათა, მე აღვწერე ახალსა ფრაზსა ზედა უმეტეს სიტყვერებითი სწავლა, სადაცა მივეც თჳსი განსაზღვრება შესაბამი და წესიერი და ეგრეთვე განყოფილებანიცა საკუთარსა წესიერსა გუარსა ზედა დავაწყე, თჳთ ღრამატიკასა მიუმატე ნაკლნი და გაჰუტევე. მეტნი, ყოველსა ჟამსა შეკრულ ვარ საქმეთაგან შემთხუევასა ვმეცადინეობ, რათა მივსდრიკო მსმენელნი ჩემნი ჭეშმარიტებასა და სიყვარულსა სათნოდ ღვთისასა, მე არა ოდეს არა მაქუს ცნობა არა რომლისა უსაქმოჲსა კაცისა და არცა საქმიანთანა, უკეთუ არა არს მზრახუელი ზეციერთა საქმეთა მქონებელი დამწყობელი მადლით. ავთრათი იგი თქჳენნი მივიღე სეკდემბრის 16 სა. მაშინ ოდესცა ვჯექ კათედრასა ზედა და ვმარტებდი აღსაზრდელთადმი ასტრონომიულისა ანუ მათემატიკურისა და ფიზიკურისა მდგომარეობისათჳს სოფლისა საზოგადოდ. გარნა სიხარულმან ავთრათისა თქჳენნისამან მიცულა ფერი, რომელიცა ჰგრძნეს დაჰსცდეს მოწაფეთაცა ჩემთა. და ესრეთ მოსრული კლასთაგან პირველსა ჟამსა წარვჰსწერე ესე მოკლედ და მუნვე მივიქეც. ამის გამო გთხოვ მომიტეოდ მოკლედ წერისათჳს, ანუ გამოხატვისთჳს გინა მოკლე აზრისათჳს. ვინაჲთგან ყოველი გარემოება წარსრულს დროს მოგართვი, ვითარცა სახლეულთა ძმისა თქჳენნისათა, ეგრეთვე ჩემნიცა. სოლომონ და სახლეულნი თქჳენნი უვნებელად მყოფობენ, გარნა მოელიან ჩემ მიერ მოხსენებულისა თქჳენდა პასუხსა. მამა ჩემმან, მგრძნობელმან თქჳენისა ჩემდა სიყვარულისამან, მდაბლად გულითადი პატივისცემა და თაყვანისცემა მოგახსენათ, ეგრეთვე მორჩილმან ჩემმან ძმამან სტეფანემან მოგახსენათ მარჯუენასა ზედა ამბორება. უმორჩილესად გთხოვ მიბრძანოთ თქჳენი ვითარება მამაო სულისა ჩემისაო! ჩემს ვითარებას მოიხსენებთ, მადლობა ღმერთსა სიმრთელით გახლავარ. ადამს ღირსიევს და სხუათა განუცხადებ ჩემს გულითადსა პატივისცემასა და სიყვარულსა.

თქჳენის მაღალ ღირსების მორჩილი მოსამსახურე
თქჳენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი. თბილისით.
სეკდემბრის 17 სა 1827 წელსა.

## № 170

### 1827 წლის 1 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ დოდაევ. ქრისტეს ღვთისა მიერ სალთო ლოცჳათა მომრთმევლობ თქვენდამო გულითადიერ.

აჰა, ესერა ავთრათი მეორეცა მოვიღე სასწორისა თვესა[1] უსტარად ჩემდა, რომელნი მაუწყებს ჯდომასა აღსავლობასა ზედა, ხოლო სიბრძნისა გარდამცემელად მეცნიერებისა, სახელითა საკჳრველისათა ორთა მათ ნივთებისა, რომელ არს თავით კერძცა და ფერჳთ ქვეშე ბურთი ესე სოფელი, რომელი დამყავრებულ არიან ზესკნელიდან ქვესკნელადმდე და მაგიდგან გარესკნელადმდე. რომელნი საკჳრველისა შორის ჰსძეს ერთ სიტყჳასა შინა საკვირველისასა გამონაკულნი, რომელნი მოწყივ, მიჯრით დადებულ არიან, რომელთა დამტევნილ არიან დატევნილ და ადგილ თავთა თვისთი რათაც არა რაჲ ჰმატებს რიცხუათა ძლით და არცაღა მოაკლდების სპობათა ძლით, არამედ ფორმა დარიჯაგნი მარადის ჰგიეს პირველთა უშობელთაგან შობილთ, რომელნი ძალსა ზედა თჳსსა იძვრისობენ შინაგანით საიდუმლოდ გარეგან თეორემად და აქსიომად რომელ თითოეულთა თჳსი ღერძი აქუსთ. ე. ი. უსაკუთრესი ძალა ყურსა საიდუმლოსი. უფროს ფილოსოფოსთა თჳსოვანთა და რიტორთა ენა ბზრიალთა და ღრამატიკოსთა.

იხილეთ, მე თქვენმან უსტარმან არათუ მახარა, არამედ უმეტეს აღსავლობითად მხიარულ მყო სამგზის 1. პირველსსავე საგანსა მაღალ საკვირველისაგან იწყებთ. 2. ჩემი ყოველნივე გახსოვსთ და 3. მყოობადშიც და აღმსთქუამ ყოველივე მრჩიებასა. ეგერა ზემო საშხა შინაგან ზრახუანი მეფე სულისა გარეგან ქალაქსა შენსა გჳამსა ზედა მზედ მაგა ქჳჩყანის გყოფეს, რომელსა სუსტსა მძლეული ფილასოფია ვერაოდეს განგალაღებს ვითარცა კნინღა და განალაღნა ყოველნივე მხოლოდ მელნიანი, არამედ მახლობელყოფა ღვთისმეტყველებისა საკვირველისა. სიყუარულითა აღგარაშენებს მზე დიდდად. რომელთამე მიმართ ნათლითა სხუათ მიმართ ბრუჳევითა და ვიეთთამე ზედა წარავანდედობითა სიბრძნისა ტალანტებითა და ნიჭებითა და ეგრე ვითართა სახითა ტაისკარი ეგე მქისიყისა იქმნებით განმადღევებელ ივერიისა ახალ ნორჩთა გულებისა ახალი ეგეშე ქუხილისა პეტრიწად.

იხილეთ ოდეს თითითა ღვთისათა ქმნილი ცაი და ქვეყანა განიხილა მეფსალმუნემან, მაშინ მყის უწოდა სახელი თჳსა ქმნულთაგან ღმრთისა მეტყველმან ესეთ უფალო, უფალო, ვითარ საკვირ-

ველ არს სახელი შენი, რომელსა ებრაელსა ენასა ზედა საკვრველ ეწოდების. აჰა, ყოველნივე განზრახვანი და საგანნი მის მხოლო საკვირველისაგან ახალი იგიე კომეტი ერთი აღმოცენებული, რომელ სულისათვის საჭიროდ არს გონება: ეგრეთვე მაგა ერისათჳს უუსაჭიროეს არს განათლება ზენა.

აჰა, თქვენ ეკრძალენით ახალ ნერგებთა ბუნებისა შეცჳალებად კეთილ ამოვნებად კეთილითა კეთილთა დაჩვევასა და მხიარულებასა მხიარულთან თანა და მგლოვარებასა მტირალთა თანა და ჭკინძეთ ყოველნივე სიყჳარულსა ზედა ღთისა და ურთიერთისასა და მამულისასა. რათაცა ყოველნივე თანამოსწავლენი უწოდდენ: ძმაო! ძმაო! ზედას ზედა მიითრვის ესე და მიბოძე ეგე სიყვარულისა წილ და ჰყავ ყოველნივე მშვიდ და მდაბალ გულიან რათა არა იმეტყველონ გარეშე თვსისა საგნისა, რათამცა ძილთა შინაცა სულები მაგათი გაძლევდენ გაკვეთილებსა და აქვნეთ თქვენდამო 1. სიყუარულით სმენა, 2. ამბორებით პატივისცემა. 3. და შიშნი სირცხვილნი, რომელთა არა ძალედუასთ ურჩება და უქმობა. და ამაო ცმაგჳა. დასასრულ ურჩთა აგემეთ სიმწარე ფიზიკურნი გინა ითიკურნი ანუ პოლეტიკურნი წამალნი სძე, თაფლი, მანანა და ნეკტარი და ვაშა, ვაშა ქარტებსა ზედა.

მოიხსენეთ ოდეს ზემო ნაყოფნი გამოიღოთ, მაშინ არა თესული ჩემი იქმნების მხიარულ, არამედ ძჳალნიცა ჩემნი იქმნებიან პოვიერ საფლავსა შინა, ამად ჩემდა მოკლება გახლავს წელიწდებისა, ხოლო შენდა აღორძინება ჯერ არს, რათამცა მშრომელნი და შრომილნი მუნ ერთადვე შეკრბეთ.

თქვენი მლოცველი მარად იონა მკდოვანი.
წელსა 1827 ოკდომბრის 1 დღესა.

**№ 171**

**1827 წლის 8 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.**

მაღალ ღირსო მამაო მ. მ. იონა, უმოწყალესო ჴელმწიფევ.

სიყვარული, დანერგული გულსა შინა ჩემსა არა ძალმიძს წარმოვადგინო წინაშე განათლებულისა გჳამისა თქჳენისა. და არცა შემძლებელ ვარ გამოთქმად თვსებათა თქჳენისა მაღალღირსებისათა, თუმცაღა კი ვჰგრძნობ, გარნა ვერ მივსწვდები. ხოლო შეძლებისაებრ

ალთა ჩემთასა ზრახჳსა ამის საგნისათჳს გამოვხატავ ისტორიასა ანუ ცხოვრებისა აღწერასა შინა მოთხრობითა ყოველთა გარემოებათა და შემთხჳეულებათასა, არა რომელსა წამსა არა ძალმიძს დადუმება, რათა არა წარმოვსთქჳა ზრახუა ჩემი სათნოებათა და სიბრძნითთა მოქმედებათათვის თქჳენისა უხვებისათა, გარნა ტკრთი სქეთა შრომათათა არა მაძლევს უფლებასა, რათა ყოველი გამოხატჳა და აზრი შეაერთო ხუთა თანამდებობათაგან. სულგრძელებითა თქჳენითა მომიტევებთ ბრალსა ჩემსა მცირაკისა ქარტისათვის, რომელსა ზედაცა წარვსწერე ჩემ შორის დანერგულისა სიყვარულისათჳს და შევაერთებ თქუენდამო აქარე წარმოებისათჳს.

თითოეულსა მზის მოქცევასა შინა, მღვძარებასა და მძინარებასა შინა გული ჩემი და უმეტესად სული არს თქჳენთანა, რომელიცა შემდგომად განღვიძებისა ჩემისა ძილისაგან ვჭვრეტ ცასა და ვიტყჳ მარადის ესრეთ: „ვის განვშორდი, სადა ვარ, და ოდეს ვიხილავ მას, რომლისაგან ვიყავ და ვარ ნეტარებასა შინა კურთხევითა, გარნა უხილავითა მწუხარე შევსთხოვ ღმერთსა უძვირფასესა დროსა ხილვისასა მომცემელსა თქჳენსა ჩჳენთჳს „დაუფასებელო, სამარადისო სულისა ჩემისა მამაო! ნუ დამიტევებთ მე, მხოლოდ ერთსა თვნიერ შეერთებისა მოქმედებათა თქჳენთასა, მომეცით მაღალნი ტალანტნი, ნიჭებულნი თქჳენდა ზეცით გამო მამაო! აჰა ქართულის ლიტერატურისათჳს ჰსცანით თუ ვითარი ვაწარმოე ცვლილება: 1. ღრამატიკასა შინა: თჳთ დაწყებითგან ვაწარმოვე განსაზღურებანი საზოგადონი და მოუმატე ნაკლნი, რაოდენიცა ძალმედუა, დაწყებით ბრუნვა განუტევე დამტკიცებითა, რომელ არა არს საჭირო ცნობისათჳს ცვლილებათა ლექსთათა და სხუანი მრავალნი, რომელნიცა დაიბეჭდება და მუნ სცნობთ.

2. სიტყვერებასა შინა უმეტესად, რომელსაცა მივეც შესაბამი სისტემატიკებრი წყობილება და განყოფილება განსაზღურებითა, უკეთუ ინებოს ღმერთმან და დაიბეჭდა, მაშინ ვჰსცნობთ სარგებლობასა მისსა კეთილ მზრახჳელნი მკითხჳელნი:

გარნა სახლეულთა ჩემთა დიდად შემაწუხეს, დაჲ ჩემი მისცეს ხირსელაშვილს ანაგაში, შეუძლებლობისა გამო მათისა მოვიდნენ დიდის თხოვითა სავაჭროდ ნივთებთა წარსატანებლად და ჩემზედ ოცდაათი თუმნის თეთრი ფულისა წარიღეს ვაჭართაგან, რომელიცა იქმნების ასოცი თუმანი ასიგნაცია. საზრდოდ და სწავლისათვის ოთხი სული ჩემისა სახლისა გახლავთ და ერთი სოლომონის შვილი იოანე. ძმისწული თქჳენი ჩემთან არის ათორმეტის წლისა გახლავთ და ისწავებს სწავლათა გონებითთა და საქმითთა. ბრძანებისაებრ თქჳენისა პური და ღვინო სოფლიდგან შევიკვეთე, რომელსაცა მომიტა-

ნენ თჳსსა დროსა, გარნა ფრიად ძვირობს. სხუჱბრ ყოველნივე მშვიდობით არს, მჴედრობაცა ჩუჱნი წინაშე მტრის გმირობს და იმარჯუჱბს, რვა სული იზრდების ჩემთანა მოწყალებითა თქუჱნითა, მამა ჩემმა თაყვანისცემა მოგახსენათ, სოლომონიც ამან ჩამოიყუანა თავისის შვილითა. რაოდენიც შემეძლო მივეც შეწევნა სოლომონის სახლსა მცირედ და სხუჱბრ თქუჱნს ბრძანებას მოველი. სოლომონ, ძმა თქუჱნი იყო ჩემთან ერთი კვირა, რომელმან მოიყვანა შვილი თავისი იოანე ჩემთან, რომელსაცა დიდად სურის და სწყურის სწავლა. არავის უმეცადინებია მათთვის, ამათ არა რაჲ ბრალი აქუსთ მიუსვლელობისა სწავლასა შინა. ახლა მე ვითარ ვსცდილობ, ვგონებ თქუჱნ სცნათ.

თქუჱნის მაღალღირსების სულიერი და მსმენელი შვილი
სოლომონ დოდაევი.
ოკდომბრის ~~~
წელსა 1827

**№ 172**

**1827 წლის 24 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

წიგნი დ. ს. პირველი

მაღალ ღირსო მამაო უმოწყალესო კელმწიფევ! იონა.

წმიდასა და განათლებულს მარჯუჱნასა ზედა ამბორებას მოგახსენებ, სულითა და გულითა ვისურვებ თქუჱნის მაღალ ღირსების ხილვასა და ვსთხოვ ყოვლითა გულითა ჩემითა მომნიჭებელსა ყოველთა კეთილობათასა თქუჱნს სიმრთელესა და მშვიდობასა, გარნა განკვირვებულ გახლავარ უხვებისა თქუჱნისა სიბრძნეთაგან. რომელ დაადროეთ წყარონი ნიჭთანი შეერთებად ჩემდა მოცემისათჳს გონებათადმი მემამულეთა ჩუჱნთა ჰურეტანი, მარადის მიმართებულ არიან ჩიგრიკთადმი ანუ მსლველთადმი და არარაჲ ვიხილე გამოზრდისათჳს მშიერისა და მწყურვალისა სულისა ჩემისა, რომელიცა ეკუჱთების უძვირფასესთა სიტყუათა ანუ ჰაზრთა განათლებისათა თქუჱნ მიერ მოღებულთა. და ესრეთ გთხოვ უმდაბლესად მამაო, რათა არა დამიტეოთ თქუჱნ მიერ წარმოებული საზოგადოობასა შინა. მე მარადის ვმეცადინეობ მიწდომისათჳს საგნისა ჩემისა, გარნა ვერცა ერთსა ვიხილავ მემამულეთაგან, რათა ეძიებდეს სარგებლობასა მამულისასა. მხოლოდ თავის თავის გამოზრდას სცდილობენ ღიურად. არცა ეძიებენ სწავლასა, არცა სწავლულთა, არცა წიგნთა სწავლითათ,

არა მოყუარე არიან შრომისა, უკანონოდ და უწესოდ და ფრიად შერევნელად მდგომარეობენ, მზად არიან ვნებისათვს, რომლისამე პირის უბედურებისათვს და სხუათა, ხოლო, მე ჯერეთ დადუმებული გახლავარ სხუა და სხუათა წარმოებისათვს და განხსნათა სასწავლოთა ადგილთა, ვეძიებ ღონესა და ვსჭურეტ მდგომარეობათა და გარემოებათა: არა უწყი ვითარითა ხატითა ვაწარმოო საგანნი ჩემნი. აქაური სასწავლებელი თბილისისაც ჯერეთ უწესოებასა შინა არს, მოსწავლენი მრავალ არიან და მასწავლებელნი მცირე, არავინ მიაქცევს ყურადღებასა და არცა სჭვრეტენ სწავლათა, გარნა ამის შემდგომ ვგონებ იმეცადინოს მთავრობამან განვრცელებისათვს სწავლათა, ვინათგან ინება ღმერთმან მშვიდობისა მონიჭება, მტერნი განივლტნენ ძალისა გამო მხედრობითა ჩუჱნთა და საჭურველთა, ასან ხანი[1] ერევნისა დღეს მოიყვანეს ოკდომბრის 23-სა, თბილისის ციხეში და სხუანიცა ოთხი ათასი კაცი სპარსთა. მადლობა ღმერთსა.

დასასრულ, ძმისწული თქუჱნი იოანე მეხსიერ არს და კარგათ სწავლობს მამაო! უმდაბლესად გთხოვ განუსვენოთ სულსა ჩემსა შეერთებითა ვითარებათა თქუჱნისა მაღალ ღირსებისათა. მშვიდობით.

მომიტევეთ სულგრძელებითა თქუჱნითა ცთომანი ავთრათისანი! ვინძთგან ვჰსწერ მამასა და არა სხუასა. თქუჱნის მაღალ ღირსებისა მორჩილი მოსამსახურე სოლომან დოდოევ. ოკდომბრის 24 სა, 1827 სა.

## № 178

### (1827 წ.) წერილი ი. ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ! ქრისტე ღვთისა მიერ.

მოიხსენეთ ქუჱმო კეთილ თვსებისა თქუჱნისაგან, ე. ი. თქუჱნისაგან ე. ი. მწერთ, კაცის დაკავებასა ძმათა ჩემთასა ფულის წარმოგზავნითარე. ესერა მეორედ გწერ მე: ვერ უძლე ამ ჟამად მოღება ხუასტაგთა ჩემთა ვერცა ერთისა ვასხებულთა ჩემგან, რომელნი მყოობადთა შინა მპირდებიან ამად დავრდოლ ფრიად აყილესისა[1] პლანისა თქუჱნისა შესრულებასა ჩემდა ცხონებად.

აჰა, ამად შეგთხოვ პირველ შენდობით, რათა არა მიიღოთ წყენა, რომელი დიდ დია გეკრძალავ, არამედ მდგომარეობასა ჩემსა პატივ ჰსცეთ, ამ ჟამად ე. ი. ხუასტაგისა მაგისა რომელი კრძალავ რომელ თქვენ გაბარიათ. გამარკუჱდ რაოდენნიცა საჭიროდ იყოს და მით

შთამოიყვანეთ მხოლოდ შვილნი იოსებისა ობოლი გრიგორი[2] და ოდეს მანდ მიიღებთ თქვენთანა რაოდენიცა წარაგი მომწერეთ, რათა რიცხვი დაკლებულ ალვავსო და შემდგომ მარადის მე წარმოგიგზავნი ყოვლისა საჭიროთ და საკმართა და სასწავლებელთა, უტევეთ ძე სოლომონისა, ვინათგან უფრორე დიდ არს იგი შინ დაშთეს მხოლოდ გრიგოლ შთამოიყუანინეთ.

ხოლო ძე სოლომონისა მეორე აღვზარდოთ თვსსა ჟამსა უკეთუ უნდეს მაღალსა ამად გვედრი, რათა თვსსა ჟამსა ჰყოთ საქმე ეგე უკეთილესი, ვითარცა იტყვის ეკკლესიასტე ყოველნი კეთილნი ჟამსა თვისსა კეთილ არსო, ხოლო უჟამოდ არღარა ეგრეთ, ვითარცა თვსსა ჟამსა.

მოიხსენეთ, ჩემო შეთხოვილი საქმით განმასრულებელმან და უკეთუ ხუასტაგი ახლო არ გახლდესთ, მოივასხეთ მდიდართაგან და შემდგომ მიუქციეთ წარმოგზავნილი ჩემნი.

იხილეთ, თქვენ ქარტაში შთადებულ ძმისა ჩემისათანა მიწერი და განსაჯეთ უმჯობესნი, უფრო ჩემს თუალთა წინაშე თქვენთა მდგომარე ნებასა თქვენსა ზედა მოკიდულნი სულვილნი ჩემნი.

თქვენი მლოცველი იონა მ. მ.

## № 174

## 1827 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი

მამაო სოლომონ! ქრისტე ღმერთისა მიერ სალთო ლოცვით მოკითხუას მოგახსენებ სახლეულთ ერთბამად.

ესერა ჩემს ვითარებას იკითხავთ, ვმადლობ ღმერთსა მშვიდობით ვარ ზეგარდამო დაცული. გიორგის[1] ანბავს იკითხავთ, მადლობა ღმერთსა, მშვიდობით მოვიდა ჩემთანა, რომლისა გამოსტუმრება მსურს, მალე იყივ[2] უნდეს ღმერთსა.

დასასრულ ჩემი შეთხოვნა ესე არს თქვენთანა, რათა ოდეს წიგნი ესე და უფლისა დოლოევსა მოგივიდეს, მხოლოდ ობოლი გრიგორი ჩაჰგუარე ქალაქში სოლომონ დოდოევს და იგი იზრუნებს მაგისთვის. იხილე შენს ძეს მიხაილს[3] ოდესაც დრო ექმნება, მაშინ აღვზრდი და მასთანავე დიმიტრის[4], რათამცა თითო შვილნი თქვენი მაშინც ჰსწავლული იყვნენ.

აქადამ გრიგორის ხელით მე მოგაშველებ შეწევნასა ძალითა ღვთისათ და ნაცულად გრიგორისა დაიკავეთ მეროჰიკე კაცი. თუ ამას აღმისრულებთ, გიორგის მაშინვე გამოვისტუმრებ. შემდგომ გიორგი ქალაქში შთაიყუანისა ობლისა, აღზრდა უკეთესი საქმე არს ჩემთვს და თქვენთათვსაც, რომლისათვს ღმერთი აკურთხებს სახლსთქვენსა. დოდოევმან როგორც მოგწერათ, ისე მოიქეცით ეგე არს სულიერი შვილი ჩემი, მსგავსად თვისისა ძმებისა მიიღებს და აღზრდისა.

ეგრეთვე სძალსა ჩემსა მართას[5] ვსთხოვ, რათა წარუგზავნოს ძე თვსი გრიგოლი თფილისს სოლომონ დოდაევს, საჭმელნი და სასმელნი და ტანისამოსნი და ლოგინნი ერთბამად ჩემი ექმნება და ჰსწავლა სამღრთო და სახელმწიფო.

ეგ სახედუბ სძალსა ჩემსა ნატალიას[6] ვთხოვ, რათა მიხაილს და დიმიტრის ანბანი ასწაოთ და შეაჩვიოს კითხუასა თვსსა დროსა შინა.

თქვენი მლოცველი მღუდელ მონოზონი ი.
წელსა 1827 თთუესა ოკდომბერს.

## № 175

### (1827 წ.) წერილი მეფის ძის ასულის თამარისა იონა ხელაშვილისადმი

თქვენო მაღალ ღირსებავ კუროსანო მამაო! მარჯვენას გეამბორები, თქვენს მშვიდობას ვისურნებ. შემდგომად თქვენი წერილი მივიღე — გმადლობთ დაუვიწყებლობისათვის, დიაღ ვისიამოვნე თქვენის წერილით და მშვიდობის ანბავი რაც მოგწერეთ თქვენის ძმისწულებისა, მერწმუნეთ, მამაო თუ კი შეიძლება რამე დიდად ვეცდები ამ დღეებში სოლომონ დოდაევს დავიბარებ და თქვენგან მოწერილს ვაცნობებ. და ვიცი ისე ვალდებულ არის, ეცდება თქვენის წადილის აღსრულებას. ყოველსავე წერილით შეგატყობინებთ. შემდგომად ვიცი ჩემს ამბავს იკითხამთ, ღმერთის მოწყალებით მშვიდობითა ვართ. ყოვლად ძლიერმან ღმერთმან თვსის მოწყალებით განგვარინა ყველანი იმ საშინელს სნეულებას. გთხოვ თქვენო წმინდაო ლოცვაში შეგვავედრო ჩემი ძმები და მეღირსა ეს თხოვნა მეც შევიძლო თქვენი სიამოვნება, თქვენი მშვიდობის მოსურნე მეფის ძის ასული თამარი.

## № 176

### (1827 წ.) წერილი მეფის ძე ოქროპირისა იონა ხელაშვილისადმი

ყოვლად უპატიოსნესო ღირსო მამაო იონა!

წარსულსა დღესასწაულსა მოგილოცავ და წმიდასა მარჯჳენესა გიამბორებ. ამას წინად გეკითხათ ჩემთვის, ახსნა ხუთთა ღვთისმეტყჳელებისა პუნკტთა, პირველ შენსა ძველად მწჳალებელთა მიერ კითხულთაჲ, რომელთათჳს საკმაოდ პასუხგებულ იყვნეს წმიდათა ღვთისმეტყჳელთა და სხჳათა მამათა მიერ. რომელიცა შევკრიბენ მე, არა კადნიერ ქმნილმან თავით თვისით პასუხის გებად, რომელსაცა გიგზავნით, პატივისცემით, ამა წერილისათანა. ვსასოებ, კმა საყოფელ იყვნეს მიგებანი ესე, რომელნი ძველად, სულითა წმიდითა აღვსილთა დაგვიწერეს ჩვენ. უკანასკნელ შევვედრებ თავსა ჩემსა წმიდათა ლოცვათა თქჳენთაჲ და გთხოვთ, დაუვიწყებლობასა.

თქჳენის ღირსების სამარადისოდ პატივისმცემელი:
მეფის ძე ოქროპირი.

## № 177

### 1827 წლის წერილი ი. ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო სოლომონ! ქრისტე ღვთისა მიერ ლოცჳათა, მომრთმევლობ თქვენდამო!

იხილეთ თქვენი ქარტა აღმოვიკითხენ სიღრმედ მიმართ მიმყოვრებითავრე, რომელსა შინა ვიხილე ბოროტ ზნეობასა ზედა მდგომარისა ვნებულება. პირველად უუმეტეს თავისა თჳსისა თჳსისაგან თჳსისა ნაღვლისა სმა და შამა აბზინდისაჲ, უპიროპისა, გონებისა ქარებისაგან დაწნეხილი. ან გულფიცხელობისაგან მძჳნვარებისა წარმონერწყული. ფიცხელისა კაპასობითა. გარნა ზემო ყოველნივე დემონისაგან წარგებულან, რომელმან პირველნი მშობელნი აცთუნა. აჰა, მიერთაგან იქმნა კუალნი, ცრემლნი, უბედურებანი, მონებანი, ტყუენობანი, სიყმილნი, შიშლოება, გლახაკობა, სნეულება, მწირობა, ყვედრობა, შური, მტერობა, დარილი, მზირობა, ცილისწამებაჲ, ბრალობა, გუემა, ექვსორიობა, პყრობილება, ღილექსში, საკანში და ერთბამად ვაება, ვალალება, კდოვნება, გოდება, ჰრტინუა, წრტიალნი, ჰყუილნი, კვნესა, ოხვრა სულთქმა და ზედდასხმა, აფორიაქება. იავარქმნა, მიხვეჭა, მიუნგარება, მეკობრობა, ავაზაკობა, ძმაცუა, ფლი-

დობა, ტრედობა, ლიზღობა, ლაღობა, წარგდებობა, ურცობა, დარღუჱვა ბუნებითასა ჰსჯულისა, სვინიდისისა დაშრეტა, გონებისა გრძნობაებთა კჳმირებთა ქვეშე დახშუა. გულისთქმა ვნებულნი, თუალღება პირვინებითარე მექრთამეთაგან. და თუალებთა დახშუა გლახაკთა მიმართ. ზემჯდომისათვის ძიება ხარისხებისა. მუცლისა მსახურება და გუამისა ასოებთა მეფე სულისაგან მსახურება შვიდთა მაკვდინებელთა ცოდვებთა. დასასრულ ყოველნივე ივლტიან სიკუდილისაგან. გარნა პრაკტიკებითა ხშირადრე სიკუდილისა მსახურებენ მოუთმენელნი, სულმოკლენი, უსასონი, იჭვნეულნი, გონება იწრონი, ცუდმოშიშნი, უგუნურნი, უცებნი, უბირნი, უდგრებნი რეტნი, შრეტნი, შლეგნი, შმაგნი, ფეთიანნი, ცნობა ვნებულნი, ლირწნი, დრანჯნი, როსკიპნი სიღოდნიანნი, და დიდ ფრიად საწუხელნი ე. ი. რომელნი დიდთა კეთილთა უდიადეს ბოროტთა გარდაიქმენ. აჰა, ზემონი და უბევრეულესნი ვნებულებანი და ვნებულთა გზანი ე. ი. ფართო წარსაწყმედელნი გზანი თითოეულთა თჳს თჳსად ჰქონანთ, განკუთვნილნი რომელნი ვლენან თჳსისა დემონებისა და ლეგეონებისაგან წარსაწყმედელად თჳთ ჟამიერადმე ორგან განკუჱთილნი ცხოვრებისაგან რომელ ტყუილებისა მამა წინა მსაჯულად ჰყავთ იგინი არლა არიან თავისუფალ და მექონ ნებისა და უმჯობებისას აღრჩევისა, არამედ მიახლოებულ არიან საცხოვართა წადილით ყუანებისა, რომელნი ჰსჯიან მშვინვიერ, ვითარცა ყრმანი დაჰსტოებიან, ვითარცა ბრმანი და ჰაერსა ჰსცემენ სახედ კვეთებულსა გინი ცოცხლივ თვისსა ზნეობითსა ჯოჯოხეთსა შინა დამწარებულ არიან სამსალიანისა ენისაგან და ჩვეულებისა ამად ადრე მოისპობიან და აღიხილვენ ჯოჯოხეთსა თვალთა თვისთა. ხოლო თქვენ მოიგეთ გუჱლისა სიბრძნე, და მტრედისა უმანკოება ღვთის მეტყუელებისა საცხებლებითა იქმნენით მოთმინებით გმირ და მკნეობითა მძლეველ ზემო ბოროტი ზედა მდგომარისა სოფლისა წ. სახარებისა მშვიდობითა და სიბრძნის გოლითა დაატკბეთ და ფილასოფიისა თაფლითა განუსხვენეთ მკსენვარეთა ღრამმატიკისა კშებითა ენა ბლანგვიან განმართუჱ რიტორებისა მშვენიერობითა ჩინენ ბორგნეულთაცა ორატორობისა მჭევრობითა. ყოველნი ნისლიანნი შერევნისაგან გამიტაცეთ პიიტკა წყობილსიტყუაობითა აგემოფნეთ სახიობაგან ხედებულთა. არიხმეტიკათა აღურიცხეთ გრძნობაებისა თჳსებანი. მეტამეკითა განუზომეთ გულისხმისყოფანი. ისტორიითა აჩვენეთ სოფლისა ეპოხანი და პერიოდნი. ღეოღრაფია ახილვიეთ ქვეყანა ხუთნაწილოვანი. ე. ი. ხუთ თემიანი. ხოლო გონებისა ძალი განუმარტეთ ბოლითა და ბნელნი სიტყუანი ანუ არსნი სილოგიზმოდთა აღმოუჩინეთ მეტაფიზიკთ, არსნი შეამცენით, კოსმოლოღიითა სახლი ესე ყოვლადი, ფსიხოლოღიითა

მარტივ-ცხოველნი შეასწავეთ და თეოლოღიითა ღვთაება ღვთისა უჩუენეთ. აჰა, ოდეს იწყოთ ზემო თქმულნი ჩემნი ჰყავთ პირისამებრ და ადგილისა და დროისა, რათამცა უხაროდესთ მსმენელთა და მჭვრეტელთა და ეთიკურ პოლეტიკურ იქმნენ თავის მოყუარე, უგუნურთა უგუნურ, რათა უგუნურნი შეიძინო, ბუნება უძლურთა თანა უძლურ, რათა უღონონი შეივსოთ. მტირალთა თანა მტირალ, რათა მტირალნი შეიძინოთ, მოხარულთა თანა მოხარულ, რათა მხიარულნი შეიკუთნოთ, მტერთა თანა მშვიდ, და მდაბალ გულითა, რათა მტერნი შეიმეგობროთ, ყრმათა თანა ყრმა, რათა ყრმანი განაბრძნოთ. ბრძენთა თანა ბრძენ თანხმა, რათა ბრძენთა შეგიყუარონ.

იხილეთ: დუბესა ზედა სოფლისა სოფლისასა არა ყოველნივე ეპიფანიანი ვაკე არიან. არამედ მთიანი, ბორცვნი, ევნები, მქისენი წყლტუნი ღელენი, პარეხნი, სერნი, ქედნი, მრავალ არიან, ეგრეთვე კაცნიცა სხუა და სხუა არიან, რომელთაგან ბრძენთაგან მიისთვლებიან არომატნი, ხოლო სულელთაგან ფისნი ორსვილნი, მუნნი, ნადველნი, აბზინდანი და ცრემლნი წვარენი და დევნულებანი.

მოიხსენეთ: ოდეს განფიცხდა ილია წინასწარმეტყველი, აქაბ მეფესა ზედა და იზაბელსა დედოფალსა ზედა, მაშინ სამწელ და რუას თვე რვალად იცუალა ცაჲ და რკინად ქვეყანა და იქმნა სიყმილი. აჰა, მოიქცა მეფე და დედოფალი, ცამან მოჰსცა წვიმა. გარნა კუალადმე ფიცხელობდა ილია თეზბიტელი. მაშინ ღმერთმან უჩვენა ქარი სასტიკ და არა მას შინა ღმერთი. ცეცხლ მძაფრი და არა მას შინა უფალი, ძვრა ქვეყანისა ფიცხელი. და არა მას შინა უფალი. ხოლო უჩვენა რა ნიავ წვლილი, აჰა. მას შინა იხილა ღმერთი ჩვენ ყოველთა მამა ე. ი. ილიამ გონება თვისი მსგავს ქარის ჰყო, გული თვისი მსგავს ცეცხლისა ჰყო. ნება თვისი მსგავს მიწათა რყეულებისა ჰყო. გარნა ოდეს დაიმყუდროა შინაგანი, მაშინ ეჩვენა ღმერთი ქოხებს შინა. აჰა, ესე ვითართაგან იჯმენით, რომელნი გონებითა ქარებითა და გულისა ცეცხლითა და ნებისა რყეულებითა ზურგ შექცეულ ვიდოდის ღმერთისა მიმართ, რომელნი უწინარეს სიბერისა მოისპობიან, მძვინვარობითა, ფიცხელობითა, კაპასობითა, სისხლებთა აღელვებითა, თელგამთა. ტვინთა. ძვალთა, ძარღვებთა და ჴორცთა თჳსთა შემარყეველნი და განჭსვენებელნი, მსგავსად პონტოიისა ზღვისა. დასასრულ, თქვენი მწუხარება უფროსღა ჩემი კვნესა არს. ამად მელმიან შინაგანნი. აჰა, იქმენით მოთმინებითა ფილოსოფოს და უფროსღა ღვთისმეტყუელ, რათამცა შეიკრიბოთ. რომელნი არა გაქვსთ და მოიმკოთ, რომელნი არა დაეითესიესთ. ე. ი. ტალანტები პრაქტიკურნი, რომლითა დატკბებით და განმისვენებთ და განაკვირვებთ სოფელსა.

თქვენი მლოცველი იონა მ. მ. წელსა 1827.

## № 178

### 1828 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სვიმეონისადმი

საღთო პატიოსან ღირსო მამაო წმიდაო სვიმეონ!

ქრისტე ღვთისა მიერ წმიდას ამბორებას მიმრთმევლობ თქუენდამო.

აჰა ესერა წელსა ამას ახალსა მომლოცველობ თქუენდა მიმართ. ზედა გულითადობითა სავავოთ ძალთა უფალმან ფსალმუნისაებრ მემსხუერპლეობით მსახურ თქუენდა თჳს მყოს ჟამიერსა ეკლესიასა შინა სამეოცდა ათთა წ. მოციქულთა მადლითა ხოლო საუკუნესა შინა წ. ანგელოსთა გალობითა სამწმიდაობისათა.

იხილეთ თქუენი ავთრათი კაბადონი პიტაკი წიგნი მოვიღე ჰელიდა ძმისა ჩემისა გიორგისათა, რომელი მიცხადებს სიყვარულითა ღვთისათა სიყვარულსაცა ჩემსა და ძმისა ჩემისასა. აჰა, ეგე არს ვაშა, ვაშა, ჩემდა და თქუენდა. ვითარცა ბრძანებს უფალი დიდებულ ორობათაგან. კეთილმან კაცმანო საუნჯისაგან თჳსის გულისაგან გამოიღოსო კეთილი და სხუასა ადგილსა ბრძანებს ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღისო.

ეგერა თქუენ ეკრძალენით ჟამითი უჟამოდ და მარადის, რათა ყოველსა წამსა განამრავლოთ კეთილნი გარემოთა ზედა და მეცნავთა, რათამცა სიცოცხლე და სიმრთელე თქუენი უხაროდესთ და ესვიდენ სიწმიდესა, სიმართლესა და პატიოსნებასა თქუენსა და სიტყუა უტყუელობასა თქუენსა. და ლოცვისა და წირვისა დაუტევნელობასა თქუენსა სიმხნითა და სიმშვიდითა. და შიშითა ღვთისათა, რათა ჩინებისაებრ მტკიცედ ეგნეთ ღირსებითაცა წესსა მაგათ ზედა მღუდელობისასა.

დასასრულ, იტყვის საღთო ბრძანება, და მსხემთა! ნუგეში ეციოო, რამეთუ თქუენცა მწირ იყვენით. იხილე ქუეყანასა ამას შინა საღთო რქა ამაღლებულისა მოსლვა ყავ ფრთხივ წელსა 1824 და იყავ დიდ ფრიად მწირ მკდოვანებითა და მსხემ უცნობითა. რომელსა მოგხედა მაღალმან და ლიტონი მღუდელ ცხებულად დაგადგინა მემსხუერპლედ თჳსისა ერისათჳს გარდამომტანად წყალობისა და აღყუანად ცათა შინა შეწყალებულთა ალსარებითა და ზიარებითა.

აჰა, თქუენ პირველად მსხემი მწირნი და მკდოვანნი შეიყვარეთ, რომელთაცა ძლით შეყუვარებულ იქმნები მაღლისაგან მარადის და იქმენ მარილ ცოღვილთათვის მოქცევად სიმპალისაგან და მოიხსენენ ყოველთა კაცთა ე. ი. ცნობილთა საჴელები პარაკლისისა შეგვიწყა-

ლენსა შინა და სამკჳეთლოსა ზედა წინაშე საკურთხეველისა, უმეტესად კურთხეულისა შემდგომ. ესერა ძმა ჩემი გიორგი შემდგომ მანდითაგან წარმოსვლისა გულისხმისმყოფელი თქჳენისა კეთილ მიდრეკილებისა აჰა, მიერთაგან გმადლობს და ლოცვათა თქჳენთა შინა გვედრის თავსა თჳსსა მეუღლით ნატალიით და ძით დიმიტრით.

ეგსახედვე ადამ გილოცს ახალსა წელსა. რომელი ყვედრებულ ყავ წიგნის მოუწერლობა. გარნა ითხოვს შენდობასაცა მიზეზითა. ამით, ესოდენ დროებთა შინა ვერ ვაახელო წიგნი ერთიცა, მაშინც ამად მრცხჳენისო ახლა მიწერა, და მწუხარებსცა ფრიად შინად, ამ ამბის მოუსვლელობისა გამო. მამაო წმიდაო. ეკრძალე მსახურებასა სიმხნითა და დუმილითა უნეტარესისა. და იყავ ტკბილ და მშვიდ და მომთმინე და მღვიძარე ლოცვათა შინა და მარჯვე აღსრულებად თანამდებობისა, რათა ნაყოფი მრავალი გამოიღო ეკლესიისათჳს და მტერთათვისცა ქრისტეს მიერ.

(1828 წ. I)

**№ 179**

**1828 წლის 1 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ძე გრიგოლისადმი**

უგანათლებულესო მეფის ძის ძეო გრიგოლ. ქრისტე ღვთისა მიერ სალთო ლოცვათა მომრთმევლობ თქჳენდამო.

აჰა, ესერა წელსა ამასცა 1828 და მრავალთა წელთაცა ერთბამად მოვლოცველობ თქჳენდა და უგანათლებულისა მემცხედრითურთ და ძებით, და სახლეულითურთ, რათამცა სიცოცხლე თქჳენი ძვირფასი თქჳენთჳს ამსახუროთ ღმერთსა და ცხებულსა მისსა. რომელი უძვირფასეს მანდ მოსრულთათჳის ბრძანდებით არა თუ ლექსებითა სიტყვიერებისათა. ცალიერ განკმელითა. არამედ საქმეებითა და წარსაგებლებითა და შეწყნარებითა და გამოზრდითა და დავანებითა მწირთა, მსხემთა და მკდოვანთა.

აჰა, ეგე არს სიყვარული ღვთისა და კაცთი და კეთილმსახურება და პატრონსნება მზესა ქჳეშე და ვაშა, ვაშა, ხოლო ზენა სოფელსა შინა დღითი დღე დაუნჯება სიმდიდრისა, რომელსა მპარავი ვერ მ●ეხების და მღილნი და ხრწნილება და ვერცაღა საფლავი დაფარავს და დადუმებს.

ესერა მაღალმან წინასწარვე უწყოდა, რომელმან მრავალთა ძვრთაგან გიხსნა და გცავს. რომლისა სათნოებასა ყოფთ დღითი დღე,

რომელმანცა ჟამსა დაობლებისასა მოგვფინა ნუგეში მეუღლისა სა-
შითა და ძეთა შობითა და მონარხისა როჭიკითაცა, ხოლო უფროსღა სიმრთელითა შეეძინა სახიერმან ყოველნი კეთილნი, ვითარცა მეს-მიან ე. ი. მხოლოდ ნაქონებისა შემოსავლითა ცხოვრება თქუენი, რომელთაცა კმაყოფილებთ, რომელსა გძალუსთ ვასხისა მღება და მით ცხოველობა, რომელი მსგავს შვიდთა სასიკვდინოთა ცოდვათა არს მოვალეობით მშვინა ვალიანსა საბანსა ქუეშე ღამე. რომელ ვალიან-სა შინაგან სჳნიდისი წერტს. და გარეგან სჯული მონარხისა და გარე-მოთაგან სირცხვლნი და მალავს თავსა თჳსსა საბანსა ქუეშე ღამე. ხოლო დღისი სახლისა კარებსა ზედა ზედა ხშავს და სჭვრეტს, სარ-კმელით გამო ეზოსა კარის ბჭესა მსგავსად ებგურისა, რათამცა გა-ნეროს შემოსრულთა მავასხებელთა მოვალეთაგან ძლიერისა და უკეთუ იხილოს დავრდომილი მოვალენი თჳსნი აღავსებს ფერად ფე-რადისა ტყუილებითა სიჩქურითა და ტარტარითა.

ხოლო თქუენ გრიდოს, გრიდოს ღვთაებამან ყოვლად წმიდამან ვალნი და ცოდვანი, რათა ჴვასტაგნი მონაგებნი თქუენნი იქმნენ გარდაფენილ სხუათა ზედა და იყუნეთ შეყუარებულ თქუენ ერთი მრავალთაგან სათნოდ მაღლისა.

უგანათლებულესო მეფის ძეო გრიგორი, უმოწყალესო კელმწი-ფეო ჩემო, აჰა, ესერა ძმა ჩემი გიორგი დიდ ფრიად გმადლობს და მეცა უფრიადესად შეწყნარებისათვის ამისსა.

მოიხსენეთ ჩემი შეთხოვნა და მოსწერეთ მეფის ძეს, მამასა შენსა იოანეს ბატონისშვილს და მის არშიასა ზედა წარმიწერეთ ფსალმუ-ნის განმარტება მოგერთვათ ანუ არა, რომელიცა მოგართჳ. და თუ ცალკერძ წიგნს მიბოძებთ ზენა მოწყლეობა იქმნება კაცთმოყვარე-ბითი.

აჰა, მე მარადის მლოცველი და მწირველი მომხსენებელ თქუენ-დაცა გახლავარ. იანვარის 1 სა თქუენის უგანათლებულესობის მლო-ცველი იონა მკდოვანი. მ. მ.

1828 წ.

## № 180

### (1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა გიორგი ელიოზოვისადმი

თქუენო კეთილშობილებავ უფალო ელიოზოვ ე. ი. ებრაულ ღვთიერო. გიორგი. ე. ი. ელლინურ ბერძნულ მომმუშაკებელო ქრის-ტეს ღვთისა მიერ ლოცვათა გიძღუნი.

ესერა მშვიდისა და მდაბლისა გულისა თქუენისაგან ნამდვილ ვუწყი, რომელ ვედრსა ჩემსა მიიღებთ და აღმისრულებთაცა, პირველ

ქრისტესით, ქრისტიანობითა თქჳენითა, მეორედ სულიერ მოძღურებისა ჩვენისათვის, მესამედ მექჳეყნეობისათვის, მეოთხედ მწირ მსხემ უცხოობისათვს აქარე. მეხუთედ ლოცვისთვს, მეექჳსედ წირვასა შინა მოხსენებისათვს, ხოლო მეშვიდედ ურთიერთისა მხიარულების და მწუხარებისა მონაწილეობისათვს, ვიდრე საფლავადმდე და სასუფეველსა შინა ერთბამად ხილვისა და ვაჭრობისათვის ღვთისა პირისამისა. აჰა, ესერა კრულსა ადამს შევვედრებ მუკლთ დადგმითარე, რათა თქჳენ შევედროთ მეფის ძეს თეიმურაზს[2], შეაწყალეთ ნაწლევი ესე ჩემი სულიერი ძე, რათამცა ცვარმან მეოხებისა და ხოიშნობისა თქჳენისამან აწარმოვოს მდინარე ადამსა ზედა მორწყუად სურვილისა ამის და განედლდეს წინაშე დიდისა თავადისა ცესარევიჩსა და განისაზღვროს მუნ სადაცა სამასთა განსრულთა დაკლებულთა ავსებენ სეკდემბრის თთჳეში. ეგერა თვთჳე უწყით ეკკლესია ქრისტე ღვთისა გალობს მარადის მოწყალე იგია, რომელმან არა ღირსი შეიწყალოსო: ამად შეიწყალეთ თქჳენისა ღვთისმოყვარებითა შეაწყალეთ მეფის ძეს, რათა თქჳენცა შეგიწყალოს იესო მაცხოვარმან დღესა მას შინა სადა გულნი და თირკმელნი გამოძიეზულ იქმნებიან მის მხოლოსაგან, რომელმან გულები და თირკმელები დანერგა შინაგან ჩვენს შორის. მოიხსენეთ ძეო მამულისა. შვილი ესე მისვე აგარაკსა დაწუნებული ოთხთავე ერთაგან, ესე იგი ზავთა მუშაკთა მოსაქმეთაგან, რომელმან არლა იცის მუშაკობა იგი პატრიარხული ე. ი. აბრაამ, ისაკ, და იაკობ ისრაიილისა, რომელნი მწყემსობითა და აგარაკისა მუშაკობითა სიმართლისა და სიმშვიდისა ოფლებითა იქმნენ წინა ქჳეყანასა ზედა და ცათა შინა, ეგრეთჳე არა უწყის ვაჭრობა. რათა თავი თვსი გამოზარდოს. ეგ სახედვე არა იქმნების მღუდელ. რათამცა წ. საკურთხეველისაგან განიღოს ნაწილი ერთი ათისთავებთაგანნი. მეოთხედ არცალა არს მჴედარ და შტატ[3] ე. ი. სამსაჯულოთა ადგილთა შინა მეწერე. ხოლო მეხუთედ არცალა არს და დაღრეკილ, რათამცა სჯდეს მებოძართა გზასა ზედა თანა წარმავალთაგან შეწყალებად, ეგრეთჳე ნიჭნი არა რანი ჰქონან გამოზრდად თავისა თვისისა. მაშასადამე დაწუნებულ იქმნა თჳთ ელახაკებთა რიცხვთა შორისცა. და უკმარ, რომელსა ფსალმუნისაებრ წინარე უძს სიცოცხლე სამეოცი წელნი. ესერა სამნი მოვიდნენ სახლსა შინა მეფის ძის თეიმურაზისა, რომელთაგანნი ორნი ბედნიერებით მიიქცნენ სახლსა შინა თვსთა. ხოლო ესე დაშთა სულით უსწავლელ მუცლითა მშიერ.

თავითა და ტანითა ფერჴებითა შიშველ. ეგრეთჳე მეოთხე მოვიდა და განაწესა მეფის ძემ ბაგრატმან ღმერთმან აკურთხოს შვილითი შვილადმდე, ვიდრემდის ეგოს მზე და მთოვარე, გარნა ესე დაშთა უქმად და უთანანდებად მჭამელ პურისა, ამად სამღერად ეშმაკისა

არს უქმად მჭამელი, ვითარცა წ. მ. პავლე ჰსწერს თესალონიკელთა უქმის ჭამა არა განწესებულ არსო, ვითარცა ჰრქუა ღმერთმან ადამს საკუთარისა პირისა შენისა ოფლით იცხოვრეო, ამისთვის საგლახაკოებთა შინა მმართებლობა ბრმათა მატყლთა აწეწინებენ, რათა ცხონებად შეერაცხოსთ მუშაკობა იგი ნათელ დაკლებულთა.

სულიერო ძეო ბერძენ ქართუჳლთ ეკკლესიისაო. აჰა, სწერს საღთო მოციქული ჟამთა გამოიფრდიდით, რამეთუ დღენი ბოროტნი არიან ე. ი. არა ათორმეტნი ჟამები მოგვართმევენ კეთილთა, რომელთა შინა ეკალნი და კუროსთავნი და ღვარძლნი და სამარგელნი[5] აღორძინდებიან სოფელსა შინა და ლალვანი და არა წმინდებანი და მიხუჳჭანი იწარმოებიან და ცრემლნი და საფლავებთა შინა დაფლვანი მომდინარეობენ. აჰა. რომელნიცა არა წარწყმდენ დღიურსა ჟამებსა ათორმეტთაგანსა პირველსა, მესამე მეექუსესა, მეცხრესა, და მეათერთმეტესა, ესენი ხარებულ არიან ამიერ და იმიერ თავთა თჳსთათჳს და მეცნავთათჳსცა. დასასრულ შემინდეთ განგრძობა სულო კეთილისა თვისებისაო და გამოიფრდეთ[6] ე. ი. მოივაჭრეთ დღეთა ბოროტთაგან ადამისათვის ზემოხსენებულნი ჟამები, ათორთაგან ხუთნი ოდენ მარჯუჳნი პირისა მებრ მეფის ძისა, დროსამებრ შერჩევისა და ადგილისაებრ სახლსა შინა გინა აგარას შინა ანუ გზასა ზედა, გინა სახატესა და საძილესა შინა და სადაცა იპყრათ გული მაგისი სათნოდ ღვთისა და საუნჯედ სასუფეველისა, რამეთუ დღეს ვართ და ხვალისა არღა უწყით ყოფა ჩვენი. მზესა ქუჳშე. შევთხოვ მე მხოლოსა ღმერთისა მადლისა, რათამცა წ. ანგელოსნი ჩემნი და ადამისა მხიარულ ჰყოთ საიდუმლოდ მოწამენი თქუჳნნი ზემო საქმისა შესრულებისათვის. რომელნი პირველსა ღმერთ მამისასა ხედვენ და არიან მჴახ, ვითარცა ჩვენთვის, ეგრეთვე კეთილისმყოფელთა ჩვენთათვის. ესე რა შეწუხებულმან ადამისათჳს მოგწერე ვედრნი ესე განმამხიარულე, რათა განვიხუჳთ ამის მკრივ მაშინცა, რათა ზეგარდამო წარმართებითა ამისითა ძმის წელსაცა თქუჳნსა წარემართოს თქუჳნი კეთილშობილებისა მლოცველი იონა მკდოვანი.

## № 181

### (1828 წ. იანვრის) წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო, მოძღ. იონა.

ყოვლად ნათლისაგან ნათლით შემოსილო ნათელო ჩემო და ბრწყინვალებაო!

რაჲ ძალმიძს წინაშე მოძღვრისა მოწაფესა და მამისა ძესა თქმად; უკეთუ ვსთქუა მადლობა, შეუძლებელ არს სრულყჰყო იგი ვინაჲთგან მოქმედებანი ბევრეულ არიან ყოველთა დროთანი, ესე იგი ნამყოისა, აწმყოჲსა და მყობადისასა, რომელთაცა მარადის ვგრძნობ მე მათ თქუენ მიერ და არიან გამოუთქმელ და განუსაზღვრებელ. ამისადამე მადლობაცა მიუწერელ არს. გარნა შრომანი და ძალის ქცევანი ჩემნი სარგებლობისათჳს მემამულეთა ჩუენთა, რომელნიცა გარდიცვმიან სწავლითად მიმდინარეობასა შინა ერთისა კვრისასა 46 ჟამი, არიან ზეცისა სასუფეველისათჳს გუამისა თქუენისა, გარნა ჟამთა ამათ ზემოხსენებულთა თხზულებათათჳს სხუანი დრონი შენაშენულ არიან.

მე არა ძალმიძს უკეთილესად ვიხმარო პირველი წამი თავისუფლებისა ჩემისა, რათა არა ცხად ვჰყო მადლობაჲ ჩემი თქუენდა, მრავალნი მონაწილეობანი და კეთილობითნი ღონენი თქუენ მიერ მოღებულნი არიან უმაღლესნი ხარისხნი კეთილმოქმედებისანი, კურთხეულ არს წარსრული იგი დროჲ. ოდეს მოვიპოე მე რაჲმე უძვირფასესი, ესე იგი თქუენი მფარველობა და სიყვარული. ესრეთ ეს-რეთთა ჩემთა გარემოებათა შორის ვითხოვ მოტევებასა სულგრძელებითა თქუენითა, უკეთუ ბრალეულ ვიყო წინაშე გუამისა თქუენისა.

მაკურთხეველო ჩემო! მომვლოცველობ ახალსა წელიწადსა და ყოვლითა გულითა ჩემითა ვისურვებ აღყუავებასა და განგრძელებასა წელთასა ბედნიერებისათჳს მემამულეთა ჩუენთა საზოგადოდ და საკუთრად ჩემისა წარმატებისათჳს და საზოგადოებასა შინა; იყავნ და იქმნას მაკურთხეულისა ჩემისა დღენი და ჟამნი საუკუნოდ განკეთილებულ-განცხოველებულ-განზეციერებული. განბრწყინვებული, განძლიერებულ, განუფლებულ და განჴელმწიფებულ.

აჰა, მოიხსენეთ მდგომარეობაჲ ჩემი: მეცადინეობა ჩემი თხზულებათა და გარდაცემათა შინა და ქცევა შეკრებულებათა შინა და საზოგადო ცხოვრებათა შინა განსხუავებულ არიან. სხუათაგან — მსთებარეობენ იგინი, გარნა რაჲსათჳს არა მოვიქცევი ჩუეულებისამებრ უსაქმოთა კაცთა წარმომთქმელთა უსარგებლოთა ლექსთა, მავნებელთა და ლიჩლთა, ვითარცა უწყით რომელთამე ქართუელთი? ამის მიზეზისათჳს გარეგანნი კერძონი პირნი მიმღებელობენ შურითსა ძიებასა და მტერობითსა, უმეტესად სომეხნი და რომელნიმე მცირედ წოსაქმენი რუსნი, ხოლო მაღალნი გუამნი მოყვარეობენ ცნობასა ჩემსა, შეტადრე, რომლისათჳსცა ვისურვე ნებისა მოცემა თქუენისა მაღალ ღირსებისაგან ესე იგი მეგობრისა ანუ ცოლისა. ქალი! იგი ესრეთ არს აღზრდილი, რომელ ძნიად იპოების ღორიზონტსა ზედა საქართველოისასა, რომლისაცა საქმე აჩუენებს, იგი არს პოლკოვნიკისა

ქალი. მამა გარდაცვლილა და დედა ჰყავს ქართჳელი რომლისამე ჯავახოვისა, მოძღვარმან მისმან მარწმუნა პატიოსნება მისი და საქმენიცა ამტკიცებენ. ესრეთ ქალმან იცის რუსული, ქართული და ფრანციცული ენები, ღრამატიკა, რიტორიკა, არიფმეტიკა და ღეოღრაფია. ცეკვა (ტანცაობა) საკეთილშობილო შეკრებულებაში იმყოფებოდნენ ყოველნი გუამნი. მან იტანციავა და შემდგომად შესრულებისა მხედართ ღუბერნატორი და მმართუელი საქართჳელოსი დაჯდა მასთანა და იმეტყუელა რომელთამე საგნებთათჳს, რომლისაცა საუბრობა მოეწონა და ჩემთანაცა ღუბერნატორმან[2] მრავალნი აზრნი შეაერთა დროსა შეკრებულებისასა. ქალი იგი არს ჯერეთ ათოთხმეტის წლისა და უმეტესად განათლდების. მრავალნი მჴედარნი მეცადინეობენ დაწინდვასა მისსა, გარნა დედასა ჰსურს, რათა მე ნიშნულ ვჰყო. მხოლოდ მივეცი სიტყუა და ნებასა თქუენსა მოველი. მე თჳნიერ კურთხევისა თქუენისა არა ძალმიძს და ესრეთ იყავნ ნება თქუენი ჩემზედა.

რაჲცა შეეხების ცხოვრებასა ჩემსა, თუმცაღა ხუასტაკი კმა იქმნების და კიდეც დაშთების შემდგომად გარნა მყოობადმან და აწინდელმან მდგომარეობამან სახლსა ჩემისამან და თქუენისამან მყო დიდ ფრიად გლახაკად, მგზავრობასა შინა წარსაგებელი არა კმა იყო, რომლისათჳსაც მოვივასხე გზასა ზედა ორასი რუბლი. მეორე დროსა მოსვლისა ჩემისასა არა რაჲ მაქუნდა, მოვივასხე ორასი რუბლი, გიახელ მქისეიყს, მუნ ვიხილე შეწუხება ნაკლულევანებისა საზრდოთა შინა, მუნიდგან მოვიქეც ქალაქად, და ვიქმენ ავად, რომლისათჳსაცა წარეგო ხუასტაგი ჩემი, შემდგომად ჩამოიყვანეს აღსაზრდელად ოთხნი სულნი და საზრდო დაბალთა შინა არა იშოების ვვაჭრობ და დიდ ფრიად ძჳრად, იმოსებიან და იზრდებიან რუა სულნი ხუასტაკითა ჩემითა. დაჲ ჩემი განისტუმრეს და ოცდახუთი თუმანი წარეგო. აწ უკუე ძმაჲ ჩემი სტეფანე[3] ფრიად მწუხარედ ავად გახლავსთ და დიდად ვსწუხვარ. გთხოვთ უმდაბლესად, რათა მომცეთ ღონე შემოსავლისათჳს. კარგი დროშკა მოივაჭრეთ, თუნდ ათასი რუბლიც წარეგოს, შემოსავალი კარგი იქნება და ჩემთჳსაც საჭირო გახლავთ.

უმაღლესთა მარიამ დედოფალს[4], ანნა დედოფალს[5], და ნინა დედოფალს[6] გაუბედავ ხელზედ კოცნას უგანათლებულესთა: იოანე მეფის ძეს[7], თეიმურაზს[8], მიხეილს[9], ირაკლის[10], მირიანს[11] ფარნაოზს[12], ლუარსაბს[13], დიმიტრის[14] და სხუათა ეგრეთუე ხელს კოცნას მოვახსენებ.

მწყალობელთა ჩემთა ბატონის რძლებს ეგრეთუე და სხუათა და სხუათა მდაბლად ამბორებას მოვახსენებ. თავადს დავით ციციშვილს მდაბლად თავის დაკვრას და სიყვარულით მოკითხუას მოვახსენებ.

თავადმან ალექსანდრე ჩოლოყაევმან თაყვანისცემა მოგახსენათ, გუშინდელს რიცხვს წარვიდა კახეთს და ისევ მალე მოიქცევა თბილისად. ზაქარია ორბელიანოვი და იოანე მიამბორეთ, უკეთუ ინებოთ.

[ს. დოდაევი].

**№ 182**

**1828 წლის 6 იანვრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

მაღალ ღირსო მამაო მ. მ. მ. იონა. უმოწყალესო ჴელმწიფევ!

წარსრულთა დღესასწაულთა მომლოცველი და მვედრებელი თქუჱნისა ნეტარებისათჳს ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა სიმრთელესა და სიცოცხლესა, უმეტესად წმიდასა მარჯუჱნასა ჴედა· თქუჱნსა ამბორებასა. სული ჩემი დიდ ფრიად მწუხარე არს უსმენელობისათჳს თქუჱნისა ვითარებისა და დატევებისათჳს მიმდინარეობასა შინა რაოდენისამე დროჲსასა, თჳნიერ ყურადღებისა თქუჱნისა და მზრუნველობისა მფარველო სულისა ჩემისაო! უკეთუ მაქუნდეს ცთომილებაჲ რაიმე წინაშე თქუჱნისა მაღალ ღირსებისა, ინებეთ ჩხილებაჲ ჩემი, ყოველსა მდგომარეობასა შინა ჩემსა გამოხატულ არს გუამი თქუჱნი, თჳნიერ, რომლისაცა არა რაჲ არს ჩემთჳს სოფელსა შინა, რომლისაც მოქმედება მაცნობებს საზოგადოსა მაჲსა· წარსრულთა ავთრათთა შინა ცხად ვჰყავ გარემოება ცხოვრებისა ჩემისა, ესე იგი ცოლოსნობა, გარნა განმხილველმან ესრეთისა ბიჯისამან წარმოვადგინე სავსესა შემეცნებასა შინა, განვსაჯე და აღმოვაჩინე, რომელ იგი ჯერეთ არა მეთჳსების მე, ვინათგან ნუგეში სიბრძნისა მაღლოინ და უმეტეს არს მყოფობა სიტკბოებისა შინა ფილასოფიისასა, ვიდრეღა დამორჩილება ესე ვითარისა სუსტობისა. გარნა მორჩილება ჩემი არა დასცხრების და შეჩუჱულება ჩემი მარადის იქჱნების ყოველ სხუათა შორის. მე გაჴლავარ ესე ვითარსა სიმგრგულესა შინა საზოგადოობასა. სადაცა ვერა რაჲსა ღირსებასა ვერ ვიხილავ, არა არს მათსა სულსა შინა ჭეშმარიტება, არამედ დანერგილ არს ყოველი ვნება არა არს მიდრეკა მათ შორის სიბრძნისადმი, არა არს მეცადინეობა, არა არს სიყვარული სწავლის და სწავლულთა, არამედ ყოველი სიძულილი და მტერობა, რაი ვჰყო მე სადაცა ვერ მომიძიებია არა რაი ღონე და საშუალობა, ყოველსა წინააღმდეგსა მეტყუელებასა შინა პირთა თანა სხუაი საშუალობა არა რაჲ მაქვს, გარდა დუმილისა. ქართუჱლნი ცუდ მოშურნეობასა შინა არიან.

ხოლო რუსნი უმეტესად. ვინაჲთგან ღენერალ ღუბერნატორმან[1], რაისათჳს აღმირჩია მასწავლებელად შჳლთათჳს თჳსთა, რამეთუ არიან მრავალნი რომნი როსსიულისა ენისა შემძლებელნი სწავლად. გარნა ტჳრთთა ჩემდამო მოღებულთა უმთავრესისა მართებლობისაგან ვასრულებ უადვილესად შემწეობითა ნათლისა ნათელთათასა და თქუჱნისა კურთხევითა, მხოლოდ უსმენელობა ყურისა ჩემისა და სნეულებანი, რომელნიცა შინაგან ჩემსა მდგომარე არიან ბალტიისა სენნივე მიმწუხარებენ და ჯერეთ არა თავისუფალ მყოფენ. უკეთუ ღმერთს ნებავს, საგანნი ჩემნი არიან იგინი, რომელნიცა უწყის თქუჱნმან მაღალ ღირსებამან, და ოდეს ინებოს მანვე განთავისუფლება სენითაგან და ლოცვამან თქუჱნმან — აღსრულდების. დასასრულ ვჰსთქუა ერთის სიტყვით: ყოველსა წამსა ვიზრახავ და ვიტყვი ვედრებასა მაღლისადმი, მადლობასა თქუჱნდამი აღზრდისათჳს, აღსრულებასა საგნისასა, რომლისთჳსცა განმსწავლეთ და ლტოლვასა ბოროტთა პირთაგან, საშუალო, რომელთაცა ვჰგიე მე. ცვლილება იმყოფების არა მხოლოდ ერსა შორისა, არამედ ყოველთა კერძოთა შინა სოფლისათა, ბუნებითათა არსებათა ანუ ფიზიკებრსა მდგომარეობასა შინა სოფლისასა, იხილეთ მრავალნი იყუნენ საქართველოსა შინა შემდგომად მკედრობისა ანუ აღრეულებისა მკედართასა და აწ არს ნანდვლ ჩრდილოეთის ყინვა გიორგიასა შინა, შიმშილი, ვნება და მსგავსნი, არა უწყი რაჲსა მივაწერო ანუ ვითარ ვიაზმნო, ხოლო მე ესე ვითართა საწუხართა სნეულებათა და შემთხუჱლობათა შინა დიდ ფრიად მტკივა გვერდი, ესრეთ რომელ არღა ძალმიძს მრთელსა ჟამსა წერა, შრომათა ჩემთა დიდად სნეულ მყუჱს, რომლისაცა (სიმრთელისა) მოქცევა შეუძლებელ არს. არა რაჲ არს ჩემთჳს უსასიამოვნეს, ვითარცა ავთრათი თქუჱნისა მაღალ ღირსებისა და ცნობა სიმრთელისა თქუჱნისა, არა მაქუს მიმოსვლა სახლად არავისადმი. გარდა დღესასწაულისა განთიადიდგან ვიდრე მიმწუხრამდე თანამდებობასა შინა გახლავარ, ხოლო დღესასწაულსა დღესა ვეზიტით გეახლები ჩინებულთა გვამებთა თანა, ესე იგი ღუბერნატორთან სასწავლებელში სადგომი არ გახლავთ, ფრიად განშორებულად ვცხოვრებ, ჩემთვის დიდად საჭირო გახლავთ დროშკა, უკეთუ ინებოთ მოვაჭრება, ვითარცა მიბრძანებთ, შემოსავალი კარგი იქნება და სიმრთელესაცა ჩემსა შეეწევის, ვინაჲდგან მიმოსვლისაგან მკერდი მტკივა და შრომისაგან. ცხენები მზად გახლავთ, გარნა უკეთუ მოივაჭრებთ, სათანადო არს მოვაჭრება ესე ვითარისა, რათა წარსაგებელი თვს ყოველს დროს აქვნდეს,

თომა ენდრონიკოვმა[2] მარჯუჩნას ამბორება მოგიძღვანათ, ნიკოლოზ არხიმანდრიტმა[3] და სხუათა ყოველთავე.

ძმა ჩემი სტეფანე[4] სნეულობს დიდად და გახლავსთ მქისეიყს, სხუანი მშვიდობით გახლავან. სახლობა თქუჩნი მშვიდობით არს, სოლომონმა[5] აღმითქუა ამ იანვარში მეორის ჩამოყვანა, ესე იგი ობლისა, შვილი მისი კარგად სწავლობს. სასწავლებელი ჩვენი უწესოსა მდგომარეობასა შინა არსს, არავინ მეცადინეობს განვრცელებასა სწავლათასა და დატეებულ არს თვინიერ ყურადღებისა. მე სიმშვიდით გახლავარ. მრავალმა კაცმან იმეცადინა ჩემთან ძვირის შემთხვევა, ხოლო მე უქებ თვნიერ ყურადღებისა. უკანასკნელ ვითხოვ მოტეებასა ყოველთა ჩემთა შეცოდებათასა მაკურთხოთ და განმათავისუფლოდ ყოველთა წინააღმდგომთა შემთხუჩულებათაგან და მიბრძანოთ თქუჩნი ვითარება და აზრიცა ყოველი შეაერთოთ ჩემდამო! ვეშურები კლასს შინა ლექციისა გარდაცემად და იყავნ მოტე[ე]ბა ჩემდადა იყავნ ნებისაებრ თქუჩნისა. მშვიდობით მამაო ჩემო!

თქუჩნის მაღალ ღირსების უმოწყალისა ჴელმწიფისა მფარველისა და მზრუნველისა ჩემისა მორჩილი მოსამსახურე და მოწაფე.

სოლომონ დოდაევი.
1828 სა წელსა.
თბილისი.

**№ 183**

**1828 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მოურავ ევსტათისადმი**

მაღალ ბრწყინვალეს მოურავს ევსტათის ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვას ვძღვნი სალთო გულითადიერ და მილოცველობცა ახალსა აქას წელსა ზე გონებითა სათნოდ მაღლისა.

აჰა, ესერა შევთხოვ ქრისტეს მიერ მამაო, წმიდაო სვიმონ, რათა მიიღოთ კეთილი შრომა და უნეტარესის წინაშე მალედ მომიხსენოთ დიდსა მადლობასა შინა ვგიე ეგოდენისა წიგნებისა აღმოკითხვისათვს. და ღრამატისა ბოძებისათვის. ტფილისსა შინა, და გამოზრდისათვისცა ნამყოთა დროებთა შინა უფალმან მიაგოს უფლისა მიერ მრჩობლთა ცხოვრებასა შინა, რომლისთვის თვითცა ვლოცულობ.

ეგრეთვე მაღალბრწყინვალესა წინაშე აღმიხსენე. რომლისაცა დიდ ფრიად მადლობელ ვარ. ნამყოთა შინა სახლისა თვისისა სახლსა შინა. ზედას ზედარე განსვენებისა ჩემისათვის და პატივისცემისა

ჩემისათვის სულიერისა და კორციელისა. ეგსახედვე ვმადლობ ძისა ჩემისა შეწყნარებისათვის, რომელი მომითხრობს კეთილად შეწყნარებასა სიტყვით და უფროსღა საქმეებითა სამგზავრო წარსაგებლებითა. არა ღირსებისათვის მისისა, არამედ სიყვარულისათვის ღვთისა და მამულისა შვილთა: აჰა, ესერა მრჩობლად შევიძინე ლოცვა მაგათის კეთილ ცხოვრებისათვის გრძლად სათნოდ მაღლისა.

მამაო წმიდაო! ესერა ვცემ პასუხსა კეთილ მოღვაწებითა თქუენითა მომიხსენოთ მანდარე და არა ეგრეთ, ვითარცა ძოლან მოგწერე აშიასა ზედა ამბორებას და გახსენება ჩემი წინაშე მაგათისა, რომელიცა ვერღა ვცან.

## № 184

### 1828 წლის 9 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მაღალბრწყინვალე ნინასადმი

მაღალ ბრწყინვალავ ნინა. სულიერო ასულო ჩემო. ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქუენდა საღთოდ.

აჰა, ესერა ახალსა ამას წელსა მომლოცველობ თქუენდა მომართ ღმერთმან ცისა და ქუეყანისამან, რომელმან ყოველნივე სადიდებლად თჳსად დაბადა. მან მხოლომან კაცთ მოყუარემან კურთხევით გაკურთხოს ქმარითურთ და შობილებით და შობადებითა. ეგრეთ ვითარცა აკურთხა აბრაამ და სარრა. ისაკ და რებეკა, იაკობ და რახილ და კონსტანტინე, წმიდა ელენა და უფროსღა დავით მამა ღვთისა, რომლისა შთამოსირაება და სქესნი იწოდების თქუენზედა და ასულობა სანატრელისა კურთხევით სახსოვრისა უგანათლებულისა დავით ნემკვიდრისა საქართველოჲსა. მ.

მოიხსენეთ მაღალ ბრწყინვალავ ნინა[1], რომელთაცა უყვარს ღმერთი, და მამული და მეცნავი ბრძანდებიან და არიან დავით მემკვიდრისა და მამისა თქუენისა და გპვრეტენ და გიხილვენ და გაიცნობენ ყოველნივე მამულისა ძენი და ეკლესიაებისა საღთო დასნი აღიხსენებენ დაშრეტილსა ლამპარსა მამასა თქუენსა სიკვდილისაგან და იტყჳნ: კურთხეულ არს მაღალი, რომელმან ესე ასული მისცა განსუენებულსა მომხსენებლად ეკლესიასა შინა, თთუესა მაისისასა 13 და ყოველთა შაბათთა და სულთაობასა.

ხოლო მე თქუენდა მომართ რაღა განვაგრძო მოხსენება მამისა თქუენისა მოწყალებისა, რომელნიცა თჳთ უსაშვალოდ უწყით.

გარნა მე არ ძალმიძს დუმილი მოწყალებისა მამისა თქუენისა. რაოდენნიცა მისწრაფებით იზრუნა ჩემზედა, აქარე პეტერბურხს. ესე

იგი წარმადგინა სანატრელმან მამამან თქჳჱნმან სანატრელისა იმპე-
რატორისა კურთხეულისა ალექსანდრესა წინაშე და წარაგზავნინა ჩემი მკდოვანება როჰიკითა წმიდისა ალექსანდრეს მონასტერისა აკადემიასა შინა და ოდეს შევასრულე კურსი სწავლისა კურთხევით სახსოვარმან საქართუჱლოის მემკვიდრემან, მამამან თქჳჱნმან აკურთხებინა ჩემი მკდოვანება ერთსა შვიდეულსა შინა სამგზის ე. ი. ჵეროზისა შემოსითა, იერო მონახობითა. აჰა, ახლა ვის ძალუძს ესე თვთ რჩეულსაცა და ღირსსა ზედა ნუ იყოფინ, არავინ ჴელყოფს უძალობისა გამო თჳსისა.

აჰა, შემდგომ კურთხევისა მიმიღეთ სახლსა შინა თქჳჱნსა, რომელ თქჳჱნ მას დროთა შინა მცირე წლოვან ბრძანდებოდით:

კურთხეულ არს კაცთმოყუარე ღმერთი, რომელმან ნაცვლად მამისა თქჳჱნისა უგანათლებულესისა სახსოვრად ქჳჱყანასა ზედა დაგიტევათ თქჳჱნ. ჩემთჳს ვინ უწყის გალანამცა პირისპირ გიხილოთ, ხოლო ლოცვათა და წირვათა მარადის თქჳჱნთანა ვარ.

აჰა, ესერა მომლოცველობ მეუღლისა შენისა და მოწაფისა ჩემისა მაღალ ბრწყინვალისა იოანესსა[2] წარმატებით მსახურებასა ღვთისა და ხელმწიფისასა, ვითარცა მესმიან, აჰა ვლოცულობ, რათა მოიქცეს საღთო მშვიდობით თქჳჱნდა.

დასასრულ, მე მრავალნი წიგნნი მოკითხვისანი მოგართვი მაღალ ბრწყინვალაო ნინა, რომელთა პასუხი არცაღა ერთისა მბოძებიეს თქჳჱნგან.

ამად შევთხოვე უგანათლებულესთა მეფის ძეს თეიმურაზ და მეუღლესა მისსა მეფის სძალს ელენას მოწაფესა ჩემსა, რათა თჳსსა წიგნსა შინა წიგნი ესეცა წარმოაგზავნონ. ვითარცა აღმითქჳჱს.

მოიხსენეთ თქჳჱნო პირჳჱლი წიგნი მებოძა, რომლითაცა მიბრძანებთ წარმოგზავნასა გავასხებულისასა. რომლისთჳს დიდ ფრიად ვეცადე ხელად მოღებასა და წარმოგზავნასა. გარნა ზედას ზედა აღმითქუა ვისაცა ახლავს რომელსა მიგჳანებს. და მპირდება ბრძანებით მალე მოგიქცეო.

აჰა, მიიღოთ დიდ სულობა გვარისაებრ. მცირე ჟამებისა შემდგომ მოვიღებ და მოგართმევ ფოჩტითა. გარნა მიბრძანეთ, ვითარ წარმოვგზავნო. მანდ სოფელში მოდის ფოჩტაში წარმომსვლელნი ანუ არა.

მოიხსნეს თქუჱნის მამის მაგიერნი მეფის ძე თეიმურაზ და მემცხედრე მისი უგანათლებულესი ელენა მშჳდობით სუფევენ. ეგრეთუჱ უგანათლებულესნი ბიძა თქუჱნნი და უგანათლებულესნი მული თქუჱნნი მთავრინა მოწაფეა ჩემი და რიფსიმე[4] სულიერ ასული ჩემი

ერთბამად მშვიდობით ბრძანდებიან. ერთობით მოკითხვა და მოლოცვა თქუენდამო მარწმუნეს.

მაღალ ბრწყინვალეს მაზლსა თქუენსა თომას დიდ ფრიად კეთილ მოწლესა თქუენდამო, ვითარცა მარწმუნებს ძმა ჩემი გიორგი. ახალ წელს მომლოცველობ ფრიად უსაყვარლესსა მამულისასა. შეგთხოვ მიიღეთ შრომა და მომიკითხეთ ლოცვა კურთხევით. ჰოგრი მოგართვი ანგლიური, რომლისა არა უწყო კეთილ არს უკეთესს ჰოგრი ეგე.

თქუენი მარადის მლოცველი მღვდელ მონაზონი იონა
მკდოვანი
წელსა 1828
იანვრის 9 პეტერბუხით.

## № 185

### 1828 წლის 28 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა მოსესადმი[1]

მამაო წმიდაო მოსე. ქრისტე ღმერთისა მიერ ამბორებას მომრთმევლობ თქუენდამო სალთოდ გულითადიერ.

სალთო მამაო, ყოვლად პატიოსანო. თქუენსა მშვდობასა სიმართლითა, სიმრთელითა და სიწმიდითა შევთხოვ არსთა მაარსსა, ცხებულ ბრძენ შემოქმედსა ორობათასა. ახლისა მის წლისა მომლოცველი ვმოქენეობ საპლეულითურთ საუფლო მოწყალებითა დაცვად თქუენდა მრჩობლ ცხოვრებით:

ნანდულ უწყი, ჩემსა და ძმისა ჩემისა ვითარებას ისურვებთ. ვმადლობ სახიერსა, გახლავართ დაცულნი მშვიდობით.

ესერა ძმა ჩემი გიორგი დიდ ფრიად გმადლობსთ გამოცდილებისათვს, რომელი ფრჯივ მოვიდა ფრიადისა ჯაჯითა მოგზაურობით ესოდენ განდგინებულით[2].

იხილეთ გიორგი კადნიერ მყოფელობს ვედრსა თჳსსა და შეგთხოვს, რათამცა მამისა თქუენისა დისწულსა სოლომონს შეშემოსოთ პირი და სიბრძნე და ძალი მკნეობისა საპლეულთა თჳსთა ზედა და მოთმინებად ვიდრე მოსვლადმდე. და შევსთხოვოთ მანდაურთა მოხელეთა, რათა აღადგინონ დავრდომილებისაგან, რომელთათვსცა მეცა ვილოცავ ცად მიმართ. რათა შეეწიოს სავაოთ ძალთა ადონაი უფალი და მოუვლინოს სიონით შეწევნა და შვილნი მავათნი აღივსნენ ზენა კურთხევითა ცხოვრებითა.

ეგრეთვე თხოვ მამა იოანეს ყოჩიაშვილს, რათამცა მიიღო მფარველობა თვსი სოლომონსა ზედა და მე მიმსახუროს სალთო ლოცვითა, რათა აღვსილი დღითა და წელიწდებისა სამკალითა და სიბერითა წარვიდეს წინაშე შემხყუანელისა თვსისა დადგრომად მარჯუენით დღესა მას, რომელსა შინა საფლავნი განეღნენ.

მამაო წმიდაო, მოსე. მომწერე ვითარებისა თქუენისათანა რაულობაცა მშობელთა ჩემთა სახლეულებისა და უბრძანეთ სოლომონს[3], რათა გრიგოლიცა შთაგვაროს მის კეთილშობილებას უფალს დოდოევს. აჰა, ზემოხსენებული სოლომონ იოანიჩი მწერს მოველიო გრიგორის ტფილის, რომლისა არღა უწყი სოლომონ ძმამან ჩემმან შთაგუარა ანუ არა.

აჰა, მაგათთვს სწავლასა ვსურვილობ, რათა ისწაონ სჯული ღვთისა და ნებისა მისისა აღსრულებაჲ და იქმნენ ცხონებულ. აჰა, ესერა მემხოლოეთა ასი წილი სასყიდელი აქუსთ. მღუდელთა სამეოცი, ხოლო ერისკაცთა ოცდაათი. ხოლო უგუნურსა და უცნობსა სადამე წილი და ადგილი ზეცათა შინა.

ეგერა სკოლანი და სემინარია განფინა სალთომან ცხებულმან ქართუელთათვს, რომელთაცა შინა უმეტეს სომეხთა შვილნი განისწავლებიან მშობელთა თვსთაგან მიცემულნი, რომელთაცა რიცხვმან უმრავლესმან და უბევრეულესთა უწყიან რუსული, ვიდრეღა ქართუელთა.

თვთ ტფილისისა მცხოვრებთა თათართაცა შვილნი მეცადინეობენ სწავლასა რუსულისა ენისასა და საკოლო წიგნებსა.

შენდობა იყავნ განგრძობა ესე ოდენნი ადამს[4] ფორმის წიგნი არა აქუს სულიერი, გინა სამოქალაქო ამად სასწავლოში არა არს მიღებულ, არამედ ცუდებას უქმად.

წელსა 1828 თქუენი სულიერი მამა იერომონახი იონა
იანერის 2 რვას.

**№ 186**

**1828 წლის 13 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სვიმეონისადმი**

პატიოსან ღირსო მამაო წმიდაო სვიმონ!

ქრისტე ღვთისა მიერ ამბორებას გძღვნი სალთო გულითადიერ ზეგონებითა.

აჰა, ესერა თქუენი კილოვნებითი გოდებიერი წიგნი მოვიღე იანვრის კა დაწერილი თებერვლის 8, რომლისათჳს მე უმეტეს ვგოდებ თავისა ჩემისათჳს, რომელი დავაკლდი ღვთისადმი განსუენებულისა ლოცვასა, რომელიც ყოველთა მართლმადიდებელთათჳს აღავლენდა ლოცვათა ვედრებათა, შეთხოვნათა და მსხუერპლებთა და გარდამოიტანდის მიტევებასა წყალობასა ცხოვრებასა და საუკუნო განსუენებასა ღვთისა მიმართ მსასოებელთათჳს, რომლისა განრასლვითა ამიერ ხრწნილებიანისა სახლისაგან სიკვდილისა მთლიანისა საშვალობითა გარდაიცვალა მოკვდავებისაგან ცხოვრებად საუკუნოდ ნეტარებად და უფროსღა პირის ჰკრობად ღვთაებისა სამგვამოვნისა, რომლისა დაძინებითა დაიძინა თანავე სერაფიმ ხეროვინიანმა[1] კათედრამან ივერიისამან.

ესერა მე სომხისაგან მოწერილისა წიგნითა ვიწყე თანა ნადებისა აღსრულება ღვთისა წინაშე წარდგომილისა ანტონი უნეტარესისა კათალიკოს პატრიარხისა[2] განსვენებისათჳს ლოცვა ვედრება, შეთხოვნა და მსხუერპლებთა და პანაშვიდებთა შეწირვა და ვარ და ვეგები მომხსენებელად, ვიდრემდის ენებოს მაღალსა.

აჰა, ესერა თქუენ თანამდე იყავით უმეტეს ზემოხსენებულისა, რათამცა მოგეწერათ წიგნი ჩემთჳს ერთგულებითა განსუენებულისა მიმართ, რათა წიგნითა თქუენითა ეკკლესია ღვთისა შუამდგომელად წარმედგინა წინაშე მართლ მსაჯულისა სახიერისა და კაცთ მოყუარისა.

იხილეთ, მე სულითა თქუენთანა ვმყოფობ, ვითარცა მიბრძანებს წმინდა სახარება. აჰა, თქუენ მოგანიჭათ სამნი კურთხევა ე. ი. დიაჩკობისა და ორნი ჴელთ დასხმითნი დიაკონობისა და პრესვიტერობისა თქუენ თჳსად მომხსენებელად დაგიტევათ ანტონი ნეტარმან, უწმიდესმან, ამად მისის სულის განსვენებისათჳს დაუცხრომელად ილოცეთ ორმოც დღე მსხუერპლნი შესწირეთ და დიდნი პანაშვიდნი განუწყვეტელად. ეგრეთუე შვიდი და ხუთმეტი ოცი ორმეოცისა დასასრულ. და შაბათნი წლისანი და ორნი სულთაობანი წლისანი. ხოლო შემდგომ ყოველთა წირვებთა შინა შენთა სამკუეთლოსა ზედა საკუთარნი შეგვიწყალენი და ნაწილნი ეგრეთვე წინაშე საკურთხევლისა შეგვიწყალენი ასამაღლებელითურთ სამკუდროჲსა ე. ი. მკუდართა საგანსუენებო, თჳნიერ ათორმეტთა საუფლოთა და სახელმწიფოთა წირუებისა. და საიდუმლოთა ლოცვებთა შინაცა მოხსენება გაქვნდის გლახაკთა მოწყალებითურთ.

ეგრეთუე სამღუდელოთა ძმათა შორის კეთილნი ვაშა, ვაშაჲ კურთხევით და ნეტარებით სახსოვრისა, რომელმან სოფლისა ამის მწარე ზღუა ჯუარითა განვლო მო[illegible]არე მოთმინებითა.

ეგრეთჳჱ ეგსახედვე ერთა შორის კჳნესითა და ცრემლებითა მოიხსენებდე სალთო მოწყალებასა მის სამგზის ნეტარისასა, რათამცა მფარველი ანგელოსი წმიდა გმოწმობდეს კეთილად ხსენებისა მისისათჳს და სალთო დასნი და ერნი ღვთის მოყვარენი.

ხოლო თქჳჱნ, რაოდენიცა რანიცა დაგედვათ ქარტასა ზედა შესლბობისა, შეურვებისა და გარდარეულისა მწუხარებისა ძლით იგი ყოველნივე უკუნ, ზურგისა განუტევით და იპყარით წინარე მყოობადნი კეთილნი ე. ი. მანდაურს არხიერს იონა მეტრაპოლიტთან[3] ხოიშნობის წიგნი მიწერინეთ მოცემად ადგილისა პირჳჱლ, მეორედ ეცადენით, რათა თქჳჱნდამოვე მოგვცესთ როჭკი იგი, რომლითაცა გზრდიდა განსუჱნებული. მესამედ საგზაურნი წარსაგებელნი გამოითხოვეთ მუნ, სადაცა ჯერ არს რომელსა არა დაგიტევებს ღმერთი და ცხებული მისი, მეოთხედ უკუე უკეთუ ხედვიდეთ შემწობასა შემძლე ხელთასა ნიში სამსახურისა წარმოაწერინეთ, რათა განსვენებულისა პატივსცემისათვის მიიღოთ ნიშანი ხლებისა და მსახურებისა.

დასასრულ ისწრაფეთ, რათა მიიქცეთ მამულად მსახურებად, ღვთისა და მონარხისა და აღსრულებად მეჳღლეობისა თანამდებობისა, რათა არა განგცადოს სამოთხისა მტერთა და საუფეველისა იჳროსა გზისაგან, გარდამაქცეველთა ფართოს გზასა ზედა წარმყჳანთა.

იხილეთ და იქონიეთ სარწმუნოება ნუ მცირე, არამედ დიდი ღმერთისა მიმართ და თანავე ლოცვა და მარხჳა და ქჳჱლის საქმენი. რათა ზემო წარმწერილნი საქმებითა აღგასრულებინოს ყოვლისავე შემძლებელმან სავავოთ ძალთა ადონაი უფალმან და მოგანიჭოს პირი და სიბრძნე და ძალნი მრავალ ბევრეულნი ზენა სათნოდ მის მხოლოისა. და იყო შეყუარებულ ღვთისაგან და ქრისტეს მიერ ერთაგან.

გარნა ჩემთჳსცა ჰყოფდეთ ლოცვასა და მსხუჱრპლებითა შუამდგომლობასა. და მშობელთა ჩემთათჳს და შობილთა მათთათჳსცა. ეკკლესიისათანა მორწმუნისა. ესერა მე თქჳჱნ ზედა დამიძს ღუაწლნი, რომელთაცა სიბერესა შინა უმეტეს ცნობთ, რათა თქუჱნიცა ღჳაწლნი თქჳჱნთა კეთილობათაგან აღვსილთა სამადლობელად ღვთისა დაიცვან თჳსთანა სულებთა შინა.

ესერა ძმა ჩემი[4] დიდ ფრიად მმადლობელია თქჳჱნი, რომელი შეგთხოვთ კურთხევასა ლოცვასა და სიყვარულსა.

თქჳჱნი ძმა მდუდელ მონაზონი იონა მ. მ. მ. ვაიე
თქჳჱნდამო უმწვერვალესისა სიყვარულითა და ლოცვითა
გულითადობითა.
წელსა 1828
თებერვლის
13-სა

## № 187

### 1828 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა ძმისწულ იოანესადმი

ჩემო ღვთის წყალობავ ძმისწულო იოანე ქრისტეს მიერ ლოცვათა გძღვენი შენ.

აჰა, ესერა შენი წიგნი მომივა და ვსცან ყოველივე: ვმადლობ ღმერთს, მშვიდობით ხარ. ესერა შენ მე მთხო აქარე მოყვანასა. გარნა მეცა გთხოვ, რათა ისწაო პირველად მანდ ქართული და რუსული ენები, და კითხვა და წერა მარჯუშ და რაოდენის კლასებისა სწავლანი. მაშინევე შევიტყობ და დაგიბარებ.

შენ ეცადე სწავლასა დღე და ღამე. უკეთუ მორჩილს ილოცავ ღამე მეტანიითა და იქმნები ცოცხალ და მეცა ვიქმნები. დაგიბარებ. ახლა ჯერეთ ფული არ შამომსვლია. ცოტა კიდევ მოიცადე, მალე დაგიბარებ. შენ დაუჯერე სოლომონ იოანიჩს და გაიმაგრე სწავლა და წერანი ორისავ ენებისა. ოდესაც სოლომონ მომწერს, მაშინ დაგიბარებ ე. ი. ოდესაც მარჯუშ წარკითხვა გეცოდინება ქართულისა და რუსულისა დაწერა ორსავე ენებსა ზედა.

შენთვის კეთილობათა ვამზადებ. აქა შენახული მაქვს. შენ არსად წაიღეა. შენ დღე და ღამე ეცადე სწავლასა და ილაპარაკე რუსული. ნუ ითამაშებ წვრილებთან. შენ გაკვეთილები იკითხე. ქართულნი და რუსულნი. კვირა დღეებში ყოველნი და სწავლულნი წიგნები ამოიკითხე. ესერა შენი დაწერილნი პირველად რომ მომწერე, უმჯობესნი იყო. ხოლო ახლა კელი წაგიკდენია. და არც თვე და წელიწადი სწერია. ვიცი, რომე მკვიდრედ მეცადინეობ. ეცადე დღე და ღამე და ილოცევდე, რათა ღმერთმან მოგცეს გონება კეთილი, მარჯუშდა შეწყნარებული სწავლებისა. არა დაივიწყო, რომელთაცა ეღარ იპოვებ და ე. ი. უქმათ თუ განატარე ჟამები და დღეები, ვერღა მოაბრუნებ დღეისა დღეს, ისწავე და ნუ ხვალე ხვალისაცა დღეს ისწავე, რამეთუ მოყვარულსა სწავლაებისასა და მისწრაფესა მისცემს ღმერთი აღვილად, ბევრი არა სჭამო და სხვა რომელნი ძილსა და დაზარებასა შინა შეგიყვანენ. მშიერსა სწავლანი დაებეჭდებიან გონებასა შინა. და დაახსონდების.

შენ მშვიდ და მდაბალ და მორჩილ იქმენ და წყენასა გულისა შენისასა ნუ აყვები, არამედ მოთმინება ისწავე და მორჩილება და ეყვარეპი ღმერთსა და შენს განმაბედნიერებელს სოლომონ იოანიჩსა.

ვინცა მღუდელი ნახო, კელზე ემთხვიე ესრეთი მეტყუშლი: „მაკურთხე მამაო წმიდაო“. მათი მადლი მოვა შენზედა და ისწაველი ად-

ვილად და მეც შეგიყვარებ. გარეთ არ იარო, სწავლასა ზედა დასჯედ. იხილე კრუხი, რომელიცა დაუტევებს ხშირად კუწრცხთა თვისთა დაულაყდების. ხოლო, რომელიცა ზედა ზის კუწრცხებთა ზედა დაატფობს და აბრუნებს, კეთილთა მართუწებთა გამოჩეკს.

შენ იშრომე დღე და ღამე. ისწავლე, მანამ შეეჩვეოდე, გაგიპირდება. მასუკან გაგიადვილდება. ეგერა ყოველნი სწავლობენ ბედნიერებისათვის თავისა თვისისა, შენც ბედნიერი იქმნები სწავლითა შენითა. ღვთის და ხელმწიფეს სწავლული უყვარს. და ნაჩალნიკებს და არხიერებსა და ბერებსა და მღუდელებსა.

ბიძაშენს მალე გამოვისტუმრებ, უკეთუ ინებოს ღმერთმან. მამაშენს წიგნი მისწერე მშვიდობა ჩვენი. ნუ შესწუხდები მალე წარმოგიყუან. შენ ილოცე ჩემთვის და უმფროსღა სოლომონ იოვანიჩისათვის. რომელმან მინდვრისა წვიმათა და სიცხეთა და სიცივეთაგან წარმოგიყვანა. რაც დაგავიწყდებოდეს. სოლომონსა და მეუღლესა მისსა კითხავდე მოხსენებით და სიმამრსა[4] და სიდედრსა მაგისსა[5] ღვთის სიყვარულისათვის ეგენი მომხედველ შენდა ბრძანდებიან. ვითარცა მითხრობს სტეფანე[6].

შენი მლოცველი იერომონახი იონა ბიძა

ვგიე ლოცვითა შენდა აღზრდილ წელსა 1828 თთვესა ფებერვალსა 15 პეტერბურხს.

## № 188

## 1828 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

ქრისტე აღსდგა.

კეთილშობილო სოლომონ იოანიჩ. ქრისტეს ღვთისა მიერ ორთა მსოფლიოთა ხარებასა და აღდგომასა მომლოცველობ თქუწნდამო. ქუწშე ქალაქისა დარღუწვისა ძლით. რომელსა შინა დასჯილნი ზენათა შეერთდენ.

ესერა ზენა სიმართლესა და ქუწნა სიმრთელესა თქუწნსა შევთხოვ იესო მაცხოვარსა, რომელმან სწამა ჭეშმარიტება წინაშე პონტოურისა პილატესა და იროდი ასკანელისა. და მეყისტე მღუდელთა მთავარისა კაიაფასა და ერისა მის უთნოსა, რომელთა განყიდეს ძმა თჳსი იოსებ და გამოადნველს თავის მჭამელი უდაბნოსა ზედა და განხერხეს წინასწარმეტყუწლნი და დასძინეს მეოთხეცა უთნოება ჯუწარსა ზედა

და მშჳვალვითა დაუსაბამისა სიტყვისა, რომელმან მხოლოდ მეორე ბუნებითა ყოველთა კაცთა წულულება, ტკივილნი. ტანჯუა, გუემა. სირცხვილნი, ყუედრება, კიცხევა, ბასრობა, გუემა. შეურაცხყოფა, სიმწარე. დევნულება. ჴედასხმა, თავხრა, ძვირნი ვნებანი, გმობანი ყურებთა შიხა თავსა ეკლისა გვირგვინი, პეჭთა ზედა ძელი დიდი, ზროსა ზედა ქლამინდი დაბეჭკილი ჴელთა შინა ლელწმისა სკიპტრა, ქედსა ზედა საბელი, მაჯებთა ზედა თოკი. ნეპთა განწონა მუსმართი ფერჴთა მომჭედნი რკინა. ეხასა ზედა ძმარი და ხალველი ეშვისა მარჯუცხესა გუერდსა განგმერა მახვილისა. პირსა ზედა ფურთხნი დუენი დანერწყუანი. და ყოველსა ნაწევართა ზედა კურთებითა ფიცხელნი გუემანი და შოლტისა გამოკვრა რომთა სჯულისაებრ სასიკვდინოისა. და გარემოს იესოს ჩემისა დამღერება ესე იგი გამბასრუელისა ლექსებითა სიტყუებითა და კბილთა ღრჭენითა. და მუხლებთა დადგმით ამბოხება განმამწარებელნი ვედრებით აღვსილნი, მეუფეო ებრაელთაო, აჰა გიხაროდენ ეგე ვითარისა მეუფესა გვრგვინი ეკლისა სკიპტრა ფაენი, ჩალა ლელწმისა და პორფირი დაბრასტული ძონძებისა და ნაღუელი ღორისა და ჭმახი ვაზისა.

ესერა წარმართ მეფენი პირუელ მტერ ყოფილნი იროდი და პილატე იქმნენ იწროსა კავშირითა მეგობარ. რომელთაცა რომთა მჴედრობა და ებრაელთა ერნი შეკრიბეს განბასრულად ღვთისა ჩუენისა სიტყჳსა განკიცხვად. რომლისა ტიტულნი ართრონი სამსა ენებსა ზედა წარწერა და თანა მოკიდა ჯუარსა ზედა და უწოდა ენითა რომაულითა და ბერძნულითა: ესე არს მეუფე ურიათა ნაზარეველი იესო, რომელსა აღმომკითხუელობენ ნათესავები ყოველნი და აგინებდენ. ღმერთ მამისა სიტყჳსა ყოვლად წმიდასა უმანკო მაცხოვარსა და აღავსო ყოველმან თესლებმან დუჟითა, ნერწყვითა, და წვინტლებითა ბოტოტებითა და ცინგლებითა ჯუარსა ზედა მიმწჳვალული შიშვლივ.

ხოლო მღუდელთ მთავარნი და რაბინნი ფარისეველნი სადუკეველნი. მანიქეველნი, მწიგნობარნი და მოხუცებულნი განაძლიერებდენ შვილნი აბრაამისნი, აბრაამისა ღვთისა გმობად. და დაესხმოდენ ხუთთა პურთაგან გამოზრდილნი ხუთი ათასნი იგი უმეტეს განმამწარებელნისა ლექსებითა და სიტყუებითა და შორისდებულისა კბილთა ღრჭანითა და განბრაზებულნი მძვინვარედ (და ათვრამეტისა) და ოცდა ათვრამეტისა წლისა მკუდარი განცოცხლებული იაროზ მგუემელი ყურიმალსა იქმნა და ლამოდენ ლაზარესა სიკვდილსაცა.

•დასასრულ წიგნოვანმან სამღუდელოთა ლევიტელთა და ერმან იეროსალიმში მოსრულმან პასექისა ჰამად უმეტეს მილიონისა ორისვ

სჯესებისამან ჯმიადისა გემებად, რომელი დაუწესა მოსემ სამგზავროდ სიგლახაკისა უცომ უდაბნოსა ზედა. იგი ყოველნი აღიჭურნენ მოკიდებად ძელსა ზედა, მსგავსად რუალისა ძუწლისა, რომელი აღმართა მოსემ უდაბნოსა, ეგრეთვე უწიგნო წარმართნი აღაბორგეს იესოსა ჩემისა ზედა ლექსითა ამით კეისარსა მისტაცებსო ჴელმწიფებასა და ესე ვითარისა სახითა წარმართთა სიბრძნე და ფილასოფია ცოფიერ იქმნა და ებრაელნი ზემო პირ წყინებითა, კბილებთა ღრჭენითა აღბორგდენ და მოკიდეს ძე თანა არსი ღმერთ მამისა. რომელმან ყოველნი განსაცდელნი და ტკივილნი და მწუხარებანი და ვნებანი იტვირთნა ყოველთა კაცთა. ე. ი. დასაბამითგან, ვიდრე აღსასრულადმდე რაოდენნიცა შემთხუევიეს თითოეულთა მამრთა და მდედრთა და ანუ შეგემთხუევის და შობადთა შეემთხუევის, მან მხოლომან ერთმან იტვირთა ჯუარსა ზედა, რათამცა ყველანი ვცხონდეთ სარწმუნოებითა.

ეგრეთ შეიყვარა ღმერთმან მამამან სოფელი ე. ი. კაცნი ცხონებისა ღირსნი, რომელ მხოლოდ შობილი ძე თჳსი მისცა ჯუარსა ზედა. რამეთუ არა ეგებოდა სხუა გზით ცხონება კაცისა ე. ი. არცა ანგელოზისა რომელისამე მოვლინებითა და არცაღა კაცისა ვისმე მართლისა მოგზავნილითა. რამეთუ ყოველნივე დაბადებულ არიან და არ ძალუძსთ ერთ კერძ მართლმსაჯულებისა აღსრულება და მეორე კერძ სიყვარულისა ამად, რომელ არცაღა ერთსა დაბადებულსა ქონან ორი არსება, ორი ბუნება, ორნი ნებანი და ორნი მოქმედებანი, ნუ იყოფინ, რომელ ყოველთავე თავისად თჳსისაცა ესაჭიროებისო.

ხოლო მოუვლინა სიტყუა თვისი თანა ერთარსი ღმერთ მამამან სოფელსა და ყო მართლმსაჯულება ხატებად. დაბადებულებთა ზედა გამოხსნა უხილავისა მტერთაგან. რომელთაცა არღა აქუსთ ადგილი და სიტყვისგება წინაშე ღვთისა. რომელთაცა აცთუნეს კაცი. იგივე კაცისა სული და ჴორცი უცოდველი დაბადა ღმერთმან მუცელსა შინა ყოვლად წმიდისა და მიიღო სიტყვამან ღვთისამან. და კაცებისა მიღებითა აცხოვნნა კაცი, ვინათგან არა თვით შესცდა კაცი. ვითარცა თჳთ შესცთენ მთიებნი. ამად მართლმსაჯულებითა თვისითა მისტაცნა კაცი ეშმაკთა, გარნა მიტაცება ესე დიდი იყო ე. ი. ილოცა რა გუსამანის მტილსა შინა მეორე ადამმან, რომელსა ყოველსა სხეულსა ზედა და მოწუწთოდენ სისხლის ოფლნი რათამცა საზმელი იგი თანა წარხადოს ღმერთ მამამან ღმერთ ძესა თვისსა ე. ი. ჯუარისა მწარე ვნებანი. რომელმან დიდ ფრიადისა მორჩილებითა მოახსენა მამა ღმერთსა: „იყავნ ნება, ნუ ჩემი, არამედ შენი“. დასასრულ მიმჭვალულიცა ევედრებოდა ღმერთო, ჩემო. ღმერთო ჩემო, რასათვის დამიტევებ მე, გარნა არა (უსმინა) ღმერთ მამამან ერთ კერძ მართალ მსაჯულებითა, რათამცა დასაჯოს ეშმაკი ძისა თვისასა მეორისა ბუნების ფიცხელისა

ვნებითა. და მეორედ კერძ შეყუარებითა პირუტყლისა ადამისა მართალთა შვილთა, რომელნი ივნებდენ მტერთაგან. საფლავებთა და ჯოჯოხეთსა შინა. და ესე ვითარისა საღთო განგებითა დაუტევა. ძე თვისი მგემებლად სიკვდილისა. ესერა ოდეს იხილა გემო სიკვდილისა ღმერთმან მამა ძისა საყვარელმან ძემან, მაშინ ბნელსა ძაძა შემოსა სოფელსა და დააბნელა მზე და მთოვარე კრეტსაბელი მოსიანისა ლევიტელთა ტაძრისა განაპო და კლდენი განსქდენ. და აჰა მყის საფლავები წმიდათა შესვენებულთანი აღეხუნეს და გამოვიდნენ ირო-სალიმსა შინა და გამოეცხადნენ მრავალთა ზე სარწმუნოებისა მექონთა, რომელთაცა სულები ძემან ღვთისამან აღიყუანა სუფევად. ხოლო გუამნი მათნი კუალადვე. თვსსა სამარებსავე მიძინებულ იქმნენ, ვიდრე კუალად მოსლვადმდე. აღდგომილმან იესომ თანა აღადგინნა და აღიყუანნა სულები მართალთა ზეცათა შინა სამღლე მქადაგებელმან ჯოჯოხეთსა შინა. და ვითარცა აღუთქვა მამისაგან მოვლინება სულისა წმიდისა თვისთა მოწაფეთა არა დამტევებელმან ობლად. ამად ნუგეშინის მცემელი ღმერთ მამისაგან გამოსრული მოევლინა, რომელთა მყისს შინა ყოვლისა სოფლისა ჴმანი ენებთანი ასწავა. რომელთა აჩრდილნი და ოფლნი მკუდართა აღდგომა იქმნა.

აჰა, ამიერთგან არხიერთა და მღუდელთა და დიაკონთა ენანი მქადაგებ ჰყო სულმან წმიდამან. და ერნი მეორედ შობილ რომელთაგან პირი სამი ერთ ღვთაებით იდიდების, რომლისა მადიდებელნი დიდებულ ვართ ცათა შინა სარწმუნოებითა და ქუეყანასა ზედა კეთილთა სათნოებითა და საქმეებითა, რამეთუ ერთსა ღვთის მოშიშსა ქრისტიანეთაგანსა ძალუძს სრულად თურქთა ჴელმწიფისა და საჴელმწიფოთა პირებთა დაყოფა არა თუ ღვთის მეტყუელებითა, არამედ თვთ ღვთის მეტყუელებისა მსახურითა, რომელ არს ფილოსოფია. ეგრეთუე სპარსთა ჴელმწიფისა და საჴელმწიფოჲსა ფილოსოფიისა წინასიტყვაობითაცა ძალიდების თეზებად ცვალება მათი. ეგ სახედვე ძროხის მსახურთი ე. ი. ინდოეთისა გაცრუება ძალიდების ბუნებითი ღვთისმეტყუელებითა კუალად ტებელთიცა პირები დაიყოფიან ქრისტიანეთა მეტაფიზიკითა, ეგრეთუე კიტაიელთი ლოღიკითა და იეპონელნი ესტეტიკითა. და ველურისა ერებისა და მთებისა ეთიკაითა და ბარბაროსთა თესლებისა კეთილად შეწყობილისა ღვთისა მოშიშისა ფიზიკითა ძალ იდების ოჩოპინტრობისა მათისა შერცხუენა. და თვთ არიხმატიკითა და მათემატიკითა და ქრისტიანელისა ასტრონომიითა ძალიდების უკუნ წმილება ებრაელთი და წარმართთი, რომელნიცა არათუ იცნობენ ღმერთსა, არამედ ქმნულსა ღვთისაგან სულებთა და სხეულებთა ცათა და ციურთა და ქუეყანასა და სავსებასა ამა-

სსა ვერცაღა თუ გარეგან მეცნავ არიან: თჳნიერ თჳსისა მოუცლები-საგან შიმშილისა და წყურვილისა. მეცნავ არიან, ვითარცა პირუტყვ-ნი.

დასასრულ ჩუენ ღმერთმა მამამან ძისა თჳსისა ჴორცნი საჭმელად და სისხლი სასმელად მოგანიჭა ცოდვათა და უსჯულოებათა ჩუენთა მომტევებელად და დამატებელად. გარემოქცევით გვირგვინი ეკლისა საუკუნო უხრწნელ გვირგვინად მოგვცა სკიპტრა ლელწმისა საძლევ-ელად მტერთა ზედა მოგქონინ, რომელ არს ჴელთა კეთილთა საქმენი. ქლამინდი კონკისა ზღუდე ჩუენდა ჯუარი ნიში სარწმუნოებისა. სამ-შჳდალნი სიყვარულითა ღვთისა მიმართითა გამშჳენალია ჩუენდა მხიარულებით. ნაღველი საუკუნო სიტკბოება ჩუენდა. ძმარი წყარო ცხოვრებისა ჩუენდა, ორნი მდინარენი გუერდისა, ორნი ცხოვრებანი არიან ჩუენდა ამიერი და საუკუნო. და მოსვლა ქრისტესი აღსლვა ჩუენდა ცათა შინა. აჰა, ესენი არიან აღდგომისა ნიშნი, ესენი უხა-რის სულსა ჩემსა დამჭილებულისა ჴორციერთ აღდგომა და განა-ხლება სამარადისოდ. ამად მოვლოცველობ თქუენდამოცა, რათამცა ჩუენ და თქუენ და მათ ყოველთა აღდგომითა ძისა უძრავსა ხილვად მისსა, რომელ ბუნებისა განღმრთობითა, რომლისა კნინღა და ნათესა-ვართ ე. ი. ნართაულისა.

დასასრულ, ჩემს ვითარებას იუწყებთ, ვმადლობ მაღალსა ორბელ-ძე მშვიდობით გახლავართ, რომელმან ხუთი წიგნი მოსესი განწილე ყოვლად წმიდისა სულისაგან წმიდისა და მომავალთა ღღესა შინა ვი-წყებ ისო ნავეს წიგნსაცა და უშორეს, უკეთუ ენებოს მაღალსა. აჰა, ესე ავთრათი არავის გონებით ჩჩვილისა მიაღებინოთ ჴელად, გინა გონებით ამპარტავანსა. ანუ ვერაგსა. მკილავსა, და შურით ფრიად ზნელსა. არამედ ყოველნივე მოწერილნი ჩემნი შთამწყვდიეთ ერთ წიგნათ.

სულო კეთილო! აჰა. ესერა რაოდენნიმე წიგნები მოგწერე ჴე-ლითა ჩემითა და კამისიანიცა თქუენი, ესე იგი შემთხოვნელი თქუენ-ნი ჩემდამო აღასრულენ, რომელი ზრუნავთ აბაშის ძისთვის იოსე-ბისა[3] ეგე ზრუნვა არს სალთო. მოვაწერინე მეფის ძეს იოანეს.

ეგრეთუჱ თქუენთვის მეფის ძეს მსაჯულს ბაგრატს[4] მუნ პირი-სალმი ვაშა, ვაშა, გარნა არღარა უწყი გმსახურე რაჲმე ანუ არა ე. მოვიდნენა წერილნი ეგენი, არა ვიცი.

ეგ სახიდვე მირზა ჩაფარამ[5] მომცა გეგმი ე. ი. მგჳანი ელლინურ პლანი. საგნისა თქუენისა შესრულება, რათა სახენი და საქმენი აზნა-ურთ სკოლისა ნაკლნი და ყსრულობა და სრულება რაჲ ქონან გუაუწ-ყე წიგნითა თქუენითა მწკრივად, რათამცა ძალვიდვათ საგნისა თქუენ-ნისა წარმატება მსახურებად ღვთისა და მონარხისა და მამულისა შეი-

ლთა ყრმათი. ესერა მომლოცველობ მშვიდობასა საღთოსა ეკლესიისასა და ერისასა და საღთო მჴედრობისა ამაღლებასა და განსუენებასა, რომელნი მოანიჭა ღმერთმან ღმერთებთაგან მონარხსა ჩუენსა, რომელმან არათუ ქუეყანასა ჩუენსა მოფინა მშვიდობა, არამედ თჳთ სპარსეთსა რომელთაცა ბრუესა აღვირ ახსნა კეთილ დღეობისა მინიჭებად. ესწრაფეთ მოწერად ჩემდა მშვიდობისა თქუენისა და სტეფანესი. და სახლეულთა თქუენთა და ჩემისა მშობელთა შვილთი. და იოანესი და გრიგორისა ესე რა მოველი წიგნთა თქუენთა.

იოანე და გრიგორი[6] კავშირნი ჩემნი თქუენდამონი და თქუენი ჩემდა მომართნი ქრისტეს აღდგომით გიამბორენ და შეაყვარენ თავი ჩემი, რათამცა მიგულონ და თავთა თჳსთა სიყვარულით დღე და ღამე იზეპირონ სწავლა და ჩემის სიყვარულითაცა დაურთონ. მკნეობა სწავლათა ზედა სწავლანი მღვიძარეთ. რათაცა იცნან მაღალი და თავნი თჳსნი და სოფელი და ცხონდენ სულითა ცათა შინა. მაგათ ბიძასაც გამოვისტუმრებ, უკეთუ ინებებს მაღალი. და შემდგომ მაგათთჳს მოვიცლი, გარნა მაგათაც ჩემთჳს ილოცონ ვითარცა მე ყოველთათჳს.

თქუენი მლოცველი იონა მ. მ. მ.
წელსა 1828 მარტს.

## № 160

### 1828 წლის 10 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

თქუენო მაღალო ღირსებაო წმიდაო და განათლებულო მამაო: სამარადისოო მოძღუარო სულისა ჩემისაო მ. ძ. იონა! სიყვარულით მარჯუენასა ზედა მაკურთხეველსა ჩემსა გიამბორებ.

ჭეშმარიტნი, კეთილნი და საამოდ აღმკობილნი ავთრათნი თქუენისა მაღალ ღირსებისანი მებოძა მარტის 5 სა. პირველსა შინა მიბრძანეთ ცნობისათჳს იოანესა[1] თჳსებისა და მეორესა შინა მეცნიერობისასა და ეგრეთუე გამოჴხატავთ ზრახუათა სხუა და სხუათა საგანთათჳს.

აჰა, ხარაკტირნი იოანესი: იგი არს წყნარი, მშვიდი, ერთის ლექსით კეთილისა თჳსებისა არს, გარნა ძალნი სულისანი მძიმე საზოგადოდ მქისე და ბლაგჳ აქჳს. უყვარს სწავლა და აქჳს საშუალო მეცადინეობაჲ რუსულსა და ქართულსა. კითხულობს და ასოებსაცა სწერს მიხედჳსაებრ დროისა. სვინიდისი კარგი აქუს და მორჩილი არს

თჳსისა უფროსისა. თმა ბნელ წითელი, სახე ნაყვავილარი, მოწითალო, თვალები მოჰრელო, ტანი მოსქე მცირედ და ჴელები მსხვილი. აჰა საზოგადონი ხაზნი მისისა ფიზიონომიისანი, გარნა განათლება გონებისა და განვითარება გულისა ხშირად შესცვლის ყოვლადობასა კაცისასა. გრიგოლ[2] ავადმყოფობს და არს სახლსა შინა მამისა ჩემისასა. სტეფანე[3] ასწავებს. ვიდრე განთავისუფლებამდე, წარმოვიყვანე სოლომონიდგან[4], და მაისამდე დაუტევე მუნ. ყოველნივე საგანნი თქუენ მიერ მოძღვრებულნი ჩემდამო აღსრულდებიან ადრე თუ გვან, გარნა მეცადინეობა ჩემი ყოველსა ჟამსა მოქმედებს ნუ ერწმუნებით ტყუილსა, არა კეთილმსურველთასა, არამედ ჭეშმარიტსა ლექსსა და სიტყუასა ჩემსა, რომელნიცა მართალ არიან და საქმეცა აცნობებს კაცსა, რომელიცა მოსამსახურე მყავს, ესრეთ, იმსახურება. იოანესა, ვითარცა მე, არა რაი საქმე არა აქვს რა ძმისწულსა თქუენსა, თვნიერ სწავლისა, სახლისა გინა სადგომსა შინა ჩემსა. ვუტევოთ, რომელ სიბრძნე ვერ მიიღოს მაღალი, ხოლო განვითარება იქმნების კეთილგუარობითი, ცნობა ღვთისა და კაცთა რაოდენცა საჭირო არს საზოგადო ცხოვრებასა შინა თვითოეულის კაცისათვს. დიდად საჭირო გახლავსთ ღრამმატიკა რუსული ნიკოლოზ ღრეჩისა[5], ახალი გამოცემული და განვრცელებული. ინებეთ გამოგზავა ორისა ანუ სამისა ეგზემპლიარისა, ეგრეთვე ადამს უბრძანეთ კარგი რვაულები ღეოღრაფიისა გარდაწეროს და წარმოგზავნოს, უკეთუ სხუათა სწავლათა რვაულებსა გარდაწერს და წარმოჰგზავნის დიდად მადლობელ მყოფს.

მეუღლებისათვს წარსრულთა ავთრათთა შინა მოგახსენე აზრნი და გრძნობანი ჩემნი, რომელ ჯერეთ დაუტევე ზრახვა იგი წარსრული მყოობადისათვს, ვითარცა ღმერთს ენებოს, ესრეთი აღსრულდეს, თუმცაღა ყოვლით კერძო მომითხრობენ, რათა ვიქორწინო, გარნა შეუძლებელ არს აღსრულება. დრო არა მაქუს და ყოველი წინა განზრახული ჩემი შეიცვლების, რომელთა მიზეზისა მის გამო ვერ ძალმიძს მიწდომა, და ესრეთ ნუგეში სიბრძნისა უუსასიმოვნეს არს, ვიდრე სხუანი მიღებულნი სუსტნი შემთხუევითნი გარემოებანი და წარმოებანი. კატეხიზმო ჩემთანა — არს და ჯერეთ გადუწერელია, ვინცა იწყო წერა, ვერ შეასრულა, მიღებისა გამო სნეულებისა, ეგრეთვე ლექსიკონიცა ვიწყე, გარნა თანაშემწე და მწერალი არა მყავს, ხოლო ქადაგება წმიდის ნინას მონასტერსა შინა ითხოვს გარდასაწერად და მუნ არს. არც ერთი წამი არა არს ჩემთვს თავისუფლებითი, უმეტესად ეგზამენიამდი; ყოველთა მოქმედებათათვს საკუთრად წარმოვსწერ.

ალექსანდრე[7] ჩემთან დგას. რიფსიმა მეფის ასულისა, თაყუანისცემა მოგახსენათ და თვითონ სიმრთელით იმყოფება. ზაქარიასაგან წარმოგზავნილი წიგნი მომივადა, გარნა ჩვენ აქავე ტელეღრაფსა შინა

ვიხილეთ ქება ლოღიკისა, ხოლო თავადს ზაქარიას[8] მოვახსენებ: ღენერალ სიპიაღინმან განხსნა კომიტეტი, სადაცა გამოიცემა როსსიულსა, ქართულსა და სომხურსა ენასა ზედა სხუა და სხუანი ცნობანი ანუ გაზეთნი და სხუანი. წარსულსა ავთრათსა შინა მოგწერე მამაო ოსიპ იაკოლიჩის[9] დუქნებისათჳს, მე მითხრეს ორი დუქანი დაიქცევაო პლანისაგან და თუ ინებებთ, ეცადენით დროზედ ანუ მსწრაფლად წარმოგზავნა, რათა მიიღოთ თჳსი საკუთარი, წინააღმდეგსა შემთხუევასა შინა შემდგომად არღარა იქმნების მისაღებელი, მოვალეცა მიიცვალა. მსურველი ხილვისა თქუენისა და სიმრთელისა სოლომონ დოდაშვილი — მაღაროელი.

მარტის 10 სა 1828 სა წელსა.

## № 190

### 1828 წლის 20 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო სულისა ჩემისაო იონა უმოწყალესო ჴელმწიფევ!

დღესასწაულთა დღესასწაულისა მომლოცველნი და მოალოებელნი მისდამი სურვილისა ჩუენისა აღსრულებისათჳს წარმოვსწერ მაკურთხეველისა ჩემისადმი მცირესა შემთხუევულებასა: დღესა მესამესა ქრისტეს აღდგომისასა მეექუსესა ჟამსა განთიადისასა იყო ძლიერი ძრვა მიწისა ტფილისსა შინა, რომელისა გამო ყოველნი მძინარენი განღვიძებულ იქმნენ, გარნა არა სულითა, არამედ სხეულითა.

მეორე, უკეთუ ინებოს ნათელმან ნათელთამან. თქუენსა მაისსა გამოცხადდება მოკლე თხზულებაჲ ჩემი როსსიულსა ენასა ზედა სიბრძნისათჳს რომლისამე შემთხუევულებისა, ესე იგი ოთხისა მდგომარეობის საქართუელოსა შინა. ძუელისა დროჲსა, უკანასკნელისა აქამომდე, აწინდელისა და მყოობადისა, რომელსაცა იხილავთ სრულიადსა შედგინებასა მისსა ცხად მაისის გასულს ვგონებ ქართულადცა იქმნას. უძნელესი თანამდებობა ჩემი მიმკდელი უფლებისა არს შესაწუხებელი სულისა ჩემისა, რომლისა გამოცდა არა ძალმიძს ყოვლისა სურვილისა აღსრულება, მოწაფეთა ჩემთა, არა აქუსთ სული აღძრული და განღვიძებული მისწვდნენ ჭეშმარიტსა კეთილსა და საამო აღმკობილებასა, არა აქვსთ მიდრეკილება განათლებისადმი ზრახვისა, ცნობისადმი (სურვილისა) ნებისა და განვთარებისადმი გრძნობისა (გულისა), არა შესაბრალებელ არსა კაცი მყოფი სიმგრგულესა

შინა ესე ვითართა ერთასა, სადაცა არა იხილვების არცა განათლე-ბულნი, არცა ღონენი ანუ საშუალობანი მისნი, და სადაცა არა ისმის სათნოებანი, კაცი ესე ვითარი შესაბრალებელ არს, რომელიცა ექუ-ფთების მაღალსა რაისამე და არა ჰპოვებს ღონესა და დროსა აღგილსა შინა. და ესრეთ მამაო წმიდაო და განათლებულო გთხოვ უმდაბლესად მომცეთ შემწეობა კარგისა წიგნებითა შესაწევნელად და ნუგეშად სულისა ჩემისა. ყოველთა სხუათა ამათ წარმოებათა შინა. ოდეს მექ-მნება მე უსაიამოვნესი სიხარული პირისპირ ხილვისა, ინებოს მაღა-ლმან მონიჭება მის დროისა და აღსრულებად კეთილისა სურვილისა და ღირსყოფად პირისპირ მეტყუელებისა თქუენდა, სიყვარული ა ძმასა თქუენსა, ალამსა და სხუათა მოულოცავ დღესასწაულსა. ადამ ყავით განღვიძებულ, რათა დრონი არა წარსწყმიდოს და წარსაგებელ-ნი ამათ არა იყუნენ, ნუ უკვე არა ჰგრძნობს არსებობასა თჳსსა და მოქმედებათა თქუენთა, აწინდელსა დროსა მამულისა ჩუენისათჳს დიდ ფრიად საჭირო არს სწავლა, რომელნიცა ყოველით კერძო იხი-ლვებიან თვალით, მე აქა არა საჭიროდ ვრაცხ დამტკიცებასა, ვინა-ძთგან პეტერბურღსა შინა მყოფი ვინარა ჰხრახავს და გრძნობს, უმე-ტესად მეტყუელებანი თქუენნი აღმოჩინებისათჳს მისისა არა სახი-ლველ არს მისთჳს.

ბრძანეთ ვითარებანი თქუენნი, რომლითაცა მახარებთ, იოსებ იაკოვლევიჩს[3] მოაწერინეთ წერილი ანუ ავთარათი დარწმუნებით ლუ-ბერსკის პრავლენისთა მიღებისათჳს ვასხისა, რომელიც იღებს ფუ-ლსა ესე იგი პლეშჩეევი[4] არღა ემსახურების სულსა შინა. რომლი-სამე შემთხვეულებისათჳს, მან მითხრა ექვსის თჳსა აქლიათ ექვსი თუმანი, ეშურეთ დროსა, უკეთუ ინებოთ.

თქუენნი მაღალ ღირსების მორჩილი შვლი და მსმენელი
სოლომონ დოდოევი.
1828 სა მარტის კ-ა.

## № 101

### (1828 წ. 25 ნოემბრის შემდეგ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

სულიერო ძეო ჩემო სოლომან ქრისტეს ღვთისა მიერ საღთოთა ლოცვათა გიძღვნი მიმრთმეველი ზეგარდამო კურთხევითარე!

აჰა, ესერა უსაკუთრესისა ხელებითა თქუენითა დატვფრული ავ-თრათი თქუენნი მოვიღე ნოემბრის 25. აღნაქვსი თქუენი ოკდომბრის 24, რომელიცა განვახვენ სამკიდურად შეკეცილი ქარტა ესე კაბადო-

ნი და აღმოვიკითხენ მიმყოვრებითარე მოვისთვლენ დიდ ფრიადნი მხიარულებანი მადლობისა თქუენისანი. და ვიწყე მკანი სულისაგან სიბრძნით დათესილნი გონებისა თქუენისა ორნატებთა. ტეიპ ტრიქონებთაგან აძენძილად ანუ გორგალურად.

მანდ ტფილის შემძლებელი ქართუჱლნი რაოდენნიმე კეთილნი მეცნავად და მეგობრად იხხენ ძენი მამულისანი. რაოდენ გედვას მსახურე ღმერთსა და მამულსა, რომელი მცირესა ზედა სარწმუნოა დიდსა, ზედაცა სარწმუნო იქმნების. ნებისაებრ ნაჩალნიკისა ე. ი. თათნისა მიიქეც. არ გადააბიჯო მარჯულ და მარცხულ, არამედ მაგას ზედა იჩინე და დაადგერცა. ანითგან სჯვრიტე მოესა გზასა საშვალსა ზედა მსვლელმან.

ორთა მაგათ ნათესავთა შორის ესე იგი ლათინთა და აოსიანთა პატიოსნებაში ლათინნი უმჯობეს არიან და მერმე აოსიანნი. დასასრულ კეთილისა კაცისათვის ყოველნივე კეთილ არიან. უკეთუ ჯერეთ არავინ გაქენდესთ მოძღუართად მამა თომა[1] დაიპყარ მოძღურად, მე მაგან კეთილი მიქმნა ნამყოში დღეთა შინა ვნებულებისა ჩემისასა. რომლისა მიმართ ლოცვით მაქვს მსახურება და ლიტურღითა. წ. მ.

## № 102

### (1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

მოწყალეო კაცო გულითადო, ჩემო სოლომან. ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვას გიძღვნი. ესერა იოანე ძმისწულისა ჩემისა მწერთ კეთილად გულისხმიერებასა და სწავლასა და სიყვარულსა სწავლათასა. აჰა, არღა არს შვილი მისი, ვისიცა იყო, არამედ მადლით ძე თქუენია და ჩემი. ესერა კმან არიან ზემო ლექსნი და სიტყუანი. რადღა სახმარ მრავალი ხოტბინი თქუენ ეგერა კეთილისა საუნჯისა მიმართ. მოიხსენეთ, მე წიგნები რაოდენნიმე მოგართვ თქუენ, ეგრეთუე თქუენგან წარმოცემულნი ავთრათნი ესერა მესამე მივიღე სახლსა ამას შინა სერგიის უბანში. გარნა ვერ შევემცენ რომელსი რომლისა სიტყვს გება.

დასასრულ მომწერეთ გლარძისა მოსვლა კოლოფით წარმოგზავნილისა ე. ი. კიდობანივით, რომელსა შინა ათორმეტნი რიგნი გლარძნი წარმოვ. რომელნი გთნდეს მომწერეთ. შემდგომ წარმოგიგზავნი.

ეგრეთვე მეფის ძის ძეთი ნიკოლოსისა და ალექსანდრესი[1] მიწერილნი წარმოვეგზავნე. არღა უწყი გიახლავთ ანუ არა. ვამჴელეულებ ძნეულად გამჯელობასა თქუენსა, ხოლო თავისუფლებისა თქუენისაგან ე. ი. შინაგან მეფე სულისა თქუენნი უბრძანებს ნებასა თქუენსა,

რათამცა ნებამან სურვილნი მრავალ ბევრეულნი უღელსა ქუეშე ღთო სიბრძნისასა შემოკრიბოს, რათა კეთილთა გონებდეს სული თანახმად ეკკლესიისა და მართებლობისა ერჩდეს ნება, გრძნობდეს გული და მეტყუელებდეს ენა. ესე არს კეთილისა კაცისა გულისა საუნჯისაგან გამოღება კეთილთა.

ვა'შა, ვა'შა თქუენსა მადლობასა ჩემდამო, რომელსა ყოველნივე კეთილნი შეგეძინებისთ ზეგარდმო ქუეყანასა ზედა და აღსრულდებიან სურვილნი თქუენნი ყოველთა საგნებთა შინა და გარე. რომელსა მადლობელნიცა განგიმრავლდებისთ გარემოს თქუენსა და მეგობარნი ღვთის მოშიშნი, რომელთაგანცა სიჭაბუკესა შინა დასტკბებით, ჯოშობისა დროსა პატივცემულ იქმნებით, ჭარმაღობისა ჟამებში განძლიერდებით ჭეშმარიტებითა. მოხუცებულობისა წელთა შინა განჰხნევდებით და მხცოვნისა დროსა განახლდებით ვითარცა ორში, ხოლო მიხრწნეულებისა წელიწდებთა შინა გამოზრდილ იქმნებით აწდაძსავე იკონომიისა წყებითა პირისა საკუთარისა ოფლებითა. თქუენითა, რომელი იგვრდივ სადაცა მიაქციევეთ თუალთა თქუენთა ყოვლით კერძ და ყოველთა თემებთა შინა ივერიისასა მადლობელნი თქუენნი დასხმულ იქმნებიან სიტყვიერ ვენახებად, რომელნი გულითადიერსა არმაღანებსა სიყუარულისა წინარე ძლომითა გიმსხუერპლებენ. ესერა თვთუე უწყით კეთილ მსახურნი კაცნი პატიოსანნი ყუარობენ კეთილ მოქმედთა თავთა თვსთა ზედა. და ჟამსა მხიარულებისასა უხარისთ კეთილ მოქმედისა თვსისა თანა. და დროსა ტირილისასა სტირიან კეთილ მოქმედისათანა, ვითარცა იტყვს სჯული. წმიდა მოხარულთაშა სიხარულსა და მტირალთა თანა ტირილსა, რომელთა ბუნებაცა ამტკიცებს.

დასასრულ კეთილსა არა აქუს დასაბამი ე. ი. მაღალსა, რომელსა მობაძვად კეთილთა მოქმედნი შეუდგებიან. ეგრეთვე მმადლობელთა პირებთა არღა აქუთ დასასრული. რომელნი ამიერვე განსვენებულ არიან.

იხილეთ, პირისპირ ზემოძსა გარემზომნი უმადლობელონი კაცნი პირველად ავნებენ თვთა თვსთა სვინიდისისა თვსისა ხვმირსა ქუეშე დახშვთა. რომელნი არავის შორიელსა უყოფენ ბოროტსა ამად, რომე არა უწყიან პირნი იგი და ადგილნი განდგინებულთი. რომელნი თვსთა კეთილმოქმედთა ავნებენ და აგიობენ ამჟღავნებენ ბასრობით მოკიცხარნი მეცნავთა თვსთა, რომელნი სიბრძნითა და სიმდიდრითა წარემატნენ. განიხერხებიან უგუნურებისა შურითა, დადნებიან ვნებისა შემთხუევადმდე და მთხევნი შინაგანისა და ბრაზისა ნაღვლიერისა და ნოტიოთი და ცმელისა ადუღებითი და სისხლისა ვრცელ ღელვისა გარემოს გულისა, რომელნი ოდეს წარმოსთხევენ მტერო-

ბისა გესლთა, მაშინ ეფონებისთ ოდესცა ისმინონ. ანუ იხილონ მცნობნი თვსნი და შვილნი მამულისანი დაცემულნი, მყის განმხიარულდებიან. რომელნი შესაწყალთა ცრემლთა შერაცხენ სძედ და გოდებისა საკრავთა სახიობად, რომელნი თავთა თვსთა მცირაკსა წყენისა სხუათაგან განემზადებიან არა ქამად და არცა სმად, ვიდრემდის დაამხონ წრფელნი და უმანკონი. რომელნი ჟინითა თვსითა თვსთა უკანასკნელთა საცხოვრებლებთა წარაგებენ სხუათა დაცემად ბედნიერებისაგან. რომელთა ვინძი უნდესთ აღკრსსმა თვთა თვსთა. არა რაი აქუსთ ესე ვითარი ღონისძიება, ვითარცა ქონანთ ფილოსოფოსთა და უფროსღა ღვთისმეტყუელთა, რომელნი შეიპყრობენ მწენკერსა სულთა თვსთა სიტყვერთა. და ორძილოვანსა სულსაცა და მათითა გუამებითა თვსთა წადილებთა ჯიშითა და აღკრითა სიმართლისა სიწმიდისა და პატიოსნებისათა და გზასა ზედა დემონისაგან მოგონებულებთა — ამაო ზრახუასა შინაგან განდევნიან.

ხოლო ერნი უსწავლელნი უიკონომიონნი, უსაქმონნი უქმად მჭამელნი, ზარმაცნი, მოძილენი ხელებით უხელოვნონი, გონებითა გლახაკნი, მეანკანავენი, ჭწდეველნი მეწამულისა სამთვრალოსი, ერთ ჩოდალოს დაჯერებულნი. ერთ ზამთრის საბლარდნელსა შინა გაგრაგნილნი, ზაფხულშიცა ერთის ქუაბისა მექონნი, ერთის თეფშისა, ერთის თასისა და ყანწისა ერთის საკიდლისა და ზედადგრისა. ანუ ოთხისა ქვსა სამზვარეულოში ხსნილში ერთს მწვადს და ერთს წუენს დაჯერებული.

ხოლო მარხუაში ერთს ჯამს ლობიოს და მცირაკს თევზის ნაგლეჯსა და რაოდენთამე ლაგვინთა[1] და დოქთა ღვინოებთაა შემსმელნი არა რაჲსა იზრუნებენ, რომელნი ზედაცა დართჳენ მეტყუელნი უგულისხმოდ ესრეთ შენს იმიერ კაცს რომ ტყვიო მოხუდესო შენ კუნძად შერაცხეო. მამასა და პაპასა წიგნი არ ცოდნია, მაგრა კეთილად უცხოვრიათო. მე ხომ იმას გამოვტყუჱ ესე და იგი ძვირფასი უფასურად. გამოუდეგ სიმართლესა გამოგილევს სინათლესა. ის კაცი ეშმაკობით უკეთესად ცხოვრებს. მე ხომ იმისი მამული ვიქირთავე. იმ კაცს მიწა შთაუწერია წალებში და ისე დაუფიცავს. იმას ფიცი არ უწევს. მეზობელი მეზობლის მტერი უნდა იყოს. ეგრეთ უნდა უმტეროს კაცმა კაცს, რომ ვერ გაუგოს. სახლის პატრონთან რომ მიხვიდე, ეცადე დათროპასა მისსა. ყოველსავე ჰურებს მოგიხდის. უკეთუ მეზობელი გამდიდრდეს შენ და გიგონებს უმტერე მას, როდესა წერდე, ხელი დააფარე, რათა არავინ ისწავლოს, წიგნები დამალე. რათამცა მხოლოდ შენ იცოდე. ჯარში თავი არ მოიკლა, უტევე მთავარი მოკუდეს, რომელი თავს კი ველარ იშოვნი და მთავარს ბევრს იშოვნი. მხოლოდ

საჭმელი ჩუენი ადგილი სულ ყეენისაა. რვა მეფე ქართლისა გაათათრეს და ორნი კახთანი. სხუა რა უქმნიათ ყიზილბაშებს. ოცდაორჯელ ტფილისი აულიათ, და კახეთისა და თრიალეთისა ერნი აყრილნი ფერიეთში ცხოვრებენ. ორმეოცი ათასი კომლნი, რომელნი ქართულსავე ლაპარაკობენ და ზედაშეს აყენებენ მხოლოდ იგინი წარუყუანია შამას და ჩვენ მოვრჩენილ ვართ ოსებში რომელთა მამა პაპანი დაუშინებულებიათ, როდესაც მოვა იქავე მოვრჩებით სომხებს ხომ ჩვენა ვჯობივართ, მხოლოდ ქალაქებია ჩუენში მათი სხუა რა აქუთ მელიქს პური აქვს მიტომ, რომ წიგნი და ანგარიში და ვაჭრობას შეატყობს. მე ხომ იმას არა ვიქ, ერთს არ ეკადრება მხოლოდ ესლა მამლობასა თანა ხელი გამოუღიათ სომხებს და წინაც დაუწერიათ დიდსა ამას ეპოხასა შინა იმით არა რაჲსა იგინი. რომელთა მაღლობასა ღრამატაცა აქვსთ, ამიტომ, რომ ლამპრობა შაუძლიანთ. რაც არ ექნას მამა შენსა ნურც შენ გამოიჭრი მარმაშებსა. კაცს მაგთონი არა მოუნდება რა. თუ გაუჭირდა ბალახსაც მოსძოვს. ყრმას მუცელი უნდა გაუძღეს, რომ გარეთ ირბინოს. აგერ ჩემა კ. ბიჭმა ენა ამოიდგა და ისწავა ეგრეთი ლაძლვა საცინელი, რომელიც გაგიკვირდეთ. სიჩაუქე, კისკასი მისი. და აშენებს ჯოხის ცხენსა თუ პური მაშინვე არ მივეცით ჭელ მარჯუეთ გცემს მეპურეს. მაგრამ რომ ატირდეს დაჩუმება მისი არ შეიძლება, მანამ ნება ქინი, წადილი, ცელქობა და მრავლის ჭამა არ იწყოს. მე ჩემს ბავშვს მაშინ დავაჩუმებ ხოლმე ოდესაც ვეტყვი: აგერ მტერი მოდის და მგელკაცი.

იხილეთ ძეო მამულისაო ვის რასა ვწერ ძუელთა თხემებთა ესრეთ აღზრდასა შვილთა თვსთასა. ნანდვილად ჰმობენ ფილასოფოსნი ე. ი. ოდეს ერები და თესლები და ენანი პირველ ყოველთასა განიცადენ მაგალითნი იგავნი და ლექსნი და სიტყვან ნათესავებისაო, რომლითაცა გამოიცნობებიან ერთნი თითოეულნი უუმაწროავეს.

იგულვედ მფარველი, ანუ მფარველნი ჰელნი ესე ვითარნი, რომელთა მფარველობა უუკეთილეს თქუენდა იყუნენ ე. ი. ჩუენი გამომხსნელნი რუსნი სიბრძნით მამულის მოყუარენი, რომელნი საჭიროთა და სახმართა და სარგებლობათა მოგაწყუებენ და წარგიმართუენ საგნებთა.

მოწაფეთა თქუენი თანამდებობა გარდაეცით. სხუათა მასწავლელთა ვითარებასა ნურარაჲსა გამოეძიებთ, რომელნიცა არა თქუენ ჰელთა ქუეშე არა იყუნენ. მთათა და ბორცვთა კაცთა დავაკეთებასა ნუ ეძიებთ მათი მთავრობამან უწყის. მხოლოდ თქუენი ვალდებულება აღმოაჩინე აქსიომად. რათამცა გამოჩნდეთ მთიებად. გზასა ზედა ნუვის უქადაგებთ. სახლსა შინა დაადგერ, ვისაცა ნებავს მუნ შემოვალს

განბრძნობად. პირველად ამეტყუჱლი შემოსრული და იცანით ლექსებითა და სიტყუჱბითა სულისა მისისა პირი და გონება სჯა და ნება. პირნი და ნივთნი, რომელნიც მან უწყოდეს განსაჯნე თუ ვითარი ცნობა აქუს მომწერეთ ერთეთი და ჩემის ავთრათების თთუჱბით მომწერდით. ე. ი. რომლისაცა თთუჱსა იყოს. იოანესათჳს რაჲლა შეგთხოვო რომლისა დასაბამი სწავლისა საკვრველებაა, ხოლო სწავლანი კნანლა და სასწაულ იქმნებიან. ორისა ენებისა, რომლისა თჳსცა დღე და ღამე ვზრახავ საჭიროებასა გარნა ჩემი თქუჱნია და თქუჱნიცა ჩემი არს. უფალს ღოდაევს ძმასა თქუჱნსა სტეფანეს შევთხოვ, რათა მაგანაც იზრუნოს იოანეს სწავლისათჳს მსგავსად ძმათა თჳსთა. თქვენთანავე ბრძანებითა, რათამცა კუალი ცხოვრების ჩემისა დაშთეს სოფელსა შინა, ვინათგან სეხნაცა არს ეგე ჩემი ნამყო სახელითა. აჰა, მე არა უწყი ჟამი მიქცევისა ჩემისა, რათა ვიდრემდი ვარ სოფელსა შინა უზრუნო წიგნები ორთა ენებთა ზედა.

საგანნი, რომელნიცა კატეხიზმოს წინასიტყვაობად თქუჱნდამო დავსხეხ, იგინი იპყარით გონებასა შინა. არა მსგავსად წოლისა, არამედ სახედ ჭეშმარიტებისა და იყუჱნით დუმილით, ვიდრე ჟამადმდე მარჯუჱსა და ხუასტაგთა ჩემთა შეკრებისა.

ძმისა ჩემისა გამოსტუმრებასა ვისწრაფი. უკეთუ უნდეს ღმერთსა და მომაგეს ხვასტაგი. თავადინასსცა[2] მოუთხოვნია თვისისა მეუღლისა ხვასტაგი და ვცდილობ. თქუჱნი მესავანე დღითი დღე აღმითქუამს, ეგრეთვე სხუანიცა.

ნაცვლად ჩემსა, ლოცვა კურთხევა უბრძანეთ იოანეს და ბიძისა თჳსისა გიორგისაცა მოკითხვა უკეთუ ინებებს ღმერთი მალე ნახავს და მოუტანს საჭიროთა. ხელმწიფეო ჩემო, სულგრძელი კაცი მარადის ჰვრეტს თესვასავე შინა მკასა და დანერგუასა შინა ნაყოფთა. არ მოგეწყინოთ, რომელსა ღმერთი და ცხებული მისი და მთავრობა მფარველად მივის. ადამ მოიგლიჯა იდუმალ ჩემსა, რომელსა მიუთხარ არლა ძალმიძს ხვასტაგითა წარგება. ეგერა მაგისთვის განვემზადები. ესე შეგთხოვს უნივერსიტეტში მიბარებასა, რომელსა უთხრობ: უხვასტაკობასა, რომელსა ვინძი ესენიცა აქვნდეს იჭვნეულება არს ატესტატისა მიღება სრულისა. ამად თუ მანდ სა[მსა]ხური იყოს სადმე, ანუ სხუა ქალაქებში, მომწერეთ გამოუცხადებ. დასასრულ შეგვედრებ იოანეს, რათა არვინ განრყვნილი გაიცნას, არამედ იყოს სულითა და ჴორცითაცა წმიდა, რომლითა ზეგარდამო მადლითა სწავლანი დაიმკვიდრებიან კეთილ ჭურჭელსა შინა სიბრძნე ღვთისა. ცალ კერძ საწოლი უზრუნეთ საკუთრად დაძინებად, ვითარცა ყოველთა აქაურთა და ევროპიისა სასწავლებლებთა შინა. არა დააწვნენ ორთა და სამთა ერთად, რათა არა გაუჩნდესთ მღერი, ე. ი. მენი და სხუანი რაჲმენი

სნეულება სულიერნი, გინა ხორციელნი, რომლისათვის ქუჱყანა შეიძვრის. სულიერ ძეო ჩემო, მწერთ აღვირსხმასა სპარსთასა, რომელთა სტანჯეს წმიდანი მეფენი ჩუჱნნი არჩილ და ლუარსაბ, წ. დედოფალნი ქეთევან და შუშანიკ და მთავარნი ურიცხვნი და მოწესენი. რომელთაცა მეჩითი პირის პირ წ. ამბოსა დააშენეს აღმოფხვრად წმიდისა გარნა ბჴენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერევიან ბჴეთა სუფევისათა. თუმცა ტფილისისა გარემოთა სახლები თჳსი დასდვეს ორასწელ ტფილისისა დამპყრობთა, რომელნი წ. დავით აღმაშენებელმან იმერეთით მოსრულმან განგავა სკორენი სამღთო ნიჩბითა, რომელთანნი ყაზახ ბორჩალოლა დაშთა და იგინიცა მონად.

აჰა, ზემო წმიდათა სისხლთა საწყაულმან აზღვია ჩრდილოეთისა ცხებულისა მჴედრობითა. ბრძენმან ცხებულმან სოლომონ განუსვენა ისრაილისა ტომთა ათორმეტთა თჳისთა ვაზთა და ლეღვთა ქუჱშე. ესერა უმეტესი სოლომონისა მეორედ შობითა და ცხებულებითა ჩუენცა განგვსვენებს წ. იმპ. და შემოკრებს ლომთა დათვთა. მგელთა, კართა, არვეთა, თიკანთა და ცხოვართა და კრავთა ერთსა მშვიდობასა ქუჱშე. არამედ თქუჱნი შთასძეთ საფლავებთა, რათა განეულდეთ დაკოდილნი გულნი.

**№ 193**

**1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი**

მამაო წმიდაო სოლომონ ქრისტეს მიერ საღთო მეძსხუერპლეო საღთო ამბორებას მომრთმევლობ თქვენდა გულითადიერ ზეგარდამო.

აჰა, ესერა თქუჱნი წერილი მოვიღე წლისა 1826 იანვრისა ამის შვდსა წელსა 1828, რომლისა დაყოვნებისათვის ფრიად მწუხარე ვიქმენ. გარნა ესე ვითარნი დაყდონება[1] მიმყოვრებულთა[2] იზღვოს სატანამან, რომელი ვეთთამე სულებთა და გონებათა აბრკოლებს და ხელთა და ფერხთა დაზარებულ ყოფს და უფროსღა მათსა, რომელნიცა არა თანამდებად შერაცხუნ საქმეთა სხუათასა ფრიად კეთილთა, ადვილად აღსრულებულთა სიყვარულითა ღვთისათა და მოყუსისათა. რომელ თქმულა სჯულსა შინა ღვთისსა, უკეთუ იხილო კარაული[2] მტრისა შენისა დაფლული ხნარცკვთა შინა უყისასა[3] აღმოზიდე და მიეც პატრონსაო.

ხედავთა! რომელ სახიერი კაცთმოყუარე მამა ძულისა და თირკმელთა განმკითხუჱლი ბრძანებს სიყუარულსა მტრისასაცა, რათა მის მამისა ვიყუნეთ ძენი ძეებრ სიყვარულითა ანუ მონებრ ტანჯვისათჳს ვიქმნეთ წიწნეულ[5] მართლმსაჯულისა მიმართ, რომლისა სასწორი თი-

თოეულთა კაცთა თხემებსა ზედარე არს უხილავად დადგმულ ყოვლისა შინაგანისა გონებაებისა აღწონად სულისა მოძრაობისა მარჯულთა სალთო წყალობითა და მარცხულთა მართლმსაჯულებისა რისხვთა, რომელი სულგრძელებს ვიდრე სინანულადმდე კაცად კაცადისა, გარნა ვიეთთამე მიუშვებს ვიდრე საწყალისა აღვსებადმდე.

აჰა, წიგნი ესე თქუჱნი ერთ კერძო კამკამებს, ხოლო მეორე მკრივ უყეობს[6] და განევლთის ერთი ზღუდე მეორესა მრჩობელთა საშუალ ნერგსა. ანტაკრად ძვიროობასა არა თქუჱნ ძლით და გამო და მიერ ნუ იყოფინ არავინ პრესკტერი ქრისტეს ღვთისა ერთსა ვანსა დაჰენებულ ჰყოფს დუბებთ ზედა სოფლისათა.

არამედ რომელთა შორის იქმნების სული შესლბობილი და გული ურვეული, ნაღუჱლი ამღურვეული, სისხლი ღვართქაფად გარემოს გულისა, და გული მსგავსად უსაფქაუაო წისქვლისა აბზრიალებულ და შინაგანნი ორთქლნი და მხურვალე ნოტიონი აფეთქებულ ტვნისა შინა თავისასა და ხაღუჱლი გარდაასხმულია გულისა შინაგან და ესესა ზედა და ყოველნი მარღუჱბისა მდინარენი სისხლნი აჰრილ ნაღვლისაგან, მსგავსად დამჟავებულისა სძისა ანუ წაქისა.

იხილეთ, ოდეს ესე ვითარნი აბბოხებანი იშეებიან გუამსა შინა განუნათლებელისასა ფიზიკურ, შეინიშნუნების რომელ მაშინ გუამი იგი ესე ვითარი: შინაგან ფიცხელობისა ქარებითა იწყებს გარემოთა ზედა სეტყუათა დამერეგულთა და უფროსღა მეხთა დამარღუჱველთა ხატად ღვთისა დაბადებულისა სულისა ტაძარსა, რომელ ვიდრემდის დაშრეტს შინაგანნი ცეცხლნი აღტყინებული, რომელნი ცმელებთა შეცლისასა და ქონთაცა აღადგენენ, რომლისა ყოველნი ასონი და ნაწევარნი და ნაწილაკნი შაიცვალებიან ისრებად, დუნდებად და ბავრუკად და ერთბამად თმანიცა ეკლებად აღიმახუჱბიან. ხოლო პირითგან გამოვლენან შინაგანნი დუღილნისა პერეონნი და დორბლნი, მსგავსად ცოფიერისა მჴეცისა. და ესე ვითარისა სახითა და რყეულებისა იძვრისობითა იცვალების კაცი უუმძვინვარეს მჴეცისა ე. ი. ლომისა, რომელი ზახილითაცა თჳსითა შეაძრწუნებს მსმენელთა. და განბაძრავს უმანკოსა ცხოვარსა, ხოლო ფოცხუერი გამოსწოვს ცხოველობისა სისხლთა. მგელი წარიტაცებს კრავსა, ცხენი მკვვანი განწიხნავს მაპატიებელსა თჳსსა, აქლემი მიაღისხენებს ძკრსა, სპილო ნიჩურითა განაპობს მზრდელსა თჳსსა, თარო ე. ი. ძაღლი მრაზიანი დაკბილავს პატრონსა თჳსსა. ეშვი განაპობს წინა მდგომსა. ბრანგვი დამუსრავს, გუჱლი უცემს გესლთა. იქიდნე განხურელავს გუამსა, ღრიანკალი დაასხამს სამსალათა, კორკოდილო და სვითქი ტირიან, ვიდრე პოვნადმდე კაცთა, რათამცა შთანთქან. ყორანი თუალებთა ამოსწვავს მძოვრსა.

ხედავთა მამაო წმიდაო, თუ ვითარ ემსგავსების კაცი პირუტყვთა ვითარცა მეტყუელებს მეფსალმუნე, რომლებითცა განუდგების ღმერთსა ზემოხსენებულებთა ცხოველებთა თჳსებაებისა მიღებითა. და აღივსების შურითა, რომელსა მოყუასთა დიდ კეთილნი მოელანდებიან მცირე კეთილად. ანუ დიდ ფრიად ბოროტება. და განემხადების და რილად ებგურად, მხმილავად, ღამესაც შინა უძილოდ დათგრომილი; რათამცა დათრგუნას ძალმა ქრისტესი სიტყვთა და საქმითა, რომელსა სლვასა შინა დაჯდომასა ექმნების ზრახუა ბოროტი, ვიდრემდის აღავსოს სიმწარითა და მწუხარებითა. რომელსა ოდესმე ზეგარდამო რისხვა უსწრობს. და ანუ შეინანებს გულსა თჳსსა მართებლობისა მსაჯულთაგან და მაშინღა დასცხრების გინა სახლსაში თჳსსა გაუჩენს ზეგარდამო მძჳავრი მოუცლელობასა რათამცა წარწყმედათაგან განარინოს სახიერმან.

დასასრულ, მშობელთაგან ცოფიერთა შვილნიცა მიიღებენ თჳსებასა. ამად, სახლი იგი წყეულ იქმნების შვლითი შვილადმდე.

ესერა ზემონი ამათ მოგწერე უკეთუ ჩემთა შორის იხილოთ, ესე ვითარნი ვნებულებანი თქუენ სულიერთა დაამტკიცეთ კეთილსა ზედა მსგავსად წ. მ. პავლესა.

ესერა შეგთხოვ, რათა თქუენსა მშვიდობასა თანა მომწეროთ სოლომონისა მშვიდობა და სახლეულთი. უკეთუ ენებოს ღმერთსა გიორგის მალე გამოვისტუმრებ. ესერა გიორგი აქა არს. ახლა მაშინც გრიგორიცა წარმოუგზავნოთ კეთილშობილს უფალს დოდაევს. ერთიერთი თქუენი შვილი წარგზავნეთ მომავალს შამოდგომას.

ადამს ფორმის წიგნი არა აქვს მანდაური, ამად უქმად სცთების მიუღებლად სასწავლში. და ოსტატის დაწერა არაალუბს.

წელსა 1828 თქუენი სადთო ძმა იონა მ. მ. მ.

## № 194

## 1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების, რძალთა და ოჯახის წევრთა მიმართ

ჩემო ღვთის წყალობანო ძმაო სოლომონ და სძალნო და ძენო და ასულნო სახლისა მამისასა.

ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა გძღუნთ.

იხილეთ ესერა ესოდენნი ჟამნი წარვიდენ ამ თქუენისა უცნობოდ, აწ ესერა შეგთხოვ მე და გიორგიცა, რათა თქვენი მშვიდობის ამბის წიგნი კეთილშობილს დოდოევს წარუგზავნოთ და იგი აქარე

წარმომიგზავნის. თუ მოითმენც უმჯობესი იქმნება ვიდრე მოსლვადმდე გიორგისა[1], და თუ გესაჭიროებათ ფული, წარმოგიგზავნით.

ესერა რათა თუ არ შთაგეგზავნოს გრიგორი[2], მალე წარუგზავნოთ უფალს დოდოევს, სოლომონს, ესერა მწერს დეკემბერში ჩამოიყვანსო, გრიგოლსაცა სოლომონ. მე რჩევა მომცა სოლომონ იოანიჩმან, რაღამცა თქვენ კაცი მოგივაო ნაცულად მათ ყრმათა, რომელსა ვეცდებიცა გარნა შევთხოვ, სძალსა ჩემსა ნატალიას, რათა წიგნი აკითხოს ვაჟებსა და ქალებსაცა, და ასწავოს წერაცა. მცირე წლობასა შინა. აქ ხუთის წლისანი მარჯვეთ კითხულობენ წიგნებსა. საღთოსა და სამოქალაქოთაცა, და აწე ინებენცა. ეგრეთვე ურთიერთ ივასხებდეთ და მოთმინებითა გაქვნდესთ მორჩილება და გარჯა სულებთა ცხონებისათჳს და კორციელად ცხოვრებისათჳს გიყვარდესთ მეზობელნი და ყოველთა მიმართ იყვენით ტკბილ და მშვიდ სახედ. იოსებ ბურდულაძისა[1] და სახლეულთა მისთა. საღთო მოძღვარი სულისა თქვენისა შეიყვარეთ.

იოსებ კაცი ღვთისა ბურდულაძე მომიკითხეთ საღთო ლოცვათა. ისრაიტელი ეგე და ჰკითხავდეთ რჩევასა, სახლისა თქვენისასა წარსამართებელად.

აჰა, არიან ვიეთნიმე კაცნი, რომელნი დიდთა საჭიროთა საქმეთა კეთილთა დაუტეებენ უგუნურებით და იწყებენ მცირე საჭიროთა კეთილთა მუშაკობად ანუ პირველსა წინა სამუშაკოსა გარდასდებენ, და მეორესა მუშაკობენ. ე. ი. გაზაფხულისა საქმეთა ზაფხულში მუშაკობენ და ზაფხულისასა შამოდგომაში და შემოდგომისასა ზამთარში და ზამთრისა გაზაფხულში. ამად არიან გლახაკად ურჩნი სწავლისანი. სახლსა შინა უფროსისა გინა მდიდრისა მეზობლისა, დაუკითხავად მუშაკნი. ეგრეთვე მცირე მუშაკობასა ზედა, წარაგებენ ბევრთა სახსნილოსა და სამარხისა და ღჳნოთა, რომელთაცა არა უწყიან სამას სამოცდა ექვსი დღენი წელისა ამის, რათამცა სამად განჰყონ მოსავალი ე. ი. ამ წლისათვის ერთი წილი, ხოლო მეორე წილი მეორე წლისათჳს, რათა ვინ უწყის არ მოვიდეს მოსავალი, ხოლო მესამე წილისაგანნი რომელნიმე მსახურებად კელმწიფისა და რომელნიმე გავაჭრებად, აჰა, ესე არს იკონომია ევროპიული, აჰა, ესე ვითარითა სახითა მანდაურნი ცოლშვილიანნი რუსნი, და კალონისტები უმეტეს მდიდარ არიან, ვიდრეღა ბუნებითი ქართჳელნი. ეგრეთვე ფუტკარნი, ე. ი. სომეხნიცა. არათუ ძველნი, არამედ ახალ მოსრულნიცა მდიდარ არიან და ჰქონანთ ეკკლესიანიცა მდიდრად, ხოლო რომელნიმე ქართველნი კალოზე პურისა გამავაჭრებელნი და რთველში მაჭარისა მარადის გლახაკ იქმნებიან.

მამა დავით ძითურთ, მამაო გიორგით და მამა მოსე და ერთბა-
მად სამღვდელონი და საერონი მოყვრებითურთ თქვენი.

თქვენი მლოცველი Ио

## № 196

### 1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქუჱნო კეთილშობილებავ სოლომონ იოანიჩ! ქრისტე ღვთისა მიერ საღთო ლოცვათა მომრთმევლობ თქვენდამო გულითად ზეგონებითად ამიერ და მიერ სათნოდ მაღლისად.

სულო კეთილო! თქუჱნისა კეთილისა თჳსებისა მიერთაგანვე მეცნავმან წარმოგიგზავნე ოცდა ათნი შეკითხუანი და ათნივე ღილნი და საკლასო წიგნები და გლარძი[1].

აჰა, ოდეს მიიღეთ ძალითა ღვთისათა თქვენსა მშვიდობასათანა შემართეთ ჯრმალანებთა[2] მაგათი მითუალვა:

ესერა ნანდვილ უწყი ვითარებასა ჩემსა, იუწყებთ: ვმადლობ მაღალსა, მივმყოვრებ ქვასა შინა. აჰა, ვიწყე პირველი წიგნი მეფეთა ე. ი. დღეთა შინა ისრაილთა მეფეთასა წ. სამოელისაგან მსხუჱრპლისა ამაღლებით შეწირვა, რომლისა შემწირუჱლმან მაღალმან დაიქუხა ციო გამო და განიბნივნენ ყოველნი წარმართნი და ნათან მიუთხრა დავით გულითადსა მოწევნადი, ხოლო დავით ფრიად მწყურვალემან ოდეს მიიღო წყალი პირუჱლად შესწირა მაღალსა და მერმე შესუა მეორე გოზავითა და უშორეს.

მოიხსენეთ, უკეთუ ავთრათნი ჩვენნი იხილონ ვიეთთამე და მკრვალებდენ ზემო ჯვარისათჳს ესრეთ და ეგრეთ. ანუ თიდა გინათი და თუთი[3] და უკეთი ვერ მიწთომილნი. აჰა, თქვენ განუმარტეთ ჯუარი იგი ქრისტეს ვნებაეპისა მოღებაა და უკანასკნელობისა აღრჩევა, ვითარცა იტყჳს მაცხოვარი სოფლისა, რომელსა უნდეს თქვენ შორის დიდ ყოფა. იყავ იგი უკანასკნელ და მრწემ და მსახურ და უნდო და გლახაკ და მგლოვარე ამა სოფელსა, რომელ წარვალს ხარტი ამის სოფლისა.

იხილეთ სულიერო ძეო ჩემო მაარსმან დაბადა სულნი ყოველნი და ყო ნიჭებულ უკვდავებითა გონებითა და სიტყვითა ე. ი. მიმადლებულ ჰყო და განუკუთნა ცხოვრება მზესა ქუჱშე გარნა იქმნა რა ბრალეულ, განა მართლა უსასყიდლო სიყვარულითა ესე ვითარითა, რომლისა მოგონებაცა ზენათა და ქუჱნათა არ ძალ ედვათ. ე. ი. არავინ მტერთა თჳსთა შეიყვარებს ესე ვითართა, რომელთაცა მო-

აკვდინონ იგი. და უკეთუ ჴორცი ვისიმე შესჭამონ მტერთა და შესვან სისხლი მომკვდრისა, მშობელი მისი აზლუწვს კბილთ ღრჭენით.

ესერა ვსჭვრეტთ და გუესმის მოწოდება ზეგარდამო ღმერთ მამისაჲგან ჩუენი მოვედით და სჭამეთ ხორცი ძისა ჩემისა და სუთ სისხლი. ეგრეთუე ძე გვიწოდს ჭამად ჴორცისა თჳსისა და სმად სისხლისა, ხოლო სული წ. მამისაგან გარდამოსრული სცვალებს მწირველთა ხელითა ნაცუალ სახედ დაგებულთა ძღუენთა და იქმნების პირმშო. იხილე კატიღორიათა შინა განტარებითი აღმოჩენილი თქმულისა ილია მინიატისაგან, რომელსა უმსახურებია ფილასოფია.

ხედავთა გარდარეულსა სიყვარულსა ღმერთ მამისასა ძისა მისისა მტერთათჳს რომელ არს სოფელი, ესე რომელმან ჯუარს აცუა კრავი მდუმრიადი, გარნა ესე ვითარისა სიბრძნითა მტერი ესე სოფელი მხოლოდ შობილმან ღმერთ მამასა მიგუარა. ე. ი. მამათ მთავარნი მარხულობითა წინასწარ მეტყუელნი განხერხვითა წ. მოციქულნი თავთაღმა ჯუარცმითა წ. მოწამენი ცეცხლთა შინა ტანჯვითა და წ. მეუდაბნოენი ჴორცთა თჳსთა დაჭნობითა. რომელთა სიყვარულისა წილ შესწირეს სიყვარულნი თჳსნი წმინდითა და ჴორცნი და ცხოვრება და სიცოცხლე და მიიღეს თითოეულთა უმჯობესნი, და არიან ანგელოსად ცათა შინა და უშორეს: ეგრეთუე ქრისტიანე მეფენი კეთილ მსახურნი ჯუარსა ცხოველისასა გჳრგჳნსა და სკიპტრასა ზედა საცოდ თჳსადმი და ქუეშევრდომთათჳს ასაყდრებენ და ბაირაღებთა ზედაცა გამომხატველობენ ძლევად ეშმაკთა ყურებისა, ხოლო მთავარნი და მეომარნი ქუდებსა ზედა თჳსთა მტკრთუელობენ და ყოველნი მამრნი და მდედრნი საცოდ. თჳსა ესუენ. გარნა უფროსღა იგინი, რომელთა სწყურის ცათა შინა დიდსა ქალაქსა შინა სუფევა სჯულობენ სოფელსა. ე. ი. ცოდვათა და უსამართლოებათა და ვლენან იწროსა გზასა ზედა მისვლად სუფევასა შინა. აჰა, ესე არს ღვთის მეტყუელება ჩვენი და ფილოსოფოსობა მსგავსად მაქსიმე აღმსარებელისა და იუსტინესი, რომელთა ფილოსოფია თჳსი ამსახურეს ღვთის მეტყუელებასა.

იხილეთ, ველურთა მათ ხეთა ხენეშთა ებრაელთა და წარმართთა ვერ მიწთომილთა ზემოთა ღვთისა სიყვარულისა და სიბრძნისა არარანი მხიარულება აქვსთ, რომელნი მსახურებენ თჳსთა წინამძღომელთა ბრმათა კაცთა ბრუყებთა მთხრებლებთა შინა შთაცვივნულნი. რომელნი მხოლოდ თჳსთა მელანთა და ქარტათაგან მოელიან მეორესა ცხოვრებასა. შემდგომ სიტყუსა ღვთისა განჴორციელებითგან ყოველთავე ისწავეს ზეცისა სოფელი. გარნა თვნიერ მეორედ დაბადებისა ე. ი. ადამის ცოდვათა აჴცვსა მეორე შობითა არავის ძალუძსთ მუნ აღსლვა უფალო, უფალო ჴმობითა მხოლოდ დასასრულ ვიხილენ

რომელნიმე ქრისტიანე არათუ ჭაბუკნი მხოლოდ, არამედ ჯოშნი. და უჭარმაღნი მხცენი და მოხუცებულნი და მიხრწნეულნი. რომელთაცა უკეთუ მიუთხრას ვინმე შენი ძვრი მოკლეა და მისი მდაბალი და მისი არა მაღალი დიდ ფრიად განიხერხნენ კბილთა ღრჭენითა. ხოლო ოდეს მიუთხრეს მათუჱ დარღუევა სულიერისა სჯულისა, რომლითაცა მიუღიესთ ორნივე ცხოვრება არა თუ კბილნიღა დაიღრჭინეს, არამედ სულნი თვსნი დაიღეს და გულნი გაიციეს. ეგრეთჳე ვიხილენ მცირაკისა სენისათვს დიდთა მკურნალთა მოძიება და წარგება მათ ზედა საცხოვრებლებისა, რომელთაცა სულიერი მკურნალი ესე ვითარი მოიძიეს, რომელმან მხოლოდ ძნიად აღმოკითხჳა უწყის დაბეჭდილისა, რომელსა პარაკლიტონი და ზატიკი შეურაცხიეს ძჳელისა და ახლისა წერილად, რომელსა უკეთუ ეკითხოს, ათნი მცნებანი, შჳდნი საიდუმლონი, სიმვოლო და საუფლო ლოცვა და უშორეს გამგებლობს. აჰა, გონებით ვიცი, გარნა ენა ჩემი არა მეტყჳელებს, რომელსა შევკითხე უდიდესნი კეთილნი რომელნი არიან, მომიგო: „მკვდრისათვს ტაბლაო და ცოცხლისათვს კმის გაცემაო“. რომელსა მიუგე „უდიდესნი კეთილნი ჩვენდამო მონიჭებულ არიან ზეგარდამო ღვთისაგან სარწმუნოება, სასოება, და სიყვარული, რომლითაცა მივიახლებით ღმერთსა, რათამცა სულისა ჩვენისა გონებითა გვრწმენეს ღვთაება, ბაგეებითა აღვიარებდეთ წ. მეფეთა და მთავართა და საქმეებითა სათნოებასა მაღლისასა ვჰყოფდით, რომლითაცა აღტაცებით ზეცათა შინა“. მომიგო: „აჰა, სოფელმა ხუცებმა ეგენი თუ არ უწყიან გალანამცა მარხუჱნ მკუდართა და აქუსთ ტაბლა მრავალნიო“.

ეგ სახედვე ვიხილენ რომელნიმე ქართჳელნი, რომელნიცა არათუ სლავენიურსა ლოცვასა და წირვასა გაიგონებენ. არამედ თჳსთა ენისა ზედაცა ძნიად მიეწიფებიან ზემოპირ სმენასა, რომელთაცა შორის უკეთუ ხუთისა მხარით სხუათა ენისა ტაძარი იყოს, მუნ მიაქცევენ, რომელნი არცა ქადაგებასა მოელდიან და არცაღა დაბეჭდილსა ე. ი. კურთხევა უფლისა მოვედინ თქუენ ზედა, რომელნი მსგავსად გულშემოყრილისა მეუხარებით მიიცევიან ურთიერთ მეტყჳელნი სამივრობითად ესერა გრძელი ლიტურღია იყოო.

ეგრეთჳე ვიხილე რომელნიმე ქართჳელნი მწიგნუელნი: უკეთუ მოშივდესთ, წარიკითხვენ მწუხრისა და ცისკრისა წიგნებსა გამორჩომისათვს, ხოლო ოდეს მიიღებენ სასყიდელსა, ვიდრემდის გამოელეოდესთ, მეტყჳელებენ: „მე ხომ დიაჩოკი არა ვარო რომ ვემსახურო ლოცვასა და წირვასა. გარნა ოდეს მოშივდებისთყე ესე ვითართა უხამსთა ჭურუშეობასა[4] და საქმეთა კადრულობენ, რომელთაცა დიაჩოქთა როჭიკით მსახურნი არცაღათუ სიტყვით იკადრებენ“.

ეგრეთვე ვიხილენ რომელნიმე, რომელნიცა აქებენ უმეცრებასა თჳსსა და იტყჳან, „უმეცარნი უმეტეს ცხოვნდებიანო ამა სოფელსა შინა“. რომელთაცა მიუგე მე და ვარქუ: აჰა, სულიერთა მეცნიერთა შკოლანი და შკოლიერთა მკედრობა და ქალაქები და სოფლები და სამსაჯულონი ადგილნი, რომელთაცა ზედა სული ცხებულისა განსუჩნებულ არს. ეგ სახედვე ვიხილენ ვიეთნიმე დაწყებული ლიტურღია დაუტევეს და წარვიდენ მუნ იქი შორს მესამე ნაწილისა წირვისა მოსმენად. გარნა მუნცა ჴმლითთა არა უტევეს შესლვად შინაგან, არამედ დასდგნენ გლახაკებთა თანა კნიჳლა რომლითთაგან დასუსტებულნი.

კუალადცა ვიხილენ ვიეთნიმე ჩუჩნნი მქეზარენი სადილობადმდე ჰურუმეობითა[4] და ამბისა წიკვთა ურთიერთ სამტეროჲთა, ხოლო შემდგომ სადილისა შეიცვალნენ განმაძლომელისა მაგიობელად და უფროსღა მბასრობელად კოწლებითაგან ფერხებთა ბრჭალეზადმდე ე. ი. ჯურვება სისხლში აქვს, ცხრო კუჭში, ქარი ძულებში, ხუთვა ძარღუებში თაგუნში და ტენონში. შაკიკი თავში, ფილენჯი გვამში, მარგული სულში, ხიკრისი ძუელებში, სურავანდი ჴორცში. მღიერი ტყავში და უშორეს ეგრეთვე ვიხილენ კეთნიმე, რომელთაცა იხილიან რა მამრნი და მდედრნი ერთად მიმავალნი საზოგადო გზასა ზედა. შუადღე ანუ სახლებთაგან გამოსრულნი. აჰა, იგინი მარცხენანი არიანო, რომელთაცა მიუგე: ძალგიძსთ მოწერა ჴელისა მაგალითებრ. რომელ იგინი არა იყუნნ მოყუასდობით, სძლობით. მამიდობით, ბიძაშვილობით. და ნათლის დედობით. მომიგეს: არა ძალს გვძსო ერთბამად ვსთქუათ მარცხენა ჰყოფა მათი. ანუ მარჯულ ჰყოფა, არამედ საშუალ ვიზრახავთ, რომელთა მიუგე: „აჰა, მახმედიანთა ქონანთ ნივთნი და სიტყუანი ე. ი. არც კეთილნი და არც ბოროტნი. გარნა ჩვენ ქრისტიანეთა საშუალი კეთილისა და ბოროტისა არა რაჲ უწყით. დასასრულ ვიხილენ რომელნიმე ქართუჩლნი, რომელთაცა ვერ ძალიდუეს თჳსისავე სურვილითა თჳნიერ თერმონიისა სმენა ლიტურღიისა ე. ი. თჳთ მწიგვნელთა, რომელთაცა მომიგეს: „გული კანკალს დაიწყებსო, უკეთუ არ შევსვით ცხელნი და თანგრუზნი“ და სხუათა მომიგეს: „ჩვენი კუჭი სახსნილოებს ესრეთ დეეჩვივა, რომელ აღარა ძალუძსო სამარხოთა მიღება და ესე ვითარისა სახითა კეთნიმე კუჭითა განათოდენ და რომელნიმე ფერჴებისა ტანტალითა“, ამად ვსწუხარებ დიდ ფრიად. გარნა რჩეულნი ჩვენნი მარადის კეთილ არიან. ესენი არიან სასოებანი ჩემნი შემინდეთ ეპიფანია ესე ოდენნი.

იგულვე ე. ი. აქ მე მომითხრეს გაზეთის გამოცემა ტფილისით პებლიჩნი ე. ი. საკრებულო. აჰა, თქვენ ეცადენით, რათამცა ქართულსა შტილსა ზედა იყოს განკარგულ და ნუ სომეხთა ტანსა ზედა და

ბგერასასა, რათა ახალ მოსწავლენი არა ეგრეთ ბგერდენ რომელთა აღმოფხეკა არღა ძალიდების თხემითგან და გასწორება ენისა კილოთა და გამოღებათა და დეეცემის ენა ჩვენი უძკრეს პირველისა. ფარნაოზ ქართლოსიანმან დიდ ფრიადისა ღუაწლითა გააკოპიტა. ხოლო პეტ-როწმან მქისე გაწყლტუა. და ანტონი კათალიკოსი I დაამწკრივა. აჰა, თქუჱნ ეკძალენით დარღუჱვასა და განმტკიცვასა სიბრძნისა ადი-დებითა. ე. ი. ღრამმატიკითა და რიტორებითა ლექსიკონისა დედან ძირფესვებითა და ნერჩებითა და ჩინჩლებითა.

აჰა, უბედურთა ბერძენთა ენა დაიცვა ლექსიკონმან ეკკლესიურ-მან და სამოქალაქომან. ეგრეთუჱ განბნეულთა ჰოსიანთა საბეჭდავნი და ენა დაიცვა. ეგ სახედვე პაპისა გარდატეხითა დამჴობილი ენა ლა-თინთი დაუკრძალა ლექსიკონმან. რამეთუ ენისა საუნჯე ლექსიკონია. ხოლო ღრამმატიკა ფურცელ ყუავილნი არიან და უფროსღა კუკურნი, ხოლო რიტორიება შროშანია და კეთილნი თხზვანი და სტიხნი არომატ-ნელსაცხებელ სუნნელია და ფილასოფითა ადიდა და ღვთის მეტ-ყუჱლეჱა ანტიფონი აღსავალთა საკუთარისა ენითა აღსვლა წინაშე ღვთისა.

დასასრულ ჟურნალიცა დაიწყეთ მცირე მცირედ საშუალსა ზედა გონიო მცურვალობის მცურვალობისა ლექსებითა. და არა მკელობელ ოღრო ჩოღროთი და უვაკობითა.

ეგრეთუჱ ტანსა და კილოსა და გამახვლებულსა და დალბილე-ბულსა პროსოდიასა ზედა აკითხე წიგნი. და ლმობიერსა და მხიარულ-სა ჴმებსა ზედა. და მოქმედებითი და ვნებითი და ბრძანებითი სქესთა ზეღა კლასსა შინა აკითხეთ ნიჭოვანთა, რათა სხუათა მიბაძონ. იხი-ლენ მთიულნი, ფშაურნი, და ჴევსურნი და ჰიორელნი და რომელთაცა უდარენიე უმჯობესნი იყოს ესრეთ ყავთ ე. ი. ამაღლება ჴმათი. და დამდაბლება და საშუალი ბარის ენა შერეულია. დასასრულ, თქვენი სიმრთელე მომწერეთ და სახლეულთი თქვენი და ჩემი ძმისა და შვილთა მათთი. მოწერილნი ჩემნი მატიანესა შინა შთააწერინეთ მო-წაფეთაგანსა თქვენსა, სახსოვრად ჩემისა მყოფობისა, რათა ოდეს არღა ვიყო რუდუნებულნი გალანამ დაშთეს სახლსა შინა თქუჱნისა ბიბლიოტიკოჲსა შინა ობროანსა საუკუნესა შინა აღმოკითხუად ზამ-თრისა ცნობებად ჩემდა რამეთუ წიგნთა. და პატრეტთა მოყუარენი მოყუასისასა იქონებენ და თუ თქუჱნსა პატრეტსა ე. ი. სახის სახესა. წარმომიგზავნი ვალდებულ მყოფთ. აჰა, თქვენი ავთრათნი გადავა-წერინე ჟურნალსა შინა. ე. ი. მატიანე ე. ი. მოსახსენებელში და ცო-ცხლებდინ სულიერ ძეო ჩემო ზე კურთხევითა ქუჱ აღორძინებული. იხილეთ წ. ლუკას სახარებაში ათორმეტინი საუფლონი ყოველნივე არიან განვრცელებით აღმოჩენილ, ხოლო მარკოზისაში არა ეგრეთ

კეთილნი შენნი და ჩემნი მოამბორენ. უკეთილესად იოანე წინდი ჩემი და თქუენი მომიკითხე და განამკნეთ სულო კეთილისა თვსებისაო. გარნა ამეტყუელეთ ანგლიურად ე. ი. ანგლიელნი ოდეს თვსისა ენისა კმითა მეტყუელებენ, არა შეურევენ სხუათა ლექსთა. ხოლო ოდეს სხუათა ენის კმითა მეტყუელებდენ. არა გაურევენ ლექსთა და სიტყუათა თვსთა, არამედ რომლითაცა იწყებენ მათთვე დაასრულებენ.

თქუენი მარად მლოცველი იონა მ. მ. მ. 1828 სა წელსა

№ 196

(1828 წ.) წერილი მღვდელი იოვანე დოდოევისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ მამაო იონავ, მოწყალეო კელმწიფევ.

წმიდასა მარჯუენასა გიამბორებ და თქუენსა სიცოცხლეს და მშვდობას ღმერთსა ვთხოვ. რაოდენ ჯერ მაქუნდა ბედნიერება თქუენის ავთრათისა მიღებისა, სადაცა მიბრძანებთ განვითარებასა თქუენისა ძმისწულისასა. მე ესე ვითარს რწმუნებასა ვალად ჩემდა ვრაცხ, რომელსაცა მივმართე გულსმოდგინებითის მეცადინეობითა და რაოდენიცა ძალმიძს ყოველთვს მწად ვარ აღსრულებად. ვინაჲთგან ესე ვითარი ჩემი მსახურება არა მიეგებების მას. რომელიცა მზრუნველობა დასთესე და სთესთ აწცა შკლსა ზედა, თუმცა ჩემსა, გარნა უმეტეს თქუენსა, რომელსაცა ნაყოფი თვალით სახილველ არს ყოველთათვს, გარნა გონება ძმისწულისა თქვენისა გრიგოლისა ფრიად მომძიმებს, რომელიც ჯერეთ მხოლოდ ქართულსა ენასა ზედა ჰსწავლობს და მე რაოდენიცა ძალმიცს ვეცდები მისსა ჰსწავლასა, უკანასკნელ გთხოვ თქუენის მშვიდობას მიბრძანებდეთ.

ადამ ღირსიევს უბრძანეთ ჩემ მაგიერ მოკითხვა, ეგრეთვე ნავროზაშვილმა კიკოლამ მოიკითხა, თავისი სახლობანიც მშვიდობით არიან. თქუენი მარად მლოცველი მღვდელი იოვანე დოდოევი.

## № 197

## 1828 წლის 1 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო, ჩემო კეთილშობილო სოლომონ იოანიჩ!

ქრისტეს ღვთისა მიერ საღთო ლოცვათა მიმრთმევლობ თქუჱნ-და გულითადიერ. ზეგარდმო შემთხოვი ყოვლისა ბედნიერებისა თქუჱნდამო სათნოდ მაღლისა:

აჰა, ესერა წელსა ამას ახალსა 1828. თთუჱსა აპრილისსა მომლოცველობ თქუჱნდამო, არათუ ქუჱყანით ოლომპისა წელთა, გინა შჳდთა ღირს ხსოვნისა აღშენებისა წელთა. ანუ კიტაიურთა წელთა და ტიბაიელთა და ინდოთა ბრამანთა და ტალმუდიანთასა, და სარკინოზიანთა და ბარბაროზთასა და რომთა დაშენებისასა. გინა ფინიკიელთაგან ვეცხლის გამოდნობისასა და ვაჭრობისა დაწყებისა და ზღუასა ზედა კუამალდისა ცურვსასა, გინა ომისა შემოღებასა ლაკედემონელთაგან ანუ ტრუადასა ზედა ბრძოლასა ელენესათჳს ჴმელეთით და ზღვით. არცაღა მაკედონელისასა, რომელმან მეფენი ქუჱყანისანი პირვალმა დაკუჱთა და ყოვლისა ქუჱყანისა მონაგენი წარტყუჱნა, რომელმან დასწვის ივარნი აფორიაქებულნი, ოდეს დაიჭიმდის პირველად თჳსი და შემდგომ მხედრობისა მწყურვალემან ბრძოლისმან მეწამულ ჰყო პირი ქუჱყანისა. რომლითაცა მხოლოდ მხეცნი ასარგებლა მძორებითა და ცეცხლნი განამრავლნა დაწუად ოფლთა ქუჱყანისათა. რომელმან ესე ვითარსა გართულებასა შინა დაიძინა ძილი დიდი განფრდილმან! მეძაობასა შინა სამთვრალო ნოტიობითა დაასრულა ცხოვრება თჳს ჭაბუკობასავე შინა.

შემდგომ ზემოთა რომთა დათრგუნეს ყოველი ქუჱყანა ჳუნეთა ტერფებითა, რომელთაცა ქუანი ქუჱბთა ზედა დადებულნი ერთბამად დაარღვიეს სრულიად სოფლისა რომთაცა ჩუჱნისა კახეთისა ტყუენი და მაჴნარნი ერთბამად მოსწყუჱს და აღმოფხვრეს ქუჱმო ივერიისა ქალაქი, დიდი კოლხიდა, რომელსა შინა იზრახებოდა ოცდა ათნი ხმანი.

ეგრეთვე შჳლმან დემონისამან მახმედ, ოცდახუთ წელ ლტოლვილმან მადინით გაცელა აფრიკა და აზია. და ომარ შეხ შესცვალა ნაცრად იგი ბიბლიოთიკა ბრძენთი, ხოლო ლანგთემურ ნაცარნი და მტუერნი აპნია პირსა ზედა ქუჱყანისასა. რათამცა იხილოს კუალნი დაშთომილთა კაცთი და სდევნოს კუალის კუალ მოკუდინებად. ეგრეთვე მახმედ მეორემან მამისა თჳსისა დემონისაგან აღიღო ჰური რისხვსა და შემუსრა ქალაქებთა მეფე ქალაქი დიდისა წ. კონსტან-

ტინესა, რომელმან მიერთაგან დააბერწა ბერძენნი არგნითა და სახივებითა მძიმითა, რომელთა კუნესამან აწინდელსა დროსა მიიღო ხმა ზეგარდმო ფერხთა ზედა აღმართებისა.

ხოლო ქუეყანისა ჩუენისათჳს რაჲღა მოგახსენო, უკეთუ ნამყო აღმოვაჩინო ვინ მომცეს მე ოკიანე ცრემლებად. გარნა მცირედრე მოგითხრობ წინაპართა ჩუენთა აწყუეტასა ტოზიკელთა სპარსთაგან ე. ი. ტფილისი ოცდაორგზის შემუსრეს და კახეთისა ერთაგანნი ერნი წარიოტრიეს ფერიეთსა შინა უმეტეს ათი ათასისა სულებისა, რომელნი ზედაშესა ჯერეთცა იცავენ. ორასნი წელნი ტფილისში მტანჯუელად დაიბანაკეს, რომელთაცა სახელებიცა ეწოდების გარემოთად ადგილებთა. რომელთა მისაფუძველადმდე დაარღვეს ქალაქი ჰუეთისა. და გაღმა ბაზარი ინგილოთი და შუენიერი გრემი და ალვანი და თრიალეთი და სხუანი მეფენი ქართლისა სამხრეთითვე რომ მობრუნდეს და ორნი კახთაგანი. და ორნი მეფენი აწამნეს და ორნი დედოფალნი. და პირისპირ წ. ჰბო მოწამისა მეჩითი დააჩენეს და გარეთ უბანსა შინა ჩჩელნი კალოდ გალეწეს, რომელსა კალო უბანი ეწოდების მიერთაგან, რომელ დღეთა მათ დროთა შინა ივერია ეძიებდა სიკუდილსა, რომელთაგან სიკუდილი ბუნებითი ივლტოდა წინართა ჩუენთაგან, არამედ იწრობდა ბუნებითი სიკუდილსა ერთსა შვიდნი სიკვდილნი. პირით კერძ სიყმილნი დიდ ფრიად მოუთმენელნი, რომლითაცა მშობელნი შვილთაცა შესჭამენ 2. ზურგით კერძ დევდათ მახვლნი ბარბაროზულნი. 3. უსაფლაობა მომწყდართი. 4. დარბევა გამკრეხელნი. 5. წ. ეკკლესიაებთა აღმოფხვრა. 6. სახლებთა დაცემა ფუძითურთ. ხოლო მეშვიდე ტყუება მწარე და ტანჯვა დატევებად სულისა წმიდისა. და მიხდად ესეოდენთა ოქროთა და ვეცხლთა. და ხუასტაკთა, რომლითაცა განმდიდრებულ იყუნენ სპარსთა მძლავრნი და აღეშენებინათ ქალაქები და მეჩიტები ეგოდენნი რაოდენნიცა ბრუჯებსა მათსა ეწოდა.

ესერა მას დროთა შინა ილოცვდა ნამთიღა იუერიისა განთიადითგან მსწრაფლ დაღამებასა. ხოლო მიმწუხრითგან ილოცვიდენ არღა გათენებასა, რათამცა მტერთა გრძელნი ძილნი ცხოვრება ივერიისა იყომცა. რომელ მას დროთა შინა განთიად შემთხუეულთ ქართუელნი ქართულის ერთნი მეორეთა უსწრობდენ: გამოესალმებოდენ მეტყუელნი ესრეთ ქრისტეს მიერვე დაგკლამდეს და გაგუთენდესცა და აღუჭრულნედცა.

ხოლო რომელნიცა მიბრუნდებოდის სამხრეთისა მხრივ ბარბაროზთაგან სატანჯუელებითა მრავალ ბევრეულებისა საჭურველებისა წყლულებითა და წინა სასირცხოსა ტყავსა დაკვეცითა, იგი დღისით ყოვლითა იქმნებოდა სამხრეთისა ჩიდალოსა[1] მსახურ. ხოლო ღამესა

შინა ღვნითა სასოებდა ცხონებასა თჳსსა საუკუნოდ — ორთა უფალთა და მამონა. აჰა დღე იგი შავი ორასისა წლისა. წ. დავით აღმაშენებელმან განაცისკროვნა. ოდეს მიუვლინა მაღალმან აფხაზეთით ტფილისსა მაშინ აღიღო სალთო ნიჩაფი. და ერთბამად ორასისა წელწლებისა დაბანაკებულნი სამთა მდინარეებთა სათავებითგან, ვიდრე შესართავებადმე ე. ი. მტკვარისა ივრის და ალაზნისა ორკერძვე გაღმა გამოღმა სრულიად განხუეტა დედა წულებითურთ სკორენი იგი კორცით: და ხენეშნი სულებით, რომელთაგანნიცა მუხლებ დადგმით მვედრებელნი ყაზახ ბორჩალოლა დარჩნენ ხარკთა თავსმდებელნი.

აჰა, ჩემო! ეკალთაგანნი იცვალნენ სიტყვერ წმიდა ცხოვარად აბო ნეოფიტე ურბნისელი, რაჟდენ წრომელი, ბუნებით სპარსნი მადლით შვილი ღვთისა იქმნენ და ზე დართვთ მოწამეცა.

ხოლო კუალნი სპარსთანი იხილვებიან ნიქოზსა შინა, რომელთაცა საცეცხლე აღაშენეს სათაყუანოდ ქართლისა. უწინარეს ყურანისა. ხოლო შემდგომ ყურანისა მანგლისის ეკლესიისა გვრგვნსა შინა გამოხატეს ცრუ წინასწარმეტყუელი. მრჩხიბავი ყურანისა. რომელნი ვიდრე მოდღეინდელადმდე ლამოდენ წ. სახარებისა სანთლისა დაშრეტასა. რომელნიცა წარსრულსა წელსა 1826 განლაღნეს თჳსისა მამისა დემონისაგან და აღიძრნენ უმრავლეს მკალისა და გარდამოღურთქაფდენ ოთხ კევნებად. ე. ი. პირისპირ ელისაბედპოლისა, და ზემო შირანისა და საშვალ გოგჩის ტბისა და ქუემო სომხითისა და ქციის ტბისა. რომელნიცა ჩრდილოეთისა ახლისა სალთო კვრსისა საჰურველისა ელვამან მოტუსნა კელნი და ფერხნი და დენთთა აღწვეს მძორები მათნი და მახვილითა აღლესილთა დაკეფეს გვამნი მათნი და მახვილითა დაჭგვლიმეს ულმობელნი ასონი მათნი ე. ი. გულნი მძვინვარენი და პირნი მგმობარნი ცხოველისა ჯურისა.

ესერა მთანი და ბორცვნი დავაკდენ ფერხთა ქუეშე ქრისტეს მოყუარეთასა და რისხვისა, ზარმან გულნი სპარსთანი მსგავსად მდედრისა შეძრწუნებულის განაკრთო ზეგარდამო რისხვამან, რომელთა რისხვისა საკრველ საჰურველნი სახედ ცვლისა დადნენ და ენა მათი ფართო სალმობითა სავსენი აღლესილნი დაბლაგვდენ. რომელთაცა დღენი იცვალნენ ღამედ და ღამენი სიზრმებად. მარძწოლებელად ბრალისა წილ მათისა, რომელთა ზღვთა წმიდათა მეფეთა და დედოფალთა და მოწესეთა სისხლმან ე. ი. რომელმან დასთხიის სისხლთ, სისხლიცა მისი დაითხიოს ზეგარდამო.

მოიხსენეთ წელნი ეპიკურელთი, სტოიკელთი, მანიქეველთი, სადუკეველთი და მეტალოლისთი და სატრონოსთი და ქერუმთი. და ათეისტი დეისტთი და ცრუ ფილოსოფოსკათი ერთბამად განაქა-

რჳა სიტყჳსა ღმრთისა შობამან. აჰა, ამას წელსა მომლოცველობ თქჳენდაო. რომლითაცა მახარებელნი ღვთისმეტყჳელებენ აღმძრცვლად. და წ. მოციქულნი ქადაგებენ და საღთო მღდელთ მთავარნი და მღჳდელნი მეორედ მშობელობენ ორთავე სქესებთა. და ეკკლესიანი ჰრქა მაღლობენ. და მონაზონნი ჯჳარითა მძლეველ არიან სამთა დიდთა მტერთა, ხოლო ერნი წარემატებიან მადლითა და სიბრძნითა და სიქადის ცხებული ჩჳენი საღვთო ჯუარითა და მთავარნი ქალაქებთა და მხედრობათა ზედა დადგინებულნი საღთო ცხებულისაგან სასოებენ წ. ეკლესიათა სამღდელოთა ლოცვასა ზედა. და ქრისტეს მიერ შესკენებულნი ბუნებითი სიკუდილისაგან, გინა მამულისათჳს მომწყდარნი იმსხჳერპლებისა შეწირვითა და პანაშვიდებითა მიელიან აღდგომასა უკჳდავსა:

ეგრეთვე მოძღჳარნი საღთონი კრულებათა განმხნელობენ და შობილთა და შობადთა ასწავებენ სჯულსა საღთოსა მსახურებად. ღვთისა ყოველთა ძვირთაგან მხსნელისა და ამეტყჳელებენ ზეციურსა ენასა ე. ი. ღვთისასა და წმიდათა ანგელოსთასა. და ღვთისა წმიდათა კაცთასა, რომელ არიან მეოხნი ჩჳენნი და ჩჳევენ ღვთისა ნებისა აღსრულებასა და ცხებულისა მისისასა.

ეგ სახედვე მასწავლელნი შკოლებისა მოსწავლეთი აბრწყინვებენ სულებსა ახალ ნერგთასა და უმორჩილებენ ფლობასა, ნებაებსა სანებურებსა და მნებებელობათა. ეგრეთვე სურვილებთაცა ნებასა ქჳეშე უმორჩილებენ. ეგ სახედვე წადილებთა უმორჩილებენ გულსა და ერთბამად გრძნობაებთა, ხოლო გულსა უმორჩილებენ სულსა და ყოველ ასოთა. ეგრეთჳე სულსა და ხორცთა სჯულსა ზენასა და სამოქალაქოთასა. და ესე ვითარისა სახითა ქრისტიანე ევროპა აუხილებს თჳალთა სულისათა, ვითარცა ამერიკასა ეგ სახედვე აფრიკასა და აზიასა, ხოლო ცხებული ჩვენი კავკასიისა და ადირბეჟანისა და კიტაიისა მხარეთ.

აჰა, დღეთა ამათ წინაპარნი ინატრიდენ, რათამცა თვთ ეხილვათ. ოქროვანი საუკუნო ესე, არათუ ოქროვანი, არამედ სამოთხიერი, რომელსაცა შინა შევედით, რომელ არს მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება და აღმართვა აზიასა შინა მართლმადიდებელისა ეკკლესიისა და ზედა ჯჳარისა და რეკა ზარებისა.

ჴელმწიფეო ჩემო, აჰა, თქჳენ მყოობადნი ფსალმუნისაებრ წინა გიძღჳთ სამეოცნი, კუალადცა ეგერა წარემატენით სიბრძნითა და ასაკითა, რათამცა მირამ³ სცეთ ყრმათა მაგათ მამულისა წინდთა, რათამცა იქმნენ არა თუ ორძილ და მშვინვიერ, მხოლოდ ვითარცა ძჳელნი თხემნი რომელნიმე, რომელნიცა ვლენან წადილითა და იყვანებიან ბუნებისაგან, არამედ ჩჳენ ეგენი კაც ზეცისა და ანგელოს.

ქჳეყანისა, რომელთათანაცა შევჰვედრებ იოანესცა მადლითა შვილსა თქჳენსა. ხოლო მე ვგიე თქჳენდამო ლოცვითა გულითად და პატივისცემითა, რომელი ვარ აქარე ხორცითა და სულითა შორის თქჳენსა და იოანესსა.

თქჳენი კეთილშობილების მლოცველი იონა იერომონახი.
1828 წელსა თთჳესა აპენისასა, I.

## № 108

### 1828 წლის 1 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იესე იოსების ძისადმი.

ბრწყინვალეო თავადო იესე იოსებიჩ, ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქჳენდამო ზეგარდმო.

აჰა, ესერა გჳედრი და შევთხოვ დიდ ფრიადისა მოქენაობისარე, რათამცა პირუელ ქრისტიანობისა ძლით, მეორედ მექჳეყნეობისა გამო და მესამე ერთ მონარხისა მსახურებისა მიმართ თითოეულნი თჳსისა წესითა კაცად კაცადნი, რაჲსაცა ზედა ვიჩინენით თითოეულნი ყოვლადნი ურთიერთისა მიმართ და ფრიად უსაჭიროესნი წევრნი ვითარცა ბუნებითად ეგრეთჳე ზეგარდამო მადლითად მიუცილებელად. ეგ სახედვე ხარისხებისა ღირსებითად თითოეულნი თჳსსა მწკრივსა ზედა ურთიერთ მოკიდულ არიან, ვითარცა ქჳენანი ზენათა მიმართ, ეგრეთჳე ზენანი უზენაესთა მიმართ, ხოლო უაღრესნი ერთობამად ყოველნივე. მამა ცხებულისა ზედა დამოკიდულ არიან ვითარცა სულიერნი, ეგრეთჳე ჴორციელნი ოქროან საუკუნესა შინა გემებად მშვიდობითი სძისა. და სიტკბოებითი გოლისა დამყნობილნი სიყვარულითა მაღალსა ზედა და ურთიერთ შეყვარებითა ჴელთა ქუეშე სკიპტროსანისასა. ამად ყოველთა მოყვარეთა კაცთა მოყვარე სახიერისასა და მისგან დადგენილისა ცხებულისა მოყუარეთა ერთობამად მოყვსითა და მამულით კიდისკიდემდე საზღურებთა სფერისა ქუეშემრდომთა კეთილ აზმნობის სიყვარულითა ერთსა ჯაჭვსა ზედა დაკავშირებულთა ე. ი. ღვთისა ნებასა ზედა და მის მხოლოსა განჩინებით წინასწარ განსაზღურებულსა უაგუსტესისა მორჩილებასა ზე. დაბეჭვდითა ზეგარდამ შთაბეჭდილთა ყოველთავე ყრმად სახელ ეჳწოდების ე. ი. ურთიერთ უმანკოებითა წრფელობითა და უფროსდა უწჩიდესისა სჳნიდისისა სიყვარულითა. ესე არს ქამიერი სასუფეველი ერისა და საზოგადოებისა აღყვავება, არათუ სჯულსა ქუეშე პატიჟისა და ექსორიობისასა, არამედ სჯულსა ზედაგებითა ბუნებითისა და მადლისასა, რომელი იგივე არს დაცხებულისასა, რომელიცა

იგივე არს მაკეთი ბუნებისა და კნინღა მაცხოვნებელი ღვარძლითიცა თვსსა ბუნებასა შინაგან გებად. და დამწყსად ენისა ჴელთა და ფერხთ. და სულებთა გონებაებისა ხვნათა უსახურთასა და აღვირ სხმად უსვინდისა ავზნეთა. აჰა, ამათ ყოველთავე მართალთა დააგვირგვინებს ზეგარდმო მადლი და ჭეშმარიტება. და ჴელთა შინა ღთისასა მდგომარე გული ცხებულისა. ხოლო მონანულთა განანედლებს. და განჴმელთა შინაგან მეფე სულითა და გარეგან ქალაქ გუამითა ღუარძლთა თვსთა ჴენეშთა. აბზინდათა ნაღუწლთა ჯერკუალთა მანკიერთა, ფლიდთა, ტრელთა, ლიღზთა, მლიქვნელთა, მოთნეთა, მზაკუართა, პგმობართა, ვერაგთა, გვრივთა, ლირწთა, სიღოდანთა, დრანჯთა და რასტიკთა ქედფიცხელთა. მეამბოხეთა მოლალეთა, მბირავთა, მეკოზრეთა, ავაზაკთა, ანგართა, მეშურნეთა თავმხრელთა, უდიერთა, მტაცებელთა მაგინებელთა, მბასრობელთა, მაკვდინებელთა, მოსისხართა, მდევნელთა, მეიავრეთა, მარბეველთა, მპარავთა, მხუწჭელთა, ცრუ ბედითთა მოგუთა გრძნეულთა მეეტლეთა, მესიზმრეთა, მემარმენიოთა, მემთრუალეთა, მეანკანაკეთა, მეფორტუნეთა, ე. ი. მებედეთა უდებთა, ზარმაცთა, მცონართა, უქმად მჭამელთა. მოტარტარეთა, მზოპავთა, ცმაგვთა, შლეგუთა, შმაგვთა, ფეთიანთა, მოკიცხართა, მაგინებელთა, მეშფოთართა, მოლალეთა, მეუსამართლოეთა, უდრეგთა, ბრიყვთა, ოჩოპინტრეთა, ადლ ხალისა საწყაოსი და სასწვრისა ზაკულისა მექონსა. ლაციცთა ცელქთა, კადნიერთა, ლაღთა, ბილწთ განძაბხეველთა, ცილისწამებულთა, ნატურალიტთა, მანიქეველთა, სადუკეველთა, გაფარისევლებულთა ჭიხმაკურთა, მეექუწთა, მოშურნეთა, ურჩთა მშობელთა მიმართ და მოძღვრისა და მეუფროსეთა და სახლეულთა შორის და გარემოთადმი უმწყსთა, უმწყსთა უწვრთელთა, ბრუჟიანთა ვნებულთა, უზავთა, მაცილობელთა მტყუანთა უგუნურთა, სულელთა, უკცთა, სულმოკლეთა, შინაგამცემელთა უსახურთა, უთნოთა უკეთურთა, და მშვიდთა დიდთა ბოროტთა მოქმედსა. და მრავლის სახით და მრავლის კერძთ მავნებლებთა. პირუელად თავთა თვსთა და მამულისასა ჴელნი ცხებულისანი კურნებენ, რათამცა წევრ მამულისა იყვნენვე კაცნი იგი განცხრილულნი თვსთა ბოროტ კორცისა ზნეობათაგან და ეშმაკთაგან და სოფლისაგან. რათამცა ცხონდენ ორკერძ კამკამებასა შინა ეკკლესიურ მშვიდობითა. რათამცა მადლით ღმერთმან მამა მონარხმან ძეებრ მადლითავე ღმერთებ ჰყოს სპერისა თვსისა შვილნი, ხოლო ნაშთნი მონებრ წიწნეულებით ძეებად სცვალოს შეგონებით შენანებულნი გარნა ცოდვათა საწყაულებისა აღმავსებელნი თივანი განიმარგლივიან. რათა იფქვლნი თვნიერ მალდამაყენებელისა აღორჩინდენ ნაყოფებთა გამოლეად ასეულებისა, სამოცეულებისა და ოცდა ათეულებისა.

აჰა, ესერა ზემო მარჯულთა ლექსთა და სიტყუათა ძლით შეგუ-ვედრებ წიგნებთა მაგათ მიღებად ჴელთა შინა სულიერ ძისა ჩემისა სოლომონ დოდაევისასა, რომლისა რეისტრი ე. ი. მწკრივი რიცხვითა ერთი მე დავიშთინე, და მეორე ჴელთა შინა თქუენსა არს. მამულისა სიყვარულის მსახურება არა არს ნივთი, არამედ სიყვარულია, რომე-ლი ზემორე დატვიფრენ.

წელსა 1828 აპრილის 1 პეტერბურხით.
თქუენის ბრწყინვალების მლოცველი იონა მ. მ. მ.

სულიერ ძე ჩემი ბრწყინვალე თავადი ძმა თქუენი იოანე ნა-ცვალ გვამობით მოილოცვით მომიამბორეთ, რომელსა მსურს ზეგარ-დამო სიმართლე, სიმრთელე და უმეტეს და უაღრეს აღსავლობა მა-თის ბრწყინვალებისათვს.

დასასრულ ვმოქენეობ, რათა მიბარებისა პასუხი მომწეროთ წი-გნებისა. რომელ ბუნებით სომეხთ თავად აზნაურთა რაოდენნიცა საქმე შევვედრე კმაყოფილებაცა მოვიღე ივერიითგან. ხოლო თქუე-ნგან რაოდენ უმეტეს ვსასოებ ეგე ვითარისა უაღრესისა ბერძენ ქართუელისა თავადისაგან. კიდეცა შეგთხოვ უკეთუ მიცნობდესღა მე ვინანივე და შემკითხონ სიყვარულით ჩემი მშვიდობა ნაცვალ პირ მექმენით. რომელი თვნიერ სიყვარულისასა არა რაჲ მსურის სხუანი ქუემთრევნი ნაგევადნი.

## № 199

### 1828 წლის 2 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა გიორგი პაიჭაძისადმი

უფალო პაიჭაძე გიორგი დავითიჩ! ქრისტეს ღვთისა მიერ ლო-ცუათა მომრთმელობ თქუენდამო სალთოდრე!

აჰა, თუთ უწყით დასაბამში პირობისა თითოეულსა რვეულსა ზედა სამი მინანთუნი და ათი შაურნი და საწერისა ფასნი მთხოეთ. ხოლო მე თვნიერ შევაპრებისა მყის მოგიძღუანე წიგნებთა მათთვს, რომელნიცა გაღმიწერეთ: დედნების ჩემისა თხზულებისაგან ე. ი. წლის [illegible]დაგება დიდი, კატეხიზმო დიდი და ორნნიცა მცირე და მესა-მეცა დოდოევისათვს. ეგრეთუჱ მეფის ძის იოანესა ოცდა ათოთხმეტ-ნი შეკითხუანი, რომელთაცა ფასნი უმეტეს ასისა თუმნისა აღემატა მცირითგან დიდა[illegible]მდე. ეგრეთუჱ ჟურნალებ-მატიანებთა შინა რაო-დენიცა რჩეულნი, გინა ფურცელნი, ანუ მეტ-ნაკლნი შთამიწერეთ.

თვნიერ ჯეროვანი ფასისა, უმეტეს მოგიძღვნიდი ღირთა მათთვს უხჳცესით.

ეგრეთჳე თითოეულთა კვრიაკებში და თვს თავებში და დღესასწაულებში მსგავსად წვიმისა პურისათვს და ღვინისათვს სიუხისათვს და სანთლისათვს, ოდესაც კი შემოგაკლდებოდა გიწვმებდის საღთო კონდაკი ჩემი. ამად რომელ პირჳელ მოხუცებულ ხარ და მეორედ კეთილი გიქმნია ჩემთვს. ხოლო მესამედ ვინათგან სამთა წელთა შინა დღე და ღამე წიგნებთა ჩემთა კეთილად და მარჯჳეთ სწერდი. ესე უხაროდა სულსა ჩემსა და ვარ განმზადებული უმეტეს ფასებთა მათ ზემო ხსენებულებთა მსახურებად მოხუცებულებისა შენისა.

ეგრეთჳე უმაღლესისა დედოფლისა მარიამ კაცია დადიანის ასულის წინაშე ვარ მეოხი, ესოდენ რომელნიცა თვთცა უკვირს უმაღლესსა დედოფალსა. რომელიცა ხშირად მიბრძანებს შენის პატივისცემისათვის უმეტეს მებრალებაო. ესერა ლანწკოვის სახლში ძოხჳელ ჩემთანა და მითხარ სამის ოთხის დღით ლოგინის დასადგმელი მიბოძოსო და მყის შევთხოვე უმაღლესსა ესერა სამნი წელნი არიან სდგეხარ და ვეძლევის თვითოეულსა თვის თავზე ოცდა ხუთი რუბლი, სადილ ვახშამი და ჩაი და ღვინო და იყი და სახლი, შეშა, წყალი და ყოველნივე საცხოვრებელნი.

ეგრეთჳე შვილისა შენისთვის მივაწერინე ველიკი კნიაზთან და მიიღო კორპუზში და დღეს გამოუშვეს აფიცრად. ესერა ჩემის მხრით მე ღმერთმან მომანიჭა ძალი შეწევნად შენდა შვილითურთ. აჰა, ესერა ზემონი სვინდისმან ჩემმან უწყის. გარნა შენ წასვლისა დროს საქართჳელოში, არღა გნებავს ფასისა მიღებისა შემდგომ მცირე რჳელებისა გამართუა. იყავნ ნება შენი. გალანამცა ლოცვით მომიგონებდე კეთილად. მე ესე მსურს.

თქჳენი მლოცჳელი იონა მ. მ. მ. 1828 წელსა აპრილის 2.
პეტერბურღსა შინა.

თქჳენს ლოცვათა შევვედრებ თავსა ჩემსა მამაო წმიდაო.

მეხსენებოდე ნამყო მსახური თქჳენი ორგზის სნეულებაში და ორსა სახლსა შინა მზრუნველი თქჳენი, რომელსა სახე მოგეც.

თქჳენი მლოცველი იონა მკდოვანი მ. მ. მ.

## № 200

### 1828 წლის 4 აპრილის წერილი იოანე დოდაშვილისა[1] იონა ხელაშვილს

ღირსო მამავ იონავ ქრისტეს მიერ ძმაო! მომლოცველობ დღესა ამას დიდსა, ქრისტე აღსდგა მკუდრეთით. გიხაროდენ და ჩვენ ცხორება საუკუნო მოგვანიჭა. მამაო ვითარცა ჩემმან ევრეთვე წიგნმანცა თქვენმან მსგავსად ანგელოზისა მისსა გედეონისსა გვახარა, გარნა რაჲ ჩემდა ვთქუა მიზეზი, რამეთუ არა. არამედ თქუენდა, ვინაჲთგან უფროს ჩემსა არს ღვაწლი თქუენი და კეთილისა ნაღვაწმან გამოიღო ნაყოფიცა კეთილი, რომელი მიმიყვანს მესა მარადღეოსა კეთილმიღებასა შინა. ხოლო გამოვხატავ რა ეგსახედთა კეთილობათა, ქმნილთა თქუენ მიერ ძესა ჩემსა ზედა, წარვსდგები დაკვლად ტარიგისა და შევსწირავ მამისად, რათა მეოხ გეყოსთ ტარიგი ესე მამისადმი, ვინაჲთგან საშვალობითა თქუენითა ჰგეჳს ჩემ შორის უცილოი იმედი კეთილშემთხვეთისა ბედნიერებისა სოლომონისადმი, რომლისა უსაშვალო მიზეზი თქუენ ხართ და იქმნებითცა, გარდა ამათსა.

კეთილ საგანმზრახო მამაო! მიცხადებთ მე წერილითა თქუენითა, რათა არა დავიწყებულ იქმნათ თქვენ ჩემ მიერ სამლთო მსახურებათა შინა, რომლისაცა გრძნობა ჩემ შორის ადრითგანვე დამკიდრებულ არს, და თუმცაღა მე წარმომდგენელი თვსდა ეგოდენთა კეთილ მოქმედებათა, თქუენის ღირსებისაგან ქმნილთა ძესა ჩემსა ზედა, ვალდებულ ვჰყოფ თავსა ჩემსა ვიდრე სიკვდილადმდე დაუვიწყებლობისათვის თქუენისა საღმრთო მსახურებათა შინა, გარნა ესეცა როგორც ვსჯი მე არცაღა — კი საჭიროებს. მით, რამეთუ თვნიერ მოხსენებისა ჩემისა თვთ უზენაესმან და ყოველთად საზოგადომან კეთილმან მამამან უწყის და მარადის ხედავსცა კეთილის მყოფელობათა მაგათ, რომელთაცა აჩვენებთ თქუენ სოლომონსა ზედა, და მაშასადამე მართლმსაჯულებისათვს ხმებრ თვისისა არცაღა დაგაშთენთ იგი თვნიერ შესაბამის ჯილდოისა, რომელსა ზედაცა შევნის. გქონდესთ ფირად უცვველი სასოება. დავშთები უგონებრიუსითა თაყვანისცემითა თქუენით, ცოდვილი მღუდელი იოანე დოდოევ.

1828 სა წელსა აპრილის 4 სა.

## № 201

### (1828 წ.) წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო მღვდელ მონოზანო იონავ და კჳლად მზრუნველო მამაო!

დღესასწაულთა მომლოცველობ. ქრისტე აღდგესა და სხვათა და ჩემს მაკურთხეველს მარჯვენეს გიამბორები. თქჳჱნი სულიერი შვილი არა ღირს წოდებისა შვილად.

სტეფანე დოდოევი.

## № 202

### 1828 წლის 11 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქჳჱნო კეთილ შობილებავ სოლომონ იოანიჩ, ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქჳჱნდამო.

აჰა, ესერა თქჳჱნი ავთრათი მოვილე. მაგიერ პასუხი თებერვლის 29 სა წარმოწერილისა ჩემგან. მარტის 24 სა. თქჳჱნგან წარმოცემული აზმნობანი ფიგურ ფიგურებ ე. ი. სტიხებ სტიხებ გინა მუხლ მუხლებ გულისკმის ყოფით დატკეცრულნი არათუ ლექსნი ზიზველ წყლტუნი, არამედ ყოვლადიერნი სიტყვანი დატკრთულნი სულისა თქჳჱნისა ნაყოფნი.

აწ, უკჳჱ გმადლობ დღესასწაულებთა დღესასწაულისა მთავრისა მოლოცვისათჳს, რომლისა პასუხი იესე ანდრონიკოვს[1] ჴელით მოგეახლებისთ ღრამატიკისა და შვდისა წიგნითურთ. და ღეოღრაფიისა რვაულებითა. ვმადლობ და ვმადლობდე მარადის, რათა სიმართლე და სიმრთელე თქჳჱნი და საგანნი განაგრძოს უკეთილესად.

ესერა მწერთ იოანესა და გრიგორისა[2] ბრჯგუობასა და ბლაგობასა. და მქისაობასა. აჰა, იხმეთ მიცემად მაგათადმი სძისა და ნუძვალისა[3] აზიურ. ვინათგან თვითჳჱ უწყით არავინ შვილნი მთავრისანი აღზრდილან მალიად თვითოეულთა დღეთა შინა შეჭმითა ოცდაოთხისა კჳჱზა პურებითა, რათამცა თჳჱსა შინა იქმნა ერთსა იქმნენ ერთის წლისანი და წელსა შინა ერთსა ათორისა წელიწდებისათ. აჰა, პირჳჱლად იკმიეთ მცირე მცირედ გარდაპეჰდა მიცემულისა საგნებისა ზემოპირ და დახსომება მათი და შეკითხეთ ძილად მისლვისა დროსა, რათამცა ძილსა შინა შთაიბეჭდოს. და შთაყჳჱსთ ეგრეთჳჱ განთიად გამოკითხეთ და მიუჩინეთ ზედას ზედარე წინარე მძღომელი

და მიეცით აღნაგებად. და წარსრულისა შვიდეულისა უქმეთა დღეებთა და კვრიაკეთა შინა გაუმეორეთ და გაუთორმეტეთ ძალისამებრ ჩათისა და დაუმწყესეთ მდაბიო ენები და ჴელნი და ფერხნი, სლვა და ჯდომა და მიმოზევითა მიყრდნობანი ცუდნი ამიერ და იმიერ ჩიმღჳედებითნი. და მოუსპეთ უქმნი მეტყჳელებანი და მცონარება და მეტნობითნი ძილნი და სიცილნი, არამედ ალაბაძვეთ კეთილისა შურითა, რჩეულთა მიხედვად და გუაჯიაობად მათდამი. და ასწავედ სვინიდისი სირცხვილნი და თაკილნი. უშჳერთა ლექსთა სიტყუათა და საქმეთა შერისხეთ და შეაკდემინეთ და განამხიარულეთ ანუ რომელი და რაველნიცა მოქცევა და სწავა მარჯჳე იყო საგანი შეუქმენით გაადკლებად ესრეთ და ეგრეთ იმ სახეთ და ამგჳარ და იმ ხატად და ამ მაგალითად. ვითარცა უწყოდეთ ხარაკტირნი, ფიზიაგნომიანი და ტალანტები და ბუნებანი და თვსებანი და ძალნი სულისანი მაგათისა.

საბლარდნელნი მოგიფრიდიათ იოანესათვს, ეგეცა კეთილ არს, გარნა მომწერეთ რომელნი ფერნი აღირჩია. ესერა ჩემი ძმა გიორგი გმადლობს დია ხსენებისათვს, რომელი მარწმუნებს გრიგორი არა არსო სწავლასა შინა რომელსა არა ურწმუნე.

თქჳენისა პატიოსნისა წერილისაგან ესერა სამგზის გულსავსე ქ̃ნილი, ხოლო თქჳენ დაშჳერით, ვითარცა ინებეთ უმანკოსა სვინიდისითა თქჳენითა საქმითურთ მაგათ ზედა, რომელთათვს მე საქმით მზა ვარ და ვიქმნები თქჳენდამო ჴელითა ჩემითა გარდახდად უფასურთა მაგათზედა და შრომისა.

ესერა მწერთ მშვიდობასა და სიმრთელესა ზოგადსა ძლიერებითა ზეგარდმო. ესერა დედაკაცი რაჟამს შობამბდეს მეორე სულისასა მწუხარე არს. გარნა ოდეს შჳას კაცი სოფელსა შინა, მხიარულ არს ეგრეთჳე იწყო მხიარულებამან მანდარე დასაბამი. ეგ სახედვე გარდამატოს საზრდელთაცა იეფობა მართალთა შემყჳარებელმან და ცოდვილთა მონანულთა მოწყალემან. და ვითარცა მართჳეთა ყორნისათა მიხედავს მაღალი უნაყოფოთა კლდეებთა შინა და ზრდის უმეტეს ხატებად დაბადებულთა თვსთა. ერთა მოუვლინოს სიონით ჩეწევნა და ორნატთა და ნაოშთა და ანეულთა და კორდთაცა აღმოაცენონ ნაყოფნი განძღებად გლახაკისა ერისა. ეგსახედვე მტილთა, ვენახთა, სამოთხეთა, წალკოტთა, აგარაკთა, ბაგათა, აბეჩხართა და ტრამალთა მინდორთა, ველთა, ზეგანთა, მთათა, ბორცვთა, სერთა, ღელეთა, ვაკეთა და ტყეთა და კორუმთა, ეწერთა, ბაბილოთა, მაღლართა, დაბლართა, აღმოაცენონ უმეტეს დალესილნი და დარგჳლნი და ეგრეთჳე უთესელნი და ურგჳელნი უხჳებანი. სიტყვერთათვს. და მშვენიერებათა თვსცა. რათამცა სულნი და გულნი და თჳალნი და ყურნი და პირნი ალივსნენ ზეგარდამო კაცთმოყუარისა სახიერისა

წყალობითა და მოწყალებითა დიდ დიდებითა მცხუჱდებითა და მსთუჱლებითა, რათა ახაროს პურითა, ღვინითა და ზეთითა გულნი კაცთანი აღვსებითა კალოებისა საწნეხლებისა, ბეღლებისა, ჰურებისა და საუნჯეებისა.

დასასრულ, წარხდების ჰირნი სალმობანი, ურვა, შესლბობანი იუჱრიასა. და დაადგრების მშვიდობა, იეფობა, უხუჱბა სიყვარულნი და სწავლანი. მაშინ ახლანდელნი წიგნები მხოლოდღა იგინი დამკუდრდებიან და შემდგომითი შემდგომ წიგნებიცა კეთილნი განმრავლებისა ძლით გამეფდებიან.

აწ ესერა მწერთ მარკა საბურველისა ფარებასა პირებთა ზედა ორთავე სქესებთა ვიეთთამე. აჰა, ეგე საბურველნი გონებისა დაბრმობისა ე. ი. სასწავლოთა დაცემისა არამიასა შინა და სპარსეთს მაჯწედმა დაბურა შინაგან სულებსა მათსა. ხოლო გარეგანცა დაბურა გრძნობათა მათთა ბადენი განბითუმებულნი, რათა ვერღა ხედვიდენ ევროპასა.

ხოლო, რომელთამე ერსა ჩუჱნსა დაბურა სამ სახედ განაწევრებამან ყოვლადისა ფაენისა და ბურთისა და მთავრებთა განდგომამან, რომლისა მიზეზი უმეტეს იქმნა ათაბაგი ქუჱმო და მთავარი კოლხიდიისა. ხოლო ზემო მთავარი ავარიისა და პანკისისა: რომელთა სწავლა და სიბრძნე და ჴელოვნება მხოლოდ სქესებთა ქება იყო.

ეგრეთუჱ დანარცხებით დაკუჱთებამან აოსიანთა ერისამან მოსპარცვა ზღუდე მშვიდობისა იუჱრიასა. ეგსახედვე დიდისა იმპერიისა ელინ ბერძენთა დატყუჱბამან ჴელებთა შინა ბარბაროზთასა განცხრილა ერი ჩუჱნი სიბრძნისა და გონებამან, რომელ მიერითგან ქუჱყანასა შინა ჩუჱნსა ღუარნი სისხლებთა სდიოდა სოფლებსა, დაბაებსა სანაჴებსა და ქალაქებსა, ბრძანებითა ყურანისათა. აჰა ესერა მოხედა მზემან ჩრდილოეთისამან ობოლ ყოფილსა ქრისტიანე გიორგისასა, რომელი ატფობს სიბრძნითა კიდის კიდედმდე. და აჩრდილებს ჰურვილებითა აჴარებს მშვიდობითა და უვაკებს გარდარეულისა სიყვარულისა მოწყალებითა. და აგვირგვინებს უქადაგოთა, უმეტეს სამასისა წელთასა სადთოსა ქადაგებითა ამიერ და მიერ განსუჱნებულ ჰყოფს. იესე კვირას ცხებული ე. ი. ახლისა აღთქმისა ნ. პ. ი. რ. რომლისა ფერხთა ქუჱშე მთანი და ბორცვნი და მდაბლებით დავაკდენ და ზღუდეებისა მოქლონნი და კლიტენი განეხვნენ. ესე რა ჴმასა ჩემსა შეუდგენ ჴმათა, ისაია ჴმა მაღლისათა და ვრქუამ წ. გიორგი მჴნე მუშაკისა მოსახელესა გიორგი სეხნიასა მთავარ მოწამისასა ქართლისა სახლსა და კავკასიისასა და კოლხიდისასა და სათაბაგოსასაცა. აჰა, ესერა ჩუჱნთანა არს ჴელი ღმრთისა და ცხებულისა მისისა ცანთ წარმართნო და იძლიენით; რამეთუ ჩუჱნთანა არს

ღმერთი და შეყუარებული მისი ცანთ მეჩითნო და რამეთუ ჩუჱნთანა არს ქრისტეს მოყუარე ჰურვილი და თაონნი მათნი მოშიში ღვთისა და ცხებულისა მისისამებრ სცანთ მელანნი უდებთა ზედა მსასოებელნო. რამეთუ ჩუჱნთანა არს მდაბალთა აღმამაღლებელი ცანთ მსხვილპარკალთა და ცხენ უნეთა ზედა მსასოებელნო, რამეთუ ჩუჱნთანა არს. საკურთხეველი და შესაწირავნი მსხუჱრპლნი ცხოველნი ძლისა ღვთისა მეოხად ჩუჱნდამო. ცანთ წარმართნო და იძლიეთნით სამხრეთისა ქუაბსა ზედა მყრღნობილნო, რამეთუ ჩუჱნთანა არს სული წმიდა ნუგეშინის მცემელად ჩუჱნდა. ცანთ წარმართნო და იძლიენით წყლითა და მტუჱრითა მსასოებელნო აკოცად ჩუჱნდა თვნიერ კოდვისა. ცხონებად თქუჱნდამო. რამეთუ ჩუჱნთანა არს წ. სახარება მტერთაცა შეყუარებად. ცანთ წარმართნო და იძლიენით. წიგნაკისა თქუჱნისა ლექსებით შელოცვილნო მოგუთა და გრძნეულთა და მისნეზთაგან და ამ სახედ მსასოებელნო და მთოვარეთა ზედა და ვარსკულავებსა ზედა მინდობილნო. რამეთუ ჩუჱნთანა არს ღვთისე წმინდანი მეოხად და არხიერნი და პრესვიტერნი და მონაზონნი ლოცვითა და ლიტურღიითა და პარაკლისებითა. ცანთ წარმართნო! ფიზიკურსა სამოთხესა შინა მეძაობისა მომლოდნელნო. რამეთუ ჩუჱნთანა არს ბრძანებითა ღვთისათა ცხებული მისი მადლითა და ჭეშმარიტებითა და მართლმსაჯულებითა. არა რკინისა კუჱრთხითა მწყსად ჩუჱნდა თქუჱნებრ არამედ ს. ჯვაროვანისა სკიპტრითა მომზღუდველი სპერისა პორფირითა თვსითა. და კრმლითა ალვირმოსხმელი თქუჱნი, რომლისაგან დადგენილნი მკვილავნი არიან უძილო. და თაონთა მკედართა და მოქალაქეთასა არა რულისთ. ცანთ წარმართნი და იძლიენით, რომელნი თავის თვსი ინეტარებით ზღაპარ სიტყუობითა მეტყუჱლნი ესრეთ მმუფლებელობითა წარსრულთა საუკუნებთა შინა შვიდნი ჯელნი მზიესთო და ათნი თავნი დამხოესთო გუამსა ზედა თითოეულთა ოცნი თუალნი და გუგანი ქონიესთო. და ზედართავთ, უკეთუ მფლობელთა ჩუჱნთა ისხან ხარჯანი ათასნი, უმეტეს განვძლიერდებითო და სჯ მდეს ფლავსა და სმიდეს ვაყინსა და იგემბდეს ნარაჯსა და ყირთა. დასასრულ ცანით წარმართნო მომდოვრება თქუჱნი უფლისა ცხებულისაგან თქუჱნდამო განსუჱნება არს, რათა ისწაოთ კაცობრიობა და უფროსლა კაცყოფა თქუჱნი და სიკუდილნი თქუჱნი იყოს სიზერითა და არა რკინისა კუჱრთხებითა და კურთებითა და მძიმის საკივებითა და ანბალა ფერხებ წინწიბურებითა და თოკებითა და გამოშიინვითა ტოზიკურისა მახვლებითა თქუჱნითა შინაურთა მმუფლებელთაგან რომელსა ვისიც რაჲმე მოძრავნი და უძრავნი მოეწო-

ნებოდა, მიგხდიდათ და გრაცხდათ თჳსისა მუცლისა საკლავებისა სახედრე განძღომად. რომელნი ცრემლთა თქუენთა რაცხდა სმედ და გოდებასა საკრავ სახიობად.

ესერა საფლავნო და სამარენო ივერიისანო! თქუენცა გიხაროდენ ჩუენთანა ე. ი. თქუენ პანაშვიდებისა განმრავლებისათვის საუკუნო ცხოვრებად. ხოლო პარაკლისებითა და მსხუერპლებითა და ეკლესიაებისა ქადაგებაებითა აღყვავებითა ჟამიერ ცხოვრებად და საუკუნოდ, რამეთუ განვისუენეთ აჩრდილსა ქუეშე ჯუარიანისა სკიპტრისასა. და გვირგვინსა შინაგან ცჷებულისასა. ესერა მხიარულებით კუარცხლბეკსა ზედა შევედრებული მეათსამეტე მეფისა გ. 2. ძისაგან.

ესერა სულიერ ძეო ჩემო წარმოგიწერიესთ სურვილნი თქუენნი ღრამატიკისა შეწყობისა ახალსა დარიჯაგსა[1] შინა უმჯობეს არს, რათამცა შერევნილნი ენისა ჴმანი და ზუტაკებით დაოფაზღეს არა ძუელთა თხემებთა სარგებელად, არამედ ახალთა ყრმათა სულებთა შინა მოსწავლეთასა გარდამბეჭდად უსაჭიროესად. რათამცა მით რუსული გაიგონონ და რუსულითა ძალნი თჳსისა ენისა ჴმებისა.

ამად სასწრაფო არს პირუელად ქმნა ღრამატიკისა, საშუალ დიდისა და მცირეთა, რომელსა რუანი ნაწილნი რომელი მხოლო ერთი სრული სიტყუა არს. მე ესრეთ ვსჯი, უკეთუ მე ვთხზვიდე ახალსა ე. ი. უადვილესსა ღრამატიკასა. არა ფილოსოფიურ დავქსვიდი, არამედ მხოლოდ ეპიფანია სიფრიფანად, ადვილ განგონებად ყრმათა, ხოლო წინასიტყუაობასა შეუქმნიდი ოვრცესა, რომელსა შინა შევამწყვდევდი რუათა მათ სიტყვისა ნაწილთა ძვალთა, ტვინთა და ძარღუთა და ძალთა ჴმისა ჩუენისასა. გინა გაუკეთებდი ორთა სჳნტაქსთა ყოველი პირუელსა მოკლედ შეცნობად ყრმათა და მეორესა ვრცელსა მუნ გამოთარგმნად რუა ნაწილთა, ვინათგან ღრამატიკისა განდიდება არა დასრულდების, მაშინ უმეტეს ოდეს აღყვავდეს ენა სიბრძნეთა (იხილე ლომონოსოვის ღრამატიკა და აწ და ის ჟამისაცა), რამეთუ არა არს ქართული ღრამატიკა ძნელ, რომლისა (რ) ზმნანი ორთავე სქესთა ერთი და იგივე არიან. ეგრეთუე მოგებითნი და ბრუნვა მხოლოდ არსებითნი სახელნი არიან სხუაობილნი და მიმღეობა. ეგრეთვე რიტორებისასა მომითხრობთ. უკეთუ ვთხზვიდე ჩოვიხვამდი პეტრიწისა ლ. კლემაქსსა და წყობილ სიტყუაობასა I ანტონი კათალიკოსისა და ამირან დარეჯანიანსა ცნობად ძუელისა თხზვსა და კავშირსა დიოდოხოსისა პლატონურისასა. და დიდისა მეფე თეიმურაზისა თხზულსა პირისპირ ვეფხის ტყაოსანისასა და სხუათა და სხუათა მონასტრებისა უკეთილესსთა წიგნებთა და მტილისა მათისა აზმნობასა გამოვწნეხდი და ესრეთ სამნაწილედად შე-

ვადგენდი როტორებასა მსგავსად იესტეტიკისა და განვაწვალებდით სამ ხარისხ აღსავლობად. მაღლად გაგონება ფილოსოფიისა. საშუალ გაგონებ სალთო წერილისა და ღვთის მეტყუელებისა დაბლად, გაგონებად საროო წიგნებისა და დაბიო ენებისა. და სტიხებისა და ლექსთა. ე. ი. წესოვნებათა მათთა სამსახედ წარმოვაჩენდი ხოთთა ორთა და ერთისა ტალანტისა მექონთათვს.

გარნა არათუ მხოლოდ სიტყუებთა და ფიგურებ მუკლებთა დავტურთავდი, არამედ თითოეულთა ლექსთა მიროვანთა ესრეთ აღვავსებდი ვითარცა ბროწეული მრავალ ბევრეულისა მარცვლებთა. ხოლო მშრალთა ლექსთა და განბერილთა სიტყუათა გარეგან ენა მჭევრობითა და ფერადეულთა მოვსპობდი და ვიხმევდი სიბრძნისა არნადსა ნიჩაფთა. ცხრილთა, ტაბაკთა, საცერთა, და უფროსღა და სამტკიცთა. ხოლო ბერძულთა და ლათინურთა ხრიათა, ფიგურათა და ეგე ვითართა ძალთა ცნობათა გარე მუნვე არშიასა ზედა მოვწერდი. ეგრეთვე საშინარულოსა მაგალითებსა და სატიროებსა ჩუენებულ ვყოფდი. რომელნი ხშირად არიან სოფელსა შინა. ხოლო ცხოველებისა კმებსა და ორძილთა შრიალთა და წყალთა ხეილსა და ნივთებისა ბგერასა და ფერკთა და კელთასა და ქუხილთასა ეგე ვითართასა რომელთა კნინლა და ენა ჩუენი შეამსგავსებს მათსა ბგერასა წარმოჩენითა ამათ ერთბამად ერთსა ფურცელსა ზედა შევკრებდი ყრმათა ჩუენებად.

აჰა, ესერა აზმნობისაებრ ჩემისა შვლი ლოღიკისა არს და მხევალი მეტაფიზიკისა, რომლისა ნივთნი არიან ფიზიკანი ყოველნი და წინამძღოუარ ითიკისა. ხოლო მსახური საღთო წერილებთაისა და ღვთის მეტყუელებისა და თაონი ისტორიებისა და დედა სამოქალაქო ცხებულისა და მამა სტიხებისა, ხოლო საღთო ქადაგებისა ფრიადია შუენიერ განკაზმითარე. დასასრულ ღრამატიკა ანბანია ენისა. ხოლო რიტორიკა სახიობა არს შუენიერ ტკბილ სმენად ყურთა და უფროსღა სულისა განმასუენებელი ებანი. არა მხოლოდ ლექსებ სიტყუებითა, არამედ ყოვლად ყოვლადობისა ძლიერებითა თნებად. ბრძენთა მონადირებად უცებთა და პირთა და ყოფად ჭიხმაკურთა.

წელსა 1828 სა აპრილის 11 პეტერბუხით. თქუენი მლოცველი იონა.

ესერა თქუენ უტევეთ პირებ ფართონი და ენა დიდნი რომელნიმე ბრუყისაებრ და მებრ მცმაგავნი თქუენდამო მარცხულ, ხოლო თქუენ ანითგან სჭვრიტე შესა და წინარე აბიჯეთ და ნუ მიიღებთ ქებასა გარდარეულად. ეგრეთვე ქირდვათა გარდამეტებულად. ეგე ვითართაგან რომელნი დილით წართქუამდენ და შუადღე უკუსთქმიდენ. ვითარცა ყრმანი ნაგევსა ზედა მსხდომარენი დაბიონი მასკია

საბურველიანთა კაცთა ერიდეთ უქმად მოტანტალეთა ჟამსა სადილობისასა. გზასა და უბნებთა შორის არა რაჲ იქადაგო, გარნა სახლსა და კლასსა შინა მხოლოდ, არა დაუფინო მარგარიტი ღორთა. ერისთავი მომიკითხეთ.

იოანეს, ძმისწულსა ჩემსა ლოცვით მოკითხუა უბრძანეთ, რომელსა წარუგზავნე ექვსნი წიგნნი ქართულნი და რუსულნი, რომლებთა ზედა სახელებიცა აწერია.

პანციონისასა მწერთ, აჰა, მოუთხრობენ ფულისა გამოსულასა უავგუსტესისა წყალობასა, მაშინ წარმოუგზავნი, გარნა ამიერვე მიმფინეთ თავადაზნაურთა ყურებთა შინა და სიღნაღურთა ვაჭრებთა და ქემხებთა მიმართ ნელ ნელა ესრეთ მეტყუელმან: პანციონი სიღნაღისა შინა საჭიროა, უკეთუ შეწევნა იქმნებოდეს ნივთიერებით სიტყვითა და საქმეებითა.

## № 203

### 1828 წლის 28 აპრილის წერილი ონისიმე მღვდლისა იონა ხელაშვილისადმი

მის მაღალ ღირსებას და ყოველთა წმიდათა თანამოსაგრეს და ყოველთა ნათელთა მობაძავს და ჩემეებრ დაბნელებულთა განმაბრწყინვებელს და სრულიად აღმასრულებელს ბრძანებისა უფლისასა და მოსურნეს დიდისა მის სუფევისასა, რომელი თვალმან არა იხილა და ყურსა არა ესმა და გულსა კაცისასა არა მოუხდა რომელი აღუთქვა მოყვარეთა თვსთა მამაო მამათაო მღვდელ მონოზანო იოანე ბრწყინვალეს და ნათლით შემოსილს მარჯვენეს ამბორს გიყოფ და შევთხოვ ყოველთ შემოქმედს აწ და მარადის და უკუნისამდე მრჩობლ სუფევდეთ. მსურს თქუენი ხილვა ესრეთ, ვითარცა ვიხილო ყოველთა წმიდათა გვამი. უკეთუ ხორცით ვერ გიხილო სულითა უხილავს არ ვიქმნები ესრეთ შემირაცხიეს, ვითარცა ბრძანებს უფალი, ნეტარ არიან, რომელთა არა იხილავ და ვირწმუნე. უკეთუ ინებოთ ჩვენი ვითარება, ვცხოვრებთ თქუენის მადლით ყოვლის სახლეულითურთ. სხუა არა რა მიძს თვინიერ საღთოს ვედრების უმეტესი თქვენთვის ვედრება უფლისა მიმართ და ეგრეთვე შეგვედრებ თავსა ჩემსა, რათა ყოფდეთ ხსენებასა ჩემსა ოდეს შესწირვიდეთ მსხუერპლსა. ამისთვს კადნიერ გექმნე, რამეთუ ბრძანებს შეიყვარე მოყვასი და მტერნიც და კეთილს უყოფდით მოძულეთა თქვენთა, ხოლო რომელსა რწმენეს, ცხონდეს. გთხოვ, ვედრებით; ეკლესიას ვაშენებთ ყოვლად წმიდისას. და ცა აკლია, დიდად შეწუხებული ერი გახლავსთ და არა

ძალუცთ, რათა სრულყონ ეკლესია, რომელნი მოწაფენი გახლავან მოყვარენი და ბრძანებისა მისისა აღმასრულებელნი უქადაგოთ, რათა შემწე გვექმნენ გინა მეფის ძენნი, გინა კუპეწნი და კუალად მასცა გთხოვ, ფრიად უმეცარი ერი გახლავს და თვთ მეც უმეცარი. სამხილებელი ჩემიც და ამათიც წერილი მდაბიური განმარტებული გვიბრძანოთ, რათა მოვაქციოთ შეცთომილნი, რომ ბრძანებს რომელმან მიაქციოს შეცთომილი გზისაგან, იხსნეს სული თვსი წარწყმედისაგან და დაფაროს სიმრავლე ცოდვათა.

თქუენი უღირსი რძალი ნატალია თაყვანს გცემთ და ინატრის მარადღე ხილვასა თქუენსა და შესთხოვს ღმერთსა თქვენთა დღეთა განგრძობასა.

მე უღირსი მღუდელი ონისიმე ოსი და მოძღვართ მოძღვარი.

**№ 204**

**1828 წლის 29 აპრილის წერილი იოანე ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი**

1828 აპრილის 29 ყარალაჯიდან,

ჩემო სურიელო იონა!

ნათლით შემოსილს მარჯვენას გიანბორებ და თქვენს მშვიდობით ხილვას ღმერთს მიერ ვითხოვ. ჩვენს ვითარებას მოიხსენებთ, დიდი განსაცდელი შეემთხვა ჩვენს ოჯახს. პირველათ ჩემი ძმას იესეს შვილი — დიაც უცხო შვილია და ჩვენი ოჯახის საბედნიერო გადიცვალა. მერმეთ ნინია, რომელა ძმისშვილის ცოლი და მერმე ისევ ცოდვა მეკითხა ჩემის ცოდვით და უბედურებით ადამის ცოლი მიეცუალა და ამათი დამიობლეთ ჩემი ცოლშვილი, რომელიცა ყავდა თავის სამშობლოთ და სანუგეშოთ თქვენს სულიერს შვილს. საკუთარი ჩემი სახლობა[1] მშვიდობით გახლავარ, დედა ჩემი ბატონისშვილი[2] ქალაქში ბრძანდება. ჩემი და თავის შვილით ჩემს სახლში თავის რძალთან სცხოვრებს. ჩემის პატარა ბიჭის რაღა მოგახსენოთ რა რიგი მლოცავია — თქვენმა მადლმა მივა ხატების წინ, ჯერ რუსულათ ღოსპოდი პამილუის იძახის, იყრის მეტანიას და პირჯვარს იწერს და მერმე წიგნს აიღებს და თავს ნათლია იღუმენ მიხაილისავით ილოცავს. სიმღერა და თამაშობა რაღა მოგახსენო, რაღა ქიზიყურად დავიკვეხო, დავიკვეხო თუ ღმერთმან გამიზარდა არა ღირს ვარ ღვთის მოწყალების. დედა-მამის ღვთით კარგია ხაზინიც გამოდის, მაგრამ ძალიან დასქელდა. მე გახლავარ პოდპოლკოვნიკი და კავალერი ესე იგი ანნა

მეორე ხარისხში, ვლადიმერი მეოთხე ბანტით და ყიზილბაშის ორდენი და მედალი. მაგრამ თუმცა ღმერთმან სამსახურში ბედნიერათა ვარ, მაგრამ მარტოხელობა მაწუხებს, სახლიერობა მექცევა.

ჯერ იმ 1826 სულ გაქურდეს როცა ჩვენ ყარაბაღში ვიყავით ყიზილბაშებთედ. მერმე სახლი დამიწვეს, აღარ გადამრჩენია რა, თითქმის ახლაც ვერა გამომდგარარა. თუ ოსმალოზედ ომები არ იქნა, უთუოთ ზამთარში მანდ გიახლებით მარტო მცირეს ხანით, ჩემს საქმეზედ. და მერმე სამსახურიდანაც მინდა გადავდგე, ვიყოფინებ ამდენ სამსახურს. ახლა ერთი პომეჩიკობა მინდა, ჩემს პატარა ბიჭს უზრუნველი ყმა დაუგდო. ახლა ის მოვამზადო ყოვლად მოწყალის ხელმწიფის სამსახურისათვს, გარდა ამისა მამაო იონა მე თქვენ ძალიან მაკვირვებთა და ვერ მივმხვდარვარ — რა მიზეზია ყოველთვის ჩემი თხოვნა და ვედრება ეს არის, რომ ჩემი ფული გამომიგზავნოთ და თქვენ პასუხსაც არ მწერთ. შარშანამდინ კიდევ მპირდებოდი, რომ გამოგიგზავნიო, და ახლა ეს ერთი წელიწადია ეგეც დააყენე. არ ვიცი ჩემი ფული სად გამიმაგრე, სარგებელი არა, თავნიც ველარ მივიღე. ახლა გთხოვ დიდის ვედრებით, რომ მეტი შეხვეწნე აღარ იქნება, როგორც ეს წიგნი მოგერთვათ ქალაქს თუ სიღნაღს თუ პოლკში საცა გნებავდეთ ფოშტით მიბოძეთ ან ჩემ სახელზედ ან ჩემის მეუღლის საჯელზედ. შენმა მადლმა, რომ ძალიან გაჭირვებული საქმე მაქვს, თორემ თქვენც შეიტყოფთ. თვეში თუმანს აბაზედ მივიღებ. მარტოც თავნი ექვსასი თუმანი მართებს. ასრეთს საქმეს შევები, რომ აღარ განეწყობის რა და ამთვის ან მეგობრობით ან სიყუარულით და ან სიბრალულით ჩემი საქონლის პატრონი გამხადე. გთხოვ საჩქაროთ აღასრულებას.

ჩემს ხელმწიფეს იმერეთის დედოფალს მარიამს ყოვლად თაყუანისცემას მოვახსენებ აგრეთვე ჩემს მოწყალეს თეიმურაზს ხელს კოცნას მოვახსენებ და ნინო ბატონისშვილს, ბოდიში მომთხოვე ყველა ბატონისშვილებთან რომ ცალკე წიგნი ვერ მოვწერე. თქვენი სულიერი შვილი

თავადი იოანე ანდრონიკოვ.

## № 205

### (1828 წ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქუენო კეთილ შობილებავ სოლომონ იოანიჩ!

ქრისტე ღვთისა მიერ ლოცუათა მომრთმევლობ თქუენდამი ზენაისაგან გულითადიერ სადთოდ.

მოიხსენეთ, იტყჳს ბრძენი სოლომონ ეკლესიასტესა თჳსსა ე. საღოთ სამეფო სჯასა შინა მეტყუელი ესრეთ დაბადებულისა და პირთა და ნივთთა ჟამნი მოქონანი თითოეულთა ე. ი. ჟამი შობად და სიხარულად და მწუხარებად და სიკუდილად. ნათესავი მოვალს წარვალს და სხუა მოვალს და იგიცა წარვალს და სოფელი გიეს. რომელ ერთბამად თჳსი ჟამი აქვსო და აღრჩევასა სულისასა თჳსი ჟამი აქვსო, რომელნიცა ერთბამად ამაოებად შეიცვალებიან ერთბამად ყოველნივე თჳნიერ სიყვარულისა. ღვთისა და მოყუსისა და საქმენი კეთილნი, რომელნიცა საუკუნოდ მოქმედისა თანა დაადგრებიან. იხილეთ ეკკლესიისტე თავი 3. მუხლ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8. შეცვა მათ მუხლებთა ძალისა რაა უმეტესობა, რომელსა შინა თჳთ მოქმედი იშრომების და არა მოქმედებულნი.

აჰა, რომელი გწერ ვიდრელა ჟამი მაქუს გწერ აღსრული მეშვიდესა მის ჟამისა აღსავლობისა ხარისხსა ზედა ჰარმაღობისასა. ამად ისმინეთ, რათამცა თქუენიცა ყურად ილონ ჟამსა ჰარმაღობისასაცა. რომელთა არა არაჲსა ამაოსა გწერ არამედ ზენა საუნჯისასა. რომელ წერილნი ჩემნი ესე არა არს ამაო ამაოთა, ესე იგი მიწერტილებადი და იგიცა უჩინოდი.

მოიხსენეთ. მე მსურან თქუენგან არა ნივთნი ნაგევადნი[2]. არამედ ვინაჲთგან წყალობა ყავთ ჩემდამო შინაგანისა თქუენისა კაცისერთ სვინიდისითა თქუენითა, რომელთათავის ცაი და ქუეყანა მოწამეჲ ვაშა, ვაშად თქუენდა და მაღალი მაკურთხეველი ე. ი. იოანეს სწავლისა მიღებისათჳს. ეგრეთვე გრიგოლისათჳსცა მხიარულმყავთ. რათა შეაუძლონ ცნობა ღვთისა და მსახურება მის მაღლისა და ცხონდენ ზემამულისა შინა მუნ, სადაცა მეფენი ქუეყანისანი და ყოველნივე მოშიშნი ღვთისანი მიისწრაფიან უძრავსა საუნჯესა შინა. აჰა, ესე ვედრნი ჩემნი და ღვაწლნი თქუენნი განერებიან ამაოებისა მისგან, რომელთაც ავღრიცხავს ბრძენი რუათა მუკლებთა შინა.

ამას ზედა განძლიერდით დროთა მაგათ შინა, ვიდრელა გქონავთ ჟამი ეგე ვითარი ტალანტთა განმრავლებისაო ღირსებით ადგილთა და დროთა. ესერა ვმეცადინეობ წარმოოგზავნასა ძმისასა მად და მით მე ამჟამად შესაწევარნი მერმე არა რაისა დავაკლებ საჭიროთა ერთსა დედით ობოლსა და მეორესა მამით. ეგრეთვე წარმოგიგზავნი დროშასა ჩინებულსა და რაჲსაცა მოითხოვთ. უკეთუ ენებოს მაღალსა იოანეს მიეცით გამკაცრება პირუელ შემთხუევაში უმეტეს წერისა. რათა იხილონ თუალთა ჩემთა ჴელით წერილი მაგისი. მაშინ რაჲსაცა მთხოვს ზედას ზედა წარმოუგზავნი. თავსა თჳსისათჳს და მამისათჳს და ძმებისა და დებისათვისცა მზითევსა, გალანამცა შეიყუაროს სწავლა.

ესერა მე ყოველნი შავნი საქმენი გამოვიცადე და მწყემსობაცა და მონობა. გარნა თვნიერ მაწვეველთა თვთ ვისურვე [არა] სწავლანი ქუეყნიერნი: ხელოსნობა, ხელოვნება და ხელობა რაჲმენი არამედ ზეციურნი ალვირჩიენ შიმშილითა, წყურვილითა, შიშლოებითა. უსარეცლობითა და ბევრეულ მოთმინებითა. რომელსა მსურდა, რათამცა ღამენი არ ყოფილიყვნენ რათამცა მეკითხა წიგნები, ვინაჲთგან სანთელნი არა მაქუნდნენ, რომელი კომლიერისა შეშისა ცეცხლითაცა ვკითხულობდი წიგნებსა, რომელსა ვინცა ვინ მოცალებული გამიკუეთდა წიგნსა სასყი მათდამი სხუაჲ, არა რაჲ მაქუნდა თვნიერ გრილისა მჴარისა მირთმევა განშორებულისა წყაროებისა და მდინარეებისა და ჯურღმულებისა. ესე ვითარის სურვილითა და სიმდაბლითა და სიმშჳდითა და მოთმინებითა შეუძელ მიწთომა საგნისადმი შეგარდამო წყალობითა. გარნა სლვასა შინა პირსა შინა შევთხოვდი ღმერთსა ღვთაებთასა და უფალსა უფლებთასა, განღებად სულისა გონებისა და განხმად გრძნობიერისა გულისა. ხოლო შემდგომ ლოცვათა შესრულებისა რონინებასა შინა ვიზეპირებდი გაკუეთილებსა, რომელსა არცაღა ერთი წიგნი მაქუნდა. ამად აქა და იქი და მუნ ბევრეულებისა ვედრებითა მოვიშვებდი ნახევარ დღით, ერთი დღით, ორით, სამით, შვდეულით. ნახევართვით, ერთის თვთ ვიდრე სამამდისცა, გარნა სამთა თუეთა განვასრულებდი თითოეულთა წიგნთა ე. ი. ექუსთა თუეთა დღე და ღამე. რომელმან წ. ნინას ეზოსა შინა ვერ უძლე შოვნა წიგნისა ოთხ თუე შევედრებულმან მუნებურისა უპირატესისამან, რომელიცა თვთ მეფე ირაკლისაგან ვიყავ შთაბარებულ მუნ აჰა, ივერიისა მის დროისა ბნელმან რკინოვანმან საუკუნომ იძულებულ მყო წარსლვად თელავისა შკოლასა შინა. გარნა მუნ წარვემატე მქისიყით წარსრული.

დასასრულ აჰა, უსაშუალოდ უწყით ვის გეზრახები სულო კეთილისა თჳსებისაო. თქუენ ყოვლად ყოვლისა კერძ იზრუნეთ მაგაო ზედა და მე მოგაგებ ეგთბამად აღნადგინებითურთ და იგულეთ და სიღნაღშიაც ვდუმეთ. თქუენი ძმის სტეფანესი მასმინეთ ამბავი, რომელსა მოუთმენელად მოველი. ეგრეთუე იოანეს წარმატება და ნიჭი მომწერეთ. აქუს ანუ არა და გრიგოლის ჩამოყვანაცა მომწერეთ. თქუენი მლოცველი იონა მ. მ. მ.

## № 206

## 1828 წლის აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ლუარსაბის ძისადმი

თქუჱნო ბრწყინვალებავ იოანე ლუარსაბის ძევ ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქუჱნდამო ზეგარდამო მადლითარე.

ბრწყინვალეო თავადო აჰა, ესერა თქუჱნი ავთრათი მოვიღე ელისაბედპოლით წარმოცემული საკუთრითა ხელითა თქუჱნითა მოკალმებული კაბადონი ქარტა და ტკფრით დაქსული, რომელი მიცხადებს მოლოცვასა პირუჱლ დიდისა დღესასწაულებთა და კვრიაკებისა. ერთ შაბათ კვრიაკესა მსოფლიო ბრწყინვალესა, ყოველთა კვრიაკებისა უფლისა, რომლისათვისცა დიდ ფრიად გმადლობ შინაგანისა მეფე სულითა ჩემითა და გარეგანითა ქალაქ გუამისა ჩემითავე.

ეგრეთვე სიმართლესა თქუჱნსა შევიმცან. ვმადლობ ზენარსა, რომლისა ხელთა შინა არს ყოველთა არსებანი ბუნებანი და ცხურთა მშვინვანი და ძრვა და ცხოველ ცხოვრება. მან მართლ მსაჯულმან მარადის განგარინოს ხილულისა და უხილავისა განსაცდელებისაგან, რომელ არიან კორცთაგან და ღემონთაგან და სოფლისაგან და სახიერებითა თჳსითა ე. ი. კეთილობითა თჳსითა მარადის და უწყუეტელად განიჩუოს აღურიცხუელნი კეთილნი აქარე მზესა ქუეშე ფსალმუნისებრ და მიერ ღვთისა სიტყჳსა სახარებისაებრ კაცთ მოყუარებითა თჳსითა ახალ ახალნი პირი და სიბრძნენი სიონით მოგივლინოს, რომლითაცა წ. ემბაზისა აღსარებით და ჭეშმარიტებით დაიცვებიან.

აჰა, ესერა აღდგომასა ქრისტე ღვთისასა ნაცვალ გებობით მეცა მომილოცველობა თქუჱნ მიერ განღვიძებული თქუჱნდამო ჭეშმარიტ ქრისტიანეო ე. ი. ემბაზისა ცხებულებითა ნართაულებით გინა სახელ სეხნაობით შედგომილო მესია ცხებულისა მადლითარე სახარებისათა.

აღვდა რა ზენა არსება ბუნებით უკუდავი ჯუარსა ზედა ქუსყანანი ბუნებით, შესვა ყოველნი ბუნებანი ყოველთა კაცთანი ე. ი. ფერად ფერადნი ტანჯუანი, მწუხარებანი, სიმწარენი და სიკუდილნი ორნი საფლავებისა შინათნი და ჯოჯოხეთს შინა მყოფთა მართალთა მამათ მთავართა და წინასწარმეტყუელთანი. რომელმან ორთა სიკუდილებთა თანა შესუა ნაღუელი და ძმარი ერთი საფლავებთათჳს, ხოლო მეორე ჯოჯოხეთს შინათათჳს. და განუტევა სული და შთავიდა სულითა ქუეშე ქალაქსა და კორცითა საფლავსა დაიდუა და ქადაგა სამღდე ეშმაკთა ჯოჯოხეთსა შინა და შეაღმოიყუანა ყოველნი მართალნი დატყუევებულნი ხუთიათას ხუთას ოცდა ათსამეტისა წელიწდე-

ბისა ეგრეთვე მისლვისა თჳსისა მორწმუნენი კაენისა, ქამისა, ესავისა, ისმაილისა მკარენიცა აღმოიყუანა. ე. ი. რომელთაცა ირწმუნეს ღვთაება სიტყჳსა ღვთისა კაციერისა სულისა მიმღები, რომელთა დღესა მესამესა აღმოუწოდა გარნა წმიდათა შესჳჱნებულთა გუამნი აღდგომილნი შევიდენ იერუსალიმსა. ე. ი. მამათ მთავარნი და წინასწარ მეტყჳჱლნი და მართალნი და გამოეცხადნენ შედგომილთა ქრისტე ღვთისასა.

აჰა, მიერთთაგან წ. ემბაზმან ჯჳარი ცხოვლის აიღო ბავრაყითურთ სამ ნათელისა აღსარებითა. და ესე ვითარისა სახითა ჯჳარი ქრისტესი ე. ი. ვნებანი მრავალ ბევრეულთა და კნინლა აღურიცხჳჱლნი, მოთმინებითა, სულგრძელობითა და კორცთა ჩჳჱნთა უარყოფითა გინა დაქენჯნითა შინაგან სულსა შინა გვიტჳრთავს სარწმუნოებითა სასოებითა, და უფროსღა ესრეთითა სიყვარულითა ქრისტესითა. რომელ კნინლა და არღარა არიან სულნი დ კორცნი ჩჳჱნნი ჩჳჱნდა ნებისა და წადილისა ჩჳჱნისა აღსრულებად და სოფლისა მეგობარჯყოფად. არამედ ერთბამად ემსხჳჱრპლეთ ღმერთსა სამგზის ემბაზთაგან აღმოსრულთა, რომელ უარვყავთ სატანა და სოფელი ბოროტსა ზედა მდგომარე და კორცნიცა ჩჳჱნნი და სამგზის ფუცვითა შეუდეგით ღვთაებასა სამპიროვანსა, რათამცა განვლოთ ცეცხლი და წყალი ჟამიერი ე. ი. სოფლისა ღელვანი და კორცთა მდუღარე დუღილნი აღვირთთა მით მებრ შიშითა ღვთისათა.

ჴელმწიფეო ჩემო! ჯჳარი ქრისტესი აღურიცხჳჱლ უამრონი არიან ე. ი. ვნებანი, ვინძი, რომელნიცა აღირჩიოს ე. ი. მოციქულთა ათორთი ქონანთ არხიერთა. სამეოცდა ათთი პრესვიტერთა შვიდთა დიაკონთი დიაკონთა. ღირსთა მამათი მეუდაბნოეთა და მართალთა ქორწინებულთა, რომელ ჭეშმარიტთა მეუღლეთა ჯჳარი ქრისტესი უტვირთავთ ე. ი. ვნებანი, რომელნიცა სიწმიდითა სიმართლითა და პატიოსნებითა ლოცვათა და მარხვათა და ქჳჱლის საქმეებთა პირუმლად აღსრულებენ შვდისა წლითგან, ვიდრე განრასვლადმდე სასტუმროისა სოფლითაგან და აღზრდიან ძეთა და ასულებთა არა ხრწნადითა, არამედ ძუჱლისა და ახლისა აღთქმებთა, შიშითა ღვთისათა და კეთილ ამოვან ზნეობითა სიყვარულსა შინა ღვთისა და მოყვასისაა და ასწავებენ მტერთაცა სიყვარულსა და მკდოვანებით ცხოვრებასა სასუფეველისათჳს. დასასრულ თქჳჱნ, რომელ ჯუარი სამჴედრო აღიღეთ ე. ი. ვნებანივე ქრისტესი არა ბრძოლად კორცთა და სისხლთა მიმართ: არამედ შერკინებად სულებთა მიმართ ბნელისა ამის მთავრებთა ზედა რომელ არიან სატანა თჳსით აბიმდგომითურთ სამჴედრო თჳსითურთ და ბელიერ თჳსთა დემონებ ეშმაკებ, ტარტაროზებითურთ, რომელნი შევლენან ხჳრელებთა შინა ე. ი. ჰჳრებთა მათ შინა რის-

ხუცესა რომელნიცა აღზორცდებიან. ქრისტიანეთა ზედა მტყუანისა მამისა შვილნი ე. ი. მტყუანნისა ეშმაკნი ერთბამად მშობელ ტყუილებთა არიან. რომელნი წარმართთა მმფლებელებთა და მფლობელეთა სულებთა შინა შთაბეჭვდენ გვრიობასა. ვერაგობასა არაწმიდებათა, და შვიდთა სასიკუდინოებთა ცოდვაებთა. და გარდაქმენ ანტეებად, რომელნი სისხლებთა დაქცევათა უწოდენ თჳსისა სამოთხისა გზებადი, ხოლო დაქცევათა ეკლესიაებისასა რაცხვენ სამოთხისა თვისისა აღშენებად და გაწარმართებასა ქრისტიანეთასა გონებენ ქალისა და მედინისა ცხვრებად, თხებად და ფარშავანგებად და თვისისა სამოთხისა მსახურად მეშვიდე პლანეტსა ზედა, რომელთა სადილად ექვსნი ცხოველები დაეკლვიან და ოთხნი მდინარენი ფერხებთა ქუჱშე შეუხლებს საჭმელად. და ბასმა დადებულნი ბებრებიცა მუნ გაუჭაბუკდებისთ ძალლებრ ურთიერთ დასაკლეტელად. გარნა თესნნ თვსნი და შეჭმულნი და შესმულნი არათუ სკორედ და შარდებად განუკუჱბიან, არამედ ტანსა ზედა სუნელ ოფლებად გამოსქდებიან თვსსა სამოთხესა შინა, რომელნი არღა ივლიან ფერჴებითა, არამედ ფარშევანგებთა ზედა სხდომილნი იფრენენ ვახშმობადმდე და სხუანიცა მრავალ ბევრეულნი თქმადცა სარცხუჱნელნი ამაო სასოებანი ქონანთ თვისისა სამოთხისა, რომელნი მრავალ ბევრეულებისა უსჯულოებითა და არაწმიდებითა უმეტეს მივლიან. რომელთა სამაგთა ქალწულება და ჴორცთა სიწმიდე და სიმართლე არა თუ ზეცისა ჭეშმარიტებისა, არამედ ბუნებითი სჯული და სვინიდისიცა ითრგუნებიან მათი მათგანვე, რომელსა პირისპირ კერპებთა მსახურნი პატიოსან არიან ინდონი და კიტაიელნი და იეპონელნი და ტებელნი. რომელნი სვინიდისითა თვისითა რაოდენთაცა თავთა თვისთა უყოფენ კეთილთა, ეგრეთუჱ ყოველთა კაცთა, ვითარცა შინაურთა ეგრეთუჱ გარეულთა უყოფენ.

დასასრულ, ყოველნი მოძულენი ღვთაებისა, რომელსა აქუს პირი სამი მხოლოსა ღვთისა არსება ბუნებით, რომელი ცათა შინა სძულთ: ვითარცა იტყვის მეფსალმუნე: და სდვეს ცათა შინა პირი მათი, ხოლო ენა მათი ერთია ქუჱყანასა ზედა. აჰა, იგინი მგმობარ არიან ზეცათა შინა და ქუჱ ქუჱყანასა ზედა წ. სახარებისა, რომელთა თვისისა მამისაგან ხარაკტირნი მგლისა მიიღეს, რომელსა სძაგს ცხოვარი ანტიპატიაობითა თვისითა. და არს გესლიან.

იხილეთ ჴელმწიფეო ჩემო, ზემო რისხვისა ჴურნი არა თუ თავთა თვისთა მშვიდობის მიღებისათვის ზე დახმასა ჰყოფენ, არამედ ეშმაკთა ნებისა აღსრულებისათვის სისხლებთა დაქცევასა სამოთხედცა უწოდენ. ამისთვის ეშმაკთა ჴურნი ე. ი. რისხვისა ჴურჭელ გუამნი შემუსვრად არიან, რათამცა ეშმაკთა ძალნი შემუსვრითა მათითა შემუსრნენ და შე[illegible]ენ კუალადცა ლორებთა შინა ველურთასა.

ხოლო თქუჱნ აღიღეთ სარწმუნოებისა მახვილნი — სასოებისა ჩაფხუტი და სიყუარულისა ფარი ეკკლესიისათჳს ჯუაროვანისა და განძლიერდით წ. გიორგისა დიმიტრისა მერკვრისა თეოდორე ტირონისა და სტრატილატისა და ევსტატისა და ჩვენისა მიხაილ გობრონისა და ყოველთა ღუაწლთა მძლეთა მოწამეთი და განძლიერდით და მსახურეთ ღმერთსა და ცხებულსა მისსა ახლისა აღთქმისა, კვროსსა ჩუჱნსა, რომლისა ძკედრობათა ფერხთა ქუჱშე მთანი და ბორცვნი დავაკდნენ ე. ი. სპარსთა ყოფობად სილაღე უგუნურთი და მოქლონნი და ზღუდენი მტკიცენი ცვლებრ დადნენ.

სასოება გუაქუს მუხლებთა მდრეკთა ესერა, რომელ შვლნი მხევლისა აგარ ზერწისა მკალთაებრ განმრავლებულნი განთიადისა ცუარებ აღისპობიან ქრისტე შემწისა ჩუჱნისაგან და ანთავისუფლდების იეროსალიმი ცოდვათა ჩვენთა ძლით ოთხასსა საუკუნებთა შინა მიცემული ეშმაკისა ჰურჯლებთა ჴელებთა შინა მიცემული, რომელნი იღრჭენენ კბილებთა თჳსთა ჩვენ ზედა და გვხადიან მას შინა მსახურად თჳსა ესე იგი ჰახრაკებად. იხილოს ღმერთმან და ჰყოს შურისგება. წელსა

1828 სა თქუენი მლოცველი იონა მ. მ. მ.

უმაღლესმან მ. დ. ასულმან ნინა[2], ალექსანდრემ[3] დღესასწაული მოგილოცეს ჴელითა ჩემითა. კაცო ღვთისაო, სახარება არა მიგჳლეს[4], გარნა ნუ შესწუხდებით მშვდობით მორაიქცეთ. მაშინ მოვიღებთ. გარნა თქუჱნ ბუნებითი სიწმიდე დაიცავით და ქალწულება და გარეგანი სიმართლე ზეგარდამო.

## № 207

### 1828 წლის 19 მაისის წერილი გიორგი ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი. იონა ხელაშვილის წერილი გიორგისადმი

წელსა 1828 სა მაისის თჳს 19.

მამაო სულიერო და მოძღუარო უმაღლესისა დედოფლისაო იონა, ესერა ჴელწერილს გაძლევ უმრწემესი ძმა შენი გიორგი ჴელაშვილი, რომელი თვინიერ დაბარებისა შენისა სიყუარულითა შენი მოვედი საქართველოჲთგან, პეტერბურღში წელსა 1828. სეკდემბრის თთუჱს 26 სა[1] და მიმიღე უსაყუარლესად და მყისვე მომივაჭრე ოცის თუმნის ტანისამოსნი და შემიმზადე ლოგინი უკეთილესი საწოლად.

ხოლო უმაღლესმან დედოფალმან თჳსა სტოლსა ზედა ჯდომად ღირს მყო პატივისცემისა შენისათჳს. ეგრეთვე საქართველოს მეფე-თა ძეთა და ასულთაცა მიმიღეს. მიმიღეს მოწაფეთა შენთა და ყოველ-თავე ერთბამად ამოვნებისთჳს შენისა.

ას თუმანი ასიგნაციისა ფულიცა მიძღუენით და აღმითქუთ ორა-სის თუმნისა ასიგნაციის ფულით გაგისტუმრებო და ნივთებითა და არმაღანებითა დიდ ფრიად კეთილად.

ეგრეთვე პირველა ვკითხავ სასმელთა და საჭმელთა და განსუენე-ბასა, შენ მხოლოდ მაცვენ, რომელ უძინდარებასა იცადიო სულისა კორცთა შენთასაო და არა დააკლდე მწუხრისა და ცისკრისა ლოც-ვასა და წირვასა ზედა. ვინაჲთგან სხუა თანამდებობა არა რაჲ გაქვსო, რათამცა ეკკლესიასა შინა სლვითა შენითა. ნება ჩემი აღასრულო. პი-რველ, მეორედ არავის ცუდთა კაცთა შეერთდე ეშმაკისა გზათა ზედა მავალთა, მესამედ არავინ განამწაროო და იცხოვრე კეთილად, რათამცა ღმერთმან კეთილთა მოყუარემან გაკურთხოს, გაცოცხლოს და წაგიმართოს წარსვლა მამულად თჳსად სათნოდ თჳსად სახიერმან.

გარნა მე ნაცვლად ზემო საღთო მცნებათა და მარხვსა ვიწყე ურჩება შენი უგნურებითა ჩემითა და რჩევითა სულთა მტერისა ეშ-მაკთა და ხენეშთა კაცებთა შედგომითა და შემოგწამე ცილი ესრეთ „პირუმლად რომ ვიყავი შენთანა წელსა 1828[2], მაშინ რომ წარვედი ოთხმოცი თუმანი ჩემი შენთან დაშთა მეთქი. ახლა სამასი თუმანიცა სხუა გმართებსო ჩემი. გარნა შენ დუმილით იყავ და მე უმეტეს ვი-წყე ფიცხელობა, რათამცა შემეშინებინე.

მეორე, ცილი შემოგწამე—დედა და ძმა უზიარებელნი შენ მო-მიკალო. მესამე, ცილი შემოგწამე ეკკლესიისა მოსამსახურეს გული რომ შეუწუხდა დიდშაბათს მრავლის კითხვითა, ის კაცი შენ მო-კალო, რომელიც თუმცა სიმრთელით არის ჯერეც. გარნა მე განმწა-რებისა შენისათჳს მოვიგონე. მეოთხედ, გასამწარებელად შენსა მუქა-რით კელიასა შინა შემოგძახე: მას კაცს ბოროტს შევამთხუევო, რო-მელსაცა ზედა შენ ღვაწლი დაგიდვა. მეხუთედ, აღვსთქვ ოდესაც შინ მივალ ძმისწულთა ჩემთა სასწავლებლებიდამ განვტაცებო და წა-რგიბლალავ ღვაწლთა. მეექუსედ, დაგემუქარე ათით საქმეს შეგამთხუევ, რომლითაცა შენც დაგკარგავ და მეც დავიკარგები.

აგრეთვე განსამწარებელად შენდა ვაგინე მამასა ჩემსა და პაპასა და გრქვ, ოდესაც შინ მივალ სჯულს გამოვიცვლიო და მეუღლეს და შვილს დაუტევებო და ჰქმ საქმეთა ეგე ოდენთა. რომლითაცა ავყე-ფდეო და შემოგწყრებოდი ზედას ზედა. გარნა შენ მოთმინებითა შე-ნითა პირისპირ მთხოვდი და კაცის კაცითა მოქცევად შენს კელისა შინა დამშვიდებად ჩემდა ზედას ზედა მოცემითა ათ თუმნობით, ხუთ-

მეტ თუმნობით. ოც თუმნობით და ოცდაათ თუმნობით, რომელნიცა ერთბამად განვასესხე, დასასრულ ათ ათ შვდმეტეს მაისს კარსა ზედა შენისა კელისასა ესოდენნი ზახილნი განვამრავლე: განთიად მერჩეს ყამზედა, რომელნიცა მისმოდა უმაღლეს დედოფალსა დადიანის ასულს, რომელსაცა ზარი სახლის დაწვსა რომელი უკავია რვაას ოც თუმნად, რომლისათვს მოეხსენებინათ არა წვსათვს არს კმაურობა ესე, არამედ მოღვარსა თქუჩნსა ზედა აღბორგებულა ძმა მისი*.

ესერა მიმიწოდა და მიბრძანა: წარსულს წელს უნდა დამეთხონა ძმა შენი, გარნა პატივისცემისათვს მიუტევე ბრალნი მისნი, რომელნიცა მსახურთა ჩემთა მომახსენესო. გარნა ესე ვითარს უგუნურებისა განმრავლებასა არღა მიუტევებ, რომელსა დავითხოვ სახლისაგან ჩემისა, რათა არა შეგამთხვოსო ძვრი შენ მოძღვარსა ჩემსა. მე არ მეკადრებაო და მემსხუერპლეობასა შენსა უმეტეს არ ეკუთვნისო.

ამისთვს აზნაური თვსი მოგიგზავნა განძებად სახლისა თვსისაგან ძმაო ჩემი გიორგი. და აჰა, ესერა ვრონინებ ეგების ჩემის წარსაგებელებით დაგაყენოს ვინმე. ვეძიებ პირებთა და სახლსა. ესრეთ უქმენი თავსა შენსა სამთავეთთაგანვე ე. ი. უგუნურებისა შენისაგან და ხენეშთა კაცთა აღზრზინებისაგან: დასასრულ უკეთუ მიიღებ საკანუნოთა ცილის წამებისათვს პირუელ მეორედ ურჩებისათვს, მესამედ— მშობელთა გინებისათვს, მეოთხედ — ჩემის განბასრვსაოვს, რომელმან სული ჩემი ძალლად მოიხსენე ქრისტეს მემსხუერპლის. შემწირველისა. გარნა მე შემინდვა მუხლებ მიდრეკითა ჩემითა. წინაშე ღვთისა და მარადის პარაკლისებითა და ლოცვათა და წირვათა შინა მოხსენებითა, რათა კაცთმოყუარემან მოიგეოს. მეხუთედ, თავი თვსი შეიჩუჩნე ჰსჯულის დატეებისა მთქმელმან. მეექვსედ, მეუღლესა და შვილსა განუტევებ, ხოლო მეშვდედ ეგე ოდენთა ბოროტთა ვაწარმოებ, რომლებითაცა ავყეფდეო.

ესერა ზემო ყოველნი ვერა რაი შეგასმინე დატეებად, არამედ დღითი დღე ამრავლებდი ხოლო მე ვგოდებდი და მოგითხრობდი აჰა, პირველად მოსლვითა შენითა თეთრი გამოერია თმათა ჩემთა და წუჩრთა, ხოლო აწ ესერა უმეტეს განმიმრავლდენ, ვითარცა მხედავ. გარნა არა მგამს რა, გალანამცა შენ მშვდობით იყავი, ვიდრე წარსლვადმდე. აჰა, პირუელ გაგისტუმრე ორასისა თუმნისა უმეტესითა ხოლო უაგისტუმრებ უმეტეს პირველისა. და მოვახსენე შემოქმედსა. უკეთუ მიახლოებულ იყოს წარმოსვლა ჩემი ჯელთა შინა შენთა კაცთმოყვარეო. მიმიღე სული ჩემი! ჩემისა ძმისა აქა ჰყოფნასა შინა უკე-

* აქ თავდება გიორგი ხელაშვილის წერილი. ამის შემდეგ იონას წერილია.

თუ სათნო შენდამი არს სახიერო, გარნა არა მაუწყა აღსასრული, ამად რომელ დღითი დღე ნებავს განმზადება ჩემი*.

ესერა აღგითქუამ მე, ძმა შენი გიორგი ჴელაშვილი, რომელ ამიერითგან ვეგო დამტეებელი ზემო ბრალეულებთა ჩემთა და ვიქმნები მონანულ წირვა-ლოცვსა მოსმენითა და გლახაკთ მოწყალებითა და მორჩილებითა, შენ ძმისა ჩემისა იერომონახის იონასა, ვიდრემდე გამისტუმრო. ხოლო უკეთუ ინებოს ღმერთმან და მივაწიო მამულად ჩემდა დავით წმიდისა მონასტერსა შევსწირო ერთი ლიტრა სანთელი და ორი სტილი საკმელი და ორი შვიდეულიცა ვილოცო მუნ. ეგრეთვე წმიდის ნინას ტაძარში დავადგრე ორი კვრა ლოცვთა. ხოლო სახლსა შინა ვეგო მადლობითა ღვთისათა და კეთილისა საქმეებითა და მუშაკობითა ოფლისა ჩემისათა ცხოვრებად, სათნოდ ღვთისა და კაცთა, ვიდრე აღსრულებადმდე. რომელი ესერა წლისა ვარ ორმეოცდა ექვსისა, გარნა შენცა მამაო წმიდაო ბუნებით ილოცე ჩემთვს, რათამცა ვცხონდე ორკერძვე კაცთმოყუარისა ღვთისა შეწყნარებითა და შეწყალებითა ძმა შენი გიორგი ბუნებით უმრწმესი და სწავლითაცა უწინ გნო სრულიად, მამაო სახიერო. აჰა, ესერა რამე კეთილ ანუ რამე შვენიერება, არამედ დამკვდრება ძმათა ერთად და სადაცა იყუნენ შეკრებულ ორნი, გინა სამნი სახელისა ჩემისათვს მუნ ვარ მე მათს შორის: აჰა, ესერა იყავნ ჩვენ შორისცა. არა ცვალებათაებრ უძლურთა ჴორცთა ჩვენთა, არამედ**.

## № 208

### 1828 წლის 28 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

სულიერო ძეო ჩემო უფალო დოდოევ სოლომონ იოანიჩ
ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ

აჰა, ესერა მიერ დღითგან მაისს 28 დღესა წმიდისა ნიკიტას ვჰდილობ პარაკლისსა თქვენის ცხოვრებისათვს მზესა ქვეშა მსახურებად უუსაყვარლესისა მამულისა. რომელმან გშვა ორგზის და მესამედცა ზედართვთ განათლებისა სიბრძნითა, რომელსა მიზეზ არს უკურთხეულის მეათსამეტე მ. გ.[1] რომელმან შევედრა ივერია ეგე ჴელთა შინა მონარხისა უუკურთხეულესისა პ.[2] და შეასრულა უუკურთხეულესმან,

* აქ თავდება იონა ხელაშვილის წერილი და გრძელდება გ. ხელაშვილის ხელწერილი.

** წერილი დამთავრებული არაა.

ნეტარსახსოვარმან მონარხმან 1 ა.[3] ხოლო დასხმულსა ივერიასა აღორძინებად ზემოხსენებულთა სარწყავს რქა ჩვენ მართლმადიდებელთა მონარხი ესე ზეგარდამო ცხებული გამოღებად ნაყოფის ცათა შინა ცხოველისა ჯვარითა და ქვეყანასა ზედა ძლევამოსილისა მხედრობათა ქრისტეს მოყვარითა.

იხილეთ უუსაყვარელესო ძეო მამულისაო, რომელმან თავი შენი ასპარეზსა ზედა სწავლისასა უუკეთილესად საუკუნოდ საჯმნოდ განცხადებულ ჰყავი სასიბრძნო თხზულებითა ვაჰა, ვაშად, რათამცა მამულსა მირამესცე წინდი კავშირად სიყვარულისა საუკუნოდ შთასაწერნი ძეგლებთა შინა ბიბლიატეკებთა შინა კეთილჯერ მჩინებელმან პირველად ძიებითა სასუფევლისათა, სადაცა მიისწრაფიან მეფენი ქვეყანისანი ქვეშემრდომებითურთ პირველითაცა, აქაცა ყოველნივე შეგეგინებიან.

მოიხსენეთ ათეულისა მიცემა ბრძანებულ არს ძველსა შინა აღთქმასა და ახალსა წარგებად მამულის დავრდომილებთა ზედა და ქვრივთა და ობლებთა ზედა და სნეულთა მწირთა მსხემთა შემოსვრელებათა ზედაცა და უფროსლა სნეულებთა ზედა, რომელთა არა აქვნდესთ პატრონი და პატრონა ვითარცა მომითხრა მომლელამან თქვენმა მე მეტყველამან, ესრეთ მრთელთა ყოველნივე ყვარობენი და სწყალობენო ხოლო სნეულთა იშვეთად უგიანო მოყვარენი და მოწყალენი უპატრონოთა.

დასასრულ, რაჲთა განვაგრძო, ვითარ თქუენცა უწყით უსაშუალოდ მწირობა მწარე გლახაკისა იოსებისა და მსხემობა ცრემლებიანი, რომელსა პურად აქუს გარდარეული მწუხარე და სასმელად ცრემლნი თვსნი და მსგავსად წყმედილისა შემუსვრილისა ჰურჰელისა ჯღრისა აქა და იქი განიგდების ჟამსა სიბერისასა და განშიშვლადცა სახედ ზამთრისა ხეთა ხერგთასა, რომელსა ხამლად მიწა და ჰერსო ასახედავი სამყარო ცაჲ ხოლო გზად ჰქონან კრიტისა ლაბირინტები ე. ი. ესე ვალს წინარე ბიჯებითა. ხოლო საქმენი ამისნი მიბრუნდებულობენ ზურგით კერძ ღუარჰნილად და მრუმედ და არს სრულიად დაპარახებულ[4] ფერხებთა ქვეშე ცილისწამებისასა, რომელმან მეფისა ძისათანა თ.[5] მიიღო შენდობა რუარტიკითა, პატრუცაგითა, კურთხევით, სახსოვარისა ა. მონარხისაგან გარნა იტანჯების ვიეთაგანმე ვერაგისა გვრივისა კაცისა ცალიერ ლექსებითა, რომელთა სახელები საფლავებს ეწოდების.

ესერა შეგთხოვ წარგებად, ამა მამულისა კაცსა ზედა ათის თავიაა ე. ი. მხოლოდ შეწევნითა, რათამცა ღვთის მოშიშისა ამის საქმეებისა მცნობისა კაცებთაგან კაცის კაცით გამოიძიოთ ბრალნი ქონანთ მძიმენი ანუ უბრალო არს უკეთუ აქვნდან ბრალნი სამაღლობელად მი-

ტეებისა, შესთხოვეთ ბრწყინვალე თავადს თომას[6], კეთილშობილს გურგენს და ვინცა უწყოდეთ მოუძიეთ მფარველად რათამცა მოუვლებოდეს მანდარე წევრად მამულისა და მანდარე შთავიდეს საძილესა შინა სიბერე ამისი, რამეთუ ამისთჳს თემი მქისიყისა იტალია, ხოლო ბედი კედელი წმიდის ნინასი სინა მთაა და უფროსღა ზენა იერუსალიმი და ზემო სიონი სადა ათორთა წ. მ. ლუკუმა წ. ნინა დედა მოციქულისა და წ. სტეფანე ღირსელისა.

მოიხსენეთ მანდ ტორმაზოვისაგან მწკრივი მეფის ძის ბარაკიელთა მამულსა შინა შემოსვლისა და წარმოგზავნისა უეჭველ იქმნება, რომელსა შინა აქვს მიტევება, იგი მოიძიეთ და მით ტყვეობა ამისი მიაქციეთ მანდ არე. აჰა, ღმერთი და ცხებული მისი მზაა მონანულისა ცოდვათა მიტეებად, გარნა კაცი ესე სიბერითა და უფროსღა უძლურებითა უბირია. და არა რაჲ ძალუძს თავისა თჳსისა შეწევნად. ვითარცა თქვენცა უწყით სრული კეთილისა თჳსებისაი ახილვე თუალთა ჩემთა მოხუცებულისა ამის მიქცევით თჳსა წინაპართა აკლდამასა შინა.

განჰჳრიტეთ წ. წერილნი აჰა დღეთა შინა სოლომონისასა ათორმეტნი ტომები ისრაილისა თითოეულნი კაცად კაცადნი თჳსითა ვაზიბთა და ლეღვთა და ხიჩატელიანთა[7] ნერგებთა ქვეშე განისვენებდიან და სადაცა ვის დაულამებდებოდა და ველთა ზედა ტრამალთა, მინდორთა, მთათა, ბორცვთა სერთა, ქედთა და ტყეთა და ბაღნართა სერტყებთა უწერთა, წარაფთა და გზებთა ზედა დაიძინებდენ უშიშრად მტერთა და მხეცებთა განცთა და ადიდებდენ ღმერთსა და დანატრიდენ სოლომონს და ანეტარებდენ თავთა თჳსთა, რომელ დედოფალი სამხრეთისა საბაით მოვიდა ხილვად სოლომონისა სიბრძნისა და მშვიდობისა ხოლო მეფენი ქვეყანისანი იშვეთისა არმაღანებითა მსახურებდენ პორფიროსანსა, ხოლო კვროს ცხებულისათჳს რაჲღა ვიმეტყველო, რომელსა საჭურველებისა და უნებისა და ეტლებისა მთანი და ბორცვნი დავაკდნენ და დაცვივდნენ მოქლონნი და კლიტენი ბაბილონისა წინაშე კვროს მეფისა.

იხილეთ ჩვენისაცა ამის საღთო ახალ კვროსისა მთანი ამპარტავანნი და ბორცვნი უცემნი ვაკდებიან და მოქლონნი და კლიტენი ტოზიკელთა სპარსთანი დღე და ღამე დაცვივნულობენ და ზღუდენი უსახურნი კეთილმსახურსა ეძლევიან, რომელთა მირიან მეფითგან, ვიდრე აქამომდე დასთხიეს სისხლები წინაპართა ჩვენთანი და გარდაასახლეს გარეთი კახეთი და ხორანბუჯისა და ჰუეთისა ერნი მახლობელ ისპაანისა ფერიეთსა შინა.

იხილეთ, აქარე სამადლობელნი ვიდრნი განმრავლდა საქმეველე-ბისა აღქმევანი სავათისა ძალთა უფლისა წინაშე და ჩვენიცა ესე ახლისა აღთქმისა სოლომონ თითოეულთა თვსთა ნერგებთა, აგარებთა, წალკოტებთა, ვენახებთა, სამოთხებთა, ასოთა, ვარჯოვანთა, ბორგანთა, ბაბილონთა ქვეშე განგვსვენებს, ხოლო თქვენცა კაცი ესე ღირს-ყავთ თვსა ჩრდილსა ქვეშე განსვენებად უშიშრად. უკეთუ სიბრ-რესა ამის კაცისასა დაატკბობთ, მომწერეთ უსტარი მე წარმოვგზავნი ხვსატაგითა ჩემითა, რათამცა ვსცხონდე თქვენგან ამის ძლით.

იხილეთ სალთოთა წერილებთა ლექსებთა და ძველად ჴმარებუ-ლებთა ახბად გწერ, რათამცა მოემზადენით ლექსიკონისათვს ახალ ბრძენ ქუხილო ჩვენისა ერისაო.

ჩემდამო ხოტბისათვს დიდ ფრიად გმადლობ წინაშე ხარკოვისა რექტორისა, გარნა უუმეტეს თქვენ მოგეწერებისთ წ. სვინიდისი.

თქვენი მლოცველი იონა.

## № 209

### (1826 წ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქჳენო კეთილ შობილებავ სოლომონ იოანიჩ, უფალო დოდოევ! ქრისტე ღვთისა მიერ მრავალ ბევრეულებთა მოკითხვერთა ლოცვათა ზენათა მომრთმევლობ თქჳენდამო გულითადიერ.

განსჯა ჩემი ესენი არიან ზემო სახელოვანისა სახელისა თქჳენა-სათვის, რომელი აღწერეს და შთაბეჭდეს მოსკოვსა და პეტერბურხისა მატიანებთა შინა წელსა 1827 და აღმომკითხუელობენ არათუ მხო-ლოდ რუსეთისა აკადემიაებისა, სემინარიებისა, უნივერსიტეტებისა, ღემნაზიებისა და კორფუზებისა[1] ჴმელისა და ზღჳსბისა და სრულიად სკოლათა მოძღუარნი და მასწავლელნი და მოსწავლენი, არამედ ერთ-ბამად ევროპიისა ძენი და ასულნი აღმომკითხჳელობენ უფლისა ტა-ლიზინისა ლოღიკასა ბუნებით რუსთათვს. ხოლო თქჳენსა ბუნებით თქჳენ ძლით ქართჳელთა დიდებისათვს.

იხილეთ, მონათა მოშიშთა თვსსა ადიდებს ღმერთი, ხოლო და-დებულისა მონისა თვსისაგან ადიდებს ერსა თვსსა — მაღალი და ცხებულისა თვსისა გულსა განაღვძებს განსხჳაჱბად მამულისა მა-დიდებელისა.

აჰა მონარხი და მამული თვსი ადიდა უფალმან ლომონოსოვმან, რომლისა თხზულნი მხოლოდ რუსეთის ენისა არს, რომელსა შეუძ-გა რუსეთი სულისა და გონებისა მელნითა და კალმითა დაბეჭდითა.

ადიდა ლეიბნიციოსმან[2] გერმანია, კლარკმან[3] — ანგლია, მაწსილიონმან — ფრანცია ანსილონმან[4] — პრუსია, კოლუმბან ესპანია, ხოლო ასიანნი — დავით უძლეველმან, და ახალსა შინა — ჩამჩი შელქომან.

აჰა, ჩვენიცა წინაპართა ადიდეს მამული, გარნა უბეჭდაობითა არათუ გარემონი მეცნავ არიან მათნი, არამედ თვით შვილნიცა მამულისანი ბრმანი და ყრუ არიან მათდამი შეცნობად.

ხოლო თქუჱნ ეგერა აღემატენით ყოველთა მათ ზედა, რომელნი შეერთდენ იმპერიისა ამისთანა მეათექუსმეტისა საუკუნითგან, ვიდრე აქამომდე, ვითარცა სწერს არს ვითარ თჳსისა ქადაგებისა წინასიტყუა ალექსანდრე კურთხეულსა იმპერატორსა ათექუსმეტ საუკუნითგან ზავსა ივერიელთა მეფეთასა. აჰა, მიერ დღითგან მრავალთა მთხზუჱლთა შეისუჱნეს, რომელთაცა ნათხზნი ჯერეთცა ხუმრეჱთა ქუჱშე არიან ე. ი. არჩილ მეფისა, გურამიშვლისა, გიორგი ავალოვისა, რომელიმანცა გიხოიშნათ ჩემდამო პეტრე ლარაძესი, დავით რექტორისა, მასწავლელისი ჩემისა და სხუაი და სხუათი.

ეგრეთუჱ მეფის ძის დავითისა მოამაგისა ჩემისა და ძმისა მისისა იოანესი და ძმისა მისისა თეიმურაზისა მესავანისა ჩემისა.

ეგრეთვე მთაწმიდელთა თხზულნი წმიდათი დაუბეჭდავ არიან და პეტრიწისა, ბულმაისის ძისა და ანტონი I კათალიკოსისა, არხ. გაიოზისა და სხუათა უმრავლესთი უსტანბო არიან მკდოვანებისა გამო ხუასტაგისა და რომელთანიმე შურითა დაწყვდიადებულ არიან ეგრეთ ვითარცა თქუჱნისა ლოღიკისათჳს შურმან ვერღა გრძნა რათამცა დაბეჭდულ იყო, ვითარცა ერთი ენისა ჴმა, ეგრეთუჱ ჩვენის ჴმისი ენაცა უტეოდ, იდეას მოთმინებისა საუნჯესა შინა დაკლება ათასორასისა ყოვლადისა კაცისა მისგან. ნ. დ. რომელი აწინდელსა ჟამსა მარჯულ მონანულობს შინაგან.

დასასრულ, მხევალი ე. ი. ფილასოფია იტყჳს მხევალი ღვთისმეტყუჱლებისა და უფროსლა ღვთისმეტყუჱლება ნუგეშინისცემს ერთკერძ ბოროტშემთხუჱლსა, რომელსა კეთილად შეეცვალების მეორე მხრივ კეთილ ბრძენსა, აჰა მოწამედ არიან მეფა ფილასოფია და მეფე ღვთისმეტყუჱლება.

ხოლო მე ამიერთაგან, უმეტესსა სიყვარულსა და ლოცვათა განვამრავლებ თქუჱნდამო, რათა ნაყოფნი გამოიღოთ სულებთა შინა მოწავლეთასა და ქარტებთა ზედა შობილებთათჳს და შობადებთათჳს. ამად აჰა, ვაშა, ვაშა, ტელეგრაფისაცა მოგიძღუანე ენითა ჩემითა, რათა არა თუ განლაღნეთ აზიურ, არამედ განძლიერდეთ სუნნელებისა გამოცემად.

ჟურნალი ესე იგი მატიანე მოსკოვისა, ტელეგრაფი 1827 ნუმერი ე. ი. ამრი ალღეი 145 კურსი ე. ი. სიმრგულე გინა სივრცე ნაწილი ლოღიკა შეთხზული სოლომონ დოდაევისაგან მაღაროელისა სპბ. 1827 წელსა სტანბასა შინა პუტე სოობჩენიასა ე. ი. მოგზაურთ შეერთებისასა ღლავნაი ე. ი. თავნი უპირველესისა 8 და 153 გჳერდი.

ვაუწყეთ მკითხჳელთა ჩჳენთა ამა წიგნსა შინა ტელეგრაფისასა აღმოჩენად უკეთილესისა როსოლისა ღრამმატიკისა, მხიარულ ვართ, რომელ ვაცნობებთ კიდეცა გამოჩენასა ერთსა დროსა შინა ორთა შესანიშნავთა სასწავლებლებთა თხზულებათა ლოღიკისათჳს. ესრეთ აქამომდე არა გვქონიეს ჩვენ კარგათრე დაწყებულნი ლოღიკანი, რომელნიცა არიან ფრიად საჭირონი სწავლისა ჟამსა. ყოველნი ლოღიკანი ჩჳენნი იყუვნეს ანუ ძჳელნი კინდელიაკურითა ბრუნვათა შინა ხრიათა ენტიმემთა დილემათა, სორიტთა. მოძღუარნი მასწავლელნი წიგნებითგან განუკრზავდენ თემებთა მოსწავლე მოწაფეთა ძნიად გასაგონისა სიტყჳებითა, რომელნი გონებათა მათთა ვერარაათა შეეწეოდა:

განმგდებელთა და დატევებით ყოვლისა სხოლასტიკასა ერთბამად კონდელიაკურისა ცალიერ სიტყუაობისა ჯელმძღვანელობითა ახალმან აზმნებელმან, უფალმან ტალიზინმან და უფალმან მაღაროელმან ცხადად, მოკლედ და ლიტონად აღმოაჩინეს მაღალსწავლან იგი წესიერად აზმნობელთა, რომელ ორნივე ზემო ხსენებულნი მისწვთებიან თჳსსა თხზულების საგანთა, წიგნი უფლისა მაღაროელისა არს დასაბამი ვრცელისა შრომისა (ამად, რომელ მასა ნებავსა გამოცემად სრულისა ფილოსოფიისა კურსისა. აჰა, შევნიშნოთ რომელ უფალი მაღაროელი არს ბუნებითი ქართჳელი, რომელმანცა შეასრულა კურსი სწავლისა პეტერბურღსა შინა თანამდებობისად შერაცხა, მოთხრობად აღმომკითხჳელთადმი. გჳერდსა 4), რომელ ამა თხზულებათა შინა და გამოცემათ შინა, მიიღებდის ფრიადისა მზრუნველობითა მონაწილეობასა მისი ღირსება, ქართჳელი იერომონახი იონა.

საამოვნო არს გონებად და მოლოდებად, რომელ განათლება მიეფინოს ბრწყინვალე სხივებითა თჳსითა იმიერ კავკასიასაცა. ესე ვითარ ერსა შორის, რომელიცა მოკლებულ იყო აქამომდე მისის კეთილმოქმედებისაგან. ინებოს ღმერთმან, რომელ უფალმან მაღაროელმან თანა მემამულენი და მოწაფენი თჳსნი შეიდრგინოს განათლებად მამულისა.

ესე შთაიწერეთ მატიანესა შინა, რომელ ყოვლად თქჳენისა წიგნისასა ევრეთუჳ ჩემნი ავთრათნი შთასწერეთ და ლექსიკონიცა ჩემი ზედას ზედარე იკითხეთ, ვგონებ გარდა ლექსთა სიბრძნენიცა მრავალნი არიან მოხსენებულ და განმარტებულ. მ. მ. მოძღვარი იონა.

## № 210

### 1828 წლის 6 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუჱნო მაღალ ღირსებავ მამაო მოძღვარო მამაო იონა უმოწყალესო ჴელმწიფევ!

განწმედილსა და მაკურთხეველსა მარჯვენას ზედა ამბორებას მოგახსენებ, და დაცვასა სიმრთელით და მშვიდობით გულითადიერ ვისურვებ და უბესა ამას ზედა ქუჱყნისასა ბედნიერებისათჳს ჩვენისა, რომელნიცა მოველით მზრუნველობითსა ყურადღებასა თქუჱნსა მაღალ ღირსებისასა და ვმადლობ წმიდასა წმიდათასა ორისავ კერძო ესე იგი მეფოთა და ძეთა თქუჱნისა კეთილდღეობისათჳს, რომელმანცა ვისმინე მიმღებმან ავთრათისა თქუჱნისამან, შემდგომ მქისიყით მოსლვისა ჩემისა ქალაქად ტფილისად ივლისის 2-სა მასთანავე მებოძა ლილნი წარმოგზავნილნი, გარნა არა ფორმისა ჩემისანი და არცა იხმარებიან ჩემ მიერ, რომელთაგან მისაბრუნებლად წარმოგზავნი მარდაიუე ჩემი ე ფოჩტაში ანუ შეკრიკით, ვინაიდგან ლილნი ესე არა არიან ხარკოვის უნივერსიტეტისა. არამედ ხარკოვის ღუბერნიისა. უნივერსიტეტისა ლილთა აქვსთ ღერბად არწივი.

მამაო, ბრძანებთ გამოცდასა აქაური შკოლის თავადთა და აზნაურთასა. და წარმოსულთა მაგათ თავადთა და აზნაურთა არა აქუსთ მიღებული სული იგი, რომელიცა მიმიღიეს მე თქუჱნ მიერ. აქაცა უმრავლესი რიცხჳ მათგანნი მიმოდაეგებიან იქი იქა. არა მცნობნა არცა თავისა თჳსისა და არცა სოფლისა ანუ არსებისა და ბუნებისა, მოთმინება და სულგრძელება მათთჳს, რომელთაცა არა აქუსთ განშერჩევლობა თავისა თჳსისა პირუტყუთაგან, და არა უწყიან საგანი თჳსნი. მამავო საყურველო, უტევოთ თავადნი იგი შემოსრულ სხუა მამულიდგან, აწ რაჲსათჳს იქადიან მამულსა შინა ჩუჱნსა? რაჲ აქუსთ ანუ მუნ ძუჱლსა მამულსა და ანუ ახალსა შინა საქადელი. ვინაჲდგან არა რაჲ იხილვების საკუთრება მათი და არცა მოქმედება მონებით და ჴელოვნებით. ყოველთავე ამათ გუარითა ანუ სქესისა მაქებელთა მიუგოთ ესრეთ: არა გუარითა იქების კაცი, არამედ გონებითად მოქმედებითა ჴელოვნად. იგინი უსარგებლო ლექსებითა წარაგებენ ღირსებასა თჳსსა და არა რაჲ დაშთებათ, მე ესე ოდენ განშორებულვარ ტრაბახთაგან, ვითარცა ტფილისი პეტერბურხისაგან სივრცითა, ცუდ და უსარგებლო მეტყუჱლებისათჳს დრო არა იპოება ჩემ შორის და არცა მსურს. საგანი ჩემი არს სიბრძნე, ვითა-

რცა უწყით, და ვსარგებლობ ესრეთ თქჳჱნ მიერ, ვითარცა ვსარგებლობდი თქჳჱნ წინაშე, რომლისა თჳსცა მადლობასა ჩემსა არა აქუს საზღჳარი და არცა ექმნების ყოვლისა რაჲსა მიმართობითა ანუ ყოვლითა გარემოებითა ძალისაებრ მოქმედებათა სულისა ჩემისათა, და ყოველთა კეთილობათათა თქჳჱნთათჳს ვგრძნობ მარადის და აღვავლენ ვედრსა უმაღლესისადმი საუკუნოჲსა ცხოვრებისათჳს თქჳჱნისა. ვინაჲთგან მზა ხართ წარმართებად მარადის საქმეთა ჩემთა.

შემდგომ ეგზამენიისა შესრულებისა ივნისის 6-დგან ორს კჳრას დავჰყავ თბილისსა შინა, სხჳა და სხჳათა საქმეთათჳს წარვალ მქისეიყად, სადაცა წარვმართე სახლისა ჩჳჱნისა, ესე იგი მამისა ჩემისა და ძმისა თქჳჱნისა საქმენი სხჳა და სხჳანი. სოლომონის[2] მარანში გალდი ერთი დღე და დიდ ფრიად მხიარულებით და სიყვარულით დამიხუდა მრავალჯერ თქჳჱნი ვჰსვთ და ძმისა თქჳჱნისა გიორგისა[3] სადღეგრძელონი. სიღნაღის ნაჩალნიკთან მიუწოდე ვაქირის ქევხას და უთხარ, რათა სახლსა ძმისა თქჳჱნისასა არა რაჲ უსიამოვნება არა მისცეს, რომელმანცა ფიცითა აღმითქუა, ვიდრე ჩემს მისვლადმდე სოლომონს ქალი თჳსი დაენიშნა ვაქირსა შინა მცხოვრებს დემეტრაშვილზედ[4], რომელიც არის მღუდლის შჳლი, მე მოუწოდე და განვხილე იგი, ვსცან ფრიად კეთილად და გავითარებულად, ჩვეულებისაებრ ივერიისა, ძმა თქჳჱნი სოლომონ და სახლეულობა მისი გთხოვთ შემწეობასა ქალის მზითვსასა. ესე ესრეთი გარნა ერი მის მაზრისა ფრიად მწუხარე და მტირალი ვიხილე, ნახევარი მცხოვრები არღა იპოება. რომელნიცა გარდაეგნენ სხჳა და სხჳასა მხარესა, ანუ კერძოსა ამის ქუეყანის ნაწილისასა შიმშილისა გამო, მოსავალი არ მოვიდა ახალი არა რაჲ და ძველი ხომ არღა იყო: კოდი ფქვლი ოთხ მანეთათ თეთრ ფულად კახეთში და მადლობა ღმერთსა ქალაქში უფრო იაფია. გლეხთა ვინ მისცათ, რათა მოივაჭრონ ფასითა ამით, ესე ვითარმან მდგომარეობამან სახლეულთა ჩვენთა და მემამულეთამან დიდ ფრიად მწუხარე მყო. და შეჭირვებულ, მოვაჭრებითა ვზრდი. თავსა თჳსსა და მოყუასთა ჩემთა და თქჳჱნთა.

შემდგომ მუნ რამდენისამე დღისა ყოფნისა ჩემისა სიღნაღს, მობრძანდნენ ღუბერნატორნი:[5] მკედართი და ქალაქთი. განიხილეს ერისა მწუხარება და ადგილისა მდებარეობა, მე მიბრძანა მსწრაფლ ქალაქად ტფილისად ჩამოსვლა, მხოლოდ დავყავ მუნ ორი კჳრა, დაუტევე ძმანი და ძმისწულნი თქჳჱნი სახლსა შინა ჩვენსა, ვიდრე კანიკულის შესრულებამდე თხოვისაებრ მშობელთა მათთა. დროსა მოსვლისა ჩემისასა ტფილისსა დამნიშნა ღუბერნატორმან კომიტეტსა შინა გამოსაცემად ვედომოსტებისა ანუ გაზეთებისა. სადაცა იქმნებიან სხჳა და სხჳანი გუარნი თხზულებათა წარმოებათანი, რომელნიც შემთხ-

ტცულან, ანუ შემთხუცლ იქმნებიან. ჩუცნ ვიწყეთ გამოცემა ამ იკ-ლისის თუცში ომარხანის ომიდგან, გარნა რომელნიმე თუცლნი თავ-ნი იმყოფებიან კომიტეტსა შინა და ვერა რაჲ შემისმენია ქართუ-ლისა ფრაზისათვს.

შეკითხუანი თქუცნნი ათვრამეტნი და მეორე ბოლოს შვდნი ლუ-თის ცნობისათვს მივიღე და ვსასოებ, უკეთუ ინებოს მაღალმან, რა-თა განვმარტო ძალისაებრ ჩემისა, მოცემულთა ჟამებთა შინა მამუ-ლისათვს, გთხოვ ხშირად მიბრძანებდეთ თქუცნს ვითარებას, რო-მლითაცა ფრიად მახარებთ. ადამ ღირსიევს მოკითხავ სიყვარულით და ვახარებ მშვდობასა სახლეულთასა.

მდაბლად თავის დაკვრას მოვახსენებ მათ, რომელთადმიცა ძა-ლმიძს. მამა ჩემმა მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენათ და ძმამან ჩე-მმან, სტეფანემან, შემოდგომას ჰსურს წარმოსვლა რუსეთად და რაჲ-სა მიბრძანებთ.

მე ყოველთვის მზად გახლავარ შემოდგომად რჩევისა თქუც-ნისა და ვჰგონებ აქამომდე სცნობდით ყოველსა თვსებასა სულისა ჩემისასა და მოქმედებასა, ვითარცა ჰსცნობდით პეტერბურხსავეში-ნა. მაკურთხეთ მწოდებელმან შვლად სულისად, უკეთუ ინებებთ ხვა-სტაკისა დადებასა ტფილისის ლამბარდსა შინა. იგი იქმნების არა ერთისა სულისათვს. არამედ მრავალთათვს და საუკუნოჲსა ნეტა-რებისათვს თქუცნისა, უკეთუ არა მაქუნდეს ნაკლი ხვასტაკისა, მა-შინ უმეტესი საქმენი იწარმოებდა ჩემ მიერვე მამულისათვს!

დროსა მყოფობისა ჩემისასა სიღნაღსა შინა გამოუცხადე გა-ხსნა სასწავლებლისა, რომელთაცა ვამხილე სარგებლობა, გარნა რო-მელნიმე თანხმანი იქმნენ და უმრავლესი ნაწილი არა, მომიგეს შიშ-შილი გვაწუხებსო. თანხმანიცა სიტყვთა ჰო, ჰო, და საქმითა არა რაჲ, გარნა თვთ მთავრობასა ჰნებავს ყოველსა უეზდსა შინა განხსნა სას-წავლებლისა.

თქვენის მაღალ ღირსების სულიერი შვლი სოლომან დოდოევ.
1828 სა ივლისის 6.

## 211

### 1828 წლის 4 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუცნო მაღალ ღირსებავ მამაო წმიდაო და ნათლით შემო-სილო ზოლო მაკურთხეველო სულისა ჩემისაო იონა!

ამ ჟამს ჩიკრიკი (ფოჩტა) წარმოვალს და ვეშურვები წერასა მოკლედ სადაცა გამოვხატავ შემთხუჱლებასა მდგომარეობისა ჩემისასა. დღეს შესრულდა ჩემზედა საიდუმლო ქორწინებისა შემდგომითა წესითა: ღუბერნატორმან[1] ინება პირველად წინადადება, რათა მივიღო მეუღლეობა აღრჩეულისა მის მიერ სძალსა ზედა, ესე იგი მან აღარჩია ჩემთჳს ნათესავით ქართველთა კეთილშობილთაგანი კოპიევისა და შკლობილი ღუბერნიის არხიტექტორისა[2], რომელსაცა აღუზრდია უკეთილესად ორსავე ენასა, ესე იგი რუსულად და ქართულად, წლისა ათოთხმეტისა, რომელიცა შესაძლო არს უმეტეს განკთარებად ამისსა. ვითარცა ჰსთხლეს მეუჟესა, სახელი მისი არს ელენა ფედორეჩვიცი, რომელ თქუენსა მაღალ ღირსებასაცა ჰსთანდა ესე და მაქებდა კურთხევა ამის სჯულიერისა შეერთებისათჳს და უმდაბლესად ვითხოვ, რათა კვალადცა მაკურთხოთ რომელიცა შემეშთხჳა მსწრაფლად თუმცალა მაქვნდა მისი ადრე განზრახვა. კვირიკესა დილით ღუბერნატორმან მიბრძანა და საღამოზეთ ღამით ჯვარისწერა იქმნა ჩემი. მეუღლეობისა ამის ჩემისა მე კმა ყოფილ გახლავარ და ესე ჯერ იყო ყოფად და იგი არა დატიებად. ამის გამო მამაო უსაყვარლესო და უძვირფასესო სულისა ჩემისაო, ნუ იზრახვთ რათა სხუანი საქმენი ჩემზედა რწმუნებულნი იყუნენ ამის შემთხუჱვის შემდგომ დაყოვნებულ, უმეტესი ძალისკმევა და შრომა მოუწყვეტელი მექმნების კომიტეტსა შინა, სამხედრო ღუბერნატორმან მზრუნველმან ჩემმან კომიტეტისამან მარწმუნა საკუთრად მე გაზეთებისა და ჟურნალებისა გამოცემა, საქმისა ამის გამო არა მაქვს არცა ერთი წამი თავისუფლებით, არცა ღამე და არცა დღე მოსვენება არა მაქვს, მერწმუნეთ ყოვლისა ამას და შემიბრალეთ ცსოდენისა საქმისათჳს, რომელ საკუთარნი საქმენი ჩემნი და სახლისანი დაშთომილ არიან ჯერეთ, უმეტესად სხუა და სხუათანი თხზულებანი ჰშთებიან შეუსრულებელ და დიდად ვსწუხვარ. თქუენ ბრძანდებოდეთ სიმრთელით და მშვდობით და ყოველნივე აღსრულდეს ვითარცა ენებოს მაღალსა ბრძენსა.

აგარის დაკავებისათჳს ანუ დაგირავებისათჳს გიბრძანათ წარსრულსა ავთრათსა შინა, ესე დიდ ფრიად კეთილი და სასარგებლო მარად ცხოვრებისათჳს ჩვენისა და კეთილთა საქმეთათჳს ფრიად საჭირო არს, და ცნობისაებრ ჩემისა, კაპიტალი რაოდენიცა იქმნების, და ერთსა წელს ათად შეიქმნების, და გთხოვ უმდაბლესად აღასრულო ბრძანებული იგი თქუენი და მომცეთ კეთილ შემთხუჱვა და სარგებლობა სახლეულთა ჩვენთათჳს. დიდად ვჰსწუხვარ, რომ გიორგი პაიჭაძე[3] აქ არ იმყოფებოდა, იმ შემთხუჱვაში, ტიპოღრაფიისათჳს, რომე-

ლიცა კომიტეტსა შინა საჭირო იყო, ერთი სომეხი განაწესეს და მისცა ოცდა ათი თუმანი თეთრი ფული ღუბერნატორმან.

მომიტევეთ, რომ არა ყოველი გარემოება გამოხატულ არს აქა ავთრათსა შინა, ვინაჲთგან არცა არს ჟამი და არცა წამი დროისა. მშვიდობით მიბრძანეთ ვითარება ძმისა თქუენისა[4] და სხუათა ვითარებანი და მოიკითხეთ ყოველნივე სახლეულნი ჩუენნი მშვიდობით არიან. დროშკა მოივაჭრეთ და დროზე წარმომიგზავნეთ, რომლისათჳსცა ვალი განმრავლდების ჩემზედა.

მდაბლად თაყვანისცემა მოგახსენეს ბარბარე ბატონის შვილმა[5] და სხუათა, დიაჩოქი კაპაბრიძე[7] მდაბლად გთხოვსთ, რათა უბრძანოთ მის ბატონი შვილს ჯორჯაძესა[6], რომ დაიბარის თჳსთან.

თქუენი მაღალ ღირსების უმორჩილესი მოსამსახურე შვილი
თქუენი სოლომონ დოდაევი.
აგვისტოს 4
1828 სა
ტფილისით.

## № 212

### 1828 წლის 10 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალო ღირსებავ მამაო უმოწყალესო ჴელმწიფევ!

„სულო ჩემო ყურად იხუენ სიტყუანი ტკბილნი სავსენი მადლითა, ვეტყვი მე მარტივსა ცხოველ არსებასა და ჰსცან გამოხატული აზრი მამისა შენისა, ჰგრძენ გულო ჩემო კეთილი მზრუნველობა მაკურთხეველისა შენისა, რომელიცა ყოველსა წამსა მოღუაწებითა თჳსითა არა დასცხრების თჳნიერ შრომისა და ძალისჳმევისა თჳსთა მოქმედებათა შინა სარგებლობისათჳს საყვარელთა მემამულეთა თჳსთა თავის შენისათჳს, რომელიცა მზად გყო შეწირვად მამულისა ანუ სასარგებლო წევრად საზოგადოობისა“. მამაო ბრძენო, მიმღები ავთრათთა თქუენთა აგვისტოს 8 სა და მოხარული სასიამოვნო ცნობათათჳს სიმრთელისა თქუენისათა და სხუათა ზრახუათათჳს კეთილთა გამოხატავ თავსა თჳსსა ზემოწარწერილისა. მე მაქუენდა ბედნიერება ხამისა ავთრათისა თქუენისა მიღებად. პირუელი თავადის ფარსადან ციციანოვთან[1] ყოფილის კაცისაგან, რომლისაცა სახელი მიმეფარა აგვისტოს 3-სა ივნისის ე-თგან წარმოგზავნილი, ხოლო ორნი, ავთრათნი ერთს და ერთსა დღესა ესე იგი 8-სა აგვსტოს ერთი ათისა და მეორე კე-სა ივნისისა მოყვსისა ჩემისაგან, რომელსაცა

მიელო პოჩტასა შინა. პირველსა ავთრათსა შინა თქუენსა ვიხილენ
განხილვანი თქუენნი, სხუა და სხუათა გუამთანი, რომელნიცა ჭეშ-
მარიტ არიან აქაცა მამულსა შინა ჩუენს ეგრეთ. ბრძანებთ კუჭითა
და ტანტალითა განკთარებულნი, ხოლო ორთა მათ ავთრათთა შინა
შეიცვლებიან მიღებისათვს ავთრათთა ჩემთა პასუხნი და სხუანი ტალ-
ანტნი სულისა თქუენისანი, რომელთაცა სული ჩემი გარდაიტვიფრავს
საზრდოთ თავისა თვსისა და სასარგებლოდ მოსწავლეთა მიმართ,
მიბრძანებთ რა სოლომონისათვს ძმისა თქუენისა ხვასტაგისაგან ჩე-
მისა ათის თუმნ მიშველებასა მოვაჭრებისათვს საზრდოთა. მე ესე-
ვითარისა შემწეობისათვს მზად გახლავარ, ამას წინათ ეთხოვნა ორი
თუმანი თეთრი ფული და წარუგზავნე, ამასაც ვეცდები მსწრაფლად
აღვასრულო, ამ წელიწადსა შინა მოსავალი არ გახლდათ მქისეიყმი
და ფრიად დრტვინვაში იმყოფებიან და დიდს მწუხარებაში ყოველ-
ნი მცხოვრებნი ჩუენის უეზდისანი, მეც თვთ ვჭვაჭრობ სა-
ზრდოსა და ფრიად ძვრად, უკეთუ სხუა ღონისძიება არა ვპოე მიძ-
წელებს ხვასტაკითა ცხოვრება. ვითარცა წარსრულს ფოჩტაში მოგახ-
სენე, ბედი ჩემი სრულ იქმნა და ვიქორწინე ნათესავით ქართულსა
ზედა და რუსულად აღზრდილსა, რომლისათვს მაქუნდა კურთხევა
თქუენისა მაღალ ღირსებისა, მე თუმცა არა ფრიად ჰმსურდა ჰგარნა
ნება ღმრთისა აღსრულდა, თქუენი, მშობელთა და ღუბერნატორისა.
ხოლო მე ესე შემთხუევლება არას დამაბრკოლებს საქმეთა შინა, არა-
მედ უმეტეს წყნარ, მშვდ და სრულ მყოფს გონებითა და გულითა.
გარდა სასწავლებლისა, კომიტეტისა, საქმენი მრავალნი მარწმუნა
პრეზიდენტმან, სამხედრო ღუბერნატორმან. მოუთმენელსა და უძლე-
ველსა შრომასა შინა გახლავარ, რომელიცა შეუძლებელ არს, რა-
თა აღსრულებული იქმნას რომლისამე მამულისა შვლისაგან და ჩე-
მთვსცა მოიძნელებს, გარნა ლოცვითა თქუენითა და შემწეობითა
მღვთისათა ჯერეთ ვასრულებ რწმუნებულსა ამას თანამდებობასა.
მრავალნი მირჩევდნენ, რათა არა თანაჴმა მექმნა მას ზედა სიძნელი-
სა გამო, გარნა არ ვისმინე რჩევა მათი და მივიღე თანამდებობა კო-
მიტეტისა, სადაცა ყოველსა დღესა მაქუს ფრიადი შრომა და ღამე
საქმენი სადგომსა შინა მომაქუს, მიმხედი ესრეთთა ჩემთა შემთხუ-
ევულებათდმი, ვიცი, ყოველსა წამსა შემიბრალებთ და კეთილ მი-
დრეკილებით მოხედვა გექმნებათ ჩემზედა. გარდა მათსა ორი მრ-
თელი კვრა მოუთმენელთა სიცხეთა შინა გახლდი ფრიად ავათ თავის
ტკივილისა, სიცხისა და მუცლის ტკივილისა გამო, და აწ, მადლობა
ღმერთსა, განვთავისუფლდი. გარნა საქმენი ლაშთომილნი მას დროსა
შინა არიან გარემოს ჩემსა და ტფილისის უწყებანიცა დარჩენ ორ

კვრას გამოუცემელად, და ამის მიზეზისა გამო მათს უგანათლებულობას ბაგრატ ბატონის შვლსა დაუგვიანდა და არა მიერთო.

სახლეულნი ჩვენნი ე. ი. ძმათა თქუენთა და მამისა ჩემისა მშვიდობით და სიმრთელით გახლავან, რომელთაცა თაყვანის ცემა მოგახსენეს ეგრეთვე. ადამისა[2] სახლეულნი სიმრთელით მყოფობენ: სრულიად კეთილ დღეობით იმყოფებიან. სოლომონის შვილს იოანეს[3] ჰსურს მანდ წარმოსვლა. უბნობს შეუძლებელ არსო უკეთუ არ წარვედიო. გარნა ჯერეთ აქ იმყოფებოდეს უმჯობეს არს და უკეთუ ინებებთ უკეთუ ენებოს ღმერთსა, დაეთხოვები ერთსა წელს შემდგომ მთავრობასა სამისა ანუ ოთხისა თვით წარმოსვლად თქუენთანა და მაშინ თანა წარმოვიყვან. ფრიად სასარგებლო და საჭიროცა არს დაგირავება აგარისა ანუ ვითარცა ჰბრძანებთ ტფილისის ლომბარდსა შინა. აქა შესაძლო იყო დაბეჭდა რომლისამე წიგნისა, უკეთუ ხუსტაგი გახლდესთ მზად. თუ სადამე ინებებთ ანუ ძმათათვს ანუ სხვათათვს რაისამე წარმოგზავნასა, ინებეთ ჩემს სახელზედა ფოჩტითა წარმოგზავნეთ.

გლარძი არ მომივიდა, ხოლო ღილნი გიახლათ, გარნა არა ფორმისა. იგინი ლებერნისაა და არა უნივერსიტეტისა. ჰბრძანდებოდეთ მშვიდობით და მახარებდეთ ავთრათითა თქუენითა თქუენისა ვითარებისათვის.

უკეთუ რომელნიმე მემდურებოდნენ მოუწერლობასა ავთრათისასა, მდაბლად თავის კვრა უბრძანეთ და ბოდიში მომხადეთ, რომ ვერ მომისწვრია მოწერა. მერწმუნეთ არა მაქვს დრო.

თქუენი უმორჩილესი შვლი სოლომონ დოდოევი.
1828 სა წელსა აგვსტოს 10 ს.

**№ 213**

**1828 წლის 29 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

თქუენო კეთილ შობილებავ სოლომონ იოვანიჩ
ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომართმევლობ თქუენდამო!

მეურა თქუენი ავთრათი მოვიღე აგვსტოს 4 სა შვდთა საიდუმლოთაგანისა საიდუმლოსა აღსრულება, ესე ა. საიდუმლოსა ქორწინებასა მაგას მომლოცველობ. თქუენდამო დამკვდრებად კურთხევასა მაგის მსგავსად აბრამისა მამად მრავალთა შვლთა ზედა თქუენსა. მსგავსად ისაკისა. ქრისტეს ეკკლესიისა ჰრქად დასახედრე იაკობ ისრა-

ილისა გაფენად სპერასა ზედა ახლისა აღთქმისა. ხოლო მეუღლე თქუენი იქმნენ სარრა და რახილ, რომელამთ აღაშენა სახლი იაკობისა და მოვედინ მადლი თქუენზედა და დიდსა კონსტანტინესი და ელენასი. და ქმნად ვარსკვლავებ სულიერ ზეცისა და ვენახ სუფევისა და ზეთისხე ნაკადად სიბრძნისა, ვიდრემდის ეგოს მზე და მთოვარე სოფელსა შინა, ვიდრე შესვენებადმდე რჩეულთა.

ესრეთ ამიერითგან თანაგიძსთ ურთიერთისა ორთა პირთა ერთ გუამ ყოფა, საღმრთო ცეცხლაბრძმედებელისა სიყვარულითა შეკრულ ყოფა, რათა კურთხევა დაიმკვიდროთ და იქმნეთ ერთ სულგუამნი ორნი და არა განეშორეთ ურთიერთისაგან თვსიერ ზიარებისა ლოცვისა მოცალეობისათვს. გარნა აეკრძალეთნით, რათა მეუღლე გხალოვესთ, უფლად თვს ზედა. და აქუნდეს შიში თქუენი მრწემობითი. რამეთუ ადამ პირველად დაიბადა. ამად თავ ცოლისა ქმარი არს და ასწავებდეთ შიშსა ღვთისასა და სათნოებასა მის მადლისასა და შიშითა ღვთისათა შიშიცა თქუენი ექმნების გვრგვნად.

ზემო ყოველთანი არა კირთებულ ჰყოთ. მემცხედრე წევრი თქუენნი, რომელ არავინ ღვთისა მოშიში და მექონი სჳნიდისისა და მსურველი შვილიერებისა თვსსა წევრსა შეურაცხყოფს, არამედ ზრდინ და ფუფუნებენ, ვიდრე განრასვლადმდე ამის საწუთროსა. რამეთუ სიძვსათვს კაცად კაცადსა თვსი ცოლი უვის და ცოლსა თვსი ქმარი, ესვე განჴურვებისა საკურნებლად და უფროსღა სჯულისა ბუნებისა საღმრთოჲსა და სულიერისა აღსრულებად და მოღებად მადლისა და შვილთათვს მემკვიდრეობისა.

აჰა, ამიერითგან იწყეთ მეუღლეთა კეთილმსახურთა მეგობრობად, რათა ძირფესვნი განიღგეთ ეკკლესიისა ვენახთა შორის, რომელ არიან ქორწინებულნი. ხოლო თქუენ მეუღლენი იქმნენით ურთიერთისა მეურნე. პირველად სულიერ, მეორედ ჴორციელ მეგობარ გულითად, მესამედ მხიარულებასა და მწუხარებასა შინა თანა მონაწილე. მეოთხედ იკონომიითა სახლისა მაშენებელ, მეხუთედ შეუნდობლით უცილოესსა მურჩელისა სიტყუათა და საქმეთა. მეექუსედ საიდუმლონი დიდნი და საქუეყნონი არა რაჲ არწმუნოთ, არამედ სხუათა რასამე მიუთხრობდით. ვინათგან მღდელთა არ ძალუძსთ დატევნა ხვაშიადთა. მეშვიდეთ კეთილზნეობისა ჩუენება სიტყვთ საქმეებითურთ. აჰა, სახლისა საქმეთა შინა მონაწილეობა და მიბარება ძალისაებრ საქმეთა სამღდელოთა და კეთილთა საქმეთა შინა გართვა, რათა არა მოეწყინოს უსაქმოებითა და შეჩვევა ყოველთა კეთილთა სიტყვათა და საქმეთა.

ვინადგან აღზარდეთ სათნოდ ღვთისა ნებისაებრ თქუენისა სიმშვდითა და სიმდაბლითა, ლოცვთა და მარხვთა. და ქუჩლის საქმითა.

და ნათესავთ სიყვარულითა, რომელ არს მცარე მამამთილისა და დედამთილისა და მისხის მისხთა.

დასასრულ, არიან კაცნი, რომელნი ღერობაში და ესე იგი უმეუღლეობისა დროებთა და ჭაბუკობისა ჟამებში კეთილ და პატიოსან არიან, ხოლო ოდეს იქორწინებენ ზემოსა ამას დაუტევებენ და იწყებენ დრანჯოზასა დრასტიკობასა და ლირწებასა სიღოდანთა ტყუილთა ცრუობასა ანგარებასა მხუსშველობასა და შეცვლ ღმერთობასა და ლამის რათამცა იმარტოს სოფელი მეცლეებთა განმამრავლებელი და არღა საგებლობისა ე. ი. ჩჩვლთი უსუართი ნინველთი და ყრმათი და ჭაბუკთი და იშვთ ჭარმალთი კმად, რომელ ქართუწლნი რომელნიმე ძნიად დააბერებენ ურთიერთ მტერობითა და შურითა და ენა მწაკერობითა განლეულნი ამად ჭარმალი შვლისასმა იშვთ იპოებს მადრე.

დასასრულ, თქუენ ეკრძალენით, რათა მეუღლიანი ტოლ მამულისა იქმნეთ და მანანა მოყვასთა და ას და სამეოც და ოცთაათ მქლეულიან, გალანამცა, რათა უკვრდეს იუწრიას მეტყუწლთა ესრეთ, ვითარ შესაძლო იქმნა ოჩოპინტრედ სახელ დებულისა მქისიყისაგან ვირად წოდებულისა ერისაგან ესე კთარი კაცი, რომელი უკეთილეს წევრი მამულისა არსო და მდაბალ და მოყუარე ერისა, ეგრეთ ვითარცა თავისა თვსისა. ერთი ესეცა იცხოვრეთ იკონომიითა და დასჯერდით მხოლოდ როჭიკთა, დაამუშავეთ იგი, რათა უიკონომიობამან და მკდოვანებამან არ იძულებულ გყოსთ საჩუქრებისა და ქრთამისა მიღებად.

იხილეთ ქიზიყში თაონი ერთი ძლუნებითა ცხოვრებდა, გარნა მაშინც არა რაჲ აქვს საუნჯე და ქუა ქუათა ზედა დადებული, ხოლო იმერეთისა შინა თაონი ერთი სომეხი თჳსითა როჭიკითა ცხოვრებდა და სხუათაცა მრავალთ ზრდიდა, გარნა მაშინც ბევრი აქუს საუნჯენი და შენებულება. აჰა, ესერა მწერთ კახაბრიძეს[1] სურვილსა. მაგან თვთ მოსწეროს თავის ბატონს რომელი მე არღა მინახავს რაოდენიმე დრო არს, არღა უშვებენ ხშირად კადეთებს.

დროშკის საქმე შესრულდების გიორგის გამოგზავნისა შემდგომ. ეგრეთვე დაწინდვაცა მანდარე მარჯუე რაჲმე სადითცა სარგებელი შემოვდეს და გამოზარდოთ ყრმანი ეგე იოანე და გრიგოლ ჩემი ხვასტავისა შამოსავლიდამ, გარნა მცირე განმისუენეთ ვიდრე წარმოგზავნადმდე ძმისა ჩემისა გიორგისა, რომელმან ნაცვალი მადლობა მოგახსენათ.

ეგერა წიგნი მოგწერე ვგონებ უსწრობდა ჩემი თქუენს წიგნის მოწერასა ესერა უკეთუმცა უწინარეს ჯუარის დაწერისა ლოცვა კურთხევასა გეთხოვნა ჩემგან. მე არღა გწერდი წიგნსა მაგის მაგ აზმნობითა. აჰა, ვინაჲდგან შემდგომ შესრულებისა მაცნობეთ მე საქმე

თქუენი, გარდასდევით ათისა თუმნისა წარგზავნა დანიშნულსა ად-გილსა. არა უწყი რად არ მაცნობეთ მე ესე უწყი ვნცობერათ არ შე-დგება თანამდებ არიან ხმად მეუღლისა. ამად უფრო განვკვრდი ე. ი. რომელიც არ შეირთედ მაცნობეთ.

დასასრულ, თქუენ კეთილად იცხოვრეთ სათნოდ ღვთისა, ჩემი სურვლი ესე არს თქუენთვს. და დანიშნული საქმენი იმარჯუეთ აღ-სრულებად. იოანესი და გრიგორისა მომწერეთ. აბა მოსვლადმე მა-გათთვს მალე მოგაშველებ წარმატებასა და დროშკასაცა, შემდგომ ამის გამოსტუმრებისა. ღილები მომწერეთ რა ფორმა გთნავსთ, გა-მოგიგზავნი. თქუენს ვითარებას მომწერდეთ მეუღლითურთ. ზედა ზე უმეტეს ახლა.

აქარე ბრძანებულთ ყოველთავე ერთხმობით მომლოცველად თქ-უენდამო მიხმიეს უმაღლესთა უგანათლებულესთა და სამღუდელო-თა და მკედარამ და სნეულებასა შინა მლმვლელამ, მამა გიორგის სა-ქმე დუმილში არის ჯერეთცა. ფილადელფი მიამბორეთ და შეეწი-ეთ ლექსიკონის ასხმაში. ეცადენით, წიგნი ეგე გამოსცეთ სტამბითა. ფულ მე წარვაგებ. შეკითხუაებიც ეცადენით და განმარტეთ და ეშუ-რენით მალე ლექსიკონისა გამოსლვასა. და შეკითხვსასა. რამეთუ არა უწყით განსვლისა ჟამი. თქუენი სიმრთელე მიწერეთ ჩემთვს უძ-ვრფასესი სულო კეთილო. ეკრძალენით მიზეზი არავის მისცეთ წყე-ნისა. უტევეთ, თქუენ შეგაურვონ სხუათა. რომელსა ღმერთი და ღვთიურნი განამართლებენ.

მშობელთა თქუენთა მიულოცეთ მაგიერ ჩემსა. თქუენი კურთ-ხევა ზეგარდამო და ბატონიშვლს მოწაფესა ბარბარეს მრავალ ბე-ვრეული ლოცუა მოახსენეთ სულსა კეთილსა და სხუათაცა მეცნავთა ჩემთა.

ესერა მიერთაგან თავისა თვსისაცა და მეუღლისათვს თანა მას ლოცვა და მახუცესპლისა შეწირვა. მეუღლესა შენსა ელენე თეოდო-რუნას საღთო ლოცვა კურთხევას უძღვნი ამ ჟამად.

თქუენი მლოცველი მ. მ. მ. წელსა 1828 სა აგვისტოს 29

### № 214

### 1828 წლის 30 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე თეიმურაზისადმი

უგანათლებულესო მეფის ძეო თეიმურაზ! ქრისტე, ღვთისა მიერ საღთო ლოცვად მომრთმევლობ თქუენდამო.

ესერა თქუჱნისა კეთილ მსახურებისა სულისა თქუჱნისა კეთილ თჳსებისაგან ნამდვილ ვუწყი, რომელ აღიხსენებთ პირველ სულიერ მოძღურებასა ჩემსა დიდ სარწმუნოებითა ქრისტეს მიმართითა. მეორედ ერთგულებასა ჩემსა, რომელნი მქონან თქუჱნდამო. ესე უწყის სვნდისმან ჩემმან. მესამედ საქმითაცა ვლამი, რათამცა გმსახურო, ვითარცა მოველი ხვასტაგსა შემოკლებულ ჟამში. რომელსა მრავალნი შემატებანი გიხილვებიათ ჩემგან ერთბამად დაუვიწებელ არიან. ვითარცა წიგნის დაბეჭდითაცა სახელი ჩემი ლოცვითა მოსახსენებელნი წარგზავნეთ უუსაყვარელლსა მამულსა თქუჱნსა წინაპართა ცხებულთა თქუჱნთასა. რომელსა ქებასა მწერს დოდაევი შკოლებისა მოსწავლეთა ანტაკად[1] აქუსთ საკითხავად სრულ ასაკოვანთა ამაზედაცა დიდ ფრიად გმადლობ.

ეგრეთუჱ მეცა ხატზედა მაცხოვრისასა წარვაწერე სახელი თქუჱნი მემცხედრითურთ და ტაძრის კურთხევის ქადაგებასა შინაცა მოხსენებულ ბრძანდებით წლის ქადაგებისა თავისა, რომელი მიერთაგან ვლოცულობ თქუჱნისა სიცოცხლისათვის, რომელი მასრულთა დაწუნებულთა, დავრდომილთა ჩუჱნისა ქუჱყანასა კაცთათჳს ბრძანდებით. მზრუნველ და შემწე. მსგავსად კურთხევით სახსოვრისა პირმშო მემკვიდრისა ღვთისადმი განსვენებულისა დავით მეფის ძისა, რომელი ქუჱყანისა თქუჱნისა ერსა არა თუ მხოლოდ მდღევარისა სახრდელითა კმა უყო, არამედ მზისა და მთოვარისა თანა გებადისა ტიტულებითა დაწუნებულნი პირმშო ერთა თვისთა აღიყვანა ე. ი. თავად აზნაურთა ღირსებათა შინა, რომელთა სულები შვილითი შვილადმდე ნებსით და უნებლიეთ მაკურთხეველ არიან დავით მემკვიდრე მეფის ძისა, რომელი სიკვდილმან მტერმან ყოვლის ქუჱყანისამანცა დააგვირგვინა, რომელსა თვისაგან გაბედნიერებულნი ჯერეთცა მისტირიან, რომლისა ხსენება ნეტარებითი არა გამოვალს პირისაგან მათისა და ჩუჱნისა. აჰა, სამნი მექუჱყნენი ჩემნი მოვიდნენ სახლსა შინა თქუჱნსა, რომელთაგანნი ორნი გაბედნიერდენ დოდაევ და ერინოვი და მიიქცნენ საგნებ შესრულებულნი მამულად, რომელთა პური სულიერნი და ჴორციელნიმცა გარდაემატების, რომელთაცა ნატრიან თემი იგი დიდი. გარნა ადამ დაშთა ზემო ხსენებულებთა შორის მწარ მსხებდავრდომილ და დაწუნებულ, რომელსა შავი საქმენიცა დაავიწყდა. ესერა ექვსი წელია და სპეტაკისა საქმითაგანცა სასწავლებელისა განირიცხა და არს უქმობასა შინა. ვითარცა უუგლახკეს, ეგრეთუჱ ცოდვილ და უაღსარებო უზიარებელ და განფიცხებულ წინადვე მხედველი თვისისა უბედურებისა, რომ-

ლი სასოწარკვეთილებისა განწირულებით მემეტყჳჱლება, არღა ვარ სასიცოცხლო. ესრეთ გაუბედურებისათვის, რომელსა ოთხის კლასების დასწავლელნიცა დამავიწყდაო ღიმნაზიისა, უნივერსიტეტიდამაც განვირიცხე და ვარ ბოროტთა საბლებითა შეკრულ ცათა შინა და ქჳჱყანასა ზედა ე. ი. შენ მოძღუარსა ჩემსა სულიერსა არა დავემორჩილეო და გამოვედი შენსა ღიმნაზიიდანო.

აწ უკჳჱ ვინათგან ესოდენსა სინანულსა შინა გახლავარ, შეწყალებითა მისითა მეცა შემიწყალებთ, რომელი სულიერი ნაწლევი ჩვენი, ხოლო თქჳჱნდამო ქრისტეს ღვთისა მიერ შესაწყალი ძე თქჳჱნი შეწყალებისა გამო, რომლისა შეწყალებითა მცხოვრები მაცხოვნებთ მეცა. ესერა მართებლობა ეძიებს, რათამცა სამასთა სულთა განსრულთი ადგილნი აღავსონ ესეცა შერთეთ მათთანა, ვინათგან ინანის და მემეტყჳჱლება ბატონიშვილს ებრალებიო, გარნა გააშინჯესო სხჳათა დიდ ფრიად შეუძლებელად შესლვა ჩემი დანიშნულს ადგილსა შინა, ამად დაყონდა წარმართება საქმეთა ჩემთაო: ესერა თქჳჱნის კეთილისა სულისა თვსებისაგან ვუწყი ლმობიერებ მოწლეობა, რომელი ვინძი არა ღირსიცა იყოს მოლტლვილი თქჳჱნდამდე მას და მათცა შეიწყალებთ. ამად ვსასოებ პურითა თქჳჱნითა გამოზრდილსაცა ადამისა შეწყალებასა, გარნა მღუდელობა ჩემი წინაშე ღვთისა მუჴლთ დადგმით შევთხოვს, რათა წარუგზავნოთ დიდს თავადს საქმენი ადამისა და არცა გარდაიდვას სხვათა დღეთათვს სიტყვისაებრ სოლომონ ბრძნის მეფის, ვითარცა იტყვის: „ნუ ეტყვი შესაწყალსა, დღეს წარვედ და ხვალ მოდი რათა შეგიწყალო, რომელმან არა უწყიო ხვალისა დღე“. ამად დღესვე შეიწყალეო და მაცხოვარი სოფლისა ბრძანებს ვითარცა მვედრებელი ჩვენი შეგიწყალე ეგრეთვე თანა გედვა მავედრებელსა შენისა შეწყალება. აჰა, ესე და მე გევედრებით, რათა შეგვიწყალოთ და ვუწყი ნამდვილ სულისა თქჳჱნისა კეთილ თვისებისაგან შეწყნარებითა მოხსენებისა ამის ვედრისათა შეიწყალებთ ადამს[4].

თქჳჱნის ჳგანათლებულობის მარად მლოცველი
და მკდოვანი მღუდელი მონაზონი იონა.

აგვისტოს 30 ს
1828 წ.

**№ 215**

**(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

თქჳჱნო კეთილშობილებავ სოლომონ იოანიჩ! ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქჳჱნდამო გულითადიერ მიერ ღვთგან.

ესერა მწერთ მართებელმან აღთქუა ამაღლება სიბრძნისა ე. ი. დიდი პეტრეს სიტყუანი კნინღა დასრულდებიან, რომელ სიბრძნე ივერიისაცა მოეფინებისო და განვალსო აზიასა შინა. რადგან საჭიროდ ვრაცხო გამრჩობლება ახსენებად თქუენდა, რომელი ვითარცა გონებით, ეგრეთვე გრძნობაებითაცა სპვრეტთ ყოველთა ქალაქებთა შინა საჭიროდ არიან სწავლანი გლახაკისა ერისა და უფროსღა სიღნაღსა შინა, სადაცა ასხია სახელმწიფო ერი თვალი. კორინთე იტალია იჳერიისა, რომელსა შინა ლეკნი, რომელნი თავადობენ და კარიისა აზნაურნი და მთავრობისა და კახისა და რუსეთისა ერნი ზემოსხმულ არიან ერთი ორისა დღისა ფრჩივ სავლისა, რათა მუნ აღენთოს სანთელი სწავლისა და ახალთა თხემებთა ძუელნი უდგრეშნი თხემები დაალბილონ.

სადა მდებარე არს მომაქცეველი და ღირსიცა სტეფანე და აღშენდეს მქისიყისა მწირთაგან ჰუეთი[2] და ჭიაური[3] ე. ი. ჭიჭნეულის ადგილები. ვგონებ პროექტი რომელ შემზადოთ ვაშა იყოს ლეკთა და მთავართა შვილებთა სიღნაღსა შინა შეკრებად. ეგრეთუე ჭიაურისა აღშენებად ქისიყის უმამულოსა ერთთა, რომლისა აღშენებასა ლამიან აწუხნი და აგერ ითხოვენ დადისტნელნი. აჰა, უსწერე მათ, რათა მუნებურაში ეკკლესიანი განიხუნენ, რათა უკანა მკრისა ეულნი ჰუეთ კოდითას დასახლდენ ხორნაბუჯს და წინამკარისა ჭიაურს. ხოლო ლეკნი იმიერ შირაქისა უკეთუ უნდესთ.

აღრე მამული საიდუმლოდ დამწყობმან პროექტისამან, დაიპყართ გონებისაებრ გონება მთავარ მართველისა და მახლობელთა მათა. და ვითარცა უმჯობესი იყოს მონარხისა და მამულისა. ეგრეთ ქმენით მოხსენება საიდუმლოდ და მიიღეთ ზეცით და ქუეყანით.

დასასრულ, მამა ფილადელფ[4] მიმაბრეთ, რომლისათვისაც ვლოდებდი განკსნასა. იგი ბრძენი შეიწყნეთ ლექსიკონისა შეწყობისათვის, რამეთუ მიბრძანებს მაგისი კნინღა და მეგობარი მეფის ძისა მ.[5] რომელ ტალანტნი და სიბრძნენი მრავალნი ქონანო, ეგე კაცი ღუთისა იწუეთი ითანკმეთ. სულიერსა და ჴორციელს სარგებლობაში და გამობეჭდეთ ეგე ლექსიკონი, რათა დაუწოდეს ენისა კმანი მას შინა. ვითარცა დაიცვა ლექსიკონმან გაუმრუმებელად კმანი ბერძენთი ქსერა ითხასი წელია და ლათინთი პაპის გარდახვეთქიდამ. ესერა ხუთასი წელი არს. შეგთხოვ ესე ყოთ. აჰა, მეცა ოდესცა მოვიღებ ხუასტაგსა წარმოვიგზავნი უკეთუ უნდეს მაღალსა.

ეგრეთუე მოწამენი საგანსა ზედა ოდესცა აღტყუელებდე რუსულად არა შერიონ ქართულნი და ოდესცა ჩვენსა ენასა ზედა არა შერიონ რუსულნი, ვითარცა რომელნი აქაურნი ქართუელნი ე. ი. პოყოლეუსტა მიწყალობე მე ვიყავ კუხნაში შენ წადი გოსტინაში, ტა-

რიელკა პრინეს, მოიტანე, ნოჟიკ დანა ვაზმი, პოიდუმ, წავიდეთ. წავიდეთ გოსტად. სპალნა საძილეში მე მივალ ცერკვში, შენ სტუპაი სახლში. გოსტი მოვა ზაკუსკა უნდა, მე ვიყიდე რიბა ხაროში პექალს მოუხარშავ ნევარონი მე ბრატთან წავალ ოტეცთან ვიყავ. სესტრა და გათხოვდა. იგი ზამუჟილ, ვენეცი არ ედგა, გოსტინში, ვადა კარგაა, ხლება შავია, სალფეთკი, სკატერტი, კატასი ჰელმანდილი ხუდა იყო. ვილკი ბეჯალი, და ლოშკა კარგაა. ჩელევეკ, კაცი მოდის ის პრინოსით და უშორეს.

შკოლეი ბილ, ვიყავ, უჩილ, ვიკითხე, კნინლა წიგნი პერო კალმით პისალ. მენა რასერდილ, გამოწყრა უჩიტელი ოსტატი. ონ მე მითხრა სკორა პრიდეთ ია სკორა მოვალ მეთქი. მე უჩილსა და იმან ვერა ისწავლა რა. ონ ღლოპ და მე ვსფურობ იჩქითად, ჩაუქად, ცქაფად. მარჯჳე იგი სტრაით. მე ვასწრობ ონ ასტაიოთ. მე ვიგულავე, მან არ იამოვნა. იგი პიოთ ღვინოსა და პიანია. მე არა შვთვრალობ. ონ ზაბივაით და მე მახსოვს. ია ბილ სადში. შენ არ იყავ ტამ და უშორეს. იხილე ვის გეზრახები, არა ესე ვითარი ზრახჳა არცა რუსულია და არცალა ქართულს ზრახვენ და თვისცა საკუთარი ენა არა აქუსთ და იტანჯებიან უსახელოდ და უზმნოდ.

ეგრეთვე მანდით რომელნიმე მოსრულნი მეტყჳელებენ კალამოღებითად გინა მარცვალაკთა ეგენი ჩვენი იისემენი ხოლმე. ხოლმე. ჩვენი უკვე ჩვენნი იის ეგენი შეთქი მეთქი. ღარძე, ღარძე, კიკი, კიკი, ქჳე, ქჳჱ, და ეს ვითანრისა ბგერითა და ჰელებთა ქნევითა ძნიად იქონებენ არა თუ ყოვლადთა სიტყჳათა, არამედ საჭირო ლექსებითცა, ხოლო თქჳენ მეტყჳელეთ რუსული თვინიერ ქართულთა ლექსთა, ეგრეთვე ქართული გარდა რუსულისა, რომლებითაცა დაიცვების ენები კანონიერ ღრამმატიკოსობითა. შემინდეთ.

სულიერს ასულსა ჩემსა ელენას ლოცვათა მოვართმევ. ეგრეთვე მშობელი მაგისთა გარნა ჯერეთ უმსახურებისათვის შემინდონ, ამად რომელ არ მომიღიეს ხჳასტაგი. და გიორგიც გამოსასტუმრებელია სახლს ეცადენით სახელმწიფოდ მოშოებას. ვიდრე ჟამამდე ეგერა სიმდიდრე დღითი დღე წინარე მოეგებისთ ზეგარდამო.

## № 216

## 1828 წლის 21 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქჳენო მაღალ ღირსებავ მ. მ. მ. იონა მოწყალეო ჰელმწიფევმწყურვალითა გულითა წმიდისა მარჯჳენასა ზედა თაყვანსა გცემ.

აჰა, ჭეშმარიტო ბრძენო მამაო, მაკურთხეველო და ძვრფასო მზრუნველო! ჭეშმარიტი ზრახვა, კეთილი გრძნობა, მაღალი გამოხატვა და ყოველნი ძალნი სულისა ჩემისანი ეკუეთებიან მაღალსა რაესამე უხილავსა, ეძიებენ ნათელსა საუკუნოსა ცხოვრებისათვს ვანმანათლებელისა ჩემისა მზრუნველობითა ანუ ესრეთ ვჰსთქუა, მაცხოვრებელისა ჩემისათვს ეძიებენ უმთავრესნი ძალნი ჩემნი საუკუნოსა ნათელსა. ნუ იზრახავთ მამაო, რომელ ძალისაებრ ჩემისა ყოველსა წამსა არა ვგრძნობდე ანუ არა ვზრახვდე თქუენსა კეთილ მოქმედებასა და მზრუნველობასა. ეგრეთვე თქუენსა მოძღურებასა, რომელიცა მტკიცედ გარდატკფრულ არიან გონებასა შინა ჩემსა. გარნა საჭირო არს მიუცილებელად საგანთა მათთვს, რომელნიცა დანიშნულ არიან თქუენ მიერ განმრავლება საშვალობისა, რომლისა გამოცა უადვილესად ძალმიძს აღსრულება მისი ადრე თუ გვან შემწეობითა ღმრთისათა. ინებეთ, რათა მომცეთ საშუალება და ღონისძიება დანიშნულისაებრ თქუენისა ნებითა ღმრთისათა, ანუ რაესაცა ინებებთ, უბრძანეთ. აწინდელი შრომა ჩემი მდგომარეობსა შემდგომთა მუქლთა შინა. სასულიერო სასწავლებელსა შინა, ორშაბათს განთიად ორის ჟამის მეხუთეს კლასში გარდავსცემ რიტორიკასა, ქართულსა და რუსულსა ენებზედ. მეოთხეში ორს ჟამს ქართულს გრამატიკასა, ლექსთხზულებასა და მართლწერასა. დაშთომილს დროში ვჰთხზავ რომელთამე საგანთა, რომელნიცა იქმნებიან ქუემო აღწერილნი. სამშაბათს დილით ორი ჟამი მაქვს მესამეში და ოთხი მეხუთეში გეოგრაფიისა და რიტორიკისათვს. ოთხშაბათს მესამეში დილით ორი ჟამი დანიშნულის საგნისათვს და ორი ჟამი მეხუთეში საღამოზედ რიტორიკისათვს. ხუთშაბათს ორ-ორი ჟამი 3, 4, 5 და 6 კლასებში გეოგრაფიისათვს. პარასკევს ეგრეთვე ორორი ჟამი 3, 4, 5 და მეექვსეში რიტორიკისა და ლოღიკისათვს. გარდა ამათს, ოთხშაბათს და შაბათს კომიტეტში ვსაქმობ, დაშთომილს ჟამებში და ღამით, თხზულებასა შინა ვატარებ დროსა. ესე იგი, ქართული რიტორიკა სრულ ვჰყავ ქართულსა ენასა ზედა და ვჰთარგმნი რუსულად. სისტემა მისის არს შემდგომი: შეყვანებასა შინა რიტორიკისასა არს განსაზღურება სიტყვიერებისა, განყოფა მისი, განსაზღურება რიტორიკისა, დამტკიცება, რომელ არს სწავლა და არა ჴელოვნება, განსხუაება რიტორიკისა ძუელისა და ახლისა, საგანი რიტორიკისა ანუ დასასრული საჭიროni თვსებანი ორატორისანი, შესაწევნელნი სწავლანი მისნი, განსხუაება რიტორიკისა და პიიტიკისა, სარგებლობა მისი, ისტორია მისი და განყოფა

ამასთან წინადადებათათვს, განვრცელებისათვს მათისა, პერიოდთა და ხრიათათვს.

2. პირველი ნაწილი რიტორიკისა პოვნისათვს, მეორე ნაწილი განკარგვსათვს და მესამე გამოღებისა ანუ ფრაზისათვს, ესე იგი, თვსებისათვს ფრაზისა, ტროპთა და ფიღურათათვს, რომელთათვს, რომელთა შინაცა იპყრობიან საზოგადონი კანონნი პროზაიკებრთა თხზულებათანი.

3. საკუთარნი კანონნი სხუა და სხუათა თხზულებათანი: ავთრათთათვს, საუბრობათათვს, შესხმიათათვს და სხუათა. ამასთან იქმნება ისტორია თქუენი ე. ი. ცხოვრება, თვსებანი და მოქმედებანი თქუენნი. მხოლოდ შესაწუხარ — არს ესე, რომელ ქართულს წიგნს არა ჰბეჭვდენ თუ არა არს ქართულად ნათარგმნი ან თარგმნილი, და ფრიად მოიძნელებს ლექსიკონისა თარგმნა.

ძმისწული თქუენი იოანე[1] იმყოფება ჩემთან და სწავლობს. სოლომონ ძმა თქუენი იმყოფებოდა ჩემთან სამი დღე, რომელმანცა მთხოვა ფული და ერთი თუმანი თეთრი ფული მივეც, შვლი შიშველი, ხოლო მეორე გრიგოლ გაიპარა გზიდამ. მე მყავს ცხრა სული შესანახად დიდად ფრიადსა ამის ძვრობასა შინა, წარმოიდგინეთ წარგება თუ რაოდენნი არს, ესოდენთა სულთა ზედა, ჩაცმა დახურვა, ჭამა და სმა, ჩემთვს და მათთვს, უკეთუ იშოებოდეს სადმე სოფელში მაშინ არა ესრეთ შესაწუხ იქმნებოდა. თვთ სახლეულთაცა ჩუენთა აქუს საჴოება ჩემზედა, რათა მოუვაჭრო იფქლი. გარნა საიდგან? არა სადა ძალმიძს მიმართვა, არა სადა იშოება და თუ იშოება დიდ ფრიად ძვრად. ხვასტაგიცა მცირე არს, წარსრულსა ავთრათსა შინა მიბრძანეთ ლამბარდსა შინა დადება ხვასტაკისა. მამაო! მე გახლავარ ბედნიერ თქუენ მიერ და გახლდები მარადის თქუენ მიერვე ბედნიერ, წინაშე ღვთისა, თვნიერ თქუენსა არავინ მივის, და თუ სადამე დამითესიეს ანუ დავჰსთეს კეთილსა მემამულეთა თანა ჩუენთა არს და იქმნების თქუენ მიერ დაუძინებელი მზრუნველობა თქუენი კეთილისათვს, მოსცეს ნაყოფს და უკუე მოსცა საგრძნობელად ნაყოფი. მამულისა მოქმედება ესე საამოდ დაშთების დაუვიწყებელად შთამოებათათვს.

ბრძენო კეთილ მზრახველო! უკეთუ ინებოთ აღსრულება ბრძანებისა თქვენისა ანუ პრაქტისა თქუენისა ანუ ჩემისა, და წარმოჰგზავნოთ ხვასტაკი, ფოჩტით ჩემს სახელზედ ინებეთ, რომელნიცა განკარგულ იქმნებიან დანიშნულისამებრ თქუენისა და ყოველთვს წარმოგზავნილნი ფოჩტაში სრულიად და თვსსა დროს მომივა, ანუ ძმისათვს, ანუ სხუა საგნისათვს, ვჰგონებ თქუენ, ბრძენსა გექმნებისთ სრული ცნობა ჩემი. რაჲცა წარმოიგზავნება თქუენ მიერ, იგი შე-

ქმნება ერთსა წელსა შინა ერთი ორად, თავნი თქუენი უძრავად იქმნების და მას ერთსა და ორს წელს დაერთვს რაოდენნიმე შეძინებანი, რომელიცა აღადგენს ცხოვრებასა ჩუენსა და წარმართებს ყოველსა საგანსა. იოანე, ძმისწული თქუენი ისურვის მანდ წარმოსვლასა, ეგრეთვე ძმა ჩემი სტეფანე[2] მიწერისაებრ მეფის ძის ბაგრატისა. ვითარ მიბრძანებთ ამისთვს? ხოლო მე ვჰგონებ მეორესა წელსა შინა გიხილო თქუენთან რომელთამე საქმეთათვს შესაერთებელად მთავრობისა. ღენერალს გიორგი ერისთოვს[3] ჰსურს უკეთუ დაითხოვეს, წარმოვა პეტერბურღში. აჰა ესეცა, უკეთუ მიბრძანებთ, და წარმოაგზავნით ხვასტაკსა მე მსურს სახლებისა აღშენება ქალაქს ტფილისში. რაოდენნიმე დუქანი ძირს და ზედ სადგომი სახლი. უსახლობისაგან დიდად შეწუხებული გახლავართ, რომლისაგან შემოსავალიც იქმნება. მშვიდობით მამაო ძვრფასო!

სახლობანი ჩვენნი, ეგრეთვე ღირსიევისა[4] სიმრთელით და სიცოცხლით გახლავან, ძმასა თქუენსა[5], ადამს ღირსიევსა და სხუათა სიყვარულით ჩემს პატივისცემასა განუცხადებ.

მორჩილი შვლი თქუენი სოლომონ დოდოევ.
სეკდემბრის 21 სა.
1828 წელსა.

## № 217

### 1828 წლის 26 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ მამაო სიბრძნის მოყვარეო იონა
უმოწყალესო მზრუნველო!

მაკურთხეველსა მარჯუენესა და ნათლით მოსილსა ზედა ამბორიებას მოგახსენებ.... ავთრათნი სიცოცხლისა ჩემისანი მებოძა თქუენისა მაღალ ღირსებისაგან სეკდემბრის 26 ს, მომცემელი ცნობისა განსვლისათვის ამიერ სოფლით მეფის ძის ასულის ნინასი[1]. ნათელსა შინა დაკლება მისი და მწუხარება თქუენი მომცემს მე დიდ ფრიადსა მოწყინებასა და მსგავსსავე მწუხარებასა კეთილისა და სათნოეს მის სულისათვის, შუენიერი გული მისი განაღვიძებს ყოველსა ურძნობასა მცნობთა მისთასა მწუხარებისადმი, მწუხარება ჩუენნი არს უმეტეს დატლბობისათვის ნათესავთა მისთა და უმაღლესისა, ვინაჲთგან იგი იყო ანგელოსი და წარვიდა ცათა შინა უწმიდესსა და უბრწყინვალესსა სოფელსა შინა. ამისათვის არა ჯერ არს ტირილად და მწუხარებად, არამედ ლოცვად და მოთმინებადი სარწმუნოება, სასოება და სიყვარული მამისა მოსცემს ნუგეშსა და მოთმინებასა

ყოველთა ქრისტიანეთა. და ესრეთ ინებეთ წინაშე ღვთისა მადლობად და წინაშე უმაღლესობისა[2] ნუგეშად, რათა ძვირფასი ეგე ყვამი ნუგეშად ჩუენდა კეთილ დღეობდეს სიმრთელითა, და უმეტეს თქუენ ჩემთვის ძვირფასო მამაო საყუარელო, დაიცვეთ სიმრთელე თქუენი. სეკდემბრის კე-სა მისმან ბრწყინვალებამან საქართუელოს მთავარ მართებელმან ღრაფმან პასკევიჩმან ერევანსკიმან მომწერა და მასთან წარმოავლინა ყოვლადი წიგნი როსიელსა ენასა ზედა დაბეჭდილი ცხენის სრბოლისათვს ანუ ჭენებისათვს და მდგომარეობისათვს მისისა სხუა და სხუათა საჴელმწიფოთა შინა, რათა ვსთარგმნო ქართულსა ენასა ზედა. ეგრეთვე, გარდა ამისსა ორი დიდი ფრიად ვრცელი წიგნი, რომელსაცა შინა იპყრობის სამოქალაქო სჯულნი, სასამართლოჲსა და პოლიციისა კანონი და მოქალაქეთა ვალნი და თანამდებობანი. მომცა ღუბერნატორმან ღენერალ ადიუტანტმან სიპიაგინმან სთარგმნელად ქართულსა ენასა ზედა, რომელთაცა დაბეჭდინებენ აქაურთა მცხოვრებთათვის. ორნი ესე წინადადებანი თუმცაღა ჩემთვის არა მოიძნელებენ, გარნა ითხოვენ მრავალსა დროსა, რომელსაცა არცა ერთი წამი მაქვს თავისუფლებითი. ქილიკს[4] უბრძანეთ, რომელ ძმისწული მისი ისწავებს სასწავლებელსა შინა და მე მაქვს მას ზედა საკუთარი ყურადღება. ყოველთა საგანთა ზედა მაქვს ფრიადი მზრუნველობა მოძღვრებისამებრ თქუენის. იოანესა[3] ძალისაებრ ჩემისა ვასწავებ, რომელმანცა უკუე უწყის ორსავე ენასა ზედა კითხუა კარგად, დაწერა საშუალოდ, ეგრეთუე რუსული ენა ესმის. შევმოსე სახლითგან ჩამოსული შიშველი, ხოლო გრიგოლ[1] გაიპარა გზიდან და მოველი, რომ მალე ჩამოიყვანონ. ყოველნივე სახლეულნი მშვიდობით და სიმრთელით და კეთილად მყოფობენ, ეგრეთუე ნათესავნი და მცნობნი. ძმაჲ ჩემი მყოფობს სიღნაღს და მოველი ჩამოსვლასა ტფილისად.

ოსიფ იაკოლიჩის[6] საქმისათვის, უკეთუ არა თვით მისი წერილი ანუ ავთრატი არ მოიწერეთ, არ შეიწყნარებენ, ანუ ჯერ-არს, რათა ღუბერსკის პრავლენიდგან წარმოიგზავნოს წერილი ანუ დოვერენიის დარწმუნება თქუენ მიერ და მის მიერცა, რათა მე მივიღო მისის დუქნების ფული, რომელიცა არს დარჩომილი ამათ ზედა, რომელნიცა ავაჭრებენ საქონელსა, თქუენ ინებეთ გამოცხადება მისის წერილისა, ესე იგი ვექსილისა და ესეცა, რომელ იგი ფარულად წარსრულ არს ანღლიასა შინა და ამის მიზეზისა გამო დაშთა გამოუცვლელი ვექსილი. უკეთუ იქმნების კმასაყოფელნი წერილნი მმართველობისა მანდიდგან, მაშინ მე ძალმიცს აღება აქა თვინიერ დაბრკოლებისა.

უკანასკნელ ლოცვითა თქუენითა სიმრთელით გახლავარ, და აწ წამს კომიტეტიდამ კაცი მომივიდა, მუნ წარსვლისათვის და სასწავლებელსა შინაცა მეშურება წასლვა, ამის გამო მომიტევეთ. რომელ არა ძალმიძს ამა ქარტასა ზედა გამოხატუა ზრახვსა და გრძნობისა ჩემისა სრულიად. ერთისა სიტყვით სული და გული ჩემი არს თქუენთან. ერთსა ჟამს წინ ზრახვათა ჩემთა წარმოიდგინეს მიუწდომელობა განმგებელისა და სიბრძნისა ჟამსა შინა შესვენებისასა და ვსცრემლვოდი მე დიდ ფრიად.

მემცხედრემან[7] ჩემმან სიყვარულით თაყვანისცემა მოგახსენათ წმიდასა მარჯვენასა ზედა.

ძმასა თქუენსა[8] სიყვარულით მოვიკითხავ და ეგრეთვე ადამ ღირსიევს და სხუათა და ვარწმუნებ სიმრთელესა მშობელთა და ნათესავთასა.

მამაო მ. ბრძენო! გთხოვ უმდაბლესად უკანასკნელი ესე ვედრი ჩემი აღასრულოთ, რომელიცა არს ფრიად საჭიროსა სამისა ანუ ოთხის თუმნის ასიგნაციის ფასისა მოივაჭროთ სანაწილე ვერცხლისა მცირაკი, სადაცა არს ბარძიმი და სხუანი, რომელსაცა ვალად მყოფთ ამის აღსრულებისათჳს და წარმოგზავნისათვის.

თქუენი მაღალ ღირსების მორჩილი შვილი
სოლომონ დოდოევ.
სეკდემბრის
28 სა
1828 წელსა.

## № 218

### 1828 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქუენო კეთილშობილებავ სოლომონ იოანიჩ ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქუენდამო ზეგარდამო. გულითადიერ სათნოდ მადლისა ი. ქ.

მოიხსენეთ, თქუენი ავთრათი მოვილე სასწორ სეკდემბრის თთუეს 28-სა წარმოწერილი სთუელის თთუეს 19. იხილეთ ოდეს ყოველსა ქუეყანასა ზედა იქმნა რღუნა, მაშინ ოდესცა მკარემან კაენ მკულელისა თესლთა შეაგინეს თესლნი სეთისა ძედ ღვთისად წოდებულნი მადლით — რომელთაცა შორის მხოლოდ ნოე მართალიღა დაშთა სახლეულითურთ მართალი ე. ი. რვაოდენ სულნი, რომელსა უბრძანა მაღალმან და ქმნა კიდობანა ას წელს განრინე-

ბა, რომელსაცა ვჰონებ ეკიცხოდენ უგნურნი და სულელნი ესოდეხისა სამსართულიანისა ხომალდისა შემზადებას, რომელთაცა შინა ქონა ძგიდენი მრავალ ბევრეულნი განრინებად წმიდათა ცხოველებთა შვიდ შვიდ წყვილთა, ხოლო მჴეცთა ოროლთა წყვილთა. ამად მჴეცნი მცირე რიცხვნიცა არიან და შევიდა ნოე კიდობნად და ყოველნი მისთაი სადთოსა ქარისა ბობერვითა აპრილისა თთუესა, მაშინ ამაღლდა ოკიანე და ყოველნი რტონი მისნი ქარითავე, ეგრეთვე საჴყაროსა წყალნი ე. ი. აღსრულნივე ორთქლ ნოტიონი. წვიმანი გაერთდენ ქუცწყალისათანა და მიმიტაცა ზემოხსენებული სახლი მსოფლიო ყოველთა მთათა ზედა ათხუტმეტ წყრთა ამაღლებულმან წყალმან და აღიყუანდა სასტიკი მბერუალე ქარი, ვიდრე ცეცხლისა ეთერადმდე და შთაიყუანდა უფსკრულად მძაფრნი ღელვანი ქუცშე ხომალდისა გამოტაცებულნი წყალნი ვიდრე იატაკადმდე და იყო ნოე დიდ ფრიად განსაცდელთა შინა, ვიდრე მეორეს აპრილადმდე, რომელი ცხოველებისათვისცა იღწვოდა და განუყოფდა საზრდელთა ეგრეთ ვის რა ბუნება აქუნდა. გარნა წყალობა თვსი მოიხსენა მაღალმან მარადის მეყესიერმან და მოეხსენა ნოე და ცხოველნიცა, მაშინ მოაკლდა წყალი და იხილა მთათა თხემნი მცირაკნი, რომელმან განავლინა ყორანნი, გარნა მან ნოეს ნაშობისა დამვიწყებელმან მჭამელმან მძორისამან არა ინება მიქცევა მართლისა კაცისადმი, მაშინ განავლინა ტრედი უმანკო და მიმწუხრამდე მფრინვაილმან პოვა რტო ზეთის ხისა და მიაქუნდა მამისა გამომზრდელისა თვსისადმი, რომელითაცა განამხიარულა კაცი. მართალი ნოე კნინლა და მეორე ადამ ამა სოფლისა, ხოლო შემდგომ ამისა დასდგა კიდობანი არარატსა ზედა და გარდამოვიდა ნოე და მისთანანი და [illegible] მაცხონსა თვისსა შვიდთაგან წყვილ წყვილნი ცხოველნი წ. და იჴნოსა მაღალმან სულნი დაბადებულთი გონებასა შინა თვისსა ე. ი. შეიწირა მართლისა კაცისა ძღუენი უგულითადესისა სულითა და გულითა მირთმეულნი ნოესგან, თვისნი დაბადებულნი თვსნი თვისთაგან მიძღვანებულნი, რომელსაცა გამოეცხადა და აღუთქუა არღარა წყლითა რღუნა, რომელსა ნიშატად მოდარებისა უჩუენა მშვიდი ე. ი. ცის სარტყელი, რომელსაცა შინა გამოხატა ცეცხლი ღვთაებისა ალისფრად, სისხლი ძისა თვსისა მეწამულად და მწუანე განედლებად, სამოთხისა განსვენებად ზენა სოფელსა. დასასრულ ზემოსა რადღა განვაგრძო ლექსნი ხოტბანი და სიტყუანი დაუტევნელნი ჟამისა მაგისთვს რაოდენნიცა განკუთვნილად მოგუქონანთ მამულისა შვილთა რწყვად და დრონი, რომელნი გქონანთ აღორძინებად და მკად ივერისა ექვსასისა წლისა მკლოვანთათვის სიბრძნისაგან.

ესერა ავთრათი თქუენი ნექტარ ჩემდა არს, ხოლო სიცოცხლე თქუენი განმაცხოველებელ ჩემდა არს. აჰა, ვინ ივერიელთაგანი წინასწარმეტყუელებდა მქისისა ჴერისაგან გამოსლვასა, არათუ მთოვარისასა. არამედ უმფროსღა მზისასა, რომელი არათუ სახმარ და სარგებელ ვიეთდამე იგვრდივ წრესა შინაგანი ხართ, არამედ უფროსღა დიდისა ამის იმპერიისა ხართ საჭიროდ: სამჯედროთა წიგნებთა გარდამოხატვად ივერიისა კოპიტნარსა ენასა ზედა. ეგრეთუე სამოქალაქოთა სჯულვილებისა მართვად თესლებთა ე. ი. ქართუელთა, სომეხთა, მეგრელთა, სვანთა, აფხაზთა, ჩერქეზთა, ოსთა, ჩაჩანთა, ლეკთა, თუშთა, დიდოთა, ქისტთა, ავარიელთა, თათართა, სპარსთა, ნაწილებისა და სხუათა და სხუათა შემოსრულთა ღრმასა მაგას ქუეყანასა, რომელი სახიზარ იყო ძუელად ე. ი. შესალტოლველ სხუათა სახელმწიფოებისა ბრალეულთა გვამებთა და პირთა.

ესერა მახარებთ არა ტრედი ნოესი, არამედ ხატი ღვთისა, რომელ არს სიმრთელე, სიწმიდე და ჭეშმარიტება. მოიჴსენეთ, სულიერ ძეო ჩემო სულო კეთილო, რომელი ფშვი კეთილ სუნნელ სწავლათა მე ოდეს გიხილე მყისვე გულმან მითქუა დღენი ეგე თქუენნი თქუენნთვის სამარადისოდ. ცხონებად ჩემდა და ცხოვრებად თქუენდა და გუელოდიცა მაღალსა ზედა. გარნა ვინაიდგან ჯერეთ არა ეხილა თვალთა ჩემთა და არღა სმენოდა ყურთა ჩემთა. განვიზრახევდი სულსა შინა ჩემსა და ვიტყოდი ნება უფლისა იყავნ წ. ჩემსადა, უკეთუ განვიდეს დროსა მსოფლიოს გზასა ზედა. აჰა, ესე რა დამიშთების მომჴსენებელი ქუეყანასა ზედა, ვითარმედ ვყოფილ ვარ ოდესმე სოფელსა ამას შინა. გარნა მაღალთან უმჯობესი განაგო რომელ ყურთა ჩემთა ესმიან ცხოვრება თქუენი არათუ სიმრავლესა შინა წიაღისა თქუენისასა — არამედ სპერა კიმატსა ზედა ამის სოფლისასა მსახურად ღვთისა და მონარხისა და მამულისა და მთავართა სამჯედროჲსა და სამოქალაქოსა სახელსა თანა თქუენსა. საქმენი თქუენნი მქუხარებენ სიბრძნისა კალოებსა ზედა და სულებთა ბეღლებთა შინა. კურთხეულ არს შობა შენი, კურთხეულ არს აღზრდა შენი, და კურთხეულ იყავნ განზრახუანი და საგნები და საქმენი შენნი. მე ვინძი მოვკუდეცა ამიერ მალიად არღარა მერამსრა. ესერა თქუენ ხართ იოსებ ჩემი, რომელმან აღუპილნა თუალნი ეგვიპტედ მიწოდებულსა პატრიარხსა მამასა თვისსა მიხრწნეულსა იაკობ ისრაილსა, რამეთუ იტყვის ბრძენი სოლომონ პორფიროსანი: „შობისა უმჯობეს არს სიკვდილი ნეტარეულნი, რომელ სიკვდილი დააგვირგვინებს მოკუდავსა, რომელსაცა აღიხსენებდენ სიბრძნითა და კეთილობითა მკვდრისაგან დამტკბარნი“. თქუენ ისე ფფურეთ, რათა

არა მოკუდეთ. ვინათგან ბრძენი კეთილი არა ოდეს მოკუდების უვუნურთა თანა, არამედ ეგების სიბრძნითა და წიგნებითა სოფელსა შინა და პირებთა და ჴელებთა შინა კეთილ მსახურთა სამღუდელოთა და მთავართა და მოქალაქეთასა. აჰა, ესე რა წარმართთა ფილასოფოსნი უკეთუ ჯერეთ არა მოკვდარან სოკრატ, პლატონ და არისტოტელი და შემდგომითნი შემდგომნი, რომელნი რაოდენ ქრისტიანე ბრძენნი უკუდავ იქმნებიან, ვითარცა ჩუჱნნიცა პეტრიწი, ეფთიმი, გაბრიელ, გიორგი, ბულმაისის ძე, და ანტონი პირუჱლი, ეგრეთუჱ საეროთა შორის შოთან რუსთაველი, და ჩახრიხაძე, და აბდულ მესია, სარგის თმოგუჱლი, რომელთა მხოლოდ პიიტიკა გამოსთქუჱს მაშინ ოდენ, ოდესაც ელინ ყოფილნი ბერძენი ყვაოდენ თხემსა ზედა სოფლისასა, რომელთა აღუხილეს ბრმანი თვალნი სიმგრულესა სოფლისასა. გარნა პირისპირ ზემოთა ვოლტერ, დალბერტი, ჟან ჟაკ რუსო არა თუ ახლარე არიან მკვიდრნი, არამედ ოდესაც შიოდათ სოფლისა ცთუნება, მაშინაც იყუნენ მკვიდრნი, რომელნიცა სიბრძნით თვისითა პირუჱლად განლაღდენ ბილწნი, კადნიერნი წინაშე სოფლისა, ურცხვნი კაცაკნი და მერე განცოფდენ წინაშე ღვთისა და ეკკლესიისა, რომელთა წიგნაკებთაგან სცთებიან მლვიანნი ჰაბუკნი სისხლებთა ბრუჟებთაგან ღუარძლიანისა ცომებითა და მთვრალნი, რომელნი ცრემლითა მონანულებთასა რაცხვენ თვრთილისა წვიმებ უქმად.

დასასრულ, ზემო ყოველთა თქუჱნთა დამაგვირგვინებლებთა საქმეებთა თანა მახარებთ გრიგოლისა შთამოყუანასა, უკეთუ მას ძალიდებთ შთამოყუანასა და მოალბობთ მქისეობისაგან წყლტუობად ე. ი. და კამკამებთ სულსა მისსა და გუამსა მისსა ველურისა ზეთის ხეობისაგან დაამყნობთ ზეთის ხესა ზედა ე. ი. კაც ჰყოფთ და მოიყვანთ აქა თვისა ჟამსა წარსაგებელითა ჩემითა, მაშინ სრულ ჰყოფთ ... გერქმით სასუფეველსა ღვთისასა, ვითარცა სთქუა მაცხოვარმან: სასუფეველი თქუჱნ შორის არსო ე. ი. შინაგან მეფე სვინიდისითა ქმნა საქმეთა მათ უკეთილესთა, რომელ არს მიზეზნი და საქმენი სათნო ღვთისა ცხოველისა, რომლისა ჴელთა შინა არიან გულნი და თირკმელნი და არსება და მოძრაობა და თმათა აღრიცხვა და შუჱბა და განსპეტაკება და მართვა მპყრობელთა და პყრობილთა თქუჱნ ნუ ემსგავსებით კაცთა მათ მაღალთა და საშუალთა და მცირეთა, რომელნიცა გვწერდენ მეცადინეობასა მაგათისა სწავლისასა კალმითა და მელნითა და არა საქმითა. ე. ი. სამღუდელონი და საერონი მწერდენ ზედას ზედა სიტყვთა. ხოლო საქმითა ვერ შეუძლეს გარნა თქუჱნ მწერთ არა თუ ჩემ სახეთაებრ, არამედ ნაოდვილთა საქმეთაებრ თქუჱნისა ვინძი განიმწანდვილოთ შთამოყვანა

გრიგორისა და მიღება ობლისა მის თქუჱნთანა კეთილ კერძოთა. ვითარცა იტყვის წ. პავლე „ვიყავ მეცნიერ და ზაკვითა მოგიყვანე თქუჱნ მიიყუანეთ ლიქნითა შეტყუილითა გარეგან“. ხოლო შინაგან ჭეშმარიტებითა, რომლითაცა განუსვენებთ სულსა ჩემსა იოანესათვის. შეგიმოსავ საბლარდნელნი გამოზრდასა თანა სწავლითა და ტომაქითა. თქუჱნ წარაგეთ ღმერთი არს მონიჭებელი თქუჱნი და მეცა შემსხუჱრპლე მისი ვესავ მაღალსა, რათა სურვილი თქუჱნი აღგისრულოსთ პირველად ლოცვითა და მეორედ ხუასტაგებითა. ხუასტაგებითა მალე მოვიქცევ ხვასტაგთა. შრანდით ნოემბრითგან ჭერეთ არა რაჲ მომიღიეს, რომელნი თუმცა ჟამთა მათ უსაჭიროესთასა მაკლს, გარნა ისმის უმაღლესისა კარისაგან გამოსლვა წყალობისა.

დასასრულ, გრიგოლს[1] შევვედრებ იოანესთანა სწავლად. რათაღამცა შთამოყუანითა მისითა განმაცოცხლოთ ობლისა მწუხარება, მაქუს სახივად ჭაჭვი ესე კაეშანი დიდ ფრიადი. განმიქარვედა, სულო კეთილო კეთილითა თვისებითა თქუჱნითა და ახილვედ ცასა და ქუჱყანასა კეთილი თქუჱნი ჩემდამო. არა კორციელ სიმდიდრისათვის, რომელნიცა მიწერტილდებიან[2] საოხანოსა[3] შინა. გინა იატაკსა ზედა იოტა ბღვირებად დასცვივიან საბლარდნელებთა სულნი და ზედანი და ზარაურთნი[4] სახლისანი. და საცხოვარნი და ნოვაგნი და სასმისნი განვლიან მუცლისა ხურელებთა გარეგან, არამედ მნებავს, რათა ისწაონ შიში ღვთისა წიგნითა და ზნეობითა და იცხოვრონ საკუთარისა პირისა ოფლითა თვისითა და არა ემსგავსნენ ძმასა მას ჩემსა უხმარსა სულისა გვასისათვის და სახლისა. რომელი კნინლა და ძნიად დავალბილე ზეპირ. რომელი მეტანიათა მრავალთა ასრულებს:

ესერა მახარებთ არა ტრედი ნოესი, არამედ ხატი ღვთისა, რომელ არს სიმართლე, სიწმიდე და ჭეშმარიტება. მოიხსენეთ სულიერ ძეო ჩემო სულო კეთილო, რომელი ფშვი კეთილ სუნნელო.

ესერა წიგნისა თქუჱნისა მოსვლისა მიმწუხრი მიმიწოდა უმაღლესმან დედოფალმან მარიამ[5] ვახშმად და მიბრძანა წიგნისა თქუჱნისა ვითარება, რომელს მოვახსენე პირველად საშძომარი თქუჱნი ღრმას ბაგებსა შინა მცხოვრებსა, რომელამ ესერა აღმიხდაო განთიად ძილის შორისა შინა. მზრახებოდაო დოდოევი სოლომონ წერილიშისას რაჲსმე. რომლისა ვერ შეუძლე გამოტანა. მე მყის მივეგებე ესერა წიგნი მისი მოვიღე კილოვნებითა აღვსილი ერთ კერძო, ხოლო მეორე მკრივ არა მწუხარება ეგრეთი, ვითარცა წარმართი გოდებუენ თვინიერ ნუგეშისა. რომელნ გოდებდენ ერთბაშად სიკვდილისა და მიცვიპტელნი აპოხტად[6] დაკრძალავდენ ქუჱშე პი-

რამიდებთა საუკუნო სახსოვრად, რომელთა არა აქვნდათ აღდგომისა სასოება. რომელნი მკუდარსა განიკითხვიდენ მსაჯულთაგან უკეთუ მაქებელნი მრავალნი აღმოჩნდებოდენ. და მარხვიდენ ლუსკუმა[7] ტაგრუცებთა[8] შინა შემურვილსა სუნნელებითა და წებოებითა და ნელსაცხებლებითა. ხოლო უკეთუ მრავალნი სახლეულნი და მეზობელნი და გარემონი და მამულისა შვილნი აღმოჩნდებოდენ მოჩივანი მკვდრისა გარდააგდებდენ ჭარბთა შინა შეჭმად მჴეცთა და დაჰპალთა მიწათა. აჰა, ესერა უფალი დოდოევი უფრორე თქვენთვის და მშობელთათვს და ჩემთვის მკუნესარებს და მამხნობს, რათა ილოცხლოდ ნუგეშად ჩვენდა. ხოლო ნინოსათვის სასოებს კელთა შინა ღვთისასა ცხოვრებასა უმჯობეს ამის სოფლისა ცხოვრებასა. აჰა, ზემოპირ ამათმან მომსმენმან ფრიად დაგიმადლად. და იმა კამისიათა დადება ე. ი. საქმიერებათა, რომელთათვის სასყიდელთა ღვთისაგან და ცხებულისა მისისაგან და მთავრებთაგან შესწავებული.

დასასრულ, მომწერეთ ფორმა ღილებისა. მირზა ჯაფარამ მითხრა თეთრი ღილებია ყაზანისაო და ხარკოვისაცა. და იჭვნეულებს თვითცა თქუენ მომწერეთ ფორმა, რათა შთამოვასხმევინო ღილები ხუთი მინანთუნი მივეცი შეკვეთით, არა უწყი თქუენი ფორმა, ამაზედ დავაყენე კელოსანი. მომწერეთ: სანაწილე ჩემი წარმოგიგზავნე და ჯვარები მცირაკნი, თქუენ მცირედ მომითმინედ, ყოველსავე ვიზრუნებ თქუენთვის.

დასასრულ, მაღალპრწყინვალის ნინოს[9] წიგნი მომივიდა კეთილტკბილი. მეცა მოვიწერე პასუხი. თქუენის პაკეტით გაუგზავნეთ. იოანე პოლკოვნიკი მწერს მალხაზოვი[10] აქარე მოსლვასა და ეგე მანდ ითხოვს. მალე გამომივა მივაბარებ თვისთა ხვასტაგთა ძალითა ღვთისათა თავის სარგებელითა.

თქუენ მემცხდრეს მაგათ კეთილშობილებას ელენე თეუდოროვნას[11] საღთო ლოცვით მოკითხვას მოვართმევ და შევვედრებ იოანესა და გრიგოლსა და თვისა დროსა ზედა ვაცნობებ მსახურებასა სათნოდ ღვთისა სულიერს ასულსა ჩემსა და შევთხოვ, რათა ბაძვიდეს სარრასა, რებეკასა, და ლიასა და ახალსა შინა წ. ელენას, რომელმა მოიძია ცელი ცხოველი. სტეფანესსა. მწერთ შთამოსვლასა ვგონებ გრიგოლს შთამოიყვანდა.

ჩემმა ძმამ დიდი მადლობა მოგართვათ მოკითხვისათვის და სახლეულთა მშვიდობის ცნობისათვის. ეგრეთვე აღამ[12] დიდად გმადლობს. კელითა ჩემით ქილიკმან ელიოზოვმან[13] დიდი მადლობა მოგძღვანათ ძმისწულსა ზედა ყურის მიპყრობისათვის განკუთვნით. მესტუმრე თქუენი ე. ი. მასპინძელი მცირედ სასმუსიახობდა მუწ-

ვითა ერთითა, მადლობა ღმერთს ახლა სიმრთელითა ბრძანდება. თქუჱნი გულითადი ი. მ. მ. მ. ვგიე თქუჱნდამო განცეცხლებულისა სიყვარულითა წელსა 1828 სა.

## № 219

### 1828 წლის 25 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუჱნო მაღალო ღირსებავ მამაო იონა!! უმოწყალესო კელმწიფეო მზრუნველო ჩემო!

ავთრათი თქუჱნი მებოძა სეკდემბრის 28-იდგან ოკდომბრისა 23-სა, რომელსა შინაცა ვსცან წარმკითხუჱლმან გარემოებანი სამწუხარებლად სულისა ჩემისა, გარნა მაქუს სასოება, რომელ შემოქმედი და მფარუჱლი აქამომდე დაგიხსნით ყოვლისა ბოროტებითისა განსაცდელისაგან ყოველსა წამსა შინა საუკუნოდ და კეთილ მოქმედებისათვს თქუჱნისა მოგცემსთ საუკუნოსა უკუდავებასა და ჩუჱნ აღვავლენთ მონლმენლსა თვთ გულთა შინა მემამულეთა ჩუჱნთასა უკანასკნელს მდგომარეობამდე ამის სოფლისა აღყვანებითა სახელისა თქუჱნისათა. ხოლო მას სირცხვლი და უპატიოება, რომელმანცა იკადრა შეწუხება თქუჱნი, რომელიცა თანამდებ იყო დიდ ფრიადის მადლობით მიღება მოწყალებისა თქუჱნისა, მე ძალმიძს თქმად სამართლით, რომელ მოქმედსა ეგე ვითარითა საძაგელებათა და შეურაცხებათასა არა ეკუთვნის არცა ეგე მოწყალება, რომელიცა დაგინიშნავთ, უსარგებლესს მაგისსა არიან სხუანი და უმახლობელეს თქუჱნდა, რომელთაცა უმეტეს ეყვთ თქუჱნ მიერი მოწყალება და მზრუნველობა სასარგებლოდ თავისა თვსისა და საზოგადოობისა. ღმერთმან დაიფაროს შემაწუხებელი თქუჱნი, გარნა განმწარება თქუჱნი არა არს სასარგებლოდ მისდა. ნუ ინებოს ბრძენმან განსვლა ბრძნისა და კეთილმოქმედისა ამის სოფლისაგან, რომელიცა იღწვის ყოვლისა მამულისა სარგებლობისათვს, თქუჱნ მიბრძანებთ მამაო სამარადისოო ანდერძის დაწერასა და თვსსა დროსა შინა კელითა ფრისტავისათა აქ მოწევასა. არა ინებებთა უადრესს შეერთებად ჩემდა? ვითარისა საგნისათვს და სადა არს დანიშნული, ინებეთ სასამართლოსა შინა დამტკიცება, განზრახვსა თქუჱნისა და დანიშვნა წიგნთა სასარგებლოთა თქუჱნ მიერ თხზულთა და ჩემ მიერ საკელსა ზედა თქუჱნსა ანუ თქუჱნისა ცხოვრებისა აღწერისათვს დასაბეჭდად. წარსრულს ავთართა შინა თქუჱნთა

იცნობების ტფილისის ლამბარდსა შინა ხვასტაკის დადება, ოდეს იქმნების აღსრულება ამის მოწყალების, მონებება მიბრძანეთ ნინ-ველთა ამათ ზედა მზრუნველობა ჩემი მაშინ არღა იქმნების, ოდეს ზრახვა და გრძნობა ჩემი განქრების. მე არა ვგრძნობ მზრუნველობა-სა თქუჱნსა და სოფელსა შინა შემოყვანასა ჩემსა თქუჱნ მიერ? ნუ უკვე მე არა მესმის კეთილი და ვალი კაცისა? ძმისწულმან თქუჱნმან იოანემან ოდეს სცნა ჩემ მიერ ავთრათისა თქუჱნისა გამო განცხადე-ბული მზრუნველობა თქუჱნი მას ზედა და მასთან უგუნურებითი მოქცევა ბიძისა მისისა თქუჱნთანა. გარდამოუვიდა ცრემლნი მწუხა-რებისანი შეწუხებისათჳს თქუჱნისა. უუმეტეს ჩემსა მეცადინეობს ამისთჳს მოწაფა თქუჱნი ელენა[2], ოდესცა მე გართულ ვარ საქმეთა შინა თანამდებობისა ჩემისათა, ჩუჱნ სულიერნი შვილნი არა დავს-ცხრებით ვედრებად და აღვლენად ლოცვათა ჩუჱნთა სიმრთელისათჳს გაზრინებისათვის. ყოველთა ეშმაკეულთა განსაცდელთაგან და გან-გრძნობისათჳს ჟამთა და წელთა თქუჱნისა მაღალ ღირსებისათა. ვჰმადლობ წმიდასა სულსა ნუგეშის მცემელსა ვჰმადლობთ და ვადი-დებთ მეუფებასა მისსა მშვიდობისათჳს, რომელიცა არს ერთი უმთავ-რესთა სათნოების სახეთაგან.

რაიც შეეხების მდგომარეობასა ჩუჱნსა, მოწყალებითა თქუჱნი-თა ვსცხოვრებთ კეთილად. მადლობა ღმერთსა და ვსასოებთ კეთი-ლად ყოველნივე სიმართლესა შინა. უსახლობა გვაწუხებს, სადაცა არა-სადა იშოების საკმაოდ, არცა თვთ სასწავლებელსა შინა, უკეთუ მაქუ-ნდეს ღონე, აღვაშენებდი სადამე რაოდენსამე დუქანსა და ზედ სადგომ-სა სახლსა, რომელიცა არს ფრიად საჭირო და სასარგებლო. ყოველთა-ვე თაყვანი მოგახსენეს. მთავარმართებელი ბრძანდებოდა სასწავლებელ-სა შინა ამ დღეებში და განგვიცხადა დიდ ფრიადი შემწეობა სასწავლე-ბლის განკეთილებისათვის და სხუა გზის მიცემისათჳს, მხოლოდ თქუჱნ ეცადენით რუსულის ენისათვის გვითხრა ჩუჱნ. სამხედრო ღუბერნატორი[3] გარდაიცვალა ნოემბრის ათსა. კეთილ მზრახველობა თქუჱნი განაგებს ყოველსავე კეთილსა და განსაზღვრის სამარადისოსა სარგებლობასა. მშვდობით! ჰბრძანდებოდეთ სიმრთელით და გვახარეთ მშვიდობაი და სიმრთელე თქუჱნი. ამ წამს გიახლები სამოქალაქო ღუბერნატორთან. სადაცა დაბარებული გახლავარ.

თქუჱნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი.
ოკტომბრის 25 დღესა ჩჳკჱ-სა 1828 წ.

ადამ ღირსიევს მოვიკითხავ დიდის სიყვარულით და ვსთხოვ უმდაბლესად, რათა შეიტყოს უნივერსიტეტში იაკობ კრუპსკი[4], რომელიც იყო სტუდენტად, სადა არს, ვითარ სცხოვრებს და რატომ

წიგნს არა მწერს? ხომ არ მიდის ფრანციაში. და ვითარება მისი წვლილიად მომწეროს, რომელსაცა ფრიად დაუმადლებ, მშობელნი მისნი მშვიდობით არიან.

## № 220

## 1828 წლის 25 ოქტომბრის წერილი გიორგი ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

წელსა 1828, ოკდომბრის 25 ესე აღთქმის წერილი დავაწერინე და მოგართვ მე ქუჩმო ხელის მომწერმა გიორგი ჴელაშვილმა, თქუჩნ ყოვლად პატიოსანს მღვდელ მონაზონს იონას ძმასა ჩემსა, ესე და ამა პირსა ზედა, რომე მე ბოროტთა და მოენეთა კაცთაგან გაპრიყვებულმან და შემცთარმან მრავალი ცილის წამება, გინება და შეწუხება შეგამთხვე. რომელთაცა აღვიარებ პირითა ჩემითა, და აღვსთქვამ წინაშე ღვთისა და ერისა, ეგრეთვე მოძღვრისა ჩემისა და წინაშე თქუჩნსა, რომელ შემდგომად ამისა დავიმარხო მტკიცედ და ურღვევლად შემდგომნი ესე აღთქმანი. ჩემნი 1. და იყავნ პირი ჩემი, უკეთუ გმობა რამე ვსთქვა მაღალისა. 2. ძმასა ჩემსა მღუდელ მონაზონს იონას არღარა რამე გაწყინო, არცა ცილი ვსწამო და არცაღა შეგაწუხო და ყოველსავე ბრძანებასა და მცნებასა შენსა ვმორჩილებდე.

3. მშობელთა კეთილად მომხსენებელ და ძმათა და გარემო მეზობლებთა მასიამოვნებელ ვიყო და არა ვისმე ვაქირს შინა.

4. აღვიარებ ჭეშმარიტებით, რომე პაიჭაძისათვის არა გიენიათ რა რაკ ცილი შეგწამე მისთვს.

5. ჩემი ფული არაოდეს გმართებიათ და მეფის ძეს იოანეს გასაცინებლად და საქილიკოდ დაუწერია წამა უკუღმა ჩემი ლაპარაკი და ფულისაც რიცხვი, ვითამც ჩემი გემართოს რამე.

6. ამათ ყოველთავე აღვსთქვამ და დავიმარხავ ჭეშმარიტებით და თუ მივექცე კვალად ვითარცა ძაღლი ნათხევარსა და ღორი მწვირესა სიბოროტეთა და ცილისწამებათა ჩემთასა, ესე აღთქმის წერილი იყოს პირის დამყოფელ ჩემდა, მოძღვრისა, ანუ სხვსა ღვთის მოშიშისა კაცისა მიერ აღმოკითხვითა საზოგადოობისა და კრებულთა შორის. და ვიქმნე წინაშე თქვენსა, ვითარცა მეზვრე და წარმართი.

7. ამათ ზემო ხსენებულთა პუნქტთა საკანონოთ და შესაჯერებელად ვიდოდე ეკკლესიასა შინა და ვევედრებოდე ღმერთსა ცთომათა ჩემთა მოტევებასა.

აწ ვსთხოვ პატიოსანთა გვამთა, რომელთა ნებავსთ ნეტარება მშვიდობის ყოფისა დამოწმებულ ჰყონ ჴელისმოწერითა თვისითა წერილი ესე, რომელსა ზედა ვაწერ პირველად ჴელითა ჩემითა და დასამტკიცებელად გამოვსახავ ჯვარსა ამას გიორგი.

ამას გარდა გევედრებით, მანამ ცოცხალი იყო, ბრძანდებოდეთ ჩვენი მავედრებელი წინაშე ღვთისა, რომელ თქვენის ლოცვით მშვიდობა გვქონდეს თქუენს ძმებს და ძმისწულებსა ამას სოფელსა და საუკუნოსაცა, რომ შენის წყალობით ჩვენცა ვცხოვრობთ. და ესე ერთი დანაშაული მომეტეოს თქუენგან, და ყოველთვის გვხსენებოდეთ, რადგან ჩვენის ოჯახის მოწყალე მამა თქუენ ბრძანდებით.

ამ წერილის მოწამე ვარ საქართველოს აზნაურიშვილი ალექსიშვილი ანდრია.

ამ პირობის მოწამე ვარ ღუბერცკის სეკრეტარი გიორგი ელიოზოვი საქართველოს აზნაურიშვილი ორიშიო შანშიევ ამის მოწამე ვარ.

ამისი მეც მოწამე ვარ სოლომონ რაზმაძე.

მამაო იონა ვთხოვ მეცა მიუტეოთ თქვენს ძმას თავის დანაშაული და როდესაც შეიძლოთ გასტუმრება, კეთილად გაისტუმროთ, რადგან თქუენი ჴორციელი ძმა არის და ჩუღლიერადაც მზრუნველი თქუენ ბრძანდებით და იმ ოჯახის მამა და პატრონიც თქუენ ბრძანდებით.

მ. მ. ტარასი.

### № 221

### 1828 წლის 22 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

სულისა მიერ წმიდისა ნათლით შემოსილს მარჯუენასა გიამბორებ და სულით გულით ვისურვებ თქუენსა სიმრთელესა და ხილვასა.

აჰა, ყოველსა ცხოველსა არსებასა აქვს მისწრაფება ანუ მიმართება სხვსა მის მიერ არა ხილულისა საგნისადმი, რათამცა აღიხილოს თვალნი სხუა და სხუა სახილველებათა შინა წარმოებისათჳს ცხოვრების დასასრულისა (საგნისა) და წყაროჲსა კეთილშემთხუევისა მისისასა. არა სხუებრ, არამედ თანჴმობითა კეთილმოქმედთა კაცთათა და შემწეობითა კაცთმოყუარეთა და კეთილ მოსურნეთათა — ესე ვითარსა საგანსა კეთილ შემთხუევისასა ეძიებს ძმაი ჩემი სტეფანე შემწეობითა თქუენისა კეთილმოქმედებითის ჴელთმძღვანელო-

ბისათა, ვინაითგან კეთილობა თქუენი ჰსჩანს არა მხოლოდ ჩემ შორის, რომელიცა ვიქმენ ბედნიერ მზრუნველობითა თქუენითა და აწცა ვარ და ვიქმნები მამობრივითა სიყვარულითა და მზრუნველობითა თქუენითა კეთილშემთხუევასა შინა კურთხეულ და წარმატებულ უმაღლესისა ხარისხსა შინა. არამედ სხუათა მემამულეთა შორისცა იხილვების კეთილობა ეგე თქუენი ზომითისა ხარისხისაებრ ღირსებისა მათისა.

თუმცა მათმან უგანათლებულესობამ მეფის ძე ბაგრატმან ინება რაოდენითამე. წარმოწერილითა ავთრათითა წარმოგზავნა ძმისა ჩემისა, რომელიცა მიბრძანებს გაბედნიერებასა ამისსა, გარნა მდგომარეობა მათი თქუენ უწყით, უკეთუ არა იყოს მზრუნველობა თქუენისა მაღალ ღირსებისა, ვერა მისწვდების თვისსა საგანსა, რომლისაცა არს განსაზღვრება სამსახურსა შინა და მიღება მაშინც პირველისა ჩინისა, რომელიცა იქმნების პირველს საფუძვლად კეთილ შემთხვევისა მისისა.

მამაო ბრძენო! მიიღეთ მზრუნველობა, ასწავეთ კეთილი. აღუხილეთ თვალნი და დაადგინეთ მტკიცესა გზასა ზედა. ეგრეთვე განაცანთ უმაღლესნი და უგანათლებულესნი. უკანასკნელ, ნუცა მე მიმცემთ დავიწყებასა შინა, უწინარესი მზრუნველობა გარდამოავლინეთ ჩემზედა. სახლეულთა ვითარებისათვს ყოველსავე მოგახსენებთ ძმაი ჩემი სტეფანე.

ჩემს ვითარებას მოგახსენებთ, იწროსა მდგომარეობასა შინა გახლავარ და არცა სრულიად სიმრთელით, უმეტესად მაწუხებს უსახლობა, რაჲღა მრავალი განვავრცელო ყოველსავე გაცნობებთ ესე ს.

დღეს ნოემბრის 20 სა გახლდი მთავარ მართებელს ღრაფ პასკევიჩ-ერევანსკისთან — რომელმანცა მიბრძანა, რომელ ტფილისის საკეთილშობილო სასწავლებელსა შინა დააწყობს სხუასა კანონებსა, მრავალს ცვლილებასა ჰყოფს და ეგრეთვე უეზდებში გახსნის სასწავლებლებსა და მისცემს თვისსა წესს და მდგომარეობას. მე მოვახსენე ესრეთ: დიდ ფრიად საჭირო არს ესრეთი საფუძველი სიბრძნისა მკარესა ამას შინა და მან მიბრძანა, მალე იქნება ესრეთ და რაჲცა შეუდგება წინა დადებასა ამას, მე მალიად ვაცნობებ თქუენს მაღალს ღირსებას ობლის ქალის[1] გათხოვებისათვს არღარა მიბრძანეთ რა. ერთსა სემინარიის ფილასოფიის მოწაფესა ჰსურის ქორწინება და მიგზავნის ხშირად კაცს, გარნა თქუენ მიერ მოელის ნებართუასა და წარსაგებელსა, რომლისათვს ძმა ჩემი მოგახსენებსთ. გთხოვ უმ-

დაბლესად, რათა ხშირად მიბრძანოთ თქუენის სიმრთელისათვს, რომელიცა ფრიად მახარებს.

თქუენის მაღალ ღირსების მორჩილი სულიერი შვილი
სოლომონ დოდოევი.
ნოემბერის 22 დღესა
1828 წელსა ტფილისი.

### № 222

### (1828 წ) დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ მ. მ. მ. მამაო იონა!

ავთრათნი გარდამოცემულნი სხუა და სხუაის იდეის მპყრობელნი, ესე იგი თვითოეული თვისისა საგნისა თქუენ მიერ მივიღე ნოემბრის 20, რომელთაცა ძალისაებრ ჩემისა შევემცენ მჭურეტელი რაოდენისამე ჟამისა და გამოვიხატე სულსა შინა ჩემსა, მაღალნი იგი ფრიად წყარონი ზრახვისანი მომცემენ დიდსა შუებასა, მხიარულებასა და კნინღა აღტაცებასა ანუ აღმაფრენასა უკეთილესისა საგნისადმი. მარად მზრუნველო მამა ჩემო! უკეთუ არა კეთილთა მოქმედებათათა სარგებლად სულისა და სხეულისა საუკუნოჲსა ცხოვრებისათვს თქუენ, რომელნიცა არა კმად იმყოფებიან გარდახდად ვალთა ჩემთა მათ მოქმედებათათვს ზეციურთა, რომელთა მიერცა მარად ვსარგებლობ თქუენ მიერ კეთილისა ცხოვრებისათვს ვითარითა ხატითა ძალმიძს სრულყოფად მათ ყოველთა სათნოებისა სახეთა თვს, რომელთაცა თქუენ მიერ მე ვგრძნობ ყოველსა შინა წამსა. ირწმუნეთ მამაო, რომელ მე ყოველთვს მზად გახლავარ აღსრულებად ბრძანებათა თქუენთა და თანამდებობათა ჩემთა. აჰა, ლიტურღიისათვს ქართულისა მიიღეთ მოკლეჲ ესე განსჯა ჩემი აზრისაებრ თქუენისა. ღრამატიკისა შინა შესაძლო არს უადვილესად და უცხოველესად წარმოდგენა ყოველსა შინა საზღვრებასა და განყოფილებასა შესაბამად წესიერად და უმეტეს კანონიერად ყოველნი კუთვნილებანი და პყრობილებანი მისნი (ვითარცა მე გარდავეც მოწაფეთადმი ჩემთა ცხადითა განმარტებითაა). ღრამატიკა განარჩევს ლექსთა ჴმარებულთა ჩუენსა ენასა ზედა, ყოველსა ლექსსა აქუს სხუა და სხუა მნიშვნელობა. მაშასადამე სათანადო — არს, რათა მიუწეროთ თვითოეული ლექსი თვთოეულსა კლასსა აღმნიშვნელსა საგანთათსა. რომელნიმე გარდაეფინებიან ყოველთა მყოფობათა — საზოგადოდ, რომელნიმე

თვთეულად — კერძობითად, წოდებანი, კუთვნილობანი და რაოდენობანიცა დანიშვნენ სხჳა და სხჳასა, უმეტეს და უმეტეს დანაწევრდებიან იგინი შეცვალებითად წოდებულნი ნაწილნი და შეცვალებულნიცა შეერთდებიან მათ თანა. ეგრეთცა ნათესავსა შინა, რომელიცა ღრამატიკასა შინა ჰნიშნავს განსხუავებასა სახელთასა განსჯასა შინა სქესისასა...

შეერთებისა გამო ლექსთასა წარმოსდგების სიტყვა ანუ წინადადება, რომელნიცა იქმნებიან ესოდენ ურიცხვნი, რაოდენცა ურიცხვ არიან საგანნი სოფელსა შინა. წინადადებანი განვრცელდებიან წყაროთაგან პოვნისათა, რომელნიცა არიან საზოგადონი ადგილნი და არიან შემდგომნი: ყოვლადი და კერძონი. ნათესავი და სახე. მოქმედი და ვნებული, ადგილი და დრო, კუთვნილებანი არსებითნი, ვითარებანი, მიზეზნი უმთავრესნი, ნივთიერებითი, საჭურველითი და კმა მიზეზი. გარეშოებანი განსაზღურება და აღწერა პოვნილთა და განვრცელებულთა წინადადებათა მიეცემის განკარგუა და შესაბამისა თვს თვსსა ადგილსა ზედა აღიწერებიან. უკანასკნელ გამოცდილი ორატორი იხმარებს შესაბამისა ფრაზსა წინადადებისასა და თვსისასა ენისასა სასიამოვნოდ, კეთილ გჳაროვნად. ცხადად კეთილ წყობილებითად კეთილ-ჴმოვნად, მსურველებითად და ბუნებითად, გაწმედილად და თავსებითად, მიჯედვსაებრ აზრისა იხმარებს ანუ მაღალს ანუ საშუალს და ანუ დაბალსა ფრაზსა გინა შტილსა. საგანთა შორის ბუნებითთა, ჴელოვნებითთა და შერევნილთა ორატორი უმეტესად მიჰმართავს აღმკობილსა ანუ შუენიერსა, ვინაჲთგან იგი უმეტესად მოქმედებს გრძნობასა ზედა და ყურადღებაცა მიმართავს განჰსჯითად, საზოგადოდ ორატორი გულისხმისყოფითა (თეორეტიკებრ) ეკვეთების ჭეშმარიტსა, ნებითა (პრაქტიკებრ) კეთილსა, ხოლო გრძნობით (ესტეტიკებრ) ეკუეთების აღმკობილსა ანუ შუენიერსა ჴელოვნებასა მხოლოობა ესე კანონთა განსაზღურებითა და განყოფითა გარდაეფინების ყოველთა გრძნობითთა და გონებითთა თხზულებათა განმარტებითურთ და აღმოჩენით ანუ დამტკიცებით. გარდა ამათსა იქმნებიან საკუთარნი კანონნი თვთეულისა თხზულებისათვს კერძოობითად, მაგა ავთრათთათვს, ქებათათვს, დიდ ფრიად საწუხარ-არს ერთ კერძო ჩემთვს, რომელ დრო მცირე მაქუს შეერთებისათვს აზრისა ჩემისა განათლებულისა გუამისა თქუენისადმი. მოქმედება ჩემი, გარდა სასწავლებელისა, სადაცა ოცდა ათექუსმეტი ჟამი მაქუს კვირაში სწავლა, მმართველის საქართუელოისა მჴედართ ღუბერნატორის სიპიაგინის შვლებს ვასწავლი კვირაში ოთხჯერ ორ ორ ჟამსა როსიულსა ენასა ზედა ღრამმატიკასა და რიტორიკასა, ორნი შვლნი მისნი ერთი ათორმეტისა და მეორე ათისა ისწავებენ. სასწავლებელსა შინა

როჭიკი მაქვს ორმოცდაათი (თუმანი) გარნა პირველსა შემთხუევასა შინა არა საკმაო გახლავთ გამოზრდისათვს ყრმათა და ნინველთა, რომლითაცა ათი სული იზრდების და იმოსების ჩემთანა, გარდა ამისსა, დამან ჩემმან იქორწინა და შეუძლებელობამან მათმან განსტუმრებად მიიტაცა ჩემგან ოცდა ხუთი თუმანი (25) თეთრი, ესე იგი ათასი რუბლი ასსიგნაცია. მგზავრობამან და ესე ვითარმა შემთხუევამან დიდ ფრიად მწუხარე მყო. სოლომონ ძმა თქუენი გახლდათ ჩემთან ნოემბრის 26-სა და დაყო ერთი კვრა ჩემთან. შვლი მისი იოანე იზრდების. წერილნი ანუ ავთრათნი თქუენისა მაღალ ღირსებისანი წარუკითხე; ობოლი[1] იგი არს ავათაო და შემდგომ განთავისუფლებისა მიუცილებლად მოვიყვანო, ყოველნი ავთრათნი თქუენნი წარვატანე მქისეიყად და განვისტუმრე, და ესრეთ მოწყალე მამაო! უკეთუ ინებებთ ყოვლით კერძო განთავისუფლებასა მწუხარებათაგან მათთა და გასტუმრებასა ქალთასა, წარმოგზავნეთ ჩემდა ათასი რუბლი ასიგნაცია და აწინდელსა მდგომარეობასა მათსა მე გავმართავ მოწყალებითა ამით თქუენითა და შემდგომად მე ჩემ კერძო სხუებრ თვნიერ შეწუხებისა თქუენისა ვეცდები მათსა შემწეობასა, მე ვგონებ ამ შემთხუევაში კმად ზემოხსენებულსა, მე დიდად ვსწუხვარ მათთვს, რომელნიცა მრავალსა მომითხრობენ, გარნა ჯერეთ ღონე არა მაქუს კმაყოფად მათდა.

[1828 წ.] დეკემბერი [ს. დოდოევი]

## № 223

### 1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

კეთილშობილო სოლომონ იოანიჩ!

ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქუენდამო გულითადიერ ზეგარდამო ზედასა ზედარე შემთხოვნელი და ორკერძოვე სუფევდეთ წარმართებული სიბრძნითა და ასაკითა.

აჰა, მოიხსენეთ ესერა ვიეთთამე მეფეთ ძეთა შემეკითხეს პაექრობითა, რომელი კნინღა და კამათობად იცვალა. ესე იგი უკეთუ ადამ სრული კაცი იყოო, რაჲსათვსღა არს სოფელსა შინა სულელობა, უგუნურება და ნაკლულევანება გონებისა, ხელობა, მედგრობა და ვერაგობა, თავის მოყუარება და მონაგებთ მოყუარება და ხშირადრე მიდრეკილება ბოროტისა მიმართ, თვნიერ სწავლისა, და სიყვარული ამის სოფლისა, ვიდრელა ზენა საუჭოთხისა. და შემჴვალა ვნებაებისა უსურვობის დროსა ცქრიალისა. ნინველობისა დროსა ფუნდუკობისა ყრმა-

ზისა დროსა ე. ი. ათექუსმეტისა წლითგან ლაციცობისა ოც წლამდის. ოცისა წლითგან ჭაბუკობისა მღვანისა კორციითა და მდუღარისა სისხლებითა მიდრეკილება სიძვსა მიმართ და მრავალთა ვნებულებად ჯოშობისა დროსა მრუშებისა მიმართ და ამპარტავნებისა და ნაყროვნებისა ჭარმალობისა დროსა მთვრალობისადმი. მკცობისა დროსა მოხუცჭისადმი, მოხუცებულობისა დროსა ვერცხლის მოყუარებისადმი და მიხრწნეულებისადმი დროსა გაგრილებისადმი სხეულითა, ხოლო სულითა უსვინდისობისადმი მეტყუელებად ტყუილთა და მახსოვრობა ცრუობათა, რომელი კნინლა დაამტკიცებდეს ფიცითა და უმოწმებდეს მტყუანთა მკარეთა ჟამსა ამბორებისასა. გინა უმატებდეს წელთა თვსთა მრავალთა წელთა.

აჰა, ესე ვითარცა სიყრმიდგან დაძველებულთა ვნებულებათა შინა არღა იქნებისო მოქცევა კუზებიანის განმართვა და მკელობელისა.

ესერა კვლავადცა შემკითხეს, რაშიღა მდგომარეობს ხატება ადამისა და მსგავსება. რომელ ებრაელთა ხატება ცრუობა და წარმართთი სისულელე ე. ი. გონებისა გლახაკობა და ბრმობა სულებთა შინა მათთა, რომელთაცა მხოლოდ გრძნობაებითა თავთა თვსთა ცხოველობისა დაცვისათვს პირველად მოიგონეს კეტები. მეორედ ლაბინირები ე. ქუშე კლდეთა, მთა და მიწათა ქანეს კურელები დაშენებად ქალაქებისა და სოფლებისა ვითარცა უფლოსმანცა ითარა ლაბინერი შიდა ქართლს მახლობელ გორისა. მესამედ მოიგონეს გალავანნი ზღუდენი, ციხე კოშკნი ჯიხურნი. მეოთხედ ისარნი, მშვილდნი და კარპაჭნი ე. ი. გუადრუკნი შთასაწყობნი ისრებისა მეხუთედ მოიგონეს თორნი ე. ი. კუართი ჯაჭვისა, ჩაჩქანი, ჩაფხუტნი და ფარნი. მეხუთედ მოიგოხეს ცელი ეტლებისა ღერძებისა კიდურებზე სიგანეზე განკიდულნი ამიერ და მიერ. მერუცდ მოიგონეს დენთი, ჰრაქნი, თურმანი, თურგანაკნი ესე ე. ი. თოფი, დამბაჩა ზარბაზანნი და დგუშნი ე. ი. ჩიბუხნი სატენად დენთთა და პრპენთა და აწინდელი რაკეტნი. მეცხრეე მოიგონეს სპილოებთა დათრობა და ფერხთა მათთაგან დათრგუნვა კაცთა. მეათედ მოიგონეს ტატატაშნი ე. ი. რკინებთა ეკალნი კაცთა ტერფებისა დაჩხულეტად, მეათერთმეტედ, პატნეზნი ციხეთა ალებად. მეათორმეტედ მოიგონეს ღრუდო ე. ი. შეთხრად მიწისა ე. ი. კვრელებისა, ვიდრე ფუძედმდე დანგრევად დენთთა ფეთქებითა და უშორეს ესე ვითარისა სახებითა. ოდესმე მარჯულისა მკედრობისა მახვლნი ე. ი. საჭურველნი შესჭამენ მტერთა და ოდესმე მარცხულისა მკედრობისა აბჯარნი შესჭამენ მარჯულთა უწინარეს სენთა და სნეულებათა და სიბერეთა და იქმნების მძორთა საფლავები ველნი ქუეყანისა. იხილეთ პორფიროსი ანუ მეფე ალერგასთა ფსალმუნებთა

მესტიხე კმობს — მე ვსთქუჱ განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს და სხუასა ადგილსა იტყვის მიერთამდე მიაქციესო. არავინ არს წმიდა, ხოლო თჳთ მეტყუჱლებს ღმერთი ნოეს მიმართ, რამეთუ „შეყოფილ არს მომგონებლობა კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა სიჭაბუკით მისით“ (შესაქ. თავი 8. მუხლი 21) ეგრეთუჱ დღეთა ჴორცთა თჳსთა დროთა შინა ჰრქუა მესია ცხებულმან ფარისეველთა ე. ი. გარეგან გამომჩუჩნებით წმიდაცათა მანიქეველთა ე. ი. მან სპარსის შედგომილთა და სადუკეველთა ე. ი. წვალებისა მოძღუართა, რამეთუ შინაგან გულისაგან კაცისა გამოვლენან გულის სიტყვანი ბოროტნი მრუშებანი, სიძვანი, პარვანი, კაცის კულანი, ანგაარებანი და უკეთრებანი, უცუნურებანი. ესენი შეაგინებენ კაცსა (მარკზ. თაკ I მუხლი 21, 22, 23).

კიდეცა განსჭვრიტედ სულო კეთილო (კაცისა) სარჩელსა ე. ი. საჩივართა წ. მ. პ. რომელი თავსა თჳსსა მხოლოსა პირსა ორსახედ განსჯის ე. ი. სულსა და გუამსა, და ყოველთავე წევრთა დასთა და იტყჳს რამეთუ თანა მნებავს მე ჰსჯულსა ღვთისასა შინაგანითა მით კაცითა და ვხედავ სხუასა ჰსჯულსა ასოთა შინა ჩემთა, რომელი იგი წინაგანეწყუჩბის მსაჯულსა მას გონებისა ჩემისასა და წარმტყუჩნავს მე ჰსჯულითა მით ცოდვისათა, რომელი იგი არს ასოთა შინა ჩემთა. (რომალ. თაკ 7 მუხლი 22.23) იხილეთ, ოდეს რომთა ორატორთა და ფილასოფოსთა აღმოიკითხეს მუნამდე უცნაურნი თავნი თჳსნი (იცნეს მას ჟამსა და დაუმორჩილნეს ჴორცნი თჳსნი (სულებთა). სულსა თჳსსა და ორნივე ღმერთსა ამად, რომი მაღლოჲს ეპისტოლითა წ. მ. პავლესითა.

მერმეცა განიგულეთ ესერა წ. იაკობ მეტყუჱლებს სულითა წმიდითა: „ენა ცეცხლია სამკაული სიცრუისა, ენა დადგრომილ არს ასოთა შინა, რომელი შეაგინებს ყოველსა გუამსა და აღაგზნებს ურმის თვალსა მას შესაქმისასა სლავენურ შობისასა, ხოლო ელლინურ ამა ადგილსა ურმის თვალი ცხოვრება სძეს ე. ი. შობიდგან ვიდრე საფლავადმე“ (კთ იაკობ თაკ მუხლი 6) ენა დაუმწყსელობს, გარნა ბუნებასა ქუჩშე ყოველნი ფრინველნი, ჴმელისა და ზღვისა ცხოველნი დაიმწყსებიან ე. ი. საქმენი მარჯუჩნი. ვითარ ღვიძილით თეორია და პრაქტიკა და ძილითა დაღშვა გრძნობაებთა გარეგან და შინაგან ძრვა და სიზმარნი და სისხლებთა ზრქელება და სიცოცხლისა ნოტიებთა და შავათა შთაკრება კერკასა შინა ე. ი. წყვილის კვერცხებში, რომელ არიან კაკანი[1].

დასასრულ, სულიერო ძეო ჩემო, ზემო მქლოველთა მიუგე: აჰა, ადამისა ხატებაა ღვთისაგან შთაბეჭდილნი სულსა შინა სიმართლე და ჭეშმარიტება. ხოლო ჴორცთა ზედა სიწმიდე და უმანკოება. ხოლო

მსგავსება ადამისა იყო ღვთისადმი ე. ი. ღმერთია მეუფე ყოვლისავე დაბადებულისა. ადამ დაბადა მეფედ ქუეყანისა ზედა ხილულთა. ღმერთია მადლით მამღრთობელი ანგელოსთა და კაცთა. ადამ იქმნა მღუდელ, რომელმან არსთა ბუნებისაებრ მათისა უწოდა სიბრძნით სახელები ყოველთავე. ღმერთია წინასწარმხედუელ ყოვლისა ხილულისა და უხილავისა. ადამსაც მიანიჭა წინასწარმეტყუელებისა ნიჭი, რომელმან ევას უწოდა ცხოვრება და დაადგინა სამოთხესა შინა და მისცა ჰსჯული ე. ი. მცნება არა შებად ღვთისა მის მცნება გამოწერილისა, ვითარცა აწინდელი წმიდა სახარება და ცხოველისა ჯუარი, გარნა დემონისა მითხრობასა დაემორჩილა მეფე მღუდელი წინასწარმეტყუელი დემონსა და სჭამა უკვდავმან მოკვდავება და იქმნა მიერითგან ჴორცითა მოკუდავ და სულითა ტყუე დემონთა ქუეშე ქალაქსა ექსორია ქმნილი. გარეგან სამოთხისა, სადაცა მდელოთა და ნერგთა გამოიღეს ეკალნი წერტად, მეფე ყოფილისა და ცხოველნი განველურდენ და მჴეცთა დაუტევეს მორჩილება და ფრინველთა განიფრთხუეს. და თევზნი უფსკრულთა ქუეშე დაეფარნეს. და იწყეს მტერობა იძვრისთა ცხოველებთა თჳსისა მეფისა და აწ ესერა მიერითგან ცეცხლი მეხითა მძვინვარებს სოფელსა ზედა და ქარი სეტყვითა და წყალი რღვნითა. აჰერი დაყროლებითა დიდისა ჭირისათა. და მიწა ძვრითა და განრყინებითა მოუსავლობისათა. წვიმანი შეშთობითა, სიცხე ხორშაკობითა და ტუფებითა, გაზაფხული მკალიათა და ჭია ჭუათა და ბუზთა მგრაგნელთაგან ზაფხული. გუალვათაგან შემოდგომა უნაყოფობათაგან და ზამთარნი ნეფხუათა განქმელთაგან.

დასასრულ, ზემო სტიხიონნი და ცხოველნი და ორძილნი ნამეფარისა ადამისათჳს წყევა მიღებულნი მტერად ნამეფარზე აღდგომილნი დასჯად პირის ოფლითა მუშაკისა, რომელი დღე და ღამე ფიცხელისა მუშაკობითა ძნიად მუცლისა საზრდელთა და საბლარდნელებთა მიისთლობენ ცხრა ასნი მილიონნი კაცნი დიდისა ამის სოფლისა ჴმელთა და ზღუათაგან. აჰა, ესერა დიდ ფრიად დაგლახაკდა ნამეფარი კაცი და ძენი და ასულნი. ერთბამად პირველისა მის კაცისა. რომელ მეფეთაცა ქუეყნებისათა არ ძალუძსთ უქმობითარე ცხოვრება. გინა მუშაკთა ერთსა წელსაცა უხნაობა ანუ ვაჭართ ვაჭრობისა დატევება. გინა ყოველთა მქსოველთა არღარა ქსოვნა. და მჭედელთა გრდემლებთა განყრა. და მწყემსთა უსიტყუთა განბნევა. და მეომართა საჭურველებისა დადება და მსაჯულთა კალმებთა არღა ჴმარება და ჩინოვნიკთა ე. ი. მწესეთა ხარისხებთა თჳსთა დატევება და ჴელოვანთა ხელოსნობა და ჴელობიანთა ინსტრუმენტებ ორღანო ჭურჭლებთა დამუსვრა, რომელ ერთბამად ყოველნი პირნი ოფლებითა თჳსითა თუმცა იწურებიან გარნა სოფლისა სიმდიდრენი, სკორედ

ცვალებადნი არიან. და ბებკვად და გესლად და ნაქცევად და ერთ-ბამად ნაგევად.

დასასრულ, დიდ დიდნი ქალაქებთა შენებულება არა დაშთების ქჳანი ქჳებთა ზედა. პირჳელად ბოროტ ზნეობითა და მერმე ცოდვათა საწყაულებითა. ჲმისთჳს სთქჳა მეუფემან კაცი ამაოებასა შეემსგავსა და დღენი მისნი ვითარცა აჩრდილი წარვლენ.

ესერა სულიერ ძეო ჩემო, მწერთ ავთრათსა შინა თქჳენსა წელსა 1828 თთუესა ნოემბრის 5-სა, რომელ მცირაკი ბოროტზნეობითი ცოდვა არსო სოფელსა ზედა ე. ი. მცირე სოფელსა რომელსამე კაცსა შინა განსჭვრიტეთ სამგზის აღმოკითხვთა, თუ რაოდენნი ბოროტნი არიან სოფელსა შინა ე. ი. სულებითა მკჳდართა ებრაელთა და წარმართთა შორის, რომელნი მხოლოდ ჴორც არიან და მუშაკობენ შჳდთა მომაკვდინებლებთა ცოდვაებთა, ურწმუნოებითა ეგრეთვე გარდატეხილნი მწვალებლები ბრუქებითა თჳსითა თითოეულნი არიან მთვრალ და დღლუ თხლეებითა დემონისათა.

ეგრეთჳე ჩჳენგანნი რომელნიმე რომელნიცა ყვარობენ ღმერთსა თჳსსა მგავსად კრიტელთა, ვითარცა ბრძანებს წ. მ. პ. კრიტელნი უქმნი, მუცელ ღმერთნი, მტყუარნი. რომელნი ზრახვენ ჴორცთასა და არა სულისასა. ღვთისა სათნო ყოფად ვერ ძალუძსთ. და უყვართ სოფელი და იქადიან დიდებითა თჳსთა და ინეტარებიან თავით თჳსით და პურებრ შეჰამენ დამონებულთა რომელნიმე ჟამსა ჰაბუკობისა, ჯოშობისა, ჰარმალობისა, მხცნობისა, მოხუცებულობისა და მიხრწნეულებისასა. და ანდერძსა დაუტეებენ ამბოხებად.

იხილეთ, მოვიდა ძე მღვთისა და ზემო ყოველნი წყევანი კურთხევად შესცვალა და თითოეულთა მორწმუნეთა სულები მეფედ ჰყო თჳსთა ჴორცთა ზედა და დემონებთა ზედა და სოფლისა ცოდვათა ზედა ე. ი. შვიდთა მაკვდინებლებთა ცოდვაებთა ზედა. და სძლო მორწმუნე სოფელმან ცხოველისა ჯუარითა ურწმუნო სოფელსა ესე იგი წმიდანი მოციქულნი მოწამენი და ღირსნი მამანი აღმჴედრდენ სოფლისა ზღვასა ზედა და მიიღეს სასყიდელი ცათა შინა, რომელთა ნაწილნი და დღიურნი ხსენებანი პატივ იცემებიან. ესერა მაცხოვარმან ბრძანა წ. სახარებასა შინა, რომელმან შეიწყნაროსო წინასწარმეტყჳულნი. სასყიდელი მათი მიიღოსო და რომელმან შეიწყნაროს წ. მოციქულნი, სასყიდელი მათი მიიღოსო და რომელმან შეიწყნაროს მართალნი სასყიდელი მართალთი მიიღოსო. ესერა თქჳენ გამოირჩიეთ სამთა ზემოთაგანი: აჰა, რიტორება არა არს გინა რიტორი გლახაკ გონებისა მაკმაველი, არამედ არს ბრძენთა გამომზიდი უღელსა ქჳეშე საგნისასა ყოვლადსა ანუ კერძოსა ნიშატსა ქჳეშე პირჳ-

ჱლად სულიერ სარგებლობითა. რამეთუ სული უაღრეს არს გუამისა, ხოლო გუამი საზრდელისა და სამოსლისა.

დასასრულ, უსაჭიროესნი დაუტევე ე. ი. ლოცვა და თხზვა მე-ორე პარელი პიმენისა ესე იგი ნაშთისა. მუშაკმან სალთო წერილებთა გასაღებისამან და შევტკფრე ზემო თხზულნი ესე სიყვარულითა ჩე-მითა. შენ ეგერა სიყვარულისათჳს, რათა ჭაბუკ ეგე უმეტეს ოცდა ათისა წლისა სიბრძნითა სრულ იქმნნეთ და უფროსღა ორმეოცისა წლისა და ორმეოცდაათისა წლისა სიბრძნითა სამეოცისა და სამე-ოცდა ათისა, გარნა არა რაჲ გაიმგუნოთ წყინება, რომელსა არა ჰქო-ნანთ ესე ვითარნი თჳსებანი და ხარაკტირნი, რამეთუ ბრძენი ყოველ-სავე მოითმენს, ხოლო მშვიდი და მდაბალი გულითა მრავალს წელს იცოცხლებს.

ესერა მე მძინავს, და სული ჩემი მღვიძარებს თქუჱნისა კე-თილდღეობისათჳს, რათა ნაყოფნი მრავალნი გამოიღოთ საყვარელი-სა მამულისათჳს და მუნცა დანიშნულსა მქისე ერსა შორისცა ყო-ველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას. თქუა წერილმან ვითარცა ზე-მორეცა აღმოაჩინე ე. ი. არავნ არს ყოველი სოფელი ე. ი, კაცი. რომელიმე იყოს წმიდა, მართალ, უმანკო და წრფელ თავთ თჳსით უკეთუ არა შეუდგეს წმიდასა ნებასა ღვთისასა და არა აქუნდეს და-საბამად სიბრძნისა შიში უფლისა და სარწმუნოებისა ლამპრითა, არა განინათლოს სული თჳსი და სასოებითა შეემსჭუალოს მაღალსა და სიყვარულისა ხანძარითა ე ი. ცეცხლითა არა აღეგზნა და არა ამხი-ლოს კრებულსა და შესაკრებელსა მცირაკიცა განდეკილება და არა განფინოს ლოცვანი მოუკლებელნი წინაშე მაცხოვნისა. და მარ-ხვაებითა არა დააჭნოს კორცნი თჳსნი. დღენი ბოროტნი არიანო. აჰა, არა არს მზე და ნათელი მიწიერ, არამედ რომელი გარდაჴდეს სჯულ-სა ღვთისასა და მონარხისასა ოც წელ ზემოჲ და იქმნას მსაჯულთა განჩინებითა თანამდებ სიკვდილისა და მოიკვდინოს დიდ ფრიად ბრა-ლეული პირი და განიკუჱთოს ორგანვეთოს ცხოვრებისაგან ამიერისა და მიერისა. აჰა, მისთჳს მისი კუთვნილი დღენი მისთჳს არს ბოროტ. ხოლო კეთილ მსახურთათჳს ყოველნი დღენი კეთილ არიან. ეგერა ოცდა ორგზის წარტყუჱნილა ტფილისი ეგერა დაშენებითგან, ნუთუ დღენი იგი არა იყო მაგათთჳს ბოროტ, რომელთა სისხლებითა შებ-ღალულ არს მიწა ეგე. ხოლო ტყუჱთაგან ივერიისათა სახლნი ძოღან-დელნი სპარსთა შაჰთი, ხანთი, ბეგთი, სულთანებისა, ფაშებისა მუსლიმ-თი, სარასკართი, აღლესილ არიან მდედრნი ხარჭებათ და მამრნი სა-ჭურისებად, რომელნი ეძიებენ სიკვდილსა თვისთა დღეთა და ჟამებ-

თაგან განმწარებულნი, გარნა ივლტის სიკვდილი მათგან ვიდრე დაბერებადმდე.

დასასრულ, ყოველნი დაბადებულნი ღვთისა კეთილ არიან. გარნა კაცნი უკეთილეს ყოველთასა არიან, უფროსღა მეორედ შობილნი და უმეტეს იგინი, რომელნიცა ნებასა თვისისა ღვთისა ნებასა დაემორჩილებენ და უკეთუ ზოგადიერი ერთბამად შეიყუარებენ ღმერთსა და ურთიერთ, მაშინ ქარნი, წვიმანი, მსახურ მათდა იქმნების და მეხნიცა, რომელნი სიდაბლესა ცხოველებთა და ნერგებთა და ორძილებთასა მოიყვანენ მოძრაობასა შინა. და იქმნების გაზაფხული შროშიან ზაფხული არე მცხუნვდიან. შამოდგომა დატყუვლებულ, ხოლო ზამთრისა თოვლნი მჰსგავსა კრუხისა, რომელი ძირით კერძ ჯეჯილთა და ყოველთა ორძილთა განატფობს და აღაორძინებს.

იხილეთ ღვთისმეტყუელურ ცნობილ არიან ერთ კერძო ბოროტნი შემთხუვლნი კერძო კაცისადმი გინა ზოგადისა ერისადმი. მეორე მჴრივ სინანულებითა, დაკრძალულებითა და ფრთხილობითა იშობებიან კეთილნი. აჰა, უკეთუ არა იყოს დასჯა, არა იქმნებოდა სჯულსა ზედა გება. უკეთუ არა იყოს სირცხვილნი და ცოდვა, სასირცხო ასოთა და საშოთა საბლარდნელნი არა ექმნებოდა ზაფხულში. უკეთუ არა იყოს ზამთრივ უნაყოფოება, არა იქმნებოდა ჴვნა. უკეთუ არა იყუნენ მგელნი, არვეთა და მროწლეთა მწყემსნი არა აქვნდებოდით დამცველად. უკეთუ არა იყოს სიცივე და წვიმანი, თოვლნი და ქარნი, ქვისა და ხისა და მიწისა სახლნი არა იქმნებოდენ საჭიროდ. უკეთუ არა იყოს მტერნი, მჴედრობა არა იქმნებოდა უმეუღლოდ და უშვილოდ უმეტეს ოცსა წელსა შინა. უკეთუ ყოველნი კაცნი შინაგან გონებით წმიდა იყუნენ და გარეგან ბუნებითი სიწმიდით იქმნენ ე. ი. ქალწულებით დაცულ, ყოველნივე იქმოდენ სასწაულსა, უკეთუ ყოველნივე იცევდენ სღოთ სჯულს და ბუნებითს ე. ი რავდენი გინდეს თქუენ რათა გიყონ კაცთა ეგრეთცა თქუენ ყოფდეთ მათდა მიმართ. სთქუა უფალმან და რაოდენნი თქუენ არა გინდესთ მას სხუას ნუ უყოფთ. დასასრულ სარწმუნოება. სჯული, განათლება, და სიბრძნე ყოველსა ბოროტს და ბჱეთა ჯოჯოხეთისათა ერევის, წმიდა მმართებლობა და წმიდა მორჩილნი.

იხილეთ ფილოსოფოსნი, სენეკა მეტყუელებს მოკლე მნებავს, ბნელ ვიქმნებიო, ამად განვავრცე სიტყუანი ჩემნი თქუენდამო, რომელთა შინა კნინღა და ყოველნივე ცნობანი ჩემნი მოგიძღუანე ე. ი. ყოვლისა სოფლისა, რომელ არიან კაცნი. ეგრეთუე ერთი ესე სოფელი, რომელ არს სახლი ფუნდუკად ჩუენდა სასტუმრო იფქელთა მასპინძელი და ღვარძლთაცა დამნეცველი. რომელთაგანნი საუფევლისა იწროსა გზასა ზედა მცირედნი ვლენან. ხოლო ფართოსა ჯო-

ჯოხეთისა გზასა ზედა მრავალნი, რომელნი თვსსა დღეთა და ჟამთა ბოროტად კმარობენ. ი. მ. მ. მ.

[1828]

## № 224

### (1828 წ.) წერილი დიმიტრი ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი

უმოწყალეს კელმწიფევ მამაო იონავ!

კვალადც მოვისრწაფი დიდის კრძალულებით წინაშე თქვენს და გთხოვთ მდაბლად ვედრებით თუმცა ლა გაქვნდესთ ანუ ათი ხუთი თუმანი ასიგნაცია მასესხეთ პირველს თვემდინ და პირველსა თვეს სარგებლით მოგართმევ თქვენმა და თქვენის წირვის მადლმა. გთხოვთ უმდაბლესად, რომელ უარი არა მიბრძანოთ, დიდა მეჭირება, მე მინდოდა გხლებოდი, მაგრამ თქვენს შეწუხებას მოვერიდე. და გთხოვ პასუხი ამ ბიჭის ხელით მიბრძანოთ.

თქვენი უმორჩილესი თავადი დიმიტრი ორბელიანოვი[1].

## № 225

### (1828 წ.) წერილი დიმიტრი ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო იერომონახო მამაო იონავ! წმიდას მარჯვენას სურვილით გეამბორები. ახლა მამაო კუალად გამებედა თქუენს პატიოსნებას შეწუხებას წიგნისა ჩემისა და ვითხოვ თქვენ მიერ მოტევებასა. ესრეთის თავის უფლობის წინაშე თქვენსა და განბედავ თხოვასა. ვინაიდგან გახლდეს ხელ შინა მცირეოდენი ფული ხუთი თუმანი, რათა მიილოთ თქვენისა ლოცვითა სესხება ამ ფულისა, რომელიცა არ დაჰყოფს ხელსა შინა ჩემისა ერთს კვირას და უკანვე მოგართმევ თავის შესაფრით სარგებლით, რომელიცა მოვინადილებელ ვარ ამ სამ დღესა რაოდენისამე ფულს საქართველოით მიღებასა, მე არა მსურდა შეწუხება პატიოსნებისა თქვენისა, მაგრამ ახლა ცალკე ვსდგევარ და სანავოგოისათვს არა მაქვს სახსრება. ესრეთისა თქვენდამო ლოცვით ვალდებულ მყოფი, რომელიც დავშთები თქვენდა ამ შორის თქვენი თავადი დიმიტრი ორბელიანი.

№ 226

## (1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი

უგანათლებულესო მეფის ძეო ოქროპირ!

ქრისტე ღვთისა მიერ საღთო ლოცვასა მომართმევლობ თქუჱნდამო ზეგარდამო ესერა კერძო ზღჳსა ღადოსა გარდამოცემიდგან ე. ი. ვრცელ გრიგალისა.

აჰა, მიერთაგან წელიწდებისა ჯგუფებთა შინა საუფლოთა დღეებთა შინა სასწაულებისა მიგებებასა და წარგზავნათა ერთბამად ძნობიერთა სრულიად მომლოცველობ ვითარცა ნამყოთა, ეგრეთჳე აწინდელ აწმყოთა. ესრეთჳე შემდგომთა მყობადებთათცა ვსასოებ მაღლისა მიმართ, რათამცა სახიერებით კაცთ მოყუარემან მდიდრითა და უხვითა წყალობითა თჳსითა მრჩობლ არსება თქუჱნი დაიცვას სიმართლითა, სიმრთელითა და კეთილდღეობითა ფსალმუნისაებრ მრავალ ბევრეულთა დღესასწაულებთა მიგებებად, სახედ წინასწარმეტყუჱლთა, მოციქულთა მღვდელ მოძღვართა და მართალთა, რათამცა ჟამიერ მკითა ზენა საუნჯე თქუჱნი აღივსოს მესამე ნათელჰყოფად.

ხელმწიფეო ჩემო, ესერა გრაგნილი მივიღე გაზაფხულისა ჯგუფსა შინა. სიტყუსგება ჩემთა იმათ შეკითხვათა, რომელი მიქადაგებს მყოფსა მას საუკუნოსა ცხოჳელ ბრძენს მარჯსა სულებსა და ნივთებთა. რომელ მან გარემოსა თჳსა დასდვა ბნელი საფარველად თჳსისა ე. ი. მიუწთომელობა ფსალმუნისაებრ. რომლისა დაბადებულიცა ძნიად მიწთომილ არიან. გარნა თქუჱნ მოფუტკრებითა ძუჱლთა და ახალთა შინა და ნაზიანზელისა[1] და კირილესა[2] შეგიმზადებიათ გზა დიდი და ხიდი ფართო და არდემაგნი[3] ამიერ და მიერი. მიმყუანი კიბისადმი ისრაილისა აღსვლად სოფლისა ზღჳსთან. ზეაღმა სულიერისა სოფელსა შინა ხილვად მიუწთომელისა ეგოდენ რაოდენცა დიდ სარწმუნოება დიდ სახილვად მიუწთომელისა. ეგოდენ რაოდენცა დიდ სარწმუნოეება, დიდ სასოება და დიდ ფრიადი სიყუარული განცრცხლებული ვეთდამი მიცემულნი ვინცა მოიგოს, რომლებითაცა დიდ ერქმის სუფევასა მას შინა ესე იგი რომელთაცა თჳთცა ჰყონ, ასწაონ სხუათა.

აჰა წიგნი ესე არათუ მხოლოდ კრემლისა შინა სწავლულისა არს ესე იგი ბუნებურისა კათედრისა მოძღვართი, არამედ უფროსღა სინაჲსა და სიონისა არს და კნინღა და მესამისა ჟამსა დამთვრალისა საგონებელთა და მოწაფებულისა არს. ჰე, ნანდვილ ამად მლოცველობ თქუჱნდა. ვინათგან აღსრულ ხართ, არათუ თხემსა ზედა სოფლისასა ხარისხითარე, რომელი მოიგების პასუხსა ზედა და დაიფარავს ოთხთა მცირაკთა ფიცრებითა და იგინიცა ქუჱშე ლარნაკსა დავიწყებულ იქმნებიან. ე. ი. ფიცარნი შინა მდებარითურთ, რომლისა დავიწყებისა

მიზეზი არს მიწიერი საფლავი, რომელსა არა ეშინის გმირთა დატყუევება კულად აღდგომამდე.

აჰა, თქუენ აღსრულ ხართ ზედა სინასა დატევებითა კამლთა ჰაბუკობისა მღჳნეს ლაქისა და შავათ ღუღილისა. რომლისა შენდობასა ილოცვიდა პორფიროსანი მგალობელთ მთავარიას ასე გასეულისა ფსალმუნებისა. რამეთუ არა არს დოღმატნი ესე თქუენნი: მჰსგავს ვიეთთამე ჰაბუკთა ბრუციერი, არამედ მჰსგავსებს ორმეოცისა წლითან ვიდრე სამეოცდა ათ წლამდისთ სოფლით განსრულისა და ტკფრულსა ლოცვითა და მარხვთა აღსრულსა ოცდა ათსა კიბესა ზედა თხემსა ზედა ზემო სიონისასა.

ისერა მრავალთა სწერეს, რათამცა ეცხონებინათ მოყუასნი თჳსნი. გარნა სოფლისა ზღუამან დაუნთქათ გულისხმისჰყოფა, ესე იგი ეშმაკისა და კორცთა თჳსთა მსახურებისა ცოდვათა შინა. განფრდილთა გულისა თჳსისა საუნჯისაგან გამოიღეს ბოროტი. ამისთჳს ლოცვანი თჳსისნი შეერაცხად ცოდვადვე ორთა უფალთა მსახურთა. ამად წიგნებიცა მათადნავე წარწყმედილ არიან. ესოფლოთა წ. შჳდთა ბრძმედებთაგან ანაფიმაც ე. ი. შეჩვენებულ არიან, რათამცა არავინ შეეხნენ თჳსსა.

ხოლო წიგნი ესე თქუენი კიდონტ ჩემთა არს და მიღებულ მუნითგან, სადითგანცა გამოვიდნენ ათორნი ბანერგენი[4] რომელ წიგნისა მის ძირნი დაუსაბამოდ წ. არს, ეგრეთვე რტონი კოწოლნი კუკურნი ყვავილნი ბუტკნი. ფურცელნი და ნაყოფნი ერთბამად წმიდა არიან. რომელნი მოსწვეთენ მირონსა, მანანასა, ზეთსა, წყალსა, და კორცსა და სისხლსა და ცეცხლიერსა ზენასა და მშვს უმეტეს გუნდრუკთა ილოთა არომატთა და ნელსაცხებელთასა.

აჰა, ესე ასპარეზი გულისა თქუენისა კეთილისა საუნჯისა არა მიიღებს ნაძლევსა ამის სოფლის სტადიონისა ამოოს. რომელი ქუე ნაგევად იცვალების შემდგომ და ძუცლების ესე სპარაზენობა თქუენი მიიღებს შვდთა მათ ბეჭედთა განხსნასაცა, რომელნი დაწერილ არიან მეოთხისა საყკრისაგან.

ესერა განვჰვრიტე ტკფრნი ესე თქუენნი შინაგან მეფისა ჩემისა ძალებითა მეიზმნა ბნელად. გარნა შევთხოვე რა ნუგეშინის მცემელსა, მან მაუწყა ყოველნივე და ესერა გულისხმის ჰყოფა და ცნობა ჩემი დამოკიდულ ყო თქუენითურთ სიღრმესა და სიმაღლესა ზედა ღვთისასა.

დასასრულ, თქუენ თუ იგი თითითა ღვთისათა მეტყუცლებთ განპებასა ესერა მე მზა ვარ ღვთისათჳს წამებასა ე. ი. მოწამეობასა მის მაღლისა შეწევნითა. რამეთუ იგი მხოლო არს მაარსი ჩემი არა თუ ცეცხლად და ჰაერად და წყლად და წ. მიწად. და რომელთამე სანო-

ვაგედ და საბლარდნელად და სახლებთა ნივთებად ანუ ზღვსა ცხოველად და მიწისა და აჰაერისა, გინა ებრაულად და წარმართთად. და ერატიკოსიერეს მწვალებელად. არამედ მართლ მადიდებელად დაბადებულ და უფროსლა მემსხუერპლეედ თავისა ჩემისა და ერის უმეცრებისა მოსატევებელად. ამისთვს უყვარვარ მაღალსა და მიყვარს კაცთმოყვარე იგი, რომლისა წყალობისა არიან ჩემზედა, რომელთაცა აღრიცხვასა არა ეკმავებიან ვარსკულავნი ცისა და ჰრქანი ვენახთი და ქვიშანი ზღვებისა. ეგრეთვე მისისა სახიერებისა რაოდენთაცა ყოფს ჩემზედა არ ძალმიძს აღწერა ვინმეთ მელნად მაქუნდეს ოკიანე და ქარტებად ცანი ცათანი, პლანეტებ ბურთებ მთიებნი და მთანი და ბორცვნი და დუბე სოფლისა.

აჰა, ესერა მეფის ძემ ირაკლიმ[5] მამიზეზა მოწერა თქუენდამო და მეცა აღმიჩნდათ თნებად, რამეთუ არავინ იცის კაცმან კაცისა შინაგან მდებარე ვიდრემდის გამოეფინოს გარე — ამად, თქუენ შეგრაცხედ ეგრეთ მონად ცეცხლგანმლეველისა ღვთისა, ვითარცა თავი თქუენი. და მიგულვედ ნუ თქუენად შთამსვლელად ნათელ დაშრეტილებთადმი. არამედ გეხსენებოდე ქრისტე ღვთისა მიერ ზენა სუფევისა ძედ. ესერა ეკკლესია ჩუენი და მეცა მლოცველობთ თქუენითურთ ყოველთა მართლმადიდებელთათვს და მწვალებელთა შემოერებისათვსცა. რომელ არავის მტერთა ვწყევთ, რომელნიცა ჩუენ კერძ არიან ბუნებითად და პოლეტიკითად. ე. ი. უემბაზონი, გარნა ოდესცა ჰურნი რისხვსანი იქმნებიან დემონთა ლეგეონებისა, მაშინ ვწყევთ მათ, რათამცა ფერჴთა ქუეშე მჴედრობისა ჩუენისათა შეიმუსრნენ ჰურჰელნი იგი არა წმიდანი და განქავრდენ ხილულნი და სირცხვილეულ იქმნენ უხილავნი. დასასრულ, კიდეცა შენდობა იყავნ ხოიშნობისათვს ჩემ მკდოვანისა. აბრაამ ახალ დანერგული შეაწყალეთ უმაღლესსა, რომელსა ზრდიდა მეფის ძე ირაკლი. ხოლო აწ დაშთა მომყმარი გარეგან ეშმაკთა სამღერელად. ე. ი. კავკასიურთა და მნებთა, რომელნი მეგობრობითა ახარებენ ჟამიერ. აჰა, დიდ ფრიად საწუხელ არს, რომელ ერთი იგი ახალ შეძინებული მოკუდა სიყმილითა. და ესეცა შემდგომ ირაკლი მეფის ძისა მიეცემის სიყმილსა. მოიხსენეთ, უკეთუ მას შეაწყალებთ უმაღლესს, მეფის ძე ირაკლი მიიღებს და გამოზრდის თვსისა ხვასტაკითა წარსამართებელად უმაღლესისა სახლისა თქუენისა თუ ინებებდეს, მომწერეთ, მე გამოვისტუმრებ.

მოიხსენეთ ძეო მეფისაო ნანდვილ ოქრო ბაგიანო[8] და მიიღეთ სათნოდ ღვთისა შრომა და უმაღლესისა წინაშე მარჯულ გამახსენეთ სულისა თქუენისა კეთილ თვსნებითა. ეგრეთვე უგანათლებულეს ილია[6] მეფის ძესთანნა და უგანათლებულეს მეფის ასულს თამართა-

ნა[7] კვლავად გვედრი ყოვლად უსამღუდელოეს დოსითეოს მაკურთხეველთანაც[9]. ხსენებულ მყოთ და ერთბამად სამღუდელოთა და საეროთა თანა. შენდობა იყავნ მამაო ჩვენოსა ლოცვისა ძლით, უკეთუ წინა უკმონი უნებლიეთნი დავწერენ.

## № 227

### 1829 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

თქუჱნო კეთილ შობილებავ სოლომონ იოვანიჩ!

ქრისტე ღვთისა მიერ ლოცვათა მომრთმევლობ თქუჱნდამო თებერვლის 15 წელსა 1829 სა.

თქუჱნი სიმართლისა, სიმრთელისა და კეთილდღეობისა მლოცველი მ. მ. მ. ი.[1] ვგიე ცეცხლიერ სიყვარულისა შინა თქუჱნდამი. მოიხილეთ ესერა თქუენი ავთრათი მოვიღე ჴელითა ძმისა თქუჱნისა სტეფანესითა, ფებერვლის 12 სა ნოემბრის წარმოწერილი. და ვცან ბუნებითი ნაწილეობა თქვენ ამას ზედა. აჰა, რაჲცა სურიან კეთილ არჴიერსა ბუნებისა შენსა ზეცით წყებულნი საქმითი შეწევნანი, წარმატებანი გულითადოებანი კეთილ მიდრეკილებანი. გამო ამისა დამწესანი კეთილ სამოთჴიერსა ადგილსა ზედა დარგვანი, რწყუანი, წრვრთილებიანი აღორძინება ნაყოფიერნი კეთილ წესრიგებანი ჩინებულსა წესიერ თანამეებობასა ზედა დაცვად სიმართლითა და სიწმიდითა სულისა და ჴორცთასა კუთვნილი თანა ნადებისა აღსრულებანი ღმრთისა ღვთისა მიმართ და კეისრისადმი ე. ი. მონარხისა ნებისა აღსრულებაცა ღვთისა ნებისა აღსრულება არს. რომელი მოითხოვდა ყოველთა ერთა შორის უკეთილმსახურესია. რომელი მოითხოვა ერთმან პირითა და ლოცვითა წ. სამუელ წინაჲწარმეტყუჱლისათა ძუჱლსა აღთქმასა შინა, ხოლო ახალსა აღთქმასა შინა წმიდა დიდი კონსტანტინე. წმიდა ჯუარიანის. გვრგვინითა და სკიპტრითა გვირგვინოსან ყუჱს წ. მსოფლიო კრებამან ნიკიისამან და მიართვეს ტიტულად უაგვსტოესობითი უკეთილმსახურება და მრავალ ჟამიერობითი მოხსენება ეკლესიისა შინა შობისა და ნათლისღებისა წინა დღეთა, ხოლო მწუხრსა და ცისკარსა ზედაცა სამარადისო.

და მოიგო ძლევა ჯუარითა ბარბაროსთა ზედა დიდმან კოსტანტინემან ამად ტროპარ კონდაკიცა შეუმზადა წმინდამან ეკლესიამან მოციქულთა სწორსა, რომელი მამა არს ყოველთა მართლმადიდებელთა მეფეთი.

დასასრულ, რაოდენნიცა კეთილნი სურან სულსა შენსა ბუნებითად სტეფანესათჳს, ეგრეთვე წიგნითა თქუენითა ამიერიდგან ვისურვებ ბუნებითაცა ჩემითა ე. ი. სულისა ჩემისა ყოვლითა გონებითა და ყოვლისა გულისხმის ჰყოფითა ე. ი. სულისა ჩემისა გონებაებისა და გონიერებისა ახმითა. და გულისა ჩემისა კეთილ მიდრეკილებითა ზემო, რომლებითაცა იშობების სიყვარული ზენა წობილსა მას სიყვარულსა აქვს ყოვლისავე თავსდებათა კნინლა სულისაცა დადება შემყვარებელისაგან შეყვარებულისათვის. რომლისათვის ერკინების მთებთა ნათელდაშრეტილთა ე. ი. დემონთა და რისხვის ჰურთა ე. ი. სოფელსა, რომელ არიან რომელნიმე კაცნი შურითა და ანგარებითა თვისითა დამაჰხობელნი მართალთა და წმიდათი და უბრალოთთი რომელთაცა დღითი დღე იდუმალ აღვიძებენ მამანი თვისნი დემონნი მშობელნი ტყუილისანი. რომელთაცა შორის შობენ სიპრძნესა მარცხულსა ე. ი. ვერაგობასა. და გვრიამბასა გარეგან წრფელ სახილველნი ხოლო შინაგან განგოზილნი დრკუობითარე[3].

ესერა წმიდა მამას მაკარის შეემთხვა გზასა ზედა ეშმაკი, რომელსა ათნი გოგრანი მიაქუნდა ქალაქებთა შინა. რომელთათვისცა კითხა ზემოხსენებულმან მეუდაპნოემან განშორებულმან, მიუგო დემონმან ესე გოგრანი მქონან მიწიერებითა აღვსილნი, რომელთაგანცა ვის რა სწადის, მას დავსცხებ ე. ი. თვალებთა, ყურებთა. პინჩებთა, ენასა. ჴელებთა, ფერხებთა, და ქუემო მუხლსა ზედა. და გულსა და ზურგსა, და ქედსა, და თავსა ზედა. ე. ი. რომელნიცა თვალებითა ლბილ არიან, მათ თვალთა ზედა და რომელნიცა სასმენელებითა ტყუვდებიან, მათ ყურებთა ზედა და რომელნიცა ენა მზაკურობენ ტყუილთა მათ ენასა ზედ, რომელნიცა სიმყრალისა მოყუარე არიან, მათ ცხვირთა ზედა, რომელნიცა ხელებითა მოქმედებენ ბოროტთა მათ ჴელებთა ზედა და რომელნიცა წუმპებენ, მათ მცირე მუცლისა ასოსა ზედა. რომელნიცა გულისა ვნებულისა გულისთქმისა მოსურნე არიან, მათ მკერდზე, რომელნიცა მიუდრეკენ ქედსა თვისსა არა წმიდებასა, მათ ქედსა ზედა, რომელნიცა იტვირთვენ მრავალ ბევრულ ცოდვათა, მათ ზურგსა ზედა. და რომელნიცა უსვინდისოდ დაემონებიან უნანელნი, მათ თავსა ზედა ვცხებო ესე ოდენთა სამსალებთა, გესლებთა, შურთა, მტერობათა, ანგარებათა, ურჩებათა, ძმაცვათა, ლიქნვათა, ტრელობათა, ფლიდობათა, მას ზედა. ბორკილთა, კუნდთა, ჯაჭუებთა, თორხი კვარსა მას უბადრუკებისასა და შვიდთა სასიკვდინებლებთა ცოდვათა უგუნურებათა. სასოწარკუეთილებასა და საუკუნო ტყუეობასა და ჟამიერსა საძაგელთა სახსოვრებთა.

აჰა, ესენი არიან ნაყოფნი ამპარტავნებით განზოროტებულთა დემონთანი, რომელთაცა მიყავთ სოფელი უკუღმა ფართო გზასა ზედა ქუცქალაქსა შინა ტყუცთასა.

დასასრულ, ათთა განკურნებულთა კეთროვანებისაგან ერთი მხოლო მიიქცა და ცხონდა, ხოლო ცხრანი წარწყმდენ, ეგრეთვე ოთხთა მარცვლებთა დათესილთაგან. სამი წარწყმდა და მეოთხე ცხონდა და გამოიღო ასეული სამოცეული და ოცდაათეული.

ესერა ათთაგან ერთი ოდენ გამოირჩიეთ მეგობრად და ოთხთაგან ერთსა თანა განიზრახეთ და სხუანი ყოველნი კეთილთა თქუენთაგან მიიზიდეთ: ე. ი. უკეთუმცა არა ივნებდენ კურდღელნი და ხოხობნი კაცთაგან, არამცა ივლტოდენ. რომელ ბრძენთა ევროპიისათა ცისა მფრინველნი და ზღვისა ცხოველნი და ჴმელისა ნადირნი და მჴეცნი მოჩვევით მსახურებენ მათ, ვითარცა წმიდა მამა იაკობ ბრძანებს სენებასა ქუეშე კაცისასა ყოველნი ცხოველები დაიმწყესებიანო. გარნა ენა უმწყსისა არა დაიმწყსებისო, რომელი ურმის თვალსა აღაგზნებს ცეცხლითა ე. ი. მრგუალსა ცხოვრებასა თვისსა ხოჭიჭითგან საფლავადმდე. კუალად ესეცა რომელნი მექუეყნესა ჩვენსა ბიჭიაშვილს ნიკოლაოზს მცხეთისა და კარის საყდრის დეკანოსსა უთქუამს ქადაგებასა შინა თვისსა წინაშე მეფეთა ე. ი. 2 თეემერასისა ირაკლისა 2 სა და მეათსამეტე გიორგისა ქარნი ქართანი ქრიან და წყალნი სდიან ხოლო ბუნებასა სძინავს. ვგონებ რომელ უთქუამს საყვარელისა ქუეყანისა ჩუენისათვს რომელი არათუ დღითი დღე არამედ წამითი წუთად ზემო თავყოფიგან პარეხდებოდა[2] დაწყნებული თვისსა ნაქცევებსა ქუეშე ნატამალებად გარნა მაღალმან მოხედვა ჰყო ბორაარათაგან განგრილებად. აღმოსავლეთის ხორციელთა და სამხრეთისა ტფერსა.

იგულვეთ სტეფანესათვის განვირთხამ ჴელთა ჩემთა სახარებისა მადლთა ძალისაებრ ჩემისა დამარილებად. შევედრებისა თქუენისაებრ, რომელსა ასაკი აქუს თავისა თვისისა ე. ი. კეთილ მორჩილებასა.

ესერა შეგთხოვ, რათამცა მოწაფეთა თქუენთა ურთიერთისა სიყვარულნი უმეტეს ასწაოთ, ვიდრეღა მელანი და ქარტა. და მონარხისა სიყვარულნი შთაუბეჭდოთ, რათა არღარა კამათობდნენ ძენი ძველთა თხემებთანი. ე. ი. მე ქართველი ვარ და შენ სომეხი და არა კაცი. შენ ფხოკიანი იმერელი ხარ და მე ქართლელი. შენ დოჭამია ქართველი და მე არა, შენ მეღორე კახელი ხარ და მე არა. შენ ლადუა ბერუა ხარ და მე მჭისიყელი. შენ ვირი ქისზიყელი ხარ ე. ი. ყური და ყელი და მე ქალაქელი. შენ ქსნური ვირი ხარ და მე აოაგუცლი. შენი გუარი არა რაა და ჩემი ლევიათანისა არს. ადამზე უწინ დაბადებული. მე დიდის ყმებით მოსრულ ვარ და შენ ტაბარუკით წარეულთა და

მწირი. შენ ბუშის გუარის ხარ და მე თავანკარი ქართჳჱლი ხიდ ქჳჱშ სომეხი. კლდეზე მე სომეხი ვარ და არა გიჟი ქართჳჱლი. მე ქართჳჱლი ვარ და არა სომეხი ვაჭარი. აჰა, ცხრა სომეხი არა არს ერთისა ქართველისა ფარდი ე. ი. ცალი ანუ შესწორებული. ეგრეთვე ფრანგი არა რა კაცნი არიან. რომელთა ვნება არა რაჲ არს. დასასრულ, იმერნი განაძვინებდენ ქართველთა დოჭამია ლექსითა და ქართლელნი კახთა, მეფორე ლექსითა და სომეხნი ყოველთავე ე. ი. გიჟად სახელდებითა და კიდ ქჳჱშ დაწყევითა, ხოლო მთის სახლის შთამოსრულთა ბაბდულებთა უკიდებდენ ცეცხლსა და ქათამთა უზომდნენ ფიცარებთა ზედა და ბანითგან ასხმიდენ წყალთა და ესროდენ ნაფცქჳჱნთა და კურკათა. ესე იგი ცოდვილნი და ვაჭარნი უმანკო მთის კაცთა და იმერელთა უზომდენ წვივებთა, თათართა უფრთხობდენ და საკლავთა ცხოვართა და ზროხათა და პურის განმავაჭრებელთა უძახდენ: „გიჟო ქართველო პური შენი დაყარე ბანზე» და ჟამსა მშვიდობისასა ლაკედემონელთა საქმესა იქმოდენ დღესასწაულებთა დღეებთა შინა ე. ი. კრივთა ურთიერთ ზედა დამსხდელნი გარნა ოლდა ორგზის ამღებთა სპარსთა და თურქთა ტფილისისა არცაღა—თუ მეკრივედ განეწყობოდენ განლტოლვილნი კავკასიასა ზედა, რომელნი ბანდულებისა და ქათმებისა წვისა და გაზმოისა და ნაფცქჳჱნთა სროლისა წილ აგებდენ შურსა, ე. ი. სიკვდილთა და განძრცვასა.

დასასრულ, ომშიაცა იყო უთანხმობა ე. ი. კურთხეულსა დიდსა მეფასა თამარს დაუმარცხა ჯარი მკარგრძელმან, დიდსა თეემურაზსა ცა ლახტი თარხმანმან სპარსთა შემწემან მარაბდას, რომელსა უგნურილა უწოდეს დიდ მოურავ, და აილო ორბელიანმან ლეკთაგან სომხითი და უწოდეს დიდი ყაფლან. ქსნის ერისთავმან შანშე შეაჩვია ლეკნი შიდა ქართლში, ათაბაგი ახალ ციხისა დაესხა თვისსა მეფესა და ყო ტყჳჱდ. ანაფიმა იყოს სახსენებელი მათი იოოაფამ. ზედგინიძე ნაცვლად მეფისა მოეკლათ ცხედარსა ზედა მეფისასა, კურთხეულ იყოს სახსენებელი მისი ცათა შინა და ქჳჱყანასა ზედა. დავით ბოსტაშვილმან აღსვა თვისსა უნესა ზედა 2 ირაკლი და განარინა სიკვდილისაგან კურთხეულ იყოს სახელი მისი. რამეთუ მან აცხოვნა არათუ მქისიყი, არამედ ივერია და უშორეს.

დასასრულ, არ ვიცი ვის გეზრახები ეკკლესიანი და სინაღოღანი და მეჩიტნი თვითოეულთა თვისი აქუნდეს, რათა არა იკამათონ სჯულისათვის და არა მოიძულონ ურთიერთი. არამედ მიაღებინეთ საყვარული ურთიერთისა აღსრულებად მონარხისა ნებისა და პამულისა მსახურებისა, რამეთუ გჳამისა ყოველნი ასონი თვისისა საქმეებთა აღმაშენებელ გჳამისა არიან და მორჩილ თავისა. ეგრეცა თავი არს

მონარხი. ხოლო ყოველნი კაცნი წევრნი არიან მამულისა სიყვარულისა საკრველითა შეგვამებულნი ურთიერთისადმი, მაშინ ამაღლდების მამული, ოდესცა სიყვარულისა ჯაჭვსა ზედა დამოკიდულ იყვნენ ყოველნი და იყოს მხიარულება ყოველთა ზედა ერთ გონებითა და იყოს მწუხარებაცა ერთ ღმობიერებითა დაცვად მამულისა:

აჰა, მოწაფეთა თქუენთაგან მიილოდინებს მამული, რათა ივერიისა შოოხრებულნი ალვე აშენდეს და მუნ დაფლულთა წინაპართა ჩვენთათვის განძრავლდეს ლიტურღიანი და პანაშვიდნი და სიმრავლეთათვის პარაკლისნი. რამეთუ არა არს ფერხთა წარსადგმელნი ადგილნი საქართუელოჲსა, რომელნი არა იყუნენ მორწყულ სისხლებთა წინაპართა ჩვენგან, რომელთა შინა დაიძინეს განშიშვლებულისა მახვილებითა ძილნი მწარენი მამულისა სიყვარულისათვის. ე. ი. ეკკლესიისა, რამეთუ სპარსთა და უფროსღა თურქთა დაამკჳდრეს სახლი ბერძენთი ათურასტანისა და სომეხთი და უკანასკნელ სახლი ქართლოსისა ე. ი. ჩუენ ოხერთი და აღსავსე არს სპარსეთი ტყუეთა ჩუენთაგან და გარეთი კახეთი სახლობს ფერიეთსა შინა იმიერ ისპაანისა, რომელნი ჯერეთცა ინახუენ ზედაშებსა და თურქთა მონებად და მხევლებად უსხენანთ. რომელთაგან მაგ. იუსუპ სარასკარმან დაამარცხა პ. ბ. და მფლობელობდენ ეგვიპტესა ზედა მარტყოფელნი და იყო ხუანთქრისა სირალი ქალწული ჩუენთაგან აღვსილ. ესერა ზემო ყოველი უსწავლელობამან ჩუენმან და უყვარულობამან აწარმოვა წინაპართა ჩუენთა ზედა, რომელ ჯარი კახეთისა აიკლებდა ქართლსა შინათვე და ჯარი ქართლისა მათ, რომელ ტფილისისა გამოღებასა შინა ორნი მხოლოდ თავადნი ემსხუერპლენ მამულსა და ერთი აზნაური სომეხთა გაბრიილ, რომელიცა ქართველთა განკიცხეს ჟამსა რჩევისასა გამაგრებისა ლექსთა თქმისათვის, ხოლო ჟამს სხჳისასა მოხუცებულსა მეფესა ზედა მოკიცხართა მიმართეს კავკასიისა. შემინდევ განვრცელება სულო კეთილო.

ესერა წერილთა ჩემთა ნუ ამოაკითხებ მათ, რომელთაცა არა აქუნდეს აზმნობა თქუენი, რამეთუ რომელი არა შეკრებს ჩემთანა, იგი განაბნევს. რამეთუ გონება კაცისა მიდრეკილ არს სიჭაბუკითგან ბოროტისა მიმართ, გარნა ყოველნი ავთვალნი ჩემნი დამარხეთ, რათა ყოვლად წიგნად გარდააწერინოთ მოცალებულსა ვისმე და გაქვნდესთ სიბერესა შინა ახსენება ჩემი: რომელ ვყოფილვარ ქუყანასა ზედა, რამეთუ ხოჭიჭი ახალ შორს არს და საფლავი ახლო. ეგერა რაოდენი წიგნები მოგწერე და მილოცვანი ახლისა წლისა თქუენი 24 სა დეკემბრიდამ არა რაჲ უწყოდი, თუმცა ესე მოვილე ერთ კერძო მხიარულებად ჩემდა სტეფანესა ძლით. გარნა მეორე მკრივ თქუენი, სისუსტე ჩემდა უძლურება არს გუამითა განყოფილო და სულითა

ჩემითა შერაბამებულო, სიმრთელე თქუენი დაიცვეთ გვირგვინო სწავლისაო და პატრიადედო მამულისაო. გულითადო მმართებლობისაო და დიდებაო მქისიყისაო. და მხიარულებაო და მის მაღაროსაო.

## № 228

### 1829 წლის 15 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

1829 სა წელსა აგვისტოს 15 სა დღესა ტფილისით
ს. დოდოევისაგან.

მამაო ძვირფასო იონა!

წარმოგზავნილი თქვენ მიერ ეკკლესიური მოქალაქური განმარტება მივიღე, წარმკითხველმან მისმან ვცან მის შინა განვრცენებული[1] გონება, ბედნიერი აღსარება და ღრმანი ცნობანი თქუენი. მადლობელი ვიტყვი ესრეთ: აღვედ ბრძენო განათლებულო, დიდებით ზეცად და იქე შთამოებასა შინა უკუნისამდე მიუცილებელად მოგანიჭათ გონებამან გონებათამან ორკერძო სოფელი კეთილგონიერებითნი, დაუცხრომელნი შრომანი თქუენი არიან ღირსნი დიდისა ყურადღებისანი, ყოველსა კეთილმზრახველისა მემამულესა თანა არს ღმერთისადმი ლოცუად და ვედრებით კეთილ აღყუავებისათჳს დღესა სიმართლისა თქუენისათა და თქუენდამი მადლობად შრომისათჳს და ნიჭებულისათჳს სიტყვიერებასა ზედა ჩუენსა ძვირფასისა საუნჯისა და უმეტესად მე, რომელმანცა მივიღე უძვირფასესი თხზულება ესე, გრძნობ ამაში უძვირფასო კეთილმიდრეკილებასა თქუენსა და გმადლობ ყოვლითა გულითა და სულითა. ამასთან მივიღე პირველად 1. სამღუდელო, სანაწილე. 2. ბარძიმი. 3. კოვზი. 4. (განსაზავებელი), 5. ოთხი მოქრთული ყელის ჯუარი. 6. (ოცდაათხი დიდროვანი ღილები) და 7. ოთხი წვრილი. სახლობა ძმისა თქუენისა სიმრთელით ცოცხალი არიან და კეთილად სცხოვრებენ. ხოლო ვწუხვარ მოუსლელობისა. გიორგისასა[2], მეცა ლოცვით თქუენი ვცხოვრობ კეთილად შრომასა შინა თხზულებათსა[3]. იოანე მეფის ძეს უკეთუ შეესრულებინოს ქართული ღრამმატიკა, წარმოგზავნეთ, მე ქართულათ სრულ ვყავ და ვთარგმნი რუსულათ, სხუანი მთავრობისაგან დარწმუნებულნი საქმენი დამაბრკოლებენ, რათა ადრე სრულ ვყო. სულიერ შვილი თქუენი ელენა[4] მდაბლათ თაყვანისცემას მოგახსენებთ და მადლობასა მოკითხვისათჳს. გთხოვთ უმდაბლესად მახაროთ ვითარებისა

სიმრთელისა თქუჱნისათა მდაბლად თავის დაკურას მოვახსენებ მათ, რომელნიცა მეცნავ არიან ჩემნი. მშვიდობით. თქუჱნი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევ მაღარისა.

**№ 220**

**1829 წლის 7 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

მ. მ. მ. იონა

საყუჱრელსა წმინდისა და განათლებულს მარჯუჱნასა ზედა გეამბორები და თქვენს სიმრთელეს და კეთილდღეობასა ცხოვრებისა თქვენისასა ვისურვებ ყოვლითა გულითა და სულითა.

აჰა უცნაური და უგულისკმიებითი წარმოება ძმისა და ძმისწულთა თქუჱნთა: მიწერისაებრ ჩემისა ოკდომბრისა გასულსა ჩამოვიდნენ ძმა თქვენი სოლომონ, შვილი მისი იოანე და ძმისწული თქუჱნი გრიგოლ. მივიღე შესაბამისა ხატითა, შევჰკითხე ყოველივე გარემოება მდგომარეობასა თვისისა და მოულოდნელობა მათი აქამომდე, რომელ შესრულ არიან ვაჭკაცობასა შინა ასაკობასა და კნინღა გარდასრულ და გარდასრულ სწავლასა დრო. ჩვეულებრივ მოშიგო: სნეულება მათი და შეუძლებლობა. ახლათცა ვსცანით, რომელ მამა იოანასაგან მოგვსვლია ფული ორმოცდა ათი თუმანი თეთრი ფული. ამისთვს ჩამოვედით, რათა მივიღოთ, რომელსაცა შემთხვევასა მას შინა მაქვნდა ასეთი მდგომარეობა. რომელ ერთი მანეთის მეტი არ იპოებოდა ჩემს სახლში, ვინაიდგან ღმერთმან ინება შვილის მოცემა[1] გარდავიხადე ნათლობა. სადაცა რუა თუმანი თეთრი ფული წარვეგო. ნათლად იყვნენ დირექტორი სასწავლებლებისა[2] და ბარბარა ბატონიშვილი[3] მეფის ძის ბაგრატის [წაშლილია] ასული თუმცა ვჰსცხოვრებ ფილოსოფიურად, გარნა შემთხვევასა ამას შინა მიუცილებელ იყო წარუგებლობა. მეფის ძე ოქროპირი[4] ბრძანდებოდა დროსა ამას ექვსი ჟამიდგან, ვიდრე შუაღამიდგან მესამე საათამდე, სხუასა დროსაც ბრძანდებოდა რაოდენჯერმე და მრავალნი მამულის სასარგებლონი და საჭირონი დიდნი კაცნი. ეს იყო ოკტომბრის 20 სა. შემდგომ ამისა სულიერი შვილი თქვენი მემცხედრე ჩემი ელენა შეიქმნა დიდ ფრიად სნეულ, მკურნალთა და სამკურნალოცა ზედა წარვეგო და ჯერეთცა არ განთავისუფლებულა სნეულებისაგან. ძკრობასა ამას შინა ჭამა, სმა, ჩაცმა, დახურვა შეაწუხებენ კაცსა მას, რომელსაცა არა რაჲ შემოსავალი აქუს, გარდა ხვასტაკისა.

ძმამან თქუენმან ს. მიჩუენა წარმოგზავნილი ავთრათი თქუენი ხუთის თუმნისა, ვუთხარ მე მას ლოცვითა და მოთმინებით რაბამ მიიღებს, მსწრაფლ წარმოგიგზავნის მეთქი, მცირეს დროსა მოითმინე და დავაყენებო ამათ არცა სწავლაში და არცა აქაო. ვიდრე ფულსა არ მივიღებო, უკეთუ აქ არ დააყენებ, იანვარში სასწავლებელს გავხსნით სიღნაღს და შენს ახლო მივაბარებ მეთქი, მან მითხრა: ერთი საყამე გამოუგზავნია სჳმონ მღდლის[5] ჴელით. რომელმანცა გამომართვა ხუთი მანეთის თამასუქი, თჳნიერ, რომლისაცა არ ჰაძლევდაო, შენი ძმა გზიდამ დამიბრუნდა და ნაცვლად მისსა, მეურმეებს ქირა მე მივეციო და ერთს თთუეს შემდგომ მომთხოვსო. საყამე იგი მიჩუენეს, რომელიცა დაუმტრევიათ სრულებით. უცნობელ ჩემსა წარმოვგზავნეთ საყამე და ხვასტაკისა ავთრათნი მათდამი, ესე არა ეკუთვნის მრთელსა განწესჯელობასა, არცა ძმა და არცა ძმისწულნი არა ღირს არიან მოწყალეებისა თქვენისნი, უმადლობასა და უგრძნებელობასა შინა არიან. მამაო საყუარელო და სასურველო, სიყუარულითა თქუენითა განუსვენე მათ დღე იგი, ხოლო ღამესა მას თქვენ მიერ წარმოწერილნი ავთრათნი ფარულად წარიპარეს და განთიად წარსულან უცნობლად ჩემდა, აზრითა მით, რომელ ავთრათსა შინა თქვენთა ჰპოვონ წარმოგზავნილ ხვასტაკი თუ არიან, შემთხვეულებამან ესრეთმან მომცა წარსლვამან მათმან, რაოდენცა ავთრათებისა თქვენისა წარტყუენამან, არა ჰგრძნობენ მზრუნველობასა ჩემსა, და თქვენსა, აჰა მჰმუნვარება! მე ვგონებ, აზრისა ჩემისა თანა ინებებთ თანხმობასა, მზრუნველობა თქვენი ძმისწულთა თქვენთა იოანესა და გრიგოლისათჳს[6] ფუჭი და უსარგებლო იქნება, ვინაჲდგან იგინი არიან: პირველად მქისენი ე. ი. რაჲცა გამოუხატავთ ძალთა შინა სულისათა, მათ მიუღიათ ძირი ესე ვითარი, რომელ ძნელად აღმოიხვრებიან მათგან, ვინაჲთგან გარდასრულ არიან იმ წლისაგან, რომელსა შინაცა უნდა მიიღოს ჰსწავლანი გულისჴმიერმან არსებამან. მეორედ წარმოდგენილ აქჳსთ თხოვნა მეუღლისა, რომელთაცა წვერი და ულვაში პირსა ზედა მათსა იმყოფებიან. სოფელსა შინა საკმაო არს იგი იოანესათჳს, რაჲცა, ისწავლა, ხოლო შემდგომი განვითარება მისი შეუძლებელ არს. იცხოვრონ მათ სოფელსა შინა ანუ თუ ინებებთ იანვრიდგან მივაბარებ სიღნაღის სასწავლებელსა შინა ორთავე მათ. ხოლო მე, ვითარცა აღმითქვამს აღვზრდი შეწევნითა ღვთისათა სოლომონის შვილს მიხეილს, რომელიცა არს ექვსის წლისა, ვინაჲდგან მცირეს წლიდგან მიიღებს ყოველსა სიბრძნესა საფუძვლიანად და შეურყეველად.

თქვენ მიერ წარმოგზავნილი ავთრათი მებოძა, რომელს ზედაცა დიდ ფრიად ვიხარე და ამასთან თავადს სიმონ სოლომონიჩს ვაჩნა-

ძესთან[7] მოწერილი ავთრათი წარუგზავნე არზრუმს, სადაცა პოლკი მათი იმყოფების, დიდ ფრიად ვწუხვარ ორი თვე არის ჩემის ძმის სტეფანეს ავთრათი არ მიმიღია. არ ვუწყი მიზეზი მდუმარებისა მისისა. გთხოვ მამაო მაცნობოთ ვითარცა თქვენი, ეგრეთვე ძმისა ჩემისა სტეფანეს გარემოება.

უმორჩილესი სულიერი შვილი
სოლომონ დოდაევი.
ნოემბრის 7 სა
1829 სა წელსა
ტფილისი

**№ 230**

**1829 წლის წერილი იოვანესი იონა ხელაშვილისადმი**

თქუენო მაღალო ღირსებავ მამაო იონა. მოწყალეო ხელმწიფევ!

წმიდას მარჯუენას ზედა თაყვანისცემას მოგახსენებ და თქუენს სიცოცხლეს ღმერთსა ვსთხოვ. ჩემს ვითარებას მოიხსენებთ, თქუენის მოწყალებით სოლომონ ივანეს ძესთან ვჰსცხოვრებ და ვსწავლობ ქართულსა და რუსულსა, რომლისათჳსცა მადლობას მოგახსენებ ყოვლითა გულითა ჩემითა. ნათესავნი ჩემნი სრულიად სიმრთელით გახლავენ, თუმცა მე გახლავარ კეთილად და მზრუნველობა თქუენი არ მაკლია სოლომონისაგან. გარნა მამა ჩემი მარტოობისაგან შეწუხებული გახლავსთ. და მოველით ბიძასა' ჩემსა და არ მოვიდა, რათა წარმოგზავნოთ დროზედ გთხოვენ სახლობანი: თქუენი მორჩილი მოსამსახურე ძმისწული იოვან.

**№ 231**

**1829 წლის 28 დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი**

თქვენო მაღალ ღირსებავ მ. მ. მ. იონა

უმოწყალესო მაკურთხეველო და მზრუნველო

ბრძენსა უნდა ბრძნული სიტყუა
გონებისა ზესთა აღსლუა,
ღმერთმან ინება კჳს შთამოსვლა.
კაცის მამასთან მისლუა!

ენა ჩემი ვერ იტყვისა
ამის შესაბამს სიტყუასა,
ჰგონებს მას განკვირვებასა
წინა უდებს ღვთის მეტყუელსა.

დ.

ქრისტე შობის დღესასწაულს და მომავალს ახალს წელიწადს მოვლოცველობ და თქვენს სიმრთელეს ვისურვებ ყოვლითა სულითა და გულითა, განმტკიცდეს კაცობრიობა თქვენი ძალითა სულისა წმინდისათა და აღსრულდეს საგანი სურვილისა თქვენისანი.

მამაო, შემდგომ ამ ავთრათის დაწერისა მივიღე ავთრათი თქუენი. რომელსა შინაცა ვსცან მშვიდობა თქუენი, და ვიქმენ ხარულ მას შინა ჰსჩანს, რომელ თქუენ არა კმაყოფილ ხართ მაგ მეცადინეობასა ჩემსა, რომელიცა დავშვერ. იოანე ძმისწული თქვენი განვასწავლე და კაცობრიობასა შინა მოვიყუანე. მიმდინარეობასა შინა ორისა წლისა, გარნა მაკლდა საშუალება და ღონისძიება. მიბრძანე როგორ დაჯდება, ამასთან უმდაბლესად გთხოვ ჩემ მიერ მოცემული ბარათი წარმოგზავნოთ ე. გ. ფულის წერილი და ამასთან თქვენის შეთხზულის ლექსიკონისათვს — მიბრძანეთ და რაოდენიმე წარსაგზებელი იზრუნეთ, დავაბეჭდინებ, ნურღარა გარდავაგდებთ შემდგომის დროისათვის.

აჰო, მამაო საყუარელო! რიცხვნი მოქმედებათა ჩემთანი:

1) შევადგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისათვს.
2) სრულვყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა.
3) ვჰთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისნი.
4) ვჰთარგმნე ბრძანებითა მთავრობისათა ცხენის სრბოლისათვს წიგნი.
5) შევადგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასადმდე (ვისგან, სადა, და ოდეს) და თვითოეული რას იპყრობს თვს შორის.
6) შევადგინე სხუა და სხუანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრივკი) შესხმანი, ავთრათნი და სხუანი.
7) შევადგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და განყოფილებითა მისითა.
8) ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ.

ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი წარსულისა დროისანი და მომავალნი ღმერთმან უწყის.

ძმამან თქვენმან[1] დაიგვიანა მოსვლა, ვიშიშვ, რათა უკუნ არ მოიქცეს. სახლობანი ძმის თქვენისანი—სოლომონისანი მშვიდობით ჰსცხოვრებენ, მეცა სახლობით ვსცხოვრობ ლოცვითა და სასოებითა და სიყვარულითა თქვენითა.

მათ უგანათლებულესობამ მეფის ძემ ოქროპირმან მოგილოცათ დღესასწაული და ლოცვა კურთხევა თქვენი ისურვა.

მამაო სასურველო იონა, სასურველ არს ჩემთვს და მრავალთა მემამულეთათვს ხილვა თქვენი. თუ შესაძლო იყოს ინებოთ თქვენი განხილვა სამშობლოს მამულისა თქვენსა და მობრძანდით. თუ გსურთ წ. პ. ქალაქსა შინა მყოფობა შესაძლებელ არს უკუნ მიქცევა, განგვანათლებთ მოსვლითა თქვენითა.

და ახლა ამას გევედრებით, რომ თქვენი ვითარება მიბრძანოთ. და მახაროთ მე სულიერი შვილი თქვენის მაღალ ღირსებისა.

სოლომან დოდოევ.

თუ შეიძლებოდეს, ერთი ხელი ტანისამოსი ე. ი. ფრაკი და ბრუკი კარგათ შემიკერვინოთ, კარგის მაუდისა და წარსაგებელს მოგართმევ.

მიხეილის და დიმიტრის[2] ჩამოყვანას გთხოვთ, ვითარცა მე მოგწერე, ესე არს თხოვა თქვენი, არამედ ბრძანება არს ჩემთვის, ვინაჲდგან მამა ჰბრძანდებით და მზა გახლავარ თქვენის ბრძანების აღსრულებისათვს.

დეკემბრის 28 სა
1829 წელსა. ტფილისით.

**№ 232**

**(1829 წ) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი**

თქუენო კეთილ შობილებავ სოლომონ იოანიჩ ქრისტე ღვთისა მიერ საღვთო ლოცვათა მომრთმევლობ თქუენდამო გულითადიერ ზეგონებითარე.

ესერა მიერ წლითგან მარადის ხსომებულ ხართ ჩემგან თითოეულთა მოქცევთა შინა სულო კეთილო, პირო სიბრძნისაო, უსაყვარლესო ძეო მამულისაო, ექვსისა წლისა ობოლ ყოფილისა გარემოთა ბარბაროსთა ყოფითა მმულლებლებთაგან ვითარცა სწერთ ჰრქუემა სიტყუათა შინა შემოხდილთა უპირველესთა ჩეინახეთა წინაშე გა-

ნცხადებათ ეგზამენ მქლოველობისა! უკანასკნელსა დღესა. რომელ რეჩი ე. ი. ჰრქმა თქუჱნი ივერიისა ნაცვალგებობაა პირითა თქუჱნითა ახალ სიბრძნისა ბეჰედ წინასწარ ხედვთა, მყოობადისა სათნოდ ღვთისა და ცხებულისა მისისა და დიადიმა მამულისად და ვითარცა ბრძანებს საღთო წერილნი მოშიში არა სრულ არსო ე. ი. უშიში ღვთისა და მოშიში სოფლისა. ამად მიხარის ვინათგან სიბრძნისა თანა შერაზამებული სულიცა მტკიცე გჳსთ, რომლითაცა მიერთაგან გეწოდებისთ ბანერგე ე. ი. ძე სიბრძნისა მაქუხებელი. ამისთჳს სამღუდელონი ივერიისანი მლოცველ თქუჱნდა დასდგებიან წინაშე მაღლისა საყდრისა ხოლო შკოლიერნი მესტიხედ თქუჱნდამო განემზადებიან ალბაძვებითა თქუჱნითა. ვაშა, ვაშად, თქუჱნდა. ეგრეთუჱ ერნი მამულისანი ერთბამად ქების მეტყუჱლებასა მგრძნობელნი მსახიობელ იქმნებიან თქუჱნითა ღვაწლებითა თქუჱნდავე მოძღუანებად. ეგსახედვე მტერნიც მჩურჩნელნი: ჴმათა საზოგადოთა შეუდგებიან ვაშა, ვაშად თქუჱნდა. რომელნიცა შობილთა და შობადთა მიმართ იწყებენ მეტყუჱლებად, იქმენით თქუჱნ. ეგრეთ ვითარცა იქნა მაღაროელი ე. ი. მტკიცე სულითა და ბრძენ გონებითა.

და ვითარცა ისრაილთა პირთა შინა თჳსთა დაიდვეს ურთიერთის კეთილ მაგალით მითხრობად ე. ი. გეყავნ შენ, ვითარცა ეფრემ და მანასე მიერთაგან ოდესაც აკურთხა იაკობ პატრიარხმან ეგიპტესა შინა ორნი ესე ძენი იოსებისა, ეგრეთუჱ მეორე სახით მაგალით. ივერიისა იქმენით თქუჱნ პირებთა შინა სამღუდელოთა და ერისათა და არხივებთა შინა. რამეთუ ქრისტეს მიერ შესუჱნებულნი ქებულნი უმჯობეს ცოცხალთა არიან, ვინძი გმირცა იყვნენ საკუთრისა თჳსისა სახლებისათჳს.

დასასრულ თქუჱნი ჰრქმა აღმომკითხუჱლთა პირებთა დამატკბობელ იქმნა და სულებთა აღმაფრენელ და მსასოებელ ივერიისა განათლებითა წყვდიადისა განქარვებად რომელიცა გარემოთა ბარბაროსთა, დასდვეს მამულსა ჩუჱნსა და უფროსღა ყურანმან, რომელსა სძაგს ბრწყინვალება სიბრძნისა.

იხილეთ წინასიტყუაობა თქუჱნდამონი კატეხიზისა ჩემისა და მას შინა სარწმუნოება, სასოება, და სიყვარული მაღლისა. რომლითაცა იელოვა შეგეწევა განთიადიდგან მიმწუხრადმდე და მიმწუხრითგან განთიადამდე. და გონება და კალამი თქუჱნი ანითგან მოისადმი იყავნეთ და ნუ გარეგან ანისა და მოესა, ვითარცა გისწავიესთ და შეზმანილ ხართ მის მაღლისა შორის სიყვარულითა. ვითარცა ელოისასა. ეგრეთუჱ მოყვასისასა. და თავისა მის მამა ცხებულისასა ვითარცა რეჩის თქმა თქუჱნი ცხად მიყოფს. ეგრეთუჱ თაონთა კეთილთა აზმნობათა შეუდეგით რამეთუ იგინი არიან უპირველესნი ნებას

მყოფელნი. მამა ცხებულისა ხან და ხმით გამოცდილნი თეორიათა და პრაქტიკებითა, რომელნი ოდესმე მოიეთგან იწყებენ სიტყუათა და საქმეთა საჭიროებისათვს მყოობადისა, ანუ შეხდომისაებრ დროისა და ადგილისა და პირთასა. ამად ვიეთთამე ახალ ნერგთა. ანითგან ე. ი. აწმყოსა შინა რომ გონიესთ. გარნა კვრივ და ზუტაკ და ოფაზ' არიან ხვალე და ზეგ და შემდგომ. ამად საიდუმლო მეფისა და მთავართა მისთა დაცვად საჭირო არიან განორძინდეს და გამოილოს კუილნი სპეტაკნი მომკად მამულისად. ხოლო საიდუმლოში განცხადდებად თანა გუაძს ქადაგებად ერდოსა ზედა და ეკლესიათა შინა და კმელთა და ზღუათა ზედა დიდიაბად მაღლისა. ესე სიტყვანი არიან ტომბიასნი, იხილეთ მუნ.

იხილეთ, ეგერა ოცდა ათთა წელთა ქუეშე ხართ. და უსრულ პსჯულისა კანონისაებრ. ამა სამღუდელოთათვს და უფროსღა არხიერობა არა იქმნების ოცდა ათთა წელთა ქუეშე. ეგრეთვე მმართუბლობა ყრმათა ჭაბუკთა არა არწმუნებენ დიდთა საქმეთა, რამეთუ იტყვს ბრძენი სოლომონ სიჭაბუკე და უმეცრება მახლობელ ურთიერთისა არიანო. ვინძი ჭაბუკი ბრძენიცა იყოს. გალანამცა ეანტაკრებიან მღვივანობა კორცთა და მდუღარება სისხლისა სულისა ძლიერებათა და სიბრძნეთა. მაშასადამე, ოცდა ათისა წლითგან სამეოცდა ათ წლამდის უმეტესი იმსახურების სული ბრძენი კორცთა თვსთა.

იხილეთ თეოდოსი კეისრისა ორნი ძენი არკადი და ონორი, რომელთაცა განუნაწილა აღმოსავლეთით და დასავლეთი ორ სამეფოდ. იგინი აღაზრდევინა დიდისა არსენის წ. რომელიცა ნაცვლად პატივისა კნინლა და მისცეს კირთებასა და იწროებასა ე. ი. წ. არსენი სდუმენ და ცხონდი. და მყის მიერთაგან იპყრა დუმილი.

იხილეთ ქლოველობა. ეგზამენი კეთილად შესრულებული და რეჩი ჰრქმა ორნი ესე მახარებელ ჩემდა არიან ღვაწლისა თქუენისა და ჩემისა კვმირსა ქუეშე დაფარვად დიდ ფრიად მწუხარებანი ჩეუჱმო წყვდიად არიან, რომლითაცა განმეყენა ძილი და ვიქმენ ვითარცა სირი უძილ მიმოდატაცებულ გონებით ივნისის 29. ვიდრე ივლისის 5 ამდე. გარნა მოვეგე რა ყოფასა აწ ესერა ვკმობ უკეთუ ჰ. ნება არს მაღლისა იყავნ სახელი (საკვრველი სახელი) ადონა ელოჲსა კურთხეულ მიუკუნისამდე. ვინ უწყის ჯერეთ ყრმა იყოს რომელნიმე უსრულნი და არა სთნდეს მაღალსა ყრმათათვს სძე ჩუენისა ენისა. არამედ პირველად საჭეთა მპყრობელისა უნებიეს მაღალსა, რაითა გონება და ნება ისწაონ პირუთლად ჯუარისა და საჭურველებთა მპყრობელისა, რომლისაცა წ. ფერჴნი ქედთა ზედა მტერთა ჩვენთასა სდგა, რომელმან პრემედებთა შინა შკოლებთა თვსთასა შეიხვნა ექვსასისა წლისა დაწ კუიალებულნი სერეგერთა ძენი და აზნაურთა ახალ

ნერგნი გამოჩეკა ახალთა ბრძმედებთა სწავლათაგან ახალ დღისა მზუებად. ამად არა თუ მშობელი მამა თანამდებ არს ახალ ჩჩვლთა ენისა სწავლად. არამედ ახალ ნერგნი საჭიროდ თანამდებ არიან მზრუნველისა მამისა ენისა სწავლად, რათა შეუძლონ პატივის ცემა და სიყვარული მამისა უხვ მოწყალიანისა, ვითარცა რქმაცა თქვენი მაცხადებს ახალ ნერგთა ნაყოფსა მელისო მამა მონარხიო.

დასასრულ, უკეთუ ვიეთთამე დრომამებ აბჯართა განფენისა ძლით და დაყდონეს დარიჯაგება თხზულთა ჩვენთა. აჰა, ჩვენ ვილოცოთ, რათამცა საჰურველთ მპყრობელი კურთხევით მოიქცეს. მაშინ განეხმიან კარნი ტეფოლრაფიისანი და უწიგნო მშიერთათჳს წიგნნი განმრავლდებიან.

გარნა თქუჱნ თხზულნი თქვენნი დაარკვეთ ლექსიკონი და დასხენით მას შინა ყოვლისა ლექსთა და სიტყვათა დაწერილებთა და წიგნებთა და ღრამატიკისა გასახლებითა და მოქლონნ და მომწერეთ სრულებანი და უკეთუ არა იქმნების მანდრე დაბეჭდვა აქარე მოეტლეთ წარსაგებლებითა ჩემითა.

განსჭვრიტეთ მასალასა კმისა არ შეუდგების საზოგადო ბლისტისა წარგება ე. ი. თქუჱნიერთი ზრუნავთ, რომელსა არა გვიან მამულისა მდიდარნი აზნაურნი და ვაჭარნი წარგებად ხუასტაგებისა. უკეთუმცა ყოფილიყო ვინმე გულითად, ანტონი პირველს დაუბეჭდამცა შრომილნი თჳსნი ეკლესიათათჳს გინა მონატრებისა საღთოი თარგმანი და წ. მამათ ცხოვრება დაბეჭდილ იყო ანუ იოანე პეტრიწისა გინა ბულმაისისა ძისა და უშორეს.

დასასრულ, საზოგადო ბლისტსა არარა დაუმძიმოთ, არამედ შემატეთ უკეთუ ძალგედვათ რკალითაცა იზრდების ჭურვილნი. და მსაჯულნი და მართებლობა და ქვრივ ობოლნი და სნეულნი დაყონდებიან უშენნი და სამზღუარნი დაჯერდებიან გზანი და ზღუათა და მდინარეთა ნაპირნი. რამეთუ ესე არს ნება ცხებულისა და მმართებლობისა, რათამცა განმრავლდეს ბლისტნი ამად შემმატებელთა ენიჭებენ ჯილდონი.

დასასრულ თქუჱნ ვითარცა გისწავიესთ ვითარცა ჰყოფთცა რომლითაჲცა საგანნი თქუჱნი ყოველნივე შესრულდებიან სათნოდ მაღლისა და ცხებულისა.

კვლავადცა და მერმეცა და მარადის შევთხოვ, რათამცა [illegible]თლითა, სიწმიდითა და პატიოსნებითა სიმართლე თქუჱნი მრჩობლ დაიცვათ და ვითარცა მწერთ მქისიყად წარმართებასა სარგებლად მამულისა ყოველნივე ზეცითგან იწყეთ საქმენი თქუჱნნი და იოანეს და გრიგორის წარუმართოდ. და სოლომონს შეეწივნეთ. მე ვასხებულნი ჩემნი მეიმედებიან მომავალს ჟრომში მოქცევად ხვასტაგებისა. ესე-

რა მოვლებ და გამოვისტუმრებ გიორგის და ყრმათათჳსცა მოგაშევლებ ხვასტაგსა და საგანთა მათთათჳსცა, რომელნიცა დათქმულ არიან, გალღანამცა თქუჱნ იქმენით მართლად უქკრფასესო ძეო მამულისაო და უმფროსლა ჩემთჳს.

ძმისა თქუჱნისა სტეფანესი მომწერეთ მშვდობა. თქუჱნისა მშვდობისა თანა. ეგრეთუჱ სოლომონისა და სახლეულთა მისთა და ქალთი და იოანესი და გრიგორისა. აჰა, ესენი მიიღებენ ზლისტისაგან და იმათგან მოვიღებ და უხვებით წარმოვგზავნი. ესერა ნოემბრი. თაგანა არცა ერთირა ხვასტაგი მომიღიეს, რომელი თავნად შეკრბა ათასნი აქარე, ხუთასი გალმა, ორას ორმოცი დაბლა. ასორმეოცი ტფილისში. ეგ კი სათუოა. ენდრონიკოვს არწმუნეთ, მალე გაუგზავნი.

მამა იოანეს, მშობელსა თქუენსა, მარჯუჱნეს ამბორებას მოვახსენებ სიყვარულითურთ. და შევთხოვ ჩემ კერძ, რათამცა ყურნი მოუპყრას სოლომონს და რაჲცა მოვსწერე იზრუნოს. ვითარმედ სამღვდელოთა მათ, რომელთაცა ინებეს მოკითხვა იგინიცა ნაცვალ გვამობით მიამბორეთ გულითადიერ, ეგ სახედვე მამა ფილადელფი[2] უმეტეს თაყვანით მომიკითხეთ, რომლისათჳსცა ვგოდებდი ნუგავსად შობადისა, რომელი სიხარულად იცვალა. ეგ შეიწირეთ ლექსიკონში, რომლისა შორის სული სიბრძნისა არს და სიყვარული ჩემი.

## № 238

### (1820 წ) წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე იოანესადმი

უგანათლებულესო მეფის ძეო იოანე, უმოწყალესო ჴელმწიფეო ჩემო!

მოიხსენეთ ქუჱმორე შემთხვეულება, ვითარცა თუთცა უწყით ძვირ შემთხვეულება ჩემი: აჰა, ესერა ჩუჱნ ღვთისაგან ვართ და ყოველი სოფელი ბოროტსა ზედა სდგას: წელსა 1818 სეკდემბრის 8 შეველ ეკლესიასა შინა თუთ ჩემგან ნაკურთხში მეფე თეიმ. განმზადებული შეწირვად მსხუჱრპლისა, ვისხურვე აიაზმა და დავიდე ქედსა ოლარი, მოვისხი მაზარა, წარვთქვი ლოცვანი ხატთა ამბორებისანი. მაშინ მყის შემოვიდა თავადინა ს.[1] რომელმან აღიმაღლა ჴმანი მრავალნი დაბიურნი, რომელსა აყენებს წმინდა მამა პავლე და უბრძანებს მღდელთა მდუმარებასა. აჰა, მე დაბრკოლებულმან მიუგე: განვედ კარისბჭესა შინა და მუნ იჭრტინე მწუხარება შენი. რომელამ არა რაჲ ისმინა, არამედ განაბეურეულა წრტიალნი თჳსნი, რომლისა თანა მივიღე რა და ვავუწყე ჴელითა განსვლა გარეგან ვი–

დრე. შემოსვლასა კურთხისა შესრულებადმდე და ჟამნ მისა დაწყებასა ინებე შემოსვლა, გარნა არცალათუ ისმინა, ამად შესამოსელნი განვიძარცვე, განველ ეკლესიასა შინა და ვრქვი: არღა იქმნების წირვა. და შემდგომ ჩემსა იძახა წარვიდა თჳსსა სახლსა შინა. გამიხილეს რა მეფეთ ძეთა და სძალთა და ასულთა იძულებულ მყუფს შეწირვად მსხუერპლისა. აჰა მყის ვიქმენ მორჩილ და წარვედ და გზასა ზედა მიმავალსა დავეგე და მოვიქეც შეწირვად მსხუერპლისა, პარაკლისითურთ, რომელი მოისმინა იგამან მშჳდობით. გარნა წარვიდა რა მეფის ძის სახლსა შინა, აჰა, მუნითგან წარეტლდა წმინდა ალექსანდრეს მონასტერსა შინა წინაშე მიტრაპოლიტისი მიხაილისა შესმენად, გარნა ვერა პოვა დრო მუნ და წარემართა სინოდსა შინა, და მუნცა მიიღო დაბრკოლება მიტროპოლიტ ვ. რომელი მით განაგრძო ათუქვსმეტი დღენი შეიწროება ჩემი, ესე იხილა ძემან მეფისამან მემკჳდრემან დავით კეთილისმყოფელმან ყოველთა ივერისა კაცთამან, ფრიადი მწუხარება ჩემი, მყის აღიღო სალთო სიბრძნისა კალამი და დასწერა უბრალოება ჩემი და აღსრულება თანამდებობისა ვითარცა ბრძანებს უფალი დიდებული ყოველთა წმიდათაგან. ამისა შემდგომ მიმიწოდა მიტრაპოლიტმა ვ. და მრქუა: აჰა, მე მამასა თავადინასო ვიცნობდი, გარნა მამაშენი არცალა თუ მასმიესო, რომელსა მიუგე ესერა: ძემან მეფისამან უწყის დავითმან და მისთანავე სამთა მეფის ძეთა შემთხუეულება, რომელთაცა დასწერეს თანამდებობისა აღსრულება ჩემი, რათა არა ბორგდეს მდედრი, გინა მამრი. რომელი დაყუნებულ არს სალთო სჯულითა და უქაზითაცა სახელმწიფოითა. ხოლო მომიგო ზემოხსენებულმან მოწმობასა და წერილსა მეფეთ ძეთასა არ შეიწყნარებსო საჰართალი. რომელსა მიუგე თავადთა და აზნაურთა მუნ მოსრულთა სმენად წირვსა, განამც შეიწყნარების. ამის შემდგომ თჳთ მიტრაპოლიტ ვ. და მეფის ასულმან ქთ. მოამდორეს თავადინა და დასცხრა ზეგარდამო მწუხარება ჩემი.

წელსა 1820 სა შეკრებულ რა ვიყვენით მეფის ძის ბაგრატის სახლში, მუნ პირველი მეინახე იყო უნეტარესი ანტონ, რომელთა შორის აღიმაღლა ჴმა იგითა მახმედიანმა ამათ, რომელმან მრქუა მე: უკეთუ იყო გარეგან ქალაქისა ამის და მიხილო მუნ მოგაგებდი მასაგებელსა ძმის ჩემისა მონათლვისათჳს. რომელსა არავინ რქუა: რასა მაგას ვიტყჳ ვნებად თჳთ თავისა შენისა. თჳნიერ ერთისა ქისიყელისა ი. რომელმან მიუგო: ნება მეორედ შობისა იყო ძმისა შენისა, რომელსაცა ვრქვი: უკეთუ შენცა ისურვებ და შეიტან ვედრსა მეორედ შობისასა, აჰა მუცილებელად თანა მაქს მეორედ შობა შენი და დასცხრა კაცი იგი აღტყინებული წელსა 1823. ორთა აოსიანთა შესთხოვეს მიტრაპოლიტს მიხაილს მირონის ცხება. რომელნი მომაბარეს მე

განსწავლად კატეხიზმოთა და ვცხე მირონი, რომელთათვს ვიეთნიმე აღიძრნენ იდუმალ ვნებად ჩემდა, რომელსა არავინ თანადამედვა, ამა უფალი თანა დამიდგა და განმაძლიერა შესრულებად. არა თუ ორისა სულებისა მირონცხებად, არამედ სამისა სხვისა. ესე იგი სამისავე მახმადიანებისა მეორედ შობად. შემდგომ კატეხიზმოსა სწავებისა ნათელს იღეს ჩემდა შთაბარებულთა ნოვგოროდისა მეტროპოლიტის ამბროსისაგან სამნი. ერთი მიხაილ მიტრაპოლიტისაგან, ერთიც სერაფინ მიტრაპოლიტისაგან, რომელთაგანთა ორთა შეისვენეს, და მესამე ღვაწლსამე შინა ბრძნობს. შინა ზემოსა 1816 მღვდლად მიწოდებული უმაღლესისა დედოფლის ანნას სახლსა შინა, რომელამ წარმიყვანა თვსთანა ნებართვითა კურთხევით სახსოვრის დავით ბატონიშვილისათა სახლისა მისისაგან, რომელსა სურდა თვისთანა ცხოვრება ჩემი, რომელი ლამოდა ეკლესიისა აღშენებასა თვისსა აგარასა შინა ქვიტკირისასა. გარნა მრავლის შეთხოვნითა ზემო ხსენებულისა დედოფლისათა მიმადლა ჩემი მსახურება მას, რომელამ ყოვლად სამღუდელო დოსითეოსოსცა შეიიწია წარყვანად ჩემი თვისთანა, რომელსა ეკკლესიასა შინა სამნი წელნი ვემსახურე, ხოლო წელსა მეოთხესა მიიცვალა ქვრივათ დარია, რომელას დასაფლეველად წარვედი და უშოვნე საფლავნი და სამარხნი და კრებული მონასტერსა შინა. გარნა ვიდრე მიქცევადმდე სახლსა შინა უმაღლესისასა, მუნ შესრულ იყო არხიმანდრიტი თეოფანე. ამად მეფის ძემ თეიმურაზ წარმიყვანა სახლსა შინა თვსსა ნებართვითა დედოფლისათა, რომლისა სახლსა შინა დავამყარე ეკკლესია, და მას შინა ვმსახურე ათნი წელნი. ხოლო გარდამოეცარა ზღვაჲ ბალთიისა და ნევა დიდის პეტრესა ქალაქსა. შემდგომ უკუნქცევისა მოწყალებითა ღვთისათა წყალისა მუნ ვასილის ჭალაკით თვსი სახლი დაუტევა მეფის ძემან და დაიშენა სამხრეთ კერძ ნევისა მაღლობსა ზედა. გარნა მე მხოლოდ დამიტევს ჩრდილოთ კერძ ნევისა. ესე იხილეთ დადიანის ასულმან მარიამ დედოფალმან მოწაფემან ჩემმან მყის შესთხოვა მეფის ძეს ჩემი თავისთანა ხლება და ძემან მეფისამან თეიმურაზ და მეუღლემან მისმან ელენე მოწაფეთა ჩემთა. და ვითარცა ორთა სახლებთა შინა იმპერატორისა შეთხოვნით აღვასრულეთ დადგმა ნაკურთხისა საკურთხეველებისა, ეგრეთვე სახლსა შინა მოწაფისა ჩემისასა აღუასრულე. და აწ ესერა ვმღდლობ ზეგარდმო ძლიერებითა და შეწყალებითა და შეწყნარებითა: აჰა, ესერა წელითგან 1812 ე. ი. ოდითგან ერთსა შვიდეულსა შინა მივიღე რა სამნი კურთხევანი აჰა, ესერა მიერთაგან ვემსახურებ საკურთხეველსა ღვთისასა და მოძღრობითა დედოფალთა, მეფეთ ძეთა და ასულთა და სძალთა, თავადთა, აზნაურთა და მონათა

და მხევალთა. ზეგარდამო მონიჭებულისა მადლითა, რომელ უწინარეს კურთხევისა ჩემისა მეფეთ ძენი და ასულნი რაოდენნიცა განვიდენ ამიერ სულნი მათნი. რომელთაცა გუამნი დაიდვნან ზოგადსა სასაფლაოსა შინა. გარნა რაოდენნიცა აღესრულნენ დროსა ჩემსა, ყოველთავე ეკკლესიასა შინა ნევცკის მონასტრისასა დავასაფლავეთ გზითა მით, რომლითაცა უწყი შეთხოვნა, მუნ სადაცა შესრულდების საგანი მიცვალებულებისა მგლოვარეთი. ეს ესე, სიბრძნე და სწავლა მოვიღე მუნ სემინარიასა შინა ყოფასა ჩემსასა სამ წელ, რომელი შევემცენ პირთა ადგილთა და დროთა. ხოლო წელსა 1827 სა დღესა წ. ეკატერინესა შემაწირვინა მსხუერპლი ძალმან მეფისამან და მომიწოდა თვისსა სახლსა შინა. რომელსა მიულოცე შობითგან წელიწდებისა ესოდენისა გარდახდა მადლობითა ღვთისა მიმართ. რომელამ არღა გამომიტევა, არამედ ყოველთავე ერთბამად მოწაფეთა ჩემთა მთავრინამა და უგანათლებულესთა ყუჩს ამბორება მარჯუენასა ზედა ჩემსა. ეგრეთვე ორნი სულიერნი მოწაფენი ჩემნი მომეგებენ, რომელთაც პირთა და ქელთა ურთიერთა უამბორეთ ქრისტე ღვთისა მიერ. ვგსახედვე თავადთა და აზნაურთა მიამბორეს და ერთბამად ყოველთავე: ესე ყოველნი იხილა რა სატანამან, ბელზებულმან და სამუილმან, აღილო შური და აღაზმზინა კაცი ერთი კნინღა და მისდა უნებლიეთცა იმიერ მტკვრის მდინარისა შიდა ქართლისაცა, რომელისა უწინარეს ტაბლისა მივერიდე და სხუა სავანესა შინა ვისერი მოწაფეთა ჩემსა თანა სამღუდელოთა. გარნა ზემო ხსენებულმან რძალმან მუნცა შემოსლვა ჰყო, რომლისგანცა მესამე რთლობა ვჰყავ იდუმალა და სხვასა სახლსა შინა მეზრახებოდა მეფის ძე იოანე, რომლისა შორის მოსლვა ჰყო მოჩივარმან თავადმან და მრქვა ფიცხელად აღტყინებულმან. შენ ყმასა ჩემსა შვიდასი თუმანი ასიგნაცია მივასხეო ათ შაურად, რათამცა გაიტანოს თავი თჳსი ჩემგან. რომელსაცა მიუგე: აჰა, მე მოგცემ წერილსა, საკუთარისა ხელისა ჩემისასა და მიიღე ვასხი ჩემი კაცისა მას. რომლისათანა არარაჲ არს ჩემი. ესე უწყის სჳნიდისმან ჩემმან, რომელი ვერცაღა ვიცნობ მოდავესა შენსა და უკეთუ ესე ტყუილა გიჩნს გამოიძიე არა არს დაფარული, რომელი არა საცნაურ იყოს, გარნა ზემოხსენებულმან თავადმან ჩემი არღარა სიმართლე მოისმინა, არამედ ესოდენნი და ეგოდენნი ბრალნი და სახივნი დასდვა ჩემზედა, რომლისა ტვრთვა არათუ ძალმიძს, მე არამედ არცაღა მოძღვარსა ჩემსა და მოწაფეთა ძალუძსთ შეძვრად მათი უკეთუ ინებონ აღსუბუქება სახივთა მათ ესოდენ ბევრის ბევრთა, რომელ თავადმან მან განაგრძო რაჲამ. ნახევარ ლექსნი დიდ ფრიად უშუერნი და სიტყუანი სამაგნი, რომელნიცა ეკვრებიან წმიდათა, არცაღა ძალუძსთ ერთსა პირსა. ესოდენისა ცუდისა მეტყუელება გინდ იყოს მოძულეცა სუ-

ლისა თვისისა საუკუნოდ ცხოვნებისათვის და ცხოვრის სოფელსა შინა ოთხმეოც წელ, ესერა ვჰვრეტთ იფქვლთა შორის ღვარძლთა, რომელნიცა მარადის რიდობით თესვენ, რომელნიცა რიდობითცა იმკიან თავთა თვისთათვის ბოროტსა. გარნა იგინიცა ნებსით გინა უნებლიეთ მეტყუელებენ ორთოლ ჟამ ნახევარებში ოდესმე კეთილთა. ვითარცა წიგნებიცა მათი იხილვებიან, რომელთაცა შინა არიან რაოდენნიმე კაცობრიობისა უკეთუ არა ყოვლადი და სიტყუანი. არამედ კერძოლექსნი და ზმნანი და სახელნი. არსებითნი ზედ შესრულნი. შემკვრელობითნი. ბრუნვანი — ნათესავნი — ნაკუჩთნი — ნაცვალ სახელნი მოგებითნი, ზმნანი, თანდებულნი, ზმნის ზედანი, კავშირნი და შორის დებულნი რაოდენნიმე ზემოპირ განირჩევიან.

დასასრულ, დემონი ოდეს აცთუნებდა ევვას არა მიუთხრა მოკუდეთ. არამედ რქუა რა მოკუდეთ. კაენმა მიუთხრა აბელს, განვიდეთ ველადო, გარნა არა რქუა მოგაკუდინებო. ქამმა განიცინა მხოლოდ ღვთი განეყო აბრაამს თვინიერ შეწუხებისა. ისმაილი იმღერდა, მისთანა ასინაურისა გარდა კიცხევისა. ესავ დევნიდა ისრაელს თვინიერ მოკუდინებისა. იოსებ ძმათა განყიდეს თვნიერ სიკვდილისა. სჳმონ და ლევიან დაიცვეს და თვსი დინა. მოვსესა და თრონის ზედა აღიღეს ქუდი დაკრებად გარნა განერნეს. ვალამ იყო მოგვე სორელი. გარნა რაოდენნი ლექსნი და სიტყუანი იწინასწარმეტყუელნეს ათთა მათ კაცისთა განითვლრიეს ქუცყანა ალქმისა. გარნა ეგვიპტედ არა მოიქცნენ. რაიბ მეძავი იყო რა, გარნა ქმნა კეთილი. დაივიწყნარნა მსტოვარნი განმარინებულამ. თერაფინი ქმნეს გარეგან საცთურად, გარნა არა ყოველნი განდგნენ. სამფსონ დააბრმეს ფილისტიმელთა, თვნიერ სიკუდილისა ღევნიდენ. გარნა შეიკვდიმეს წვრილსა გარდამოსვლითა, დავით მეფსალმუნე განრისხდა ავანანსა ზედა წარმართებული ოთხასისა კაცითა მოწყუეტად სქესისა. გარნა შეიკდიმა. ბრძენი სოლომონ განრისხნა ორთა მშობიარეთა მეძავთა ზედა. გარნა არა მოსწყვდნა იგინი. იოაკიმ მეფე შერისხდა იერემიას ჭეშმარიტების მეტყუელსა ზედა, გარნა დაიცუა ჯურღმულსა შინა შთაგდებით სიცოცხლე მისი. მანასე მეფემან ქმნ მოსაწყინელნი მთებსა და ბორცუებსა ზედა, გარნა შეინანა. ნაბუქოდონოსორ შესთხოვნა სამნი ყრმანი სახმილსა შინა, გარნა აქო მაღალი არტაქსერქსმან გამოსცა ხუასტაგი მოწყუეტად ისრაელისა სრულიად, გარნა დაასადა. ანტიოხოზ ლამდა დაქცევად იერუსალემისა. გარნა ვერ მიეწიფა ძლევასა მაკაბელთა ზედა.

ახალსა შინა იროდი ლამდა მოწყუეტად ცჳებულისა, გარნა სირცხვილეული დაყონდა. დრაჰკანის მაჩუენებელი ეძიებდენ შეპყრობასა მესიისა, გარნა პირ დაყოფილნი დადუმდენ. მეძავისა შემამენელნი მწყუერვალებდენ ცილის დადებად ცხებულსა ზედა, გარნა ბრალნი მათ-

ნი მრავალ ბევრეულნი გამოსწერა მაცხოვარმან სილასა მტუცრსა ზედა, რომელთა აღმოკითხეს რა მწიგნობართა, ფარისეველთა, იროდიანთა მანიქეველთა და სადუკეველთა ერთბამად იდუმალ გჳნიპარნენ სჳნიდისისა თვისისაგან მხილებულნი შინაგან, ხოლო გარეგან მტუცრსა ზედა. განიხერხებოდა კაიაფა შურითა ქრისტეს მიმართ ხუთთა პურთაგან ხუთი ათასისა გამოზრდისათჳს. და შვიდთა პურთაგან ოთხი ათასისათვის და მკუდართა აღდგომისათჳს და ზღუასა ზედა უირხებით სვლისათვის, რომელნი თჳთ არა ძალედვათ ტვინოვანისა უსიტყვთა მემსხუცრპლესა. გარნა შესმენისა წინაშე რომთა, მთავრისა არა რაჲ უშვერნი ლექსნი კადრნა პირსა თჳსსა კაიათამ, ეგრეთუც ორთა მათ ცრუთა მოწამეთა არა რაი გიობა პირთა თჳსთა. ეგრეთუც ვერცხლის მოყუარებით ისკარიოტელი დაძუელებული ავაჭრებდა რაა აღბორგებულხა ერსა მესია ცხებულსა არა რაჲ უშვერი კადრა პირსა თვისსა, რომელმან ცისა და ქუცყანისა შერყევისა ჟამსა შეინანაცა და უსიტყურთა სამსხუცრპლოსა შინა შთაშნივა ოცთა ათი ყრმანიცა, ხოლო აღდგარა მაცხოვარი ზუარაკებისა ვერძებისა, ვაცებისა, ტრედებისა, გვრიტებისა და ქათმებისა და ოდოამისა და პტულთა ხილებიაა შემწირველთა არა რანი ბილწნი ლექსნი თქუცს. თჳნიერ ამისა მოწაფეთა წარიღესო საფლავისაგან კორცი მოძღვრისა ახალ გამოჩინებულისა.

იხილეთ მოსარჩლენო სიმართლისა, სიწმინდისა და პატიოსნებისა და სამღვდელოსა ხარისხისანი. სამღთონო კაცნო და სამღუდელოთა მოწაფენო, რომელნი ცხრა ნეტარებითა, ათის მცნებაებითა და ათისა სულისა ნაყოფებითა და ათორთა სიმვოლოთა კეთილად მსახურნო და საუფლო ლოცვაებითა ცოდვათა მატეებისი შემთხოველნო ღვთისა მიმართ. აჰა, საჭეთ შორის ცისა და ქუცყანისა ესერა ზემო ხსენებულისა ჭარმაღის თავადისა ოთხგზის აქარე ამხელასა ქალაქსა შინა ვმსახურე საკუთარისა ჩემისა კონდაკისაგან შეძინებულებითა და არმაღანებითა. საღმთოითაცა და კელმძღუანელობითა სინოდისა წევრობისა წინაშე და ქებითა სამეფო სქესებთა მიმართ, რომლისა მიმართ არა რაი ბრალნი მქონან მისდამი თვინიერ ამათსა ე. ი. ოდეს ილალებდა პირსა თვისსა და იტყოდის ყოვლადსა სამღუდელოთა ჩუცნთა ზედა, რომელ ყოველნივე ცოდვილ არიანო გარეგან საქმეებითა, ეგრეთუც ყოველნივე მემხოლოენი მუშაობენო დემონთა თანა ე. ი. ეშმაკთა შეეყოფიან. ეგე სახედვე ყოველნი ბრძენნი ბოროტ არიან. რომელსა მიუგებდით ყოვლადისა განკიცხვათა, რომელი მე განიკ-თხე და ნუ ყოვლადი ამისთვის ზემო ყოვლადთა თანა წარხდა და განბასრა. რომელსა დასასრულ დაცხრომისა დაყმედა. აწ ვხდილობ პარაკლისსა ჩემთვის და მისთვის და მართლმადიდებელთათვის.

## № 234

### (1829 წ. იანვრის) წერილი იონა ხელაშვილისა გაბრიილ იერომონახისადმი

ყოვლად პატიოსანო მამაო წმიდაო გაბრიილ! საღთო იერო მონახო ქრისტე ღვთისა მიერ ამბორებასა მომრთმევლობ თქჳჱნდა.

აჰა, ესერა ახალსა ამას წელსა მომლოცველობ თქჳჱნდა მომართ ზე გონებითა საღთოდ. რომელ სიტყჳსა ღვთისა განართულებითა მარადის წელი ახალ ახალნი მოჰკონან სძალსა ქრისტე ცხებულისასა ეკკლესიასა. ჩჳჱნ ბერძენ — ქართჳჱლთასა, რომლითაცა ვღაღადებთ: „აბბა მამაო გვყავ შენდამი ნუ მონებრ შეძრწუნებული. არამედ მეგობრობისა სიყვარულითა შემყუარებელ შენდა და მოყუსისა ჩჳჱნისა, რომელ არიან ემბაზისა შვილნი. რათამცა ვიყვნეთ ყოველნივე საღთოისა სახარებისა ყრმანი და ურთიერთისა მიმართ უმანკო და მოსურნე მრწემობისა სიმდაბლითა და სიმშვიდითა ღვთით კაცისა მესიისითა. და აღამაღლე ჰრქა ეკკლესიისა, რომელ არს დიდი სარწმუნოება და მოგუანიჭე პირი და სიბრძნე ტვრთად ემბაზისა ჯუარისა მეორედ შობისა. რათა გარეგანისა გუამისა ტანჯვთა განახლდეს შინაგანი კაცი, რომელ არს მეფე სული. ეგრეთჳჱ ქალაქმან ტანჯულმან გუამმანცა მიიღოს განახლება დღესა მას შინა განრჩევისასა ცხოვართა და თიკანთასა.

მოიხსენეთ მამაო წმიდაო თქჳჱნი ავთრათი კამადონი ქარტა მივიღე წარმოცემული პიტაკად ჩემდა. უპატივცემულესადრე დატკუერულნი, ალნაქესნი და რაოდენნიცა მოგეკალმებინათ ერთბამად გამოვცან სურვილითი საქმიერება თქჳჱნი ჩემდამო და ტვრთლნი, რომელთათჳსცა განვიხარე და უმფროსლა განვმხიარულდი ზრუნვასა ზედა თქჳჱნგამო საღთოთა საჭიროთათჳს.

ესერა მყის განვლე მდინარე და ვიახელ მეფის ძეს ბაგრატს ვასილის ჰალაკში მეათორმეტესა მწკრივსა უბნისა შეკაში სახლსა შინა და შევთხოვე წმიდა სახარება. რომელმან პასუხი მიგო ნემეცს მივეციო შესამკობელად ოქროთა და მოსპეკაპალებად ძვირფასითა და მოოჭვად დიდ საჩინოდა, გარნა ჯელოვანი კაცი იგი გარდაცვალებულა თჳსსა მამულად და ახლა მესმისო მოსვლვა მისიო აქავე. და ოდეს მოვალსო შევამკობინებო.

ეგრეთვე მეფის ასულმან რიფსიმემ აღთქმა აღუთქვა ვეცდებიო. დასასრულ მოიხუენეით ჩემი აზმნობა და მოსწერეთ თვითოეულთა წიგნი რომელთაცა მახლობელ იცნობდეთ და მიიღებთ კმაყოფილებასა ერთსა ანუ მეორესა, მე ჩემის მხრით დავრთავ ლუაწლთა ძალისაებრ ჩემისა. არა უწყი რაი ვჰყო ყოველნივე ერთბამად: დიდ

ფრიად მკდოვან არიან, მდღევასა საზრდელითაც, რომელთათვს ბრძანება გამოსრულია, რათა არავინ ასესხოთ ვასხი, და თუ ავასხებს ვინმე გაუქმდების, ამად ვასხნიცა ვერღა მოუპოვებიესთ. ესერა რამთონსამე ჴელთა შინა არიან ჩემნი ხუასტაგნი სალთო კონდაკთ შეძინებულნი, რომელთათა შევთხოვ ზეცას ზედარე რათთამცა მომიქციონ. და ძმა ჩემი გიორგი წარმოვგზავნო, გარნა მიბრძანებენ ზედას ზედა მოიცადეო. დასასრულ, მე ფრიად მსურს მსახურება მამულისა შვლთა ჩვენთა ძალისაებრ ჩემისა. გარნა მოგებულნი ჩემნი სხუათა ჴელებთა შინა არიან. ესერა აღვთქვი მიტრაპოლიტ გენათელ ევთიმეოსისაგან ანდერძებულისა ძელისა შემკობა და წარმოგზავნა ჯუგაანისა სალთო ტაძრისათვს, გარნა ჯერეთცა ვერ ვუძლე ამად, რომელ ერთი მგზავრი წარსულს წელიწადში გამოვისტუმრე. და აწ ესერა მეორეცა გამოსასტუმრებელი მყავს, უკეთუ უნდეს მაღალსა და წარმოვგზავნო, შემდგომ თქვენს საქმეს ვიწყებ ე. ი. ხატისასა და ძელი ცხოველისასაცა.

მოიხსენეთ, თქვენის წიგნის პასუხი მოგართვ წინანდელი, რომლისა წარმოგზავნასა მისი კეთილშობილება დოდოევ მწერს წარუგზავნეო, გარნა არღა უწყი მოგერთუაო ანუ არა.

დასასრულ, ბუნება ითხოვს — მასვე ბრძანებს ღმერთი და ეკკლესია. ქრისტე ღმერთისა მოყუსისა სიყვარულსა, ამად მიყუარან მოყვასნი და შვლნიცა მამულისანი, რაჲსათვის არა მწერით მშობელთა ჩემთა სახლისა ვითარებასა რათამცა მე მიხაროდეს, და თქვენ უმეტეს შეგიყვარო, ხუასტაგისა თქვენის წარგზავნასა მიბრძანებთ ძმისა ჩემისადმი სოლომონისა, ნუ მიიღებთ შრომას. ვიდრემდის საქმე თქვენი შეასრულო.

მამაო წმინდაო, ოდესაც მოინებოთ პირსაებრ დროჲსა და შემთხვევისა მიიღეთ შრომა ზემოწლეობითა და მომწერეთ მშობელთა ჩემთა სახლეულთა ვითარება, ამოვნებად ჩემდა, და ცნობად თქვენდა, მზესა ქუჵშე მყოფთიც და განსრულიც მომწერეთ. კვლავადცა გვედრი, რათა მაუწყოთ წმინდის ნინოს დღესასწაულის ქადაგება, შევმზადე ესე რა ათექვსი წელნი არიან და წარმოვგზავნე წარსრულის წლის მაისის თვეში, არა უწყი მანდ ბიბლიატიკასა შინა დაიდვა სარგებლად სამღუდელოთა კაცთა შვილთათვს ანუ მუნ არს ვისისა ჴელითაცა წარმოვგზავნე ეგრეთვე რვეული კატეხიზმო, რომელთაცა არღარა უწყი.

მამაო წმიდაო, შეგთხოვ მაღალ ყოვლად უსამღუდელესს, ლოცვაკურთხევა და სამკუჵთლოზე მოხსენება მიხუაიშნო. დიდ საბა მოხუცებულს[2] ლოცვას მოვახსენებ და საბა პატარასა[3] არხიმანდრიტს გე-

რასამეს ძმისწულსა დიდად ვმადლობ. და ძმა ესე ჩემი მადლობელ არს და მეცა მცირედ ვჰსცნავ კეთილი სულია ფრიად.

ეგრეთვე შეგთხოვ, რათა უბრძანოთ მამა სოლომონის შვილებსა მანდარე სკოლაში და მოაწერინეთ წიგნი მცირაკნი ჩემთანა ე. ი. რამდენნი რაჲცა ისწავეს იგინი და რასაცა ისწავებენ იგინიცა. წიგნითა თქვენითა წარმომიგზავნეთ.

## № 235

## (1830 წ. იანვრის) წერილი იოანე ბაგრატიონისა იონა ხელაშვილისადმი

მამაო წმიდაო იონავ! ესერა ვიმწირე მსხემობით[1] სამეოცდაორნი წელნი ქვეყანასა ზედა, სიყვარულითა ღუთისა და მოყუასისათა რომელმან ჰსჯული ღუთისა დავიცევ, წმიდა-მყოფელი მორწმუნეთა, და ლოცვა და მარხვა იყო საზრდელად ჩემდა სოფლსა შინა საიდუმლოდ; ხოლო ეკკლესიასა შინა ყოვლისა მორწმუნისა შორის განცხადებულნი მსახურება მაქუნდა ღუთის მიმართ და მწირველთაცა საქმით ვანიჭებდი მოსახსენებელთა ცხოველთა და მკუდართათვს.

ხოლო სახლსა შინა ჩემსა შევიწყნარენ შინაწყალნი, მაღალნი და საშუალნი და მდაბალნი და ქვრივნი და ობოლნი, რომელთაგანცა მოხუცებულთა ვუყოფდი პატივსა მშობელთასა და თანამოასაკეთა — ძმათა და დათა პატივსა; ხოლო მცირეწლოვანთა შვილად ვხადოდი.

ხოლო სტუმართა, მსგავსად ანგელოსთა, შივიღებდი და მოსრულთა მწირთა ქართუმელთათვს თავი ჩემი ნებსით განვამზადე მსახურებად საზრდელითა, სასმელითა, საცმელითა და სახლითა და სნეულთა თვითვე ვკურნებდი. ვინათგან ვისწავლე მკურნალობაცა სხუადასხუა სწავლებისა თანა და მხატვრობისა, გლახაკთა, დაღრეკილთა და დაკლიბულთა თუალთა, გინა კელთა და ფერჴთა და გონჯთა და ჯუჯათა და უძლურთა და ასაკ-მცირეთა, უძალოთა და სნეულთა მოუვლელთა და პყრობილთა, ძალისა და მონაგებისა და შემოსავლისა ჩემისა უაღრეს ვმსახურებდი ზემო ყოველთა, რომელსა ყოველნივე მჭურეტ გამდოვანებულსა, რომელმან არარაჲ საუნჯე დავკრძალე ქვეყანასა ზედა, არამედ ყოველნივე ცათა შინა წარვგზავნე, ვითარცა ბრძანებს მაცხოვარი ჰჯულსა შინა ახლისა აღთქმისასა.

აჰა, რაჲცა მიბრძანის მოძღუარმან სულიერმან, ვევედრებოდი ღმერთსა აღსრულებად შიშითა უფლისათა, რომლისა შიში ძეობირნი დასაბამნი სიბრძნისა არს რამეთუ პატივი მღუდელთა, პატივისცემა ღუთისა არს, ვითარცა მსოფლიონიცა კმობენ საღმრთოდ და საეროდ

მღუდელთა და მეფეთას მორჩილება და შემკვალვა და მსახურება და პატივისცემა და აღსრულება მათგან ბრძანებულთა სულიერად და ჴორციელად, რათამცა ჴორციელიცა მოქალაქო სულიერვე იყოს.

ეგერა, თუალნი შენნი სჭვრეტენ ოცდახუთისა წლისა უუმეტეს. მამაო იონავ აქარე შენი მოსლვითგან პეტრე დიდისა ქალაქსა შინა, რომელ მეფე ირაკლისა, პაპისა ჩემისა ძეთა და ასულთა და შვილთა მათთაცა ვმსახურებდი მრწემობისა ჩვენებითა და ქვემდგომითა და ჯდომითა და უკანასკნელობისა სიტყვითა ტკბილითა.

ეგრეთუე მამისა ჩემისა, მეათსამეტისა გიორგი მეფის ძეთა და ასულთა, ძმათა ჩემთა და დათა უსწრობლი მსახურებასა უმცროსთაცა ჩემთა. ხოლო პირმშოსა ძმასა ჩემსა, მემკვიდრედ დანიშნულსა დავით კურთხევით სახსოვარსა, ვმსახურებდი ძალისამებრ ჩემისა.

ზემოხსენებულთა ორთა მეფეთა, ნეტარებით სახსოვართა, ვმსახურე უაღრესს ძალისა ჩემისა, შინაგან ივერიისა ბრძანებულთა აღსრულებითა, ხოლო გარეგან—სამძღვრებსა ზედა გარემდგომილთა მტერთა უკუნ-ქცევითა, ვიდრე გარდაცვალებადმდე თელავისა ქალაქსა შინა 2 მეფისა, რომელთა ძუალნი ღირს იქმნენ დადებად სრულიად გიორგიისა საკრებულო კათოლიკე ეკკლესიასა შინა მცხეთად წოდებულსა, მეფეთა და დედოფალთა საცხებულსა, პირმშო კათედრიანსა კათალიკოზ საპატრიარხოსა, სადა მრავალჟამ არღა დადებულიყუნეს მეფეთა და დედოფალთა გუამნი, შინაგანსამსახედ განაწევრებისა უბადრუკებისა გამო, გარეგან — თურქთა და ლეკთა და კავკასიელთაგან ოკრებისა ძლით.

აჰა, ოთხთა მეფეთა, შეწევნის მთხოველთა, აქარე, რუსთაგან: 2 არჩილმან, 5 ვახტანგმან და ბაქარმან და თეიმურაზმან, რომელთაცა ძუალნი ვერცა შევიდა მცხეთასა შინა, თჳნიერ 2 მეფე ირაკლისა და მეათსამეტე გიორგი მეფისა.

ეგრეთუე, უწინარეს ყოველთასა, დედოფალთა ჩუენთა დარიასა და მარიამისა, მე მოვედი აქარე და შემდგომ ყოველნივე მობრძანდენენ, რომელთაგანნი გარდაიცვალნენ. დედოფალი დარია, ვახტანგ და იულონ, ძენი მისნი, ე. ი. ირაკლი მეფისა, ბიძანი ჩემნი.

ხოლო ძმანთ ჩემნთ, დავით პირმშო და ჯიბრაილი და სძალი და ასულნი, რომელმან ყოველთავე ვმსახურე, ვითარცა ცხოვრებასა შინა მათსა, ეგრეთვე სიკუდილთა შინა.

რომელ დარია დედოფლის გუამი დაიდვა წმიდისა ალექსანდრე ნევსკის ლავრა მონასტრის ხარებობის ეკკლესიასა შინა, პეტრე მესამისა ნასაფლავარსა ზედა, დაბლა ანბიონისა მუნვე. ეგრეთუე მეფეთა ძენი და სძალნი და ასულნი მუნვე, მონასტერსა შინა, რომელთაცა თჳთოეულთა ძეგლნი ფიცრებთა ზედა წარწერილ არიან თით-

ბერისასა, საუკუნოდ სახსოვრად კედლებთა ზედა დამჭვალულნი, რომელთა სახელნი იხსენებიან არხიერთა და მემხოლოეთაგან შაბათებთა შინა და სულთაობაში და სახელწოდების დღეებთა შინა.

აჰა, ესერა, ვითარცა ზემოხსენებულნი შეეძინენ წარსულთა წინაპართა და შევმცირდით ორთა მეფეთა მრავალრიცხვნი ძენი და ასულნი და ასულნი, რომელთა სულიერი ნუგეში ჩუენი, ანტონი 2 კათალიკოზ-პატრიარხი, ბიძაჲ ჩემი, მიგუტაცა სიკუდილმან, ყოველთა ქამიერ ცხოვრებისა აღმჭრელმან.

სიკუდილიცა გამყუანი მათნი ამიერ სოფლით, მსახურ მართალთა კაცთა არს, რომლისაგან განსრულნი მოკუდავებისაგან, გარდაიცვლებიან უკუდავად წინაშე ღუთისა აღსრულნი, რომელნიცა უხრწნილისა გვირგვინებითა სამ გზის ნეტარ არიან, ღვთისაგან განდიდებულნი.

ეგრეთუე მწირობა განგრძობილსა კაცსა, განშორებულსა მშობელთა თვსთა სახლისაგან, და მოყვსისა და ენისა ჴმისა და სამარხოსაგან, უჭირისუფლოსა, უტირალსა თანშეზრდილთაგან, უნუგეშოსა მოხუცებულთაგან, უალერსოსა თვსსა ცნობილთა ბრძენთაგან, უმხიარულესა თვსსა შესწავებულთა შორის და უტირალსა, მტირალთა თანა თვსისა მახლობელისა.

კაცსა მწირსა სძულებენ ყოველნი მუნებურნი. ხოლო მსხეპი მსგავსებს დღისი გვრიტსა, ტოლისა თვსისათვს მგლოვარესა, რომელი არცა დაჯდების ნედლთა რტოთა ზედა, და ღამე—ყორანსა, რომელი არა დაიძინებს, წარწყმედი მართვეთი. რომელ კაცი ეულიუცხებათა შინა დაყრუვდების, ვერცა მსმენელი უცხოთა ენისა ჴმათა და კნინლა და დაბრმავებისცა, ვერ მიწთომილი ახალ-ახალთა ეპიფანიისა — სავსებათა; რომელსა ჴელნიცა გაუქმდებიან უცხოთა ერისა საქმეთა უსწავლელსა. ხოლო ფერჴნი დაუბუკდებიან უსვლელობითა, რომელი მკდოვანებითა იყოს დაწუნებულ მდიდართაგან და გლახაკთაგანცა და არცაღა უწყოდეს ფერჴთა წარსდგმელი ადგილნი, რათამცა იამოვნოს. არამედ მივლიდეს თვსსა ჩოდოლსა, დირეთა დაკავებულსა, შიშით და ძრწოლით სავანისა უფლისათა, რათა არა შეიძრას ჭერი და არა წარიბღალოს იატაკი და კედელნი, და არა შეხოსთ კართა და კლიტეთა და კიბეთა. ხოლო ეზო იყოს დაცულ სალუქად, და არა აღიცრცნას სარკმელნი და წყრთილნი და შინაგანნი და გარეგანნი, ერთბამად აღწერით მიბარებული, ვიდრე მიბარებამდე.

აჰა კაცსა მწირსა, ზემო ოცდაათისა წლისასა მისრულსა უცხოებაში, კაეშნიანსა, დღისი თვსისა აჩრდილისაცა ეშინის, ხოლო ღამესა შინა თაგვთა ბჟერისაგანცა იქმნების მძრწოლარე.

ესერა, კაცმან მახემმან სულისა თჳსისა მთავარ გონებითა და გულისკმის ყოფითაცა უუმეტეს უწყის, რომელ კეთილ მართებლობა კეთილად მცხოვრებთა ჰყუარობს და შეეწევისცა, ამისათვს სული გულსმოდგინე არს უშიშროებით, გარნა კორცნი უძლურ და მოშიშ. გულისსიტყუანი მიკუდავთანი ამად უმცროსნი ძრწიან უფროსთა კეთილთა კაცთაგანცა. ეგრეთუე რომელთამე უფროსთაცა ეშინისთ, ქამისაებრ ადგილისა და პირთა, ვინათგან არავინ იცის კაცმან კაცისა შინაგან გონებისა და საქმისა, თუ რანი იშვებიან გარეგან ხუალის დღეში და ზეგ და შემდგომ, უკეთუ უგუნურთაგანი გარდაკდეს მცნებათა და ჰყოს შესმენა მლვიძარემან მძინარე მართლისა ვნებად.

დასასრულ, დიდ ფრიად მწუხარისა უნუგეშოისა სიკუდილი არს განმასვენებელი ქრისტეს მიერი, რომელ მწირი, მახემი, ეული, უუმეტეს მეორე (მახემი) ნეტარებითა იქმნების ცათა შინა გვირგვინოსან, რომელი ნებსით თუ უნებლიეთ იქმნების მგლოვარებით მეძიებელი მხიარულებით დაკარგულისა სამოთხისა, რომელი წარწყმიდეს პირუელთა მსოფლიო მშობელთა, რომელ მახემსა ქუეყანასა ზედა არღარა რაჲმე აქუს თჳსი ფერხთა წარსადგმელი, რათამცა უყუარდეს სოფელი.

არამედ სჭამს მწირი პურსა, ცრემლითა განმაზავებელი სასმლისა; რომელსა ძილისა სიზმარნიცა აძრწოლებენ და სდევნიან თუალთაგან რულსა, რომლისა ყურსა სახიობანი და საკრავნი ვაებად ესმიან და მხიარულებისა ხადილნი შიშობად ელანდებიან; რომელ განკვირდების მწირი სხუათა სიცილთა ზედა, თჳნიერ გალიმებისა, რომლის სიხარულნი ცრემლნი თჳსნი არიან ღამეთა შინა, ხოლო დღისი, კვნესა და სულთქმა არიან სახიობანი, რომელი ინატრებს სიბერესა ღრმასა ადრე, მსწრაფლიად, რათა განვიდეს ამიერ სოფლით და განისვენოს, რომელ მახემი მწირი მსმენელი სხუათა გოდებისა, ტყეებისა ვალალებისა და ველოვნებისა განკურდების ლმობიერებითარე სასტიკთა და მძაფრიად დადნების ცრემლთა თჳსთა გაწკმებელი, რომელ ვინძი ძუელნი და ახალნი მტირალნი დასცხრენ გოდებისაგან და იწყონ მხიარულება ნუგეშად თჳსსა. გარნა მახემი კუალადცა გოდებს განმხიარულებულთათჳს, რომელსა არღა დაემორჩილების გული თჳსი, განვლილი მახემობისაგან. ამისათჳს ამცნო უფალმან მოსეს: მახემსა და მწირსა ნუგეში ეცით.

მამაო იონავ! ესერა ჩემი ყოველივე მოგითხარ ქარტასა ზედა დასაქსველი, რომელსა გარე მომადგა სიკუდილი მიუცილებელი და შთაკდა გუამსა ჩემსა, ვითარცა მღილი, განძრყუნელი საუნჯისა და ჭუახეთი, რომელი ნაწევართა და ასოთა და კინძთა დაწებითთა გუამისა

დამოკიდებულებასა არღვევს და შრეტს სისხლთა, ნაღველთა და სიცეცხლისა ნოტიოთა და ნედლთა სხეულთა აკმობს.

ესერა სამეოცნი დღენი და ღამენი არიან, რომელ მიიწია გულადმდე და აშთობს ფირტვსა, რომლითაცა ვერღარე ვმშვინავ.

ამისათვის შეგკითხავ არა ურწმუნოებით, არამედ წმიდა სახარებისა სარწმუნოებითა გულსავსე ქმნილი, გარნა მსურს შენ ვითარ უწყი?

აჰა, ესერა გუამი ჩემი ვიდრე მიმწუხრამდე დაირღვევა, ამისათვის შეთხოვით შეგკითხავ:

— ვითარღა აღსდგების ესე მიწა, ოთხთა სტიხიოთაგან შედრგნებული უაღრეს ცისა და ქვეყანისა უუკეთილესად დაბადებული?

მახარე მე გულითად, რომელმან საიდუმლო სარწმუნოებათა თუთცა უწყი?

**№ 236**

**(1830 წ.) თებერვლის 15-ის წერილი იონა ხელაშვილისა დაწერილი იოანე ბატონიშვილის გარდაცვალების გამო**

ხოლო შენ, ძეო მეფისაო იოანე, ღმერთმან მართალთა მოყუარემან და ცოდვილმან მოწყალემან, დაგაწესეს წიაღსა შინა აბრაამისასა მეოხებითა ყოველთა საუკუნითგან წმიდათა და დავით აღმაშენებელისა, ქეთოვან და ლუარსაბ, წამებულთა, წინაპართა შენთასა!

წარვედ, წარვედ, წარვედ! მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით! ყოვლად წმიდისა სამებისა მიერ სამგზის ნეტარო სიყრმესა შინა; სრულ მამაკაცობასა შინა და მოხუცებულებასა შინა. რომელსა კნინღა და უმეტეს თავისა შენისა სულიერნი გიყვარდა, მსგავსად თავისა შენისა ერი მორწმუნე გიყვარდა და გლახაკნი, ობოლნი ქართლისასა ძენი და ასულნი გიყვარდა ტაბლასა შენსა ზედა პურის მტედ, რომელთა ზედა განაბნიე სიმდიდრენი შენი და ითმენდი გლახაკობასა.

გარნა დავიდუმებ სიმდაბლესა შენსა და სიყუარულსა ღვთისაწიერისა კაცთათვს, ამად, რომელ არა ძალმიძს გამოთქმა, რომელთაცა მაგიერ ნაცვალთა მოგაგებს სიყვარული, რომელ არს ღმერთი.

უგანათლებულესო მეფის ძეო, იოანე! აჰა სამეოცდა ორნი წელნი მწირ იყავ ამა სოფელსა შინა... ღმერთმან ცხოველთა და მკვდართამან... უნებლიეთ შენსა დაგაძინა...

ხოლო ოდეს მოვიდის მაცხოვარი... მყის .... აღადგენს გვამსა შენსა ....

## № 237

### (1630 წ.) წერილი დედოფალი ნინოსი იონა ხელაშვილისადმი.

მამაო იონა წმიდა მარჯვენას გეამბორები. მამაშვილობას ხვალ დილით მობრძანდი საქმე მაქვს ცხრა საათზედ. თქვენი სულიერი შვილი დედოფალი ნინო.

## № 238

### (1830 წლის 18 მაისის წერილი ქისიყის მიტროპოლიტ იოანესი[1] იონა ხელაშვილისადმი

თქვენო ყოვლად ღირსებავ იერომონახო იონავ!
მოწყალეო მამაო!

შაბამ ჯერისა პატივითა უფლისა მიერსა ლოცვასა მოგიძღუანებ და თქვენს მშვიდობას ღმერთსა მიერ ვთხოვ.

ყოვლად მსურს აღგივლინო მადლობა მისთვს, რომელ შენა გხედავ მამულისა მზრუნველად და შენსა მშობლის ადგილისა მოყვარულად, რომელიცა ცხადად საქმით იჩვენების, რომ შენითა გულსმოდგინებითა მეცადინეობითა, მრავალნი შესაწირავნი ეკკლესიებთანა მოდიან, ვითარცა უსაკუთრესად შენსა მეცადინოობითა მოვიდა ბარათიაშვილის ქალისაგან[2] სანაწილე ღუთაების ეკკლესიასა შინა. ამისთვს შენცა მადლობასა მოგახსენებ, და სხუას კეთილობასა თანა გთხოვ ესეც ვედრი ჩემი მიიღო, რომ მე ჩემის ძმისწულის შვლი, რომელსა სახელად გაბრიილ ჰქვიან, მანდაურისა პეტერბურღისა სასწავლელსა შინა გამოვგზავნე და შენი მოწყალებანი მფარველობა არა მოაკლო და ყოველსა კეთილ წარსამართებელსა საქმესა წინა უძღოდე. უმეტესად ბატონისშვილებთაცა ბაგრატს და სხუათა თანა შენვე მიშუამდგომლო ამას ზედა მფარველობასა მათსა, რომლის თვისაცა მადლობელსა მყოფთ ყოველნივე, და მეცა ვიქმნები მსახურ ლოცვითა თქვენდა, ხოლო ამას ზედა კვლავა გემდური, რომ სხვებთა ჰსწერ წიგნებსა და მე არა, და ადრინდელსა თქვენს მოწირილობაზედ, რომლითა მწერდი შენის ძმისწულებისასა აქაურს სასწავლებელში მიცემას. ჩემი ღონისძიება ღმერთი არს მოწამე, რომ მათზე დავიღალე და შენმა ძმებმა არარა გაგიგონეს, და მე კი გავიგონე შენი მოძღვრება, რომ ჰსწავლად მიუცილებელ სასარგებლო არს და ჩემი ძმის წული მანდ გამოვგზავნე და აწ შენ იცი.

მამაო იონავ, გთხოვ ჩვენ მიერისა მღუდელ მთავრობისა კურთხევითა მომიკითხო ბარათოვის[2] ქალი და მადლობა მომიხსენო, სანაწილისა ზოძებისათვს და ნანდვილი მიეგებისცა მის მიერ ერთისა წილ ათასი, ვისადმიცა არს შეწირული.

სხვებრ თქვენის პატიოსნებისა მარად კეთილდღეობის
მოწადე და მლოცველი სიღნაღის და ქისიყის მიტროპოლიტი
ბოდბელი იოანე
მაისის ით ს დღესა
ჩყლ — წელსა
1830 წ.

## № 238[1]

### 1830 წლის 14 ივლისის წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ მამაო მ. მ. იონავ!

მოწყალეო მზრუნველო!

მე ვნახე ბრძანებისამებრ თქუენისა მაღალღირსებისა, წადილისამებრცა ჩემისა, მირზა ჯაფარა[1], რომელმანცა განმიცხადა თვსი ჰაზრი, რომ არა ჰსურს სკოლაში დავითიჩთან წარგზავნა ორი ქართულის გვამის. დაჰწუხრებით თვითონ პოპეჩიტელის რწმუნება ამისათვს გთხოვეთ, რათა ხვალ მიბრძანდეთ მირზა ჯაფარასთან[1] და თქუენ გახილოთ გრამმატიკა და მეორეც დიმიტრი ივანიჩი თუ მომივა და განიხილავს და შემდგომ მირზა ჯაფარა არწმუნებს თქუენით პოპიჩიტელსა. ამისთვს გთხოვთ, რათა ხვალ დილით წარმობრძანდეთ ჯაფარასთან, ის შინ გახლდებათ, იქმნება საღამოზედ მე გიახლოთ. ახლა კი არ ეცალა.

თქუენი სულიერი შვილი სტეფანე
ივლისის 14 სა დღესა 1830 წელსა.

## № 239

### 1830 წლის 22 ივლისის წერილი მეფის ძის ძე გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი

სასურველო მამაო იონა, მოწყალევ ჰელმწიფევ, მარჯვენას გიამბორებ და გთხოვ მათს უმაღლესობას დედოფალს მარიამ იმერეთისას ჩემ მაგიერათ მიულოცო თავის ანგელოზის დღეობა, მე თვით მსურდა მილოცუა, მაგრამ ცოტა შეუძლოთ გახლავარ და ამის მი-

ჯეზით ვერ ვიახელ და ვთხოვ ბოდიში იშუადგომლოდ, რომელ მადლობელ ვიქმნები საღამოზედ თუ შევიძელ ვაახლებ.

მეფის ძის ძე გრიგოლ[1].

ივლისის 22 სა დღესა 1830 სა წელსა.

## № 240

### 1830 წლის 7 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქვენო მაღალ ღირსებავ, მოძღვარო იონა!

წმინდასა მარჯვენას ზედა ამბორებას მოგახსენებთ და თქვენს სიმრთელეს და წელთა განგრძობას ვისურვებ. ძმანი თქვენი და სახლეულნი მშვიდობით ბრძანდებიან, ძმასა თქვენსა გიორგის რაოდენჯერმე წერილითა ვსთხოვე ჩემთან მოსვლა და არ ინება. თვით მეც გახლდი მის სახლში — დამემალა, სოლომონ და მისი შვილი იოანე გახლდნენ ჩემთან, რომელთაცა მომითხრეს გიორგისა მიერ მრავალჯერ შეურაცხება და არა რაჲსა შემწეობა მისგან. ყოველივე თქვენ მიერ წარმოტანებული მიიტანა თვს სიმამრთან — ანისიმე მღვდელთან[1] და არა სახლში. მრავალი მწუხარება მომითხრეს. უკეთუ სტუმარი მოვიდეს და თუ ნათესავიო და საფენი მისი დავუფინოთო, მაშინვე აიღებს და არ დაგვანებებს. ფრიად შემაწუხა მოთხრობამან სოლომონისამან. მე ვუთხარ «ძმასა შენსა წავართმევ და შენ მოგცემ». მან მომიგო: შენ რომ წახვალ მომკლამსო. ფრიად ცუდი ძმობა არს. ერთი შაურიც არ მიუცია. იოანემ, ძმისწულმან თქვენმან, მთხოვა თქვენთან გამოსტუმრება, უკეთუ მიბრძანებთ წარმოვგზავნი. მქისიყში სიმრთელე გახლავსთ, გარნა ტფილისში, განჯაში და ჭარბელექანში გაჩნდა ხოლერა, რომელიც ხოცს მრავალსა მესწრაფლად.

მოსავალი ფრიად მრავალი და კეთილი გახლავსთ. სხვებრ თქვენ კეთილ დღეობით ბრძანდებოდეთ ჩვენთვის სანუკვარშით და მზრუნველად.

მამაო გთხოვთ მიბრძანოთ იოანე წარმოვგზავნო თუ სიღნაღის სასწავლებელში მივაბარო, რომელიცა იხსნება სექტემბერში.

1830 ს. დოდაევ მალარო. აგვისტოს 7.

## № 241

### 1830 წლის 10 აგვისტოს წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსებაო მ. მ. იონავ. წმიდაო მსხვერპლ შემწირველო მარჯუენას თქუენსა ამბორებას მოგახსენებ. ვისურვებ, და გთხოვთ მომიტევოთ, რომელი მე ვერ გიახელ მოუცლელობისა გამო და ესე საქმე მამა იოვანეს დავაბარე სიტყვით ერთი კვირაც იქმნება მას აქეთ და მე ამის იმედით აღარ ვიზრუნე თქუენის უწყებისათჳს ამისთჳს ვითარმედ მოგახსენეთ, მე გახლდი ჯაფარასთან[1] და მან ესრეთ მითხრა ის საქმე ისრე შევასრულე ვითარცა მამა იონას ჰსურდაო. და ახლა იმედი მაქუსო, რომ ჯილდოსაც მისცემენ სოლომანსაო. და სხუა არ ვუწყ ჯაფარამან რომელი განზრახვით ასე მითხრ, სწორედ სიმართლითა თუ მომატყუა. სხუებრ დავშთები თქუენის მაღალღირსობის კეთილად სუფევის მოსურნე თქუენი სულიერი ძე სტეფანე დოდაევი.

აგვისტოს ი სა წელსა ჩყლ სა წელს [1830]

## № 242

### (1830 წ) წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავად ს — ისადმი[51]

სულიერო ძეო ჩემო ბრწყინვალო თავადო ს. ქრისტეს ღვთისა მიერ ლოცვათა გძღვნი გულითადიერ თქუენდამო სადთოდ.

მოიხსენეთ, სოფელი ესე არს საგანაამზადო კარისბჭე მერმისა მის დაუსრულებელისა ცხოვრებასა შინა შემყუანებელი იწროსა მის გზითა, რომელსა ზედა ვლენან მართალნი შინაგან სჳნიდისითა და გარეგან კორცთა სიწმინდითა, რომელნი თვალთა თჳსთა და ხელთა და ფერხთა დაუმორჩილებენ სულსა, ხოლო სულსა და კორცთა ერთის გულითა და ერთის პირითა ღვთისა წინაშე თჳსისა მოძღვრისა აღმსარებელნი ცლვილისა ნაოჭ ბრძჳლისა გულისა და თირკმელისასა, რამეთუ წინაშე მოძღვრისა თავსა თჳსისა განმაქიქებელსა მიუტევებს კაცთ მოყუარე ღმერთი ბრალთა თჳსთა. ხოლო განწმედილსა აღსარებითა თჳსითა და ესრეთ მიმღებსა წ. საიდუმლოისასა განუნათლებს სულსა და განუწმედს სინდისსა და გუამსა და უკურთხებს პირსა მეტყუელებად ჭეშმარიტებისა და საქმეთა კეთილთა განუმრავლებს უხვებითარე და შთამთხუევს საგნეძთა თჳსთა მიღებად დიდებად მაღლისა.

და სარგებლად მამულისა, რომელსა ძალნი უხილავნი ზეგარდმო მიენიჭების ახალ ახალნი საშუალ საღთო ცხოვრებისა გზასა ზედა სლვად მორჩილებითა ღვთისათა აღასრულებს. ყოველთა კეთილთა სათნოებათა. აღონა სავავოთისასა და მშობელთა და სახლეულთა და მოყუასთან და ყოველთა კაცთასა, რომელი მტერთაგანცა საყუარელ იქმნების, გარნა ზემო ყოველნივე შიშითა ღთისათა მოიგებიან და გარემოთა მიმართ სირცხვილითა და თაკილითა. ყოველნი მარცხენასი გარემიქცეულ იქმნებიან. და დაწუნებული, რამეთუ არავინ მენარუქე კეკლუცი ფარჩისა და ჭიჭნეულისა საბლარდნელებსა ზედა შეიხებს ფისსა ფიდაკად[1] ნებსით, ხოლო უკეთუ უნებლიეთ შეესვაროს ყველასა, მყისვე იწყებს განსპეტაკებასა. აჰა, რაოდენ ღვთის მოშიში ჭეშმარიტი ქრისტიანე ბრალსა თჳსსა განიწმედს საღთოთა აღსარებითა ოთხთავე შინა მარხუცბში. გინა რომელსაცა ჟამსა იქმნას განშორებულ ღვთისაგან შჳდთა ცოდვაებთაგანისა, მყისვე მიმართავს მოძღვარსა და განწმდების დღესა შინა შვიდგზის დაცემული ცოდვაებთა შინა შვიდგზის მასვე დღესა შინა აღსარებითა გაწმდების, რომელსა შეიყუარებს ღმერთი. და შეყუარებითა ღმერთისაგან შეიყუარების კაცთაგანიცა.

იხილეთ, უკეთუ ნებსით ანუ უნებლიეთ იყო განლაღებულმან უმეცრებასა შინა უსირცხვილოებითა დაუტევოს ბრძანებულნი წმიდისა სახარებისა. შინაგანი მეფე სულისა სიმართლე და გარეგან ქალაქ გუამისა თჳსისა სიწმიდე და იქმნეს ყუანებულ ნებისაებრ თვალთა ხელთა ფერხთა და რომელთამე ასოჲსა ემსგავსოს საცხოვართა. რომელხი წადილებითარე იყუანებიან თჳსთა ბუნებათა მხრწნენი, რომელთა საუკუნო არა რაჲ ქონანთ ცხოვრება და დასჯა აქაცა მოკლე დღენი აქვსთ თჳსთა ბუნებასა შინა განხრწნილთა. ესერა ღმერთმან რიდოს ნების მყოფელსა მაღლისასა და მონანულთა ქრისტიანეთა.

უტეოთ, სიტყჳსაებრ ვ. სოფელი ესე იყოს ტრახტირი ე. ი. ფუნდუკი, რომელსა შინა მრავალნი სქესნი არიან, ხოლო კაპილონი[2] უტეოთ იყოს სამგზავრო ხალხნი რომელთა შინა კაცად კაცადნი ცხოვრებენ სხუა და სხუა პირნი, რომელნი ვიდრე მას შინა ცხოვრებენ განსვლადმდე მიერ სოფლით მათ ყოველთავე თანა აძსთ რათამცა სამნი საჭირონი ლექსნი დაიცვან საქმებითურთ. ე. ი. პირველად მართლმსაჯული სვინიდისი წმიდად წ. სახარებითა მეორედ ნების აღსრულება მესავანისა, ხოლო მესამედ აქუნდეს მოთმინებითა აღსრულებად სიმართლისა სიწმიდისა და პატიოსნებისა მხცეობითა სულგრძელებითა და ღვაწლებითა მჭვრეტელმან ანითგან მოესსა. რათამცა შინაგან თვისისა მართლისა სვინიდისითა ზეგარდამ — მოჩენილითა გვირგვინოსან იქმნეს არა ლავრისა დაფნისათა, არამედ

ღვთისაგან საიდუმლოდ ვიდრე მეორედ მოსვლადმდე. მართლმსაჯულისა განცხადებულ მიგებაჲ უხრწნელისა გვრგვინისა.

იხილეთ, უკეთუ მოგზაურმან ფუნდუკი და კაპილონი სადგური და წესიერება მესადგურისა შეურაცხყოს და იქნებდეს მესტუმრე დიდ ფრიადისა წყინებითა. აჰა, მისთანავე მწუხარებენ მასპინძელისათანა სტუმარნიცა, რამეთუ სტუმარნი მასპინძელისა კნინღა და მონანი არიან. ვიდრე ყოფაჲმდე მესავანის, რომელ სახიერ მესავანე მესტუმრესა, რომლისაგან დიდ ფრიადსა წარსაგებლებითა პურნი, ღვინო, ზეთი, ერბო, ზვარაკნი უსხნი, ვერძნი, ტარიგნი, ვაცნი, ღერღეტნი და დიაკელულნი დაკლულ არიან ცეცხლითა და მარილითა შეზავებულნი და მზა არს სერნი ოთხნი თითოეულთა მოქცევათა წინა.

იხილეთ, უკეთუ უმადლომან უმოხსენობითა თვსითა შეურაცხყოს პურნი იგი ზემონი, რომელნიცა პირსა შინა აქუნდეს და ეცრუოს ჟამიერსა ცხოვრებასა ესე ვითარსა გზასა. იგი საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა იქმნების ცრუ, რომელიცა სიმვოლო მრწამსითა, ცხრანეტარებითა, ათის მცნებაებით და ათისა სულისა ნაყოფებითა იწროსა გზასა ზედა სვლითარე მოიგების ყრმებრივ უმანკოებითა იობისებრ და გლახაკებითა და უფროსღა სიმდაბლისაებრ იესო მაცხოვრისა. ამად ბრძანებს სახარება, რომელი მცირესა ზედა ცრუ არს და დამკარგველ და დამკარგუელ იგი დიდსა ზედაცა უმეტეს ცრუ იქმნებისო და ვერა ოდეს მომგებ.

დასასრულ, უკეთუ ვინმე უსვინდისოებითა თვსითა მესადგურესა არა ულოცოს მარადის წინაშე ღვთისა არა აკაშავაშოს წინაშე კაცთა, მაშინ უმეტესცა იქმნების მოწამე და კეთილი.

ქუეყანა დასდგების სარჩულად მასპინძელისა, რომელისა მიმართულ მსაჯული ღმერთი აქაცა მიაგებს სასყიდელსა დ საუკუნოდ განადიდებს ეგრეთუჱ მართლისა მოსარჩლესა სოფელსა ე. ი. კეთილთა კაცთა.

იონა.

## № 243

## 1830 წლის 3 სექტემბრის წერილი მღვდელი იასე ყანჩოევისა[1] იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო იონავ სულიერო მამაო წმიდას და ნათლით შემოსილს მარჯვენას გეანბორები.

და თქუენს მშვიდობით სუფევას უფლისა მიერ ვისურვებ. შემდგომად ამისა ვიცი მამაო იონავ ჩვენს ანბავს მოიხსენებ, მადლობ

ღმერთსა მშვიდობით გახლავარ ჩემის მეუღლით და შვილებით, მაგრამ იოსებივით მეორე წელიწადია დაუსინათლოვდა და გთხოვ, რათა უშოვოთ რამე უსინათლოსა ამას სამლოცველო თქუენდა, გარდა ამასა შენი ძმა სოლომონ და რძლები შენნი წმინდას მარჯვენას გიანბორებენ. დღეს სოლომონ ძმა ჩემთან იყო და მთხოვა მცირე წიგნის მოწერა თქუენთან და ესეცა მოგახსენა ჩემი ახალი სიძე მღვდლისშვილი არისო და კარგი ოჯახის შვილი არის და ჩემით მოვინდომე, თორემ მათ არცა ნებავდათ. რადგან ამათი ოჯახი ვაქირში განთქმულია და სიძეც კარგი მარჯვე და მუშაკი არის, საეროსა კაცის საქმეში ჭამაცია და მარდი ვითარცა გაგიგონიათ დავით ქევხის ოჯახი და მათი შთამომავლობა ეგრეთვე ჩემი სიძე გახლავს ყოველსავე საქმეში მარჯვე და მხნე და კეთილი, მაგრამ მღვდელობა დიდად ურჩის სურს და მეცა ურჩიე, რათა ღვდლობას ეცადოს და ახლა მამას ამას გევედრები, რომ ჯვარს დავსწერ და გამოვგზავნი, რადგან ღმერთმან ამ ყმაწვილის თავი სიძეთ მომცა და მათი ოჯახის მოყრობა მსურს სულითა და გულით, რათა მოვიდეს თქუენთანა ამ წერილისამებრ თქუენისა. თქუენ გვიბრძანებთ ოლონდ ქალები გათხოვეთ და კაი ფასსაცა მოგცემთო. აჰა ჩვენ გავათხოვეთ და მოგვეცით კარგს ოჯახსა. ახლა თქუენ იცით, რომ გვიბრძანებთ შემწეობასა მზითვისასა ახლა თქუენ იცით როგორც მოგწერე წერილი ჩვენ კიდეც აღგვითქუამს აღთქმით ფულისაცა მიცემა. თორემ ესენი არცკი ნდომობდნენ. ახლა მე თქუენთან გამომიგზავნია და თქუენ შეეწიევნით მითომ ჩემი შვილის ივანესათვის გისწავლებია ისე მივიღებ. ამ მომავალ იანვარში უკეთუ ღმერთმა ინება ჯვარს დავსწერ და გამოვგზავნი და ახლაც შენ იცი როგორც შემწეობას იხმარებ, ვითარცა გაქვს ჩვეულება მრავალთაზედა. გარდა ამისა, როდესაც ჩემს სიძეს გამოვგზვნი მანდ, ყოველსავე ვითარებასა ჩემსა და გიორგისასა ეგე შვილი და სიძე ჩემი მოგახსენებს, ეგრეთვე იოანეს ამბავსაც და წიგნსაც მოგართმევთ მაგისის ხელით. ეგ სიძე ჩვენი თვით სოლომონმაც ნახა და იმასაც მოეწონა ყმაწვილი და ამისი სახელი და გვარიც ამოიწერა.

თქვენი მაღალღირსების მარად მლოცველი მღვდელი იასე

ყანჩოევი.

## № 244

### 1830 წლის 17 ოქტომბრის წერილი იოანე ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი

სულიერო მამაო იონა. ნათლით შემოსილს მარჯვენას გეამბორები და თქვენს მშვიდობით სუფევას ღმერთს ვთხოვ.

თქვენგან გამოგზავნილი ფული ფოშტით მომივიდა, რომლისათვისცა ფრიად მადლობელი გახლავარ. დიახ დიდად ვწუხვარ ისრე უკაცრავათა ვარ თქვენგან, მაგრამ აქამომდე სამსახურში ვიყავ, ახლა კიდევ, როგორც მოგეხსენებათ უბინაოს კაცის საქმე, ხლაფოტები გახლავს და ამათი დაგავიწყეთ ჩემი თავი, ახლა ღმერთმან მომდევარ, რომ ჩემი თავს არ დაგავიწყებ. თქვენი ძმები კარგად არიან, მაგრამ ერთმანეთში უთანხმოება აქვსთ, გიორგი თავის სიმამრს დაზდევდა კალობაზედ. პურს აგროვებდნენ. ერთი თვე გიორგიმ ჩემს წისქვილში ფქვა. გთხოვთ ამ წიგნის მომტანს ჩემს ადიუტანტს უფალს მასლიხიკოვს და იუნკერ ანტონ მოსეიჩს გალატოზოვს დიდად სწყალობდეთ, რომლისთვისაც დიდად მადლობელი ვიქნები.

## № 245

### 1831 წლის 15 იანვრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ, მოძღვარო იონა!

წმინდასა და ნათლით შემოსილს მარჯუენასა თქუენსა ვეამბორები და თქვენს უძვირფასეს სიმრთელესა ვისურვებ ყოვლითა გულითა ჩემითა და სულითა. ამასთან, მოვახსენეფ თქვენს მაღალ ღირსებას ჩემს სიმრთელესა ყოვლითურთ სახლეულით და ყოველთა მონათესავეთა თქუენთა.

სტამბა გავმართე დიდ ფრიად კარგა ქართულის ასოებისა. ღრამმატიკა იბეჭდება და ამასთან იწყების, უკეთუ ინებოს ღმერთმან და შეგვეწიოს, იგი ლექსიკონიცა თქუენიცა, ეგრეთვე გამოიცემა ყოველსა თთუესა ჟურნალი ქართული, წელიწადში ათორმეტი წიგნი. გთხოვთ ჭელი მოაწერინოთ ბატონიშვილებს და ბატონის რძლებს მიღებისათვს ჟურნალთა, ამ ჟურნალში იქმნება მოდაცა ქართველთა. ფასი მთელს წლისა არის ოცი რუბლი ასიგნაცია წარმოგზავნითა.

ბარბარე ბატონიშვილმა[1], ბაგრატ მეფის ძის ასულმან თაყვანისცემა მოგახსენათ. ყოველნივე სახლეულნი მათნი სიმრთელით არიან.

მუხრანის ბატონმა კონსტანტინემ[2] გამომიცხადა, რომელ ჩემის წულის იოანესაგან[3] აღებულს ვალს მაშინ მოგცემ, როდესაც ვექსილს მომიტანსო. ამით ინებეთ გამოგზავნა ვექსილისა ფოჩტით, შემდგომ მიღებისა ამის. ვიდრე ვექსილი არ მივუტანო არას მოგვცემენ. მაშასადამე საჭირო არს, რათა წარმოგზავნოთ აქა მისგან მოცემული ვექსილი, მე ვუთხარ: სულ ერთია მე მივსწერ მიღებასა ფულისასა და ვექსილს თუ ინებებთ, თქვენ წარმოგიგზავნით თუ არა იქ ბატონის რძალთან დახევს. არა ჩემთან წარმოგზავნოსო, მოიტანე და ფული მიიბარეო.

ვჰსასეობ, რომელ ოცს ჯელისმომწერს იშოვით მანდ ჟურნალის მისაღებად. ეგრეთვე ვითხოვ, რათა ყოველთავე ქართველთა გამოვუცხადოთ, რომელი თვსი თხზულება ანუ განსჯა რომელსამე საგანსა ზედა, სტიხად, გინა უსტიხოთ, წამოგზავნონ ჟურნალსა შინა დასაბეჭდად, ეგრეთვე გთხოვთ უმდაბლესად, რათა წარმოგზავნოთ ოდა ღვთისა[4] (ოდა ბოღა) ვგონებ ქართულად ნათარგმნი აქვნდეს ბატონიშვილს მირიანს[5]. თქუენ არ დაგიჭერს, გადააწერინეთ და წარმოგზავნეთ, ეგრეთვე მაცნობეთ სახელნი ქართველთა წიგნთა, რომელნიც მანდ ქართველთაგან შეთხზული ანუ ნათარგმნი იყვნენ სახელებიცა მთხზველთა და მთარგმნელთა, განრჩევით, რომელს ნაწილს ეკუთვნის: ღვთისმეტყველებასა, ფილოსოფიასა თუ ისტორიასა და სხუათა.

მომიტევეთ მამაო სასურველო და უსაყვარლესო ესრეთისა ჰმელისა ავთრათისა მოკლედ მოწერა. დღეს ექვსი ჟამი მაქვს გარდასაცემად სწავლათა და ავთრათს ამას გწერ დროსა სანოვაგის მიღებისა და ვეშურები კლასშიაც. მშვიდობით.

თქვენი სულიერი შვილი ს. დოდაევი.
იანვრის 15 სა 1831
ტფილისით.

**№ 246**

**1831 წლის 25 იანვრის წერილი გრიგოლ ბაგრატიონ მუხრანსკისა[1] იონა ხელაშვილისადმი**

ღირსო მამაო იონავ! მოწყალეო ჩემ მიერ პატივსცემულო და სიბრძნით აღვსილო, ეპისტოლე თქვენის ღირსებისა მომებოძა ჩემის საყვარელის ძმის წულის ჯელით იოანესით[2] პირველად მოვახსენებთ ღირსებას თქვენს უგრძნობილეს მადლობასა დაუვიწყებლობისასა ჩემსათვის. შემდგომ ჩემის ძმისწულის იოვანეს თქვენგან მწყალობ-

ლობისა და სიყუარულისათვს, რომელსაცა და თავსაცა ჩემსა შევავედრებ მადლითსა ლოცუა კურთხევას თქვენსა ღირსო მამაო თუმცა მამ ი მიმოვლებამან და ადგილითი ადგილათ ცუალებამან დრომან მომაკლო აღსრულებასა თანამდებობისა ჩემისასა, რომლისთვისცა გთხოვთ დიდ სულობით მომიტეოთ და არა უგულველებს მყოთ მარადის მორჩილი თქვენი ვითარცა წინამძღურისა და ღირსისა მწყემსისა თვისისა.

ღირსო მამაო კვლავადცა გევედრებით დიდ სულგბით მომიტევოთ წიგნის მოუწერლობისათვს შეცოდებათ ჩემი წინაშე თქვენსა არ უგულველმყოთ და მყოთ დაუვიწყებელ მადლიანისა ლოცუა კურთხევასა შინა თქვენსა. თქვენის ღირსების მოწყალის მწყემსის უერთგულესიმონა გრიგოლ ბაგრატიონი მუხრანსკი.

წელსა ჩყლა იანვრის კე ტფილისით.

## № 247

### (1831 წ.) წერილი კნეინა ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი

სულიერო მამაო იონა. წმინდის მარჯუენას გემთხვევი და თქვენს უვნებელად სუფევას ღმერთსა ვთხოვ. შემდგომად დიდათ ვწუხვარ ამდენი ხანი თქვენი წიგნი აღარ მბოძებია. მე კი ბევრს წიგნს მოგართმევ ხოლმე. თქუენივ მეტად დამივიწყეთ. ამასაცა მოგახსენებ და გევედრები ჩემი ფული რომ გმართებია, მიბოძეთ. თქუენმა მადლმა არ შეგაწუხებდით, მაგრამ დიდად საჭირო ჩემთვს. მე ვალები მმართებს, მაწუხებენ. კიდევ ამას გევედრები ანა გაბრიელოვნას მოლოზანს ჩემი ხუთი თუმანი მართებს, გთხოვთ გამოართვათ და ისიც მიბოძეთ. რადა გევედროთ გთხოვთ მიბოძოთ დიდად საჭირო ჩემთვის. წვრილშვილების ამბავიც მიბრძანეთ. ჩემს ანბავს თუ ინებებთ მშვიდობით გახლავარ. პატარა მახაზომ[1] ხელს გიამბორათ.

თქვენის მშვიდობის მოსურნე მოწაფე კნეინა ანდრონიკოვისა.

## № 248

### 1831 წლის 19 თებერვლის წერილი ბოდბელი მიტროპოლიტი იოანესი[1] იონა ხელაშვილისადმი

თქუენო პატიოსან ღირსებავ იერო მონახო უფალო იონავ!
მოწყალეო ჰელმწიფევ და საყვარელო მამაო!

წერილი შენი მივიღე, რომლისთვისცა ფრიად გმადლობ და ჩემის ძმისწულის[2] თქვენ მიერ შეწყალებისა და ყურისგდებას მწერთ და იმის დარიგებას. ფრიად მადლობელი ვარ ღმერთმან გაცოცხლოს. და მრჩობლითვე შინა ცხოვრებათა დაგიცვათ მშვიდობით და უვნებელად. ფული რომელიც გამოვატანე აქედამ. თქვენ მოგეწერათ ოცდაშვიდის თუმნის მიბარება. არ ვიცი რომელი არს ჰსწორე. უფრო ვგონებ თქვენი.

შემდგომად ამისა გთხოვ, რომ მაგაზე გაღვიძებული ბრძანდებოდეთ და თვალყური გეჭიროთ ან არ გაირყვნას და ან უბრალო ყოფა ქცევა არ დაიწყოს. და ჰსწავლაზედ ბეჯითობას უბრძანებდეთ. და რომელიც მაგის ოსტატი იყოს იმას მოახსენეთ, რომ შიში მისცეს და სწავლაზე გააბეჯითოს. და ნურც ნებას მისცემს სკოლიდამ უბრალოდ სიარულისა თუ არ მაგათის ბრძანებით. გაბრიელის წერილი მომივიდა, ყალამქრის საბნის პირი ეთხოვა არ ვიცი ვისთვის უნდა. ორი ყალამქრის საბნის პირი გამომიგზავნია ეს უბოძეთ და ისიც მოიწერეთ ვისთვის უნდოდა. ვის მიართო და ფული თუ შემოაკლდეს ისიც მოიწერე. ვისთვის უნდოდა. ან რა დაეხარჯა ან რა აქუს. ახლა ესენი ჩვენ ყოველივე განრჩევით მომწერეთ. ან როგორ ჰსწავლობს ან როგორ ემადრიელებიან თავისი მოძღვარნი. ფული თუ ესაჭიროებოდეს მომწერეთ, მოგართმევთ.

შემდგომ ეს მოგხსენდეს მამაო იონავ! ჯუგაანის ჯვარის გამოჩინების ეკლესია რომ არის, ის ხომ დაიქცა. ახლა სხვა ეკლესია გააკეთებინეს. ქვითკირისა და ის ჩინებული ეკკლესია თითქმის ქისიყში იმისთანა ეკლესია არ არის და ამ მღუდლებს შესმენიათ და წიგნიც მოგიწერიათ, რომ ჯვარი მაქუს მაგისთვის შემოწირულიო და გევედრნენ, თუ თქვენი მოწყალებანი მოგვენება აწ ამ ეკკლესიას ან ჩუენ გვიბოძეთო. ეგ შენი ნება არს მე ამათის თხოვისაებრ მოგახსენებ. და იყავნ ნება შენი. თუ ამ ღუდლების სახელს მოიხსენებ: ბლალოჩინი დიმიტრი [გვარი გაურკვეველია, მგონი მატაბელოვ], ნიკოლოზ ხედელოვი და დიმიტრი ალადოვ. ამათი სახელი ეს არის. შემდგომ შეგთხოვთ შენს მშვიდობას ბრძანებდეთ და თქვენის წერილით გვამხიარულებდეთ ჩემო საყვარელო მამაო და ძმაო, მამაო იონავ იერომონახო ეს ცალკე მეორეს გვერდზე გაბრიელისათვს მომიწერია. აწ თქვენ წიგნზე. ეს გახივეთ და იმას უბოძეთ წარიკითხვიდეს თვით.

თქვენის ღირსების მშვიდობის მთხოველი და მლოცველი
ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე (მაყაშვილი).
თებერვლის ით დღესა.
წელსა ჩყლა

ჩემს საყვარელს შვილსა და ძმას სტეფანეს სიყვარულით და ლოცვა კურთხევით მოვიკითხავ და მოკითხვის მადლობას უძლვენი და გაბრიელის თვალყურის გდებისათვის მოკითხვას უძლვენი. კვალად გთხოვ, რომ მაგაზე განაგრძო მდებელი თვალყურის გდება გქონდეს და დაარიგებთ, რომ რიგიანად მოიქცეს.

## № 249

### 1831 წლის 26 თებერვლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

უ. მ. მ. ი. უმოწყალესო მღუდელ მოძღვარო იონა!

უსაყუარელესო მამაო! მოქმედებათა მიერ თქჳენთა, რომელთა მიერცა სული ჩემი მლვიძარეობს, ყოველი კეთილი საქმე სასარგებლოდ თავის ჩჳენისა, მამულისა, და ყოველთა მემამულეთა დაგვირგვინდების სრულითა წარმატებითა.

სიღნაღს სასწავლებელი გაიხნა, გარნა იოანე ძმისწული თქვენი განწესდა ტფილისის ღიმნაზიას შინა თხოვნა ჩემითა, და [გაურკ] მე არას ვაკლებ, ყოველსავე საშუალობასა და ღონისძიებასა ჩემისა ვაძლევ მწრაფლისა წარმატებისათვს. მცირეწლოვანი ძმა მისი[2] ჯერეთ არ მოუყვანია, გარნა ჩამოიყვანს მოკლე დროებში, ყოველივე სახლობანი ძმათა თქჳენთანი სიმრთელით გახლავან.

წარსრულის ავთრათის პასუხს მოველი, რომელსაცა შინა მოვახსენე გამოგზავნა ხვასტაგთა კავკასიის აქეთ. ირწმუნეთ მამაო, რომელ აქა აწინდელსა მდგომარეობასა შინა საქართჳელოჲსასა, უკეთუ კაცი მოიქცა კეთილ გუნიერებითა და შეუდგა საქმეთა კეთილთა და სასარგებლოთა, მიუცილებელათ მიიღებს ყოველსა სასურველსა, გარნა კრედიტორთა ამათ საქმეთა თჳს საჭირო არს პირველისა დაფუძნებისათვს საშუალობა, რომელიცა მდგომარეობს ფულთა შინა. თვით თქვენ განსაჯეთ კეთილ გულის კმიერებითა საქმე ესე, ვინადგან ნიჭებულ ხართ ყოველთა სიბრძნითა და განიხილავთ ცხადად და ნათლად. ქალაქში ტფილისში ყოველი შემძლებელი კაცი აშენებს სახლებს, მრავალნი რუსნი და სომეხნიცა, ხოლო ქართველნი ვართ დაშთომილნი, გარნა სხუათათანა მეც გამოვითხოვე სახელწიფო ადგილი მთავარმართებლის სასახლის სიახლოეს, ოცდათერთმეტი საჟენი სიგრძე და ოცდახუთი საჟენი სიგანე უკეთუ ინებებთ თქჳენცა ავაშენებ სახლებს და დუქნებს, რომელთაცა ფრიად მრავალი შემოსავალი ექმნებათ. ამ ადგილსა აქვს საგურე, უკეთუ ინებოთ და შე-

შეწევით ხვასტაკითა, რომელსაცა ოთხს წელს ერთი ორად აღვადგენ და დავსდებ დანიშნულებისაებრ თქუენისა. ადგილი გავაკეთებ. გთხოვთ უმდაბლესად მაცნობოთ აზრი თქუენი. განმრავლებითა ესრეთითა ხატითა შემოსავალთათა განმრავლდების ბეჭდანი წიგნთანი და სხუანი.

მუხრან ბატონის შვილის[3] ვექსილი გთხოვე, რათა მსწრაფლად წარმოგზავნოთ, და აქამომდე არა სჩანს, მამა მისი არას იძლევა უვექსილოთ. ინებეთ წარმოგზავნა ფოშტით.

ოსიფ იაკოლიჩის[4] დუქნებისას რას ბრძანებთ, ანუ თვითონ პატრონი რატომ არას ჰზრუნავს, რომ დაუქციეს?

მომლოდინე თქვენის ყოველთა გარემოებათა ცნობის
სულიერი შვილი თქვენი სოლომონ დოდაევი.
თებერვლის 26 სა
1831 წელსა. ტფილისით.

## № 250

### 1831 წლის 6 მარტის წერილი ალექსანდრე ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი

ღირსო მამაო იონა!

მოწაფე შენი ალექსანდრე[1] პატივისცემით მარჯვენას ხელს გეამბორები და თქვენ მიერ ვისურვებ ლოცვა კურთხევასა. ჩემს ამბავს მოიხსენებ, ღვთით და წმინდის თქვენის ლოცვით მშვიდობით ვიმყოფები. გთხოვთ არ მიმცე დავიწყებასა და მომახსენო წმინდა თქვენს ლოცვაში.

ჩემს ძმას დიმიტრის[2] ჩემს აზრს ვწერ და ვსთხოვ მას, რომელ თუ რაიმე შემემთხვას, ის ჩემი საწადინელი აღასრულოს, რომელზედაცა მაქვს სრული იმედი უეჭველად აღსრულებისა, რადგან დრო არა მაქვს მიწერისა მისთვის თვითოეულად ვერ მოგითხრობ, თუ რას ვიწერები ჩემს ძმასთან, მხოლოდ გთხოვ მახსენო ჩემს ძმას დიმიტრის თუ რამე შეემთხვას, რომელ სათხოვარი ჩემი და მიწერილი აღასრულოს. კვლავაც გევედრები ნუ მიმცემ დავიწყებას და წმინდა თქვენ ლოცვაში მომიხსენებდეთ, რომლისათვსცა საუკუნოდ მსახურების ვალდებულ მყოფი იქნ.

ალექსანდრე ორბელიანი 1831 წელი 6 მარტის ბელასტოკს ქალაქსა

## № 251

### 1831 წლის 14 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუჱნო მაღალ ღირსებავ მამაო იონა!

უწინარეს ყოველსა ვისურვებ უძვირფასესა სიმრთელესა თქვენსა, შემდგომ მოვახსენებ თქვენს მაღალ ღირსებას მდგომარეობასა და ვითარებასა ძმისა თქუჱნისა და ძმისწულთასა. მარტის 6 სა ჩამოვიდა ძმა თქუჱნი სოლომონ[1] ჩემთან ივანეს სანახავად, რომელმანცა მომითხრა ყოველივე მშვიდობა და სათნოება. ძმანი, რძალნი, ძმისწულნი და ყოველნი ნათესავნი თქვენნი მშვიდობით და სიმრთელით იმყოფებიან. იოანე, ძმისწული თქუჱნი ტფილისის ღიმნაზიაში მივაბარე, სწავლობს კეთილად, გარდა მისსა მე შინ ვასწავლი, შინელი შევუკერე და ყოველნი საჭირონი სწავლისათვს წიგნი მოვუყვაჭრე. აჰა, მიზეზი სიღნაღისა სასწავლებელსა შინა მიუბარებლობ[ისა]. მასწავლებელმან მის სასწავლებლისამან მთხოვა ასი ოქრო წელიწადში, ე. ი. ას ოცი თუმანი ასიგნაცია, მე ნაკლებს ფასად არავის მივიბარეფო, ყოველს წელიწადს რომ ეძლიოს ას ოცი თუმანი, შეუძლებელ არს ჩუჱნგან. ამის გამო აქავე მივაბარე და თვთ მე ვასწავლი საკუთრადცა. ხოლო ძმა ამისი მიხეილ[2], ფრიად მცირეწლოვანი არს, ექვსი წლისა არის. შეუძლებელი არს ჯერეთ მისი სწავლისა დაწყება. არა რომელს სასწავლებელში ექვსის წლისას არ მიიღებენ. ყოველნივე მიებარებიან რვიდან თერთმეტ წლამდინ. მართალია მე წარსულს ავთრათში მოგახსენე, რომ ჩამოიყუანეს ძმა თქუჱნი სოლომონ, გარნა ახლა ჩამოვიდა და მითხრა ესრეთ მცირე არისო და დედას ვერ მოჰშორდებაო, მერვე წელიწადში როდესაც გადადგება, მიუცილებელად ჩამოგვრიო, მე თანხმობა მისი შევიქმენ, მართალიც არის, ვითარცა დამტკიცებენ სხუანიცა ყოველნივე მსწავლულნი, თქვენც საყუარელო მამაო თანხმა შეიქმნებით, რომელ ესრეთს მცირეწლოვანსა არ უნდა დააწყებინონ სწავლა, თვთ თქუჱნ უწყით მიზეზი ამისი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომელ მიხეილ ძმისწული თქუჱნი შეწევნითა ღუთისათა განსწავლულ იქმნების ყოვლითა ჰსწავლითა, უმჯობეს ჩემსა და სხუათა, ნურაოდეს წარმოიდგნეს, რომელ მე არა ვჰგრძნობდე კეთილობათა თქუჱნთა და მზრუნველობათა. მიუცილებელად აღვასრულებ ყოველსა აღთქმასა ჩემსა, უკეთუ შემწე მექმნას მეუფედ დიდებისა, რაოდენიცა შეიძლება ჩემგან, დავზოგ მეცადინეობასა შინა არა რომელსა ღონისძიებასა კეთილობათათვს მათდა, უმეტესად, რომელთაგან მე ვარ ესრეთსავე მდგომარეობასა შინა. ავთრათთა თქვენ-

თა მოუთმენელად მოველი ყოველსა დღესა, ვინაიდგან იგინი სულსა ჩემსა მწყურვალესა ჰზრდიან ტკბილითა მანანაჲთა — გოლითა.

წარსრულთა ავთრათითა შინა ჩემთა გთხოვე სახელნი თქვენდა თხზულებათანი და სხუათაცა წიგნთა ქართულსა ენასა ზედა თხზულთა, რომელნიცა საჭირონი არიან ჩემთვს, ისტორიასა შინა ქართველთა მწერალთასა, და საკუთრად ისტორიასა შინა თქუჱნსა, ეგრეთვე იყვნენ სხუანიცა ვედრნი, მიბრძანეთ ვითარ ინებეთ.

მე თქვენის ლოცვით მშვიდობით გახლავარ სახლობითურთ, თქვენი სულიერი შვილი.

სოლომონ დოდაევი
1831 წლისა
მარტის 14 დღესა.

**№ 252**

**1831 წლის 29 მარტის წერილი სოლომონ ხელაევისა
იონა ხელაშვილისადმი**

მის ღირსებას მოწყალეს კელმწიფეს მამა იონას!

უმდაბლესად მოხსენება თვისის ძმის სოლომონისაგან და რძლის მაიასაგან მოწყალეო კელმწიფევ მამაო იონავ.

მრავალს მოკითხვას მოგახსენებ და წმინდას მარჯვენას გეამბორები და სიმდაბლით თავს დაგიკრავთ ყოვლითა გულსმოდგინებითა ჩვენითა, ვსთხოვ დაუსაბამოსა არსებასა და თანამდებ ვარ მისდამი, რათამცა მოინებოს სიცოცხლე წელთა სიგრძეთა შინა ჟამთასა ფრიად ვართ დარწმუნებულ, ვიცით ჩვენს ამბავს მოიხსენებთ, მშვიდობით გახლავართ, დასასრულ ამას მოგახსენებ, კელმწიფეო ჩემო, რომელიც რომ გახლდათ ჩემი რძლის კაცი და თქვენი ძმა გიორგი ორჯელ გახლდათ თქვენთან და ჩვენ მაგისი მონატანი არ გვინახავს რა. როდესაც მოვა ონისიმე მღუდელთან ჩამოხდება და ან ფარჩა ექმნება ანუ ფული, იქ დაფარავს ფარჩასაც ჩემის ძმისწულების ჩასაცმელს და ჩემის ქალის ჩასაცმელს თავის სიმამრის შვილებს აცმევს და ჩვენი არაფერი არა გამოგვიჩინა რა. არც ფული და არცა სხუა რამე. მართალი არის ფული კი მოიტანა, მოტანილი ვნახეთ და შეჭმული კი ველარ ვნახეთ რა.

მეც მასასაცილოებს და ისე წვევს, კურთხევან ჰსჭამს და სუამს და იქავე ჰსძინავს და ოდესცა ალდგების ძილისაგან, წელლია ბოშათ დაჯდება ხოლმე. დასასრულ ამას მოგახსენებ კელმწიფეო ჩემო. ვსთხოვ ღირსებასა თქვენსა, რომელიც თქვენის სულის გულისათვს

ჩემთვს ჩემის ობლებისა გამოსაგზავნათ გინდოდეს ცალკე გამოგზავნიდე. და რომელიც გამოგიგზავნია ჩვენის ობლებისათვს ესე იგი არღა არის და მისი შინა ვთხოვთ თქვენს ღირსებას, რომ რაც ჩვენთვს გამოგიგზავნია ან ფული ანუ ფარჩა სოლომონ ივანიჩს მოსწერე და იმან გამოიძიოს ჩვენი საქმე.

მე ხათრით ვერა მიცნობებია რა ვერც თქვენთვს და ვერც სოლომონისათვს. ვთხოვ ღირსებასა თქვენსა, რომ მოსწეროთ სოლომონ დოდაევს, მან გამოიძიოს ჩვენი საქმე. ეს კაცი მე არას მომისვენებს და არას მაცხოვრებს მე ამ ქვეყანაში. ობლებსაცა დამაკარგვინებს. ასე სიტყვა ჩამოეგდო ობოლს გრიგოლს რომ ჯელსაც აღარ იძრავს. ვეხვეწები და არცა თქვენს ბრძანებას აღასრულებს. ჰსცხვენიან ავათმყოფობისა გამო, ვერა გჴლებია, ქალაქშიაც ჩამოვიყვანე, მაგრამ არ დადგა. თუ რამ გემეტებოდესთ და რამე ჩვენთვს გამოსაგზავნათ, ისე ცალკე გვიბოძებდე. რვა თუმნის მეტი ვერა მივიღე რა სოლომონის ჴელით. ვთხოვ თქვენ ღირსებას მოწყალეო ჩემო ქართულად მოგახსენებ და თავს გაწყენ, მაგრამ რა ვქნა თქვენს მეტი პატრონი არავინა მყავს. შემდგომ ამისა მოგახსენებ ერთი სიძე გვიშოვია სურვილათ ჩვენთვის კარგი ოჯახი შვილი არისო. ამავე სოფელსა შინა მცხოვრებელი დემეტრაშვილი ზაქარა მღვდლის ძე იოანე. ეს გამოგვიგზავნია შენთან და ამასცა ჰსურდა სამღუდელოთ ჰყოფნა, აღთქმა აქუს და ჩვენც მოვიმდომეთ. ამისთვს, რომ სამღუდელოთი იზრდებოდა და ჰსურდა მანდ წამოსვლა. ჯერ ბატონიშვილებთან და მეტადრე თქვენთან და ჩვენცა უნამეტნავესად მოვამდომეთ ამისი გამოგზავნა. და გიახლათ თქვენთან, რომ ჩემმა სახლისკაცმა თქვენი ნაბოძები არა გამოაჩინა რა ჩვენთან. მეორედ რომ გახლდათ, მოიტანა ორმოცდაათი თუმანი თეთრი ფული მოტანილივე ვნახეთ და შეჰშული კი ვეღარა ვნახეთ რა. არ ვიცი, საით წაიღო და ამას გარდა არა მოუტანია რა ჩვენთან არცა ფარჩა და არც არა სხვა რაიმე. ერთი ძველი მაუდის კაბა ივანეს მისცა და ერთი ძველივე კაბა შენს რძალს მოუტანა და იმას გარდა არა მოუტანია რა. რაც რომ მოიტანა იმისგან ცოლმა თავისთან დაჰფარა. ტანსაცმელნი და ქვეშაგები, ხალიჩა ფარდაგი, ჯეჯიმი, სამი საბანი, ეგრეთვე ბალიშები რაოდენიმე, სხვები რაშეები, წოსვლის დროს ახალმან სიძემან განიხილა და სამი მანეთი ესესხა განზრახ, გამოსაცდელათ ძმისა ჩემისა, თუმცა იგი სამის მანეთით კმაყოფილი გახადა. გარნა ვიდრემდის მიიღებდა კვლავად ვერცხლსა მას ყოველთვის მრისხანებად ჩვენთან და რა ჰსცნა მან ხსენებელმან სიძემან ჩვენთან, რომელ ფულსა მას ზედა შეადგინა დიდი ბრძოლა, მყისვე ამოუტანა და მისცა თვისი თვისადვე და სხუანი — ხოლო

ძველს სიძეს ხომ არაფერი არა მიჰყიდა არა რაიმე და ახალსა სიძესა ჩვენსას კი ესრეთ უქმნა და ჩვენ სრულიად შეგვარცხვინა.

თქვენო ღირსებავ, მამაო იონავ. უმოწყალესო ჴელმწიფევ. რა დავიშავეთ ამისთანა, რომ ჩვენ კი არა გამოგვიგზავნე რა და ჩვენი ძმა კი ყოვლისფრით აღადგინე და ემსხვერპლე. რაოდენი ჩასაცმელი და დასახურავი და ეგრეთვე ფული რაოდენივე და სხუანი. ამისთვის ძალიან გვმდური. როდესაც ეკლესიაში შევალ, მე შენთვის ვსწუხვარ და ვევედრები ღმერთსა და შენს მშვიდობას ვსთხოვ და ან ჩემის მოჴვედრისათვის თქვენ უწყით უჩემოთ. მშვიდობით.

თქვენი მშვიდობის მსურველი ძმა სოლომონ ხელაევი.
წელსა ჩყლა მარტის 29 დღესა.

## № 253

### 1831 წ. 21 აპრილის წერილი ფერისცვალების მონასტრის ბერისა იონა ხელაშვილისადმი

ქრისტე აღსდგა!

ყოვლად ღირსო მამაო იონა და ქრისტეს მიერ სულითო საყუარელო ძმაო.

აჰა ესერა მომვლოცველობ აღდგომას ქრისტესა და ძლევასა სიკვდილისასა და გამოხსნასა ჩვენს ფრთებისაგან მისისა და პასექობასა ჩვენს არა კრავთა ეგიპტურითა, არამედ ჩვენთვს დაკლულისა ტარიგითა[1] უბიწოთა ქრისტესითა, არა შინაგან კარვისა ტოზიკელთასა, არამედ წმიდათა შინა წმიდათასა, სადაცა განწმენდილნი ახლითა პასექითა ქრისტესითა, მივემთხვევით ზეცისა მეინახეობისა მისთანა სულიერად. ნუ ჰგონებ მამაო, რომელ აქამომდე თქვენ მიერ დავედრებულის უპასუხობა ჩემ მიერი დავიწყება ან უგულებელს ყოფა ანუ უდებება ანუ სხუა ყოფილიყოს მიზეზად, არა არამედ საქმისა მის უცნობელობა რაიცა დამავედრეთ საიდუმლოდ, და ვერცა ვპოე საცნობელი სიტყუა ანუ ჰაზრი, რათა ნანდვილად მეცნობებინა თქვენის ღირსებისათვს: თქვენგან წარმოტანებული არმაღანი ავთრათებითურთ, ვინადგან პირველსავე შემთხვევაზედ ვკითხე უფალს დოდაევს მუნებური ვინმე, რათა წარმევლინა უფალთა თვსთათანა ხსენებულნი ავთრათნი ვინადგან მან თხოვით თავს იდვა მათი წარვლინება, ამისთვს მასვე ვარწმუნე სრულებით, ძმისწულთა თქვენთათვის ვჰკითაე, რაჲცა თქვენთვს მოუწერიაჲ, მეცა იგივე მითხრა. არა სურვილი და

უზრუნველობა მათი თჳსი კერძო დიდი გულსმოდგინება, ხოლო ნაღვაწისა და ნათხზისა თქვენისთვის მკითხველსა მომიგო: წარსაგებელს კი არ გზავნის და მე რით ძალმიძს დატჳფრვაო ანუ დასტამბვა, გარეშე ამისა მე თვით მუნებურთა, ე. ი. მემალეთა შენთა აქა მყოფთა სამღვდელოთა და საეროთა და ვავედრე ძმათა შენთა თანა, რათა ეცნობებინათ ჩემთჳს მდგომარეობა სახლისა თჳსისა და მე თქვენთჳს მეცნობა თვითოეულად და ვერა ვსცან რა მათგან ერთ კერძო ესე ზემო ჴსენებულნი მიზეზნი იყუნენ დამაბრკოლებელნი თქვენდა წიგნის მოწერისანი და ერთ კერძო ზრუნვა თავსა ჩემისა ექსარხთან მონასტრად შეწყნარებისათვის, რომელმანცა დამაგდო სამი თჳს უპასუხოდ არზის ჩემისა, და ესე ვითართა დამაბრკოლებელთა მიზეზთა მამიზეზეს აქამომდე თქვენდამო უკაცრავად დაშთომა, რომლისათჳსცა ვითხოვ მოტევებასა. ვიცი ამისთვის არ გამგმობთ და არცა მომიძულებთ. რა მოვსულვარ სამჯერ თუ ოთხჯზის მინახავს იგიცა შუაშორის შემთხვევით უფალი დოდოევი, და აწ იქმნების უმეტეს სამისა თჳს აღირსად მინახავს, რადგან დიახ ხშირად დავდივარ ქალაქში, მსურდა კვლავად მეხილვა სადმე და მეკითხა ახლად და ვერღარა ვიხილე და ანუ თუ სად ვიხილავ მე მონასტრიდამ არ გავდივარ და იგი შკოლიდამ. მაქვს სასოება საყოველთაოდ კეთილ მწადნის სულისა თქვენისაგან ლოცვას შინა თქვენს არ დამიტევებდ და მოხსენებასაცა ჩემსა არ დააცადებთ მსხვერპლის შესწირავსა თანა, ვითარცა გაქვს ჩვეულება კეთილად წარმართებული. ჩე გეხსენებიდე მამაო სხვებრცა ძმობრივსა სიყუარულს შინა, რათა თჳთ სიყუარულმან ღმერთმან და მადლმან წმიდისა სულის მისისამან შეგვიკრიბნეს სანატრელსა მას საყოფელსა, წმიდათა მისთასა ამინ. ყოვლად პატიოსნის ღირსებისა თქვენისა უმრწმესი ძმა ფრიად გლახაკი სანთოებითა უღირსი ბერი [ხელისმოწერა გაურკვეველია] მოკითხუა ჰრქუჩ მამაო პატივისცემით და კურთხევის მიძღვანებით მათს ყოვლად პატიოსნებას ღვთისმოყვარეს მოხუცას მარიამს ზედ წოდებით მოლარას[2] თვისით მიმუაჰრიითურთ აქამომდე ეცოდინება თჳს საყვარელა თამარის გარდაცვალება, უკეთუ ურვოს ქმნილობითი და ნუგეშითი სიტყუა ეც უბადრუკ აღუმართებელად დაცემული დრანტი და ურსტი ადამ არა ღირსიევ. რომელ უღირსიევ ლოცუა კურთხევით მომიკითხე.

წელს 1831 აპრილის 21

ფერის ცუალების მონასტრადან.

## № 254

## 1831 წლის 28 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

ქრისტე აღსდგა!

თქუენო მაღალ ღირსებავ მ. მ. მ. იონა! უმოწყალესო კელმწიფევ·

ოჰ! თუ ვითართა სიხარულითა წარმოვიტყვი ლექსსა ამას, «ქრისტე აღსდგა» და მიულოცავ თქუენსა მაღალღირსებასა დღესასწაულობითსა დღესა ამას. სიხარული გამოიხატების გულსა შინა ყოვლისა ქრისტეანისასა და უმეტის ხარისხად ჰგრძნობს კაცი იგი სიხარულსა და შუებასა, რომელიცა ახლოს არს ქრისტეს თანა.. უკეთუ ვჰსწერდე სხუასა და არა თქუენ, მაშინ ძალმედუა სრულებით წარმოდგენა დღისა ამის. ხოლო რა ვჰსწერ კაცსა ბრძენსა და მეცნიერსა მახლობელსა ქრისტეს თანა, თანამდებ ვარ მხოლოდ თქმად — მოვმლოცველობ და ვისურვებ სულითა განგრძობასა წელთა თქუენთასა. სიმრთელით და კეთილდღეობით, და ვევედრები მას, ვითარცა ყოველს დღესა, რათა დაგიცვათ სიცოცხლით ორკეროძესა ცხოვრებისათვს, ამას სოფელსა შინა ფსალმუნისამებრ ბედნიერებისათვს ჩუენ სულიერთა შვილთა თქუენთა და შემდგომ საუხად სულთა ჩუენთა ყოველთა წმიდათა თანა..

დიდმარხუაში წარმოვიდა თქუენის ძმის სოლომონის სიძე[1] პეტერბურღში, უკანასკნელ კვირაში, მე მრავალი ვურჩივე წარმოუსვლელობა და ვჰკითხე საგანი, რისთვს მისდიხარ, არცა მითხრა და არც დამიჯერა, მე მივდივარ ბატონისშვილებთანაო, საქმე მაქუსო. მე მრავალნი მიზეზნი წარმოვუდგინე, რომ ტყუილი შრომა გექნება, გძელი გზა არის, იქ ვინ გაცხოვრებს, მამა იონა აქ მობრძანდება, ბატონის შვილები სხუა ღუბერნიაში მიბრძანდებიან. და სხუანი, გარნა არა რაი შეისმინა ჩემგან და წარმოვიდა, ეგე ვითარი უსმენელი ღირს არს უკანვე წარმოგზავნისა ეგრეთითავე ხატითა, ვითარცა წარმოვიდა თქუენს უკითხავათ, სხუებრ იყავნ ნება თქუენი.

ძმისწული თქუენი იოანე აღდგომის კვირაში შინ დამეთხოვა. მეცა ვაპირებ სასწავლებლების განსაჩხრეკად სიღნახს და თელავს ამ კვირას წარსვლას. ყოველსავე გარემოებასა საქმეთა ჩემთასადა მდგომარეობასა ჩემსა, ევრეთვე სახლეულთა თქუენთასა წვლილათ მოგახსენებ შემდგომ კახეთიდამ უკუნმოქცევისა ჩემისა.

მთავარმართებელი ჩუენი ივან ფოდოროვიჩი ღრაფ პასკევიჩი ერივანოვი დღეს გამობრძანდება თფილისიდამ ს. პეტერბურღად. მოწყალე მზრუნველი და ჰსწავლის მოყვარე, არღა ვუწყით, უკეთუ

მოვაკლდეთ გმირსა მფარველსა ჩუენსა. იყავ ნება ღფლისა საქართუელოსა ზედა.

მამაო საყუარელო და სასურველო! მიბრძანე ყოველნივე ვითარება თქუენი, მახარეთ ამბითა თქუენითა გულისა ჩემისათვს სასიამოვნოითა გარდმოავლინეთ კურთხევა თქუენი მწყურვალსა სულსა ჩემსადა, ჰყავნ შენდობა კაკობრიობისა ნაკლებობისა, უკეთუ იხილოთ აზრთა შინა ჩემთა, მშვიდობით.

სულიერი შვილი თქუენი ელენა მემცხედრე ჩემი მოგილოცავსთ დღესასწაულსა აღდგომისასა და თქუენს სიმრთელეს ისურვებს.

თქუენის მაღალ ღირსებისა
უმორჩილესი სულიერი შვილი თქუენი
სოლომონ დოდაევი
აპრილის 28 სა დღესა
1831 წელსა თბილისი

### № 255

### 1831 წლის 4 მაისის წერილი ბოდბელი იოანესი იონა ხელაშვილისადმი

თქვენო პატიოსან ღირსებავ მამაო იონავ მოწყალეო მამაო და საყვარელო.

შენი წიგნი მომივიდა ოკდომბრის თვის მოწერილი, რომელმან ფრიად მხიარულ მჰყო პირველ თქვენის მშვიდობისათვის, შემდეგ ჩემის ძმისწულის, გაბრიელის ამბის მოწერისათვის და მაგის თქვენგან ყურის გდებისათვის და იმის პატრონობისათვის დიდად გმადლობთ და მადლობელი ვარ. გთხოვთ, რომ თქვენი მფარველობა დაამრჩობლოთ მათ ზედა და ჰსწავლიდეთ და დაარიგებდეთ, რომ რიგიან მოიქცეს და ჰსწავლაზედ ბეჯითი იყოს და მოხალისე. მაგისი წიგნი მომივიდა შენს წიგნთან და ბატონის რძალსა და გაბრიელს ყალამქრის საბანი ეთხოვა, არ ვიცი ვისთვის უნდა. წიგნი მოვსწერე და თქვენ წიგნშიაც გამოვაცხადე ორი საბნის პირის გამოგზავნა. ქალაქს ის წიგნები რომ გამოვგზავნე, ფულიც გამოვგზავნე, დიდად ცდილიყვნენ. მთელი ქალაქი შეეკრიბნათ და ვერ ეშოვათ მისთვის, რომ აღარ შემოდის სპარსეთის სავაჭრო. ამ სნეულების მიზეზით და თვით დოდაევს სოლომონსაც მოეწერა, ვერ ეშოვნად. მისთვის ნუ შეწუხდება. როდესაც გაჩნდება, მაშინვე გამოვგზავნი. სახარჯო ფული რაც მქონდა გამოტანებული აქეს რამე თუ არა მომწერე და თუ შემოაკლდეს მომწერე და მოგართმევთ. ჰსწავლაში როგორ არის, ანუ

როგორც ჰსწავლობს. და ან მადლი აქუს ჰსწავლისა. მაგისი ამბავი მოსწერე მამა შვილობას. შემდგომ შენი ძმისწული და შენი სიძე[1] დავით ჯავახიშვილის შვილი ზაქარია მღუდელის შვილი დაგებარებინათ: ეს ორნივე გიახლნენ თქვენთან. ამ დიაკონმა ზაქარია მღუდლისშვილმან დიდად მოინდომა თქვენთან წამოსვლა. და გიახლათ ეს დიაკონი ხამდვილ. არის ზაქარია მღუდლის შვილი, რომელსაც სახელი ჰქვიან იოანე. და თუ ამისი ბედნიერება გინდა, მაგის მოწმობა მას უკან არის საჭირო. ჯერ ჰსწავლაში გაატარე, ასწავლე რამე. შემდგომისათვს სხუა იზრუნე. შემდგომ ვითხოვ თქვენის ღირსების წერილით მხიარულ მყოფდეთ ხოლმე. ჩემო საყვარელო ძმაო და მამაო.

თქვენი პატიოსან ღირსების მოსურნე
ბოდბელი იოანე[2]
მაისის დ დღესა 4
წელსა ჩყლა 1831

ჩემს საყვარელ ძმას სტეფანე დოდაევს სიყვარულითა და ღვთის მიერ ლოცვით მოვიკითხავ, და მის მშვიდობას ღვთისა მიერ ლოცვით ვთხოვ, რომ გაბრიელ ებრალებოდეს როგორც მაგის პატიოსნებას შვენოდეს, ისე თვალყური ეჭიროს და დარიგებას მისცემდეს ხოლმე.

## № 256

**(1831 წ) წერილი მეფის ძისა ასული ელენესი იონა ხელაშვილისადმი**

წმინდაო მამაო! პირველად თქვენს მშვიდობას ვისურვებ და შემდგომად გთხოვთ მიიღო შრომა პარასკევს და შაფათს დღეს ჩემთვის სწირეთ რომლისათვისცა რომ დიდად მადლობელი გახლდები. გევედრები, როგორც რომ თქვენვე ღუთისმოყუარულებისაგან ვიცოდე ისე მხურვალეს გულით შემავედრი ღმერთსა და ღვთისმშობელ მარიამს. მამაშვილობამ საწირავსაც მოგართმევ მასუკან. მე ცოტად შეუძლებლობის მიზეზი მაქვს ამ მარხვაში, სისუსტის გამო, მაგრამ ღვთის მოწყალებით და თქვენის მადლით ახლა უკეთ გახლავარ. გთხოვთ უმდაბლესად, რომ თქვენს წმინდას ლოცუაში არ დამივიწყოთ. წმინდაო. მარჯვენაზედ გეამბორებით. სხვებრ დავშთები მეფის ძის ასული ელენე[1].

## 1881 წლის 19 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

წმინდის და მაკურთხეველის მარჯუჱნას ზედა თქვენსა ვეამბორები და სულით ვისურვებ თქუჱნ სიმართელესა და მრავალსა წელსა სიცოცხლეს, ვინაჲდგან ყოველივე კეთილი მდგომარეობა და ცხოვრება მაქვს თქვენგან და შემდგომცა მოველი ამას. ყოველი კაცი ესრეთ აჰა ჰზრახავს: აჰა ჰაზრი, რომელიცა განმეცხადა დიდსა შეკრებულებასა შინა და თვით მე ამას ვგრძნობდი და მარადის ვჰრგძნობ, მხოლოდ ეს მეწუხება, რომელ ვერ შემძლებელ ვარ თანასწორისა მადლობისა გამოთქმად დიდ ფრიადთა მოწყალებათათვს, მზრუნველობათათვს, კეთილობათათვს, მფარველობათათვს.

შანშე ერისთოვთან[1] და სხუათა თავადთა და აზნაურთა მეცა ვიმყოფებოდი სტუმრად მიწვეული. მუნ შემოვიდა დეკანოზი აარონ[2], რომელიცა შემდგომ რაოდენისამე წამისა შეუდგა ფარულად გამოკითხვას შინა ჩემსა და მოვიდა, იწყო კოცნა ჩემი: შენ ხარ ნაშვილები მამა იონასიო — მკითხა. მიუგე — მე ვარ შვილობილი. ღმერთმან გაკურთხოსო. სთქუა ამან, მამა იონა არს ბრძენი. შენს მოსვლამდე მრავალნი ქართველნი იყვნენ და არავინ იშვილა, შენ შორის იხილა მან შიში ღვთისა და სიბრძნე, ამისთვს გიშვილა მრავალი წარაგო შენს ჰსწავლაზედ ან ყოველი მოგებული თვსის კონდაკით შენ მოგცა. ან ყოველი შენთვის უნდა. ეს სრულიად საქართველომ იცის, ძმებიცა ჰყავს, ძმისწულნიცა, გარნა ურჩნი. ღმერთმან აკურთხოს მამაო იონა, ღმერთმან გაკურთხოს სოლომონ დოდაევ და სხუანი.

შემდგომ იწყო ძმის თქვენის შემთხვეულებანი, თუ ვითარნი მწუხარებანი მოგცათ, თუ ვითარ მე მემუქროდა და სხუა. საგნად საუბრობის შეკრებულებას შინა შეიქმნა თქუჱნი და ჩემი სიყუარული ურთიერთა შორის.

მე აქამომდე აარონს ვერ ვიცნობდი და ვერცა იგი მე. მრავალჯერ მსურდა შენთან მოსვლა, შენი გაცნობა — მითხრა მან, მე ვსთხოვე ინებებდეს მობრძანებასა და სხუანი.

მოძღვრებათათვს, მამობრივთა სიყუარულთათვს და სხ. მე სრულებით ყოვლით თვსით თქვენგან ვარ და თქვენი ვარ. გარნა განმიკვირდა დაგვიანებამან თქვენის ავთრათისამან. განვლო მრავალმან დრომან და არ მივიღე ცნობანი თქვენის ვითარებისანი, და დამივიწყეთ მამაო საყუარელო? ნუ ინებოს ღმერთმან, არა რომელსა შემთხვევასა შინა არა მოველი მე ამას რომელ თქუჱნ ინებოთ ჩემი დატევება —

დავიწყება, ვინაიდგან თქუენი ვარ და თქვენგან ვცხოვრებ და დიდნი იგი მოწყალებანი და კეთილმოქმედებანი, რომელთა მიერ მე ვსარგებლობდი და ვსარგებლობ, არ განიკვეთებიან, არამედ განგრძელდებიან და განმრავლდებიან უმეტეს აღმოცენებად ნაყოფთა.

უსაყუარელესო მამაო! ორი კვირა მგზავრად გახლდი გორს და დუშეთს, ამასთან მთიულეთს, სადაცა ვიხილე მთიერნი, ვსცან თვსება მათი, ზნე და მდგომარეობა და აღვწერე გაზეთებისთვის. დროსა ამას იყო დღესასწაული წმინდის გიორგისა — ლომისად წოდებულისა 12-სა ივნისს, ვილოცე მთასა ზედა ლომისისასა და მოვიქეც ქალაქად. გზაზედ ვგონებდი, რომელ მოვალ დამხვდება თქუენი ავთრათი, გარნა არა, შევწუხდი. აღვილე რა კალამი გწერ ავთრათს ამას და ვის გწერ ანუ გეზრახები. ოჰ მამაო! ნუ დამივიწყებ — მახარე ამბითა თქვენითა.

მქისეყიდგან არავინ მოსრულა და სახლეულთა ჩუენთათვს არა რაჲ ვუწყი, შომავალს კვირას გიახლები მუნ და ყოველსავე განცნობენ ძმათა და ძმისწულთა თქუენთათვს.

მე სიმრთელით გახლავართ სახლობითურთ, რომელიც [ლოცულობს] თქუენთვს, თქვენი ცენზურობის პრაექტი მთავარმართებელმან წამოიღო, და არ ვიცი მალე დაამტკიცებენ თუ არა. მაგას ველით, რაწამ მივიღებთ, მყისვე ლექსიკონის ბეჭდას ვიწყებ.

მშვიდობით თქვენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი.

ივნისის 19 სა დღესა

1831 წელსა.

## № 258

### 1831 წლის 22 ივლისის წერილი მეფის რძალი ელენესი იონა ხელაშვილისადმი

სულიერო მამაო იონა! წმინდას მარჯვენას გეამბორები და თქვენს მშვიდობას ვთხოვ ღმერთს დიდად, ღმერთს ვმადლობ, რომა თქვენი მშვიდობის ანბავი გვესმის და მაგათი უმაღლესობის. თქვენი მადლი დაიფარამს. და აგრეთვე ჩვენცა თქვენი ლოცუა. ჩვენს ანბავს მოიხსენებთ, თქვენი მტერი იყოს შეწუხებული როგორთაც ამ ხმის გაგონებისათვს, ან ბატონის რძლისთვს ჩვენ ვიყუენეთ შეწუხებული. ეს ელდა მეცა, რომა ერთი კვირა სიცხეს მაძლევდა, და ბატონიშვილის როგორც იცით თიაქარისაგანა და წუხარებისგანა არა გეეგებოდა რა. აქ მოგვივიდა ნუგეში, რომ ბატონისშვილი ბაგრატ თვისის შვილებითა გადაგვირჩა ამ საშინელს სნეულებას. ბატონიშვილი რიფსი-

მეცა ახლო გვეგულებოდა, მწუხარებითა აღარ ვიყავით, ჩვენმა ცოდვამ არ მოგუასვენა. კურთხეულ არსო ღმერთი. გვს ჩვენთან ამდენის ტახჯის ღირსნი ვართ დავიტანჯებით მამაო. რაღა მოგახსენო ჩვენი მწუხარება, გთხოვთ თქვენს წმინდას ლოცუაში დაუვიწყებელი ვიყვნეთ და ღმერთმან ჩვენს შეწუხებულს გულს ნუგეში სცეს თქვენის ლოცვითა. და ღმერთს შეგვავედრე ბატონიშვილმა შესაბამის პატივისცემით სიყუარულით მოგიკითხა და წმინდაო მარჯვენას ამბორისყოფა ცალკე წიგნსაც მოგართმევო. თამარამა ეფემიამ და ერთობრივ თაყვანისცემა და წმინდას მარჯვენეს მთხვევა თქვენის ლოცვით ყველანი მშვიდობით ვართ.

თქვენი სულიერი შვილი მეფის ძალი ელენე ჩყლა წელსა
ივლისის კბ-სა ცარსკო.

## № 259

## 1831 წლის 30 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თქუენო მაღალ ღირსებავ მ. მ. მამაო იონა.
უუმოწყალესო კელმწიფევ და მზრუნველო!

წმიდასა და მაკურთხეველს მარჯუენასა თქუენსა ზედა ვეამბორები და სიმრთელესა თქუენსა ვისურნებ გულითადიერ.

ოჰ! რა მწუხარებაში ვარ მსმენელი გამოჩენილისა ხოლერისა, მგლოვარე გულითა ვევედრები მეუფესა ყოველთასა, რათა დაიფაროთ თქუენ, ყოველსა წამსა მღვიძარე და მძინარე გამოხატვასა შინა მაქუს გარემოება თქუენისა მდგომარეობისა და ვევედრები და მით ნუგეშსა ვცემ თავთა თვსსა.

აქამომდე შემდგომ მანდ ხოლერის გამოცხადებისა, მოველოდი ავთრათსა თქუენსა, და ვერ მივიღე, ხოლო მე ვიყავ დაშთომილ მდუმარედ ლოცუასა შინა.

მშვიდობით, ღმერთმან დაგიფაროსთ განსაცდელისაგან. გევედრები მიწრძანო მამაო უსაყვარლესო, ყოველი ვითარება და გარემოება თქუენი და ძმის ჩემისა სტეფანესი, რომლისაცა მფარველად, ნუგეშად და მზრუნველად თქუენც ბრძანდებით.

ჩუენ ყოველნივე თქუენნი აქ, საქართველოსა შინა მყოფნი, სიმრთელით და სიცოცხლით გახლავართ, ეგრეთუე საქართველოსა შინა

მშვიდობა არის და კეთილდღეობა, ღმერთმან ინებოს მანდაც ყოველი კეთილი, და თქუენ გამოგიხსნათ უფალმან ყოვლისა სნეულებისაგან. მშვიდობით. იყავნ წყალობა უფლისა თქუენ ზედა, ვითარცა მევესავ მას. მშვიდობით, თქუენი სულიერი შვილი სოლომონ დოდაევი.

იოსიპ იაკოლიჩის დუქნების ნამდვილი დოკუმენტები გამოგზავნეთ. კოპიოს მთავრობა არ ერწმუნება. კვლავად მითხრეს, რომ დუქნები კი არ არის დაგირავებული, მხოლოდ დოკუმენტები მიუციაო.

1831 წელსა
ივლისის 30 დღესა.

### № 260

### 1831 წლის წერილი მეფის რძალი ელენესი იონა ხელაშვილისადმი

მამაო იონა! თქვენი სულიერი შვილი წმინდის მარჯვენას გეამბორები და ღმერთს ვმადლობ თქვენის მშვიდობის ბრძანებისათვს. თქვენი წიგნი მივიღე ივლისის ოცდაცხრას, როგორც შვენის თქვენს კეთილ მოქმედებას და ჩვენს თქვენგან სიყუარულს ისეთი ლოცვა კურთხევა მივიღეთ. ღმერთმა შენი თავი გვიცოცხლოს და თქვენი ლოცვა კურთხევა ნუ მოგუაკლოს. თქვენის ლოცვით მწუხარებას გარდა მშვიდობით ვიმყოფებით ერთობლივ და როგორთაცა თქვენს პატიოსნებას შვენოდა, იმისთანა მწუხარებიანი და ნუგეშინის საცემელი მოგეწერა და ნუგეში გეცა. ღმერთმან გაცოცხლოს დიდად იამა ბატონისშვილს თქვენი წიგნი და გმადლობს, რომ ჩვენი აგეთი სიყუარული და ერთგულება და სიბრალული გაქვს, როგორცა შვენის თქვენს კეთილობასა და პატიოსნებას. ბატონისშვილის მშვიდობა და ალექსანდრესი მოგეწერა. დიდად უხარია ჩვენს შეწუხებულს გულს. ვმადლობ ღმერთს, რომა ეგენი მაინცა ღმერთმან განათავისუფლა და მაგათით მშვიდობით ანუგეშა ჩვენს გულს. ნიკოლოზ აქ არის და მშვიდობით სუყველა. დღეს ჩუენ მოვიყუანეთ ხოლმე, როდესაცა უჩენია არ არის. დედისა არ იცის რა და ვაფრთხილებთ, როდესაც ღმერთი მშვიდობას ინებებს თითონ ბატონიშვილი უბრძანებს. აქ გვეშინიან, რომა მიზეზი არა მიეცეს რა და უფრთხილდებით არ შაიტყოს. სტეფანე თუ ნახოთ ჩვენ მაგიერათ მოკითხვა ღმერთმან გაცოცხლოს და გაგაბედნიეროს, რომა ბატონისშვილს ალექსანდრეს აგრე უფრთხილდები. ღმერთმან კეთილად გარდიხადოსთქო. გავს რომა მაგისთანა კეთილობისა და პატიოსნების მოდგმა ქონია, რომ აგრე გამოადგა მაგათ. და ჩვენი სიყუარული ქონია აგეთი, ღმერთმან მშვიდობა მისცეს. და მაგიერი მაგითაცა შეაძლებინოს. მამა შვილობამა სულ თქვენი კეთილო-

ბა ვისაცა ხელი დასდე კარგები გამოვიდნენ და მაამებელნი. ვინცა მაჯვარი არის და კარგათა არ იქნების, რომ თავის დროზედა ამათცა არ შაიძლონ მაგიერი ერთგულებისა. ეგ სულ თქვენი კეთილი დამწუხრა, ღმერთმან თქვენი ლოცვა კურთხევა ნუ მოგვაკლოს, დიდა უხარიან ჩვენს გულს, რომა თქვენ მშვიდობით მეგულებით. მამა შვილობას თქვენ მშვიდობის ანბავს ნუ დამაკლებ ბატონიშვილს დიახ იამება თქვენი მშვიდობის ანბავი და თქვენის წმინდის ლოცვაში და უვნებელი ვიყვნეთ და უძლებელი. მამაო წმინდაო თქვენი სულიერი შვილი მეფის ხძალი ელენე.

## № 261

### 1831 წლის 9 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა იოანესადმი

მაღალ ღირსო მამაო წმიდაო იოანე! ქრისტე ღმერთისა მიერ ამბორებას მომართმევლობ თქვენდამო.

მოიხსენეთ მამაო წმიდა თქვენი ქარტა უკეთილეს მოწლეობით მოვიღე სეკდემბრის 16 დღესა წარმოცემული მოკლ სიტყუაობით დაქსული დია ეგულითადესთ. ამას ზედა გმადლობ, მაქებ-მადიდებელი თქვენი მე ესე არიან საკვირველმან ჰყოს წყალობა თქვენ ზედა, რომელთა აღმოეცენეთ ივერიასა ძე ეგე თქვენი უსაყვარლესი, რომელი წარსრულთა წელთაცა თქვენთა აწმყო და მყოობადი სიხარულად მოგიქცევსთ მხიარულებისა რქად და გექმნების მზრდელ. გიხაროდენ ენებითა უშტის უშტთა და უშქარი უშქართა ბევრი უბევრეულესებითა. დასასრულ ძესა თქვენსა შევთხოვე გრიგორისთვის თანა მიღება წარსაგებლობითა ჩემითა. ამად თქუნვე შეგვედრებ, რათამცა მიიღოთ შრომადა ძისა თქვენისა სოლომონ მოწერისაებრ ძმა ჩემი სოლომონ განაღვიძეთ და შთაგზავნეთ გრიგოლ ობოლი ძისა თქვენისათანა ტფილისად, ვითარცა მოვსწერე სოლომონს ძესა თქვენსა.

მომიხსენეთ, ძმასა ჩემსა თვთ თქვენ აღმოუკითხეთ წერილი ჩემი და აღესრულებინეთ შთაეყუანა გრიგორის. ავასხეთ ღმერთსა და მიიღეთ სასყიდელი ღვთისაგან. მოიხსენეთ მამაო წმიდა 1. დავშეერ მე და არა იქმნა 2. დაშურა არხიმანდრიტი ნიკოლოზ, ნათესავი ჩემი თელაველი, გარნა გაუქმდა 3. დაშვრ თვთ ეგზარხი იონა და არ შთაგუარეს სემინარიაში შვილნი თვსნი 4. დაშვრა ნიკოლაოს ფალავანდოვი და ვერ წარმართა საქმე ეგე. 5. დაშურა ნეტარსახსოვარი იოანე პროთაიერეი ბაზიეროვ და დაუშთა შეუსრულებელ 6. დაშვრა ერის-

თოვი გიორგი. 7. დაშვრა ბოდბელ მიტრაპოლიტის ძმისწული მამა გაბრიილ. 8. დაშვრა მამა დავით ხატიევ და 9. დაშვრა თავადი თომა ანდრონიკოვ და 10. დაშვრა ბრწყინვალე თავადი იოანე ანდრონიკოვი. 11. დაშვრა არხიმანდრიტი ვაჩნაძე, 12 დაშვრა სვიმონ ვაჩნაძე და ყოველნივე ათ ორნი ზემოთა გულსმოდგინება გაუქმდა, ესერა მეათსამეტემ ძემან თქვენმან იწყო რომელმანცა უწყის ძალი და სიბრძნე საქმითი აღსრულებად.

მამაო წმიდაო ირწმუნეთ უკეთუ შთამოგზავნიან გრიგოლსა გამოვისტუმრებ ძმასა ამას გიორგის და წერილით წარმოვატან მამულისათვს მოსავაჭრებელსა. ოდეს ვიცნობ შთასულსა გიორგისსა.

სხუებრ დავშთები თქვენის წერილის მომლოდინე ლოცვით აღხსენებად თქვენდა და რათაცა მოსამსახურს მიბრძანებდით.

მღვდელ მონაზონი ი.

წელსა 1831
თ სეკდემბერს

## № 262

### (1831 წ.) წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი

მაღალ ღირსო მამაო იონავ! წმინდას მარჯვენას სურვილით გიამბორებით. ახლა მამაო მიხაილიცა[1] გთხოვსთ ჩემი ძმა და მეცა გთხოვ მამაშვილობას საჩქაროთ შეგვიტყო ეს საქმე: ლამბარდში ჩვენ ორთავ გირაოები გვაქვს, ხოლერა მანდ რომ გაჩნდა, მაშინ ბრძანება გამოვიდა, ვისაც გირაო აქვსო და ამ სნეულების მიზეზათ ქალაქს გარეთ არიან, იმათის ბილეთების გამოცვლის დრო რომ მოვიდეს, ნუ გაუყიდით, რამდენიც ხანი გადასცილდეს, იმისი სარგებელი გამოართვიო და ნუ გაუყიდით ნივთებსო, ვიდრე კიდევ მეორეთ ბრძანება არ გამოვიდესო, ჩვენს ბილეთების ჩემიცა ან მიხაილისა ყავლი გავიდა, ვერ შევიტყვე როგორ არის ეს საქმე.

ღვთის გულისათვს მამაო იონა, მიხაილიცა გთხოვს და მეცა, გაისარჯენით, თითონ თქვენ მიბრძანდეთ ლამბარდში, გამოიკითხოთ წვრილად ამ გირაოებისა და დროზე ბილეთის გამოუცვალებლობის ამბავი და წვრილად მოგვწეროთ მამა შვილობას. რომ ნივთები არ დაგვეკარგოს. მათს უმაღლესობას დედოფალს[2] ჩვენ მაგიერად მდაბლად მოკითხუა მოახსენე. მიულოცე მშვიდობით შემობრძანება, ანა-

სტასია[3] ბატონის ძმლის უძლებობა გუესმის. დიდა ვწუხართ, ჩვენ მაგიერად და შენის მოწაფის მაგიერად სიყუარულით მომიკითხე ღმერთსა ვთხოვთ მაგის მშვიდობას. შენს მადლოს, კიდევ ამას გთხოვ, რომ ამ წიგნის პასუხი არ დაგვიგვიანოს, საჩქაროთ შეგვატყობინო დაუმყონებლად: როგორ არის ბრძანება გირაოების ბილეთის გამოცვლის ან ახალი ბრძანება ხომ არა გამოსულარა, ლამბარდში შეიტყვე და საჩქაროთ მოგვწერე წმ. მარჯვენას სულიერად ამბორს მყოფელ.

თქვენი მეფის ძე თეიმურაზი[4].

## № 263

### 1831 წლის 21 სექტემბრის წერილი მეფის ძის მიხეილისა იონა ხელაშვილისადმი

ბარათი მეფის ძის მიხეილისაგან.

მამაშვილობას მანდა ლამბარდში დაგირავებული მაქვს ბრილიანტის საათი თავისის ბრილიანტის ჯაჭვითა. ერთი ბრილიანტის ყვავილი და ერთი ბრილიანტის თაბაკერა. საათი სამოც თუმნათა, ყვავილი სამოცდა თხუთმეტ თუმნათა და კოლოფი ორმოცდაათ თუმნათა. ამეების ბილეთები და ათი თუმანი ერთი მოგართვი აქამდინ საგზებელი უბოძეთ და ბილეთები გამომიცვალეთ საჩქაროთ. რომ არ გამისყიდონ და ბილეთები რომ გამმოცუალოთ თქვენვე შემინახეთ და მალე მაცნობეთ.

1831 სექტემბრის 21 სა დღესა.

## № 264

### 1832 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი

უმაღლესისა მეათსამეტე მეფე გიორგის ძე ოქროპირო.

იმრთმევდეთ ესე მცირე ძღვენი არმაღანი. საღმრთო წერილებთა ახლისა და ძუელისაგან მოძღუანებული, რომელსა მომრთმევლობ თქუენთა მშობელთა, უმაღლესთა მეფეთა, მოწყალებით აღზრდილი მეორე მეფე ირაკლისაგან და შემდგომ მის უმაღლესობისა ძისა მისისა, უმაღლესისა მეფე გიორგისა, რომელ აღმზარდეს მათ,

ნეტარსახსოვართა პაპამან თქჳენმან და მამამან თქჳენმან ახლითა და ძჳელისა აღთქმაებითა, რომელთაცა მიზეზითა კურთხეულმან ალექსანდრე იმპერატორმანცა წარმავლინა წმინდა ალექსანდრეს აკადემია'ში, ხოიშნობითარე საქართველოს მემკვიდრე დავით, მეფისძის, უგანათლებულესისა ძმისა თქჳენისათა ნეტარს ხსენებულისა, რომელმან ორთა კურთხევით სახსოვართა მეფეთა წყალობანი განმიახლა, კურთხევით სახსოვარმან დავით, მეფის ძემ, და ყოველთავე მეფეთ ძეთა და ასულთა, აქარე მობრძანებულთა თავმოციქულისა სახელსა ზედა პეტრეს დიდისა დაშენებულ ქალაქსა შინა ყჳსს წყალობანი თჳსნი, ჩემდა მომართნი. რომელნი აღწერილ არიან ცათა შინა თითოეულთა საუნჯედ.

ესერა უგანათლებულესო, ოდესცა გიახელ აქარე მეათცხრამეტისა საუკუნო საუკუნოჲსა მეექვსესა წელსა, იანვრის კ-ს, უგანათლებულესმან მიხაილ, მეფის ძემან, მიმიღო თჳსსა სახლსა შინა და მზრდიდით და წყალობას ყოფდით ჩემზედა, ვითარცა ძმანი თქჳენნი უგანათლებულესნი, ეგრეთჳე თქჳენ, მცირე წლობისა ჟამსა; უგანათლებულესი ილია, მეფის ძე, რომელ სულიერად და მოწაფეთა და შემძინა ხუასტაგნიცა, რომლითაცა შევმზადე ექვსასისა თუმნისა ხატი მაცხოვრისა მძიმედ მოოჭვრილი სპეკალებითა ფერად-ფერადითა.

აჰა, ზემო აღმხსენებულმან, მრავლის სახით და მრავლის კერძოთა, ფერად ფერადისა, წყალობაებისა ვღაღადებ ბრძანებათა სული წმიდისა. ჴელითა მეფსალმუნე მეფე პორფიროსახისა დავითისათა აექვინ ენაჲსასა ჩემისასა უკეთუ დავივიწყო წყალობა იჳჩრიისა თქჳენისა მეფეთი და თქჳენ ყოველთა ძეთა და ასულთა უგანათლებულესთი დაივიწყნეს მარჯჳენე ჩემი მაღალმან უკეთუ დაგივიწყო თქჳენ ყოველნი, ცასა ქჳეშე მყოფნი და მლოცუათა, რომელთაცა შეისმინეს. აჰა ესერა ძეო მეფისაო, მე ვლამოდი მცირე ქარტითა მოლოცუათა გარნა კაცთა შორის ჴორცთა შინა ანგელოსმან უგანათლებულესმან ლუარსაბ პაპისა თქჳენისა ძის ძემან, მეფის ძის იულონის ძემან, ლუარსაბ უგანათლებულესმან მიბრძანა, რათამცა წმიდისა ჩუენისა მართლმადიდებელისა ქადაგებისა შემზგავსებულად ვჰქმნა წიგნად საუკუნოდ, დაშთომად აღმომკითხუელთა. კნინღა და მატიანედ, ცხოვრებად თქჳენად და ცხონებად ჩემ გლახაკისა მკცე მემხოლოისა სახელითა თქჳენის უგანათლებულესისა თანახსენებად ჩემ, მლოცუელ-მწირუელისაცა გებად იონა გლახაკისა. ესერა საღთო მემსხუერპლეობისა გამო გავმბედულობ მომლოცუელობასა თქჳენდამო, ძეო მეფისაო, უგანათლებულესო, ოქროპირო, ვენახსა შინა ეკლესიისასა, დანერგუასა მეუღლითურთ; საღვთო საიდუმლოჲთა აღორძინებად სქეს-

თა მეფისა თქჳჱნისა კურთხევით, სახსოვარისასა გებად ქრისტეს ეკლესიისა ვაზებად, ვიდრემდის ეგოს მეორედ შობილი, კაცი, ქჳეყა-ნისა სფერაისა-ზედა რათამცა ენთებოდნენ ლამპარნი უმაღლესთა მეფეთი, ესე იგი ნათესავნი, მეორედ შობის ცხებულებითა და უგანა-თლებულესობისა ტიტულითა.

ეგრეთჳე უმაღლესსა დედოფალსა საქართჳელოჲსა, მარიამ გი-ორგის ასულსა, მოულოცთ, დედასა თქჳჱნსა ღმერთმან, აბრაამ, ისააკ, და იაკობისა მართალთა პატრიარხმან მხიარულ ჰყოს ქორწი-ნებითა თქჳჱნითა და თქჳჱნგან აღმოცენებულთა ძეებ, ასულებითა, რომლის გულსა განვლო მახვილმან მწუხარებისამან მრავალ-ბერიულ სახედ; რომელი მიერითგან სჭამს პურსა ცრემლითა. ფსალმუნისაებრ და სუამს ცრემლითავე, გარნა სრულად ითმენს ქრისტეს მიერ, დიდ სულგრძელებითა და ნაკარგთა მათ, რომელთა ფას-დება არ ძალუძს სრულიად სოფელსა, გარნა მხურვალე სიყუარული ღვთისა და შვილ-თა და გამოზრდა თჳსისა ერთს; მწირმმსხემთი და გლახაკთა და უპო-ვართი, რომელთაცა გამოზრდა და მადლი ღვთისა სცავს უმაღლესსა დედოფალსა, დედასა თქჳჱნსა, ძეო მეფისას, ოქროპირო, უგანათ-ლებულესო ეგერა განამკაცრეთ მეუღლე შენი, უგანათლებულესი მეფის ჰსძალი, [ანნა პავლეს ასული] რათამცა დედასა თჳსსა უმაღ-ლეს დედოფალსა მარიამ გიორგის ასულსა, მოხუცებულობა სიყუა-რულითა თჳსითა და მსხუარებითი პატივისცემითა მორჩილებითა თჳსითა მოუქციოს დღენი იგი, ოდესცა იხარებდა და იშჳებდა გჳრგჳნოსანი სახლსა ზედა ქართლოსისასა და ოსიანთა და კავკასიისა და ერევანისა და განჯისა და სულთნებისა და ერისთავებისა და ელე-ბისა და სხჳათა და სხუათაზე, რომელ არა შვილნი მისცემენ ზეგარდა-მო კურთხევასა, არამედ მშობელთაგან იკურთხევიან შვილნი და ჰსძალნი.

ეგ სახედჳე მომლოცუალობ თქუჱნდამო, უგანათლებულესნო ძენო მეფისანო: ილია, კაცო ღმთისაო ირაკლი, ეკკლესიისა შემამკო-ბელო, და ასულო მეფისაო, უგანათლებულესო სახე მონოზნებისაო დედათა შორის, ბრძენო თამარ, მონაცვლეო წმიდა მაკრინა მეფის ასულისა, რომელი უგალობს ეკკლესიასა იჳჱრიისასა.

თქჳჱნი მარად მლოცველი იონა.
მღდელმონოზონი, წელსა 1832-
სა, თჳესა იანვარსა

იონას შენიშვნები: ყოველ შენიშვნას ამტკიცებს თავისი სახე-ლის ჩართვით.

პაპა ელლენურ მამა ქართულ ბაბუა იონა

ახალი აღთქმა ეწოდების ოცდაშვიდთა წიგნებთა. იონა

ძუელი აღთქმა ეწოდების ოცდახუთთა წიგნებთა. იონა.

[აკადემია ელინურ უაღრესი სასწავლებელი სახლითურთ სულიერთა ძეთი იონა].

პეტრე ელლინურ კლდე. იონა.

ანგელოსი ელლინურ მომთხრობლი. იონა

სფერა ელლინურ ქართულ გიმატი ბურთი სახედ ქუეყანისა მრგვალი. იონა.

ეკკლესია ელლინურ ქართულ შესაკრებელი ტაძარი, საყდარი. ერი მიყრდნობილი სიმოკლოთა ღვთისა მიმართ. იონა.

ტიტული ელლინურ ლათინურ ქართულ ხარისხი აღრკალი. ღირსება, კიბე და ართრონი იონა.

აბრაამ — მამა მრავალთა ებრაელ. იონა.

ისააკ გაცინება ებრაულ. იონა

იაკობ განწისვნელი ებრაელ. იონა

პატრიარხი ელლინურ მამა მპირუმლობითი ესე იგი მამა მათა, რომელ არს მდაბიურ, იონა

მწირი უმამულო. იონა

მსხემი უცხოებასა შინა მყოფი. იონა

იონა ტრედი ებრაულ

მონაზონი ელლინურ ქართულ მემხოლოე. იონა.

## № 265

## 1832 წლის 7 აგვისტოს წერილი იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

თ. მ. ღ. მ. ი.

თაყვანის ცემას მოგახსენებ და სიმრთელესა თქვენსა ყოვლად ძლიერსა ღმერთსა ვთხოვ, თქვენი ავთრათი მებოძა, რომელსა შინაცა მიბრძანებ ცნობასა მდგომარეობასა სახლეულთა თქვენთასა. ყოველნივე სიმრთელით გახლავარ სოლომან, გიორგი, ივანე, გრიგოლ, სძალნი მარიამ, ატატა, მართა, კონია, მარიამ, მიხეილ, ნოდარი, დიმიტრი სიმრთელით გახლავან. ასული სოლომონისა გარდაიცვალა სალომე ხუთის წლისა და სვიმონ წელ ნახევრისა. სხვანი ყოველნივე მშვიდობით გახლავან. გარნა ძმა თქვენი სოლომონ, მოვიდა ჩემთან და ფიცით მოგახსენა. გიორგიმ რაც მოიტანა არაფერი არა მაჩუმნაო. რაც ძველი ვალი იყო ის მოიშორა. და რაც ის იქ წავიდა, და მე ვალი ავილე ან სახლისთვს ან სახელმწიფო ხარჯისათვს ის არ მომაშორაო. ჩემთვს ვიშოვნიო, ნეტავ ჩემს ძმას უმადლიდეს ასე, ამბობსო ბატო-

ნისშვილებმან შიბოძესო. ჩემს ამბავს და ვითარებას მოიხსენებთ,. თქვენის ლოცვითა ყოველნივე სიმრთელით გახლავართ. შემდგომ ამას გთხოვ სტეფანეს მიხედო, ვითარცა სოლომონს და მიიღოთ ღმრთისა მიერ ერთსა წილ ასი და ცხოვრება საუკუნო თქვენო უმრწმესი ძმა და მარადის დაუვიწყებელი წმინდას წმინდათადმი.

ჩყლბ სა წელსა
აგვისტოს ზ სა დღესა მღვდელი იოანე დოდაევი
ქიზიხიდამ მალაროელი.

## № 266

### 1833 წლის 17 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ძმისწულ იოანე სოლომონის ძისადმი

ჰოი ღვთის მოყუარეო ძმისწულო ჩემო იოანე ძეო სოლომონისაო. აჰა ესერა წიგნი დავწერე სამოძღვრებელად შენდა, რომლისა კითხვა დღე და ღამე მიგიყვანს წინაშე ღვთისა და მარადის მსახურ გყოფს ცისა და ქუეყანისა შემოქმედისა მიმართ. რომელი მხოლოდ შობილისა ძისა თჳსისა ასოდ გყოფს და სულისა წმიდისა თჳსისა ტაძრად გიჩენს. და მადლით ძედ თჳსსად აღგრიცხავს. ცათა შინა სუფევად. რომლისა მეძიებელნი მდიდარნი ნებსით იგლახაკებენ თავთა თჳსთა. და მეფენი გულისწყრომათა თჳსთა მარადის ამდორებენ. და სიკვდილისა თანამდებთა მიმნიჭებლობენ სიცოცხლეთა, რათამცა თჳთცა მიიღონ მიტევება ცათა შინა ცხოვრებად იესო მაცხოვარისაგან კეთილად დამწყესელთა ცხოვართა.

ხოლო მთავარნი და მეწესენი მეხარისხენი დადგინებულნი ფუცავთ დადგრომილ არიან მარჯუენით გლახაკთა ერისათა განრინებად. მდიდართა შეურაცხსი მყოფელთაგან და ამპარტავანთა მაყვედრებელთაგან. და აწრობენ ცრემლთა ქვრივისათა და პარვენ ობოლთა ძიღებად ცათა შინა ცხოვრებისა ქრისტე ღვთისა მიერ.

არხიერნი, პრესვიტერნი და დიაკონნი დიდ ფრიად მნეობენ სულისაგან წმიდისა დადგინებულნი, რათამცა ცხოვარნი ერთპამად კრავად წარუდგინონ დღესა მას ზარის საკდელსა სამსჯავროსა შინა. ამისთვის წმიდა ეკკლესიათა კართა განმღებელ არიან. მიმწუხრი, განთიად და შუადღე სალთო საძოვრისა დანეცვად ახლისა აღთქმისა მდინარისაგან რწყვითა რომელ არს ქადაგება. და ჯუწლისაგან დამტკიცებითა, რომელნი უხილავთა მთავრობათა დევნიან და სთრგუნვენ მოუკლებელისა ლოცვითა და მარხვითა და ხილულთა მგელთა წვა-

ლების მთავართა და მოსარჩლეთა მათთა ცოცხალ სიტყვითა ერთისა და ორისათა ოდენათ წარიქცევენ და სამწყსოთა ქვრივთა ნუგეშის-ცემლობენ. და ობოლთა ზრდიან საღთო სჯულისა სწავლითა. და მშობლებთა დამორჩილებასა აწვავებენ ჰაბუკთა ძეთა და ასულთა და წმიდად მიგებებასა ქორწინებისა კურთხევისასა ახალ ნერგთა, რომელნი უქადაგებენ სახლებთაცა შინა და უბნებითაცა ზედა. და შუკათა შორის, რათამცა ყოველნი სახლეულნი იყვნენ წმიდა. დამ-ლოცეს დამარხულ სიყვარულითა ღვთისათა. ურთიერთისაცა შემუ-კრებელ და მტერთაცა. რათა არა იპოებოდეს მათ შორის მეძავ და მემრუშე. და მპარავ და მტაცებელ, რომელთა ზედა მოიწევს რისხვა ღვთისა და ქალაქნი და სოფელნი, დაბანი და სანაკები ივნებენ ოთხი-სა მახვილითა რომელნი არიან სიყმილნი, წყლულება, ესე იგი სიკვ-დილი დიდი რომელ არს მრავალთა მოსვრა. და ზედასხმა მტერთაგან და განგრძელება ბრძოლისა და ტყუჱობა მწარე და მონაგობთა იავარყოფა, ამისათვს სულიერ მწყემსნი ჟამითნი უჟამოთა ცხოვართა ქრისტესთა მოუთხრობენ წყალობასა ღვთისას კეთილმოქმედებათა წილ. და რისხვასა სასტიკთა ბოროტთა ზედა. რომელ ერთი ბოროტი კაცი სახლეულთა თვსთა ცოდვილ ჰყოფს. ამისათვს ამხილებენ, შე-რისხვენ და შენანებულსა შეიწყალებენ. და მეძავსა და მემრუშისა, მპარავსა და ანგაარისა და საიდუმლოდ და ცხადლივ მცოდველთა სა-ხლებთა არა შევლენან, ვიდრემდის არ შეინანონ. არას სჭამენ პურ-სა მათსა. ღვთის მოშიშნი განკრძალულნი სულიერნი, რომელნი ორის ნაწილისა ღირს არიან. ესე იგი ჟამიერად სათნოდ ქრისტესა ცხოვ-რებითა მერმისა ცხოვრებისაცა მემკვიდრე იქნებიან. ნებისა თვსისა დამამორჩილებელნი ნებისა მაცხოვრისასა.

ეგრეთუჱ კეთილმსახურნი მეერქუნენი და მუშაკნი უაზნონი თვსისა საკუთარისა პირისა ოფლითა ზრდიან თავთა თვსთა და სახ-ლეულთა და ეკკლესიათა მწყემსთა სულიერთა, რომელთა ოფლთგან პური და ღვინო გამოიღების. ქუჱყანით ესე იგი მიწით შესაწირავად წინაშე. საშინელისა ღვთის და მშვიდებად ძღუჱნთა მირთმევითა სუ-ნად სუნნელად.

ესერა უაზნოთა მუშაკთაგან აგარაკები, ველნი, ტრამალნი მინ-დორნი და ბარნი და სერნი და ღელენი და ბორცვნი და მთანი ნა-ყოფებ გამომღებენი მოისთვლებიან დღე და ღამე მდუღარისა პი-რისა ოფლებითა, რომელთა ჴელთაგან ვიზრდებით თვთ მემხოლოენი-ცა და მჴმილავი მჴედრობა და უფროსლა მეფენი და მთავარნი და აზ-ნაურნი და ქვრივნი, ობოლნი, ჩჩვილნი და სნეულნი და მოხუცებულ მიხრწნეულნი და უუმეტესად გლახაკნი მწირნი, მსხემნი და უცხონი, დაწუნებულნი, ჰირუჱულნი, და უღირსნი ჴმევისა მკონარნი. და

განშანზნეველნი არა კეთილთა ზედა, არამედ უკეთურობათა შინა. ჭაბუკნი ლირწნი, და ჯოშნი მსახურნი მთვრალობასა და ანკანაკობისა, რომელ თვთ პირუტყვთა მორჩილთა და ნადირთა და ფრინველთაცა კეთილ მსახურნი მუშაკნი ზრდიან. რომელთა ამიერი სოფლისა მდი-დარნი უწოდენ გლახაკსა. გარნა იგინი არიან რჩეულ იაკობ თავი 2 მც. 5. 6. რომელთა პირისა ჴელებითა განძლომილ არიან ეს მრავალ ქალაქები, რომელთათჳს ილოცავს ეკლესია ქრისტესი. ნაყოფთა გამოღებასა მშრომელთათჳს და ნაშრომთა მათთათჳს კეთილშეზავე-ბასა ჰაერისასა. რომელნი სადაცა იშობებიან და ნათელს ღევებენ მუნვე ცხოვრობენ, დღე და ღამე მუშაკობითა მშობლებთა და წინა-პართა საფლავებთა მჭვრეტელნი, მომხსენებელი მათდა არიან. და სურთ გვერდით დაფლვა მათთანა. დამტეებელნი ანდერძისა დეეფლ-ვან თჳსთა მშობელთა ფერჴითა ქჳშე. დატირებული ყოვართაგან და საყვარელთა მეზობლებთაგან. განმზადებულნი საუკუნოსა საგზალითა საიდუმლოთა და ზეთითა და ლოცვითა ამით. ღმერთმან დაიცვასთ მოსლვად ჩემდამდე, ესე იგი ვიდრე ყოველთა აღდგომამდე. თესლი-თი თესლადმდე უკუნით კურთხევით ღვთისაგან. ერთბამად სახლეულ-ნი და სრულიად მოუყვარნი. და მეზობელნი და გუარნი და ნათესავნი და ყოველნი მართლმადიდებელნი. და მღუდელნი და ერნი. და მეფე მფარუჱლი ეკლესიათა. და მამულისა მცხოვრებთა და საფლავებთაცა განმანთავსუფლებელი და მტერთა უკუნქცევითა და ანდერძებისა დამტკიცებითა.

აჰა, ესრეთ მუშაკნი, სოფელნი, დაბანი და სანახებისა ორნი მე-ძიებელნი სასუფეველისა ცათა შინა და მამულისა განძლომისა ცათა შინა მკვიდრდებიან დღე და ღამე, რომელნიცა პირისპირ ქალაქებთა კაცთა კნინლა და უმანკო არიან და დიდთა ცოდვაებთა სახელებისაცა სმენისაგან უცხო და უბიწო და უყვარულ ცეცხლთა. რომელთა შორის ჭაბუკნი და ჭაბუკანი სალთო ქორწინებითა აღორძინებულ რომელ-თაცა სიმდიდრე მიწა და პირუტყვნი არიან. და ღვინო და პური, რომლითაცა აკურთხა ღმერთმან აბრაამ, ისაკ და იაკობ. რომელთა წიაღსა შინა ვედრებისა ღვთისა ეკკლესია წმიდა განსუჱნებასა გლა-ხაკთასა და მდიდართა და მთავართა და მეფეთა განსუჱნებასა ცათა შინ გარდაცუალებულთათჳს.

იხილე იოანე ძეო სოლომონისაო, ჴელითა ჩემითა მსახურება ჩემი შენდამონი პირუჱლად სწავლითა ორთა ენებთა ზე ქართულსა და რუსულსა ზედა. ძალისაებრ ჩემისა ზეგარდამო. ყოვლად წმიდისა სულითა. ევრეთუჱ ნოვაგებითა და საწმისებითა ზომიერ მჰსგავსად მარხველთა, რომელ მოსწავლეთა არა ჯერ არს ტომაქის აღვსება დატენათ ფერად. ფერადისა სანუკარებითა, რომელნიცა გრძნობასა

დასტვირთავენ და მიზიდვენ ძილად იძულებით. ეგრეთუე მექუეყნეთა ჩუენთაცა ვჰსახურე უწინარეს შენსა მოსრულთა პეტრე დიდისა ქალაქსა ამას შინა, რომელთა დამიტევეს მე ქარტა სიტყვითაცა. ნუ შერაცხებისთ განყინვა სიყვარულისა ცოდვად, აჰა, მათ ზედა წარვაგე სალთო კონდაკთა შეძინებულნი ნაყოფნი ძალისაებრ ჩემისა ყოველთავე აქ მოსრულთა ზე, გარნა ერთსა მათგანსა ზედა დ. ს. უემეტეს შვიდასისა თუმნისა ასიგნაციისა წარვაგე განათლებად მისდა, რომელსაცა ათისა წლისა ნამუშაკევი ლექსიკონი ჩემი წარვატანე. და მივეც ხვასტაგი დაბეჭდვად. რომელმან მრავლისა ქარტებითა დიდ ფრიად დამატკბო ექუსთა წელთა შინა, რომელსაცა ზედას ზედა ვწერდი. ნაცვლად თეორეტიკისა მასმინე და მაჩუენე ძმისწულთა ჩემთა იოანესი და მიხაილისა განსწავლა და ლექსიკონისა დაბეჭვდა. და წესიერ შემოსავლისა სამად განწილვა ესე იგი პირუელი შე[?]ძინე თავსა; მეორე ნაწილი წარაგე ძმისწულთა ჩემთა ზედა. ხოლო მესამე თუთ ისმიე. რათამცა თავნ ხვასტაგითა და ზედრთულისა შეძინებულითა იწყო ბეჭვდა წიგნებთა ჩემგან ქმნილთა ანუ რომელნიცა საჭირო იყოს მამულისათვს იგინი ბეჭდე იაფად გავაჭრებად, ვინათგან ერნი ჩუენნი მკდოვან არიან. რომელმან მიგო სიტყუა მელნითა და ქარტითა რავდენნიცა მოგიწერიეს ყოველთავე ერთბამად წარვმართებო აღზრდასა ძმისწულთასა, დაბეჭდასა ლექსიკონისასა და წესიერ განმრავლებასა ხვასტაგისასა მამა ცხებულისა ბრძანებულისაებრ. ვასხიერითა. აჰა ესერა კაცი იგი ს. ესრეთ მახარებდა ზედას ზედა პირითა და მელნიანისა კელითა, რომლასა გული არა ვწერდი, ვიდრე ცოდვისა საწყაულისა აღვსებადმდე. რომელი უმაღლო პურველ თიკა იქმნა, რომელსა თანა ედვა რათამცა შერკინებოდა უხილავსა მთავარსა. ფალ თავი 6. მც 12. და არა კორცთა და სისხლთა მეორედ შობილთა, რომელთაგან ბჭენი ჯოჯოხეთისანი ძლეულ არიან ქრისტე ღმერთის მიერ.

ესერა დიდ ფრიად მწუხარებ კაცისა მისთვს ს. დ.[2] რომელსა სურვებიეს წარწყმედა მრავალთა. ვაჲ მე ამაოდ წარწყმიდა ღუაწლნი ჩემნი საკუთარითა კელითა ჩემითა მსახურება ჟამისა სნეულებისასა და ხვასტაგნიცა შვიდასი თუმანი ასიგნაცია და ეგოდენნივე ტფილისსა შინა განძიბნია პური არსებისა. ძმისწულნი უსწავლელნი დამიშთინა, ლექსიკონი დაუბეჭდელი დაუტევა, რომლისა ნაცვლად ერთი ჟურნალი ბეჭდა, რომლისა დაცადება მივწერე მე მხოლოისა ხვასტაგითა არა ჯერ არს დაბეჭდვა ეგე ვითარისა წიგნაკისა. რომელსა ზედიზედა ვწერე გრამმატიკა, მაუწყე ვითარ წარმართე და გამოვთხოვე რიცხვნი ძმისა ჩემისადმი წარგზავნილი ასი თუმანი ასიგნაცია, რომელმან მომწერა ოცდაშვიდი თუმანი ვერცხლისა იქმნაო, რომელსა

ზედას ზედა ვწერე მიეცი სოლომონს ძმასა ჩემსა სრულიად და წარმომიგზავნე ჯვარდასმული ქარტა ძმისა ჩემისა, რომელი მიგეპდა სიტყვას პატიოსნებასა ჩემსა მოენდე მიეცემისო დანაშთიცა.

ძეო სოლომონისო იოანე. აჰა, უკეთუმცა მშობელთა შენთა ესწავათ წერა, ანუ შენ გალანამცა წერილთა ჩემთა ამოკითხვა და მოწერა გესწავა, არამცა შესრულ იყვნენ ესოდენნი მონაგებნი ჩემნი ოცისა წლისა მღვდელობითნი პირისა ოფლნი კაცისა მის ჴელში, რომელი ეურჩა თჳსსა მშობელთა კორციელთა და მე სულიერსა მოძღვარსა მტყუანისა მამისა შედგომითა იონ. თავ. 8 მხ. 44. რომელმანცა დიდ ფრიადისა შეტყუილითა დიდ ფრიად დამაგლახაკა სალთო კონდაკთა განმდიდრებული. ესერა უკეთუცა აღესრულებინა ნება ღვთისა, პირუტლად სულითაცა ყოფილ იყო მდიდარ და ეგრეთვე კორციელი ცხოვრებითა. ხვასტაგისა ჩემისა წესიერ წარმართებითა და ჩემთჳსცა ეჩუენებინათ ქანქარნი ტალანტნი შეძინებულითურთ თჳნიერ ცოდვისა საკანუნოისა, რათამცა განმეზარდა ქრისტეს ძმანი გლახაკნი მშიერნი, მწყურვალნი, შიშველნი, უცხონი სნეულნი დაპყრობილნი და მშობელთა ჩემთა შვილნი და ძმანი ჩემნი და სახლეულნი. გლახაკთა სახელთა ზედა სათნოდ ქრისტესა. ღმერთმან სცეს ჟამი სინანულისა კაცსა მას, რათამცა საუკუნოდ არ წარწყმდეს, არამედ იწერტოს სვინიდისითა თჳსითა შინაგან და გარეგან მარხულობითა და სირცხვილითა. რომელსა რაჲცა არა დაკარგოდა. იგი მიანიჭა ცხებულმან უფლისამან და უძიებია იგი რაჲცა არა იყო მისი და არცა ძიეცემოდა ზეცით. და არცაღა ქვეყანით. რამეთუ ცხებული და ერი მისი წმიდისა სახარებისა ბრძანებასა ზედა არიან დამოკიდებულ, ხოლო ღვარძლად რომელნიცა შესცვალებენ თავთა თჳსთა ქჳშასა ზედა მშენებელნი თავითა თჳსთა წარირყვნებიან მდინარითა მით ცხებულისა ძლიერებითა. რომელი მფარველ ეკკლესიათა არს და დიდება მღუდელთა და ერისა და ამაყვავილებელ ერთგულთა აზნაურთა და მონახებად დამცველ ერისა და ვაჭართა და აღმაშენებელ უშენთა ნატამალებთა და ქალაქებ მყოფელ მკეცთა სადგურთა. და მშვიდობათა შინა განმაძლომელ ქუეყანისა და მაცხონებელ მკვდართა წირვებთა განმრავლებითა დილისა და გვიანისა და პანაშვიდებისა სასაფლაოთა ზედა.

იხილეთ ძმისწულო ჩემო. ესერა კნინღა და სამი ათასისა თუმნისა ასიგნაციისა შევძინე, გარნა ყოველნივე შევიდნენ სხვათა ჴელებთა შინა კეთილმოქმედთასა, უკეთუ მომიქცევენღა მცირედნი რიცხვნი, გალანამცა შეიკრიბების უკეთუ უწდეს უფალსა და ვცხონდეთ: იყავნ სახელი დიდად შუენიერისა კურთხეულ. ჴმა იობიისა არს: «შიშველი შემოვედ შიშველივე განვიდე» განაღამცა ვცხონდე ცათა შინა: ესერა

ჰსჯულსა შინა წერილ არს კურთხეული მაშინ გეწოდებისთო, ოდესცა პირისა თქუჱნისა ნაყოფთა ავასხებდეთ სხვათა და არა ივასხებდეთო. და ახალსა აღთქმასა შინა წერილ არს: «ნეტარ არს მიცემა ვიდრელა მოღება». ვითარცა ბრძანა მაცხოვარმან «ავასხებდით და ნუ მოხდითო» აჰა ესე არს სასოება ჩემი, უკეთუ კაცთა დამიკარგეს და დამიკარგონ. ღმერთი თმათა შემკრები მომაგებს აღდგომასა მას ცხოველთა და მკვდართასა. რომელსა კურთხევით ჩემითგან შევწირე ვიდრე აქამომდე წელთა შინა ოცდა მეორესა სამი ათასი ორასნი მსხვერპლნი. თავსა ჩემისათვს და მართლმადიდებელ სულიერთათვს და ერისათვს და ცხებულისათვს და მიცვალებულისათვს, ვითარცა მომანიჭა ქრისტემან სიმრთელე, ეგრეთცა მწყურს შეწირვა მსხუჱრპლთა მხიარულებისა მადლობითა და სარწმუნოებითა, სასოებითა და დიდ სიყვარულითა. მინდობილ ვარ, რომელ არა დამიტეებს, არამედ შეივედრებს სულსა ჩემსა ქრისტე უფალი, რომლისა ხატი მოოჭვილ ვყავ სპეკალებითა და ვერცხლისა შესამოსელითა ოქროთა შინა ცურებით. რომელმან ძალი წარგებისა მომანიჭა, ვიდრე ექვსასი თუმანი ასიგნაცია. ეგრეთუჱ ორნი დიდნი ჯვარნი შევმზადე, ჯუგაანის ტაძრისა და ვაქირისა ტაძრისა და ფერისცვალების ხატი გობორისა ტაძრისათვს. პატივად ჩანს ადამისა, რომელმან დღეთა შინა მწუხარებისასა ძმათა ჩემთა ამბავი მომწერა და ხვასტაგნი წარმოგზავნილნი სათნოდ ღვთისა მისცა ძმასა ჩემსა სოლომონს და ქვრივსა სძალსა ჩემსა მართას განუნაწილა.

ძმისწულო ჩემო შემთხვეინი ყოველთავე აღმოგიჩინე. რათა ივლტოდე მტყუანთა კაცთაგან. გარნა ნუ მტერ ექმნები, არამედ ილოცეცა მოქცევა მათნი. ხოლო იყავ დიდ ფრიად მადლობა კეთილის მოქმედთა კაცთა მიმართ. და რაოდენნიცა მოგანიჭოს ღმერთმან თუ პირისა შენისა ოფლითა, განუყავ გლახაკთა და იყავ მავახსებელ. და ნუ ივასხებ. რამეთუ მავასხებელნი კურთხეულ არიან. წესიერ ცხებულისა ბრძანებისა შეძინებითა. რათა შეძინებულებითა ძალ გედვას თავსა შენისა გამოზრდა და მშობელთა დაძმათა და სახლებათა და უმეტეს გლახაკთა ათეულისა წარგებითა და რომელსა არა ძალგედვას, ნუ გახდი დაგლახაკებად მათდა.

ესერა ოცდა ოთხნი ყოვლადნი წიგნნი ვქმენ ყოვლად წმიდისა სულისაგან, რომელმან მიზეზ მეც ამა წიგნისა ოცდა მეხუთისასა დაწერად, რომელ არს მესამე კატეხიზის, რომელსა შინა წერილ არს სამეოცდა ათოთხმეტნი საკითხავნი სალთო საძოვრად შენდა. იოან თავ 10 მუხ. 9 ფსალ. 22 მცნ. 2. რომელთაგან იცნობ ღმერთ მამასა რომლისა თვსება მშობელობა არს. და ღმერთ ძესა რომლისა თვსება შობადობა არს. და ღმერთ სულსა წმიდასა, რომლისა თვსება გამამ-

ვლობა არს. ესე იგი მარადის დაუსაბამოდ მამობა. მარადის თანა დაუსაბამოდ ძეობა. და მარადის გამომავლობა სულისა წმიდისა. ესე თჳსებანი არიან თჳთებანი. ესე იგი დაუსრულებელად მამისა თჳსება არს მამობა თჳნიერ მოხუცებისა. გინა დაუსრულებლად ძეობა არს თჳნიერ მამობისა. და სული წმიდა დაუსრულებელად გამომავალ არს თჳნიერ დაცხრომისა, რომელ თჳთებით მხოლოდ არიან განყოფილ ესე იგი მამა მშობელობს, ძე შობადობს. და სული წმიდა გამომავლობს. და არიან პირებნიც თჳსებით განუყოფელ. მამისა თჳსებაარს უშობელობა. ძისა შობა და სულისა წმიდისა გამოსვლა. ესრეთ მამისა თჳთება არს პირუცვლ პირ გუამოვნება. და ძისა თჳთება არს პიროვან გუამოვნება. თანა დაუსაბამოდ მამისა შინა. ესე იგი შორის თანა მყის დაუწყებელად. და სულისა წმიდისა თჳთება არს გუამოვან პირი მიყს დაუსაბამოდ გამოვლინებულისა. ხოლო სამნი იგი პირნი გუამოვანნი ღვთაებით ერთ მხოლო არსება და ბუნება არს. ესე იგი არსება ბუნებით ერთი ერთისა სიბრძნისა მექონ. და ძლიერებისა და შემძლებელობისა ყოველისავე. და გარე შემოუწერლობისა. დაბადებულთა შინა დაუგევნელნი მხოლოდ ურთიერთ დადგენილ არიან სიტყუა ძჳ. და სული წმიდა. და გამო მშობელ გამომავლინებელისა შორის. რომელ უგალობენ ცათა შინა ანგელოსნი სამ წმიდასა. ისაია თავ 6 მც. 3. და ქუცყანასა ზედა ეკკლესია დიდება მამასა და ძესა და სულსა წმიდასა. ვითარცა წერილ არს სიმვოლოსა შინა. თაყვანისცემა მამისა თანა ძისა და სულისა წმიდისა.

სულისა ჩემისა ქრისტეს მიერ საყვარელო ძმისწულო იოანე წიგნი ესე კატეხისის შენთჳნ შევმზადე, რათამცა წიგნითა ამით იცნა ღმერთი და მსახურო ყოველსა დღესა ცხოვრებისა შენისათა და შეყვარებითა მის მხოლო დამბადებულისათა შეიყვარო მოყვასიცა შენნი. ყოველნი ემბაზისა შვილნი. და უფროსღა მშობელნი და ძმანი შენნი და სულიერი მოძღვარი და ცხებული უფლისა მონარხი დიდი იმპერატორი ნიკოლაოს პავლეს ძე, რომლისა აჩრდილი ესე იგი ჴელმწიფობისა საგრილსა ქუცშე მიიღებ სწავლათა და ცნობასა ღვთისა და ანგელოსთა და კაცთასა და ყოველთა დაბადებულთასა ეშმაკთასა, რომელნი უგუნურებისა ამპარტავნებითა ზეცისა ნათლისაგან გარდმოელვებულ იქმნენ. და არიან დაშრეტილ, რომელნი მსგავსად მეგზურისა აკვამლებენ სიმყრალეთა წარწყმედილთა კაცთა სულებთა შინა. და მდებნი ბოროტთა ებრითა და მებრითა ტკბილ მოლანდებათ: გონებათა შინა სუსტთა კაცთასა მოცთუნებად, რომელსა სძაგსთ კაცნი წმიდანი. მართალნი და ჭეშმარიტნი. და შურსთ ცხონება კაცთა შინა. სადითგანცა თჳთ გარდმოითხოვდნენ განრისხებისათჳს ღვთისათა, რომელთა ისურვეს სწორება დამბადებელისა დაბადებულთა ამ-

პარტავან ყოფობითა და მყის შთამოიმხვლენ ანგელოზობისაგან ეშმაკად ცვალებულნი ესე იგი ნათლისაგან ბნელ მკმოლერე მეგზურად. რომელთა ევა აცთუნეს და მიერთგან შემოხთა სოფლად სიკვდილი: ხოლო სიტყვა ღვთისა განკორციელდა, მეორე პირი მხოლოდ შობილი ძე და მან დასთრგუნა ეშმაკნი და უწოდა მელ. აჰა რომელნიცა სძლევენ მათ სულის სიმართლითა და კორცთა სიწმიდითა და ჭეშმარიტებისა მეტყუელებითა მოუკლებელისა ლოცვითა. და მარხვითა იგინი იქმნებიან მადლით ძენი ღვთისანი, და ასულნი ქრისტესნი და განათლდებიან სულითა წმიდითა. აჰა, შენ ძმისწულო ჩემო შიში და ძრწოლა ღვთისა დანერგე გულსა შინა შენსა და მოიგე მოუკლებელი ლოცვა. რომელ ყოველნი კეთილნი საქმენი კნინლა და ლოცვად შეგერაცხების. დღე და ღამე დაუცხრომელი სწავლა და წარმატება, რომელსა ზეგარდამო ბუნება არსებითი ტალანტიცა გქონან ნიჭნი სწავლისანი გარნა ეშურვე განათლებასა წმინდისა სახარებითა. და მას ზედა მოკიდულისა სწავლითა. რათამცა იყო ჭურ რჩეულ ქრისტეს მიერ სიმდაბლითა და სიმშვიდითა. რომელი მდაბალსა და მშვიდსა ალამაღლებს. არა კორციელ აზნაურობითა, რომელ არს განქავრებადი. არამედ ქრისტეს მიერ აზნაურებითა (გალტ. თავი 5 მხ. 1).

ესერა ხსენებასა შენსა ვყოფ ლოცვათა შინა ჩემსა მოცემად ზეგარდამო სიცოცხლისა სიჭართლისა და სიმრთელისა და ახლისა პირისა და სიბრძნისა დაუსრულებელისა. ეგრეთვე შენცა გახსენებოდე. გლახაკი ხუცეს მონონანი იონა მოხუცებული გვამა თვისა მოვკვდე. გინა თუ ცოცხალ ვიყო კორცთა ამათ შინა უბადრუკთა, ნუმცა დავიწყებულმყოფ და ოდესცა განვიდე კორცითა ამათგან მომიხსენებდე ეკკლესიასა შინა ლოცვა წირვითა ჟამთა და სახლსა შინა პირსა ზედა ჯვრის დაწერისასა. და მოხუცებულთა და სულიერთა შორის ჟამთა საუბრობისასა. კეთილ მაგალითად და ყრმათა და ჭაბუკთა შორის სწავლისა მიცემად. აღრჩეულთა ლექსებთა დიდთა გაზეპირებად ცნობა ღვთისა და დიდება და ნებისა მისისა აღსრულება. რამეთუ სიტყვანი ბრძენთანი არიან ვითარცა ქარისა საკუეთელნი და ვითარცა სამჭვალევნი განმჭვალულნი ეკლსტ. თავ. 12. მხ. 10. II სთქუა სოლომონ ბრძენმან.

აჰა წიგნი ესე არა განიშორო თუალთაგან შენთა, რომელმან პირუთლად წიგნი ესე მიიღე ჩემგან. რომელსა შეგიწყალებს და შეგიწყნარებს ღმერთი და ყოველივე შეგეძინება, გალანამცა მოიგე ჭურჭელი პატიოსან ყოფად. ესე იგი გუამი შენი ყავ აღვსილ ახლისა აღთქმისა მადლითა და ჭეშმარიტებითა და მდინარითა სულისა წმიდისათა. რომელ არიან ათორნი სიმვოლო დიდ სარწმუნოებად შენდა საუფლო ლოცვა შვიდ მეთხოვანი დიდ სასოებად შენდა. და ათნი

მცნებანი დიდ სიყვარულად შენდა ღვთით. ეგრეთჳე ცხრა ნეტარებ[ა] გჳრგჳნად შენდა. მიიღე ცათა შინა ამიერ მოგებულნი ქრისტეს მიერ ეგსახედვე ათნი ნაყოფნი სულისანი საუნჯე სიმდიდრედ შენდა მოი[ღ]ე. და ოთხნი სახარებისაგან განათლებანი მარადის გაქუნდენ. ესე იგი შიში ღუთისა. სიბრძნე გჳლისა და უმანკოება ტრედთა არა [illegible] დედაკაცისა გულისთქმით და არავღენიცა გინდეს სხვათაგა[ნ] შესაძინელნი. ეგრეთჳე შენდა განძლიერდე წინაშე ღვთისა და კაცთა შიშითა უფლისათა რომელ არს სიბრძნე.

შენთჳს მარადის მლოცველი იერო მონახი იონა. მამის ძმა, ბიძა შენი ამიერითგან ზეგარდამო მოვთხოვე მეთევზურთა განმაბრძნობელისა ყოვლად წმიდისა სულისაგან განსწავლა შენი სადიდებელად ყოვლად წმიდისა სამებისა. წელსა 1833 თთუესა ივნისსა 17.

**№ 207**

**1834 წლის 17 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე სჳმონის ძე ჯანდიერისადმი**

ბრწყინვალეო თავადო იოანე ძეო სჳმონისო სქესით ჯანდიერ, მოუარდულ ველისციხ ბადით, აჰა გმსხუერპლი წიგნსა ამასა სიყუარულისა ჩემისა, თქუენდამო კავშირ ხსომებად ჩემ გლახაკისა იერომონაზონისა იონა, მექუცყნე თქუენი ქისიყით [illegible]ოფლის ვაქირის მონასტრის ქუაბთა კევის: პეტრე დიდისა ქალაქსა შინა, დამწერი უმაღლესისა მარიამ დედოფლის კაცია დადიანის ასულის სახლის საყდრის [illegible]სახურებასა შინა.

---

შენიშვნები ამ № 267 წერილისათვის გაკეთებულია იონა ხელაშვილის მიერ:

[illegible]იხილე მკითხუელო წიგნისა ამის მოიხსენეცა ჩემ მონაზონ ხუცესისან სულისა ჩემისა სიყვარელო უკეთუ მოგანიჭოს სულმან წმიდამან წიგნისა ამის გადაწერა. [illegible] რომ განმარტებები დაეწერე ესენი არ არის ნამდვილ წიგნსა შინა. არამედ [illegible] ცალკე მოაწერეთ ჴელშეცვლით წვნიკისა ანბანითა და ბრჩილებიც [illegible]. იონა. გეფარღული ხულანი ესე იგი სავაჭრო ადგილი იონა: რომელსა თურქნი ბაზრად უწოდენ. და როსნი სასტუმრო ეზოს ესე იგი სასტუმროეარ ეზოს. იონა

* ქისიყი სხვად და სხვად სახელ განიმარტების ქისიყ ისონა გოლიათისა. რომელიცა იყო მებრძოლ უძველესთა ასურისტანელთა და ეგჳპტელთა ესე ხისან გამოვიდა ატლანდითაგან კავკასიურთა, რომელნიცა მაშინ მკვიდრ იყვნეს. მდინარესა ზედა დიდსა ივერიასასა, რომელ არს ალაზანი და ღირღლოვანთა ბინა ხიზიყისა და ხიზიყი რასთაც დანიშნავს. ესე იგი არა აზნაურთა და არცა თავადთა. არამედ თავისუფალთ ყმათა სამეფოთა.

* არმალანი ურჩეულესი ძღვენია გინა ახალ გამოჩენილ ძღვენი, საიშვიათო რამე ნივთი. ქართული ლექსი არს.

იმსხჳერპლო ბრწყინვალეო ახალი ჭრმალანი ესე თქჳენდამო ძლვნად მომრთმევისაგან და ლამთუ მწვლელი გარნა დიდ ფრიადისა სიყუარულითა დაქსული. თქჳენდამო საკუთვნელი ქრისტეს მოყუასისა მჴედრისა, რომელსა ნიშნი* მსახურებისანი შინაგან გუამსა ზედა, უუმეტესნი გქონან დაკოდილებანი დაჭრილობანი: და განწონილებანი უსაყუარლესისა მამულისა, ჰსჯულისა დაცვისათვს* ქრისტე ღვთისა მიერ; და ეკკლესაებთა აღმართებისათვს, ახალციხესა შინა ჯავახეთს და თრიალეთსა ზედა, ნატამალებთა სოფლებთა, დაბებთა და სენაკებთა აღშენებისათვს. სადაცა განვლეს მელთა და ისადგურეს მჴეცთა და განმრავლდენ ბუნი, და მღამიომბნი ნაცვლად კაცთა, და ლეკნი დგებოდენ ებგურად მსტოვარად და დარილად დაცემად ქართჳელთა ზედა ესერა ორასნი წელნი წარჴდენ ყოველთა ზაფხულისა დღეებთა შინა, ქართჳელთა ახალ ნორჩნი, და ნორჩანი განისყიდებოდენ ვეცხლსა ზედა გაიაღებულნი უფროს ცხენთა, და ჴართა და კარაულთა მართლ მადიდებელნი დატყვევებით წარტაცებულნი თურქთა, ლეკთა. და თვით ნაქრთჳელებულთაგანცა საკინძ განხსნილითგან: ეგერა ბრწყინვალეო თავადო, განრინება ეგე თქჳენი* სასტიკ ფიცხელთა ომებისა შერკინებათა შინა, დიდ ფრიად მძაფრად არა არს მიწით და აეირიით, არცალა* სჳე მარმენიადთა და ბედით, არცალა ფორტუხათ, და მისანგრძნებითა, რომელ არიან ჰხოლოდ ლექსთ მეტყჳელება, დემონიერთა პირებთაგან და მეზღაპრეთა წარმართთაგან და აჯალისა მოსავთგან, რომელთა თვსი აჯალი და ბელისა სჳესა, და მარმენიოძსა და მოგვ მისნებთა მინდობანი და შელოცუანი ჩხიჭებაითა ძლევა შემოსისათვს, არა თუ მძლეველ არიან არამედ მარადის ძლეულ არიან, და ზურგებ შედრეკით მლტოლვარე არიან და წარქცეულ ფერჴთა ქჳეშე, ჩჳენისა, მჴედრობისა მინდობითა უხილავს ღმერთას ზეად, მტკიცე უმერყეო სასოებისა.

ეგრეთჳე თქჳენ დაცულ ხართ ლოცვთა და ვედრებითა, არხიერთა, პრესვიტერთა, დიაკონთა და მონარხისა ჩჳენისა ერითურთ.

---

* ნიში; სპარსული ქართული საგანი. ეკკლესიურ ზესთა საუნცი. იონა

* ქრისტე ელლინურ ცხებული. იონა

* სასტიკი სომხურ ქართულ მძაფრ. ესე იგი ძლიერი სიტყვა და საქმეში შემძლებელისაგან იონა

* სჳე და მარჰენის უმეცართა ლექსნი ზედ თქმისა ნაცვლად სჳე და მარმეხიო ბედი უმეცარსა ვერ განაბრძნობს. დუნანელსა ცოდვილსა ვერცა გონებენ. ეშმაკისაგან არიან შემლებულნი ესე ვითარნი ცალიერნი ლექსნი უგუნურთა წარწყმედად კუმეტისა მინდობილთაცა. იონა.

ლოცვითა და მოყუასთა და მეცნავთა, და ნათესავებთა ლოცვითა. და სულიერთა ჴელთაგან შეწირულისა* უსისხლო მსხუჱრპლებითა რომლითაცა ქრისტეს მიერ, ღმერთი მაამშვიდდების ქრისტეს მოყუარესა მჴედრობასა ზედა, და სამკჳდრებელსა თჳსისა ერსა ზედა, რომელნი დააგო ჯუარიანისა სიკვდილითა თჳსითა, რომელი მეოჴ არს ქუჱნა ბუნება არსებითა, შორის ღმერთ მამისა თჳსისა და კაცთა.

ბრწყინვალეო თავადო, რომელნიცა* ფსალმუნსა მას მეოთხმოცდაშვეათესა გაიზეპირებენ საყუფლო მამაო ჩუჱნოსა თანა შთაბეჭდვით სულთა თჳსთა, მეყსიერებასა შინა და იგონებენ ღვთისა ნებისა. აღსრულებასა თითოეულნი ნებსით თჳსისა ნებითა: აღმრჩეველნი უსამართლობისა წილ სიმართლისა, არა წმიდებისა მაგიერ სიწმიდესა და ტყუილთა ნაცვლად მეტყუჱლებენ ჭეშმარიტებათა, იგინი გაწერებიან შეყვესუულისა სიკუდილისაგან, რომელ არს საზრძოლელი მახვილნი, გინა ვინ უწყის მოიკლასცა რომელსა ზედა, ზეგარდამო ბრძანება აღესრულების, მიწა ხარ და მიწადაც მოიქცეო, რომელი უკეთუ არა მომკვდარ იყო ქრისტეს მოყუარე მას ჟამსა შემდგომისა სიცოცხლითა ნუ თუ გარდაქცეულ იყო ვნებულად, გარნა მართალ ადრე მოკლული უადრეს მიიღებს სასიყდელსა ცათა შინა.

*ბრწყინვალეო თავადო უკეთუ რომელიმე მჴედარი დამტეებელ იქმნას სიმართლისა სიწმიდისა, და სინანულისა და ლოცვისა, და სთქმიდეს გულსა შინა თჳსსა, უკეთუ არა ვიყო მჴედარ მოუკლებელი ლოცუა მექმნებოდა და სიწმიდით ცხოვრება და მარხვებთა დაცუა და სიყუარული ყოველთა კაცთა, აჰა ესერა მჴედარ ვარ? უმჯობეს

---

• სისხლი პირუტყვთა ძუჱლსა აღთქმათა შინა ერგებ, იყო კაცთა ხსნად, რომელთა ქრისტეს სისხლი სიტყვერ ცხოველი მოასწავეს. ამად უსისხლო ეწოდების, ესე იგი არა უსიტყვთა მკვდართა მკვდარ სისხლ, არამედ ცხოველ სიტყვიერ სისხლი ცათა შინა. ქრისტე ცხოველისა სისხლგულისმიერ ცხოველ მყოფელისაგან ცხოველ და განმაცოცხლამც მიმღებთა საუკუნოდ. იონა.

• ფსალმუნი ებრაულ ცხოვრება უფლისა მიმართ აჰა რომელთაცა ნებავსთ ცხოვრება ჟამიერ უფლისა ღმრთისასა მსახურებისათჳს საუკუნო ცხოვრებისა მოღებად ფსალმუხსა მას ოთხმეოცდა მეათესაგანი ზეპირებენ ათხუთმეტისა მეყლებითურთ უფროსლა მეომარნი. იონა.

• ჭეშმარიტი სომხურია. ქართულ ჩე ნამდვილ იყავნ და უცილობელ. იონა..

• ბრწყინვალე ქუჱყანასა. საესებათა შორის და ციურთა შორის მზიარს ბრწყინვალებითა თჳსითა მასაჩინოე მთოვარისა და გარემო ვარსკვლავებთა მაბრწყინებელი. იონა. ეგრეთჳე დიდთა სწავლათაგან და დიადებთა კეთილთა საქმეებთაგან. კაცი ბრწყინვალებისა ხარისხისა მექონი განაბრწყინებს ბნელ უსწავლელსა ერსა და განამდიდრებს.. იოხა.

არს ძიება ჩემგან გულის თქმათა აღსრულებისა მშვიდობასა შინა და ჟამსა ბრძოლისასა მხოლოდ განსხვავებისათვს განმკნობა მუცლისა როჳკისათვს, და გჳამისა ზემო ჯდომისათვს, აჰა მღუდელთა, და ბერთა, ილოცენ ჩემთვს, რათა მივემთხვიო ჟამიერსა წადილთა ჩემთა ფუფუნებაჲ კორცთა ჩემთა აზნაურებისა საფარველისა მოყუარე მხოლოდ თვსისა თიკურისა გჳამისათვს ილვწოდეს და ვიეთნიმე ორგულებდეს, წარწყმდებიან საუკუნოდ.

ბრწყინვალეო თავადო. ესე წინასიტყუაობა წიგნისა ამის კნინლა და მოგახსენებს ყოვლადსა ძალსა წიგნისა ამისსა, რომელსა შინა წერილ არიან ძჳელისა აღთქმისა, ერისა ბრძოლა თავთა თვსთა სიცოცხლისა დაცუად. ღვთის მსახურებისათვ კაცისა ღვთისა* მოსესგან დაწერილი. და მთავართა ისრაილისათვს დაწერილნი. და მეფეთა თვს ბენიამენის სქესის საულ მეფისათვს და იუდას ტომისა დავით გულითადისა* სოლომონ ბრძნისა, ობუა მისა ეზეკიასა იოსიასა და განდგომილის იერობუამისა და კეთილმსახურთა მავანებელთა, რომელსა თუმცა შემოკლებისათვს წმიდისა მოციქულთა სწორისა კონსტანტინე მეფის, დამშთა ყოველთა ქრისტიანეთა მეფეებისა მამად წოდებულისა, რომელსა ჯუარი გამოუჩნდა და მით სძლო კერპთ-მსახურთა მტერთა. ეგრეთუჱ დიდი თეოდოსი და ლეონ ბრძენი და დიდი იუსტინე და ერეკლე მეფე, რომელმან აღაშენა გორი* მჴედრობისა თვსისა საზრდელთა დასაცჳელად*. საგრობის დროშა.

ეგრეთუჱ ქართუელნი დამშენ მეფე მირიან დასაბამი ქრისტიანობისა და ვახტანგ, რომელსა სპარსეთმან უწოდა ლომ მგელი დათრგუნვისათვის მამისა, რომელმან აღაშენა ტფილისა, ეგრეთუჱ დავით წმინდამან განგავა ორას წელს დამკვიდრებულნი წინა დაცჳელნი, ეგრეთუჱ თამარ წყნარმან, მრავალი ძლევანი შეიმოსა, ესე ზემო ყოველნი თვთცა უწყით ისტორიებითა. ამად არლა განვავრცე წიგნი ესე ვინათგან ყრმანი არიან აწინდელნი მოხუცებულ-

---

* აზნაურება არს ცოდვისაგან თავისუფალ ყოფა და ლტოლვა მწიკვლისა და ჭუჳისაგან და მდაბლისა ერისა განკითხვისაგან და მაღლის დასსჯისაგან. იონა.
* მოსე ებრაელ წელიწამ გამჳებელნ. იონა
* იუდა ებრაულ აღმსარებელ დავითებმაც მშვიდი. იონა.
* სოლომონ ებრ. მშვიდობიერი. იონა.
* მჴედრობისა გარე განსვლასა მტერთა მიმართ საგარი ეწოდების და ღვაწლებითა თვისით მარგჳლობლისა დათესვისა როჳკთა საგზლიანითა საგზობა ეწოდების. ძილენ უჳფლისა საბას ლექსიკონი. იონა.
* საგრობა მოღვაწეობა სულიერი. გინა კორციელი საგრობა ესე იგი მჴედართ წართრა გარეგან საძვრისა საგანში ბრძოლად მტერთა. იონა.

ნი რკინოვანსა საუკუნესა შინა, აღზრდისა მიზეზითა, უწიგნობითა კლასიერთა წიგნებთაგან, რომელთაგანნი ყდიდამ ყდამდინ ვერ აღმოიკითხჳენ დიდთა თხზულთა.

ბრწყინვალეო თავადო, თქჳენ გულისხმიერება გმსახურებთ ამად შეგთხოვ, რათა პირისა ორისა და სამისა ბრძენთა კაცთათა დარჩეულ ჰყოთ სიბრძნითარე ღთისათა და უფროსღარე ღვთისმეტყჳელებისა სამტკიცითა, ვინათგან ღვთისმეტყჳელებაცა შეჰყრიეს წიგნსა ამას, ეგრეთვე ღრამმატიკისა ადიდითა* და პროსოდიათა განაწყლტუეთ რვავე ნაწილებითა, ეგ სახედვე რიტორებითა განაშჳენიერეთ; და დაამორჩილეთ ერთბამად ღმერთსა წიგნი ესე, რომლისა დიდებისათჳს დავწერე წიგნი ესე შვიდეულსა რომელსა შინა, უუმეტეს მწუხარე ვიქმენ ერთ კერძო ძმისა უდროოდ სიკვდილისათჳს. მეორეთ კერძ* არსებისა პურის წარწყმედისათჳს სხუათა და სხუათა ჴელებთაგან ვითარცა თქჳენცა სცანით, ლექსიკონი დამიშთა დაუბეჭდავად; თქჳენი ბრწყინვალებისა მლოცველი იონა გლახაკი მ. მ. მ. წელსა 1834 სდ მაისის 17 ტ-სა.

**№ 268**

**1834 წლის 21 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხაილისადმი**

უგანათლებულესო მიხაილ, მეათსამეტის გიორგის მეფის ძეო მოწყალეო ჴელმწიფეო!

ჩემდამო ქრისტე ღუთისა მიერ საღვთოთ სიყუარულითა, ვითარცა წერილ არს უახლესსა ახთქმასა შინა, რომლითაცა სულისა ჩემისა თუალი რომელ მაქვს გონება სიბრძნითა თქჳენითა განმინათლეთ ზეგარდამო ფერად ფერადითა ნიჭებითა, შენდამო მოცემუ-

---

* ტფილისი თბილ წყლიერი ვითარცა ხდისცა წყალი ცხელი.

* აებუკსაგამო განჭმულთა კლდეთა სალთაგან მჴიდრო იძულებით აღმომდინარენი კლდეთა შეიწროებითარე გატყობილნი ერთ კერძ. ხოლო მეორე ფიზიკურ მიზეზისარე ილეკროულისა ნივთებთაგანცა. რომელ არიან წამწებიერანი მაკურნებელნი კლდეთა წიაღთა ორთქლებთა რუსთა ცხელებთაგან იხლ. ფიზ. იონა.

* პროსოდიო. ელლინურ რვათა ღრამმატიკისა ნაწილებთა ნიშნები. იონა.

* რიტორება: ელლინურ ჰევრობა ე. ი. მჭონიერ ენა მჰეროვობა ამოვან მეტყუელება ე. ი. ყურთა სმენათაგან გონების თნება და დამყუდროება. იონა.

* არსებისა ჩუენისა დამცველისა პურისათჳს გევედრებით ღიათ მამისა სუფლო ლოცვითა მით რომელ ბრძანა იესო მაცხოვარმან. იონა.

ლითა. სულისაგან წმიდისა უსასყიდლოდ მომნიჭებელისა ყოველთა მორწმუნეთა და მცნობთა და მორჩილთა მისთა სიწმიდითა, სიმართლითა და ჭეშმარიტებითა მოუკლებელად მლოცუშლთა, მმარხულთა, და ქუცლის მოქმედთა; და მწვრთელთა სიკუდილისათა, რომელ არს სიბრძნე, ესე იგი დღე და ღამე ზრახუა და განმზადება, ამიერ განსვლა კორცთა ამრდილიანისაგან და წარსვლა ცათა შინა სასუფეველსა ღმერთ მამისა ქრისტეს მიერ სიკვდილისაგან გარდაცუალებად საუკუნო სასუფეველისა შინა, უკვდავ ცხოვრებად ხილვად რომელი ხატი მამისა არს, და სულისა წმიდისა რომელი ხატი ძისა არს და ხილვად ღმერთ მამისა, რომელსა შინა, ე. ი. თჳსსა შორის თანა არს დაუსაბამოდ უვიან სიტყუა და სული ღვთეებით მხოლოსა ღმერთსა, პირებით მშობელობისა დაუსაბამოსა და შობილობისა დაუსრულებელსა და გამომავლინებლობისა და გამოვლინებულობისა უთხრობლსა, რომელნი ურთიერთ სამნივე პირნი დატევნულ არიან ერთ მხოლოდ ღვთაებობითა. ერთ მხოლო დაუსაბამო არსებითა და დაუსრულებელისა სუფევითა. ერთ მხოლო სიბრძნითა და ყოვლისავე შემძლებლობითა და უფლებითა. ყოველთა ხილულთა და უხილავთა ზედა, ვითარცა სარკენი ესე სულნი ჩუცნი ცხოველ ბრძნისაგან დაბადებულნი, აღურიცხველთა ცასა და ქუცყანასა და სავსებათა მათთასა ჰკრობენ მხოლოსა სიბრძნესა და ძლიერებასა მხოლოსა ღვთისასა, რომელმან დაუსაბამო სიტყვთა თჳსითა არა არსნი არს ყოფად დაგებადა ყოველნივე კეთილად, და გამოგვანახუვნა ძლიერებასა შინა თჳსსა, რომელ არ ძალუძს ბილწთა ათეისტსა და ნატურალისტსა და სასოწარკუცთილსა კაცსა, სიკვდილის ჟამს შეძრწუნებულთა წარწყმედისაგან ჯოჯოხეთსა შინა, რათამცა თავნი თჳსნი განაქავრონ არა ხილვად მწარისა მეორისა, მეორისა სიკვდილისა გემო დატანჯუა სასტიკი, რომელ სიტყვისაებრ წმიდა მ. პ. არავინ თავის თჳსით ცოცხალ არს და არავინ თავის თჳსით მოკვდების, ესე იგი, არავის ძალუძს დაბადება არა არსსა, არცაღა ვინმე თავითა თჳსით ათეისტი და ნატურალისტი და სასოწარკუცთილი გამწირველი თავისა თჳსისა მოკვდების, ვინძი ვინძი მოიკლას თავი თჳსი, ანუ შეაკლას ვისმე, გინა რასამე, არამედ სიკვდილითა ადამის ცთომისათა მოკვდების სამგზის უბადრუკი განცოფებული, რომელი ვერღა აღდგების პირველად მეორისა, არამედ ამისა მიერ ხენეშ ღვარძლი იგი ბზე და წვადი მიერითგან ოდეს სიკვდილი იგი გახრწნილება განქავრდეს განახლებისა ცისა, და ქუცყანისა სასუფეველსა შინა.

აჰა, ძეო მეფისაო მიხაილ, ეგერა თქუენ სიბრძისა მდინარისაგან მრავალ ბევრეულნი ფრენი და ცვარნი მოვიღენ მეფე სულისა ჩემისა გონებისა განათლებად, ნიჭისაებრ ჩემისა ქალაქ გუამისა ჩემისა აღტყინებად სიყუარულითა ღვთისათა. შეყუარებად მოყუასთათა, რომელ არს ბერძენ-ქართუელთ ეკკლესია ერი სულიერი და სიტყვიერნი, ცხოვარნი მათნი. და უფროსღა კრავნი ცოდვისა მიმართ ყრმანი. ღვთისა მიერ ბრძენნი მრწემობისა და მსახურებისა და უკანასკნელობისა აღმრეველნი აკაკ მორჩილნი. რომელნი არავის გამოიკითხვენ ნეტარი გლახაკნი სულისა სოფლისა ამის ნაგებთაგან ლტოლვილნი, რომელნი არავის ძილიანსა მტერობენ. არამედ დაუძინებელთა მტერთა სდევნიან ნათელ დაშრეტილთა, რომელნი მჰსგავსად ცეცხლისაგან გამოტაცებულისა მუგუზლისა დაშავებულისა აკვამლებენ დაბნელებად გონებათა, უფროსღა ჰაბუკთა განრყვნად და სუსტისა ფილასოფოსისა გაანპარატვნებად, რომელმაცა ჰიმი და აღვირი ახლისა აღთქმისა განაგდოს გულსა შინა ორგულმან და პირითა ვერაგმა ტომაქისთჳს მხოლოდ როჰიკისა მეძიებელმან მტანჯველმან სულისა თჳსისა გუამისა თჳსისა ასოებისა წადილებითა ღამეთა შინა მწუმპებელმან და დღეთა შინა სოფელმან უმანკო წრფელთა წმინდა მყოფელთა გახთუებთა ფორმად მგონებელმან, რომლისა დაუცველობითა წარწყმდა პირველი კაცი მეფე მღუდელ წინასწარმეტყუელი და მოუკლებელისა ლოცვისა ნაცვლად მცირედ საუფლო ლექსებითა დამაჯერებელმან თავისა თჳსისა მაცხონებელსა, რომელიც დიდის ჯუარისა ნაცვლად. მცირედ აღიღებდეს ჴელსა თჳსსა ქვენა ყბისა ქავილიანისა მღერისა დაყდონებად. და არა დაიდებდეს შუბლსა ზედა, სადაცა გონება სუფევს, არცაღა გულსა ზედა სადაცა ახალი აღთქმა და ძუელი გამოწერილი არიან შეყუარებად ღვთისა, არცაღა მარჯუენესა მკარესა ზედა დაიდებდეს. და მარცხენაზე გამხატველად მაცხოვრისა ჴელთა განმჴვალევისა განპყრობით, რომლისა ჯუარითა იქადის დიდი პავლე და უსასყიდლოთა სახელითა გამოჴსნასა ჩუენ ყოველთა გვიქადაგებს.

მოიხსენეთ უგანათლებულესო, ზემოხსენებულთათჳს ძმათა ჩემთა მონოზონ ჴუცესთათჳს და მღუდელ ჴუცესთათჳს და მათთა ცხოვართათჳს, ესერა ოცდა ათერთმეტნი ყოვლადნი წიგნები დავწერე, ყოვლად წმიდისა სულისაგან მონიჭებულისა უსასყიდლოსა ნიჭითა, რომელნი ერთბამად ყოველნივე გამოკიდულ არიან ახალსა აღთქმასა ზედა სადიდებელად ყოვლად წმიდისა სამებისა, რათამცა მკითხუელნი წიგნებთა მუნ დაკლებულ იქმნენ მისვლად, სადაცა იშობებიან სიცილნი, ტირილისა წმინად დამარხველნი და განკითხუანნი საუკუნოდ დამსჯელნი და მოსნურობანი და განცხრომანი შფოთიერნი

და უსახურნი განზრახჳანი განრისხებად ღვთისა და ცხებულისა მისისა, რომლითაცა საპყრობილენი აღვსილ არიან, დაიტანჯებიან ექვსორიობითა.

ესერა კეთილთა წიგნებთა კითხჳანი და თანანადებისა მუშაკობანი ამიერ დასჯისაგან განერიბიან, და მერმისა წარწყმედისაგანცა, ვითარცა თჳთ უწყით ძეო მეფისაო და ჰყოფთა და სუფევთ მშჳდობით ქალაქთა შინა დიდისა პეტრესა მჰსგავსად მემხოლეთა სამოსთა ერისკაცისა, ვითარცა წმიდა მესჳჱტეთასა.

აჰა, ზემო მოკალმება ქარტასა ზედა ესე არს თქჳჱნდამო ჩემი ძეო მეფისაო ზენა სიბრძნითა უგანათლებულესო, რათამცა სახიერებითა თქჳჱნითა ესე იგი ჩემდამო მრავალ კეთილ მოქმედებითა თქჳჱნითა მითარგმნოთ წმიდა იოანე დამასკელისა წიგნი სლავენ რუსულით. ჩჳჱნ ქართჳჱლთ ეკკლესიისა ენასა ზედა ცნობად ხატთა მაცხოვარისა და მარადის ქალწულისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა და ყოველთა წმიდათა ხატთა, თუ ვითარ პატივ იცემებიან ჩჳჱნ ბერძენ ქართჳჱლთ, როსთა წმიდა ეკკლესიისაგან განგებულებითნი დაბადებულნი ხატნი სახენი პირმშოთი.

მოიხსენეთ სიბრძნისაგან უგანათლებულესო, მე ვიპაიქრე ვიდრე კამათობამდმდე ლუტერ მარტინის[1] მოსახელისადმი ეგრეთჳჱ კალვინისა[2] სახელმოდგამისა მიმართ, რომელთა დროსა შინა ჩჳჱნსა მოუსპხეს სახელები იგინი და ერთად შეკრებულთა უკუსთქუნეს სახელი ლუტერ მარტინისა და კალვინისა. აწინდელთა განათლებულთა ითაკილენს სახელებითა მკვდართა კაცთა წოდება თჳსს ზედა ვინათგან ისწავეს ღვთისმეტყჳჱლება, ნაცვლად ქრისტიანე ცხებულისა უწოდეს თავთა თჳსთა ევანღელისტ ესე იგი სახარებიან, რომელთაგანთა საღვთო წერილებით მიუთხარ ხატთა პატივი, ვითარ ძჳჱლსა ალთქმასა შინა ხერუვიმთა გამოხატვა უბრძანა ქრისტემან სინა მთასა ზედა მოსეს და კარვისა სახე, რომელ არს ეკკლესია და ახალსა შინა თჳთ ჰსჯულისა მომცემელმან ხატსა შინა თჳსსა ხატი მონისა მიიღო და იცუალა ფერი და ეკკლესიისა ისტორიითაცა უწყით წ. მ. ლუკასაგან ხატთა მოღება და თჳთ მაცხოვრისაგან ავგაროზისადმი მიცემა ხატისა თჳსისა, და ეჩჳჱნა აბრაამს ხილულისა ხატითა თჳთ მამა, რომელმან არღა შეიწირა ისააკ, არამედ კაცთმოყუარებისათჳს მოავლინა ძე თჳსი და სული წმიდა სახედ უმანკო ტრედისა, რომელმან ნოეს ახარა დაცხრომა საშინელისა რღვინისა, ეგრეთჳჱ დანიელმან ტყვეობით მგლოვარე მარხულმან იხილა ძჳჱლი იგი დღეთა მოხუცებულ სახედ მსაჯულად ცხოველთა და მკვდართა. ესე ყოველნი და სხუანი და სხუანი მიუთხარ ლუტერ მარტინისაგანსა, და კალვინისაგანსაცა, რომელთა მოგიგეს წმიდა ეგნატე ღმერთ შემოსილის სახე.

გარდმოიღესო რომისა ქრისტიანეთა პირუჱლ წამებისა და მიერითგან იწყესო ხატთა განმრავლება უქმად.

აჰა ყოვლად წმიდასა სამებასა არა ქონან ხატნი, ვითარცა უბრძანა ქრისტემან სამარიტელსა ღმერთი სულ არსო უსხეულო უხატო, რომელთა პირნი დაუყავ ნუ თუ ეგე ერთი ლექსნი არს ყოვლად წმიდა სამება სამნი პირნი იხილე ნათლის ღების სახარება. მომიგეს მათ ესრეთ ვართ განათლებულნი, ჩუჱნ ლუტერი მარტინისა და კალვინისაგან, რომელნიცა თჳნიერ ხატთა და კანკელთა ვჴედავთ ღმერთსა და ვითხოვთ მოწყალებათა თჳნიერ წმიდათა მეოხებისა, კუალადცა დაუყავ პირნი, გესმოდეს გარდამტეჴელთა კაცთა შედგომილნო, მეოხებითა მმარადის ქალწულითასა ქრისტე უფალმან შესცუალა წყალი ღვინოდ, მეოხებითა მოციქულთათა ასული ქანანელისა განათავისუფლა ეშმაკისაგან და აკურთხნა ხუთნი პურნი და ორნი თევზნი, ეგრეთვე აჩრდილითა პეტრესითა უბნებთა შორის დადგმულნი ცხედრებთაგან აღადგინა მკუდარნი სულმან წმიდამან ელისესითა. განცოცხლდა მოკლული, სახელითა აბრაამ, ისაკ და იაკობისითა. სამთა ყრმათა დაშრიტეს ალი. იხილეთ ბრმანო, უკეთუ მისვლა ჰყო მეფისა წინაშე გჳრგჳნითა პორფირითა და სკიპტრითა და სფერითა შემოსილისა. აჰა, არა ძალგიცს მოხსენებად განიძარცვენ მადიდებელნი შენნი ეგე დიდება რათამცა შიშველსა თაყუანი გცე.

აჰა არა ღმერთმან განაგო ყოველთა სულიერთა და ჴორციელთა დაბადება და ხატი მონისა მიიღო სადიდებელად სამებისა, და წმიდანი წინასწარ განიგულა, მეოხებად მვედრებელთა თჳსთა და ხატთა შინ დაამკჳდრა ძალნი მრავალნი განკურნებად მვედრებელთა და დაუდგინა ანგელოსნი წმიდანი ხატთა მორწმუნეთა მიზიდვად ხატებთა მიმართ, ხოლო თქუჱნ კალვინისა და ლუტერისა სახლებისა მწოდებელნო, ნუთუ არა გრცხვენის ჰურისა მის მოციქულისაგან, რომელმან შერისხა კორინთელთა ნუ მეტყველებთო. მე პავლესი ვარ, მე აპოლოსი და ჩუჱნ კეფასი. არამედ ესრეთ აღიარეთ, ვითარცა ჩუჱნ წმიდანი მოციქულნი აღვიარებთ და ვმეტყუჱლებთ, ჩუჱნ ჩუჱნთჳს ჯუარცმულისა იესო ქრისტესი ვართ. აჰა, გრცხვენოდესთ შენ მეტყუჱლსა. ჩუჱნ ლუტერ მარტინისა ვართ, რომელმან პაპასა უამბოხა და ხატნი უარჰყო და ჩუჱნცა კალვინისანი ვართ, რომელი წარვიდა ლუტერ მარტინსა და დაასუსტა ლოცუა და მსახურებან და უარჰყო მარხვები ჴორცთა დამამორჩილებელნი ღვთისადმი. ვარქუ მათ მოსარჩლეთა ლუტერ მარტინ და კალვინ წმიდანი არიან და სასწაულ მოქმედ. მომიგეს: არა აგიან წმიდა, არამედ ზემო პირ მკითხველ წიგნებთა, ესე რა მესამედცა დაუყავ პირნი მტყუანნი სიტყვითა. წ. მ. პავლესითა, ვითარცა იტყვის წიგნი მოაკვდინებსო. ანბანურ

მკითხუელთა, თჳნიერ სულისა წმიდისა ძალთა ცნობისა და დასცხრენ ცოლისდასა ზედა მექორწინენი და მიიქცნენ პაპისა მცირე ახტედ სახელმდებელნი ბერძენთ სიმოკლისა ფრიად მაქებელნი:

ძეო მეფისაო მიიღოთ ღვაწლი ღვთისათჳს და მითარგმნეთ ხატთა ცნობა, რათამცა იდიდებოდეს სახელი თქუენი ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ივერიასა შინა ვიდრემდის ქრისტე ღვთისა მხედარი ეკლესია შეერთდეს ზეცისა განმცხრომელსა ეკკლესიასა უხრწნელ ნათლისა გვირგვინებთა განმხიარულებელსა წინაშე სამებისა, რათამცა სახელისა თქუენითა მეცა მოვიღო ნეტარეობით ხსენებანი ივერიისა მღვდელთა და ერთაგან, რომელთა შორის ლოტრანიანი და კალვინიანი უხატოდ გარდაემკვიდრენ ექვსეულთა დღეებთა შინა კარებ დახშულისა კირკაებთა თჳსითა, რათა არა მიბაძონ ხატთა უცნობთა რომელთამე გონება ნაკლულევანთა ქართველთა, უკეთუ თარგმნით ყოველნი მართლმადიდებელნი მადლობელ თქუენდა ვიქნებით რუსნი და ქართველნი და თჳთ აოსიანნიცა. თქუენის უგანათლებულესობის მლოცუელი იონა გლახაკი მღუდელ მონოზონი.

წელსა 1834. ივნისის 21 სა.

ღასაბამ სიბრძნისა, შიშითა უფლისათა უგანათლებულესო, მეცამეტე გიორგი მეფის ძეო მიხაილ უუმოწყალესო თქუენისა იონა მონოზონ ხუცისავ, რომელმან გვედრე და აღმითქვით იოანე დამასკელისა წიგნისა თარგმნა სლავენურ რუსულითგან ქართულსა ენასა ზედა გარდმოღება ხატთა პატივისცემათა აჰა და ღირს მყავთ ცნობად წმიდათა ხატთა, რომელმან არა ვუწყი ესრეთ ცნობა ვითარცა წმიდა იოანე დამასკელი ბრძანებს, ვინათგან არა იპოების ჩუენსა ენასა ზედა, ხატთა ამბორებისა წიგნი ეგე. რომელი მასმინეთ მცირედნი ლექსნი დღისა ქრისტეს შობისა დღესასწაულსა ჟამსა მომლოცველობისასა დღესასწაულისა ქრისტეს ღვთისა ხატითა.

და მიბრძანეთ ვინათგან დიდ ფრიად გსურსო, გითარგმი სახელსა შენსა ზედა. ამისთჳს ზედასზედა გევედრები, გთხოვ დავრეკ ყურთთა თქუენთა ვედრისა ჩემისა სმენად და თარგმნად ხატთა თაყუანისცემისა მაგა წიგნისა, რომელი საუნჯედ ჩემდა დავიხავ ვიდრე მშვენვიერლა ვყო სოფელსა შინა მწირობისა ჩემისასა. ესერა გთხოვ მუკლით დადგმით მსასოებელი თქუენდამო უმერყეოთ, რომელსა მრავალ ბევრეულნი თხოვანი აღმისრულეთ. ესერა ოცდაათნი წელნი არიან წარხდინებულ. გარნა მითარგმნოთ რა წიგნი ეგე უუმეტეს ყოველთა აღსრულებულთა წყალობათა თქუენთასა შევრაცხ. ვე-

ნათგან წიგნითა მაგით მაცხოვნებთ ცათა შინა, რომელი მაცხონებ'ა ხატებთა საიდუმლოთა ძალთა.

აჰა, ესერა დავსწერენ ოცდაათერთმეტნი ყოვლადნი წიგნები შსახურებად მამულისა, რათამცა ლოცვითა მათითა მაცხონოს ყურადმღებელმან ღმერთმან.

ესერა ნამდვილ ვსასოებ თქუჱნდამო სიბრძნით უგანათლებულესო ძეო მეფისაო, რათამცა წიგნითა მაგით განმანათლოთ, ცნობად ხატთა თაყუანისცემითა და მყოთ წინაშე ღვთისა აღმყუან ხილულითარე უხილავისა მიმართ, ვიდრე დახსნადმდე სარკეთა კორციელთა.

თქუჱნის უგანათლებულესობის მარადის მლოცველი მონოზან ხუცესი გლახაკი ძრვინაკი თქუჱნდამო უუმწყუჱრვალესისა ღვთისაგან მონიჭებულისა სიყუარულითა. წელსა 1834 ივნისის 21 სა.

**№ 269**

**1834 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა თმღ-სადმი[1]**

აჰა, ესერა თვთუ უწყით უმაღლესო პირუჱლად ეკკლესიასა ამას ღვი სეფისკუჱრითა, ზედაშითა, სანთლითა და საკმეველითა ესე ვითარისა ძვირობათა შინა და ვმადლობ ღმერთსა პირისა და სიბრძნის მომცემსა ამად მხიარულ ვარ ამას ზედა თქუჱნ არ შეგაწუხებ. მეორედ იოანეს თანამდებობის აღმასრულებელთა ვაძლევდით თთუშე ოცდახუთ რუბლს პაიჭაძესა და სამსამ თუმანს პეტრეს[2]. მეოთხე წელი არს გვეხმარება ამის მისაცემზედ შეგაწუხებ. მესამე თქუჱნის უმაღლესობის ვექსილი მაქუს. თუ მიბრძანებთ აღარც ჯამაგირზედ შეგაწუხებთ, ამად რომ კელმოკლეთ გახლავარ და თქუჱნც კელმოკლედ ბრძანდებით. იქიდამ მივცემ ძმისწულსა[3] ოცი თუმანი მართებს იანვრად გამოდის მალე ეგრეთუჱ ორთავე იოანეთა საზამთრო საცმელთა და სახურავთა მოუვაჭრებ და თავსაც ჩემსა დ ქუჱშიეთა და ობოლთაცა გაუგზავნი საცხონებელად ჩემდა. სადღეგრძელოდ თქუჱნის უმაღლესობისა, სადაც იკრიბება მუნ წარადგინეთ ჩემდა ბოძებული ვექსილი ეგების ავილო და თუ ჯერეთ არა გნებავდესთ ჩემი ჯამაგირი და ძმისწულის ფული მიბოძეთ, რომლითაცა ზემოხსენებულთა წარმართებასა ძალ ვიდებ და ვარ და ვიქმნები თქუჱნის უმაღლესობის ერთგულ და მადლობელ თქუჱნისა უმაღლესობისა. ზეცით იწყევით ჩემზედა, ადვილად აღასრულებთ და მყოფთ კმაყოფილ. ძ. მ. მ. მღვდელ მონოზონი იონა მოძღვარი.

წელსა 1834 ა ოკდომბრისა დღესა.

## № 270

### 1836 წლის 8 იანვრის წერილი სოლომონ რაზმაძისა იონა ხელაშვილისადმი

აჰა ესერა თქვენი წიგნი დეკემბრის 17 დაწერილი, კორცისა დამატკბობელი და სულისა ზე აღსვლად მფრთოვან მყოფელი, დედისა ჩემისა წიგნსა შინა დებული, მივიღე ამა წელსა იანვრის 1, რომლისათვისაც მადლობაჲ შევსწირე მაღალსა ვედრებითურთ ცოდვილისა პირითა ჩემითა, რათამცა განამრავლოს მაღალმან სიცოცხლისა წყარომან და ძალთა ძალმან დღენი ცხოვრებისა თქვენისანი, ვინადგან ჰბაძით ღმერთსა წერილისამებრ, რაოდენ შეიძლება კაცისაგან ხატისა ღმრთისა, ე. ი. ადენთ ტკბილსა წყაროსა ვითარცა სიტყვით, ეგრეთვე საქმით ქვრივთა, ობოლთა და ყოველთა გაჭირვებულთა ზედა, ვითარითა სახითა და ვითარითა სიტყვითა წარმოვსთქვა მადლობაჲ წინაშე თქვენსა. სულიერო მამაო ზეციერისა დარიგებისათვის და მოხსენებისათვის ჩემ ცოდვილისა საღთოსა ლოცვასა შინა თქვენსა, ჭეშმარიტად ღვინოთა და ზეთად ექმნა სულიერ და ხორციელ შვენიერად აღნაქსულნი სიტყვანი თქვენნი ცოდვისაგან მოწყლულსა სულსა და ხორცსა ჩემსა, გარნა კეთილი სული არა მოელის მადლობისა მიღებასა. ნეტარ არს მყოფელი კეთილისა მყოფელი მოყვარისადმი, რომელი არა აზმნობს მადლობის გინა სასყიდელისა მოღებასა.

# შენიშვნები

## № 1

### 1809 წლის 28 ივლისის წერილი გოდერძი ფირალოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 118

1. მირიან საქართველოს მეფის ძე-მირიან ბატონიშვილი (1766—1834 წწ.), ერეკლე II-ის და დარეჯან დედოფლის ძე. იყო რუსეთში 1783 წლის ტრაქტატის დასადებად გაგზავნილი დელეგაციის შემადგენლობაში. შემდეგში მიიღო გენერალ ლეიტენანტის და სენატორის ჩინი. ეწეოდა ლიტერატურულ შრომას. რუსული ენიდან უთარგმნია: პლატონ მოსკოველი-ლევშინის (1737—1812 წწ.) ეგზეგეტიკური ტრაქტატი „ჰსჯა მელქისედეკისათვის“ (პირველად ეს ტრაქტატი თარგმნა გაიოზ რექტორმა), გერმანელი დრამატურგის ბრავეს (1738—1758 წწ.) პიესა „ტრაღედია ათეისტისა“, დერჟავინის „ღმერთი“. დეტალურად: იხ. ტრ. რუხაძის „ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია“, 1949, გვ. 149.

2. ბლანდუა — ხლართვა, უთავბოლო ლაპარაკი.

3. გოდერძი ფირალოვი — გოდერძი პავლეს ძე ფირალიშვილი (1768—1823 წწ.), რუსეთის უცხო მხარის კოლეგიის მრჩეველი, ბატონიშვილთა წრის წევრი, მთარგმნელი და ავტორი რამდენიმე თხზულებისა. ავტორი „თვითმასწავლებელი, რუსთა ქართულისა და ქართველთა რუსულისა“. სამკურნალო წიგნებისა, „ვეფხისტყაოსნის“ 5 მოქმედებიანი ტრაგედიისა სათაურით „ვეფხისტყაოსანი ანუ სიყვარული სამშობლოსადმი“. თარგმნა: ეკატერინე II-ის „დაწყება მმართველობისათვის ღუბერნიათა“, „სწავლანი და კანონი სამხატრო პავლე პირველისა“, „ალექსანდრე პირველის მანიფესტი“, „ენციკლოპედია ანუ შეკრებილებანი სწავლათა ჰაზრთანი და განსჯანი სხუათა“, სამუილ პუფენდორფის «О должности гражданина пс естественному праву“. ვასილ ჭილაძესთან ერთად თარგმნა პლანიმეტრიის სახელ-

მძღვანელო. ამასთან, იგი იყო პეტერბურგში ქართული წიგნის გამოცემის დიდი მოამაგე (დეტალურად: ტრ. რუხაძე, ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, 1949; ნ. მახათაძე, ქართული კულტურის კერა პეტერბურგში, 1967).

## № 2

### [1812 წ. თებერვლის] წერილი მეფის ძე დავითისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 125

თარიღდება ტექსტში მოხსენიებული გაბრიელ ბატონიშვილის გარდაცვალებით (1812 წლის 29 თებერვალი). წერილს მითითებული აქვს „თებერვალი".

1. გაბრიელ — იგივე ჯიბრაილ ბატონიშვილი (1788—1812 წწ.), გიორგი XIII ძე მეორე ცოლიდან.

2. ანატოლი — პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის სასულიერო სემინარიის რექტორი.

3. ნემსკის სემინარია — პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის მონასტრის სასულიერო სემინარია, სადაც სწავლობდა იონა ხელაშვილი.

4. დავით გიორგის ძე ბაგრატიონი (1767—1819 წწ.), გიორგი XIII შვილი, საქართველოს ტახტის მემკვიდრე, მმართებელი, გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი. 1803 წლიდან გადასახლებულია პეტერბურგში. მატერიალისტი მოაზროვნე, ათეისტი, „ვოლტერიანელი", ღრმად განათლებული პიროვნება, მონტესკიეს, ჰობსის, ჟან-ჟაკ-რუსოს, კონდილაკის, ნიუტონის, ჩეზარე ბეკარიას ნაშრომთა მცოდნე, მთარგმნელი შარლ ლუი მონტესკიეს „გულისხმისყოფისათჳს სჯულისა", ანსილიონის „ესტეტიკებრი განსჯანის" და ვოლტერის „შობისათჳს", ავტორი თხზულებისა „შემოკლებული ფისიკა", „საქართველოს ისტორია", «Обозрение Грузии по части прав и законоведения» და სხვ. (დეტალურად: ქართულ-რუსული ფილოსოფიური ურთიერთობის ისტორიიდან, 1984, გვ. 161—187. გ. დედაბრიშვილი, დავით ბაგრატიონის ფილოსოფიური შეხედულებანი).

## № 3

### 1812 წლის 13 ნოემბრის წერილი ამბროსი ნოვღოროდის მიტროპოლიტისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი. ფ. S—1532, გვ. 200.

1. პრიდელნის ეკლესიის ანდრიას სობორო — ?

2. სტეფანე — ამ ეკლესიის პროტოიერეი.

3. ამბროსი ნოვღოროდის მიტროპოლიტი — „მოამაგე ნეტარ სახსოვარი ამბროსი მიტროპოლიტი ნოვგოროდისა, სანკტპეტერბურხისა, ისლანდიისა, ფინლანდიისა და ზედართვით წ. ალ. სამების ლავრის არხიმანდრიტი, რომელმან უბრძანა არხიერ დოსითეოს ჴელთ დასხმა ჩემი", — წერს იონა ხელაშვილი. ამბროსი მიტროპოლიტს გამოსთხოვა მეფის მემკვიდრე დავითმა ეკლესიის აშენების უფლება თავის ეზოში, რაც არ განხორციელდა ნაპოლეონის შემოსევის გამო. ამბროსი მიტროპოლიტის სახელი შეტანილია ი. ხელაშვილის მიერ შედგენილ „მოსახსენებელ წიგნში", განყოფილებაში: „მოწყალენი ჩემნი და კეთილისმყოფელნი". „ამბროსი მიტროპოლიტმა მოუწოდა ხალხს პეტერბურგის ისაკის ტაძრის კათედრიდან 1812 წლის სამამულო ომში მონაწილეობისაკენ" (იხ. ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, 1983, ლ. მიქიაშვილის გამოცემა).

## № 4

### 1816 წლის 8 თებერვლის წერილი მეფის გიორგის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 194

1. თეიმურაზის პაპა — ერეკლე II;

2. თეიმურაზის მამა — გიორგი XIII, საქართველოს უკანასკნელი მეფე.

3. თეიმურაზ ბატონიშვილი (1782—1846 წწ.) — მეფე გიორგის ძე. დედა — ქეთევან ანდრონიკაშვილი. 1811 წლიდან ცხოვრობს პეტერბურგში, ფართო დიაპაზონის მქონე საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, წევრი რუსეთის ბიბლიური საზოგადოების (1813 წ); პარიზის სააზიო საზოგადოებისა (1831 წ.); რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი (1837 წ.); საფრანგეთის „თავისუფალ ხელოვნებათა აკადემიის საპატიო წევრი (1837 წ.);

კოპენჰაგენის ანტიკვართა საზოგადოების წევრი (1838 წ.); წარდგენილ იყო საფრანგეთის (პარიზის) მეცნიერებათა აკადემიაში ასარჩევად.
თარგმნილი აქვს არისტოტელეს, ტაციტუსის, ციცერონის, ვოლტერის, პუშკინის და სხვ. ნაშრომები; არის ავტორი მრავალი ნაშრომისა მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ითვლება ქართველოლოგიის მამად. შემწე პეტერბურგში მცხოვრები მრავალი ქართველი მოსწავლისა. 1816—1825 წლებში იონა ხელაშვილი არის თეიმურაზის კარის ეკლესიის მოძღვარი (გ. შარაძე, თეიმურაზ ბაგრატიონი, ტ. 1, 1972, და ტ. 2 1974.).

## № 5

### [1816] წ. წერილი მეფის ძე დავითისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 125. თარიღდება 1816 წლამდე.

1. ილია ბატონიშვილი (1790—1854 წწ.) — გიორგი XIII ძე მეორე მეუღლიდან. რუსეთში ცხოვრობდა 1803 წლიდან. სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში. გარდაიცვალა პოლკოვნიკის ჩინით. ფრიად განათლებული პიროვნება. დასაფლავებულია მოსკოვში, პოკროვის მონასტერში. მისი შვილები ატარებდნენ გრუზინსკის გვარს. თარგმნა ფრანცულიდან „ბაასი ორთა უჩინებულესთა ფილოსოფოსთა ევროპისათა კლარკ და ლეიბნიცისა" (იხ. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980).
2. მეფის ძე დავით — დავით ბაგრატიონი: იხ. მეოთხე შენიშვნა № 2 წერილისა).

## № 6

### 1816 წ. ივნისის წერილი დავით ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 125,

დათარიღებულია მომდევნო წერილის მიხედვით. წერილი დაწერილია 1816 წ. ივნისში.

1. მიტროპოლიტი — ამბროსი მიტროპოლიტი ნოვღოროდისა, სანკტპეტერბურგისა, ისლანდიისა, ფინლანდიისა და ზედართვით

წ. ალ. სამების ლავრის არხიმანდრიტი — შენიშვნა № 3 წერილისა.
2. დავით, მეფის ძე, იხ. № 2 წერილის შენიშვნა 4.

## № 7

### 1816 წ. 11 ივნისის წერილი წმ. სამების ალექსანდრე ნეველის ლავრის რიზნიჩის იერომონახ იზრაილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 200—201

1. მიტროპოლიტი — ამბროსი მიტროპოლიტი ნოვგოროდისა, სანკტპეტერბურგისა, ისლანდიისა და ა. შ. იხ. მესამე შენიშვნა № 3 წერილისა.

2. იზრაილ—წმ. სამების ალექსანდრე ნეველის ლავრის რიზნიჩი, იერომონახი, რიზნიჩი (რუს.) — საეკლესიო შესამოსელისა და ნივთეულობის საცავის მეთვალყურე მონასტერში.

## № 8

### 1816 წლის 12 ივლისის წერილი ივანე ტიხომიროვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 200—201

1. მიტროპოლიტი ამბროსი — იხ. მესამე შენიშვნა № 3 წერილისა.

2. ივან ტიხომიროვი — პოსიდნის კანტორის თანამშრომელი.

## № 9

### 1817 წლის 8 აგვისტოს წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 195—197

1. უკეთილმსახურესი და უმაღლესი სრულიად საქართველოსა დედოფალი მარიამ — საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, გიორგი XIII მეორე მეუღლე. მარიამ გიორგის ასული ციციშვილი, თეიმურაზის დედინაცვალი.

2. საქართველოს მეფის ძენი — გიორგი XIII ძენი პირველი ქორწინებიდან: დავითი, იოანე, ბაგრატ და თეიმურაზ.

ასულნი პირველი ქორწინებიდან: ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე, დედა — ქეთევან ანდრონიკაშვილი.

გიორგი XIII ძენი მეორე ქორწინებიდან: მიხეილ, ჯიბრაილ იგივე გაბრიელ, ილია, სვიმონ, ოქროპირ, ირაკლი.

ასულნი მეორე ქორწინებიდან: თამარ, ანნა, ანნა. დედა — მარიამ გიორგის ასული ციციშვილი.

3. მეფის რძალი ელენა — მეფის ძე თეიმურაზის მეუღლე ოთარ ამილახვარის ასული. გარდაიცვალა 1866 წ.

4. საქართველოს მეფის ძე თეიმურაზი. იხ. მესამე შენიშვნა № 4 წერილისა.

5. თეიმურაზის ამ წერილში გადმოცემულია თხოვნა-დავალება ხელაშვილისადმი — შეადგინოს „მოსახსენებელი წიგნი"[1].

იონა ხელაშვილის მიერ შედგენილ ამ სიაში მოხსენიებულნი არიან: რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე, დედოფალი ელისაბედ და მარიამ, მეფე ირაკლი, დარია დედოფალი, ძენი და ასულნი მათნი, გიორგი მეფე და ქეთევანი შვილებით. შემდეგ მოსდევს სია სათაურით: „მოწყალენი ჩემნი და კეთილისმყოფელნი. შვილებნი ჩემნი ქრისტეს მიერ სიყვარულითა ამიერ განსრულებულნი ძმანი და დანი".

## № 10

1817 წ. აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სვიმონ ტაბიძისადმი.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება, ქართული ხელნაწერი E—156.

დათარიღებულია წინა წერილის მიხედვით — 1817 წლის აგვისტო. წერილი მიმართულია სვიმონ ტაბიძისადმი და შეიცავს იონა ხელაშვილის თხოვნას, შეადგინოს სიები მიცვალებულთა მოსახსენიებელი წიგნის შესადგენად. თავის მხრივ, იონამ ასეთი დავალება მიიღო თეიმურაზ ბაგრატიონისაგან (იხ. წერილი № 9) „ამად დაუვიწყებლობისათვის დამაწერინა მე, სვიმეონ ტაბიძეს გურიელს, სულიერ მოწაფესა თვსსა პეტერბურღსა შინა", — წერს იგი იონა ხელაშვილის მიერ შედგენილ „მო-

---

[1] იხ. ვარლამ დონდუა — პეტერბურგის ქართული კოლონიის საისტორიო სამწიგნობრო მემკვიდრეობა—იონა ხელაშვილის მოსახსენებელი წიგნი, წიგნში: საისტორიო ძიებანი, III, თბ., 1985, გვ. 153.

სახსენებელში“ (იხ. ვარლამ დონდუა, საისტორიო ძიებანი, III, 1985, გვ. 165).

1. სვიმონ ტაბიძე — მწიგნობარი, მესტამბე (1776—1865 წწ.), დაბადებულა ვანის რაიონში. იყო პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის სტამბის ამწყობი. პოეტი; პეტერბურგის სტამბაში მას აუწყვია „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ბეჭდური, 1841 წლის გამოცემის ტექსტი. მაგრამ ძირითადი საქმიანობა სიმონ ტაბიძისა ხელნაწერთა გადაწერაა. მას გადაუწერია ბროსესათვის „ქართლის ცხოვრება“, ომან ხერხეულიძის „ირაკლი მეორის მეფობის ისტორია“, ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ისტორია“, ქრონიკები სეხნია ჩხეიძის და პაპუნა ორბელიანისა და სხვ. 1830—1837 წლებში იგი იონა ხელაშვილთან ჩანს. იონას თხზულებების უმრავლესობა სიმონ ტაბიძის მიერაა გადაწერილი. 1835—1846 წლებში იგი იწერდა ხელნაწერებს თეიმურაზის მდიდარი ბიბლიოთეკისათვის. სვ. ტაბიძე მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწევა. მაგ. მას უთარგმნია ტიხონ ვორონეჟელის „სიტყვანი“ (ლენინგრადი E—92) (იხ. თ. ენუქიძე, ს. ტაბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა, ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1960).

## № 11

### 1820 წლის 25 მარტის წერილი არქიეპისკოპოსი დოსითეოსისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 135—136

1. არქიეპისკოპოსი დოსითეოზი (1774—1830 წწ.) — დიდი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, ქსნის ერისთავის აზნაური. დიმიტრო არჯევანის ძე ფიცხელაური. ბერად აღიკვეცა იოანე ნათლისმცემელის უდაბნოში 1791 წელს. ქართლში — ხოფის მონასტრის არქიმანდრიტი. 1801 წლიდან ქვათახევის მონასტრის წინამძღვარია. 1810 წლიდან რუსეთშია, პეტერბურგში. სწავლობს რუსულ ენას, მონაწილეობას იღებს საქართველოს საეკლესიო ახალი მმართველობისათვის წესების შემუშავებაში. 1815 წლიდან დოსითეოზი საქართველოშია. არის ოსეთის სასულიერო კომისიის გამგე. აქ მან ათასობით ოსი მოაქცია ქრისტიანად. 1817 წელს განთავისუფლდა ყველა თანამდებობიდან. წავიდა მოსკოვში. აქ იყო 12 წელიწადი. 1829 წელს ითხოვა საქართველოში სამკურნალოდ დაბრუნება. როდესაც მან მოინდომა ალავერდის ტაძრისათვის კანკელის დახატვა, დახმარებისთვის მი-

მართა იონა ხელაშვილს და მისი მეშვეობით თეიმურაზ ბატონიშვილს იხ. И. В. Тарсандзе, Сведения о Грузинах в России во второй половине XVIII в. 1983. მაქსიმე ბერძნიშვილი, მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. 1).

2. ფარნაოზ მეფის ძე (1775—1852 წწ.) — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის მერვე ვაჟი. იყო დავითის გამეფების წინააღმდეგი, იცავდა ერეკლეს ანდერძს. 1805 წლიდან გადასახლებულია რუსეთში, ვორონეჟში. 1806 წლიდან ცხოვრობს პეტერბურგში. ფრანგულიდან თარგმნა „ჰაზრნი ჟან-ჟაკ რუსოსი სხვადასხვა საგანთათვის“, კარამზინის „რაისა“.

3. მეფის სძალი ანნა — მეფის ძის ფარნაოზის მეუღლე, გიორგი ქსნის ერისთავის (ყულარაღასის) ქალი.

4. მარიამ დედოფალი და მისი შვილები — მარიამ დედოფალი (1768—1850 წწ.), საქართველოს უკანასკნელი დედოფალი, გიორგი XIII მეუღლე. მისი შვილები: მიხეილი (1735—1861 წწ.), ჯიბრაილ, იგივე გაბრიელ (1788—1812 წწ.), ილია (1790—1854 წწ.), ოქროპირი (1795—1857 წწ), ირაკლი (1799—1859 წ.), თამარ (1789—1851 წწ.).

5. დედოფალი ანნა — იმერეთის დედოფალი. დავით გიორგის ძის მეუღლე, ყაფლანიშვილი მამუკას, იგივე მათე ორბელიანის ასული.

1802 წელს იმერთა დედოფალი სთხოვს იმპერატორ ალექსანდრეს, რათა მისი შვილი კონსტანტინე გაათავისუფლოს ციხიდან. მაგრამ სოლომონ მეფემ მას მხარი არ დაუჭირა, (იხ. ბაგრატ ბატონიშვილი — ახალი მოთხრობა). 1810 წლიდან ანნა შვილ კონსტანტინესთან ერთად რუსეთშია, ძირითადად ცხოვრობს მოსკოვში. გარდაიცვალა იქვე 1832 წელს.

6. დედოფალი მარიამ (17... 1841) იმერეთის დედოფალი მარიამ, კაცია დადიანის ასული, სოლომონ II მეუღლე, სოლომონს მისთხოვდა 1781 წელს. სოლომონის თურქეთში გაქცევის შემდეგ, გადასახლდა რუსეთში — ცხოვრობდა ვორონეჟს. სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ნება მისცეს ეცხოვრა დედაქალაქებში. 1817 წელს გადმოსახლდა მოსკოვში. 1818 წლიდან ცხოვრობს პეტერბურგში.

7. ბატონიშვილი მირიან (1766—1834 წწ) — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის მეოთხე ვაჟი. იხ. 1 შენიშვნა № 1 წერილისათვის.

8. ბატონიშვილი იოანე — იხ. მე-2 შენიშვნა № 12 წერილისათვის.

9. ბაგრატ — ბაგრატ ბატონიშვილი (1774—1841 წწ.) გიორგი XIII ძე. კამერგერი, სენატორი, გენერალ-ლეიტენანტი, 1803 წლი-

დან ცხოვრობს პეტერბურგში. იონა ხელაშვილის რეკომენდაციით, მისი შვილების აღმზრდელად მსახურობდა სოლომონ დოდაშვილი. ავტორი: „ახალი მოთხრობისა“, „ძლევისათვის მტერთა ზედა ქრისტეს მოსახელისა მხედრობისა“, „გამოკრებული ფსალმუნი“ (S—2445) და სხვ.

10. თეიმურაზ ბატონიშვილი იხ. მესამე შენიშვნა წერილი № 4-სთვის.

11. ბატონის რძალი მარიამ.

12. ბატონიშვილი რუსიშა (1780—1847 წწ.) გიორგი XIII შვილი, დავით, იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების და, მეუღლე დიმიტრი ჩოლოყაშვილისა. 1807 წლიდან ცხოვრობს მოსკოვში, 1828 წლიდან თბილისში. გარდაიცვალა 1847 წელს პეტერბურგში (იხ. მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი).

## № 12

1820 წლის 20 ივნისის წერილი დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტ ილარიონისა იერომონახ იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 137—138

1. სვიმეონი — დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტის ილარიონის ძმისშვილი, სწავლობდა პეტერბურგში.

2. იოანე ბაგრატიონი (1768—1830 წწ.) — იოანე ბატონიშვილი. გიორგი XIII შვილი. გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. ავტორი მრავალი ნაშრომისა ცოდნის სხვადასხვა დარგში. ეკუთვნის ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „კალმასობა“, ამასთან, არის მრავალი ნაშრომის მთარგმნელი (დეტალურად იხ. გ. დედაბრიშვილი, კალმასობის ფილოსოფიური წყაროები, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, კრ. II, 1976).

3. არქიმანდრიტი ილარიონი — წმ. დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი.

№ 13

1820 წლის 22 ივლისის წერილი არქიეპისკოპოს პაფნოტისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 134.

1. ბოსტოღანოვი. — იხ. მესამე შენიშვნა № 14 წერილისა.

2. არქიეპისკოპოსი პაფნოტი (პაფნუტი) — საქართველოს მღვდელმთავარი სოზიაშვილი, ბერი, კათალიკოს ანტონს ახლდა დიაკვნად. 1812 წელს აკურთხეს არქიმანდრიტად თირის მონასტერში. ცნობილია იმით, რომ 1818 წელს პეტერბურგში ჩასულმა ხელმწიფე იმპერატორს მოახსენა დედოფალ მარიამის უდანაშაულობა გენერალ ლაზარევის მკვლელობაში. შეტანილია იონა ხელაშვილის „მოსახსენებელ წიგნში" გრაფაში: „მოწყალენი ჩემნი და კეთილისმყოფელნი — პაფნუტი არხიეპისკოპოსი" (მ. ბერძნიშვილი, მასალები.. მ. გონიკაშვილი ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, 1886).

3. მეფის ძე თეიმურაზი — იხ. მესამე შენიშვნა № 4 წერილისა.

4. თეიმურაზის მეუღლე ელენა — იხ. მესამე შენიშვნა № 9 წერილისა.

№ 14

1820 წლის 22 ივლისის წერილი იოსებ ბოსტოღანოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532

წერილი დათარიღებული არ არის. თარიღდება შემდეგი, მე-15 წერილის მიხედვით, 1820 წლის ივლისით.

1. ილია მეფის ძე (1790—1854 წწ.) — გიორგი XIII შვილი. (იხ. I შენიშვნა № 5 წერილისათვის).

2. ოქროპირი — ბატონიშვილი (1794—1857 წწ.) — გიორგი XIII ვაჟი — მეორე ქორწინებიდან. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, იყო სამხედრო სამსახურში, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას.

3. იოსებ ბოსტოღანოვი (ბოსტოღანაშვილი, ბასტამაშვილი, ბასტამოვი) — აზნაური, თეიმურაზ ბატონიშვილის ამალის წევრი; მასთან ერთად იყო სპარსეთში, შემდეგ გაიქცა რუსეთში და 1820 წელს სათავადაზნაურო პოლკში ჩაირიცხა.

წერილის მიხედვით, იგი მატერიალურად გაჭირვებულია და საქართველოში წამოსვლას აპირებს.

### № 15

1821 წლის 21 ივლისის წერილი გენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 132

1. გენათელი მიტროპოლიტი ევთვმი (ექვთიმე) (17.. —1822 წწ.) — გენათელი მიტროპოლიტი, როგორც იმერეთის აჯანყების მოთავე, 1820 წ. დააპატიმრეს დოსითეოს ქუთათელთან ერთად. 1821 წ. იყო ნოვგოროდში, პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრესთან, სადაც მთარგმნელად იყო იონა ხელაშვილი.

1821 წელს დაინიშნა ნოვგოროდის ეპარქიის ოლონეცის მაზრის სვირის სამების მონასტრის არქიმანდრიტად; გარდაიცვალა 1822 წლის 21 აპრილს, დასაფლავებულია იქვე (მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, 241).

იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში“ წერს: „ევთვიმე გენათელი გურიის ერისთავის ძე. სიყრმითგან ვიდრე სიბერემდე სიწმინდის მოყვარე. ეკლესიათა თვისთა კეთილად შემამკობელი“.

### № 16

1821 წლის 16 აგვისტოს წერილი მღვდელ სოლომონ ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 146—147

1. გიორგი ხელაშვილი — ძმა იონა ხელაშვილისა. ამ დროს იონასთან იმყოფებოდა პეტერბურგში.

2. იოსებ ქემხა კოჩიაშვილი — როგორც წერილიდან ჩანს, იმყოფება პეტერბურგში, ოჯახი კი — კახეთში.

3. სოლომონ ხელაშვილი — მღვდელი ქიზიყის დაბა ვაქირში. იონას ნათესავი.

## № 17

1822 წლის 8 იანვრის წერილი გენათელ მიტროპოლიტ ევთვიმისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 133

1. გენათელ მიტროპოლიტი ეფვთიმი, იხ. I შენიშვნა № 15 წერილისა.
2. ტალერკა — თეფში (რუს.).

## № 18

1822 წლის 12 მარტის წერილი იერუსალიმელი ბერი იოსტოსი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 141—142

1. იერუსალიმელი ბერი იოსტოს — იეროდიაკვანი, მრევლიშვილი იოსტოს (1832 წ.) დავით გარეჯის მონასტრის აღზრდილი, ბერი. 1812 წელს იყო იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად. ოდესა — პეტერბურგი — მოსკოვის გავლით დაბრუნდა და დაბინავდა დავით გარეჯის უდაბნოში. მოსკოვში ყოფნის დროს წერილს წერს იონა ხელაშვილს, რომ უსახსრობის გამო გაჩერებულა მოსკოვში. გარეჯში ყოფნის დროს თავის ხელით გამოკვეთა კლდეში ღვთის მიძინების ეკლესია, 3 სენაკი და რამდენიმე არხი მონასტრის წყალსაცავისათვის (მ. ბერძნიშვილი, მასალები, II).
2. კაპილონი — მგზავრთ სადგური (სულხან საბა ორბელიანი).
3. ლირფი — თავხედი.

## № 19

1822 წლის 2 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა დავით რექტორისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 96r—98v.

1. დავით რექტორი — დავით ალექსის ძე მესხიშვილი (1745—1825 წწ), თელავის სემინარიის რექტორი 1790—1801 წლებში. იმ დროის მრავალ გამოჩენილ ადამიანთა მასწავლებელი. „გონება

მკვეთრი და კარგი მეხსიერი, მწერალი მშვენიერი" (ი. ბატონიშვილი). კათალიკოსი ანტონი მას ქართველთა შორის პირველ ისტორიკოსს უწოდებდა. დავით რექტორს სასწავლო მიზნით შეუდგენია „ბიოგრაფიული ლექსიკონი", „ძველი ქართული წიგნების კატალოგი". გაუგრძელა გაიოზის მიერ როლენის „ძველი ისტორიის" თარგმნა, დაუმატებია სიტყვები და განმარტებანი ს. ს. ორბელიანის ლექსიკონისათვის; შეუდგენია ანთოლოგია. შეუტანია ალ. მაკედონელის მიერ „მოწერილი წიგნი სლავენთა ერთა მიმართ" (S—1512). გამოიყენა ინოკენტი სინოპსისის ერთი თავი, რამდენიმეჯერ გადაუწერია დავით ბაგრატიონის მიერ თარგმნილი ჩულკოვის „მითოლოგიური ლექსიკონი" (მ. ბერძნიშვილი, ტრ. რუხაძე).

2. რაბბი — მოძღვარი.

3. აბბა — მამა.

4. იძვრისი — ის, რაც მოძრაობს, მოძრავი.

5. უნერჩო — უძირო. ნერჩი — „გარეგანსა ქვევითსა ქერქოსა ჰურჩელთასა ჰქვიან ნერჩი". (სსო).

6. სირა — რიგი, მწკრივი

7. სქესი — გვარი

8. მარიელი — აგვისტო

9. პიტაკი — სავედრებელი მისაწერი

10. ალნაქვსი — ფრაზა;

11. სტელი — ქსოვილი

12. ჯოში — გასრულებულივით (1)

## № 20

1822 წლის 14 ივნისის წერილი არქიმანდრიტი გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 140

1. გენათელ მიტროპოლიტი ქუთათელი — იხ. I შენიშვნა № 15 წერილისა.

2. მამა არქიმანდრიტი მაკარი — ნოვგოროდის გუბერნიის ოლონეცის მაზრის სვირის სამების მონასტრის არქიმანდრიტი:

3. იაგორ მაკარიჩი და მისი მეუღლე — ხელაშვილის წერილში დაახლოებულ პირად და მოწაფედაა სახელდებული.

4. არქიმანდრიტი გრიგოლი — ანანიაშვილი — ვაჩნაძე, დაესწრო ექვთიმე გენათელ მიტროპოლიტის სიკვდილს სვირის მონასტერში. 1800 წელს თეიმურაზ ბაგრატიონს გადაუწერა საჩუქრად ლოცვანი.

## № 21

### 1822 წლის 15 ივნისის წერილი დავით რექტორისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 95—96

1. დავით რექტორი — იხ. 1 შენიშვნა № 19 წერილისა.
2. მეფის ძე თეიმურაზ — იხ. III შენიშვნა № 4 წერილისა.
3. მეფის სძალი ელენა — თეიმურაზ მეფის ძის მეუღლე.

## № 22

### 1822 წლის 19 ივნისის წერილი გიორგი ავალოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 198

1. გიორგი ავალოვი — იხ. II შენიშვნა № 39 წერილისა.
2. დოსითეოზ — იხ. I შენიშვნა № 4 წერილისა.
3. პაფნოტი — იხ. II შენიშვნა № 13 წერილისა.

## № 23

### 1822 წლის 25 ივლისის წერილი არხიმანდრიტ გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 140

1. დედუფალი ანა — ლაპარაკია იმერეთის დედოფალ ანაზე, დავით მეფის მეუღლეზე (იხ. V შენიშვნა № 11 წერილისა.

2. არხიმანდრიტი გრიგოლ — იხ. IV შენიშვნა № 20 წერილისა.

3. აბულაძე იოანე — ხომ არ არის ეს ივანე აბულაძე მსახური, რომელმაც გაათავისუფლა სოლომონ II მიერ დევნილი ძმები ალექსანდრე და დიმიტრი ბაგრატიონ-იმერეტინსკები, სოლომონ I ვაჟის ალექსანდრეს უკანონო შვილის, გიორგის, შვილები?

4. ქვემთკველობა თუ ქვებურობა — სიწმიდის მოკლება.

5. მახარიკა — იონა ხელაშვილის ნათლიის ელენე ბოლდაურის შვილი.

№ 24

(1822) წლის წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ გრიგორისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S —1532, გვ. 49—52

1. არხიმანდრიტი გრიგორი — იხ. I შენიშვნა № 20 წერილისა.
2. მროწლედ — მოწყალედ.
3. მხმილავი — ღამის დარაჯი.

№ 25

1822 წლის აგვისტოს ხელწერილი საქართველოს მეფის გიორგის ძეთა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S —1532

1. მეფის გიორგის ძენი: მეფის ძე იოანე-იოანე ბაგრატიონი (იხ. 2 შენიშვნა № 12 წერილისა).

2. მეფის ძე ბაგრატ (იხ. 9 შენიშვნა № 11 წერილისა).

3. მეფის ძე თეიმურაზ (იხ. 3 შენიშვნა № 4 წერილისა).

4. მეფის ძე ილია (1790—1854 წწ.) (იხ. შენიშვნა 1, № 5 წერილისა).

№ 26

1822 წლის 3 სექტემბრის წერილი ნიკოლოზ მიხეილოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 141

1. ექსარხი —1821—1832 წლებში საქართველოს ეგზარქოსი იყო იონა.

2. ვასილ მათეიჩი —

3. ნიკოლოზ მიხეილოვი — ნამდვილი გვარია მიქელიშვილი (ხელაშვილი). ცნობილია მიქელიშვილი ნიკიფორე — დავით ბაგრატიონის მოძღვარი. ნიკიფორეს მამა იყო მიხეილი, თელავის ეკლესიის მღვდელი. ნიკიფორეს ჰყავს ძმისწული მიხაილოვი — სოლომონი. როგორც წერილიდან ჩანს, ნიკოლოზ მიხეილოვი არის სა-

ქართველოს ეგზარხთან დაახლოებული სასულიერო პირი (მ. ბერძნიშვილი, მასალები... II), ნიკოლოზ მიხელოვი, შემდეგში არქიმანდრიტი, ნახსენებია აგრეთვე წერილებში № 96, 136.

## № 27

### 1823 წლის 8 მარტის წერილი ალექსანდრე და დიმიტრი ბაგრატიონებისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 130

1. ალექსანდრე ბაგრატიონი — ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონი—იმერეტინსკი (1796—1862 წწ.). 1811 წლიდან არის ლეიბგვარდიის ულანთა პოლკში კავალერიის გენერალ-ადიუტანტის ჩინით.

2. დიმიტრი ბაგრატიონი—ბაგრატიონ-იმერეტინსკი დიმიტრი გიორგის ძე (1799—1845 წწ.), სოლომონ I შვილიშვილები რუსეთში გადასახლებული არიან 1811 წლიდან. დიმიტრი იყო პაჟთა კორპუსში, შემდგომ — ლეიბგვარდიის გროდნოს ულანთა პოლკის უფროსი გენერალ-მაიორის ჩინით. ორივე არიან სოლომონ პირველის ვაჟის, ალექსანდრეს, უკანონო შვილის—გიორგი ბუშის (1765—1867 წწ.) შვილები. მათი დედა—დარეჯან როსტომ ერისთავის ასული მათთან ერთად გადასახლებული იყო რუსეთში. 1804 და 1812 წლის დადგენილებით, იმერეთის ბატონიშვილთა შვილები იწოდებოდნენ თავად იმერეტინსკებად, მხოლოდ სოლომონ I შვილიშვილებს — ალექსანდრე და დიმიტრის — ნება დაერთოთ რომ მათ ეტარებინათ გვარი ბაგრატიონისა იმერეტინსკების მიმატებით (იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები ...,I).

## № 28

### 1823 წლის 19 ივლისის წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 191—192.

1. მეფის ძე თეიმურაზი — (იხ. III შენიშვნა № 4 წერილისა).

## № 29

1825 წლის წერილი მეფის ძის თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 333

წერილი დაუთარიღებელია, თარიღდება 1825 წლამდე. იმ პერიოდში, როდესაც იონა ხელაშვილი თეიმურაზ ბაგრატიონის ეკლესიაში სწირავდა. იხ წერილი № 4, შენ. 3.

1. მსცემსი — მსგეფსი — ერთი კვირა, შვიდი დღე, სწორი.

## № 30

1823 წლის 12 სექტემბრის წერილი მღვდელი ხატიევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 148—149

1. მრჩობლი — ორმაგი.

2. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა. დაბრუნდა ვაქირში პეტერბურგიდან, სადაც სტუმრად იმყოფებოდა იონა ხელაშვილთან. იხ. წერილი № 16, შენ. 1.

3. მღვდელი გიორგი — ვაქირის ეკლესიის მღვდელი.

4. დავით მღვდელი — ხატიევი (ხატიაშვილი) იონას მშობლიური სოფლის ვაქირის ეკლესიის მღვდელი. წერილი № 16, შენ. 1.

## № 31

1828 წლის 2 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იოანე ანდრონიკოვისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 115—117

1. ანდრონიკოვი იოანე — მაიორი, თავადი მალხაზის ძე. მიაღწევს გენერლობას. ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე, იხ. II შენიშვნა № 41 წერილისა.

2. ბაგრატიონი ალექსანდრე — იგულისხმება ალექსანდრე გიორგის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (იხ. I შენიშვნა № 27 წერილისა).

3. არღუთაშვილი მოსე —არგუტინსკი-დოლგორუკოვი [მოსე ზაქარიას ძე (1797—1855 წწ.) ქართველი თავადი, სამხედრო. სწავლობდა პეტერბურგში, იყო ა/კავკასიაში რუსული პოლიტიკის გამტარებელი.

4. მარიამ დედოფალი — იმერეთის დედოფალი მარიამ, კაცია დადიანის ასული, სოლომონ II მეუღლე (იხ. მე-6 შენიშვნა № 11 წერილისა).

## № 32

### 1824 წლის 7 იანვრის წერილი მეფის ძე ბაგრატისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 127

1. მეფის ძე ბაგრატ (1776—1841 წწ.) — გიორგი XIII მესამე ვაჟი ქეთევან ანდრონიკაშვილისაგან. კამერგერი, სენატორი. 1803 წ. გადაასახლეს რუსეთში, პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1841 წელს, დაწერა ისტორიული შრომა „ახალი მოთხრობა“ და „რუსეთ-სპარსეთის ომი“. გადაწერა ს. ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“. იხ. წერილი № 84, შენ. 7.

## № 33

### 1824 წლის 26 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილის ნათლია ბოლდაურასი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 149—150

1. ელენე ბოლდაურა — იონა ხელაშვილის ნათლია.

2. ახუა — ელენე ბოლდაურას ახლობელი.

3. გლახა — ელენე ბოლდაურას ნათესავი.

4. ადამ — ახუას დისშვილი. ეს ადამი ადამ ღირსიაშვილი უნდა იყოს.

## № 84

(1825—1834 წწ.) წერილი დედოფალი მარიამისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 196

წერილი თარიღდება მიახლოებით 1825—1834 წ-დე, როდესაც იონა ხელაშვილი იყო დედოფალ მარიამის მოძღვარი.

1. დედოფალი მარიამ — კაცია დადიანის ასული, სოლომონ მეორის მეუღლე, გრ. დადიანის და. 1811 წელს გადასახლდა რუსეთში ჯერ ვორონეჟში, შემდეგ, 1817 წლიდან, მოსკოვში, ხოლო 1818 წელს — პეტერბურგში, გარდაიცვალა 1841 წ.

იონა ხელაშვილი იყო დედოფალ მარიამის მოძღვარი 1825 წლიდან 1837 წლამდე (იხ. VI შენიშვნა № 11 წერილისათვის).

## № 85

1824 წლის თებერვლის წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 199—200

1. რუაძე გრიგოლი, როგორც ჩანს, იოანე ბაგრატიონთან დაახლოებული პიროვნებაა, კახელი, ჯავახეთიდან.

## № 86

(1824 წ.) წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 200. შენ. 1

მიახლოებით თარიღდება № 35 და 38 წერილებით.

## № 87

1824 წლის 3 მაისის წერილი მეფის ძე მიხეილისაგან მეფის ძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 130

1. იოანე დიაკონი — ლაპარაკია იონა ხელაშვილის შესახებ.

2. ვისადმია მიმართული წერილი, გაურკვეველია. ადრესატი შეიძლება იყოს ნებისმიერი ბატონიშვილი. საფიქრებელია, თეიმურაზ ბატონიშვილი იყოს.

3. მიხაილ ბატონიშვილი (1785—1861 წწ.) — გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი, ყველას შემწე და დიდად განათლებული კაცი, რუსეთში ცხოვრობს 1803 წლიდან. გარდაიცვალა პეტერბურგში.

## № 38

### 1824 წლის 17 ივლისის წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 200

1. გ. რუაძე — ხელს აწერს, — კახით გრიგორ ჯავახეთიდან, ე. ი. წარმოშობით კახელი, სახელად გრიგორი. როგორც წერილი № 35-დან ირკვევა, იგი მეფის ძე იოანეს მახლობელია ან მისი ამალიდან არის, რადგან მიუთითებს, რომ იოანეს მისთვის ფულის სასესხებლად კაცი გამოუგზავნია.

## № 39

### 1824 წლის 1 აგვისტოს წერილი გიორგი ავალოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ფ. S — 1532, გვ. 132

1. სოლომონ ივანოვიჩ დოდაევი — სოლომონ ივანეს ძე დოდაშვილი. შემდგომში დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. ეს პირველი წერილია, სადაც ნახსენებია დოდაშვილი.

2. გიორგი ავალოვი — გიორგი ივანეს ძე ავალიშვილი (1769—1850 წწ.) საზოგადო მოღვაწე, მწერალი და მთარგმნელი.

ელიზბარ ფალავანდიშვილთან, გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად გაგზავნილი იყო რუსეთში დავით ბატონიშვილის ტახტის მემკვიდრედ დამტკიცების თაობაზე. 1801 წელს მათთან ერთად პროტესტი გამოუცხადა რუსეთის მთავრობას მანიფესტის გამოცხადების გამო. 1819—1820 წწ. იმოგზაურა თურქეთში, ეგვიპტესა და პალესტინაში. დაგვიტოვა თავისი მოგზაურობის დღიური, გამოსცა ე. მეტრეველმა, მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმამდე, თბ., 1967.

გ. ავალიშვილს ეკუთვნის მრავალი თარგმანი რუსული ენიდან. მისი თარგმანებით შემოვიდა აღორძინების ეპოქის დიდი ჰუმანისტის ერაზმ როტერდამელის (1466—1535 წწ.) რამდენიმე ნაშრომი: „ხრისტიანი მკედარი ხრისტესი...“, „დესიდერია“ ...„საღმრთო ისტორია“, „შემოკლებული ზნეობითი სწავლა ქრისტიანეთა“, თარგმნა. მიხეილ ხერასკოვის რომანები: „კადმი და ღარმონია“, „პოლიდორ ძე კადმისა და ღარმონიისა“ და „ნუმა პომპილია“. ნაწარმოებები, რომლებშიც განმანათლებელთა იდეების ასახვა გვხვდება. სუმაროკოვის (1718—1777 წწ.) ოთხი პიესა, დერჟავინის „ღმერთი“. მასვე ეკუთვნის ფრანგი მწერლის და პედაგოგის, ფრანცისკ სალინიაკ ფენელონ დელა მოტეს თხზულებების „მოკლე აღწერა ძუელთა ფილოსოფოსთა ჰრჩეულთა ჰაზრებთა“ და ვოლტერის ფილოსოფიური რომანების, „ზადიგო ანუ ბედია“, „ქვეყანა ვითარცა არს ანუ ხილვა ბაბუკაისი“ თარგმანები.

გ. ავალიშვილს ეკუთვნის პიესა „თეიმურაზ II“, შედგენილი აქვს „ანთოლოგია“. ავალიშვილი ითვლება ქართული დრამატურგიის და თეატრის მამამთავრად (დეტალურად იხ. ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIII სს.), 1960, და გ. დედაბრიშვილის წერილები: რუსეთის გზით შემოსული უცხოური ფილოსოფიური თარგმნილი ლიტერატურა საქართველოში და რუსულ ფილოსოფიურ ნაწარმოებთა თარგმანები, ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, კრებული I და II, 1978).

## № 40

1824 წლის 22 სექტემბრის წერილი მეფის ძე მირიანისა იონა ხელაშვილისადმი.

საქ. ხ. ფ. S — 1532, გვ. 126

1. მეფის ძე მირიან — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის მეოთხე შვილი (1766—1834 წწ.). იგი შედიოდა ერეკლეს მიერ რუსეთს გაგზავნილ დელეგაციის შემადგენლობაში. 1801 წლიდან ცხოვრობს რუსეთში. არის გენერალ-ლეიტენანტი და სენატორი. შესრულებული აქვს თარგმანები (იხ. შენიშვნა № 1 წერილისათვის).

## № 41

1825 წლის 28 თებერვლის წერილი იოანე ბაზიეროვისა იონა ხელაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 142—146

1. მრჩობლთავე — ორთავე.

2. მალხაზის შვილი იოანე — იოანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1793—1868 წწ.), შემდეგში გენერალი. ტფილისის სამხედრო გუბერნატორი. დედა — მაია არჩილ ბატონიშვილის ქალი, მამა — მალხაზი — რუსეთის მტერთა ბანაკშია. 1810 წელს იოანე დედასთან ერთად გადასახლებული იყო ვორონეჟში. 1817 წლიდან არის იუნკერი სანკტ პეტერბურგის ლეიბგვარდიის ცხენოსან ლეგიონში. 1824 წელს გადაიყვანეს საქართველოში მაიორად. მიაღწია გენერლობას. გაანდეს 1832 წლის შეთქმულების გეგმა, მაგრამ იოანე არ ეთანხმებოდა მას. მისი მეუღლე იყო დავით ბატონიშვილის შვილობილა ნინო დავითის ასული. 1849—1856 წლებში იყო თბილისის სამხედრო გუბერნატორი.

3. თომა ანდრონიკოვი — ანდრონიკაშვილი, გიორგი XII შვილის ბარბარეს ძე, გარდაიცვალა 1847 წელს.

4. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა.

5. ონისიმე ხველიაშვილი (საფიქრებელია, აქ გადამწერის შეცდომაა), მისი ობოლი შვილიშვილი ცოლად უთხოვია იონა ხელაშვილის ძმას გიორგის. ონისიმეს შვილიშვილი ნატალია სხვა წერილებშიც იხსენიება №№ 66, 138, ონისიმე არის იაშვილი).

6. იოსებ და იობი — იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმები.

7. თავადი აგათოშვილი ზურაბი — იოანე ბაზიეროვის, წერილის ავტორის, სიძე, ქალიშვილის ქმარი.

8. ხუცესი პროტოიერეი იოანე ბაზიეროვი — ბაზიერაშვილი დეკანოზი კახეთში.

8. დედუფალი ანა — იხ. V შენიშვნა № 11 წერილისა.

## № 42

1825 წლის 21 მარტის წერილი მეფის ძე ბაგრატისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 127.

1. მეფის ძე ბაგრატ — იხ. II შენიშვნა № 11 წერილისა.

№ 43

1825 წლის 30 მარტის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ძე გრიგორისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 226, გვ. 93—95

1. გრიგოლ მეფის ძის ძე — იოანე ბატონიშვილის შვილი, (1789—1830 წწ.). 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს გამოცხადდა საქართველოს მეფედ. აჯანყების დამარცხების გამო ჩაბარდა რუსეთის მთავრობას. გადაასახლეს ქ. ოლონეცში, შემდეგ — პეტროზავოდსკში. 1824 წ. იგი თბილისშია. გარდაიცვალა პეტერბურგში ასტრახანის კაზაკთა პოლკის პოდპოლკოვნიკის ჩინით 1830 წელს. გრიგოლ ბატონიშვილს შეუდგენია კრებული „ანთოლოგია“ და დაუწერია „საქართველოს ცხოვრება“ (მ. ბერძნიშვილის მასალები. I).

2. იგულისხმება ი. ხელაშვილის ნაშრომი „ფსალმუნის განმარტება“.

3. არიგორიული — ალეგორიული.

4. დუბე — დაბალი ადგილი, ჭაობი.

5. ბელიორი — ეშმაკი

6. ტაკუკი — მომცრო ოქროს ან ვერცხლის თასი.

№ 44

1825 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ილიასადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 1—13

ამ წერილით იწყება კრებული S—1532, სათაურით „წიგნსა ამას ეწოდების ავთრათი ესე იგი მიწერ-მოწერა გინა პატაკი, ესე იგი მოწერილნი“.

1. მეფის ძე ილია (1790—1854 წწ.) — გიორგი XIII და მარიამ დედოფლის შვილი, 1803 წლიდან იმყოფება რუსეთში, სამხედრო სამსახურში. ფრანგული ენიდან თარგმნა „ლაიბნიცის და კლარკის მიმოწერა“ (ლენინგრადის აზიის ხალხთა ინსტ. K-10, თარგ. 1823). დეტალ. იხ. გ. დედაბრიშვილი, ქართულ-რუსული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, 1984 (იხ. 1 შენიშვნა № 5 წერილისათვის).

2. შრანდელი და შრანდის შრანული — შარშანდელი.

3. ძოღანდელი — გუშინწინდელი.

4. აპანი — აპნისი — იანვარი.

5. დუქარბი — დიდი მაკრატელი.

6. ჩქური — ოცნება.

7. ზორაყი — თუთიყუში.

8. მროწლე — ნახირი.

9. ამინაშტი — ძვირფასი ლითონისგან ჩამოსხმული ხატი.

10. უშქარი — მილიონი.

11. უშტისა — უშტთა ზედა — 100 000 000.

12. სქესი — გვარი.

13. ოდიკი — წმინდა ბარძიმის ქვეშ საფენი (სულხან საბა ორბელიანი).

14. ჩოდოლო — მცირე სახლი გლახაკთა.

15. მარიამ დედოფალი — მარიამ კაცია დადიანის ასული, იმერეთის დედოფალი (იხ. შენიშვნა № 11 წერილისა).

## № 45

1825 წლის 11 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ზაქარიასადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 117—118

1. სულიერი ძე ზაქარია — მას იმერეთის დედოფალი მარიამი შეავედრებს იონა ხელაშვილს: „მამაშვილობას, ზაქარიას მოვლას ეცადეთ, რაც აწყენდეს ნურას გააბედვინებთ". ადრესატი ახალგაზრდაა. სხვა რამ ამ პიროვნების შესახებ ვერ დავადგინეთ.

2. მოქენე — მთხოვნელი, მვედრებელი.

3. ჰვირობა — მზერა, ჰვრეტა.

## № 46

1825 წლის 12 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 57—64

წერილის ნაწილი გამოქვეყნებულია: დედაბრიშვილი — „ი ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ წიგნში: „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები", 1969, გვ. 175—178.

1. აღნაქესი — ნაქსოვი, ფრაზა, გვარი წერილისა.

2. დატვიფრული — დაბეჭდილი.

3. კაბადონი — ფურცლის ცალი გვერდი.

4. კეფი — ნახევარ ფურცელი.

5. მგონებლობა — აზროვნება, გონება.

6. ნეპტონ — ნიუტონი.

7. მჰიშედ—დაგრეხილი, დახლართული.

8. ქარვანი — ქარვა.

9. ლოქი — ჯონ ლოკი (1632—1704 წწ.), ინგლისელი ფილოსოფოსი.

10. წინა გამწყობი — მოწინააღმდეგე.

11. ლეიბნიციოს — გოტფრიდ ვილჰელმ ლეიბნიცი (1646—1716 წწ.), გერმანელი ფილოსოფოსი მეცნიერი.

12. საზრდელი — საკვები.

13. ნუკვა — თხოვა, შეხვეწა.

14. იოანე, გრიგორი — ი. ხელაშვილის ძმისწულები.

15. მიხაილ სოლომონის ძე — იონა ხელაშვილის ძმის სოლომონის ძე.

## № 47

## 1825 წლის 13 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 36—48

ბრწყინვალე თავადი ვ. დონდუას მიაჩნია მამუკა თამაზის ძე ორბელიანად (საისტორიო ძიებანი, III, გვ. 160).

1. ზორვანი — შეწირვა, მსხვერპლის მოტანა კერპისათვის.

2. ბომონი — სვეტი კერპთა ღსამართავი ან მათი ტაძარი.

3. სადუნი — მრავალი ენის მცოდნე კაცი.

4. ბელიერი — ეშმაკი.

5. ზრუქი — ძალი სასმელთა.

6. სტადიონი — სარბიელი.

7. ყოვლად — მთლიანად, საერთოდ, სრულად.

8. დაკუეთება — დაყოფა.

9. სქესნი — მსგავსნი, გვარისანი.

## № 48

### 1825 წლის 22 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ი. გმ-სადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2222, გვ. 1r—7v.

წერილის ადრესატი ვერ დავადგინეთ. წერილი იგმ-სგან იონას მიუღია 2 ივნისს, წერილი დაწერილი უნდა იყოს მაისში. ასეთი წერილი იონას წერილებს შორის არ ჩანს. ადრესატი „თანამექვეყნეა" — ე. ი. ქართველი „არა მემხილოე" არასასულიერო წოდებისა, სულიერი ძე ხელაშვილისა, ასაკით ახალგაზრდა. იონა არიგებს, წვრთნის მას — „შენს სულზე მეფობს 6 გრძნობა და ხორცი, შენი ნაწერი 6 წლის ბავშვის ნაწერს გავს".

1. გაიოზი — ალბათ, გაიოზ რექტორი.
2. ზორაყი — თუთიყუში.
3. მომფრედელი — მომვაჭრებელი.
4. ფიზძაკურ — ფიზიკური.
5. უდგრეში — ბრიყვად დაყინებული (სსო).
6. უგლიმი — შეუპოვარი, უსირცხვილო.

## № 49

### (1824—1827 წწ.) წლების წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 224—226

წერილი დათარიღებული არ არის. თარიღდება ს. დოდაშვილის პეტერბურგში ყოფნის წლებით.

იონა შესჩივის მას ვინმე ს.-ს შესახებ, რომელზედაც დიდი ამაგი დაუდვია მაგრამ უშედეგოდ — მას არც რწმენა აქვს, არც სწავლა უნდა. არსებობს წერილი ვინმე სოლომონისადმი, სადაც იონა ასევე საყვედურობს მას იონას შრომის დაუფასებლობას — უკვე მეოთხე წელია ვარჩენ, დიდებულებთან იკვებება იონას პატივისცემითო.

1. დაშთომა — დარჩენა. დაშთეს — დარჩეს.
2. მარცხული — მარცხიანი, არასწორი.
3. მიდრეკა — მოქცევა, გადაბირება.
4. მარქულ — წარმატებული, გამარჯვებული.
5. მზლვანობა — გამარჯვებაც.
6. საბლარდნელნი—ტანსაცმელი.

7. აგვისტინე — ნეტარი ავგუსტინე.

8. ღომერი — ჰომეროსი.

9. სოლომონ დოდაშვილი (1805—1835 წწ.) დაიბადა სოფ. მაღაროში, სიღნაღთან ახლოს. მამა იოანე მღვდელი. სოლომონი სწავლობს: 1818 წ. სამრევლო სასულიერო სასწავლებელში, 1820 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1822 წელს მასწავლებელია სიღნაღის სემინარიის სარიტორიკო კლასში. 1824 წლიდან სწავლობს პეტერბურგში უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიულ ფაკულტეტზე.

1827 წელს ამთავრებს უნივერსიტეტს. იწყებს მუშაობას თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მასწავლებლად. 1828 წელს ქორწინდება ბარიშკინის ნაშვილებზე. 1829 წლიდან იგი არის გაზეთის რედაქტორი, 1830 წლიდან გამომცემელია ჟურნალის სალიტერატურო ნაწილისა „Тифлисские ведомости"-სა. დაწერა და დაბეჭდა 1827 წ. „ლოგიკა". სოლომონ დოდაშვილი მონაწილეა 1832 წლის შეთქმულებისა. გარდაიცვალა გადასახლებაში.

## № 50

### 1825 წლის 10 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 149—150

წერილი გამოქვეყნებულია 1. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", 1944; ნაკვეთი II, თბ., 1945 წ. ს. ხუციშვილის შესავალი წერილით და შენიშვნებით, გვ. 59. 2. „სოლომონ დოდაშვილის თხზულებანი", 1961 წ. გვ. 233, წერილი 1. სოლ. ხუციშვილის პუბლიკაცია.

1. ადამ ღირსიაშვილი — კახელი მღვდლის შვილი. სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, პეტერბურგის გიმნაზიაში, შემდეგ იყო უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად. იხსენიება პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა შორის. მფარველობდნენ თეიმურაზ ბაგრატიონი და იონა ხელაშვილი. თავის მხრივ, ადამი გადაწერდა ხოლმე მათ შრომებს.

2. იოანე ბატონიშვილი — მე-2 შენიშვნა № 12 წერილისათვის.

3. ბაგრატ ბატონიშვილი — მე-9 შენიშვნა წერილი № 11-ისა. სოლომონ დოდაშვილი იყო ბაგრატ ბატონიშვილის შვილების, — ნიკოლოზის და დავითის — მასწავლებელი.

## № 51

### 1825 წლის 19 ივლისის წერილი ნიკოლოზ ფალავანდოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ს. ი., ფ. S — 1532, გვ. 131

1. ნიკოლოზ ფალავანდოვი — ნიკოლოზ ფალავანდიშვილი (17..—1855) ამბროსი ნეკრესელის შვილიშვილი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1810 წლიდან პეტერბურგშია, დაუახლოვდა ქართველ ბატონიშვილებს. 1822 წლიდან არის წევრი თბილისის კომისიისა, რომელსაც ევალებოდა ქართული კანონების შედგენა და თარგმნა. იყო საქართველოს და კავკასიის მთავარმმართებლის მოვალეობის შემსრულებელი. გარდაიცვალა 1855 წ. (მ. ბერძნიშვილი, მასალები. II).

2. თომა და იოანე ანდრონიკოვები, იხ. შენიშვნები № 31 წერილისათვის.

3. თავადი ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლაოსის ძე ორბელიანი — ზაქარიას მამა. არის საქართველოს უზენაესი მართებლობის პირველი სოვეტნიკი, თავადი. ზაქარიას დედა არის ერეკლეს ასული ელენეს შვილი ხორეშანი. ზაქარიას და-ძმებია ილია, გრიგოლ და ეფემია — ნ. ბარათაშვილის დედა.

## № 52

### (1825 წლის) წერილი იონა ხელაშვილისა ადამ ღირსიევისადმი

საქ. ს. ი., ფ. S — 1532, გვ. 64—70

ტექსტი დათარიღებული არაა. თარიღდება შემდეგი № 53 წერილით.

1. ღირსიევი — ადამ ღირსიაშვილი. იხ. 1 შენიშვნა № 50 წერილისათვის.

2. ვოლტერი — ვოლტერი, ფრანსუა მარი არუე (1694—1778 წწ.), ფრანგი მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი. ანტიფეოდალური სატირების ავტორი. დეისტი. მტერი ქრისტიანობისა და ეკლესიისა, ამავე დროს თვლიდა, რომ ღმერთის რწმენა საჭიროა. ი. ხელაშვილისათვის ვოლტერი ათეისტია.

3. ჟან-ჟაკ რუსო (1712—1778 წწ.) — ფრანგი განმანათლებელი. ფილოსოფოსი. სოციოლოგი. მწერალი დეისტი, აკრიტიკებდა ფეოდალიზმს — აღიარებდა ღმერთის და სულის უკვდავებას.

4. პითაგორი — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. ა. 580—500 წწ.). დიდი როლი აქვს მათემატიკის და ასტრონომიის განვითარებაში. რაოდენობის აბსტრაქტმა მოწყვიტა მატერიალური საგნებისაგან და რაოდენობა გამოაცხადა საგანთა არსებად. ამით იგი იდეალიზმამდე მოვიდა. ი. ხელაშვილისათვის მატერიალისტია, რწმენის წინაამდეგი.

5. სპინოზა ბარუხ (ბენედიქტე) 1632—1677 წწ. — ნიდერლანდელი ფილოსოფოსი, მატერიალისტი. რელიგიური თავისუფალი აზროვნებისათვის განკვეთილ იქნა ებრაელთა თემისაგან. იგი მიიჩნევდა, რომ ბუნება თავისი არსებობისათვის არ საჭიროებს რაიმეს არსებობას. იგია სუბსტანცია. ღმერთი. იონა ხელაშვილისათვის სპინოზა გინების და წყევლის ობიექტია.

6. ანდრონიკოვი თომა—გიორგი XII შვილის ბარბარეს ძე. გარდაიცვალა 1847 წ. იხ. შენიშვნა № 31 წერილისათვის.

7. ანდრონიკოვი იოანე — ივანე ანდრონიკაშვილი (1793—1866 წწ.). შემდეგში გენერალი, იხ II შენიშვნა № 41 წერილისა.

### № 53

(1825 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 22—25

წერილი დაუთარიღებელია. თარიღდება მომდევნო წერილებით.

წერილის დიდი ნაწილი დაბეჭდილია გ. დედაბრიშვილის წერილში „ი. ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ". (ცრ. „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები", თბ., 1969).

1. ნაოში — ნახნავი.
2. პარტახები — დაავადება.
3. ორნატი — მოხნული კვალი გუთნით გავლებული.
4. თურქული — ხნული, ნათესი.
5. ბრჯა — ზვინი ძნათა.
6. ვარჯოვანი — კოჩხიანი ხე.
7. ბლისტი — ბატონის სახნავი.
8. სკლატი — მაუდი.
9. მიმყოვრება — დაწყნარება, შენელება.
10. უშქარი — ერთი მილიონი.
11. უშტის უსტი — ასი მილიონი.
12. ეპიკური — ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. 341—271), ათე-

ისტი, უარყოფდა ღმერთის ჩარევას სამყაროს საქმეებში და აღიარებდა მატერიის მარადიულობას, მატერიაში — მოძრაობის წყაროს არსებობას.

13. პითაგორი — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, კუნძული სამოსიდან (დაახლოებით ძვ. წ. 580—500).

14. მანიქეველი — რელიგიური მოძღვრება მანიქეიზმის მიმდევარი.

15. სტოიკელი — ძვ. ბერძნული (IV ს. ძვ. წ. აღ). ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევარი. მთავარი მოძღვრება ეთიკა. ცოდნა არის საშუალება სიბრძნის მოსაპოვებლად. იდეალური სახე ბერძენისა — იცხოვრო ბუნების შესაბამისად.

16. ნატურალისტი — აქ მატერიალისტი.

17. სოფისტნი — ძვ. ბერძენი ფილოსოფოსები. V ს. ძვ. წ. აღ. რელიგიის უარმყოფელები. ბუნების მოვლენათა რაციონალისტური ამხსნელები.

18. ათეისტი — ღმერთის არსებობის უარმყოფელი.

19. დაფარეხებული — დაბეჭდილი.

20. დრანჯობა — ურცხვობა, სიძვის მოყვარეობა.

21. დრასტიკა — ელასტიკური.

22. ანაკანაკობა — მთვრალობა.

23. კოპარი — კავშირი.

24. ზაფილო — ძვირფასი ყელსაბამი.

25. ხენეში — საძაგელი, ურგები.

26. ღრუდო — რუ, მცირე წყარო.

27. დანეცვა — დამტვრევა, დაფშვნა.

28. ნეფხვი — ხმელი სიცივე, ყინვა.

29. მტილი — ბოსტანი, ბაღი.

30. ღარიჯაგი — ფორმა, ყალიბი, ძალი.

31. მიხმა — გამორთმევა.

32. განდგინება — განფენილობა.

33. მიხმული — გამორთმეული.

## № 54

1825 წლის ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 175—178

დაბეჭდილია: 1. „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1944, ნაკვეთი II, „სოლომონ დოდაშვილის წერილები“, ს. ხუციშვილის პუბლიკაცია, წერილი № 8, გვ. 65—68. 2. სოლომონ დოდაშვილის თხზულებანი, 1961 წ., 234 გვ. წერილი I. ამ წერილის დათარიღების შესახებ იხ. მ. ბერძნიშვილის წერილი „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკ. II“. „მიმომხილველი“ I, თბ., 1949 წ. გვ. 440.

1. მეფის ძის ბაგრატის ძე ნიკოლოზ (1816—1833 წწ.)—ბაგრატ ბატონიშვილის შვილი. მოწაფე სოლომონ დოდაშვილისა.

2. სოლომონის ძე მიხაილი — იონა ხელაშვილის ძმისშვილი.

3. ადამ — ადამ ღირსიაშვილი (იხ. I შენიშვნა № 50 წერილისათვის).

4. მღვდელი მალოვი—ალექსი ივანეს ძე (1787—1855 წწ.), ისაკის ტაძრის პროტოირეი, ღვთისმეტყველი.

## № 55

1825 წლის 18 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 53—55.

1. მეფის ძე ოქროპირი — გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი. (1794—1857 წწ.) გენერალ ლაზარევის მკვლელობასთან დაკავშირებით გადასახლებულ იქნა რუსეთში. 1832 შეთქმულებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს კოსტრომაში. ეწეოდა ლიტერატურულ შრომას.

2. ხვიმრი — დასაფასოებელი ჭურჭელი.

3. მთიები — ვარსკვლავნი.

4. მიხაილ მეფის ძე — იხ. წ. 36.

5. ილია მეფის ძე — იხ. I შენიშვნა მე-15 წერილისა.

## № 56

1825 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ანდრონიკოვისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 85—89.

1. ანდრონიკოვი იოანე — ივანე ანდრონიკაშვილი — (1793—1868 წწ.), იხ. წ. 41, შენ. 2.

2. „ვითარცა მომითხრობს კაცი ესე მომლოცველი ქრისტეს საფლავისა“ — შეიძლება ეს იყოს იეროდიაკვანი ბერი იოსტოს მრევლიშვილი, რომელმაც იმოგზაურა წმიდა ადგილებში 1812—1820 წლებში (იხ. მ. ბერძნიშვილის დასახ. ნაშრომი, II, გვ. 108). გარდ. 1832 წ. იხ. წერილი № 18 ის. შენ. I.

3. ტაბარუკი — გლეხის უქვედაესი კატეგორია.

4. მსხემი—უბინაო, მწირი კაცი.

## № 57

### 1825 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელი სოლომონისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 90—93

1. მაიორი იოანე ანდრონიკოვი — იხ. 2 შენიშვნა № 41 წერილისათვის.

2. ჩემი მომნათვლელი უფალა ელენა—იონა ხელაშვილის ნათლია ელენე ბოლდაურა.

3. მღვდელი სოლომონი — კახეთის ვაქირის ან სიღნაღის ეკლესიის მღვდელი. იონა ხელაშვილის ნათესავი.

4. იონა ხელაშვილის ძმები სოლომონ, გიორგი.

5. ვაჩნაძე სიმონ — დავით გარეჯის არქიმანდრიტის ილარიონ ვაჩნაძის ძმისწული. სწავლობდა პეტერბურგში, შემდეგ საქართველოშია. პოდპოლკოვნიკი.

6. სოლომონ ერიაშვილი — ახლდა ანტონ კათალიკოსს ნიჟნი ნოვგოროდში. 1827 წლიდან არის დიაკონი, შემდეგ — მღვდელი.

7. ხოიშნობა — დახმარება.

## № 58

### 1825 წლის 4 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა ნათლია ელენესადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 94—96

1. ელენა — იონა ხელაშვილის ნათლია ელენე ბოლდაურა.

2. გიორგი — იონას ძმა.

1825 წლის 4 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა ძმებს სოლომონ და გიორგისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 97-99

1. ანდრონიკოვი იოანე — ივანე ანდრონიკაშვილი, იხ. 2 შენიშვნა № 41 წერილისა.

2. სოლომონი — მღვდელი სოლომონ ხელაშვილი.

3. ბაზიეროვი — იოანე ბაზიერაშვილი. ცხოვრობს კახეთში.

4. იგულისხმება იოანე ბატონიშვილის „კალმასობა". ი. ხელაშვილის წერილის ამ ადგილით დადგინდა „კალმასობის" ავტორი (იოანე ბატონიშვილი).

5. გიორგი—იონა ხელაშვილის ძმა. იგი ამ დროს რუსეთიდან ჩამოსული ყოფილა კახეთში.

6. ზაქარია ორბელიანი — იგივე ზაალ ორბელიანი, გარდაიცვალა 1808 წ. იყო ერეკლეს სურსათის შემკრები. შესაძლებელია იგი რუსეთის დაზვერვის თანამშრომელი იყო. იხ. Бутков, Материалы II, 192.

## № 60

1825 წლის 1 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა საქართველოს დედოფალ მარიამისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 107—112

1. საქართველოს დედოფალი მარიამი — მარიამ კაცია დადიანის ასული, სოლომონ II მეუღლე. იმერეთის დედოფალი.

2. ბრწყინვალე ძმისწული ვახტანგი — მარიამის ძმისწული ვახტანგ დადიანი.

## № 61

1825 წლის 2 ოქტომბრის წერილი იმერთა დედოფლის მარიამისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 123

1. იმერთა დედოფალი მარიამ იხ. VI შენიშვნა № 11 წერილისათვის.

2. ზაქარია — იხ. შენიშვნა № 49 წერილისათვის.

3. ნიკოლუშკა—მარიამ დედოფლის ძმის შვილიშვილი.
4. გემებს — სიამოვნებს.
5. ალექსანდრე — მარიამ იმერთა დედოფლის ძმისწული ალექსანდრე დადიანი.
6. ბატონიშვილი ნინა — მარიამ იმერთა დედოფლის ძმისწულის ალექსანდრე დადიანის მეუღლე ნინა ბატონიშვილი. ფარნაოზ ბატონიშვილის ასული.
7. სოლომონი — მარიამ დადიანის მეუღლე, სოლომონ II.

## № 62

### 1825 წლის 13 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ასულის ელენესადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 103—105.

1. ელენა მეფის ძის ასული — ფარნაოზ ბატონიშვილის ასული ელენა (1799—1867 წწ.).
2. მზარდულა — გამზრდელი.

## № 63

### 1825 წლის 15 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილისა იმერეთის ბატონიშვილის მარიამისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 112—114.

1. იმერეთის ბატონიშვილი მარიამ — იმერთა მეფის სოლომონ I ასული. პოდპოლკოვნიკ ელიზბარ გიორგის ძე ერისთავის მეუღლე (გიორგი ერისთავი — ფარნაოზ ბატონიშვილის ცოლისძმა).
2. ბატონიშვილი ანასტასია (1763—1838 წწ.). — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის ასული, რევაზ ქსნის ერისთავის მეუღლე. 1825 წელს მიემგზავრება პეტერბურგს, მიჰყავს უმცროსი ვაჟი სასწავლებლად.

## № 64

### 1825 წლის დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 154—155.

დაბეჭდილია: 1. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი II, გვ. 60.

2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 235—236, წერილი 3.

**№ 65**

1826 წლის 16 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 156—160.

**№ 66**

1826 წლის 18 იანვრის წერილი მღვდელი ონისიმე იაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 199—200

1. მღვდელი ონისიმე — ონისიმე იაშვილი, ქიზიყის მღვდელი. იონა ხელაშვილის ძმის, გიორგის, სიმამრის მამა.

2. მიურულებელი — თვალდაუხუჭავი, უძილო.

3. ნატალია — ონისიმე იაშვილის შვილიშვილი, იონას ძმის, გიორგის, მეუღლე. „ძისა ჩემისა ახული ნატალია", — ამბობს მღვდელი ონისიმე.

**№ 67**

1826 წლის 9 თებერვლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 176

დაბეჭდილია: 1. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944 წ., ნაკვეთი II. სოლომონ დოდაშვილის წერილები, ს. ხუციშვილის შესავალი წერილითა და შენიშვნებით[1]. წერილი 3. გვ. 61.

2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 236—237, წ. 4.

---

[1] შემდეგში შემოკლებით: მსკი, II.

## № 68

1826 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 61—68.

1. სავაოთ — ღმერთი. ღვთის ერთ-ერთი ეპითეტი.
2. ადამ ღირსიევი—ადამ ღირსიაშვილი. იხ. შენიშვნა № 50 წერილისათვის.
3. მჭოვარე — მლმობელი.
4. თხემური თხემი — მწვერვალი.
5. ქრმალვა.
6. საბარკულ — საწვივე აბჯარი.
7. ხოჭიჭი — აკვანი.
8. დაჯენჯვა — წვალება.
9. ვაეინი — ხილის წვენი შაქრიანი.
10. თერმონია—თბილი შაქრიანი წყალი.
11. ხოიშნობა — მოხმარება, ხელის მომართვა.

## № 69

1826 წლის 2 მარტის წერილი მღვდელი იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 93—95

1. იოანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის მამა. სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს, მღვდელი, განათლება მიღებული აქვს დავით გარეჯის მონასტერში, ბოდბის სამონასტრო სკოლაში. მწიგნობრობის დიდმა მოყვარულმა ყველა შვილს მიაღებინა განათლება (მ. ბერძნიშვილი, მასალები I).

## № 70

1826 წლის 3 მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 168—175.

1. მთიები — განთიადის ვარსკვლავი.

2. მიმქმელი — ნათლობის მონაწილე, ნათლულის ხელში დამჭერი.

3. მზორველი — მზორავი, მსხვერპლის შემწირველი.

4. ბომონები — სვეტი კერპთა ალსამართავი ან მათი ტაძარი.

5. ხვანჯი — ხლართი, ხრიკი, ეშმაკობა.

6. ბაზმაკი — ლამპარი, სანათი ან კანდელი.

№ 71

(1825) წლის წერილი გიორგი ჩუგუნოვისა იონა ხელაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 41—42.

1. გიორგი ჩუგუნოვს იონა ხელაშვილის თხოვნით უთარგმნია ეს ნაშრომი და უძღვნის მას ამ თარგმანს.

№ 72

1826 წლის 9 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 179.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II წერილი 4, გვ. 61—62. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 237, წ. 5.

1. შპანსკი მუხა — მუშკი. „ესპანური ბუზი", ხოჭოს ერთ-ერთი სახეობა, რომლისგანაც მედიცინაში ამზადებენ სამკურნალო ფხვნილს და მალამოს. (ს. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 461).

№ 73

1826 წლის 22 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 179.

დაბეჭდილია: 1. მსკი II, წერილი 5, გვ. 62. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961, გვ. 237, წერილი 6.

## № 74

1826 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532

მიმართულია ვინმე სოლომონისადმი, რომლისთვისაც იონას ყოველმხრივ შეუწყვია ხელი, მაგრამ სოლომონს იონას იმედი არ გაუმართლებია, არც კი უსწავლია.

ამ სოლომონის შესახებ უყვება იონა ხელაშვილი სოლომონ დოდაშვილს № 49 წერილში.

## № 75

1826 წლის 27 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 105—106. S—1532, გვ. 187

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, წერილი 6, გვ. 65—68. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 238—240, წერილი 7.

1. ლონღინ — დიონისე კასიოს ლონგინე, ნეოპლატონიკოსი, III საუკუნე. ახ. წ. აღ.

2. დიონვისიოს ღალიკარნასელი — ისტორიკოსი, რიტორი, კრიტიკოსი, ავტორი „რომის ისტორიისა".

3. დემოსთენ — დემოსთენი, ათინელი პოლიტიკოსი, მწერალი.

4. ციცერონი — რომაელი ისტორიკოსი.

5. კვინტილიონ—რომაელი პედაგოგი.

6. როლლენ შარლ (1661—1741 წწ.) — ისტორიკოსი, რიტორიკის კათედრის გამგე ბოვეს უნივერსიტეტში.

7. ვიტტე — ბიტტე ჯემს. შოტლანდიელი პოეტი, ფილოსოფოსი, ლოგიკის პროფესორი.

8. ლაღარნ — ლაჰარპ ჟან ფრანსუა — ლაჰარპ (1740—1803 წწ.). ხელოვნების თეორეტიკოსი.

9. ბლერ — ინგლისელი ფიზიკოსი, ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორი.

10. ეშენბურღი — ისპან იოან ეშენბურგი, ლესინგის მეგობარი (1743—1820 წწ.).

11. მოა — მოავრ აბრაჰამ დე (1667—1754 წწ.), ფრანგი მათემატიკოსი.

12. ლომონოსოვი მიხეილ ვასილის ძე (1711—1765 წწ.) — გამოჩენილი რუსი პოეტი და მეცნიერი.

13. რიჟსკი ივანე სტეფანეს ძე (1761—1811 წწ.) — ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი, მჭევრმეტყველების პროფესორი.

14. კარობინი — რუსი გენერალი, ისტორიკოსი (1766—1836 წწ.).

15. მეფის ძე ბ. — ბაგრატ ბატონიშვილი (იხ. მე-9 შენიშვნა № 11 წერილისა).

## № 76

### 1826 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 128.

1. ცხრო — ციებ-ცხელება.

2. კაცია დადიანის ასულის, მარიამის, ძმისწული ალექსანდრე დადიანი და მეუღლე მისი ნინა ბატონიშვილი. ფარნაოზის ასული.

3. მჭოვარე—მლმობელი, თანამგრძნობი.

4. იმპერატორი ალექსანდრე I გარდაიცვალა 1825 წელს.

5. მროწლე — ნახირი ძროხისა.

6. მტილეული — მტილი — ბაღი, ბოსტანი. მტილეული — ბოსტნეული.

7. უნჯაფა — უნჯუფა — თბილი სახლი.

8. ტაგრუცი — საფლავი მაღლად ნაგები.

9. ლესკუმი — იგივე ლუსკუმი — მაღლად ნაგები საფლავი.

## № 77

### 1826 წლის 17 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა ონისიმესადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 229—232

1. კოში — თავი ხისა ან გოგრისა.

2. დანეცვა — დაფშვნა.

3. იოანე ნიკონოზი (ნეტარსახსოვარი).

4. დოდაშვილი სტეფანე—ძმა სოლომონ დოდაშვილისა.

5. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა.

6. მოსდოგი — ქ. მოზდოკი.

7. ონისიმე — ონისიმე იაშვილი. მღვდელი კახეთიდან. ონისიმეს ძის ქვრივი ნატალია არის ი. ხელაშვილის ძმის, გიორგის, მეუღლე. მიწერ-მოწერა ჰქონდა იონა ხელაშვილთან.

8. მიხაილ მეფის ძე (1785—1861 წწ.)—გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი. ყველას შემწე და დიდად განათლებული კაცი. რუსეთში ცხოვრობს 1803 წლიდან. შემდეგ პეტერბურგში. იხ. წ. № 37, შენ. 3.

9. მეფის ძე ილია — ილია ბატონიშვილი (1790—1854 წწ.) გიორგი XIII და მარიამ დედოფლის შვილი. იხ. 1 შენიშვნა № 5 წერილისათვის.

წერილს ახლავს იოანე ბაგრატიონის მიძღვნა იონა ხელაშვილისადმი, ლექსად მიძღვნას არავითარი კავშირი არა აქვს წერილთან. იგი გადამწერის ნებით არის მოთავსებული ამ ადგილას. გამოხატავს ღრმა პატივისცემას იონა ხელაშვილისადმი. შეიძლებოდა ამ ლექსის სხვაგან გატანა ან ცალკე ნომრად აღრიცხვა.

## № 78

### 1826 წლის 18 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 201—202.

დაბეჭდილია I. მსკი II, გვ. 65—66, წერილი 74. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 240—241, წერილი 8.

## № 79

### 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ერიანოვისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 100—102.

1. ერიანოვი — ერიაშვილი სოლომონ, იგივე სვიმონ მღვდელი, მიწერ-მოწერა აქვს იონა ხელაშვილთან, თან ახლდა ანტონ კათალიკოსს ნიჟნი ნოვგოროდში.

ერიანოვი სწავლობდა პეტერბურგში ადამ ღირსიაშვილისა და სოლომონ დოდაშვილის დროს. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი, დიდად ეხმარებოდნენ თეიმურაზ ბაგრატიონი და იონა ხელაშვილი.

1827 წელს იგი აკურთხეს დიაკონად და შემდეგ — მღვდლად.

2. დავით მეფის ძე — დავით ბაგრატიონი. გარდაიცვალა 1819 წელს. იხ. II შენიშვნა № 4 წერილზე.

3. იონა ვასილევსკი — საქართველოს ეგზარხოსი 1821—32 წლებში.

4. მაკარიობა — ბაზრობა ნიჟნი ნოვგოროდთან.

5. ს. დოდაშვილი პეტერბურგში ჩავიდა 1824 წელს, ცხოვრობდა ბაგრატ ბატონიშვილის სახლში, უნივერსიტეტიდან ძალზე დაშორებით.

## № 80

(1826 წლის) წერილი იონა ხელაშვილისა ადამ ღირსიევისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 203—218.

თარიღდება მიახლოებით.

1. ანთრაკი — ანტაკრი — პირისპირ, საწინააღმდეგო.

2. მკელობელნი — მკელობა — კოჭლობა.

## № 81

1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 126—130.

წერილის ნაწილი დაბეჭდილია კრებულში: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები I, 1969, გვ. 163—168. გ. დედაბრიშვილის წერილი ი. ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ.

1. მიდმოება — ტყუილი ლაპარაკი, ჭორი.

2. განსხლილი — განდევნილი.

3. ლოქი — ლოკი.

წერილში განხილულია ლოკის მოძღვრება სულის სხეულოვნების ანუ მისი მატერიალური ბუნების შესახებ. გაკრიტიკებულია ვოლტერის მოძღვრება.

3. მქისე — ხორკლიანი, წულტუ — სადა.

4. კინძი—ნასკვი. ერთმანეთზე მიბმული.

5. ცმაგვა — მოუსვენრად ყოფნა.

6. დაპარახებული — პარეხი — კლდე, გამოქვაბული.

7. მეტალოღია — მითოლოგია.

8. კალონისტები — კალვინის მოძღვრების მიმდევრები.

9. ლოტრანისტები — მარტინ ლუთერის მოძღვრების მიმდევრები.

10. ფუშრუკი — ფქვილის შეჭამანდი.

11. ღნიოში — ცეტი.

12. დაბებკვა — დაძონძვა, დაგლეჯილის დაკერება.

## № 82

### 1826 წლის 22 აპრილის წერილი ადამ ღირსიევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 142.

## № 83

### 1826 წლის 1 მაისის წერილი თავადი ნიკო იაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 237—238.

ნიკო იაშვილი — წერილის მიხედვით, თავადი, იმყოფება არხანგელსკის გუბერნიაში, გარნიზონის პოლკში. რაღაცა დანაშაულისათვის ჩამოქვეითებულია წოდებიდან. მატერიალურად დიდ გაჭირვებას განიცდის.

## № 84

### 1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა თომა ანდრონიკოვისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 218—222.

1. მაიორი თომა ანდრონიკოვი — თომა ანდრონიკაშვილი. გიორგი XIII შვილის, ბარბარეს ძე. მეუღლე — ანასტასია ერისთავი, ელიზბარ გიორგის ძის შვილი. გარდაიცვალა 1847 წელს. ცხოვრობდა კახეთში და ზრუნავდა იონას ძმისშვილებზე.

2. პროტოიერეი იოანე — როგორც ჩანს, კახეთში ცხოვრობს.

3. ნინა მეფის ძის ასული — ნინა ფარნაოზის ასული (1802—1828 წწ.), მეუღლე — ალექსანდრე დადიანი, მარიამ იმერთა დედოფლის ძმის შვილი.

4. ანნა დედოფალი — იმერეთის დედოფალი ანნა. მათე ორბელიანის ასული, მეუღლე იმერეთის მეფე დავით გიორგის ძისა. იხ. მეხუთე შენიშვნა № 11 წერილისა.

5. მეგრელ კოლხიდის მთავრინა ნინა (1772—1847 წწ.) — გიორგი XIII და ქეთევან ანდრონიკაშვილის ასული. კაცია დადიანის ძის, გრიგოლის, მეუღლე. 1805 წლიდან შვილის—ლევანის—მზრუნველი და სამეგრელოს მთავარი. 1811 წელს გადასახლდა რუსეთში. გარდაიცვალა 1647 წელს.

6. იოანე უგანათლებულესი — იოანე ბატონიშვილი. იხ. II შენიშვნა № 2 წერილისა.

7. ბატონიშვილი ბაგრატ (1776—1841 წწ.) — გიორგი XIII და ქეთევან ანდრონიკაშვილის მესამე ვაჟი. 1801 წელს იმყოფებოდა რუსეთში, ხოლო 1803 წელს გადაასახლეს პეტერბურგში. მას შემდეგ იქ ცხოვრობს. გადაწერა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“. დაწერა „ახალი მოთხრობა“ და „რუსეთ-სპარსეთის ომი“.

იხ. შენ. 1 წერილი 32.

8. თეიმურაზ ბატონიშვილი მემეცხედრითურთ—თეიმურაზ ბატონიშვილის (1782—1846 წწ.) მეუღლე ელენე ოთარ ამილახვარის ქალი. 1803 წელს თეიმურაზი გაიქცა სპარსეთში. 1811 წლიდან იგი რუსეთშია. ეწევა ფართო საზოგადოებრივ და სამეცნიერო მოღვაწეობას. იხ. მე-3 შენიშვნა № 4 წერილისა.

9. ნინა ბატონიშვილი—დავით ბატონიშვილის შვილობილი, ნინა დავითის ასული. ივანე ანდრონიკაშვილის მეუღლე.

10. უგანათლებულესი რიფსიმე (1780—1847 წწ.)—დეიდა თომა ანდრონიკაშვილისა. ასული გიორგი XIII და ქეთევან ანდრონიკაშვილისა, რუსეთში ცხოვრობდა 1807 წლიდან. მისი მეუღლეა დიმიტრი ჩოლოყაშვილი.

№ 85

1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ იოანესადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 216—227.

1. არხიმანდრიტი ნეოფიტე — მღვდელი, იოანეს აღმზრდელი.

2. მღვდელი იოანე—როგორც ჩანს, მოსკოვში მცხოვრები სამეფო გვარის წევრებთან დაახლოებული პიროვნება. იხ. წერილი № 267.

## № 86

(1826) წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 154—155.

წერილი უთარიღოა. თარიღდება ხელაშვილის წერილით სულის რაობის საკითხზე 1826 წ. პასუხი 1827 წ.

დაბეჭდილია წიგნში სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, 17, გვ. 251—253.

რატომღაც, ეს წერილი არ არის სოლომონ ხუციშვილის მიერ გამოცემულ წიგნში მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1944, ნაკვეთი II.

დაბეჭდილია წიგნში—ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, 1969, კრ. 1.

1. ლოქი—ჯონ ლოკი—ინგლისელი ფილოსოფოსი.

2. ვოლტერი — ფრანსუა მარი არუე (1694—1778 წწ.), გამოჩენილი ფრანგი ფილოსოფოსი.

3. რუსო ჟან-ჟაკ—ფრანგი მოაზროვნე, განმანათლებელი, ფილოსოფოსი, მწერალი.

4. მარკიზ დ'არჟან—არჟან ჟან ბატისტ დე-ვოიე—ფრანგი მწერალი.

5. განხვნა — განშორება.

## № 87

1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილის იოანე ანდრონიკოვისადმი.

საქ. ხ. ფ. S—1532, გვ. 218—222

1. ანდრონიკოვი იოანე—ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი (1793—1868 წწ.). იხ. მეორე შენიშვნა № 41 წერილისა.

2. შალიკოვი—კახელი თავადი შალიკაშვილი.

3. მარიამ (მაია) არჩილის ას. ანდრონიკაშვილი—ერეკლე II შვილიშვილი. დედა—ერეკლე II ქალი ელენე. მამა—იმერეთის ბატონიშვილი არჩილი. მაია (მარიამ) იყო მალხაზ ანდრონიკაშვილის მეუღლე-

იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის 1810—1817 წლებში გადაასახლეს ვორონეჟში. 1830 წლიდან ცხოვრობდა კახეთში, 1840 წლიდან—თბილისში, გარდაიცვალა 1854 წ.

4. სტეფანე დოდაშვილი—სოლომონ დოდაშვილის ძმა. სწავლობდა სიღნაღის სამაზრო-სამრევლო სასწავლებელში, შემდეგ—თბილისის სასულიერო სასწავლებელში, გაემგზავრა რუსეთში. მსახურობს კანცელარისტად პეტერბურგში სენატის V დეპარტამენტში. 1836 წლიდან საქართველოშია. მოკლეს ლეკებმა 1845 წელს.

## № 88

1826 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 120.

დაბეჭდილია 1. მსკი, II, გვ. 75—78. წერილი 13. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 246, წ. 13.

წერილი ეხება კარტეზიანელთა მიერ აბსოლუტური სივრცის უარყოფის საკითხს.

## № 89

1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა იოანესადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 232—236.

1. იოანე—სოლომონ დოდაშვილის მამა. სიღნაღის მაზრის სოფელ მაღაროს მღვდელი, განათლება მიღებული ჰქონდა დავით გარეჯში, ბოდბის სამონასტრო სკოლაში. განათლება მიაღებინა ყველა შვილს.

2. სოლომონი—სოლომონ დოდაშვილი.

3. ნიშატი—ბუნებითი ძალი ან თვისება, ზნე.

4. სოლომონ—იონა ხელაშვილის ძმა.

5. მამა ონისიმე—მღვდელი ონისიმე იაშვილი ქიზიყიდან.

6. სტეფანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის ძმა. იხ. მე-4 შენიშვნა № 87 წერილისა.

## № 90

(1826—1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა ვინმე ხუცეს მონოზონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 14—22.

ვისადმია მიმართული წერილი, არ ჩანს. წერილი უთარიღოა, დათარიღებულია მიახლოებით.

1. ტექსტში ორჯერაა მიმართვა „წმპ“, შეიძლება ეს არის „წმიდაო მამაო პარმენ“. მღვდელი პარმენი ცხოვრობს მოსკოვში, სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირია.

2. იგრიკი—აპრილი.

3. ანგელოზის შესახებ იყო ლაპარაკი წერილში, რომელიც შენგან მივიღე,—ამბობს იონა ხელაშვილი, მაგრამ ასეთი წერილები არ ჩანს.

4. ემბლასტრო—მალამო.

5. ნერჩი—ჭურჭლის, კიდობნის და სხვათა ძირი.

## № 91

1826 წ. 18 აპრილის (აღდგომის) შემდეგ დაწერილი წერილი იონა ხელაშვილისა ძმების სოლომონის და გიორგისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 236—237

1. შოშიაშვილი —

2. ბოსტოღანაშვილი — იხ. შენიშვნა 3, № 14 წერილისა.

## № 92

1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადს

საქ. ხ. ი., ფ S—1532, გვ. 234—241.

შინაარსის მიხედვით ადრესატი არის თავადი ნიკო იაშვილი, რომელმაც იონას მოსწერა წერილი და სთხოვდა დახმარებას.

№ 93

1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 118—120

წერილის ნაწილი დაბეჭდილია წიგნში: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, კრ. I. 1969 წ. ი. ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ. წერილი 1, გვ. 163.

წერილი ეხება კარტეზიანელთა მიერ აბსოლუტური სივრცის უარყოფის საკითხს.

„თვით მე განვსაჯე მეფის ძის იოვანეს შეკითხვათა შინა"—მხედველობაში აქვს ი. ხელაშვილის ნაშრომი „34 შეკითხვის წიგნი". გამოქვეყნებულია ც. დედაბრიშვილის მიერ. 1954.

2. განრაოდენობა—გამრავლება
3. გულისხმისყოფა—გაგება, განსჯა, გაზრება.
4. ზედურნი—ტალერობა.
5. ი. მ. მ. მ. — იონა მღვდელ-მონაზონი, მოძღვარი.

№ 94

1826 წლის 15 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხეილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 242—249

1. მეფის ძე მიხეილი—მიხეილ ბატონიშვილი (1785—1861 წწ.), გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი.

მოსკოვში ცხოვრობს 1803 წლიდან. წერილის მიწერის დროს იგი მოსკოვშია, იყო განსაკუთრებული კომისიის წევრი. გარდაიცვალა პეტერბურგში. მეფის ძე მიხეილი ყოფილა განათლებული და ამავე დროს მეტად უბრალო, თავმდაბალი ადამიანი. როგორც ჩანს, მას ხელაშვილისთვისაც უსწავლებია გრამატიკა და სხ. სიბრძნენი. იხ. წერილი 37 შენიშვნა 3.

2. ჯერჩინება—ჯეროვნად მიჩნევა.
3. კინძიანი—მიბმული.
4. დაუნჯება—მოგროვება, შეგროვება.
5. ეპიფანია— ზედსაჩინო, ზედაპირი.
6. ნიშატი—ბუნებით ძალი, თვისება, ზნე.

7. შთამოსირვა—ჩამომავლება.

8. შთამოსირაკება—ჩამომავლობის დაფუძნებად.

9. ანტაკრა—საპირისპირო, წინააღმდეგი.

10. იოანე მეფის ძე — იოანე ბაგრატიონი. მიხეილის ძმა, (იხ. II შენიშვნა № 12 წერილისათვის).

11. პაიჭაძე გიორგი —(17...—1831 წწ.) მესტამბე. ჰქონდა სტამბა ქუთაისში. სადაც დაბეჭდა: „დავითნი“, „სახარება ვნებისა კვირიაკისა“. ამის შემდეგ, გიორგი პაიჭაძე მოსკოვში გამართავს სტამბას და ბეჭდავს „სადღესასწაულოს“. 1810 წ. იგი თბილისში დაარსებულ სასულიერო სტამბის მესტამბედ არის დანიშნული, მაგრამ კვლავ პეტერბურგშია და ბატონიშვილებს უდგას მხარში.

1827 წელს იგი პეტერბურგშია. ამ წერილის მიხედვით იგი აქაა 1826 წელსაც. გიორგი პაიჭაძე სამ წელიწადს მუშაობდა ი. ხელაშვილთან. მისი ხელითაა გადაწერილი რამდენიმე წერილი კრებულიდან H—2226. (მასალა ამოღებულია მ. ბერძნიშვილის წიგნიდან: მასალები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, II, 1983).

12. დედა თქვენი დედოფალი მარიამ—საქართველოს დედოფალი, გიორგი XIII მეუღლე, მიხეილის დედა. (იხ. IV შენ. № 11 წერილისა).

13. იმერეთის დედოფალი მარიამ—მარიამ კაცია დადიანის ას. სოლომონ II მეუღლე. (იხ. VI შენიშვნა № 11 წერილისა).

14. ბატონიშვილი ნინო—მარიამ იმერთა დედოფლის ძმისშვილის—ალექსანდრეს—მეუღლე ნინა ბატონიშვილი. მეფის ძის ფარნაოზის ასული. (იხ. III შენ. № 84 წერილისა).

15. ბატონიშვილი—მეფის ძე ილია, ოქროპირი, ირაკლი მოსკოვში მცხოვრები ბატონიშვილები.

## № 95

### 1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 251—252

1. დოდაევ სტეფანე—სოლომონ დოდაშვილის ძმა, სტეფანე დოდაშვილი (1809—1845 წწ).

(იხ. IV შენიშვნა № 87 წერილისა).

2. ანდრონიკოვი თავადი — თომა ან იოანე. იხ. შენიშვნა 1 № 84 წერილისა.

3. პიემანი—პაემანი, შეხვედრა.

4. მორჭ ნაკუწთნი—მორჭ ნაკუწთობა—წარმოსადეგობა, თვალადობა, აქ ფორმა.

## № 96

### 1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ გიორგისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S—1532, გვ. 252—256

1. მღვდელი გიორგი — საქართველოში მოღვაწე მღვდელი. „ძეო ბიძისა",—მიმართავს მას იონა, ე. ი. იონას ბიძაშვილია.

2. ვაჩნაძე სიმონ — დავით გარეჯის არქიმანდრიტის, ილარიონ ვაჩნაძის, ძმისწული. სწავლობდა პეტერბურგში. აქ იოანე ბაგრატიონის რჩევით და ხელმძღვანელობით თარგმნა „სწავლა ზნეობითი" (S—1197), წერდა ლექსებს. 1853 წელს იგი პოდპოლკოვნიკია ერევნის პოლკისა, რომელიც ამ დროს მანგლისში დგას (ბერძნიშვილი, მასალები..., II).

3. სოლომონ — იონა ხელაშვილის ძმა.

4. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა, იმყოფებოდა იონასთან პეტერბურგში.

5. დეკანოზი ნიკოლაოს ხელაშვილი ე. ი. მიხეილოვი — კახელი, დავით ალექსიშვილის აღზრდილი, ნიკოლოზ გიორგის ძე, ნიკოლაოს ხელაშვილი, „ესე არს ახალთა სწავლასა შინა გამოცდილი და სადოღმატიკოსისაცა, წგალობლობასა შინაცა კარგი არს მოძღვარი საქართველოს სკოლათა შინა", — ასე ახასიათებს მას ი. ბაგრატიონი (კალმასობა, II, გვ. 201). 1814—1824 წლებში იყო თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი, ასწავლიდა გრიგოლ ორბელიანს, შემდეგ იყო თელავის სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველი. იცნობენ მას დეკანოზ მიხაილოვის სახელით, ხოლო ბერად აღკვეცის შემდეგ, — თეოდოსი არქიმანდრიტის სახელით. გარდაიცვალა 1844 წ. (იხ. მ. ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრომი, II, 264). იხსენიება აგრეთვე № 26, 136 წერილებში. როგორც წერილშია ნათქვამი, იგი ნათესავია ხელაშვილებისა.

6. დარეჯან დედოფალი — მეფე ერეკლეს მეუღლე.

## № 97

1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ასული ვარვარასადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 257

1. ვარვარა — მეფის ძის ასული — ბაგრატ გიორგის ძის ასული ბარბარე, დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. გარდაიცვალა 1870 წელს.

2. დედოფალი ანა — იხ. შენიშვნა № 11 წერილისა.

3. მაზლი იოანე — ეს, ალბათ, არის იოანე თამაზის ძე ორბელიანი, ასაკით პატარა. სწავლობს, არის ბარბარე ბაგრატის ასულის მაზლი.

## № 98

1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკვან პეტრესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 116—118

1. დიაკვანი პეტრე — ცხოვრობს მოსკოვში, ეძებს სამღვდელო წოდებას. შესაძლებელია, ეს არის კაკუშაძე პეტრე, რომელიც მარიამ დედოფალმა 1827 წელს გაგზავნა მოსკოვიდან პეტერბურგში იონასთან და იგი აკურთხეს მღვდლად 1827 წლის 19 იანვარს.

2. დედოფალი მარიამი — საქართველოს უკანასკნელი დედოფალი (1768—1850 წწ.), გიორგი XIII მეუღლე, გიორგი ციციშვილის ასული. იხ. 1 შენიშვნა № 94 წერილისა.

## № 99

1826 წ. წერილი გიორგი ჭილაძისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 116

1. ჭილაძე გიორგი (იაგორ) — გაბრიელის (გლახას) ძე (1790—1839 წწ.), საქართველოს უზენაესი მთავრობის პროკურორი, ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. იყო ვახტანგის კანონების შემსწავლელი და მთარგმნელი კომისიის წევრი (ბერძნიშვილი, მასალები... II).

2. მიხეილი — გ. ჭილაძის შვილი (1816—1880 წწ.).

## № 100

### 1826 წლის 9 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 142—143

1. ბრწყინვალე თავადი — თავადი ნიკო იაშვილი.

## № 101

### 1826 წლის 14 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 115—116

დაბეჭდილია 1. მსკი, II, გვ. 69, წერილი 9.

2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 241—242, წერილი 9.

3. მ. მ. მ. — აღნიშნავს: მაღალ ღირს მამას, მღვდელმოძღვარს.

## № 102

### 1826 წლის აგვისტოს შემდეგ წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 67—70

შინაარსის მიხედვით, წერილი მიმართულია სოლომონ დოდაშვილისადმი.

გარდა ამისა, წერილში არის პასუხები იმ საყვედურებზე, რომლებზედაც წერს სოლომონ დოდაშვილი წინა —1826 წ. 14 აგვისტოს წერილში, ამ ნიშნით თვით წერილიც თარიღდება აგვისტოს მომდევნო ხანებით.

## № 103

### (1826 წ.) წერილი იესე ოქრომჭედლოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 241—242

თარიღდება მომდევნო № 104 წერილით: 1826 წლით.

1. ოქრომჭედლოვი იესე — მარიამ დედოფლის ამალის წევრი, აზნაური იოსებ დავითის ძე ოქრომჭედლოვი (მისი მეუღლე — თი-

ნათინ ნიკოლოზის ასული, ძიძა დედოფლის უმცროსი ვაჟის ირაკლისა. (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II), შესაძლებელია, იესე აზნაურ იოსებ ოქრომჭედლოვის ოჯახის წევრი იყოს.

## № 104

### 1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ოქრომჭედლოვს

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 242

1. იხ. წინა წერილი.

## № 105

### 1826 წლის წერილი გაბრიელ მაყაევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 137

1. გაბრიელ მაყაშვილი — მღვდელი კახეთიდან.

## № 106

### (1826 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა დიაკონ პეტრესადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 190—191

წერილი დათარიღებული არ არის. მის მიხედვით ბატონის რძალი სალომე ცოცხალია. იგი 1827 წელს გარდაიცვალა. (იხ. აქვე, წერილი № 198). ამის მიხედვით დავათარიღეთ წერილი 1826 წლით.

1. პეტრე დიაკონი — დიაჩოქი (იხ. 1827 წ. 19 იანვრის წერილი ი. ხელაშვილისადმი) შესაძლებელია, ეს „პეტრე დიაჩოქი", რომელიც მოსკოვში ცხოვრობს და 1827 წელს დიაკონად და ამავე წელს მღვდლად ეკურთხა, არის კაკუშაძე პეტრე, იმერელი დიაკვანი.

2. მიმყოვრება — შენელება.

3. სოლომონი — „ძალისაებრ ჩემისა დავეხმარე, მაგრამ იგი უმადურია, რადგან არ აკურთხეს" — წერს იონა პეტრეს მოსკოვში. ხომ არ არის ეს ის სოლომონი, რომლის შესახებ აცნობებს სოლომონ დოდაშვილს, რომ იგი უქნარა და უვიცია.

4. ბატონის სძალი სალომე — გიორგი XII რძალი, იულონ ბატონიშვილის მეუღლე სალომე, რევაზ ამილახვრის ასული. (1766—1827 წწ.).

### № 107

1826 წლის 21 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 107.
იგივე S — 1532, გვ. 119, 130.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 70, წერილი 10. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 242, წ. 10.

ლექსი აკროსტიხია: „იონას უძღვნი სოლომონი".

### № 108

1826 წლის 3 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 141—142

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 71—72. წერილი II. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 243—244. წ. II.

1. ბარაკიელი — მსახური.

2. შპანსკი მუშკი — მალამო, იხ. შენ. № 72 წერილისა.

3. ერისთავი შანშეს ძე — ერისთავი ელიზბარ შანშეს ძე (1808—1887 წწ.), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

4. კარტეზიანი — დეკარტეს მოძღვრების მომხრენი.

5. ლასენდი პიერ — ფრანგი მატერიალისტი ფილოსოფოსი XVIII საუკუნისა.

### № 109

1826 წლის 15 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა ოსეფასადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 250

1. ოსეფა — იწოდება კეთილშობილებად.

## № 110

### 1826 წლის 15 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მაღალ ბრწყინვალე მამუკასადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 130—133

ხელნაწერისეული დათარიღება წერილისა არასწორია, რადგან იქ ნათქვამია, რომ მამუკას წერილი მიიღეს 25 ნოემბერს.

1. მაღალბრწყინვალე მამუკა — ორბელიანი მამუკა თამაზის ძე. (1801—1875 წწ.) თამაზ ორბელიანის და ქეთევან ქობულაშვილის მეორე ვაჟი. სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. სამსახური დაიწყო 1816 წელს ერევანში. მუშაობდა ელიზავეტოპოლის (განჯის) მაზრის უფროსად. ამ თანამდებობაზე ყოფნისას მისი რეპუტაცია შეილახა. იგი გასამართლებული იყო ფოსტის გაძარცვისათვის განჯის მაზრის უფროსად მუშაობის პერიოდში.

1836 წელს იგი გადასახლებიდან დაბრუნდა. მამუკა არის ძმა დიმიტრი ორბელიანისა, მარშლისა (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II).

2. ტოზიკი — მაჰმადიანთა რელიგიური დღესასწაული.

3. ბავრაყი — ბაირაღი.

4. პატნეზი — სიმაგრე, სანგარი, დაზვინებულის მიწისაგან.

5. ზითბა — შიმშილობა (სსო.)

6. კუბასტი — ლეჩაქი.

7. ნარუჯიანი — ახალი, უცხო ახალი ხილი.

8. ნატამალი — დანაშთენი.

9. გ. მ. — გიორგი მეფისა.

10. პ. — პეტრე.

11. კურთხეული ა — მეფე ალექსანდრე.

12. კვიროს — უფალი.

13. ადანას — მეუფე.

14. მოქლონი — დასაკეტი, ბოქლომი.

## № 111

### 1826 წლის 29 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 130—133

1. როორტაგი — მეფეთ ბრძანება, ოქმი.
2. ზორაყობა — ზორაყი — თუთიყუში.
3. ყაბაზუნი — მაიმუნი.
4. მეფის ძე ვ. — მეფის ძე ვახტანგ.
5. მიმყოვრება — დაგვიანება, შენელება.
6. შეგბობა — გამოცდა.
7. დარიელობა — დროს შერჩევა.
8. დ. პ. პ. — გაურკვეველი პიროვნება.
9. გ. რ. — გაურკვეველი პიროვნება.
10. უგანათლებულესი ქეთევან — ქეთევან ბატონიშვილი (1764—1840 წწ.), ერეკლე II ასული. ივანე მუხრანბატონის მეუღლე. 1810 წლიდან პეტერბურგშია, იულონ ბატონიშვილთან. იულონის სიკვდილის შემდეგ, მის მეუღლესთან ცხოვრობს.
11. გრიგორი — იოანე ბატონიშვილის ძე.
12. ბრწყინვალე სოფიო — მეფის რძალი.
13. ბრწყინვალე ესტატე—ესტატე ციციშვილი, (იხ. აქვე, შენ. 19).
14. აღძრცვილი — აღძრცვა, აძრობა, აცლეჯა.
15. კლემაქსი—კიბე (სახელწოდება იოანე სინელის წიგნისა).
16. უგანათლებულესი თ—ალბათ, თეიმურაზ ბატონიშვილი.
17. მეფის ძის ვ-ს სახლი — ვახტანგის სახლი.
19. ესტატე მოურავი — ციციშვილი, შვილი დავით ფანასკერტელ-ციციშვილისა. შვილიშვილი ერეკლე II ასულის მარიამისა და დავით ციციშვილისა. ზემოხსენებული პირნი, იონას სიტყვით, „ლამობდნენ ჩემთა თავით თვსით შთანთქმას და რომელიმე მიზიდვიდნენ სამსჯავროთა წინაშე". ამ ფაქტის შესახებ იონა საუბრობს „რონინშიც".

## № 112

### 1626 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა არქიმანდრიტ გრიგორისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 107—111

1. არქიმანდრიტი გრიგორი — ქართველი არქიმანდრიტი, დაესწრო ექვთიმე გენათელის, ნოვგოროდის გუბერნიის ოლონეცის მაზრის

სვირის მონასტერის არქიმანდრიტის, სიკვდილს. იხ. 1 შენიშვნა № 15 წერილისა.

2. მიტროპოლიტი ექვთიმე — რაჭის ერისთავის როსტომის ძე. იმერეთის აჯანყების მოთავე. დააპატიმრეს. იყო ნოვგოროდში, ნოვგოროდის ეპარქიის ოლონეცის მაზრის სვირის მონასტრის არქიმანდრიტად, გარდაიცვალა 1822 წელს 21 აპრილს.

3. ა. მონარხი — იმპერატორი ალექსანდრე.

4. ვასილის ჭალაკი — ჭალაკი — კუნძული — ვასილის კუნძული. პეტერბურგში.

5. მმმ — ქართველი სასულიერო პირი.

6. ამბროსი — მიტროპოლიტი ნოვგოროდისა, სანქტპეტერბურგისა, ისლანდიისა, ფინლანდიისა და ზედართვით წმ. ალექსანდრე ნეველის სამების ლავრის არხიმანდრიტი. მან უბრძანა არქიერ დორითეოსს იონას ხელდასმა. მემკვიდრე დავითმა გამოსთხოვა ამბროსის ხებართვა ეკლესიის თავის ეზოში ასაშენებლად (იხ. შენიშვნა № 3 წერილისათვის).

## № 113

### 1826 წლის 10 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხაილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 133

1. „იმერთა უმაღლესმან და მეგრელთა მთავრინამან მამით დამან თქვენმან“—ნინო გიორგი XIII და ქეთევან ანდრონიკაშვილის ასული. მიხაილ მეფის ძის და მამით. რადგან მიხეილს სხვა დედა ჰყავდა. ნინოს მეუღლე იყო გრიგოლ, კაცია დადიანის ძე.

გრიგოლი სოლომონ მეფის ტახტიდან გადაგდებას ცდილობდა, ამიტომ სოლომონმა იგი გადააყენა. მაგრამ ერეკლეს თხოვნით კვლავ გაადადიანა.

მისი გარდაცვალების შემდეგ, 1804 წ., ნინო იყო მზრუნველი ლევანისა და მთავარი სამეგრელოსი ლევანის სრულწლოვანებამდე. გარდაიცვალა პეტერბურგში 1847 წელს (მ. ბერძნიშვილი.. მასალები..., II).

2. დ. გ. — არის დადიანი გრიგოლ, ნინოს შვილი. 5 წლის განმავლობაში იყო პატიმარი „ქალაქსა შინა მიზეზითა თვისისა ურჩისა შვილისათა და გადასახლებული 7 წელზე მეტი“. ედავებოდა ძმას, შეურაცხყო იონა ხელაშვილი.

3. მეფის ძე მიხეილი — გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი (1785—1861 წწ.), ცხოვრობდა მოსკოვში 1803 წლიდან, თანამედროვეთა ცნობით, იგი განვითარებული, გონიერი, განათლებული და სხვისთვის მზრუნველი იყო. იხ. შენიშვნა მესამე წერილი 37-სა.

## № 114

### 1826 წლის ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 70—72

1. დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 72. წერილი 12. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 244—246, წერილი 12.

## № 115

### (1825—1826 წწ.) წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 179—187. იგივე გვ. 239

წერილი დათარიღებული არაა, ტექსტის მიხედვით თარიღდება 1825—26 წლით, რადგან 1827 წელს სტეფანე დოდაშვილი უკვე რუსეთშია. ამ წერილის მიხედვით, იონა ხელაშვილი სტეფანეს ჯერ არ იცნობს.

წერილის ნაწილი დაბეჭდილია წიგნში: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, 1969, კრ. 1, ი. ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ გ. დედაბრიშვილის პუბლიკაცია, გვ. 178—182. წერილში ი. ხელაშვილის მიერ გადმოცემულია შემეცნების თეორიის საკითხები.

1 ძმა თქვენი — სოლომონ დოდაშვილი.

2. დანეცვა — დაფშვნა.

3. კონკლები — ურმის თავის დასაყენებელი, მუხრუჭი.

4. ოხჯანი — დასასრული, ბოლო.

5. ანდრონიკოვი — თომა ანდრონიკაშვილი, რომელიც პეტერბურგიდან თბილისს გაემგზავრა. თომა ანდრონიკაშვილის შესახებ იხ. შენიშვნა № 84 წერილისათვის.

## № 116

### (1827 წ.) იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა იერომონახ გაბრიელისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 137—139

წერილი დაუთარიღებელია და თარიღდება ტექსტით.

1. იერომონახი გაბრიელი — კახეთიდან, თხოვს იონას შეწევნას ეკლესიის აღდგენა-შემკობაში.

2. მომუჩირება — შეკრება საჭიროებათა ეკლესიისათვის.

3. ლუსკუმი — საფლავი.

4. არხიერი — მღვდელმთავარი (ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი ან მიტროპოლიტი).

5. პაიჭაძე—მესტამბე, ი. ხელაშვილის ხელნაწერთა გადამწერი. იხ. 11 შენიშვნა № 94 წერილისა.

## № 117

### 1827 წლის ახალი წლის წერილი იონა ხელაშვილისა მეგრელთა მთავრის ძე გიორგისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2222, გვ. 149—152

1. მეგრელთა მთავრის ძე გიორგი—ნინო ბატონიშვილის, სამეგრელოს მთავრინას, და გრიგოლ დადიანის მეორე შვილი. № 113 წერილში მეფის ძე მიხაილისადმი აღწერილია გიორგის უწესო საქციელი და რომ 7 წელზე მეტი ხნის განმავლობაში გადასახლებული იყო. ხელაშვილის სიტყვით, „უფრო ადვილია ლომთა შეპყრობა, ქვეყანათა დაპყრობა და სხვ., ვიდრე აღვირასხმა თავისა თვისისა", რომლისკენაც მოუწოდებს მას იონა.

2. შთამოსირვა — აღწერა შთამომავლებისა (ნ. ჩუბინაშვილი).

## № 118

### 1827 წლის 19 იანვრის წერილი საქართველოს დედოფალი მარიამისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 152

1. დედოფალი მარიამ — მარიამ გიორგი XIII მეუღლე, იხ. მე-4-ე შენიშვნა № 11 წერილისა.

2. პეტრე დიაკვანი — იხ. შენიშვნა № 106 წერილისა. პეტრე დიაკვანი, მ. ბერძნიშვილის ცნობით, არის კაკუშაძე პეტრე, იმერელი დიაკვანი. მღვდლად ეკურთხა პეტერბურგში. 1827 წელს მარიამ იმერეთის დედოფალმა პეტრე დიაჩოქი გაგზავნა მოსკოვიდან პეტერბურგს, იონასთან, ხოლო 1841 წ. — საქართველოში. გარდაიცვალა რუსეთში 1845 წ. წერილის დამწერი რომ მარიამ იმერეთის დედოფალი კი არა, მარიამ გიორგი XIII მეუღლეა, ეს ჩანს შემდეგიდან: წერილს აწერს ხელს საქართველოს დედოფალი და არა იმერეთის დედოფალი. გარდა ამისა, მარიამ კაცია დადიანის ასული წერილის დაწერის დროისათვის (1827 წ.) პეტერბურგში იმყოფებოდა, ამიტომ იგი ვერ გააგზავნიდა პეტრეს მოსკოვიდან პეტერბურგში. მოსკოვში ამ დროს სწორედ საქართველოს დედოფალი მარიამი ცხოვრობდა.

## № 119

1827 წლის დასაწყისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ო., ფ. H — 2226, გვ. 153

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, წერილი 44, გვ. 132—133; 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 249—250, წერილი 15.

## № 120

1827 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ო., ფ. H — 2226, გვ. 152—153

უთარიღოა. თარიღდება ტექსტის მიხედვით. სოლომონი ამთავრებს უნივერსიტეტს და „ლოღიკის“ წარსადგენად ემზადება.

დაბეჭდილია: 1. მსძ0, II, წერილი 21, გვ. 84. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 397, წერილი 19.

## № 121

1827 წლის 19 თებერვლის წერილი თეიმურაზ ბაგრატიონისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ო., ფ. H — 2226, გვ. 155

## № 122

1827 წლის 7 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 333

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 79—80. წერილი 16. 2. სოლ. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 254, წერილი 20.

## № 123

1827 წლის 15 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 330—331

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, წერილი 17, გვ. 80—81. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 254—256, წერილი 21.

სოლომონი ასწავლიდა ბაგრატ ბატონიშვილის შვილებს: ნიკოლოზს, დავითს და ალექსანდრეს.

## № 124

1827 წლის 3 აპრილის მილოცვა სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 334. იგივე ფ. S — 1532, გვ. 120—121

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 82—83. წერილი 19. 2. სოლ. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 256—257, წერილი 23.

## № 125

1826 წ. 3 აპრილის წერილი სოლ. დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 335

## № 126

1827 წლის 12 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 2780, გვ. I—11.

წინ უძღვის ი. ხელაშვილის ნაშრომს კატეხიზმო. — „ეპისტოლე, მიწერილი უფლისა დოდაევისა მიმართ წელსა 1827 თთუესა აპრილსა 12, დღესა სამშაბათსა".

## № 127

1827 წლის 8 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა დიმიტრი, იოანეს ძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 335—336

1 დიმიტრი იოანეს ძე—უცნობი დიდმოხელე რუსეთისა.

2. ბლისტი—საკუთარი აგარაკი.

## № 128

(1827) წლის წერილი მეფის ძის ფარნაოზის ასული ნინასი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 123—124

1. ნინა მეფის ძის ფარნაოზის ასული (1802—1828 წწ.)—დადიანის მეუღლე.

2. ნიკოლუშკა—იხ. წინა წერილები (მარიამ იმერეთის დედოფლის ძმის შვილიშვილი) „ნიკოლუშკას კბილები ამოუვიდა", იმპერატორის ნათლული.

3. ზაქარია—„მოხარული ვარ მაგის განთავისუფლებისათვის".

4. სფირიდონი ივანე—ვინაობა ვერ გავარკვიეთ.

## № 129

1827 წლის მაისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 349

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, წერილი 22, გვ. 84. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 257—258. წერილი 24.

## № 130

### 1827 წლის 13 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ასული ნინასადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 336—337

1. მეფის ასული ნინა (1772—1847 წ.) გიორგი XIII და მისი პირველი მეუღლის—ქეთევან ანდრონიკაშვილის—ქალი, კაცია დადიანის ძის, გრიგოლის, მეუღლე. წ 84-ის შენიშვნა 5.

1802 წ. დადიანმა ნინო გაუშვა და სხვა ცოლი ითხოვა, შემდეგ შერიგდნენ. 1805 წ. ნინა თავისი ვაჟის — ლევან გრიგოლის ძის — მზრუნველი და სამეგრელოს მთავარია. ჰყავდა მეორე შვილიც — გიორგი (მ. ბერძნიშვილი, მასალები, II). 1811 წელს გადასახლდა რუსეთში.

2. მეფის სძალი სოფიო (როგორც ჩანს, ეს ის ბრწყინვალე სოფიოა, ეკლესიაში რომ მოუვიდათ კამათი).

3. ლაპარაკია გიორგიზე, მეფის ასული ნინას შვილზე, იგი დაპატიმრებული ყოფილა.

4. უმაღლესი და უგანათლებულესი — თეიმურაზ ბაგრატიონი.

5. ლმობა — ტკივილი.

6. ჯერჩინება — სათნოდ მიჩნევა.

7. რიოში — შერყვნილი.

8. ვესავ — ვთხოვ.

## № 131

### 1827 წლის 21 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა დავითისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 347—348

1. მამა დავითი — დავით ხატიევი, დეპუტატი — მღვდელი კახეთიდან.

## № 132

### 1827 წლის მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ნიკოლაი იოსიფოვიჩისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 338—339.

1. ნიკოლაი იოსიფოვიჩი — ნიკოლოზ იოსების ძე ფალავანდიშვილი (17... — 1855), დედა — ამბროსი ნეკრესელის შვილი. მამა —

იოსებ გიორგის ძე ფალავანდიშვილი — სწავლობდა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში. 1805 წ. ციციანოვმა გამოიყვანა სასწავლებლიდან და თავის კანცელარიაში მოაწყო. 1808 წელს მიიღო გუბერნიის სეკრეტრის ჩინი. 1810 წ. ანტონ კათალიკოსი რუსეთს რომ გადაასახლეს, ნიკოლოზი მას გაჰყვა. პეტერბურგში ნიკოლოზი დაუახლოვდა ქართველ ბატონიშვილებს, ხოლო მათგან მიღებული ცნობები მთავარმართებელ რტიშჩევს შეატყობინა. 1812 წელს დავით ბაგრატიონის ბარათი გადასცა მთავარმართებელ რტიშჩევს. 1812 წ. იმპერატორ ალექსანდრე I-ს გაჰყვა პარიზამდე და მოახსენა ლენქორანის აღების ამბავი.

1822 წ. დანიშნეს წევრად თბილისის კომისიისა, რომელსაც ქართული კანონების შედგენა და თარგმნა ევალებოდა.

1832 წელს ფალავანდიშვილი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორია. როზენის საქართველოდან წასვლის შემდეგ იგი საქართველოსა და კავკასიის მთავარმართებელია. განთავისუფლდა გუბერნატორობიდან 1838 წ. გარდაიცვალა 1855 წ.

(მ. ბერძნიშვილი, მასალები... II).

### № 133

1827 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელმონაზონი გაბრიელისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H—2226. გვ. 342—343

1. მონაზონი გაბრიელ — ცხოვრობს საქართველოში, იონა ხელაშვილი სთხოვს ვინმე შეურჩიოს, ვინც წერილების გადაწერა — გამრავლებაში დაეხმარება.
2. ლავანი — ლავანესი, მირონის სუნნელი.

### № 134

1827 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა არქიმანდრიტ ნიკოლოსისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 340—341.

1. არქიმანდრიტი ნიკოლოსი — ესაა დეკანოზი ნიკოლოზ მიხაელევი, ნიკოლოზ ხელაშვილი, შემდეგში — თეოდოსი არქიმანდრიტი. იხ. შენიშვნა 3. წერილი № 26.

2. ივანე მალხაზის ძე ანდრონიკოვი — ანდრონიკაშვილი ივანე მალხაზის ძე (1793—1868 წწ.), გენერალი, თბილისის სამხედრო გუბერნატორი. იხ. II შენიშვნა № 41 წერილისა.

3. გაჯიობა — კეთილი შური.

4. პტულ-ნარუქი — ახალი ხილი, უცხო რამ, ახლად შემოღებული.

5. დივთილი-დივტილა — ქების წარმოთქმა.

6. არქიმანდრიტი გრიგოლიოს — „სულიერი ძე ჩემი".

### № 135

1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა გუმრდის განხილვის ეკლესიის მამათ

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 348—349.

1. გუმრდის განხილვის ეკლესია — ეკლესია ქიზიყში.

### № 136

1827 წლის მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ ონისიმესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 346—347.

1. ონისიმე მღვდელი იაშვილი — არის იონა ხელაშვილის ძმის, გიორგის, მეუღლის პაპა ცხოვრობს კახეთში.

### № 137

1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თომასადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 341.

1. თომა ანდრონიკაშვილი. გიორგი XIII შვილის ბარბარეს ძე. გარდაიცვალა 1847 წელს.

### № 138

1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 345—346.

1. მამა სოლომონი — მღვდელი სოლომონ ხელაშვილი კახეთიდან.

## № 139

1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 343—344.

1. სტეფანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის ძმა. იხ. შენიშვნა №.87 წერილისა.

2. საყამე — საათი.

## № 140

1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელი იოანესადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 344—345.

1. მღვდელი იოანე — სოლომონ დოდაშვილის მამა ივანე დოდაშვილი.

2. დაფარნები — სიწმიდეთა დასაფარებელი ეკლესიაში.

## № 141

1827 წლის 2 ივნისის წერილი სოლომონ დოდაევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 362—363.

დაბეჭდილია: 1. ძსკი, II, გვ. 85—87, წერილი 23. 2. სოლომონ დოდაშვილი, „თხზულებანი", გვ. 258—259, წერილი 25.

1. დედოფალი — გიორგი XIII მეუღლე მარიამი. იხ. IV შენიშვნა № 11 წერილისა.

2. ოქროპირი — გიორგი XIII შვილი, გარდაიცვალა 1857 წელს. იხ. შენიშვნა № 13 წერილისა.

3. ბატონიშვილი თამარ — გიორგი XIII შვილი.

4. ილია გიორგის ძე, ბატონიშვილი — იხ. I შენიშვნა № 5 წერილისა.

5. დიმიტრი მღვდელი — დიმიტრი ოქროაშვილი, ოქროძე. უცხოვრია პეტერბურგში, მოსკოვში.

6. მამა ტარასი — ტარასი ალექსიშვილი, სოლომონის ძე, მღვდელი, ქვათახევის მოძღვარი. დაწერა წიგნი „ვრცელი კატეხიზმი". დაიბეჭდა 1827 წელს მოსკოვში.

7. დოსითეოს არქიეპისკოპოსი — დოსითეოს არჩევანის ძე ფიცხელაური, არქიეპისკოპოსი ქვათახევისა. გარდაიცვალა 1831 წ. იოანე ბაგრატიონი „კალმასობაში" დოსითეოს ფიცხელაურის შესახებ წერს: „ესე არს წერილთა შინა გამოცდილი და უბნებათა შინა რიტორი. განაახლა ხელახლად მონასტერი და დაადგინა ბერები. წარსულმან ქართლად მონათლნა რამოდენიმე ათასიანი სულნი ოსთაგან და განუწესნა მღვდელნი და კეთილად მწყსიდა ეკლესიათა ღვთისათა... ახლა ცხოვრობს მოსკოვში".

8. პავსკი გერასიმე პეტრეს ძე (1787—1863 წწ.) — ფილოლოგი, ს. დოდაშვილის და პლატონ იოსელიანის მასწავლებელი. ეჭირა ებრაული ენის კათედრა (მ. ბერძნიშვილი, მასალები.).

9. ფილადელფოსი — ბერი ფილადელფოს კიკნაძე (1793—1833 წწ.).

10. ადამ ღირსიევი — ადამ ღირსიაშვილი, იხ. შენიშვნა № 50, წერილისა.

## № 142

1827 წლის 2 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკონ სვიმონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 352—355

1. სადაგ — საყოველდღეო.

2. ჩქუროობა — ოცნება, ზმანება.

3. უდგრეში — ბრიყვად დაყინებული (სსო).

4. ესტატე მოურავი — ესტატე ციციშვილი, შვილი დავით ფანასკერტელ-ციციშვილისა და ქეთევან აბაშიძისა. დავითი შვილიშვილი ერეკლეს II-ისა. იხ. შენიშვნა № 111 წერილისა.

5. სვიმონ დიაკვანი. ქართველი — „მექვეყნეო ჩემო" — 1827 წელს ნაკურთხი მოსკოვში. ვფიქრობთ, ეს არის სვმეონ, იგივე სოლომონ ერიაშვილი, შემდეგში მღვდელი. ეკურთხა 1827 წელს.

## № 143

1827 წლის 9 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 367—368.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II გვ. 87—88. წერილი 24. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 259—260. წერილი 26.

1. გიორგი პაიჭაძე — მესტამბე. იხ. შენიშვნა 94 წერილისათვის.

2. ადამ ღირსიაშვილი — იხ. I შენიშვნა № 50 წერილისათვის.

## № 144

1827 წლის 15 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 366—367.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II გვ. 88—90, წერილი 25. 2. სოლომონ დოდაშვილი, „თხზულებანი“, გვ. 261—262, წერილი 27.

1. ალექსანდრე — ჩოლოყაშვილი ალექსანდრე დიმიტრის ძე (1801—1833 წწ.), გიორგი XIII ასულის რიფსიმესა და დიმიტრი ჩოლოყაშვილის ვაჟი. გადამდგარი პოდპორუჩიკი, სწავლობდა პეტერბურგში. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჩოლოყაშვილი ერთად გაემგზავრნენ საქართველოში (მ. ბერძნიშვილი, მასალები... II.).

2. პარმენ მღვდელი — პარმენ წინამძღვრიშვილი (1784—1846 წწ.), დეკანოზი, მარიამ დედოფლის მოძღვარი. სოლომონი მოსკოვში მასთან დაბინავებულა. მოღვაწეობდა მოსკოვის ქართულ სტამბაში. წერდა ლექსებს. გარდაიცვალა 1846 წელს, მოსკოვში.

## № 145

(1827) წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 355—357.

## № 146

1827 წლის 16 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 357—358.

1. ბრწყინვალე თავადი — ალექსანდრე დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი. იხ. შენიშვნა № 144 წერილისა.

## № 147

(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 358—362

წერილში შეტანილია ნაწილი წერილისა, რომელიც გადაწერილი იყო ცალკე სულ სხვა ადგილას. შინაარსის მიხედვით წერილის ეს ნაწილი შეიძლება შევიდეს № 142 წერილშიც.

1. ორტაბასია — ორტაბასი — გრილის და მხურვალის ნარევი.
2. ზორაყი — ზორვა — შეწირვა.
3. ყაპუზუნა — მაიმუნი.
4. იკანკლედიერებთა — დაფანჯრული.
5. უნჯაფი — უნჯაფა — თბილი სახლი.
6. მიდმოება — გარემოება, გარეგნობა.
7. სერგია ნიკიტიჩი.
8. ოსეფ იაკოლიჩი — გეტტინგი იოსებ იაკობის ძე. გერმანელი მეცნიერი ერეკლე II შვილიშვილების აღმზრდელი. 1813 წლიდან დავით ბატონიშვილმა გაიწვია პეტერბურგში (მ. ბერძნიშვილი I). იხ. № 189 წერილის მე-9 შენიშვნა.

## № 148

1827 წლის 9 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 385—387.

დაბეჭდილია წიგნში: 1. მსკი, II, გვ. 90—92, წერილი 26. 2. „სოლ. დოდაშვილი, თხზულებანი“, 1961, გვ. 282—283, წერილი № 26.

1. ივან იაკელიჩ კრონბერგი (1788—1838 წწ.), — ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი.

2. ალექსანდრე რიფსიმასი — ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, რიფსიმე ბატონიშვილის ძე. იხ. I შენიშვნა № 144 წერილისა.

3. დედოფალი მარიამ — კაცია დადიანის ასული. იხ. VI შენიშვნა № 11 წერილისა.

4. ალექსანდრე I — რუსეთის იმპერატორი (1801—1825 წწ.).

5. სიპიაგინის მეუღლე, სიპიაგინი — თბილისის გენერალ-გუბერნატორი 1817—1819 წწ.

**№ 149**

1827 წლის 9 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 388—389.

1. სტეფანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის ძმა, იხ. შენიშვნა № 87 წერილისათვის.

2. მეფის ძე მეუღლითურთ, ასული ვარვარა — ბაგრატ ბატონიშვილი—გიორგი XIII მესამე ვაჟი პირველი ქორწინებიდან. ცოლი — ეკატერინე დურმიშხანის ასული ჩოლოყაშვილი. შვილი — ბარბარე (ვარვარა) დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის მეუღლე. გარდაიცვალა 1870 წელს.

**№ 150**

1827 წლის 10 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 3.

1. ალექსანდრე დადიანოვი — ალექსანდრე დადიანი, მარიამ იმერთა დედოფლის ძმისწული, მეუღლე — ნინა, ფარნაოზ ბატონიშვილის ასული იხ. III შენიშვნა № 84 წერილისა, აგრეთვე № 47 წერილი.

2. ანდრონიკოვი იოანე — იოანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი, გენერალი. იხ. II შენიშვნა № 41 წერილისა.

№ 151

1827 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 378—379

1. „ფჩელა“ — ჟურნალი, სახელწოდებით „Пчела“, გამოდიოდა პეტერბურგში, მასში დაბეჭდილი იყო დადებითი რეცენზია სოლომონ დოდაშვილის ნაშრომზე „ლოგიკა“.

2. დაორნატება — ორნატი — ხნული კვალი, გუთნით გავლებული.

№ 152

(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელი სიმეონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 352—355

წერილი უთარიღოა, მაგრამ, რადგან ადრესატი მღვდლად არის მოხსენიებული, სვიმონი კი მღვდლად 1827 წელს აკურთხეს, ამიტომ წერილი დაიწერებოდა 1827 წელს ან მის მომდევნო წლებში. წერილის მიხედვით ცხადი ხდება, რომ მეფის სძალი სალომე გარდაცვლილია. სალომე გარდაიცვალა 1827 წელს, ე. ი. წერილი დაიწერებოდა 1827 წელს ან მის ახლო ხანებში.

1. მღვდელი სიმეონი — იგივე სოლომონ ერიაშვილი, ჯერ დიაკონი, შემდეგ მღვდელი, თან ახლდა ანტონ კათალიკოსს ნიჟნი ნოვგოროდში. 1827 წელს აკურთხეს დიაკვნად, შემდეგ მღვდლად. იმყოფება ანტონთან ნიჟნი ნოვგოროდში. აქვს მიწერ-მოწერა იონა ხელაშვილთან. იხ. შენ. 1. № 79 წერილისა.

2. უგანათლებულესი თამარ — გიორგი XIII და მარიამ დედოფლის ასული (1789—1851 წწ.).

3. 4. ლუარსაბ, დიმიტრი — სამეფო ოჯახის წევრები.

5. ზუმბური — ლუქის მსგავსი ნივთიერება.

6. ისაია ნაცვალოვი — მეტად გაჭირვებული. ითხოვს დახმარებას. იხ. წერილი № 124.

7. მეფის სძალი სალომე — მეუღლე იულონ ბატონიშვილისა, ამილახვარი, გარდაიცვალა 1827 წელს.

8. მღვდელი სოლომონ — სვიმეონად წოდებული. იხ. აქვე, შენ. 1.

## № 153

### 1827 წლის 25 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226. გვ. 387—388.

1. ურვეული — შეჭირვებული, შეწუხებული.
2. შესლბობილი — შეშინებული, დაუძლურებული.
3. მჭოვარე — მლმობელი.
4. მქლოველი — გამომძიებელი.
5. ხამანი — მიჯნა, სასაზღვრო ქვა.
6. შთამოსილვა — ჩამომავლობა.
7. მქისე — ხორკლიანი, ველური.
8. ჭვიროზა — გამჭვირვალე.
9. თარხნიშვილი ესტატე — სოფიო ბატონიშვილის და ლუარსაბ თარხნიშვილის ვაჟი.

10. იოსიფ იაკოვლიჩი — გეტინგი, წარმოშობით ავსტრიელი, ბატონიშვილების მასწავლებელი, რომელსაც თბილისში ჰქონდა დუქნები და სურდა მათი გაყიდვა. იხ. 9 შენიშვნა № 189 წერილისა.

## № 154

### 1827 წლის 23 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 380—381.

1. კრონბერღი — ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი.
2. ალექსანდრე რიფსიმეს ძე — ჩოლოყაშვილი.
3. მაოტებელი — ოტება — განდევნა, გაქცევა.
4. ხენეში — ცუდი, ავი.
5. ანდრია მარგველაშვილი — ჭაბუკი იმერეთისა.
6. დაუქეჯნაობა, დაქეჯვა — წვალება.
7. მიმთხვევა — მიემთხვევის — შეხვედრა, წინშემოყრა.
8. დაყდონება — შეჩერება, შეფერხება, დაბრკოლება.
9. რიოში — მსხვილად დაფქვილი რამ, შერყვნილი.
10. აღძრცვილი — აღძრცვა — ალხარება, დაძახება.
11. წმ. კრისვენტი ფილოსოფოსი.

## № 155

### 1827 წლის ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა პარმენისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 368—376

1. პრესვიტერი მამა პარმენი—წინამძღვრიშვილი პარმენ დომენტის ძე (1784—1846 წწ.), დეკანოზი 1831 წლიდან. იგი მოსკოვშია 1816 წლიდან, არის მარიამ დედოფლის მოძღვარი. პარმენი მოღვაწეობდა მოსკოვის ქართულ სტამბაში. წერდა ლექსებს (მ. ბერძნიშვილი, მასალები... II, გვ. 243).

2. თერმონია — თერმონი — თბილი შაქრის წყალი ჩაისავით.

3. ფალუდი — საჭმელი ფალუსტაკი — ერბოსა და თაფლში მოხალული ფქვილი.

4. ზარგანხდა—ზარგანხდილი—შიშით გაშტერებული ყოფნა.

5. კრეტსაბმელი — ფარდა.

6. კაიაფა — განბასრებული, გინა მოკიცხული. (სსო).

7. მეყისტე — ყისტის ამკრები (ყისტი გამოსაღები სავაჭროთაგან).

8. მოკუფხვა — ყურძნის კრეფა.

9. კორბანი — შესანიშნავი, ან საუნჯე, ნიჭი, მადლი.

10. პოვასაკი — ხალთა, გუდა, პარკი.

11. ვაშკერანი — ზოგადი სახელი შთასადებელთა ჭურჭელთა ნაქსოვისა ან ტყავისა.

12. ქარხანჩო — ადგილი შესანახავი საჭმელთა.

13. გუადრუცი — გვადარა — მათრაშა.

14. არქიეპისკოპოსი პაფნუტი — იხ. მეორე შენიშვნა № 13 წერილისა.

15. მამაცაშვილი გაბრიელი — იმყოფება სამხედროში.

16. მამა დიმიტრი — ხელნაწერთა ცნობილი გადამწერი. ცხოვრობდა რიაზანში (1833 წ), მანამდე — მოსკოვსა და პეტერბურგში. იმოგზაურა იერუსალიმში.

## № 156

### 1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 349, 352.

1. სახმილავი — სადარაჯო ადგილი.

2. მეხმარი — ლურსმანი.

3. ქლამინდი — ქლამიდა — სამეფო მანტია.
4. აყირი — აყირო — ყელიანი გოგრა, კვახი.
5. მ. ჯ. —

## №157

### 1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა თავადი ალექსანდრესადმი

საქ. ს. ი., ფ. H — 2226, გვ. 382—385.

1. თავადი ალექსანდრე — ალექსანდრე ჩოლოყაშვილი (1803—1833 წწ.), დიმიტრი ჩოლოყაშვილის და რიფსიმე ბატონიშვილის ვაჟი. სწავლობდა პეტერბურგში. 1828 წლიდან თბილისშია, შემდეგ ისევ პეტერბურგში. იყო 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. გარდაიცვალა 1833 წელს (იხ. შენიშვნა № 144 წერილისა).

2. აჯალი — მთხოვნელი.

3. დაზორვა — დაყარაულება.

4. ბელიერი — ეშმაკი.

5. გრილოს გრიდო გრიდოს — ლათინური ზმნის gryllo-ს მთავარი ფორმები.

## № 158

### 1827 წლის 15 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მამა პარმენისადმი

საქ. ს. ი., ფ. H — 2226, გვ. 393—394.

1. მამა პარმენი — წინამძღვრიშვილი პარმენ დომენტის ძე (1784—1846 წწ.), დეკანოზი, მარიამ დედოფლის მოძღვარი. იხ. 1 შენიშვნა № 155 წერილისა.

2. ევტენია — [ეუთენია] ბერძნ. სიუხვე.

3. ინთილა — სტომაქის მოშლა ბევრის ჭამით. ან საჭმლისაგან წყენა.

4. უნჯი — განძი, სიმდიდრე.

5. თარხანოვი ესტატე — ესტატე თარხნიშვილი სოფიო ბატონიშვილის და ლუარსაბ თარხნიშვილის ვაჟი.

6. მამა გიორგი ბიბილური — მღვდელი.

7. ტაროსნი — დრონი, ამინდი.

## № 159

1827 წლის აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 391—393.

1. ზორაყი — თუთიყუში.
2. ჯაპუზუნა — მაიმუნი.
3. კრონბერგი იოანე იაკოლიჩი — ხარკოვის უნივერსიტეტის რექტორი. წ. 154. შენიშვნა 1.
4. მდღევარი — სამარად დღეს.

## № 160

1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მამა დიმიტრისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 394—395.

1. მამა დიმიტრი — მღვდელი, ხელნაწერთა ცნობილი გადამწერი. მიდის იერუსალიმში. 1833 წელს ჩანს რიაზანში, მანამდე — მოსკოვსა და პეტერბურგში.

2. ბრჯა — დამდგარი ზვინი ძნათა.

3. მ. დ. — მარიამ დედოფალი.

4. თ. მ. ა. — თამარ, მეფის ასული (იხ. შენიშვნა № 175 წერილისათვის).

5. ათანასე —

6. იონა ეგზარხოსი — იონა ვასილევსკი, საქართველოს ეგზარხოსი 1826—1832 წლებში.

7. პროტოირეი მამა გიორგი — პროტოიერეი.

## № 161

(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 395—396.

თარიღდება ტექსტის მიხედვით, დაახლოებით 1827 წლით.

## № 162

### (1827 წ. 15 აგვისტოს შემდეგ დაწერილი) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1532, გვ. 70—72.

## № 163

### 1827 წლის 2 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა ონისიმესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 200—201.

1. მამა ონისიმე — მღვდელი ქიზიყიდან, იაშვილი. პაპა იონა ხელაშვილის ძმის, გიორგის, მეუღლისა.

2. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა. როგორც ჩანს, იმყოფება იონა ხელაშვილთან პეტერბურგს.

## № 164

### 1827 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა თავად სვიმონ სოლომონის ძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226. გვ. 192—194.

1. თავადი სვიმონ სოლომონის ძე — ესაა დავით გარეჯის არქიმანდრიტის ილარიონ ვაჩნაძის ძმისწული. განათლება მიუღია პეტერბურგში. 1853 წ. ერევნის პოლკის პოდპოლკოვნიკია.

1823 წელს სიმონ სოლომონის ძე ვაჩნაძემ რუსულიდან თარგმნა „სწავლა ზნეობითი“. H—1197 ხელნაწერს ახლავს იონა ხელაშვილის ანდერძი: „წიგნი ესე უკეთილესნი ხოტბანი თარგმნილ იქნა იოანე ბატონიშვილის ხელმძღვანელობითა თავადის ვაჩნაძე სვიმონ სოლომონის ძისგან, წელსა 1823 სა“ (მ. ბერძნიშვილი, მასალები... II).

2. მოტყინარე — მნათებარე.

3. ბაჲრაყი — ბაგრაკი — დროშა.

4. შრანდით — შარშან. გასულ წელს.

5. ჩოდალო — ჩოდელო — მცირე ქოხი გლახაკთა.

6. მონარხი პ — პავლე იმპერატორი.

7. კურთხეული ა—იმპერატორი ალექსანდრე.
8. მონარხი — იმპერატორი ალექსანდრე.

## № 165

### 1827 წლის 4 სექტემბრის წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 192—194.

1. გრიგორი და იოანე — იონა ხელაშვილის ძმისშვილები.

## № 166

### 1827 წლის 5 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 290.

დაბეჭდილია — ს. დოდაშვილი თხზულებანი, 1961, გვ. 264—265, წერილი 29.

1. გლარძი — გლარჯა — თამბაქო.

## № 167

### 1827 წლის 10 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 195—196

დაბეჭდილია წიგნში 1. მსკი, II, გვ. 93—97. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 265—266, წერილი 30.

1. იგულისხმება სიპიაგინი ნიკოლოზ მარტინის ძე, თბილისის გუბერნატორი.

2. განათლების მინისტრი — ამ დროს განათლების მინისტრად იყო ალექსანდრე სიმონის ძე შიშკოვი, ადმირალი.

3. ეგზარხი — ეგზარქოსი მიტროპოლიტი იონა ვასილევსკი (1821—1832 წწ.).

4. იონა ხელაშვილის ძმებიდან ამ პერიოდისათვის ცოცხლები არიან: სოლომონ, გრიგოლ, გიორგი. აღარ არიან იობი და იოსები.

5. ნიკოლაოზ არქიმანდრიტი ხელაევი — ნიკოლოზ გიორგის ძე ხელაშვილი, თბილისის კეთილშობილთა სასწავლებლის მასწავლებელი,. ცნობილია დეკანოზ ნიკოლოზ მიხაილოვის, ხოლო ბერად აღკვეცის შემდეგ თეოდოსი არქიმანდრიტის სახელით (მ. ბერძნიშვილი, მასალები... II იხ. V შენიშვნა № 96 წერილისათვის).

6. თარხანოვი — თარხნიშვილი.

## № 168

### 1827 წ. წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 196—198.

სოლომონი თბილისში ჩამოვიდა 1827 წლის ივლისში, ამ ნიშნით, წერილი დაიწერებოდა 1827 წ. ივლისის შემდეგ.

1. დაბებკვა — დაგლეჯილის ნაჭრებით დაკერება.

## № 169

### 1827 წლის 17 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H—2226, გვ. 220, და იქვე, გვ. 198

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 97—98. წერილი 29. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 268—269. წერილი 31.

1. სოლომონ ხელაშვილი — იონა ხელაშვილის ძმა.

2. სოლომონ დოდაშვილის მამა — მღვდელი იოანე იოსების ძე დოდაშვილი.

3. სტეფანე — სოლომონ დოდაშვილის ძმა იხ. მეოთხე შენიშვნა № 87 წერილისა.

4. ადამ ღირსიევი — ადამ ღირსიაშვილი.

## № 170

1827 წლის 1 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 8, 198—199.

1. სასწორის თვე — ოქტომბერი.
2. მრჩიება — აქ რჩევა.

## № 171

1827 წლის 8 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 233—234.

დაბეჭდილია: 1. მსკი II, გვ. 98—100, წერილი 30, 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 269—271, წერილი 32.

1. ხირსელაშვილი — სიღნაღის მაზრის აზნაური.

## № 172

1827 წლის 24 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 205—206.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 100—102. წერილი 30. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 271—272, წერილი 33.

1. ახან ხანი — ჰასან ხანი, სპარსთა ლაშქრის ერთ-ერთი მეთაური, რომელსაც 1827 წლის ოქტომბერს პასკევიჩმა ციხე წაართვა და ჰასანიც ტყვედ წამოიყვანა.

## № 173

(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2220, გვ. 200.

წერილი თარიღდება ტექსტით:

1. ობოლი გრიგორი — იონა ხელაშვილის ძმის, იოსების, ძე.

## № 174

### 1827 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 200.

1. იყივ —
2. ობოლი გრიგოლი — იხ. შენიშვნა წერილი № 175-სათვის.
3. მამა სოლომონი — მღვდელი კახეთში, იონას ძმის სიმამრი.
4. მიხაილი, დიმიტრი — მამა სოლომონის შვილიშვილები. გიორგის ძენი. იონა ხელაშვილის ძმისშვილები.
5. მართა — რძალი იოანე ხელაშვილისა, იოსების მეუღლე. შვილები: გრიგოლ, მარიამი.
6. ნატალია—რძალი იონა ხელაშვილისა, მიხეილის და დიმიტრის დედა. გიორგის მეუღლე, ონისიმე იაშვილის შვილიშვილი.

## № 175

### (1827 წ.) წერილი მეფის ძის ასული თამარისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 40.

თარიღდება ტექსტით.

1. მეფის ძის ასული თამარ—თამარ იულონის ასული (1791—1857 წწ.), 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. ცხოვრობდა თბილისში. მიუსაჯეს გადასახლება სიმბირსკში, მაგრამ დატოვეს თბილისში. იმყოფებოდა პოლიციის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ორჯერ იყო იერუსალიმში. გარდაიცვალა 1857 წელს, დასაფლავებულია სიონის ტაძარში. მეფის ძის იულონის ასული თამარის ძმები: ლევანი, ლუარსაბ (1788—1850 წწ.) და დიმიტრი (1803—1845 წწ.).
2. იულონ ბატონიშვილი — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის მეორე ვაჟი (1760—1816 წწ.).

## № 176

### წერილი მეფის ძე ოქროპირისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი. ფ. H—2226.

1. მეფის ძე ოქროპირი (1794—1857 წწ.) — გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი. 1803 წელს როდესაც მის სახლში ლაზარევი

მოკლეს, იგი 8—9 წლის იყო. გადაასახლეს რუსეთში. სწავლობდა კადეტთა I კორპუსში. გაამწესეს ლეიბ-გვარდიის ეგერთა პოლკში. ოქროპირი მონაწილე იყო 1832 წლის შეთქმულებისა. ცხოვრობდა მოსკოვში ცოლშვილით. იცოდა რუსული და ფრანგული ენები. 1833 წ. გადაასახლეს კოსტრომაში. 1850 წ. ოქროპირი დროებით გამოუშვეს საქართველოში. გარდაიცვალა 1857 წელს. ოქროპირის კალამს ეკუთვნის პიესა „ვეფხისტყაოსანი", დაიბეჭდა მოსკოვში, 1853 წ. სათაურით „ოქროპირ ბატონიშვილი, ვეფხისტყაოსანი, ტრაღედია თქმული მეფის ძის ოქროპირისაგან. მოსკოვს ივანე სერიკოვის სტამბაში 1853 წ".

## № 177

1827 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 329—331.

1. მიმყოვრება — ნელა, დაგვიანებით.
2. აბზინდა — მცენარე.

## № 178

1828 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სვიმონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 217—218.

1. მამა სვმეონ — ერიაშვილი. იხ. შენიშვნა № 152 წერილისა,
2. მსხემი — უბინაო, მწირი კაცი.
3. ძმა გიორგი ამ დროს პეტერბურგშია.

## № 179

1828 წლის 4 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ძე გრიგოლისადმი

საქ. ხ. ი. ფ. H — 2226, გვ. 215—216.

1. გრიგოლ მეფის ძის ძე — იოანე ბატონიშვილის შვილი (1789—1830 წწ.), 1812 წელს კახეთის აჯანყების დროს გამოცხადდა საქარ-

თველის მეფედ. აჯანყების დამარცხების გამო, ჩაბარდა რუსეთის მთავრობას. იგი გადაასახლეს ქ. ელენეცში, შემდეგ—პეტროზავოდსკში. 1824 წელს იგი თბილისშია. ბრუნდება პეტერბურგში, სადაც გარდაიცვალა 1830 წელს, ასტრახანის კაზაკთა პოლკის პოდპოლკოვნიკის ჩინით. შეუდგენია კრებული „ანთოლოგია" და დაუწერია „საქართველოს ცხოვრება".

2. მროწლეობა — მოწყალება, გულჩვილობა.

**№ 180**

[1828] წერილი იონა ხელაშვილისა გიორგი ელიოზოვისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 223—224.

1. ადამ — ადამ ღირსიაშვილი, იხ. შენიშვნა № 50 წერილისათვის.

2. მეფის ძე თეიმურაზ — თეიმურაზ ბატონიშვილი, იხ. შენიშვნა № 4 წერილისათვის.

3. ნანჯევი — ნაწლეობა — მონაწილეობა, მოწყალება.

4. შტათ — ე. ი. სამსაჯულთა ადგილთა შინა მეწერე (დ. ჩ.),

5. უნანდები — შეუნანებელი.

6. გამოფრიდება — ე. ი. მოვაჭრება.

7. მჭახ — მჭახე, მოძმარებული, მჟავე.

8. განვიხუცთ — გავალოთ. განქუნა — გალება.

9. გიორგი ელიოზოვი — გიორგი ელიოზიშვილი. ი. ხელაშვილი წერს დოდაშვილს: 1828 წელს „ქილიკმან ელიოზოვმან დიდი მადლობა მიგიძღვნათ ძმისწულის ზედა ყურის მოპყრობისათვის".

**№ 181**

1828 წ. წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 221—222.

წერილი თარიღდება ტექსტით, 1828 წლით.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 102—104, წერილი 32. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 274—277, წერილი 35.

1. ს. დოდაშვილი წერს თავისი საცოლის ელენე კობიაშვილის შესახებ.

2. მოძღვარი სოლომონ დოდაშვილის მეუღლისა — მღვდელი ეფრემ ალექსი მესხიშვილი.

3. სიპიაგინი — გუბერნატორი.

4. სტეფანე — ს. დოდაშვილის ძმა.

5. მარიამ დედოფალი — იმერეთის დედოფალი მარიამ, კაცია დადიანის ასული, სოლომონ II მეუღლე (იხ. VI შენიშვნა № 11 წერილისა).

6. ანნა დედოფალი — იმერეთის მეფის დავითის მეუღლე იხ. V შენიშვნა № 11 წერილისა.

7. ნინა დედოფალი — გიორგი XII ასული, მეუღლე გრიგოლ კაციას ძე დადიანისა. ნინოს სამეგრელოს დედოფლის ტიტული ჰქონდა შვილის — ლევან დადიანის — მცირეწლოვანების გამო, გარდაიცვალა 1847 წელს. გრიგოლ დადიანი ძმაა მარიამ იმერთა დედოფლისა.

8. იოანე მეფის ძე — იოანე ბაგრატიონი (იხ. II შენიშვნა № 12 წერილისა).

9. თეიმურაზ გიორგის ძე — თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846 წწ.), იხ. III შენიშვნა № 4 წერილისა.

10. მიხეილ — გიორგი XII ძე (1783—1862 წწ.), იხ. I შენიშვნა № 94 წერილისა.

11. ირაკლი — გიორგი XII ძე (1799—1859 წწ.).

12. მირიან — მეფე ერეკლეს ძე (1766—1834 წწ.).

13. ფარნაოზ — მეფე ერეკლეს ძე (1775—1852 წწ.).

14. ლუარსაბ — იულონ ერეკლეს ძის ვაჟი (1788—1850 წწ.), 1805 წლიდან ცხოვრობდა რუსეთში.

15. დიმიტრი — იულონ ერეკლეს ძის ვაჟი (1803—1845 წწ.), გადასახლებულ იყო სმოლენსკში. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

16. დავით ციციშვილი — შვილიშვილი მეფე ერეკლესი. „კალმასობაში“ მოხსენიებულია, როგორც ვოლტერიანელი. თარგმნა რუსოს სჯა ანუ ტრაქტატი იმის შესახებ, „უწყობს თუ არა კულტურა კაცობრიობის პროგრესს ხელს“, რომელიც დააჯილდოვა დიჟონის აკადემიამ (1750 წ.), ქართულად გამოსცა ციციშვილმა.

17. ალ. ჩოლოყაევი — თავადი ალექსანდრე დიმიტრის ძე ჩოლოყაშვილი. რიფსიმე, გიორგი XII ასულის, შვილი. იხ. I შენ. № 144 წერილისა.

18. ზაქარია ორბელიანოვი — გრიგოლ ორბელიანის ძმა.

## № 182

1828 წლის 6 იანვრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 302—304.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 105—107, წერილი 33. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961, გვ. 277—279, წერილი № 36.

1. სიპიაგინი — ნიკოლოზ მარტინის ძე (1785—1828 წწ.). გენერალ-მაიორი. 1812 წლის ომის მონაწილე. 1817—1819 წწ. თბილისის გენერალ-გუბერნატორი. სოლომონ დოდაშვილი იყო სიპიაგინის შვილების რეპეტიტორი.

2. თომა ენდრონიკოვი — ანდრონიკაშვილი. გიორგი XII შვილის, ბარბარეს, ძე. იხ. შენიშვნა № 137 წერილისათვის.

3. ნიკოლოზ არქიმანდრიტი—ხელაშვილი ნიკოლოზ, იხ. V შენიშვნა № 96 წერილისა.

4. სტეფანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის ძმა. იხ. IV შენიშვნა № 89 წერილისა.

5. სოლომონ — იონა ხელაშვილის ძმა.

6. ობოლი — იონა ხელაშვილის ძმისშვილი, გრიგოლ იოსების ძე.

7. იოანე — იონა ხელაშვილის ძმისშვილი, სოლომონ ხელაშვილის უფროსი ვაჟი.

## № 183

1828 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მოურავ ევსტათისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 221.

1. მოურავი ესტატე — იხ. შენიშვნა № 111 წერილისა.
ციციშვილი ესტატე ერეკლე II-ის და დარეჯან დედოფლის ქალის — მარიამის — ვაჟი.

## № 184

1828 წლის 9 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მაღალბრწყინვალე ნინასადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 222—224.

1. მაღალბრწყინვალე ნინა — დავით ბაგრატიონის შვილობილი.

2. იოანე — იოანე ანდრონიკაშვილი. დავით ბაგრატიონის შვილობილის, ნინას, მეუღლე.

3. თომა ანდრონიკაშვილი — იხ. შენიშვნა № 41 წერილისა.

4. რიფსიმე ბატონიშვილი (1780—1847 წწ.) — გიორგი XIII და მისი პირველი მეუღლის, ქეთევან ანდრონიკაშვილის, ქალი. მეუღლე დიმიტრი ჩოლოყაშვილისა (იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები... II). იხ. შენიშვნა № 11 წერილისა.

### № 185

1828 წლის 28 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა მოსესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 230—231.

1. ჯაჯა — ტანჯვა.
2. განდგინება — ნაპირზე გაყვანა.
3. მამა იოანე — ყოჩიაშვილი.
4. სოლომონ — იონა ხელაშვილის ძმა.
5. დოდოევი — სოლომონ დოდაშვილი.
6. ადამი — ადამ ღირსიაშვილი. იხ. შენიშვნა № 50 წერილისა.
7. მამაო მოსე — მღვდელი კახეთში.

### № 186

1828 წლის 13 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სვიმეონისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 234—236.

1. სერაფიმ ხეროვინიანი — სომხური გრამატიკის ავტორი.

2. ანტონი, უნეტარესი კათალიკოს პატრიარხი (1764—1827 წწ.) — როგორც ჩანს, ლაპარაკია ანტონ II შესახებ. ანტონ II — საქართველოს პატრიარქი — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის შვილი — ერისკაცობაში თეიმურაზად წოდებული.

1783 წელს მონაწილეობს მოლაპარაკებაში რუსეთ-საქართველოს შორის გეორგიევსკის ტრაქტატის დადების დროს. ანტონ I გარდაცვალების შემდეგ, 1788 წელს, ანტონი აყვანილ იქნა კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, 1810 წელს იგი რუსეთში გაიწვიეს და ეკლესიის ავტოკეფალია და კათალიკოსობა მოისპო. ცოტა ხანს იგი პეტერ-

ბურგში ცხოვრობდა, შემდეგ — ნიჟნი ნოვგოროდში ლისკოვის ახლოს, აქ ცხოვრობდნენ ვახტანგ VI და ბაქარ ბატონიშვილის ჩამომავალნი. გარდაიცვალა 1827 წელს.

3. იონა მიტროპოლიტი — საქართველოს ეგზარქოსი, მიტროპოლიტი იონა ვასილევსკი (1831—1832 წლები).

4. ძმა ჩემი გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა, მაშინ პეტერბურგში იმყოფებოდა.

### № 187

### 1828 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა ძმისწულ იოანესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, 313—314.

1. სოლომონ იოანიჩ — სოლომონ იოანეს ძე დოდაშვილი.

2. ბიძა შენი — გიორგი, იონას ძმა. იგი ამ დროს პეტერბურგში იმყოფება.

3. მამა შენი — იონა ხელაშვილის ძმა სოლომონი.

4. სიმამრი სოლომონ დოდაშვილის — გუბერნიის არქიტექტორი, ინჟინერი თედორე ბარიშკინი. სოლომონ დოდაშვილის ცოლის მამინაცვალი.

5. სიდედრი მაგისი — სოლომონ დოდაშვილის სიდედრი, ჯავახიშვილის ქალი.

6. სტეფანე — სტეფანე დოდაშვილი, სოლომონ დოდაშვილის ძმა.

### № 188

### 1828 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 236—240.

1. „ხუთი წიგნი მოსესი განვიღე ყოვლად წმიდისა ხელისაგან წმიდისა“ — იგულისხმება იონა ხელაშვილის ნაშრომი მოსეს წიგნების განმარტება.

2. „ვიწყებ ისე ნავეს წიგნსაცა“ — ქვევე იონა ხელაშვილის ნაშრომი.

3. კახაბრის ძე იოსები — დავით ჯორჯაძის ყმა.

4. მეფის ძე მსაჯული ბაგრატი — მეფის ძე ბაგრატი. იხ. IX შენიშვნა № 11 წერილისა.

5. მირზა ჯაფარა — იხსენიება № 243 წერილში.

6. ხელაშვილის ძმისშვილებიდან გრიგოლ, მაია, მარიამ — იოსების შვილებია, სალომე, იოანე, მიხეილ, ნოდარი, სოფიო, სვიმონ — სოლომონის შვილები; მიხეილ, დიმიტრი — გიორგის შვილები.

7. მეყისტე — სავაჭროთაგან გამოსაღებების ამკრეფი.

8. ზრო — ისრის ტანი.

9. ქლამინდი — წამოსასხამი.

10. დაბეშკილი — დაგლეჯილი.

11. მუხმართი — ნაწევარი.

12. ნაწევარი — სახსარი.

13. ჭმანი — დაძმარებული.

## № 189

1828 წლის 10 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 296.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 107—109. წერილი 34. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 279—281. წერილი № 37.

1. იოანე — სოლომონ ხელაშვილის შვილი, იონა ხელაშვილის ძმისშვილი.

2. გრიგოლ — იოსებ ხელაშვილის ვაჟი. იონა ხელაშვილის ძმისშვილი.

3. სტეფანე — სოლომონ დოდაშვილის ძმა.

4. სოლომონ — იონა ხელაშვილის ძმა.

5. ნიკოლოზ ივანეს ძე ღრეჩი — პედაგოგი და ჟურნალისტი. რუსული გრამატიკის ავტორი.

6. ადამ — ადამ ღირსიაშვილი (იხ. შენიშვნა № 50 წერილისა).

7. ალექსანდრე — ალექსანდრე ჩოლოყაშვილი, რიფსიმე მეფის ასულის ძე.

8. ზაქარია ჩოლოყაშვილი — რიფსიმე, მეფის ასულის, ძე, კაპიტანი. ცხოვრობდა პეტერბურგში და მოსკოვში, დაბად. 1800 წ. ძმა ალექსანდრე ჩოლოყაშვილისა.

9. იოსიპ იაკელიჩი — პრუსიელი „გამოცდილი სწავლასა შინა". ნახსენებია „კალმასობაში" — გეტინგი იოსიპ იოსეფ იაკობის ძე. იყო ერეკლე II შვილიშვილების, კერძოდ, დავით, იოანე, თეიმურაზ ბაგრატიონების აღმზრდელი. დავით და გიორგი XIII მ აჩუქეს თბილისში ბაღი, 4 დუქანი თათრის მოედანზე, მანდენოვის სახლი და 5 კომლი გლეხი ბორჩალოში. 1813 წელს იგი დავით ბაგრატიონთან გადასახლდა რუსეთში, გარდაიცვალა 1836 წ. (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., I).

## № 190

### 1828 წლის 20 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 294—295.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II გვ. 110—111, წერილი 35. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961 წელი. გვ. 281—282. წერილი № 38.

1. იონას ძმა გიორგი ხელაშვილი ამ დროს პეტერბურგშია.
2. ადამ — ადამ ღირსიაშვილი. იხ. შენიშვნა № 50 წერილისა.
3. იოსებ იაკოვლევიჩი — იხ. მე-9 შენიშვნა № 189 წერილისა.
4. პლეშჩეევი — კოლეჟსკი ასესორი. თბილისში პოლიციის თანამშრომელი, სასამართლოს მოხელე.

## № 191

### (1828 წლის) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 211—215.

1. დატკეპნული — დაბეჭდილი.

## № 192

### (1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 215—216.

თარიღდება ტექსტის მიხედვით — 1828 წლის მაის-ივნისი.

1. ლავვინი — პირფართო სარწყული.

2. თავადინა — ანდრონიკაშვილის ქვრივი, რომელმაც მოითხოვა ვალის დაბრუნება.

3. ნიკოლოზი და ალექსანდრე მეფის ძის ძენი — ბაგრატ ბატონიშვილის ძენი. ალექსანდრე გარდაიცვალა 1865 წელს. ორივენი სოლომონ დოდაშვილის მოწაფენი არიან.

## № 193

1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 228—230.

1. დაყდონება — მიმყოვრება, შენელება.
2. კარაული — სახედარი.
3. უყი — ვუზამ.
4. წიწნეული — მორცხვი, მოკრძალებული.
5. უყეობს — ვუზამ.
6. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა. იმყოფება პეტერბურგში.

## № 194

1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების, რძალთა და ოჯახის სხვა წევრთადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 232—233.

1. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა.
2. გრიგორი — იონა ხელაშვილის ძმისშვილი.
3. იოსებ ბურდილაძე — საღვთო მოძღვარი...
4. მამა დავით, მამა გიორგი და მამა მოსე — სამღვდელონი იონა ხელაშვილის სოფელში.

## № 195

1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 249—254.

1 გლარძი — დაბალი, ეკლიანი ხე.
2. არმაღანი — საჩუქარი.

3. თანგრუბნი — ნექტარი, შეზავებული, ორი ნარევისგან შემდგარი.

## № 196

(1828 წ.) წერილი იოვანე დოდოევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 281.

1. ნავროზაშვილი კიკოლა — როგორც ჩანს, კახეთში ადამ ღირსიაშვილის მეზობელი ან ნათესავი.

2. იოვანე დოდოევი — ივანე დოდაშვილი, სოლომონ დოდაშვილის მამა. წერილში ლაპარაკია იონა ხელაშვილის ძმისშვილის, გრიგოლის, გონებრივ განვითარებაზე, რაც ძლიერ სწადდა იონა ხელაშვილს.

## № 197

1828 წლის 1 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 207—211

1. განფრდილი — განფრიდილობა, ალებ-მიცემობა, მოსყიდულობა.

2. ჩაფი — ღვინის, წყლის ჭურჭელი.

## № 198

1828 წლის 1 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იოსების ძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 214—215.

1. იესე იოსების ძე — ანდრონიკაშვილი.

2. ძმა — იოანე ანდრონიკაშვილი.

## № 199

1828 წლის 2 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა გიორგი პაიჭაძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 4—5.

1. პაიჭაძე გიორგი დავითის ძე — იხ. XI შენიშვნა № 94 წერილისა.

## № 200

1828 წლის 4 აპრილის წერილი იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 218—219.

1. იოანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის მამა. სიღნაღის მაზრის სოფ. მაღაროს მღვდელი. იმის გამო, რომ იგი სახაზინო მღვდელი იყო, და არ ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას, მის შვილს, სტეფანეს, უარი ეთქვა სამხედრო სამსახურში მიღებაზე. თავის დროისათვის განათლებული ადამიანი. მიაღწია იმას, რომ ყველა შვილს განათლება მიაღებინა.

## № 201

(1828 წ.) წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 219

1. სტეფანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის ძმა (1809—1845 წწ.), სწავლობდა სიღნაღის სამაზრო-სამრევლო სასწავლებელში, თბილისის სასულიერო სემინარიაში. გაირიცხა სემინარიის მეშვიდე განყოფილებიდან. მიდის რუსეთში, პეტერბურგში, მუშაობს კანცელარისტად. 1836 წლიდან სტეფანე საქართველოშია, იყო პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, რადგან იგი შეთქმულთა საქმეში მერვე კატეგორიის დამნაშავედ ჩაითვალა. იგი 1840 წლიდან ყვარლის უბნის „ზასედატელია“, ხოლო 1845 წელს — „კოლეგიის სეკრეტარი“. დაიღუპა 1845 წელს ლეკების შემოსევის დროს. (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., I). იხ. შენიშვნა № 95 წერილისა.

## № 202

1828 წლის 11 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 242—247.

1. იესე ანდრონიკოვი — იესე ანდრონიკაშვილი (1814—1892 წწ.), დაამთავრა თბილისის გიმნაზია. ამ პერიოდში, როგორც ჩანს, ყო-

ფილა პეტერბურგში და მისი ხელით იონას გამოუგზავნია წიგნები სოლომონ დოდაშვილისათვის.

2. იოანე და გრიგორი — იონა ხელაშვილის ძმისშვილები.

3. აზეჩხარი — ნავენახარი.

4. მომდევრება — მდევარი, გამოდევნება.

5. მეათასამეტე მეფის გ. 2 ძე — გიორგი XIII-ის მეორე ვაჟი არის იოანე ბაგრატიონი.

6. ოფაზი — წმინდა ოქრო.

7. პირისპირ — საპირისპიროდ.

8. ჭიხმაკური — კაცი ყოვლის გზით მოუწყობელი.

9. ქემხი — სოფლის დაბალი მოხელე.

## № 203

1828 წლის 28 აპრილის წერილი ონისიმე მღვდლისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 219—220.

1. ონისიმე მღვდელი არის ყარაღაჯიდან, თხოულობს ეკლესიის აღდგენაში დახმარებას. ონისიმე არის იონა ხელაშვილის ძმის გიორგის მეუღლის პაპა.

2. ნატალია — იონა ხელაშვილის ძმის გიორგის მეუღლე არის ონისიმე იაშვილის შვილიშვილი.

## № 204

1828 წლის 29 აპრილის წერილი იოანე ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 35—37.

1. იოანე ანდრონიკაშვილის მეუღლე იყო დავით ბატონიშვილის შვილობილი ნინა.

2. იოანე ანდრონიკაშვილის დედა იყო არჩილ ბატონიშვილის ქალი მარიამი (მაია) სოლომონ I ძმისწული.

## № 205

(1828 წ.) იონა ხელაშვილის წერილი სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 226—228.

## № 206

1828 წლის აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იოანე ლუარსაბის ძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 247—249.

1. ბავრაყი — დროშა.
2. იოანე ლუარსაბის ძე — იმყოფება ელისაბედპოლში.
3. ნინა მ. დ. ასული — ნინა მემკვიდრე დავითის ასული.
4. ალექსანდრე — მეუღლე ნინა ფარნაოზის ასულისა. მარიამ იმერთა დედოფლის ძმისწული ალექსანდრე დადიანი.

## № 207

1828 წლის 19 მაისის ხელწერილი გიორგი ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი. იონას წერილი გიორგისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 5—6.

წერილი ორი ნაწილისაგან შედგება: 1. იონა ხელაშვილის ძმის გიორგის წერილი იონასადმი, 2. იონა ხელაშვილისა გიორგისადმი.

1. შეცდომითაა ნაჩვენები გიორგის საქართველოში ჩამოსვლის და პეტერბურგში იონასთან ყოფნის თარიღები.

## № 208

1828 წლის 28 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 142—143.

1. მ. გ. — საქართველოს მეფე გიორგი XIII.
2. პ — პეტრე I, რუსეთის იმპერატორი.
3. მონარხი I ა — ალექსანდრე I. რუსეთის იმპერატორი.
4. პარეხი — გამოქვაბული.
5. მეფის ძე თ. — თეიმურაზ ბატონიშვილი.
6. თავადი თომა — თომა ანდრონიკაშვილი.
7. ხიჩატელი — კუნკრუხელა.

(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 255—257.

წერილი უთარიღოა. შინაარსის მიხედვით ეკუთვნის 1827—28 წწ. წერილის ძირითადი ნაწილი დაბეჭდილია წიგნში: ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, 1969, ი. ხელაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის შესახებ, გვ. 168, გ. დედაბრიშვილის პუბლიკაცია. წერილი ეხება იმ გამოხმაურებას, რომელიც გამოიწვია სოლომონ დოდაშვილის „ლოგიკის" დაბეჭდვამ მოსკოვის და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში, კერძოდ, ჟურნალმა „მოსკოვსკი ტელეგრაფმა" დაბეჭდა საზოგადო მოღვაწის ნ. პ. პოლევოის სტატია ს. დოდაშვილის ნაშრომზე. ს. დოდაშვილის შესახებ სტატია იყო „მოსკოვსკი ვესტნიკში", „სევერნაია პჩელაში", ამ სტატიების შესახებ წერს იონა ხელაშვილი სოლომონ დოდაშვილს.

1. კორფუზები — კორპუსები.
2. ლეიბნიცი — ლეიბნიცი გოტფრიდ ვილჰელმი (1646—1716 წწ.), გერმანელი ფილოსოფოსი, მეცნიერი. საზოგადო მოღვაწე, ძირითადი სწავლება განუყოფელი, სულიერ სუბსტანციებზე, მონადებზე, რომლებისგანაც შედგება მთელი სამყარო.
3. კლარკი — ინგლისელი ფილოსოფოსი. „ლაიბნიცის და კლარკის მიმოწერა" ფრანგული ენიდან თარგმნა ილია ბატონიშვილმა.
4. ანსილიონი — ჟან პიერ ფრედერიკ — (1767—1837 წწ.), ფრანგი მეცნიერი, პრუსიის აკადემიის წევრი. მისი თხზულება „ესთეტიკური გასჯანი", ქართულ ენაზე რუსულიდან თარგმნა დავით ბაგრატიონმა 1815 წ. (დეტალურად: იხ. ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები, 1973, გვ. 103—107).
5. კოლუმბი — ქრისტეფორე კოლუმბი.
6. კვინტოს კურციოს — I საუკუნის რომაელი ისტორიკოსი, ავტორი თხზულებისა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ.
7. პლატონი — ძველი ბერძენი ფილოსოფოსი (ძვ. წ. აღ. 427—347). ეკუთვნის 80 ფილოსოფიური დიალოგი.
8. ჰოსიანი — სომეხი.

## № 210

### 1828 წლის 6 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 200—263.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 111—113, წერილი 36. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 282—285, წერილი 39.

1. მღვდელი იონა ხელაშვილი.

2. სოლომონ ხელაშვილი — ძმა იონა ხელაშვილისა.

3. გიორგი ხელაშვილი — ძმა იონა ხელაშვილისა.

4. დემეტრაშვილი იოანე — ვაქირელი მღვდლის ზაქარიას შვილი. სოლომონ ხელაშვილის ასულის საქმრო.

1831 წ. იქორწინა იონას 13 წლის ძმისწულ კონიაზე.

5. გუბერნატორნი — პასკევიჩი იყო მთავარმართებელი, რომელსაც ემორჩილებოდა ორივე გუბერნატორი: სამხედრო-სამოქალაქო ნაწილის გამგე სიპიაგინი და სამოქალაქოსი — ხოვენი რომან ივანეს ძე 1818 წლიდან.

## № 211

### 1828 წლის 4 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 264—265.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 115—117. წერილი 37. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 285—286, წერილი 40.

1. ღუბერნატორი — სიპიაგინი.

2. ღუბერნიის არხიდექტორი — კაპიტანი თევდორე ბარიშკინი, არქიტექტორი, ინჟინერი. ს. დოდაშვილის საცოლის მამინაცვალი.

3. გიორგი პაიჭაძე — მესტამბე. იხ. XI შენ. № 94 წერილისა.

4. გიორგი ხელაშვილი — ძმა იონა ხელაშვილისა.

5. ბარბარე ბატონიშვილი — ბაგრატ ბატონიშვილის ასული, მაიორ დიმიტრი ორბელიანის მეუღლე.

6. ჯორჯაძე — დავით ჯორჯაძე (1810—1866 წწ.), სწავლობდა თბილისში, კეთილშობილთა სასწავლებელში, 1825—1830 წწ. პე-

ტერბურგშია, კადეტთა კორპუსში. 1830 წლიდან საქართველოშია. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე, დააპატიმრეს და განაწესეს კავკასიის ხაზზე სამსახურში.

7. კახაბრიძე — ყმა ჯორჯაძისა.

## № 212

### 1828 წლის 10 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 279—280.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 117, წერილი 38. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 286—288, წერილი 41.

1. ფარსადან ციციანოვი — ციციშვილი ფარსადანი.

2. ადამ — ღირსიაშვილი ადამ. იხ. შენიშვნა № 50 წერილისა.

3. სოლომონი და მისი შვილი იოანე — იონა ხელაშვილის ძმა და მისი შვილი იოანე.

4. „ტფილისის უწყებანი“ — გაზეთი, რომელსაც გამოსცემდა სოლომონ დოდაშვილი.

## № 213

### 1828 წლის 29 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 265—268

1. კახაბრიძე — დავით ჯორჯაძის ყმა.

## № 214

### 1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე თეიმურაზისადმი

საქ. ხ. ფ. H — 2226. გვ. 322—323.

1. ანტაკრი — წინააღმდეგობის გამწევი.

2. დოდაევი — სოლომონ დოდაშვილი.

3. ერიანოვი — ერიაშვილი სოლომონ იგივე სვიმონი, იხ. შენიშვნა 1 № 50 წერილისა.

4. ადამ — ადამ ღირსიაშვილი აქ ჩანს გიმნაზიის კურსდამთავრებულად და უნივერსიტეტიდან გარიცხულად 1828 წელს.

5. მროწლეობა — მოწყალება.

**№ 215**

1828 წ. წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 312—313.

1. უდგრეში — ბრიყვად დაყინებული, ბრიყული (სსო).

2. ჰუცთი — ძველად ხორნაბუჯი.

3. ჰიაური — ჰიჰნეულის — მეაბრეშუმეობის ადგილი პუნქტი თანამედროვე ლაგოდეხის რ-ნი.

4. ფილადელფოს კიკნაძე თბილისში ბრუნდება 1828 წ., იხ. შენიშვნა № 9 წერილისა.

5. მეფის ძე მ. — მეფის ძე მიხეილი.

**№ 216**

1828 წლის 21 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 277—279.

დაბეჭდილია: 1, მსკი, II, გვ. 119—123, წერილი 88. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 289—291. წერილი № 36.

1. იოანე — სოლომონ ხელაშვილის შვილი, იონა ხელაშვილის ძმისშვილი.

2. სტეფანე — სოლომონ დოდაშვილის ძმა.

3. ღენერალი გიორგი ერისთავი — გიორგი იასეს ძე ერისთავი (1760—1863 წწ.), სენატორი. გენერალ-ლეიტენანტი. მეუღლე გიორგი XII ასულის, გაიანე ბატონიშვილისა.

4. ღირსიევი — ადამ ღირსიაშვილი (იხ. I შენიშვნა № 50 წერილისა).

5. გიორგი ხელაშვილი — ძმა იონა ხელაშვილისა.

№ 217

1828 წლის 26 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 288—289.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 123—125. წერილი 40. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 291—293, წერილი 43.

1. მეფის ძის ასული ნინა — ფარნაოზ ბატონიშვილის ასული (1802—1828 წწ.) ალ. დადიანის მეუღლე, იხ. შენიშვნა № 84 წერილისა.

2. მისი უმაღლესობა — აქ: ფარნავაზ ბატონიშვილი.

3. იოანე — იონა ხელაშვილის ძმისშვილი.

4. გრიგოლ ხელაშვილი — იოანე ხელაშვილის ძმისშვილი.

5. ძმა ჩემი — სტეფანე დოდაშვილი.

6. ოსიფ იაკოლიჩი — ოსებ იაკობის ძე გეტინგი, იხ. შენიშვნა № 189 წერილისა.

7. მემცხედრე — ს. დოდაშვილის ცოლი ელენე კობიაშვილი.

8. ძმასა თქვენსა — იგულისხმება იონა ხელაშვილის ძმა გიორგი, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა.

№ 218

1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 284—288.

დათარიღებულია ტექსტის მიხედვით. დაწერილი უნდა იყოს 1828 წლის 29 ოქტომბრის შემდეგ.

1. გრიგოლ — იონა ხელაშვილის ძმის იოსების ძე.

2. მიწერტილება — წერტა — წვალება.

3. საოხანო — საოხარი — სავალებო, სავაგლახო.

4. ზარაფური — სახლის სამშვენებელი ჭურჭელი.

5. დედოფალი მარიამ — მარიამ კაცია დადიანის ასული, სოლომონ II მეუღლე.

6. აპოხტი — გამხმარი ხორცი.

7. ლუსკუმა — სამარხი.

8. ტაგრუცი — საფლავი.

9. მაღალბრწყინვალე ნინო — შესაძლებელია, ნინო, დედოფალი სამეგრელოსი (1772—1847 წწ.), გიორგი XIII და მისი პირველი მეუღლის ქეთევან ანდრონიკაშვილის ქალი.

10. იოანე — პოლკოვნიკი მალხაზოვი — მალხაზიშვილი.

11. ელენე თეოდოროვნა — სოლომონ დოდაშვილის მეუღლე

12. ადამ — ადამ ღირსიაშვილი (I შენიშვნა № 50 წერილისათვის).

13. ელიოზოვი — ელიოზიშვილი.

## № 219

1828 წლის 25 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 292—294.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 125, წერილი 41. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი გვ. 293—295. წერილი 44.

1. იონა — იონა ხელაშვილი.

2. ელენე — სოლომონ დოდაშვილის ცოლი.

3. სამხედრო გუბერნატორი — სიპიაგინი. გარდაიცვალა 1828 წ. ნოემბერში თბილისში.

4. იაკობ კრუპსკი — სტუდენტი სოლომონ დოდაშვილის სწავლის პერიოდში, ჰქონდა დეკაბრისტი კონდრატი რილეევის წერილის ასლი. აქედან გადაწერილი ჰქონდა სოლომონ დოდაშვილს. დაუმთავრებია პეტერბურგის უნივერსიტეტის ფილოსოფიურ-იურიდიული ფაკულტეტი კანდიდატის ხარისხით.

## № 220

1828 წლის 25 ოქტომბრის წერილი გიორგი ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 282—283.

## № 221

1828 წლის 22 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 306—307.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 128—129. წერილი 42. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 295—296, წერილი № 45.

1. იგულისხმება იონა ხელაშვილის გარდაცვლილი ძმის იოსების ერთ-ერთი ასული. იოსებს ორი ასული ჰყავდა — მაია და მარიამი.

## № 222

1828 წლის დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 291—292.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 129—132, წერილი 43. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 272—274, წერილი 34.

1. ობოლი — იგულისხმება იონას ძმის იოსების შვილი, გრიგოლი.

## № 223

1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S — 532.

## № 224

1828 წლის წერილი დიმიტრი ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 37.

1. დიმიტრი ორბელიანი — შეიძლება ეს არის თეკლა ბატონიშვილის და ვახტანგ ორბელიანის მეორე ვაჟი, პუპლიას ძმა. დაიბადა 1808 წელს.

1827—1828 წლებში იმყოფებოდა პეტერბურგში.

## № 225

(1828 წ.) წერილი დიმიტრი ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388. გვ. 37.

## № 226

(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 268—270.

1. ნაზიანზელი — გრიგოლ ნაზიანზელი.
2. კირილე — კირილე ალექსანდრიელი.
3. არდემაგნია (arduē magnio) (ლათ.) დიდი შრომით.
4. ბანერგი — ბანერგეს — „ძენი ქუხილისანი“ (ი. აბულაძე).
5. მეფის ძე ირაკლი — გიორგი XIII-ისა და მარიამის შვილი (1799—1859).
6. ილია მეფის ძე — (1790—1854 წწ.) გიორგი XIII და მარიამ დედოფლის შვილი. 1803 წლიდან იმყოფება რუსეთში.
7. მეფის ასული თამარ — გიორგი XIII და მარიამ დედოფლის ასული. (1789—1851 წწ.), ცხოვრობდა მოსკოვში.
8. მეფის ძე ოქროპირი იხ. წერილი 55-ის შენიშვნა I.
9. დოსითეოზ მაყურთხეველი — ალბათ, არქიეპისკოპოსი დოსითეოზი. იხ. წერილი 11.

## № 227

1829 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226.

1. მ. მ. მ. ი. — მკდოვანი, მღვდელმონაზონი იონა.
2. ფარეხი — გამოქვაბული.
3. დრკუობა — ურჩობა, ვერაგობა.
4. ტაბარუკი — გლეხის უმდაბლესი კატეგორია.
5. ბანდულები — ლანჩა დაწნული ქალამნები.

## № 228

1829 წლის 15 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 40—41.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 133—134, წერილი 45. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 297, წერილი 46.

1. განვრცენებული — განხორციელებული.

2. გიორგი — იონა ხელაშვილის ძმა.

3. ს. დოდაშვილი გულისხმობს თავის მიერ დაწერილ თხზულებას „შემოკლებული გრამატიკა“.

4. ელენა — სოლომონ დოდაშვილის მეუღლე.

## № 229

1829 წლის 7 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 58—61.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 134—137, წერილი 46. 2. სოლომონ დოდაშვილი თხზულებანი გვ. 297—299, წერილი 47.

1. სოლომონ დოდაშვილის პირველი შვილი ივანე დაიბადა 1829 წ. 21 სექტემბერს.

2. დირექტორი სასწავლებლებისა — შიპულინი.

3. ბარბარე ბატონიშვილი — ბაგრატ ბატონიშვილის შვილი.

4. ოქროპირი — გიორგი XIII ვაჟი.

5. სვიმეონ მღვდელი — სვიმონ გურგენის ძე, 1832 წლის შეთქმულების მონაწილე.

6. იოანე, გრიგოლ — იონა ხელაშვილის ძმისშვილები.

7. სიმონ სოლომონის ძე ვაჩნაძე — მოიხსენიება იონა ხელაშვილის ანდერძში, დავით გარეჯის არქიმანდრიტის, ილარიონ ვაჩნაძის, ძმისშვილი. შენიშვნა № 12 წერილისა.

## № 230

1829 წლის წერილი იოვანესი იონა ხელაშვილისადმი.

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 294.

1. ბიძა — გიორგი ხელაშვილი — იგი ამ დროს იმყოფება პეტერბურგში თავის ძმასთან, იონა ხელაშვილთან სტუმრად.

## № 231

1829 წლის 28 დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 46—48.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 137—138. წერილი 47. 2. სოლომონ დოდაშვილი თხზულებანი გვ. 300—301, წერილი № 47.

1. გიორგი ხელაშვილი — ძმა იოანე ხელაშვილისა. 1827 წლიდან 1829 წლამდე იმყოფებოდა პეტერბურგში იონა ხელაშვილთან.

2. მიხეილი, დიმიტრი — იონა ხელაშვილის ძმისწულები: მიხეილი სოლომონის ძეა, დიმიტრი — გიორგის ძე.

## № 232

(1829 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 257—261.

1. მქლოველი — ქლოველი — გამომძიებელი.

2. ფილადელფი — იხ. მე-9-ე შენიშვნა № 141 წერილისა.

## № 233

(1829 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე იოანესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 101—105.

1. თავადის ქალი სოფიო — ამის შესახებ უყვება იონა ხელაშვილი სოლომონ დოდაშვილს წერილში № 111 და თხზულება „რონინში"

## № 234

(1829 წ. იანვრის) წერილი იონა ხელაშვილისა გაბრიელ იერომონახისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 231—232.

1. გაბრიელ იერომონახი — კახეთიდან. იხ. წ. 116.
2. დიდი საბა მოხუცებული —
3. საბა პატარა — არქიმანდრიტ გერასიმეს ძმისწული.

## № 235

(1830 წ. იანვრის) წერილი იოანე ბაგრატიონისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—254, გვ. 1—10. ერთვის იონა ხელაშვილის წიგნს „სნეულთ ნუგეში"

წერილი დაუთარიღებელია. დაწერილია იოანე ბატონიშვილის სიცოცხლეში, იოანე კი გარდაიცვალა 1830 წლის 15 თებერვალს.

1. მსხემი — უბინაო კაცი, უცხო.

## № 236

(1830 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა დაწერილი იოანე ბატონიშვილის გარდაცვალების გამო

საქ. ხ. ი., ფ. S — 254, გვ. 346. უთარიღოა.

დაწერილია იოანე ბატონიშვილის გარდაცვალების გამო — 1830 წ. 15, II.-ის. — მალევე, წარმოადგენს იონას პასუხს იოანე ბატონიშვილის წერილზე (იხ. წინა, № 235 წერილი).

## № 237

(1830 წ.) წერილი დედოფალი ნინოსი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 26.

1. დედოფალი ნინო — შესაძლებელია, ნინო დედოფალი სამეგრელოსი.

## № 238

1830 წლის 18 მაისის წერილი მიტროპოლიტი იოანესი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 15—16.

1. ქიზიყის მიტროპოლიტი იოანე — იხ. შენ. № 248 წერილისა.
2. ბარათოვის ქალი — ვერ დადგინდა ვინაობა.

## № 238ა

1830 წლის 14 ივლისის წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 42.

1 მირზა ჯაფარა — იხსენიება წერილში № 241

## № 239

1830 წლის 22 ივლისის წერილი მეფის ძის ძე გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 26.

1. მეფის ძის ძე გრიგოლი (1719—1831 წწ.) — იოანე ბაგრატიონის ძე. იხ. წერილი 43, შენიშვნა 1, წ. 181, შენ. 1.

## № 240

1830 წლის 7 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 55—56.

წერილის ნაწილი გამოქვეყნდა „ივერიაში", 1887 წლის № 227. მთლიანად დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 139—140. წერილი 48. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 302, წერილი 51.

1. ონისიმე მღვდელი — გიორგი ხელაშვილის მეუღლის, ნატალიას, პაპა — ონისიმე იაშვილი.

№ 241

1830 წლის 10 აგვისტოს წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 42.

1. ჯაფარა — მირზა ჯაფარა.

№ 242

(1830 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავად ს-სადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 206—207.

1. ფიდაკი — ფიდანი — დიდი თასი.

2. კაპილო — ქარვასლა, გზის პირას აგებული სახლი, სასტუმრო.

3. ბრწყინვალე თავადი ს — ხომ არ არის ეს თავადი ვინმე სოლომონი, რომლის შესახებ იგი ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას? შესაძლებელია, ეს იყო თავადი სიმონ სოლომონის ძე ვაჩნაძე..

იხ. წერილი № 237

№ 243

1830 წლის 3 სექტემბრის წერილი იასე ყანჩოევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 64—65.

წერილი უთარიღოა. თარიღდება იონა ხელაშვილის ძმისწულის, კონიას, ქორწინებით (1830 წ.).

1. იასე ყანჩაევი — იასე ყანჩაველი, ქიზიყის ერთ-ერთი სოფლის მღვდელი.

№ 244

1830 წლის 17 ოქტომბრის წერილი იოანე ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 34.

## № 245

### 1831 წლის 15 იანვრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 53—55.

წერილის ნაწილი გამოქვეყნებულია „ივერიაში", 1887 წ. № 227. თ. ჟორდანიას მიერ. მთლიანად დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 140—141, წერილი 49. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 303—304, წერილი 52.

1. ბარბარე ბატონიშვილი — ბაგრატ მეფის ძის ასული. გათხოვილი იყო დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანზე. გარდაიცვალა 1870 წელს.

2. კონსტანტინე მუხრანის ბატონი, იოანეს ძე (1779—1842 წწ.) — შვილიშვილი მეფე ერეკლე II — დედა მისი იყო ერეკლეს ასული ქეთევანი. კონსტანტინე მუხრანბატონი დიდხანს (1812—1839 წწ.) იყო თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის მარშალი ანუ წინამძღოლი.

3. იოანე, შვილი კონსტანტინე იოანეს ძე მუხრან ბატონისა (1812—1895 წწ.). სწავლობდა პაჟთა კორპუსში, ბოლოს გენერალ-მაიორი გახდა (იხ. მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II).

4. „ოდა ღვთისა" — დერჟავინის თხზულება — ქართულად ითარგმნა რამდენჯერმე.

5. ბატონიშვილი მირიანი (1766—1834 წწ.) — ერეკლე II და დარეჯან დედოფლის ვაჟი. იგი შედიოდა დელეგაციაში, რომელიც ერეკლე II გააგზავნა გარსევან ჭავჭავაძის მეთაურობით ეკატერინე II-სთან გეორგიევსკის ტრაქტატის მოსამზადებლად.

1784 წ. კვლავ მიდის რუსეთში. იწყებს სამხედრო სამსახურს. მიიღო გენერალ-ლეიტენანტის ჩინი და სენატორობა. 1801 წლიდან პეტერბურგშია. ეწევა ლიტერატურულ შრომას.

## № 246

### 1831 წლის 25 იანვრის წერილი გრიგოლ ბაგრატიონისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 39.

1. გრიგოლ ბაგრატიონი მუხრანსკი — ძმა კონსტანტინე მუხრან ბატონისა, შვილიშვილი მეფე ირაკლისა.

2. მისი ძმისწული იოანე — კონსტანტინე იოანეს ძის შვილი (იხ. III შენ. № 250 წერილისა).

### № 247

(1831 წ.) წერილი კნეინა ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 33—34.

1. მახაზო — მალხაზი, ანდრონიკაშვილის შვილიშვილი.

### № 248

1831 წლის 19 თებერვლის წერილი ბოდბელი მიტროპოლიტი იოანესი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 72.

1. იოანე მიტროპოლიტი ბოდბელი (მაყაშვილი) (1744—1837 წწ.) — ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის მიტროპოლიტი. მისი რჩევით გადაწყვიტა იოანე დოდაშვილმა სოლომონ დოდაშვილის გაგზავნა სასწავლებლად რუსეთში. შემდეგში იგი სთხოვდა სოლომონ დოდაშვილს, გაეგზავნა სასწავლებლად გლეხი ტალიაშვილი. იოანე მიტროპოლიტი თავისი დროის განათლებული და გავლენიანი პიროვნება ჩანს.

2. იოანე მიტროპოლიტის ძმისშვილი გაბრიელ მაყაშვილი, როგორც ჩანს, სწავლობდა პეტერბურგში.

### № 249

1831 წლის 26 თებერვლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 383, გვ. 51—52.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 143—144, წერილი 51. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 304—305, წერილი № 53.

1. უ. მ. მ. ი. — უმოწყალესო მღვდელ მოძღვარო იონა.

2. მცირე წლოვანი ძმა მისი — მიხეილ სოლომონის ძე ხელაშვილი.

3. იგულისხმება კონსტანტინე მუხრან ბატონი და მისი შვილი იოანე (იხ.. II შენ. № 249 წერილისა).

4. იოსიფ იაკოლიჩი — იოსებ იაკობის ძე გეტინგი (იხ. შენ. მე-9 № 189 წერილისა).

## № 250

### 1831 წლის 6 მარტის წერილი ალექსანდრე ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388.

1. ალექსანდრე ორბელიანი — (პუპლია)—ვახტანგის ძე (1802—1869 წწ.), თეკლე ბატონიშვილისა და ვახტანგ ორბელიანის უფროსი შვილი. სწავლობდა სამხედრო სასწავლებელში, 1822 წ. თავს ახებებს სამხედრო სამსახურს. 1829 წლიდან სოვეტნიკი საქართველოს უმაღლესი მთავრობის სააღმასრულებლო ექსპედიციისა. დააპატიმრეს 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის. გადაასახლეს ორენბურგში.

1840 წელს დაბრუნდა საქართველოში და ხელი მიჰყო ლიტერატურულ მოღვაწეობას.

2. ძმა — დიმიტრი ვახტანგის ძე (1808—1882 წწ.), თეკლე ბატონიშვილის და ვახტანგ ორბელიანის მეორე ვაჟი, პუპლიას ძმა. 1827 წელს ვახტანგთან ერთად გაემგზავრა პეტერბურგში. როგორც 1832 წლის შეთქმულების მონაწილე გადაასახლეს კალუგაში, გარდაიცვალა საქართველოში 1882 წელს (მ. ბერძნიშვილი, მასალები.., II).

## № 251

### 1831 წლის 14 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 62—64.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 143—144, წერილი 51. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 305—306, წერილი 54.

1. სოლომონ ხელაშვილი და მისი შვილი იოანე — სოლომონი იონას ძმაა.

2. მიხეილი — სოლომონ ხელაშვილის ვაჟი.

## № 252

1831 წლის 29 მარტის წერილი სოლომონ ხელაევისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 68—70.

## № 253

1831 წლის 21 აპრილის წერილი ფერისცვალობის მონასტრის ბერი ტარასი ალექსი-მესხიშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 14—15.

1. ტარიგი — კრავი.

2. ღვთისმოყვარე მოხუცა ზედწოდებით მარიამ ჯარდაგ მოლარე — დედოფალ დარეჯანის ამალის წევრი მარიამ ივანეს ასული. დედოფალ დარეჯანთან ერთად მიდის რუსეთში, პეტერბურგში.

3. ფერისცვალების მონასტრის ბერი — ტარასი ალექსი მესხიშვილი (1793—1874 წწ.), ცნობილი მწიგნობარი, კალიგრაფი და სასულიერო მოღვაწე, ანჩისხატის დეკანოზის — სოლომონის — შვილი. რუსეთში წაყვა 1817 წ. საქართველოს პირველ ეგზარხოსს — მიტროპოლიტ ვარლამ ერისთავს (1817—1826), ხოლო 1826—1830 წლებში იყო თეიმურაზ ბატონიშვილის კარის ეკლესიის მოძღვარი. 1832 წლის შეთქმულების მონაწილე. დატოვეს თბილისში პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ, იყო ქვათახევის მონასტრის არქიმანდრიტი. დაწერილი აქვს მოკლე აღწერა ქართლ-კახეთის მონასტერთა. (მ. ბერძნიშვილი, მასალები... I).

## № 254

1831 წლის 28 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 42—44.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 145—146. წერილი 52. 2. სოლ. დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 306—308, წერილი 55.

1. სოლომონ ხელაშვილის ასულის, კონიას, მეუღლე იოანე ზაქარიას ძე დემეტრაშვილი.

## № 255

### 1831 წლის 4 მაისის წერილი ბოდბელი იოანესი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 30—31.

1. შენი სიძე დავით ჯავახიშვილის შვილი ზაქარია მღვდლის შვილი იოანე არის იოანე დემეტრაშვილი, დიაკონი მეუღლე იონას ძმისწულის კონიასი.

2. ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე — იხ. I შენიშვნა № 248 წერილისა.

## № 256

### (1831 წ.) წერილი მეფის ძის ასულის ელენესი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 29.

1. მეფის ძის ასული ელენე (1799—1867 წწ.) — ალბათ, არის ფარნაოზ ბატონიშვილის და ანა გიორგი ქსნის ერისთავის (ყულარალასის) ასულის შვილი ელენე. მშობლებთან ერთად ცხოვრობდა რუსეთში, გარდაიცვალა პეტერბურგში.

## № 257

### 1831 წლის 19 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 146—148. წერილი 53. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 508—509, წერილი 56.

1. შანშე ერისთავი — შულავერის მოურავი მეფე გიორგის დროს, პოდპოლკოვნიკი, გორის მაზრის მარშალი 1831 წ.

2. დეკანოზი აარონ მესხიშვილი — „კალმასობის“ პერსონაჟიცაა.

## № 258

### 1831 წლის 22 ივლისის წერილი მეფის რძალი ელენესი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 30—31.

1. მეფის რძალი ელენე — თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე, ოთარ ამილახვრის ასული. ელენე ჯერ დავით ბატონიშვილზე იყო დანიშნული, მაგრამ ნიშნობა ჩაიშალა, მაშინ ელენე დანიშნეს თეიმურაზ ბატონიშვილზე. როდესაც თეიმურაზ ბატონიშვილი გაიქცა სპარსეთში, ელენე მამასთან დარჩა გორში. როდესაც თეიმურაზი გამოცხადდა და ჩაბარდა რუსებს, იგი გაგზავნეს პეტერბურგში, ელენეც მას გაჰყვა. 1846 წელს თეიმურაზი გარდაიცვალა და მთელი ქონება ელენეს დაუტოვა. ელენე გარდაიცვალა 1866 წელს (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II).

## № 259

### 1831 წლის 30 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 44—45.

დაბეჭდილია: 1. მსკი, II, გვ. 148—149. წერილი 54. 2. სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, გვ. 302—304, წერილი 52. მანამდე ნაწილი დაბეჭდილი იყო თ. ჟორდანიას მიერ „ივერიაში" 1887 წ. №227.

## № 260

### 1831 წლის წერილი მეფის სძალი ელენესი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 31—33.

მეფის რძალი ელენე — თეიმურაზ ბატონიშვილის მეუღლე ოთარ ამილახვრის ქალი. წერილში ნათქვამია, რომ „ბატონიშვილს იამა თქვენი წიგნის მიღება". ცხადია, წერილის ავტორი ელენე, მეფის სძალი, თეიმურაზის მეუღლეა და არა დავით ბატონიშვილის მეუღლე ელენე, ალა ტერ სიმონა აბამელიქის ასული (1790—1837 წწ.), რადგან მისი მეუღლე — ბატონიშვილი ამ დროისათვის ცოცხალი აღარ არის. დავით ბატონიშვილი გარდაიცვალა 1819 წელს.

## № 261

1831 წლის 9 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა იოანესადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 2226, გვ. 199.

1. მამა იოანე — სოლომონ დოდაშვილის მამა.

## № 262

(1831 წ.) მეფის ძე თეიმურაზის წერილი იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S—388, გვ. 27—28

1. მიხეილ ბატონიშვილი (1785—1861 წწ.) იხ. შენიშვნა № 34 წერილისა.

2. დედოფალი — როგორც ჩანს, ლაპარაკია მარიამ კაცია დადიანის ასულზე (17...—1844), ვისთანაც ამ დროს (1824 წლიდან — 1837 წლამდე) მსახურობდა იონა.

3. ანასტასია — ბატონის სძალი. ანასტასია გრიგოლის ასული ობოლენსკაია, (1805—1887 წწ.) ილია ბატონიშვილის მეუღლე.

4. თეიმურაზ მეფის ძე — თეიმურაზ ბატონიშვილი (იხ. III შენიშვნა № 4 წერილისათვის).

## № 263

1831 წლის 21 სექტემბრის წერილი მეფის ძე მიხეილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 25.

1. მეფის ძე მიხეილი — გიორგი XIII და მარიამ ციციშვილის ვაჟი (1785—1861 წწ.), 1803 წლიდან ცხოვრობდა მოსკოვში. დიდად განათლებული, თავმდაბალი პიროვნება (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II), იხ. I შენიშვნა № 34 წერილისა.

### № 264

1832 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი

საქ. ხ. ი., ფ. H — 279 გვ. 1—17.

ეს წერილი დართული აქვს ი. ხელაშვილის წიგნს: „წიგნი ქორწინებისა“, გვ. 1—17.

### № 265

1832 წლის 7 აგვისტოს წერილი იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ 57.

1. იოანე დოდაშვილი — სოლომონ დოდაშვილის მამა, მღვდელი.

### № 266

1833 წლის 17 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ძმისწულ იოანე სოლომონის ძისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 104.

1. ს. — სოლომონ დოდაშვილი.
2. ს. დ. — სოლომონ დოდაშვილი.

### № 267

1834 წლის 17 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე სვიმონის ძე ჯანდიერისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 137, გვ. 1—2.

წერილი გადაწერილია სვიმონ ტაბიძის მიერ. შენიშვნები და სქოლიოები დაწერილია ავტორის მიერ. წერილი ერთვის ი. ხელაშვილის „ქრისტეს მოყვარის მხედრობის განსამხნოებელ წიგნს“, რომელიც იონა ხელაშვილს მიურთმევია იოანე ჯანდიერისათვის.

1. იოანე სვიმონის ძე ჯანდიერი — იოანეს მამა სიმონ როსების ძე. მოურავია, მონაწილეობას იღებს კახეთის 1812 წლის აჯანყებაში. სვიმონის მამა, როსები, კი მთავრობის მხარესაა.

2. ს. დ. — სოლომონ დოდაშვილი.

**№ 268**

1834 წლის 21 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხაილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 73—86.

1. მიხაილ მეფის ძე — გიორგი XIII შვილი (იხ. შენიშვნა № 94 წერილისა).

**№ 269**

1834 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა თმღ-სადმი.

საქ. ხ. ი., ფ. S — 388, გვ. 56.

1. თმღ — უნდა ნიშნავდეს თქვენო მაღალ ღირსებას. მაგრამ ამ ტიტულით მიმართავდნენ სასულიერო პირებს. შინაარსით კი წერილი მიმართულია იმისადმი, ვისაც იონა ემსახურებოდა ამ პერიოდში. ალბათ, მარიამ კაცია დადიანის ასულისადმი.

2. პეტრე — კაკუშაძე, მღვდელი მარიამ დედოფლის საყდარში.

3. იგულისხმება მარიამ დედოფლის ძმისწული ვახტანგ, რომელიც ამთავრებს იუნკრობას.

**№ 270**

1835 წლის 8 იანვრის წერილი სოლომონ რაზმაძისა იონა ხელაშვილისადმი

საქ. ხ. ი., ფ. S — 1284, გვ. 21.

ჩაწერილია სოლომონ რაზმაძის ლექსების კრებულში

კრებული გადაწერილია ვას. კარბელაშვილის მიერ.

1. რაზმაძე სოლომონ გივის ძე (1797—1860 წწ.) — საბრძოლო დამსახურებისათვის სოლომონ რაზმაძის მამამ, ყაბარდოდან ჩამოყვანილმა, აზნაურობა მიიღო. დავით ბაგრატიონის თხოვნით, რაზმაძის ოჯახზე მზრუნველობა მიიღო თეიმურაზ ბატონიშვილმა

და მისმა მეუღლემ. 12 წლის სოლომონი თეიმურაზმა პეტერბურგში წაიყვანა, აქ განათლება მიუცია. შემდეგ თავრიზშია რუსეთის საელჩოში.

სოლომონი ბევრს თარგმნიდა და წერდა — ასე, მას უთარგმნია ფენელონის წერილი ლუდოვიკო XIV-სთან. ეს წერილი აკრძალული იყო, რადგან ეხმაურებოდა 1832 წ. შეთქმულთა აზრებს. სოლ. რაზმაძე პუშკინის ლექსების პირველი მთარგმნელია. მან თარგმნა ფონვიზინის Послание к слугам моим Шуманову, Ваньке и Петрушке, რომელშიც მხილებულია იმდროინდელი უსამართლობა. ქართულ ენაზე ამ ლექსის სათაურია „პეტერბურგი", დაწერა პოლიტიკური ხასიათის იგავ-არაკი, „დათვი და ცხვარი", სადაც საქართველოს მდგომარეობაა აღწერილი. 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის იგი გადაასახლეს პენზაში, სამუდამო საცხოვრებლად. გარდაიცვალა 1860 წელს, კოლეგიის სეკრეტარის ჩინით (მ. ბერძნიშვილი, მასალები..., II, ტრ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობა...).

# საძიებლები

## პირთა საძიებელი


აბიბო წამებული 333, 336
აბო მოწამე 396
აბრაამ 86, 386, 342
აბულაძე იოანე 31
აგათოშვილი ზურაბ თავადი 44
აგუსტინე 75
ადამ, ახუას დისწული 39
ავალოვი (ავალიშვილი) გიორგი 29, 30, 41, 42, 95, 125, 566
აზარია 326, 327, 357
ათანასე წმ. 66, 324
ათანასე არქიმანდრიტი 31
ალადოვ დიმიტრი 506
ალექსანდრე, მაღალბრწყინვალე თავადი 312
ალექსანდრე, პაპი მეთორმეტე 148, 270
ალექსანდრე I პავლეს ძე იმპერატორი 249, 286, 302, 425
ალექსანდრე, ძე რიფსიმე მეფის ასულისა, ჩოლოყაშვილი 377, 489, 518
იხ. ბაგრატიონი ალექსანდრე.
ალექსიშვილი ანდრია 454
ამბროსი, ნოვგოროდის, სანკტ-პეტერბურგის, ისლანდიის და ფინლანდიის და ზედართვით წმ. ალექსანდრე სამების ლავრის არქიმანდრიტი 12, 13, 210, 211, 283, 485, 549
ამირან, სიღნაღელი ვაჭარი 182, 183
ანა გაბრიელოვნა, მოლოზანი 505
ანანია 326, 327, 328, 360
ანასტასია ბატონიშვილი 110, 145
ანასტასია, მ. 68, 86, 523
ანატოლი, ნევსკის სემინარიის რექტორი 11
ანდრონიკოვა კნეინა 505, 653
ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი) თომა 77, 80, 102, 153, 261, 281, 366, 522
ანდრონიკოვი იოანე მაიორი 37, 38, 43, 77, 79, 80, 91, 94, 95, 96, 100, 106, 170, 180, 257, 291, 293, 407, 563, 590, 637, 651
ანნა დედოფალი 17, 30, 45, 149, 154, 180, 211, 327, 328, 360, 485, 554, 568
ანსილიონი 425, 639
ანტონ II კათალიკოსი პატრიარხი 482
ანტონ პირველი კათალიკოსი 58, 97, 272, 321, 330, 368, 393, 408, 425, 449, 482, 484, 485
არისტოტელე 58, 63, 104, 129, 303
არკადი და ინორი თეოდორი კეისრის ძენი 481
არღუთაშვილი მოსე, თავადი 38, 564
არჩილ მეფე 199, 330, 333, 425, 462
არჩილ ხოსროიანი 202
არხიმედი 58
აქილესი (ახილესი) 348
ახუა 39
ახუას დისწული ადამ 39

ბაგრატიონი ალექსანდრე, რიფსიმეს ვაჟი 34, 35, 36, 38, 274, 284, 562, იხ. ალექსანდრე.
ბაგრატიონი ბაგრატ 17, 34, 39, 45, 76, 155, 170, 238, 268, 269, 309, 375, 433, 455, 484, 489, 518, 564, 568
ბაგრატიონი დიმიტრი 34, 35, 36, 562
ბაგრატიონი ვახუშტი 303
ბაგრატიონი თეიმურაზ, მეფის ძე 357, 360, 365, 436, 562, 605
ბაგრატიონი ილია, მეფის ძე 13, 20, 34, 47, 91, 180, 268
ბაგრატიონი იოანე 453

ბაზიეროვ (ბაზიერაშვილი) იოანე 42, 45, 96, 100, 521, 568
ბალღაურა გიორგი 29, 99, 140
ბალღაურა გლახა ელენეს ვაჟი 39
ბალღაურა ელენე, ხელაშვილის ნათლია 39, 94, 97, 99, 564
ბარათისშვილი 496
ბარბარე ბატონიშვილი მეფის ძის ბაგრატის ას. 436, 475, 504, 652
ბაქარ 492
ბერუა 471
ბიბილური გიორგი, მღვდელი 250, 251, 318
ბიჭიაშვილი ნიკოლოზ 471
ბლერ 129, 584
ბონოპარტე (კორსიკანელი) ნაპოლეონი 147, 150, 211
ბოსტოყანოვი (ბოსტოღანაშვილი) 19, 20, 169, 556
ბულმაისის ძე 482
ბურდილაძე იოსებ 388

გაბრიელ იერომონახი 227, 330, 489, 604
გაბრიელ მთავარანგელოზი 27, 120, 160, 166, 192, 308
გაბრიელ მღვდელი, ბოდბელი მიტროპოლიტის ძმისწული 522
გაბრიელ მღვდელ-მონაზონი 251, 609
გაბრიილ სომეხი 473
გაიოზ არქიმანდრიტი 425
გაიოზ წმ. 39, 70
გერასიმე არხიმანდრიტი 491
გეტინგი. 643, 654
გიორგი ბულმაისის ძე 192, 444
გიორგი და მარიამი იონა ხელაშვილის დედ-მამა 253, 259, 267
გიორგი მეათსამეტე 210, 249, 332, 333, 408, 471, 492, 523
გიორგი ნათლია ბოლღაურას ვაჟი 99, 140, 143
გიორგი ხელაშვილი, იონას ძმა 21, 36, 43, 44, 95, 96, 99, 140, 164, 169, 170, 182, 183, 251, 490
გიორგი პროთორეი 324
გიორგი, მეგრელთა მთავრის ძე 230, 604
გრიგოლ (გრიგოლიოს) არხიმანდრიტი 27, 28, 29, 30, 31, 209, 213, 251, 257, 258, 559, 601
გრიგოლ, მეფის ძის ძე 46, 355, 356, 497, 498, 569, 626
გრიგოლ მუხრანის თავადი 256, 504, 652
გურამიშვილი 425

დადიახოვი ალექსანდრე 289
დავით აღმაშენებელი 52, 397
დავით ბოსტაშვილი 472
დავით ალექსის ძე რექტორი 24, 28, 29, 70, 558, 560
დავით მემკვიდრე, მეფის ძე 11, 12, 13, 14, 15, 23, 100, 101, 142, 202, 210, 211, 425, 437, 484, 485, 495, 524, 550.
დავით მეფსალმუნე 487
დავით მღვდელი 252, 389
დავით უძლეველი 425
დავით ქევხი 502
დალბერტი 449
დარეჯან დედოფალი 183
დარია დედოფალი 485, 492
დარიოს 120, 302
დარუან მარკიზი 159
დემეტრაშვილი ზაქარია მღვდელ იოანეს ძე 428, 511
დემოსთენე ათინელი 129
დიდი საბა მოხუცი 490
დიმიტრი გიორგის ძე, იონას ძმისშვილი 244
დიმიტრი მოსკოვიდან 192, 268, 300, 322, 357, 620
დიმიტრი ეფესელი 321
დიონვისიოს ლალკარნასელი 129
დოდაშვილი იოანე მღვდელი, სოლომონის მამა 126, 156, 182, 265, 403, 483,
დოდაშვილი სოლომონ 42, 53, 55, 73, 76, 81, 88, 89, 97, 111, 112, 114, 116, 120, 123, 125, 126, 128, 130, 131-141, 142, 145, 146, 154, 158, 161,

170, 172, 183, 184, 186, 190, 195, 196, 197, 198, 203, 219, 221, 222, 225, 226, 227, 228, 229, 234, 235, 236, 237, 238, 239, 240, 241, 246, 247, 248, 249, 252, 254, 255, 256, 257, 258, 259, 260, 261, 262, 263, 264, 266, 267, 269, 273, 274, 275, 278, 280, 284, 286, 287, 291, 299, 300, 303, 305, 306, 309, 312, 318, 319, 324, 329, 335, 336, 339, 341, 342, 343, 345, 347, 343, 349, 350, 351, 358, 360, 361, 363, 370, 371, 376, 378, 379, 380, 385, 387, 388, 389, 395, 403, 404, 412, 424, 433, 443, 445, 449, 451, 452, 454, 456, 458, 469, 474, 475, 477, 479, 482, 483, 490, 498, 503, 511, 513, 514, 515, 517, 518, 519, 521, 530, 566, 570, 572, 573, 575, 576, 580, 581, 582, 583, 584, 585, 587, 590, 593, 597, 599, 601, 603, 605, 606, 611, 613, 614, 615, 616, 558, 617, 618, 620, 621, 622, 623, 624, 626, 627, 629, 632, 633, 634, 636, 638, 639, 640, 642, 643, 644, 645, 646, 647, 648, 650, 652, 653, 654, 655, 656, 659

დოდაშვილი სტეფანე 140, 164, 169, 180, 184, 185, 186, 210, 211, 222, 263, 264, 274, 286, 334, 335, 343, 360, 371, 377, 384, 404, 454, 469, 470, 483, 497, 499, 516, 519, 553, 591, 594, 603, 615, 622, 636, 650, 651, 658

დოსითეოზ ეპისკოპოსი 15, 16, 17, 192, 210, 211, 469, 553

ეგნატე წმ. 542

ევა 487

ევსტატი მოურავი (ციციშვილი) 279

ეზეკია, ისრაილის მეფე 121, 264

ელენა სოლ. დოდაშვილის მეუღლე 55, 436, 450

ელენე, დავით მეფის ძის მეუღლე 94, 518, 657

ელენე, თეიმურაზ მეფის ძის მეუღლე 15, 20, 45, 213, 365, 440, 485, 70

ელენე, მეფის ძის ასული 106, 519, 560, 580, 656, 657

ელიოზოვი 356, 627

ენუქი 51

ეპიკურე 50, 82

ერიაშვილი (ერიანოვი) სოლომონ 97, 142, 431, 586

ერისთავი გიორგი 522, 442

ერისთავი შანშე 197, 472, 517

ესავ 157

ესოპე 119

ესტატე მოურავი 363

ეფემია 299

ეფთვიმი გენათელი მიტროპოლიტი 20, 21, 22, 27, 192, 209, 557

ეფრემ 326

ვარვარა, მეფის ძის ასული 184, 287, 536

ვასილ მათეიჩი 34

ვაჩნაძე სიმონ სოლომონის ძე 91, 96, 182, 476, 522, 595

ვახტანგ, დედოფალ მარიამის ძმისწული 29, 101, 104

ვახტანგ I მეფე 192, 332, 492

ვიტტე 129

ვოლტერ 79, 147, 148, 158, 448, 449

ზაქარია მღვდელი 377, 516

ზედგინიძე 472

ზედელოვ ნიკოლოზ 472, 506

თამარ ბრძენი 525

თამარ იულონის ასული 625

თამარ ერეკლე II-ის ასული 268, 297, 299, 350, 468

თარხნიშვილი ესტატე 318

თეიმურაზ მეფე 199, 472

თეიმურაზ, მეფე გიორგის ძე 12, 13, 14, 15, 17, 20, 30, 34, 35, 36, 38, 45, 155, 170, 199, 213, 237, 357, 360, 365, 408, 412, 425, 472, 483, 485, 492, 522, 549, 551, 658
თეოფანე არქიმანდრიტი 425
თომა წმ. 542
თომა მღვდელი 380

იაკობ მღვდელი 51, 471
იაშვილი ხატალია 114
იაშვილი ნიკო 114, 151, 152, 170, 189 588
იაშვილი ონისიმე, მღვდელი 113, 114,
იხ. ონისიმე მღვდელი 589
იერუსალიმელი ბერი იოსტოსი 23
იესო ნაზარეველი 326, 372, 374
იზრაილი ალექსანდრე ნეველის ლავრის
რიზნიჩი, იერომონახი 13, 14, 551
ილარიონი წმ. დავით გარეჯის მონასტრის არქიმანდრიტი 18, 19
ილია ბატონიშვილი, მეფის ძე 13, 20, 34, 47, 468, 524, 525, 569
ილია მინიატი 390
ილია მოციქული 180
იოანე ანდრონიკოვი 403
იოანე ბოდბელი მიტროპოლიტი 505, 506, 515, 516, 653.
იოანე დამასკელი 66, 298, 394, 544
იოანე მალალღირსი პროთოიერეი 154
იოანე, მეფის ძე 17, 18, 34, 40, 58, 70, 76, 100, 142, 154, 155, 171, 192, 229, 243, 356, 357, 375, 425, 444, 483, 486, 491, 495, 555, 649
იოანე პეტრიწი 58, 70, 192, 482
იოანე, სიღნაღის და ქისიყის მიტროპოლიტი, ბოდბელი 46, 496, 497, 521, 650
იოაკიმ მეფე 487
იონა არხიერი, ეგზარხი 59
იონა ეგზარხოსი 324
იოსეფ იაკოლიჩი კრონბერგი 282, 284, 302, 320, 379, 444, 508
იოსებ და იობი, ი. ხელაშვილის გარდაცვლილი ძმები 44, 253, 259, 267, 288, 326, 347
იოსტოს, იერუსალიმელი ბერი 23, 182, 476
ირაკლი ბატონიშვილი 180, 203
ირაკლი მეორე 181, 210, 332, 471, 472, 492, 494, 523
ირაკლი, მეფის ძე 468
ისააკ 51, 326
იუნკერი ანტონ მოსიჩ 503
იუდა 51
იუსტინე 396
იუსტინე ფილოსოფოსი 305

კაიაფა 488
კალვინი 136
კარამზინი 58, 129
კახაბრიძე იოსებ 375, 435
კვინტილიან 129
კლარკი ეპისკოპოზი ანგლიის, მოწაფე ნეპტონისა 51, 56, 146, 425
კოლუმბი 425
კონდილაკი 425
კონსტანტინე დიდი 248
კოჩიაშვილი ქაიხა 22
კრისვენტი ფილოსოფოსი 305
კრონბერგი — იხ. იოსეფ იაკოლიჩ კრონბერგი
კრუზსკი 452, 644

ლაშაძე პეტრე 425
ლალარბ 129, 584
ლეიბნიციოსი 56, 425
ლომონოსოვი 58, 424
ლონლინ 129, 564
ლოკი 146, 147, 158
ლუარსაბ 324
ლუთერ მარტინი 136, 542, 543
ლუკა 328

მაკარი არხიმანდრიტი 22, 27, 32
მაკრინა 525
მალოვი მღვდელი, მაგისტრი 89, 577
მალხაზიშვილი, მალხაზის შვილი, მალხაზოვი იოანე, პოლკოვნიკი 43, 150
მამუკა, ანნა დედოფლის ნათესავი 186, 199, 600
მანასე 326
მახსილიოხი 124, 125, 425
მაოგველაშვილი ანდრია 304

მარიამ, დედოფალი სრულიად საქართველოსი, გიორგი XIII-ის მეუღლე, გიორგი ციციშვილის ასული 15, 17, 53, 59, 95, 101, 105, 234 551, 604
მარიამ დედოფალი იმერეთისა, კაცია დადიანის ასული 38, 40, 53, 59, 95, 101, 105, 109, 131, 154, 165, 170, 171, 180, 213, 234, 289, 385, 485, 554, 565, 579
მარიამ თეოდორეს ას. იმპერატრიცა 135
მარიამ ღვთისმშობელი 46, 47
მასლინიკოვი 503
მაქსიმე აღმსარებელი 396
მაქსიმე წმ. 86, 157
მახარიკა 28, 31, 560
მახმედ 325, 395
მაყაევი გაბრიელ 194, 195
მთაწმინდელები 104
მირიან მეფის ძე — 11, 16, 17, 42, 357, 360, 504, 567, 652
მირზა ჯაფარა 375, 497, 499
მიხაილ ანგელოზი 331
მიხაილ — მეფის ძე 41, 91, 175, 178, 188, 214, 357, 523, 524, 539, 544 602, 658, 660
მიხაილოვი ნიკოლოს 58, 561, 566, 593, 595
მოსე 129
მოსე ხონელი 192, 266
მოსე წმ. 202, 321
მუხრანის ბატონი კონსტანტინე 504, 508
მკარგრძელი 472

ნაბუქოდონოსორი 120
ნავროზაშვილი კიკოლა 394
ნაზიანზელი გრიგოლ 321, 327, 466
ნაპოლეონი 211
ნეოფიტე 80
ნეპტონი 56
ნერონი 66
ნიკიტა, წმ. 330
ნიკოლაი იოსიფოვიჩი 254, 255
ნიკოლოზ ანტიოხელი 157
ნიკოლოზ არქიმანდრიტი 521
ნიკოლოზ იმპერატორი 135, 202, 288, 530, 533
ნიკოლოზ მეფის ძე 380
ნიკოლოზ მეფის ძის ბაგრატის ძე 88
ნიკოლოზ ტფილელი 192
ნიკოლოს არხიმანდრიტი 257, 258, 338, 363, 521
ნიკოლოს მიხაილოვი 58
ნიკოლუშკა იმპერატორის ნათლული 105, 246, 248
ნინა ჩალალბრწყინვალე, დავით მემკვიდრის ასული 364, 450, 608, 629,
ნინა მენგრელ კოლხიდის მთავრინა 131, 155, 160, 217, 249
ნინა — ფარნაოზ მეფის ძის ასული 105, 131, 154, 155, 180, 244, 248, 360,
ნინო დედოფალი 496
ნინო მარიამ დედოფლის რძალი 105, 131, 155, 180

ონისიმე მღვდელი იაშვილი 113, 164, 637, 169, 220, 331, 326, 510, 585
ორბელიანი ალექსანდრე 508, 654
ორბელიანი მოურავი 472
ორბელიანი დიმიტრი 465, 508, 645, 656
ორბელიანი ზაქარია 51, 101, 105, 198, 361
ორბელიანი ზურაბ (დიმიტრი) ნიკოლოსის ძე 77
ოსეფა კეთილშობილება 198
ოქრომჭედლოვი იესე 193, 194, 597
ოქროპირი 137, 163, 525, 577
ოქროპირი, მეფის ძე 466, 475, 523

პავლე წმ. 113, 117, 163, 167, 270, 277, 310, 410, 449, 460, 542 522
პასკი 269, 612
პაპუაძე გიორგი დავითის ძე 229, 274, 401, 433, 493
პარმენ მღვდელი 275, 317, 613, 618
პასკევიჩ ერივანსკი 444, 455, 514
პაფნოტი არქიეპისკოპოსი 119, 308, 556

პეტრე დიაკვანი 186, 195, 196, 234, 596
პეტრე მესამე 492
პეტრე წმ. 167
პეტრიწი იოანე 58, 70, 192, 393, 408, 425, 449, 482
პითაგორა 50, 79, 82, 575
პილატე 372
პლატონი 58, 63
პლეშჩეევი 379

რაზმაძე სოლომონ 454, 546
რიესკი 129
რიფსიმა ბატონიშვილი, 17, 155, 274, 284, 365, 377, 554
როლლენ 129, 584
რუაძე გ. 566.
რუსთაველი შოთა 58, 70, 192, 266
რუსო ჟან ჟაკ 79, 147, 159, 449

საბა (სულხან საბა) 214
საბა პატარა 490
სალომე, ბატონის რძალი 94, 196, 297
სენეკა 464
სემეონ მღვდელი, ძმისწული ილარიონ არქიმანდრიტისა 18, 269, 272 294, 297, 367, 516, 621, 630
სიმონ თესალონიკელი 216
სიპიაღინი თბილისის სამხედრო ღუ-ბერნატორი 275, 378
სვიმონ დიაკვანი 269, 272, 612
სვიმეონ — ერიაშვილი 626
სოკრატე 58, 63, 191
სოლომონ ბრძენი 124, 151, 482, 534
სოლონი 58
სოფია ბრწყინვალე 207
სპინოზა 79, 575
სტეფანე ღირსელი, პროტოირეი 12, 59
ს. თავადინა 482

ტაბიძე სვიმონ გიორგის ძე 16, 552
ტარასი ალექსი /მესხიშვილი 655
ტარასი მღვდელი 269
ტიმოთე წმ. 270
ტიხომიროვი ივანე 14

ფალავანდოვი (ფალავანდიშვილი) ნი-კალაი 77, 78, 521, 574
ფარნაოზი, მეფის ძე 17, 554
ფარსადან თეიმურაზიჩი, თავადი 275
ფარსმან სპარსი 472
641
ფილადელფი კიკნაძე 269, 436, 483, 612
ფირალოვი გოდერძი 11, 547
ფირალოვი ფარსადან 275

ქეთევან, მეფის ასული 484
ქუთათელი 27

ღასსენდი 197
ღირსიაშვილი (ღირსიევი) ადამ 73, 78, 89, 115, 143, 144, 151, 161, 269, 272, 274, 297, 343, 367, 374, 375, 387, 394, 429, 443, 450, 513, 574, 588
ღომერი 75, 302
ღრეჩი ნიკოლოზ, სახელმძღვანელოს ავტორი 377

ყანჩოევ 501, 651
ყანჩოევ ივანე, მისი შვილი 501

შავთელი 192, 266, 268, 449
შალიკოვი (შალიკაშვილი) 160
შანშიევი 454
შოშიაშვილი სიმონ 95, 169, 170
შუშანიკ დედოფალი 202, 330, 334, 336

ჩამჩი მელქო 425
ჩახრუხაძე 192
ჩიჩუა ლევან, თავადი 250
ჩოლოყაშვილი 361, 619
ჩეგუნოვ გიორგი 124, 125, 583

ციცერონი 58, 129
ციციშვილი დავით 360
ციციშვილი ფარსადან 431

ჭილაძე გიორგი 188, 547, 596

ხატიევი დავით მღვდელი 36, 522, 533, 608
ხელაშვილი (ხელაევი) გიორგი, მარიამი, იონა ხელაშვილის დედმამა 253, 259, 267
ხელაშვილი გრიგორი იოსების ძე 349, 350, 367
ხელაშვილი დიმიტრი 355, 478
ხელაშვილი იოანე სოლომონის ძე 335, 346, 370, 376, 394, 410, 413, 414, 450, 475, 476, 498, 502, 509, 514, 530, 531, 631, 659
ხელაშვილი იობ 337, 343, 475
ხელაშვილი იოსებ, იონას ძმა 22
ხელაშვილი კონია სოლომონის ას. 337
ხელაშვილი მაია სოლომონის ას. 337
ხელაშვილი მართა, იოსების ცოლი 337, 350, 582
ხელაშვილი მიხეილ 59, 68, 88, 514
ხელაშვილი ნატალია, იონას რძალი 140, 350, 355, 411
ხელაშვილი (ხელაევი) სოლომონ იონას ძმა 21, 44, 88, 99, 100, 114, 119, 162, 169, 182, 183, 287, 331, 335, 366, 453, 509, 510
ხელაშვილი სოფიო 337
ხეროდიანი 302
ხველიაშვილი 266
ხირსელაშვილი, სოლომონ დოდაშვილის და 346

ჯანდიერი იოანე სვიმონის ძე 535, 659
ჯაფარიძე დიაკვანი 196
ჯიბრაილ 492

## გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი

ავარია 406
აზია 70, 115, 121, 205, 439
ათინა 50, 81, 202, 301, 395
ალავერდი 15, 332
ალევანი 396
ამერიკა 205, 277, 314
ანგლია 183, 301, 346, 425, 426
ანტიოქია 487
არზრუმი 477
არმაზი 192
არმენია 205, 277
აფრიკა 397
აფხაზეთი 397
ახალციხე 103, 270

ბაბილონი 423
ბალტიის ზღ. 30, 485
ბელოსტოკი 508
ბახტრიონი 333
ბერლინი 327
ბოჰო[illegible] 202

განჯა 498
გარე კახეთი 262, 473
გერმანია 148, 149, 425
გეორგია 62, 333
გორი 518
გრემი 396

დუშეთი 518

ეგვიპტე (ეგიპტე) 62, 184, 205, 327, 487
ევროპა (ევროპია) 104, 148, 183, 205, 275, 299, 303, 397, 471
ეკატირინოსლავი 286
ელისაბედპოლი 397, 415
ერევანი 519

ვასილის ქალაქი 485, 489
ვაქირი 428, 453

ზემო მქისიყი 321
ზემო სიონი 423

თავრიზი 310
თელავი 25, 332, 338, 414, 492, 508, 514
თრიალეთი 202, 396
თურქეთი 472

იეპონია 205, 293, 313, 332
იერუსალიმი 23, 24, 25, 62, 73, 104, 121, 122, 179, 183, 186, 192, 202, 203, 207, 310, 322, 372, 413, 480
ივერია 221, 228, 245, 246, 249, 266, 289, 293, 332, 336, 397, 401, 414, 422, 439, 472, 473, 460
იზიუმი 286
იმერეთი 92, 304, 435
ინგილო 396
ისრაილი (ისრაელი) 199, 423, 466, 477
ისპანია 423, 435
ისპაჰანი 473
იტალია 59, 70, 121, 303, 309, 423, 439

კავკავი 140
კავკასია 228, 301
კალოუბანი 396
კახეთი 165, 337, 396, 423, 473, 544
კიტაი 205, 314, 332
კონსტანტინეპოლი 289
კოჟორი 332
კორინთე 439
კრაკოვ 301
კრიმი 236

მანგლისი 397
მალარო 92, 474, 597
მოსდოკი 198
მოსკოვი 427
მთიულეთი 518
მცხეთა 492
ნარიყალა 332
ნიკეა 469
ნიჟნი ნოვგოროდი 269
ნიქოზი 397

პალესტინა 232, 254, 256, 321, 327, 328
პანკისი 406
პეტერბურგი. (პეტერბურღი, პეტერბურსი, სანკტპეტერბურღი. სანკტ პეტერ ბურღი. სპბ. ქალაქსა პეტრეს დიდისასა). 13, 15, 38, 42, 45, 46, 59, 68, 73, 94, 130, 135, 141, 165, 196, 189, 212, 213, 215, 249, 253, 257, 259, 366, 401, 402, 408, 418, 427, 492, 496, 514, 530
პეტერგოფი 289
პონპეა 332
პონტო 62

რომი 204, 277, 301
როსტოვი 286
რუსეთი 70, 228, 439

საბერძნეთი 303
სამგორი 301
საქართველო 77, 273
სინას მთა 423, 466, 467
სიონი 423, 466, 467
სიღნაღი 9, 140, 170, 145, 332, 410, 414, 426, 429, 459, 476, 498, 507, 514
სამხრეთი 202
სპარსეთი 205, 396, 397, 472, 473

ტაგანროგი 38
ტიბაანი 391
ტიბერია 289
ტულა 291
ტფილისი (თბილისი) 29, 77, 140, 180, 198, 202, 247, 264, 269, 270, 273, 275, 286, 290, 297, 310, 315, 325, 332, 326, 337, 343, 349, 350, 380, 396, 397, 452, 473, 475, 483, 498, 507, 508

უდაბნო 23

ფერიეთი 202, 396, 473
ფინიკია 204
ფრანცია 147, 148, 301, 425

ქართლი 13, 397, 473
ქიზიყი (ქისიყი, მქსიყე) 18, 42, 264, 286, 321, 337, 338, 363, 423, 428, 435, 438, 439, 498, 472, 474, 527

ქისიყი (უკანა ქისიყი) 92
ქისიყი წინა ქისიყი 92
ქუემო სომხითი 397
ქუთათისი 270
ქციის ტბა 397

ყაზახის ბორჩალო 397
ყარახაჩი 332

შავნაბადა 332
შვეიცარია 147
შიდა ქართლი 486

ცარსკოე სელო 53, 59, 66, 81, 90, 135, 519

წმ. ალექსანდრე ნეველის ლავრა ხარების მონასტერი 486, 496

ჭარბელაქანი 498
ჭიაური 202
ჭუკთი 202

ხარკოვი 284, 286, 291, 300, 424, 427
ხორან ბუჯი (ხორნაბუჯი) 122, 423

ჯუგაანი 226, 490, 506, 582
ჯულა 68

ჰერეთი 122, 303, 309, 423

## შინაარსი


წინასიტყვაობა 5

ტექსტის გამოცემისათვის . 10

1809 წ. 28 ივლისის წერილი გოდერძი ფირალოვისა იონა ხელაშვილისადმი 11

1812 წ. 29 თებერვლის წერილი დავით ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი 11

1812 წლის 13 ნოემბრის წერილი ამბროსი ნოვგოროდის მიტროპოლიტისა იონა ხელაშვილისადმი . 12

1816 წ. 8 თებერვლის წერილი მეფის გიორგის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი . 12

1816 წლის ივნისის წერილი მეფის ძის დავითისა იონა ხელაშვილისადმი 13

1816 წლის ივნისის წერილი დავით ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი 13

1816 წლის 11 ივნისის წერილი წმ. სამების ალექსანდრე ნევსკის ლავრის რიზნიჩი იერომონახ იზრაილისა იონა ხელაშვილისადმი . . 13

1816 წლის 12 ივლისის წერილი ივანე ტიხომიროვისა იონა ხელაშვილისადმი 14

1817 წლის 8 აგვისტოს წერილი საქართველოს მეფის ძის თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი 14

(1817 წ. აგვისტოს) წერილი იონა ხელაშვილისა სვიმონ ტაბიძისადმი 16

1820 წლის 25 მარტის წერილი არქიეპისკოპოსი დოსითეოსისა იონა ხელაშვილისადმი . 16

1820 წლის 20 ივლისის წერილი წმინდა დავით გარეჯელის მონასტრის არქიმანდრიტი ილარიონისა იონა ხელაშვილისადმი 18

1820 წლის 22 ივლისის წერილი არქიეპისკოპოსის პაფნოტისა იონა ხელაშვილისადმი 19

1820 წლის 22 ივლისის წერილი იოსებ ბოტოღანოვისა იონა ხელაშვილისადმი 20

1821 წ. 21 ივლისის წერილი გენათელი მიტროპოლიტი ეფთჳმისა იონა ხელაშვილისადმი 20

1821 წლის 16 აგვისტოს წერილი მღვდელი სოლომონ ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 21

1822 წლის 8 იანვრის წერილი გენათელ-მიტროპოლიტ ეფთვიმისა იონა ხელაშვილისადმი 22

1822 წლის 12 მარტის წერილი იერუსალიმელი ბერი იოსტასი იონა ხელაშვილისადმი 23

1922 წლის 2 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა დავით რექტორისადმი 24

1922 წლის 14 ივნისის წერილი არხიმანდრიტი გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი 27

1822 წლის 15 ივნისის წერილი დავით რექტორისა იონა ხელაშვილისადმი 28

1822 წლის 19 ივნისის წერილი გიორგი ავალოვისა იონა ხელაშვილისადმი 29

1822 წლის 25 ივლისის წერილი არხიმანდრიტი გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი . 30
(1822 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ გრიგორისადმი 31
1822 წლის აგვისტოს წერილი საქართველოს მეფის გიორგის ძეთა იონა ხელაშვილისადმი 33
1822 წლის 3 სექტემბრის წერილი ნიკოლოზ მიხეილოვისა იონა ხელაშვილისადმი 34
1823 წლის 8 მარტის წერილი ალექსანდრე და დიმიტრი ბაგრატიონებისა იონა ხელაშვილისადმი 34
1823 წლის 19 ივლისის წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი 35
(1823 წ.) წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი 36
1823 წლის 12 სექტემბრის წერილი მღვდელი დავით ხატიევისა დეპუტატისა იონა ხელაშვილისადმი . 35
1823 წლის 2 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იოანე ანდრონიკოვისადმი . . . . 37
1824 წლის 7 იანვრის წერილი მეფის ძე ბაგრატისა იონა ხელაშვილისადმი 39
1824 წლის 26 თებერვლის წერილი ი. ხელაშვილის ნათლია ბოლღაურასი იონა ხელაშვილისადმი . . 39
(1825—1834 წწ.) წერილი დედოფალი მარიამისა იონა ხელაშვილისადმი 40
1824 წლის 25 თებერვლის წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი 40
(1824 წ.) წერილი გ. რუაძისა იონა ხელაშვილისადმი 40
1824 წლის 3 მაისის წერილი მეფის ძის მიხაილისაგან მეფის ძისადმი 41
1824 წლის 17 ივლისის წერილი რუაძისა იონა ხელაშვილისადმი . 41
1824 წლის 1 აგვისტოს წერილი გიორგი ავალოვისა იონა ხელაშვილისადმი 41
1824 წლის 22 სექტემბრის წერილი მეფის ძე მირიანისა იონა ხელაშვილისადმი 42
1825 წლის 28 თებერვლის წერილი პროტოიერეი იოანე ბაზიეროვისა იონა ხელაშვილისადმი 42
1825 წლის 21 მარტის წერილი მეფის ძე ბაგრატისა იონა ხელაშვილისადმი 45
1825 წლის 30 მარტის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ძე გრიგორისადმი 46
1825 წლის 26 მაისის წერილი იოეა ხელაშვილისა მეფის ძე ილიასადმი 47
1825 წლის 11 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ზაქარიასადმი 54
1825 წლის 12 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 55
1825 წლის 13 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადისადმი 59
1825 წლის ივნისის 22-ის წერილი იონა ხელაშვილისა იგმ-სადმი 66
(1824—27 წწ.) წერილი ი. ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 73
1825 წლის 10 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 76
1825 წლის 19 ივლისის წერილი ნიკოლოზ ფალავანდოვისა იონა ხელაშვილისადმი 77
(1825 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა ღირსიევს . 78
(1825 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 81
1825 წლის ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 88
(1825 წ.) წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 88

1825 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ანდრონიკოვი-სადმი. 91
1825 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სოლო-მონისადმი 94
1825 წლის 4 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა ნათლია ელენესადმი 97
1825 წლის 4 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების სოლომონ და გიორგისადმი 99
1825 წლის 1 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა საქართველოს დედო-ფალ მარიამისადმი . 101
1825 წლის 2 ოქტომბრის წერილი იმერთა დედოფლის მარიამისა იონა ხელაშვილისადმი 105
1825 წლის 13 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ასულ ელენესადმი 106
1825 წლის 15 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილისა იმერეთის ბატონიშ-შვილის მარიამისადმი . . 109
1825 წლის დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 111
1826 წლის 16 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილი-სადმი 112
1826 წლის 18 იანვრის წერილი მღვდელი ონისიმე იაშვილისა იონა ხე-ლაშვილისადმი . 113
1826 წლის 9 თებერვლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვი-ლისადმი . 114
1826 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდა-შვილისადმი . 114
1826 წლის 2 მარტის წერილი მღვდელ იოანე დოდაშვილისა იონა ხელა-შვილისადმი . . 119
1826 წლის 3 მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 120
(1825 წ.) წერილი გიორგი ჩუბუნოვისა იონა ხელაშვილისადმი 124
1826 წლის 9 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 125
1826 წ. 22 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 126
1826 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონისადმი 126
1826 წლის 27 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილი-სადმი 128
1826 წლის აღდგომის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილი-სადმი 130
1826 წლის 17 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა ონისიმესადმი 138
1826 წლის 18 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვი-ლისადმი 141
1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ერიანოვისადმი 142
(1826 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა ადამ ლორსიევისადმი . 144
1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 146
1826 წლის 22 აპრილის წერილი ადამ ლორსიევისა იონა ხელაშვილისადმი 151
1826 წლის 1 მაისის წერილი თავადი ნიკო იაშვილისა იონა ხელაშვილი-სადმი 151
1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა თომა ანდრონიკოვისადმი 152
1826 წ. 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ იოანესადმი 156

(1826 წ.) წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 158
1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ანდრონიკოვისადმი 160
1826 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 161
1826 წ. 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა იოანესადმი 162
1826 წ. იონა ხელაშვილის წერილი ვინმე ხუცეს მონაზონისადმი 165
1826 წლის 15 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების სოლომონის და გიორგისადმი 169
1826 წლის ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადს 170
1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 172
1826 წლის 15 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხეილისადმი 175
1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი . 180
1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ გიორგისადმი 181
1826 წლის 15 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძის ასულ ვარვარასადმი . . 184
1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკვან პეტრესადმი 186
(1826 წ.) წერილი გიორგი ჰილაძისა იონა ხელაშვილისადმი . 188
1826 წლის 9 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავადისადმი 189
1826 წ. 14 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი . 190
1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 191
(1826 წ.) წერილი იესე ოქრომჭედლოვისა იონა ხელაშვილისადმი 193
1826 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ოქრომჭედლოვისადმი 194
1826 წლის 1 სექტემბრის წერილი გაბრიელ მაყაევისა იონა ხელაშვილისადმი 194
(1826) წლის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკვან პეტრესადმი 195
1826 წლის 21 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი . 196
1826 წლის 3 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი . 197
1826 წ. 15 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა ოსეფასადმი 198
1826 წლის 15 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მაღალბრწყინვალე მამუკასადმი . 199
1826 წლის 29 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 203
1826 წლის 31 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ გრიგორიოსისადმი 209
1826 წლის 10 ნოემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხაილისადმი 214
1826 წლის 14 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 219
(1725—1726 წწ.) წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი 222
1827 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა იერომონახ გაბრიელისადმი 227
1827 წლის წერილი იონა ხელაშვილისა მენგრელთა მთავრის ძე გიორგისადმი 230
1827 წლის 19 იანვრის წერილი საქართველოს დედოფალ მარიამისა იონა ხელაშვილისადმი 234
1827 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 234
1827 წლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 236

1827 წლის 19 თებერვლის წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა იონა ხელაშვილისადმი . , 236
1827 წლის 7 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 237
1827 წლის 15 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 238
1827 წლის 3 აპრილის მილოცვა სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 239
1827 წლის 3 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 240
1827 წლის 12 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 241
1827 წლის 8 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა დიმიტრი იოანეს ძისადმი 246
(1827 წ.) წერილი მეფის ძის ფარნაოზის ასული ნინასი იონა ხელაშვილისადმი 248
1827 წლის მაისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 248
1827 წლის 13 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ასულ ნინასადმი 249
1827 წლის 21 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა დავითისადმი 252
1827 წლის მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ნიკოლაი იოსაფოვიჩისადმი 254
1827 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ მონოზანი გაბრიელისადმი 255
1827 წლის 26 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა არხიმანდრიტ ნიკოლაოსისადმი . 257
1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა გუმბრდის განხილვის ეკკლესიის მამათ . 259
1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ ონისიმესადმი 250
1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თომასადმი 261
1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი 262
1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი 263
1827 წლის 27 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ იოანესადმი 265
1827 წლის 2 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 267
1827 წლის 2 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა დიაკონ სვიმონისადმი 269
1827 წლის 9 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 273
1827 წლის 15 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 274
(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 275
1827 წლის 16 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 278
(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 280
1827 წლის 9 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 284
1827 წლის 9 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სტეფანე დოდაშვილისადმი 286
1827 წლის 29 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილოლისადმი . 288
1827 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 292
(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სვიმონისადმი 294
1827 წლის 25 ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 300

1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 303
1827 წ. ივლისის წერილი იონა ხელაშვილისა მამა პარმენისადმი 305
1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 308
1827 წლის 1 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა თავადი ალექსანდრესდმი 312
1827 წლის 15 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მამა პარმენისადმი 317
1827 წლის აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 319
1827 წლის 16 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მამა დიმიტრისადმი 322
(1827 წ. აგვისტოს შემდეგ დაწერილი) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 324
(1827 წ. 15. VIII-ს შემდეგ დაწერილი) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 329
1827 წლის 2 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა ონისიმესადმი 331
1827 წლის 3 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა თავად სვიმონ სოლომონის ძისადმი 332
(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 339
1827 წლის 17 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 342
1827 წლის 1 ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 344
1827 წლის 8 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 345
1827 წლის 24 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 347
(1827 წ.) ი. ხელაშვილის წერილი სოლომონ დოდაშვილისადმი 348
1827 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სოლომონისადმი 349
(1827 წ.) წერილი მეფის ძის ასულის თამარისა იონა ხელაშვილისადმი 350
(1827 წ.) წერილი მეფის ძე ოქროპირისა იონა ხელაშვილისადმი 351
1827 წლის წერილი ი. ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 351
1827 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა სვიმეონისადმი 354
1828 წლის 1 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე გრიგოლისადმი 355
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა გიორგი ელიოზოვისადმი 356
(1828 წ.) წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 358
1826 წლის 6 იანვრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 361
1828 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მოურავ ევსტათისადმი 363
1828 წლის 9 იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მაღალბრწყინვალე ნინასადმი 364
1828 წლის 13 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა მამა მოსესადმი 366
1828 წლის 13 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა მღვდელ სვიმეონისადმი 367
1828 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა ძმისწულ იოანესადმი 370
1828 წლის მარტის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 371
1828 წლის 10 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 376
1828 წლის 20 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 376

(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 379
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 380
1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 385
1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა ძმების, რძალთა და ოჯახის წევრთა მიმართ . 387
1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 389
(1827 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 392
(1828 წ.) წერილი მღვდელი იოვანე დოდოევისა იონა ხელაშვილისადმი 394
1828 წლის 1 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი . 395
1828 წლის 1 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა თავად იესე იოსების ძისადმი 399
1828 წლის 2 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა გიორგი პაპაძისადმი 401
1828 წლის 4 აპრილის წერილი იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილს 403
(1828 წ.) წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 404
1828 წლის 11 აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი . 404
1828 წლის 28 აპრილის წერილი ონისიმე მღვდლისა იონა ხელაშვილისადმი 410
1828 წლის 29 აპრილის წერილი იოანე ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი . 411
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი . 412
1828 წლის აპრილის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ლეარსაბის ძისადმი 415
1828 წლის 19 მაისის წერილი გიორგი ხელაშვილისა იონა ხელაშვილისადმი, იონა ხელაშვილის წერილი გიორგისადმი 418
1828 წლის 28 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 421
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 424
1828 წლის 6 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 427
1828 წლის 4 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 429
1828 წლის 10 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 431
1828 წლის 29 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 433
1828 წლის 30 აგვისტოს წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე თეიმურაზისადმი 436
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 438
1828 წლის 21 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 440
1828 წლის 26 სექტემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი . 443
1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 445
1828 წლის 25 ოქტომბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 451
1828 წლის 25 ოქტომბრის წერილი გიორგი ხელაშვილისა იონა ხელაშვილს 453
1828 წლის 22 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილს 454

(1828 წ.) დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 456
1828 წლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 458
(1828 წ.) წერილი დიმიტრი ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი 465
(1828 წ.) წერილი დიმიტრი ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი 465
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი 465
1829 წლის 15 თებერვლის წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 469
1829 წლის 15 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 474
1829 წლის 7 ნოემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 475
1829 წლის წერილი იოანესი იონა ხელაშვილისადმი 477
1829 წლის 28 დეკემბრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 477
(1829 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა სოლომონ დოდაშვილისადმი 479
(1829 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე იოანესადმი 483
(1828 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა გაბრიელ იერომონახისადმი 489
(1829 წ.) წერილი იოანე ბაგრატიონისა იონა ხელაშვილისადმი 491
(1829 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა იოანე ბატონიშვილისადმი 495
(1829 წ.) წერილი დედოფალი ნინოსი იონა ხელაშვილისადმი 496
1830 წლის 18 მაისის წერილი ქისიყის მიტროპოლიტ იოანესი იონა ხელაშვილისადმი . . 496
1830 წლის 14 ივლისის წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 497
1830 წლის 22 ივლისის წერილი მეფის ძის ძე გრიგოლისა იონა ხელაშვილისადმი 497
1830 წლის 7 აგვისტოს წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 498
1830 წლის 10 აგვისტოს წერილი სტეფანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 499
(1830 წ.) წერილი იონა ხელაშვილისა ბრწყინვალე თავად ს-ისადმი 499
1830 წლის 3 სექტემბრის წერილი მღვდელი იასე ყანჩოევისა იონა ხელაშვილისადმი 501
1830 წლის 17 ოქტომბრის წერილი იოანე ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი 503
1831 წლის 15 იანვრის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 503
1831 წლის 25 იანვრის წერილი გრიგოლ ბაგრატიონი მუხრანსკისა იონა ხელაშვილისადმი . 504
(1831 წ.) წერილი კნეინა ანდრონიკოვისა იონა ხელაშვილისადმი 505
1831 წლის 19 თებერვლის წერილი ბოდბელ მიტროპოლიტი იოანესე იონა ხელაშვილისადმი 505
1831 წლის 26 თებერვლის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 507
1831 წლის 6 მარტის წერილი ალექსანდრე ორბელიანისა იონა ხელაშვილისადმი 508
1831 წლის 14 მარტის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 509

1831 წლის 29 მარტის წერილი სოლომონ ხელაევისა იონა ხელაშვილისადმი 510
1831 წ. 21 აპრილის ფერისცვალების მონასტრის ბერისა იონა ხელაშვილისადმი 512
1831 წლის 28 აპრილის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი . 514
1831 წლის 4 მაისის წერილი ბოდბელი იოანესი იონა ხელაშვილისადმი 515
(1831 წ.) წერილი მეფის ძის ასული ელენესი იონა ხელაშვილისადმი 516
1831 წლის 19 ივნისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 517
1831 წლის 22 ივლისის წერილი მეფის რძალი ელენესი იონა ხელაშვილისადმი 518
1831 წლის 30 ივლისის წერილი სოლომონ დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი . 519
1831 წლის წერილი მეფის სძალი ელენესი იონა ხელაშვილისადმი . 520
1831 წლის 9 სექტემბრის წერილი იონა ხელაშვილისა მამა იოანესადმი 521
(1831 წ.) წერილი მეფის ძე თეიმურაზისა იონა ხელაშვილისადმი 522
1831 წლის 21 სექტემბრის წერილი მეფის ძის მიხეილისა იონა ხელაშვილისადმი 523
1832 წლის იანვრის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე ოქროპირისადმი 523
1832 წლის 7 აგვისტოს წერილი იოანე დოდაშვილისა იონა ხელაშვილისადმი 526
1833 წლის 17 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა ძმისწულ იოანე სოლომონის ძისადმი . . 527
1834 წლის 17 მაისის წერილი იონა ხელაშვილისა იოანე სვიმონის ძე ჯანდიერისადმი . . 535
1834 წლის 21 ივნისის წერილი იონა ხელაშვილისა მეფის ძე მიხაილისადმი 539
1834 წლის ოქტომბრის წერილი იონა ხელაშვილისა თმლ-სადმი 545
1835 წლის 8 იანვრის წერილი სოლომონ რაზმაძისა იოანე ხელაშვილისადმი 546
შენიშვნები 547
საძიებლები 662
პირთა 662
გეოგრაფიულ სახელთა 668